

ივ. ჯავახიშვილი

ქართული ერის ისტორიის შესავალი

ნიგნი მეორე

ქართული და კავკასიური ენების
თავდაპირველი ბუნება
და
ნათესაობა

499.962.1

5-18

დაბეჭდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს
ფილიალის განკარგულებით.

თავმჯდომარე პროფ. ნ. მუსხელიშვილი



2-103815

38/381

შ ი ნ ა ა რ ს ი

წინასიტყვაობა XI

ქარაგმიანი და შემოკლებული სიტყვა-სათაურების განმარტება XVIII

კ ბ რ ი პ ი რ ვ ე ლ ი. ქართულ-ქართველურისა და ე. წ. კავკასიის ენების შესახები მწერლობის მოკლე მიმოხილვა 1—91.

კ ბ რ ი მ ი მ რ ი. დასახული მიზანი და მეთოდოლოგია 93—131.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი. ამ გამოკვლევებისათვის დასახული მიზანი და საზღვრები 95—97.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე. ენათა თავდაპირველი აგებულებისა და ნათესაობის კვლევა-ძიების მეთოდოლოგია 97—104.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე. ქართველური და ე. წ. კავკასიური ენების ბგერითი შედგენილობა და ტრანსკრიფცია 104—131.

კ ბ რ ი მ ე ს ბ მ ე. ე. წ. კავკასიური ენებისა და ქართულ-ქართველურის მორფოლოგიის ძირითადი საკითხები 133—257.

ნ ა წ ი ლ ი პ ი რ ვ ე ლ ი. ბრავატიკული სქეს-კატეგორიების საკითხი კავკასიურ ენებში და ქართულში 135—257.

თ ა ვ ი პ ი რ ვ ე ლ ი. გრამატიკული სქეს-კატეგორიები თანამედროვე კავკასიურ ენებში 135—147.

§ 1. სქეს-კატეგორიები სინდური ენებში 135—138. § 2. გრამატ. სქეს-კატეგორიები ლილლურში 138—140. § 3. გრამატიკული სქეს-კატეგორიები ლეგურ თანამედროვე ენებში 140—147: I. ენათა დასავლური ჯგუფი 140—141, II. დალისტნის შუაგულისა და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ენათა ჯგუფი 141—145, III. დალისტნის ენათა სამხრეთ-აღმოსავლური ჯგუფი 145—147.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე. კავკასიური ენების გრამატ. სქეს-კატეგორიების ვითარების ზოგადი დახასიათება 147—154.

§ 1. ჩრდილოეთ კავკასიის ენათა სინდური ჯგუფი 147—148. § 2. ჩრდილოეთ კავკასიის ენათა ლილლური ჯგუფი 148—149. § 3. ჩრდილო კავკასიის ენათა ლეგური ჯგუფი 149—150: I. გრამატ. სქესის მკონებელი და არმკონე ლეგური ენები 149, II. დალისტნის ენები სქეს-კატეგორიის რიცხვისდა მიხედვით 149—150. § 4. დალისტნის ენების ჯგუფები სქეს-კატეგორიათა რიცხვისდა მიხედვით 150. § 5. ლეგურ ენათა ჯგუფები სქეს-კატეგორიების ბგერითი ნიშნებისდა მიხედვით 151—153. § 6. ლეგურ ენათა ჯგუფები სქეს-კატეგორიათა ნიშნების ადგილმდებარეობისდა მიხედვით 153—154. § 7. შედეგების ზოგადი შეჯამება 154.

თავი მეხამე. სქეს-კატეგორიების საკითხის ხირთულე და დამაფიქრებელი გარემოებანი ე. წ. კავკასიურს ენებში 161—162.

თავი მეოთხე. გრამატიკული სქეს-კატეგორიები ლილღურ-ლეგური ენების დასაწყისითგანი თვისება იყო, თუ არა? 162—165.

თავი მეხუთე. გრამატიკული სქესის საკითხი ძველი ქართ. მთარგმნელებისა და შეცნიერთა ნაშრომებისა და მიხედვით 165—169.

თავი მეექვსე. გრამატ. სქესის ქართულში არსებობის საკითხი თანამედროვე სამეცნიერო მწერლობაში 169—172.

თავი მეშვიდე. გრამ. სქეს-კატეგორიების ქართულში ოდინდელი არსებობის ძიების მნიშვნელობისა და მეთოდისათვის 172.

თავი მერვე. სქესისა და ცნებათა კატეგორიების აღნიშვნის სხვადასხვა წესი ქართულში 173—175.

§ 1. ქართულში ცნებათა კატეგორიების ოდინდელი არსებობის კვალი 173—174. § 2. სქესის აღნიშვნის ორგვარი წესი 174—175.

თავი მეცხრე. ადამიანთა და ცხოველთა შორ. სქესის აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფი 175—180.

თავი მეთხუთე. ადამიანთა და ცხოველთა მღებლობითი სქესის აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფი 181—184.

თავი მეთერთმეტე. უპასაკოთა და ცხოველთა სახელების ჯგუფი 184—190.

§ 1. ადამიანის მცირეწლოვან და უპასაკო შვილთა სახელები 184—186. § 2. სხილფება პირუტყვის შვილების სახელების ჯგუფი 186. § 3. წერილფება პირუტყვის შვილის სახელების ჯგუფი 186—187. § 4. გარეულ ცხოველთა შვილის სახელების ჯგუფი 187—188. § 5. მცირეწლოვან შვილის აღმნიშვნელი სახელების ჯგუფი 188—189. § 6. ცხოველთა წიგადი სახელების ჯგუფი 189. § 7. მცირეწლოვან, უპასაკოთა და პირუტყვთა სახელების საერთო თვისება 189—190.

თავი მეთორმეტე. სქესისა და ნათესაობის გამომხატველი სიტყვების აგებულების ანალიზი და თავდაპირველი მნიშვნელობა 190—215.

§ 1. სიტყვების აგებულების სხვადასხვანაირად დაცულობის გათვალისწინების აუცილებლობა 190. § 2. ვაცისა და ვაცის, ბატისა და ბატის, აგებულებისა და პირველადი მნიშვნელობის ანალიზი 190—192. § 3. ნებისა და ქანური ბიზის აგებულების ანალიზი და ნე-ს და ბი-ს ბუნება 193—195. § 4. ბიჯურისა, ფუკურის, ფეკურის, ნუკურისა და ბურჯურის აგებულება და მათი თავკიდური მარცვლების ბუნება 195—197. § 5. ბაშურისა და ბუნის ეტიმოლოგია და ბა და ბუ მარცვლების ბუნება 198—199. § 6. ვერძისა და ნერძის ეტიმოლოგია, პირველადი მნიშვნელობა და ვე და ნ ბგერების ბუნება 199—205. § 7. ურასი, ურის, ვირასა, ვერანის, ბარას, ბერეს და ბელის პირველადი მნიშვნელობა და ეტიმოლოგია 205—210. § 8. ვაჩინის, ვაჩეს, ვაყისა, ბუჩინას, ფუჩინას და ბუჩინას აგებულება და პირველადი მნიშვნელობა 210—211. § 9. ბაღანის ეტიმოლოგია და ბა-ს თავსართობა 211—212. § 10. ბიჭიკას, ბიჭისა, ბაჭიკის და ბიჭიკის ეტიმოლოგია და პირველადი მნიშვნელობა 212—214. § 11. სქესისა და ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვების აგებულების ანალიზის შედეგი და ზოგადი შეფასება 214—215.

თავი მეცამეტე. თავისი სქეს-კატეგორიისათვის შეუფერებელ თავსართიან სიტყვათა ჯგუფი და ამ შეუფერებლობის მიზეზი 216—220.

§ 1. შეუფერებელი სქეს-კატეგორიის თავსართი, ვითარცა მერმინდელი აღმნიშვნელობისა და ბგერათა შენაცვლების შედეგი 216—217. § 2. სქეს-კატეგორიის თავსართის შეუფერებლობა, ვითარცა გკონომიური და სოციალური ფაქტორების ანარგული 218—220.

წიგნისიჭყვაობა

წინამდებარე გამოკვლევა მეორე წიგნია იმ წიგნთა საწესულად განზრახულისა და დაწერილისაგან, რომელშიც ქართველთა უუძველესი ხანის ენისა და კულტურის მთავარი საკითხები უნდა იყოს განხილულ-გაშუქებული. ამ სამეულის პირველი წიგნი საქართველოს, იმიერ-ამიერ-კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიურ პრობლემებს ეხება. მეორე, წინამდებარე, წიგნის ამოცანას ქართულ-ქართველური და ე. წ. კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების, აგებულებისა და ნათესაობის საკითხის გამორკვევა შეადგენს, აქ, მაშასადამე, პრობლემის ენათმეცნიერული თვალსაზრისით განხილვისა და გადაჭრის ცდაა. მესამე წიგნში ქართველთა და კავკასიელთა უუძველესი ხანის კულტურული ვითარებისა და ისტორიის ზოგადი მონახაზი იქმნება წარმოდგენილი ენისა, ზნეჩვეულებათა ანალიზისა და ნივთიერი კულტურის არქეოლოგიური ძეგლების მარაგის მიხედვით.

თუმცა უკეთესი იყო, რომ ამ სამეულითგან ჯერ პირველი წიგნი გამოქვეყნებულიყო, ხოლო შემდეგ მეორე და მესამე, მაგრამ, რაკი ამ ენათა თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის პრობლემა ყველაზე რთულსა და თანაც ძირითადს ამოცანას წარმოადგენს, სწორედ ამიტომ პირველად მეორე წიგნის დაბეჭდვა ვამჯობინე.

ამ სამი წიგნისათვის დასახული მიზანი „ქართველი ერის ისტორიის“ მესამეს, შევსებულ, გამოცემაზე მუშაობამ წარმოშვა, რათგან ჩემთვის ცხადი შეიქმნა, რომ მართო არსებული ეთნოლოგიური და ენათმეცნიერული წყაროების გამოყენებითა და მხოლოდ ქართულ-ქართველური ენოვანი მასალის ანალიზით ქართველთა სადაურობისა და უძველესი კულტურის საკითხების გამორკვევა და გადაჭრა შეუძლებელია. ამისთვის ე. წ. კავკასიური ერებისა და ენების ეთნოგრაფიული და ლინგვისტიკური მასალების გამოყენება მაინც აუცილებლად საჭიროა. ესოდენ ფართოდ შემოფარგლულ არეზე დამყარებული და ამდენად რთული ამოცანების დამსახველი გამოკვლევა, ცხადია, „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნში ვეღარ დაეტეოდა და ამიტომ ცალკეულ წიგნად, ანდა წიგნებადაც-კი უნდა გამოყოფილიყო.

როდესაც „ქართველი ერის ისტორიის“ I წიგნს ვწერდი, ქართულ ქართველურს ლინგვისტიკურ საკითხებზე მსჯელობის დროს, პროფ. ნ. მარჩის ნაშრომებს და თეორიას ვემყარებოდი, რომელიც მაშინ შეუმცდარად მეჩვენებოდა. I წიგნის მეორე, გაფართოებულს გამოცემაზე მუშაობამ უკვე დამარწმუნა, რომ ქართულის სემურობის თეორიის დასაბუთება არც ისე მტკიცე იყო, როგორც წინათ მეგონა, და არა ერთი ფრიად დამაფიქრებელი გარემოება და მოსაზრება მას მეტად სათუოდა ხდიდა. მაგრამ, რაკი მაშინ არავითარი სხვა თეორია არ არსებობდა, რომ სემურ-იაფეტურობის მაგიერობა გაეწია, ამიტომ, რამდენადაც მეორე გამოცემაშიც იმ დროს გაბატონებული დებულების

ანარეკლი მაინც უნდა ყოფილიყო, იმდენად ნ. მარჩის თეორიის მაშინდელი ვითარება იქ აღბეჭდილია. ჩახედული მკითხველი შეამჩნევს, რომ ზოგიერთი დამაბეჭვებელი გარემოება იქაც უკვე არის აღნიშნული.

პირველი წივნის მესამე გამოცემის შესავსებად ბუშაობა უკვე იმ დროს მომიხდა, როდესაც წინანდელი დებულებების გამეორება უკვე სრულებით შეუძლებელი იყო.

ბუნებრივია, რომ ვითარცა ისტორიკოსი, ჩემს საისტორიო ნაშრომში ენათმეცნიერული საკითხების განხილვის დროს ამ სამეცნიერო დარგის მკვლევართა დაფუძარებოდ, მაგრამ ქართული ენათმეცნიერება ქართული ენის თავდაპირველი ბუნების საკითხს მაშინ არ ეხებოდა, — იქნებ იმიტომ, რომ მისი ბუნება უშუალოდ დროითგანვე მოყოლებული არსებითად ფცვლელად დაცულად მიიჩნედა, — არც მის სხვა ენებთან მონათესავეობაზე აწვდიდა ისტორიკოსს რაიმე დასკვნას. ასეთ პირობებში, ან ქართველი ერის ისტორიის დასაწყისი ხანის განხილვის დროს ზემოაღნიშნული პრობლემების შესახებ მსჯელობაზე უნდა უარი შეთქვა, ან და ამ საკითხების შესწავლას თვით შევდგომოდი. მოფიქრების შემდეგ გადავწყვიტე, რომ სრული დუმილი მართებული არ იქმნებოდა და არსებული წყაროების გამოყენებით უნდა როგორმე ზემოაღნიშნული პრობლემების ცოტაოდნად გაშუქება მაინც შეცადნა. ამ გარემოების გამო და ასეთ პირობებში მომიხდა სამეცნიერო კვლევა-ძიების იმ სფეროში წაბზა, რომელშიც შეჭრას, რაკი იგი ჩემს სპეციალობას არ შეადგენს, ვერიდებოდი.

თავდაპირველად ვფიქრობდი მარტო აბსტრაქტული წყაროების კრიტიკული განხილვით, მოპოებული შედეგის ზოგადი შეფასებითა და საზომადელო ამოცანების გამორკვევით დაგემაყოფილებულიყავი, მაგრამ უკვე ქართულისა და ქართველური, ისევე როგორც ე. წ. კავკასიის ენებზე დაწერილი გამოკვლევების ვულდასპითმა შესწავლამ ბევრი რამის გათვალისწინების საშუალება მომცა; მათი ღირსება-ნაკლიც დამანახა და ისიც გამაგებინა, თუ რატომ გამოდგა უნაყოფო ყოველივე ცდა ქართულ-ქართველური და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის გამოსარკვევად. ცხადი შეიქმნა, რომ ამ უნაყოფოების ერთ მიზეზთაგანს იმ მეთოდოლოგიური პრინციპების გაუთვალისწინებლობაც შეადგენდა, რომელთა გამოყენებით ეს უაღრესად რთული აგებულების ენები უნდა გამოკვლეული ყოფილიყო. იმ საკითხზეც-კი, თუ რა ენოვანი მასალის შესწავლა უფრო იყო მიზანშეწონილი და საჭირო. არაყის არც უმსჯელია და, როგორც ჩანს, არც უფიქრია.

ამ საკითხების ჯერ განხილვამ, ხოლო შემდეგ ასეთი ენოვანი მასალის შესწავლამ ქართული ენის აგებულების ისეთი ოდინდელი თვისება დამანახა, რომლის ქართულში ოდესმე არსებობა აზრადაც-კი არ მოგესვლია. ამ მიმართულებით მუშაობის თანდათანმა გაღრმავებამა და გაფართოებამ დამარწმუნა, რომ თურმე ხშირად სიტყვების ძირები იქ არ გვეგვლულებოდა, სადაც ნამდვილად ყოფილა, სიტყვათა და ფორმათა მაწარმოებლებადაც, ფორმანტებად, ზოგჯერ ძირის უცნობი ნაწილი გვექონია მიჩნეული და ვერ ვხედავდით მაწარმოებელს, ფორმანტს, იქ, სადაც იგი თურმე ნამდვილად საძებნელია. ასეთივე გარემოება გამოირკვა ჩრდილო-კავკასიის იმ ენებშიც, რომელთაც, ქართულისა და

ქართველურის მსგავსად, გრამატიკული სქესი არა აქვთ. ცხადი ხდებოდა, რომ მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ქართულისაცა და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება ძალზე შეცვლილა.

მუშაობის ასეთმა მოულოდნელმა შედეგმა იმედი მომცა, რომ ამ სფეროში და ამ მეთოდოლოგიური საშუალებით კვლევა-ძიება ამოცნა არ უნდა ყოფილიყო. გადავწყვიტე, რომ ამის შემდეგ დაწყებული საქმის მიტოვება უკვე აღარ შეიძლებოდა, არამედ პირიქით მისი წინანდელზე უფრო ენერგიულად გაგრძელება და უფრო მეტად გაღრმავება-გაფართოვება იყო საჭირო. მართლაც, მუშაობის გაგრძელებისთანავე, რაც უფრო წინ მიდიოდა კვლევა-ძიება და ახალ-ახალი გარემოება შელაგნდებოდა, დასაწყისში მოპოებულ დაკვირვებათა და დასკვნების სისწორე სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა და ქართული და კავკასიური ენების ოდინდელი თვისების არსებობა მეტყველების სხვა ნაწილების შესწავლა-ანალიზის გზითაც დადასტურდა. ამის შემდეგ რიცხვითი სახელებისა და ნაცვალსახელების აღნაგობაც, შემადგენელი ნაწილების რაობაცა და თავდაპირველი მნიშვნელობაც სულ სხვაგვარად წარმოგვიდგა, ვიდრე წინათ იყო მიღებული.

კვლევა-ძიების დაწინაურებასთან ერთად თანდათან ირკვეოდა, რომ თავდაპირველად ქართველური და ე. წ. კავკასიური ენები ერთიანი იყვნენ ბუნებისა და უმჭიდროვსად მონათესავე ენები ყოფილა და რომ მხოლოდ შემდეგში, სხვადასხვა მიზეზის გამო დროთა განმავლობაში დაპშორებიან ერთმანერთს და სამხუთ დიდ მთავარ ენათა ჯგუფად ქცეულან.

რასაკვირველია, ყველა ამის შემდგომ ცხადი უნდა გამხდარიყო, რომ ყველა საკითხები და წინანდელი ჩვენი დებულებები უნდა ხელახლად გადაინჯული და ამ ახალი მიმართულებითა და მეთოდებით გულდასმით კვლავ შესწავლილი ყოფილიყო.

ძველი და საშუალო საუკუნეების ბერძნული, რომაული, ქართული, სომხური, არაბული და სხვ. წყაროების მიხედვით პარალელურად წარმოებულმა ისტორიულ-გეოგრაფიულისა და ეთნოლოგიური პრობლემების კრიტიკულმა განხილვამაც საშუალება მოგვცა ენათმეცნიერული გზით მოპოებული დასკვნების სისწორე შევფიქროვებინა. ამ მუშაობის დროსაც ბევრი ახალი საგულისხმო გარემოება გამოვლავნდა.

დასასრულ, ქართველური და შარომატული (სარმატული), ანუ ჩრდილო-კავკასიური ენების თავდაპირველი აგებულების მთავარი დამახასიათებელი თვისებების გამოკვლევის შემდგომ, მათი ლექსიკური საგანძურის ამავე მეთოდებით წარმოებულმა ცალ-ცალკეულმა და შედარებითმა შესწავლამაც დამარწმუნა, რომ ამ გზით შესაძლებელია მეცნიერებას ამ ტომებისა და ერების უძველესი ხანის ნივთიერი კულტურისა და მსოფლმხედველობის სხვადასხვა მხარე გადაეშალოს თვალ წინ და არა ერთხელ სრულებით ახალი და ფრიად საგულისხმო ფაქტებიც შეეძინოს. ფართო და მიმზიდველი პერსპექტივები ისახებოდა.

ამის შემდგომ დაწყებული კვლევა-ძიების მთავარი პრობლემების არსებითი ნაწილი შესაძლებელი იყო უკვე თითქოს დამთავრებულად მიმეჩნია, მაგრამ, მოპოვებული ახალი მოულოდნელი დასკვნების სისწორის შესამოწმებლად, გადა-

ვწყვიტე ყველა ძირითადი საკითხები საჯარო მოხსენების საშუალებით სამეცნიერო კამათის საგნად შექცია. ამ მიზნით 1925 წ. საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების ჩვეულებრივს ორ საზოგადო კრებაზე 27 და 28 ივნისს სამ-სამ სააღიანი მოხსენება წაეკითხე. შუჯელობა დამაიმედებელი გამოდგა და შესაძლებელი იყო ჩემი ნაშრომის გამოქვეყნებას შევდგომოდი. მაგრამ მაინც კვლევა-ძიების გაღრმავება-გათართობის მიზნით მუშაობის გაგრძელება ვამჯობინე უკანასკნელ წლამდე, სანამ ბეჭდვა არ დაიწყოს, ამ ნაშრომის შეძლებისდაგვარად შევსებაზე მუშაობა არ შემიწყვეტია. ამნაირად 1923 წ. დაწყებული საქმე მხოლოდ 1937 წ. შემეძლო, ავად, თუ კარგად, დამთავრებულად მიმეჩნია.

ასეთი ხანგრძლივი კვლევა-ძიების შემდგომაც, კარგად შესძის, რომ ამნაირი რთული და პასუხსაგები პრობლემების სრულებით ახალი თვალსაზრისით განხილვისა და დებულებათა წამოყენების დროს, შეკდომებისაგან თავის დაღწევა ძალიან ძნელია. მეცნიერებამ მრავალი მაგალითი იცის, როდესაც არამც თუ თვით ავტორის მიერ შეუმცდარად აღიარებული. არამედ ფართოდ განმტკიცებულა მოძღვრებაც-კი მკდარი გამომდგარა და წინათ ურყევ კემპარტებად მიჩნეული სრულებით უკუგდებული ყოფილა. მით უმეტეს შეკდომებისაგან თავის დაცვა ძნელია ე. წ. კავკასიურ ენათა კვლევა-ძიების სუეროში. სადაც ბაბილონის ენათა აღრევის მსგავსს მოვლენას ზედ უაღრესად გაპართულებელ გარემოებად ტრანსკრიფციათა, ტერმინოლოგიისა და თეორიების აღრევაც ერთვის, რა თქმა უნდა, არაერთი აქ წამოყენებული ცტიზოლოგიის მაგირ სხვა განმარტების წამოყენებაც შეიძლება, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ მოპოებული შედეგის მთავარი ნაწილი, ძირითადი დებულებანი, არ უნდა იყოს მკდარი. მაგრამ, თუნდაც ბედმა მიმტყუნოს და ჩემი ეს მოლოდინი მომავალში არ ვამართლდეს, მაინც ვფიქრობ, რომ მხოლოდ ამ მეთოდოლოგიური გზითა და ამნაირი ენოვანი მასალის ანალიზით არის იმ მრავალ საუკუნოვანი ანოვანის გადაჭრა შესაძლებელი, რომელსაც ე. წ. კავკასიური ენების ბუნებისა და ნათესაობის საკითხი წარმოადგენს: იმედია, მომავალში მაინც, სხვები ამ პირველი კდის ავტორზე უფრო უკეთესად და დამაჯერებლად შესძლებენ ამ პრობლემების გაწუქებას. თუ ჩემი ნაბუშაგარი, რომელსაც ამოღენა დოო და ძალა შევალე, ამ მზრივ მაინც მეცნიერებას სამსახურს გაუწევს, ვსუც გაწუელი შრომასათვის მნეობრივი ჯილდო იქმნებოდა.

წინამდებარე წიგნი, ვითარცა ახალი თვალსაზრისითა და მეთოდების მიხედვით დაწერილი, თანაც ფრიად პასუხსაგები დასკვნების შემცველი, რასაკვირველია, უნდა ისე ყოფილიყო შედგენილი, რომ თითოეული ცალკეული დაკვირებამა და ზოგადი დასკვნებიც, რაც შეიძლება შეტად, ყოფილიყო დასაბუთებული. ამიტომ, ყველა მთავარი პრობლემების განხილვის დროს, ჯერ ცალკეული ენოვანი ერთეულის მასალის ანალიზია ხოლმე მოყვანილი, შემდეგ ენათა ჯგუფების საერთო დამასიათებაა. სულ ბოლოს-კი შედარებითს შესწავლაზე დამყარებული ზოგადი დასკვნაა ხოლმე დართული. სხვანიირად დასაბუთა ამოვანის არც ვადიქრა შეიძლებოდა და, უფვეელია, არც მოპოებული შედეგის მოთხრობას ექმნებოდა სათანადო დამაჯერებელი ძალა. ასეთი გეგმითა და წესით

დაწერილი წიგნი, რასაკვირველია, მეტად სპეციალურ გამოკვლევად და არა-სპეციალისტებისათვის ძნელ წასაკითხ ნაშრომად უნდა ჰცუულიყო, მაგრამ ახალი პრობლემების გადაჭრის პირველი ცდის დროს სხვა გზა მიზანშეწონილი არ აქმნებოდა.

მაინც ისევე, როგორც ამ წიგნში ენათმეცნიერული პრობლემების განხილვა ისტორიული ამოცანების გადასაჭრელად მათი გამორკვევის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი, საფიქრებელია, რომ ამ წიგნის შინაარსი საქართველოს ისტორიის სხვა მკვლევართათვის და განათლებულ მკითხველებისათვისაც უნდა საინტერესო იყოს. ცხადია, რომ არასპეციალისტს იმდენად სპეციალური ხასიათის კვლევა-ძიება არ მიიზიდავს, რამდენადაც საერთო დასკვნებისა და ზოგადი პრობლემების განხილვა. ასეთ მკითხველს შეეძლო სურვილისამებრ პირველი და მეორე კარძს მთლიანად გაცნობის შემდეგ, შესამე კართვან მოყოლებული უკვე მხოლოდ ქართულის შესახებ მსჯელობა გადაეკითხა, ე. წ. კავკასიური ენების შესახებ-კი მათი აღნაგობის ზოგადი დახასიათებისა და ჩართველურ-კავკასიური ენების შედარებითი შესწავლის შემცველი თავების გაცნობა და კმაყოფილებულიყო. თუმცა-კი, ჩემი ღრმა რწმენით, რაკი გამოიჩვენა, რომ ე. წ. კავკასიური ენები ჩვენი წინაპრების მოძვე ტომთა ენები ყოფილა. ყოველი განათლებული ქართველი ვალდებულია ამ ენების და ტომების ისტორია ისევე იცოდეს, როგორც თავის ერისა და ქვეყნის, მაშასადამე, იმდენი მოთმინება და გულმოდკინგობაც უნდა აღმოაჩინდეს, რომ სიძნელეს არ შეუშინდეს და საკითხი საფუძვლიანად შეისწავლოს.

ცხადია, რომ ენათმეცნიერული ამოცანები უწინარესად ამ დარგის მკვლევართათვის დამაჯერებელი საბუთიანობით უნდა იყოს წარმოდგენილი. რამდენადაც წინამდებარე ნაშრომს სწორედ ასეთი მიზანი აქვს დასახული, იგიც ამავე მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს. ამ წიგნის ავტორისათვის, ვითარცა ისტორიკოსისათვის, ეს ძნელად დასაძლევ ამოცანას წარმოადგენდა. ენათმეცნიერული თვალსაზრისით დაწერილს ასეთ გამოკვლევას, რასაკვირველია, უნდა წინ ქართველური და კავკასიური ენების ფონეტიკა ჰქონოდა წაძლოლილი. თავდაპირველად ასეც მქონდა განზრახული და ამისთვის მასალებიც დამზადებული მაქვს, მაგრამ დასაბეჭდავად წიგნის საბოლოოდ დამუშავების წინ, გადავწყვიტე, რომ მხოლოდ ცალკეული დებულებისათვის აუცილებლად საჭირო ფონეტიკური მაგალითების მოყვანით დაკმაყოფილებულიყავი.

ორმა მოსახრებამ მაძულა ამ გადაწყვეტილებას დაედგომ-დი: მეტად მძიმე ტვირთად აწვებოდა ისედაც უფარესად ძნელ წასაკითხ წიგნს, რომ კიდევ ისეთი მშრალი მასალა დართოდა ცალკეულ კარად! მაგრამ მაინც უმთავრესად კვლევა-ძიების პროცესში ახლად გამორკვეულმა შნიშვნელოვანმა პრინციპულმა გარემოებამ გადამადგმევინა ეს ნაბიჯი. რაც უფრო წინ მიდიოდა სიტყვათა ანალიზი და მათი თავდაპირველი აღნაგობის შიგნება ხერხდებოდა, სულ უფრო და უფრო ვრწმუნდებოდი, რომ წინათ წმინდა ფონეტიკურ მოვლენად მისაჩნევი, ბევრ შემთხვევაში ნამდვილად მორფოლოგიური მოვლენის ანარეკლი ყოფილა. თუმცა ეს ერთი შეხედვით თითქოს პარადოქსულს შთაბეჭდილებას აბლენდა, მაგრამ თანდათან დაერწმუნდი, რომ ისევე, როგორც მორფოლოგიის

გასაკვლევად ფონეტიკაა საჭირო, შეუმცდარი ფონეტიკის შექმნაც მორფოლოგიის გაუთვალისწინებლივ შეუძლებელი ყოფილა. ქართველურ-კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების საკითხის გადასაჭრელად-კი უმთავრესი მნიშვნელობა მორფოლოგიური აღნაგობის გამორკვევას აქვს, რომლის მიგნების შემდეგაც ფონეტიკური მოვლენებზე ბევრჯელ სულ სხვანაირად წარმოგვიდგება.

ე. წ. კავკას, ენებზე მუშაობის დროს ყველა წყაროების შოვნა ტფილისში ვერ შეეძელი, ამიტომ წყაროების მიმოხილვა სრული არ არის. მხოლოდ სხვა მკვლევართა დახმარებამ მომცა საშუალება უმთავრესი მაინც ხელთ მქონოდა. ამას გარდა, ვითარცა ისტორიკოსს და არა ენათმეცნიერს, რომელსაც კავკასიურ ენებზე სპეციალურად არ უმუშავებია, ამ ენებზე მომუშავე ჩვენ მკვლევართა შეწუხებაც არაერთხელ მიხდებოდა. მათი კონსულტაცია საშუალებას მაძლევდა წყაროების მცდარი ცნობებიც თავითგან ამეცილებინა და ზოგი ახლითაც მესარგებლა. თითოეული მათგანის დახმარება სათანადო აღგილასაც მაღლობით მაქვს მოხსენებული და აქაც ყველას დიდ მადლობას მოვახსენებ. მეტადრე სამი მკვლევარის, პროფ. ვ. თოფურიძის (ლეკურისათვის), პროფ. არნ ჩიქობავას (ლუნძურისათვის) და პროფ. ს. ჯანაშიას (აბხაზურისა და სინდური ენებისათვის) დახმარებით ვარ დავალებული, რომელთაგან ორ პირველს ჩემთან ერთად კორექტურული ფურცლების თავითგან ბოლომდის გადაკითხვის მიძივე ტვირთიც გაზიარებული აქვს. სამივეს გულწრფელ მხურვალე მადლობას მოვახსენებ. დასასრულ უნდა აღვნიშნო, რომ მეცნ. აკადემიის საქ. ფილიალისა და ენისა, ისტორიის და მატერ. კულტურის აკად. ნ. მარჩის სახელობის ინსტიტუტის პრეზიდიუმებშიც არაფერი დაზოგეს, რომ ამ მეტად ძნელი დასაბეჭდი წიგნის გამოცემა დაეწინაურებინათ, და მათაც, პროფ. ნ. მუსხელიშვილს და ვ. იშვილს, პროფ. სვ. ჯანაშიასა და ვ. მაქავარიანს, რასაკვირველია, გულთოდ მადლობას მოვახსენებ. განსაკუთრებული მადლობა ეკუთვნით ჩემ მხრით ამ წიგნის კორექტორებს: შ. ქუშბურიძეს (1—20 თავახამდე), საქ. მუზ. ისტ. განყოფილების უფროს მეცნ. მუშ. სტ. მენთეშაშვილს (თავითგან ბოლომდე), დოც. ვლ. ფუთურიძეს (მე-20 თავახ. ბოლომდე) და თ. ანდლულაძეს (მე-40-თგან უკანასკნელ თავახამდე), რომელთაგან სტ. მენთეშაშვილს ამ წიგნის ვრცელი საძიებელიც აქვს შედგენილი, ვლ. ფუთურიძეს კი სარჩივი. ყველა მათ, მეტადრე სტ. მენთეშაშვილს და ვ. ფუთურიძეს მხურვალე მადლობას მოვახსენებ. ვერ დავივიწყებ სტამბისა და ასოთამწყობთა ღვაწლსაც, რათგან მათ ასეთი მეტად ძნელი ასაწყობ-დასაბეჭდ მრავალ-შრიფტიანი და ახალი ტრანსკრიფციონი წიგნის გამოცემას თავიანთი მხრით ხელი შეუწყეს, ამიტომ გამომშვებს გ. იაშვანიძეს, საამწყობრო ცეხის უფროსს გ. ოგანეზოვს, სტამბის მეტრანჰავს ბ. მატინიანსა და ასოთამწყობებს: ვ. ესაიაშვილს, დ. ბერიძეს, ა. შიუკაშვილსა და შ. აბუთიძესაც მადლობას ვუძღვნი.

კარი პირველი

ქართულ-ქართველურისა და ე. წ. კავკასიის ენების

შესახები მწერლობის მოკლე მიმოხილვა

ქართულ-ქართველურისა და ე. წ. კავკასიის ენების შესახები მწერლობის მოკლე მიმოხილვა.

კავკასიის მრავალენიანობა უკვე ბერძენ და რომაელ ისტორიკოსებს, გეოგრაფებსა და მეცნიერებს აინტერესებდათ. ზოგიერთ მათგანს, როგორც დაერწმუნდით (იხ. ამ გამოკვლევის I წიგნი), ამ ენებისა და ერების წარმოშობილება-ნათესაობაზე თავიანთი, თუ თავის-დროინდელი თეორიებიც კი აქვთ მოყვანილი. მაგრამ არც ერთი ამ თეორიათაგანი კავკასიელთა ენის შესწავლის შედეგს არ წარმოადგენს.

«ძველი ქართული საისტორიო მწერლობის მიმოხილვა»-ში აღნიშნული მაქვს, რომ კავკასიის მოსახლეობისა და ენათა ნათესაობის საკითხი ძველ ქართ. ისტორიკოსებსა და გეოგრაფ ვახუშტსაც არ გამოჰპარვიათ: თავ-თავიანთი აზრი და თეორიები მათაც ჰქონდათ გამოთქმული, მაგრამ არც მათი მოსაზრებანია ენის თვისების დაკვირვებაზე დამყარებული. კავკასიელთა შესახებ არაბ გეოგრაფებსაც მოეპოებათ ცნობები. მათთვისაც ისევე, როგორც ძველად ბერძნებისა და რომაელებისათვის, კავკასია „ენათა მთას“ წარმოადგენდა და ეს ქვეყანა თავისი მრავალფეროვანობით მათზეც თავბრუდამსხმელ შთაბეჭდილებას ახდენდა. თუნდაც ამის გამო არც მოსალოდნელია, რომ არაბი გეოგრაფების ცნობები კავკასიაში მცხოვრები ერების შესახებ მათ ენათა მსგავსება-განსხვავებაზე ყოფილიყო დამყარებული. როგორც ამ გამოკვლევის I წიგნში აღნიშნული მაქვს, არაბი გეოგრაფების ცნობები მხოლოდ პოლიტიკურად მნიშვნელოვან ერთეულებს ეხება და სხვა არავითარი თვალსაზრისით მათ არ უხელმძღვანელებიათ.

ამ ნაშრომის თავ-თავის ადგილას დაერწმუნდებით, რომ არა ერთი საგულისხმო ენოვანი დაკვირვება თავის ლექსიკონის სხვადასხვა სიტყვის განმარტებაში საბა ორბელიანსაც მოეპოება, მაგრამ მაშინდელი მთლიანი მოძღვრება ქართული ენის აგებულებაზე მაინც არსაღი ჩანს. ცხადია, რომ სხვებზე უწინარეს ქართული ენის ბუნებასა და აგებულებაზე უნდა ძველ ქართ. გამოჩენილ მთარგმნელებსა და მეცნიერ ფილოლოგოსებსა ჰქონოდათ და, როგორც ეფრემ მცირის წერილითგან ჩანს, მათ სცოდნიათ კიდევაც „ზედმიწევნით რაბამობაჲ ბერძენთა და ქართველთა ენებისაჲ“ (იხ. ჩემი: ისტორიის მიზანი, წყაროები და მეთოდები, წიგნი I, 94 და II, 148). შესაძლებელია ქართ. ენის რაბამობის ეს თავიანთი ცოდნა ეფთჳმე მთაწმიდელს, გიორგი მთაწმიდელს, ეფრემ მცირეს, იოანე პეტრიწს, ან რომელსამე მათგანს წერილობითაც ჰქონდათ აღბეჭდილი. ანტონ კათალიკოზს

ვნებითი სახელწმინის ფორმის არსებობისა და მისი ნიშნის აღმომჩენელად სწორედ იოანე პეტრიწი ჰყავს დასახელებული (იხ. ალ. ცაგარელის *О грам. литературе грузинского языка* გვ. 11—12).

ანტონ კათალიკოზს სახელდობრ ნათქვამი აქვს: სახელწმინა „თავით თვისით ვერ შეგუქმს იდეასა გაუსაზღვრებელი ვითარებისა მიმართ თვისისა, გარნა რომელსაცა შინა სიტყუასა მდებარებს ბუნება მისი, განარჩევს მას, არსებითი არს, ანუ უმეშტობითი, შემოკმედებითი, ანუ ვნებითი. ხოლო, თუ სადმე მარტოებს, მაშინ ვნებითი ჯერ არს განრჩევად უკმოახა ამის მიერ, რომელა ვ. რამეთუ ეხე იოანე ფილოსოფოსისაგან კმნული კანონი არს, მაგალითებრ: „კამვად, წერვად, შეწირვად“-ო (ქართ. ღრამატ. § 257, რ. ერისთავის გლ. გვ. 168—169).

პროფ. ალ. ცაგარელს აღნიშნული აქვს, რომ ასეთი წარმოება ხელოვნურადაა შეთხზული, ამიტომ ეს „კანონი“ ქართ. ენის აგებულებას არ შეეფერება. მაგრამ ანტონი კათალიკოზის ზემომოყვანილი ცნობა ცხადყოფს, რომ ქართ. ენის აგებულების ზოგიერთი მოვლენის შესახებ მაინც იოანე ფილოსოფოსს რაღაც ნაშრომი ჰქონია, რომელიც, როგორც ჩანს, ანტონის დროსაც ჯერ კიდევ არსებობდა.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ მომავალში ხელთნაწერების შესწავლამ შესაძლებელია ძველ ქართულ გრამატიკოსთა და მთარგმნელების დაკვირვება აღმოაჩინოს კიდევაც და მაშინ ამ საკითხზე მსჯელობა გაადვილდეს, მაგრამ ჯერჯერობით ზურაბ შანშოვანის 1737 წლისა და ანტონი კათალიკოზის 1753 და 1767 წ. წ.-ზე უწინარესი არც ერთი ქართ. გრამატიკული ნაშრომი აღმოჩენილი არ არის. თვით ის ცალკეული გრამატიკული დაკვირვებანი, რომელნიც უფოთვე და გიორგი მთაწმიდელებს, ეფრემ მცირეს, არსენი იყალთოელს და სხვებსაც სქოლიოებისა, თუ კიდურწერილობის სახით მოეპოვებათ, ჯერ არავის ამოუკრეფია და გამოუქვეყნებია. ამიტომ იმ საგულისხმოდ საკითხის გასათვალისწინებლად, თუ რა თვისებისა და ღირებულებისა იყო ძველ ქართულ მეცნიერთა ქართული და ზერძული ენების რაბამობის ცოდნა, ჯერ თითქმის არავითარი მასალები არ მოგვეპოვება.

ზ. შანშოვანსაც, მეტადრე-კი ანტონ კათალიკოზს არა ერთი საგულისხმო ცალკეული ცნობა და დაკვირვება აქვთ, მაგრამ მათი გრამატიკები მხოლოდ პრაქტიკული მიზნით იყო დაწერილი და ამიტომ ვერც ერთს მათგანს დასახულ მიზანზე მეტს ადამიანი ვერც მოსთხოვს. ანტონს ნათქვამი აქვს: „ღრამატიკაჲ ... არს შემძლებლობა მართლ-უბნობად და წესიერ-წერად და არარაჲ მოყუარება სიბრძნისა იქმნების თვნიერ მართლ-უბნობისა და წესიერ-წერისა“-ო (ღრამატ. 1 და 115, § 153).

ასე ვიწროდ შემოფარგლული მიზნისდა მიუხედავად, ანტონი კათალიკოზის ნიქმა და მეცნიერული დაკვირვების უნარმა ქართ. ენის აგებულების არა ერთი იმ თავისებურების შემჩნევა და პირველად აღნიშვნა შეაძლებინა რომელიც თანამედროვე საენათმეცნიერო მწერლობაშიაც ცნობილია.

ანტონი კათალიკოზის ხელოვნური, სქოლასტიკური ენა და მეტადრე მისი გრამატიკული ტერმინოლოგიის თანამედროვე ტერმინოლოგიისაგან

განსხვავებულობა, მისი ნაშრომის გაგებასა და ჯეროვან შეფასებას მეტად აძნელებს. ანტონი კათალიკოხის ტერმინოლოგიის თანამედროვე შესატყვისობანი რომ გამორკვეული იყოს, მაშინ მისი ნაშრომის შინაარსიც ადვილი გასაგები გახდებოდა და ის ღვაწლიც, რომელიც ქართ. ენის შესწავლაში მას მიუძღვის, უფრო ცხადი შეიქმნებოდა.

ქართული ენის ბუნების შესწავლის ცდას თუმცა ევროპაში პირველად უკვე მე-XVII ს. მიჰყვეს ხელი და ჯერ მარია მაჯიის მიერ ლათინურად შედგენილი, შეცდომებით სავსე, ქართული გრამატიკა 1643-სა და 1670 წ. წ. დაიბეჭდა, ხოლო შემდეგ გამოჩენილმა მეცნიერმა და ფილოსოფოსმა ლაჰ-ნიცმა რომში 1629 წ. გამოცემული შეცდომებითვე სავსე ქართ. ლექსიკონზე დაყრდნობით, 1695 წ., ქართული ენის ბერძნულთან მონათესავეობის აზრი გამოსთქვა, მაგრამ ქართ. ენის ბუნების გამორკვევას უფრო ინტენსიურად მხოლოდ მე-XIX ს. შეუდგნენ.

1873 წ. გამოქვეყნებულ თავის ნაშრომში „გრამატიკულ მწერლობაზე ქართული ენის შესახებ“ („О грамматической литературе грузинского языка“ СПб) ალ. ცაგარელს გამორკვეული აქვს, რომ თვალსაჩინო ნაყოფი არც ამ ცდას გამოუღია. ამის მთავარი მიზეზი ის გარემოება გახლავთ, რომ, თუმცა ამ საგანზე არა ერთი გამოჩენილი და სახელოვანი მეცნიერი მსჯელობდა, მაგრამ საუბედუროდ არც ერთს მათგანს, მარი ბროსსე-ს გარდა, არც ქართული სკოლანია და არც რაიმე წყაროები მოეპოვებოდა ხელთ, რომ ქართული შესწავლა, ამიტომ მათი მსჯელობა შემთხვევითსა და უვარგის მასალაზე იყო დამყარებული.

რაკი ქართული ენის შესწავლის ამ ხანის საკმაოდ ვრცელი მიმოხილვა პროფ. ალ. ცაგარელის ზემოთ დასახელებულ ნაშრომში მოიპოება, ამიტომ აქ საკმარისია მხოლოდ შოკლედ აღინიშნოს, რომ ბროსსე და ბოკპი-ი ქართულს ინდოევროპულ ენად სთვლიდნენ, მაქს მკლლერ-ი თურანულ ენათა ჯგუფის შირეულ, გადაგვარებულ ნათესავად, ხოლო კლაპროთი, პოტტი-ი, ლეფსიუს-ი, ფრ. მკლლერ-ი, ბენფეჟ და შპიგელი ქართულს განმარტოებულ ენად აღიარებდნენ.

უკვე XVIII ს. დამლევს აკად. იოჰ. ანტონ გულდენშტედტ-მა საქართველოში 1772-3 წ. ყოფნისა და მოგზაურობის დროს, ქართული, მეგრული, სვანური და ქანური სიტყვების პატარა შედარებითი ლექსიკონი შეადგინა და თავისი მოგზაურობის აღწერილობას დაურთო (R, II). ამით პირველი ნაბიჯი იქმნა გადადგმული ქართულ-მეგრულ-ქანურ-სვანურის შედარებითი შესწავლისათვის მასალების შესაგროვებლად. ამაზე უფრო მეტი ასეთივე ენობრივი მასალები კლაპროთ-მა კავკასიასა და საქართველოში 1807-1808 წ. მოგზაურობის დროს შეაგროვა და მომცრო შედარებითი ლექსიკონის სახითვე თავის მოგზაურობის აღწერილობის დამატებაში გამოაქვეყნა გერმანულადაც (Anhang zur Reise in Kaukasus und nach Georgien 1812-14) და ფრანგულადაც (V. II). მაგრამ ორივე ეს ნაშრომი, სიტყვების უბრალო ჩანაწერს გარდა, არაფერს შეიცავს.

მხოლოდ 1884 წ. გამოქვეყნდა Dr. G. Rosen-ის შრომა ლაზური, ან ქანური ენის შესახებ „Ueber die Sprache der Lazen“, ორი წლის შემდგომ-კი იმავე ავტორის მეგრული, სვანური და აბხაზურის შესახები ნაშრომიც დაიბეჭდა „Ueber das Mingrelische, Swanische und Abchasische“. თუმცა ამ გერმანელი მეცნიერის ზემოაღნიშნულ პატარა ორ ნაშრომში ავტორის დაკვირვები ალლო და უნარი ცხადად მოჩანს, მაგრამ, როგორც ალ. ცაგარელსა, აქვს აღნიშნული, მისი მასალები მეტად მცირე იყო, რომ პკითხველს რომენის დებულებათა დაჯერება შესძლებოდა (О грам. лит. გვ. 79—82).

სამწუხაროდ, ზემოაღნიშნული მეცნიერების თაოსნობას არავინ, არც ევროპაში, არც საქართველოსა და რუსეთში არ წაუხალისებია და მათ შემდგომ იმავე საკითხებისა და ქართულ-მეგრულ-ქანურ-სვანურის უფრო გულდასმით შესწავლას არავინ შესდგომია.

საქართველოს მეთოდური მეცნიერული შესწავლის მეთაურად უცილობლად უნდა ფრანგი მარი ბროსსე იქმნეს ცნობილი, რომელმაც ჯერ კიდევ საფრანგეთში ყოფნის დროს ქართულის შეთვისება მოახერხა და ქართული ენი გრამატიკისა და საისტორიო ნაშრომის დაწერაცა და გამოქვეყნებაც შესძლო რუს. სამეც. აკადემიისაგან 1836 წ. აკადემიკოსად არჩეულმა ბროსსემ 1837 წ.-ითგან თავის მოღვაწეობა პეტერბურგში განაგრძო. აქ მან თავის გარშემო ადგილობრივი ქართველებიც შემოიკრიბა და მეტად ინტენსიური სამეცნიერო მუშაობაც გააჩინა. მისი მოღვაწეობა მრავალმხრივი იყო: შესაძლებელია ვადაუქარბებელივ ითქვას, რომ ქართული კულტურის ისტორიის თითქმის არც ერთ სფერო არ დარჩენილა, რომლითაც ის ცოტად-თუ-ბევრად დაინტერესებულნი არ ყოფილიყო, მაგრამ მისი მოღვაწეობის მთავარ საზრუნავს მაინც ქართ. საისტორიო და სალიტერატურო წერილობითი ძეგლებისა და ნივთიერი კულტურის შესახები ცნობების შეგროვება-გამოქვეყნება შეადგენდა. ამ მხრივ მისი დამსახურება უდიდესია იმიტომაც, რომ, ამ ძეგლების ქართ. დედნებისა და მათი ფრანგული თარგმანების გამოქვეყნებისა და შესწავლის წყალობით, ერთსა-და-იმანვე დროს დას. ევროპის მეცნიერებს სრული საშუალება მიეცათ ქართული წყაროები გამოეყენებინათ, ქართველებს-კი თავისი ქვეყნის წარსულის ევროპული სამეცნიერო მეთოდებით შესწავლის საუკეთესო მისაბაძი მაგალითი ენახათ. 1847-8 წ. საქართველოსა და კავკასიაში მოგზაურობამ ბროსსეს, უხვი ეპიგრაფიკული და არქეოლოგიური მასალის შეგროვებას გარდა, ადგილობრივ ქართველ მოღვაწეთა შორის არა ერთი გულმოდგინე შეგნებული თანამშრომელიც შესძინა, რომელთაც მისი მოღვაწეობის დიადი მიზნების განხორციელებას ხელი შეუწყეს.

მეცნიერული ქართველთა-მცოდნეობის დარგში მარი ბროსსეს დამსახურება განუზომელია. მისი სახელი, ვითარცა ევროპული მეცნიერების საქართველოში ჩამწერგველის, სამარადისოდ უცვლადი დარჩება, მაგრამ მაინც ბროსსე, თავის ქართ. გრამატიკისდა მიუხედავად, ბუნებითაცა და ცოდნისმოყვარეობის ინტერესითაც, **ენათმეცნიერი არ ყოფილა**. მას უმთავრესად ისტორია და მწერლობა ისევე, როგორც ნივთიერი კულტურის ნაშთები აინტერესებდა. ენის კვლევა-ძიებისათვის ამის გამო ჯეროვანი ყურადღება არ მიუქცევია.

სამწუხარო გარემოებაა, რომ, იკად. ბროსსეს ინტენსიური, გატაცებული მუშაობისდა მიუხედავად, ქართველთამცოდნეობამ ისევე, როგორც სომხთამცოდნეობამ რუს ინტელიგენციაში არაერთი ინტერესი არ გამოიწვია, არც ერთი ამ ენათაგანი არც ერთ რუს მკვლევარს თავისი სამეცნ. მუშაობის საფუძვლად არ გაუხდია. უკვე პროფ. ვ. ბარტჰოლდ-მა აღნიშნა, რომ ეს სამეცნიერო დარგები უნივერსიტეტში მხოლოდ ქართველ და სომეხ მეცნიერთა ხელში იყო (История изучения Востока в Европе и России, გვ. 255).

ქართველთამცოდნეობის ისტორიულ-მწერლობითი მიმართულება ბროსსეს თაოსნობითვე XIX ს. 40-იან წლებში პეტერბურგის უნივერსიტეტში დაარსებულ ქართულისა და სომხურის კათედრაზეც გაბატონდა: პროფ. დ. ჩუბინაშვილის მოღვაწეობაც ამავე დარგებს დასტრიალებდა. ენის შესწავლა, თუ წმინდა პრაქტიკული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად დაწერილ მოკლე ქართ. გრამატიკას არ ჩავთვლით, არც მისი მუშაობის საგანს შეადგენდა.

თვით საქართველოშიც, ბროსსეს გავლენითვე, XIX ს-ში თითქმის განსაკუთრებით ისტორიისა, მხატვრული მწერლობისა და ნაშთების შესწავლით იყვნენ გატაცებული. ენის კვლევა-ძიებას არავინ დაუინტერესებია და, სასწავლო გრამატიკებს გარდა, ამ დარგში ჩვენშიც არაფერი გაკეთებულა.

ქართველთამცოდნეობის წმინდა ხენათმეცნიერო დარგის თაოსნობა პროფ. ალ. ცაგარლის ღვაწლს შეადგენს. უკვე 1872 წ. მან პეტერბურგში ლითოგრაფიულად რუსულად? დაბეჭდილი, თუმცა პატარა, მაგრამ საინტერესოდ განზრახული ერთი შედარებითი გამოკვლევა გამოაქვეყნა, რომელსაც „კავკასიის ენათა იბერიული ჯგუფის შედარებითი მიმოხილვა“ ეწოდება, („Сравнительный обзор морфологии иберийской группы Кавказских языков“).

ერთი წლის შემდეგ, 1873 წ., გამოვიდა მისი დაბეჭდილი ნაშრომი, რომელიც ქართული ენის შესწავლის ვრცელს ისტორიულ-კრიტიკულ მიმოხილვას წარმოადგენს, „О грамматической литературе грузинского языка“ (СПБ) და რომელსაც დღევანდლამდე თავისი პნიშვნელობა შენარჩუნებული აქვს.

1876—1878 წ. მეგრული, ლაზური და სვანური მასალების შეგროვებისა და შესწავლის შემდგომ, 1880 წ. პროფ. ალ. ცაგარელმა დაბეჭდა ორი წიგნი, რომელიც მეგრული ფონეტიკის შესწავლის პირველ მეცნიერულ ცდას წარმოადგენდა. ერთი წიგნი თვით ფონეტიკას შეიცავდა, ერთში კი დღევანდლობრივ ჩაწერილი მეგრული ტექსტები იყო გამოქვეყნებული („Мингрельские этюды: I Мингрельские тексты.—II Опыт фонетики Мингрельского языка“).

იმ დროისათვის ორივე ეს წიგნი ქართველთამცოდნეობისათვის კარგ წვლილს წარმოადგენდა, რომელსაც მეგრულის მორფოლოგიაცა და ლაზურისა და სვანურის ენათმეცნიერული დახასიათებაც უნდა მოჰყოლოდა (Мингрельские этюды II, გვ. II-III, IV და VIII) და უეჭველია სხვების წახალისებაც შეეძლო, რომ ამ გზით ქართულისა და ქართველურის ენათმეცნიერული შესწავლა გაჩაღებულიყო, მაგრამ მოულოდნელად მთელი ეს ასე კარგად დაწყებული საქმე სრულებით უკულმა დატრიალდა. ქართველთა მოძულე რუსიფიკატორმა მოხელეებმა ალ. ცაგარლის ნაშრომი, სრულებით მოულოდნელად, ისედაც დევნილი და დაბეჩავებული ქართული კულტურის საბოლოო განადგურებისათვის გა-

მოიყენეს. ამ ფრიად საგულისხმო ამბის მოთხრობა წინამდებარე ზოგად მიმოხილვაში, რასაკვირველია, შეუძლებელია, მაგრამ მისი გახსენება იმდენად არის აუცილებელი, რამდენადაც ალ. ცავარლისაგან დაწყებული კვლევა-ძიების სრული შეჩერების მიზეზს გვიხსნის. სასწავლო ოლქის მზრუნველის იანოვსკისა და სხვა რუს მოხელეთა წყალობით სამწერლობო ქართულის ენისა და კულტურის დევნა გაჩაღდა. იმავე დროს მეგრულისათვის ქართული დამწერლობის მაგიერ რუსული ანბანის ასოები იქმნა შემოღებული, ვითომცდა მეგრული კულტურის შესაქმნელად. რუსული ანბანის მეგრულისათვის დაკანონების გარემოება იანოვსკისა და მის თანამოაზრეთა ნამდვილ ზრახვასაცა და მიზანსაც საკმაოდ ააშკარავებდა, რომ ამით ვინმე საქართველოში მოტყუებულიყო. საბედნიეროდ მთელი საქმეგრელოს საღმა მოქალაქობრივმა შეგნებამ და შორსგამქვერცთელობამ მეფის მოხელეების მთელი ეს გეგმა ჩაშალა: მოსახლეობის ერთსულოვანი წინააღმდეგობის წყალობით, ეს საქმე სრულებით უნიადაგო გამოდგა. მაგრამ ამ უსიამოვნო ამბით გამოწვეულმა სულიერმა განწყობილებამ ალ. ცავარლისაგან დაწყებული კვლევა-ძიება ხანგრძლივ შეაჩერა. სამწუხაროდ ამის შემდგომ თავისი საენათმეცნიერო მუშაობა თვით პროფ. ალ. ცავარელმაც შესწყვიტა და იმ დროითგან მოყოლებული მეტი ამ დარგში აღარაფერი დაუწერია.

15 წლის განმავლობაში ამ საკითხზე აღარც ერთი ნაშრომი არ გამოქვეყნებულა და შეწყვეტილი მუშაობა მხოლოდ 1895 წ. განახლდა პეტრე ქარაიას წყალობით. მან ალ. ცავარლის ფონეტიკის პირველი ცდის შემავსებელ-შემასწორებელი საყურადღებო გამოკვლევა გამოაქვეყნა, რომელსაც სათაურად უწოდა „მეგრული დიალექტის ნათესაობრივი დამოკიდებულება ქართულთან“ (ეურნ. „მოამბე“-ში 1895 წ. X და XII №-ში და 1896 წ. I და II №-ში დაიბეჭდა).

1895 წ. ქართულის ენათმეცნიერული კვლევაძიების ასპარეზზე მოულოდნელად გამოჩენილი გრაცელი ენათმეცნიერი Hugo Schuchardt ჰუგო შუხარდტიც გამოდის. ამ წელს მან ვენაში გამოაქვეყნა თავისი გამოკვლევა „Über das Georgische“, „ქართულის შესახებ“ და „Über den passiven Charakter des transitivs in den Kaukasischen Sprachen“, რომელიც ვენის მეცნიერებათა აკადემიის უწყებებში იყო მოთავსებული (133, I, 1—91). ხოლო 1896 წ. „Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes“-ში დაიბეჭდა მისივე „ქართული ენათმეცნიერება“ „Karthwelische Sprachwissenschaft“ (იხ. № 10, გვ. 115—128 და 309—322). იმავე წელს შუხარდტიც გამოაქვეყნა ნაკვლევი „ქართული ენა“ „Georgisches—ge“ (იხ. Mélanges Charles de Harlez, 1896 წ., გვ. 278—280) და „ტორო დელ გრეკოს ქართული ხელთნაწერები“ „Georgische Handschriften in Torro del Greco“ (იხ. Beilage zur Allgemeinen Zeitung, Augsburg, München, 1896 წ., 101, 5 და შემდ.). ერთი წლის შემდგომ, 1897 წ., მან გამოქვეყნა მოასწრო თავისი „ქართული ენათმეცნიერების“ „Karthwelische Sprachwissenschaft“-ის გაგრძელებისაცა (იხ. Wiener Zeitschr. f. d. Kunde d. Morgenlandes 1897 წ., № 11, გვ. 167—180) და „ქართველური ენების გეოგრაფიისა და სტატისტიკისათვის“-აც „Zur Geographie und Statistik der Karthwelischen (Südkaucasischen) Sprachen“ რუკითურთ (იხ. Petermanns Geogr. Mitt. 1897 წ.

გვ. 49—59, 80—86, 119—127), რომლის დამახინჯებული რუს. თარგმანი კავკასიის ოლქის მზრუნველის კრებულში იყო დაბეჭდილი (იხ. С М О М П К № 11. 26).

ვითარცა ერთი საუკეთესო ენათმეცნიერთაგანის და მრავალი ენების, მათ შორის ესპანური იბერულია და ბასკურის, მცოდნეს, შუხარდტის ქართულ ენათმეცნიერებაში მონაწილეობა ფრიად სასიხარულო და მნიშვნელოვანი იყო. ყოველ მის ნაშრომში საყურადღებო დაკვირვებაა. მისი მახვილი გონების დამატკიცებელია ხანმეტი ხელთნაწერის ის აღწერილობაც, რომელიც სამწუხაროდ მას თავის დროზე არ გამოუქვეყნებია და დაუმთავრებელი დაპრჩა და მხოლოდ ამ სახით ტფილისის უნივერსიტეტის მოამბეში 1927-28 წ. დაიბეჭდა (VIII წიგნი, გვ. 347—376) „Mitteilungen aus georgischen Handschriften“-ის სათაურით. ესოდენა ინტენსიური მუშაობა ქართული ენათმეცნიერების დარგშიც იმედს აძლევდა ყველას, რომ შუხარდტის მონაწილეობა ქართველთამცოდნეობას ბევრს მნიშვნელოვანს მონაპოვარს შესძენდა და ღრმა კვალს დააჩნევდა, მაგრამ სამწუხაროდ ეს იმედი არ გამართლდა. 1898 წ. შემდგომ შუხარდტის ამ დარგით გატაცებულობა თანდათან სუსტდება: ჯერ იგი სხვათა ნაშრომების რეცენზიებით კმაყოფილდება, 1906 წ. შემდგომ-კი ამასაც აღარ მისდევს. ენათმეცნიერების სფეროში მისი მრავალმხრივი მოღვაწეობა და მრავალი ენის კვლევა-ძიება, როგორც ჩანს, ქართულ-ქართველურზე გაღრმავებული მუშაობის საშუალებას არ აძლევდა. უამისოდ-კი პირველხარისხოვანი ნაშრომის შექმნა და ახალ-ახალი პრობლემების წყურვილის აღძრა შეუძლებელია. ამით უნდა აიხსნებოდეს, რომ შუხარდტი ქართულისა და კავკასიის მცოდნეობის კვლევა-ძიების დარგს ჩამოჰშორდა და მისმა მონაწილეობამ მოსალოდნელი კვალიც ვერ დასტოვა.

ქართ. ენათმეცნიერების მეორე ხანა პროფ. მარჩის მოღვაწეობით იწყება. ამ დარგში მუშაობის ნამდვილი განმაახლებელი სწორედ ის გახლავთ. მაგრამ მისი მოღვაწეობის დასაწყისი უფრო მწერლობის ისტორიისა და ფილოლოგიის სფეროს ეხება. თუმცა მის სამეცნიერო მოღვაწეობას სწორედ ქართული ენის ბუნების შესახები განცხადება მიუძღვის წინ, რომელიც უკვე 1888 წელს იყო გაზეთ „ივერია“-ში გამოქვეყნებული (№ 86) და რომელსაც ეწოდება „ბუნება და თვისება ქართულის ენისა“. მაგრამ თავისი წმინდა ენათმეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნებას იგი მხოლოდ 20 წლის შემდგომ, 1908 წელს შეუდგა. სწორედ ამ დროს დაბეჭდა პროფ. ნ. მარჩმა თავისი „ძველი ქართული ენის გრამატიკის ძირითადი ტაბულები ქართული და ხემური ენების მონათესაობის შესახები წინასწარი უწყებულენბითური“ (Основные Таблицы к грамматике древнегрузинского языка с предварительным сообщением о родстве грузинского языка с семитическими“. Изд. Фак, Восточ. языков вне серии).

პროფ. ნ. მარჩის მოღვაწეობის ის ხანა, რომელიც „ძირითადი ტაბულების“ გამოქვეყნებას უძღვის წინ, თითქმის განსაკუთრებით ფილოლოგიას ეხება. ქართული ისტორიული და მხატვრული მწერლობის ძეგლების გამოცემა იკად. მ. ბროსსესა და პროფ. დ. ჩუბინიშვილის დროს ძირითადად მიჩნეული ხელთნაწერის გადმონაბეჭდვს წარმოადგენდა ხოლმე: არც ხელთნაწერების ურთიერთშორისი დამოკიდებულება და არც გამოსაცემი ტექსტის ენის დაცულო-

ბის სისწორე, გადამწერთაგან წარყვნილობა და მით უმეტეს არც თვით ძველის ენის ფილოლოგიურ-ლინგვისტიკური ანალიზი მაშინ არ სწარმოებდა. ბროსესა და ჩუბინიშვილის გამოცემათა წესი დაკანონდა ქართული და სომხური ტექსტების შემდეგდროინდელ გამომცემლობაშიც. პროფ. ნ. მარჩის დიდ ღვაწლს სწორედ ის შეადგენს, რომ, ქართული და სომხური ტექსტების გამოცემის დროს, პირველად მან შემოიღო გამოსაცემი ძეგლების, როგორც ხელთნაწერების, ისევე თვით ტექსტის ის წინასწარი კრიტიკული ფილოლოგიურ-ლინგვისტიკური მეთოდი, რომელიც ბერძნული და ლათინური ძეგლების გამოცემის დროს დას. ევროპის ფილოლოგიურმა მეცნიერებამ შექმნა და დააკანონა. თავის სამაგალითო ენერგიით, დაუღალავი შრომის უნარითა და აღფრთოვანებული მუშაობის სიფაქიზით, პროფ. ნ. მარჩმა ქართული და სომხური ფილოლოგიის დონე ერთბაშად იმ სიმაღლემდე აიყვანა, რომელზედაც დას. ევროპის თანამედროვე ფილოლოგიაა.

თერთმეტი წლის განმავლობაში პროფ. ნ. მარჩმა ბევრ სხვა წერილსა მუშაოსთან ერთად. შემდეგი დიდი და სამაგალითოდ შესრულებული ნაშრომების გამოქვეყნება შესძლო: 1. იოსებ არიმათიელის „თხრობაჲ აღშენებისათჳს ეკლესიისა, რომელი იგი არს ლუდიას შინა ქალაქსა წდისა, დფლისა ჩნისა მარიაჲ ღთის მშობლისაჲ“ (Иосиф Аримафейский—сказание о построении первой церкви в городе Лидде: Тексты и Разыскания по Армяно-грузинской филологии, книга II, СПб. 1900 წ.) X-XI ს. ს. ხელთნაწერებისა და მიხედვით გამოცემული ქართ. ტექსტი რუს. თარგმანითა და გამოკვლევითურთ.

2. იპოლიტეს „თარგმანებაჲ კებაჲ კებათაჲ“ (Ипполит. Толкование песни песней: TP. წ. III. 1901 წ.) X ს. ხელთნაწერის მიხედვით გამოცემული ქართ. ტექსტი რუს. თარგმანითა და ვრცელი გამოკვლევითურთ.

3. ორი ძველი ქართველი მებოტბე აბდულ-მესია და თამარიანი (Древнегрузинские одописцы (XII в.) I. Певец Давида Строителя. II. Певец Тамары: TP. წიგ. IV, 1902 წ.) ქართული ტექსტი ვრცელი ფილოლოგიური კომენტარებითა და დიდი გამოკვლევითურთ.

4. მვეცთათჳს ხაბისა სიტყუაჲ წიგნთაგან თქუმული წდისა ბასილიტების კოპოსისა კესარელისაჲ (Физиолог. Армяно-грузинский извод. Грузинский и Армянский тексты исследовал, издал и перевел Н. Марр: TP. წიგ. VI, СПб. 1904 წ.) ქართული და სომხ. ტექსტი ვრცელი გამოკვლევითურთ.

5. „ლუაწლნი წმიდათა სამთა მარჩბივთა მოწამეთანი სპევსიპსნი, ელასიპსნი და მელასიპსნი“ ქართული დედანი ორთა კელნაწერთაგან მეათე საუკუნისათა გამოიკვლია. გამოსცა და რუსულად სთარგმნა ნიკო მარჩ-მან (Acta Iberica sanctorum tergeminarum martyrum Speusippi Eleusippi Meleusippi explicuit, edidit et rossice vertit N. Marr: Отдельный оттиск из Запис. Восточ. Отд. Рус. Арх. общ. том XVII, СПб, 1906 წ.).

6. „წარტყუევნაჲ იერუსალჳმისაჲ, თქუმული ნეტარისა სტრატიკი მონაზონისაჲ, რომელი მკვდრ იყო ლაფრასა მამისა ჩუენისა საბაჲსსა“ (A H-

тиох Стратиг. Пленение Иерусалима персами в 614 г. ТР., წიგ. IX, 1909 წ., СПб), ქართ. ტექსტი გამოკვლევით, რუს. თარგმანითა და არაბული ტექსტითურთ.

7. გიორგი მერჩულის „ზრომაჲ და მოღვაწებაჲ ღირსად ცხოვრებისაჲ წმიდისა და ნეტარისა მამისა ჩუენისა გრიგოლიაი არქიმანდრიტისაჲ, ხანძთისა და შატბერდისა აღმაშენებლისაჲ და მის თანა მრავალთა მამათა ნეტართაჲ“ (Георгий Мерчул. Житие св. Григория Хандзтийскаго. Грузинский текст, введение, издание, перевод Н. Марра с дневником поездки в Шавшию и Кларджию: ТР., წიგ. VII, СПб. 1911 წ.), რომელიც ძველი ქართ. საისტორიო მწერლობის ერთი უძვირფასეს ძეგლთაგანის გამოკვლევას, გამოკვლევას, რუს. თარგმანსა და ამ ძეგლის შინაარსის გასაგებად მოწყობილი შავშეთსა და კლარჯეთში ნ. მარრისავე მოგზაურობის ფრიად საინტერესო აღწერილობას შეიცავს.

8. დასასრულ უნდა დასახელებული იყოს პროფ. ნ. მარრის საუცხოვო გამოკვლევა „შოთა რუსთაველის ვეფხისტყაოსნის შესავალისა და დასასრულის ტაქტები. ქართული ტექსტით, რუს. თარგმანით, კომენტარიებითა და გამოკვლევითურთ «ქალის თაყვანისცემა და რაინდობა პოემაში» (Н. Марр. Вступительные и заключительные строфы Витязя в барсевой коже Шоты из Рустава. Груз. текст, рус. перевод и пояснения с этюдом „Культ-женщины и рыцарство в поэме“. ТР., წიგ. XII, СПб. 1910 წ.). ნ. მარრის ეს შუენიერი გამოკვლევა გადაუქარბებელი უნდა „ვეფხისტყაოსნის“ უკვდავი მგოსნის სულიკვეთებისა და მსოფლმხედველობის საუკეთესო გამომვლავნებელად იქმნეს მიჩნეული.

ყველა ზემოდ დასახელებულ თავის ნაშრომებში პროფ. ნ. მარრს მრავალი საგულისხმო დაკვირვება აქვს ძველი ქართული ენის ისტორიისათვის აღნიშნულ-განმარტებული, როგორც ბგერათა შენაცვლებისა და ამა-თუ-იმ მორფოლოგიური მოვლენისა, ისევე ძეგლების ენის სიტყვათა საუნჯის გამოსარკვევად. სწორედ ასეთი მონოგრაფიული შესწავლა უნდა უძღოდეს წინ ყოველი ენის ისტორიულ გრამატიკას და მოსალოდნელი იყო, რომ პროფ. ნ. მარრი თავის წმინდა საენათმეცნიერო მუშაობას შეუდგებოდა კიდევაც და მრავალჯერ დაპირებულ ქართ. გრამატიკას გამოაქვეყნებდა.

მაგრამ მისი შემდეგ-დროინდელი მუშაობის გეზი შეიცვალა. სამწერლობო ქართულის გრამატიკის დამუშავება-გამოქვეყნების მაგიერ. მის უკვე ქანურის, მეგრულის და სვანურის შესწავლის გეგმა ჰხიბლავს. ამ მიზნით ის ჯერ 1910 წ. ქანეთში მიემგზავრება, ხოლო შემდეგ 1911 და 1912 წ. სვანეთშიც. უკვე 1910 წ. ის ქანური ენის გრამატიკის ტექსტებისა და ლექსიკონის გამოქვეყნებას ახერხებს. (Грамматика чанскаго (лазскаго) языка с христоматиею и словарем, СПб, 1910 წ.). საკმაოდ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ლექსიკური მასალისა და ტექსტების შევროვებისა და ქანურის მარჯვე გრამატიკული ანალიზის წყალობით, ეს წიგნი ნ. მარრის საენათმეცნიერო ნაშრომთაგან ერთი საუკეთესოთაგანია.

დროგამოშვებით ნ. მარრი მუშაობდა აგრეთვე ძველ სომხურში შერთულ-შეთვისებულ ქართულ-ქანურ-მეგრული ელემენტების გამოსამვლავნებელა-

დაც. ამ საკითხის გასაშუქებლად 1909—1913 წ. განმავლობაში მას 12 კალკულური პატარა ნაკვლევი აქვს გამოქვეყნებული უმთავრესად ასეთი სათაურით „Яфетические элементы в языках Армении“.

ალსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ, საკუთარი კვლევა-ძიების ინტენსივობასთან ერთად, აკად. ნ. შარრმა თავის თავისა და დასახული საენათმეცნიერო მიზნის გარშემო ახალგაზრდა და ზოგ უკვე ხანში-შესულ მკვლევართა და მომუშავეთა შემოკრებაც შესძლო. ამის წყალობით უკვე 1914 წ. დოც. იოსებ ყიფშიძის მშვენიერი ნაშრომი „მევრული გრამატიკა კრესტომატიითა და ლექსიკონითურთ“ გამოქვეყნდა. (И. Кипшидзе, Грамматика мингрельскаго (иверскаго) языка, хрестоматия и мингрельско-русский словарь). ამ დიდ ნაშრომს წინ უძღოდა იოს. ყიფშიძის მოგზაურობა ბათუმის ოლქში მყოფ კანებს შორის კანურის შესახებ დამატებითი ცნობების შესაკრებად, რის შედეგსაც წარმოადგენს მისი „Дополнительные сведения о чанском языке“ (Матер. по яфет. языкозн. III, 1911 წ. СПб.) და „ბიჭილო ბოზო“. Чанское стихотворение (Изд. Акад. Наук 1911, გვ. 1123—1124). 1913 წ. კიდევ აკ. შანიძე ფშავ-ხევსურეთსა და ხევში იქმნა წარვლენილი მოხვეური, ფშავური და ხევსურული კილოების შესასწავლად.

ამავე დროს ქართული ენის სიტყვათა ხაუნჯის წრული ლექსიკონის შესადგენადც მიმდინარეობდა მუშაობა: 1910 წ. დაიბეჭდა ილია ტყონიას „სიტყვის კონა“ საბა-სულხან ორბელიანისა და დავით ჩუბინიშვილის ლექსიკონებში გამოტოვებული სიტყვები (Мат. яфет. языкозн. I, СПб). 1912 წ. გამოვიდა ვუკ. ბერიძის სიტყვის კონა იმერულ და რაჭულ თქმათა (იმავე გამოც. VI წიგნი).

1913 წ. სანიშნოდ იქმნა გამოცემული „Древнегрузинско-русский словарь к 1-2 главам Евангелия Марка“.

1917 წ. დაიბეჭდა არსენა ვონიანის ორი ნაშრომი: 1. „მეგმარეშ ი ბალახარე ფახელე ხორავ“ (ხეებისა და ბალახების სახელების კრებული), 2. „ლუშნუ ამბვარ ლგლამხუ შუმი ნინშვ. გიმ ი ზნეაარ, არკალ ი ციგინარ, შააარალ ი ლილრალ, ლიმგრალ, ნახვრიელ არსენა ვონიან მესსაშიშ (სვანური ამბები ლაშხურ კილოკავზე: ქვეყანა და ზნეჩვეულებანი, არაკები და ზღაპრები, შაირები და სიმღერები, შელოცვები, შეგროვებული არსენა ვონიანის მესასაშელის მიერ; Мат. яф. языкозн. VIII და IX წიგნი).

1911 წლითგან მოყოლებული აკად. ნ. შარრს თავისი კვლევა-ძიების ხარბიელას შესთანხმებული ხაზღვრებიც უკვე აღარ აკმაყოფილებს. მის მეცნიერულ ცოდნისმოყვარეობას ე. წ. კავკასიის ენების თავ-ხებურობა იპყრობს. მათ შესასწავლად ის ჯერ აბხაზეთში მიემგზავრება. უკვე 1911 წ. ნიკო შარრი ბეჭდავს პატარა ნაკვლევს „ნათესაობის აბხაზური ტერმინების იაფეტური წარმოშობილობა“ (Яфетическое происхождение абхазских терминов родства: Изв. Акад. Наук 1911 წ. გვ. 423—432). 1912 წ. მანვე გამოაქვეყნა თავისი მოძღვრებისადა მიხედვით შეცვლილი პეტრე კარაიას პატარა გამოკვლევა, რომელსაც უწოდა „აბხაზური ენის დამოკიდებულება იაფეტურ ენებისადმი“ (Об отношении абхазского языка к яфетическим: Мат. яф-

языкознания, IV), რომელსაც მოჰყვა თვით ნ. მარჩის ნაშრომი „აბხაზური ენის ურთიერთობის საკითხისათვის იაფეტურ ენათა შორის“ (К вопросу о положении абхазского языка среди яфетических, იქვე, V). 1913 წ. მან გამოაქვეყნა აგრეთვე „აფხაზეთში ლინგვისტიკური მოგზაურობითგან“, რომელშიც ზოგიერთი ეთნოგრაფიული საკითხები იყო გაშუქებული (Из лингвистической поездки в Абхазию (К этнографическим вопросам): Известия Акад. Наук 1913 წ. გვ. 303—334) და რომელსაც აბხაზური ბგერების იაფეტოლოგიური და ქართული შესატყვისობის (I ტაბულაზე) და იაფეტურ ენათა შთამომავლობითი შტოს შემცველი (მე-II ტაბულაზე) დანართიც აქვს.

1914 წ-ითგან აკად. ნ. მარჩი დაღესტნის ენების შესწავლასაც იწყებს და ამით მისი კვლევა-ძიების ახპარეზი უკვე მთელ კავკასიას იპყრობს. ცხადია, რომ, მუშაობის სფეროს ესოდენი გაფართოებისა და გართულების გამო, მისი წინანდელი გეგმა უნდა შეცვლილიყო და ძველი ქართულის გრამატიკის დამთავრებისათვისაც მოკალეობა აღარ ექნებოდა.

რა თქმა უნდა, შესასწავლ და გამოსაკვლევ ენათა სიმრავლეს, თვით საგნის მეტისმეტ სირთულესა და ახალ-ახალი დაკვირვების ნაირნაირობასაც შეუძლებელია გავლენა არ მოეხდინა აკად. მარჩის, როგორც კვლევა-ძიების მეთოდზე, ისევე მის კონცეფციებზე და ძირითად თეორიაზეც. მაგრამ, რაკი მისი ამ ხანის მოღვაწეობის სრული სისწორით შესადასებლად ე. წ. კავკასიელთა-მცოდნეობის მაშინდელი დონესი და მონაპოვარის გათვალისწინებაა აუცილებელი, ამიტომაცა და ჩვენი მიმოხილვისათვისაც ამ საკითხის თავის-თავადი მნიშვნელობის გამო, აკად. მარჩის მოღვაწეობის დახასიათება დროებით უნდა შევწყვიტოთ და კავკასიის ენების შესწავლის ზოგადს ისტორიულ მიმოხილვას უნდა შევუდგეთ.

ე. წ. კავკასიის უმწერლობო ენების შესწავლის პირველ ნაბიჯად უნდა აკად. გვლდენშტედტ-ის მიერ საქართველოსა და კავკასიაში 1771-2 წ. მოგზაურობის დროს შეგროვებული ცნობები და პატარ-პატარა ლექსიკური მასალები იქმნეს მიჩნეული, რომელიც ამ მეცნიერის მოგზაურობის აღწერილობაში იყო მოქცეული: D. Johann Anton Goldenstädt-ის Reisen durch Russland und im Caucasischen Gebürge-ს პირველსა და მეორე ნაწილში. სამწუხაროდ ეს ფრიად საყურადღებო ნაშრომი ავტორის სიკვდილის შემდგომ დაიბეჭდა და ნაწილობრივ უფრო ამით უნდა აიხსნებოდეს ის შეცდომები, რომელიც სიტყვებისა და სახელების ჩანაწერებშია შეპარული. გვლდენშტედტ-ის ცნობები პირველ ნაწილშია მოთავსებული, ლინგვისტიკური მასალები-კი, სიტყვების პატარ-პატარა კრებულების სახით, მეორე ნაწილის ბოლოშია დართული (გვ. 496—552).

ამ დანართისათვის გვლდენშტედტ-ს სათაურად უწოდებია: Wörter-sammlung zur Vergleichung der im Caucasus gangbaren Sprachen“ „კავკასიაში გავრცელებული ენების სიტყვათა შენაკრები შეხადარებლად“. ამ სათაურის ქვეშ მოქცეულია 10 დიდი ენოვანი ერთეულის სიტყვათა კონა. პირველი ადგილი ქართველურ დიალექტებს აქვთ დათმობილი, რომელშიც ქართული, მგერული და სვანური სიტყვებია მოყვანილი. „I. Georgianische Mundarten: Kartvelisch. Mingrelisch. Svanisch“. გვ. 496—504). სულ 290-მდე სიტყვაა აქ მო-

თავსებული, მაგრამ ზოგიერთი სიტყვის მეგრული და ბევრის სვანური შესატყვისობა გამოტოვებულია. ამასთანავე არა ერთი სვანური სიტყვა თავის ადგილას, სათანადო სტრიქონს გასწვრივ არ არის დაბეჭდილი.

მეორე შენაკრები ჩაჩნური ანუ, როგორც გვლდენშტედტი უწოდებდა მიჯეგურის, ჩაჩნური, ლლიღური და წოვური დიალექტების სიტყვათა კონას წარმოადგენს (2. Mizdschegische Mundarten: Tschetschengisch, Inguschich, Tuschetisch). ამ შენაკრებს გვ. 504—511 უკავია და 264 სიტყვას შეიცავს.

მესამე ადგილი ლეკურისა და მის მონათესავე დიალექტების, ანწუხურისა, ქარულის, ლუნძურისა და დიდოურის სიტყვათა კონას აქვს დათმობილი, 512—519 გვერდზეა მოთავსებული და 275 სიტყვას შეიცავს (3. Lesgische und damit verwandte Mundarten: 1. Von Anzung. 2. Dshar, 3. Chunsag. 4. Dido).

მე-4, მე-5 და მე-6-დ კაზიკუმურის, ანდურის და ბკუშური ენების სიტყვათა კონაა მოყვანილი (4. 5. 6. Sprachen der Kasikumiken, Andi und Akuschia), რომელსაც 520—527 გვ. აქვს დათმობილი და რომელშიც მხოლოდ 267 სიტყვა მოიპოვება.

მე-7 და მე-8-დ ყაბარდოული და აბხაზური, ანუ, როგორც იქ ნათქვამია, აბაზური ენების სიტყვათა კონაა. მას 527—535 გვ. უკავია და სულ 280 სიტყვას შეიცავს.

ყველა ზემოთჩამოთვლილი სიტყვათა კონები ერთი-და-იმეფე გეგმით არის შედგენილი და უკვე ეს გარემოება ამ მასალის ღირსებად უნდა იქმნეს მიჩნეული, რათგან მკვლევარს დაკვირვებისა და ანალიზისათვის, შესადაარებლადაც ერთგვარ მასალას აწვდის. პირველ ორ სიტყვად ყველგან ღმერთი და ბატონია (Gott, Herr), შემდეგ ნაცვალსახელები მისდევს, მერმე მდებარეობის და დროის, კითხვის და უარყოფის სიტყვებია, შემდეგ რიცხვითი სახელებია 1—1000-მდინ, მერმე ადამიანთა ნათესაობისა და სქესის აღმნიშვნელი სიტყვებია, შემდეგ სხეულის 21 ნაწილისა და ანატომიის 9-მდე სიტყვაა აღნიშნული, მერმე შინაური სხვილფეხა და წვრილფეხა, მამალი და დედალი ცხოველების და ფრინველების სახელებია ჩამოთვლილი, შემდეგ შემინდგროების მცენარეულობის და სასოფლო მეურნეობის ნაწარმოების სახელებია, მერმე ქსოვილების, ტანისამოსისა და ფეხსაცმელების სახელები მისდევს, სამეურნეო და საომარი იარაღის სახელებია. შემდეგ ლითონებისა და ნიადაგის სახელებია ჩამოთვლილი, მერმე მეტეოროლოგიური და დროის სახელებია, ადამიანის მდგომარეობისა და გრძობელობის აღმნიშვნელი, ფერებისა, თვისებისა და გემოს გამომხატველი სიტყვები და სულ ბოლოს 15 ზმნაა ხოლმე მოთავსებული.

ზოგადად უნდა ითქვას, რომ გვლდენშტედტის ამ სიტყვათა კონებში არაერთი შეცდომია შეპარული, რომელთაგან ზოგიერთი გამომცემლის ბრალიც უნდა იყოს, მაგრამ ასეთი შეცდომების შესწორება შეიძლება და ამის შემდგომ შესწორებული ცნობების გამოყენებაც, მით უმეტეს, რომ ზოგიერთი სიტყვებისათვის დღევანდლამდე, გვლდენშტედტის ჩანაწერს გარდა, არაფერი მოგვეპოვება.

ამ დაუღალავ მეცნიერს ცნობები ამ ერების ბინადრობის საზღვრებისა და ტომობრივ-ენობრივი დანაწილების შესახებაც შეუკრებია ისევე, როგორც

გამოთქმული აქვს თავისი ზოგადი დასკვნა ამ ენების ურთიერთშორისი დამოკიდებულების შესახებაც.

აკად. გვლდენშტედტის ცნობით, ქართველები აბხაზთა და მათ ქვეყანას აბხაზებსა და აფხაზებს უწოდებდნენ, თვით მკვიდრნი მცხოვრებნიც თავიანთი თავისა და ქვეყნისათვის ამავე სახელებს ხმარობენო. ჩერქეზები-კი თურმე „აბაზა“-ს ეძახდნენ.

იმავე მეცნიერის სიტყვით, მაშინდელი აბხაზეთის მიწაწყალი კავკასიის უღელტეხილსა და მის კალთებზე იყო გადაჭიმული, დახავლეთით შავი ზღვის ხანაპიროზე მისი საზღვარი კაპოეტის ანუ კაპეტის¹ წყლის შესართავამდე და ხვანეთამდე აღწევსო.

მთელი აბხაზეთის მიწაწყალი სამ ნაწილად იყოფება: 1. სამხრეთ-დახავლეთის აბხაზეთი, რომელიც მდ. ყუბანსა და ენგურს შუა იყო მოქცეული და ოთხს თემს, — ჩირპიტ-ს, ჩუჯს, ხაძს და აიბზა-ს (Chirpit, Tschadsch, Sads und Aipga) შეიცავდა. წეს ჩერქეზულად უდრის ხირპს-ყუბჯ-ს და ზამბალ-ს, — წებელდელებს, რომელნიც მდ. კოდორის ხეობაში ბინადრობდნენ, დალის ველზე (ლულაჟე Черкессия 9), — ხაძინ-ს, რომელიც შავი ზღვის ხანაპიროზე მდებარეობდა მდ. ხამგშ-ითგან მოყოლებული გაგრამდე და ჯიქეთად იწოდებოდა (ლულაჟე Черкессия გვ. 9) და აიბზა-ს უბიხთა აღმოსავლეთით მობინადრე მელოჯა-ს ტომის მესამე შტოს (იქვე გვ. 9). ჩერქეზები აბხაზეთის ამ ნაწილს კუშპასიპ-ს ე. ი. მთასიმის უწოდებენო.

2. აბხაზეთის ჩრდილო-დასავლეთის ნაწილი, რომელიც ტუბი-სა, უბუხ-ისა შაფხიხ-ისა ანუ შაფხო-ს აბე-სა და კოკუუ-ის (ანუ ქვემო და ზემო შაფხო-ს) თემებს შეიცავდა, ხუაჯისა, ზახიხა და ყუბანის მდინარეების ტერიტორიაზე, სადაც მოსახლვრედ უკვე ჩერქეზთა სამფლობელოს ქვეყანა ბუანა და ხატუკაი იყო.

ტუბი-ს თემის სახელისდა მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ გვლდენშტედტს აქ უნდა უმთავრესად აბაზებების ტომი ჰყავდეს ნაგულისხმევი, მაგრამ შაფხო-ს სახელი ვგონებ შაფსულების ტერიტორიაზეც მიგვითითებს (შეად. ლულაჟეს Черк. გვ. 6).

3. აბხაზეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, რომელიც, ყაბარდოელ მთავრების XVII ს-ში მდ. თერგზე გადასახლების შემდგომ, აბხაზთა მიერ იქმნა დაკავებული-დასახლებული და ყაბარდოსა და ბესლენს შუა ყუბანის შემდინარეების ინჯიკ-ისა, უახბ-ისა, ანუ არგა-სა და ზემო კუმაზე მდებარეობდა. აბხაზეთის ჩრდილო-დასავლეთის ნაწილის შემადგენელ თემად ყოფილა ყიზილბეკ (=ლულაჟეს Казильбек), ტამ, შეგრაი, ბაროყაჟ (=ლულაჟეს ბარაყაჟ-ს), ანუ ბაღ²) (=ლულ. ნაგ-სა), რომელშიაც 300 ოჯახი მცხოვრები იყო, ბაშილბაჟ, სადაც 1000 მეკომური ითვლებოდა, და ხაბარ-ი³. ამ ნაწილს

¹ თუმცა გვლდენშტედტი ამბობს კაპეტი ანუ კაბუტი (და არა კაპეტი), მაგრამ ქართულად კაპეტის, ან კაპეტის წყალი ერწვა.

² ლულაჟეს ყაბარაკაჟა და „ნაგ“ ორ განსხვავებულ ტომად აქვს აღნიშნული (Черкессия Mat. для истории Черкесского народа, вып. 4. Краснодар 1927 წ. გვ. 9).

³ აღბათ ლულაჟეს ნახიხი-ს უნდა უდრიდეს, თვითა რიცხვის მიხედვით მაინც (იქვე, გვ. 9).

ალთაქესეკ Altekesek ე. ი. ექვსი ნაპერი ეწოდებოდა, რათგან სულ ექვსი საგვარეულო იყო აქ გადმოსახლებულიო (Reisen. I, 465-468).

აკად. გვლდენშტედტს აღნიშნული აქვს, რომ ჩერქეზნი თავიანთ თავს ადიღე-ს (Adigi) უწოდებდენ, თურქები და თათრები-კი მათ ჩირქას-ს ეძახოდენ, ხოლო ქართველებს მათთვის სახელად ჩირქაშინანი ჰქონიათ, დასასრულ ოსები თურმე შაჰაბ-ს უწოდებდენ, რომელიც კონსტანტინე გეისარის დროს (იგულისხმება ალბათ პორფიროგენეტი) გვონებ ჩვეულებრივი სახელი იყოო¹.

აკად. გვლდენშტედტს ჩერქეზთა მიწაწყალად ჩრდილოეთი კავკასია აქვს დასახვლებული, მეტადრე კავკასიონის მთის ძირას მდებარე ხეობანი ვაკეებიითურთ, შავი ზღვისა და ყუბანითგან მოყოლებული აღმოსავლეთისაკენ ხუნჯის (მდ. თერგში) შესართავამდეო.

ამგვარად ჩერქეზთ ყუბანისა, კუმახ და თერგის მიწაწყალი ეკავათ. ამიტომ ჩრდილოეთით (?) მათ მოხაზდვრედ აბხაზნი და ოსები ჰყავდათ, დასავლეთით (?) ქისტებიო (Reisen I 467).

ჩერქეზეთი ორ მთავარ ნაწილად იყოფოდა, დიდ და მცირე ყაბარდოდ, რომელთაც ერთი მეორეხაგან თერგის შემდინარე არგუდან Argudan ჰყოფდა. თერგის ამ შემდინარის სახელი ისე გასაოცრად მიაგავს არღუნს (მეტადრე თუ წარმოვიდგენთ, რომ არგუდან დამახინჯებული არგუნ + დონ-ისაგან არის წარმომდგარი, რომელიც არღუნის წყალსა ჰნიშნავს), მაგრამ ნამდვილად ლულაეს მიერ დიდი და მცირე ყაბარდოს გამსაზღვრელს, თერგის შემდინარეს მალკა-ს (Черк. გვ. 8) უნდა უდრიდეს. დიდი ყაბარდო ამ მდინარის დახვლეთით მდებარეობდა. მცირე-კი აღმოსავლეთით ხუნჯის შესართავამდე.

ჩერქეზეთის უფრო წვრილ ერთეულებს მე-XVIII ს-ში შემდეგი სახელები ჰქმნევია:

1. ბესლენ ყუბანის შემდინარე ულუ ლაბაზე, ანუ დიდ ლაბაზე მდებარე.
2. ტემირგოა (Temirgoi) ყუბანისავე შემდინარე Schagwascha სხაგუაშა-ს მიწაწყალზე მყოფი. ჩერქეზები ტემირგოას თურმე კამშა-ს უწოდებდენ (ლულ. Черк. 8).
3. მამშახ Mamshach იმავე შემდინარეზე გადაკიმული. ეს სახელი ან მახოშ-ის ან მამხელ-ის თემს უდრის, რომელიც, ლულაეს ცნობით, ჩეხურაჯ-ისა, ბელოგიაკ-ისა და შედე-ს ხეობებს შეიცავდა (Черк. 8).
4. აბაზეხ ყუბანის შემდინარე პქასიას (Pschasia) მიწაწყლის შემცველი.
5. ბუედულ Bscheduch ყუბანის შემდინარე ყიზლარკატკენ-ზე.
6. ჰატუკა Hatukei და Bschaner ბშანერ ყუბანისვე შემდინარეებზე ყარაყუბანსა ანუ შაე-ყუბანსა და აპახის (Apachi) წყალზე მდებარე (Reisen I, 469). პირველი უდრის შათყყვაა-სა, რომელიც, ლულაეს ცნობით, სხაგუაშა-სა და ფშიშ-ის მდინარეებს შუა ყოფილა მოთავსებული, მეორე-კი ჟან-ს (Черк. 8).

¹ Die Einwohner nennen sich und Land Adigi, die Türken und Tataren Tscherkas, die Georgianer Tscherkessiani, die Osseten aber Kasach und welches velleicht zu Kaysers Konstantins Zeit die gemeine Benennung war (J. A. Gildenstädt Reisen I, 466).

გვლდენშტედტის სიტყვით, როდესაც ჩერქეზებს თავიანთი მოსახლეობის ადგილი ნიადაგისა, საძოვრისა, წყლის, შეშისა, თუ მეზობლობის რაიმე ნაკლის გამო აღარ მოსწონდათ, თავიანთ სამკვიდრებელს სტოვებდნენ ხოლმე და ახალს, უკეთესს ადგილზე გადადიოდნენ (Reisen I, 469). ეს გარემოება მათი ტომობრივი მოსახლეობის საზღვრების განხილვის დროს უნდა გათვალისწინებული გვექონდეს.

გერმანელ მეცნიერს აბხაზური და ჩერქეზული ენების შესახებაც აქვს თავისი ზოგადი აზრი გამოთქმული¹.

მისი დასკვნით, აბხაზური და ჩერქეზული ერთი დედამიწიდან არიან წარმომდგარი, მაგრამ ისეთ განხვავებულ დიალექტებად იქცენ, რომ მათ შორის ნათესაობას აღამიანი ყველაფერში ვეღარ იპოვიხო. იმავე ავტორს ჩერქეზულის სამი განხვავებული დიალექტი აქვს დასახელებული: სამხრეთ-დასავლური, ჩრდილო-დასავლური და ჩრდილო-აღმოსავლური.

ეროვნულად ჩერქეზები გვლდენშტედტს განხვავებულ ხალხად მიაჩნია და ფიქრობს, რომ აბხაზებს გარდა, არც ერთ სხვა ერთან მათ არავითარი ნათესაობა არ შექონდათ². თუმცა აბხაზები და ჩერქეზები ძირითადად ერთსადაიმავე ენას ლაპარაკობენ, მაგრამ ორივეს იმდენად განხვავებული დიალექტები აქვთ, რომ, თუ არ ხაგანგებო ვარჯიშობით, ერთმანეთის გაგება არ შეუძლიანთ.

ჩაჩნების ზოგად სახელად გვლდენშტედტი, მაშინდელი ქართველების მსგავსად, ქისტსა ჰმარობს და მათ ქვეყანასაც ქისტეთს უწოდებს (Kisti, Kistellen). მაგრამ აღნიშნული აქვს, რომ ანდიელები მათ Mlzdschegis Baturul-ს ეძახდნენ, რაც მიჯეგის ხალხსა ჰნიშნავსო. ამავე სახელს ხმარობენ ქისტებისათვის თათრებიც და მომეტებულად ჩერქეზებიცაო (Reisen I, 477 და 478).

ქისტეთის, ანუ საჩაჩნოს თემების სახელების დაწვრილებით გაგება გერმ. მეცნიერს ვერ მოუხერხებია. მაგრამ ამ ქვეყნის მაშინდელი საზღვრები ზოგადად მიიწვ აღნიშნული აქვს. მისი ცნობით³, საჩაჩნოს ჩრდილოეთით კავკასიის ის მიწა-წყალი ეკუთვნოდა, რომელიც ხუნჯახთან მთავარი ქედისა და წინამდებ-

¹ „Die Abchasetische oder Abhasaische und Tscherkessische Sprache haben eine Mutter-sprache aber so verschiedene Mundarten derselben, dass man die Verwandtschaft nicht überall findet, sondern theils mühsam suchen muss. Meine Sprachproben zeigen dieses. Die Mundarten der südwestlichen, nordwestlichen und nordöstlichen Distrikte sind unter sich auch etwas verschieden“ (J. A. G ü l d e n s t ä d t. Reisen I, 464).

² „Die Tscherkessen sind ein besonderes Volk, welches, so viel man durch Sprache und alle übrigen Umstände findet, ausser seinen Nachbarn den Abhasen mit keinem andern verwand ist. Beyde Völker reden eine Grundsprache, aber in so verschiedenen Dialekten, dass sie sich ohne Übung nicht verstehen“ (J. A. G ü l d e n s t ä d t. Reisen I, 467).

³ Die Provinz... Kistellen... am nordlichen Kaukasus, der um die Sundscha einen beträchtlichen Theil des Hauptgebürges, des Thales zwischen demselben und dem Vorgebürge und des Vorgebürge selbst einnimmt und in Westen die kleine Kaberdcey, in N. den Terok, in O. tatarische und Iesgische und in S. Iesgische und Georgische Distrikte hat (J. A. G ü l d e n s t ä d t. Reisen I, 477).

⁴ ივ. ჯავახიშვილი



პარე შტოების შუა მოქცეულს საკმაოდ დიდ ნაწილს შეიცავდა. დასავლეთით მას უაბარდო, ჩრდილოეთით თერგის, აღმოსავლეთით თათრებისა და ლეკების მიწა-წყალი, ხოლო ხამხრეთით საქართველო ესაზღვრებოდა.

იზიდა მიუხედავად, რომ გვლდენშტედტს ზედმიწევნითი ცნობები საჩიხნოს თემების შესახებ ვერ შეუკრებია, მაინც მის აღწერილობაში ბევრი რამეა საკულისხმო. მას ამ ქვეყნის სულ 18 სანახები აქვს დასახელებული.

1. ინგუშეთი, მცირე უაბარდოს მოსაზღვრე, მალალ მთებში მდებარე, მოზღოვზე დაახლოებით 80 ვერ. სიშორეზე სამხრეთით მყოფი თემი იყო, რომლის მოსახლეობაც უმთავრესად თერგის პატარა შემდინარის კუნბელაჟ-ს (Kundelei) ხეობაში ბინადრობდა. წინათ ისინი თურმე უაბარდოელ და იქსაელ მთავრებს ემორჩილებოდნენ, 1770 წ.-ი რუსეთის მფარველობა მიუღიათ (Reisen I, 480). მდ. კუნბელაჟ უნდა რუს. რუკების კამბალეევკა-ს უდრიდეს, ხოლო შესაძლებელია ენდრე Endre რუს. რუკების ანდერკა-ს Яндарка-ს, რომელიც სუნჯის შემდინარეა.

2. მიჯეგეთი, რომელიც კაჩილიკ-ისა, ანუ ენდრე-სა და აქსაჟ-ს ([Katschilik] Endre und Iachsai) სანახებებისაგან შესდგებოდა. აქაურა მოსახლეობა, რომელიც თავის თავს სწორედ მიჯეგის უწოდებდა, სუნჯისა და აჰაჟ-ს, ანუ აქსაჟ-ს (Apai oder Iachsai) წყლებს შუა მდებარე თემში ბინადრობდა. გერმ. მეცნიერის სიტყვით, იქ სულ 21 სოფელი ყოფილა (Reisen I, 481)¹.

3. ახკინგურტი (Achkingurt), რომელსაც თერგის შემდინარეების სუნჯასა და კუნბელაჟ-ს ხულ ზემო ნაწილი ეკავა (R I, 481).

4. არდახლი ს სანახები, რომელიც სუნჯის ხეობის ზემო ნაწილში (oben am Roshen des Sundscha) მდებარეობდა (იქვე, 481).

5. ვაპი-სა, ოხეთ-ისა და მაყარლ-ისა (Wapi, Osset, Makari) თემები, რომელნიც თერგის ხეობაში თერგსა და კუნბელაჟ-ს შუა იყო თერგის შენაკად-

¹ დოც. გ. მარტიროსიან-ს აღნიშნული აქვს, რომ ინგუშეთის გეოგრაფიული სახელების შართლწერა ჯერ დადგენილი არ არის და ამის გამო სხვადასხვა წყაროებსა და რუკებში ერთიდაიგივე სოფლები სხვადასხვანაირად არის აღნიშნული (Нагорная Ингушетия: Изв. Ингуш. Научно-исслед. Института Краеведения I. Владикавказ, 1928 წ. გვ. 17). იგივე ითქმის საჩიხნოს დანარჩენი თემების გეოგრაფიულ სახელებზეც. ამ გარემოების გამო გვლდენშტედტისგან ჩაწერილ სოფლების სახელებს თანამედროვე შესატყვისობის გამოკრევის მომავლისათვის გადადგმა სჯობია. მაგრამ, რაკი გვლდენშტედტის ნაშრომი ძალიან ძნელი საშოვნელია, მაინც მისი გეოგრაფიული ცნობები აქვე მომყავს ისე, როგორც მის წიგნშია დაბეჭდილი. ენდრესა და აქსაჟ-ს სოფლებზე მას ნათქვამი აქვს: „Die hierher gehörige Dörfer sind: 1. Benedar, 2. Belegular, 3. Zutnagol, 4. Gurdaseral, 5. Elerira, 6. Angetiral, 7. Gendugiral, 8. Dadajiral, 9. Ginasiral, 10. Sandokol, 11. Elmaziral, 12. Tillwol, 13. Akkuaral, 14. Bililot, 15. Kaschgelaie, 16. Kurtschilor, 17. Naurusol, 18. Aliraant, 19. Nuiwe, 20. Ossugur und, 21. Issesu, welches die Russen Goretschl nennen“.

გერმ. მეცნიერია განმარტებით ორივე სახელი. ე. ი. აღგილობრივიცა და რუსულიც იქაური ცხელი წყლებისაგან არის წარმომდგარი ეს სოფელი სუნჯის სანაპიროზე მდებარეობს, ბარაგუნ-ის პეტრეს აბანოს (Peterbad) 20 ვერს. ხ მით, 500 მეკომურა შეიცავს, რომელიც განთქმული მეკობრები და ამიტომ მეტად საზიფათონი არიანო (R. I, 481).

თან მდებარე ისურ სოფელ კიშ-თან (Tschim: იქვე, I, 481). მაყარლ, თუ მაკარლ-ი უნდა რუს. რუკების მდ. მაკალდონ-ს (Макалдон) უდრიდეს.

6. ანგუშტ-ის (Anguscht) სანახები, კუნბელაჲს ხეობის ზემო ნაწილში დიდ ველზე მდებარე (იქვე, I, 481).

7. შალხა-ს (Schalcha) სანახები, რომელსაც რუსები მცირე ანგუშტსაც (Maloi Anguscht) უწოდებდენ. იქ 24 სოფელი ყოფილა (იქვე, I, 481)¹.

8. საჩანო, „ჩეჩენთ“ (Tschetschen) სანახები, რომელიც არლუნის ხეობის ქვემო ნაწილსა და სუნჯის ხეობაში მდებარეობდა. ამ თემის და მოსახლეობის დიდი მნიშვნელობისა და გავლენის გამო ხშირად მთელ ამ ხალხს ჩეჩენგ-ებს (Tschetschengen), ე. ი. ჩაჩნებს უწოდებდნო. ამ სანახების მთავარ ადგილსა და სოფელს, რომელიც არლუნის სანაპიროზე 20 ვერ. შესართავს ზემოთ ყოფილა გაშენებული, ჩეჩენ-ი ჰრქმევია. იმის პირდაპირ მდებარეობდა ასეთივე მოზრდილი სოფელი ჰადჯიაულ (Hadschiaoul). ამას გარდა გერმ. მეცნიერს შემდეგი სოფლები ბქეს დასახელებული: ჯანგეგერტ (Jangeger) სუნჯაზე, ხადჯი-აულ (Gadschi-Aul) არლუნზე, შაკტერი, შარეან, ტაგან, დოგან და ატაგა და სხვა(კაო) (Schakteri, Scharein, Taga, Dokan, Ataga. R. I, 482).

9. ატაჩი-ს (Atachi) სანახები არლუნის ხეობის ზემო ნაწილში იყო და მცირე მოსახლეობას შეიცავდა (იქვე).

10. კულგა-ს ანუ დგანტი-ს სანახები (Kulga oder Dganti) მთებში მდებარე თუშეთის მოხაზდვრე თემი იყო (იქვე).

11. ღალლაჲ-ს სანახები, რომელსაც ქართველები ღალლა-ს უწოდებდნო და სუნჯას შემდინარის ახაჲ-ს ხეობის ხათავე უკავიაო (იქვე).

აქ, ამ თემში, ხაგლაჲს-ის სოფელში (Dorf Saglais) ყოფილა ძველად განთქმული ეკლესია (იქვე).

12. ჯანტი-სა, კაბრილლო-ს და შაბეტ-ის (Dschanti, Tschabrillo und Schabet) სანახებები სუნჯის ხეობაში მდებარეობდა (იქვე).

13. კიშრიკაკერ-ის სანახები (Der Distrikt Tschischrikaker), რომელიც სუნჯის გვერდობზე მდებარეობდა (იქვე).

14. ყარაბულახ-ი, რომელიც თურქული სახელია და შავწყაროს ჰნიშნავს, სუნჯისა და ფორტან-ის ხეობაში იღო. ფორტან-ი, რომელსაც რუსები უკვე იმ დროს მარტან-ს უწოდებდენ, სუნჯის შემდინარეა და სუნჯის მარჯვენა მხრიოვან ერთვის შემილგორ-ის (Schemilgor) წყაროს ქვემოთაო.

ინგუშები და თვით ყარაბულახელი ამ ყარაბულახის თემს თურმე არშტე-ს (Arschte) უწოდებდენ, ჩაჩნები — არიშ ტოჯაჲ-ს (Arisch Tojai), ხოლო ჩერქეზები ამ სანახების სახელად თათრულს ბალხუ-ს (Balsu Honigwasser), ე. ი. თაფლის წყალს უწოდებდნო. ამავე ყარაბულახის, ანუ არშტეს სანახებს სუნჯის მარცხენა მხარეზე, ფარტან-ის ქვემოთ, აშღან-ის (Aschgan) შენაკდთან

¹ ამ სოფლების სახელები: 1. Galga, 2. Tirol, 3. Aka, 4. Bezi, 5. Wuschu, 6. Kircheretseli, 7. Golai, 8. Jalghor, 9. Zorai, 10. Nol, 11. Hoi, 12. Kachkoi, 13. Mestoi, 14. Naschach, 15. Zulai, 16. Meler, 17. Korbi, 18. Machschi, 19. Achsai, 20. Schadgia, 21. Asdar, 22. Cheschchi, 23. Zisdi, 24. Palang (R. I, 481).

მდებარეობდა სამოვრები ვალარეკ და ქალაშ (იქვე, I, 482 — 483). ფარტან-ს ინგუშები, როგორც ეტყობა, ფორტანგ-ს ეძახიან (იხ. ვ. მარტიროსიანის *Нагорная Ингушия: Изв. ингуш. инст. Краевед. I. 15*).

ყარაბულახელი, ანუ არშტელები წინათ თურმე აქსაქელი მთავრების მებეგრენი (Zinsbar) ყოფილან, მაგრამ 1772 წ. რუსებს გადაუბირებიათ და მათთვის მძევალნი ჩამოურთმევიათ (R I, 483).

15. მეხტი-ს სანახები, რომელიც სუნჯის შემდინარის ახსაჲ-ს ხეობაში იყო (იქვე, I, 483).

16. შერეჯი-ს (Meredschi) სანახები, რომელიც მეხტის ქვემოთ მდებარეობდა (იქვე).

17. გალაშკა-ს (Galaschka) სანახები, შემოდსახელებული სანახების ქვემოთ მდებარე.

18. დუბან (Duban), რომელიც გალაშკას თემის ქვემოთ იყო (იქვე, I, 483).

შემდეგ გვლდენშტედტს 25 ადგილისა, თუ ხოვლის სახელი აქვს მოყვანილი. რომელთა ამა თუ იმ თენისადმი მიკუთვნილობა ვერ გამოურკვევია (იქვე, I, 483)¹.

გვლდენშტედტს თავისი წესისათვის არცამ შემთხვევაში უღალატია და ზოგადი დაკვირვება ჩაჩნურ-ქისტური ენის თვისებასა და თავისებურებაზეც აქვს გამოთქმული. გერმ. მეცნიერი ამბობს, რომ, თუმცა ქისტეთ-სანაჩნეთის² სხვადასხვა თემში ძალზე განსხვავებულ კილოკავს დაპარაკობდენ, მაგრამ არამც თუ ყველა მათ საერთო ენისაგან წარმოშობილობა ეტყობათ, არამედ სხვადასხვა თემის მცხოვრებთაც ერთიერთმანეთის ვაგება შეუძლიანთ. მაინც ქისტური, მიჯეგური, თუ ჩაჩნური ენა, როგორც ეს ამ ენის ჩემი ნიმუშებითგანაც ჩანს, არც ერთს კავკასიურსა და საერთოდ არც ერთ ჩემთვის ცნობილ ენას არ ენათესავება, მაშასადამე, სრულებით თავისებურსაო (R I, 478).

გვლდენშტედტის სიტყვით დალისტანს ანუ ლეკეთს³ ქართველები კავკასიონის მთავარი ქედის აღმოსავლეთს შესამულს ნაწილს უწოდებენ. რომ-

¹ აი ეს სახელებიც: Machki, Chamcha, Targem, Azi, Kartul, Zului, Beschtusi, Asik, Tingal, Lalach, Chani, Taseh, Archoi, Salgai, Falchal, Gereh, Malur, Dichairak, Arape, Berech, Kuschi, Kala, Narast, Barchan, Tori (R I, 483).

² „Sprache... wird zwar in verschiedenen, theils stark abweichenden Mundarten geübt, doch kann man bey allen eine gemeinschaftliche Grundsprache nicht verkennen, sondern die Einwohner der verschiedenen Distrikte verstehen sich auch unter einander. Die Kistusche, midschegische oder, wie sie auch von einem der vornehmsten Distrikte sehr gewöhnlich heißt, die tschetschengische Sprache ist übrigens, wie meine Sprachproben zeigen, mit keiner Kaukasischen und überhaupt mit keiner mir bekannten Sprache verwandt, also eine ganz eigene“ (J. A. Guldensädt, Reisen I, 478).

³ „Die Georgiaver nennen diese Provinz, die das östliche Drittel des kaukasischen Hauptgebürges, an der Nordseite, um den Alasan und dessen Flüsse und zu der Südseite an dem Samura und dessen Flüssen einnimmt, Dagistan, auch Lesgistan und deren Bewohner

შელსაც ჩრდილოეთით ალაზნისა და მის შემდინარეების სათავე, სამხრეთით სამური და მისი შემდინარეების აუზი ჰქონდა. ამ ქვეყნის მკვიდრო-კი ლეკებზე უწოდებდნო. ხამხრეთით ლეკეთს საქართველო და სპარსეთის „თავისუფალი ხამფლობელოები“, ე. ი. სახანოები, მსაზღვრავდენ, დასავლეთით ოხები და ქისტები, ხოლო აღმოსავლეთით კასპიის ზღვა და მის ხანაპიროზე მდებარე სპარსეთის ყმადნაფიცი ხახანოები (R I, 484).

გერმ. მეცნიერის სიტყვით, ლეკეთში მას ცნობებისა და ენოვანი მასალების შეკრება გასძნელებია, რათგან, რუსებთან მტრული განწყობილების გამო, ტარჯუს მამხალს არა ჰსურდა მასთან რაიმე საერთო ჰქონოდა. თუმცა დიდი გაჭირვებით, მაგრამ გვლდენშტედტს მაინც საჭირო ამბის გაგება მოუხერხებია.

გერმ. მეცნიერი ამბობს¹, რომ ლეკურ ენას ქართველები მაცტალარო-ს უწოდებდენ. მისი დაკვირვებით, თუმცა დაღისტნის ხხვადახხვა თემებში ძალიან განხხვავებულ დიალექტს ლაპარაკობდენ, მაგრამ, მათი ერთხანობისა, ნათესაობისა და მხგავხი შთამოშავლობისდა მიხედვით, მაინც იქ ხაერთოდ მ ერთვნიული ერთეული ვპოვეო (R I, 485).

აკად. გვლდენშტედტს 1773 წ. დაღისტანში, სახელდობრ, შემდეგი მ ლეკური დიალექტი აქვს დასახელებული: 1. ღუნძები. დაღისტნის, ანუ ლეკეთის პირველი და თითქმის მომეტებულ ნაწილში გავრცელებული კილოკავი ღუნძურია, რომელსაც ქართულად ხუნჯახი ჰქვიაანო (Avar lesgisch, Chunsag georgisch). იგი გავრცელებული ყოფილა კოისუსა და აქსაჰ-ს შუა ერთის მხრით და მეორეს მხრით ჩრდილოეთის ხიპისა (Schiefer) და ცარცის მთას შუა მოქცეულ ტერიტორიაზე. აქ აწუხში (Anzug) მიღებულს დიალექტს (Mundart) ლაპარაკობენ და ავარული სრულებით ცალკე ენა არ არის, როგორც ეს გერბერს (Gerber) ჰგონიაო (R I, 485).

ღუნძური გავრცელებული ყოფილა საკუთრივ ხუნჯახის თემში, სადაც თურმე სულ 43 სოფელი ითვლებოდა: 1. ხუნჯახი, რომელსაც თათრები აუარს, ან დიურად-კი ჰაიბულ-ს ეძახიანო, 2. კირგუტ (Tschirgut), 3. მინატლუ, 4. იხა, 5. ცობოლ (Zobol), 6. ინხო, 7. ტიკარი (Tschikari,) 8. აშილა, 9. ტირკატა (Tschirkata), 10. კირხა, 11. ტანიხხო, 12. ქელადატ, 13. ურთაკოლ, 14. მინალ ინხილარ, 15. ტახადა ინხილარ, 16. კვანბიტლარ, 17. ბოტლიკლარ, 18. ხალტა, 19. კოროტა, 20. დოდობერ, 21. თლისერალ, 22. ჰინერალ,

Lesgi. Das Land gränzt seiner Lage nach südlich mit Georgien und persischen Freystaaten, westlich mit Osseten und Kisten, nordlich mit Kisten und Tartaren und reicht ostlich theils an die Kaspische See, theils an die Küste liegenden, nach Persien gehörigen Freystaaten“ (R I, 483 — 484).

¹ „Die lesgische Sprache, die Georgier Maztalaro nennen... wird aber in verschiedenen Distrikten in gar sehr verschiedener Mundart geredet, deren ich 8 gefunden und nach der Verwandtschaft oder vielmehr einförmig ein und derselben Mundart die Verwandtschaft und den gleichen Ursprung der Völkerväuen, die sie reden, beweise, will ich die verschiedenen Lesgischen Distrikte und was ich von ihnen weiß anführen (J. A. G ü l d e n s t ä d t Reisen I, 485).

23. ხილილარ, რომელნიც კოისუზე მდებარეობენო ქვემოთგან ზევითკენ,
24. აბშის, 25. უნჭელი, 26. ამეკინ, 27. კოლოტვიო, 28. არაკუნე, 29. მუ-
ლიუ, 30. ტოროდა, 31. გოგელტ, 32. გოლოლტ, 33. კუდალი, 34. ქუმა,
35. ნიკიპარ, 36. ბოდუხ, 37. ბოროხთალ, 38. აკაძიკი (Akadziki), 39. ცატა-
ნიხ, 40. ჰობოდა, 41. კაბუდა, 42. გენი, 43. ამუშა. ამ თემში თურმე სულ
1500 ოჯახამდე ითვლებოდა (R I, 485 — 486).

უნწახურად კიდევ შემდეგ თემებში ლაპარაკობენო: კეზერუკ-ის თემში,
სადაც 15 სოფელი ყოფილა, — ჰიდატლე-ს თემში, რომელშიაც 7 სოფელი
ითვლებოდა, — მუკრატლე-ს თემში, სადაც 7 სოფელივე ყოფილა, რომელშიაც
200 ოჯახი ითვლებოდა, — ონსეკულ-ის, ან ანსოკულ-ის 15 სოფლიან თემ-
ში, — კარახლე-ს თემში, სადაც 23 სოფელი და 1100 კომლი ითვლებოდა, —
გუმბელ-ის ანუ ანდიურად მებტელარ-ის თემში, არაკან-ის თემში, ბურ-
ტუშა-ს თემში, რომელშიც კოისუს შემდინარის ტაკარა-ს ხეობაში მდებარე 15
სოფელი ყოფილა, — ანწუბ-ის თემში (Anzug), რომელშიაც ბევრი სოფელი იყო
თურმე (მაგრამ მათგან მხოლოდ 6-ია დასახლებული) და 1500 კომლამდე
ბინადრობდა, — ტებელ-ის 8 სოფლიან თემში, ტუმურგი-ს ანუ ტუმურგა-ს
თემში, სადაც 4 მთავარი სოფელი იყო, — ახტი-ს თემში, რუთულ-ში და
ქარ-ში, სადაც 17 სოფელი და 1500 კომლამდე ითვლებოდა (R I, 486 — 489).

მეორე ლეკურ კილოკავად გვლდენ შტედტს დიდობა და უწაში
გავრცელებული მიაჩნდა, რომელშიაც 1000 კომლამდე ითვლებოდა. ეს ორი
თემი ხამურის სათავესთან მდებარეობდა და აღმოსავლეთით თუშეთი ხაზ-
ღვრავდა, სამხრეთით კახეთი და ჩრდილოეთით ქისტეთის თემი ქარია.

დიდოურ — უწური კილოკავის ხაერთო ლეკურის თვისებები თუმცა
ცხადია, მაგრამ სხვა თემთა მცხოვრებლებისათვის გაუგებარიაო (R I, 490).

მესამე ლეკურ კილოკავს ყაბუჩ-ში მიღებული შეადგენსო, რომლის
მიწა-წყალს სამხრეთით კახეთი ეკვრის და დასავლეთით დიდოეთიო. იქ 1000-
ამდე კომლი ცხოვრობს და მათი კილოკავი დიდოურისაგან ისე განსხვავდება,
რომ ცალკე ენად შეიძლება მიგვეჩნია, მაგრამ, კვლევა-ძიების შემდგომ,
ცხადი ხდება, რომ აქაც ლეკურ კილოკავთან გვაქვს საქმეო (R I, 491).

მეოთხე ლეკური კილოკავი „ანდი“-ს ანუ ყუანალ-ის (Andi oder Kuanal)
თემშია გავრცელებული. მცხოვრები სულ 800 კომლამდე იქნება და ეს კილოკავი
სრულებით განსაკუთრებული ლეკური კილოკავიაო. ამ თემში სულ 12 სო-
ფელი ყოფილა (R I, 492).

მეხუთე ლეკურს კილოკავს აკუშა-ში ლაპარაკობენ, სადაც 1000-მდე
კომლი ითვლებოდა და 29 სოფელი, — კუბეშა-ში, რომელშიაც ამდენივე კომლი
მცხოვრები იყო, — ცუდაკარა-ში, რომელსაც აგრეთვე ცაღოხ-იც ეწოდებოდა
და 2000 კომლი მოსახლე ჰყავდა. ეს კილოკავი დანარჩენ ლეკურისაგან ძა-
ლიან განირჩევას (იქვე, I, 492 — 493).

მეექვსე კილოკავი ლაზღუმუქშია გავრცელებული, რომელიც დიდ თემად
ითვლებოდა და ერთგან 12 და 102 კიდევ სხვა სოფელს შეიცავდა. ეს კილო-
კავი ხაერთო ლეკურისაგან ცოტათი განირჩევას (იქვე, I, 493 — 494).

მეშვიდე ლეკური კილოკავი ბაიდაკ-ისა და თაბასარან-ის, ანუ ყარა ხაიდაკ-ის თემშია გაურცვლებულიო (იქვე, I, 495).

მერვე ლეკური კილოკავი კურელე-ს თემში არის მიღებულიო (იქვე, I, 494 — 495).

გვლდენ შტედტს დალისტნის ლეკური ენების შესახებ თავისი ზოგადი მოხაზრებაჲ აქვს გამოთქმული. ის ამბობს: თუმცა ლეკეთის ხხვადასხვა ხანახებში ხშირად უაღრებად განსხვავებული დიალექტებია, მაგრამ, ამ საენათმეცნიერო ნაკვლეგთა მიხედვით (იგულისხმება ნიშნუები). ყველა მათ შინც ერთი დედაენის ასულებად ვთვლიო¹ (R I, 484 — 485).

იმავე მეცნიერის დასკვნით დალისტნის ლეკური ენა თავისდათავად, არამცთუ კავკასიის ყველა დანარჩენი ენებისაგან, არამედ ყველა ცნობილი ენებისაგანაც-კი ხრულებით განსხვავებულია (R I, 485)².

გვლდენ შტედტის ზემომოყვანილი ცნობებითგანაცა და მეტადრე-კი მისი მსჯელობითგან ჩანს, რომ მას

1. აბზაზური და ჩერქეზული ენების ნათესაობა და ერთი დედაენისაგან წარმომდინარეობა შეუგნია.

2. ქისტურისა, ლლილურისა და ჩაჩნურის უმკადროესი ნათესაობა შეუმჩნევია და სამივე სხვა დიალექტებითურთ ერთ ენად მიუჩნევია.

3. დალისტნის ენათა აღრევისდა მიუხედავად, ირამც თუ ყველა ლეკური ენების ნათესაობის გარემოება არ გამოჰპარვია, არამედ, ზოგადი მსგავსებისდა მიხედვით, მთელი ხავსებობა მ ტომობრივ-ენოვან ერთეულად დაუყვია და თვითთული მათგანი ერთი ძირითადი ლეკური ენის დიალექტად უცვნია.

4. გერმ. მეცნიერის ჩაჩნური და ლეკური ენების ბუნების მთელი თავისებურება ხაზგასმით აქვს აღნიშნული, მაგრამ მათი ურთიერთობის გამორკვევა აზრად არც-კი მოსვლია, მათი ნათესაობაზე აზრიც-კი არ გაშელღებია. ამის გამო ჩაჩნურიცა და ლეკურიც ერთმანეთისაგანაცა და კავკასიის დანარჩენი და სხვა ყველა მისთვის ცნობილი ენებისაგანაც ხრულებით განსხვავებულ და განმარტოებულ ენებად აქვს აღიარებული.

თუ იმ დებულებას გავიხსენებთ, რომლითაც კავკასია მრავალი საუკუნეების განმავლობაში 70-ზე მეტ ენათა ქვეყნად იყო მიჩნეული, იმ დიდ წარმატებას, რომელსაც იმ დროისათვის გვლდენ შტედტის ზემომოყვანილი დაკვირვება და დასკვნა წარმოადგენდა, ადვილად შევამჩნევთ. იმისდა მიუხედავად, რომ ეს გერმ. მეცნიერი განათლებითაცა და სპეციალობითაც ექიმის და ბუნებისმეტყველის იყო, მას, იმდენად საღი დაკვირვების ნიჭი ჰქონდა, რომ მისი მსჯელობა, ჩაჩნურ-ლეკური ენების განმარტოებულობას გარდა, არსებითად საკმაოდ სწორია. თუ ამასთანავე მისი ლექსიკური მასალების გონივრულად, შინა-

¹ „Nach diesen Sprachforschungen besonders habe ich zu Lisgistan alle die bey einander liegende Distrikte, in welchen zwar oft äusserst verschiedene Dialekt, aber doch Töchter einer Mutter geredet werden gezählt.“ (R I, 484 — 485).

² „Die Iesgische Sprache... ist von allen Kaukasischen nicht nur, sondern von allen nur ekannten völlig verschieden“ (R I, 485).

არსისადა მიხედვით, შერჩეულობასა და საკმაო მრავალფეროვანობას, ამას გარდა დიალექტების იმდროინდელი გავრცელების საზღვრების შესახებ მისი ცნობების მნიშვნელობასაც გავითვალისწინებთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ **მისი თანამედროვენიცა და შთამომავლობაც აკად. გვლდენშტედტის მაღლიერი უნდა ყოფილიყვნენ.**

მაგრამ, როგორც შემდეგში თავთავის ადგილას დავრწმუნდებით, მერმინდელი მკვლევარნი გვლდენშტედტს ასე არ მოჰპყრობიან. მას უმთავრესად იმ წუნსა სდებდენ, რომ ლექსიკურ ჩანაწერებში შეცდომები აქვს. თვით გვლდენშტედტი ყოველნაირად ცდილა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, სწორე ცნობები ჰქონოდა. ერთგან ის ამბობს: სიძნელისდა მიუხედავად, მაინც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი ცნობები ქვეყნისა და მოსახლეობის შესახებ, ისევე, როგორც ეხოლენი გაქირვებით შეგროვებული ენის ნიმუშები, შემოძლიან სანდოდ ვცნო (R I, 484)¹.

ვინც ე. წ. კავკასიურ ენების ბგერათა და ჴენების თავისებურება და სირთულე იცის, ის ადვილად დაუჯერებს ამ გერმ. მეცნიერს, რომ მას და მის თანამშრომელს თავისი ჩანაწერებისათვის მართლაც ბევრი მუშაობაც დასჭირდებოდა და ეს საქმეც ძალიან უნდა გასძნელვბოდა, მეტადრე მაშინდელ პირობებში. გვლდენშტედტის სიტყვათა-კონების გულდასმითი განხილვა დაარწმუნებს ადამიანს, რომ კავკასიის ენების ბგერების ჩასაწერად მას ერთგვარი სისტემაც ჰქონია, რომლის ცოდნაც მკვლევარს ჩანაწერის ყოველი სიტყვის თანამედროვე შესატყვისობის მოძებნას გაუადვილებს.

აკად. გვლდენშტედტის ყოველგვარი ცდისდა მიუხედავად, მის ლექსიკურ მასალებში შეცდომები მართლაც შეპარულია. მაგ. შესაძლებელია თუნდაც მამის აბხაზური სახელი იქმნეს მოყვანილი. მისი ჩანაწერით მამავ! აბხაზურად იყო საბა (Saba R II, 529). თანამედროვე აბხაზურში ბაბა-ს ეძახიან (პროფ. ს. ჯანაშიას ჩანაწერით), მამას ჰქვიათ აბა, სადაც პირველი ა ჩვეულებრივი ართრონია. საბა-ს ამგვარად თავში ზედმეტი ს აქვს, რომელიც, უეჭველია, ამ სახელს არ ეკუთვნის, არამედ I პირის ნაცვალსახელის აბხაზური თავსართია. ამიტომ საბა აბხაზურად მამა ჩემო-სა, ანუ აბხაზურში არსებული ადგილმდებარეობა რომ დავიცვათ, ჩემო მამა-ს ჰნიშნავს. მერმე იმის გამო, რომ გვლდენშტედტის ჩაწერილი საბა მამის აბხაზური წოდებითი ბრუნვის წმინდა ფორმა-კი არ არის, არამედ მამა ჩემო-ს ჰნიშნავს, მის ამ ჩანაწერს ყოველგვარი მნიშვნელობა ეკარგება და გამოსადეგი აღარ არის? სრულებითაც არა, პირიქით! გერმ. მეცნიერს რომ უკითხავს, თუ როგორ ითქმის აბხაზურად „მამავ!“, ცხადია, მისთვის უპასუხნიათ საბა. ის გარემოება, რომ „მამა ჩემო“-ს აღმნიშვნელი ფორმა ყოფილა დასახელებული, ცხადყოფს, რომ აბხაზურში ჩვეულებრივი მოსაუბრისათვის მამა ცალკეულად და განუყენებულად-კი არ არსებობდა, არამედ იყო, ან ჩემი მამა, ან შენი მამა, ან მისი მამა და სხვ.

¹ „...glaube ich doch, dass ich meine Nachrichten von Land und Leuten und die so mühsam gesammelten Sprachproben für zuverlässig ausgeben kann“ (R I, 484).

ამგვარად, კუთვნილებითი ნაცვალსახელების ახეთი თავხართები სიტყვასთან იმდენად შეზრდული ყოფილა, რომ საგანგებოდ განუსწავლელ ადამიანს, როგორც ჩანს, მათი ჩამოცილება ფიქრადაც არ მოხდებოდა. ამ და ამის მსგავს გარემოებას კავკასიის ენების სიტყვათა ეტიმოლოგიის ძიების დროს უაღრესი ყურადღება უნდა მიექცეს და ყოველთვის მისი შესაძლებლობა გათვალისწინებული უნდა იყოს.

თუ გვლდენშტედტის ჩანაწერი მკვლევარს ასეთი დაკვირვებისათვის მასალას აწვდის, ვგონებ, ეს უმნიშვნელო წვრილმანი არ უნდა იყოს და ასეთი „შეცდომების“ გამოუყენებლობაც არ შეიძლება. ამ გერმ. მეცნიერის ნაშრომში აღბეჭდილია კავკასიის ენების ლექსაკური მახალა იმ ხანით, როგორც 1772-3 წ. შეეძლო ადამიანს ჩაეწერა, ამ მასალის ხანალიზი და ხათანადოდ გამოყენება-კი მომავალი თაობის მოვალეობას შეადგენდა და, თუ ის ჯეროვანად არ გამოუყენებიათ, ეს იმდენად ჩამწერისა არაა, რამდენადაც მერმინდელ მკვლევართა ბრალია.

გვლდენშტედტს რუსეთში ამ დარგში გამგრძელებელი არაეინ გამოსჩენია და კავკასიასა და საქართველოში სამეცნიერო მიზნით რუს. სამეც. აკადემიის მიერ ისევ გერმანელი მეცნიერივე ადმუნქტი ჰაანრიხ ფულკლაპროთ-ი იყო 1807-8 წ. წარმოვლენილი. 1812—14 წ. გერმანიაში გამოვიდა კიდევაც მის მოგზაურობის დროს შეკრებილი ცნობებისა, ლინგვისტ. მასალების და მისი საქუთარი გამოკვლევის შემცველი ორტომიანი ნაშრომი „Reise in den Kaukasus und nach Georgien“. პარიზის სამეცნიერო აკადემიის წევრად არჩევისა და საფრანგეთში გადასახლების შემდგომ, მან ამ თავისი 2 წიგნის ფრანგული შევსებული გამოცემაც „Voyage au mont Caucase et en Géorgie“ 1823 წ. დაბეჭდა.

ვითარცა ფილოლოგოსი განათლებით და, დასაელურის გარდა, აღმოსაელური ენების მცოდნე, კლაპროთი ამ მუშაობისათვის, რა თქმა უნდა, გვლდენშტედტზე უფრო შესაფერისი იყო. ამის წყალობით მას კავკასიის შესახებ არსებული ძველი და საშუალო საუკუნეების ყველა ცნობილი წყაროები უხვად აქვს გამოყენებული და არა ერთი საგულისხმო მოსახრებაც აქვს გამოთქმული. თავის მიზნად მას გვლდენშტედტისაგან დაწყებული კვლევა-ძიების დამთავრება და კავკასიელთა ხადაურობის ხაკითხის გამორკვევა ჰქონდა დასახული.

რასაკვირველია, კლაპროთის აქაური ენის შესასწავლად მასალების შეგროვებისათვისაც უფრო მეტი ყურადღება ჰქონდა მიქცეული, სახელდობრ, ფრანგ. გამოცემის II ტომის გვ. 291—577-ზე, ანუ მთელი 286 გვერდი, ენებს აქვს დათმობილი.

ძველი და მერმინდელი ისტორიული და გეოგრაფიული ცნობების მიხედვით კლაპროთს აბხაზთა და ჩერქეზთა მოსახლეობის მდებარეობა და დროთი განმავლობაში მომხდარი ცვლილება აქვს გამორკვეული.

საერთოდ ისტორიულ-გეოგრაფიული კვლევა-ძიება მას უფრო ემარჯვებოდა.

კლაპროტი, მისგან მოყვანილი ცნობების თანახმად, აბხაზთა და ჩერქეზთა შესახებ ფიქრობდა, რომ ისინი კავკასიის ძველიძველი მკვიდრნი არიან (Voyage II, 380 და 411).

აბხაზური ენის შესახებ-კი მას აღნიშნული აქვს მხოლოდ: პალლასი გვლდენშტედტის დებულებას, რომ აბხაზური და ჩერქეზული ენები დებად არის მისაჩნვეი, ვადაკარბებულად სთვლიდა, რათგან მისი აზრით ნამდვილად აბხაზურს მხოლოდ ჩერქეზული სიტყვები აქვს შეთვისებული, ძირეულად-კი აბხაზური ჩერქეზულისაგან განსხვავდება (V. II, 417). თავისი საკუთარი აზრი კლაპროტს აქ თუმცა დართული არა აქვს, მაგრამ, როგორც შემდეგითგან ირკვევა, ისიც პალლასის მსჯელობას იზიარებდა.

კლაპროტის სიტყვით, ჩერქეზთა ენა გამოხატქმელად დედამიწის ერთი უძნელეს ენათაგანია და არც ერთ ანბანს მისი ბგერების სრულად გადმოცემა არ ძალუძს. მას ზოგი ბგერა გააჩნია, რომელნიც ენის ისეთი მძაურობით (claquemen) გამოითქმიან, რომ მიბაძვა შეუძლებელია, თანაც ხმოვანთა და დიფთონგების მრავალგვარი მოდიფიკაციაც იცის (une modification excessivement multipliée des voyelles et des diphthongues). ზოგი თანხმოვანი ხორხის ისეთი სიძლიერით გამოითქმება, რომ არც ერთ ევროპელს ასეთი ბგერის გამოღება არ ძალუძს. მე ვეცადე, ეს ბგერები ჩვენი ანბანით, რამდენადაც შეეძლო, კარგად გამოხეხატა და ვფიქრობ, რომ სინამდვილის გადმოცემა გვლდენშტედტზე და რაანეგვს-ზე უკეთესად მოვახერხეო. ამის მიღწევა საჭიროდ მიმაჩნდა მით უმეტეს, რომ ერთი მარცვლის უხწორო გამოთქმა, ან მახვილიც-კი სიტყვას სრულებით სხვა მნიშვნელობას ანიჭებსო (V. II, 381 — 382).

კლაპროტი ამტკიცებს, რომ ჩერქეზთა ენა სხვა კავკასიელთა ენებისაგან ძალიან განსხვავდება, როგორც ლექსიკით, ისევე თავისი ხინტაქსითაც. თანაც იგი ფინური მოდგმის ენებს უახლოვდება, მეტადრე ციმბირის ოსტიაკებისა და ვოგულების ენებსაო. ეს მსგავსება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ ჩერქეზები იმგვარადვე, როგორც ვოგულები და ოსტიაკები, ერთხა და იმავე შტოს ეკუთვნიან, რომელსაც მეტად შორეულ დროს რამდენიმე ტოტად დაიყო, რომელთა ერთ-ერთ ტოტს, როგორც ეტყობა, ჰუნებაც შეადგენდნო (V. II, 380 — 381).

ჩერქეზულისათვის მას რამდენიმე გრამატ. შენიშვნა მოეპოება, რომელშიც ნათქვამია, რომ ბოლოსართი რ ჩერქეზულში ართრონის მაგიერია, რომ ჩერქეზულს გრამატ. სქესი არ გააჩნია, განმარტებულია მრ. რ. ბოლოსართოვანი ხმ ფორმანტით წარმოება, მოყვანილია სიტყვა მამა-ს ჩერქეზული კანკლედომის მხ. და მრ. რიცხვის ყველა ფორმები, შედარებითი და აღმატებულებითი ხარისხების წარმოების წესი, დასასრულ, ერთი ზმნის ჩერქეზული მოქმედებითი და ვნებითი გვარის უღვლილების ყველა ფორმები. ბოლოში 18 ჩერქეზული მოკლე წინადადებაც მოეპოება სიტყვა-სიტყვითი თარგმანითურთ (V. II, 383—388). კლაპროტს ჩერქეზული სიტყვათა-კონაც აქვს (იქვე, II, 390 — 410), რომელიც ფრანგ. ანბანის რიგზე დალაგებული 450-მდე სიტყვას შეიცავს.

აბხაზურისათვის-კი მას არავითარი გრამ. შენიშვნები არ დაურთავს და, 20 აბხაზურ წინადადებას გარდა, რომელსაც სიტყვა-სიტყვითი თარგმანი აქვს ყოველი წინადადების ქვეშე მოყვანილი, სხვა არაფერი მოეპოება (V. II, 418—419). აბხაზური სიტყვათა-კონა იმავე წესრიგით არის შედგენილი, როგორც ჩერქეზული (V. II, 420—436) და 300-ზე მეტ სიტყვას შეიცავს.

ლექების ჩრდილოეთითა და ჩრდილო-დასავლეთით პინადრობენ ტომები, რომელნიც ერთი და იმავე ეროვნების არიან და ერთი და იმავე ენის დიალექტით ლაპარაკობენ, მაგრამ ივით მათ თავიანთთვის საერთო სახელი არ აბადიან, მეზობლები-კი სხვადასხვა სახელს უწოდებენ. კლავროთის სიტყვით „თახორები“, ჩერქეზები და ანდიელნი მათ „მიზჯევი“-ს ეძახდენ¹. ამიტომაც კლავროთს არ მოსწონდა ჩაჩნების ზოგად სახელად გვლდენ-შტედტისაგან შემოღებული „ქისტები“ და მათი ქვეყნის „ქისტეთის“ სახელი, წით უმეტეს, თომ ქისტებს ძარბაღლიანი ჩაჩნების მხოლოდ იმ პატარა ტომს უწოდებენ. რომელიც დურბუკეთის ნაწილს შეადგენდა და რომელსაც კუმბალაას ხეობის ზემო ნაწილი უკავია. ამნაირადვე ამ მეცნიერს რუსთაგან მიღებული „ჩაჩნების“ სახელის ხმარებაც ამ მიზნისათვის შეუფერებლად მიიჩნდა, რაივან ისიც მხოლოდ ერთი ტომის სახელიაო. ქისტისა და ჩაჩნის მაგიერ კლავროთი საუკეთესოდ სწორედ „მიზჯევი“-სა სთვლიდა (V. II, 351—352).

მიზჯევი-ები, კლავროთის სიტყვით, ხამ დიდ ტომად განიყოფებოდნენ. პარველი, დასავლეთით მოზინადრე, ტომი ლალაა, ან შალაა, ინგუშებისაგან შესდგება, რომელნიც თავიანთ თავს „ლამშრ“-ს, ე. ი. მთიულებს უწოდებენო. მათ კუმბალაა-ბა, ხუნჯისა და შალგირის, ანუ ახხაა-ბ აუზის შემადგენელი თემი უკავიათო.

მეორე ტომს ყარაბულაბთა ტომი ჰქვიათ, მაგრამ მათი ხაკუთარი სახელია „არშტა“, რომელსაც მათ აღსანიშნავად ინგუშებიც ხმარობენო. ჩაჩნები მათ „არნიშტოა“-ს უძახიან. მათ უკავიათ მდინარე მარტანის (რომელსაც თითონ „ფართან“-ს უწოდებენ) დიდი ველი და საძოვრები „აშგანის“, „ფალარეკ“-ისა და „ჩალაშ“-ის ხეობაში, რომელთაგან უკანასკნელი სუნჯის შემდინარეა.

მესამე ტომს ჩაჩნები შეადგენენ, რომელნიც ყარაბულაბთაგან მოყოლებული დაქსაა-ამდე ბინადრობენო (Voyage II, 353—354). გვლდენ-შტედტთან შედარებით ახალი აქ არაფერია.

სამწუხაროდ, კლავროთის ნაშრომში ჩაჩნურის არც გრამ. აგებულების შესახებ მოიპოება რაიმე ცნობები და არც სიტყვიერების ნიმუშებია მოყვანილი. ჩაჩნურ სიტყვათა-კონას გარდა, რომელიც 20 ნაბეჭდ გვეოდზეა მოთავსებული (V. II, 356—376), კლავროთს არაფერი გამოუშეტნია. ამისდა მიუხედავად, ჩაჩნების ვინაობაზე მასაც აქვს თავისი საკუთარი აზრი გამოთქმული.

¹ უსლარის ცნობით-კი ამ სახელს ჩაჩნებისათვის უმთავრესად ყუმიყები ხმარობენ. (Ч. Я. გვ. 1 შენ.).

კლავროთის აზრით, ჩაჩნები, ანუ მიზჯეგნი კავკასიის უუძველესი მცხოვრებნი უნდა იყვნენ. ამის საბუთად მას დამოწმებული აქვს „ზოციერთი გარემოება“. რომელიც ნიშანდობლივ დასახელებული არა აქვს, მეტადრეკი ის, რომ ეს ერი საქართველოს ისტორიის შეტად შორეულ ხანაში ჩნდება. იგი აგრეთვე გრაფი პოტოცკისა და პალლასის აბრსაც, იოთქოს ჩაჩნები აღანთა ნაშთი ყოფილიყვნენ, სრულებით უარყოფს (V. II, 352 - 53).

კლავროთს, როგორც დავრწმუნდით, ჩაჩნური, ანუ მიზჯეგური ენის არავითარი გრამატი. ანალიზი, ვინდ მეტყველების ნიშნები მოყვანილი არა აქვს, მაგრამ მაინც აღნიშნული აქვს, რომ, თუმცა მიჯეგთა ენა დანარჩენ კავკასიელთა ვნისაგან განსხვავდება, მაგრამ მას მაინც ლეკურთან და მეტადრე ლუმუქურ-ლეკურთან (ლაში-ლუმუქურთან) და ლუნძურთან (ავარულთან) ემჩნევა მსგავსება. ამას გარდა ჩაჩნურში იხეთი სიტყვებიც მოიპოება, რომელნიც ხამოადურს, ვოგულურსა და ციმბირის სხვა ენებსა და ხლავურსაც-კი ენათესავებაო (V. II, 354).

დალისტინისა და ლეკების შესახებაც გამოყენებული აქვს ძველსა და მერმინდელ წყაროებში გაფანტული ცნობები. მაგრამ მის-დროინდელი დალისტინისა და ლეკურის შესახებ, თავის წინამორბედთან შედარებით, ახალი შეტად ცოტა აქვს. დამახასიათებელია, რომ არც გრამ. შენიშვნები და დაკვირვება და არც მეტყველების ნიშნუები მას მოყვანილი არა აქვს. დართულია მხოლოდ ლეკური ენების (7-ის) სიტყვათა-კონა, რომელიც 44 დაბეჭდილ გვერდს შეიცავს (V. II, 306 - 350).

კლავროთს მაინც ლეკური ენების შესახებ ახალი და ორიგინალური აზრი აქვს გამოთქმული.

თუ აკად. ვლდენშტედტს დალისტანში რვა ენოვანი ერთეული ეკუთვნებოდა, კლავროთის აზრით, იქ ნამდვილად მხოლოდ 4 მთავარი ენოვანი ერთეული იყო (V. II, 294 - 295), რომელნიც ხაერთო სათავითგან უნდა მომდინარეობდენ, მაგრამ დროთა განმავლობაში ერთი ერთმანეთისაგან ხაგრძნობლად განსხვავებულანო. მისი აზრით, დალისტანში გავრცელებულ 4 ენათაგან: ერთი იყო ლუნძური (ავარული), მეორე „ლაშილუმუქური“, მესამე აკუმური და მეოთხე ხამხრეო დალისტინისა (V. II, 295).

ლუნძური (ავარული) ენის გავრცელებულობის ასპარეზი, კლავროთის სატყვიით, ანდიელთა და ყაბუჩელთა შორის იყო მოქცეული და სხვადასხვა ძალზე განსხვავებულ დიალექტებად იყო დაყოფილი. ამ ენის ასპარეზის საზღვარს დახვედრით აქსაა შეადგენს, ჩრდილოეთით აქსაახა, ენდერიახა, ანუ ანდერიახა და ტილბაკის ხამხრეთით წარწილული მთები, აღმოსავლეთით კოახუ და ხამხრეთით ხამურის ხათავემდე შადის, ანუ შადლის მთამდე (V. II, 295 - 296).

სამურის სათავეზე დაღობა და უნჯოს (Ounso) ენათა ასპარეზი „ავარულის“ მოსაზღვრეთა. კლავროთს იგიც, ზოგ ნარევი სიტყვებისდა მიუხედავად, მაინც „ავარულად“ ვიანია (V. II, 296).

დალისტინის მეორე ენა, „ლაშილუმუქური“, რომელსაც სხვადასხვა დიალექტები აქვს, გავრცელებული იყო, კლავროთის ცნობით, ყარა-ყაიტაყსა

და თაბასარანი (Thabasseran), დასავლეთით მას კოახუ ჰსაზღვრავდა, სამხრეთით გურიენი, აღმოსავლეთით თაბასარანი და ჩრდილო დაღისტანი, ჩრდილოეთით-კი ოცენის (Ozen) სათავეები. კასპიის ზღვის სანაპიროს ყაიტალელნი-კი უკვე თურქულს ლაპარაკობენო (V. II, 296).

დაღისტნის მესამე, აკუშური, ენა, კლაპროტის სიტყვით, გავრცელებული იყო კოახუსა, მანასის და ბუამის სათავეებს შორის მდებარე მთებში და გაბატონებულია წუდახარსა და უბიჩში. თუმცა მას დაზი-ლუმუქურთან ბევრი ხაერთო სიტყვები აქვს, მაგრამ სხვაფრივ განსხვავდებაო (V. II, 296).

სამხრეთ დაღისტნის, მტკვრის მიდამოების დაღისტნის გავრცელებული მეოხე ენის შესახებ ყველაზე ნაკლები ვიცი, ამბობს კლაპროტი, და ამიტომ მისი გავრცელების ასპარეზის შემოსაზღვრაც არ შემძლიანო (V. II, 296—297).

როგორც დაგრწმუნდით, კლაპროტს, ჩაჩნურზე მსჯელობის დროს, გამოთქმული ჰქონდა აზრი, რომ ჩაჩნურს ლეკურ ენებთან, მეტადრე ღუნძურთან და ლუმუქურთან, ნათესაობა აქვს, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ ლეკურ სიტყვებს კავკასიის სხვა ენების სიტყვებთან და ჩრდილო აზიის ენებთან, მეტადრე ციმბირის სამოადურს და ფინურ დიალექტებთან, ბევრი დამოკიდებულება ემჩნევაო. ამ დებულების დასამტკიცებლად მას 90-ზე მეტი სიტყვის შემცველი პატარა შედარებითი ლექსიკონი აქვს მოყვანილი (იხ. V. II, 297 — 304).

კლაპროტის ნაშრომის ზოგადი შეფასების დროს უნდა აღინიშნოს, რომ მისი ძალა ძველი ისტორიულ-გეოგრაფიულ ცნობების მარჯვე გამოყენებაში მოჩანს, კარგი და შენაარსიანი ცნობები აქვს მას მაშინდელი საქართველოს აღწერილობაშიც იხვევ, როგორც იმ ქვეყნებისაშიც, რომელიც უნახავს. გაცილებით უფრო სუსტია მასი წიგნის ლინგვისტიკური ნაწილი.

სწორედ უცნაურია, რომ გვლდენშტედტის საქმის დასამთავრებლად და კავკასიელთა ენების სადაურობის გამოსარკვევად წამოსულ კლაპროტს აბზაზურისა, ჩაჩნურისა და დაღისტნის ენების გრამატიკული შესწავლით თავი სრულებით არ შეუწყუბნებია. ჩაჩნურისათვის მას ორ ათეულამდე ისეთი წინადადების ჩაწერაც-კი დაჰზარებია, რომელიც აბზაზურისა და ჩერქეზულისათვის მოეპოვება. მით უფროა ეს გასაოცარი, რომ ის თავისი წინამორბედი გერმ. მეცნიერის აზრს აბზაზურისა და ჩერქეზულის ნათესაობის შესახებ უარპყოფდა და უკანასკნელის ფინურ და ციმბირის ენებთან, მათ შორის ჰენურთანაც-კი, ნათესაობას ამტკიცებდა. სუ თუ ამისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ენის მორფოლოგიას არ უნდა ჰქონოდა? ამის მაგიერ-კი, მთელი მისი საბუთიანობა სიტყვების მსგავსებაზეა მხოლოდ დამყარებული.

კლაპროტის სიტყვათა-კონები გვლდენშტედტისაზე ხაგრძნობლად უფრო მოზრდილებია და ამისათვის იგი, რა თქმა უნდა, მადლობის ღირსი იყო მაშინაც და ეხლაც მის ცნობებს შთლად მნიშვნელობა არ დაუკარგავს, მაგრამ, ვითარცა ესათა ნათესაობის გამომრკვევს და ფილოლოგს, მას სწორედ ენის მორფოლოგიის შესწავლა მოეთხოვებოდა, ამ მხრივ-კი კლაპროტს თითქმის არაფერი ვაუკეთებია.

აღსანიშნავია აგრეთვე ის გარემოება, რომ ბუნებისმეტყველს გვლდენ-შტედტს, აბხაზური და ჩერქეზული ენების ბუნებაზე მსჯელობის დროს, ფილოლოგოს კლავროთზე უფრო მეტი დაკვირვების ალლო აღმოაჩინდა: პირველის დებულება აბხაზურ-ჩერქეზულის ნათესაობაზე არსებითად სწორია, იმ დროს როდესაც მეორის მსჯელობა მცდარია და, საკითხის გამორკვევის მაგიერ, უცილობლად, უფრო მის გზის-აბნეულობასა და დიხლართვას უდრიდა. მაგრამ სამაგიეროდ კლავროთის ხახახლოდ უნდა ითქვას, რომ ჩანური და ლეკური ენების დახასიათებით მან თავის წინამორბედს აჯობა, რათგან კლავროთის დეაწლად უნდა ჩაითვალოს, რომ ჩანური და ლუნძურ — ლუმუქურ — ლეკური ენების მსგავსების გარემოება პირველად მან შეამჩნია და აღნიშნა.

უცნაურია, რომ ვერც კლავროთის ნაშრომშია ჩაუნერგა ვინმეს კავკასიის ენების უფრო საფუძვლიანი შესწავლის წადილა, არაფერი გაკეთებულა ამ დარგში რუსეთშიც, რომელიც, ვითარცა ჩრდილო-კავკასიის მბრძანებელი, ამ ერების ენითა და ზნე-ჩვეულებებით მაინც დაინტერესებული უნდა ყოფილიყო. მხოლოდ 1846 წ. დაიბეჭდა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მოხელის, შთამომავლობით ფრანგის, ლეონტი ლულაეის რუსულ-ჩერქეზული ლექსიკონი, რომელსაც წინ პატარა, 26 დაბეჭდილ გვერდზე მოთავსებული, გრამატიკა უძღვის. თვით ლექსიკონი 244 გვერდს შეიცავს. რუსულ მნიშვნელობას გარდა, ყოველ ჩერქეზულ სიტყვას ფრანგული სიტყვა და განმარტებაც ახლავს.

ჩერქეზთა შორის რამდენიმე წლის განმავლობაში სამსახურში ყოფნის დროს, ლულაემ ეს ქვეყანა, მოსახლეობა, მისი ზნე-ჩვეულებანი და ენაც შეისწავლა. პოლიტიკურმა ცვლილებამ მას ჩერქეზეთში ყოფნა შეაწყვეტინა და ამ გარემოებაში, თვით ლულაესავე სიტყვით, საშუალება არ მისცა, რომ ჩერქეზული სასურველი საფუძვლიანობით შეეთვისებინა. მაგრამ შემდეგშიც ის ყოველნაირად ცდილობდა დანაკლისი შეეგნო. აკად. შრგარენ-ის რჩევით, მან ჩერქეზულ-რუსული ლექსიკონის შედგენას მიჰყო ხელი და რამდენიმე წლის განმავლობაში დაამთავრა კიდევაც.

ჩერქეზული ლექსიკური მახალების ჩახაწერად ლულაემ რუსული ანბანი გამოიყენა იმ მიზნით, რომ ჩერქეზებისათვის რუსულის, ხოლო რუსებისათვის ჩერქეზულის შესწავლა გაეადვილებინა. მაგრამ მიაიგვ სიტყვებითგან ნათელი ხდება, თუ რამდენად ძნელი უნდა იყოს ჩერქეზული ენის რაული და თავისებური ბგერების რუსული დამწერლობით გამოხატვა. უნდა აღინიშნოს კიდევაც, რომ ეს გარემოება მისი ნაშრომის ღირსებისათვის ფრიად საზიანო გამოდგა.

ზოგადად შესაძლებელია ითქვას, რომ მისი მოკლე გრამატიკული დახასიათება ლულაეს სრულ მოუმზადებლობასა და უმწეობას ამუღავნებს: საენათმეცნიერო მუშაობისათვის გამოსადეგი დაკვირვების ალლო მას ნაკლებ ემჩნევა. ამიტომ გასაკვირველიც არაფერია, რომ მისი მსჯელობა აბხაზურისა, ჩერქეზულისა და უბიხურის ურთერთობის შესახებ მცდარია.

ლულაეს სიტყვით, ჩერქეზული, ანუ ადიღეური ენა ხამ დიალექტად იყოფებოდა: ერთი ყაბარდოული იყო, მეორე ბესლენური და მესამე ზოგადი

ჩერქეზული. მისი ლექსიკონი ხწორედ ამ უკანასკნელისათვის ყოფილა შედგენილი (რ.-ჩ. ლექ. გვ. VII).

ამავე ავტორის აზრით, ჩერქეზულს, აბხაზურსა და უბიხურს ერთმანეთთან ვითომც ხაერთო არაფერი მქონდეთ: სულ სხვადასხვა წარმოშობილობისანი არიანო. ლულაეს მტკიცებით, ჩერქეზულსაც კავკასიის არც ერთ ენასთან ვითომც ხაერთო არაფერი აქვს (იხ. რ.-ჩერქ. ლექ. გვ. V შენ. და VIII, — Черкесия, გვ. 11, 14 და 15)¹.

ამგვარად ლ. ლულაემ, არამცთუ პალასისა, კლაპროთისა და პოტოკის მკვდარი დებულება არ უარყო და გვლდენშტედტის დაკვირვების სისწორე არ დაადასტურა, არამედ აბხაზური, ჩერქეზული და უბიხური სრულებით სხვადასხვა წარმოშობილობისა და ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ ენებად აღიარა. გვლდენშტედტთან შედარებით, ცხადია, ეს დიდ რეგრებად უნდა იქმნეს მიჩნეული.

რა თქმა უნდა, არც მისი ლექსიკონია უხადო, მაგრამ, ყოველგვარი ნაკლისდა მიუხედავად, იქ მაინც შედარებით დიდი და საგულდისხმო ლექსიკური მასალაა შეგროვილი და ამ მხრივ თანამედროვე მკვლევარისათვისაც ჯერ მნიშვნელობა არ დაუქარავს.

ფრიალ საინტერესოა ლ. ლულაეს ეთნოგრაფიული წერილები: 1. „Общий взгляд на страны занимаемые черкессами (Адыга), Абхазцами (Азера) и другими смежными с ними горскими народами“.

2. „О Натухажцах, Шапсугах и Абадзехах“, რომელნიც რუს. გეოგრ. საზ. კავკას. განყოფილების IV წიგნში 1857 წ. იყო დაბეჭდილი.

3. „Верование, религиозные обряды и предрассудки у черкесов“ (იქვე: წიგნი V, 1862 წ.).

4. „Учреждения и народные обычаи Шапсугов и Натухажцев“ (იქვე: VII წიგნი, 1866 წ.).

ადილეური ავტონ. ოლქის შემსწავლელმა საზოგადოებამ 1927 წ. ლ. ლულაეს ეს ოთხივე წერილი ცალკე კრებულად გადმობეჭდა და შემდეგი სათაუ-

¹ ...„Черкесский (Адыгский) язык совершенно отличающийся и имеющий отдельный корень от языка Абхазского, ...передал ему... много своих слов“ (რ.-ჩერქ. ლ. VIII)... отдельный народ Убых“)“; შენ.: „Сей последний народ имеет свой особенный язык, несходный ни с языком Адыге, ни с Абхазским“ (იქვე, გვ. V).

„Черкессы, т. е. Адыге и Кабардинцы, говорят языком адыгским; Абхазцы же — абхазским, и оба эти языка не имеют между собою ни малейшего сходства. Дюбуа мог заметить (как он пишет) в абхазском языке несколько производных слов языка черкесского, т. е. адыгейского, но коренных не мог в нем найти“ (Черкесия гв. 11). ... „Племя Убыхов... не принадлежит ни к адыгскому, ни к абхазскому языку. По ученым исследованиям графа Потоцкого я по топонимическому положению Убыхов, не будет ли это остатки древних Алан (Ass ou Iass) средних веков“? (იქვე 14).

„Язык черкесский не имеет никакого сходства с прочими наречиями Кавказа, ни даже с татарским“... „Абхазским языком (Азера) неимеющим сходства с черкесским, говорят все абхазские племена“... „Убыхи говорят особым языком, не имеющим сходства ни с черкесским, ни с абхазским“ (იქვე, 15).

რით გამოსცა: Л. Я. Лувье. Черкессия, историко-этнографические статьи (Материалы для истории Черкесского Народа, вып. 4. Краснодар, 1927 г.).

აკად. ბროსსემ საქართველოთგან პეტერბურგში, სამეცნიერო აკადემიაში, ჩაიტანა მღვდელი იობ ცისკარიშვილისაგან შედგენილი წოვური ენის მასალები. 1853 წ. აკად. A. Schiefner ა. შიფნერ-ი ამ მასალების შესწავლას შეუდგა პეტერბურგშივე ჩასული იობ ცისკარიშვილის ძმის, სასულიერო აკადემიის სტუდ. გ. ცისკარიშვილის, დახმარებით, რომელთანაც აკადემიკოსს მუშაობა მხოლოდ 1854 წ. ენციკლისთვემდე შეეძლო, რათგან, ავადმყოფობის გამო მის მასწავლებელს საქართველოში გამგზავრება მოუხდა, მაგრამ გზაში, ვორონეჟში გარდაიცვალა.

1854 წელს 2 ივნისს შიფნერმა სამეცნიერო აკადემიას თავისი გერმანულად დაწერილი მოხსენება წარუდგინა „თუშური ენის მოკლე დახასიათება“ „Kurze Charakteristik der Thusch-Sprache“, რომელიც იმავე დაწესებულების ორგანოში Bulletin historico-philologique t. XII, № 8 (= Mélanges asiatiques t. II, გვ. 402 — 429) დაიბეჭდა. მისი რუს. თარგმანი მოთავსებული იყო „Ученые Записки“-ს III წიგნში (გვ. 71 — 93).

თავის მოხსენებაში შიფნერს წოვურის, ანუ, როგორც ის უწოდებდა, თუშურის დამახასიათებელ თვისებები და თავისებურება აქვს მოკლედ აღნიშნული ისევე, როგორც თავისი წყაროებიც აქვს ჩამოთვლილი. ზოგიერთი დამატებითი ცნობები და მასალები ამის შემდგომ შიფნერმა თვით იობ ცისკარიშვილისაგან მიიღო თიანეთითგან და ა. ბერჟე-მაც შეუკრიბა.

25 იანვარს 1856 წ. აკად. შიფნერმა თავის უკვე დამთავრებული მონოგრაფია წარადგინა გამოსაცემად „Versuch über Thusch — Sprache oder die Kistinisische Mundart in Thuschetien“ „ცდა თუშური ენისა ანუ თუშეთის ქისტური დიალექტის შესახებ“, რომელიც სამეც. აკადემიის „მეშუარების“ მე-IX წიგნში დაიბეჭდა კიდევაც (Mém. VI Série politiques etc, T. IX) და 160 გვერდიან დიდი ტანის წიგნს წარმოადგენს.

თავის მონოგრაფიაში შიფნერს წოვურის საკმაოდ ვრცელი (გვ. 7 — 89) გრამატიკული ანალიზი აქვს ფონეტიკითურთ მოთავსებული. წოვური ენის ნამუშებიც მოეპოვება ლათინური ანბანითა და გერმ. თარგმანითურთ (გვ. 90 — 104) და ბოლოში ლექსიკონიც აქვს დართული (გვ. 105 — 158).

შიფნერი ჩივის, რომ გ. ცისკარიშვილი, რომელიც წოვურის შესწავლის დროს ეხმარებოდა, თავის დედაენას გადაჩვეული იყო და, რაკი მწლის განმავლობაში წოვურად აღარ ელაპარაკნა, ძმისაგან შედგენილი მასალების განმარტებაც, სიტყვებისა და ფორმების მოგონებაც უძნელდებოდა. იობ ცისკარიშვილის ნაშრომშიც ზოგი რამე, რაც წოვურის ბუნებისა და გრამატიკის შესადგენად იყო საჭირო, არ მოიპოვებოდა. ასეთ პირობებში და ასეთი მასალებით შედგენილ მონოგრაფიას, რა თქმა უნდა, შეუძლებელი ნაკლი არ ჰქონოდა და შიფნერის ამ პირველ ცდაში არაერთი შეცდომაა შეტარული. მაგრამ მაინც ამ გამოკვლევას იმ მხრივ ჰქონდა მნიშვნელობა, რომ აქ შიფნერს წოვური ენის გრამ. სქეს-კატეგორიების ის თავისებური პრინციპი, რომლითაც ეს და მისი მონათებავე კავკასიის ხზვა ენებ-თავადან-თავსაბითგანი

და ბოლოხართოვანი ნიშნებით ხბვა ენებისაგან მკაფიოდ განირჩევიან, საკმაოდ კარგად აქვს შემჩნეული, როგორც არსებითსა და ზედხართავ სახელებში. ისევე ზმნის ფორმებშიც (იხ. მისი მონოგრაფიის გვ. 31 — 34 და 54).

1862 წ. 2 სექტემბერს აკად. შიფნერმა აკადემიას თავისი მეორე მონოგრაფიაც წარუდგინა „Versuch über das Awarische“ („ცდა ავარულის შესახებ“), რომელიც იმავე წელიწადს დაიბეჭდა კილევაც (იხ. Mémoires de l'Académie Impériale des sciences de St. — Pétersbourg, VII-e série, Tome V, № 8).

შიფნერის ეს ნაშრომი ბროსსეს-გან ჩამოტანილი მასალებისა, ადოლფ ბერტე-საგან შეგროვებული, შამილის მასწავლებლის და ჩინი-ლაუ-საგან შედგენილი ლუნძურის მოკლე გრამატიკულ-ლექსიკური მასალებისა და პეტერბურგში რუსეთის ხელმწიფის ამაღლაში მყოფი ლუნძებისაგან თვით შიფნერის ჩანაწერის შესწავლის ნაყოფს წარმოადგენს. ეს მონოგრაფია უფრო მოკლეა. სულ 54 გვერდისაგან შესდგება, აქეთგან გრამატიკას 25 გვერდი უკავია. ენის ნიშნულებს გერმან. თარგმანითურთ მხოლოდ 9 გვერდი და 17¹/₂ გვერდი ლექსიკონს.

ასეთი პატარა მასალითა და გამოკვლევით ლუნძური ენის თავისებურების ჯეროვანი ხისრულით გამორკვევა, რასაც ვირეულია, შეუძლებელი იყო და ამ ნაშრომის ნაკლი უკვე შემდეგ გამოსულმა უსლარის წიგნმაც ცხადყო, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მას მაინც, ვითარცა პირველ ცდას, თავის დროზე მნიშვნელობა ჰქონდა.

ენაც შიფნერის ღვაწლის შეფასება ჰსურს, მან უნდა ამ დარგში მანამდე არსებული ვითარება გაიხსენოს. როგორც გვლდუნშტედტისა და კლაპროთის მოღვაწეობის განხილვის დროს აღნიშნული გეჭონდა, მათი ნამუშევარი, ეთნოგრაფიულ ცნობებს გარდა, კავკასიის ენების სიტყვათა კონების შეგროვება-გამოკვეყნებას არ გახცილებია. მათი მსჯელობაც ამ ენების ბუნებისა და წარმოშობილობა-ნათესაობის შესახებ თითქმის მხოლოდ ამ ლექსიკურ მასალებზე იყო დამყარებული. ამ ენების აღნაგობის გამოსარკვევად მათ ნაშრომებში არაფერი მოიპოვებოდა. ცხადია, რომ მართო ხიტყვათა შედარებით იმ უაღრესად მნიშვნელოვანი მიზნის განხორციელება, რომელიც მათ დასახული ჰქონდათ, არას გზით არ შეიძლებოდა. ამიტომ მათი მსჯელობა და დასკვნაც შეუძლებელია დამაჯერებელი ყოფილიყო. არსებითად ლ. ლულდეს ნაშრომსაც, ლექსიკონს გარდა, რომელიც მხოლოდ თავისი სივრცითა და მრავალფეროვანობით განსხვავდებოდა. თითქმის ისეთივე თვებება და ნაკლი ჰქონდა, რათგან ჩერქეზული ენის მისი გრამატიკული დახასიათება იმდენად მოკლე და უმწეო იყო, რომ ჩერქეზულის რთული ბგერითი შედგენილობისა და აგებულების გაგება ძალიან ძნელი იყო.

შიფნერის ღვაწლს ხწორედ ის შეადგენს, რომ კავკასიის ენების ნამდვილი ენათმეცნიერული შესწავლა, ფონეტიკით, მორფოლოგიითა და ლექსიკით, პირველად მან დაიწყო. შრგონი, ვითარცა ინდოევროპული ენათა ოჯახის წევრის, ოსურის, შემსწავლელი, ამ დარგში შიფნერის წინამორბედად ვერ ჩაითვლება. რათგან წოვეურისა და ლუნძურის ისევე, როგორც ე. წ.

კავკასიის სხვა ენების აგებულება ინდოევროპულ და მანამდე შესწავლილ სხვა ოჯახების ენათა აღნაგობისაგან სრულებით განსხვავდებოდა.

თვით შიფნერი ორსავე თავის შონოგრაფიაში უფრო ხალისიანად ამ ენების ფონეტიკას ეხებოდა და, რა თქმა უნდა, ესეც სხვებისათვის წასაბაძავი მაგალითი უნდა ყოფილიყო, მაგრამ მაინც უმთავრესი მორფოლოგიაა და, თუმცა შიფნერს არსად ნათქვამი არა აქვს, თუ რა უნდა იქმნეს ამ ენების აგებულების განმასხვავებელ თავისებურებად მიჩნეული, მაინც შიფნერის მთავარ ღვაწლად, ზოგადად ზემოთ აღნიშნულს გარდა, ამ ენების გრამატ. სქესკატეგორიების თავისებური სისტემის შეგნება და გამომჟღავნება უნდა იქმნეს ცნობილი (ლუნძურის სქესკატეგორიებზე მისი ნაშრომის გვ. 11—12 § 42, გვ. 20 § 97 და გვ. 21 § 103).

შიფნერის მუშაობის შედეგის ზედმიწევნითობისათვის ხაზიანო უმთავრესად ის გარემოება იყო, რომ ამ ენებს იგი ადგილობრივ-კი არ იკვლევდა, არამედ პეტერბურგში. მაგრამ მალე გამოჩნდა კიდევაც ნიკიერი და ფართო მიზნებით აღფრთოვანებული მკვლევარი, რომელმაც ამ ნაკლსაც სძლია და კავკასიის ენების საფუძვლიან შესწავლას სწორედ ადგილობრივ მიჯყო ხელი. ეს მკვლევარი ბარონი პეტრე კარლოს ძე უსლარი გახლდათ. შიფნერი ალტაელებით შექმნდა მის ნაყოფიერ შოღვაწეობას, სცნო მისი ნიქიცა და საენათმეცნიერო კვლევა-ძიების განსაკუთრებული უნარიც ისევე, როგორც დაულალავი შრომისმოყვარეობა და ენერჯია. ამ დროითგან მოყოლებული აკად. შიფნერი ასპარეზს უყვე უსლარს უთმობს და თითონ მხოლოდ მისი რუსულად გამოქვეყნებული შრომების გერმანულად გადათარგმნის-გადამუშავებულ სახით დას. ევროპის მეცნიერებისათვის გამაყნობელის მოვალეობით კმაყოფილდება. ესეც შიფნერის კეთილშობილობას და მეცნიერულ უანგარობას ამტკიცებს.

3. უსლარის მოღვაწეობით კავკასიურ ენების შესწავლის ახალი ხანა იწყება. მართალია, ამ შესანიშნავი მკვლევარის ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ ლ. ზაგურსკის მიერ დაწერილი საკმაოდ ვრცელი და დიდი გრძნობით შედგენილი წერილი არსებობს, რომელიც უსლარის ნაშრომს უძღვის წინ „უძველესი თქმულებები კავკასიის შესახებ“ („Древнейшие сказания о Кавказе, сочинение барона П. К. Услара. С биографиею автора, написано Л. П. Загурским“... Изд. Кавк. Военно-Народн. Управ. ტფილისი, 1881 წ.), მაგრამ ამ დიდი მოღვაწის ნაამაგარის სრული და ყოველმხრივი შეფასება, ყველა მასალებისა და მისი ნაშრომების მიხედვით, ჯერ არავის უცდია, იმისდა მიუხედავად, რომ ამის ღირსია.

1816 წ. დაბადებული პეტრე უსლარი პეტერბ. გიმნაზიაში ლათინურში კარგად განსწავლული, საინჟინერო სასწავლებელში სწავლა-დამთავრებული, 1837 წ. კავკასიაში იყო სამსახურში განწესებული. დალისტნის წინააღმდეგ 1839 წ. მოწყობილ ლაშქრობისა და ს. ახტის აღების მონაწილეც ყოფილა, მაგრამ 1840 წ. კავკასიაში სამსახურისათვის თავი დაუნებებია. მერმე უსლარს კვლავ შეუტანია თხოვნა, რომ ისეც კავკასიაში გადმოეყვანათ, და ათი წლის შემდგომ, 1850 წ. ისეც კავკასიაში დაბრუნებულა. მაგრამ პირველ წლებში ის მხოლოდ ვითარცა სამხედრო მწერალი და გენერალ. შტაბის მეცნიერი სპეციალისტი მუშაობდა.

კავკასიაში ყოფნის დროს უსლარს მალე ფართო გეგმა დაებადა კავკასიის ისტორიის დაწერის შესახებ უუძველესი დროითგან მოყოლებული. დასაწყისი ხანიხათვის ხანდო ცნობების მოპოვება-შეკრება მას ამ ქვეყანაში მცხოვრებ ერთა ენის შეხწავლით ჰხურდა. ამან შეაგნებინა უსლარს, რომ უპირველეს მოვალეობად უნდა კავკასიის ენების შეხწავლა-გამოკვლევა ყოფილიყო მიჩნეული.

ტფილისში 1851 წ. დაარსებული გეოგრ. საზოგადოების გავლენიანი და თანამგზავნი წევრების დახმარებით (ამ საზოგადოების აქტიური წევრი თვით უსლარიც გახლდათ) და კავკასიის ჯარის მთავარსარდლის შუამდგომლობით, 1858 წ., რუს. ხელმწიფის ბრძანებით, პ. უსლარს კავკასიის ისტორიის შედგენა დაევა. რა თქმა უნდა, იმ დროს ისეთი ფართო მიზნისა და გეგმის განხორციელება, როგორც უსლარს ჰქონდა დასახული, მხოლოდ გატაცებული ადამიანის გულუბრყვილო ოცნება იყო, მაგრამ ამ გატაცებაში და აღრფთოვანებულმა მუშაობამ უსლარს ის შეაძლებინა, რაც ერთ ადამიანს კავკასიის შესახწავლად, არც მანამდე და არც მას შემდგომ, მის გარდა, არავის გაუკეთებია.

დას. საქართველოში 50-იან წლების დამლევსა და 60-იან წლების დამლევს სამსახურის დროს, უსლარი ქართულით, მეგრულითა და სვანურით დაინტერესდა. ჯერ ბარონ როზენ-ის მოხსენება მეგრულითა, სვანურის და იფხაზურის შესახებ გადმოთარგმნა გერმანულითგან, ტფილისში ჩამოსვლისას-კი, პეტრე უმიკაშვილის დახმარებით, დ. ყიფიანის მიერ შედგენილი ქართ. ზმნების ცხრილებისდა მიხედვით, ქართ. ზმნების აკრებულების შესწავლას შეუდგა. 1861 წ. ქ. სოხუმში წარვლენილმა სვანურის გრამატიკულად შესწავლისათვის გულბანისაგან ცნობები და ტექსტები შეაგროვა. ამავე წელს შემოდგომას იმიერ-ყუბანის ოლქში ლაშქრობაში ყოფნით ისარგებლა და, უბიხი ბერ ზეკ-ის დახმარებით, უბიხური ენის პატარა მასალებიც შეკრიბა. სამწუხაროდ, ის უბიხი მალე გაიპარა და ამის გამო უსლარს მუშაობის შეწყვეტა მოუხდა.

უკვე 1861 წ. 13 მაისს უსლარმა გეოგრ. საზოგადოებას ტფილისში მოხსენება წარუდგინა კავკასიის უმწერლობო ენებისათვის ანბანის შედგენის აუცილებლობის შესახებ. ამავე წელიწადს ტფილისის გიმნაზიის მე-VII კლასში ერთი ლუნძი მოწაფე გეტტინკაუ აღმოჩნდა. მისი და პ. უმიკაშვილის დახმარებით, უსლარმა ლუნძური ენის ბგერების ჩასაწერად შედგენილი თავისი ანბანის ვარგობის საკითხი გამოარკვია. პ. უმიკაშვილი უსლარის ანბანით გეტტინკაუს ნაკარნახევი ლუნძური სიტყვების ჩაწერას შეუდგა. აღმოჩნდა, რომ ლუნძური ენისათვის ეს ანბანი საკმარისი არ იყო. ამის გამო მას რამდენიმე ახალი ასოს დამატება დასჭირდა.

ზემოაღნიშნულთაგან ცხადი გახდება, რომ უსლარი წინახწარი ცოდნით უკვე საკმაოდ აღჭურვილი იყო, როდესაც მან 1862 წ. აბხაზური ენის ხამი კარგი მცოდნე აბხაზის ტფილისში ყოფნით ისარგებლა და აბხაზური ენის საფუძვლიან შესწავლას შეუდგა. ამას გარდა, მე მგონია, რომ კავკასიის ენების აკრებულების თავისებურებათა გამოარკვევა ნაწილობრივ მაინც უსლარისა-

თვის შიფნერის შემოდახახელებულ მონოგრაფიასაც უნდა გაეადვილებინა, რათგან თავსართოვანი და ბოლოსართოვანი ხქესკატეგორიების არსებობა წოვეურსა და ლუნძურში პირველად ხწორედ აკად. შიფნერში აღნიშნა. გრამ. სქესკატეგორიების ამ სისტემას-კი, როგორც ქვემოთ დავრწმუნდებით, თვით უსლარიც კავკასიის ენების ყველაზე უფრო თავისებურ მოვლენად სთვლიდა.

1862 წელს პეტრე უსლარმა რომ აფხაზური ენის შესწავლას მიჰყო ხელი, რ კვირის განმავლობაში განუწყვეტლივ სამ აბხაზთან მუშაობამ საშუალება მისცა აბხაზური ენის გრამატიკული აგებულება თავიხი განსხვავებული თვისებებითურთ გამოერკვია და ამ ენის შესასწავლად განსაკუთრებული სახელმძღვანელო გრამატიკით, პატარა ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთ დაეწერა.

პეტრე უსლარს უკვე 1862 წ. ზაფხულში საშუალება მიეცა გროზნოში ჩაჩნური ენის შესწავლას შესდგომოდა. მოლა აბნგუბაძისა და კედრი დოსოვის დახმარებით, მას ჩაჩნური გრამატიკა 1862 წ-ვე ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ ეს ნაშრომი მხოლოდ 1888 წ. დაიბეჭდა.

ლუნძური (ავარული) გრამატიკაც თუმცა უკვე 1863 წ. ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ მხოლოდ 1866 წ. დაიბეჭდა ლითოგრაფიულად. აქეთგან ამოკრეფილი ცნობები 1872 წ. აკად. აკ. შიფნერმა გამოაქვეყნა თავის მოხსენებაში „Ausführlicher Bericht über Baron P. v. Uslar's Awarische Studien“. სრულად მისი ნაშრომი მხოლოდ 1889 წ. კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველომ დაბეჭდა ტფილისში, უსლარის ნაწარმოების ლითოგრაფიული გამოცემის ლ. მელიქიშვილის მიერ დათმობილი ცალის მიხედვით.

1863 წ. დაძლევს უსლარი ლუმუქურ-ლეკურის შესწავლას შეუდგა და 1864 წ. მაისში ის თავის შრომას უკვე დამთავრებულად სთვლიდა. 1865 წ. ზაფხულში ეს ლეკური გრამატიკა გამოსცა ლითოგრაფიულად. 1866 წ. აკად. შიფნერმა ამ შრომის შესახებ ჯერ წაიკითხა და შემდეგ დაბეჭდა კიდეც უსლარის თხზულების შინაარსის ვრცლად შემცველი მოხსენება „Ausführlicher Bericht über Baron P. von Uslar's Kasikumükische Studien.“ მაგრამ თვით უსლარის ნაშრომს სტამბური წესით დაბეჭდვა მხოლოდ 1890 წ. ელირსა, ისიც კავკასიის სასწავლო ოლქის სამმართველოს წყალობით.

აკუშურ-ხაადაკური, ანუ შვრკანული გრამატიკა 1867 წ. ენკენისთვეში უსლარს უკვე მზადა ჰქონია და ლითოგრაფიულად გამოცემას აპირებდა. მაღე ეს განზრახვა განახორციელა კიდევაც თავისი 670 ავტოგრაფიული გვერდის შემცველი გამოცემა ჩვეულებისამებრ შიფნერს გაუგზავნა. მოუკლელობის გამო აკადემიკოსმა მხოლოდ 1870 წ. შესძლო ამ ნაშრომის შესახები „Ausführlicher Bericht über Baron P. v. Uslar's Hürkanische Studien“-ის წარდგენა, რომელიც 1871 წ. დაბეჭდა (Mém., de l'Acad. des sciences, VII série, t. XVII, № 6).

კვრულ-ლეკური გრამატიკა 1871 წ. უსლარს თავის ერთს შიფნერისადმი წარგზავნილ წერილში უკვე დამთავრებულად აქვს მოხსენებული, მაგრამ მხო-

ლოდ 1872 წ. დამდევს დამთავრდა მისი ლითოგრაფიული გამოცემის ბეჭდვა, ხოლო სრული დაბეჭდვა სტამბაში მასაც მარტო 1896 წ. ტფილისში ელირსა.

ამ ნაშრომის შესახებაც შიფნერმა ურცელი მოხსენება გამოაქვეყნა: „Ausführlicher Bericht über Baron P. v. Uslar's Kúrínische Studien von A. Schiefner (Mém. de l'Acad. des sciences, VII-me série, XX, № 2).

შემდეგ უკვე ცალკე იმ უსიამოვნების გამო, რომელიც მას ამ თავის მოღვაწეობის დროს შეჰხვედრია, მეტადრეკი მოქარბებული გონებრივი და კვლევითი მუშაობით ჯანმრთელობის შეტისმეტი შერყევის შედეგად, უსლარის ნაყოფიერებაცა და მხნეობაც შესუსტდა. ის მაინც თაბასარანული ენის შესწავლა-გამოკვლევაზე მუშაობდა, მაგრამ მისი ლითოგრაფიულად გამოცემა ველარ მოასწრო, რათგან 8 ივნისს 1875 წ. გარდაიცვალა. თაბასარანულის გარდა, უბიხურისა და ჩერქეზულის შესახებაც ღარჩა ჩანაწერები და შენიშვნები.

უსლარის შემოდასახელებული ნაშრომები ყველა ერთი და იმავე გეგმით არის დაწერილი: ჯერ ენის გავრცელების გეოგრაფიული საზღვრებია ხოლმე აღნიშნული (მათლოდ აბხაზური ენის გრამატიკას არ მოეპოვება ასეთი ცნობები), შემდეგ ბგერების დახასიათება და ფონეტიკა მისდევს, მერმე ვრცლად არის ხოლმე ენის გრამ. აგებულება, მორფოლოგია, განხილული, ბოლოში მოთავსებულია ამ ენის სიტყვიერების ნიმუშები მოთხრობებისა, ზღაპრებისა, თუ არაკების და ანდაზების სახით რუს. თარგმანითა და გრამ. კომენტარებით და უკანასკნელი ადგილი ჩვეულებრივ პატარა ლექსიკონს უკავია ხოლმე, რომელშიც შეძლებისამებრ სიტყვების ძირებიც არის გამორკვეული და მათგან ნაწარმოები სიტყვებიც არის ხოლმე დასახელებული. როგორც თავის დროზე უკვე აკად. შიფნერს არა-ერთხელ აღუნიშნავს, უსლარის გრამატ. ანალიზი მკვეთრია და მოპოვებული შედეგიც ნიჭიერად და მკაფიოდ არის დაწერილი. ყოველი ენის მისგან შედგენილი გრამატიკა დინჯს მონოგრაფიულ გამოკვლევას წარმოადგენს, რომელშიც არაფერი არსებითი უყურადღებოდ არაა დატოვებული და ყველაფერი იშვიათი სვინდისიერებით არის დაწერილი. რა თქმა უნდა, შეცდომები შეუძლებელია უსლარის ნაშრომშიც არ იყოს შეპარული, მაგრამ ენის პირველ შემსწავლელს, რაც უნდა ეცადოს, შეცდომის თავითგან აცილება არას გზით არ შეუძლიან. მით უმეტეს ასეთი რამე მოსალოდნელია იმ პირობებში, რომელშიც უსლარს უხდებოდა მუშაობა.

ვითარცა ენისა და ქვეყნის ადგილობრივ შემსწავლელისაგან ჩაწერილი, უსლარის ცნობები ამ ენების გეოგრაფიული გავრცელების საზღვრებზეც მეტად საყურადღებოა, ამიტომაც მათი აქ მოკლედ გახსენებაა საჭირო.

უსლარის სიტყვით, უბიხთა მიწა-წყალი შავი ზღვის იმ სანაპირო ზოლით განისაზღვრებოდა, რომელიც მდ. ხამიშიხა და ბუს შესართავებს შუა იყო მოქცეული. მისი სიგრძე 35 რუს. ვერსს არ აღემატებოდა. მათი მოსახლეობა აღმოსავლეთ-ჩრდილოეთით კავკასიონის ქედამდის აღწევდა, რომელიც უბიხებს მდ. სხაგუაშა-ს (= თეთრ წყალს, Б'шгая-ს) აუზისაგან და აბაძეხთა მიწა-წყლისაგან ჰყოფდა.

უბიხთა ჩრდილო-დასავლეთის მეზობლებად ზღვის სანაპიროზე მდ. ბუს იმიერ შაფსულები და ნატხოყოჯები იყვნენ. რათგან უბიხურად „ყოჯი“

თემსა ნიშნავს, ამიტომ ნატხომოაჟი ნატუხო-თემელს აღნიშნავდა. უბგსთა სამხრეთ-აღმოსავლეთის მეზობლად გამიშის აქეთ აბხაზთა ტომი „სამქს“-ები იყვნენ, რომელნიც ჩვეულებრივ ჯიქების სახელით იყვნენ ცნობილნი.

თვით უბიხთა მიწა-წყალი ორ ყოაჯედ ანუ თემად იყოფოდა: ვორდანედ და სახაოდ (საშედ), რომელიც ხოქადაც იწოდებოდა და ასევე უწოდებდნენ ამ მეორე თემს თურქები და რუსებიც.

თვით ეს ხალხი თავის თავს აპაოკ-ს უწოდებდა, ანუ აპოკს, უბიხებს შათ ჩერქეზები ეძახდნენ.

ჩაჩნური ენის გავრცელების საზღვრად პ. უსლარს მდ. აღტაში და შემდეგ კოისუსა და ერგის აუზების წყალთგამყოფელი ქედი აქვს დასახელებული. სალატაუ-ში უკვე ლუნძურია გავრცელებული. თვით დაღისტანში მხოლოდ ორ სოფელში — ბუტში, ტებნუცალში და ჩადირ — კამალალში ისმის ჩაჩნური (ჩაჩნ. გრ. გვ. 2 და ლეკ. გრ. წერილები, გვ. 24).

მდ. მაკალდონზე მცხოვრები ჩაჩნების ქისტთა ტომი ჩაჩნურად „პპპ-პიპ“-ს სახელით არიან ცნობილნი. ჯარიეხელნი-ქი კიპპიპი-ს ეძახიანო (უსლარი. 4eя. ip. 164).

ცნობილია, რომ გვლდენ შტედტმა ჩაჩნებისათვის ზოგად სახელად ქისტი შემოიღო, კლაპროთმა — ქი მიზჯეგი. უსლარმა ორივე სახელი, ქისტრია და მიზჯეგი-ც, დაიწუნა და საერთო სახელად ნახჩუო სცნო (რომლის მრ. რ. ნახჩუა, ან ნახჩია იქნება). ე. ი. ის სახელი, რომელსაც ეს ხალხი თავისთვის ხმარობსო (ყ. ა. გვ. 1).

მდ. ხულაკი დაღისტნის კასპიის ზღვის სანაპიროს ჩრდილოეთის საზღვარია, ხოლო მდ. სამური ამავე სანაპიროს სამხრეთის საზღვარია (კვრ. გრ. გვ. 1).

1864 წ. 6 იანვარს აქად. შიფნერისადმი მიწერილს წერილში უსლარს აღნიშნული აქვს, რომ დაღისტანში ადგილობრივი ძველნი თვითოეული სოფლის ენის განსხვავებულობას ყოველთვის სრულებით განცალკევებულ ენად ახადებენო, მაგრამ კვლევა-ძიება ცხადჰყოფს, რომ ცნობები დაღისტნის ენების მრავალრიცხოვანობის შეხახებ ძალზე გაზვიადებულია. თვით დაღისტანში უსლარს მხოლოდ შემდეგი 8 ენა აქვს დასახელებული: 1. ყუმბიური, 2. ჩაჩნური ორ სოფელში, 3. ლუნძური („ავარული“), 4. ანდიური, 5. დიდოურ-ბევიტლური, 6. აკუშური, 7. ლუმუქ-ლეკური (ლაზილუმუქური) და 8. არჩული (ლაკ. გრ. წერილი შიფნერისადმი გვ. 18 — 19).

თუ ყუმბიური, ვითარცა თურქული, და ჩაჩნური, ვითარცა შემოხიზნული, გამოვყავით, საკუთრივ დაღესტნის ენათა რიცხვი მარტო ექვსი გამოდის. მაგრამ აქ უსლარს კვრული დაჰვიწყებია და ამიტომ სულ შვიდი ენაუნდა ვიანგარიშოთ.

ლუნძურ ენას, ანუ, როგორც რუსებმა უწოდეს, ავარულს დაღისტნის შუა გული უჭირავს და ჩრდილოეთით ჩირიურტითგან იწყება. ხოლო სამხრეთით ამ ენის გავრცელების ასპარეზი ახალ ჯაქათალამდის აღწევს ისე, რომ პირდაპირი ხაზით 160 ვერსზეა გადაჭიმული. მაგრამ ამ ხაზის აღმოსავლეთითა და დასავლეთით ასპარეზის სიღრმე საგრძნობლად მცირდება. დასავლეთით ლუნძურის მოხაზღვრედ ჩაჩნური, ანდიური და დიდოურია, ხოლო აღმოსა-

ვლეთით — ყუმიყური, აკუშური, ღუმუქური, არჩული და წახორულია, რომელიც კვრულ-ლეკური ენის მონათესავეა (ავარ. გრ. გვ. 1—3).

ღუმუქურში უსლარი ორ კილოკავს არჩევს: ხუნზახურსა და ანწუხურს (იქვე გვ. 6).

ღუმუქურ-ლეკური ენა ლაზიღუმუქას ოღქსა და ნაწილობრივ აგრეთვე დარგოს ოღქშიაც არის გავრცელებული, რომლის 5 სოფელში ღუმუქ-ლეკურად ლაპარაკობდნო, 1864 წ. უსლარი ღუმუქ-ლეკურად მოსაუბრედ სულ ორთავე სქესის 30000 სულსა სთვლიდა (ლეკ. გრ. გვ. 3). ამ ენას ხხვადასხვა კილოები აქვს, მაგრამ ერთიერთმანეთისა კარვად ესმით, ხოლო ხაუკეთესო გამოთქმად ღუმუქური ითვლებათ (იქვე).

კვრული ენის გავრცელების ასპარეზი მდ. ხამურის ხეობით განიხაზღვრება. ამ მდინარის ორსავე ნაპირას მცხოვრებნი კვრულს ლაპარაკობენ. რუტულის 20 ვერსით ქვემოთ ს. ყვლიტარი კვრულად მოუბარი პირველი სოფელია. უსლარს კვრულად მოლაპარაკე მკვიდრთა რიცხვი 5796 კომლად აქვს განსაზღვრული. ამავე ენას ლაპარაკობენ ნუხის თემის შემდეგ სამ სოფელში: შინარ-ში, დაშალულარ-ში და ჭილიფარ-ში. ამგვარად კვრული ენა კავკასიონის ქედს აქეთაც გადმოდის, რაკი ს. ჭილიფარი ს. ვართაშენზე ახლოა, ხოლო ვართაშენში უკვე უღური ენა ბატონობს, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ კვრული და უღური ერთი მეორის მოხაზღვრენი არიან. საუკეთესო კვრულად ს. ახცაჰარ-ისა არაბ მიჩნეული, რომელსაც თურქები და რუსები ახტი-ს ეძახიან და რომელიც 1000 კომლზე მეტ მცხოვრებს შეიცავს. მცხოვრებნი თავიანთ თავს და ენას კვრელებსა და კვრულსაც უწოდებენ და ახცაჰარ-ს (მრ. რ. ახცაჰარ), ე. ი. ახტელს. ეს სახელი საშურის ხეობის შუანაწილის მცხოვრებთა კუთვნილებაა და მეზობლებიც მათ ასევე ეძახიანო (კვრ. გრ. გვ. 1—4). მხოლოდ თაბასარანის თემითგან მოყოლებული სამურამდის ხეობას კვრე ეწოდება და მცხოვრებნიც თავიანთ თავს კვრეგვ-ს და თავიანთ ენას აკრმდ ზალ-ს უწოდებენ. მეზობლებიც მათ ილსანიშნავად ამავე სახელსა ხმარობენ.

კვრელნი თავიანთ თავისათვის საერთო სახელად ლეზღი-სა ხმარობენ (მრ. რ. ლეზღიჯარ) და თავიანთ ენასაც საერთოდ ლეზღი ზალ-ს უწოდებენ. ამ სახელს ისინი თავიანთ განსაკუთრებულ კუთვნილებად სთვლიან, მაგრამ უსლარს ეს შემთხვევით მოვლენად მიაჩნია და მათთვის კვრულს უფრო შესაფერისად სთვლიდა.

ამგვარად, კვრული კვრის ოღქის მიწა-წყალზეა გავრცელებული. აღმოსავლეთით კვრულის გავრცელების საზღვრად ს. ჭარჰაბა ზვრ, ანუ ჭარჰაბა-ი ითვლება, რომელიც სწორედ სამურის კასპიის ზღვაში შესართავთან მდებარეობს. აქ უკვე თურქული ენა იწყება. ყუბის თემშიც თითქმის თვით ქ. ყუბამდე კვრულია გავრცელებული. ზაადლირის აზრით, ყუბის ოღქში კვრულად მოუბართა რიცხვი 28641 სული უნდა გვევარაუდნაო (კვრ. გრ. გვ. 3—7). საერთოდ კი კვრულად მოლაპარაკეთა რიცხვი მთელ დაღისტანსა და ნაწილობრივ აგრეთვე ქედს აქეთაც უსლარს 80,000 სულამდე ჰქონდა ნაანგარიშევი. ამგვარად, დაღისტანის ენათა შორის კვრულს სამრავლით შესაძენ ადგილი უკავია.

კვრულ-ლეკური ორ კილოკავად იყოფა: კვრულად და ანტურადო (იქვე, გვ. 7—8). კვრელთა შორის თურქული ძალიან არის გავრცელებული და კვრულ-ლეკურს ამ ენის ძლიერი გავლენა ემჩნევა კიდეც.

აკად. ა. შიფნერისადმი 1864 წ. 6 იანვარს მიწერილ წერილში უსლარს აღნიშნული აქვს, რომ კავკასიის ენათმეცნიერების მიზანი მასალების შეგროვება უნდა იყოს, დალაგებული გრამატიკული აღნუსხვა-კი უკვე სპეციალისტების საქმეაო (იხ. მისი Лакский яз.-ის გვ. 13). მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მას თავიაი ზოგადი დასკვნა კავკასიის ენების შესახებ მაინც გამოთქმული აქვს.

უკვე 1864 წ. 10 თებერვლის წერილში უსლარი ამბობდა: ეხლა უკვე დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ძველი მსოფლიოს ენათა დიდ ოჯახებს, ინდოევროპულს, ხემურსა, ქუშიტურს (კოპტურ-ეთიოპურს) და ურალ-ალტაურს, კიდეც ერთი, სრულებით დამოუკიდებელი, კავკასიის ენათა ოჯახი უნდა მიემატოს, რათგან, ვასაოცარ მრავალსახეობისდა მიუხედავად, ყველა ამ ენებს ნათესაობის ღრმა თვისებები ემჩნევაო. სომხური ინდოევროპული ენაა, ქართული-კი, როგორც ჩანს, კავკასიური ენაა და თანაც მთელი ამ ოჯახის ენათაგან ყველაზე უფრო შეხანიშნავიაო. ამიტომ უსლარს უნდოდა კავკასიის ენების თავისი გრამატიკული კვლევა-ძიება ქართული ენის ლინგვისტიკური შესწავლით დაემთავრებინა: უამისოდ ჩემ მიერ განზრახული Caucas polyglotte სრული არ იქნებოდაო (იხ. მისი Чеченский яз.-ის წინ მოთავსებული წერილების გვ. 35).

უსლარი გატაცებული იყო კავკასიის ენების შედარებითი შესწავლის გეგმით და ყოველთვის, როცა-კი გარემოება და კვლევის საგანი ხელს უწყობდა, ამაზე მსჯელობასაც შეუდგებოდა ხოლმე. მაგ. კვრულ-ლეკური გრამატიკის შესავალში მას ნათქვამი აქვს: კვრულ ენას თავისი ლექსიკითაცა და გრამატიკულადაც ჩანჩურისა და უკვე შესწავლილ დალისტნის ენების მსგავსი თვისებები აქვს. ამიტომ შეუძლებელია იგი აღმოსავლეთ-კავკასიის ვრცელ ენათა ოჯახს არ მივაკუთნოთ. მაგრამ მეორე მხრით პირველივე შეხედვით მას ისეთი თავისებურებაც ემჩნევა, რომელიც კვრულს ენას ამ ოჯახს აშორებს. კვრულის ასეთ განმასხვავებელ თავისებურებად უსლარს სქესკატეგორიების სრული უქონლობა მიაჩნდა იმ დროს, როდესაც სქესკატეგორიებს აღმოსავლეთ კავკასიის ენებში ასეთი დიდი მნიშვნელობა აქვსო. ამის გამო, უსლარის აზრით, ეს გარემოება ამ ენათა, სამხრეთ-აღმოსავლეთის განსაკუთრებული, უსქესო ენათა შტოს არსებობას ააშკარავებს. შიფნერმა ერთი ამგვარი უსქესო ენათაგანი, უდური, უკვე შეისწავლა. ცნობილია აგრეთვე, რომ ივერიულ ოჯახის ყველა ენებსაც (ე. ი. ქართულსა და ქართველურს) სქესი არ აბადიათო. მაგრამ უსლარს აქვე აღნიშნული აქვს, რომ ამგვარი შედარება ჯერ ნაადრევია (იხ. კვრ. ენა 21).

საკვლევო ახპარეზის სივრცე და შესახწავლი ენებისა და დიალექტების სიმრავლე უსლარს საშუალებას არ აძლევდა თავისი, იმ დროისათვის ნაადრევი, განზრახვის შედარებითი კვლევა-ძიების შესახებ განხორციელებას შესდგომოდა. საამისოდ მას არც მოცალეობა ჰქონდა, რათგან ერთი ენის შესწავლას

რომ მოჩნებოდა და სხვა ახალ კავკასიის ენის შესწავლას შეუდგებოდა, წინანდელი კვლევა-ძიების არამც თუ გაღრმავება არ შეეძლო, არამედ, მოუცლედობის გამო, წინათ შესწავლილ-გამოკვლეულ ენასაც-კი ივიწყებდა ხოლმე. 1864 წ. შიფნერისაგან შედგენილი ჩანჩურის გრამატიკის შესახებ მის ავტორსა სწერდა: უდიდესი ცნობისმოყვარეობითა და ყურადღებით წავიკითხე. წელიწადზე მეტია, რაც ჩანჩურზე აღარ ვმუშაობ, და ამიტომ დამავიწყდაო (იხ. ლექ. გრ. 22). 1871 წ. რომ აკად. შიფნერ-მა უსლარს ლუნბურის („ავარული“) ზოგი სიტყვების განმარტება სთხოვა, მან გულახდილად უპასუხა, სხვა დალისტნის ენებზე მუშაობის გამო, ავარულს სრულებით გადავეჩვიე და დამავიწყდაო (იქვე გვ. 37).

უსლარის ამოდენი ღირსების აღნუსხვის შემდგომ, უნდა მისი და შიფნერის ერთი მცდარი აზრიც აღინიშნოს: ბუმცაპ. უსლარს აბხაზური გრამატიკის თავის შესავალში გვლდენშტედტისა და კლაპროტის ჩანაწერები მოხსენებული აქვს. მაგრამ იქვე ამბობს, მათმა ჩანაწერებმა არაფერი არ განმარტა, რათგან მათ შენდგენელებმა აბხაზური და სხვა სიტყვები ყურით მოსმენილი და უგრამატიკულ-ანალიზოდ ჩასწერესო. ჯეორჯ როზენის 1847 წ. ბერლინის სამეცნიერო აკადემიის უწყებებში მოთავსებულ პატარა წერილის შესახებ მსჯელობის დროსაც, მას ნათქვამი აქვს: ეტყობა მკვლევარს თავისი აბხაზური მასალები აბხაზებისაგან მათთვის ნაკლებად გასაგები ოსმალური ენის დახმარებით უნდა ჰქონდეს შეგროვებული და ამიტომვე უნდა იყოს, რომ მისთვის აბხაზური ენის ზოგიერთი ძირითადი თვისებები გაუგებარი შეიქმნა, ან სწორედ ვერ გაუგია. აბხაზურ ენაში სქესის არსებობაც-კი ვერ შეამჩნია როზენშიო (უსლარის აბხაზ. გრ. ლით. გამ. შესავალი).

აკად. A. Schiefner-იც (ა. შიფნერი-იც) თავის ერთს მოხსენებაში *Ausführlicher Bericht über des generals Baron Peter von Uslar Abchasische Studien* (*Mémoires de l'Académie impér. des sciences de St.-Petersbourg, VII-e série, t. VI, № 12, გვ. III*) ასევე მსჯელობდა¹.

უსლარისა და შიფნერის მსჯელობამ მათაც პირადად გვლდენშტედტისა და კლაპროტის ჩანაწერში შეგროვებული მასალების მნიშვნელობა დაუჩრდილა და სხვებსაც ალბათ გული აუცრუა. ამ ენების მერმინდელი მცირერიცხოვანი მკვლევარნი გვლდენშტედტისა და კლაპროტის ჩანაწერებს მართლაც მოხსენების ღირსადაც არ სთვლიდენ, თუ ამ მასალების არსებობა გამოეპარათ, აღარც ენებიან და არც სარგებლობენ.

უსლარისა და შიფნერის მსჯავრი, რასაკვირველია, მცდარია: არც გვლდენშტედტისა და არც კლაპროტს, მეტადრე პირველს მათგანს, ჩაწერილი მასალები ნამდვილად გრამატიკულ ანალიზისათვის არ ჰქონდათ

¹ „Was bisher durch Goldenstädt und Klapproth in Wörterverzeichnissen und Sprachproben von dieser Sprache bekannt war, konnte durchaus keinen Anspruch darauf machen, eine irgend genügende Anschauung von dem Wesen derselben zu geben. Namentlich ist der bei Klapproth „Reise in den Kaukasus B. II S. 246 — 261“ befindliche Abschnitt über „die abchasische Sprache“ weit davon entfernt, uns eine Einsicht in den Bau der merkwürdigen Sprache zu gewähren“.

განკუთვნილი. მათ მხოლოდ ლექსიკური მასალის ნიმუშების შეგროვება სურდათ, რომ სხვებს ამ ენების ურთიერთშორისი და სხვა ენებთან დამოკიდებულების წინასწარი გათვალისწინება შესძლებოდათ.

მართალია, მათ მაგალითებში ზოგჯერ სიტყვის ფუძეები თავხართოვანსა, თუ სხვაგვარ ნაწილაკებთან ერთად არიან წარმოდგენილნი, მაგრამ მართო ეს ამ მახალბით ხარგებლობის დამაბრკოლებელ გარემოებად მაინც ვერ ჩაითვლება. ჩვენ რომ საქმე დამწერლობის მქონებელი ენების ნიმუშების ჩანაწერთან გვექონოდა, ამგვარი მედიდურობა და უყურადღებობა აღვილი ვასაგები იქმნებოდა, მაგრამ, როცა ჩვენ აბხაზური, ყაბარდოული, ჩაჩნური, ლუხურისა და დალისტნის სხვა ენების ნიმუშში უსლარის 1862—1871 წ-ში დაწერილ შრომებამდე არ მოგვებოვება, რა უფლება გვაქვს იმ ლექსიკურ მასალას, რომელიც გვლდენ შტედტის 1772—3 წ-ისა და კლაპროთის 1808—9 წ. ჩანაწერებშია, ყურადღება არ მივაქციოთ და არ გამოვიყენოთ? განა, როდესაც ჩვენ ლურსმული წარწერების სახით შენახული ენის მასალები გვაქვს ხელთ, იქ ეს მასალები მათთვის შესაფერისი ანბანითა და გრამატიკული ანალიზით განწმენდილი წმინდა ფუძეების სახით გვევლინება? გრამატიკული ანალიზი მეცნიერ-მკვლევარის საქმესა და მოვალეობას შეადგენს. როგორც თანამედროვე მეცნიერება წარწერებში დაცული მასალებით ხარგებლობს და თავისი მიზნებისათვის იყენებს, ისევე ჩვენ ვალდებული ვართ გვლდენ შტედტისა და კლაპროთის ჩანაწერებით ვიხარებლოთ. იმას გარდა, რომ ამ მასალებითაც-კი თვით ბორფოლოგიის ზოგიერთი საკითხების გამოკვლევა მაინც შეიძლება, ცხადია, რომ იმ ძირითადი საკითხის შესახებ ვალდ, თუ რამდენად ეცვლებოდა სახე დროთა განმავლობაში ამ უმწერლობო ენებს, უამჩანაწერებოდ მაინც-და-მაინც სრულებით შეუძლებელია: ჯერჯერობით ამის გარდა ჩვენ სხვა არავითარი წყარო და საშუალება არ გვაბადია.

აშინირად, ახალ-ახალ ენების შესწავლის გამო, მეტისმეტმა დატვირთულობამ და მოუცლელობამ უსლარს არც მის ფართო მიზნებისა და გეგმების და არც მისი აპრიორული დებულებისა და რწმენის დამტკიცების საშუალება მისცა. ზოგადი საკითხი წინანდებურად გამოურკვეველი დარჩა, ხამაგიეროდ მეცნიერებას 7 კარგი მონოგრაფია შეეძინა მანამდე უცნობი ენების შესახებ და ამით კავკასიის იმ დროს ჯერ უმწერლობო ენების შესწავლას მკვიდრი საფუძველი ჩაეყარა.

დამახასიათებელია, რომ ვერც პ. უსლარის აღფრთოვანებულმა მოღვაწეობამ და მისმა მრავალრიცხოვანმა დინჯმა და საინტერესო ნაშრომებმა, რომლებშიც კავკასიის ენების მთელი თავისებურება, ვითარცა ახლად-აღმოჩენილი სულიერ-გონებრივი სამყარო, მისი მადლიანი კალმის წყალობით ასე ნიჭიერად და ცოცხლად იყო წარმოდგენილი, შესძლო სხვების წაბალისება. მართალია, უსლარს პატივისმცემელთა და თანამგრძობთა პატარა წრე ჰყავდა, უმთავრესად გეოგრ. საზოგადოების წევრთა შორის ტფილისში, მაგრამ მისი თავგამოდებული მუშაობის მიმბაძველი და მისგან დაწყებული დიადი საქმის, კავკასიის ენების მონოგრაფიული შესწავლის, გამგრძელებელი არავინ გამოჩენილა. გასაოცარია, რომ იმ საკმაოდ მდიდარი და საფუძვლიანი ენოვანი

მასალის გარმავებული და შედარებითი შესწავლისა და გამოკვლევის წადი-ლიც-კი არავის აღძვრია.

ნაწილობრივ ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ნაშრომები ლითოგრაფიულად და მკირე რაოდენობით იბეჭდებოდა, ამიტომ ნაკლებადაც იყო ვაჭრულად და ძნელი საშოყარიც იყო. ამ მხრივ დამახასიათებელია, რომ უსლარის ნაშრომების გამოსვლის უკვე ოციოდე წლის შემდგომ, წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში, კავკასიის სასწავლო ოლქის სამხრუნიველომ განსვენებული მეცნიერის ზოვიერთი ნაშრომი, მაგ. აბხაზურა ენის ლითოგრაფიის ერთი ცალი, გადასაბეჭდად ძლივს იშოვა. მაგრამ მარტო ზემოდასახელებული გარემოებით გულგრილობის ახსნა არ შეიძლება: უსლარის თანამგრძობთა წრეს ხომ ჰქონდა მაინც მისი ნაშრომები, შორეულ და უცხოქვეყნელ მეცნიერებსაც ხომ აკად. შიფნერი ყოველნაირად უადვილებდა უსლარის მონაპოვარის გაცნობა-შეთვისებას. თუ ამისდა მიუხედავად უსლარის კავკასიის ენების შესწავლის სფეროში გამგრძელებელი არავინ აღმოუჩნდა, ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ ამ საგანს ვულშემატკივარი არ ჰყავდა, ამ პრობლემისადმი ვანყენებულია. წმინდა მეცნიერული ინტერესი-კი არავის აღმოაჩნდა იმდენად მხურვალე, რომ ამ რთული და ძნელი ენების კვლევა-ძიებით თავი შეეწყობინა.

ასეა თუ ისე, უსლარის უკანასკნელი ნაშრომის დაბეჭდვის შემდგომ თითქმის სრული ორი ათეული წლის განმავლობაში კავკასიის ენების შესწავლა შეჩერებული და მიტოვებული იყო. მხოლოდ 1891 წ. დაიბეჭდა ლევ ლოპატინსკის **ყაბარდოული ნ თქმულების ტექსტი რუს. თარგმნითა და განმარტებითურთ და 20 თქმულების მხოლოდ რუს. თარგმანი.** ამას ვარდა, გამოქვეყნდა ამავე ავტორის „**მოკლე ყაბარდოული გრამატიკა**“ („Краткая кабардинская грамматика“), რომელიც სულ 46 ნაბეჭდ ვერდს შეიცავს. და „**რუსულ-ყაბარდოული ლექსიკონი.**“ („Русско-кабардинский словарь с указателем“), რომელიც საკმაოდ დიდია, 299 ვერდიანია. ლოპატინსკის ყველა ზემოდასახელებული ნაშრომები დაბეჭდილი იყო კრებულში „Сборн. мат. для опис. местн. и племен Кавказа“ (вып. 12-тый, ტფილისში).

აღვლეველთა და ყაბარდოელთა შესახები მოკლე ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვის შემდგომ. რომელიც სულ 10 ვერდს შეიცავს, მას ყაბარდოული ხალხური სიტყვიერების ფრიად საინტერესო ნიმუშები აქვს დაბეჭდილი. მისი ნაშრომის ეს ნაწილი კარგ წვლილად უნდა იქმნეს მიჩნეული. რა თქმა უნდა, უფრო ემაჯობინებოდა, რომ 20 თქმულებისა და ზღაპრის რუს. თარგმანთან ერთად ყაბარდოული ტექსტიც ყოფილიყო გამოქვეყნებული, რათგან ყაბარდოულად დაბეჭდილ ტექსტებს შედარებით მკირედი ადგილი აქვს დათმობილი: რუს. თარგმანითურთ სულ 79 ვერდზეა მოთავსებული. ყაბარდ. **ტექსტებს გრამ. განმარტება** აქვს დართული (გვ. 82 — 106). მისი ყაბარდოული გრამატიკა-კი მართლაც ძალიან მოკლეა, მისი ნაწილებიც თანასწორად არ არის დაჰუშავებული: ფონეტიკას 10 ვერდი აქვს დათმობილი, ხოლო მორფოლოგიას სინტაქ. ცნობებითურთ 36 ვერდზე მეტი არ უკავია. სისუსტე მეტადრე ყველაზე უფრო რთული ნაწილის, ზმნის, ანალიზს ემჩნევა და, სიერცესთან

ერთად, მას სიღრმეც აკლია. **რუსულ-ყაბარდოული ლექსიკონი** დიდი და საც-
მაოდ **მრავალმხრივი შინაარსისაა**, მხოლოდ შიგ თანამედროვე ტერმინებისა-
თვის არა ერთი ხელოვნურად შეთხზული სიტყვებია შეტანილი და ამის გამო
სიტყვათა საგანძურის ღირებულებაც ყველგან ერთნაირი არ არის.

ლ. ლოპატინსკის ნაშრომები ღირსებით, რასაცვირველია, უსლარისას
ჩამოუვარდება. მაგრამ შაინც, ვითარცა ყაბარდოული ენის შესწავლის პირველი
ცდა, ყურადღების ღირსი იყო.

თუ ფონ-ერკერტ-ის 1895 წ. ვენაში დაბეჭდილ დიდტანიან ნაშრომს
„**კავკასიური მოდგმია ენები**“ „Die Sprachen des Kaukasischen Stammes“, მისი
ცხადი სისუსტისა და მასალის უვარგისობის გამო, გვერდს აუხევევთ, შესაძლე-
ბელია ითქვას რომ, ლოპატინსკის ნაშრომის გამოქვეყნების შემდგომაც, ამ
წელიწადზე მეტხანს, კავკასიის ენების შესწავლა კვლავ შეჩერებული იყო. ამ
დარგში მუშაობა და მანამდე შეუსწავლელი ენების კვლევა-ძიება გერმანელმა
მეტნიერმა ადოლფ დირრ-მა განაახლა.

1904 წ. მოყოლებული 1913 წლამდე დირრ-მა 8 ნაშრომი გამოაქვეყნა:

1. 1904 წ. **უღური გრამატიკა** (Удинская грамматика: СМОНПК, в. XXXII).

2. 1906 წ. **თაბასარანული ენის გრამატიკა** (Грам. очерк табассаранского языка: იქვე, в. XXXV).

3. 1906 წ. **ანდიური ენის მოკლე გრამატიკა** (Краткий грам. очерк андийского языка с текстами, сборником андийских слов и рус. к нему указателем: იქვე, в. XXXVII).

4. 1907 წ. **აღულური ენა** (Агульский язык: იქვე в. XXXVIII).

5. 1908 წ. **არჩული ენა** (Арчинский яз. Грам. очерк да სხვა: იქვე, XXXIX).

6. 1909. წ. **მასალები ანდი-დიდოური ჯგუფის ენებისა და დიალექტების შესახებ** (Материалы для изуч. языков и наречий Андо-диндской группы: იქვე, в. XL).

7. 1911 წ. **რუთულური ენა** (Рутульский язык: იქვე, в. XLII და ცალკე წიგნადაც) და

8. 1913 წ. **წახორული ენა** (Цахурский язык: იქვე, в. XLIII და ცალკე წიგნადაც).

მისი მე-9 ნაშრომი **უბუხთა ენა**-ს ეხება. 1913 წ. ბქონდა ოსმალეთში გადასახლებულთა შორის შესწავლილი, მაგრამ მსოფლიო ომის გამო მხოლოდ 1927 და 1928 წ. გამოქვეყნდა გერმანულად: Adolf Dirr, Die Sprache der Utschen: ჟურნ. Caucasica-ს მე-4 (გვ. 65—144) და მე-5 (გვ. 1—54) ნაკვეთებში.

ამ წმინდა საენათმეცნიერო კვლევა ძიებას გარდა, დირრ-ს სხვა არაერთი ნაშრომიც აქვს გამოქვეყნებული, მაგრამ მათ აქ არ შევეხებით.

დირრ-ის თვითოეული ნაშრომი ენის მონოგრაფიულ გამოკვლევას წარმოადგენს. ყოველ მათგანში მოიპოვება წყაროების მოკლე აღწერა-დახასიათება, ცნობა ენის გავრცელების საზღვრების შესახებ, მოკლე ფონეტიკური დახასიათება, მორფოლოგია და ხან პატარა, ხან უფრო მოზრდილი ლექსიკონი, ბევრგან ენის ნიმუშებიც არის მოყვანილი.

ა. დირრ-ის სიტყვით, დაღესტნის ენები ორ ჯგუფად იყოფა: ჩრდილოეთისა და სამხრეთის ჯგუფად. ჩრდილოეთის ჯგუფს ანდიური და მისი მახლობელი ბოთლიბური, ლოდობერული, კარატული, ახვახური, ბაგულალური, ჭამალალური და ტინდალური კილოკავები ეკუთვნის. სამხრეთის ჯგუფს ხვარაშხული, დიდოური, და ქაფუჩ-ხუნზახური კილოკავები ეკუთვნისო (დირრ-ის ანდიური გრ. გვ. I).

ასე ფიქრობდა ა. დირრი 1906 წ., ხოლო 1909 წ. თავის ახალ შრომაში „Материалы для изучения языков и наречий андо-дидайсской группы“ უკვე ერთ ანდი-დიდოურ ჯგუფზე ლაპარაკობს, რომელიც ორ შტოდ იყოფა (იხ. გვ. I და II). ამნაირად, სათაურში, ორი ჯგუფის მაგიერ, ერთი ჯგუფია მახსენები, მაგრამ ამ ნაშრომის შესავალში ის ისევ ორ, ანდიურსა და დიდოურ ჯგუფზე ლაპარაკობს (გვ. II). ხოლო მოკლე შედარებითი მორფოლოგიური ანალიზის შემდგომ იგი ფიქრობს, რომ ორივე ჯგუფისათვის საერთო სახელად უნდა, მათი გეოგრაფიული მდებარეობისდა მიხედვით, ანდისა და ბოლოზის ქედებს შორის განფენილობის გამო, „ანდი-ბოლოზური“ ჯგუფი ეწოდოს. ამ საერთო ჯგუფის ანდიური კილოკავების ზოგად სახელად მას „გუმბეთური“ შეაჩინდა უფრო შესაფერისად, რათგან ამ ქვეყანას გუმბეთი ჰქვიათ. ხვარაშხული-ქაფუჩ-ხუნზახურისათვის-კი სახელად „დიდოური“ ვიხმაროთო (Матер. для... андо-лид. группы. გვ. VII).

ანდიურად ლაპარაკობენ აინდიში, რომელსაც ადგილობრივი მკვიდრნი „ყუანნალ“-ს უწოდებენ, დაღესტანში (რუსულად გაგატლ-ს ეძახიან), ლუნნალ-ში, ჩიყუნადირალ-ში (რუს. რიკუანი), აშოლალ-ში (რუს. აშალი), ზილუდირალ-ში (რუს. ზილო), ჩოკუდირალ-ში (რუს. ჩანკო), კონნიდატლ-ში (კუანახ-ში) და მუნო-ში. სულ ამ სოფლებში 8117 კომლი მცხოვრები ითვლებოდა.

ანდიური თავისი ბგერითი შედგენილობითაც, მორფოლოგიურადაც და ლექსიკურადაც ლუნძურის ახლო-მონათესავეა. ლუნძური ამასთანავე ანდიელთა შორის ძალიან არის გავრცელებული. მაგრამ ჩანს, რომ იცინ, ხოლო დიდოელთა და ყაფუჩელთაგან ბევრნი ქართულად ლაპარაკობენო.

ანდიელნი თავიანთ თავს უშანნაჟ-ს უწოდებენ (მრ. რ. ყუანნალ), ხოლო ენას უშანნაბ მინი ქვია (დირრ-ის ანდიური გრ. გვ. I—II).

თაბახარანული ენა გავრცელებულია დარუბანდის დახვედით მდებარე მდ. რუბახაის ხეობაში, რომელიც ყაიბაყ-თაბახარანულსა და კარულ ოლქებში შედის და სულ 27000 სულ მცხოვრებს შეიცავს. იგი ა. დირრის სიტყვით, კარულ ჯგუფს ეკუთვნის, რომელშიც, მისივე აზრით, თვით კარელთ გარდა, ადღუელნი, არჩელნი, რუთულელნი, წახორელნი, ჯეკელნი, კრიზელნი, ხინალულელნი, უდები და თაბახარანელნი შედიან. ასე ფიქრობდა დირრი 1905 წ. (იხ. თაბასარ. გრ. გვ. I და V), მაგრამ 1911 წ. მას უკვე აზრი შეცვლილი აქვს იმ მხრივ, რომ წახორული, არჩული, ხინალულური და უდური კარული ჯგუფის კუთვნილებად აღარ მიაჩნია (Рутульский яз. გვ. IV). ეს თავისივე განცხადება ა. დირრს, როგორც ეტყობა, 1913 წ., როდესაც ის თავისს ტფილისში დაბეჭდილ ნაშრომში „Цахурский язык“ გერმანელ მკვლე-

ვარ G. Hüsing გ. ჰუსინგს ეკამათებოდა, უნდა დაეიწყებულა მქონოდა და ამ უკანასკნელის წინადადებას, რომ წახურული კვრულ-ლეკურ ენათა ჯგუფითგან გამოყოფილი ყოფილიყო (Die elamische Sprachforschung, Memnon 1910 წ. B. IV და ცალკე ამონაბეჭდი), მკაცრად წინააღმდეგა, თანაც გაცხარებული ამტკიცებდა, რომ წახურული კვრულ ჯგუფს ეკუთვნის და ამ ჯგუფითგან მისი გამოყოფა არ შეიძლებაო (იხ. Иахур. яз. III—VI). ჰუსინგს რომ რუსული სკოლნოდა, მას დირრის წინააღმდეგ თვით დირრისავე სიტყვების მოკვანა შეეძლო. რა თქმა უნდა, დირრის მსჯელობის ასეთი ცვალებადობა და აბრთა წინააღმდეგობა მისი ნაშრომების სათანადოდ დაუმუშავებლობის შედეგი უნდა იყოს.

არჩულად მხოლოდ დაზალუმუქის ოლქის პატარა ხოფლის არქის მცხოვრებნი ლაპარაკობენ. ეს სოფელი ღუმუქზე 50 ვერსით არის დაშორებული. 1908 წ. იქ 800 სულამდე მცხოვრები ითვლებოდა. გარდმოცემის თანახმად, ისინი წინათ ქრისტიანები და მრავალრიცხოვანი ყოფილან. დახავლეთით მათ მეზობლებად ღუნძნი არიან, აღმოსავლეთით-კი ღუმუქ-ლეკები. ამის წყალობით არჩელებმა ღუნძურიც იციან და ღუმუქ-ლეკურიც (იხ. ა. დირრის Арчинский яз.: СМОНІК წ. XXXIX. გვ. III).

პირველი ცნობა არქული ენის თავისებურების შესახებ ვ. უსლარს მოეპოვება აკად. შიფნერისადმი მიმართულ ერთს წერილში, რომელიც მის შრომის „Иакский языкъ“-ის შესავალშია მოთავსებული (გვ. 8—12) და ნიმუშებთან ერთად ამ ენის მოკლე წინასწარ დაბასიათებას შეიცავს. ფონ-ერკერტსაც ჰქონდა ამ ენის შესახებ ცნობები და არქულს კვრულ-ლეკურსა და ღუმუქ-ლეკურს შუამდგომად სოფლიდა (Die Sprachen des Kaukasischen Stammes II, 57).

1908 წ. ა. დირრმა რომ არქული ენის („Арчинский языкъ“) თავისი 227 გვერდიანი გამოკვლევა გამოაქვეყნა გრამატიკით, ტექსტებითა და ლექსიკონითურთ (იხ. СМОНІК წიგნი XXXIX), ამ ნაშრომში არქული უაღრესად ნარევი ენად აქვს მიჩნეული, მაგრამ ვერ გადაუწყვეტია, თუ რა წვლილი ეკუთვნის იქ კვრულ-ლეკურს, ღუნძურსა და ღუმუქ-ლეკურს. მისი დაკვირვებით, არქული თავის ნაცვალსახელებით კვრულ-ლეკურ ჯგუფს უახლოვდება, რიცხვითი სახელებით-კი უფრო ღუნძურ-ანდიურ ჯგუფს, ვიდრე კვრულ-ლეკურს (იქვე გვ. I—III). მაგრამ ამაზე მეტის თქმას ვერ შედაეს.

უღებსა და უღური ენას უკვე მე-XIX ს. შერეუ ნახევარში მეტად მცირე ახპარეზი-ლა ეკავა: ორ ხოფლის გარდა, უღური უკვე აღარხად იხმოდა. განჯის ყ. გუბერნიის ნუხის მაზრის ს. ვართაშენსა, ანუ ორთაშენსა, და ს. ნიუში-ლა იყო უღური შერჩენილი. აქაც, უღელთ გარდა, თურქ-თათრები, სომხები, სპარსეთის ებრაელები და ლეკებიც ცხოვრობენ. ამის გამო უღები თურქულად და სომხურადაც ლაპარაკობენ და თანამედროვე უღური ენაც თურქული, სომხური და სპარსული სიტყვებითაა ხავსე. ამ ენად უღების ერთი ნაწილი გადმოხახლებულია ხაქართველოში და კახეთში, ს. ზინობიანშია დაბინავებული.

უღური სიტყვები და რამდენიმე წინადადების ნიმუში პირველად კლაპროტმა გამოაქვეყნა თავის 1814 წ. გამოსულს თბზულებაში „Beschreibung der Russischen Provinzen zwischen dem Kaspischen und Schwarzen Meere“. შემდეგ აღსანიშნავია აკად. შიფნერის „Versuch über die Sprache der Uden“,

რომელიც რუსეთის სამეცნიერო აკადემიის მეშუარების მე-VII სერიის, მე-VI ტომის № 8-ში 1863 წ. იყო დაბეჭდილი. ამ შრომით სარგებლობდა ფრ. მკლელი უღური ენის მოკლე დახასიათების დროს თავის 1895 წ. ვენაში გამოქვეყნებულ „Grundriss der Sprachwissenschaft“-ში (III. B., II. Abtheil. S. 139 და შემდ.). ფონ-ერკერტს იმავე წელსა და იმავე ქალაქში გამოცემულ ნაშრომში „die Sprachen des Kaukasischen Stammes“ სხვათა შორის უღური სიტყვები და 200-მდე წინადადებაც აქვს მოყვანილი. ა. დირრის სიტყვით შეფენერსაცა და ერკერტსაც ბევრი შეცდომები შეჰპარვიათ.

ა. დირრმა ჯერ 1903 წ. გამოაქვეყნა თავისი ნაშრომები „Грамматика удинского языка“ (უღური ენის გრამატიკა), რომელიც СМОМПК-ს XXXIII წიგნში იყო დაბეჭდილი და ცალკე წიგნადაც გამოვიდა, 1928 წელს-კი უკრ. Caucasicა-ში (იბ. fasc. 5, გვ. 60—72) მოთავსდა მისივე „უღური ტექსტები“ Udische Texte გერმანული თარგმანითა და განმარტებითურთ.

ა. დირრის სიტყვით, არაერთი ექვი არ არსებობს, რომ უღური დაღის-ტნის ენათა სამხრეთ-აღმოსავლეთის ჯგუფს ეკუთვნის (უღური ვრ. გვ. IX).

თუმცა დირრის ყველა კვლევითი ნაშრომები ერთი და იმავე გეგმით არის დაწერილი, მაგრამ, სამწუხაროდ, ყველა ენები ერთნაირი სისრულითა და სიღრმით არა აქვს გამოკვლეული. უსლარისეულთან შედარებით, მისი ნამუშავარი არც შინაარსითა და არც სივრცე-სიღრმით იმდენად საფუძვლიანი და საინტერესოდ დაწერილი არ არის, როგორც მრავალი სხვადასხვა ენის ამ იშვიათი მცოდნე პირისაგან მოხალოდნელი იყო. რაკი ზოგი მის ნაშრომთაგანი კარგად არის დაწერილი, ამიტომ საფიქრებელია, რომ სხვა მისი წიგნების შემოაღნიშნული ნაკლი, ერთი მხრით ნაშრომის გამოქვეყნების მეტის მეტი აჩქარებითაც უნდა აიხსნებოდეს: 9 წელიწადში 8 ენის შესწავლისა და შედუგის გამოქვეყნების დროს, რა თქმა უნდა, ნაკვლევი შეუძლებელია დინჯი და საფუძვლიანი კვლევა-ძიების ნაყოფი ყოფილიყო.

შეორე მხრით აღსანიშნავია და მისი ნაწერებით სარგებლობისას ის გარემოებაცაი გასათვალისწინებელი, რომ დირრი ამ ახალი ენების შესწავლის დროს ზშირად თითო-ორილა კაცის ცნობებს ემყარებოდა. უღური ენისათვის მას სოლომონიანცი და მნაცაკანიანცი ჰყოლია ხელმძღვანელად და მასწავლებლად, — არჩული, აღულური, ანდი-დიდოური 10 ენისა და დიალექტებისათვის — მოჭამმედ მოჭამმედლინ ლო, ანუ მაშომედხანოვი, — წახორული დამყარებულია წახორელ მოლა ალი რამაზან-ოღლის ცნობებზე, — ხოლო რუთულური რუტ. ფერშლის ტუჟა გუდაევის ერთი დღის ნამბობსა და თემირ-ხან-შურის რეალური სასწავლებლის პატარა მოწაფის აბას-ბეგ ყაზიზბეგოვის პასუხებზე. თვით დირრსვე სვინდისიერად აღნიშნული აქვს ამ უმაწვილის უკიდურესი გონებადაბნეულობა და იმ დროს შალარიით მძიმე დაავადება (გვ. IV).

ადვილად წარმოსადგენელია, თუ რამდენად სამწუხაროა მთელი ეს გარემოება. ახალი ენის შესწავლა-გამოკვლევის დროს ერთი ადამიანის ცნობებზე დამყარება, სხვებთან შეუდარებლივ და შეუმოწმებლივ, არ შეიძლება, მაინცა-და-მაინც ფრიად სახიფათოა. მით უფრო სახიფათოა, როდესაც ახალი

ენის შესახებ ცნობების მიმწოდებელი ისეთი ადგილობრივი „პოლიგლოტი“-ა, როგორც დირრის დახასიათებით მუჰამედლინ ლო ყოფილა, ბევრ ენაზე მოსაუბრე ადამიანი, რომლის კოდნის საფუძვლიანობისა და შით უმეტეს ცნობათა სისწორის შემოწმება და შეფასება დირრს არ შეეძლო. რაც უნდა „პოლიგლოტი“ იყოს ადამიანი, 15 ენის ისეთ შეუმცდარად ცოდნას, როგორც ახალი ენების აგებულება-თავისებურების გამოსარკვევად არის საჭირო, ვერც მოხთხვს და ვერც იგულისხმებს. ამით დირრის დამსახურების გაქარწყლება სრულებითაც არ მსურს, ჩვენ მაინც მისი შადლიერნი უნდა ვიყვნეთ, რომ ამ ენების შესახებ ეხლა ცოტა რამე მაინც შეიძლება ვიცოდეთ, მაგრამ სიმართლის თქმა და საქმის ნამდვილი ვითარების გათვალისწინება მაინც საჭიროა. ზემოაღნიშნული გარემოების შემდგომ, სკონია, ყველა დამეთანხმება, რომ დირრის ასეთ ნაშრომებს ჯერ კიდევ საფუძვლიანი შემოწმება სჭირდება და მანამდე მათ მხოლოდ იშდენად აქვთ მნიშვნელობა, რამდენადაც შესაძლებელია წინახწარ მოხსენებას ჰქონდეს.

აღ. დირრის დახასიათებაში „ადოლფ დირრი და კავკასიის ენათმეცნიერება“ („Адольф Дирр и кавказская лингвистика“ Adolf Dirr und die kaukasische Sprachwissenschaft: Научное общ. Этнографии, Языка и Литературы при Горском Педагогическом Институте, Владикавказ, 1930 წ. გვ. 11 და 15) პროფ. მ. ნემიროვსკი-ს აქვს აღნიშნული ის სიფრთხილე, რომელსაც დირრი მხველობის დროს იჩენდა: ზოგადად, ფართოდ შედარებასა და დახვეწას ის ერიდებოდა, ფილოსოფიური და შედარებითი პერსპექტივების გადაშლა მისი ბუნების თვისებას არ შეადგენდა. საამისოდ მას ვგონებ ძალაც არ შესწევდა. მისი ნამდვილი მოწოდება ცოცხალი, სასაუბრო, უმწერლობო ენის შესწავლა გახლდათ. სწორედ ამ დარგში კავკასიაში მუშაობამ დირრს კავკასიელი-მცოდნეობის ისტორიაში საბატო, უსლარის შექმნამ მეორე, ადგილი მოუპოვა.

1903 წ. ა. დირრი-სათვისაც, რომელიც უსლარის საქმის გამგრძელებელი აღმოჩნდა, ჯერ კიდევ გამოსარკვევი იყო, კავკასიური ენები მართლაც ერთ ენოვან ჯგუფს შეადგენენ, თუ არა? ამ საკითხის გამორკვევისათვის მას განზრახული ჰქონდა ჯერ ამ ენების მარტო აღწერილობითი შესწავლა ეწარმოებინა და მხოლოდ შემდეგ შედარებითს კვლევა-ძიებასაც შესდგომოდა. კავკასიის ენათა ნათესაობა რომ დამტკიცდებოდა, მარტო ამის შემდგომ სთვლიდა შესაძლებელად და მიზანშეწონილად, რომ კავკასიის ენებისა და სხვა ცნობილ დიდ ენათა იჯახებს შორის არსებული დამოკიდებულებისა და ნათესაობის საკითხის გამორკვევაზე მუშაობაც ეწარმოებინა (უღური გვ. გვ. X).

შბოლოდ 1928 წ. გამოაქვეყნა ად. დირრმა კავკასიური ენების ზოგადი მიმოხილვის შემცველი თავისი გამოკვლევა „Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen (Verlag der Asia Major, Leipzig) საყურადღებოა, რომ ასეთი ხანგრძლივი შესწავლის შემდგომაც, ე. წ. კავკასიური ენების ნათესაობის აზრი მხოლოდ სამუშაო ჰიპოთეზის სახით აქვს გამოთქმული. ის ფიქრობდა კიდევაც, რომ მომავალ კვლევა-ძიებას შესაძლებელია გამოერკვია, რომ ნათესაობისა და ერთობის მაგერ კავკასიაში ენათა სამი ჯგუფია, რომ-

მელნიც ურთიერთზე გავლენის წყალობით დროთა განმავლობაში ერთმანეთს დაემხგავსენ (გვ. III)¹.

კავკასიისმცოდნეობის ენათმეცნიერული დარგის ისტორიული განვითარებისა და მონაპოვარის განხილვის შემდგომ, შესაძლებელია ისევ აკად. ნ. მარჩის მოღვაწეობის დახასიათებას დაუბრუნდეთ. მაგრამ, სანამ აკად. მარჩი კავკასიის ენებს თავის საენათმეცნიერო მუშაობის საგნად გაიხდიდა, მას, როგორც დავრწმუნდით, ქართულისა და ქართველური ენების შესახებ უკვე გამოთქმული ჰქონდა თავისი ზოგადი მოძღვრება, რომელსაც იგი, ვითარცა ურყვე კეშმარიტებას, ყველა თავის ნაწერებში ემყარებოდა და რომლის ცოდნასა და ცნობასაც თვითთუელი თავისი მკითხველის მხრით ის ჰკელისხმობდა ხოლმე. ამიტომ, სანამ მისი მოღვაწეობის მიმოხილვას განვაგრძობდეთ, უნდა წინასწარ აკად. ნ. მარჩის ამ ზოგად თეორიას შევეხოთ.

1908 წ-მდე აკად. მარჩს თავისი შეხედულება ვრცლად არსად გამოუთქვამს. შემდეგაც დამთავრებულ და ყოველმხრივ დასაბუთებულ გამოკვლევის მაგიერ, მას გამოქვეყნებული ჰქონდა მხოლოდ წინასწარი ცნობა, რომელიც ქართ. გრამატიკის „ძირითად ტაბულებს“ (Основные Таблици) უძღვის წინ. საფიქრებელი იყო, რომ 1908 წელს გამოსულს ამ შრომას მისი გამოკვლევის თვით არსებითი ნაწილი მოჰყვებოდა, რომელშიც მკითხველს თეორია მთელი თავისი სიღრმე-სივრცითა და სრული საბუთიანობით წარმოუდგებოდა, მაგრამ პროფ. მარჩს ამგვარი თბზულება არ გამოუქვეყნებია.

სამაგიეროდ ათი წლის განმავლობაში მრავალი პატარა წერილი, ნაწყვეტ-ნაწყვეტად აქვს დაბეჭდილი, რომლებშიც არა-ერთი და ორი ძირითადი საკითხი წამოყენებულია და საბოლოოდ გადაწყვეტილადაც არის გამოცხადებული. ავტორის განსაკუთრებული ნაყოფიერება და მის პატარ-პატარა გაფანტულ ნაკვლევთა სიმრავლე მკითხველს საქმეს უძნელებდა, რათგან პროფ. ნ. მარჩის მთლიან ჩამოყალიბებულ თეორიასთან-კი არა ჰქონდა საქმე, არაჲდ იგი იძულებული იყო ყველა მისი ნაწერები გადაეკითხა და ამ გზით ნ. მარჩის ზოგადი თვალსაზრისი და შეხედულება თვითვე გამოერკვია. ეს გარემოება ამ სტრიქონების დამწერისთვისაც მეტადრე მას შემდეგ გახდა საგრძნობი, როდესაც იგი „ქართველ ერის ისტორიის“ ახალ გამოცემისათვის პროფ. ნ. მარჩის ყველა ნაწერების გულდასმით შესწავლას შეუდგა, რომ ამ თეორიის მკაფიო დახასიათება და შეფასება თავის ზემოდასახელებულ თბზულებაში შეეტანა.

პროფ. ნ. მარჩი იმ ხანაში, როდესაც ქართულის სემურობას ურყვე კეშმარიტებად სთვლიდა, მრავალ საკითხს შეჰხებია, ზოგადი ხასიათისაც და

¹ „die (kaukasische Sprachfamilie) sich in ihrem Lautmaterial und in ihrem inneren Aufbau so deutlich unterscheidet von ihren Nachbarinnen indogermanischer, semitischer und uralo-altaischer Prägung, dass wir sie trotz des auffälligen Auseinanderstrebens ihrer einzelnen Glieder als eine sprachliche Einheit auffassen dürfen. Vortäufig wenigstens und als Arbeitshypothese. Wenn es sich später herausstellen sollte, dass keine Einheit, sondern eine Dreiheit ist, die durch gegenseitige Beeinflussung und Konvergenzerscheinungen anderer Art eine solche Einheitlichkeit nur vortäuscht, so werden wir uns mit dieser Tatsache eben abzufinden haben“ (გვ. III).

კერძოსაც, ამასთანავე ხშირად, ამა-თუ-იმ კერძო ხასიათის საკითხის განხილვის დროს, ავტორს გაკვრით ფრიად მნიშვნელოვანი საკითხებიც აქვს ხოლმე გადაკრილი.

ქვემომოყვანილ მიმოხილვაში შესწავლილია პროფ. ნ. შარჩის მხოლოდ ზოგადი შეხედულებანი. დასახული მიზნის გასაადვილებლად, ქვემომოყვანილ მიმოხილვაში შემდეგი საკითხებია გამოყოფილი და გამოკვეთილი: როგორ ეხატებოდა აკად. ნ. შარჩს 1) ნათესავობრივი დამოკიდებულება ქართულ-სემურს შორის, 2) ნათესავობრივი დამოკიდებულება ქართულსა, მეგრულსა, ქანურსა და ხვანურს შორის და რა აზრისა იყო ქართულ სამწერლობო ენაზე. 3) ვანურ-ელამურ ლურხმული წარწერების ენები და მათი თანამედროვე წარმომადგენლები.

პირველი საკითხის შესახებ პროფ. ნ. შარჩში თავისი აზრი 1908 წელს დაბეჭდილ ნაშრომში „ძირითად ტაბულებ“-ში გამოაქვეყნა. თავისი თეორიის ძირითადი დებულება მას ასე აქვს გამოთქმული: „ქართული ენა ყველაზე უფრო დამახასიათებელ წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს განსაკუთრებულ ენათა შტოსა, რომელიც თავის მხრივ შთამომავლობით ხემიან ენათა შტოს მონათესავეა. ამ განსაკუთრებულს ენათა შტოს, ქართულსა და ქართულთან ძმურად დაკავშირებულ ცოცხალ კილოკავებს (наряду) გარდა, ე. ი. ეგრეთ-წოდებულ ქართულ, ან ივერული ჯგუფის გარდა (უფრო სწორედ რომ ვსთქვათ ქართვების, ივერულ და სვანურ ჯგუფების გარდა), მკვდარი ენებიც ეკუთვნიან“-ო (O. T. 1)¹.

მაშასადამე, ნ. შარჩს ქართულსა და მის დიალექტებს და სემურ ენათა ჯგუფს შორის ნათესავობრივი დამოკიდებულება იმდენად მკიდროდა მკონდა წარმოდგენილი, როგორადაც ერთი საგვარეულო ხის ორი მახლობელი შტო შეიძლება ურთიერთზე იყოს დაკავშირებული, ამავე აზრისა იყო იგი 1910 წ-საც და ამ დროს გამოქვეყნებულს ლაზური ენის გრამატიკაში იგი წინანდებურად ამბობდა, რომ „ქართულის მონათესავე ენები, რომელნიც ქართულთან ერთად ერთ იაფეტურ შტოს შეადგენენ... შთამომავლობითი ნათესავობით დაკავშირებულნი არიან მეორე, სემურ შტოსთან“ (Грам. лаз. яз. IX). ამ თავის აზრის სიცხადით წარმოსადგენად ავტორმა ენათა შთამომავლობითი ხეც-კი შეადგინა, შტოებად დაანაწილა და თავის ზემოაღნიშნულს წიგნს დაურთო.

ამგვარად, შარჩისათვის იაფეტიანთა ენები (ქართული და მისი მონათესავენი) მხოლოდ შტოს შეადგენდენ, იმგვარსავე შტოს, როგორიც სემურ-ქამური ენებია. ამაზე უმკიდროესი კავშირის წარმოდგენა, მაშასადამე, შეუძლებელია.

¹ „Груз. яз. является характернейшим представителем особой лингвистической ветви, которая в свою очередь находится в генетическом родстве с семитической ветвью языков. В эту особую ветвь... входят кроме грузинского и братски связавших с ними живых наречий, т. е. кроме так называемой картвельской или вьерской группы (точнее картской, вьерской и сванской групп) еще и мертвые языки“. Н. Марр. Основ. Таб. 1908 г. стр. 1).

1916 წ-ს პროფ. ნ. მარჩი ჯერ საჯაროდ კითხულობს, ხოლო შემდეგ ბეჭდავს კიდეც „კავკასიისმცოდნეობა და აზნაურნი ენა“ „Кавказоведение и азербайджанский язык“, სადაც ამ ხაგანზე ხრულებით ახალი აზრია გამოთქმული: „კავკასიის ენების შესწავლამ საშუალება მოგვცა განსაკუთრებული, მეოთხე ენათა ოჯახი გამოგვეყო, — იაფეტური, — რომელსაც არც არიულ-ევროპულ და არც თურქულ ენათა ოჯახთან ნათესაობა არა აქვს, ხოლო რომელიც სისხლმონათესავე არის სემიან ენათა ოჯახისა („находится в кровном родстве с семитической семьей языков“). ეს ნათესაობა იმდენად მჭიდროა, რომ ამ თეორიის დამაარსებელი („основатель этой теории“), ამ სტრიქონების ავტორიო, ამბობს ნ. მარჩი, თავდაპირველად და მას შემდგომ კარგა ხანს, თითქმის 1910 წლამდე, ფიქრობდა კიდეც, რომ სემური ენები იაფეტთან და ქამიანთა ენებთან ერთად ენათა შოლოდ ერთს, საზოგადო ოჯახს შეადგენდნენ. იქნებ შემდეგში ასეც აღმოჩნდეს, მაგრამ ამჟამად იაფეტური ენების შემადგენლობა იმოდენად რიცხვმრავალი შეიქმნა, რომ იძულებული ვართ ეს ენები ორ დიდ შტოდ გავყოთ და ერთ დამოუკიდებელ იაფეტურ ენათა ოჯახად შევაერთოთ“-ო (ЖМНПр. 11 — 12)¹.

მაშასადამე, თვით თეორიის დამაარსებელმა თავისი ძირითადი შეხედულება პირველი და ამახთანავე არსებითი საკითხის შესახებ თვალსაჩინოდ შესცვალა: თუ წინათ მისი აზრით ქართული და ქართველური ენები, სემური ენათა ჯგუფებთან შედარებით, ენათა საერთო შთამომავლობითი ხის შოლოდ ერთ-ერთ შტოს შეადგენდნენ, ეხლა ქართული და მისი მონათესავენი მისთვის უკვე „ენათა განსაკუთრებული ოჯახი“ არის, იმგვარადვე განსაკუთრებული, როგორც არიულ-ევროპული, თურქული და სემური ენათა ოჯახებია. ამიტომაც არის, რომ ნ. მარჩი ეხლა ამბობს, რომ „კავკასიის ენების შესწავლამ“ მას საშუალება მისცა „განსაკუთრებული, მეოთხე ენათა ოჯახი“ გამოეყო. მსოფლიოს ენათა შორის მეცნიერებაში კარგად ცნობილია ინდოევროპული, ან როგორც ნ. მარჩს ნათქვამი აქვს, არიოევროპული, სემური და თურქული ენათა ოჯახები და ამგვარად, ცხადია, თეორიის ავტორისათვის უნდა გამოაშკარავებულიყო, რომ ქართულისა და მის მონათესავე ენათა იმ ოჯახის წევ-

¹ „Изучение языков Кавказа... дало возможность выделять особую четвертую семью языков, яфетическую, которая не имеет родства ни с арновропейской семьей, ни с турецкой семьей, но находится в кровном родстве с семитической семьей языков. Родство это настолько тесно, что основатель этой теории, автор настоящих строк первоначально и долго еще, почти до 1910 года, предполагал, что семитические языки с яфетическими и хамитическими составляют лишь три ветви одной общей семьи языков.“

Может быть это так и окажется со временем, но в настоящее время так разросся состав яфетических языков, что приходится их делить на две большие ветви и объединять их в одну самостоятельную семью — яфетическую“.

(Н. Марр. Кавказоведение в азерб. яз. 1916 г. ЖМНПр. 11 — 12).

რებს, რომელსაც ნ. მარრი იაფეტურ ენათა ოჯახს უწოდებს, ურთიერთ-შორის იმოდენი საერთო თვისებები აქვთ, ხოლო სხვა ენათა ოჯახებთან შედარებით იმდენად თვალსაჩინო და დამახასიათებელი განმასხვავებელი თვისებები აბადიათ, რომ ამ ენათა ჯგუფის ნათესაობრივი დამოკიდებულება სხვა ენებთან ერთი-ერთმანეთზე გადაბმული შტოების სახით-კი არ უნდა გვეხატებოდეს, არამედ დამოუკიდებელ, „განსაკუთრებულ“ ენათა ოჯახად.

მაგრამ პროფ. ნ. მარრს თავისი აზრის შეცვლა ასე-კი არა აქვს დასაბუთებული, არამედ სულ სხვანაირად. მისი ზემომოყვანილი მსჯელობის კათეგორიული ხასიათისდა მიუხედავად, **ეს საბუთიანობა არც უცილობელი იყო, არც დამაჯერებელი.** იგი ამბობდა: „ამ ჟამად იაფეტური ენების შემადგენლობა იმოდენად რიცხვმრავალი შეიქმნა, რომ იძულებული ვართ ეს ენები ორ დიდ შტოდ გავყოთ და ორივე შტო ერთ დამოუკიდებელ, იაფეტურ ენათა ოჯახად შევაერთოთ“-ო. **ავტორის შეხედულების შეცვლის ერთად-ერთი საფუძველი, მაშასადამე, იაფეტურ ენათა რიცხვმრავლობა ყოფილა.** ამგვარი საბუთიანობა, სხვა არა იყოს რა, დაუჯერებელია. განა ოჯახის შექმნა რიცხვზეა დამოკიდებული და სამ ძმას რომ კიდევ ძმები მიემატნენ, განა ამით სხვა ნათესაებთან მათი ნათესაური დამოკიდებულების თვისება შეიცვლება? იგივე უნდა ითქვას ზემომოყვანილი მსჯელობის შესახებაც. **თუ იაფეტურ ენათა თვისებები ნ. მარრის აზრით იგივე რჩებოდა, როგორცაა მახ წინათ ეგონა, და იაფეტურ ენათა ხემურ და სხვა ენებთან დამოკიდებულება იგივე იყო, რანაირიც წინათ იყო, როგორ შეეძლო მარტო იმ გარემოებას, რომ იაფეტურ ენათა შემადგენლობას რამდენიმე ახალი ენა მიემატა, იაფეტური ენები შტოს მაგიერ ოჯახად ექცია?** განა ენათა რომანული და გერმანული შტოები განსაკუთრებულ ენათა ოჯახებად გახდებოდნენ, ერთერთს მათგანს რომ რამოდენიმე ახალი მოძმე ენა შესძენოდა? ამიტომვე პროფ. ნ. მარრის მიერ თავისი თეორიის ძირითადი ცვლილების გასამართლებლად მოყვანილი ეს საბუთიანობა საფუძველიანი არ არის. ორში ერთი შეიძლება იყოს: ან პროფ. მარრი უნდა დარწმუნებული ყოფილიყო, რომ მისი წინანდელი შეხედულება ქართულისა, იაფეტურ-სემურის მახლობელ ნათესაობისა და ამ ჯგუფების ენათა თვისებების შესახებ უნდა უეჭველად შეცვლილი ყოფილიყო, ანდა, თუ მას თავისი აზრი შეცვლილი არ ჰქონდა, მისი მსჯელობა იაფეტური ენების განსაკუთრებულ მეოთხე ენათა ოჯახად ქცევის შესახებ, ვითარცა დაუსაბუთებელი, არ შეიძლება დამაჯერებელი ყოფილიყო.

საფიქრებელია, რომ პროფ. მარრმა წინანდელი დებულება იმიტომ შესცვალა, რომ ქართული და ქართველური ენების გაღრმავებულმა შესწავლამ აგრძნობინა, რომ „იაფეტურ“ და სემურ ენათა იმგვარად მახლობელი ნათესაობა, როგორც მას თავდაპირველად ეგონა, საკმის ნამდვილს ვითარებას არ შეესაბამებოდა, რომ პირიქით „იაფეტურ“ ენებს ურთიერთს შორის ისეთი საერთო დამახასიათებელი თვისებები აქვთ, რომელნიც მათ სხვა ენათა ოჯახებს თვალსაჩინოდ აშორებენ და ცალკეულ, განსაკუთრებულ ენათა ოჯახად ხდიან. მაგრამ რაკი ასეთი დასკვნა თითქმის მთელი თეორიის გაქარწყლებას მოასწავებდა და ამის მკაფიოდ გათვალისწინება ავტორისათვის, რასაკვირველია

ადვილი არ იყო, ამიტომ პროფ. მარრი ცდილობდა თავისი თავიცა და მკითხველიც დაერწმუნებინა, რომ მისი თეორიის ცვლილება არსებითი-კი არა, არამედ სრულებით უმნიშვნელო და მეორეხარისხოვანი იყო.

აწრთა დიდი სხვადასხვაობა და ცვალებადობა ემჩნევა პროფ. ნ. მარრს ქართულისა, მეგრულ-ქანურისა, სვანურისა და აბხაზურის თავისებურებათა და ურთიერთისაღმი დამოკიდებულების დახასიათების დროსაც.

1908 წელს მაგ. იგი ამბობდა, რომ იაფეტურ ენათა შტოს საუკეთესო და დამახასიათებელ წარმომადგენლად „ქართულსა და მასთან ძმურად დაკავშირებულ ცოცხალ კილოკავებს (наречия) გარდა, ესე იგი ეგრეთ-წოდებულ ქართველისა და იბერთა ჯგუფის (უკეთ რომ ითქვას ქართველისა, იბერთა [იგულისხმე მეგრულ-ქანური] და სვანთა ჯგუფებს) გარდა, მკვდარი ენებიც შედიან“-ო (Основ. Т. გვ. 1). მაშასადამე, იმ დროს, როდესაც თავისი თეორიის ძირითადი დებულებანი პირველად გამოაქვეყნა, ნ. მარრისთვის მეგრული, ქანური და სვანური ქართული ენის „ძმურად დაკავშირებული ცოცხალი კილოკავები“, დიალექტები იყო მხოლოდ.

ქართულის შესახებ 1910 წელს პროფ. ნ. მარრი ამტკიცებდა: „ქართულში... როგორც ცნობილია, ორი ურთიერთის ახლო მონათესავე ენაა შედუღებული ქართველისა და მესხთა“-ო (Грам. чан. яз. XXI). 1912 წ.-ს-კი მას ნათქვამი აქვს, რომ „ქართულს, ვითარცა სამწერლობო ენას და საზოგადოდ კულტურულ წრეების ენას, შეთვისებული აქვს, ქართველის ენასთან ერთად, აგრეთვე თუბალ-კაინური (ე. ი. მეგრულ-ქანური), ამასთანავე სვანური და სხვა ელემენტებიც“-ო (К вопросу о положении абхазского языка среди ифетических. 1912 წ. II, შენ. 2)¹.

პროფ. ნ. მარრის შემომოყვანილი დებულებების შემდგომ, მკითხველი სამართლიანად გაოცებული იქნება, როდესაც მისსავე 1912 წ. საჯაროდ წარმოთქმულსა და დაბეჭდილ სიტყვაში „კავკასია და ხულიერი კულტურის ძეგლები“ („Кавказ и памятники духовной культуры“) იმავე ავტორის ამგვარ მსჯელობას შემხვდება: „ქართველთამცოდნენი, ქართულ ნაციონალურ შეხედულებაზე დამყნობენი, უგულებელს პოფდენ მთელ რიგს ქართულის, თუმცა მონათესავე, მაგრამ დამოუკიდებელ ენებს, როგორც მაგ. სვანურს, მეგრულს, ქანურს და მათ ქართულის «დამახინჯებულ» თქმად, ანუ დიალექტებად ხვდებიდენ“-ო (ИАН. 1912 წ. გვ. 78)².

¹ „Все картское есть грузинское, но не все грузинское — картское. Картский язык — чистый представитель картской группы, а грузинский, как литературный язык и вообще язык культурных классов, содержит и тубал-кавказские, равно сванские и иные элементы“ (Н. Марр. К вопросу о положении абхазского языка среди ифетических. СПб. 1912 г. II. Шен. 2).

² „Одни, грузиноведы, исходя из представлений, основанных на грузинских националистических взглядах, игнорировали ряд явно родственных с грузинским, но самостоятельных языков, как-то сванский, мивгрельский, чанский, считая их „искаженными“ говорами или наречиями грузинского“.

(Н. Марр. Кавказ и памятники духовной культуры. Речь 1911 г. И. А. Н. 1912 г. გვ. 78).

ავტორს, როგორც ჩანს, დაჰფიქვებია, რომ ამგვარივე „ნაციონალისტური“ შეხედულება მასაც შეიძლება და 1905 და 1908 წ.-ში შეგროვილი, ქართული და სვანური მასაც ქართულის ცოცხალ კოლოკაციებად მიაჩნდა. ამ რას ამბობდა იგი სახელდობრ 1905 წ.: „თუმცა მეგრული ენა ლინგვისტიკურად თავისებური ენა არის, ქართულის ძმა ენა... და მისი შესწავლა გვიქადის ქართველთა ეროვნული ხულის შორიზონის (ასეა დაბეჭდილი) გაფართოებას, ჩვენი დედანის შეგნებას და განვითარებას... მაგრამ ადგილობრივი კულტურული ისტორიის გათვალისწინებით იგი გახლავს დიალექტი, ან უკეთ, როგორც ფრანგები იტყვიან, *პატუა* (patois). არც საფრანგეთში, არც გერმანეთში, არც ინგლისში და არც რუსეთის სახელმწიფოში, გარდა სამეგრელოსა, არავის ხელუყვია იმდენი მწერლობის შექმნა, რამდენი დიალექტი და *პატუა* მოიპოვება ხსენებულ ქვეყანაში, თუმცა მათი თვისებურ-ენობა ლინგვისტიკურად დამტკიცებული იყოს“-ო (ნიკო მარტი ვაზ. „ცნობის ფურცელი“ 1905 წ. №2773).

მაშასადამე, ავტორისავე მსჯელობით მეგრული სამწერლობო, ზოგადი ქართულის დიალექტია, მარტო ნაციონალისტური აკვიატებული აზრისა და დაჟინების გამო-კი არა, როგორც ის ზემომოყვანილ წერილში ვილაცას უსაყვედურებდა: არამედ თვით პროფ. მარტი-ვუ ავტორიტეტული დახკვნით, კულტურის ისტორიის თვალთახრისითაც ეს დებულება მასაც უცილობელ ქეშმარიტებად მიაჩნდა.

შემდეგ, 1915 წ. ქართული ენისა და ბუნებრივი კოლექტივის საზოგადო დახახიათება პროფ. ნ. მარტი-ვუ კვლავ შესცვალა. ქართულ-მეგრულ-სვანურის ურთიერთშორისი დამოკიდებულება ეხლა უკვე ამგვარად აქვს წარმოდგენილი, ქართული შემკრებელობითი ერთეული „არსებითად შესდგება ხალხების სამი ისეთი ჯგუფისაგან, რომელნიც სამს სხვადასხვა, მაგრამ მონათესავე ენას ლაპარაკობენ, სახელდობრ, ქართველებსა, იბერთა (აწ მეგრელებსა და ლაზებსა) და სვანებსაგან. ამ სამ ხალხს ერთი-ერთმანეთს შორის ტომობრივადაც და ენის მხრივაც დაახლოვებით იმგვარივე დამოკიდებულება აქვთ, როგორც რუსებს, პოლონელებსა და ჩეხებს, მხოლოდ ერთი ეროვნული კულტურით არიან შეკავშირებულნი-ო (Кавказский культурный мир и Армения, 1915 წ. გვ. 22—23)“. მაშასადამე აქ უკვე ქართველები, მეგრელები და ქანები ტომობრივადაც და ენის მხრითაც სამს დაახლოვებით იმგვარსავე განცალკევებულ ხალხს შეადგენენ, როგორც რუსები, პოლონელები და ჩეხები.

აკად. ნ. მარტი-ვუ დებულებათა ესოდენი ცხადი წინააღმდეგობა, ახალი ხაზრობის გამოქვეყნების დროს თავისივე წინანდელი ნაწერების წინააღმდეგ მივიწყებისა და ზოგადი ენათმეცნიერების ამ საკითხის შესახები მოძღვრების სრული

* „Грузинский природный коллектив“... (стр. 22) представляет собою в основном ядре группу трех народов, говорящих на трех равных, но родственных языках, именно грузин, или картвелов, (в основе вартов), шверов (ныне мывгредельцев и лазов) и сванов. Эти три народа этнически и лингвистически находятся приблизительно в отношениях русских, поляков, и чехов, но объединены одной национальвой культурой“.

(Н. Марти. Кавказский культурный мир и Армения 1915 г. стр. 23).

გაუთვალისწინებლობის შედეგია. ეს საკითხი, როგორც ცნობილია, ზოგად ენათმეცნიერებაში ვრცლად არის გაშუქებული და ამიტომ ამაზე სიტყვის ვაგრძელება არ ღირს.

ზოგადი ენათმეცნიერების მოძღვრებას რომ თავის დროზე თვით აკად. ნ. მარრიც მისდევდა, ჩვენ უკვე საკმაოდ დაერწმუნდით. ეხლა-კი ხაშუალება გვაქვს გამოვარკვიოთ, რომ-წინანდელი რწმენისა, თუ შეხედულების შეცვლის შემდგომაც, მას კვლავ უმჯობესად იმავე დებულების გაზიარება მიუჩრევია, რომელიც ზოგადს ენათმეცნიერებაში უცილობელ კემშარიტებად ითვლება.

1922 წ. ლენინგრადში, აღმოსავლეთის კოცხალი ენების ინსტიტუტი რომ დაარსდა და ქართულსა და სომხურს იქაც ჰქონდა ადგილი დათმობილი, ქართული ენის პრაქტიკული კურსის შესავალ ლექციაში ამავე წელს 18 იანვარს თავისი ახალი მსმენელებისათვის აკად. ნ. მარრს შემდეგი საგულისხმო დებულება წაუყენებია: „უაღრესად აღსანიშნავია, რომ კავკასიის მრავალრიცხოვან ენათა შორის, მათი საზოგადოებრივი მნიშვნელობის თვალსაზრისით, ზოგი ენები ტომობრივია, ზოგი-კი ეროვნული ენებია“ (Н. Марр. К изучению современного груз. языка. Петроград. 1922 г., Петроградский Институт живых восточных языков, გვ. 13—14)¹. „ქართული დღევანდლამდე ტომობრივი-კი არა, არამედ ეროვნული ენაა... ქართული საზოგადოდ კავკასიის საზოგადოებრიობის ენაა, კავკასიის ტერიტორიის მნიშვნელოვან ფართობზე გავრცელებული, ისეთ ტომებსა და ერებს შორისაც-კი, რომელნიც ტომობრივ წარმოშობილობით, ან და თავიანთი პრაქტიკული ყოფა-ცხოვრებით მათზე სრულებით შორსა დგანან, ამასთანავე სარწმუნოებისდა მიუხედავადაც. ქართულად ლაპარაკობს კავკასიის მთიანეთის სამხრეთი ფერდობების ოსთა მოსახლეობის დიდი ნაწილი, აბხაზთა ერის გარკვეული ფენები ისევე, როგორც საქართველოს საზღვრებში მოძინადრე სომხებიც... აგრეთვე ლეკების ერთი ნაწილი, სახელდობრ

¹ „важно отметить, что в многочисленных языках Кавказа есть языки племенные и языки национальные с точки зрения их общественного значения... (გვ. 11). Груз. язык в понятии не племенной, а национальный язык... Груз. язык это вообще язык кавказской общности на значительной территории Кавказа, не исключая и тех племен и народов, которые далеки от какого-либо или от заметного в практической жизни племенного родства и независимо от религии. По грузински говорят и добрая часть осов (осетин) на южном склоне Кавказ. гор, известные слои абхазского народа, равно все оседлые в пределах Грузии армяне... и также некоторая часть лезгин, именно дидо и также турок... Сравнительно с прошлым груз. язык конечно потерял ряд позиций кавказского международного языка; тем не менее у него, у груз. национального языка, и сейчас все думнее одного из немногих международных языков Кавказа... Груз. национальный язык обладает, вместе с международностью в масштабе кавказской общности, исключительной демократичностью. Оба эти качества... результат громадной культурной работы... В этой работе принимали участие не один груз. народ, не одно груз. племя, не один слой груз. народа. Груз. язык в известной мере синтез кавказской культурной жизни, стремившейся создать себе единый общественный язык в в. древности“... (Н. Марр. К изучению современного груз. языка. Петроград. 1922. Петроградск. Инст. восточных языков, გვ. 13 — 14).

დიდოელები, და თურქებიც-კი... წარსულთან შედარებით ქართულს, ვითარცა კავკასიის საერთაშორისო ენას, ზოგიერთი ადგილები (პოზიციები), რასაკვირველია, დაკარგული აქვს, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ქართული ეროვნული ენა ამჟამადაც კავკასიის მცირერიცხოვან საერთაშორისო ენათაგანის ყველა თვისებების მქონებელია... კავკასიის საზომიან საერთაშორისობასთან ერთად, ქართულ ეროვნულ ენას განსაკუთრებული დემოკრატიულობაც გააჩნია. ორივე ეს თვისება... უზარმაზარი კულტურული მუშაობის ნაყოფია... ამ შემოქმედებაში მონაწილეობას ქართველი ერის მარტო ერთი ფენა, მარტო ერთი ქართველი ტომი, მხოლოდ ქართველი ერი არ იღებდა. ქართული ენა ნაწილობრივ კავკასიის კულტურული ცხოვრების, რომელიც ძველადაც ერთი საზოგადოებრივი ენის შექმნას ცდილობდა, სინთეზიც არის"-ო (იქვე გვ. 13—14).

აკ უველაფერი ნ. მარტისათვის ისეთი ჩვეულებრივი ნიჭითა და მკერმეტყველებით არის ნათქვამი, რომ არაფრის დამატება საჭირო არ არის, მაგრამ ამის შემდგომ ქართული ენის ნამდვილი რაობის შესახებ მსჯელობის გაგრძელებაც, ვგონებ, სრულებით ზედმეტი იქმნებოდა.

გარკვეული დროითგან აკად. ნ. მარტის მუდამ ახალის ძიებისადმი მისწრაფებას, როგორც დავრწმუნდით, მარტო ქართულისა და ქართველურის შესწავლა აღარ აკმაყოფილებდა. მის დაუღალავ ცოდნისმოყვარეობას უკვე ლურსმული წარწერების გამოუცნობელი ენების შესწავლის პერსპექტივები ჰხიბლავდა. მართალია, წინათაც, სხვა მეცნიერებსაც, გამოუოქვამთ მოსაზრება, რომ ამ წარწერების ენა კავკასიის ენებთან უნდა იყოს დაკავშირებული, მაგრამ მათ არც ქართული და არც კავკასიის ენები არ იცოდნენ და ამის გამო მათი მსჯელობა შეუძლებელია სათანადოდ ნაყოფიერი ყოფილიყო და სხვებისათვის დამაჯერებელი გამომდგარიყო. აკად. ნ. მარტის ამ დარგში დიდი ცოდნა და ნიჭი საშუალებას მისცემდა მას ეს მნიშვნელოვანი საკითხი გამოერკვია.

მართლაც, ელამური წარწერების შესწავლის შემდგომ, პროფ. ნ. მარტის არც ის საკითხი დაუტოვებია განუხილველი, თუ რა ნათესაობრივი დამოკიდებულება არსებობს ლურსმულ წარწერების ენათა და „იაფეტურ“ ენათა შორის. 29 დეკემბერს 1912 წელს დაიბეჭდა მისი 1911 წელს წარმოთქმული საზეიმო სიტყვა, რომელშიც სრული უეჭველობით გადაწყვეტილია, რომ „აღმოსავლეთის იმ იაფეტოანებთან, (რომელნიც) მიდიისა და ელამის სამზღვრებში (ბინადრობდნენ), თავიანთი ენის ფონეტიკური და მორფოლოგიური ბუნებით განუყრელად დაკავშირებულნი არიან... მეგრელები და ლაზები, ძველ დროს იბერებად და ქანებად, უფრო ძველად ტიბარენებად და კაინელებად“ წოდებულნიო (И. А. Н. 1912 წ. გვ. 80). მაშასადამე, ავტორის აზრით, ელამურ—მიდური ენების თანამედროვე წარმომადგენელი მეგრულ-ქანური ყოფილა.

ორი წლის შემდგომ-კი თვით პროფ. ნ. მარტის თავისივე შემომოყვანილი აზრი ეტყობა ისე საფუძვლიანად დაჭვიწყებულია, რომ 1914 წ. უკვე ამბობდა: „ლურსმული წარწერების გამოუცნობ ენებში ჩვენ სრულებით არც გვიძებნია და არც ვეძებთ არც ქართულს, არც მეგრულს, არც ქანურს, არც სვანურს, არც აბხაზურს, არც წოვა-თუშურს, ან ჩაჩურს (ქისტურს), არამედ პირიქით იმ დამოუკიდებელ და მხოლოდ მონათესავე ენებს, რომელნიც ჩვენ ლინგვის-

ტიკურ კნობებისდა მიხედვით გვაკლია“-ო (Опред. языка второй категории: И. Р. А. О. 1914 წ. გვ. 40). ავტორის ზემომოყვანილივე სიტყვები ცხადყოფენ, რომ, თუ პროფ. ნ. შარრი მართლაც არ ეძებდა, მხოლოდ იმიტომ, რომ მისი აზრით მაშინ საძებნელი არაფერი ჰქონდა და იგი თითონაც სრულებით დარწმუნებული იყო და საზეიმოდ შეგრებილ თავის მსმენელებსაცა და მკითხველებსაც არწმუნებდა, რომ ელამურ-მიდურის თანამედროვე წარმომადგენელი სწორედ შეგრულ-ქანურია.

იყო დრო, როდესაც აკად. ნ. შარრი იაფეტურ ენათა უძველესი განხაზიერების ნაშთს, ხან მეგრულში, ხან ქანურში, ხან სვანურში, ხან აბხაზურში პოულობდა და ამისდა მიხედვით ხან ერთში, ხან მეორეში სემურ ენებთან უმახლობელესად დაკავშირებულ თვისებებს ეძებდა ხოლმე და ამჩნევდა კიდევ მაგრამ შემდეგში თითქმის თითოეული მათგანი ცოტად თუ ბევრად ნარევი ენად ერგენა და ამის გამო არც ერთი მათგანი იაფეტურ-სემიანთა ენების განსაკუთრების მახლობლობას ერთიერთმანეთთან საგანგებოდ არ ცხადყოფდა. პირიქით ყოველი ახალი ნაკადული, რომელიც ქართულთან არის დაკავშირებული, ანუ იაფეტურ ენათა ჯგუფს ეკუთვნის, სემურთან შემაკავშირებელ თვისებებს არ ამჩნევდა, არამედ სემურისაგან დამაშორებელ და განმასხვავებელ თვისებებს სულ უფრო და უფრო ამქადავებდა.

პროფ. ნ. შარრის სემურ-იაფეტურ თეორიისათვის ამაზე უფრო ძლიერ და ცხად გამომცდელ გარემოებად უნდა ვანურ-ელამურ ლურსმულ წარწერათა ენის შესწავლის შედეგი ყოფილიყო. მართლაც-და, თუ ქართულ სამწერლებო ენის უძველესი ძეგლი ჯერ-ჯერობით მე-V-ე ს.-ზე (ქ. შ.) უწინარესი აღმოჩენილი არ არის, ხოლო მეგრულ-ქანურ-სვანურ-აბხაზური მხოლოდ ებლანდელი სახით შეგვიძლიან შევისწავლოთ, ზემოაღნიშნული ლურსმული წარწერების ენის შესწავლა ხომ მეცნიერს VIII—VII ს. ს.-ის (ქ. წ.) ენის ძეგლის შეძენას უქადდა. იმიტომ სრულებით ბუნებრივი და კანონიერი იყო პროფ. ნ. შარრის მისწრაფება, ეს ლურსმული წარწერებიც წაეკითხა და მათი ენაც თავის თეორიის თვალთსაზრისით შეესწავლა. ცხადია, რომ ეს ცდა ამავე დროს ამ თეორიის თითქმის უკანასკნელ, ბედობლის გადამჭრელ, გამოცდად უნდა ქცეულიყო იმიტომ, რომ, თუ პროფ. ნ. შარრის თეორია სამეცნიერო ჭეშმარიტების უტყუარი გამოხატულება იყო, მაშინ უეჭველია ქართულ და ქართველურ ენათა რაც უფრო უძველესი ძეგლი გვექნება ხელთ, ამ ძეგლების ენა თავის ყველა თვისებებით სულ უფრო და უფრო სემურ ენებს უნდა მიმსგავსებოდა.

ნამდვილად-კი ლურსმული წარწერების ენის შესწავლამ სრული სიცხადით გამოარკვია, რომ, დაახლოვების მაგიერ, მსჯელობა მხოლოდ სემურ-იაფეტურ ენათა დამორებაზე და განკერძობითოს თვისებებზე შეიძლება იყოს.

ამის მაგიერ, რომ ზემოაღნიშნული გარემოებითგან ლოგიკური დასკვნა გამოეყვანა, მან თავისი თეორიის გადასარჩენად შემდეგი დებულება წამოაყენა: „**იაფეტური ენები უძველეს ხანაშევე განვითარების იხეთ საფეხურზე იდგენ, რა საფეხურსაც მიაღწიეს ყველაზე გაცვეთილმა ინდოევროპულმა ენებმა**“-ო (Кавказ и памятники духовной культуры: ИАН 1912 წ. გვ. 80—81), ავტორი არ უბნინდა მკითხველს ამ უცნაურობას: თუ იაფეტური ენები

უუძველეს დროსვე მორფოლოგიურად ისე გაცვეთილები იყვნენ, როგორც ზოგიერთი თანამედროვე ინდოევროპული ენაა, მაგ. ინგლისურია, როგორც-ღამოხდა, რომ ქართულ სამწერლობო ენას და მეგრულ-სვანურს თავიანთი აგებულება, მისივე განცხადებით, ასე საუცხოვოდ აქვთ შენახული?

უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ იმ დროსვე უკვე, როდესაც „იაფეტური ენები“, რიცხვმრავლობის მოსაბუთებით, შტოს მაგიერ, ენათა ოჯახად გამოცხადდა, აშკარა იყო, რომ მარჩის სემურობის თეორიას ნიადაგი ეცლებოდა, მაგრამ ამ გარემოების დანახვა და შედეგის გათვალისწინება მას არ ჰსურდა. პირიქით, ის ცდილობდა სხვადასხვა დებულების წამოყენებით თავისი თეორია გადაერჩინა. მაგრამ ბოლოს კატასტროფის აცილება მაინც შეუძლებელი შეიქმნა და 1920 წ. აკად. ნ. მარჩი იძულებული იყო თითოწვე აღეარებინა¹, რომ იაფეტური ენათმეცნიერების თეორია ისე, როგორც ის მანამდე ჰქადაგებდა, შეუწყნარებელი გამოდგა და თვითვე უნდა უარეყო.

აი რა აქვს ნათქვამი აკად. ნ. მარჩს ნივთიერი კულტურის ისტორიის რუსეთის აკადემიის სხდომაზე წარმოთქმულ და შემდეგ დაბეჭდილ სიტყვაში, რომელსაც სათაურად ეწოდება „იაფეტური კავკასია და ხმელთაშუა ზღვის ხანაპიროების კულტურის შემოქმედების მესამე ეთნიკური ელემენტი“ „Яфетический Кавказ и третий этнический элемент в созидании средиземноморской культуры“ (Материалы по яфетическому языкознанию, XI, Лейпциг, 1920).

„აღბად იფიქრებთ, რომ იაფეტური ენათმეცნიერების დებულებათა თვალთსაზრისით, ამავე დიდი პრობლემისადმი მიდგომის დროს, მე უკვე გამოქვეყნებულ იაფეტოლოგიურ მიღწეულებებს ვუყრი თავს. დანარჩენ რასებს შორის იაფეტური ტომთათვის მიკუთვნილი ადგილის შესაბამის ჩემ წინანდელ ზოგად დებულებათა მიხედვით, მოსალოდნელი იყო, რომ შევეცდებოდი ისინი ხმელთა-

¹ „При подходе к той-же большой проблеме со стороны... данных яфетического языкознания, естественно, предполагается, я суммирую существующие и печати яфетидологические достижения. В освещении их, можно ожидать, опираясь на прежние мои общие положения о месте яфетического племени среди других рас, я буду искать его признания в качестве третьего элемента в составе творческого населения по побережью Средиземного моря. Для ученого в моем возрасте и положении, ведь в порядке вещей, глубоко падлежит твердо отстаивать то и неизменно держаться того, что он защищал и укреплял десятки лет. В этом смысле мой сегодняшний доклад может вызвать разочарование. Если-бы я разделил точку зрения неизбежности раз установленных когда-то совершенно правильных научных достижений, то это было-бы убийственным ударом по всему моему научному прошлому. Я вынужден сам изменить всю основу, если не выбросить, то перевернуть и переместить тот фундамент, на котором, заложенным усилиями моих слабых рук..., эволюционно возводились ряд за рядом вкладки, слой за слоем стены нового здания—яфетического языкознания. В этом смысле сегодня, если я не вынимаю из всей моей тридцатилетней научной работы душу, то разрушаю все ею одухотворенное, архитектурно возведено, синтез, однокладываю все построение, как оказавшееся несостоятельным, бездеятельным полноте знания ставших впоследствии известными яфетидологических материалов (Н. Марр. Яфет. Кавказ 8).

შუაზღვის სანაპიროების შემოქმედ ტომობრივ მოსახლეობაში მესამე ელემენტად ყოფილიყვენ ცნობილი. ჩემ ხანში და მდგომარეობაში მყოფი მეცნიერისათვის ხომ ბუნებრივია და განხაკუთრებით სავალდებულოა მტკიცედ დავიცვა და შეუცვლელად მივდეგდე იმას, რასაც ათეული წლების განმავლობაში ვიცავდი და ვამტკიცებდი. ამ მხრივ შესაძლებელია დღევანდელმა ჩემმა მოხსენებამ მსმენელს გული გაუტეხოს. მე რომ ერთხელ განმტკიცებულ, ოდესღაც სრულებით სწორ, სამეცნიერო მიღწეულობათა შეურყეველობის თვალსაზრისს ვიზიარებდე, მაშინ ეს მთელი ჩემი წარსული სამეცნიერო მოღვაწეობის გამანადგურებელი იქმნებოდა. იძულებული ვარ თითონ მევე შევცვალო მთელი ხაფუშველი და თუ (მთლად) არ გადავუარო, გადავებრუნო და გადავდგადმოვდგა ჩემი ხუსტი ხელების ძალღონით ჩაყრილი ის ხაძირკველი, რომელზედაც ევოლუციურად, რიგ-რიგად, ფენის-ფენისად ამოყვანილი იყო ახალი შენობის, იაფეტური ენათმეცნიერების, კედლების ნაშენობა. ამ მხრივ, თუ დღეს მე მთელს ჩემს ოცდაათი წლის სამეცნიერო მუშაობას ხულს არ ვართმევ, მაინც ვანგრევ ყველაფერს, რაც მისით ხულჩადგმულია და ბუროთ-მოძღვრულად შექმნილი, ვამხხვრევ მთელ შენებულებას, ვითარცა შეუწყნარებელად გამომდგარს და შემდეგ აღმოჩენილი იაფეტიდოლოგიური მასალების მოპოებული სრული ცნობებისათვის შეუფერებელს“.

ამგვარად, 1920 წ. იაფეტური ენათმეცნიერების ოცდაათი წლის ნაგები შენებულება თვით მისი ბუროთმოძღვრისა და ამგებელის აკად. ნ. მარრისაგან იქმნა დამხხვრეული. თვით იაფეტურივე თანამედროვე მეცნიერების ფაქტებისათვის შეუფერებელი და შეუწყნარებელი აღმოჩენილა. მას აღარც ხაძირკველი შქონია, აღარც კედლები.

რასაკვირველია, მეცნიერი არც ვალდებულია და არც ამის ზნეობრივი უფლება აქვს, იცავდეს თავის წინანდელ დებულებებს, თუ ისინი შეუწყნარებელი და სრულიად მცდარი აღმოჩნდნენ, მაგრამ მეცნიერებისა და თავის მკითხველის წინაშე ის მაინც მოვალეა თავის თხზულებებში ყოველნაირად აიცილოს თავითგან შეცდომები და ურყევ ქეშმარიტებად არ გამოაცხადოს ის, რაც შესაძლებელია მხოლოდ ჰიპოთეზად იქმნეს მიჩნეული. შეემცდარი, უეჭველია, არავინ არის. რა თქმა უნდა შესაძლებელია მეცნიერი, ყველა გარემოებათა გაუთვალისწინებლობის გამო, შესცდეს, მაგრამ, თუ მკვლევარი თავის დებულებებს მუდამ სცვლის და ბოლოს ოცდაათი წლის შემდგომ იძულებული ხდება მთელი თავისი მთავარი მოძღვრებაც თვითვე შეუწყნარებლად და შეუფერებლად აღიაროს, სრულებით ბუნებრივია, რომ ამან მკითხველთა წინაშე მის ნაწერებს ნდობა დაუკარგოს, რათგან არავითარი გარანტია არ არის, რომ იგივე პირი შემდეგში იძულებული არ იქნება, თავისი შერმინდელი, ახალი დებულებებიც წინანდლებივით უარჰყოს.

ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ მართლაც, იშვიათად თუ მოიპოვება სიტყვა, რომლის ეტიმოლოგიაც აკად. მარრს ორჯერ-სამჯერაც თვითვე შეცვლილი არ ჰქონდეს, იშვიათია თვით მორფოლოგიური საკითხებიც-კი, ენის აგებულების ისეთი მოვლენის შესახებაც, როგორიც მაგ. გრამ. სქესისა, ბრუნვების ნაშენებისა და მრავლობითი რიცხვის ფორმანტების საკითხებია, რომ თავისი დებუ-

ლებანი მას რამდენჯერმე ძირიანად არ შეეცვალოს. ამის დამამტკიცებელი საბუთების მოყვანა აკად. მარჩის ნაშრომებითგან მრავლად შეიძლება და ამოკრებილიც მაქვს, მაგრამ, უადგილობის გამო, უნდა გამოვტოვო. მოვიყვან სანიმუშოდ აქ მხოლოდ მას დებულებებს ქართულისა და ქართველური ენების ჯგუფებად დაყოფის შესახებ.

აკად. ნ. მარჩმა ჯერ ქართების, ტუბალ-კაინურ, ანუ იბერულ და ხონ-მესხურ ჯგუფებად დაყოფა შემოიღო და თითოეულ მათგანს თავისი ხაკუთარი დამახასიათებელი ნიშნები გამოუძებნა. შემდეგ გამოიჩინა, რომ ერთი ჯგუფის დამახასიათებელი ნიშნები მეორეში და ზოგჯერ სხვებშიც ჩანდა. ამიტომ ნ. მარჩმა ტომობრივი სახელების გამოყენება ჯგუფთათვის მიზანშეწონილად არ ხცნო და ყველა იაფეტური ენები სისინა, შიშინა, სპირანტ და სხვა ჯგუფებად დაყო. ეს დაყოფა ამ ენების თანამედროვე თვისებების მიხედვით მოეწყო და თითოეული მათგანი ერთ-ერთ ჯგუფთაგანს მიეკუთვნა, მაგ. ქართული სისინა ჯგუფის წარმომადგენლად, მეგრულ-კანური შიშინასი და სვანური სპირანტის ჯგუფისად ხცნო. ქართულ-მეგრულ-კანურ-სვანურ-აბხაზურის თანამედროვე თვისებათა მიხედვით სისინა, შიშინა, სპირანტ და სხვ. ჯგუფებად გაყოფამაც ვერ დააკმაყოფილა, რათგან ამ ხელოვნურად შეთხზული დანაწილების პრინციპებს ენათა სინამდვილე ბევრგვარ დაბრკოლებას უქმნიდა. 1920 წელს გამოქვეყნებულს შრომაში Яфетический Кавказ-ში¹ („იაფეტურ კავკასია“-ში) ნ. მარჩი იძულებული იყო გულახდილად აღეპრებინა, რომ ამ უმად არაფრის თქმა არ შეიძლება, თუ ჩანაირი თვისებებისა უნდა ყოფილიყო უძველეს დროს და თავდაპირველად მეგრულ-კანური, ქართული და სხვები, შიშინა, სისინა, თუ პირიქით სპირანტული. ამას ჯერ კიდევ გამოიჩინა უნდაო.

რაკი აკად. ნ. მარჩი ყოველი თავის ახალი დებულების კეშმარიტების საბუთად ქართული და იაფეტური ფონეტიკისა და შედარებითი გრამატიკის

¹ В Передней Азии иберы или иверы один из древнейших народов яфетической семьи. На Кавказе они под тем же названием иберов или иверов, сначала это народ с яфетическим языком шивашей группы, а потом так называются грузины — картвелы, народ с яфетическим языком свистящей группы. Но какова была их доисторическая этническая сущность, их первоначальная ирридная речь, шивашая, свистящая или вовсе не свистящая, а сиритная? Это надо еще установить. Племенные их названия известны в многочисленных разновидностях не только по свистящему типу — Sumer (Humer) — Sobel / Subal — Tivar-en, но и по сиритному типу — Ber, собственно Hiber, а как теперь выясняется материалами баскской речи, первоначально — Humer → Kureg. Названия их яфетически, как то разъясняется сочетанием баскских данных с грузинскими, означают «сын» или «дети», обычное слово, используемое у яфетидов для образования племенных названий. Для нас важно отметить, что это племя имеет тотемом, судя по племенному его названию, и светилах повидимому «солнце», а не «луну», если не разлучать с ним Sobel / Subal (Subal), по кажущейся связи с созвучными яфетич. словами, означющими «луну», «месяц», а в металлах «мель», но скрещення-же с другим родственным племенем — «бронзу» (გვ. 36).

კანონებს ასახელებდა ხოლმე, ამ სამეცნიერო დარგების შემკველი წიგნები-კი აკად. მარჩის გამოქვეყნებული არ ჰქონდა, ამიტომ მისი ჰიპოთეზების სისწორის შემოწმება არა სპეციალისტებს არ შეეძლოთ. ამის გამო ბუნებრივია, რომ ყველანი ქართული ენის გრამატიკისა და შედარებითი იაფეტურ-სემურის მისი გრამატიკის გამოქვეყნებას მოუთმენლად შოელოდდენ.

ბოლოს, 1925 წ. გამოვიდა აკად. ნ. მარჩის „ძველი ქართული სამწერლობო ენის გრამატიკა“-ც „Грамматика древне-литературного грузинского языка (Материалы по афетическому языкознанию XII, Ленинград). წიგნი უწინასიტყვაობოდ სულ 244 გვერდს შეიცავს, რომელთაგან 29 გვერდი ფონეტიკას აქვს დათმობილი, ხოლო 215 გვერდზე მორფოლოგია, ენის აგებულებაა განხილული. ამ ნაწილშიც მხოლოდ კანკლედობასა, ზედსართავსა, რიცხვისა და ნაცვალსახელებზე და ზმნაზეა საუბარი. არც მეტყველების სხვა ნაწილები, არც სინტაქსი სრულებით განხილული არ არის. ამნაირად მას ბევრი რამე, მათ შორის ისეთი მნიშვნელოვანი ნაწილიც-კი, როგორც სიტყვათა-წარმოებაა, აკლია.

ნ. მარჩის გრამატიკას არც წინასიტყვაობა აქვს. ამას, რა თქმა უნდა, ისეთი მნიშვნელობა არ ექმნებოდა, რომ წიგნს შესავალიც არ აკლდეს, რომელშიც ქართული ენის წარმოშობილობისა და იაფეტურ ენათა შორის მისთვის მიკეთავნილი ადგილის შესახებ უნდა ყოფილიყო მსჯელობა. წინასიტყვაობისა და შესავლის დაწერაზე უარს ვამბობო (იხ. გვ. V—VI).

ამას გარდა ავტორს აღნაშნული აქვს: **გრამატიკაში დაბეჭდილი პალეონტოლოგიური განმარტებანი უნდა შემოწმებულ და შეთანხმებულ იქმნეს ჩემ უახლოეს დაბეჭდილ ნაშრომებთანაო** (იქვე, გვ. VI)¹. ეს ვაფრობილება მკითხველს დაარწმუნებს, რომ აკად. ნ. მარჩის გრამატიკის შინაოსი თვით ავტორსაც არ აკმაყოფილებდა. ეს თავისი გრძნობა ავტორს პირდაპირ გულახდილად გამოატქმულიც აქვს: სანამ ეს წიგნი გამოქვეყნდებოდა, „ჩაკვდა თვით ის იდეოლოგია, რომელიც იმ ხანის ჩვენ გრამატიკულ ნაშრომებს ხაფუძვლად ედო“-ო (იქვე, IV)².

როდესაც ავტორი თვითვე თავისი თხზულების უკმაყოფილოა, რა უნდა იგრძნოს მისმა წამკითხველმა, ან როგორ უნდა გამოარკვიოს, ავტორის რომელი დებულება უნდა იყოს შემოწმებულ-შეთანხმებული, ე. ი. შესწორებული და, სახელდობრ, რომელ მის უახლეს ნაშრომებთან? თუ ამ საქმისათვის თვით

¹ Я отказываюсь не только от сообщения сведений о происхождении грузинского языка и его месте среди афетических, долженствовавшего составить введение или часть предисловия, но и от составления вовсе предисловия, как я предполагал то сделать, ограничиваясь общим указанием, что все разъяснения палеонтологического характера, в большинстве избранные желкими шрифтами, корпусом и петитом, должны быть сверены и согласованы с новейшими юкми печатными работами по той-же или сродным вопросам“ (Грамм. древн.—лит. груз. яз. 1925, гв. V—VI).

² „Скончалась идеология, лежащая в основе наших грамматических работ той эпохи“ (იქვე IV).

ავტორსაც ვერ ზოუცლია, ან თუ ეს მასაც გასძნელებია, როგორ უნდა მოსთხოვოს ასეთი რამე თავის შკითხველს? მართლაც ავტორის მსოფლმხედველობის შეცვლისა და წინანდელი შეხედულება-განმარტების უკმაყოფილებისა და შეუთანხმებლობის კვალი თვით გრამატიკის შინაარსსაც არაერთგან ემჩნევა. ამის გამო წიგნის ტექსტი აჭრელდება.

ყველა ზემოაღნიშნული დაარწმუნებს ადამიანს, რომ აკად. ნ. მარჩის უკმაყოფილება თავისი გრამატიკით უსაფუძვლო არ არის. ამიტომ შესაძლებელია ითქვას, რომ ამ წიგნმა, რომელსაც სპეციალისტები დიდი ხანია მოუთმენლად ელოდდნენ, არც მოლოდინი და არც იმედი არ გაამართლა, მით უმეტეს, რომ იქ ისეთ ძირითად და მნიშვნელოვან საკითხზე, როგორც ქართული ენის გენეზისია, ავტორს არაფერი აქვს ნათქვამი¹.

ქართულ-მეგრულ-ქანურ-სვანურის შემდგომ, აბხაზურის შესწავლის დაწყებას მისი მოღვაწეობის მიმართულებებისათვის უალრესი მნიშვნელობა ჰქონდა. ჯერ არც ძველი ქართულისა და არც სვანური გრამატიკის კვლევა-ძიება დამთავრებული არ ჰქონდა, რომ ახალი, აბხაზური ენის რთული აგებულების საიდუმლოების გამოკვლევა დაერთო ზედ. ცხადია, რომ შეუძლებელია ამას აკად. ნ. მარჩის მთელი წინანდელი სამუშაო არ შეეფერებინა. ასეც მოხდა: 1925 წ.-დგ, როგორც აღნიშნული გვექონდა, ძველი ქართ. ენის მისი გრამატიკა არ გამოქვეყნებულა, სვანური ენის გრამატიკა ხომ დღევანდლამდეც არ დაბეჭდილა, იმისდა მიუხედავად, რომ მის შესწავლას საკმაოდ დიდი ღროცა და ენერჯიაც შეაღია. აღარას ვიტყვი ძველი ქართული მწერლობის იმ ძვირფასს, დიდძალ, პირველხარისხოვან ძეგლებზე, რომლებიც ათონში, სინას მთაზე და პალესტანაში ყოფნის დროს გადმოწერილი და გამოსაცემად განზრახული ჰქონდა. მიჰდინარე, ახალი გეგმების განხორციელების საზრუნავმა და დაუცხრომელმა მუშაობამ აიძულა აკად. ნ. მარჩი მთელი თავისი ფილოლოგიური კვლევა-ძიება და გამომცემლობა, რომელმაც მას ღირსეულად დიდი სახელი მოუხვეჭა, შეეჩერებინა. არამცთუ გამომცემლობისათვის, მათი შესწავლისთვისაც-კი მას დრო აღარ ჰქონდა.

ზემოაღნიშნულ ყველა გარემოებას აკად. მარჩის სამოქმედო ასპარეზის საზღვრებას შემდეგშიც შეუჩერებელი გაფართოებაც დაერთო. აბხაზურის შესწავლამ კავკასიის სხვა ენების ბუნებისა და ნათესაობის საკითხი ალუძრა და ამნაირად თავისი ცოდნისმოყვარეობის საგნად უნდა მრავალრიცხოვანი ნაირნაირი ენები გაეხადა.

კავკასიელთამცოდნეობის ჩვენი ზემომოყვანილი მიზოხილვა ადამიანს დაარწმუნებდა, რომ, როდესაც აკად. ნ. მარჩი კავკასიის ენების შესწავლას შეუდგა, იმ დროისათვის აბხაზური, ჩერქეზული, ყაბარდოული, ჩაჩურის, წოვურის, ლუჩურის, ლუშუქ-ლეკურის, კვრ-ლეკურის, ჰვრკანული, ანდი-დიდოურის,

¹ ნ. მარჩის ამ ნაშრომის ვრცელი რეცენზია არს. ნ. ჩიქობავას აქვს დაბეჭდილი (იბ. „მიმოხილველი“ I, ტფილისი, 1926 წ., გვ. 285-330), ხოლო ეს გრამატიკა რომ გამოქვეყნებისთანავე უკვე მოძველებული იყო და მოლოდინი არ გაამართლა, აღნიშნული აქვს ქართულის ჰეოდნე ნორვეგიელ ენათმეცნიერს ჰანს ფოტსსაც (Bull. crit. CC XXIII, გვ. 143).

აღუღური, წახორული, რუთულური, არჩული, თაბასარანული და უღური ენები, სულ 18, ზოგიერთ მათ დიალექტებს გარდა, მონოგრაფიულად ცოტად-თუ-ბევრად უკვე შესწავლილი იყო. ასეთ პირობებში ახალი მომუშავესათვის მოღვაწეობის მხოლოდ სამი გზა არსებობდა: ან 1. დაგროვილი მასალისა და მონოგრაფიების კრიტიკული და შედარებითი შესწავლით ნახევარ ხაუკუნეზე მეტი ხნის განმავლობაში მოპოვებული განძის მოხმარება და ზოგადი დახკვნისა და პრობლემების წამოყენებისა და გამორკვევის ცდა, ან 2. გამოქვეყნებული წყაროების ცნობებისა და დებულებათა ხისწორის გამორკვევა და იმავე ენების ისევე მონოგრაფიულად, მაგრამ უკვე საფუძვლიანად, მთელი შეხატლებელი ხილრმე-სივრცით, შესწავლა, ანდა დასასრულ, 3. მუშაობის ისევე წინანდელი გეზის გაგრძელება და ჯერ კიდევ შეუსწავლელი ენოვანი ერთეულების აღწერა და ბუნების გამოკვლევა.

არც ერთი ამ გზათაგანი აკად. ნ. შარრს არ აურჩევია: არც ერთი ახალი, მანამდე უცნობი კავკასიის ენა მას არ შეუსწავლია, მაინც-და-მაინც არაფერი ამის მსგავსი მას არ გამოუქვეყნებია, — არც ერთი წინათ შესწავლილი ენის გაღრმავებული, მონოგრაფიული შესწავლა, ისევე მაგ. როგორც მან თავის დროზე ქანური გრამატიკის გამოქვეყნებით თავი ისახელა. არ უცდია, ყოველ შემთხვევაში არავითარი ამის გამოძელებელი კვალი არ ჩანს. დასასრულ, არც თავისი ისეთი ნაშრომი გამოუქვეყნებია, რომელშიც კავკასიური ენათმეცნიერების წინანდელი მონაპოვარის კრიტიკული განხილვა-შეფასებისა და იქ დაგროვილი მასალისდა მიხედვით ურთიერთშორისი დამოკიდებულებისა და წარმოშობილობის პრობლემის გამორკვევის, ვინდა მხოლოდ გაშუქების ცდა იყოს. ამ ზოგადი საკითხების ვადაწყვეტა მას სხვათა ნაშრომებისაგან დამოუკიდებლივ ჰსურდა, რათგან მანამდე შეგროვებული მასალა მას არც აკმაყოფილებდა და არც საკმაოდ მიაჩნდა.

ასეთ პირობებში აკად. ნ. შარრი უნდა კავკასიის ენების დინჯს შესწავლას თვითვე შესდგომოდა. მაგრამ დაღისტანში და ჩაჩნებთან ხანმოკლე ყოფნა და დაკვირვება აკად. ნ. შარრს, რასაკვირველია, იმდენს ვერ შესძენდა, რომ ამ საყურადღებო საკითხის არსებითად განხილვა შესძლებოდა. ამიტომაც არის, რომ 1915 და 1916 წ. ის მხოლოდ იმასვე იმეორებდა, რაც უსლარსაც ჰქონდა ნათქვამი, რომ ამ ენებს იაფეტურ ენებთან ერთგვარი ნათესაობა აქვთ¹.

მაგრამ, თუ 1914 და 1915 წ.წ.-ში, ზაფხულში დაღისტანში მუშაობის შემდგომ აკად. ნ. შარრი ასე ფრთხილად მსჯელობდა, მესამეჯერ იგი ამ ქვეყანის 1916 წ. 24 დეკემბერს რომ ეწვია და იქ 1917 წ. 12 იანვრამდე დაჰყო, ამ მესამე მოგზაურობის შემდგომ იმავე წლის 25 დეკემბერს რუსეთის

¹ „Горских языков Кавказа, овазавшихся яфетидными“ (Н. Марр. Яфетич. названия деревьев и растений. II. А. Н. 1915. გვ. 94).

„Общее впечатление от непосредственной работы над всеми этими (ე. ი. დაღისტნის) языками наметило выводы в двух направлениях. Во-первых, между всеми этими языками и яфетическими есть известное родство“ (Н. Марр. К истории передвижения яфетич. народов с юга на север Кавказа. ИАН 1916. გვ. 1388).

სამეცნიერო იკადემიისადმი წარდგენილ მოხსენებაში „Непечатый источник истории кавказского мира“ (ИАН. 1917 წ. გვ. 307 — 338) მას უკვე სრულებით გარკვეული პასუხი ჰქონდა.

ერთის მხრით ის ამტკიცებდა, რომ ლუნძური (ავარული) ენას უფრო მახლობელი ნათესაობა აბხაზურთანა აქვს, მეორეს მხრით, რომ დალისტნის, ანუ ლეკური ენები, მათ შორის „ავარულიც“, აბხაზურით, იაფეტურ ენათა, როგორც სისინა შტოს, ქართულს, ისევე შიშინა ჯგუფსაც, — შეგრულ-ქანურს ენათესავებიან¹. ამგვარად, დალისტნის ენების იაფეტურთან ერთგვარი ნათესაობა პირდაპირ იაფეტურ ენებად მიჩნევით დამთავრდა.

ენათა ნათესაობა აგებულობის, მორფოლოგიის, მხგავსებაზე უნდა იყოს დამყარებული. ამიტომ მოხალოდნელი იყო, რომ ავტორი მკითხველს დალისტნის ენების აგებულობას წარმოუდგენდა, რომ მათი იაფეტურობა ცხადი გამხდარიყო, მაგრამ, ამის მაგიერ ნ. მარჩი თავისი დებულების დასამტკიცებლად ორიოდ სიტყვისა და მოვლენის დახასიათებით კმაყოფილდებოდა. ამა თუ იმ ენის იაფეტურ ენად ასე ადვილად გამოცხადების საფუძველი მკითხველისათვის გაუგებარი რჩებოდა, რათვან აკად. ნ. მარჩის არც ერთ თხზულებაში აღნიშნული არ იყო, თუ რა თვისებები უნდა ჰქონდეს და რა ბუნებისა უნდა იყოს ენა, რომ იაფეტურ ენად იქმნეს მიჩნეული. ამისათვის ხომ ორიოდ სიტყვისა და ორიოდ მხგავსი მოვლენის დასახელება არა კმარა? აკად. ნ. მარჩი-კი ლუნძური (ავარული) და ლეკური ენების გრამატიკასა და მორფოლოგიას არ შეჰხებია²: მახალა ვრცელია და მაინც ჯერ ამოწურული არ არის. თვით ლეკურ — „ავარულ“ ენათა ურთიერთშორისი დამოკიდებულება და თითოეული მათგანისათვის შეხაფერიხი ადგილიც ლეკურ ენათა ჯგუფში ჯერ კიდევ გამოსარკვევია იმგვარადვე, როგორც გამოსაყოფია ამ ენების პირვანდელი არაიაფეტური ფენა³, და, ამისდა მიუხედავად, მაინც ხაკითხი მათი იაფეტურობის შესახებ საბოლოოდ გადაწყვეტილი იყო.

1917 წ. ნ. მარჩმა ლუნძური („ავარული“) უკვე აღბანურისა და „ავარული“ აღბანელთა ნაშთადაც სჯნო. მათვან ქართულებსა და სომხებს, ქართულსა და სომხურს, არა ერთი და ორი კულტურული მნიშვნელობის ტერმი-

¹ „аварский язык находится в более близком родстве с абхазским... дагестанские, точнее лезгинские языки, в числе их аварский находится в родстве, как и абхазский, с языками другой, именно свистящей ветви лфет. языков, в частности с грузинским, равно с языками шипящей группы — метредельским и чанским (лезгини) (И. Марр. Непечатый источник. 308 — 309).

² „На морфологических и вообще грамматических явлениях не останавливаюсь, так как материал обширный и востанк еще не исчерпанный (Непечатый источник. 309).

³ „предварительно необходимо установить соотношения между различными языковыми подгруппами и определить место каждого из языков и среде самой лезгинской группы. Только этим путем можно выяснить и первичный несвистящий слой в лезгинских языках, если он действительно имеется“ (И. Марр. Непечатый источник. 334).

ნებიც-კი აქვთ ნასესხებ-შეთვისებულიო (Непечатный источник, 315, 316—320), ამასთანავე „ავარული“ სწორედ იმ ენის ნაშთი უნდა იყოს, რომელსაც იაფეტურ-არიულ-ვერობულად გადაქმნილი სომხურის ჩამონაჭვთილობის დროს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდაო (იქვე 322, 330—331).

ამნაირად, აკად. ნ. შარრის კავკასიური ენების არც მონოგრაფიული შესწავლისათვის, არც მანამდე უცნობი ენის გამოკვლევითა და არც წინათ-არსებული ზასალებიდან მიხედვით მათი ურთიერთშორისი დამოკიდებულების, ნათესაობისა და სადაურობის პრობლემის გასაშუქებლად ახალი არაფერი შეუძენია. ეს ენები მას გამოყენებული ჰქონდა მხოლოდ თავისი იაფეტურ-სემურობის თეორიის გასაძლიერებლად. რაკი აკად. ნ. შარრის შთელი მსჯელობა კავკასიური ენების მორფოლოგიურ აღნაგობაზე არ იყო დამყარებული, ამიტომ არსებითად კავკასიის ენების ყველა ზემოაღნიშნული საკითხები წინანდებურად ისევ-ისევე გადაუწყვეტილი დარჩა.

აკად. ნ. შარრის კვლევა-ძიება იაფეტოლოგიაში ოდინდელი შემადგენლობის გამოსარკვევად კავკასიელთა იაფეტოლოგიაზე მიჩნევით არ დამთავრებულა. დიდი ხანია, რაც მეცნიერებაში აღნიშნული იყო, რომ ევროპის უძველესი მოსახლეობა, იქ ბერძენებისა, რომაელებისა და კელტების ისევე, როგორც ვერმანელების დამკვიდრებამდე, სხვა, არა-ინდოევროპული მოდემის ერებს უნდა ჰქუთნებოდათ. ასეთი შთაშობაულობისად პელასგები, ეტრუსკები, ესპანელი იბერები, ბასკები და სხვებიც იყვნენ მიჩნეულნი. ზოგიერთნი მათ კავკასიელების, ქართველების, მონათესავედ სთვლიდენ. საქართველოს ისტორიის ზეკოდნეს გაახსენდება, რომ ესპანიელი იბერები ათონის ქართველთა დამაარსებელს, იოანე მთაწმიდელსაც, ქართველები ეგონა (იხ. ქართ. ერის ისტორია, 11). ევროპისა და აზიის ამ უძველესი მოსახლეობის ქართველებთან ნათესაობის მოსაზრების დასამტკიცებლად გეოგრაფიული სახელების ანალიზსაც იშველიებდენ და, ან მათ საქართველოს გეოგრაფიულ სახელებს ამსგავსებდენ, ანდა ქართული სიტყვებით მათ გააზრიანებას ცდილობდენ.

ამ თეორიის ავტორთა ქართული ენის უცოდინარობის გამო, მათ ჰიპოთეზების დამაჯერებლობა სათუო იყო.

ამ პრობლემის გადაჭრა აკად. ნ. შარრმა იკისრა. ამ საკითხისათვის ზასალების ადგილობრივ შესაგროვებლად, საამისოდ დას. ევროპასა და სხვა ნაწილებშიც გაემგზავრა, რათგან აქა-იქ შერჩენილი იყო უძველეს მკვიდრთა ნაშთად მიჩნეული პატარ-პატარა მოსახლეობა. უკვე კლაპროთმა, როგორც დაგრწმუნდით, აღნიშნა კავკასიის ენებისა და ფინურ-ესტონურ-ზირიანული ზოგიერთი სიტყვების მსგავსება. ამ საგულისხმო საკითხების გადასაჭრელად აკად. ნ. შარრი ბასკებსაც ეწვია ესპანიაში, საფრანგეთშიც იყო, ფინების, ზირიანთა და შორდველთა მოსახლეობაც ნახა.

რამდენადაც ძველი მოსახლეობის ნაშთი გადარჩენილი იყო, იმდენად მათი იაფეტოლოგიათა ნათესაობა უნდა მათი ენის მორფოლოგიით, აგებულების ნიშანდობლივი თვისებით, დამტკიცებულიყო. მაგრამ საქმეს ის გარემოება ართულებდა, რომ ნ. შარრის იაფეტური ენების აღნაგობის დამახასიათებელი თვისებები არსად აღუნიშნავს, თვით უცოდინებლად იაფეტოლოგიაზე მიჩნეულ ქარ-

თველთა და კავკასიის ჩანჩურ-ლეკურ ტომთა ენების აგებულება-კი ძირითადად განსხვავდება და იქაურ გრამ. სქესკატეგორიებსა და ზმნასა და ქართულ-ქართველურ შესატყვის ნაწილებს შორის უფსკრულია. ისევე, როგორც თავის დროზე აკად. ნ. მარჩის ამ უფსკრულის გადალახვა არც-კი უცდია, იმნაირადვე უხლაც ბასკებისა და სხვების იაფექტიანებად გამოცხადებისათვის საბუთად მათი ენის აგებულება არ გამოუყენებია. არამედ აქაც მხოლოდ ცალკეული სიტყვებისა და სახელების ანალიზით კმაყოფილდებოდა. ამის დამადასტურებელი მაგალითების მოყვანა აკად. ნ. მარჩის ნაწერებითგან მრავლად შეიძლება, მაგრამ რამოდენიმეც საქმის ვითარებას ადამიანს ადვილად გაუთვალისწინებს.

ფრანგულში ლიგურული ელემენტების გამორკვევის აუცილებლობაზე საუბრის დროს, აკად. ნ. მარჩი ბრძანებს: „სახელი ლიგურ წინხართით ლი-, მანასადამე, ფუძით გურ-, ჩვენი გურიის... ფუძისბარა, მახვე ნიშნავს, რახაც ი-ბერ (|| გვერ-გურ), მაგრამ სახრავად რას წარმოადგენდა დახავლეთ ევროპაში, მას მხოლოდ დინჯი კვლევა ააგვანახებს“-ო (რით ცხოვრობს იაფექტური ენათმეცნიერება, 1923 წ., 26 შენ. 1). ეს დებულება ნ. მარჩმა 1924 წ. უფრო გააფართოვა და უკვე ამტკიცებდა, რომ „ლიბის“, ლიბია აფრიკაში „ლი-ბის“ ანუ იგივე „ი-ბერ“-ია, იმგვარადვე, როგორც „ლი-გურ“-იო, რათგან ორივეს სვანური თავსართი „ლი“ აქვს, და ეს ლიბიელებისა და ლიგურების იაფექტიანებთან ნათესაობის გამომააშკარაებლად მიიჩნდა¹.

1922 წ. რომ ნ. მარჩმა უარყო „ლაზ“-ის ეტიმოლოგიის თავისი დებულება ფრანგულად დაბეჭდილ შრომაში *La Seine, la Saône, Lutèce et les premiers habitants de la Gaule Étrusques et Pélasges* (Pétrograd, გვ. 13—16), პელასგების სახელის ასახსნელადაც გამოყენებული აქვს ლეკთა სახელი. ხოლო 1923 წ. გამოცემულს მოხსენებაში „რით ცხოვრობს იაფექტური ენათმეცნიერება“ ნათქვამი აქვს, რომ პელასგური ერთი მხრით „თვისტომად უჩნდება ეტრუსკულს, მეორე მხრით, აღმოსავლეთით, ზოგთან, მაგალითად ლაზურს ან ლეკურთან და სომხეთის ძველ ურარტულთან აგრეთვე თვისტომად გამოდის“-ო (გვ. 38). აქვე შენიშვნაში წვრილი ასოებით შემდეგი საგულისხმო განცხადება აქვს მოთავსებული: „უკანასკნელ ხანში გამოიკვია ისიც, რომ, ერთი, ტერმინს ლაზ შეცდომით ვხსნიდი ლა წინხართით ვითომ ჯანაიდან წარმოებულს (თითქო უმაღ ლა-ზნ ყოფილიყოს): ლაზ. (< ლ ა ზ || ლ ა შ),

¹ „...наша исследования открывают, во первых, что в Африке термин li-byz, разновидность племенного названия i-ber, как на другой стороне, в Европе li-gur, если хотите и li-guz, есть разновидность племенного названия i-ber, африканский libys либийец не только по префиксу, но и по основе тождественен с европейским li-gur, и в этом отношении свидетельство даже словаря Стефана Византийского (S. v, стр. 263) „libo либийцы—соседящий с колхами народ“ (Λιβυαῖοι γὰρ ἔθνος παρακείμενον Κόλχοις), конечно, важнее, чем мировоззрение ученойшего до-историка этиолога XIX века Kubainville'a, который присутствие лигуров в Колхиде отрицал за отно с родством населения Западной Европы с Кавказом“ (Н. Марр. Термины из абх.-руц. эти. связей, 1924 წ. 5).

შხოლოდ¹: აფრიკა თურმე — იბერებისა, ევროპა და აზია-კი ეტრუსკების ორი ტომის სახელის „როშ“-ებისა და „რასენ“-ების გამოხატულება ყოფილა. ამასთანავე იაფეტურად ჩამონაკვთული. ამგვარადვე, მდ. ეოლგის ძველი სახელი „რკა“- და მასთან დაკავშირებული „ოარ“-, „ლაგ“-იც იაფეტის ტომთა „რას“-ების, „რუს“-ების ნაშთი ყოფილა² და თურმე ჩვენი „რაქველები“-ც ამ ტომის წარმომადგენელი არიან. მდინარე რახსი, ანდა არარატის შთის სახელებიც ხომ ამ ტომისაგან ყოფილა დანათლული. ჰართალია, შთა „ურალ“-ის სახელის მნიშვნელობას ჩვეულებრივ ამ შთის მახლობლად მცხოვრები ერის ენითა ბნინიან, მაგრამ აკად. ნ. მარრს არც ეს აკმაყოფილებს, რათგან ამ შემთხვევაში ანკარიმს არ უწევდნენ ისეთ გარემოდს, რომ სიტყვა „ურალ“-ი „ურარატუ“- და „არარ-ატ“ ტერმინების ფუძის „ურარ“, ანუ „არარ“-ის წუნ-დაუდებელი კანონთანაზომიერი შესატყვისობაა.

ამნაირი საბუთიანობით კმაყოფილდება ნ. მარრი ზემომოყვანილი სავოგრაფიო სახელების იაფეტურობის გამოცხადების დროს. ამის წყალობით იაფეტისთანა ოჯახი ასე აღვილად და სწრაფად გამრავლდა. რომ მისი სამფლობელოს საზღვრები სამ ხმელეთს ძლივს შეუძლიან დაიტოს.

„ამრიგად ირკვევა“, ბრძანებდა აკად. ნ. მარრი, რომ „იაფეტელი ნათესაურ თბეს გადაუთელავს შვახმელეთის საზღვრები, იგი აერთიანებს სივრცეს პირენეულ ნახევარკუნძულისგან შვამდინარეთის ნიადაგამდი, მეტი თუ არა ეთჰეათ-ჯერჯერობით, და თავის წრეში იყოლიებს ამ სივრცის ჩრდილოით მოყოლებულ ნათესავთა სარტყელს, ხკვთების გამოუკლებლათ. აგრე შემოსაზღვრულ სივრცეზე ერთი იაფეტელი ოჯახი ბინადრობდა პირველ“-ად (ნ. მარრი, რიტცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება, გვ. 38 - 40).

იაფეტისთანა ერების ამ სწრაფ გამრავლებას, მეტადრე შთა მრავალრიცხოვანებას, არ შეიძლება, რასაკვირველია, თეორიის ავტორის შებედულებასზე გავ-

¹ „...во вторых, названия Африки (по бакеки A piri-ka, A-pir-ka), Азии (Азия) и Европы это также отложение названий определенных этноч. племен, Африка-иберов, а Европа и Азия—отложения названий двух разновидностей этрусков-ромов и расенов, каждое из названий соответственно оформленное афетически“. (Европа-ზეთ. ნ. მარრი, Об აფეთ. თეორი. ნ. Восток, № 5, стр. 32) და ნ. მარრი, Термины из абх.-рус. этн. связей, 1924 წ., გვ. 5-6).

² „Что древнее на восточном юге России, чем название реки Волги Rha и неразрывно связанное с ним Oar: (= Ohar, O-tar) и даже Lag, и то и другое—свидетели пребывания в этом крае русского племени, как часть сохранившегося в лезгианском ответвлении северных кавказских афетидов, в каспийском бассейне, и в отторгнутых от них task'ax или рачицах, в Понтийском бассейне. Но этого мало... называния реки или рек Rha и Oar в России приходится освещать в связи с рекой Rha в Армении и с долиной Расской или Рарской, т. е. Араратом и Урарту там-же, и в связи с этнографически всплывающим в средние века названием реки Saône (Saoua) во Франции, называви, звучавшем Atar... представляется сомнительным... когда... название горы Урала... разъясняется как слово, варицательно понятное на языке, ныне живущего поблизости народа, без всякого учета того, что в нем безукоризненно закономерный эквивалент той-же основы Oar или Atar: — терминов: Ugar-tu и Atar-ac“ (Н. Марр, Книжная легенда, 263 - 264).

ღენა არ მოეხდინა, რაოგან წინათაც, როგორც დავრწმუნდით, იაფეტური ენების რიცხვის გამრავლებამ იაფეტიანნი სემურ ენათა შტოობითგან იაფეტურ ოჯახად აქცევენა. სწორედ ასეც მოხდა, მაგრამ ეხლა ბედის ჩარხი უკულმა უკვე სემიანთ დაუტრიალდათ და უბრალო ჯგუფად იქცნენ. აი რას ამბობდა 1923 წ. აკად. ნ. მარრი ამ საკითხის შესახებ: „ამ მაშინდელ მკვიდრთა ენები, რასაკვირველია, იმ დროსაც სხვადასხვა იყო, იმ დროსაც თითო მათგანი რთული უკვე შეჯვარედინებული ბუნების მექონი, მაგრამ ყველანი მკვიდრო ნათესაობით შეკავშირებულნი, ერთმანერთზე «მიჯრით მიწყობილნი», ეკუთვნოდნენ კაცობრიობის ენათა ერთ ოჯახს, იაფეტულ ოჯახს, სამხრეთით კამიტური და სემიტური ჯგუფი გახლდათ. მათ თავდაპირველი ნათესაობა აქვს იაფეტულ ოჯახთან, სემურს უფრო დაახლოვებული“-ო (რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება, გვ. 38—40).

ევროპისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი არა-ინდო-ევროპული და არა-სემური მოსახლეობის ქართველებთან და კავკასიელებთან ნათესაობის შესაძლებლობის აზრი, როგორც ნათქვამი გვქონდა, მეცნიერებაში დიდი ხანია ტრიალებს, მაგრამ საეჭვოა, რომ იმ საშუალებით, რომლითაც აკად. ნ. მარრი ამ უაღრესად მნიშვნელოვანი საკითხის გადაჭრას ფიქრობდა, თავისი დასაბუთების წესით ვინმე დააჯეროს. ბასკების, ეთრუსკებისა და სხვათა „იაფეტუანობა“ მარტო ორიოდუ სახელით-კი არა, არამედ მხოლოდ ენის აგებულებითა და სიტყვათა ძირების იგივეობითა და მსგავსებით შეიძლება დამტკიცდეს. სანამ ასეთი საბუთი წარმოდგენილი არ არის, საკითხი წინანდებურად გადაუწყვეტელად იქმნება მიჩნეული.

ტომობრივი და გეოგრაფიული სახელების შემოაღნიშნულის მაგვარმა ეტიმოლოგიებმა იაფეტური მრავლობითი რიცხვებისა მისმავე მწკრივმა მკვლევარს უცნაური სურათი გადაუშალა: ერთსა-და-იმავე მიწაწყალზე, ერთსა-და-იმავე დროს ძველადვე მრავალი სხვადასხვა სახელის მატარებელი ხალხი აღმოჩნდა მოსახლედ. ვასაოცარი ის იყო, რომ მარტო ერთგან სადმე-კი არა, არამედ ყველგან მოსახლეობის ასეთი მდგომარეობა ყოფილა. იმის მაგიერ, რომ ამ საოკრებას ამ ეტიმოლოგიების შეუმცდარობისა და სისწორის ეჭვი აღეძრა, აკად. ნ. მარრმა ეს უცნაურობა კანონად აღიარა და იაფეტური ენათმეცნიერების უდავო ქეშმარიტებად გამოაცხადა. საქმე ის არისო, ამბობს ნ. მარრი თავის 1924 წ. გამოსულ ერთს შრომაში¹, რომ ეხლა უკვე უცნ-

¹ Н. Марр. Кляшная легенда об основании Киева, 263.

„Дело в том, — и теперь это уже бесспорный факт, — что предшествовавшее образованию новых народов и новых для того мира языков, афетическое население Средиземноморья распределено было непрерывно табувшимся узлами. Узлы эти повторяют одни и те же группы племен в различных, самых отдаленных друг от друга районах. Что объединяло эти повторяющиеся группы? По-видимому, перерождавшаяся в племенное побратимство тотемная связь, что внушает мысль о бесконечно древней оседлости, по-видимому, об исконности афетического племени в составе населения Средиземноморья.“

ლობელი ფაქტია, რომ სანამ ახალი ხალხები და ენები (ე. ი. სემიანნი და ინდოევროპელნი) შეიქმნებოდნენ, ხმელთაშუაზღვის სანაპიროების იაფეთური მოსახლეობა განუწყვეტლივ მიმდევრო კვანძ კვანძებად იყო მოფენილი. მოსახლეობის ეს კვანძები სხვადასხვა ერთი მეორესაგან სრულიად დაშორებულ ადგილებშიც-კი ერთი-და-იმავე ტომობრივი ჯგუფების გამეორებას წარმოადგენდნენ. რა აერთებდათ ამ მულამ ერთიდაიმავე შემადგენლობის ჯგუფებს? როგორც ჩანს, ტოტემური კავშირი, ტომობრივ ძმადნაფიცობად ქცეული ტოტემური კავშირი, რაც იაფეთიან ტომებს ხმელთაშუაზღვის სანაპიროების უუძველეს, დასაწყისითგან მოსახლედ გვაფიქრებინებსო, ბრძანებს ავტორი.

აკად. ნ. მარრი არ უხსნის თავის მკითხველს, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ის ჯადოსანი, რომელმაც „იაფეთიანთა“ სხვადასხვა ტომები ხმელთაშუაზღვის სანაპიროებს ერთი-და-იმავე ტომობრივი შენარევობით მოსახლეობის განუწყვეტელ კვანძებად მოჰფინა, ან ვინ ბრძანდებოდა ის დალოცვილი, ჩვენ ცოდვილ ქვეყანაზე მშვიდობიანობის დამნერგველი, რომელმაც იაფეთიანთა ყველა ტომები ისეთ უმანკო კრავებად გაჰხადა, რომ უერთმანურათოდ ცხოვრება არ ჰსურდათ და ბრძოლა-ქიშპობის მაგიერ მხოლოდ ტოტემურ ძმადნაფიცობას შეჰპაროდნენ? არა მგონია, ასეთი მისტიკური სურათისა და იდილიის დაჯერება ვისმე შეეძლოს!..

მაგრამ ზემოთყვანილ პირველ ზოგად დებულებას მეორე და მესამეც მოჰყვა. მეორე დებულება ჯერ ფრობილად იყო გამოთქმული, რომ დასახელებულ ადგილებს, დაბა-სოფლებსა და თემებს იმგვარადვე, როგორც მთებსა და მდინარეებს, საკუთარ სახელად ხშირად ტომობრივი სახელები აქვთ ხოლმე¹.

ეს დებულება დიდი ხანია მეცნიერებაში ცნობილია და ამისდა მიხედვით არაერთი გამოკვლევაც დაწერილა ტომობრივი მოსახლეობის ისტორიის აღსადგენად, მაგრამ მხოლოდ ზოგიერთი გეოგრაფიული სახელებიც ამბიური წარმოშობილობისა.

თუ 1922 წ. ნ. მარრს ამგვარი მოვლენა მხოლოდ ხშირ შემთხვევად ჰქონდა მიჩნეული, 1924 წ. მან ეს უკვე თავის მოძღვრების ურყევ დებულებად აღიარა და განაცხადა²:

„... მყარდება ურყევი საფუძველი მოძღვრებისათვის სახელების შესახებ, მათ შორის დებულება, რომლის მიხედვითაც მთებისა და მდინარეების სახელები ქვეყნის პირვანდელი მოსახლეობის უუძველეს ფენათა ტომობრივი სახე-

¹ Населенные пункты, селения, местечки, область, равно горы и реки часто также носят этнические названия (Н. Марр. Кавк. плем. назв. 1922. гл. 21.)

² „... Устанавливаются несомненные основы учения о названиях мест, и числе их коложеиие, по которому названия гор и рек вскрывают племенные наименования древнейших слоев первоначального населения. Естественно, что тождественные географические названия, насколько они отложения племенной жизни, нас заставляют с Россией рассматривать в объединении ту или иную страну с населением тождественного, доисторического племенного состава, в каком бы отдалении не находилась эта страна территориально от России“ (Н. Марр. Книжная легенда об основании Киева etc. ИРАНМК т. III. № 11--12. гл. 263).

ლების შემცველია¹. ერთნაირი გეოგრაფიული სახელები, რამდენადაც ტომობრივი ცხოვრების დანალექს წარმოგვიდგენენ, ბუნებრივად გვაიძულებენ რუსეთთან ერთად განვიხილოთ ის ქვეყნებიც, რომელთაც მასთან ერთგვარი შემაღვენლობის ისტორიის უწინარესი ტომობრივი მოსახლეობა ჰყავდა, რამდენადაც ეს ქვეყნები რუსეთს დაშორებული არ იყვნენ ტერიტორიულად.

ტომობრივი ტერმინებიც ამავეარი თვისებისანი არიან, მაგრამ აქ უკვე ერთი ტომის სახელი კი არ გვხვდება, არამედ ერთ სიტყვაში ორი ტომის სახელია შედუღებული². ამგვარი მოვლენა მართო ისტორიულ იაფეთურ ტომთა სახელებში-კი არა, თანამედროვე, მხოლოდ თემურ-კულტურული ცხოვრების მიმდევარ ტომთა სახელებშიც არის.

ამისდა მიხედვით, ნ. მარრი ეხლა ყველა თავის წინანდელ ეტიმოლოგიებს იწუნებდა და სცვლიდა. წინათ თუ ამ ტერმინებში ერთი ტომის სახელი ეგულებოდა და მხოლოდ მრავლობითი რიცხვის ნიშნინად იყო ხოლმე მიჩნეული, ეხლა თითქმის ყოველთვის ორი ტომობრივი სახელისაგან შემტკიცებულია სთვლის. მაგრამ ამას გარდა თურმე ყოველი ტომობრივი სახელი იმავე დროს უეჭველად მისი ტოტემის სახელიცაა. ბოლოს-და-ბოლოს, აკად. ნ. მარრის უკანასკნელი დებულებით, ყველა სახელები თითქოს ოთხი ტომობრივი—ტოტემური სახელის კომბინაციისაგან შესდგებოდეს ხალ, ბერ, ღონ, როშ, Sal, Ber, Ion, Roch. ეს დებულება იმდენად ურყევ ქეშმარიტებად არის აღიარებული, რომ პროფ. ი. მეშჩანინოვის სახელმძღვანელოს მსგავსად შედგენილ ნაშრომშიც-კია შეტანილი: „იაფეთიდოლოგიის ძირითადი საწყისები“ (Основные начала Яфетидологии: Изд. Общ. Исслед. и Изуч. Азербайджана, № 1, ბაქო 1926 წ., გვ. 65. — ცალკე წიგნაკადაც არის გამოცემული).

აკად. ნ. მარრი ერთ თავის ნაშრომში³ გაიძახის, რომ იაფეთიანებმა ღმერთების მსგავსად აფრიკასაც, ევროპასაც და აზიასაც სახელები დაარქვეს და ძველ მსოფლიოსაც ქვეყნების სახელების გარდა, ღვთაებათა, ხალხების, ნივთიერი კულტურისა და ყოფაცხოვრებას საგნების სახელებიც სწორედ იაფეთიანებმა შესძინეს.

¹ „В морфологическом отношении этия. термины яфетидов обращают на себя внимание еще гибридностью образования самих основ, связываем в одном слове двух языческих терминов. В номенклатуре исторических народов яфетич. племена таких названий не мало, но встречаемся с ними и в номенклатуре современных народов и племен, живущих, по крайней мере ныне, лишь этно-культурно, напр. *qew-aw-ğeb-ıca* (H-osa) хевсур, *in-ğew-bın (-hen) ɣış* (-koş)... дошное толкование получила бы термин хевсур, если бы мы приняла отождествление его с «хевур»-ами чрм. географа VII в., как то делал К. П. Патканов“. — О составности этого термина см. Н. Марр. К истории передвижения яфетических народов с юга на север Кавказа ИАН. 1916, стр. 1398 сл., где и история второй части: к первой части *qew-ğew-er-ğeb-aw* || *qew-aw* (Арм. Геогр., изд. Патканова, стр. 37). (Н. Марр. Кавк. племен. названия 16—17).

² „Старый мир, когда смело оглянется на себя в лингвистическое зеркало прошлого, увидит, что жизнь им начата с яфетического осознания мира и яфетиды точно боги, дали имена Африке, Европе и Азии. Нам будут спорить, кто это: еван-

იაფეტური თეორიის მოძღვრების უკანასკნელი ევოლუციის¹ თანახმად, ინდოევროპული და სემური ენები იაფეტური ენების ტრანსფორმაციას წარმოადგენენ. მაშასადამე, ინდოევროპული ენები იაფეტური ენების ტრანსფორმაციისა და გადაქმნის პროცესის უკანასკნელი საფეხური ყოფილა. იმის გარდა, რომ ეს მოძღვრება ძირიანად ეწინააღმდეგება თვით აკად. ნ. მარჩი-სავე წინანდელ დებულებას, რომლის თანახმადაც იაფეტური ენები უკვე უშუალოდ ხანაშივე მორფოლოგიურად თითქოს ისევე გაცვეთილები ყოფილიყვნენ, როგორც ყველაზე განვითარებულ-გაცვეთილი თანამედროვე ინდოევროპული ენები არიან, მისი დაჯერება თუნდაც იმიტომაც არ შეიძლება, რომ თვით ე. წ. იაფეტური ენებიც კი თავისი აგებულებით ხრულებით ერთსა და იმავე საფეხურზე არ დგანან. ამის დასადასტურებლად საკმარისია ქართულისა და ჩაჩურ-ლექური ენების აგებულების ძირითადი განსხვავება ვაკიხსენოთ, რომელიც მკვლევარს არავითარ უფლებას არ აძლევს ისინი ენის განვითარების ერთსა და იმავე საფეხურზე მდგომად აღიაროს.

აკად. ნ. მარჩი თავის ნაწერებში ხშირად ჩიოდა, რომ მის იაფეტოლოგიურ მოძღვრებას მიმდევარი თითქმის არავინა ჰყავს, არც უცხოეთში, არც საბჭოთა კავშირში. იშვიათია მისი ნაშრომი, რომელშიც ამის გამო გოდება არ ისმოდეს. მაგ. შესაძლებელია მოყვანილი იყოს აკად. ნ. მარჩის შემდეგი განცხადება: „ევროპაში მის უცნობლობას და მიუღებლობას არ ვეხები“. იქ ჯერჯერობით ქართული ენის კათედრაც არ არსებობს, „ვინღა ეძებს იაფეტურ თეორიის რთულ მოთხოვნებს და კავკასიის და არა კავკასიის მრავალ საკირო ენათ შესწავლის ხაიაფეტოლოგიურ ჯეროვან გამართვას“-ო („რით ცხოვრობს იაფეტური ენათმეცნიერება, 72).

таше или греки, или кто из других индо-европейцев первые воспринимки—нарекатели, первые осознатели Средиземноморья? Ну, тогда скажем..., за каждым яфетич. названием стран идут яфет. названия народов и богов.. яфетич. названия не только предметов культа, но и вообще предметов быта, и когда за дедкой таяет пока лишь бабка и показывается река, то это громадная яфетическая река, сказочно громадная: на Пиренеях не одни её кончик—устье, вся она лежит и в Африке и в Европе и в Азии, да так, что африканский её кусочек иногда составляет существенную приправу эллинического изысканного блюда, так из эллии. Парнасе играет важнейшую роль тотем иберского племени, казалось-бы африк. оформленна: ни в эпосе, ни в искусстве, в частности зодчестве, нельзя спастись вообще от иберизмов, не говоря о других яфетидизмах“ (Н. Марр. Термины из абх.-рус. этн. связей, 6—7).

¹ „Таким образом, все это разбросанное по белу свету этрусское наследие имеет корни в доисторической расселенности не одного сложившегося уже какого-либо народа, а многочисленных племен различных этнических образований, независимо от возникших в последствии в каждом из этих разобщенных территориальных гнезд исторических народов и культур. Корнями оно уходит в этнический фонд, существовавший раньше не только их возникновения, но и образования семитической семьи языков и, конечно, раньше завершения особенно мощного процесса индоевропеизации, т. е. процесса трансформации яфетических языков в индоевропейские. Словом, и здесь дело имеем с проблемой о роли яфетических языков по Средиземноморью“ (Н. Марр. Термины из абх.-рус. этническ. связей, 56).

იაფეტიდოლოგიის ბუდეც ლენინგრადში (ყ. პეტერბურგში), მისივე სიტყვით, „დანგრეულია და გავერანებაზე მიწვენილი“ ყოფილა (იქვე, 76). თვით „იაფეტურ კავკასია“-შიც, აკად. შარრი-სავე განცხადებით, იაფეტიდოლოგიას მომხრენი არა ჰყოლია (იხ. მისი Книжная легенда об основании Киева на Руси и Куара в Армении: Изв. Рос. Акад. Ист. Мат. Культуры, 1924 წ. т. III, № 11—12, გვ. 287).

თავის მოძღვრებისადმი ასეთი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზად აკად. ნ. შარრი „კავკასიელ იაფეტოანების“, მაგ., კერძოდ ქართველ და სომეხ მეცნიერთა ნაციონალისტური მიდგომა, უცხოეთისა და რუსეთის ენათმეცნიერთა მხრით-კი დამყაყებული კონსერვატიზმი და იაფეტური ენების უცოდინარობა მიაჩნდა. ამნაირად, ყველა დაზნაშავე იყო იაფეტურ თეორიას გარდა.

უკვე იაფეტიდოლოგიისადმი უარყოფითი დამოკიდებულების ასეთი არაჩვეულებრივი ერთსულოვნების გარემოება ამ განმარტებასა და ნუგეშს საეჭვოდა ჰხდის. ქართველსა და სომეხ ენათმეცნიერებს რომ ამ შემთხვევაში მართლაც „ნაციონალისტური“ თვალსაზრისით ეხელმძღვანელათ, მაშინ ისინი პირიქით აკად. ნ. შარრის დებულებებს ორივე ხელით ჩაებლაუქებოდნენ. თუ მისი მტკიცება მართალია, რომ ევროპასა, აზიასა და აფრიკაში ყველაფერი, რაც ძირითადი და უძველესია, იაფეტოანების შექმნილია, რომელნიც თურმე „ღმერთებით“ ყველაფრის შემოქმედნი და სახელმძღვანელი ყოფილან, მაშინ ყოველივე კულტურული ღირებულება მათი შორეული წინაპრების შექმნილი ყოფილა, ამაზე მეტად სასიამოვნო მათი „ნაციონალისტური“ სულისკვეთებისა და ცრუ თავმოყვარეობისათვის, რა უნდა ყოფილიყო. თუ ამისდა მიუხედავად, „კავკასიელი იაფეტოანნი“ მაინც იაფეტიდოლოგიას არ იზიარებენ, ცხადია, რომ პატივცემულ აკადემიკოსს „ნაციონალიზმი“ ტყუილად შეუწუხებია.

ხოლო, რაც შეეხება უცხოეთისა და რუსეთის ენათმეცნიერთა კონსერვატიზმს. არა-ერთი გამბედავი მკვლევარი, ვგონებ, მათ წრეშიც მოიპოვება, მაგრამ მათ გამბედაობას მეცნიერებაში სავალდებულოდ აღიარებული მსჯელობისა და მტკიცების საბუთიანობა ჰსაზღვრავს. თუ წინათ, ამ საუკუნის დასაწყისში, უცხოეთში ქართულისა და კავკასიის ენების მკოდნე მეცნიერნი თითქმის არ იყვნენ, ეხლა უკვე ამის თქმა აღარ შეიძლება. ამისდა მიუხედავად, ქართულისა და კავკასიის ენების მკოდნეთა რიცხვის გამრავლებას იაფეტიდოლოგიისათვის მიმდევარნი არ შეუძენია. ამასაც რომ თავი დაეანებოთ, „კავკასიელ იაფეტოანთა“ წრიოვან გამოსულმა აკად. ნ. შარრი-სგან გაწერთნილ ენათმეცნიერებმა ხომ ეს ენები კარგად იციან. ცხადია, რომ იაფეტიდოლოგიისადმი უარყოფითი დამოკიდებულების მიზეზად და ასახსნელად ვერც „იაფეტური“ ენების უცოდინარობა გამოდგება.

ყველა ზემოაღნიშნული ადამიანს დაარწმუნებს, რომ უარყოფითი დამოკიდებულების საფუძველი სულ სხვა უნდა იყოს და იაფეტიდოლოგიის მოძღვრების ხანგრძლივი მიმდინარეობის ზემომოყვანილი განხილვა დაანახევბდა ადამიანს, რომ აქ ობიექტური ხასიათის მიზეზებთან გვაქვს საქმე. ამ გარემოებას იხ შეფასებაც ცხადჰყოფს, რომელიც იაფეტიდოლოგიის შესახებ მის თანამგრძნობთა და მომხრეთა ნაწერებში მოიპოვება.

ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ თვით ისეთ თანამგრობობსავე, როგორც პროფ. მ. ნეშიროვსკი მისს ნაწერებში მოიხანს, არ შეეძლო არ აღენიშნა, რომ აკად. ნ. შარრის თავისი თეორია ბევრჯერ აქვს შეცვლილი, რომ ზოგადი ენათმეცნიერება იმავე საკითხებს, რომლის გადაჭრასაც იაფექტილოლოგია ლამობს, უფრო ნელი ნაბიჯით, მაგრამ მტკიცე რწმენით მიღწევას პრჩეობს. (Кавказская Лингвистика в XX веке: Изв. Ингуш. Науч.-Исслед. Инст. Кравед. 1, 318—321)¹.

აკად. ნ. შარრის მეორე თანამგრობობს პროფ. ლ. ჟირკოვსაც აქვს აღნიშნული იაფექტილოლოგიის თეორიის გაურკვევლობა და დაუსრულებელი ცვალებადობა: ის ჩივის: ყველა ენათმეცნიერათვის უალრესად სამწუხაროა, რომ ნ. შარრის თავისი თეორიის განვითარების არცერთ საფეხურზე თავისი მოძღვრების დამთავრებული, გაბმული მონათხრობი არსად არ გამოუქვეყნებიათ (Проф. Л. И. Жирков, Языки Дагестана и их изучение: Изв. Общ. Исслед. и изуч. Азербайджана № 1, გვ. 46, 1926 წ.)².

მერმე, შარრის თეორიის სხვადასხვა ცვლილების მოკლედ აღნუსხვის შემდგომ, ჟირკოვს ნათქვამი აქვს: იაფექტური თეორია კავკასიის თეორია აღარ არის, იგი ენათმეცნიერების ყველაზე პრინციპულ საკითხებს შეეხო, ამ საკითხებზე იგი წინასწარ არსებული მასალებისა და მიხედვით შეძლებისდაგვარს პასუხს ვვაძლევს. შემდეგში შესაძლებელია ეს პასუხები მცდარი აღმოჩნდეს, ახალი ფაქტები მას ახალ დასკვნებს უკარნახებენ. ამიტომ უკეთესია ნ. შარრის თეორია ჯერჯერობით შიშობეზად, ანდა შიშობეზათა სისტემად ჩავთვალოთ. ამგვარად, დასკვნილი აქვს ბოლოში ჟირკოვს, იაფექტური თეორია შესაძლებელია მთლიანად შერჩეს, შესაძლებელია გაქრეს, შესაძლებელია კვლავაც გადაიქმნესო (იტევ, 47)³.

¹ „При расширении первоначального круга исследований в этой классификация и первоначальная формулировка афетической теории была Н. Ш. Марром взята неоднократно“ (Проф. Н. Ш. Марров — Кавказская Лингвистика в XX веке: Изв. Ингуш. Науч.-Исслед. Инст. Кравед. 1, 319). სპონტურ და სპონტურად დადგენის ნ. შარრის დებულებას შეახებაც ნათქვამია: „И эта формулировка оказалась недолговечной и потребовала коррективов“ (იტევ, 321).

დასარტულ აკად. ნ. შარრის თეორიის უანასკნელი საფეხური პროფ. ნეშიროვსკის ასე აქვს შეფასებული: „Н. Ш. Марр... расширил свою афетическую теорию в этнолингвистическую, вопрос о родстве языков пытается решить при помощи своего учения о тивологических трансформациях речи. «Классическая» лингвистика вполне подходит к решению всех этих проблем, предпочитая медленно, но уверенно подвигаться к намеченной цели (იტევ, გვ. 347).

² „Н. Ш. Марр... к глубокому сожалению всех языковедов, не достигла законченного, связного изложения своей теории ни на одном из этапов ее развития“.

³ „Афетическая теория перестала быть кавказской теорией, она затронула самые принципиальные вопросы науки о языке. На эти вопросы она дает предварительные, но сильные, сообразные с имеющимся материалом ответы. Эти ответы могут оказаться со временем неверными, новые данные подсызжут новые выводы. Теорию Н. Ш. Марра поэтому лучше считать пока за гипотезу или за систему гипотез. Проверка этих

ამგაშიდ ერკოვის იმ განმარტებაზე შეჩერება, თითქოს იაფექტიდოლოგია ენათმეცნიერების ყველა უმნიშვნელოვანეს საკითხებზე შოლოდ წინასწარს პასუხს იძლეოდეს, არ ღირს, იმისდა მიუხედავად, რომ ეს აზრი თვით აკად. ნ. მარჩის დებულებას სრულებით ამახინჯებს, რათგან იაფექტიდოლოგია მას ერთად-ერთ შეუმცდარ და ყველაფრის უცილობლად ამხსნელ ენათმეცნიერებად შიანდა, რომელსაც ყველა უნდა იზიარებდეს და უყოყმანოდ მისდევდეს. აქ შესაძლებელია იმიოაც დაეკმაყოფილდეთ, რომ იაფექტურ თეორიას მისი თანამგრძნობი პროფ. ერკოვიც-კი მხოლოდ მიპოთეზად, მიპოთეზათა სინკრედაც-კი სთვლის. ის დარწმუნებული არ არის, ვადურჩება, თუ არა, იგი მომავალ პირუთვნელს, კრიტიკულ განსჯას ახლად აღმოჩენილი ფაქტების წინაშე.

დასასრულ უნდა აკად. ნ. მარჩის იაფექტიდოლოგიის მიმდევართაგან ყველაზე უფრო დაახლოვებულ პირსა და ამ მოძღვრების ავტორიტეტულ კომენტატორს პროფ. ი. მეშჩანინოვისაც მოვუსმინოთ. ისიც-კი ვერ უარწყოფს, რომ იაფექტიდოლოგია ადამიანს ერთიერთმანეთის საწინააღმდეგო დებულებებისა და დახკვნების გროვად ეჩვენება. მაგრამ ამისთვის მას შემდეგი თავისებური განმარტება მოუძებნია. მისი განცხადებით ეს თურმე მოჩვენებითი შთაბეჭდლება ყოფილა, თანაც თურმე სწორედ ეს გარემოება იაფექტიდოლოგურ მუშაობას საინტერესოდ ჰხდის. ნამდვილად აქ წინააღმდეგობანი-კი არ არის, არამედ გამოურკვეველი და ჯერედ საკამათო საკითხების მთელი, ეგების გრძელიც-კი, რიგი ყოფილა ისევე, როგორც ნ. იაკ. მარჩის მიერ გამოთქმულ იმ დებულებათა მწკრივიც, რომელნიც იძულებული გახდა მუშაობის პროცესში უარეყო (Основные начала яфетидологии: Изв. Общ. Обел. и Изуч. Азербайджана № 1, გვ. 67)¹.

სამწუბაროდ, მეშჩანინოვის ეს განმარტებაც სწორე არ არის. მეშჩანინოვის სიტყვები მართალი იქმნებოდა, იაფექტიდოლოგიის ავტორს რომ არამც თუ „მთელი გრძელი მწკრივი“, არამედ თავის მოძღვრების დებულებებში რაიმე. ამ გამოურკვეველად, ანდა მით უმეტეს საკამათოდ შეიჩნოს, ან ვისთვისღე ასეთი ექვის გამოთქმის უფლება ეცნოს. ხოლო, როდესაც მოძღვრებაში, თუ სხვადასხვა დროს გამოთქმულ მსჯელობაში საკითხებისა და დე-

გიოთეზ ბუდტ დია იქ соотвѣтвием с новыми, пока еще неизвестными фактами. Вот почему мы больше всего сейчас заинтересованы в накоплении фактов из области в первую очередь Кавказских языков — языков, на которых родилась яфетическая теория и которые, как мы сказали, изучены еще так мало и поздно.

Итак, яфетическая теория может устоять в целом виде, может пасть. Может, наконец, подвергнуться превращениям. Мы заинтересованы в том, чтобы работать над ее проверкой“ (Языки Дагестана и их изучение: Изв. Общ. Обел. и Изуч. Азербайджана № 1, 47).

¹ „В этом кажущемся парадоксальном противоречивых данных и заключается интерес яфетидологической работы, во здесь нет противоречия, а есть целая, и быть может длинная, ряд невыясненных и пока спорных вопросов, есть и ряд высказанных Н. Я. М а р ч и м положений, от которых он, в процессе работы вынужден был отказаться“ (Проф. И. М е щ а н и н о в, Основн. начала яфетидологии, გვ. 67)

ბულებათა „მთელი გრძელი მწყრივი“ აღმოჩნდება ხოლმე, რამელთა შინაარსიც ერთმანეთს არ ეთანხმება, ამას უკელგან და უკველთვის წინააღმდეგობას უწოდებდენ და უწოდებენ ხოლმე

მაშასადამე, იაფეთილოლოგიის თანამგრძნობ-მომხრეთა შეფასებაც ამ მოძღვრების შეხახებ არსებითად თითქმის ისევე უარყოფითია, როგორც ამ თეორიის მოწინააღმდეგეთა.

ამით შეიძლება დაგაშთაფროთ იაფეთილოლოგიის მოძღვრების მიმოხილვა და მისი ღირებულების გამოკვეცა.

აკად. ნ. მარჩის მოღვაწეობის ზოგადი შეფასების დროს, უნდა გულახდილად აღინიშნოს, რომ ქართულის, ქართველურისა და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების, აგებულებისა და მონათესაობისა, იმგვარადვე, როგორც მათი წარმოშობილობისა და სადაურობის პრობლემა ისევე გადაუწყვეტელია, როგორც წინათ იყო. აკად. ნ. მარჩმა მას დიდი ენერჯიაც შეაღია და თავისი არაჩვეულებრივი ნიჭიც, ისევე, როგორც ამისთვის თავისი იშვიათი გონებაბახვილობაც არ დაუზოგია. თუ ამისდა მიუხედავად მიზანი, სამწუხაროდ, მაინც მიუღწეველი დარჩა. ამის მიზეზი მარჩისა გან არჩეული გზა გახლავთ: ენათა ნათესაობის საკითხი უპირველესად ენათა აგებულების იგივეობის, ანდა მსგავსების მიხედვით სწყდება, სიტყვათა საგანჭურს-კი უფრო მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს. აკად. ნ. მარჩი-კი თავის მსჯელობის დროს ამ გარემოებას ანგარიშს არ უწევდა და მის გადაწყვეტას სწორედ ლექსიკურ მასალაზე დაყრდნობით ლაშობდა. ამ სფეროში მისი დაუცბრობელი ცდის უნაყოფოება შოლოდოვის მაჩვენებელია, რომ სამეცნიერო მეთოდოლოგიის უგულებელყოფით დასახული მიზნის მიღწევა არ შეუძლიან ისეთი არაჩვეულებრივი ნიჭისა და დაუშრეტელი ენერჯიის პატრონს და მრავალ ენათა მცოდნესაც-კი, როგორც უცილობლიად აკად. ნ. მარჩია.

ვინც-კი აკად. ნ. მარჩის ნაშრომების თუნდაც მარტო სიას გადაშინჯავს, შეუძლებელია მისი შემოქმედების ნაყოფიერებით მისდამი განცვიფრებისა და პატივისცემის გრძნობა არ აღეძრას. ხოლო, ვისაც ეს ნაშრომები წაკითხული აქვს, მას ისიც ეცოდინება, რომ მის ენათმეცნიერულ ცოდნის-მოყვარეობას საზღვარი არ უჩანს: მისი კვლევადიების თემათა მრავალფეროვნება სწორედ რომ გასაკვირველია. იმ ნაშრომებშიც-კი, რომელთა ზოგად შინაარსსა და დასკვნას აღამიანი ვერახგზით ვერ დაეთანხმება, არაერთი გონებაბახვილი შედარებაა გაფანტული და არაერთი საინტერესო პარალელებია წამოყენებული, რომელთა სისწორის დამტკიცება სულ სხვა გზითა და სხვა საბუთიანობით შეიძლება. გონებაბახვილობა და ენამახვილობა დაუშრეტელი წყაროს მსგავსად სჩქევს ყოველ მის ნაწერში და ამიტომაც არის, რომ ის „განწირული სულისკვეთება“, რომლითაც გამსჭვალულია პროფ. და აკად. ნ. მარჩის უამრავი ნაწერები, უცქველია, ცუდად არ ჩაივლის და მომავალი მკვლევარი იმ ნაშრომებშიც, სადაც ძირითადი დებულება დამაჯერებელი არ არის, არაერთს „პატიოსან თვალს“ აღმოაჩენს.

მხოლოდ იმ პირებმა, რომელნიც მასთან დაახლოვებული იყვნენ, იციან, რომ ნ. მარჩის ნაშრომების მარაგი არამც თუ უკვე გამოქვეყნებულით არ

ამოიწურება, არამედ, რომ მას ერთიორად და ხაზად ამაზე მეტიც გამოუცემელი უწყვეთია. მათ შორის არაერთი პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ძეგლიც. გადაუქარბებელიც შესაძლებელია ითქვას, რომ მისი სამწერლობო საგანძური ამ მხრივ რამდენიმე მეცნიერისათვისაც-კი სამყოფი იქნებოდა.

აკად. ნ. მარჩის უმთავრეს ღვაწლს ქართული და სომხური ფილოლოგიის შექმნა შეადგენს ისევე, როგორც იგივეა ქართული და ქართველური ენათმეცნიერების დაუცხრომელი, გატაცებული კვლევაძიების ნამდვილი ხულის ჩამდგმელიც. ვინც გაითვალისწინებს, რასაც ეს ორი დარგი ნ. მარჩამდე წარმოადგენდა, მისთვის ცხადი შეიქმნება, რომ ქართველთა და სომხთა მცოდნეობის ისტორიაში ნ. მარჩის სახელი სამარადისოდ აღიბეჭდება, ხოლო თვით აკად. ნ. მარჩსაც რომ დამშვიდებულს გარეშემო მიმოეხედა და საქმის ნამდვილ ვითარებას იპყვირებოდა, ისიც, მე შგონია, დარწმუნდებოდა, რომ შემოქმედების დაუპრეტელი წყურვილი და დაუცხრომელი კვლევაძიების სულისკვეთება, რომელიც მთელ მის მოღვაწეობას ყოველთვის მომხიბლველად ჰხდიდა, ყველაზე მეტად მაინც სწორედ იქ იყო, სადაც მას იმ დროს ყველაზე ხაკლებ ეგულებოდა.

რევოლუციის შემდგომ ქართულისა და ე. წ. კავკასიური ენების მეცნიერული შესწავლა ხაზრძნობლად გაძლიერდა. მართალია აკად. ნ. მარჩი 1923 წ. ჩიოდა: მარი ბროსსეს სამშობლოში „საფრანგეთში, თვით პარიზში, მას შემდეგ ასი წელი გადის, ერთი ნაბიჯიც არ წაუდგამთ წინ“ იმ საგნის შესასწავლად, რომელსაც მისი სახელოვანი შეილი ემსახურებოდა, „პირიქით უკან წასრულა (sic) საქმე“-ო, „პეტერბურგში-კი მარი ბროსსეს დაარსებული ბუდე დღეს, ლამის, იერემიის საგოდებელ უდაბნოთ გახდეს, იქ გაწვრთნილი, მაგრამ იქიდან ვაფრენილი შავარდნების ნამოქმედარი თბილისში, კერძოთ ქართულ უნივერსიტეტში, ხომ მერმისში დასაფასებელი საქმეა, ჩვენ-კი ამ წუთზე ვამბობთ“-ო (იხ. „რით ცხოვრობს იაფეტ. ენათმეცნიერება, გვ. 72 — 74).

რუსეთში ირსებული სამეცნიერო კურის დაცალიერებით გამოწვეულ მწუხარებას აკად. ნ. მარჩის-ათვის იმედი მაინც არ დაუხზავს და მას ნათქვამი ექვს: „მრწამს აგრეთვე ქართველთ თბილისის უნივერსიტეტის ბრწყინვალე მოზავალი ჩვენ საინტერესო დარგში, თუ, მეცნიერების მსოფლიობას შეიგნებს რა, განახორციელებს თავის მდიდარ შეძლებულებას, მთელი, ერთობილათ მთელი, კავკასიის უნივერსიტეტათ გახდეს. ექვს გარეშეა, რომ ხან იქ, ხან აქ ჩვენი პრობლემის მოსარჩლე გამოცხადდება, როგორც ადრე დასავლეთ ევროპაშიც“-აო (იქვე, გვ. 76).

ამგვარად მომავლისათვის აკად. მარჩი იმედიანად იყო, მაგრამ თანამედროვე მდგომარეობა გულს მწარე ბოდმით უვსებდა. ის ამბობდა: „იმედია, რომ მომავალში იაფეტურ ენათმეცნიერების მზე — სიმართლე სავსებით ამობრწყინდება მსოფლიო მეცნიერების კამარაზე, მაგრამ დღეის-დღეს ამ ნორჩი დარგის გამომშუშავებელი ობოლი ბუდეც დანგრეულია და გავერანებაზე მიწეწილი, იგი ბუდე, სადაც ასი წლის განმავლობაში, როგორც შეუწყვეტელი კვლევა-ძიების შედეგი, აღორძინდა და ვითარდებოდა დედაბიწის ზურგზე ერთათ ერთი კავკასიურ დედა-ენათა სამკვლევრო შკოლა თავის დამოუკიდებელი მიმართულე-

პიო“-აო (იქვე, გვ. 76), თავის წიგნს აკად. ნ. მარჩი შემდეგი ზოგადი განცხადებით ამთავრებდა: „ღამეთაინამებით, საფუძველი შექვს, ვთქვა, რომ ეს საქმე, იაფეტური თეორია, ენათმეცნიერების ახალჩენილი მთელი ერთი დარგი, დღეის-დღეობით უკიდურეს განსაცდელშია“-ო (იქვე, გვ. 76).

რომელიმე თეორიის განსაცდელი. რა თქმა უნდა, სამეცნიერო კერის განსაცდელი არ არის: თეორიების ცვალებადობა და არსებობის ხანმოკლეობა კარგად არის ცნობილი, რომ ამაზე სიტყვის გაგრძელება საჭირო იყოს. სამეცნიერო ბუდის დაცალიერებაც არაფერს სახითათოს არ წარმოადგენს, მით უმეტეს იმ შემთხვევაში, როდესაც ამ ბუდეში აღზრდილ-გაწერთნილი „შავარდნები“ თავიანთ სამეცნიერო მოღვაწეობას-კი არ სპობენ, არამედ მხოლოდ „გაფრენილი“ არიან და მოქმედების ადვილს იცელიან ხოლმე. სამეცნიერო ბუდის დროგამოშვებითი დაცალიერება ბუნების კანონია და იმ უხარმაზარ ქვეყანასა და მრავალრიცხოვან ნიჭიერ ერს, რომლის დედაქალაქშიც ეს ბუდე იმყოფება, თუ მეცნიერების ამ დარგისადმი სიყვარული და ცოდნის მოყვარეობა აღმოჩნდება, დაცალიერებული ბუდის გავსება ადვილად შეუძლიან.

ერთარცა ეროვნული კულტურისა და ენების გატაცებულ მკვლევარსა და ბუდითგან გაფრენილი „შავარდნების“ გამწვრთნელს, აკად. ნ. მარჩს საქართველოში, ტფილისში, ისევე როგორც სომხეთში, ერევანში, და აზერბაიჯანში, ბაქოში, სამეცნიერო კერის შექმნა უნდა გახსარებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ ამ „შავარდენ“-ენათმეცნიერთა გაწვრთნა მისი ღვაწლია. მაგრამ ამას ხომ სამეცნიერო კერთა გამრავლების გარემოებაც ერთვის ზედ: ერთის მაგიერ, კიდევ სამი ახალი კერა გაჩნდა და ნუ ითუ ეს საბუჯეშო მოვლენა არ არის და გამამხნეველ ვარემოებად არ უნდა იყოს მიჩნეული?

ტფილისის უნივერსიტეტის. რომლის ბრწყინვალე მომავალიც აკად. ნ. მარჩს სწამდა, „მეცნიერების მსოფლიობის“ სრული შეგნებისდა მიუხედავად, არაერთარი არც პრეტენზიები და არც წადილი არა ჰქონია. „ერთობილიათ მთელი კავკასიის უნივერსიტეტათ“ იქვეს, მაგრამ მაინც უკვე 1918 წ. დაარსების პირველ დღითვანვე, თავის მიზნადა და მოვალეობად, ქართულისა და ქართველურის ვარდა, კავკასიური ენებისა და კულტურის, ისევე, როგორც მახლობელი აღმოსავლეთის, მეცნიერული შესწავლა მქონდა დასაულო.

თუ უ. ჰეტერბურგის უნივერსიტეტის სამეცნიერო ბუდითგან „გაფრენილი შავარდნების“ სასოქმედარი ტფილისში, კერძოდ ქართულ უნივერსიტეტში“, როგორც აკად. ნ. მარჩი ბრძანებს, მხოლოდ „მერმისში დასადასებელი საქმეა“, იმის გახსენება ხომ მაინც შეიძლება, რაც მათ დღეგანდლამდე გამოუქვეყნებიათ. სულ ერთია აქ ჩვენი მიზონილვის შეჩერება მაინც-და მაინც არ შეგუებლო, რათგან რევილუციის შემდგომ ვაჩენილი სამეცნიერო მწერლობის გინდაც მოკლედ აღწესხვა, სხვატ რომ არა იყოს რა, ხომ სწორედ ჩვენს მოვალეობას შეადგენს. მაგრამ დე ყველა ეს თუნდაც შეუფასებლიე იყოს აღნიშნული: საქმის ნამდვილი ვითარების გათვალისწინების ერთგვარ საშუალებას უკვე დაწერილ ნაშრომთა ჩამოთვლაც მისცემს აღამიანს.

ტფილისის სახ. უნივერსიტეტში ენათმეცნიერების დარგის შექმნა სამი პირის: პროფ. იოს. ყიფშიძისა, პროფ. აკ. შანიძისა და პროფ. გ. ახ-

ვლედიაანის ღვაწლს შეადგენს. პირველი მათგანის, სამწუხაროდ, უდროვო გარდაცვალების გამო, უდიდესი ტვირთი ორს უკანასკნელს დააწვა. მოკლე ხანში მათ გვერდში ამავე უნივერსიტეტის სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტის საენათმეცნიერო დარგზე გაწვრთნილი მკვლევარნი ამოუდგნენ: პროფესორები არნოლდ ჩიქობავა, ვარლამ თოფურია და სიმონ ჯანაშია. ამავე დროს ტფილისში ქართული საენათმეცნიერო საზოგადოებაც დაარსდა, სადაც მხურვალე მონაწილეობას სხვა ახალგაზრდა ენათმეცნიერებიც იღებენ. საენათმეცნიერო კვლევა-ძიება, როგორც საერთო ენას, ისევე დიალექტოლოგიას, როგორც ფონეტიკას, ისევე მორფოლოგიასა და სინტაქსისსაც ეხება. ამასთან შესაძლებელია დასასელებული იქმნეს:

1. პროფ. გ. ახვლედიანის „ყრუ mediae ქართულში, ჰაე და ხანი ქართულ ზმნებში“, ტფილისი, 1920 წ. (მასალები სამწ. ქართულის ყრილობისათვის № 1).

2. მისივე „მკვეთრი ხშულნი ქართულში“ (1920 წ. ტფილ. უნივ. მოამბე № 2, გვ. 115 — 128).

3. მისივე „შენიშვნები ქართულ თანხმოვანთა განდახებისათვის“ (1920 წ. „მიმოხილველი“ 1).

4. ბენ. (არნ.) ჩიქობავა „გრძელი ხმოვნები მთიულეთში“ (1924 წ. ტფილ. უნივ. მოამბე IV).

5. პროფ. აკ. შანიძე „უმლაუტი სვანურში“ (1925 წ. „არილი“, გვ. 171 — 231).

6. ვარ. თოფურია „სახელების დაბოლოების ისტორიისათვის სვანურში“ (1927 წ. ტფილ. უნივ. მოამბე VII, 285 — 315).

7. ვარ. თოფურია „კვლავ უმლაუტისათვის სვანურში“ (1928 წ. ტფილ. უნივ. მოამბე VIII, 337 — 346).

8. ვარ. თოფურია „ფონეტიკური დაკვირვებანი ქართველურ ენებში“ (1929 წ. ტფილ. უნივ. მოამბე X, 292 — 304).

9. ბენ. (არნ.) ჩიქობავა „ყე ნაწილაკი ფერეაღნულში და მისი მნიშვნელობა გრამატიკა-ლოგიკის ურთიერთობის თვალსაზრისით“ (1924 წ., ქართ. საენათმეცნ. სახ. წელიწდეული I, 32 — 68).

10. არნოლდ ჩიქობავა „გარე-კახური დიალექტოლოგიურად“ (1925 წ. „არილი“ გვ. 57 — 88).

11. არნ. ჩიქობავა „ფერეაღნულის მთავარი თავისებურებანი“ (1927 წ. ტფილ. უნივ. მოამბე VII, 196 — 247).

12. პროფ. აკ. შანიძე „ნასახელარი ზმნები ქართულში“ (1919 წ. ტფილ. უნივ. მოამბე I, 87 — 96).

13. პროფ. აკ. შანიძე „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“ (ტფილისი, 1920 წ. ტფ. სახ. უნივ. გამ.).

14. მისივე „ქართული ზმნის საქცევი“ (1926 წ. ტფ. უნივ. მოამბე VI, 312 — 338).

15. არნ. ჩიქობავა „უღვლილებების ერთი თავისებურება ქართულ ზმნაში: პირის აღნიშვნა“ (1926 წ. „საქ. განათლ. მუშაკი“ № 14, გვ. 15—18).

16. მისივე „რით არის წარმოდგენილი მრავლობითის სახელობითში დასმული მორფოლოგიური ობიექტი ძველს ქართულში?“ (1928 წ. ტფ. უნივ. მოამბე IX, 107—119).

17. აკ. შანიძე ქართული გრამატიკა I, მორფოლოგია (1930 წ. ტფ. უნივ. გამ.).

18. არნ. ჩიქობავა „მარტივი წინადადების პრობლემა ქართულში. I, ქვემდებარე—დამატების საკითხი ძველს ქართულში“ (1928 წ. ტფ. უნივ. გამოცემა).

19. არნ. ჩიქობავა „ონ ხუფიქსი შეგარულში“ (1926 წ. ტფ. უნივ. მოამბე VI, 305—311).

20. არნ. ჩიქობავა „ქანური ტექსტები, ნაკვეთი პირველი, ხოფური კილოკავი“ (1929 წ. ტფ. უნივ. გამ.).

21. არნ. ჩიქობავა. ქანურის გრამატიკული ანალიზი ტექსტებითურთ (მეცნ. აკად. საქ. ფილ. გამ. 1936 წ.)

22. ვ. თოფურია „სვანური ენა I, ზმნა“ (1931 წ. საქ. სახ. პედაგ. ინსტ. გამ.).

23. აკ. შანიძე „პირის ნიშანი ბრუნვიან სიტყვასთან ქართველურ ენებში“ (ტფილ. სახ. უნივ. შრომები, 1936 წ. I, გვ. 333—340).

ზემოდასახელებული გარემოებისა და თანახმად რომ ყველა ამ ნაშრომების ცალკეული შეფასება მერმისის მოვალეობად მივიჩნიოთ, ზოგადად მაინც შესაძლებელია ითქვას, რომ თვითთელი მათგანი ახალსა და ღინჯს საფუძვლიან გამოკვლევას წარმოადგენს, რომელსაც ვერავინ გვერდს ვერ აუქცევს. ქართული დამწერლობისა და მწერლობის უძველესი, ხანმეტად სახელდებული, ხანის 1923 წ. და შემდეგშიც აღმოჩენილმა ძეგლებმა, ისევე, როგორც „ჰაემეტმა“ ძეგლებმაც მეცნიერებას ქართული ენის ისტორიისათვისაც საყრდნობი შესძინა¹. ხოლო პავლე ინგოროყვას უალრესად საინტერესო გზის-გამკვლევით მონოგრაფია „ძველ-ქართული წარმართული კალენდარი მე-5-8 საუკუნის ძეგლებში“ („საქ. მუზეუმის მოამბე“ ტომი VI, 1929—1930 წ., გვ. 373—446, ტომი VII) საშუალებას გვაძლევს დაუთარილებელ მერმინდელ ხელთნაწერებში დაცულ ძეგლთა შორის ქართული მწერლობის უძველესი ხანის ნაწარმოები გამოვყოთ ხოლმე. ცნობილია, რომ წინათ მე-X ს-ზე უწინარესი ხანის ქართული ენის ნიშანდობლივი თვისებების გამოსარკვევად და-

¹ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ახლად აღმოჩენილი ქართული ხელთნაწერები და მათი მნიშვნელობა მეცნიერებისათვის (1923 წ. ტფ. უნივ. მოამბე II, 313—391). აკ. შანიძე, ხანმეტი მრავალთავი (1926 წ. ტფ. უნივ. მოამბე VII, 98—159). აკ. შანიძე ლიტერატურული ცნობა ახლად აღმოჩენილი უძველესი ქართული ტექსტების შესახებ მეთორმეტე საუკუნის მწერლობაში (1923 წ. ტფ. უნივ. მოამბე II, 398—416). ს. ჯანაშია კიდევ ერთი ნ. შთი ხანმეტობისა თანამედროვე ქართულში (1924 წ. ქართ. საენათმეცნ. სახ. წელიწადური I 117—118). აკ. შანიძე ჰაემეტი ტექსტები და მათი მნიშვნელობა ქართული ენის ისტორიისათვის (1923 წ. ტფ. უნივ. მოამბე III, 354—388).

საყრდნობი ცოტა გვჭონდა და მტკიცე საფუძველიც ვვაკლდა, ეხლა ხანმეტი პალიმპსესტების წაკითხვა და უძველესი ძეგლების შეუმცდარად გამოყოფის სრული შესაძლებლობა ქართული სამწერლობო ენის ისტორიული გრამატიკის შედგენასაც საგრძნობლად აადვილებს.

თავითგანვე დასახული მიზნისა თანახმად, ტფილ. სახ. უნივერსიტეტში კავკასიის ენების შესწავლასაც ხათანადო ყურადღება მქონდა მიქცეული და ერთი მხრით აზნაზურისა, მეორე მხრით—კი ოსურის კურსი აღსებობდა. შემდეგ ამის ჩერქეზულიცა და უბარდოულიც, ჩაჩნურისა, წოფურისა, ლუნძურისა და ლუმუქ-ლეკურის შესწავლაც დაერთო ზედ. ამჟამად ტფ. სახ. უნივერსიტეტში კავკასიის ენების ცალკეული კათედრაც—კი არსებობს. უნივერსიტეტში მიღებული მეთოდისა თანახმად, ამ ენების მონოგრაფიული საფუძვლიანი გამოკვლევა მიზნად დასახული და რამოდენიმეჯერ ადგილობრივ ყოფნა და ხალხური სიტყვიერების ნიმუშების ბლომად შეკრებაცაა საჭირო ამ ამოცანის განსახორციელებლად. ამიტომ მუშაობა ჯერ მიმდინარეობს, მაგრამ ზოგი თამე მინც უკვე გამოქვეყნებულია და უფრო მეტი გამოსაცემად არის დამზადებული, ან მზადდება.

ჯერ-ჯერობით გამოქვეყნებულია პროფ. გ. ახვლედიანის: 1. „Dativus prardicativus ოსურ ენაში“ (1923 წ. ტფ. უნივ. მოამბე III).— 2. მისივე „პროთეტიული ხმოვნის საკითხისათვის ოსურში“ (1923 წ. კრებ. „ჩვენი მეცნიერება“ № 4),— 3. მისივე „სამი ა. ოსურში და მათი მიმართება ძველი ერანულის შესაფერ ბგერებთან“ (1924 წ. ქართ. საენათმეცნ. საზოგ. წელიწდეული I),— 4. C. Achwlediani „Zur Geschichte des Ossetischen“ (1926 წ. ტფ. უნივ. მოამბე VI),— 5. მისივე „1802 წლის ოსური A ხელნაწერი“ (1926 წ. ტფ. უნივ. მოამბე VII),— 6. მისივე „მასალები აფხაზურ ბგერათა ფიზიოლოგიისათვის“ (1926 წ. „მიმოხილველი“, საქ. საისტ. და საეთნ. საზოგ. ორგანო I),— 7. პროფ. სვ. ჯანაშიას დამზადებული ძეგლ „აზნაზური ხალხური სიტყვიერების ძეგლები“ I, ლექსიკონითურთ,— 8. პროფ. აკ. შანიძეს წოფურ ენის გრამატიკა, ტექსტებითა და ლექსიკონითურთ,— 9. პროფ. არნ. ჩიკობავას,— ლუნძური ხალხური სიტყვიერების ძეგლები და ამის გარდა იგი ამზადებს გამოკვლევასაც ლუნძური ენის შესახებ,— 10. პროფ. ვ. თოფურია ლუმუქურ ენას იკვლევს.

რევოლუციის შემდგომ, ავტონომიური ოლქების შექმნის წყალობით, ჩრდილო-კავკასიის ენებს ადგილობრივაც აღორძინება დაეცყოთ. მართალია, დაწესებულებათა გაეროვნულებას იმოდენა ძალა და ენერჯია დასჭირდა, რომ იქაურ მკირერიცხოვან ინტელიგენციას, სასწავლებლებისათვის სასელმძღვანელოებისა და დაწესებულებათათვის საღვრბინოლოგიო ლექსიკონების შედგენის გარდა, სხვა სამუშაოსთვის არ სცლოდათ: თუნდაც რომ შესაფერისად მომზადებული პირებიც პულოდით, რაც სამუშაოდ იმეიათი მოვლენა იყო, ენის კვლევა-ძიებისათვის ვერ მოიკლიდნენ. მაგრამ ზოგი რამე, უმთავრესად ლექსიკონების სახით, მინც გაცეთდა. ხოლო იქ, სადაც თაყიანთი მკვლევარნი არ ჰყავდათ, რუს. დედა-, თუ კავშირის, ანდა სხვა მთავარ ქალაქებთან მპატიეობდნენ მუდმივი, ან დროებითი სამუშაოსთვის და მათ ნაწრომებს ბეჭდავდნენ.

აბხაზეთში დაარსდა „აბხაზური ენისა და მწერლობის აკადემია“, რომელსაც აგრეთვე პრაქტიკული ყოველდღიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება უზღვევდა და ამის გამოც მის თავმჯდომარეს და ერთადერთ მომუშავე წევრს დიმ. გულიასაც ენის კვლევისათვის მოკლა არ შეეძლო. მას 1927 წ. დაბეჭდილი აქვს პატარა, 40 გვერდიანი, „მასალები აბხაზური გრამატიკისათვის“, რომელიც პ. უსლარის აბხ. ენის გრამატიკაში შეპარული შეცდომების შესწორებას და ზოგიერთ მოვლენათა განმარტება-დამატებას შეიცავს (Д. Гулия, Материалы по абхазской грамматике. Дополнения и разъяснения к книге П. К. Услара „Абхазский язык“, аууа—სოჭუმი, 1927 წ.). მასვე 1930 წ. იქვე გამოცემული აქვს „ტერმინოლოგია მწერლობისა და ენათმეცნიერებისათვის“, რუს.-აბხაზური და აბხ.-რუსული, რომელიც უმეტესად ახალ, ხელოვნურად ნათარგმნ და შეთხზულ ტერმინებს შეიცავს. აბხაზეთის სსენ. აკადემიის საფასურით იყო 1926 წ. ნ. მარრის „აბხაზურ-რუსული ლექსიკონი“-ც ლენინგრადში დაბეჭდილი (Н. Марр. Абхазско-русский словарь. Пособие к лекциям и в исследовательской работе. Ленинград, 1926). სამწუხაროდ, ამ წიგნში იმოდენა კორექტ. შეცდომაა შეპარული, რომ მათ შესწორებას 20 გვერდი უკავია. ამავე წიგნის მიხედვით შედგენილი „რუსულ-აბხაზური ლექსიკონი“ 1928 წ. იქვე გამოვიდა კარპ. დონდუას რედაქციით (21. Труды яфетического семинария III. „Русско-абхазский обратный словарь“ Н. Марра, с указателем к нему под редак. К. Дондуа. Ленинград. Вост. инст.).

ჩერქეზებს თავიანთი კულტურული მუშაობის ცენტრად აქვთ „ადგლეური ავტონომიური ოლქის შესწავლის საზოგადოება“ (Общество изучения Адыгейской автономной области), რომელიც ქ. კრასნოდარშია, აგრეთვე ადგლეური, ანუ ჩერქეზული საოლქო მუზეუმი და საოლქო სტატისტიკური ბიურო. ამ დაწესებულებათა ანგარიშებითგან ირკვევა, რომ, რაკი ჩერქეზული ენის მოზადებული შემსწავლელი ადგილობრივ არ ყოფილა, ჩერქეზ. გრამატიკისა და ლექსიკონის შედგენა მოსკოველ პროფ. ნ. ჯაკოვლევისათვის მიუზღვიათ, რომლისთვისაც ქონებრივ დახმარების გარდა, თავიანთი საზოგადოების საგამომცემლო-სარედაქციო კომისიის წევრი დ. აშხამადი-ც მიუშველებიათ. განზრახული საქმის განსახორციელებლად რამდენჯერმე ექსპედიციაც ყოფილა მოწყობილი. დასახული მიზანი, როგორც იყო, 1930 წ. მიღწეულიც არის. შემდეგ კრასნოდარში პროფ. გრენ-იც მიუწვევიათ, რომელსაც მოხსენება წაუკითხავს „ზოგადი შეხედულება ჩერქეზული ენის შესახებ ლინგვისტიკური თვალსაზრისით“, რომელიც, როგორც ვტყობა, აქამდის გამოქვეყნებული არ უნდა იყოს.

აღსანიშნავია ადგლეურ-ჩერქეზული საოლქო სტატისტიკური ბიუროს ბვლეტენში (№ 2) მოთავსებული ჩერქეზთა ავტ. ოლქის უველა დასახლებული ადგილების სახელები სტატისტ. ცნობებითურთ (იხ. 1924 წ. გამ., გვ. 10—18). გამოქვეყნებულია აგრეთვე ადგლეური ავტ. ოლქის ისტორიულ-ეკონომიური მიმოხილვა (Историко-экономический обзор Адыгейской авто-

номной области“, კრასნოდარში 1923 წ. და „ხაბუთა ადგლე“ (Советская Адыгея, კრასნოდარი 1925 წ.), რომელშიც გ. კრიჟანოვსკის წერილიც არის მოთავსებული ადგლეური დამწერლობის პროექტის შესახებ (გვ. 68—79).

ჩერქეზთა ტომის „უბგზების ენაზე“ ა. გენკოს აქვს დაბეჭდილი წერილი (იხ. О языке уبخов, изд. Акад. Наук VII серия, Отд. Гуман. Наук, 1928 წ. № 1, გვ. 227—242).

იმისდა მიუხედავად, რომ წინათ ყაბარდოელები ჩრდილო-კავკასიელთა შორის კულტურულად ყველაზე უფრო დაწინაურებულნი იყვნენ, ამჟამად მათი საქმიანობა თავიანთი დედამისის შესწავლის მხრივ არა ჩანს. ყაბარდოულ-ბალკარული ავტონომიური ოლქიც თავის იმედს პროფ. ნ. ჯაკოვლევიზე ამყარებდა: გრამატიკისა და ლექსიკონის შედგენაც მასვე ჰქონია დავალებული. ამ ოლქის ქონებრივი სახსრით მას რამდენჯერმე ექსპედიცია მოუწყვია, მუშაობის დროს ყაბარდოელ ასპირანტის ბეტალ ჩემაზოკოვის თანამშრომლობაც გამოუყენებია, მაგრამ ჯერ-ჯერობით, როგორც ვტყობა, არც ყაბარდოული გრამატიკა უნდა იყოს გამოქვეყნებული. მოსკოვში, 1923 წ. დაიბეჭდა მხოლოდ ნ. ჯაკოვლევის „ყაბარდოული ენის ფონეტიკის ტაბულები“ და ამ „ცხრილების მაგალითების სიტყვათა კონა“ („Таблицы фонетики кабардинского языка“. „Словарь примеров к таблицам“ მოსკოვი, 1923 წ.) და 1927 წ. „მასალები ყაბარდოული ლექსიკონისათვის“ ნაწილი I, რომელიც ერთმარცვლოვან ძირებსა და სიტყვებს ეხება (Материалы для кабардинского словаря, выпуск I, Словарь односложных коренных слов и корней типа открытого слога: Центр. издат. народов СССР. მოსკოვი, 1927 წ.). თუმცა ეს წიგნი ურიგოდ განზრახული არ არის და არაერთხ ცალკეულ სწორე დაკვირვებას შეიცავს, მაგრამ არსებითად მცდარ საფუძველზეა აგებული.

უფრო მეტი ინტენსივობით მუშაობენ ჩაჩნები, რომელთაც ქ. კავკაზში „ინგუშური მხარეთმცოდნეობის სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტი“ აქვთ, ხოლო ქ. გროზნოში-კი ჩაჩნების კულტურული ცენტრია. პირველს, ვითარცა უმაღლეს სასწავლებლის მქონებელს, მეტი აქვს გაცემებული.

შინაარსიანია ინგუშური ინსტიტუტის უწყებების ჯერეთ გამოსული დიდტანიანი წიგნები (Известия Ингушского научно-исследовательского института краеведения I, Владикавказ, 1928 წ. II—III, იქვე, 1930 წ. და შემდეგი), რომლებშიც არა ერთი საგულისხმო ნაშრომია დაბეჭდილი, როგორც ზნეწვეულებებსა და ნივთიერი კულტურის ნაშთებზე, ისევე ხალხური სიტყვიერებისა და ენის შესახებაც. საინტერესოა მაგ. ლეონიდ სემენოვის Ингушская и чеченская народная словесность, библиографический очерк (იქვე I, გვ. 232—260).

სამეცნიერო მუშაობა „მთიელთა პედაგოგიურ ინსტიტუტ“-თან არსებულ „საეთნოგრაფიო, ენა-სა და მწერლობის სამეცნიერო საზოგადოება“-ში და ინგუშურ სამეცნიერო მუზეუმშიც წარმოებს.

ენათმეცნიერება აქ პროფ. მ. ნემიროვსკის ხელშია, რომელსაც კავკასიელთამცოდნეობის საენათმეცნიერო დარგის წარხულისა და თანამედროვე

მდგომარეობის მოკლე, მაგრამ მარჯვე მიმოხილვაც აქვს დაწერილი და საკუთარი ნაკვლევებიც მოეპოვება. სახელდობრ:

1. „კავკასიის ენათმეცნიერების აწმყობა და წარსულითგან“ (Из прошлого и настоящего Кавказской лингвистики. Изв. Инг. Инст. Краев. I, გვ. 299 — 348).

2. „კავკასიის ენათმეცნიერების თანამედროვე მდგომარეობისათვის“ — (К современному состоянию Кавказской лингвистики: Науч. общ. этногр., языка и литературы при Горск. Педаг. Инст., კავკავი 1930 წ.).

3. „ჩრდილო-კავკასიის ენების ჩაჩნური ჯგუფის გამოკვლევის შეცნიერულად დაუენებისათვის“ (К научной постановке исследования чеченской группы северо-кавказских языков (იქვე, II—III, გვ. 448 — 465).

4. „ჩაჩნურ-დაღესტნური ენების ზოგიერთი მოვლენები ზოგადი ენათმეცნიერების თვალსაზრისით“ (Некоторые явления Чеченско-Дагестанских языков в свете общей лингвистики: Горский Педаг. Инст., იქვე 1930 წ.).

5. ხეთური ნაცვალსახელოვანი ფორმები ლ-ზე და იაფუტური ენები კავკასიისა და ხმელთაშუაზღვის სანაპიროებისა“ (Хеттские местоименные формы на I и яфетические языки Кавказа и Средиземноморья: Науч. Общ. Этногр., языка и литер. при Горск. Педаг. Инст., იქვე 1930 წ.).

პროფ. ნემიროვსკის ყველა ნაწერებს დაკვირვების უნარი და მეცნიერული სიღიზჯე ეტყობა. ამ დარგის ლიტერატურის საფუძვლიანი ცოდნა და მუდმივი თვალყურის დევნება, საღი კრიტიკული დამოკიდებულება მას მარჯვე მიმომხილველად ჰხდის, მაგრამ, როგორც მისი ერთი შენიშვნითგან ჩანს, მას ამ ს გარდა მოზრდილი საკუთარი ორიგინალური ნაშრომის გამოქვეყნებაც ჰქონია განზრახული კავკასიის ენების შესახებ.

ჩაჩანთაგან თავის დედაენის კვლევას ზ. მალსაგა მისდევდა. საგულისხმოა ერთი მისი პატარა, შენიშვნის სახელდებით გამოქვეყნებული, წერილი „სქესკატეგორიების ნ.წილაკების საკითხისათვის ნახკოურ ენაში“ (К вопросу о классных элементах в нахском языке. Заметка: Изв. Ингуш. Инст. Краев., II — III, გვ. 466 — 469). ამ პატარა ნაკვლევში ავტორი გაკვრით ეხება ფრიად მნიშვნელოვან საკითხს ჩაჩნური ზოგიერთი არსებითი სახელების ამჟამად სიტყვის განუყოფელ ნაწილად მიჩნეული თავიკიდური ბგერების ნამდვილი ბუნების შესახებ, სახელდობრ, რომ ისინი სქესკატეგორიის ოდინდელი თავსართებია. ეს საკითხი, როგორც მკითხველი დარწმუნდება, ჩვენი ნაშრომის ერთ მთავარ საკითხთაგანია და ვრცლად არის განხილული, თავის იდგილას აღნიშნული გვაქვს, რომ ამ პრობლემის გამორკვევას ყველა კავკასიის ენებისათვის, ოდინდელი აგებულების გათვალისწინების მიზნით, ძირითადი მნიშვნელობა აქვს. მალსაგა ჩაჩნური ენის რამდენიმე სიტყვის ეტიმოლოგიით კმაყოფილდება და ამ ენის ფარგლებს არ სცილდება, მაგრამ ეს პატარა შენიშვნა ავტორის დაკვირვების უნარს ამჟღავნებს. საგულისხმოა ამავე წერილში გამოთქმული მისივე მოსაზრება, რომ ზოგიერთი ჩაჩნური ზმნების თავიკიდური ლ ბგერაც ამავე თვისებისა უნდა იყოს, იმისდა მიუხედავად, რომ ჩაჩნურს სქესკატეგორიის ასეთი თავსართი არ გააჩნია. სამაგიეროდ თავისი აზრის სიმართლის

დასამტკიცებლად მას დალისტნის ენათაგან ანდი-დილოური ჯგუფის დიალექტები აქვს დამოწმებული, რომელთაც სქესკატეგორიის ნიშნად ლ ბგერა მოეპოვებათ.

საგულისხმოა აგრეთვე ხ. ჯანდაროვის პატარა ნაკვლევი „რ ინფიქსზე ვეანახურ (ჩაჩნურ-ინგუშურ) ენაში“. (X. Яндаров „Об инфиксе «r» в вейнахском языке“: Изв. Инг. Инст. Краев. II, 470 — 472), რომელშიც ის ამტკიცებს, რომ რ წინათ ბოლოსართი იყო და ადგილმონაცვლეობით არის ინფიქსად ქცეული, და ამავე ავტორისა, ა. შაციევისა და ა. ავორხანოვის 1933 წ. დაბეჭდილი „ნოჩჩიან მეტტინ გრამატიკა“, რომელიც ჩაჩნურად დაწერილი და გროზნოში გამოქვეყნებული ჩაჩნური ენის გრამატიკაა.

დასასრულ, უნდა ჩაჩნური ენის გამოცემული ლექსიკონებიც დავასახელოთ. იმავე მალსაგა-ს შედგენილი აქვს რუსულ-დაღღაური (ინგუშური) ლექსიკონი, რომელიც 1929 წ. დაიბეჭდა კავკაეში (Malsaga n. I. Ersij Ghalghaj Desaj Lughat, Русско-ингушский словарь) და მ. გ. უჯახოვის, პირიქით, დღიღურ-რუსული სიტყვათა კონა აქვს 1927 წ. იქვე გამოცემული (M. G. Uzah Ghalgh-Ghazaev Lughat, Ингушско-русский словарь M. Г. Ужахова).

არსებობს ჩაჩნურ-რუსული ლექსიკონიც, რომელიც ა. გ. შაციევის შედგენილია და 1927 წ. ქ. გროზნოში დაიბეჭდა (A. G. Maciev, Noxin-Orsin Desnin Zajna, Чеченско-русский словарь).

დალისტანში 8 ენოვანი ერთეულის არსებობის გამო, რომელთაგან ყველაზე პრაქტიკობიანნი, ლუნძები და ანდიელნი, ორთავე სქესის 260000 სულზე მეტს არ შეადგენენ, სხვები-კი ამაზე გაცილებით უფრო მცირედნი არიან (დარგოელნი 180000-მდე, კვრ-ლეკები 140000-მდე, ლუმუქ-ლეკები 60000-მდე, დანარჩენნი-კი წვრილ-წვრილ ერთეულებად არიან დანაწილებულნი). რევოლუციისა და დალისტნის ს. რესპუბლიკის შექმნის შემდგომაც ეროვნული კულტურის აღორძინება გაძნელებულია: არც ერთი ამ მოძმე ლეგურ ენათაგანი არც იმდენად დიდ ფართობზეა გავრცელებული და არც იმდენად არის დანარჩენთა შორის სასაუბროდ მიღებული, რომ ამ რესპუბლიკის თუმცა მოძმე, მაგრამ პრაქტიკობიანი მოსახლეობისათვის საერთო ენა იყოს, ანდა სახელმწიფო ენად იქცეს.

რევოლუციამდე ოფიციალურ ენად იქ რუსული იყო, ადგილობრივ მკვიდრთათვის-კი საერთო ენად არაბულსა ჰმარობდენ. რევოლუციის შემდგომ სახელმწიფო ენად რუსული და თურქული ენებია მიღებული. მაგრამ თვითოეულ ტომს თავისი სატომო დედაენის ხმარებაც შეუძლიან. საერთო დედაენის უქონლობა, რა თქმა უნდა, ადგილობრივი ეროვნული მწერლობისა და კულტურის შექმნასაც აფერხებს: ინტელიგენტთა სიმცირე და ენების სიმრავლე გაეროვნულების საერთო საფუძელის მოძებნას აძნელებს. ამით აიხსნება, რომ, თუმცა დალისტანში ადგილობრივ ენაზე რამდენიმე ვაზეთი გამოდის, მაგ.: „მოიელი“ (ლუნძურად), „დარგოელი“ (დარგოულად), „ზახმატჩი“ (ე. ი. შშრომელი, ლუმუქ-ლეკურად) და „ახალი ქვეყანა“ (კვრ-ლეკურად), მაგრამ ვანათლების ხელ-

მძღვანელი ორგანო „მაგარიფ-აელჯ“ (განათლების გზა) თურქულად იბეჭდება, იმ ენაზე, რომელიც დალისტნელებისათვის უცხოა.

ამავე მიზეზით უნდა აიხსნებოდეს, რომ ქ. მახაჩ-ყალა-ში (ყ. პეტროვსკში) საკმაოდ კარგი „დალისტნის მუზეუმისა“, ხაჯარო წიგნთსაცავისა და „დალისტნის კულტურის ინსტიტუტის“ არსებობისდა მიუხედავად, დალისტნის ენების მეცნიერული ადგილობრივი შესწავლის არავითარი კვალი არა ჩანს. პრაქტიკული ლექსიკონების გამომცემლობის შესახებაც-კი ცნობები არ მოიპოვება.

საკუთარი, ჯეროვანად მომზადებული ძალის უქონლობის გამო, დალისტანშიც სხვაგნებურ მეცნიერთა მუშაობაზე უნდებათ იმედის დამყარება და ამ მხრივ ზოგი რამე მართლაც გაკეთდა. უპირველესად უნდა მოსკოველი პროფ. ლ. ჟირკოვი იქმნეს დასახელებული, რომელსაც ორი გრამატიკა აქვს გამოკვეყნებული: 1924 წ. მოსკოვში გამოცემული „ავარული (ლუნძური) ენის გრამატიკა“ (Л. Жирков, Грамматика аварского языка: Труды подразделения исследования северно-кавказских языков при Институте Востоковедения в Москве, вып. 3) და 1926 წ. იქვე დაბეჭდილი „დარგოული ენის გრამატიკა“ (Грамматика даргинского языка: Центр. издат. народов СССР, Москва), ორივე ნაშრომი უსლარის თხზულებებზე დაყრდნობით, მაგრამ ამ ენების აგებულება უფრო მარტივად და სწორედ არის განმარტებული.

პროფ. ჟირკოვს დაბეჭდილი აქვს მიმოხილვა „დალისტნის ენები და მათი შესწავლა“, რომელიც 1926 წ. იყო ბაქოში დაბეჭდილი (Языки Дагестана и их изучение. Изв. Общ. Исследования и Изучения Азербайджана № 1, გვ. 41 — 48). იგი მეტად მოკლეა, ახალსაც თითქმის არაფერს შეიცავს.

სამაგიეროდ ახალი მასალებია ჟირკოვის 1930 წ. მოსკოვში გამოკვეყნებულ ნაშრომში „დაბა ყუბაჩის ენა“ (Язык аула Кубачи: Учен. Зап. Инст. Этнич. и Национ. Культур Народов Востока, Ранион, т. 1, 255—281), რომელშიც მოკლე გრამ. აღნუსხვა, ენის ნიმუშები და ცნობებია გეოგრაფიულისა და ტომობრივი სახელების შესახებ.

პროფ. ლ. ჟირკოვს 1930 წ. გამოკვეყნებული აქვს აგრეთვე ზოგადი ხასიათის პატარა ნაკვლევი „დალისტნის იაფეთური ენების ზმნის აგებულებაზე“ (О строе глагола в афетических языках Дагестана: Доклады Акад. Наук. 1930 წ., № 5, გვ. 79 — 84), რომელშიც დალისტ. ენების ზმნის ფორმანტებია განხილული.

ა. გენკო-მ 1929 წ. გამოაქვეყნა კვრულ-ლექსური ენის, წინათ ცნობილს კვრულსა და ასტურს დიალექტებს ვარდა, მისგან აღმოჩენილი შესამე ყუბური დიალექტის შესახები მასალები: „ლექსური დიალექტოლოგიის მასალები. ყუბური კოლოკავი“ (Материалы по лезгинской диалектологии. Кубинское наречие: Изв. Акад. Наук СССР, VII серия. Отд. Гуман. Наук, 1929 წ. № 4, გვ. 317 — 342).

დასასრულ, რ. შორ-ს დაბეჭდილი აქვს ორი ნაკვლევი. იაფეთური ენების თანხმონობის შესახებ. ერთი ჩრდილო-კავკასიის ენებს ეხება, მეორე — სამხრეთ კავკასიისას („К вопросу о консонантизме афетических языков

Сев. Кавказа»: Культура и письменность Кавказа № 5. — „К вопросу о консонантизме афетических языков южного Кавказа»: Учен. Зап. Инст. Этнич. и Национ. Культур Народов Востока, Москва, 1930 წ. т. I, 174—198. Ранион).

1927 წ. ი. ხარუბინმა პინდუყუშის სანახებში მოხინაღრე ტომის კანჯუტური ენის ვერშიკული კილოკავია შესახებ მონოგრაფია გამოაქვეყნა, რომელშიც ამ ტომის გეოგრ. მდებარეობისა და ენის გრამატიკულ დახასიათებას გარდა, პატარა ტექსტები და ლექსიკონიც არის დართული (იხ. *Жаниски Коллегии Востоковедов II, вып. 2, გვ. 275—364, ლენინგრადი*). აკად. ნ. მარტის ღვაწლია, რომ ამ ენის ნამდვილი ბუნება და ჩრდ. კავკასიის ენებთან მახლობელი ნათესაობა აღნიშნა. ასეთ დაშორებულ ადგილას კავკასიის ენების მონათესავე ერთეულის აღმოჩენა უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ამოცანის გამორკვევას ავალებს მეცნიერებას, ეს ტომი ძველი მოსახლეობის ნაშთია. თუ შემთხვევით შეხიზნელის, სახელდობრ, რომელისა და სადაურის, მაგრამ ამის გადასაწყვეტად ჯერ კიდევ ბევრი ისალი ცნობების შეკრებაა საჭირო.

მსოფლიო ომის შემდგომ ქართულისა და კავკასიური ენებისადმი მეცნიერული ინტერესი სახლვარგარეთაც საგრანობლად გაძლიერდა, ამ ენების მკოდნე პირთა და შემსწავლელ მეცნიერთა რიცხვმაც დას. ევროპაში თვალსაჩინოდ იმატა. წინათ თუ მთელ დას. ევროპაში ქართულის მკოდნე მეცნიერი მხოლოდ ორი იყო. ცნობილი ენათმეცნიერი პროფ. ჰუგო შუხარდტი (გრაც-ში) და გამოჩენილი ბოლანდისტი და ჰაგიოლოგოსი პოლ პეტერსი (ბრესელ-ში). ომის შემდგომ 7 მიემატა: გერმანიაში ორი მკვლევარი. ავსტრიაში ერთი, საფრანგეთში ორი და ამერიკაშიც ერთი. თვით ნორვეგიაშიც არის ამ ენად ქართულის კარგი მკოდნე მეცნიერი.

ბერლინში მოღვაწეობს პროფ. რიჩარდ მეკელაქანი Richard Meckelein, რომელმაც 1928 წ. ბერლინში 656 გვერდიანი „ქართულ-გერმანული სიტყვარი Georgisch-Deutsches Wörterbuch“ გამოსცა. ამ წიგნს მიზნად წმინდა პრაქტიკული დასიზნულება აქვს მიკუთვნებული.

ვენაში რობერტ ბლაახშტაქანი Robert Blachstner, რომელიც ქართულის მკოდნე და ჩვენს სამეცნიერო დარგებში მომუშავე მკვლევარია. 1918 წ. მან გამოაქვეყნა თავისი „კავკასიის ხალხებისა და ენების მიმოხილვა“ (Überblick über Kaukasische Völker und Sprachen: Berichte des Forschungsinstitutes für Osten und Orient, II, B., გვ. 66—85, Wien).

1930 წ. რომში ფრანც ცორელმა გამოაქვეყნა „დაბადების სველი ქართული თარგმანის გრამატიკა“ პატარა ტექსტების ნიმუშებითა და ლექსიკონით (Franz Zorell S. I. Grammatik zur altgeorgischen Bibelübersetzung mit Textproben und Wörterverzeichnis. Roma: Scriptura Pontifici Institutii Biblici). წიგნის ავტორი დაკვირვებული მკვლევარი ჩანს და იმისდა მოუხედავად, რომ მას ზოგიერთი წყაროები გამოჰპარვია, ევროპელთათვის დიდი საშახურის გაწევა შეუძლიან.

პროფ. Gerhard Deeters გერჰარდ დეეტერს-ს ლაფეციგში 1927 წ. გამოაქვეყნებული აქვს გამოკვლევა „ხომხური და ხაშხრეთ-კავკასიური“

(Armenisch und Süd-Kaukasisch, ein Beitrag zur Frage der Sprachmischung: *Caucasica*. Fasc. 3 და 4), რომელშიც სომხურისა და ქართულ-ქართველური, როგორც ბევრითი შესატყვისობანია განხილული, ისევე მორფოლოგიური და სინტაქსური საკითხებიც არის გაშუქებული.

ამავე ავტორის მეორე დიდი ნაშრომი ქართულისა და ქართველური ზმნის მონოგრაფიულ გამოკვლევას წარმოადგენს (*Das Kharthwelische Verbum, vergleichende Darstellung des verbalbaus der Süd-Kaukasischen Sprachen*, Leipzig 1930)¹.

ორივე თხზულება დეტერსის საფუძვლიან ცოდნასა და დაკვირვების უნარს ამჟღავნებს, თანაც დიხჯი გამოკვლევები გახლავთ.

ფრანგ ენათმეცნიერს René Lafon რენე ლაფონ-ს გამოქვეყნებული აქვს ერთი გამოკვლევა ქართულის შესახებ, რომელსაც ეწოდება „1 და 2 პირის ნაცვალსახელების შესახებ ქართველურ ენებში“ (*Sur les pronoms personnels de 1 et 2 personnes dans les langues Kartvéles: Bullet. de la soc. de ling. de Paris*, 1930 V., XXX, Fasc. 2, § 90, გვ. 153 — 169).

ამავე ავტორის მეორე გამოკვლევა-კი შედარებითი ხასიათისაა და სათაურად ეწოდება: „ზოგიერთი მსგავსება ჩრდილო-კავკასიის ენებსა და ქართველურ ენებს შორის“ (*Quelques rapprochements entre les langues caucasiennes septentrionales et les langues Kartvéles: იმავე ორგანოს XXIX, Fasc. 3. № 87, გვ. 138 — 152*).

1931 წ. პარიზში ნ. მარრისა და მისი მოწაფის მ. ბრიერ-ის ნაშრომი გამოქვეყნდა, რომელსაც „ქართული ენა“ ეწოდება (*N. Mari et M. Brière. La langue géorgienne, Librairie de Paris Firmin—Didot et Cie*) და ქართულ გრამატიკას, ქრესტომათიასა და ლექსიკონს შეუცავს. გრამატიკა ნ. მარრის ოქსულად გამოქვეყნებული ძვ. ქართული გრამატიკის ფრანგ. ვარდინაგეთებს წარმოადგენს, ქრესტომათია-კი იოს. ყიფშიძის ქრესტომათიის გამორედაა. ნორვეგულ ენათმეცნიერს თავის რეცენზიაში სამართლიანად აქვს აღნიშნული, რომ ეს ნაშრომი 15 წლით არის თანამედროვე ქართ. სამეც. მწერლობას ჩამორჩენილი. ამის გამო მოძველებულია და არაერთ მცდარსა და სათუო დებულებას შეიცავს, ამიტომ მისი გამოყენება მხოლოდ სიფრთხილით შეიძლება. სამაგიეროდ ქრესტომათია და ლექსიკონი დასავ. ევროპელ შემსწავლელთ დიდ სამსახურს გაუწევს (იხ. Hans Vogt-ის რეცენზია: *Bull. crit.* CC XXIII, გვ. 142 — 145).

1935 წ. ნორვეგიის დუდაქალაქს ოსლოში გამოვიდა ერნსტ. უ. ზელმერ-ის ექსპერიმენტული გამოკვლევა ქართული მახვილისა და ბგერების შესახებ, რომელსაც ჰანს ფოქტ-ის ბოლოსიტყვაობა აქვს დართული (*Ernst W. Selmer. Georgische Experimentalstudien: Det Fonetiske Institut opuscula phonetica, Fasc. № XI, Oslo*). ფრიად საგულისხმო გამოკვლევაა, მაგრამ რომელსაც გაგრძელება, ვალრმავება და გამრავალმხრივება სჭირდება.

¹ იხ. ამ ნაშრომის საფუძვლიანი რეცენზია Hans Vogt-ის მიერ დაწერილი *Indogermanische Forschungen*, B. III, გვ. 245—250.

ჩრ. კავკასიური ენებისადმი დამოკიდებულება ც შეიცვალა და ეხლა უკვე არაერთი მკვლევარია, რომელიც მათი აგებულების გამოცნობით არის დაინტერესებული, აკვირდებიან ბგერების თავისებურებასაცა და მორფოლოგიურ თვისებებსაც, ცდილობენ მათ გამოყენებას არა-ასირიული ლურსმული წარწერების ენის განსამარტავადაც.

ჩრდილო კავკასიის ენებზე მომუშავეთა შორის აღსანიშნავია პროფ. ნ. ტრუბეცკოძის გამოკვლევები, რომელიც დასაწყისში ფონეტიკური საკითხებით იყო უმთავრესად დაინტერესებული. ამ დარგში მას გამოქვეყნებული აქვს:

1. „ჩრდილო-კავკასიის ენების ლატერალური თანხმოვნები“ „Les consonnes latérales des langues caucasiques septentrionales“ (Bulletin de la Société de Linguistique de Paris, XXIII, № 70, 1922 წ., გვ. 184—204).

2. „ნაკვლევები ჩრდილო-კავკასიის ენების შედარებითი ფონეტიკის ხფეროში. I. ავარულ-ანდიური ენების <მოკლე> და <მარჩბი>, გემინანტი თანხმოვნები (Studien auf dem Gebiete der vergleichenden Lautlehre der Nordkaukasischen Sprachen. I. Die „kurzen“ und „geminierten“ Konsonanten der Avaro-andischen Sprachen (Caucasica, Fasc. III, 1926 წ., გვ. 7—36, Leipzig).

მისვე კალამს ეკუთვნის 1924 წ. გამოსულ ფრანგულ კრებულში „Les langues du Monde“ (მსოფლიოს ენები) ჩრდილო-კავკასიის ენების შესახები ზოგადი ხასიათის წერილიც „ჩრდილო-კავკასიური ენები“ („Les langues Caucasiques Septentrionales“).

ტრუბეცკოძის 1929 წ. გამოქვეყნებული გამოკვლევა უკვე მორფოლოგიურ საკითხს ეხება: „შენიშვნები ჩაჩურ-ლექური ენების ზმნის დაბოლოებათა შესახებ“ (Notes sur les desinences du verbe dans les langues tschetscheno-esghiennes: Bulletin de la Société de Ling. de Paris, t. XXIX, fasc. 3, 1929 წ. № 88, გვ. 154—171). ამავე შეცნიერს შედარებითი ხასიათის გამოკვლევა ც მოეპოვება „ჩრდილო-კავკასიურ სიტყვათა შედარებანი“ (Nordkaukasische Wortgleichungen), რომელიც ვენის აღმოსავლეთის-მცოდნეობის ორგანოში იყო გამოქვეყნებული (Wiener Zeitschrift für die Kunde des Morgenlandes XXXVII, 1/2 Hefte, გვ. 76—92). ამ ნაშრომში ნაწილაკები, კავშირები, ნაცვალსახელოვანი და სქეს-კატეგორიების ნიშნები, რიცხვითი, ზედსართავი და არსებითი სახელები და ზმნები აქვს შედარებული ამ ენების ნათესაობის საკითხის გამოსარკვევად. პროფ. ტრუბეცკოძის ყველა ნაშრომში დინჯი მკვლევარი მოჩანს.

G. Dumézil-მა 1932 წ. პარიზში თავისი ორი საყურადღებო ნაშრომი გამოაქვეყნა, რომელთაგან ერთში უბიხთა ენაა მონოგრაფიულად შესწავლილი და ეწოდება La langue des Ubykhs, მეორე-კი შედარებითს გამოკვლევას წარმოადგენს. იგი კავკასიური ენების ჩრდილო-დასავლური ენების შედარებითს გრამატიკას შეიცავს და ჰქვია Études comparatives sur les langues caucasiennes du Nord-ouest, Morphologie.

1928 წ. მოყოლებული კავკასიის-მცოდნეობის დარგის მკვლევართა ჯგუფს პროფ. იოსებ კარსტ-იც ემატება. მანამდე ის ჯერ სომხურ ენათმეცნიერე-

მაში, შემდეგ სომხ. სამართლის ისტორიაში მუშაობდა. ავტორის სიტყვით, ამ მიმართულებითაც მას კარგა ხანია კვლევა-ძიება უწარმოებია და მასალა უგროვებია, რომლის შედეგის გამოქვეყნებას ის მხოლოდ 1928 წელს შეუდგა, მაგრამ სამაგიეროდ ამ ერთს წელსწადში მან ორი წიგნის დაბეჭდვა მოახერხა: ვენაში ფრანგულად „Alarodiens et Proto-Basques“ და ლაჟუციგში გერმანულად „Grundsteine zu einer Mittelländisch — Asianischen Urgeschichts“. ორი წლის შემდგომაც, 1930 წ., ასევე მისი წყვილი წიგნი გამოვიდა: სტრასბურგში „Les Ligures (Prolegomena Pelasgica), ხოლო ჰაიდელბერგში „Armeno-Pelasgica“. 1931 წ. კარსტ-მა გამოაქვეყნა: „Origines Mediterraneae“, 1932 წ.-კი „Grundzüge einer vergleichenden Grammatik des Ibero-Kaukasischen“ „იბერულ-კავკასიურის შედარებითი გრამატიკის ძირითადი მონახაზი“. ჩვენი მიზნისთვის უკანასკნელი ნაშრომია უმთავრესად საყურადღებო და ამიტომაც აქ მხოლოდ მას უნდა შევხვით. ფონეტიკურ შესატყვისობათა მოკლე მიმოხილვის შემდგომ, კანკლედობა, უღვლელება, სახელწმნა, კაუზატივი და რიცხვითი სახელებია განხილული, ბოლოში მოკლედ ნაცვალსახელებსა და გრამ. სქესზეც აქვს საუბარი.

იბერულად კარსტს ესპანიის იბერებისა და ბასკების ენები აქვს ერთი მხრით ნაგულასხმევი, კავკასიურად-კი ქართულ-ქართველური და ჩრდილო-კავკასიის ენები. უკვე ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ ყველა ამ კავკასიური ენების ნათესაობას კარსტი უცილობელ კვშმარიტებად სთვლის, ნამდვილად-კი ამას ჯერ კიდევ საფუძვლიანი განხილვა და დამტკიცება სჭირდება. შედარებისათვის სხვადასხვა ენებიდან ცალკეული სიტყვებია აღებული მათი წარმოშობილობის გაუთვალისწინებლივ. მხოლოდ ძველი და თანამედროვე ქართულის ცხადი უცოდინარობის ნაყოფი უნდა იყოს ის გარემოება, რომ ძველად სხვადასხვა წარმოშობილობის, მაგრამ დროთა განმავლობაში დამსგავსებული სიტყვები კარსტს მონათესავე სიტყვებად მოსჩვენებია. რა თქმა უნდა, რომ ასეთი ცოდნით აღკურვილს მკვლევარს შეცდომები მრავლად უნდა ჰქონდეს და ასეთ პირობებში ყოველი შედარების ღირებულებაც სათუო ხდება. ამიტომაც არის, რომ იქ, სადაც კარსტი სომხურის ცოდნას ემყარება, მისი ზოგიერთი პარალელი და შედარება საინტერესო და ზოგჯერ საყურადღებოც არის, მაგრამ როდესაც ის ქართულსა და ქართველურზე გადადის, აქ მრავლად არის მცდარი მაგალითები დაგროვილი. კარსტს თავისი ნაშრომი შედარებითი გრამატიკის წინამორბედ ნამუშევრად აქვს დასახელებული (გვ. XIX), მაგრამ არა მგონია ამისთვისაც გამოსადეგი იყოს. სომეხთამცოდნეობაში მისი ნიჭითა და საფუძვლიანი ცოდნით გამოქვეყნებული ნაშრომების შემდგომ, მისი უკანასკნელი დროის ნაშრომების გადაკითხვა სწორედ რომ უცნაურ შთაბეჭდილებას ატოვებს.

ქართველური და კავკასიური ენების შესახებმა ზემოთოყვანილმა მიმოხილვამ დაგვანახა, რომ ენოვანი მასალებიც საკმაოდ ბევრია დაგროვილი და მკვლევართა რიცხვიც თანდათანობით მატულობს, არა ერთი კარგი ნაშრომიც უკვე მოგვეპოვება.

მეტადრე სასიხარულოა, რომ უკანასკნელ წლებში, ჩვენმა ენათმეცნიერებმაც მიჰყვეს კავკასიური ენების გაღრმავებულს კვლევა-ძიებას ხელი, წინათ შეკრებილი მასალის ბგერითი და ლექსიკური მხრით მკაცრი შემოწმებით, ახალი უფრო ვრცელი მასალის შეგროვებითა და მთელი ამ შენაძენის მონოგრაფიული, გულდასმითი შესწავლითურთ. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი სრულებით სანდო უხვი ენოვანი მასალის შეკრება და მტკიცე შედეგის მოპოვება. მომავალში, ასეთ მონოგრაფიულ კვლევა-ძიებაზე დაყრდნობით, ფართო, ზოგადი და შედარებითი საკითხების განხილვაც გაადვილდება, იმჟამად-კი ეს საქარესი. მეტადრე ამ ენათა ნათესაობის ამოცანა. უაღრესად რთულსა და სასოფათო ამოცანას წარმოადგენს.

ენათა ნათესაობის საკითხი შესაძლებელია მხოლოდ აგებულებისა და უექსიკული საგანძურის ძირთა ერთდაიგივეობის მიხედვით იქმნეს გადაწყვეტილი. არც ერთ ამ თვალსაზრისითგან-კი ეს ენები აქამომდე არავის შეუღწავლია. ადოლფ დიროის უკანასკნელ ნაშრომებში-კი, როგორც თვით მასაც ხახ გახმით აქვს აღნიშნული. მიზნად ჰქონდა მხოლოდ მანამდე გამოქვეყნებულ მასალებსთვის მოეყარა თავი და ყველასთვის მისაწვდომი გაეხადო. არაერთაზრი ფართო შედარებითი პერსპექტივის გადაშლია მას არ მსუროდა. ამჟამად, საკითხი ქართული და ე. წ. კავკასიური ენების ნათესაობის შესახებ წინანდებურად ისევ ისევე გამოურკვეველია.

ამისდა მიუხედავად, ამ „სამუშაო ჰიპოთეზითა“, თუ ლიტონი რწმენით ყველა სარგებლობს ისე, რომ ხშირად ურყევ დებულებადაც-კი არის ხოლმე მიჩნეული. მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ გრამ. სქეს-კატეგორიები ქართულს არ გააჩნია, ენათა ჩრდილო-დასავ. ჯგუფითგანაც ჩუქნულსა და კაბარდოულსა არა აქვს, აზნაზურსაც მხოლოდ ნაწილობრივ მოეპოვება, რომ დალისტინის ენებითგან თაბასარანულს, ალულურსა და კრულ-ლუკურს, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლურის ერთად-ერთ გადარჩენილს უდურსაც არ გააჩნია, რომ ქართულსა და კავკასიურ ენებში ნაცვალსახელები და რიცხვითი სახელები ეოთმანერთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავდება, რომ ქართულსა და ჩრდილო-დასავ. ენათა ჯგუფს, თუმცა სხვა ნაცვალსახელოვანი თავსართებიანი, მაგრამ მაინც ხმის ორგანული წარმოება აქვს, ჩაჩურ-დალისტინის ენებს-კი არაფერი ამის მსგავსი არ მოეპოვებათ, რომ ყველა ამ ენათა ლექსიკის ძირების იგივეობის, გინდ ნათესაობის გამოოკვევი აქამდის არავის არც-კი უცლია (ტრუბეტკომა მხოლოდ ჩოდ, კავკასიის ენების ნათესაობის გამოოკვევა სკადა), მაშინ ცხადი გახდება, რომ ე. წ. კავკასიური ენების კვლევის თანამედროვე საფეხურზე ამ ენათა იგივეობის აზრი სამუშაო ჰიპოთეზის სახითაც არ შეიძლება წამოყენებულ იქმნეს.

შესაძლებელია ამაზე მეტიც ითქვას: არც ერთ მეცნიერს, რომელსაც-კი მეცნიერების წინაშე თავისი თავის პასუხისმგებლობა ესმის, უფლება არა აქვს სთქვას, რომ კავკასიური ენების ნათესაობის ჰიპოთეზისათვის ჯერ-ჯერობით ოდნავად მაინც დამაჯერებელი არამც თუ საფუძველი, არამედ დებულება-ც არსებობდეს. ამიტომ ეს აზრი უფრო რწმენას შიავავს, ვიდრე სამეცნიერო თუნდაც სამუშაო, ჰიპოთეზს.

კარი შერაე

დასახული მიზანი და მეთოდოლოგია

თავი პირველი

ამ გამოკვლევისათვის დასახული მიზანი და სამღერები.

წინამდებარე წიგნის მიზანს სწორედ ქართულისა და ე. წ. კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნებისა და მონათესავეობის საკითხის გამოკვლევა შეადგენს. რაკი ენის ბუნება მის აგებულებაში მოჩანს, ამიტომ უნდა გავიგოთ. წინათ და თავდაპირველადაც ამ ენებს ისეთივე აგებულება ჰქონდათ, როგორც ეხლა აქვთ, თუ მათი ბუნება საუკუნეთა განმავლობაში შეცვლილა? იმ შემთხვევაში, თუ გამოირკვა, რომ ამ ენათა აგებულება შეცვლილა, რა თვისებისაა ეს ცვლილება, რამდენად არსებითია ეს პროცესი და რა გარემოებას და მიზეზებს უნდა გამოეწვია ამ ენების ბუნების შეცვლა. დასასრულ, ამ ენების მორფოლოგიის ასეთი შეცვლილობა დაახლოვებით როდის შეიძლება რომ მომხდარიყო.

თავისდათავად ცხადია, რომ ამ ენათა აგებულების პრობლემის შესწავლამ საშუალება უნდა მოგვცეს ძირითადი საკითხი გადავწყვიტოთ: უფლება გვაქვს, თუ არა, ქართულისა და ე. წ. კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნების გამოკვლევის შემდგომ, დავასკვნათ, რომ ეს ენები იმთავითვე მონათესავენი უოფილან, რომ მათი საერთო წარმოშობილობის უტყუარი და უცილობელი საბუთი არსებობს? თუ კავკასიური ენებისა და ქართულის თავდაპირველი ნათესაობა უეჭველი ჰემშარიტება აღმოჩნდა, მოეძებნებათ ამ ენებს კიდევ მონათესავენი, თუ არა, და, თუ თვისტომნი ჰყოლიათ, ვინ და ხად სახელდობრ?

ცნობილია, რომ ენათა მონათესავეობა მარტო აგებულების იგივეობისა და მსგავსებით კი არა მტკიცდება, არამედ სიტყვათა საუნჯის ძირთა იგივეობითაც. რა თქმა უნდა, ყოველი ენის ლექსიკური საგანძური მის ბუნებაზე გაცილებით უფრო ცვალებადია: ცალკეულ სიტყვებს მეზობელთაგან, ანდა პოლიტიკურად, თუ კულტურულად გაბატონებული არამონათესავე და უცხო მთამომავლობის ამა-თუ იმ ერისაგან ყველა ერები ითვისებენ ხოლმე. ამიტომაც არის, რომ დედამიწის ზურგზე არ მოიპოვება არც ერთი ხალხი, რომლის ლექსიკაშიც უცხო სიტყვები ცოტად თუ ბევრად შესული და შეთვისებული არ იყოს. ეს გარემოება მონათესავე ენების სიტყვათა საგანძურს ხშირად ერთმანეთისაგან საგრძნობლად ასხვავებს და აშორებს ხოლმე, მაგრამ შეუძლებელია, რომ მონათესავე ენებს სიტყვათა საუნჯეშიც საერთო ძირების გარკვეული მარაგი არ გააჩნდეთ. ამიტომაც ქართულისა და ე. წ. კავკასიური

ენების მორფოლოგიის ნათესაობის საკითხის გამორკვევის შემდგომ, მათი ლექსიკის მონათესავეობის თვისება და იდენტობაც უნდა იყოს განხილულ-გაშუქებული.

მართონის გარემოებაც, რომ ამ წიგნში 35-ზე მეტი ენოვანი ერთეულის მორფოლოგიური და ლექსიკური ნათესაობის საკითხი გამოსარკვევი, ადვილად მიიხედვრებას ადამიანს, რომ ამ გამოკვლევას უეჭველად განსაზღვრული არე უნდა პქონდეს შემოთარგლული. ვგელა საკითხებზე საუბარი შეუძლებელია. ამიტომ ბუნებრივია, რომ ამ წიგნში, რომელიც ამ პრობლემის გადაჭრის პირველ ცდას წარმოადგენს, ქართულისა და ე. წ. კავკასიური ენების აგებულებისა და ლექსიკის მხოლოდ უმთავრეს საკითხებზე იყოს მსჯელობა. სხვანაირად ამ დიდი პრობლემისა და ენოვანი მასალის დაძლევა სრულებით შეუძლებელი იქნებოდა.

ზემოაღნიშნულისდა მიხედვით, ჩვენი გამოკვლევის ამ წიგნში მორფოლოგიიდან მხოლოდ გრამატიკული ხქეს-კატეგორიებია, რიცხვითი სახელებისა, ნაცვალსახელებისა და ზმნის აგებულების ზოგად პრინციპზე გვექმნება საუბარი. ხოლო სიტყვათა საგანძურითგან მეტყველების მართონის სფეროების ლექსიკის ძირითადი ნათესაობის საკითხი იქმნება გაშუქებული, რომელნიც, ქვემოთმოყვანილი მეთოდოლოგიური პუნქტებისდა თანახმად, უუძველესი ხანის შემოკმედების ნაყოფად უნდა იქმნენ მიჩნეულნი.

აკად. ნ. მარტის მოღვაწეობის განხილვის დროს აღნიშნული მქონდა ის სამი გზა, რომელიც კავკასიის ენების შესასწავლად ახლად ჩამბმელისათვის არსებობს (იხ. აქვე, გვ. 63). როდესაც ამ დარგში მუშაობა ჩემთვისაც აუცილებლად მივიჩნიე, მეც უნდა ერთ-ერთი ამ გზათგანი ამერჩია. ვითარცა უპირველესად ისტორიკოსს, არ შემეძლო არც აქამდე დაგროვილი მასალის ადგილობრივ შემოწმება და შესწორება, არც მით უმეტეს ჯერეთ შეუსწავლელი ენების კვლევა-ძიება დამენახა მიზნად. ამიტომ მხოლოდ ერთი გზა-ღამჩებოდა: ქართულ-ქართველური და ე. წ. კავკასიური ენების შესახებ გამოკვლევებული მთელი ლინგვისტიკური მწერლობა შემესწავლა, გამომერკვია მისი აგარგიანობა, მიმდინარეობის ტენდენცია, არჩეული ვზის სისწორე, თუ მცდარობა. დაგროვილი ენოვანი მასალისა და მონოგრაფიების კრიტიკული შეფასების შემდეგ, საკითხების მონოგრაფიული და მერმე შედარებითი შესწავლის გზით, ქართულ-ქართველური და კავკასიური ენების აგებულების ძირითადი თვისებებისა და ნათესაობის გამორკვევა მეცადნა.

ამიერ-კავკასიის ენები სამ მთავარ ენოვან ჯგუფად შესაძლებელია გაიყოს. არც ერთს მათგანს ცხადი ნათესაობისდა მიუხედავად ზოგადი სახელი არ გააჩნია, ასეთი ზოგადი სახელები აუცილებლად სპიროკ-ია, ჩვენც შემდეგში ხშირად დაგვეჭირდება. ამიტომ ზოგადი სახელები უნდა უეჭველად შემოვიღოთ. ხელოვნურად შეთხზული სახელების მაგიერ, ძველად არსებული სახელების განახლება სჯობია.

კავკასიურ ენათა ერთს ჯგუფს ჩრდილო დასავლური ენები: აფხაზური, უბიხური, ადიღური, ანუ ჩერქეზული და ყაბარდოული ენები შედაენენ ბერძენთა გეოგრაფები და ისტორიკოსების, როგორც ამ ჩემი ნაშრომის I წიგნში

მაქვს აღნიშნული, ჩრდილო-დასავლური ტომების ზოგად სახელად სინდებს ხმარობდენ და მე; ამ ჩემს ნაშრომში მათ სწორედ ამ სახელს ვუწოდებ ხოლმე. მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ სინდურ ენებად აბხაზური, უბიხური, ჩერქეზული, ანუ ადიღური და ყაბარდოული იგულისხმება.

ჩაჩნური, ანუ ნაქოური, ინგუშური, ანუ ქისტური ჩრდილოეთს კავკასიაში და წოვური, ანუ ბაცბური საქართველოში, თუშეთის თემში, ენათა მეორე ცალკეულ ჯგუფს შეადგენენ, რომელსაც აქამად აგრეთვე თავისი ცალკეული ზოგადი სახელი არ მოეპოება. ძველად, ბერძენთა და რომაელთა ეოგრაფები იზიერკავკასიის შუა და აღმოსავლეთის ნაწილის მიწა-წყალზე მობინდრედ გელ-ებსა და ლეგ-ებს ასახელებდენ. გელ ების სახელი უდრის იქაურსა და თუშურს თანამედროვე ლალას, ლეგ-ებისა-კი ქართულს ლეკებს პირველი სახელის ქართ. შესატყვისობა ღილღვი (მზ. რ.) და ღილღვები-ა (მრ. რ.), რომელიც ძველს თუშურ ხალხურ ლექსებში ხშირად გვხვდება. სხვაგან და ჩვეულებრივ საქართველოში-კი მათ აღსანიშნავად ღილღვი-ა მიღებული.

რაკი ზემოაღნიშნული სამი ენის ზოგადი სახელი არ არსებობს, ასეთი სახელი-კი საჭიროა, ამიტომ, ხელოვნურად შეთხზულს მაგიერ, აქაც ისევ ძველად არსებული ასეთი სახელის გამოყენება სჯობია. სწორედ ამ მოსახრებით ვხელმძღვანელობ, რომ ენათა მეორე ჯგუფის. — ჩაჩნურისა, ქისტურისა და წოვური ენების, — ზოგად სახელად ისევ ღილღურის შემოღებას ვრჩეობ, ხოლო ენათა მესამე ჯგუფის, დაღისტის ენებისთვის ლეგების სახელი უნდა ვიხმაროთ. ხალხური გამონათქვამი ლეგა ბიკი, შესაძლებელია, თავდაპირველად სწორედ რომობრივ სახელთან იყო დაკავშირებული და ლეკის სახელის შედგენი სახესხვაობაა.

თ ა ვ ი მ ე ო რ ა ე

ენათა თავდაპირველი აგებულებისა და ნათესაობის კვლევა-ძიების მეთოდოლოგია

ენათა შესავსება შესაძლებელია მხოლოდ, თუ საერთო წარმოშობილობის, ანდა შეთვისების შედეგს წარმოადგენდეს. პირველ შემთხვევაში დასაწყისითგან თანდაყოლილ მოკლენასთან გვაქვს ხოლმე საქმე, მეორე შემთხვევაში მხოლოდ მეორადი მოკლენაა. ამ საკითხების გამორკვევა მარტო ენის ისტორიის საშუალებით შეიძლება, ამიტომ ე. წ. კავკასიური ენების ურთიერთშორის ნათესაობისა და ქართულის მათთან დამოკიდებულების პრობლემის ვადაწყვეტაც, რა თქმა უნდა, მხოლოდ ისტორიული გრამატიკის წყალობით არის შესაძლებელი.

უკვე აღნიშნული გვეონდა და ყველასათვის ენობილია, რომ ისტორიულ-გრამატიკა ჯერ არამცოუ ე. წ. კავკასიური ენებისთვის, არამედ სანწყუხაროდ ქართულისთვისაც არ მოგვეპოვება. მაგრამ ქართულს მრავალსაუკუნოვანი, წე-

რილობითს ძველებში აღბეჭდილი, წარსული აქვს. ეს გარემოება ყოველ ჩვენგანს საშუალებას აძლევს მისი წარსულის ესა-თუ-ის საკითხები მონოგრაფიულად შეისწავლოს. ამ დარგში, მეტადრე ზმნის აგებულების გარშემო, არა ერთი თრიად საყურადღებო და მნიშვნელოვანი საკითხი გამოჩნეულია კიდევაც. ე. წ. კავკასიურ ენებს-კი მწერლობა არ ჰქონიათ და გამოკვლევისათვის მსგავსი მასალის იქ მოლოდინიც-კი შეუძლებელია. ამ უამად მაინც. მაშ რა ეშველება ამ საქმეს?

როგორც ეტყობა, უსლარს ამ საკითხის გამორკვევა შედარებითი მეთოდით უნდოდა. უსლარი ჩაჩურს იმდენადვე ძველ ენად სთვლიდა, როგორც თანამედროვე ევროპული ენებია. ამის საბუთად მას ჩაჩური ენის აგებულების სირთულე და დახლართულობა მიაჩნდა. ჩაჩურთან შედარებით აბხაზური ენის ხიმარტივე, ეტიმოლოგიისა და აგებულების ხელუხლებლად დაცულობის გამო, მას, განმაცვიფრებლად ეჩვენებოდა. უსლარი ფიქრობდა, რომ ჩაჩური ლექსიკური მასალის აგებულების შესწავლას შედარებითი კვლევა-ძიება შეუწყობს ხელს და იმედი ჰქონდა. რომ დალისტნის ენები ამ მხრივ ჩაჩურის აგებულების გასაგებად მკვლევარს ბევრს რამეს შესძენდა (ჩაჩ. ე. 151).

მაგრამ, ისტორიული ცნობებისა და მიხედვით, ჩაჩები სამოქმედო ასპარეზზე აბხაზებზე ადრე არ გამოდიან. მაშასადამე, ჩაჩური ენის აგებულების დახლართულობასაც თავისი სხვა მიზეზი უნდა ჰქონდეს.

უსლარის მკრელ თვალს არ გამოჰპარვია ის გარემოება, რომ, ცოცხალი ევროპული ენების მსგავსად, ჩაჩურ ენასაც საუკუნეთა განმავლობაში განვლილი ღრმა ცვლილებების კვალი ემჩნევა. ის ამბობდა: ესლა შესაძლებელია მხოლოდ მიუხვდეთ იმ ძველ თავდაპირველ ფორმებს, რომელთა შეკვეცილი სახეებილია თანამედროვე ენაში შერჩენილი. ბევრი უკანონო ფორმების გაგება შეუძლებელი იქნება. სანამ კავკასიაში ეხლანდელი ჩაჩურის მონათესავე რომელიმე ენა არ აღმოჩნდება, რომელსაც ესა-თუ-ის ფორმები უფრო პირვანდელი სახით ექნება დაცული. შედარებითი კვლევა-ძიებისათვის ძვირფას დახმარებას თუშური გაგვიწევსო. — ამბობდა ეს დაუშრეტელი სამეცნიერო წყურვილის პატრონი ადამიანი (ჩაჩ. ე. 23).

მაგრამ, რა საზომი შეიძლება ჰქონდეს მკვლევარს შედარებითი შესწავლის დროს ამა-თუ-იმ ფორმის პირვანდულობის გამოხარკვევად და დახამტკიცებლად, ან, რა მასალას უნდა დაემყაროს ადამიანი ასეთი მუშაობის დროს? ამაზე არც უსლარსა და არც ერთ შერმინდელ მეცნიერს არაფერი აქვს ნათქვამი.

რა ვხითა და რა ღონეობით შეიძლება ამ საკითხის გამორკვევა უმწერლობო ენებში, რომელთა შესწავლისათვის, მე XIX ს. დამლევისა და მე-XX ს. დამლევის მოკლე გრამატიკებსა და პატარ-პატარა ლექსიკონებს გარდა, მხოლოდ ზოგიერთი მათგანისათვის მოგვეპოვება მე-XVIII ს. დამლევისა და მე-XIX ს. დამლევის რამდენიმე ათეული სიტყვის შემცველი ჩანაწერები?

თანამედროვე მკვლევარს, რომელიც ამ ენათა თავდაპირველი აგებულების გამორკვევას მოისურვებდა, საქმეს ის გარემოებაც უძნელებს, რომ კავკასიის ენების შემსწავლელნი მხოლოდ მათი თანამედროვე აგებულების გამორკვევითა და პატარა ლექსიკური მასალის შეგროვებით იყვნენ დაინტერესებულნი. ამ

ენათა აგებულების თავისებურობისა და სხვა ცნობილი ენებისაგან სრული განსხვავებულობის გამო. ამ მკვლევართ, რომელთა უანგარო ღვაწლი ღრმა პატივისცემის ღირსია, იმოდენი სიძნელის გადალახვა უხდებოდათ, რომ ისეთი რთული საკითხებისათვის, როგორც ამა-თუ-იმ ენის აგებულების ისტორიაა, არ სწავლობდით.

მაგრამ უტყველია, შეგროვილ-ჩაწერილი მასალის ცალმხრივობა მარტო მოუკლებლობით არ აიხსნება, არამედ იმ გარემოებითაც, რომ ენების მკვლევარნი მეთოდოლოგიურ საკითხს არ ჩამოჰქრებიან და მუშაობის დაწყებამდის გამოჩვეული არ შქონდათ, თუ, სახელდობრ, რომელი ლექსიკური მასალის მიხედვით სჯობს და უნდა კიდევაც აწარმოვოს მეცნიერმა გამოუკვლევო ენას შესწავლა.

რაკი ენის აგებულების გამოსარკვევად შეუძლებელია ყოველ ლექსიკურ მასალას ერთნაირი მნიშვნელობა ჰქონდეს და რომელიმე ახალი ენის შესწავლის დროს მეცნიერს ამ ენის ლექსიკური მასალა არ შეუძლიან იმთავითვე გარკვეული ფარგლებით არ შემოზღუდოს, ამიტომ კვლევა-ძიების ნაყოფიერებისა და მომავალი უფრო გაღრმავებული მუშაობისათვის მკვიდრი საფუძვლის დასადგენად, ასეთ შემთხვევებში მკვლევარს უნდა უეჭველად მკაფიოდ გათვალისწინებული და მტკიცედ გადაწყვეტილი ჰქონდეს ის საკითხი, თუ უპირველესად რა ლექსიკური მასალა უნდა შეაგროვოს და თავისი დაკვირვების საგნად გაიხადოს.

ჩვეულებრივ ეს საკითხი იმ პრინციპის თანახმად წყდება ხოლმე, რომ დაკვირვების საგნად მკვლევარს უნდა ცოცხალი ენა ჰქონდეს, მაგრამ ცხადია, რომ ყოველი სიტყვა, რომელსაც ხალხი ხმარობს, ცოცხალია. მთელ სიტყვათა საუნჯეს-კი ვერც ერთი ცალკეული შემსწავლელი ვერ მოერგვა, ამიტომ ახალი ენის შემსწავლელნი ჩვეულებრივი. საყოველღაობით, ან და ქართული ხალხური გამოჩინებულნი რომ ვიხმაროთ. „საყველპურო“ სასაუბრო ენით გამოყოფილდებიან ხოლმე.

რა თქმა უნდა, ასეთი ლექსიკური მასალაც არის საჭირო, მაგრამ მისი სიღარიბე და ერთფეროვანობა, შესასწავლი ენის თანამედროვე აგებულების კარდა, ვერაფერს, რაკ-კი წინანდელ მდგომარეობასა და გენეზისს ეხება, ვერ გააგებინებ ს. უაზისოდ-კი ენის ნამდვილ ბუნებაზე მსჯელობა ძნელია, ასეთ მასალაზე დამყარებული კვლევა-ძიების შედეგიც შესაძლებელია სრულებით მცდარი გამოდგეს.

რაკი შესასწავლი ენის სიტყვათა საგანძურის მთლიანად გამოკვლევა შეუძლებელია და მკვლევარი უნებლიეთ გარკვეული ფარგლებით შემოზღუდული ლექსიკური მასალით უნდა დაკმაყოფილდეს, ამიტომაც შემსწავლელმა უნდა იცოდეს ადამიანის მეტყველების ის სფეროები, სადაც მოხალოდნელია და შესაძლებელი, რომ ამა-თუ-იმ ენის თავდაპირველი აგებულება და მისი მერმინდელი თავგადასავალიც, მისი უმწერლობა ისტორია იყოს აღბეჭდილი.

აპრიორულად საფიქრებელია, რომ ენის ძველი აგებულება მისი მეტყველების საგანძურის იმ სფეროში უნდა ვეძიოთ, რომელიც ადამიანის უძველესი ყოფა-ცხოვრების გამომხატველია, სახელდობრ, სქესთა-შორისი და ნა-

თეხაური დამოკიდებულებებისა და ურთიერთობის, თავდაპირველი მეურნეობისა და დასახარულ, პირველყოფილი რწმენისა და მსოფლმხედველობის აღმნიშვნელია. ადამიანის უპირველეს და უძველეს სამეურნეო დარგად-კი მონადირეობა და მესაქონლეობა იყო, ისევე როგორც ტყისა და ველურ მცენარეულ საკვებსა და სასმელზე მზარუნველობაც. მიწისმოქმედების სხვა დაწინაურებული დარგები კულტურის უფრო მაღალ საფეხურს წარმოადგენს.

ამიტომაც მკვლევარმა ამა-თუ-იმ ენის თავდაპირველი აგებულების გამოსარკვევად გამოსადეგი ნახლა ნათესაური ურთიერთობის, ცხოველთა სამეფოს და მესაქონლეობის ისევე, როგორც ველურ ზილ-ნშილ-მხალისა და პირველყოფილ მიწისმოქმედების სფეროებთან და აზროვნებასთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიაში და მის გამომხატველ სიტყვა-გამონათქვამებში უნდა ეძიოს.

ამ ლექსიკურ საგანძურს, სხვა სფეროების სიტყვებთან შედარებით, შემოაღნიშნულს გარდა, კიდევ შემდეგი უპირატესობაც აქვს, ცნობილია, რომ ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაშიც უცვლელი არაფერი რჩება: ძველს, დროთა განმავლობაში თანდათან ახალ-ახალი, ან ადგილობრივი მონაპოვარი, ანდა სხვაკუნებურიც, ემატება ხოლმე. ამის წყალობით ზოგი რამე ძველთაგანი ქრება, ზოგი ნაწილობრივ იცვლება, ზოგი კიდევ სრულებით ახლად ჩნდება. მთელი ეს პროცესი ენის სიტყვათა საუნჯეზეც აღიბეჭდება ხოლმე: ძველი ტერმინების გვერდით ახლები ჩნდება, ანდა ზოგის მაგიერ ახალი სიტყვა შემოდის, რომელიც ძველსა სპობს, ზოგჯერ ძველი სიტყვის თავდაპირველი ბგერითი შედგენილობა. დროთა განმავლობაში, ან შექსანიკურად, კიდურების ჩამოცილებით, ანდა შეგნებულად, ენის აგებულებაში იმ დროისათვის მომხდარი ცვლილების მიხედვით, საგრძნობლად იცვლება ხოლმე. ამის წყალობით, ადამიანის ურთიერთობის, მეურნეობისა და მსოფლმხედველობის შემოაღნიშნული სფეროების ტერმინოლოგიასა და სიტყვათა საგანძურს ენის მთელი თავგადასავალის დამახასიათებელი ლექსიკური მასალა აქვს დაკული: ძველის-ძველთან ერთად მკვლევარი იქ მერმინდკლსაცა და სრულებით ახალ სიტყვებსაც იპოვის. ამ დარგის ლექსიკური მასალის კვლევა-ძიების საგნად არჩევა ამ მხრივაც გაცილებით სჯობია.

მაგრამ ენის ოდინდელი აგებულებისა და ამა-თუ-იმ ენის უძველესი აზროვნებისა და მსოფლმხედველობის გამოსარკვევად საჭარო მასალის მოპოვება მკვლევარს მარტო შემოდასახებულ სფეროების სიტყვათა საგანძურში-კი არ შეუძლიან. პირველყოფილი ადამიანი გარეშე ხაზნების დახაზაობებისა, შეფასებისა და სახელდების დროს თავისი გრძნობითი ორგანოების შთაბეჭდილებებით ხელმძღვანელობს. სიტყვებსა და სასმელს, მცენარეულთა და ცხოველთა სამეფოს, ან გემოს მხრივ, ანდა ფერით, ან კიდევ გარეგნული თვისებით, თუ მოყვანილობით, ხიდიდითაც არჩევდა და ერთ-ერთ, ანდა ორ მათგანს თითოეულისათვის დამახასიათებელ თვისებად მიიჩნევდა ხოლმე, როგორც წინამდებარე გამოკვლევის სათანადო ადგილს დავრწმუნდებით, ასეთ შთაბეჭდილება-შეფასების გამომხატველია კიდევაც ის სიტყვათა საგანძური, რომელიც პირველყოფილი ადამიანის აზროვნების ნაყოფს წარმოადგენს. ამიტომ მკვლევარმა ჯეროვანი ყურადღება გემოს, ფერებისა და ხიდიდის აღმნიშვნელი

სიტყვების შეგროვებასა და შესწავლასაც უნდა მიაქციოს. ამ დარგის ტერმინოლოგიის ცოდნა მას ბევრი ცხოველის, მცენარეულისა და საგნის სახელების შინაარსსაც გააგებინებს და ერის უძველესი ხანის მსოფლმხედველობასაც გადაუშლის.

რასაკვირველია, სწორედ ამავე დარგების სიტყვათა საუნჯე უნდა გამოიყენოს მკვლევარმა იმ შემთხვევაშიც, როდესაც სამწერლობო ენის თავდაპირველი აგებულების გამორკვევა ჰსურს. მაგრამ, რათგან ძველი ხანის წერილობითი ძეგლების შინაარსი იმ დარგებს, რომელზედაც საუბარი გვქონდა, საჭირო მოცულობითა და სისრულით იშვიათად თუ ეხება ხოლმე, ამიტომ შესაძლებელია იქითგან ამოკრეფილი ლექსიკური მასალა დასახული მიზნისათვის საკმარისი არ აღმოჩნდეს. ამის გამოცა და თავისდა-თავადაც, რა თქმა უნდა, მერმინდელი და ხალხში შერჩენილი ზეპირი, თუ ჩაწერილი ლექსიკურ-დიალექტოლოგიური მასალაც უნდა იქმნეს გამოყენებული.

მაგრამ კავკასიის ენებს მე-XIX ს-მდე დამწერლობა არ ჰქონიათ, ქართული ენის საუნჯე-კი მე-V ს-თან დაცულ ძეგლებშიცაა აღბეჭდილი და დიალექტურ საგანძურშიც უხვი მასალა მოგვეპოვება. ყველას, ვისაც უმწერლობო ენის შესწავლითა და ხალხური მეტყველების დაკვირვებით თავი შეუწუხებია. კარგად მოეხსენება, თუ რა სისწრაფით იცვლება იქ სიტყვათა, როგორც ბგერითი შედგენილობა და დალაგებულობა, ისევე ბგერათა შენაცვლების წყალობით თვით გარეგნული სახეც-კი სხვაფერდება. ზოგჯერ წერილობითი ძეგლების გამოყენების გარეშე პირვანდელი ფორმის მიგნებაც-კი შეუძლებელი ხდება. მაგალითად შესაძლებელია დასახელებული იყოს ძველი ქართული დაღაცათუ და ახალი ქართული თუმცაღა (და-ღა-ცა-თუ → თუ-მცა-ღა), ძველი რა გვარად და ახალი რამს (იმერ.), რამს (გურ.). ახალი ქართული წა და მო, რომელნიც მხოლოდ მიმართულების გამომხატველი პრეფერბებია და რომელთაც ვეფხისტყაოსანში ზმნის მთელი შედგენილობაც-კი აქვთ დაკარგული. ანდა ფიცი ღმერთმანი, რომელშიც ბოლოკიდური ი წინამავალ სიტყვასთან არის შეერთებული და რომელიც ზმნის ფორმის იცის ერთადერთ გადარჩენილ ბგერას წარმოადგენს. ჩვენ რომ ძველ ძეგლებში გამონათქვამი „ღმერთმან იცის“ არ გვქონდეს, თანამედროვე ღმერთმანი-ს ბოლოკიდური ი-ს ბუნების მიხედვით ძნელი იქნებოდა და შესაძლებელია მას სულ სხვა თვისება მიჰკუთვნებოდა. ამისთანა მაგალითების მოყვანა ბლომად შეიძლება, მაგრამ ესეც კმარა.

ზემოაღნიშნული კარემოება ნაწილობრივ მაინც გაუთვალისწინებს ადამიანს იმ სიძნელეს, რომელიც უმწერლობო ენის ოდინდელი აგებულებისა და სიტყვათა პირველადი სახის ძიების დროს ელოდება.

ცნობილია, რომ უმწერლობო, თუ დამწერლობიანი ენების ლექსიკურ მასალას, სიტყვებს, დროთა განმავლობაში და სწრაფი საუბრის დროს თავკიდური და ბოლოკიდური მარცვლები უზიანდება, ან ეცვლება, ანდა სრულებით ეკარგება. ხოლო ფორმანტები, თავსართებისა, თუ ბოლოსართების, ანდა ორივე სახით ჩვეულებრივ სწორედ ამ ადგილას არის ხოლმე მოთავსებული. ამიტომ მათი დიდი შეცვლილობა, ანდა სრულიადი დაკარგვა მკვლევარს საშუალებას უსძობს სიტყვის თავდაპირველი აგებულება და ბგერითი შედგე-

W=ჳ, ვ: Miqvars მიყვარს, Hawa ჰავა, Wiri ვირი.

Y, y=ჟ: Chrywa შრჟუა (შერია).

Z=ზ: Larazi ლამაზი, Gza გზა, Zourgi ზურგი, Zei'i ზეთი, Zewi' ზვეთი

Z=ს: Zaat'i საათი, Zwili სჳილი (seigle).

ლ. ლკლდე - თვან მოყოლებული ჩრდილო-კავკასიის ენებისათვის უკვე რუსული ანბანი იყო გამოყენებული. მაგრამ ეს ავტორი მხოლოდ რუსულ ანბანში არსებული ასოებით დაკმაყოფილდა და ამიტომაც ჩერქეზულ ბგერათა სიმრავლისა და თავისებურების სწორე ანარეკლი მის ნაშრომში არ მოგვეპოვება.

როდესაც 1856 წ. აკად. შიფნერ - ი თავისი პირველი გამოკვლევის განოქვეყნებას შეუდგა წოვეური ენის შესახებ („Versuch über die Thusch-Sprache“). მას აღნიშნული ჰქონდა, რომ თვით ამ ხალხის წასაკითხავად განკუთვნილი ნაშრომებისათვის ყველაზე შესაფერისი წოვეურისათვის ქართული ანბანის გამოყენება იქმნებოდა. განათლებული მეცნიერი მკითხველისათვის განზრახული თბზულება-კი სჯობდა ყველასთვის გასაკები ანბანით ყოფილიყო გამოქვეყნებულიო¹. რაკი თვით შიფნერ - ს მთელი თავისი ნაშრომი გერმანულად ჰქონდა დაწერილი და იგი უმთავრესად დას. ევროპის ენათმეცნიერთათვის იყო განკუთვნილი, ამიტომაც წოვეურის. ისევე როგორც შემდეგ ჩაჩხური და დალისტნის ენების შესახებ ყველა გამოკვლევა-მოხსენებანი ლათინური ტრანსკრიფციით გამოაქვეყნა. საფუძვლად მან კასტრენ - ის მიერ სამოაედური გრამატიკისათვის შედგენილი ანბანი მიიღო, წოვეურისათვის საჭირო ბგერათა გამოხატაკად-კი დამატებითი ასოები დაურთო.

ნეტრე უსლარის კავკასიის ენათა კვლევა-ძიების ასპარეზზე გამოჩენილი როგორც ვიცით, ამალი ხანა იწყება. მისი მოღვაწეობის დასაწყისშივე უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი საკითხი ამ ენების სიტყვიერებისა და ლექსიკის ჩასაწერად სახელდობრ რომელი ანბანი იყო ყველაზე უფრო გამოსადეგი. მის მახვილს გონებასა და დაკვირვების დიდ ნიქს მანამდე არსებული ტრანსკრიფციის უყარგისობა არ გამოჰპარვია. ამ ამოცანის განხილვის დროს უსლარს ორი მიზანი ჰქონდა: ერთი მხრით მას უნდოდა კავკასიის ენების ბგერათა მთელი თავისებურობის მეცნიერულად ზედმიწევნით გამომხატველი ყოფილიყო, მეორე მხრით, ამ კავკასიელ ტომთათვის, თვით ხალხისათვის, სახმარებლად, სწავლა-განათლების გასავრცელებლადაც მარჯვე აღმოჩენილიყო.

კავკასიის ენების ჩასაწერად გამოსადეგ ანბანზე მსჯელობის დროს, პ. უსლარს თავის პატარა წერილში „О составлении азбук Кавказских языков“²,

¹ „Zu ihrer jetzigen Gestalt bietet diese Sprache (ე. ი. წოვა-თუნური) ungeändert die selben Laute dar, als das Georgische und hat wenige der letzteren Sprache fremde. So angemessen die Georgische Schrift für Werke ist, die zum Gebrauch des Volkes bestimmt sind, so sehr ist es dem gelehrten Publicum gegenüber rätlich ein allgemein verständliches Alphabet anzuwenden“ (Versuch über Thusch-Sprache: Mémoires de l'Académie des sciences de St. Pétersbourg, VI série, Sc. politiques, t. IX, 83, 7).

² უსლარის დაბეჭდილია 1867 წ. „აბხაზური ენის“ წიგნში.

და სხვადასხვანაირად ვეაქვს ხოლმე წარმოდგენილი: ზოგან ძველი და სრული ფორმითაა. ზოგან კი თავ, ან ბოლომოკვეცილია ხშირად ძალზე შეცვლილია. ანდა ახალი და უცხოც-კია.

ზემოაღნიშნული დებულების დასამტკიცებლად რამდენიმე მაგალითის დასახელებაც საკმარისი იქნება. თანამედროვე ქართულში დღის დასასრულის აღსანიშნავად **სალამო**-სა ეხმარობთ, რომელიც საქართველოს ყველა დედასა გავრცელებული. ძველ ქართულში ამ ცნების გამოხატავად **მწუხრი** იხმარებოდა. ის სიტყვა, **მწუხრი**-ს სახით, თანამედროვე ქართულში, როგორც ბ. გაბუაჩიას ხეცურული მასალებითგან ჩანს, ხეცურულს-ღა ჰქონია დაცული ქართ. საენათ-უცნიერო საზ. წელიწადი I. II, გვ. 199, და აკ. შანიძის ლექსიკონი (ქვე, 320).

მდინარე თერგს ქართველები ძველად **არაბზს** უწოდებდნენ. ეს გარემოება ლეონტი მროველის საისტორიო თხზულების წყალობით ირკვევა (იხ. ჩემი ქართ. ერის ისტ. II, 279). შემდეგში ზემოდასახელებული მდინარის სახელად **თერგი** შემოდის, რომელიც თანამედროვე ქართულში მის ერთადერთ სახელად ითვლება. მაგრამ ხეცურულსა და მოხევეურში თერგს ძველებურად **არაბზს** უწოდებენ (იხ. ხეცურული მასალები და აკ. შანიძის ლექსიკ. იქვე, 275).

ამნაირადვე ძველს ქართულში საღამოს პურის კამას **სერი** და **სერიგაძე** ერქვა. უკვე საშუალო საუკუნეებსა და თანამედროვე ქართულში ეს ტერმინი აღარ გვხვდება. აღმ. საქართველოში ამ სიტყვის კვალი ტერმინ **სერის-აშლ-ში**-ღა მოჩანს, რომელიც სამხარის მოგვიანებული გაგრძელების აღსანიშნავად იხმარება. თანამედროვე მეგრულს-ღა აქვს **სერი**-ს ძველისძველი მნიშვნელობა დაცული და ღამეს ჰნიშნავს, ხოლო ვახშამს **ოსერი** (ე. ი. სასერე ეწოდება (მ. გ. 317).

ოთხთავის თარგმანში თხის ჩვილი შვილის სახელად **თიკანი**-ა ნახმარი. საშუალო საუკუნეებისა და თანამედროვე ქართულში ამ სიტყვის მეორე ფონეტიკური სახესხვაობა **ციკანი** გაბატონდა, მაგრამ გურიაში დღევანდლამდის ძველებურად **თიკანს** ხმარობენ.

დაბადების თარგმანსა და სხვა უძველესი ხანის ძეგლებში მხოლოდ **ნანდკლი**: **ნანდვილი** გვხვდება. შემდეგ ეს სიტყვა **ნანდკილი**-ს სახით იხმარებოდა და ასევეა თანამედროვე ქართულშიც. მაგრამ მეგრულს წინანდებურად ძველი **ნანდული** აქვს დაცული (მ. გ. 286).

ძველ ქართულში **მჯილი** იყო შიღებული მუჭისა და მუჭის მნიშვნელობით. ეფთხისტყაოსანშიც სწორედ ეს სიტყვა გვხვდება. შემდეგში მის მაგიერ სპარსულითგან შეთვისებული სიტყვა **მუჯი** გავრცელდა, რომელმაც **მჯილი** შთლად მოსპო ისე, რომ თანამედროვე ქართულში აღარავინ ხმარობს, მხოლოდ ხეცურულს აქვს წინანდებურად ძველი **მჯილი** დაცული (ბ. გაბუაჩიას ხეცურულს. და აკ. შანიძის ლექსიკ. 290).

ამისთანა და ამაზე უფრო საგულისხმო მაგალითების დასახელება კიდევაც ბლომად შეიძლება, მაგრამ შემდეგში ამ დებულების სისწორის დამამტკიცებელი საბუთები მრავლად გვექნება მოყვანილი, ამიტომ აქ ზემონათქვამიც (მარა.

მოვიყვან კიდევ მხოლოდ ერთ მაგალითს, რომელიც ენის ოდინდელი აგებულების ამა-თუ იმ დიალექტებისა და კილოვანებში დაცულობას ცხად-პყოფს. ცნობილია, რომ უძველეს ქართულში ზეორე პირის სუბიექტ. ნაცვალსასელოფან თავსართად და მესამე პირის ობიექტ. თავსართად ხ ბგერა იყო, რომელსაც მე-VII ს. მოყოლებული ქ. შ. მ. თანხმეფანი სპობს და სცვლის. ხ თავსართის გაქრობის ასეთი ხნიერებისდა მიუხედავად, ეს თავსართი თანამედროვე სენურს წინანდებურად აქვს დაცული. ამის მსგავსი არაერთი სხვა მაგალითის მოყვანა მორფოლოგიითგან კიდევაც შეიძლებოდა. მაგრამ სიტყვის მოკლედ მოქრა სჯობია.

ზემთაღნიშნული გარემოება და დასაბუთებული დებულება მკვლევარმა უნდა საუკეთესოდ გამოიყენოს: ენის აგებულებისა და სიტყვათა პირველადი შედგენილობის გამოსარკვევად მას დიალექტური და მონათესავედ საგულფე-ბელი ენების ლექსიკური მასალაც შეუძლიან და უნდა კიდევაც სრულად გამოიყენოს. იმავე და მონათესავე ცნებათა გამომხატველ შესატყვისობისაც უნდა უღარესი ყურადღება მიექციოს. ხშირად მონათესავე ერს ამითუიმ სიტყვის უფრო ძველი, ანდა პირვანდელი ხანე აქვს ხოლმე დაცული.

ამგვარი მრავალმხრივი ლექსიკური მასალითა და ფართო, შედარებითი ანალიზით სიტყვების, ღროთა და გარემოებათა წყალობით დაკარგული, თავ-კიდური და ბოლიკიდური ნაწილების გამოსარკვევაც და პირვანდელი ხანის აღდგენაც შეიძლება. ამით მკვლევარს ხაშუალება აქვს ის დიდი დანაკლისი, რომელიც ასე საგრძნობია. უმწერლობა ენის შეხწავლის დროს წერადობითი ძეგლების უქონლობისა და ძველი ფორმების აღუნუსხველობის გამო ნაწილობრივ მანც შეავსოს ხოლმე.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

ქართველური და ქ. წ. კავასიური ენების ბგერითი შედგენილობა და წრანსკრიფცია

კავასიური ენათა ჩრდილოეთის ჯგუფს თავისი დამწერლობა არ ბქონია მე-XIX ს-მდე მაინც. ამ ენების პირველი დამკვირვებელი და ლექსიკური მასალის შენგროვებელი აკად. გვლდენშტედტი იქ ჩაწერილი სიტყვების გამო-სახატავად, რასაცვირველია, გერმანულ ანბანსა ხმარობდა, რათგან მთელი მისი ნაშრომი გერმანულად იყო დაწერილი. მაგრამ, რაკი გერმანულს კავკ. ენების ყველა ბგერების აღსანიშნავად საჭირო ასოები არ ახადია, ამიტომ გვლდენ-შტედტს უნდა მათთვის რაიმე შეექმნა. ამ მიზნით მას რამდენიმე გერმანული ასო შეუფეროებია და სტრიქონს ზევით დაწერილი მძინე, აბოსტროფიც, გამოფუფ-ნებია, რა თქმა უნდა. ამნაირად კავკ. ენების მთელი თავისებურების გამოხატვა ძალიან ძნელი იყო და გვლდენშტედტის ჩანაწერი მხოლოდ შიახლოვებითი

ტრანსკრიფცია არის. ამას ზედ ის უსიამოვნო გარემოებაც ერთეის, რომ ჩამწერის ყურთა-სმენას, როგორც ქართული სიტყვების ტრანსკრიფციითგან ჩანს, ზოგჯერ მონათესავე ბგერები ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია და ერთის მაგიერ სხვა თანხმოვანი მოსჩვენებია. ამიტომ არაერთგან შეცდომაა შეპარული და ერთი და იგივე ასო. ან ასოთა კომპლექსი რამდენიმე მონათესავე ბგერის გამოჩატველი გამოდის.

ზემოაღნიშნული ორი ნაკლის გამო, შესაძლებელია გვლდენშტედტისა და კლაპროთის ჩანაწერები სრულებით უვარგისად მიეჩნია ადამიანს და, როგორც ეტყობა, სწორედ ასეც უმსჯელიათ ყველა წინანდელ მკვლევართ, რომელთაც ამ შეცნიერთა მასალით არ უსარგებლიათ. მაგრამ ამ წიგნის პირველ კარში უკვე გვქონდა აღნიშნული, რომ ამ ჩანაწერების გამოუყენებლობა საქმიანათვის საშიშროა. ხოლო, რაკი ჩვენს გამოკვლევაში ამ პირველი ჩანაწერების გამოყენება ხშირად მოგვიხდებოდა, ამიტომ შეცდომების შეძლებისასებრ თავითგან ასაკილებლად უნდა წინასწარ გამოვკვეთული გვქონდეს. თუ გვლდენშტედტისა და კლაპროთის ჩანაწერების რომელი ასო. ანდა ასოთა კომპლექსი, რომელი ბგერების გამოჩატველად შესაძლებელია იყოს. ქართული მბანის სავატიო სიტყვლისა და ზედმიწევნობის გამო. ამ ბგერით შესატყვიანობათა გამოსარკვევად და ცხადსაკოფელად უმთავრესად ქართული სიტყვების ტრანსკრიფციით უსარგებლობ, ჩრდილო კავკასიის ენათათვის დამახასიათებელი თანხმოვნებისათვის-კი იტაურს ჩანაწერებს ვემყარები.

გვლდენშტედტის სისტემა

- A = a: Dada დედა, batoni ბატონი.
- ä = e: Däda დედა, dädakazi დედაკაცი
- B = b: Batoni ბატონი, Beberi ბებერი, Schubi შუბლი.
- ch = b: Didichania დიდიხანია, Achlau ახლაუ, chuti ხუთი, chachi ხალხი
- ch = c: Tschali წყალი.
- d = d: Däda დედა, da და, didichania დიდიხანია.
- č = č: Tschrameč: ცხრამეტი (თუ აქ კორექტ. შეცდომა არ არის).
- ds = d: Dsil ძილი, d(w)idsil დვიძილი.
- dsh = (დე)ჯ: Dshori ჯორი.
- dsch = ჯ: Gordschila გვარჯილა, Lurdschi ლურჯი.
- dz = ც: Ormodzi ორმოცი, kadzi კაცი.
- e = e: Ena ენა, Iremi ირემი, Beberi ბებერი.
- g = g: Guli გული, Megobari მეგობარი, Schamodgoma შამოდგომა.
- gw = l: Gomi ღომი, gwiao ღვინო, dpa დღე.
- gh = l: Ghori ღორი.
- hi = c: Pneghi ფეცი.
- h = h: Ho ო.
- k = c: Masukan მასუკან, Kadzi კაცი, Berkadzi ბერიკაცი.
- k = č: Tkueni თქუენი, Ak აქ, Ekusi ექუსი, Kali ქალი, Kniani ქმარი

- k=ყ: Kmazili ყმაწვილი, Kuri ყური, Kveli ყვლი.
 - kh=ყ: Tkhawi ტყავი.
 - kh=კ: Mukhli მუკლი, khorzi კორცი, khoo ებო.
 - l=ლ: Chalchi ხალხი, Ludi ლუდი, Schubli შუბლი.
 - m=მ: Mamma მამა, Sami სამი.
 - n=ნ: Didichania დიდობანია, win ვინ.
 - o=ო: Ori ორი, otchi ოთხი, ozi ოცი.
 - p=პ: Papa პაპა, piri პირი, puri პური.
 - p=ფ: Upali უფალი, Tapli თაფლი, Nipchawi ნიფხავი.
 - ph=ფ: Pheghi ფეგი, phur: ფური.
 - r=რ: Ra რა, Iremi ირემი, piri პირი.
 - s=ს: Is იხ, wisi ვისი, sami სამი, ekusi ეკუსი.
 - s=ზ: Gsa გზა, Msa მზე, Lamasi ლამაზი.
 - ss=ს: (უმთავრესად ბმოვანთა შუა): Assi ასი, Orassi ორასი, Atassi ათასი, Kissari კისერი.
 - sch=შ: Schen შენ, Schors შორს, Schubli შუბლი.
 - sch=ქ: Mschawe მშავე.
 - sh=ქ: Shiri შირი (შეგრ. შ).
 - t=ტ: Kata კატა, Batoni ბატონი, Twini ტვინი, Tkawi ტყავი.
 - t=თ: Erti ერთი, otchi ოთხი, ati ათი, Gmerti გმერთი, Tkuen თქუნ.
 - th=თ: Thbili თბილი, Thatsuebi თებუები.
 - ts=d: Tsma ძმა, Tsagli ძალი, Tsutsu ტუტუ.
 - ts=ც: Mamets მამეტ.
 - tsch=ჩ: Tschemi ჩემი, Tschuen ჩუნ, Tschekma ჩექმა.
 - tsch=კ: Satschmeli საჭმელი.
 - tz=ც: Tzchrameti ცხრამეტი, Ozi ოცი, Sametzi სამოცი.
 - tz=წ: Tzelitzadi წელიწადი, Tzkaro წყარო, Tzchali წყალი.
 - u=უ: Upali უფალი, Schubli შუბლი, Tschuen ჩუნ.
 - u=უ: Schudi შუდი, Schuli შული, Schruwa შრუვა.
 - y=ყ: Gamowarty გამოვართვ.
 - Qh=კ: Qheli კელი.
 - w=უ,ვ: Gwino ღვინო, win ვინ, wisi ვისი.
 - z=ც: Zotachania ცოტახანია, Zehra ცხრა, Kazi კაცი, Zoli ცოლი.
 - z=წ: Uzin უზინ, Miza მიწა, Zamali წამალი, Zueri წური.
 - z=ს: Zikwaruli სიყუარული, Zizotschle სიცოცხლე, Zizili სიცილი.
- ' = სიმკვეთრეს ქართული სიტყვების ჩანაწერში, მაგ. K'ide კლდე, T'awisi თივისი, Rise' რძე (=რძეგ?). ასეთი დანიშნულების გარდა, ' ჩრდილო კავკ. ენების ჩანაწერებში გ ბგერის გამოხატველიც არის (მაგ. Schwafel გოგირდი აბზაზ. T'h'egusch = თანამედრ. ა-ბგშბ-ს) და ლატერალური თანხმოვნების აღხანიშნავადაც არის ნახშიარი, მაგ. ყაბარდოულად: მოხუცი, მხცოვანი Tisch = თანამედრ. ტლჷჷ-ს, — მამაკაცი, ქმარი T'le = ტლჷ-ს, — წელიწადი K'les = კიტლჷ-ს.

კლასროთის ტრანსკრიპცია:

- A=ა: Artziwi არწივი, Abedi აბედი.
 B=ბ: Abedi აბედი, hneli ბნელი.
 Ch=შ: Chrywa შრჭა, Chpoti შფოთი, Garchemo გარშემო.
 D=დ: Abedi აბედი, Dg'es დღეს, Tzelitzadi წელიწადი.
 Dj=ჯ: Lourdji ლურჯი, Gledja გლეჯა, Ladjwardi ლაჯვარდი (=ლაევარდს).
 Ds=d: Dsma ძმა, rdsé რძე.
 Dz=d: Dzag'li ძაღლი, spilendzi სპილენძი, wadzlew ვაძლევ.
 E=ე: Abedi აბედი, Ganieri განიერი, Dg'es დღეს.
 G=გ: Ganieri განიერი, Gouli გული.
 G=ღ: Magla მაღლა.
 G'=ღ: G'ili ღილი, Dg'es დღეს, G'ia ღია, Dzag'li ძაღლი, G'ori ღორი.
 Gh ე და ი ხმოვნის წინ=გ: Adghili ადგილი, Mgheli მგელი.
 H=ჰ: Hawa ჰავა.
 I=ი: Ganieri განიერი, Abedi აბედი.
 J=ე: Waj-Katsi ვაეკაცი, Jeg' ეელ (სვან. ძაღლი).
 K=კ: Tsikani ციკანი.
 K=ქ: Kwewit' კუეუით, Kwemo კუმო, Kerki კერკი, Kori კორი.
 K=ყ: Kwiteli ყვითელი.
 K=b: Ikwi იხვი.
 K'=კ: K'argi კარგი, K'ata კატა, Mak'rateli მაკრატელი.
 Kh',Kh =კხ: Kh'eli კელი, Tikha თიკა, Khari ხარი, Khé ხე, Wertskhli ვერცხლი.
 L=ლ: G'ili ღილი, Lourdji ლურჯი.
 M=მ: Mak'rateli მაკრატელი და სხვ.
 N=ნ: Ganieri განიერი, Nemsli ნემსი და სხვ.
 O=ო: Tchaobi ჭაობი.
 Ou=უ: Lourdji ლურჯი, Pouri პური.
 P=პ: Pouri პური, Patara პატარა, Piri პირი.
 P'=ფ: Ip'kli იფკლი, G'ia-p'eri ღიაფერი, P'ourtseli ფურცელი.
 Q=ყ: Qeli ყელი, qwirili ყვირილი, Miqwars მიყუარს, Baqaqi ბაყაყი.
 R=რ: Ganieri განიერი, Chrywa შრჭა, K'argi კარგი.
 S, ss (ხმოვანთა შუა)=ს: Nemsli ნემსი, Nisli ნისლი, Issari ისარი.
 T=ტ: K'eti კეტი, Setqwa სეტყა.
 T=თ: Tikha თიკა.
 T'=თ: T'et'ri თეთრი, T'hili თბილი, Kwewit' კუეუით, T'ma თმა.
 Tch=ჩ: Artchwi არჩვი, Tchwen ჩუნენ, Tchkhoubi ჩხუბი.
 Tch=ჭ: Tchalaki ჭალაკი, Tchaobi ჭაობი, Motchirwebouli მოჭირვებული.
 Ts=ც: Tsema ცემა, Tsikani ციკანი, Wertskli ვერცხლი.
 Ts=წ: Tsirwa წირვა.
 Tz=წ: Artziwi არწივი, Mtzaré მწარე, Tzelitzadi წელიწადი.
 V=ვ: Navi ნავი.

W=ჟ, ვ: Miqvars მიყვარს, Hiwa ჰავა, Wiri ვირი.

Y, y=ჯ: Chrywa შრჯუა (შერია).

Z=ზ: Larazi ლამაზი, Gza გზა, Zaurgi ზურგი, Zexi ზეთი, Zewit ზეუთი

Z=ს: Zaat'i საათი, Zwill სუილი (seigle).

ლ. ლულაე - თვან მოყოლებული ჩრდილო-კავკასიის ენებისათვის უკვე რუსული ანბანი იყო გამოყენებული. მაგრამ ეს ავტორი მხოლოდ რუსულ ანბანში არსებული ასოებით დაკმაყოფილდა და ამიტომაც ჩერქეზულ ბგერათა სიმრავლისა და თავისებურების სწორე ანარეკლი მის ნაშრომში არ მოგვეპოვება.

როდესაც 1856 წ. აკად. შიფნერ - ი თავისი პირველი გამოკვლევის გამოქვეყნებას შეუდგა წოვური ენის შესახებ („Versuch über die Thusch-Sprache“), მას აღნიშნული ჰქონდა, რომ თვით ამ ხალხის წასაკითხავად განკუთვნილი ნაშრომებისათვის ყველაზე შესაფერისი წოვურისათვის ქართული ანბანის გამოყენება იქმნებოდა. განათლებული მეცნიერი მკითხველისათვის განზრახული თხზულება-კი სჯობდა ყველასთვის გასაგები ანბანით: ყოფილიყო გამოქვეყნებულიო¹. რაკი თვით შიფნერ - ს მთელი თავისი ნაშრომი გერმანულად ჰქონდა დაწერილი და იგი უმთავრესად დას. ევროპის ენათმეცნიერთათვის იყო განკუთვნილი, ამიტომაც წოვურის, ისევე როგორც შემდეგ ჩაჩხური და დალისტინის ენების შესახებ ყველა გამოკვლევა-მოახსენებანი ლათინური ტრანსკრიფციით გამოაქვეყნა. საფუძვლად მან კასტრენ - ის მიერ სამოედლონი გრამატიკისათვის შედგენილი ანბანი მიიღო. წოვურისათვის საქირო ბგერათა გამოსახატაკად-კი დამატებითი ასოები დაურთო.

ზეტრე უსლარის კავკასიის ენათა კვლევა-ძიების ასპარეზზე გამოჩენილია, რიჯორც ვიღით, ახალი ხანა იწყება. მისი მოღვაწეობის დასაწყისშივე უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი საკითხი ამ ენების სიტყვიერებისა და ლექსიკის ჩასაწერად სახელდობრ რომელი ანბანი იყო ყველაზე უფრო გამოსადეგი. მის შახვილს ცონებასა და დაკვირვების დიდ ნიჰს შანამდე არსებული ტრანსკრიფციის უყარვისობა არ გამოჰპარვია. ამ ამოცანის განხილვის დროს უსლარს ორი მიზანი ჰქონდა: ერთი მხრით, მას უნდა კავკასიის ენების ბგერათათვის თავისებურობის მეცნიერულად ზედმიწევნით გამოშხატეული ყოფილიყო, მეორე მხრით, ამ კავკასიელ ტომთათვის, თვით ხალხისათვის, სახმარებლად, სწავლა-განათლების გასავრცელებლადაც მარჯვე აღმოჩენილიყო.

კავკასიის ენების ჩასაწერად გამოსადეგ ანბანზე მსჯელობის დროს, პ. უსლარს თავის პატარა წერილში „О составлении азбук Кавказских языков“²,

¹ „Zu ihrer jetzigen Gestalt bietet diese Sprache (ი. ი. წოვა-თხზულო) ungelaut die selben Laute dar, als das Georgische und hat wenige der letzteren Sprache (ენა) So angemessen die Georgische Schrift für Werke ist, die zum Gebrauch des Volkes bestimmt sind, so sehr ist es dem gelehrten Publicum gegenüber rüthlich ein allgemeines verständliches Alphabet anzuwenden“ (Versuch über Thusch-Sprache: Mém. de l'Acad. des sciences de St. Pétersbourg. VI série, Sc. politiques, t. IX, 83-7).

² ზედმიწევნით დაბეჭდილია 1887 წ. „აბხაზური ენის“ წიგნში.

„კავკასიის ენებისათვის ანბანის შედგენაზე“ აღნიშნული აქვს, რომ ქართული ანბანი ქართულისათვისაც ხომ საუკეთესოა და არსებულ ანბანთა შორისაც თითქმის უუსრულებს ანბანად უნდა იქმნეს მიჩნეული, რათგან ყოველ ბგერას თავისი განსაკუთრებული ნიშანი აქვს და ყოველი ასო ყოველთვის ერთსა და იმავე ბგერას გამოხატავსო. მეორე მხრით მას გამოჩენილი გერმანელი ფილოლოგოსის გეორგ როზენ-ის აზრიცა აქვს მოყვანილი, რომ ზოგიერთი დანაშატი ასოებიტურთ ქართული ანბანი ისეთი ენებისათვისაც-კი სრულებით გამოსადეგია, როგორიც აზნაზური და ოსურიო.

ამგვარივე აზრი ქართული ანბანის ჩრდილო-ოსური ენისათვის გამოსადეგობაზე აკად. შ. ა. გ. რ. ე. ნ. -საც ჰქონდა გამოთქმული, ხოლო აკად. შ. ი. ნ. ე. რ. ს. - შოვეურისათვის. დასასრულ ცისკარი შვილსაც ყველა ქისტურ-ჩაჩნური კილოკავების ბგერათა საუკეთესო გამოხატელოად სწორედ ქართული ასოები მიჩნდაო. თვით უსლარი ამ მკვლევართა ასეთ დასკვნას თავის საკუთარ დეკირვებასაც უმატებს, რომ, მთიელთა ენების ბგერათა აღმკვდვის დროს, ქართული ანბანის ღირსება უფრო მკაფიოდ მოჩანს და განსხვავება ტ-სა და თ-ს, კ-სა და ქ-ს, ვ-სა და ფ-ს შორის იქ უფრო ცხადი საგრძობი ხდებაო. აქეთგან ჩანსო, ამბობს დასასრულ უსლარი, რომ კავკასიის აქამომდე უმწერლობო ენების საერთო ანბანის შესაქმნელად შეიძლება ქართული ანბანის სისტემა იყოს საფუძვლად მიღებულიო. იხ. აზს. ენის დამატ. ვკ. 48-49¹

თვით ქართული ანბანის ასოთა გამოყენება კავკასიის მთიელთა ენებისათვის უსლარს მხოლოდ იმ მოსაზრებით არ მოაჩნდა მთიელთათვის ხელსაყრელად, რომ ქართულ ანბანს ქართველებს გარდა არავინ ხმარობს და ამით მათ რუსულის შესწავლას გაუძნელებსო. ამიტომ, ამავე რუსულის შესწავლის კავკასიის მთიელთათვის გასაადვილებლად, პ. უსლარმა თავისი შედგენილი ანბანის საფუძვლად მოხაზულობის მხრით რუსული ანბანი მიიღო. სისტემა-კი ქარ-

¹ „Если смотреть на грузинский алфавит в отношении к своему грузинскому языку, то нельзя не сознаться, что он удовлетворяет всем условиям: едва ли это есть совершеннейший из всех существующих алфавитов. Каждый звук выражается особым знаком и каждый знак постоянно выражает один и тот-же звук. Во всех европейских языках есть камень преткновения—это орфография; для грузин, благодаря совершенству их алфавита, этой трудности почти не существует... Наконец, в грузинском находим особую букву для горланного звука, свойственного кавказским горским языкам, и... Сопремся на мнение одного из известнейших в Европе филологов, Георга Розена, который исследовал языки Лазский, Мангрельский, Осетинский, Ованетский и Абхазский, утверждает, что в них система звуков одна и та-же с грузинскою и что грузинский алфавит для них совершенно удобен при помощи нескольких допозней. Тоже самое г. Шегрен пишет о языках северных осетин. г. Шифнер о тушском наречии кистинского языка, отец Цискаров распространяет этот отзыв на все наречия кистинския и чеченския. В некоторых горских языках, как кажется, свойство букв грузинского алфавита обнаруживается даже рельефнее, чем в самом грузинском... Отсюда видно, что система грузинской албуки может быть принята за основание для общей азбуки всех Кавказских языков, чуждых то ей по грамотности“.

თული ანბანისა შეითვისა და დამატებითი ასოებიც იმ ბგერათათვის. რომელნიც ქართულშიც არსებობს, ქართული ანბანითგან ამოკრიბა.

ამგვარად შეადგინა უსლარმა კავკასიის ენებისათვის თავისი ანბანი, რომელშიც ამა თუ იმ ენის თავისებური ბგერებისათვის განსაკუთრებული ნიშნები დაუმატა (იხ. იქვე, გვ. 49—53, 54, 56—57).

ქართული ანბანის ღირსებად უსლარი, როგორც დაერწმუნდით, მისს სწორედ იმ თვისებას სთვლიდა, რომ იქ ყოველი ბგერის გამოსახატავად ცალკეული ნიშანი არსებობს. ასოებს ზევით წერტილებისა და ხაზების მოჭარბებული ხმარება, იმგვარადვე, როგორც ერთი ბგერის ორი ასოთი გამოხატვა, ანბანის ცხად ნაკლად უნდა ჩაითვალოსო, ამბობდა უსლარი. (О составлении азбук... აბხაზ. ენა, დამატ. გვ. 50). სწორედ ამიტომაც, იმ ბგერათა გამოხატველი ასოები, რომელნიც რუსულს არ მოეპოვება, როგორც, მაგ., ჯ, წ, ქ, შან პირდაპირ ქართული ანბანითგან ამოიღო, სხეებს-კი მონათესავე ბგერის მოხაზულობის თვისა, ანუ ბოლოს ოდნავ შეცვლით. თავისი საკუთარი ასო შეუქმნა.

განსვენებული პ. უსლარის გამოშცემელმა, კავკასიის სამოსწავლო ილქმა და მისმა რწმუნებულმა მ. ზავადსკიმ კი უსლარის ზემომოყვანილი ძირითადი დებულება კავკასიის ენათა ანბანის საჭირო თვისებების შესახებ, ან მართლაც სრულებით ვერ ვაიგო, უფრო-კი მკითხველებს განზრახ ისე მოაჩვენა თავი, თითქოს ის სწორედ უსლარის წადილის განმახორციელებელი ყოფილიყო: აიღო და ყველა უსლარის მიერ თავისებურ ბგერათა გამოხატველი ასოები, რომელიც უსლარმა ქართ. ანბანითგან ამოიღო, პროფ. ვ. მილლერის ოსური ანბანის მიხედვით შესცვალა. მილლერს-კი ამგვარი ასოები სულ სხვა წესით აქვს გამოხატული.

ილქის მიერ გამოცემულს პირველსავე წიგნში აბხაზური ენის უსლარის გრამატიკაში ყველა ასეთ ბგერათა ასოები ამნაირი ნიშნებითაა აკრეფებული. ამგვარად, რაც უსლარს ანბანის ნაკლად მიაჩნდა და რის წინააღმდეგაც ის იბრძოდა, სწორედ ის მის შექმნილ საქმესაც ვერ ასცილდა.

ეს ცვლილება, რასაკვირველია, იმ სრულებით გარკვეული სულისკვეთებისა და პოლიტიკის შედეგი იყო, რომლის თავგამოდებული წარმომადგენელი და გულმოდგინე განმახორციელებელიც კავკასიის სამოსწავლო ილქის მაშინდელი მზრუნველი კ. იანოვსკი და მისი თანა შემწე ზავადსკი იყვნენ. მკაცრი გამარჯვებული პოლიტიკის განმახორციელებელსა და ყოველივე ქართულის უღმობლად აღმომფხვრელს ამ მოხელეებს, როგორ უნდა მოეთმინათ რუს. ანბანში თუნდაც ის რამოდენიმე ასო, რომელიც უსლარმა თავის ანბანში შეიტანა? ამიტომაც მისი შრომების პირველივე წიგნის, აბხაზური ენის, გამოქვეყნებისთანავე, მათ უსლარის მიერ ყველა ქართულითგან ამოღებული ასოების მოხაზულობა შესცვალეს. ამ შეცვლილი ანბანით არის უსლარის ყველა დანარჩენი ნაშრომებიც გამოცემული.

ლ. ლოპატინსკი-ც თუშკა თავის ყაბარღოული ენის გრამატიკასა და ლექსიკონში ამავე სისტემას მისდევს, მაგრამ ზოგიერთი თავისებური ცვლილება მასაც აქვს ტრანსკრიფციაში შეტანილი.

ად. დირრის კაც. სიმონწაფლო ილქის კრებულში რუსულად გამოქვეყნებულს ყველა ნაშრომებში, რასაკვირველია, იგივე რუსული ტრანსკრიფციაა ნახმარა. მაგრამ ამ მკვლევარს ამ სისტემაში ბევრი ცვლილება შეჰქონდა, რაც მის ტრანსკრიფციას წინათ მიღებულისაგან თვალსაჩინოდ ასხვავებს.

სულ სხვა ნიშნები და სხვა სისტემა აქვს ამავე ნეცნიერს თავისს გერმანულად გამოქვეყნებულს „კავკასიის ენების შესწავლის შესავალ“-ში (Einführung in das Studium der kaukasischen Sprachen) მიღებული.

აკად. ნ. მარრიც, როგორც ცნობილია, ყველა თავისს ნაშრომებში საკუთარს, იაფექტილოლოგიურს, ავტორისაგან ანალიტიკურად სახელდებულს, ანბანსა ხმარობდა.

დასასრულ, დვმეზილსაც თავისი ნიშნები აქვს გამოყენებული გამოკვლევაში უბიბთა ენის შესახებ (La langue Oubykis) და ჩრდილო დასავლურ ენათა შედარებითს გრამატიკაში.

რევოლუციის შემდგომ ჩრდილო-კავკასიის ყველა ენებისათვის დანართი ასოებით შეცვებული ლათინური ანბანი იქმნა შემოღებული, რომელიც არაერთხელ შეცვლილა. იგი ჯერ კიდევ საბოლოოდ დამთავრებული არ არის, და სხვადასხვა ენათათვის შედგენილს ამ ანბანებში არც ერთგვარობა არის დაცული. ეს გარემოება მკვლევარს საგრძნობლად უძნელებს საქმეს, შით უმეტეს ძველი უნდა იყოს მკითხველისათვის.

უეჭველია, ზემომოთხრობილი დაარწმუნებდა მკითხველს, რომ სრულებით გადაჭარბებული არ იქნებოდა, თუ ვიტყვოდით, რომ კავკასიის ენებისათვის იმდენი ტრანსკრიფცია არსებობდა, რამდენიც ამ დარგში მკვლევარი იყო. ამიტომაც ისედაც შაბლონის ენათა აღრევის მსგავსს შესასწავლ ლინგვისტიკურს მასალას ზედ უაღრესად გამართულბებელ გარემოებად ანბანებისა და ტრანსკრიფციების ნაირნაირობა და სიმრავლეც დაერთო. ამის წყალობით, ვინც აქამდე დაბეჭდილი გამოკვლევების გამოყენებას მოისურვებს, წინასწარ ტრანსკრიფციითა მთელი საძიებელი უნდა შეადგინოს, რომ ამ სხვადასხვა სისტემების გამოცხადებით არ დაიბნეს და არ შესცდეს. სწორედ ასეთი დამქანცველი სამუშაოს გაწევა მომიხდა, როდესაც ამ კვლევა-ძიებას შევუდექი, და, უნდა გულანდილად აღვიარო, რომ მეც მხოლოდ იმ მკვლევართა კონსულტაციით, რომელთაც ადგილობრივ შემოწმების საშუალება მქონდათ, სახელდობრ პროფ. არნ. ჩიქოშაგას, სვ. ჯანაშიასა და ვარ. თოფურიას დახმარებით, შევძელი ძველი და თანამედროვე ტრანსკრიფციების ზოგიერთი ბუნდოვანი საკითხების გამოარკვევა, რისთვისაც გულთად მადლობას მოვანხებ.

როდესაც ე. წ. კავკასიური ენების შესწავლას შევუდექი და დავრწმუნდი, რომ მათი აგებულების ცოდნას ქართველურისა და ქართულის თავდაპირველი ბუნების გამოსარკვევად ისევე, როგორც წინაუკმაც, უაღრესი მნიშვნელობა აქვს, ჩემ წინაშეც თავისდა-თავად ამ ენებისათვის გამოსაყენებელი ყველაზე უფრო მარჯვე და მიზანშეწონილი ანბანის საკითხი წამოიჭრა. ვითარცა ისტორიკოსს, ყველა აქამდე შეგროვილი ენოვანი მასალების აღსაბეჭდად ნახმარი ანბანების ვარგობისა და ლექსიკური ჩანაწერის სისწორის გამოარკვევის მიზნად დასახვა არ შემეძლო, არამედ ჩემ ამოცანად მხოლოდ წინათ დაუჩვენებელი, მაგ-

რამ ჯერეთ კრიტიკულად შეუსწავლელი და გამოუყენებელი მარაგის გამოყენებით წავადი საკითხების შეძლებისამებრ გამოჩვენება მქონდა დასახული. ამიტომაც სხვათა აზრებით აღბეჭდილი მასალა უნდა მქონოდა ხელთ. რაკი ჩემი კვლევა-ძიების შედეგი ქართული მკითხველისათვის მქონდა წასაკითხად განკუთვნილი, ამის გამო თავისდა-თავად სწყდებოდა საკითხი, თუ რა აზრები, ანუ ტრანსკრიფცია უნდა გამომეყენებინა. ჩვენში არც უსლარისეულისა და არც ლათინურებრივი აზრებისას სასტამბო ასოები არ მოიპოვება, მაგრამ მთავარი ის არის, რომ, თუნდაც ყველა ასეთი შრიფტები ტფილისში კიდევაც გვქონოდა, მაინც, რაკი ჩვენში ეს აზრები არაფერ იცის, ჩემი გამოკვლევა რომ აღვილი წასაკითხი და გასაგები ყოფილიყო, კავკასიის ენებისათვისაც უნდა უეჭველად ქართული ტრანსკრიფცია შეხმარა. ეს ტრანსკრიფცია, ენისა და სატერმინოლოგიკო კომისიის წევრთა, პროფესორების: ა. კ. შანიძისა, გ. ანდრედიანისა, არნ. ჩიქობავას, ს. ჯანაშიას და ვარ. თოფურიას მიერ არის შეშავებული.

ცნობილია ქართველური და მეტადრე კავკასიური ენების ბგერათა სიმრავლე და თავისებურება. ძველი ქართულის არმცოდნეობისაც ზოგიერთი ასო და ბგერა უცნობია, მით უმეტეს აუცილებელია წინასწარი განმარტება კავკასიის ენების ბგერათა თავისებურების გასაგებად. მაგრამ, ცხადია, რომ აქაც ჯერ ძველი ქართულით უნდა დავიწყოთ საუბარი.

თანამედროვე ქართულს თუ მხოლოდ ა, ბ, გ, დ, ე, ვ და უ, ხმოვანი აქვს შერჩენილი, ძველში მ ასო გვხვდება: ა, ე, მ, ი, ჯ, ი, ზ და უ.

ძველ ქართველ ენათმეცნიერებს როგორ ჰქონდათ ა-სა და ბ-ს ბუნება წარმოდგენილი, ჯერ არ ვიცით, ს. ორბელიანს კი ა-ზე ნათქვამი აქვს მხოლოდ, რომ „ესე მე ბოლოდ მრავალთაოვს მოვალს და თავად არა დია“-ო (ლექსიკ.), ე. ი. ა სიტყვების თავში იშვიათად, ბოლოში ხშირად გვხვდებაო. მისი გამოთქმის განმარტება-კი შედგებად მიუჩნევია. ვ-ს ბუნების შესახებაც საბას ცნობები არ მოგპოვება, არამედ ამბობს მხოლოდ „ესე ვე ძველად ტართან იჯდა და რიცხუშიაც მეოთხასედ ყოფილა. წერილთა შინა ღია ხაკმარია... შემდგომად ვე რიცხვდამ ამოუღიათ და ოთხასად უნი დაუსვამთ“-ო (იქვე).

ზურაბ შანიძის თავისს 1737 წ. შედგენილს ქართული ენის მოკლე „ლრამატკა“-ში ა და ვ ხმოვანთა ჯგუფში აქვს მოთავსებული: „ვმოვანნი არიან შვიდნი, რომელ არიან ესენი: ა, ე, ი, ი, უ, ჯ, ვ, ბოლო ამათვან მალღნი არიან ესენი: ბ, ე, და წამიერნი: ი, და მცირედ მდაბალ არს მათ შორის: ი, უ, და ხრულიად მდაბალ და მოკლე არიან: ა, ვ“-ეო (იხ. მოკლე ლრამატკა ქართულისა ენისა ქმნული ზურაბ შანიძის-საგან... გამოც. აღ. ციგარელი-საგან, სანკტ-პეტერბურგი, 1881 წ. გვ. 4).

თანამედროვე ენათმეცნიერება ხმოვანთა მალღ-დაბლობის საფუძველად ენის მდებარეობასა სოფლის: თუ ენა ხმოვანის გამოთქმისას მალღია აწეული და სასასთანაა შიახლოვებული, ხმოვანი მალღად იწოდება, პირიქით-კი, თუ ენა ქვემოთკენ არის დაწეული, ხმოვანს დაბალი მქვიათ. ამასთანავე ვათვალისწინე-

ბულია ხოლმე, თუ ენის რომელი ნაწილი, წინა, საშუალო და უკანაა აწეული და ამისდა მისხდევით ზოგს მათგანს წინა, ზოგს უკანა ხმოვანი ეწოდება. ზემო-აღნიშნულ გარემოებათა მიხედვით **ა** უკანა დაბალ ხმოვნად ითვლება, **უ** უკანა მაღალ ხმოვნად, **ი** წინა მაღალად, **ე** წინა საშუალოდ, ხოლო **ო** უკანა საშუალო ხმოვნად იწოდება (ა.კ. შანიძე, ქართ. გრამ. I, 4).

ანტონ კათალიკოზი „ქართულ ლრამატიკა“-ში ამტკიცებს, რომ „მაშინდელთა მოძღვართა ხუთნი ოდენ ხმოვანნი ასაჭიროვნეს ენასა სუფთა ქმნილსა ჭარნაგაზისაგან ქართლოსიანისა...“, ხოლო დაჰრთნეს მას ზედა წიგნნი (ე. ი. ნიშანი) უკმონი, რიცხვთ ოცდა-ათხუთმეტნი, და ყოველნი თქუნეს რიცხვთ ოცდა-ათცხრამეტ“-ო, მაგრამ, როდესაც ჩვენ „ლრამატიკოსობისა კვლო-ენებასა შინა გამოცდილ-ვიგნით“, დაერწმუნდით, რომ ქართული ენისათვის მარტო **წ** ხმოვანი საკმარისი არ იყო, და ამიტომ „ვახაჭიროეთ მომატებაჲ კმოვნისა ახლისა, რომელა **გ**, და კუალად დავრთენით კმოვანთა ესენი **ც**, **ძ**, **წ** და ყოველნივე ცხრა ვყვენით“-ო (გვ. 116). ავტორს აქ საუბარი იმაზე აქვს, რომ მასზე უწინარესი ზოგი ქართ. გრამატიკოსი ხმოვნების ძველ ნიშნებს **ც**, **ძ** და **წ**-ს აღარა ხმარობდა, მან-კი ამ ასოების კვლავ შემოღება აუცი-ლებელ საჭიროებად მიიჩნია რაკი **ზ**, **შ** ან **შო** ვანი, როგორც დაერწმუნდით, ხუთს-კი არა, არამედ შვიდს ხმოვანს ანგარიშობს. ცხადია, რომ ანტონი ვი-ლიცას სხვას უნდა გულისხმობდეს.

პროფ. ნ. შარბას, მე-IX—XI ს.ს. ძეგლების გამოცემის დროს, გამორკ-ვეული აქვს, რომ **ც** იმ ხანაში **ეა**-ს უდრიდა. მაგრამ შემდეგში მას ასე აღარ კითხულობდენ, არამედ ჩუქულბრივი **ე**-ს მსგავსად. ამნაირად **ც** ზედმეტ ასოდ იქცა და თანამედროვე ქართ. ანბანში უკვე აღარ არის. მაინც უნდა ითქვას, რომ **ც**-ს თვლადპირველი აღმნიშვნელობის საკითხი ჯერ კიდევ ზედმიწევნით გამორკვეული არ არის. როგორც „ქართულს დამწერლობათა-მცოდნეობასა, ანუ პალეოგრაფია“-ში ნათქვამი შექვს, **ც** და **წ** რიცხვნიშნად ერთს მე-XIII ს. დამ-დევის ძეგლშიც და მე-XVII ს. ბევრს საბუთებშიც ერთიმეორის მაგიერაა ნა-ხმარი, რაც გვაფიქრებინებს, რომ ეს ძველი ვითარების ანარეკლი უნდა იყოს, როდესაც **ც** ხმოვნის, დიფტონგისა-კი არა, არამედ **წ**-ს მსგავსი თანხმოვნის ნიშანი უნდა ყოფილიყო (გვ. 147 და 194—195). მაგრამ რაკი ამ ასოს თანა-შედროვე ქართულში მნიშვნელობა უკვე სრულებით დაკარგული აქვს, ამიტომ ამაზე აქ სათქმელი აღარაფერია.

ა-ზე ანტონ I-ს მარტო ის აქვს მოთხრობილი, თუ სად გვხვდება ეს ბგერა ძველ ქართულში, რომ იგი „იშვთ-რე მოვალს თავად ლექსისა“ (ე. ი. სიტყვისა), „მცირედ ჯერ მოვალს საშუალ ლექსისა, ნაცულად ი-სა, შავა-ლოთებრ ბეთსაჲდა, შაჲან და სხუანი, ხოლო უმრავალჯერეს დააბოლოებხ ლექსისა“-ო. თვით ამ ბგერის ბუნება-კი ვანმარტებული არ არის (ლრამ. გვ. 118). **ა** მოკლე, უმარცვლო ი-ნია, ამიტომ ნახევარ-ხმოვანსაც უწოდებენ. ძველ ქართულში უარყოფ იყო ვაგურცელბული, თანამედროვეში შთის კილოებსა და სვანურსა აქვს დაცული.

თემცა ანტონმა იცოდა, რომ ქართული **ვ** უდრიდა ბენძნულს **ა**-ს „ვპ-სილონსა ელაღებრ ა“ (ლრამ. 117), მაგრამ, როგორ გამოითქმოდა იგი ძველად,

ამაზე გარკვევით არას ამბობს (გვ. 118, ვ). ეტყობა, რომ ამ ბგერის რაობაზე ბუნდოვანი წარმოდგენა ჰქონია. ძველ ქართულში ვ-ს გამოთქმა ბერძნულითგან შეთვისებული ისეთი სიტყვების მართლწერის მიხედვით, როგორც ვპატოსი-ა, კარგად ირკვევა; სახელდობრ, რომ იმას შერბილებული უ-ს, ფრანგული u და გერმანული u-ს მსგავსი ბგერის აღმნიშვნელობა ჰქონია. ასეთი ბგერა სვანურს აქვს დაკული.

ხმოვნების აღსანიშნავად ქართულში ანტონ კათალიკოზი მანამდე არსებული ასოებით არ დაკმაყოფილდა. არამედ ორი ახალი ნიშანი შემოიღო. ერთს ამ ნიშანთაგანს ა-ს-ის სიბრჯგვს ნიშანს უწოდებს, ანუ მარტივად ბრჯგუ-ს. მას ტერმინად დაბრჯგუშაბ-ც აქვს ნახმარი (ლრამ. 116-118). ამ ნიშნის დას-მა ანტონმა ასოს ზევით განაწესა და მისი აღმნიშვნელობა ასე აქვს განმარტებული: ასოზე „ნიშანი ესე სიბრჯგვსანი ა დაგვსხამნ... თავით თვისით ვერ გამოვლებსათვს ვმისა“-ო (იქვე, გვ. 116-117). შემდეგ მას აქვს საგანგებოდ ნათქვამი, თუ რა შინაარსით იყო ბრჯგუ და დაბრჯგუშაბ ნახმარი: როდესაც „დაბრჯგუვლების უ... და მსგავსად მ გამოიღების“-ო (იქვე, გვ. 118). აქეთგან ცხადი ხდება, რომ ბრჯგუ ხმოვნის მოყრუებისა და უ-სა და ვ-ს შუალედ ბგერად ქცევის გამოშხატველი ყოფილა. ეს ტერმინები საბასაც მოეპოვება ლექსიკონში, თუმცა-კი უ ბრჯგუ მის დროს არ იყო, დაბრჯგუშაბული, მისი განმარტებით, დაჩლუნგებულს უდრის (ლექს.).

გ „არს ახალ-პოვნილი ჩუენგან ასოჲ ვმოფანი, რომელიც მრავალთა უვმოთა ლექსთა შინა, უკმოვნოდ ერთად მდებარეთა, მარცხულაჲყოფს“-ო (ლრამ. გვ. 118 ზ). ე. ი. მისი ხმარება საჭიროა იქ, სადაც ერთად რამდენიმე თანხმოვანი უხმოვნოდ არის თავმოყრილი. მართალია, როგორც უკვე პროფ. ალ. ცაგარელმა აღნიშნა (О грам. шаг. рыв. жз.), ასეთი ბგერა ქართულს არ მოეპოვება, მაგრამ სამაგიეროდ შევრულსა და სვანურს აქვთ დაკული და იქ მართლაც ეს ასო აუცილებლად საჭიროა.

ბგერათა წარმოების ადგილმდებარეობასა და გარემოებაზე ზ. შანშოვანს არაფერი აქვს ნათქვამი. ამ საკითხს პირველად ანტონ I შეეხო თავისს ქართ. გრამატიკაში, რომელშიც შემდეგი განმარტება აქვს შეტანილი. მისი დაკვირვებით, „ბ, მ, ვ, უ... ბავეთა ურთიერთას შეხებითა გამოიღებიან“-ო (გვ. 117). ე. ი.: თანამედროვე ტერმინოლოგია რომ ვინმაროთ, ბავისმიერი თანხმოვნები არიან.

ამავე ჯგუფის ბგერადვე აქვს დასახელებული ანტონ კათალიკოზს ვ თანხმოვანიც, რომელიც, მისი დახასიათებით, „ბავეთა შინაგან მცირედ-რე მჭირხედ ურთიერთას მახლობელ-ყოფითა გამოიღების“ (იქვე).

საგანგებოდ აღნიშნული აქვს ქართულისათვის ისეთი უცხო თანხმოვნის ბგერათწარმოებაც, როგორც მ არის, რომელზედაც ნათქვამია: „უგ-საბედ“-ვე -ჟ... ბავეთა შინაგან არაფრიად შეხებითა გამოიღების“-ო (იქვე). თანამედროვე ქართ. ენათმეცნიერებაც ყველა ამ ბგერებს ბავისმიერს ბგერებს უწოდებს, მაგრამ ვ კბილბავისმიერად, მ, ბ, ვ და ფ-კი წყვილბავისმიერად იწოდება (გ. ახვლედიანის თანხმ. განდასებისათვის და აკ. შანიძის ქართ. გრამ. 1, 5).

„ხოლო დ, თ, ტ... მანლობელ კბილთა სახისა მიმართ მცირედ-რე ფართოდ შეხებითა ენისა მწუტრვალისათა გამოიღებინა“-ო (გვ. 117), ე. ი. წინაენისმიერი ბგერებიაო. ამ თანხმოვნებს გ. ახვლედიანიც წინაენისმიერ ბგერებს უწოდებს (ქართ. თანხმ. განდას.: მიმოიხილველი I, 244), აკ. შანიძეს-კი ისინი კბილის მიერ, ანუ დენტალ თანხმოვნებად აქვს სახელდებული (ქართ. გრამ. I, 5). უფრო ზედმიწევნითი იქმნებოდა, რომ ამ საბისათვის წინაენისა და კბილისმიერი ბგერები გვეწოდებინა.

დაახლოებით ამავე ადგილმდებარეობის თანხმოვნებად მიაჩნდა ანტონ I-ს „ზ, ს, ც, ძ, წ“, რომელნიც მისი სიტყვით, „მწუტადრე შეხებითა სახისა მიმართ ენისა მწუტრვალისათა გამოიღებინა“ (იქვე), მაშასადამე, სასაწინაენის-მიერ ბგერათა ჯგუფსვე ეკუთვნიან.

„ხოლო შ, შ, ჩ, ჳ, ჯ... სახისა მიმართ მჭიხედ და ფართოდ შეხებითა ენისა მწუტრვალისათა გამოიღებინა“-ო (იქვე), ე. ი. ეს ხუთი თანხმოვანიც სასაწინაენისმიერებია.

გ. ახვლედიანს ზ, ს, ც, ძ, წ თანხმოვნები წინაენისმიერ ბგერათა ჯგუფში აქვს მოთავსებული, შ, შ, ჩ, ჳ და ჯ ბგერებს-კი ალვეოლარებად სთვლის (ქართ. თანხმ. განდას.: მიმოიხ. I. 244). ხოლო აკ. შანიძე ზ, ს, ც, ძ და წ-ს წინა ალვეოლარებს უწოდებს, შ, შ, ჩ, ჳ და ჯ-კი უკანა ალვეოლარებად მიაჩნდა (ქართ. გრამ. I, 5). ვკონებ უფრო სამართლიანი იქმნებოდა, პირველი ამ ჯგუფთაგანისათვის სახა-წინაენისმიერნი გვეწოდებინა, მეორე ჯგუფისათვის-კი სახა-უკანაენისმიერნი დაგვერქვა.

ანტონ კათალიკოზს ლ და ნ ბგერათა ცალკეულ ჯგუფად აქვს გამოყოფილი, რომელთა ბგერათაწარმოებაზე ნათქვამია, რომ „მცირედ-რე ფართოდ სახისა მიმართ ენისა მწვერვალისა შეხებითა გამოიღებინა“-ო (იქვე, გვ. 117). ქართ. გრამატიკოსს აქ რატომღაც რ გამოჰჩენია. ეს სამი თანხმოვანი, რ, ლ და ნ, ამჟამად ნარნარა ბგერებად იწოდება და მართლაც ენის წვერის წინასასაზე ანუ ნუნებზე შეხებით გამოითქმის. ნ და მ-ს გამოთქმაში რაკი ცხვირიც იღებს მონაწილეობას, ამიტომ მათ ცხვირისმიერ ბგერებაც უწოდებენ.

დასასრულ ბგერათა უკანასკნელი ჯგუფის შესახებაც. ანტონ I-ის სიტყვით. „ზ, ა, ძ... გამოიღების მსაქიროები არაფრიად კორხისა კმარებისა“ (იქვე), „ხოლო დ, შ, ს, ვ... კორხისა მჭიხედ კმარებისა მსაქიროებნი გამოიღებინა“-ო (იქვე). თანამედროვე შეხედულებით ნამდვილ ხორხისმიერ ბგერად მხოლოდ ყ და ვ არის მიჩნეული (გ. ახვლედიანის ქ. თანხმ. განდას. 244), ხოლო გ, კ, ქ, ხ და ლ უკანაენისმიერ (ახვლედიანი, იქვე), ანუ უკანასასისმიერ ე. ი. ველარ ბგერებად (აკ. შანიძე ქართ. გრამ. I, 4) არიან სახელდებული. უფრო სრულად რომ დახასიათდეს, უკანასასისმიერ-უკანაენისმიერი ბგერებია. ყ-სა და ვ-ს შორის მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ ყ მკვეთრია, ვ-კი ყრუ-ფშვინვიერი ბგერაა.

1 რ. უჩიხიძის გამოცემაში აქ კორექტურული შეცდომაა შეპარული და ც არის დატვირთული ქმ რ გიერო: ც ანტონს ზეით ლვე მოძსენებული აქვს.

დამახასიათებელია, რომ შ-ც, ამავე მეცნიერის აზრით, „ჯორჯისა შვირსე-ყოფითა... უბრჯულებს იონრვის“ (იქვე, გვ. 117—118). აკ. შანიძესაც მხორხისმიერ ბგერად მიაჩნია (ქართ. გრამ. I, 6—7).

თანამედროვე ენათმეცნიერების ბგერათამცოდნეობა მარტო ბგერათა წარმოების ადგილმდებარეობას კი არ აქცევს ყურადღებას, არამედ მათი წარმოების გვარობასაც, რამდენადაც შემდეგში ამაზე არაერთხელ გვექმნება მსჯელობა, ამ საკითხზე სჯობს ორიოდ სიტყვა აქვე იყოს ნათქვამი.

ბგერათა წარმოების გვარობის თვალთსაზრისით განხილული ქართ. თანხმონები ოთხ მთავარ ჯგუფად არიან განდასებული: ბგერათა ერთ ჯგუფს ხშულნი, მეორეს სპირანტი, მესამეს ნარნარა და მეოთხეს აფრიკატი, ანუ რთულნი თანხმონები შეადგენენ.

თითოეული ამ სამ მთავარ ჯგუფთაგანი, ბგერათა ინტენსივობა-თავისებურებისდა მიხედვით, ქვეჯგუფებად არიან განდასებული: ხშულთა და სპირანტთა ჯგუფებს მკვეთრთა, მჟღერთა და ყრუთა, ანუ ყრუ მშვინავთა ქვეჯგუფებად გააჩნია, ხოლო აფრიკატები სისინა და შიშინა ქვეჯგუფებად იყოფებიან.

პროფ. ახვლედიანს („შენიშვნები ქართულ თანხმონთან განდასებებისათვის“: მიმოშ., I, 243) ქართ. თანხმონები წარმოების გვარობისდა მიხედვით ასე აქვს განდასებული:

- I. ხშულნი: 1. მკვეთრნი: ბ, ტ, წ, ქ, ჯ, ყ.
2. მჟღერნი: ბ, დ, ძ, ჯ, გ.
3. ყრუ მშვინავნი: ფ, თ, ც, ჩ, ქ, ჯ.

II. სპირანტნი ანუ ლკიმოვანი ბგერანი:

1. მჟღერნი: ვ, ზ, ჟ, ლ.
2. ყრუნი: ფ, ს, შ, ხ.

III. აფრიკატნი ანუ რთული ბგერანი:

1. სისინანი: წ, ძ, ც.
2. შიშინანი: ქ, ჯ, ჩ.

IV. ნარნარა ბგერათა ჯგუფი ჩ-სა, ლ-სა და ნ-საგან შესდგება, რომელთაგან პიოველს მავარი, მეორეს-კი რბილი ეწოდება.

კავკასიის ენებს ყველა ის ბგერები გააჩნია, რომლებიც ქართულსა აქვს და კიდევ ზელმეტრიც მოვაპოვება. ამიტომაც ძველი ქართ. ანბანის ყველა ასოები, მ. ს. ვარდა, კავკასიის ენების ბგერათა გამოსახატავად მოლიანად და უცვლელად შესაძლებელია გამოყენებულ იყოს. მაგრამ ზოგიერთს ამ ენათაგანს ისეთი ბგერებიც ამაღია, რომელნიც ქართულში და ქართველურ ენებში არ მოგვეპოვება. ჩვეულებრივი აღრულობისადა შეოსვეულობის თაფითგან ასაცილებლად, ქართ. ტრანსკრიფციის შემოაღნიშნულმა ავტორებმა ამ ბგერათა ზოგად თვისებებს მიაქციეს ყურადღება და ამისდა მიხედვით შეუღღნენ ამოცანის გადაჭრას.

ქართულ ანბანზე დამყარებული ეს ტრანსკრიფცია იმ დაკვირვებასა და ინსტრუქციას აცხადებს, რომ კავკასიურს ენებს ბგერათა ჯგუფები აბადია, რომელნიც, ქართულს წვეულებრივსა და მარტივ ბგერებთან შედარებით, ან:

1. გაპალატალებული, ანუ გახასისმიერებულია, ე. ი. შერბილებით გამოითქმიან. გაპალატალებულობის, ანუ გახასისმიერებულობისათვის ო. ნიშანია, რომელიც მარტივი ბგერის ნიშანს მარჯვნივ მიჯრით ერთვის, —

ან. 2. პირიქით ბგერა მაგრად ისმის. ბგერის ხიმკვეთრის, ხიმავრის გამომხატველი ო ნიშანია, რომელიც მარტივი ბგერის ახლს მარჯვნივ მიჯრით დაესმის. —

ან. 3. გალაბიალებული, გაბავისმიერებულია, როდესაც ასეთ ბგერას, უსლარისა და დირრის დახასიათებით, ბოლოში თითქოს უ მისდევს და ისმის ხოლმე. პროფ. გ. ახვლედიანს თავის ნაშრომში „მასალები აფხაზურ ბგერათა ფიზიოლოგიისათვის“ ორი გალაბიალებული აფხაზური თანხმოვანი პ და ჭ აქვს განხილული. მისი სიტყვიერება ამ ბგერათა გამოთქმისათვის, გათაფებისას „დახასიათებულია... ბაგეთა მომრგვალება, დაბლოებით, როგორც ფართო ო-სთვის“ (იხ. „მიმომხილველი“, საქ. საისტ. და საეთნ. საზ. ორგანო I, 195—196. 1926 წ.). ბგერის გალაბიალებულობის, ანუ გაბავისმიერებულობის აღსანიშნავად ო არის ქართულ ტრანსკრიფციაში განკუთვნილი. რომელიც ხათანადო მარტივი ბგერის ნიშანს მარჯვნივ მიჯრით ერთვის. —

ან. 4. ზოგი გარდამავალ ბგერად გამოითქმის, როდესაც ერთი ბგერით იწყება, მაგრამ შემდეგ უკვე მეორე ბგერა მოისმის ხოლმე. ბგერის გარდამავლობის ნიშანია ო, რომელიც შემოადნაშნული წესითვე ერთვის მარტივი ბგერის ახლს. ად. დირრის განმარტებით, გარდამავალი ბგერის გამოთქმის თავისებურებას ის შეადგენს, რომ მეორე ბგერა პირველზე უფრო ვრძელია ხოლმე (Einführung, 33) მაგ. ხა ხ-თი იწყება და შ-დ თავდება, ზა ზ-თი იწყება, ფ-თ-კი ბოლოვდება, ე. ი. ხ-სა დი შ-ს, ზ-სა და ფ-ს გარდამავალი საშუალო ბგერაა ხოლმე, —

ან. 5. ბგერას ნაშალიზაცია ხდევს თან, ცხვირში გამოითქმის. ნაშალიზაციის ქართული ნიშანი ო მარტივი ბგერის ახლს ამავე წესით ერთვის ხოლმე, —

ან. 6. ბგერათა კომპლექსი ლატერალია, ანუ გვერდითია, ე. ი. ენის წვერის გვერდზე მოქცევითა და მიტკაცუნებით გამოითქმის. ლატერალ ბგერათა ნამდვილი თვისება და შედგენილობა-წარმოშობილობის საკითხი ჯერ შესწავლილი არ არის და მკვლევართ მათ შესახებ სხვადასხვა აზრი აქვთ გამოთქმული. ლ ვ ლ ა ე ს ასე აქვს ნათქვამი: რთული თანხმოვნები კლ, ტლ, ტხ, ისე უნდა გამოითქვას, რომ ბგერები ერთმანეთში შერწყმული იყვნენ..., ამ ბგერების გამოთქმისას ენა უნდა ბაგეებისაკენ იყოს წაწეული, ინგლისური tl-ს მსგავსად little სიტყვაში, ხოლო ტხ გამოითქმის ხორხისმიერად (гортанно), ისე-კი, რომ ორივე ბგერა ერთად იქცესო (იხ. Словарь рус.-веч. с кратк. гр. გვ. 3).

უსლარს ლუნძურში და დალისტნის სხვა ზოგს ენაში ოთხი ლატერალი ბგერა აქვს დასახელებული. მისი აზრით ამ ბგერათა გამოთქმის სიტყვიერად დამაკმაყოფილებლად აღწერა სრულებით შეუძლებელია. ერთის მოსმენით თი-

თქოს ლ-ც ისმის ხოლმე და ოთხივე ეს ბგერა თითქოს შესაძლებელია ხლი, ტლი, ტლლი და ტყლი ასოებით გამოიხატოს, მაგრამ ეს მხოლოდ ყურთასმენის მოჩვენებააო. პირველი ამათგანის გამოსათქმელად ყბები უნდა განზრდილი იყოს, ხოლო ენა გვერდზე ქვეითს კბილებზე იყოს მართხმული, პაერის ნაკადი-კი ლოყის გასწვრივ მიჰქროდესო. მეორე, მესამე და მეოთხე ლატერალი ბგერები ერთმანეთზე უფრო მკვეთრად გამოითქმისო (ავ. ე. 13—14). ხწორედ ენის გვერდზე მართხმულობის გამო ეწოდებათ მათ ლატერალი, ანუ გვერდითი ბგერები.

ასეთი გვერდითი ბგერები, როგორც ჩრდილო-დასავლურს, ისევე ჩრდილო-აღმოსავლურ ენებში მოიპოვება. ჩრდილო-დასავლურთაგან აღიღებურხა ანუ ჩერქეზულხა და ყაზახულხა აქვს, ჩრდილო-აღმოსავლურთაგან ღუნძურხს, ანდიურს, არქულს აბადიათ, ხოლო ლუმუქურს, კვრულს, თაბასარანულს, აღულურსა და აკუშურს-კი არ მოეპოვებათ. ამნაირადვე გვერდითი ბგერები ჩაჩურსა და ქისტურში არ არის, საქართველოში მცხოვრებს, მათ მონათესავე, წოვებ-კი ასეთი თანხმოვნები აქვთ.

ხაყურადღებო გარემოებაა, რომ ანწუხელები იმ პარველი ლატერალი, ანუ გვერდითი ბგერის მაგიერ, რომლის დაახლოვებითი გამოთქმისათვის უხლარს ხლი კომპლექსი აქვს დასახელებული, ყველგან მარტივ ტ-ს ამბობენ (ავ. ე. გვ. 14). აქეთგან საფიქრებელი ხდება, რომ ტ ბგერაც უნდა იყოს ამ გვერდით ბგერაში შერწყმით მონაწილე.

ად. დირრ-საც გვერდითი ბგერა მხოლოდ ოთხი აქვს და გამოთქმისას, მისი დაკვირვებით, თუ ლ ან ტ, ანდა შუა სასასმიერი (Mittelgaumen) კ — ლ და ხ ბგერებთან ერთად შერწყმით გამოითქმის, გვერდითი, ანუ ლატერალი და გამოვა, ხოლო როდესაც ტ, ანდა კ-ს გამოთქმისას უმაღ ენის წვერის გვერდით მართხმითი მოძრაობაა, მაშინ უკვე ლატერალი ტ ან კ ანდა ტტ ბგერები მოისმის (Einführung, 29—30).

ნ. ტრუბეცკო-კი, რომელსაც ექვსი ასეთი გვერდითი თანხმოვანი ეგულება, თავისს გამოკვლევაში „Les consonnes latérales des langues caucasiennes septentrionales“, „ლატერალი ბგერები ჩრდილო-კავკასიის ენებში“, ამტკიცებს, რომ ეს გვერდითი ბგერები მხოლოდ კ, გ, ხ-ს ლ-დ გარდამავალ ბგერებს წარმოადგენენ და ვერც ერთს ჩრდილო-კავკასიის ენაში ტ გარდამავლობით ლ-დ ვერ გარდაიქცევაო (Bulletin de la Société de Linguistique de Paris, ტ. 23, გვ. 203).

გვერდითი ბგერების ფიზიოლოგიისა და წარმოშობილობის ზედმიწევნით გამოსარკვევად ჯერ კიდევ გულდასმითი ექსპერიმენტული, შედარებითი და ისტორიული კვლევა-ძიებაა საჭირო, რაც მომავლის ამოცანას წარმოადგენს, მაგრამ ეხლაც შესაძლებელია ითქვას, რომ ნ. ტრუბეცკო-ს უკანასკნელი დებულება, ვითომც ტ-ს ლატერალ ბგერებთან არავითარი კავშირი არ ჰქონდეს, მცდარია. ეს უცილობლად მტკიცდება შედარებითი გზითაც და ისედაც ცხადია, თუნდაც იმ გარემოებითაც, რომელიც უკვე უხლარს ჰქონდა აღნიშნული, სახელდობრ, რომ ლატერალ ბგერიან ენათა მონათესავე, მაგრამ მარტივ ბგერათა მქონებელ ენებზეა, ანდა დიალექტებში, ლატერალ ბგერას ხწორედ მარტივი ტ ბგერა უდრის (ის. აქვე ზევით).

ქართულ ტრანსკრიფციაში ბგერის ლატერალობის, ანუ გვერდითობის გამოსახატავად *ა* ნიშანია, რომელიც უკვე ცნობილი წესით ერთვის მარტივ თანხმოვანს, ანდა მათ კომპლექსს.

7. დასასრულ, კავკასიის ზოგიერთ ენას * მთრთოლი, ანუ ვიბრანტი თანხმოვნებიც მოეპოვება. პროფ. გ. ახვლედიანს ასეთი სამი მთრთოლი აფხაზური ბგერის ტი, დი და თი-ს ფიზიოლოგიური თვისება შემდეგნაირად აქვს გამორკვეული: „ტი, დი და თი რთული თანხმოვანებია, რომელთაც საფუძვლად უდევს შესაბამისად წინა ენისშიერი ხშულები,—მკვეთრი ტ, შელერი დ, მშვინავი თ, ხოლო გართულება შეაქვს ბაგეთა მოქმედებას, რომელიც სამივესთვის საერთოდ ერთგვარია, სახელდობრ: ამ ხშულთა (ტი, დი, თი) სკდომას სწრაფად მოსდევს ბაგეთა განხშვა სუსტი ვიბრაციით (თრთოლით). აკუსტიკურად შევიგრძნობთ ერთ მთლიან ბგერას, რომელშიც წინაენის სკდომა აღარ ისმის. თუ, ამისდა მიუხედავად ტი, დი, თი ურთიერთისაგან განსხვავებულ აკუსტიკურ ეფექტს იძლევა, ეს დამოკიდებულია მათ პირველ კომპონენტთა (ტი, დი, თი) პეტეროგენობისაგან. ამიტომ ტი-ს შეგვიძლია ვუწოდოთ მკვეთრი მთრთოლი (ვიბრანტი), დი-ს მშლერი მთრთოლი და თი-ს მშვინავი მთრთოლი-ო („მასალები აფხ. ბგერათა ფიზიოლოგიისათვის“. მიმოხილველი I, 197).

როგორც ზემომოყვანილი აღწერილობითგან ჩანს, მთრთოლი აფხაზური ბგერები იმ ქართულ ბგერათა კომპლექსის გამოთქმას მიაგავს, რომელსაც მეურმე თფრჩჱ-ს წამოძახებით კამეჩების გარეკვის დროს ხმარობს ხოლმე.

ე. წ. კავკასიურ ენათა ბგერების თავისებურებათა ზოგადად დახასიათების შემდგომ, მკვლევართა მუშაობის მომავალში გასაადვილებლად და ჩვენს წიგნში მოყვანილი სიტყვების სხვათა ჩანაწერებში ზედმიწევნითი ექვივალენტების სწრაფად გამოცნობისათვის, აქვე ტრანსკრიფციათა შესატყვისობის ტაბულები მომყავს. ამათგან პირველი უსლარის, ზავადსკის, მარჩის, შიფნერის, ლათინური და ზოგჯერ არაბული სისტემის ქართ. შესატყვისობას შეიცავს, მეორეში ლოპატინსკის ტრანსკრიფციის ქართ. შესატყვისობა აღნიშნული, მესამეში ად. დორჩ-ის რუს. ტრანსკრიფციისა და მეოთხეში მისივე გერმანული ტრანსკრიფციის შესატყვისობანია წარმოდგენილი. აი ეს ტაბულებიც.

უსლარის	ხვადსკის	მაროს	მიფნერს	ლათინუ- ლი	არაბული	ქართული
ა	а	а	а	а		ა
ბ	б	В, в	В, в	В, в		ბ
В, в	В, в	უ	უ	უ		ვ
გ	г	გ	გ	გ		გ
ღ	ღ	გ, გ, გ	გ	გ, გ, გ	ღ	ღ
დ	д	დ	დ	д		დ
ე	е	დ°	ფ	д		ე
ე, ე	е	ე	ე	е		ე
ფ	ф	ფ	ფ	ф		ფ
ჯ, ჯე	ж, ჯე	ქ	ჯ	ж		ქ
ჩ	ч	ქ°	ჯ°	ч		ჩ
ჭ	ч	ქ°	ჯ°			ჭ

უსლარის	ზავადსვის	მარრის	შიფნერის	ლათინურ- რი	არაბული	ქ ა რ თ უ ლ ი
3	3	z	z	z		ზ
		z				ზ ₀
h	h	h	h	h	ა.ფ.ჯ	ჰ
h	h	h ₀	h̄	ჟ, ჟ	ჟ, ჟ	ჰ(აბ.), ხხ ₀
h	h			ჟ	ჟ	ჰ(ლუნ.), ჰ ₀ (ლუმ.)
h	h			ჟ	ჟ	ხ ₀
i, l	i, l	l	i	i		ი
j, j	j, j	y	j			ე
k	k	k	k	k ₀	კ	კ, -ქ(ლუნ. და ლუმ.)
k ₀	k ₀	q	k	k		ქ, -კ(ლუნ. და ლუმ.)
		q ₀				კ ₀
		q ₀				ქ ₀
kx				k, k		კ ₀
		k ₀				ქ ₀
კ ₀ (ლუმ.)	კ ₀			k, k ₀ (ლუმ.)	კ, კ ₀	კ ₀ კ

უსლარის	ხავადსკის	მარჩის	შინენერის	ლათინურა	არაბული	ქ ა რ თ უ ლ ი
კ (რ.ოყა)				ჯ	ك	კ
ჩ (რ.ოყა)				q	ق	კა
ღ	ღ	ღ	ღ	ღ	ج	კე
		ღ				კე
მ	მ	მ	მ	მ	م	მა
ნ	ნ	ნ	ნ	ნ	ن	ნა
ო	ო	ო	ო	ო		ნა
პ	პ	ფ	პ	პ		პ, -ფ (ლუმ.)
ჟ	ჩ	ფ	ჟ	ჟ		ფ, -პ (ლუმ.)
ყ	ყ	ჩ	ყ	ყ		ყ
		კ				ყ
		კ				ყ
რ	რ	რ.რ	რ	რ		რა
ე	ე	ს	ს	ს		ს
ფ	ფ	ს	ფ	ს		ს
				ს	س	ს (აბ.), -ს (ლუნ.), -სს ან ს (ლუმ.)

უსლარის	ზავადსკის	მარრის	შიფერის	ლათინურ-რი	არაბული	ქ ა რ თ უ ლ ი
m	m	t	t	ty	ط	ტ, თ (ლუნ. და ლუმ.)
my	my	ფ	წ	t.	ط	თ, ტ (ლუნ. და ლუმ.)
T	T	ფ°	t°	t, tt	ط, ط	ტტ, ტო (ლუმ.)
t	t	ლ	t'			ტო
y	y	u	u	u		უ
		w				ფ
x	x	q	x	x	خ	ხ
		q				ხ:
x	x	q	x	xx	خخ	ქ(აბ.), ხე(ჩაჩ), ხა (ლუნ.), ხხ(ლუმ.)
		q°				ხრ
		q°				ქრ
ა	ა	-				კა, კა (ლუმ.)
ა°	ა	ფ	ე	ა.ა		ე
ა°	ა	ფ°	ე	ა		ე
ა	ა	ფ	ე	აა		ეა (ლუნ.)

მიზანი და მეთოდი

უხლარის	ხავადსკის	მაროს	შიფნურის	ლათინურ- რი	არაბული	ქ ა რ თ უ ლ ი
ჩ	ყ	ძ	ჭ	ც		ჯ
რ	რ	ძ ¹	ყ	ც ¹		ჯ ¹
ჩ	ჩ	ა		ა		ა
ჩ	ჩ			ჩ		ჩ (ჩაჩ. და ლუნ.)

ლოპატინსკის ყაბარდოულს გრამატიკასა და ლექსიკონში ნახმარი რუსული ტრანსკრიფცია უდრის შემდეგ ქართულ ასოებს:

ჰ	=ზი, გამოითქმის როგორც ზ-ჟი („спирант средний между з и ж, сопровождаемый палатализацией“. უ. გ. გვ. 3).	ს	=ც (იქვე, გვ. 6).
ქ	=ყ (იქვე, გვ. 4).	ჟ	=ძ (იქვე).
ღ	=სი, გამოითქმის ს-ში („спирант средний между с и ш, сопровождаемый палатализацией“. იქვე, გვ. 3).	ხ	=კ („заднеязычный согласный, произносимый с весьма заметным придыханием, настолько сильным, что он походит на храпение“, =უსლარის ავარულს ḫ-სათ. იქვე, გვ. 9).
რ	=ლ („звонкий спирант, более средний“. იქვე, გვ. 4).	ყ	=ჯ (იქვე, გვ. 6).
ს	=ლ („обозначался в изданиях трудов Услара через л“. იქვე).	ჩ	=ჭ (იქვე, გვ. 5).
ტ	=ტბლა (იქვე, 5).	ც	=ბი (=ჩ უსლარა იქვე).
		ც	=ც (იქვე, გვ. 1).
		ძ	=წ (იქვე, გვ. 8).

სტრიქონსა და ასოს ქვეით მოქცეული ხაზი ამ თანხმონის სიმკვეთრეს, ხოლო ერთმარცვლოვან სიტყვებში მის გაორმაგებას (იქვე, გვ. 6—7), ' კი თანხმონის სიმავრეს, მკვეთრ გამოთქმასა ჰნიშნავს და=ა (გვ. 7—10).

ადოლფ დირო-ის ტრანსკრიფცია რუსულად გამოქვეყნებულს მის ნაშრომებში დალისტნის ენების შესახებ.

a	ა	Ж	ჟ	К _γ	ქ (იხ. Гр. Удин. яз. გვ. 2).
ä	ა-სა და ა-ს შუალედი ბგერაა.	Ж̄	(თაბას.)-ჟ (ლაბი-ალური, გამოითქმის, როგორც ჟვ).	К̄	ქბ
ä	ა შუალედი ა-სა და ე-ს	У	ჟ	К̄'	ქა
б	ბ	Ф	ფ (გამოითქმის, როგორც ფვ).	К̄	ქ
β	ბ, ბ-ვ-ს შუალედი	В	ვ	К̄'	ქა
в	ვ	З	ძ	Л	ლ
w	ფ	И	ჰ	М	მ
з	ბ	И'	ჰა	Н	ნ
н	ლ	И''	ჰი	Н'	ნე ცხვირში გამოითქმული, ჯუჯლუნა ნ
н̄	ლ	И'''	ჰი	О	ო
д.г.е		І	ი	Ö	ო
e	ე	Ј	ე	Ö'	ო'
é	ე (თაბასარა-ნულში).	К	ძ	п	პ

ჩ	ჰა	ყ	ჯ	ყ	ჩ
ჩ	ჰჰ	ყ	ჭ საშუალო უ-სა და ვ-ს შუა (უღურ. გრ. გვ. 1).	ყ	ჩ (ლაბიალური, ჩა: თაბას. გრ. გვ. 3).
ჩ	ჟ	ყ	ჭ	ყ	ჩ (გამოითქმის ჩ-სა და შ-ს შუალედად: თაბას. გრ. გვ. 3).
ც	ყ	ყ	ჭუ, ან ვუ (თაბას. გრ. გვ. 2).	ყ	ჭ (უღურ. გრ. გვ. 2).
ც	ყა (ანდ. გრ. გვ. 2).	ყ	ჭ	ყ	ჭ
ც	რ	ყ	ხ (უღურ. გრ. გვ. 2).	ყ	ჭ (ნაზი შერბილუ-ბული ხშ: ძაახ: უღ. გრ. გვ. 2).
ც	ს	ყ	ხა (ძალიან ენერგი-ულად, თითქოს ორ-მაგი ხ იყოს).	ყ	ჭ (ლაბიალური შჩ-ს მსგავსი, თაბას. გრ. გვ. 3).
ც	სს (თაბას. გრ. 3).	ყ	ქხა (ასე გამოითქმის: თაბას. გრ. გვ. 2. ანდ. გრ. გვ. 1-2).	ყ	ჭ
ც	სა (ანდ. და აღულ. გრ. გვ. 2).	ყ	ც	ყ	ჭ (არაბული ც-ს მსგავსი, მაგრამ იმაზე რბილია).
მ	ტ	ყ	ც (ილ: გრ. გვ. 3).	ყ	ტხლა
მ	ტა (თაბას. გრ. გვ. 2).	ყ	წ (უღ. გრ. გვ. 2).	ყ	ტულა
მ	თ (უღურ. გრ. გვ. 2).	ყ	ც (გამოითქმის რო-გორც ცხ: თაბას. გრ. გვ. 3).	ყ	ტალა
		ყ		ყ	ჭა (მაგარი ორ-მაგი შშ-ს მსგავსად. თაბას. გრ. გვ. 3).

ად. დირრ-ის მიერ თავის გერმანულს ნაშრომებში ნახმარი ტრანსკრიფციის გასაგებად უნდა გათვალისწინებული იყოს, რომ

1. ბგერის ფშვინვარების აღსანიშნავად მას ასოს ზევით დასმული აქვს ნახმარი (იხ. Einführung გვ. 28).

2. სიმკვეთრის გამოსახატავად აქვს ასოს ზევითვე დასმული მაგრამ უკუღმა შობრუნებული იგივე ' ნიშანი (იქვე, 29), რომელიც, მაშასადამე, ქართულს ა უდრის.

3. ლაბიალობისათვის ასოს ზევითა და გვერდით ^ა ნიშანი ზის (იქვე, 33), რომელიც ქართულს რ ეთანასწორება.

4. გაპალატალება ასოს მარჯვნივ ზევით დასმული ' ნიშნით (იქვე, 33), ე. ი. ქართულს ლ უდრის.

5. გრძელი ტყუბი თანხმოვნები (lange geminierte Konsonanten) ასოს მარცხნივ დასმული : ორწერტილით აღინიშნება (იქვე, 33), რომელიც ქართულს ა ნიშანს უდრის.

6. ბგერის ნაწალიზაცია, ცხვირში გამოთქმულობა, ასოს ზევით დასმული - ნიშნით (იქვე, 36), რაც ქართულად თ-თი აღინიშნება.

7. ლატერალური ბგერის გამოსახატავად ასოს მარჯვნივ ზემოთ დასმული წრე ^ა აქვს ნახმარი (იქვე, 31), რომლისთვისაც ქართულად ა ნიშანია.

ად. დირჩ-ის გერმ. ტრანსკრიფციის ქართ. შეხატუვისობა:

ა ა

ä ä გამოითქმის ა-სა და ა-ს შუა

ä ä გამოითქმის ა-სა და ე-ს შუა

ā ā

β ბ

β ბ გამოითქმის ბ-ვ

ც ც

ც^ა ც^ა

!ც ც^ა (=ცხ-ს: იქვე, 33).

č	ṽ	h	ဒါ
č̣	ḥ	<u>h</u>	ဘါ
:č̣	ḥ _o (= ḥ _o -လ: ဝါဒီ, 33)	ḷ	ဝ
č̣̣	ḷ	ḷ̣	ခ
d	ṛ	ḷ̣̣	န
e	o	K	ဝ
g	ḷ	K ^c	ဒ
g̣	ḷ	:K ^c	ဂ _o (= ḷ _o -လ: ဝါဒီ, 33).
γ	ṛ	K ^o	ဂ _o
h	ḷ	:K ^o	ဂ _o (= ḷ _o -လ: ဝါဒီ, 33).
ḥ	ḷ _o	K	ဂ („ein hintervelarer Affrikat mit starker Aspiration, akust. Effekt etwa kx“: ဝါဒီ, 31).

K° ტხლო (იქვე 30).	q	ყ	t°	ტ°
l ტყლო	3	ზ	u	უ
l° ტკლო	4	რ	v	ვ
m მ	5	ს	w	შ
n ნ	5̇	წ	x	ხ
ö ოს	š	სა („Zwischen S und S: იქვე 31) გამოითქმის ს-შ	z	ზ
o ო	5'	ს'	ž	ჟ
ö ო	t	ტ	ž'	ჟ'
p პ	t°	თ	ž	ჟ, ჟ-ე (იქვე, 31)
p° ფ	t'	ტ'	ž	ჟ (იქვე, 31).
π' პრ	t:	ტტ	š	შრ (? იქვე, 32—33).

დვმეზილის ნიშანთაგან ასოს გვერდით მარჯვნივ ზევით მოთავსებული აბოსტროფი ' =ა-ს.

ასოს ზევითა კიდურის მარჯვნივ მოთავსებული ° პატარა წრე =რ-ს. C ასო ზევით მოთავსებული v ნიშნითურთ C =ჩ-ს და S =შ-ს, ხოლო Z =ჯ-ს.

ასოს ზევით დასმული წერტილი =ა-ს. j გამოჰხატავს ჯ-ს და z კიდევ ჯ-ს.

ტ ა რ ი მ ე ს ა მ ე

ე. წ. კავკასიური ენებისა

და

ქართულ-ქართველურის ეთნოლოგიის

ძირითადი საკითხები

ნაწილი პირველი

გრამატიკული სქეს-კატეგორიების საკითხი კავკასიურ ენებსა და ქართულში

თ ა ვ ი კ ი რ ვ ე ლ ი

გრამატიკული სქეს-კატეგორიები თანამედროვე კავკასიურ ენებში

ე. წ. კავკასიურ ენებს შორის ზოგს, როგორც მაგალითად თუნდაც ქართულს, არავითარი გრამატიკული სქესის გარჩევა და საამისო ნიშნები არ აბადია, ზოგს-კი გრამატიკული სქესის გარჩევა ენის აგებულების ერთ-ერთ ძირითად საფუძვლად აქვს ქცეული. ამიტომ ამ საკითხს უალრესი მნიშვნელობა აქვს და მთელი რიგი შემდეგი მოვლენების გასაგებად აუცილებლად საჭიროა, რომ აღაშინანს გრამატიკული სქესის არსებობისა, თუ უქონლობის, ანდა მისი ბუნებისა და თავისებური თვისებების შესახებ, სრულებით მკაფიო წარმოდგენა ჰქონდეს.

ცნობილია, რომ ქართულს, არც თანამედროვესა და, რამოდენადაც მე-5 ს-ითგან მოყოლებული სანწერლობო ძეგლებითგან ჩანს, არც ძველს, გრამატიკული სქესი არ აბადია. კავკასიის იმ ენებშიც, სადაც გრამატიკული სქესი არის, არსებითს სახელებს მაინც სქეს-კატეგორია გარეგნულად არ ეტყობათ, რათგან ამისათვის მათ არავითარი, არც თავსართისა და არც ბოლოსართის სახით ნიშანი არც აქვთ და არც რამე ეცვლებათ. მათი სქეს-კატეგორია მათთან დაკავშირებულ ზედსართავსა და რიცხვითს სახელებს, ზმნას, მიმდევობასა და მიმდევობითს ზედსართის განსაკუთრებული ნიშნების საშუალებით, ან თავსართისა, ან და ბოლოსართის სახით, დაეტყობა ხოლმე. მაგრამ, როგორც აღნიშნული გვქონდა, გრამ. სქეს-კატეგორიები კავკასიურს ენებსაც ყველას არა აქვს და რომელთაც აბადიათ, მათაც ამ მხრივ ყველას ერთნაირობა არ ემჩნევა, არამედ ბევრ მათგანს განსხვავებული სახით მოეპოება. ამიტომ სქეს-კატეგორიების არსებობა და ვითარება თანამედროვე კავკასიის ენებში ზოგადად მაინც უნდა იქნეს დაზახიათებული.

§ 1. სქეს-კატეგორიები სინლურ ენებში

ჩრდილო-კავკასიის ენათა დასავლური ჯგუფითგან გრამ. სქეს-კატეგორიები მხოლოდ აფხაზურს გააჩნია, ისიც ნაწილობრივ.

აფხაზურმა ერთის მხრით ზმნაში ორი სქესის, მამაკაცისა და დედაკაცის, განჩევა იცის, მეორეს მხრით იქვე და სხვა ნაწილებშიც ყველა არს-

ნი გონიერ და არაგონიერ არსებად იყოფებიან. პირუტყვები და უხულო საგნები ამ არაგონიერ არსთა ჯგუფში არიან მოქცეულნი.

გონიერ და არაგონიერ არსებად დაყოფვა სხვა ენებში მიღებულს სქესის განჩევას არ უდგება და ამის გამო აქ უფრო ცნებათა კატეგორიის განჩევაზე შეიძლება იყოს საუბარი.

უკვე უსლარმა აღნიშნა, რომ თანამედროვე აბხაზურს არც არსებითსა და არც შედსართავ სახელებში მამრობითი და მდედრობითი გრამ. სქესის გამოსახატავად არავითარი ნიშნები არ აბაღიაო (აბხ. ე. § 8 და 68). ამის მაგიერ აღამიანთა და ცხოველების მამრ. და მდედრ. სქესის აღსანიშნავად აბხაზური მამალ-დედლობის მაუწყებელ სიტყვებს ურთავს ხოლმე.

მაგ. ცხოველთა მამრ. სქესის გამოსახატავად ა—აბ იხმარება, რომელიც მამასა ჰნიშნავს, და მამრისავე გამომხატველი აბაღა, ან და, სამივე იმ სიტყვის ბოლოს ისმის ხოლმე, რომლის მამრობითობის აღმნიშვნელიც უნდა იყოს. მაგ. თხა აბბ, მამალი თხა აბაღა, ცხვარი ათგ, ვერძი, მამ. ცხვარი, ათგღა, — მამ. კურდღელი აჟაბაღა (აბხ. ე. § 68).

ფრინველთა მამლობის აღსანიშნავად აარბაღა-ი მიღებული (აბხ. ე. § 68 და დონდუა რ.—აბხ. ლ. 56).

ცხოველთა დედლობის გამოსახატავად აბხაზურში ორი სიტყვა იხმარება: ან, რომელიც დედასა ნიშნავს, და ფს, რომელიც აგრეთვე სიტყვის ბოლოს ერთვის ხოლმე. მაგ. ძალი ალა, ძუკნა ძალი ალაფს, კურდღელი აჟა, დედ. კურდღელი აჟაფს, — ვირი აჩადა, ქაკი ვირი—აჩადაფს (აბხ. ე. § 68).

შინაური პირუტყვის ნერბობის გამოსახატავად აჩაშა, ფრინველის დედლობისათვის-კი არცნა-ს ხმარობენ, რომელნიც აგრეთვე ბოლოს ერთვიან ხოლმე (დონდ. რ.—აბხ. ლ. 56). მაგ. თუ ზოგადად ქათამს აბხაზურად აკუტგ ჰქვიან, მამალს ეწოდება აკუტარბაღა, დედალს-კი აკუტარცნა (აბხ. ე. § 68).

ზემომოყვანილითგან ჩანს, რომ აბხაზურს ამნაირ შემთხვევაში, გრამატიკული სქესის მაგიერ, მამრობისა და მდედრობის აღმნიშვნელი სიტყვები აქვს გამოყენებული.

გრამ. სქეს-კატეგორიის მსგავსი მოვლენა აბხაზურს მხოლოდ ზოგიერთი პირის ნაცვალსახელებში უჩანს. მხ. და მრ. რიცხვების პირველი პირის ნაცვალსახელი ორივე სქესისა და ორივე, გონიერ და არაგონიერ, არსებათა კატეგორიისათვის საერთოა. ასევე მხოლოდ ერთი ფორმა არსებობს მრ. რიცხვის მეორე და მესამე პირების ნაცვალსახელებისათვის.

სამაგიეროდ მხ. რიცხვის მეორე და მესამე პირის ნაცვალსახელები სხვადასხვაა სქესისა და კატეგორიისდა მიხედვით. მაგ.— როდესაც შინ მამაკაცს გულისხმობს, აბხაზურად ჟარა იხმარება, ხოლო როცა დედაკაცს, მაშინ — ბარა. აქ ამ ორი სქესის განმასხვავებელი მხოლოდ თავკიდური უ და ბ ბგერებია, რომელთაგან პირველი მამრობითობის გამომხატველი გამოდის, ბ-კი მდედრობითობისა.

მხ. რიცხვის მესამე პირის ნაცვალსახელი ის არის ორივე სქესისა და კატეგორიისათვის: საერთოდ ურ და განსხვავებულიც. თუ ის ქალსა გულისხმობს, მაშინ ლარა-ხაც ხმარობენ (აბხ. ე. § 6). ამ ნაცვალსახელის მეორე პი-

რის ნაცვალსახელ უარს და ბარს-სთან შედარება ცხადყოფს, რომ ერთად-ერთი მათი განმასხვავებელი ბგერა აქაც თავკიდური ლ არის, რომელიც ამ შემთხვევაში მდებარ. სქესის აღმნიშვნელი გამოდის.

მაგრამ უნდა ითქვას, რომ თანამედროვე აბხაზურში უ. ბ და ლ ბგერებს ხხვან არსად ასეთი, სქესის გამომხატველი, მნიშვნელობა არა აქვს.

ზემოაღნიშნულს გარდა, აბხაზური ცნებათა ორ კატეგორიასაც არჩევს: ყოველივე არსი, ან გონიერ, ანდა არაგონიერად ითვლება. ამ ორი კატეგორიის განჩევსა რიცხვითს სახელებში გარეგნულადაც გამოიხატება. როდესაც ამბობენ ერთი-ო, თუ აღამიანი იგულისხმება, მაშინ უნდა ითქვას აძუ, ხოლო თუ პირუტყვია, ანდა საგანი, მაშინ აკჯ (აბხ. ე. § 90).

ამგვარადვე ორი, თუ არაგონიერისათვისაა, ჳბა იქმნება, ორი გონიერი-კი ჳჯუა. სამიც, თუ არაგონიერს ჳგულისხმობს ხფა არის, თუ გონიერს — ხჯუ (იქვე).

დანარჩენ, არაგონიერთა აღმნიშვნელ, რიცხვითს სახელებს თერთმეტამდის ყველას ბოლოში ბა მარცვალი უზის, მაგ.: 4—ფშაბა, 5—ხუბა, 6—ჟბა, 7—ბუბა, 8—ააბა, 9—ჟუბა და 10—ჟუაბა.

გონიერ არსებათა აღმნიშვნელ რიცხვითს სახელებს 4—10-მდე ბოლოკიდურ მარცვლად, ბა-ს მაგიერ, ჳგ მარცვალი აქვს, მაგ.: 4—ფშაჳგ, 5—ხუჳგ, 6—ჟბჳგ, 7—ბუჳგ, და სხვაც ამნაირადვე (აბხ. ე. § 90).

გონიერ არსებათა აღნიშვნა აბხაზურმა ჳშნაშიც იცის, სახელდობრ მესამე პირის ფორმაში დუ ელემენტის საშუალებით, რომელიც თავსართის სახით იხმარება. მაგ. რომ კარგი ა-ბზის ავილოთ და ვთქვათ: „ის (მამაკაცი) კარგი არის“, აბხაზურად იქმნება ურ დგბზროუმ, ანდა „ის (დედაკაცი) კარგი არის“ ლარა დგბზროუმ, — ხოლო როდესაც „ის (არაგონიერი) არსება ან საგანი“ კარგი არის“, ითქმის ურ ბზროუმ (აბხ. ე. § 10).

დუ თავსართი ორსავე შემომოყვანილ შემთხვევაში გონიერი არსების კატეგორიის გ-მომხატველი ნაწილაკია. მაგრამ ჳშნის არც ერთი სხვა პირისათვის, მესამის გარდა, არც ეს დუ თავსართი, არც სხვა რაიმე ნიშანი გონიერ არსებათა გამოსახატადად არ გვხვდება (იქვე).

ზემომოყვანილი მიმოხილვა დაარწმუნებს აღამიანს, რომ აბხაზურს გრამატიკული სქესის მხოლოდ ოდნავი კვალი-ღა ემჩნევა.

უბიხურ ენას, როგორც პ. უსლარს აქვს აღნიშნული, სქეს-კატეგორიის განსხვავება და ნიშნები არ მოეპოება. ეს მის მიერ ჩაწერილი მაგალითებით-ვან მართლაც ნათლად ჩანს.

ჩემი ძმის ცოლი	სულრე, ან სელუა სეჯიტლან გგაბხუშ.
ჩემი ძმის ცხენი	სულრე სეჯიტლან გგაჩჩე.
ჩემი ცოლის ძმა	სულრე სეპხეშაუნ გგაჯიტლა.
ჩემი დის ცხენი	სულრე სეჯეპხან გგაჩჩე.
შენი მამის ცხენი	ვულრე ვუფაუნ გგაჩჩე.
მისი მამის ცხენი	ინენ გგაფაუნ გგაჩჩე.
მისი დედის ცხენი	ინენ გგანენ გგაჩჩე.
ჩვენი ძმების ცხენი	შიდრე შიჯიტლანა აგგეჩჩე.
ჩვენი დების ქმრები	შიდრე შიოფეგეპხენა აგგოუკობუა (უბინ).

ენა. გვ. 87—88).

ყველა მაგალითებში კუთვნილებითი ნაცვალსახელოვანი თავსართები ს, ვ, გ და შ სქესისდა მიუხედავად უცვლელი რჩება. მაშასადამე, სქეს-კატეგორიების უქონლობით უბიბური მის მოძმე აბხაზურისაგან, რომელსაც სქეს-კატეგორიები, ნაწილობრივ ზაინც, აბადია, თვალსაჩინოდ განსხვავდება.

ადილურმა, ანუ ჩერქეზულმა ენამაც სქესის განჩევა არ იცის (Людвиг, Словарь русско-черкесский с краткою грамматикою. Одесса. 1846 წ. გვ. 4). სქესის აღსანიშნავად ამის მაგიერ მამლობისა და დედლობის სიტყვები ერთვის ხოლმე. სახელდობრ მამრის გამოსახატავად ხუო, ანდა ხუ არის განკუთვნილი (რ.—ჩერქ. ლ. 185), მდედრისათვის ბზე (იქვე 105 და 152—3). მაგ.: ძალღს ჩერქეზულად ხა ეწოდება, ძუკნა ძალღს-კი ხაბზე (იქვე, 105), — ზროხას — ტცვ ჰქვიან, მენჩრეს-კი ცვახუო (იქვე, 25), ღორს კხო-ს ეძახიან (იქვე, 85), მამალ ღორს და ტახს-კი — კხოხო-ს (იქვე, 9).

ვაბარდოულსაც გრამატიკული სქესი არ აბადია და არც საამისო ნიშნები მოეპოვება. დედლისა, თუ მდედრობითი სქესის გამოსახატავად ხუფიქსი აბზ და ყბზ იხმარება, მაგ. მგელი — დუღუზ, დედალი მგელი — დუღუზყბზ, ქურდი — დჳლ, ქურდი დედაკაცი — დჳლურაბზ (ყაბ. გრ. გვ. 40).

§ 2. გრამატ. სქეს-კატეგორიები ლილღურში

ჩაჩნურს გრამატიკული სქეს-კატეგორიები მოეპოვება, მეტად უხედაც-კი. ეს გარემოება პირველად აქაც ჯერ შიფნერმა, ხოლო შემდეგ უკვე ვრცლად უსლარმა აღნიშნეს, ისევე როგორც ამ მოვლენის თავისებურებაც, სახელდობრ, რომ გრამ. სქესის ნიშნები თავსართის სახით აქვს.

ჩაჩნურში ვ მამრობითი სქესის თავსართია, ა კიდეც მდედრობითისა. მხოლოდ ეს ორი ბგერა სცვლის ხოლმე ფუძის მნიშვნელობას და სიტყვას, ან მამრობითად, ანდა მდედრობითად ჰხდის, მაგ. ვაშა ჰნიშნავს ძმას, აიშა, რომელიც უეჭველია პირველადი „აიშა“ და „აეშა“-საგან უნდა იყოს წარმომდგარი, დას ჰნიშნავს.

უხლანდელი აიშა-ს ფორმა რომ აიშა-საგან არის მართლაც წარმომდგარი. ამას წოფურიც ამტკიცებს, სადაც გვლდენ შტედტისა და კლაპროტის თანხმობრივი მოწმობით დას აიშო (Iascho, Iascho) ეწოდებოდა (Reise II 506 და Voyage II, 372).

ამგვარადვე ძეს ეწოდებოდა ვუოგ, აუოგ-კი ახულს¹,

¹ გვლდენ შტედტისა და კლაპროტის ჩაჩნურ და ქისტურ სახელად ჩაწერილი აქვთ უა („Ias“ „Iosa“), ხოლო წოფურად უოგ, ახულის ჩაჩნურ და წოფურ სახელად ამავე ავტორებს აოჰე („Iashe“) აქვთ აღნიშნული, რომელშიც „ჰ“ შესაძლებელია და საუბრებელიც, რომ ვ ბგერასაც გამოჰხატავდეს და აოგ იგულისხმებოდეს. ქისტურად-კი გვლდენ შტედტს აუგოკ „Iugik“, ხოლო კლაპროტს აულიკ „youshik“-ი აქვთ დასახელებული. (R. II, 506 და V. II, 362). შიფნერსაც ახულის სახელად აოგ სიხ აქვს მოყვანილი, რომლის ძირად ააგ მიანიხია (Thusch. 152.) ამავე სახელისაგან ნაწარმოებია ქალწულუბა ააგლობ (იქვე). ხოლო ვაუიშვილს უოგ-ს ეძახიან. მის ძირადაც იგივე მკვლევარი ტაგ-ს სთვლიდა. აქეთ-გან ნაწარმოები ყოფილა ტაგლობ (იქვე, 157).

უკვე უსლარმა შეამჩნია, რომ თავკიდური ვ და ჰ ბგერები ზემოშოყვანულ ოთხ სიტყვაში ძირეული არ უნდა იყოს. ვაშა-ს მნიშვნელობის განმარტებაში ნათქვამი აქვს: „ამ სიტყვაში ვ მოძრავია, რაც დის სახელ ჰიშა-თიც ირკვევა“ (ჩაჩ. უ. 164). სხვა ადგილას-კი ახრი უფრო მკაფიოდ აქვს გამოთქმული: დის აღმნიშვნელ სიტყვა ჰიშა-ში „ჰ ალბათ მდებრობით სქესს პნიშნავს“ (იქვე, 183).

ასევე მსჯელობდა უსლარი ძიხა, ვუოგ-ისა, და ასულის, აუოგ-ის, მნიშვნელობის განმარტების დროსაც (იხ. იქვე, 165 და 183).

ამაზე შორს უსლარს თავისი გონებამახვილი დაკვირება არ წაუყვანია. პირიქით, მას თავის ჩაჩნურ გრამატიკაში გრამატიკული სქესისა და კატეგორიების გარკვევის იმედი თითქმის დაჰკარგვია. მას აღნიშნული აქვს, რომ ჩაჩნურს ექვსი სქეს კატეგორია გააჩნია: პირველი გონიერ არსებათა მამრობითი, ხოლო მეორე მდებრობითი სქესებია.

1. მამრობითი სქესის აღსანიშნავად მეშველ ზმნის ფორმად მხოლობითი რიცხვის სამივე პირისათვის ერთი-და-იგივე ვუ იხმარება, ხოლო 2. მდებრობითისათვის ამნაირადვე მართო აუ მრავლობითს რიცხვში ორივე სქესისათვის ერთი-და-იგივე ფორმაა დუ (იქვე, 9—10 და 70).

მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე კატეგორიის სიტყვები ხულდგმულთა, უსულთა საგნებისა და განყენებულ ცნებათა გამომხატველებია. ამათგან განყენებულ ცნებათა სახელებთან, რომელთაც ლა დაბოლოება აქვთ, იგივე მეშველ ზმნად მიჩნეული აუ იხმარება, რომელიც მდებრობითი სქესისათვის არის განკუთვნილი (იქვე, გვ. 11—12).

შავ. „მამა არის“ დნ ვუ, დედა არის—ნნა აუ, მთიელი არის—ლნმარუო ვუ. ქვრივი ქალი არის—ჯნერუო აუ და სხვ (იხ. იქვე § 9—10).

სქესის განჩნევა დაცულია მხოლოდ გონიერ არსებათათვის, პირუტყვებისათვის ეს სავალდებულო არ არის (იქვე, § 12).

მე-3 და 4 კატეგორიათა ნიშნებად იხმარება „დ“ და „ბ“ რომელთა დანიშნულების გამორკვევა ისევე, როგორც მე-5 და 6 კატეგორიებისა, ძნელია (იხ. § 11—14).

რიცხვითს სახელებს, ოთხის გარდა, სქეს-კატეგორიები ჩაჩნურში დაკარგული აქვთ (იქვე, § 44).

თავსართოვანი სქეს-კატეგორიების არსებობა პირველად, როგორც უკვე ვიცით, აკად. ა. შიფნერმა აღნიშნა თავის 1856 წ. ნაშრომში Versuch über die Thusch-Sprache oder die Khistinische Mundart in Thuschetien „თუშურის ენის, ანუ თუშეთის ქრისტიანი კილოკავის (შესწავლის) ცდა“, რომელიც რუს. სამეცნ. აკადემიის „მეშუარებში“ დაბეჭდა. (Mémoires de l'Académie Impér. des sciences de St. Pétersbourg, VI série. Sc. politiques etc. t. IX).

შიფნერის ცნობით წოფურს, რომელსაც ის თუშურს უწოდებს, ოთხი სქეს-კატეგორია აბაღია: პირველს ადამიანთა და საერთოდ მამრ. სქესი შეადგენს, რომელსაც ნიშნად ვ თავსართი აქვს. — მეორეს — მდებრობითი სქესი, რომელსაც ჰ თავსართი აქვს, — მესამე სქეს-კატეგორიას ცხოველთა და მცენარეთა სახელები ეკუთვნის, რომელთაც თავსართად ბ ერთვის, — ხოლო,

მეოთხე სქეს-კატეგორიად უმასაკოთა და უსქესოთა სახელები ითვლება, რომელთაც და თავსართი აქვთ მრავლობითის რიცხვში, ხოლო 1 სქესისათვის ბა თავსართი, მე-2-ისათვის და და აა, მე-3-ისათვის და, ბა და აა, მე-4 სქეს-კატეგორიისათვის-კი მრავლობითში იგივე და იხმარება, რომელიც მსოფლიობითშია (იქვე, § 81—86). დირრი ჩაჩნურში 8 სქეს-კატეგორიისაც-კი სთვლის, სქეს-კატეგორიის თავსართები ზედსართავსა და ზმნის ფორმებს აქვს ხოლმე, არსებითს სახელს კი რომ ჰქონდეს, მეტად იშვიათი შემთხვევაა. მაგ. „ძმა არის“ ვაშო ვა, „ქალი არის“ ბსტუინო აა (იქვე, § 81), „ძმები არიან“ ვაშარ ბა, „ქალები არიან“ ბსტეი და (იქვე).

„მტრედი არის“ ვაუვ ბა, „მტრედები არიან“ ვავაირე და, „ხარი არის“ ბსტუ ბა, „ხარები არიან“ ბსტარე და, „გზა არის“ ნიუ ბა, „გზები არის“ ნაუიშ ბა, „ბაშვი არის“ ბადერ და, „ბაშვები არიან“ ბადრი და, „მბო არის“ ასე და, „მბორები არიან“ ასი და (იქვე, § 81).

§ 3. გრამატიკული სქეს-კატეგორიები ლეგურ თანამედროვე ენებში

I. ენათბ დასავლური ჯგუფი

დალისტნის ლეგურ ენათა უმეტესობას გრამ. სქეს-კატეგორიები აბადია, მაგრამ ამ სფეროში აქ დიდი სხვადასხვაობაც არსებობს.

ლუნძურს სამი სქესი აქვს: 1) მამრობითი, 2) მდედრობითი და 3) საერთო, რომელსაც არაგონიერი არსებანი, უსულს საგნები და განუცნებული ცნებანი მიეკუთვნებიან. მამრობით-მდედრობითი სქესის განჩევა პირუტყვებს არ ეხებათ.

მამრობითი სქესის გამომხატველ ნიშნად ვ ან უ არის, ხოლო მდედრობითი სქესისათვის—ა და საერთოსთვის ბ.

მრავლობითის რიცხვში სქეს-კატეგორიის განჩევა ქრება და ხაშივეს საერთო რ ნიშანი აქვს.

მაგ. ვაც ძმა, ააც და, ხოლო ცხოველთა და-ძმაზე ამბობენ ბაც.

მ'შიერი (მამაკაცი) ვაყარაუ, შ'შიერი (დედაკაცი)—აყარაუ, მ'შიერი (ცხოველი)—ბაყარაბ.

ის (მამაკაცი) დოუ, ის (დედაკაცი) დოა, ის (საგანი და პირუტყვი)—დობ.

ზემომოყვანილი მაგალითებიდან ცხადი შეიქმნებოდა, რომ ძმისა და დის სახელს ისევე, როგორც ზედსართავს მ'შიერ-ს, სქესის ნიშნები ვ, ა და ბ თავსართის სახით აქვთ, პირიქით ჩვენებითს „ის“ ნაცვალსახელში სქესის უ, ა და ბ ნიშნები ბოლოსართებად გვევლინება და ამნაირადვე „ის“ (მამაკაცი) იქნება აუ, „ის“ (დედაკ.) — აა და „ის“ (ბაშვი) — აბ. მაგრამ ხშირად სქესი აღუნიშვნელია (იქვე § 25—28).

ანდი-დიდოურ ენათბ ჯგუფს საერთოდ სამი სქეს-კატეგორია აქვს, ანდიურსა, ახვაბურსა, დიდოურსა და ქაფურურს გარდა, რომელთაც ოთხი სქეს-კატეგორია გააჩნიათ.

სამ სქეს-კატეგორიან ენებს პირველი კატეგორიისათვის ჟ, ან ვ, ანდა უ აქვთ, მეორისათვის ჰ, მესამისათვის ბ, ხოლო მრავლობითს რიცხვში ყველა სქეს-კატეგორიისათვის საერთოდ რ იხმარება, რომელიც ზოგჯერ ლ-დ იქცევა ხოლმე.

ოთხ-სქეს კატეგორიან ენებს იგივე ნიშნები აქვთ, იმ განსხვავებით, რომ მეოთხე სქეს-კატეგორიისათვის მზ. რ-შიც და მრ. რ.-შიც ნიშნად რ, ან ლ იხმარება.

ზედსართავსა და რიცხვითს სახელებში სქეს-კატეგორიები ჩვეულებრივ ბოლოსართების სახით იხმარება, ზმნაში-კი თავსართების სახით არის წარმოდგენილი.

აღსანიშნავია, რომ სქეს-კატეგორიები ზედსართავსა, რიცხვითს სახელებში და ზმნებშია მიღებული, მაგრამ ზედსართავ სახელებსა და ზმნებს ყველას კი არა აქვთ, არამედ ზოგსა აქვთ, ზოგს კი არა.

დიდოურსა, ხვარშულსა და ბეუიტლურ-ქაფუჩურში რიცხვითს სახელებში სქეს-კატეგორიის გარჩევა არ არის და მხოლოდ ერთი ფორმა არსებობს (იხ. Mat. для изуч. языков и наречий андо-дидойской группы. გვ. IV 1, 2, 5, 6, 12, 13, 15, 16, 22, 23, 25, 26, 33, 34, 36, 37, 42, 43, 46, 47, 52, 53, 54, 56, 57, 59, 61, 63, 65, 66, 68, 70, 79, 80).

ბეუიტლურ-ქაფუჩურში ზედსართავ სახელს სქეს-კატეგორიის ნიშნები თავსართების სახით აქვს წარმოდგენილი, მაგალითად:

მზ. რ.

- დიდი: 1. სქეს-კატეგორიის— უყო.
 2. " " აუყო.
 3. " " აუყო.
 4. " " ბუყო.

მრ. რ.

1. და 2 სქეს კატ. ბუყა.
 3. და 4 " " აუყა (Mat. андо-дид. гр. 80).

ხოლო ანდი-დიდოურ ენათა ჯგუფის ბაგულაზურში სქეს-კატეგორიის ორ-მავი ნიშანი, თავსართებისაცა და ბოლოსართების სახითაც, იხმარება, მაგ. ძველი:

1. სქეს-კატეგორიის— ვაჰარუ.
 2. " " — ააჰარა.
 3. " " — ბაჰარუბ.

მრ. რ. პირველი და მეორე სქეს-კატეგორიისა— ბაჰარუბ, მესამე სქეს-კატეგორიისა რაჰარურ (Mat. андо-дид. гр. გვ. 44).

II. დადინტისი უმთავურისა და ჩრდილო-დასავლეთი ნაწილის ენათა ჯგუფი

ლუშუქურში 4 სქეს-კატეგორია არსებობს.

1. პირველ სქეს-კატეგორიას მამრობითი სქესის გონიერ არსებათა სახელები ეკუთვნის და ნიშნად მხოლოდობითს რიცხვში ვ იხმარება, მრავლობითს რიცხვში-კი ბ, -ა, ი და უ-ზმოვან-თავკიდურთან სიტყვებს მამრობითი

სქესის თავსართი არ ერთვის ხოლმე. მაგ. მართოქელ ადამიანი აქნსა ადამინა, ადამიანი არის - ადამინა ური, კაცები არიან - რანთალ ბური¹.

ზოგს ზედსართავ უკუქცევითს ნაცვალსახელებსა და რიცხვითს სახელებს მხოლოობითი რიცხვის მამრობითი სქეს-კატეგორია ვ, ვა ბოლოს რთით გამოეხატება ხოლმე, რომელიც ზედსართავ სახელებს ფუძეს შემდგომ და დაბოლოების წინ ერთვის². მაგ. მე თითონ, თუ მამაკაცი ამბობს, იქმნება ნავავა, თუ მდედრ. სქესის არსება, ნარარა, თუ მესამე სქეს-კატეგორიისა ნაბაბა. ამნაირადვე გუშინდელი მამრ. სქ. იქმნება ლახხუფასაა, მდედ. სქ. ლახხურასაა, მესამე სქეს-კატ. ლახხუბასაა.

2. მეორე სქეს-კატეგორიას მდედრობითი სქესის გონიერ არსებათა სახელები ეკუთვნიან და მხოლოობითს რიცხვში ნიშნად დ, ან რ, ხოლო მრავლობითს რიცხვში ბ აქვთ. მაგ.: დედა არის - ნინუ დური, დედები არიან - ნინუეკლუ ბური, დედაკაცი არის - შშარსაა დური³.

აღსანიშნავია, რომ უშასაკოთა და გაუთხოვარი ქალის და გათხოვილისაც შვილიერებამდე, აგრეთვე ცხოველთა სქესს, ლუმუქური არ არჩევს. მაგ. ქალწული - დუშ, დაა - ხაუ, ახალ-ფვარდაწერილი რძალი - წიქური, ბაშვი, ნორჩი - ზრქ არც მდედრობითსა და უკანასკნელი არც მამრობით სქესს არ ეკუთვნიან, არამედ მესამე და მეოთხე სქეს-კატეგორიებს, რომლებშიც პირუტყვები, უსულო საგნები და განყენებულ ცნებათა სახელებია მოქცეული (ლუმუქურ. გვ. 10-12).

მესამე სქეს-კატეგორიას ნიშნად მხოლოობითსა და მრავლობით რიცხვში ბ აქვს, მაგ. ცხენი არის ჩუ ბური, ცხენები არის დური ბური (დუმუქ. ე. 9).

მეოთხე სქეს-კატეგორიაში-კი ორივე რიცხვისათვის ნიშნად დ არის, მაგ. თმა არის - ქარა დური; თმებია - ქარნადუ დური (იქვე).

უსლარის სიტყვით ლუმუქური ენის ხათანადო შეუხწავლენობა ჯერ საშუალებას არ გვაძლევს გამოვარკვიოთ, თუ რა პრინციპზეა მესამე

¹ ნამყო სრულში და მისგან ნაწარმოებ ფორმებს მამრობითი სქეს-კატეგორიის ნიშანი უწინდებულთან ზმნებში წინდებულის შემდგომი ზმნის ძირის წინ იხმის. უსლარის სიტყვით ეს ზმნის ძირის ბოლოკიდური თანხმოვნის წინ იხმის. ამის დასაბუთებლად მაგალითებად მას მოყვანილი აქვს: ადამიანი იყო - ადამინა იუკრი (იკან - ყოუნა, იური იქ არისო) ადამიანი გაიქცა - ადამინა ლიუკრი (- ლიკან, - ლიკ), მაგრამ გამონაკლისიც არიან (დუმუქ. ე. 12-13). ამ ფორმებსა და საკუთხს მათი აგებულების გამოსარკვევად ჯერ განსაკუთრებული შესწავლა სჭირდებათ.

² დ და ნს შემდგომ იმგვარადვე, როგორც განკლედობის ბრუნვათა ფორმებში, ეს ვ ქრება, მაგ. მე თვითონ - ნავა, ერთი - ცავა, გუშინდელი - ლახხუფასაა (- გუშინ - ლახხუ) ტტულვა-ს მაგიერ ტტულა, ტტუნვა-ს მაგიერ - ტტუნა და სხვა (გვ. 13).

³ იმგვარივე, როგორც მამრობითი სქეს-კატეგორიაში, ჯერ გამთურაველი წარმოება აქვს დ ნივთ დროსა და მისგან წარმომდგარ ფორმებს მდედრობითს სქეს-კატეგორიანებასაც. უსლარისა აქვს აღნიშნული, რომ ნამყო სრულსა და მისგან ნაწარმოებს მდედრობითი სქესის ფორმებში, თუ ზმნა ხმოვნით იწყება, თავში დ ერთვის, ხოლო ზმნის ძირის ხმოვნის შემდგომი თანხმოვნის წინ რ დასინის ხოლმე, მაგ. დედაკაცი იყო - შშარსაა დირკრი, - დედაკაცი გაიქცა შშარსაა ლირკრი. მაგრამ იმავე მკვლევარის სიტყვით გამონაკლისებიც ყოფილა (დუმუქ. გვ. 13). ყველა ამ ფორმებს ჯერ კიდევ სათანადო ანალიზს სჭირდება.

ან მეოთხე სქეს-კატეგორიისათვის ამა თუ იმ სიტყვის მიკუთვნილება, და ამ უკვე მხოლოდ პრაქტიკულ მოსაზრებათა გამოთქმა შეიძლება: ყველა პირუტყვა სახელები, სქესისდა მიუხედავად, მესამე სქეს-კატეგორიას ეკუთვნის (ლუმუქ. ე. გვ. 10). ხილული, ბუნებრივი საგნების სახელების მომეტებული ნაწილი მესამე სქეს-კატეგორიასვე ეკუთვნიან, მაგრამ ზოგიერთი სიტყვა მეოთხე სქეს-კატეგორიაშია მოქცეული.

აღამიანისა და პირუტყვა სახელების ნაწილებისა, აგრეთვე მცენარეებისა და აღამიანის ნამუშავრის სახელები ზოგი მესამეს, ზოგი-კი მეოთხე სქეს-კატეგორიას ეკუთვნიან.

მეოთხე სქეს-კატეგორიას ეკუთვნიან ყველა განუყვანებულ ცნებათა სახელები, რომელთაც ბოლოხართად აბუ აქვთ, იმგვარადვე, როგორც დროის აღმნიშვნელი ტერმინები და ნივთიერებათა სახელების დიდი უმრავლესობა (ლუმუქ. ე. გვ. 10—12).

არქულ ენაში 4 სქეს-კატეგორიაა.

1. პირველ სქეს-კატეგორიას ეკუთვნის მამრობითი სქესის ყველა გონიერ და სქესობრივად სრულშახაკოვან არსებათა სახელები, ნიშნად მას უ ან უ აქვს, მაგ. მამა არის—აბტუ ანდა უმა უთ, ჩემი მამა უთს აბტუ, დიდი (მდიდარი) კაცი—დოზუუ ბუშორ, მოხუცებული კაცი—ხალატუუ ბუშორ და სხვა.

2. მეორე სქეს-კატეგორიას ეკუთვნიან მდედრობითი სქესის გონიერ, სქესობრივად სრულშახაკოვან არსებათა სახელები და მის ნიშნად თავსართის სახით დ იხმარება, ხოლო ბოლოხართის სახით რ, მაგ. დედა არის—ეატურ დი, ჩემი დედა დის ეატურ, დიდი (მდიდარი) დედა—კაცი—დოზურ ტხლონოლ, ახალგაზრდა დედა—კაცი—ჯაჰილლურ ტხლონოლ და სხვა.

3. მესამე სქეს-კატეგორიას ყველა სრულშახაკოვან ცხოველთა სახელები ეკუთვნიან სქესისდა მიუხედავად და ბევრი საგნების სახელებიც. ამ სქეს-კატეგორიის ნიშნად თავსართისა და ბოლოხართის სახით ბ იხმარება, მაგ. ცხენი არის—ნოშ ბი, დიდი ცხენი—დოზუბ ნოშ, ბებერი ცხენი—ხალატუბ ნოშ და სხვა.

4. მეოთხე სქეს-კატეგორიას გონიერ და არაგონიერ ყველა სქესობრივად სრულშახაკიან არსებათა და ყველა იმ ნივთებისა, თუ საგნების სახელები შეადგენენ, რომელნიც სხვა სქეს-კატეგორიებს არ ეკუთვნიან.

მეოთხე სქეს-კატეგორიის ნიშნად თ იხმარება, მაგრამ მხოლოდ ბოლოხართის სახით, თავსართად არავიოარი ნიშანი არ არსებობს, მაგ. ყმაწვილი არის—ლო ი, დიდი ხბო—დოზუთ ბიშ, პატარა კვიცი—ტაიტუთ ურთი და სხვა.

ა. დირრსაც, 3. უსლარსაც, აღნიშნული აქვს, რომ გაუგებარია, თუ რა პრინციპზეა დამყარებული ამა-თუ-იმ სახელის მესამე, თუ მეოთხე სქეს-კატეგორიისათვის მიკუთვნება (არქული ენა, გვ. 3—4).

მრავლობითს რიცხვში ყველა სქეს-კატეგორიისათვის ერთი ბ ნიშანი არსებობს (იქვე).

სქეს-კატეგორიების ნიშნების ხმარება არქულში ძალიან არის გაფრთხილებული და დიქციის ყველა სახაუბრო ნაწილებშია მიღებული, მაგ. ზედსართავსა და რიცხვითს სახელებში, ნაცვალსახელებში, ზმნაში და მიმღობაში. ეს ნიშ-

ნები ორნაირი სახით გვევლინება: ან თავსართებისა, ანდა ბოლოსართების სახით. ისეთი შემთხვევებიც არის ხოლმე, როდესაც ერთსა-და-იმავე სიტყვას, ერთსა-და-იმავე დროს სქეს-კატეგორიის ერთი-და-იგივე ნიშანი თავსართისა და ბოლოსართის სახითაც აქვს (არქული ენა გვ. 23).

მაგ. ზოგ ზედსართავ სახელს სქეს-კატეგორიის ორმაგი ნიშნები თავსართისა და ბოლოსართის სახით, მე-4 სქეს-კატ. გარდა, რომელსაც მართო ბოლოსართი მოეპოვება, ერთსა-და-იმავე სიტყვაში, ერთსა-და-იმავე დროს ასე აქვთ ხოლმე:

		მს. რ.	მრ. რ.
მძიმე:	1 სქეს-კატ.	ჭილდუჭი	} ბილდიბ
	2 "	დილდურ	
	3 -	ბილდუბ	} ილდიბ
	4 "	ილდუთ	
ბევრი	1 "	ჭაბტუჭი	} ბაბტიბ
მრავალი:	2 "	დაბტურ	
	3 "	ბაბტუბ	} აბტიბ
	4 "	აბტუთ	
ტკბილი	1 "	ჭიზდუჭი	} ბიზდიბ
სასიამოვნო:	2 "	დიზდურ	
	3 "	ბიზდუბ	} იზდიბ
	4 "	იზდუთ	

ა. დირჩს სწორედ აქვს აღნიშნული, რომ ბოლოსართიან სქეს-კატეგორიის მქონებელ ზედსართავ სახელებს მრ. რიცხვში ყველა სქეს-კატეგორიისათვის მხოლოდ ერთი ფორმა აქვთ. მაგრამ ორმაგი სქეს-კატეგორიის ნიშნე-

¹ ა. დირჩი, რომლის ნაშრომითგანაც ეს მაგალითებია ამოღებული, ფიქრობდა, რომ არტულ ენაში სამმაგი სქეს-კატეგორიის მქონებელი ზედსართავი სახელებიც-კი გვხვდებოდა, ამ თავისი აზრის დამაბტკიცებელ საბუთად ერთი მაგალითი აქვს მოყვანილი:

მარტივი, 1 სქეს-კატ. — ჭ-აჭა ჭ-უტტუ-ჭ
 სადა, ლიტონი 2 " " — დ-აქა-რ-უტტურ-რ
 3 " " — ბ-აჭა-ბ-უტტუ-ბ
 4 " " — აჭა-თ-ატტუ-თ

(არქული ენა, გვ. 23). ამგვარად, დირჩის სიტყვით ისე გამოდის, თითქოს ასეთ ზედსართავ სახელებს სქეს-კატეგორიის ნიშნები სიტყვის თავსა, შუაში და ბოლოში ერთვოდეს. მაგრამ აქ ვგონებ გაუგებრობა უნდა იყოს. თუ არ ვცდები, ჭაჭ-ჭუტტუჭ რთული, ორნაწილადი სიტყვაა და უნდა იყოს შემდგარი აქატტ-ისა, რომელიც ცარიელსა ჰნიშნავს (იხ. არქ. ე. ლექს. გვ. 131) და უტტუ-საგან (იქვე, გვ. 185), რომელიც თავისთავად-ს ანიშნავს. ამნაირად მისი თავდაპირველი მნიშვნელობაა „თავისთავად, თავისთვის ცარიელი“ და აქეთგან უნდა იყოს ამ სიტყვის მეორადი მნიშვნელობა, მარტივი და ლიტონი, წარმოდგარი, ვითარცა ორნაწილედ სიტყვას, მის პირველ ნაწილს სქეს-კატეგორიის ნიშნები თავსართისა და ბოლოსართის სახით აქვს, ხოლო მეორედ ნაწილს მართო ბოლოსართის სახით. აქეთგან ცხადი ხდება, რომ სქეს-კატეგორიის სიტყვის შუაში ჩართულობის დებულება არტულში შეცდომად უნდა იქმნეს მიჩნეული.

ბის მქონებელ სიტყვებს მრ. რიცხვში ორი ფორმა აქვთ: ერთი—პირველი და მეორე სქეს-კატეგორიებისათვის, მეორე-კი—მესამე და მეოთხე სქეს-კატეგორიებისათვის, (არქ. ე. გვ. 23—24).

III. დალისტნის მნათა საგხრეთ-ალმოსაჲლუაი ჯგუფი

კვრული ენა, ვითარცა გურგანის ზღვის სანაპირომდე მობინადრე და უცხო ტომთა სხვადასხვა გავლენის ქვეშე მყოფი ტომის კუთვნილება, სხვა ლეგური ენებისაგან ზოგიერთი თვისებებით განსხვავდება. ყველაზე მეტად თურქული ენის ბარონობის კვალი ამჩნევია და თურქული ენა ამ ტომში ძალიან გავრცელებულია (უსლარის Кюринский язык გვ. 1, 2).

კვრულა ენის პირველ დამახასიათებელ თავისებურებად უნდა ის გარემოება ჩაითვალოს, რომ მას გრამ. სქესი არა აქვს იმ დროს, როდესაც დალისტნის სხვა ენებში ამ სქესებრივ განსხვავებას მთელი ენის აგებულობისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს (უსლ. კვრ. გვ. 21).

კვრულში გონიერ არსებათა სქესის განსხვავებისათვის, ორგანული წარმოების მაგიერ, მხოლოდ სქესის გამომაელავენებული სიტყვები-ლა იხმარება (იქვე, 52).

პირუტყვთა სქესის აღსანიშნავადაც კი კვრული, საკუთარის მაგიერ, თურქულ სიტყვებსა ხმარობს (იქვე, 53).

მაგრამ, იმიტომ და მიუხედავად, რომ რუთულური და შაბურული „ენები“ კვრულ ჯგუფს ეკუთვნიან, მათ სქეს-კატეგორიის გამჩვევი ნიშნები აბადიათ ბოლოსართების სახით.

რუთულურს აქვს სქეს-კატეგორიების ნიშნები ბოლოსართების სახით ზედსართავსა და რიცხვითს სახელებში, ერთისა, ათეულებისა, ასისა და ათასის გარდა, უკუტც. თმით ნაცვალსახელში და ზმნაში. სულ 4 სქეს-კატეგორიაა: 1. პირველი—მამრ. სქესის გონიერ არსებათა სახელებს შეიცავს, 2. მეორე—მდედრობითი სქესის გონიერ არსებათა სახელებს, 3. მესამეს—, მცირე გამოწკლისს გარდა, ყველა ცხოველების სახელები ეკუთვნის და 4. მეოთხეს—ყველა დანარჩენი საგნებისა და ცნებათა აღმნიშვნელი სიტყვები.

პირველი სქეს-კატეგორიის ნიშანია მხ. რ.-ში რ, რომელიც ზოგჯერ ქრება, მრ. რ-ს-კი დ აქვს, მეორე სქეს-კატეგორიაში—მხ. რ. რ და მრ.-კი რ. დ არის.

მესამე სქეს-კატ. მხ. რ.—ჟ ან ბ, მრ. რ.—დ, რომელიც ზოგჯერ ქრება.

მეოთხე სქეს-კატ.—მხ. და მრ. რ.—დ, რომელიც ორსავე რიცხვში ზოგჯერ ქრება.

რიცხვითს სახელებს პირველი და მეორე სქეს-კატეგორიისათვის აქვთ რ, მესამე სქეს-კატეგორიისათვის ბ და მეოთხისათვის დ, ზმნაში-კი პირველსა და მეოთხე სქეს-კატეგორიას მხ. რ-ში არავითარი ნიშანი არა აქვს, მეორე სქეს-კატეგორიისათვის რ იხმარება, მესამესთვის-კი ჟ ან ბ. ხოლო მრ. რ-ში პირველსა და მეორე სქეს-კატეგორიას დ აქვთ, მესამე და მეოთხე სქეს-კატეგორიებს-კი ნიშანი არ მეოპოვებათ (იხ. რუთ. ე. გვ. 4—5, 29—30, 48—49, 52, 61—63).

წახურულს 4 სქეს-კატეგორიის ნიშანი აბადია ბოლოხართების სახით რომელნიც თითქმის ყველა სასაუბრო ნაწილებში იხმარებიან.

1. პირველ სქეს-კატეგორიას—მამრობითი სქესის გონიერ არსებათა სახელები ეკუთვნის.

2. მეორე სქეს-კატეგორიას — მდედრობითი სქესის გონიერ არსებათა სახელები.

3. მესამეს — მცირე გამოწკლისს გარდა, ყველა ცხოველთა და ბევრ უსულო საგნების სახელები.

4. მეოთხეს — ყველა დანარჩენი.

პირველი და მეორე სქეს-კატეგორიის ნიშნად რ, მესამე სქეს-კატეგორიისათვის ბ და მეოთხისათვის დ იხმარება (იხ. წახურ. ე. გვ. 5—6, 27—28).

რიცხვითს სახელებს, ერთისა, ოცდაათითგან მოყოლებული ათეულებისა, ასისა და ათასის გარდა, — ყველა სქეს-კატეგორიის ნიშნები აბადიათ (იქვე, გვ. 50—51).

წმნის ფორმებში სქეს-კატეგორიის ნიშნები უფრო მრავალრიცხოვანიცა და განსხვავებულიც არის: 1. პირველ სქეს-კატეგორიას მხ. რ., ან რ აქვს, ან არა აქვს,, მეორეს—ჟ, ან რ. მრავლობითს რიცხვში ორსავე სქეს-კატეგორიას უ, ან ბ აქვს.

მესამეს — მხ. რ-ში ბ, ან უ, მეოთხეს-კი, ან არაფერი აქვს, ან დ. ხოლო მრ. რ-ში მესამე და მეოთხე სქეს-კატეგორიებს, ან არაფერი აქვს, ან დ (იქვე, გვ. 59, 60—61).

თაბასარანულს სქესი არა აქვს და მხოლოდ ორი კატეგორია აბადია: ყველა სახელებს გონიერ და არაგონიერ არსებათა კატეგორიებად ჰყოფს.

მხოლოდობითს რიცხვში გონიერთა კატეგორიისათვის ნიშნად რ არის, ხოლო არაგონიერთა კატეგორია ბ-ით აღინიშნება ხოლმე ბოლოხართის სახით. მრავლობითი რიცხვი კატეგორიას არ არჩევს და ორივე კატეგორიისათვის რ იხმარება, მაგ.: ერთი მამაკაცი—სარ არში, ერთი დედაკაცი—სარ რიშ, ერთი ბიჭი—სარ ბიწიბაჟ, ერთი მგელი—საბო ჯანჭუვარ, ერთი ძროხა—საბო ხინი, ერთი სახლი—საბო ხალ. (თაბას. ე. გვ. 9).

ამ ორი, გონიერ და არაგონიერ არსებათა, კატეგორიის ბოლოხართები რ და ბ თაბასარანულ რიცხვითს სახელებსაც, პირველითგან მოყოლებული სამოცამდე აქვს, შემდეგ-კი მხოლოდ ერთეულიან ათეულებსა აქვს, თვით ათეულებს და ასეულებს-კი, იმგვარადვე, როგორც ათასეულებს, ორივე კატეგორიისათვის მხოლოდ ერთი რ ბოლოციდურიანი ფორმა მოეპოვებათ (თაბას. ე. გვ. 42—43). მაგ.: ერთი (გონიერი არსება)—სარ, ერთი (არაგონიერი არს.)—საბო, ორი (გონ. არს.)—ურ, ორი (არაგონ. არს.)—ურბო, სამი (გონ. არს.)—შიბბურ, სამი (არაგონ. არს.)—შიბბურ და სხვა.

თაბასარანულ წმნაში კატეგორიის ნიშნები ყოველთვის და ყველა წმნის ფორმებში არ იხმარება, მაგრამ კატეგორიის ნიშნები მაინც ხშირია. მარტივი წმნების განუსაზღვრელსა და წმნათა მთელ რიგს მაგ. კატეგორიის ნიშნები არ აბადია.

კატეგორიან ზმნებს მხოლოდობითს რიცხვში ჩვეულებრივ რ და ბი ნიშნები აქვთ და მხოლოდ ზოგჯერ ლ იხმარება. მრავლობითს რიცხვში ორივე კატეგორიისათვის ერთი-და-იგივე რ ნიშანი არსებობს, მაგრამ მომეტებულ ნაწილად იგი ქრება ხოლმე¹.

ზმნაში კატეგორიის ხმარების ნიმუშად შეიძლება შემდეგი მაგალითები იყოს მოყვანილი: ერთი ადამიანის, ან ბევრი ადამიანის, თუ ცხოველის სირბილი—ჯარღოზ, ერთი ცხოველის სირბილი—ჯაბღოზ, ერთი ძროხის შებმა—კებტაუზ, რამდენიმე ძროხის შებმა—კეტაუზ (← კერტაუზ), ერთი ცხოველის ცემა—აბღლუზ, ერთი კაცისა ანუ რამდენიმე კაცის, თუ ცხოველის ცემა—არღლუზ, ააღლუზ (თაბას. ე. გვ. 47).

უკვე აკად. შიფნერმა აღნიშნა, რომ უღური ენა უსქესო ენაა. ამ დასკვნას ვ. უსლარიც აღასტურებდა (Кюр. яз. § 14), ხოლო ა. დირრის შრომით ეს გარემოება ურყევ სინამდვილედ არის ქცეული.

თ ა ვ ი მ ე რ ა ე

კავკასიური ენების გრამატიკ. სქეს-კატეგორიების ვითარების ზოგადი დახასიათება

ზემომოყვანილი მიმოხილვა ადამიანს იმ ნაირნაირობას დაანახებდა, რომელიც გრამ. სქეს-კატეგორიების სფეროში სუფევს, მაგრამ, ამისდა-მიუხედავად ამ ნაირნაირობაში უმეტესია მოვლენათა მსგავსებაც არსებობს.

უპირველესად შესაძლებელია ყველა კავკასიური ენები ორ მთავარ ჯგუფად, უსქესო და სქესიან ჯგუფებად დაიყოს. გონიერ და არაგონიერ არსთა ორი კატეგორიის განჩევა იმდენად გრამ. სქესის პრინციპის გამოხატულებას არ წარმოადგენს, რამდენადაც ცნებათა განჩევად უნდა იქმნეს მიჩნეული.

§ 1. ჩრდილოეთ კავკასიის ენათა სინდური ჯგუფი

თუ ამ საკითხს ზემოდასახელებული თვალთსაზრისით განვიხილავთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ კავკ. ენათა სინდური ჯგუფი, აბხაზურის გარდა, უსქესო ენათა ერთეულად უნდა ვიცნათ, რათგან არც უბისურს, არც ჩერქეზულსა და არც ყაბარდოულს გრამ. სქესი არ გააჩნია.

აბხაზურშიც გრამ. სქესი მხოლოდ პიროვნ. ნაცვალსახელებს, მათაც მართო ზოგიერთს, მოეპოვება. მაშრ. სქესის თავსართი უ მხოლოდ მეორე პირის ნაცვალსახელს აქვს და სხვაგან არსადა გვხვდება.

¹ ა. დირრის სიტყვით სქეს-კატეგორიის ნიშანი ხმის უკანასკნელ თანხმოვნის წინ იხმის. მაგრამ ეს მოსი მდებარეობის გარეგნული განსაზღვრაა და ამ საკითხს ხმის ამდვილი ადგილების თვალთსაზრისით ჯერ კიდევ სათანადო შესწავლა სჭირდება.

ამნაირადვე მდებარეობით სქესის თავსართი ბ მარტო იმავე მე-2-ე პირის ნაცვალსახელს აქვს და სხვაგან ამავე დანიშნულებით და ამავე მდებარეობით, თავსართად, აბხაზურში არხად არის. მაგრამ იგივე ბ ელემენტი, ბა-სახით, აფხაზურს რიცხვითს სახელებში ბოლოსართადაც მოეპოვება, მხოლოდ მდებარ. სქესის გამოსახატავად-კი არა, არამედ უკვე სულ სხვა ცნებისათვის, სახელდობრ, არაგონიერ არსებათა კატეგორიის ნიშნად.

საგულისხმოა, რომ აბხაზურს მდებარ. სქესის კიდევ ერთი ლ თავსართიც აქვს, რომელიც აგრეთვე მხოლოდ ერთგან, სახელდობრ, მე-3-ე პირის ნაცვალსახელებში, გვხვდება და სხვაგან არხად არის.

დასასრულ ლ ბგერა გონიერ არსებათა კატეგორიის თავსართოვანი ნიშანია, მაგრამ უმთავრესად ზმნაში, რიცხვითს სახელებს-კი ამავე დანიშნულებისათვის სულ სხვა ბგერითი ერთეული, მგ, აქვს, რომელიც აგრეთვე არსად სხვაგან არ გვხვდება.

ცხადია, რომ შეუძლებელია გრამ. სქესის ნიშანი მხოლოდ თითო ნაცვალსახელისათვის, ანდა მეტყველების ერთი ნაწილისათვის სხვადასხვა ყოფილიყო, თუ ადამიანი გაიხსენებს, რომ აბხაზურის დანარჩენ მოძმე ენებს, უბიხურს, ჩერქეზულსა და ყაბარდოულს, გრამ. სქესი არ გააჩნია, აბხაზური სქეს-კატეგორიების ნიშანთა იმ თბლობასა და აღრეულობასთან ერთად, რომელზედაც უკვე გვქონდა საუბარი, ადვილად შესაძლებელია ექვი შეეპაროს, გრამ. სქესი აბხაზურისათვისაც თანდაყოლილი თვისებაა, თუ უცხო ენისაგან არის შენათვისები?

§ 2. ჩრდილოეთ კავკასიის ენათა ლილღური ჯგუფი

კავკასიის ენათა ჩაჩნურ-ქისტურში 6 სქეს-კატეგორიაა, ხოლო წოვურში ში ფნერი 7-ს, დირრი-კი 8 სქეს-კატეგორიას სთვლიდა. ორივე რიცხვის სქეს-კატეგორიის ნიშნები ასე წარმოგვიდგება:

	მხ. რ.	მრ. რ.
1 ადამიანთა მამრ. სქესის	ვ	ბ
2 " მდებ. "	ჟ	
3 სქეს-კატეგორიის	ჟ	ჟ
4 " "	ბ	დ
5 " "	დ	
6 " "	ბ	

ასევეა ქისტურადაც (იხ. დირრის შესავ. 131 და 143).

წოვურში მკვლევარნი სქეს-კატეგორიების რიცხვს 7—8-საც კი ანგარიშობენ და იქ სქეს-კატეგორიების შემდეგი ნიშნები არსებობს:

	მხ. რ.	მრ. რ.
1 სქეს-კატეგორ.	ვ	ბ
2 " "	ჟ	დ
3 " "	ჟ	ჟ

		მხ. რ.	მრ. რ.
4	სქეს-კატ.	}	ღ
5	"		ბ
6	"		ჟ
7	"	}	ღ
8	"		ჟ

(ღირრის შესავ. 149).

მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ ენებში სიტყვების ამა-თუ-იმ სქეს-კატეგორიისათვის მიკუთვნილობის პრინციპი აქამდის ჯერ ოდნავად მაინც დამაჯერებელი საფუძვლიანობით გამორკვეული არ არის.

§ 3. ჩრდილო კავკასიის ენათა ლეგური ჯგუფი

დალისტნის ენები სქეს-კატეგორიების თვალთსაზრისით, იმისდა გვარად, თუ საფუძვლად რა პრინციპი იქმნება მიღებული, შესაძლებელია რამდენიმე ნაწილად, ჯგუფად და ქვე-ჯგუფად დაიყოს.

პირველ პრინციპად შეიძლება გრამ. სქესის არსებობა, თუ უქონლობა იქმნეს მიჩნეული, — მეორე პრინციპად გრამ. სქეს-კატეგორიების რიცხვი, — მესამე პრინციპად სქეს-კატეგორიათათვის განკუთვნილი ბგერების იგივეობა და მე-ოთხე პრინციპად სქეს-კატეგორიათა ნიშნების ადგილმდებარეობა.

I. გრამატიკის სქესის მკონებელი და არამკონე ლეგური ენები

გრამ. სქესის არსებობა-უქონლობის თვალთსაზრისით დალისტნის ენები ორ უთანასწორო ნაწილად იყოფა: ენათა ერთსა და თანაც უდიდეს ნაწილს სქეს-კატეგორიათა მკონებელი ენები შეადგენენ. ამ ნაწილს ღუნძური, ბოთლიხური, ლოდობერული, კარატული, ბაგულაზური, ჰიჰატლური, ტინდალური, ახვახური, დიდოური, ხჭარშული, ყაფუჩური, ჰვრკანული, ყუბაჩური, ლუ-მუქური, არკული, ჯეკური, რუთულური და წახურული, სულ 18 ენოვანი ერთეული ეკუთვნის.

მეორე, უსქესო ენათა, ნაწილს თაბასარანული, ალულური და კვრული, სულ 3 ენა შეადგენს.

II. დალისტნის ენები სქეს-კატეგორიის რიცხვისა და მიხედვით

გრამატიკ. სქეს-კატეგორიების რიცხვისა და მიხედვით ლეგური ენები ორ-სამ ჯგუფად იყოფა: ერთ ჯგუფს ოთხ სქეს-კატეგორიანი ენები შეადგენენ, მეორე ჯგუფს სამ სქეს-კატეგორიანი ენები ეკუთვნიან.

ორ ენას, ბუდუხურსა და თაბასარანულს გრამატიკ. სქესი არ აბადია. იქ მარტო იმ გარემოებასა აქვს ყურადღება მიქცეული, ესა თუ ის სიტყვა გონიერი, თუ არაგონიერი არსების, ანდა უსულო საგნის სახელია?

ბუდუხურს მაგ. სამი კატეგორია გააჩნია: პირველ კატეგორიას გონიერ-არსებათა სახელები ეკუთვნიან, სქესისა და განურჩევლად, — ხოლო მეორეს —

აშნაირადვე არაგონიერ არსებათა სახელები და შესამეს — ხაგნების აღმნიშვნელი სიტყვები

თაბასარანულს-კი ორი კატეგორია, გონიერ არსებათა და არაგონიერ არსებათა (საგნებითურთ) კატეგორიები აბადია.

რა თქმა უნდა, აქ უკვე გრამ. სქესთან-კი არა, არამედ ცნებათა კატეგორიების გარჩევასთან გვაქვს საქმე. ასეთი დანაწილება სხვა ენებშიც, რომელთაც გრამ. სქესი არ მოეპოვებათ, არსებობს.

საფიქრებელია, რომ ამის მსგავსი მოვლენა ლეგურის ისეთ სრულებით-უსქეს-კატეგორიო ენებსაც, როგორც ალულური და კვრულია, ამა-თუ-იმ სახით ექმნებათ. მაგრამ ბუდუხურსა და თაბასარანულს ამ განრჩევაში შაინც იმ მხრივ აქვთ გრამატ. კატეგორიის თვისება შენარჩუნებული, რომ ასეთი განრჩევისათვის მათ სამი და ორი განსაკუთრებული ბოლოსართოვანი ნიშანი გააჩნიათ. ამიტომ ბუდუხური და თაბასარანული ცალკე ორ-სამ კატეგორიან ენათა ჯგუფად უნდა იქმნეს გამოყოფილი.

§ 4. დალისტნის ენების ჯგუფები სქეს-კატეგორიათა რიცხვისდა მიხედვით

ოთხ-სქეს-კატეგორიანი ენების ჯგუფში:

1. სქეს-კატ. გონიერ არსებათა მამრ. სქესი შეადგენს,
2. სქეს-კატ. გონიერ არსებათა მდედრ. სქესი ეკუთვნის,
3. სქეს-კატ. ყველა, სქესისდა მიუხედავად, ცხოველთა და მრავალი საგნის სახელები,
4. ამ კატეგორიას ყველა დანარჩენი სიტყვები შეადგენენ.

თუ კლასიფიკაციის საფუძვლად სქესკატეგორიების დანაწილების ეს პრინციპი მივიჩნიეთ, მაშინ ოთხ-სქეს-კატეგორიან ენათა ჯგუფი საკმაოდ მრავალრიცხოვანი აღმოჩნდება. ამ ჯგუფს ანდიური, დიდოური, ხუარშული, ანუ ინხიური, ბეთიტლურ-ყაფუჩური, ღუმუქური, არკული, წახურული და რუთულური, ხულ მ ენა მიეკუთვნება.

სამ-სქეს-კატეგორიან ენათა ჯგუფს გააჩნია: 1. მამრ. სქესი, 2. მდედრ. სქესი და 3. უჰასაკოთა და ცხოველების ისევე, როგორც, საგნების კატეგორია. ზოგ ენას მდედრ. სქესი, უჰასაკონი და ცხოველები მეორე სქეს-კატეგორიაში აქვთ მოთავსებული.

ენათა სამ-სქეს-კატეგორიანი ჯგუფი ოთხ-სქეს-კატეგორიანზე უფრო მრავალრიცხოვანია. ამ ჯგუფს სახელდობრ 12 ენა მიეკუთვნება: ლუნძური, ბოთლიხური, ლოდობერული, კარატული, ბაგულაზური, ჰიჰატლური, ტინდალური, ახვახური, ჰვრკანული, ყუბაჩური, ჯეკური და ბუდუხური.

დასასრულ, ორ-კატეგორიანი, არსებული ცნობებისდა მიხედვით, ერთადერთი თაბასარანული ენაა.

§ 5. ლეგურ ენათა ჯგუფები სქეს-კატეგორიების ბგერითი ნიშნებისა და მიხედვით

თუ კლასიფიკაციის საფუძვლად სქეს-კატეგორიათათვის მხ. რიცხვში განკუთვნილ ბგერებს მივიღებთ, მაშინ რვა ზემოდასახელებული ენისაგან შემდგარი ოთხ-სქეს-კატეგორიანი ჯგუფი საშ-ოთხ ქვე-ჯგუფად დაიყოფა.

პირველ ქვე-ჯგუფს ანდიური და ხტარშული, ნაწილობრივ დიდოურიც, შეადგენს, რომელთაც მხ. რიცხვისათვის

	1	სქეს-კატეგორიის ნიშნად აქვს ვ,	ან უ
	2	„	„ „ „ „
	3	„	„ „ „ „
და	4	„	„ „ „ „

(აქვე და დირრის შესავ. 183, 212 და 215).

1 სქეს-კატ. ნიშანი ხტარშულს ზოგჯერ, ხოლო დიდოურს სრულებითა არა აქვს ხოლმე.

ამ ქვე-ჯგუფს მრ. რიცხვის ნიშნები ანდიურსა, დიდოურსა და ხტარშულს სხვადასხვანაირი აქვს, სახელდობრ:

ანდიურს	მრ. რ.	1 სქეს-კატ.	— ვ
„	2	„	— „
„	3	„	— ბ (ცხოვ.), „ (საგნ.)
„	4	„	— რ

(აქვე და დირრ. შესავ. 183).

ხტარშულს	1 და 2 სქეს-კატ.	— ბ
	3 და 4 „	— რ, ან ლ (იქვე).

დიდოურს-კი ოთხივე სქეს-კატ.-სათვის რ აქვს.

მეორე ქვე-ჯგუფი მხოლოდ ერთი ყაფურური ენისაგან შესდგება, რომელსაც

1 სქეს-კატ. ნიშანი	—
2 „	„
3 „	„
4 „	„
მრ. რ.	
1 და 2 სქეს-კატ.	— ბ
3 და 4 „	— „

(აქვე და დირრ. შეს. 217).

მესამე ქვე-ჯგუფიც ორი ენისაგან, ლუმუქურისა და არჭულისაგან, შესდგება, რომელთაც მხ. რ-ში თავსართად ერთნაირი ნიშნები აქვთ:

1 სქეს-კატ.	— ვ, უ
2 „	— დ, რ
3 სქეს-კატ.	— ბ (ან უ)
და 4 „	— დ, რ

არქული ლუმუქურისაგან მაინც ორნაირად განსხვავდება: ჯერ ერთი არქულს მე-4-ე კატეგორიისათვის ნიშანი არა აქვს, მეორესა და თანაც თვალსაჩინო განსხვავებას კი ის გარემოება წარმოადგენს, რომ ლუმუქურს სქეს-კატეგორიების ნიშნები მხოლოდ თავსართად აქვს, არქულს-კი ერთსა-და-იმავე სიტყვაში თავშიცა და ბოლოშიც უზის.

	თავში	ბოლოს
1 სქეს-კატ. —	ჟ	ჟ
2 „	ღ	რ
3 „	ბ	ბ

მრ. რიცხვისათვის ლუმუქურს სქეს-კატეგორიის ნიშნები სამი პირველი სქეს-კატეგორიისათვის საერთო აქვს ბ ან უ, არქულის მრ. რიცხვის შესახებ-კი დი რ რ ს არც მონოგრაფიულ გამოკვლევაში და არც შესავალში რატომღაც ცნობები არ მოეპოვება.

რუთულური და წაბურულიც სქეს-კატეგორიის ნიშნებისდა მიხედვით ცალკე ქვე-ჯგუფს შეადგენენ, რომელთაც მხ. რ. აქვთ:

1 სქეს-კატ. —	რ
2 „ —	რ
3 „ —	ბ, ან ვ (ჟ) რუთ.
და 4 „ —	ღ

რუთულურს 1 და მე-4-ე სქეს-კატეგორიებში ზოგჯერ ნიშნები არა უჩანს.

მრ. რ-ში რუთულურს 1 და მე-2-ე სქეს-კატეგორიისათვის ღ აქვს, ხოლო მე-3 და მე-4 ისთვის, ან იგივე ღ ბგერაა, ან სრულებით არათერია. წაბურულზე დი რ რ ს ცნობები არ მოეპოვება (აქვე და შესავ. 304 და 318).

სამ-სქეს-კატეგორიან ენათა ჯგუფსაც სქეს-კატეგორიათა ნიშნების მხრით ერთნაირობა არ ეტყობა, არამედ ეს ჯგუფიც ოთხ თანასწორ ნაწილად იყოფა.

ერთ ქვე-ჯგუფს მხ. რ. ნიშნებად შემდეგი ბგერები აქვს:

1. მამრ. სქესისათვის ვ, ჟ ანდა უ
2. მდედრ. „ „ „
3. საერთო სქეს-კატეგორიისათვის, რომელსაც უჭასაკონი, ცხოველები და საგნები ეკუთვნიან — ბ.

ენათა ამ ქვეჯგუფს ლუნძური, ბოთლიხური, ანუ ბუფინატლური, ლოდობერული, ანუ ღიბდიტლური, კარატული, ყუანადური, ანუ ბაგულაზური, ჰიჰატლური, ანუ ჰამალალური, ტინდალური, ანუ იდარაული, ახვახური, ანუ ატუატლური, — ხულ 8 ენა ეკუთვნის (იხ. აქვე და დი რ რ ს შესავ. გვ. 196, 199, 202, 204, 207, 208, 210).

ენათა ამ პირველი ქვე-ჯგუფითგან მრ. რ-ისათვის განკუთვნილი სქეს-კატეგორიის ნიშნისდა მიხედვით: ა-ს, -სახელდობრ ლოდობერულს, კარატულსა, ყუანადურ-ბაგულაზურს, ტინდალურსა და ახვახურს ორი განსხვავებული ნიშანი აქვს: 1 და 2, ე. ი. მამრ. და მდედრ. სქესებისათვის ნიშნად

ბ არის, მე-შ, ანუ საერთო სქესისათვის-კი რ. ხოლო ორს მათგანს, სახელ-დობრ, ლუნძურსა და ბოთლიხურს, სამივე სქეს-კატეგორიისათვის ერთი-და-იგივე რ ბგერა აქვს, რომელიც ბოთლიხურში ლ-ს სახითაც გვევლინება.

ჰიჰატლურს, ანუ ჰამალალურზე დ ი რ რ ს ცნობა არ მოეპოვება (შეს. 207)

შემდეგი სამ-სქეს-კატეგორიანი ოთხი ენიდან მხოლოდ ორსა აქვს მთლად მსგავსი ნიშნები, ორ დანარჩენს-კი სხვადასხვაობა ემჩნევა.

შაგ. ყუბაჩურს მხ. რ. აქვს:

1	სქეს-კატეგორიისათვის	უ	უ
2	"	ი	
3	"	ბა	

(ღირრ. შეს. 236).

მხ. რ. ჰვრკანულს აქვს:

თავსართ. ბოლოსართ.

1	სქეს-კატეგორიისათვის	უ	—	უ
2	"	ღ	—	რ
3	"	ბა		—

(იქვე, 219).

ჯეკური და ბუდუხური სქეს-კატეგორიათა ნიშნების მხრივ ცალკე ქვე-ჯგუფს შეადგენენ, რათგან მხ. რ-ში აქვთ:

1. მამრ. სქესს (ჯეკურში) და გონიერ არსებათა კატეგორიას (ბუდუხურში) რ

2. მდედრ. სქესსა და ცხოველებს (ჯეკურში) და არაგონიერთა კატეგორიას ბუდუხურში ბ

3. საგნების სახელებს (ორსავეში) ღ

(იხ. ღირრ. შესავ. 296 და 298)

მრ. რიცხვში ჯეკურს მამრ. და მდედრ. სქესებისათვის საერთო ბ ნიშანი აქვს, ხოლო ცხოველებისა და საგნებისათვისაც საერთო ღ ნიშანი (იქვე, 296).

დასასრულ, ორ-კატეგორიანს თაბასარანულ ენას გონიერ არსებათა კატეგორიის ნიშნად რ და არაგონიერთათვის ბა აქვს (აქვე და ღირრ. შეს. 267).

§ 6. ლეგურ ენათა ჯგუფები სქეს-კატეგორიათა ნიშნების ადგილმდებარეობისა და მიხედვით

დალისტნის ენები სქეს-კატეგორიების ნიშნების ადგილმდებარეობის თვალსაზრისით-ლა გვაქვს მხოლოდ განსახილველი. ზემომოყვანილი ცალკეული აღწერილობა დაანახევებდა ადამიანს, რომ სქეს-კატეგორიათა ადგილმდებარეობის საში სახეობა არსებობს: სქეს-კატეგორიები, ან 1. თავსართის, ან 2. ერთსა-და-იმავე ღროს თავსართისაც და ბოლოსართის სახითაც, ან და 3. მხოლოდ ბოლოსართად გვხვდება.

სქეს-კატეგორიან ენათა თავსართიანი ჯგუფი მრავალრიცხოვანია. ამ ჯგუფს ეკუთვნის: ლუნძური, რომელსაც ნაწილობრივ ბოლოსართადაც მოეპოვება, ანდიური, ბოთლიხური, ლოდობერული, კარატული, ჰიჰატლური, ტინდა-

ლური, ახვანური, ხუარშული, ყაფუჩური, ყუბაჩური, ღუმუქური და ჯეკური, — სულ 12—13 ენოვანი ერთეული.

სქეს-კატეგორიების თავში და ბოლოში მქონებელ ენათა ჯგუფს მიეკუთვნება: ნაწილობრივ ღუნძური, ბაგულალური, არკული და ჰვრკანული, — სულ 3—4 ენა.

ბოლოხართოვანი სქეს-კატეგორიების მქონებელ ენათა ჯგუფი შესდგება: ბუდუხურისა, რუთულურისა, წახურულისა და თაბასარანულისაგან, ე. ი. სულ 4 ენისაგან.

§ 7. შედეგების ზოგადი შეჯამება

ზემომოპოვებული შედეგების საბოლოო შეჯამება ცხად-ჰყოფს, რომ ლეგურალბანურს ენათა (უღურიანად) სულ 30 ენოვანი ერთეულითგან 8—9-ს: უბიხურს, ჩერქეზულსა, ყაბარდოულს, — შესაძლებელია ითქვას — არსებითად აბხაზურსაც, — თაბასარანულს, აღულურს, კვრულს, ბუდუხურსა და უღურს სქეს-კატეგორიები არა აქვს. დანარჩენ 21—22-ისათვის-კი გრამ. სქესი მორფოლოგიის მნიშვნელოვან თვისებას შეადგენს. ხოლო აბხაზურს, თაბასარანულსა და ბუდუხურს მარტო გრამ. კატეგორიები მოეპოვება.

სქეს-კატეგორიების მქონებელ 21—22 ენოვანი ერთეულითგან — 10 ოთხ და მეტ (ჩახურ-წოფურიანად) სქეს-კატეგორიანი ერთეულია, დანარჩენი კი სამ-სქეს-კატეგორიანი არის.

სქეს-კატეგორიან ენებს ნიშნებად განკუთვნილი ბგერების მხრივაც, როგორც დავრწმუნდით, საკმაოდ დიდი ხნვადახვავობა ემჩნევათ ისე, რომ ადვილად შესაძლებელია, ეს ნაირნაირობა მკითხველს თავბრუ-დამსხმელიც კი ეჩვენოს.

ყველა ზემოაღნიშნული გარემოება ყველას დაანახვებს თუ, რამდენად რთულია კავკასიური ენების სქეს-კატეგორიების საკითხი. მაგრამ, სირთულეს გარდა, არაერთი მნიშვნელოვანი და დამაფიქრებელი მოვლენაც არსებობს, რომელთა გათვალისწინება და გამორკვევა აუცილებლად საჭიროა.

თ ა ვ ი მ მ ს ა მ მ

სქეს-კატეგორიების საკითხის სირთულე და დამაფიქრებელი გარემოებანი ე. წ. კავკასიურს ენებში

საკითხი გრამატიკული სქეს-კატეგორიების შესახებ ე. წ. კავკასიურს ენებში სრულებით ისეთი მარტივი და უდავო არ არის, როგორც შესაძლებელია ადამიანს ზემომოყვანილი ზოგადი მიმოხილვისა და საერთოდ გაბატონებული შეხედულებისდა თანახმად ეჩვენოს. ად. დირრსაც თავის „შესავალ“-ში, როგორც ეტყობა, სქეს-კატეგორიები ე. წ. კავკასიური ენების ძირითად თვისებად აქვს მიჩნეული, რათგან მისი სიტყვით სქეს-კატეგორიების ოდინდელ

არსებობას იმ ენებშიც, რომელთაც ამ უამად არ აბადიათ, სქეს-კატეგორიების გაქვავებული ნაწილები ამჟღავნებენო (Einführung 342—343). დი რ რ ი უ ე ე ვ ე ლ ი ა ე ი მი ე რ კ ა ვ კ ა ს ი ი ს ე ნ ე ბ ს გ უ ლ ი ს ხ მ ბ დ ა, უ მ თ ა გ რ ე ს ა დ ე ნ ა თ ა მ ი ს ა ლ მ ო ს ა ე ლ უ რ შ ტ ო ს, რ ა თ გ ა ნ ჩ რ დ ი ლ ო - დ ა ს ა ე ლ უ რ ი შ ტ ო ს ე ნ ა თ ა დ ა ხ ა ს ი ა თ ე ბ ი ს დ რ ო ს, მ ა ს მ ხ ო ლ ო დ ფ ა ქ ტ ი ა ქ ე ს ა ლ ნ ი შ ნ უ ლ ი, რ ო მ ა ბ ხ ა ზ უ რ ს ს ქ ე ს - კ ა ტ ე გ ო რ ი ე ბ ი გ ა ა ჩ - ნ ი ა, უ ბ ი ხ უ რ ს ა დ ა ჩ ე რ ქ ე ზ უ ლ ს - კ ი არ მოეპოვება. ამ ორ უკანასკნელს რომ სქეს-კატეგორიების რაიმე, ვინდაც გაქვავებული, ნაშთები ემჩნეოდეს, დი რ რ ს არ აფერ ი ა ქ ე ს ნ ა თ ქ ე ვ ა მ ი (Einführung 39). ასეთი დაკვირვება არც სხვა მკვლევართ მოეპოვებათ, არამედ პირიქით ლ ო პ ა ტ ი ნ ს კ ი ს ხ ა ზ გ ა ს მ ი თ ა ქ ე ს ა ლ ნ ი შ ნ უ ლ ი, რ ო მ ყ ა ბ ა რ დ ო უ ლ შ ი გ რ ა მ. ს ქ ე ს ი ს კ ვ ა ლ ი ც - კ ი არ არისო (ყ. გ. 40)¹.

ისეთ დაკვირვებულსა და გონებამახვილ მკვლევარს, როგორიც უ ს ლ ა რ ი ი ყ ო, კ ა ვ კ ა ს ი უ რ ს ე ნ ე ბ შ ი გ რ ა მ. ს ქ ე ს ი ს საკითხის სირთულე და სიძნელე არ გამოპარვია. თვით ისეთ ენებშიც-კი, როგორიც ჩაჩნური, ლუნძური და სხვა მათი მსგავსია, მრავალი დამაფიქრებელი გარემოება არსებობს.

უ ს ლ ა რ ს ა ლ ნ ი შ ნ უ ლ ი ა ქ ე ს, რ ო მ ჩ ა ჩ ნ უ რ შ ი მ ა მ ა ლ დ ა დ ე დ ა ლ ც ხ ო ვ ე ლ ე ბ ს შ ო რ ი ს გ ა ნ ს ხ ვ ა ე ვ ე ბ ა სახელებსა და სიტყვებში გრამატიკულად არ გამოიხატება (ჩაჩნ. ე. 14).

თვით გონიერ არსებათა სახელებშიც-კი მეტად იშვიათია, რომ სქესის განსხვავება მათ სახელებსაც ემჩნეოდეს. მაგ. ძებს ეწოდება ვუოგ, ასულს, ანუ ქალიშვილს აჟოგ, ძმას ვაშა, დას-კი აიშა. ამ სიტყვების თავკიდური მარცვლების შენაცვლება ვუ-სა და აჟ-ს განსხვავებას უდრის. მაგრამ ეს არის და ეს, ამის მსგავსი მაგალითი ამაზე მეტი თითქმის არც არსებობსო (იქვე 38). ჩვეულებრივ-კი მამრობითი და მდედრობითი სქესის გამოსახატავად სახელს დედალის, ან მამალის აღმნიშვნელი სიტყვა ემატებაო (ჩაჩნ. ე. 12). მაშასადამე აქ უკვე გრამ. სქესთან არ გვექონია საქმე.

უ ს ლ ა რ ს ი ს შეუთანხმებლობა და ერთნაირი აღრეულობაც-კი აქვს აღნიშნული, რომელიც ჩაჩნურს ცხოველთა სახელების გრამატიკული სქეს-კატეგორიის განსაზღვრის დროსაც ემჩნევა.

სახელდობრ, ცხოველთა ერთი ჯგუფის სახელებთან წინადადებაში ხმარების დროს არსება ზმნის მიმღეობის აუ ფორმა იხმარება, ე. ი. იგივე, რომელიც სულ სხვა კატეგორიის, მდედრ. სქესის სრულჭანსაკოვან არსებათათვის არის მიღებული. ასე მაგ. აჟ-ს ხმარობენ შემდეგ სიტყვებთან: მგელი—ბუორზ, ვირი—ვირ, ცხენი—გაურ, კურდღელი—ფხანგალ, დათვი—ჩა, ქაკი ცხენი—ველ, ბატი—ბად, ქათამი—კუტამ, მამალი—ნგენი, გელი—ტუდაკ, ობობა—გეზიგ და სხვ. (ჩაჩნ. ე. 12).

ცხოველთა სახელების მეორე ჯგუფთან კიდევ მიმღეობად ბუ იხმარება. ასეთ ჯგუფს მაგ. ეკუთვნის: სტუ—ხარი, აატ—ფური, გილა—ცხენი, კა—ვერძი, მამალი ცხვარი, საა—ირემი, ვოკუ—მტრედი, კწრა—თევზი, მოზუ—ბუზი, ლეხი—გველი და სხვ. (ჩაჩნ. ე. 12.).

¹ „признака родов в каб. языке нет“.

დასასრულ, ცხოველთა სახელების შესამე ჯგუფთან ღუ იხმარება, ასეთ ჯგუფს მაგ. ეკუთვნის: ჯგელი ძალი, — ზუდ ძუ, ძუვი, ძუკნა, — ქწი — ლეკვი, — ლუომ ლომი, — ციციგ ციცა, კატა, — ქიელარდიგ მერცხალი, — ხრზუ ბელურა და ზინგატ ქიანჭველა (ჩაჩ. ე. 12).

როდესაც ამა-თუ-იმ ცხოველის ზოგად სახელთან ბუ იხმარება, სრულებით გასაგებია, რათგან ბ თანხმოვანი პირუტყვ ცხოველთა სამეფოს, გონიერ და პირმეტყველ არსებათაგან ცალკე ჯგუფად გამოყოფილი, ნიშანი გამოდის. შესაძლებელია განმარტება იმ შემთხვევებაც მოეძებნოს, როდესაც მამალისა, თუ დედალი ცხოველის სახელი თავისი სქესის მიმღობასთან-კი არა, არამედ ისევ ბუ მიმღობასთან არის ხოლმე დაკავშირებული: რა სქესისაც არ უნდა იყოს პირუტყვი, ის მაინც არაგონიერ და უსრულ-პასაკოვან არსებათა ჯგუფს ეკუთვნის.

მაგრამ ის სრული შეუსაბამობა, როდესაც მამალი ცხოველის სახელს, მაგ. ხვადს ვირ-ს, ანდა მამალი ქათმისას ნენი-ს მდედრობითი სქესის მიმღობა აუ უკავშირდება, ვერავითარი ჩვეულებრივი ლოგიკური, ანდა გრამატიკული მოსაზრებით ვერ აიხსნება.

ამნაირადვე პირუტყვთა სახელებისათვისაც, სქესისდა მიუხედავად, აუ იხმარება, მაგრამ ზოგ შემთხვევაში ბუ და ღუ, რომელნიც უფრო ხშირად უსულდგმულო საგნებისათვის გვხვდება (ჩაჩ. ე. 12—14).

ყოველგვარი ცდისდა მიუხედავად ვერც თვითონ უსლარს, ვერც ჩაჩნებს ვერას გზით ვერ გამოურკვევიათ ის პრინციპი, რომელზედაც ჩაჩნური სიტყვების ამა-თუ-იმ სქეს-კატეგორიისათვის მიკუთვნილებათა დაშვარებული (იქვე გვ. 11) არც სიტყვათა დაბოლოებას და არც ბგერითს შედგენილობას ამ შემთხვევაში არავითარი გავლენა არა აქვსო (გვ. 9).

ყველა ამ სიძნელის გამო, უსლარის რწმენით, ჩაჩნურში მხოლოდ გონიერ არსებათა მამრობითი და მდედრობითი სქესის გარჩევაა შესაძლებელი.

ზემოაღნიშნულზე გაცილებით უფრო საყურადღებო გარემოებაა, რომ მამრობითი სქესის არსთა ზოგიერთ სახელს არამც თუ თავისი კუთვნილი ვ თავსართი არ გააჩნია, არამედ პირიქით ბ ბგერა აქვს, რომელიც შესამე სქეს-კატეგორიის ნიშანია. მაგ. მამალ კვიცს ჩაჩნურად ბეუი (მრ. რ. ბოყულ) ეწოდება, — მამალ თხას, ვაცხ ბუოუ, — ხვადისა და მამლის ზოგად სახელადაც ბუორშან-ს ხმარობენ (ჩაჩ. ე. 161, 162 და 163).

ყველა ზემონათქვამი აღამიანს დაარწმუნებდა, თუ რამდენად რთულია სქეს-კატეგორიის საკითხი ჩაჩნურში. შესაძლებელია მკითხველს ექვიც-კი აღედრას, თუ რამდენად შესაძლებელია თვით ეს მოვლენა ასეთი აღრეულობის გამო ჩაჩნური ენის მორფოლოგიის ძირითად თვისებად იქმნეს მიჩნეული.

ასეთივე გარემოება წარმოუდგება მკვლევარს დალისტნის ენების ამავე მოვლენის განხილვის დროსაც. ლუნძურსა და ლუმუქურსაც გრამატიკული სქესიცა და კატეგორიებიც მოეპოვებათ. ამ ენებს გრამ. სქეს-კატეგორიები თავსართების სახით დღევანდლამდე აქეთ დაცული სიტყვათა მხოლ. და მრავლ. რიცხვის ფორმებისათვის. ამასთანავე სქეს-კატეგორიათა რიცხვი, როგორც

ვიკით. ლუნძურს 3 აქვს, მამრ. ვ და უ, მდედრ. ა და საერთო ბ, ხოლო ლუმუჭურს ამაზე მეტიც-კი გააჩნია: მამრობითისათვის უ და ვ, მდედრობითისათვის დ და რ, პირუტყვთა და სხეულის ნაწილებისათვის ბ და განყენებულ ცნებათა და ნივთების საგნების სახელებისათვის დ.

სქეს-კატეგორიების ესოდენი სიმტკიცისდა მოუხედავად, ლუნძურში მამრ-სქესის აღმნიშვნელ მხოლოდ ორ სიტყვას—ვას; ვაჟიშვილი და ვაც ძმა (ავარ. ე. ლექსიკ. 58) მოეპოვება ვ ფორმანტი და ამნაირადვე მართო ორი სიტყვაა ახსი ქალიშვილი და ააც დაჟ (იქვე, 107), რომელთაც მდედრ. სქესის ა თავსართი აქვთ.

საერთო სქეს-კატეგორიის ბ-თავსართიანი ცხოველთა აღმნიშვნელი სიტყვების რიცხვიც ორს არ აღემატება: ბეჩქ (მრ. რ. ბაჩალ) ხბო და ბის—ჯიხვი (იქვე, 52 და 53). ამაზე მეტი, ამჟამად არსებული ცნობებით, არ მოიპოვება.

გასაოცარი ის არის, რომ პირიქით, აქაც, მამაკაცს ჰქვიან ბიხინაუ, მამალს, ხვადს ბიხინაბ. მამალ ციკანს ბურჭოთ, სახარე ხბოს ბასი და ხვად კვიცს ბარტი (იქვე 49, 53 და 56), ე. ი., მამრობითი სქესის ვ თავსართის მაგიერ, როგორც მოსალოდნელი იყო, ამ სიტყვებს სწორედ საერთო სქესის ბ თანხმოვანი აქვს¹.

ამას გარდა, ლუნძურში მამრ., თუ მდედრ. სქესის აღმნიშვნელი ისეთი სიტყვებიც საკმაოდ მოიპოვება, რომელთაც არც თავიანთი, არც სხვა სქესის თავსართიანი ნიშანი არა აქვთ. მაგ. შესაძლებელია დასახელებული იყოს: ქმარი როს (ავარ. ე.),— ვერძი კუჟ (მრ. რ. კუიღულ) და ჯი (იქვე, 114 და 156),— კერატი ვამან (იქვე, 120),— მამალი გოქი ბოტხლიონ (იქვე, 55) და მამალი ქათამი ჰელტქო (იქვე, 98) ერთი მხრით, ხოლო მეორე მხრით დედაკაცი ქუჟუ (იქვე, 224),— დედალი, ქაკი—ჰარაბ და წიო (გვ. 100 და 208),— ქაკი ცხენი გალან, — ნეზვი ცხვარი — ლტმაგ და გორკატენ (იქვე, 126, 158, 166) და ძუკნა ძალლი გუაჟენ (იქვე, 64).

ლუმუჭურშიც უსლარის ჩანაწერის მიხედვით მამრობითი სქესის აღმნიშვნელი მხოლოდ ორი სიტყვაა, — „ვირი“ შუახნის კაცი (ლაკ. ე. 255) და უსიუ ძმა (იქვე, 361), რომელთაც თავში ვ და უ აქვთ, — მართო ერთად-ერთი მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი სიტყვა მოიპოვება — ქალიშვილი ლუმ (იქვე 267), რომელსაც მდედრ. სქესის დ ნიშანი უჩანს და ა პირუტყვის სახელი ჩანს, რომელთაც თავში ბ თანხმოვანი აქვთ: დეკეული ბაარჩ (იქვე, 253), ორივე სქესის ციკანი ბუხხცა (გვ. 256), ირემი ბაორნი (გვ. 253), კურდღელი ბაორბ (გვ. 253) და მგელი ბარწ (გვ. 251). ეს არის და ეს.

მაგრამ ამაზე მეტის თქმაც შეიძლება: ლუმუჭურშიც არამც თუ ვ თავკიდურნიანი მამრ. სქესის აღმნიშვნელი სიტყვები ზემოდასახელებულზე მეტი არა ჩანს, პირიქით თვით მამლისა და ხვადის სახელად ბ თავკიდურიან სიტყვებს ხმარობენ. მამალ ცხოველს, მამაცს ლუმუჭურად მაგ. ბურხინისა,

¹ საფიქრებელია, რომ ბიხინაუ-ს, მამაკაცის ბოლოკიდური უ ჟნდა მამრ. სქესის ბოლოსართად იგულისხმებოდეს. ამას მამალი, ხვადი ცხოველის სახელის ბიხინაბ-ის ბოლოკიდური ბ ამტკიცებს, რომელიც შესაძლ სქეს-კატეგორიის ნიშანი ჩანს.

ტანსა და კერატს კიდევ ბურკ (ლაკ. ე. 254—255), ვერძსაც, მამალ ცხვარს ქუ-ს (მრ. რ. ქუნდალ) და ნუშა-ს, რომელიც დედალი ბატკნის სახელიც არის, და ჩა-ს ეძახიან (იქვე 292, 332 და 397 და R. II, 523), — ვაცს ყააცა და დაბა, გვლდენ შტედტი თ-კი Kāza (R. II, 523) ეწოდება (იქვე, 339 და 262). მამაკაცსა და ქმარს ჩუ-ს უწოდებენ, რომლის ნათ. ბრ. ჩუნალ, მოქმ. ჩიბარკ და მრ. რ. ჩიბარკუნდალ-ია და რომელთანაც ამასთანავე უცნაურად ცხოველთა სქეს-კატეგორიის ბ ნიშანი იხმარება (იქვე, გვ. 382). ასეთი მაგალითების ღუმუქური თვან კიდევაც შეიძლება მოყვანა, მაგრამ ვგონებ ესეც საკმარისია.

დალისტნის სხვა ენების ასეთ დამაფიქრებელ ფორმათაგან — შესაძლებელია დასახელებული იყოს მაგალითად ხარის თაბასარანული (თაბ. ე. 179) და წახურული (წახ. ე. 169) სახელი აც და კვრული აცო (კვრ. ე. 448), რომელთაც თავში ა ბგერა აქვთ, ე. ი. მამრ. სქესისა-კი არა, არამედ სწორედ მდედრობითის ფორმანტია.

ამ საკითხს დალისტნის დანარჩენ ენებშიც ის გარემოება ართულებს, რომ სქესის აღმნიშვნელ სიტყვას ზოგჯერ სრულებით სხვა სქესისათვის განკუთვნილი თავსართი უჩანს.

მაგ. მამალი ცხვრის, ვერძის აღსანიშნავად თაბასარანულში იხმარება აკნ (თაბას. ე. 178), რომელსაც თავკიდური ა აქვს და რომელიც ამის გამო უფრო ნერბის, დედალი ცხვრის სახელად არის საგულისხმებელი, ვერძისათვის-კი სრულებით შეუფერებელია.

დიდოურადაც ხარს ეწოდება ის (მრ. რ. ისტაბი ანდ.-დიდ. მას. 88), რომლის თავკიდური ხმოვანი ხარის სქესს სრულებით არ შეჭმევინს.

დალისტნის დანარჩენ ენებშიც სიტყვების მთელი ჯგუფი შეიძლება შეადგინოს ადამიანმა, რომელთაგანაც ზოგი მამრ., ზოგი კიდევ მდედრ. სქესის არსებობისა, თუ ცხოველის სახელია, მაგრამ ამისდა მიუხედავად მათ თავკიდურ ბგერად ვ, უ, უ, ან ა კი არა აქვთ, არამედ ბ თანხმოვანი, რომელიც სულ სხვა სქეს-კატეგორიის ნიშანია. მაგალითად შესაძლებელია დასახელებულ იქმნეს: ვერძის, მამალი ცხვრის ყაყურუთი ბოწი (ანდ.-დიდ. 87), ცინდალუთი ბოცარ და ყაბაღუთი ბეცაურ (იქვე), — სჯარბ. და დაბ. ბეტხლჟე და ბტხლჟე (იქვე), ანდა ცოლის აღმნიშვნელი დიდოურა ბარუ და მამაკაცის დიდოურიუ ბაშარჩი (ანდ.-დიდ. 93 და 100), ვაჟიშვილის თაბასარანული ბიწი (თაბ. ე. 157).

დასასრულ დალისტნის არამც თუ იმ ენებიდან, რომლებშიც გრამ. სქეს-კატეგორიები არ გააჩნიათ, არამედ თვით ისეთ ენებიდანაც, რომლებშიც გრამ. სქეს-კატეგორიები ენის აგებულების მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენენ, ბლომად შეიძლება მაგალითების მოყვანა, როდესაც სიტყვა ამა-თუ-იმ სქესის არსების, ანდა ცხოველის სახელია, მაგრამ ამისდა მიუხედავად სათანადო სქესის არავითარი არც თავსართი და არც გინდ ბოლოხართი მოეპოვება.

მაგალითად: კვრულად დას ხაუ ეწოდებოდა ბე-XVIII ს.შიც და ეხლაც ისევე ეძახიან (R. II, 521 და ლუმ. ე. 351). ამ სიტყვას მდედრ. სქესის ნიშანი არ გააჩნია.

ამნიირადვე ვაჟიშვილს ღუმუქურად ეხლა არს-ს ეძახიან (ლაკ. ე. 242), გვლდენ შტედტს-კი ერს-ად აქვს წაწერალი (R. II, 521), ხოლო ქალი-

შვილს მე-XVIII ს-შიც და ეხლაც დუშ-ს უწოდებენ (იქვე, 267). ვაჟიშვილის სახელს სქესის არავითარი ნიშანი არ უჩანს.

აკურთხადავ ვაჟიშვილს მე-XVIII ს. პრქმეგია Durha დურჰა, ქალიშვილს კი Durssi დურსსი (R. II, 521). არც ერთ მათგანსაც სქესის გამომხატველი თავსართი არა აქვს.

თამასათანულსა და აღულურს დის აღსანიშნავად ჩი აქვთ, რომელსაც სქესის არავითარი ნიშანი არ გააჩნია, ხოლო დას თამასათანულად ჩიო (თაბ. ე. 219), აღულურად-კი ჩუ ეწოდება (ალ. ე. 167), რომელთაც აგრეთვე არავითარი სქესის თავსართი არ უჩანთ. ამასთანავე ძმის და დის სახელად არსებითად ერთი და იგივე სიტყვა გამოდის.

ძმის აღმნიშვნელ კვრულ სიტყვას სიტხა-საც (კვრ. ე. 549) მამრობითი სქესის ფორმანტი არა აქვს.

ძმის ხჯატჰ. სახელს გის-ს (მრ. რ. გისნაბა), ყაფურ. ისს-სა (მრ. რ. ისსნა) და დიდოურს ესსიჟუ-საც, რომლის მრ. რ. ესსნაბი-ა (ანდ.-დიდ. მას. 88) სქესის ფორმანტი არ გააჩნია. მე-XVIII ს-ში, როგორც გვლდენს შტედტის ჩანაწერითგან ირკვევა, ძმისათვის გლუჩესსიო, დისთვის აკიესსიო უხმარიათ (R. II, 513).

ნათესაობისა და სქესის აღმნიშვნელს ასეთს, სრულებით უსქეს-კატეგორიო, უფორმანტო სიტყვათა ჯგუფს ეკუთვნის აგრეთვე მამაკაცის სახელები: ანდ. ჰეკაა, — ლდიოურ. — ვარაჯ. ყუანალ. და ცანდალ. ჰეკუა¹, ხუარჰ. ჰიკუა და ნოთლას. ქუნტეკუა (ანდ.-დიდ. მას. 100).

აგრეთვე კმრის სახელები: ანდიურა, ნოთლ. ლდიბ. და ყუანადურა ქუნტაა, ასჯას. ხეჟე, რომლის მრ. რ. ხერა-ა, — ხუარჰ. ხოლ და დიდოური ხედიჟუ (ანდ.-დიდ. მას. 100).

სახელთა ამავე ჯგუფს მიეკუთვნება ცოლის აღმნიშვნელი: აღულ. ჰირ, წახურ. ხუნეშშე, ჯუჯური ხენცბ, ბუთულ. ხედღლღ, ბიდეს. ჰეჯ, თამას. შიავ, კვრული — მაბ, უდური ჩუბუნ და აბჟული ტხლანოლ (ალ. ე. 161).

ცოლს სჯატჰულად ეძახიან — ღინე, ლდიობერულად შარკი, ვარაჯ. შარკხე, ყუანად. და ცანდ. შარკხუა, ანდიურად შორკი, ასჯას. აკხი და ყაფურ. ავო (ანდ.-დიდ. მას. 93).

ფურსაც ეწოდება: ანდიურად ზივუ, ასჯას. ზივუი, — ნოთლ., ლდიბ., ვარაჯ. ქაბალ. და ცანდ. ზინ, — ყუანად, ზინი და დიდოურად ზია (იქვე, 96). ბიდეს. ზარ, ბუთულ. და წახურ. ზერ და ჯუჯურად ძარ (ალ. ე. 160).

ამავე თვისებისაა დედისავე სახელი: უდური ნანა (ალ. ე. 157), ლუბურური ნინუ (R. II, 521 და ლაკ. ე. 331), ბუთულ. ნინ (ალ. ე. 157), თანამედროვე დიდოური ენიჟუ (ანდ.-დიდ. მას. 99) და მე-XVIII ს. დიდოური ენნიუ (გვლდენს. R. II, 513), აღულური ბაჟი (ალ. ე. 157), ყაფურ. იაო, — ანდიურა, ნოთლ., ლდიბ., ვარაჯ. ასჯას., ყუანად. და ცანდალური ილა (R. II, 521 და ანდ.-დიდ. მას. 99), აგრეთვე დედის ლენპური სახელი ებტლ (მრ. რ. ულბტლ), რომელიც უკვე მე-XVIII ს. ჩანაწერშიც არის აღბეჭდილი (R. II, 513 და უსლ. ივარ. ე. 75) და ანწუხებსა და ჰარებსაც ჰქონიათ (R. II, 513).

¹ ამ ხ ბგერის გამოთქმა დირის აღწერილი არა აქვს.

ამავე ჯგუფისაა დედისავე სახელი ატყული გეტურ (არქ. ე. 143 და აღ. ე. 157) ისევე, როგორც ხანაღუღ. დედ, კბოლა დედე, ბუღეს. დიდ და ჯუჯობა დაა (აღ. ე. 157).

არავითარი სქეს-კატეგორიის ნიშანი არა აქვს ახულის, კალიშვილის სახელსაც: დიდ. და ყაფურბის ქიდ და ხვარბ. ქაიდ (ანდ.-დიდ. 93), უღობს ხინარ და ატყულს ლო, რომელიც ბაშვს ნიშნავს (აღ. ე. 165), შემდეგ დედის სახელსაც და ბუღეს.- ჯუჯობს. შიდრ (იქვე, 167), დედაკაცის სახელს თანასართულს შიფ, რომლის მრ. რ. არის ხოვარ (თაბას. ე. 221).

გრამ. მამრ. სქესის არავითარი ნიშანი არ გააჩნია აგრეთვე ხარის, კუროს სახელსაც. მაგ. ხარს ჯუჯობს შიანი, ბუღეს. შანი, ხანაღუღ. ლიში და ბრთულ. ჩაჭრა ეწოდება (აღ. ე. 158).

ამავე თვალსაზრისით საფუძვლებშია, რომ ფურსა და ძროხასაც ჰქვიათ: აღულ. შიანი, უღობს ხუნი, რომელიც იმავე დროს ზოგადად დედულ ცხოველსაც ნიშნავს, და ჩურ, ატყულ. ხონ და თანასართ. ხინი (აღ. ე. 160 და თაბას. ე. 215) კბოლა-გი ქალ-ს ეწოდებენ (იქვე და კვრ. ე. 453).

ასევე უსქეს-კატეგორიით უთავსართ-ბოლოსართო სიტყვებია მამალი ცხვრის სახელები: ანდიოტა ქუნ, კატყული და დინდალუტა ქუი, რომლის მრ. რ. ქუნდი და ქუნდა იმავე დროს ზოგადად მამალ ცხოველსაც ნიშნავს (ანდ.-დიდ. მას. 87) და ყანად. ქუი, რომლის მრ. რ. ქუიანბი ხვადის სახელადაც იხმარება (ანდ.-დიდ. მას. 87), — ისევე როგორც მამალი ცხვრის ყაფურბა სახელი ხომ-ც, რომლის მრ. რ. ხომამო ზოგადად მამალ ცხოველსაც ნიშნავს (ანდ.-დიდ. 87).
ამავე ჯგუფის სიტყვაა.

მამალი და დედული თხის სახელებსაც დალისტ. ბევრ ენაში სქესის არავითარი ნიშანი არ გააჩნიათ, მაგ. მამალ თხას, ვაცს ეწოდება: ნოთლის., კატყ. და ასას. ტაუქა (მრ. რ. ტაუქაბატხლი); ანდიოტა მე-XVIII ს. გვლდენშტედტის ჩანაწერით ტუკა (Tuka: R. II, 523), დირრით-კი ეხლა ცხია ეწოდება, რომელიც დედულ თხასაც ნიშნავს (ანდ.-დიდ. მას. 96), — ლდლუტ. ტაუქა, დინდალ. ტაუქა, — დიდ. გვლდენშტედტის ჩანაწერით შიტხლი (R. II, 515), ეხლა-კი დირრის ცნობით ტაუქა (ანდ.-დიდ. მას. 96) ჰქვიათ, — ყაფურ. ტაიგა და ყანად. ჯუთა (ანდ.-დიდ. მას. 96).

ამავე ცხოველს ლუნბოტად და ანბოტად ეწოდება გვლდენშტედტით ტენე (R. II, 515), ეხლა კი უსლართ ლუნბოტად დეგენ (მოქმ. ბრ. დაგნცა, მრ. რ. ლუნულ და ლუგბი: ავარ. ე. 72), — ჩატულად მე-XVIII ს. კინე (R. II, 515) ჰრქმევიან.

დედულ თხასაც ერქვა: გვლდენშტედტის მე-XVIII ს. ჩანაწერით, ლუნბოტად, ანბოტად და ჩატულად ცე (R. II, 515). უსლართის ცნობით-კი ლუნბოტად ეხლა წიე ეწოდება (ავარ. ე. 207), — ლუნბოტად მე-XVIII ს. ცუკუ ჰრქმევიან (Zuku: R. II, 523), ეხლა კი წუკუ იხმარება (ლაგ. ე. 377), დიდუტად მე-XVIII ს.-ში ცეკი ეწოდება (R. II, 515), ეხლა კი დირრით ჩან-ს უძახიან, ცეკი-კი უკვე ციკანსა ნიშნავს (ანდ.-დიდ. მას. 96), — ანდიოტად გვლდენშტედტით წია (Tzia) ჰრქმევიან და ეხლაც ცხია-ს ხმარობენ (ანდ. დიდ. მას. 96), რომელიც მამალ თხასაც ნიშნავს, — ნოთლის. ცხინატხლი, კატყულ.

ცხენატხლო, ლფიღაჲ. ცხინატხლო, ახვას. ცხუნუტხლი, ყუანაჲ. ცხენეტხლო და სჯატხულად ისევე, როგორც ყადუჩუტად ცან (ანდ.-დიდ. მას. 96).

დასასრულ, როგორც უკვე ზემომოყვანილი რამდენიმე მაგალითითგანაც ჩანს, ისეთ ენებშიც, რომელთაც სქეს-კატეგორიები კარგად აქვთ დღევანდლამდე დაცული, მამალი და დედალი ცხოველებისათვის, განსხვავებულის მაგიერ, ერთი-და-იგივე სახელებია, მაგ.: ჯანდალუტად და ლფიღაჲრულად რიხა დედალ ცხვარს, ხოლო ჰოთლას. და ლფიღ. რიხა მამალ ცხვარს, ყუანაჲრულად-კი რიხა მამალ ცხვარსაც ნიშნავს და დედალსაც. (ანდ.-დიდ. მას. 87 და 103). ანდა ბიტხლად ყადუჩუტად დედალ ცხვარს ეწოდება, ვიდრე-კი ბეტხლად მამალ ცხვარს, — ამნაირადვე ბიტხლადუ სჯატხულად თუ ნეზვის აღმნიშვნელია, ვიდრე-კი ბეტხლად და ბეტხლადუ პირიქით ვერძს ეწოდება და სხვაც ამგვარადვე (იქვე, 87 და 103).

ზემომოყვანილი ფაქტები და ზემოაღნიშნული სხვადასხვა გარემოება ადამიანს დაარწმუნებდა, რომ საკითხი გრამატიკული სქეს-კატეგორიების შესახებ მეტად რთული და გამოურკვეველია. ისეთი არსებითი სახელების, რომელთაც თავიანთი სქეს-კატეგორიის ნიშანი ჰქონდეთ, მეტისმეტი სიმცირე და საზაგიეროდ შეუფერებელი სქეს-კატეგორიების თავსართიანი სიტყვების საკმაოდ მნიშვნელოვანი რაოდენობა ისევე, როგორც ზედსართავებსა და მიმლეობაში განსამარტავი სიტყვის სრულებით მოულოდნელი სქეს-კატეგორიების ხმარების სიხშირე გრამატიკული სქეს-კატეგორიების პრობლემას მეტად მწვავე და მნიშვნელოვან საკითხად ხდის. ხოლო, რაკი ამასთანავე სინდურ ენათა ჯგუფითგან უბიხურს, ჩერქეზულსა და ყაბარდოულს გრამატიკული სქესი არ გააჩნია ისევე, როგორც დაღისტნის ენათა ჯგუფითგანაც სქეს კატეგორიები არც კერულს და ადულურს და არც თაბასარანულს, ალბანეთის ენათაგან კი ერთად-ერთ გადარჩენილ უდურსაც არ მოეპოვება, ბუნებრივად იზადება საკითხი, გრამატიკული სქესი და საერთოდ სქეს-კატეგორიები ე. წ. კავკასიური ენების დასაწყისითგანი თვისებაა, თუ იმ ენებს, რომელთაც იგი ამ უძმად გააჩნიათ, ეს თვისება დროთა განმავლობაში აქვთ რომელიმე უცხო ენის გავლენის წყალობით შეთვისებული?

ეს საკითხი ქართული ენის მონათესაეობისა და გენეზისათვისაც უალრესად მნიშვნელოვანია. რათგან ბევრი მკვლევარი აპრიორულად და შიში გავრცელების საზღვრების გამო კავკასიურ ენათა ჯგუფის წევრად სთვლის, ქართულს-კი, როგორც ცნობილია, შრავალსაუკუნოვანი, წერილობითი ძეგლებით აღბეჭდილი, ისტორია აქვს, რომელიც მკვლევარს გრამ. სქესის ქართული არსებობის საკითხის სრული ზედმიწევნით გადაწყვეტის საშუალებას აძლევს. ქ. შ. მე-1 ს-ითგან დაცული ძეგლების ენა ცხად-ჰყოფს, რომ გრამატიკული სქესი მას არ ჰქონია, ისტორიულ ხანაში მაინც. თუ ამასთანავე იმ გარემოებასაც გავითვალისწინებთ, რომ სქესი არც ქართულ-ქართველურს დიალექტურს გააჩნიათ, გაშინ ქართულში გრამატიკული სქესის ოდენსმე არსებობის აზრი, შესაძლებელია, მკვლევარს სრულებით უსაფუძვლო ფანტაზიად ეჩვენოს.

საფიქრებელი არის, რომ ამიტომაც თანამედროვე სამეც. მწერლობაში აქამდე ასეთი აზრი, არც მოსელოა ვისმე, ანუ, უფრო სწორედ რომითქვას, ერთი მეცნიერის ჰიპოთეზის ვარდა, რომელსაც, როგორც მისივე შერმინდელი ნაშრო-
11 ი. ვ. გავაჩიშვილი

შებითგან ჩანს, შემდეგში თვით იმის ავტორიც აღარ იზიარებდა¹, ფიქრად არავის მოსვლია.

მაგრამ მაინც ამ საკითხის ასე განუხილავად დატოვება არ შეიძლება, რათგან ცხადია, რომ, თუ ქართული მართლაც ე. წ. კავკასიურ ენათა მოდგმას მიეკუთვნება, მაშინ ან უნდა დამტკიცდეს, რომ გრამატიკული სქეს-კატეგორიების არსებობა კავკასიური ენების დასაწყისითგანს თვისებას-კი არ შეადგენდა, არამედ დროთა განმავლობაში რომელიმე უცხო ენისაგან არის შეთვისებული, ანდა, თუ სქეს-კატეგორიები კავკასიურ ენათა თავდაპირველი მოვლენა გამოდგა, მაშინ უნდა დავასკვნათ, რომ, ან ქართული კავკასიურ ენათა მოდგმას არ ეკუთვნის, ანდა უნდა დამტკიცდეს, რომ გრამატ. სქეს-კატეგორიები ოდესღაც ქართულსაც ჰქონდა, მაგრამ, დროთა განმავლობაში, თუ რაიმე მიზეზის გამო, ეს თვისება დაჰკარგვია.

ამნაირად, კავკასიაში მცხოვრებ ერთა ენობრივი ნათესაობის საკითხის გადასაწყვეტად უნდა წინასწარ გამოჩვენებული იყოს: 1. გრამატიკული სქეს-კატეგორიები ლილღურ-ლევგური ენების დასაწყისითგანი კუთვნილება იყო, თუ არა? 2. თუ დასაწყისითგანი თვისება იყო, ხინღურ ენათა ჯგუფსა და ქართულსაც სქეს კატეგორიები ჰქონია როდისმე, თუ არა?

თ ა ვ ი მ ე ო თ ხ ა

გრამატიკული სქეს-კატეგორიები ლილღურ-ლევგური ენების დასაწყისითგანი თვისება იყო, თუ არა?

ასეთი საკითხის გამოჩვენება ისეთ ენებში, რომელთაც მე-NIX ს. მეორე ნახევრამდე დამწერლობა არ გააჩნდათ, მეტად ძნელია და მხოლოდ სხვადასხვა წინასწარი კვლევა-ძიების შემდგომია მისი გადაწყვეტა შესაძლებელი.

უპირველესად უნდა გამოჩვენებული იყოს, თუ რამდენად ფართოდ და ღრმად არის ამ ენებში სქეს-კატეგორიები გავრცელებული, სახელდობრ, ამ საკითხის გამოჩვენების დროს ყველანაირ უწინარეს უნდა შემოდასახელებული სიტყვების, ვაჟიშვილისა და ძმის, ისევე როგორც ქალიშვილისა და დის სახელების გავრცელების არის ოდენობასა და სიღრმეს მიეჭტეს ყურადღება. ამ გარემოების ცოდნას იმ მხრით აქვს ჩვენთვის მნიშვნელობა, რამდენადაც ეს საშუალებას მოგვცემს სიტყვების ფესვგაღვამულობა გავიგოთ, რათგან ცხადია, რომ, თუ ასეთი სახელები ორიოდღე თემისა, თუ ენის საზღვრებს არ სცილდება, ხუთ სხეანაირი დასკვნის გამოყვანა შეიძლება, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ეს სიტყვები ფართოდ ასპარეზზე და მრავალი ენების კუთვნილება აღმოჩნდა.

¹ ამაზე იხ. ქვემოთ.

თუ საკითხის განხილვას ამ თვალსაზრისით შევხებით, შემდეგი ვითარება წარმოგვიდგება.

ძმას ეწოდება: ლუნძურად ვაც, გვლდენშტედტის ჩანაწერით-კი ჭაოს¹ (R. II 513), — ქარულად და ანწუხურად უაც (Uats: R. II 513), — ღუმუქურად უხაუ (ლაკ. ე. 361), — ქამალალურად ვაც, — ბოთლიხ., ლოდობერ., კარატ., ახვახ. ვაცხი. — ტინდალ. ჭაცხი, — ანდიურად ვოცხი, ყუანად. ვახს (ანდ.-დიდ. მას. 88) და უდურად ვიჩი (ალ. ე. 147).

ვაჟიშვილს ჰქვია: ლუნძურად ეხლა ვახა (ავარ. ე. 58). გვლდენშტედტის-კი ძმის ლუნძურ და ანწუხურ სახელად ტიმირ-ი (Timir. R. II., 513) აქვს ჩაწერილი, ქარულად ხიმირ-ს ეწოდებენო (იქვე), ბოთლიხ., ლოდობ., კარატ., ახვახ. და ყუანად. ვაჟიშვილს ვაშა, — ტინდალ. ვაშა, — ანდიურად ვოშო, — ყაფუჩ. ოჟო, — ხვარშ. უჟე და დიდ. უჟი (დირრი. ანდ.-დიდ. მას. 111).

კვრული, რუთული, ბუდუხ., წახურ., ჯეკური, უდური, აღული და არკ. ვაჟიშვილის სახელები ზემომოყვანილ სიტყვას არ უდგება (იხ. ალ. ე. 158) და მხოლოდ ხინალულურად ში ეწოდება (იქვე), რომელსაც, საფიქრებელია, თავიკიდური მარცვალი უნდა ჰქონდეს დაკარგული.

ხარს, კუროს ეწოდება: ბოთლიხ., ლოდობ. და კარატ. უნხა, — ანდ. უნხო. ახვახ. უნჩა (ანდ.-დიდ. მას. 88), — ლუნძურად ოცა (R. II, 315 და უსლარ. ავარ. ე. 144), — ქარულად ოც (Ots: R. II, 315), — ანწუხურად ოხ (იქვე) და ყაფუჩურად აგრეთვე ოხ (ანდ.-დიდ. მას. 88).

მამალს, საზარე ხბოს კი აღულურად ჰქვია ურჩ (ალ. ე. 166), ხოლო ხვად კვიცხ არკულად ური, წახურულად, უარწ და აღულურად იჭრა ეწოდება (იქვე, 161), რომელთაგან უკანასკნელი საფიქრებელია პირველი ორი ხმოვნის ადგილმონაცვლებით უნდა ჭირა-საგან იყოს წარმომდგარი.

თავისი სქესის თავსართიანი მდებარეობით სქესის არსებათა და ცხოველების სახელებს შორის შესაძლებელია აღნიშნული იყოს: 1. დის სახელი — ლუნძურად აახი (გვლდენშტედტის R. II, 513), რომელიც იმავე დროს ქალიშვილსაც ნიშნავდა (იქვე), უსლარის ცნობით-კი აახი ეხლა ქალიშვილსა და ქალწულსა ნიშნავს, ხოლო დახ ეწოდება ააც (ავარ. ე. 107).

გვლდენშტედტის ჩანაწერით ანწუხურად და ქარულად ქალიშვილს, ახულს ერქვა აახ (Jas: R. II 512), დახ-კი ჰიაც (Hiats: R. II, 512), ხოლო ქალწულს ეწოდებოდა აახსე (Jasse: R. II 514), რომელსაც ამავე ცნების გამოსახატავად, იმავე მეცნიერის ჩანაწერით, ქარ-ლუნსებიც ხმარობენ (იქვე).

ახულსა და ქალიშვილს ღუმუქურად ერქვა ღუმ (Duschi: R. II 521), რომელსაც ეხლაც ხმარობენ (ლაკ. ე. 267), — აკუშურად ღურხხი (Durssi: R. II, 521) ჰრქმევია. ორივე ზემომოყვანილი სიტყვა იმავე დროს ქალწულის აღმნიშვნელიც უოფილა (იქვე). დის ღუმუქურ სახელს-კი ხაუ (Su: R. II, 521 და უსლ. ლაკ. ე. 351) სქესის არავითარი თავსართი არ გააჩნია.

¹ შესაძლებელია აქ კორექტ. შეცდომა იყოს.

ამავე აგებულების სქესის თავსართიანი და ძირის სიტყვებია **ასულის**-**სახელები**: **კარაჭული**, **ლფელპურ**, და **ახვასურა**—**აშა** (ანდ.-დიდ. მას. 93), —**ყრანად**. —**აშ**, —**ანდიურა** **აოში** (Joschi: R. II, 521 და ანდ.-დიდ. მას. 93), —**ანდიურა** და **ბო-****თლასურა** **აეში** და **ცინდალურა** **ააშა** (ანდ.-დიდ. მას. 93) ისევე, როგორც **წასუ-****რული** **აიშშ-იც** (წახ. ე. 171 და აღ. ე. 165).

მდებრობითი სქესის ფორმანტიანებია აგრეთვე **რ-თავკიდურიანი ასულის**, **ქალიშვილის** **ვტრული** და **ალღურა** **რუშ**, —**ჯუჯურა** და **თანახარაშული** **რიშ**, — **ცინა-****ლღურა** **რიში** და **შეღურა** **რიე** (აღ. ე. 165).

მდებრ. ხქესის ფორმანტიანი ღის ხახელების ჯგუფიც საკმაოდ მრავალ-**რიცხოვანია**: **ბოთლახ**, **ლფელპურ**, **კარაჭ.**, **ახვას.** და **ცინდალურად** **ააცხი** ეწოდება (ანდ.-დიდ. მას. 109), —**ქაშალალ**. **ააც** (იქვე), —**ანდიურად** **აოძ** და **აოცხი** (R. II, 521 და ანდ.-დიდ. მას. 109), —**ყრანად** **აასხ** (ანდ.-დიდ. მას. 109) და **წახურულად** **აიჩი** (აღ. ე. 177).

რ-თავკიდურიან მდებრ. სქესის თავსართიანი სახელი გააჩნია **ღისა-****თვის** აგრეთვე **ბოთლურა**, **სადაც** **რიში** ეწოდება და **ხანაღღურასად**, **სადაც** **რიცხ-სა** ხმარობენ (აღ. ე. 167). **ბაჭულად** **ღ-თავკიდურიანი** და **რ-ბოლოკიდუ-****რიანი** ღორმა აოსებობს **დოშღურ** (იქვე, 167), **აქმურად-კი** მე-XVIII ს. **დუცო** (Dutsi) ყოფილა (R. II, 521).

ღელის სახელიც ხარბულში **ი-თავკიდურიანია**: **იშუ** (ანდ.-დიდ. მას. 99), ისევე როგორც **წახურულად** ეწოდება **აედ** (აღ. ე. 157). **ცოლხაც** **ქაშალალ-****ააჰი** ჰქვია (ანდ.-დიდ. მას. 93). **გვლდენშტედტი** ს ხანაწერიით, **ღედაკაცხაც** **ანდიურად** **აოშიკა** ჰრქმევი (Joschika: R. II, 521), **ებლა** **აოშკა-სა** და **აეშკა-ს** **ეძახიან** (ანდ. ე. 132 და 133).

დასასრულ, **ი-თავკიდურიანი სიტყვა** **კაკი ცბენის სახელიც**: **ანდიურა****იჩა** და **ქაშალალურა** **იშა** (ანდ.-დიდ. მას. 95).

ყველა შემომოყვანილითგან ჩანს, რომ **შამრ.** და **მდებრ. ხქესის აღმნიშვ-****ნელი** ის **მცირერიცხოვანი სახელები**, რომელთაც თავიანთი სქესის გამოჰ-**ხატველი თავსართები** აქვთ, **ფართოდ** და **ინტენსიურად** ყოფილა **გავრცელე-****ბული**. უკვე ეს **გარემოება თავისდა-თავად** სქეს-**კატეგორიების უცნობის** **ეჭვს** **საგრძნობლად ამცირებს**. მაგრამ, რა თქმა უნდა, რომ **მარტო** ამით ვერ **გადაწყდება** **საკითხი** **გრამ**, **სქეს-კატეგორიები** **ე. წ.** **კავკასიის** **ენების** **დასაწყი-****სითგანი** **თვისებაა**, **თუ არა**, **ამ პრობლემას ყოველ-მხრივ** **საუფუძლიანი** **შეს-****წიულა** **სკირდება**. **უნდა** **დამტკიცდეს**, **რომ** **გრამ**, **სქეს-კატეგორიის** **შქონებელი** **ისეთი** **სიტყვაში** **ამ ენებს** **მარტო** **ებლა-კი** **არაა**, **არამედ** **წინათაც** **და** **ძვე-****ლადვე** **შქონდათ**, **რათგან** **ახლად** **შეძენილი** **სიტყვაც** **შესაძლებელია** **ფართოდ** **იყოს** **გავრცელებული** **და** **ამა-თუ-იმ** **სიტყვის** **მარტო** **გავრცელების** **სიფართოვე** **სიძველის** **დამამტკიცებელ** **საბუთად** **ვერ** **გამოდგება**. **რაკი** **ე. წ.** **კავკასიურს** **ენებში**, **დამწერლობის** **უქონლობის** **გამო**, **ძველი** **ძეგლების** **და** **მიხედვით** **ამ** **სა-****კითხის** **გამორკვევა** **შეუძლებელია**, **ამიტომ** **უკეთესი** **იქნება**, **რომ** **სანამ** **სქეს-****კატეგორიების** **კავკასიის** **ენებში** **ყოველ-მხრივ** **შესწავლას** **შეუძლებოდათ**, **ჯერ** **გრამ**, **სქეს-კატეგორიების** **საკითხი** **ქართულში** **იქმნეს** **შესწავლილი**, **რომელსაც** **მრავალსაუკუნოვანი** **დამწერლობა** **ენაც** **აქვს** **და** **უხვი** **და** **საკმაოდ** **დიდ** **ასპე-**

რეზზე განთენილი მრავალფეროვანი დიალექტოლოგიური საგანძურიც მოეპოვე-
ბა. როგორც თავის ადგილას დაურწმუნდებით, ამის შემდგომ ე. წ. კავკასიის
ენებშიც ბევრი რამის გაგება და გამორკვევაც გაგვიადვილდება.

თ ა ვ ი მ ე ხ უ თ ე

გრამატიკული სქესის საკითხი ძველი ქართ. მთარგმნელებისა და მეცნიერთა ნაშრომებისდა მიხედვით

უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ისტორიულ ხანაში ქართულს გრამ. სქესი
არ უჩანს. მაგრამ საკულისხმოა გვცოდნოდან, აინტერესებდა, თუ არა, ეს პრობ-
ლემა ძველ ქართველ მეცნიერებს?

უკვე უძველეს ხანაში, როდესაც საღმრთო წერილის გადმოთარგმნას შეუ-
დგნენ, მთარგმნელთა წინაშე გრამატიკული სქესის საკითხი ქართულში უეჭველია
წამოიჭრებოდა. ხანმეტი ოთხთავის ჯერეთ წაკითხული ნაწყვეტებითგან ჩანს,
რომ პირველ მთარგმნელებს შეუგნიათ, რომ ქართულს გრამატიკული სქესი
არ გააჩნდა და ამიტომ მისი გადმოცემა თარგმნის დროს არც უცდიათ. მაგ-
რამ შემდეგი ხანის მთარგმნელებსა და შემსწორებლებს სხვადასხვანაირად
უმსჯელიათ და იქ, სადაც დაბადების ტექსტში მდებრობითი სქესის არსებაზეა
საუბარი, ზოგს შესატყვისი ქართული სიტყვისათვის მდებრობითი სქესის გამო-
სახატავად ა დაბოლოება დაურთავს და ასეთი ხელოვნური და ქართულისა-
თვის შეუფერებელი საშუალებით გრამატიკული სქესის შექმნა უცდია. ამისი
კვალი დაბადების თარგმნის ზოგს რედაქციაში ეხლაც არის შერჩენილი და
თავის დროს ასეთი ადგილები საბა ორბელიანსაცა და ანტონ კათა-
ლიკოზსაც შეუქმნევიათ და თავიანთი დაკვირვების ობიექტად გამოუყენე-
ლიათ.

ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში ის ცალკეული სახელებიც აქვს
მოყვანილი, რომელიც მამრობითი და მდებრობითი სქესისათვის იხმარებოდა,
და ამას გარდა ის საერთო სიტყვებიც, რომლებიც ორივე სქესისათვის არსე-
ბობდა, მაგრამ სქესის განსარჩევად ნხოლოდ დაბოლოება ეცვლებოდა. მაგ. კა-
ცი-ის ქვეშე მას ნათქვამი აქვს: „კაცი ზოგად უოელთა ეწოდების. ესე კაცი
განიყოფების მამაცად და დიაცად, რომელ არს მამაკაცი და დედაკაცი“. ხოლო
„რა მამაცსა დიაცი მიეთხოვოს, ეწოდების მამაცსა ქმარი და დიაცსა ცოლი,
ხოლო შობილთა მათთა შვილი. შვილსა მამალსა ძე და დედალსა ასული, რო-
მელთა სიბერეჲდე ძესა ვაჟი და ასულსა ქალი ეწოდების“. მაგრამ ამის შემ-
დგომ უკვე სქესის აღნიშვნელი ტერმინების თვისება იცვლება და ნათქვამია,
რომ „ვიდრე ხუთ წლამდე ვაჟსა ჩივლი და ქალსა ჩივლა ეწოდების, ხუთისა
წლით ვიდრე ათ წლამდე ვაჟსა უსუარი და ქალსა უსუარა, ათის წელითგან
ათხუთმეტამდე ვაჟსა ნინველი და ქალსა ნინველა, ათხუთმეტის წელითგან
ვიდრე ოცამდე ვაჟსა ყრმა და ქალსა ყრმაჲ, ოცის წელითგან ვიდრე ოცდა-

ათამდე ვაქსა **ქაბუკი** და ქალსა **ქაბუკა** და შემდგომად სრული კაცი ვიდრე ორმეოცდაათამდე და შემდგომად ეწოდების ვაქსა **მოხუცებული** და ქალსა **მოხუცებულა**“-ო (ლექსიკ.).

ამის მსგავსი ცნობებივე გვხვდება საბაას ლექსიკონში დედუფლის ქვეშე მოთავსებულ განმარტებაშიც. იქ სახელდობრ სწერია: „დედუფალი ეწოდების ყოელთა მდიდართა სახლისუფალსა მის ცოლსა, ხოლო მეფის ცოლსა მეფა და უფლის ცოლსა უფალა, ხოლო დუკა, რომელ არს დიდი თავადი, მის ცოლსა დიუფალი და ერისთვის ცოლსა ბეჭა, სხვათა მებატონეთა ცოლსა ბატონა. გლებთა დიაკთა პატივისათვის უწოდენ უსოს“-ო.

ზემომოყვანილი სიტყვები საბაას დაბადების ქართ. თარგმანითგან აქვს ამოღებული. ამის დასამტკიცებლად თუნდაც შემდეგი მაგალითის მოყვანაც შეიძლება. ესაჲას 24₂-ში, ბაქარის გამოცემით, ნათქვამია: „იყოს ერი, ვითარცა მღვდელი, და ყრმა, ვითარცა უფალი, და მკევალი, ვითარცა უფალა“-ო. ამნაირად აქ მართლაც უფალი-ც არის ნახმარი და უფალა-ც. პირველი ამათგანი უდრის ბერძნულს *ὁ ἄρχιεπίσκοπος* ს. მეორე, უფალა-კი, *ὁ ἀρχιεπίσκοπος* ს. ე. ი. ქალბატონს. მდებარ. სქესის გამომხატველად აქ ა დაბოლოებაა.

საკმარისია აღამიანმა ის ადგილები, სადაც მდებარ. სქესის ასეთი დაბოლოებიანი სიტყვებია ნახმარი, გულდასმით გადაიკითხოს და ამ თარგმანების ენის დამახასიათებელ თვისებებს ჩაუყვირდეს, რომ დარწმუნდეს, თუ რამდენად მიაგავს იგი იმ სამწერლობო მიმართულების ენას, რომლის მნიშვნელოვან წარმომადგენლადაც იოანე პეტრიწი ითვლებოდა: მეფა, უფალა, ნინველა და სხვაც ამის მსგავსიც სწორედ ამ მე-XI ს. დამოლევის და მე-XII ს. ქართ. მეცნიერთა ნასიბრძნს და ხელოვნურ შენაქმნს წარმოადგენს. დაბადების აშკის მე-X ს. ხელნაწერში არაფერი ამის მსგავსი არ არის. ამიტომ ასეთ სიტყვებს გრამ. სქესის ძველ ქართულში არსებობის საკითხის გამოსარკვევად არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

ამაზე გაცილებით უფრო საგულისხმოა ის, რაც ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში სიტყვა მანა-ს ქვეშე განმარტების ბოლო ნაწილში ნათქვამი აქვს: „უკეთუ ვსთქუათ **«მოვიდა»**, ვიტყვით **მამაკაცისასა** და უკეთუ ვსთქუათ **«მოვიდა»**,—**დედაკაცისათვის**. აგრეთვე ყოველი საზოგადო სათქმელნი განიყოფებიანო“ (4₂₁, მსაჯულთა)-ო (ლექს. გვ. 168).

ამ მაგალითითგან ჩანს, რომ საბაას დაკვირვებით, ბოლოკიდური **ა** მდებარობითი სქესის აღმნიშვნელია. მაგრამ თავისი დებულების სიმართლის დამამტკიცებელ საბუთად საბა ორბელიანისაგან დასახელებულ ადგილას მსაჯულთა 4₂₁-ში ნათქვამია: „მოილო იაილ, ცოლმან ქაგებისმან. მანაჲ კარვისა და აღილო კუედაჲ კელთა თვისთა და შევიდა მისა მდუმრიად და დაახვაჲ მანაჲ იგი ყურიმალსა მისსა და დამსქვალა იგი ქუეყანასა“. თუმცა აქ მართლაც მანაჲ გვხვდება და დედაკაცის შესახებ ნახმარ ზმნას დაახვაჲ ბოლოკიდური **ა** ახლავს, მაგრამ ზმნა „მოვიდაჲ“ ამ წინადადებაში არ გვხვდება. ამიტომ მაგალითად მოყვანილი „მოვიდაჲ“, ან თვით საბაას ნაწარმოები უნდა იყოს, ანდა, მისგან დასახელებულ ადგილს გარდა, სხვა ადგილებიც უნდა ჰქონოდა.

ს. ორბელიანისაგან დამოწმებული მსაჯულთა წიგნის ზემომოყვანილი წინადადებითგან მაინც არა ჩანს, ზმნის ბოლოკიდური **ა** მართლაც დედაკაცის სახელის გამოშხატველია, თუ **მანას** სახელთან არის დაკავშირებული („დაასვაჲ მანაჲ“)? მაგრამ თავისდა-თავად სახელოვანი ლექსიკოგრაფის ეს დაკვირვება მაინც საყურადღებოა.

ძველ ქართულ ძეგლებში გვხვდება ისეთი ადგილები, სადაც ბოლოსართი **ა** ზმნაში თითქოს მართლაც მდებარეობს. სქესის გამოშხატველი უნდა იყოს. მაგალითად შესაძლებელია წა ნინოს უძველესი ცხორების ტექსტი იქმნეს დასახელებული.

ამ ძეგლში წა ნინო ამბობს: „გამოვინცჷმ ნიში იგი ქრისტეს ჯუარისაჲ და ვილოცევედი მუნ ექუს დღს (შატბერდ. წ. ნინოს ცა: Опис. II, 755).

„მიწაჲ აღილე ადგილისა მისგან და შეაკამც კაცთა მაგათ (იქვე II, 757). ნინოსვე ნათქვამი აქვს: სისშარი ვიხილც ჩუენებასა შინა მცირედსა მას მირულებასა“-ო (იქვე II, 757).

„ვიხილც ასულმან აბიათარისმან ხიდონია წა ნინოჲ“ (წა ნინოს შატბერდ. ცა, Опис. II, 767).

ყველა ზემომოყვანილ წინადადებებში მოსაუბრე დედაკაცია და ზმნას **ა** ბოლოსართი ახლავს. ისე რომ შესაძლებელია გვეფიქრა, რომ საბას დაკვირვება მცდარი არ არის, მაგრამ საქმე ის არის, რომ, ჯერ ერთი, ეს წესი მოყვანილ მაგალითებშიც ყველგან დაცული არ არის, ხოლო მეორე დამაფიქრებელი გარემოება ის ვახლავთ, რომ **ა** ბოლოსართი შესაძლებელია სუბიექტთან, დედაკაცის სახელთან-კი არ იყოს დაკავშირებული, არამედ ობიექტის აღმნიშვნელი იყოს („გამოვინცი შეჲ „ნიში“, „მიწაჲ... შეაკამეჲ“, „ვიხილეჲ... ნინოჲ“). ზემომოყვანილ წინადადებებში-კი ობიექტი ყველგან მდებარეობს. სქესისა არ არის და, თუ **ა** ბოლოსართი მართლაც ობიექტის გამოშხატველია, მაშინ **ა** სქესთან არ ყოფილა დაკავშირებული.

საქმის ნამდვილი ვითარების გამოსარკვევად, ს. ორბელიანის დაკვირვებას გულდასმითი შემოწმება სჭირდება ძველი. ნუსხა-დენდის სახით დაცული ძეგლების ენის მიხედვით. ამჟამად -კი შესაძლებელია ითქვას მხოლოდ, რომ ქართ. ლექსიკოგრაფის ეს დებულება შერწინდელ მკვლევართ, ან გამოკვარვიანთ, ან უარუყვიათ. ჯერჯერობით, სანამ ეს საკითხი მონოგრაფიულად შესწავლილი არ იქმნება, მასზე დანყარება არც ესლა შეიძლება.

ზურ. შანშოვანსა და ანტონ კათალიკოზს გრამატიკული სქესის აღმნიშვნელ ტერმინად **ნათმსპვი** აქვთ მიღებული. ზურაბ შანშოვანს თავის 1737 წ. შედგენილ „მოკლე ღრამატიკა“-ში ნათქვამი აქვს, რომ ქართულს გააჩნია „ნათესავი ოთხი: სამამაო, სადედაო, ზიარი და არავინი“-თითოეული ამ ოთხი სქესთაგანის თითო-თითო მაგალითიც არის იქვე მოყვანილი: „სამამაო, ვითარცა წული, — სადედაო, ვითარცა ასული, — ზიარი, ვითარცა შვილი, — არვინა, ვითარცა ქვა“-ო („მოკლე ღრამატიკა ქართულისა ენისა“, გამოც. აღ. ცაგარელისა, პეტერბ. 1881 წ. გვ. 10).

ანტონ კათალიკოზის სიტყვით-კი ქართულში „სახელი (იგულისხმება არსებითი), ენისაგებ ჩუენისა, ანუ არს მამრობითი, ანუ მდედრობითი.

ანუ უმეშუეთობათი და ანუ საზოგადო“. იქვე განმარტებულია, რომ მამრობითი ისეთი სიტყვის სქესს ეწოდება, „თუ სადაჲ დანიშნული იგი მის მიერ იყოსმცა მამრი, მაგალითებრ: მამა, პაპა, მღუდელი, წული, სიმამრი, მამამთილი, ძმა, ხარი, ვაცი, ვერძი, ყრმა, უფალი, მეფე, ჭაბუკი, ხუადი და სხუანი“. ხოლო, თუ სიტყვა მდედრობითი ბუნების არსებათა სახელი იყო, „თუ სადაჲ იყოსმცა მდედურ, მაშინ ზედწოდებულ მდედრობითი, მაგალითებრ: დედა, ჰანი, სიდედრი, სძალი, ყრმაა (sic), უფალა, მეფა, ჭაბუკა, ძური (sic), ნეზვ, ძუა და სხუანი“-ო.

როდესაც ამა-თუ-იმ სიტყვით „არა მამრ დაინიშნოდესმცა და არცაღა მდედურ, მაშინ წოდებულ ესე — გუარი უმეშუეთობითად, მაგალითებრ: ქუა, სვეკალი, ხანლი, პალატი და სხუანი“.

დასასრულ, როდესაც სიტყვა „დაინიშნოდესმცა ორ მნიშვნელობით, ესე იგი მამრისა მიმართცა და მდედრისა, მაშინ ნათესავობითი ესე წოდებულ საზოგადოდ, მაგალითებრ: კაცი, მშობელი, შვილი, ცბენი, ზროხა, ირემი, ფარშამანგი, ტრელი, კიცკ, მართუშ, ლეკვ, მძსწავლული, ქალწული და სხუანი“-ო. (ქართ. ღრამატიკა რ. ერისთავის 1885 წ. გამოც. გვ. 127—128, § 185).

ცხადია, რომ ყველა ზემომოყვანილი მაგალითების მიხედვით შესაძლებელია საუბარი მხოლოდ რეალურ სქესზე იყოს, რათგან გრამატიკული სქესი არც ერთს მათგანს არ გააჩნია. ეს გარემოება თვით ანტონ კათალიკოზსაც არ გამოჰპარვია. მას ეს თვითონაც აქვს ხაზგასმით აღნიშნული. თავისი გრამატიკის მომდევნო, 186-ე §-ში ნათქვამი აქვს კიდევაც: „არა რაჲმე აქუს ნიშანი ჩუენისამებრ ენისა სახელსა არსებითსა მამრობითად თქმულსა და არცაღა მდედრობითად თქმულსა“-ო და მხოლოდ „ზედ-შესრულთა სახელთა მდედრობითად აქუს რომელთამე დამაბოლოებელი ა, მაგალითებრ: ჭაბუკა (რუთ. 2₁), უფალა (24₂), მეფა (იერემ. 44, 17), წინასწარ-მეტყუელა (ისაი. 31, ყრმაა (იერემ. 34₁), ძუელს დაბეჭდილს საწინასწარმეტყუელოსა შინა ა: ებრაელა (იერემ. იგივე თავი, რიცხვ 3), მოაბელა (ისაია 15₁). მაშასადამე კოველსა ზედშესრულსა სახელსა მდედრისა ქრემდებარისა მიმართ მოღებულსა უმესაჲმამების მდედრობითი“-ო (ქართ. ღრამ. გვ. 128).

საბბას თავის ლექსიკონში მეფა ფორმისათვის დამოწმებული აქვს 44₁ იერემია, უფალა ფორმისთვის ესაიას 24₂, ყრმაა-სთვის 34₁ იერემია, წინასწარმეტყუელა-სთვის 4₁ მსაჯ. და ჭაბუკა-სთვის 2₁ რუთ. ხოლო ანტონი კათალიკოზის მიერ ძველი დაბეჭდილი საწინასწარმეტყუელოთგან ამოღებული მაგალითები ებრაელა და მოაბელა სრულებით არ მოეპოვება. ეს გარემოება ცხად-ბყოფს, რომ გრამატიკული სქესის ქართულში არსებობის საკითხის გამოსარკვევად ანტონ კათალიკოზს, ს. ორბელიანისაგან დამოწმებულ წყაროებს გარდა, მეგლებში მასალები თვითონაც უძებნია.

ამგვარად შესაძლებელია ითქვას, რომ მე-XII ს. ქართველ მეცნიერთა ერთი ჯგუფის გარდა, რომელნიც გრამ. სქესის ხელოვნურად შექმნა სცადა, ყველასთვის ცხადი იყო, რომ ქართულს გრამ. სქესი არ გააჩნდა. ს. ორბელიანს და ანტონი კათალიკოზს ეს ნასიბრძნი, ხელოვნური წარმოება შეცდომით ძველად მიუჩნევიათ და ნაწილობრივ ამ მაგალითებს დაჰმყარებინან, მაგრამ

არც ერთს მათგანს ამ მაგალითებზე დამყარებული დაკვირვება ქართული ენის ზოგად მოვლენად არ მიუჩნევა. ანტონ კათალიკოზს, როგორც დავრწმუნდით, სრულებით მკაფიოდ ჰქონდა შეგნებული, რომ ქართულს გრამ. სქესი არ გააჩნია.

თ ა ვ ი მ ე ე მ ვ ს ე

გრამატიკ. სქესის ქართულში არსებობის საკითხი თანამედროვე სამეცნიერო მწერლობაში

მე-XIX—XX სს. სამეცნიერო მწერლობაშიც ქართული უსქესო ენად არის ცნობილი. მხოლოდ პროფ. ნ. მარჩია გამოსთქვა მოსაზრება, რომ, თუმცა ისტორიულ ხანაში სამწერლობო ქართულს, ქანურს, მეგრულსა და სვანურს გრამ. სქესი არ უჩანს, მაგრამ წინათ უნდა ჰქონოდაო. ეს დებულება მან თავის 1908 წელს გამოსულს ნაშრომს „ძირითად ტაბულებ“-ში წამოაყენა. იქ სახელდობრ ნათქვამია, რომ ქართული ენის დაკვირვებული შესწავლა გრამატიკული სქესის ოდესღაც აქაც არსებობას ცხად ჰყოფს. მეტადრე მდედრობითი სქესის სუფიქსია მრავალსახით გაქვეავებულია შენახულიო. ამგვარ სუფიქსად მან ნაწილაკები — ატ, ეტ, აღ, ეღ, აღ, ელ, ათ, ეთ, აკ, ეკ, აგ, ეგ, ავ, ევ, აქ, ექ და თვით „ა“ და „ე“-ც გამოაცხადა. მდედრობითი სქესის ბოლოსართებად ქანურში ოღ > უღ > ურ და ბოლომოკვეცილი ო > უ აღიარა (იხ. მისი ქანური გრამ. § 5).

მართალია, აქ კილოკავებიც არის ნავარაუდები, მაგრამ თითქოს მეტისმეტად სიუხვეა. „ეთ“-ის მდედრობითი სქესის წიშნად მიჩნევა იმაზე იყო დამყარებული, რომ სემურ ენებში ამ მარჯვალს მართლაც ამგვარი მნიშვნელობა და დანიშნულება აქვს. ქართულისა და სემურ ენათა ნათესაობა-კი პროფ. ნ. მარჩის იმ ხანაში უცილობელ და ურყევ ქეშმარიტებად მიაჩნდა.

არავითარი საბუთი, რომელიც შემომოყვანილი ბოლოსართების მდედ. სქესის ფორმანტობას ამტკიცებდეს, ნ. მარჩის დასახელებული არ ჰქონდა, იმას გარდა, რომ შესატყვისს, თუ შესატყვისად მიჩნეულს, სემურ სიტყვებს მდედრ. სქესის დაბოლოება აქვთ.

¹ „По более интимном озвучиванию с реалиями груз. речи однако оказывается, что в ней сохранился в качестве мертвого уже инвентаря СУФФИКС ЖЕНСКОГО РОДА, богато представленный в целом ряде диалектических разновидностей притом как в полной форме, то сильной $\left(\frac{at}{et} > \frac{ad}{ed} \left[\frac{al}{el} \right] > \frac{at}{et} \text{ и т. п.} \right)$, то слабой $\left(\frac{ak}{ek} > \frac{ag}{eg} \left[\frac{aw}{ew} \right] > \frac{aq}{eq} \text{ и т. п.} \right)$, так и в усеченной $\left(\frac{a}{e}\right)$ (Н. Марр, Основные таблицы в грам. древ.-груз. языка. 1908 წ. გვ. 8 შვ. 1.).

ამგვარად, ბაბუა და ბებია „ავარულობის“ ერთად-ერთ დამამტკიცებელ საბუთად ის დებულეება, რომ უა „ავარული“ მამრობითი სქესის ნიშანიაო, ხოლო ია მდედრობითისა.

მაგრამ, როგორ შეიძლება ქართულში ია მდედრობითი სქესის ნიშანი იყოს, როდესაც მამრობითი სქესის პირთა აღმნიშვნელ მრავალ ტერმინსა და საკუთარ სახელებსაც სწორედ ესეთივე ბოლოსართი აქვთ: მაშინ ხომ ძაშია-ც, მამია, ხმხია, ძულია, ძუღია და სხვაც მრავალი მდედრობითი სქესის არსებობა სახელები უნდა ყოფილიყო და ქალების სახელებად უნდა მიგვეჩნია!

თავი და თავი-კი ის ვარემოება გახლავთ, რომ, თუ აკ. ნ. მარჩის დავუჯერეთ და ბაბუა და ბებია მართლაც ლუნძურ („ავარულ“) სიტყვებად მივიჩნიეთ, მაშინ ამ ორ მაგალითს, ვითარცა ნახსენებ მარაგ², გოიმატიკული სქესის ქართულში ოდესღაც არსებობის დასამტკიცებლად კოფელჯვარი მნიშვნელობა ეკარგება. ყველა ხეშოალნიშნულის გამო ცხადია, რომ აკად. ნ. მარჩის ეს დებულება საქმის ნამდვილ ვითარებას არ შეესაბამება.

საფიქრებელია, რომ ზემოვანხილულ დებულებებს შემდეგში არც თვით აკად. ნ. მარჩი-ღა იცავდა. ამას ის ვარემოება ვვაფიქრებინებს, რომ 1925 წ. გამოტყვეყნებულ ზოგადს ნაშრომში „Грамматика древне-литературного грузинского языка“ „ქართული ძველი სამწერლობო ენის გრამატიკა“-ში გრამ. სქესის შესახებ უკვე აღარაფერია ნათქვამი.

პროფ. ნ. მარჩის ქანური გრამატიკის მსგავსად, პროფ. იოს. ყიფშიძემაც ალ. არ. ოლ. ულ. ურ. ა და უ მდედრ. სქესის ნაშთად სცნო. მაგრამ მას აღნიშნული აქვს, რომ თანამედროვე მეგრულში ამ ბოლოსართებს სქესთან საერთო არა აქვს რა. სამაგიეროდ მას შემჩნეული აქვს ერთი მოვლენა, რომ მეგრულად რამოდენიმე ერთიდაიგივე სახელი არსებობს, რომელნიც მამაკაცისთვისაც და ქალისთვისაც იხმარება, იმ განსხვავებით, რომ სიტყვის შუაში, ანდა ბოლოში მამაკაცის სახელს უ ხმოვანი, ხოლო დედაკაცისას ა ხმოვანი აქვს. ამ დებულების საბუთად მოყვანილია ძუქუ და ბურღლუ, რომელნიც მამაკაცის სახელებია, და დედაკაცის სახელებია ძუქუ და ბურღლუ (იხ. მეგრ. გრამ. გვ. 015 § 9. შენ. 1).

პროფ. იოს. ყიფშიძის ამ საგულისხმო დაკვირვების დამაჯერებლობა უცილობელი იქმნებოდა, მხოლოდ თითო მაგალითი რომ არ ყოფილიყო მოყვანილი. ერთ შემთხვევაზე დამყარება ასეთი მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტის დროს, როგორიც გრამ. სქესის არსებობა-უქონლობაა, რასაკვირველია, არ შეიძლება. ამასთანავე, თუ უ როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, გარკვეულ ხანასა და პირობებში მამრ. სქესის ნიშნადაც გვხვდება, არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ა ქართულში ოდესმე მდედრ. სქესის ნიშანი ყოფილიყო.

გრამ. სქესის ქართულში არსებობის შესახები თეორიების ზემომოყვანილი მიმოხილვა დაარწმუნებდა ადამიანს, რომ ეს მნიშვნელოვანი საკითხი არავის მონოგრაფიულად და არსებითად არ შეუსწავლია, არამედ სემურ ენებთან ნათესაობის დებულების დამაჯერებლობისათვის იყო ერთ-ერთ საბუთთაგანად-

წამოყენებული. ამიტომ გასაკვირველი არ არის, რომ, ვითარცა შემთხვევით წამოკრილს, ამ საკითხს ჯეროვანი ყურადღება არ ჰქონია მიპყრობილი და ამ თეორიების ავტორები ამ საკითხს სასხვათაშორისო საკითხის მსგავსად ებურობოდნენ. ასეთ პირობებში ამ დებულებათა მცდარობაც, რა თქმა უნდა, სრულებით პუნებრივია¹.

თ ა ვ ი მ ე შ ვ ი ლ ე

გრამ. სქეს-კატეგორიების ქართულში ოდინდელი არსებობის მიზეზის მნიშვნელობისა და მეთოდისათვის

ზემომოყვანილი ყველა ცნობებისა და თეორიების მცდარობისდა მიუხედავად, საკითხი ქართულში გრამატიკული სქესის არსებობის შესახებ უალრესად მნიშვნელოვანია თავისდა-თავადაც და მეტადრე ქართულისა და კავკასიური ენების ნათესაობის პრობლემის თვალსაზრისით. შესაძლებელია გადაჭრით ითქვას, რომ ჯერეთ ცნობილი ძეგლების ენის მიხედვით ქართულს ძველ ხანაშიც გრამატიკული სქესი არ ჰქონია. მაგრამ ქართ. დანწერლობის ძეგლები ქ. შ. მე-V ხ-ზე უწინარესი ჯერ-ჯერობით არ მოგვეპოვება და ამის გამო ზემოაღნიშნული დასკვნა უფლებას არ გვაძლევს გადავწყვიტოთ, გრამატიკული სქესის უქონლობა ქართული ენის დასაწყისითგანი თვისება იყო, თუ, სხვა არაერთ ენასავით, ქართულსაც სქესი დროთა განმავლობაში დაუკარგავს. ხოლო, რაკი ქართულისა და სხვ. მოდგომის ენათა ოჯახთან, მათ შორის კავკასიურ ენებთან, მონათესავეობის პრობლემის საბოლოოდ გადასაწყვეტად ამას უალრესი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ ამ საკითხს უძველესი ქართულის შესახებაც კვლავ განხილვა სჭირდება. მაგრამ, დასახული მიზნის შეძლებისათვის შეუძლებლად მისაღწევად, შემთხვევითი მაგალითების მაგიერ, ამ ამოცანის გადასაწყვეტადაც უნდა იმავე მეთოდით ვიხელმძღვანელოთ და ლექსიკური მასალების იმავე დარგებით ვისარგებლოთ, რომელთა გამოყენებითაც, როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ენის თავდაპირველი აგებულების გამოარკვევა ყველაზე უკეთესად შეიძლება. დაკვირვებისა და ანალიზის საგნად უნდა ქართულშიც უპირველესად აღამიანთა და ცხოველთა შორის ნათესაური დამოკიდებულებებისა და სქესის აღმნიშვნელი სიტყვები გავიხადოთ.

¹ კოლფ. კარპეზ დონდუას 1933 წ. გამოქვეყნებულს ნაშრომში „О двух сущностях множественности в грузинском“ („Язык и мышление“ 1, Ленинград) წამოყენებული აქვს დებულება, რომ მრ. რ. ფორმანტები ნ და ბ ფუნქციურად განსხვავდებოდნენ. საგულესმოდ ნაკვლევი, მაგრამ სქესის ამოცანის გადასაჭრელად, მრ. რ.-ის საფუძვლად მიღება უელსაყრელი არ არის.

თ ა ვ ი მ ე რ ვ ე

სქესისა და ცნებათა კატეგორიების აღნიშვნის სხვადასხვა წესი ქართულში

ჰქონდა, თუ არა, თავდაპირველად ქართულსაც გრამ. სქესი ისევე, როგორც ინდოევროპულ და სემურ ენათა ოჯახებს ჰქონდათ და ეხლაც აქვთ, ანდა გააჩნდა, თუ არა, სქეს-კატეგორიები იმნაირად, როგორც ლილურსა და დალისტნის ლეგურ ენათა უმრავლესობას მოეხოვება. ამ საკითხის გამოსარკვევად უპირველესად უნდა ძველი და თანამედროვე სამწერლობო ქართულში და მეგრულ-ჭანურ-სვანურში სქესისა, თუ ცნებათა კატეგორიების აღნიშვნის ყოველნაირი წესი გვექონდეს გულდასმით შესწავლილი. ეს ჩვენ საშუალებას მოგვცემს გავიგოთ, ემჩნეოდა, თუ არა, ისტორიულ ხანაში სამწერლობო ქართულსა და ქართველურ ენებს გრამ. სქესისა, ანდა ცნებათა კატეგორიების ოდინდელი არსებობის რაიმე კვალი.

§ 1. ქართულში ცნებათა კატეგორიების ოდინდელი არსებობის კვალი

თუ აღამიანი ჩაუკვირდება, ყველაზე ადვილი შესამჩნევი ქართული ენის ერთი საგულისხმო მოვლენაა, რომელიც უძველესი ხანის ძეგლებშიცა და თანამედროვე საუბარშიც გვხვდება.

ქართულს სახელდობრ ის თავისებური მოვლენა ახასიათებს, რომ ის ერთისადაიმავე მოქმედების გამოსახატავად სხვადასხვა ზმნებსა ხმარობს. მაგ. ჩვენ ვამბობთ: ქვის, პურის, ბურთის აღებ, ხოლო ბაშვის, ავადყოფის, კურდღლის, ქათმის აშვან.

წიგნის, კოვზის, ხურის, საღვინის, შანდლის დაღებ, ან დაღვმ, ხოლო ბაშვის, მგზავრის, სტუმრის დასმ.

ზემოთაყვანილ მაგალითებში ის გარემოებაა საგულისხმო და განსაკუთრებული ყურადღების ღირსი, რომ ასეთი თავისებურება მარტო თანამედროვე ქართულს-კი არა აქვს, არამედ უუძველეს ჯერეთ ცნობილ ძეგლებშიც გვხვდება და ჩვეულებრივ ასე გამოითქმის ხოლმე. მაგ. შესაძლებელია თუნდა მე-1 ს. აგტორის, იაკობ ხუცესის, თხზულება იკმნეს დასახელებული, რომელშიც ნათქვამია: ვარსკენ ქართლისა პიტიახშა „ბრძანა (შუშანიკის) სენაკსა ერთსა შეყვანებაჲ“ (თავი VI, გვ. 8₂₁₋₂₂). პიტიახშის ძმამ „თანა-წარყვანა ცოლი და შვილნი და მონა-მკვევალნი მისნი“-ო (თავი XVI, გვ. 18₂₇₋₂₈). შუშანიკსაც თავისი კმრისათვის შეუთვლია: „ვერცა ჩემდა შემძლებელ ხარ განყვანებად“-ო (თავი XIV, გვ. 16₁₁).

ამნაირად ცოცხალი სულიერი არსების შესახებ ითქმოდა შეყვანებაჲ, განყვანებაჲ, თანა წარყვანაჲ, უსულოზე და მკვდარზე ამ ზმნის ხმარება არ

შეიძლებოდა. ამიტომაც არის, რომ იაკობ ხუცესისავე სიტყვით, ქართლისა პირიანხს ციხეში დამწყვდეული ცოლისა, შუშანიკისათვის უთქვამს: „ცოცხალი არღარა გამოსლვად ხარ, გარნა ოთხთა გამოგიღონ“ მკვდარიო (თავი IX, გვ. 12₂₁₋₂₁). შემდეგ იგივე იაკობ ხუცესი მოგვითხრობს, რომ, როდესაც შუშანიკი მართლაც გარდაიცვალა, „ადვიხუენით ძუალნი (იგულისხმება: გვამი) და გამოვიხუენით ეკლესიასა“-ო (თავი XIX, გვ. 22₁₇₋₁₈). მაშასადამე, მკვდარზე და უსულო საგანზე გამოდება, ანდა გამოხუმაე, გინდა ალხუმაე ითქმოდა ხოლმე. ასეთი მაგალითების მოყვანა სხვა ძეგლებითგანაც ბლომად შეიძლებოდა, მაგრამ ვგონებ ესეც სრულებით საკმარისი უნდა იყოს.

ყველა ასეთ შემთხვევებში ქართულში სულიერ არსებათათვის ერთი ზმნა იხმარება, უსულო საგნებისა და ნივთებისათვის-კი უეჭველად სხვა ზმნაა ხოლმე გამოყენებული. სხვა ენებში-კი ასეთ შემთხვევებში მოქმედება ერთიდა-იმავე ზმნით გამოითქმის. ქართული ზმნის ხმარების ეს წესი, მაშასადამე, მხოლოდ მოქმედების ობიექტის ბუნებაზეა დამოკიდებული, სულიერი არსებაა, თუ უსულო საგანია ობიექტად.

ცხადია, რომ აქ ქართულში სულიერ არსებათა და უსულო საგნების კატეგორიების განჩევა გვაქვს, სახელდობრ, ამ განჩევის კვალი-დაა მხოლოდ დაცული, რათგან ამ კატეგორიების აღსანიშნავად, ლილღურ-ლეგურის მსგავსად. ქართულს არავითარი ბგერითი ფორმანტები არ მოეპოვება. მაგრამ საფიქრებელია, რომ ეს თავისებური მოვლენა ქართულ ენაში სწორედ წინათ არსებული სულიერ-უსულო არსებათა სქეს-კატეგორიების ნიშნების დაკარგვის შემდგომ კომპენსატორული პროცესის წარმონაშობი უნდა იყოს.

§ 2. სქესის აღნიშვნის ორგვარი წესი

ადამიანთა და ცხოველების სქესის აღსანიშნავად ერთი მხრით ისეთი ცალკეული სიტყვები არსებობს, რომელნიც მამრ., თუ მდედრ. სქესს ზოგადად გამოიხატავენ და რომელთაც ერთმანეთთან საერთო არა აქვთ რა და ამიტომ სქესის განმასხვავებელი რაიმე ფორმანტი არც მოეპოვებათ. მაგ. მამაკაცი და დედაკაცი, ანდა, როგორც ძველ ძეგლებში გვხვდება, მამანი და დედანი (იხ. იაკობ ხუცესის წმნა წმნესი, თავი IX, გვ. 12₁₇). დედაკაცის შერწყმული ფორმაც, დიაცნი-ც არსებობს. მამალი და დედალი, ხუაღი და ძუ, კურო და ახდა, მამრ. სქესისა.—ხოლო მამი, ანდა ვრდაღი, თუ მკდაღი მდედრ. სქესის ცხოველებისათვის არის.

ხუაღი ძველად მარტო ცხენის, ვირისა და ლომია მამრ. სქესის აღსანიშნავად-კი არ იხმარებოდა, არამედ კანჯრისათვისაც, იმასთანავე კვიციის სქესის განსაზღვრის დროსაც. „სახისმეტყველ“-ში მაგ. ნათქვამია: „სახისმეტყველმან თქუა კანჯრისათვს... რაჲემს ზვან ხუადი კიცვ. მამამან დაუცოხნის საურვალნი და უქმ ქმნის“-ო (TP VI, გვ. 15). ხუაღი ძიცვ სომხ. *արու մարուկ* არუ მტრუკ-ს უდრის.

მეორე მხრით ადამიანთა და ცხოველთა სქესის აღსანიშნავად ძველსა და ნაწილობრივ თანამედროვე ქართულსაც მოეპოვება სიტყვათა მთელი ჯგუფები,

რომელთაც, თუ აღამიანი ჩაუკვირდა, შესაძლებელია ერთი საგულისხმო დამა-
ზასიათებელი თვისება შეამჩნიოს.

რა თქმა უნდა, ყველაზე საყურადღებო სწორედ ეს საერთო თვისების
მქონებული სქესის სიტყვათა ჯგუფებია და ამიტომ უპირველესად მათ განხილ-
ვას უნდა შევუდგეთ.

თ ა შ ი შ ე ც ხ რ ე

აღამიანთა და ქსოველთა მამრ. სქესის აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფი

1. აღამიანის მამრობითი სქესის აღსანიშნავად ქართველს ჰქონდა **ვაში-**
საბა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ნათქვამი აქვს: „**ვაში—წული, კაცთან ნახე** (1 მეფ. 30¹¹)“-ო.
მის მიერ დასახელებულ დაბადების ადგილას მაქარისეულ გამოცემაში-კი „ვაეი“
არ არის, არამედ იქ სწერია: „არა დაშთა მათი შკირითგან ვიდრე დიდადმდე,
ნატყუენევისაგან ვიდრე ძედმდე და ასულადმდე“. სახელოვანი ქართველი ლექ-
სიკოგრაფის შემომოყვანილი ცნობისდა მიხედვით საფიქრებელია, რომ მას და-
ბადების ისეთი რედაქცია ჰქონია ხელთ, რომელშიც ამ ადგილას „ვადადმდე და
ასულადმდე“ წერებულა. მართლაც ეს სიტყვა ამ ადგილას მცხეთის საპატრიარქო
წიგნოსაცავის დაბადებაში გვხვდება (იხ. საქ. მუხ. ხ. A № 51). მაშასადამე, ვაში
ქართული მწერლობის უკვე ძველი ხანის სიტყვათა საგანძურის კუთვნილება
ყოფილა.

ვაში, ვითარცა მამრ. სქესის შვილი, ქალთან დაპირისპირებული, აღბუ-
ღას კანონებშიც გვხვდება. იქ სახელობრ ნათქვამია: „თუ ღიაცი... მოკუდეს,
თუ ქალი დარჩეს“, დედის მზითვის ნახევარი „მას მართებს“-ო, ხოლო „თუ ვა-
შიცა დარჩეს, აბჯარი ვაჟისა და სასაქონლო ქალისა არის“-ო (§ 83)

ს. ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს ი ს განმარტებით ხომ „სიბერემდე ძესა ვაჟი... ეწოდების“
(ლექსიკ.: კაცი).

ეს ტერმინი ეხლაც ჩვეულებრივი სიტყვაა. ხევსურებს მისი ო-ბმოვნიანი
ფორმა **ვოში** აქვთ, მოხვევებს ე-სმოვნიანი **ვეში**, რომელიც, როგორც ილ.
ქავჭავაძის „კაცია-აღამიანი“-თგან ჩანს („**ვოში**, მინამ თავს არ დაადგები
და კარგად არ დასქვივლებ, ხელს-კი არ გასძრავს“-ო, „ქართ. წიგნის“ გამოც.
II, გვ. 163), კახეთშიც ყოფილა. სვანებს აქვთ—**ღვაშ**. საინტერესოა აგრეთვე
მამალი ჯიბვის სვანური სახელი **ღვაშ**, რომლის არსებობა პროფ. ვ. თოფუ-
ჩიანსაგან გადმოცემული ჩანაწერთგან ვიცი. ეგების აქაც ღ ძირეული არ
იყოს? ამ სვანურ ტერმინს ჩვენთვის იმ მხრივ აქვს მნიშვნელობა, რომ იგი
მამალი ცხოველის, მაშასადამე, საერთოდ მამრობითობის გამომხატველია.

2. ქვემოთ აღნიშნული გვექმნება, რომ ურიბ ხვალი ცხენის სახელია. მაგრამ ქართული ძველი გვარების ანალიზი აღამიანს დაირწმუნებს, რომ წინათ ეს სიტყვა ური.ს სახით, კაცზეც ითქმოდა და ვაჟსა და ძეს, ვაჟიშვილსა ნიშნავდა. ასეთი გვარები აღმოს. საქართველოში მთაში ესლაც არის დაცული, მაგ. გიგაური, გოგიაური, ქავთარაული, დავითური, ანდა დავითაური, საბაური, პავლეური, ონიკაური, ბუჩუკური, ჩიტაური და მრავალი სხვაც. აღმ. საქართველოს მე-XVII—XVIII ს.ს. ხალხის აღწერის დავთრებში ამნაირად ნაწარმოები გვარის სახელები ბლომად მოგვეპოვება (იხ. ჩემი „საქ. ეკონ. ისტორიის ძეგლები: ხალხის აღწერის დავთრები). „მატიანე ქართლისაჲ“-ს კახეთ-ჭერეთის ამბებშიც ვგვხვდება ასეთი გვარები, როგორც მაგ. დონაური და სხვაც არაერთი.

დას. საქართველოს შესახები ძეგლების სიმცირის გამო, ამჟამად ძნელია იმის თქმა, თუ რამდენად იყო იქაც ასე ნაწარმოები გვარები გავრცელებული, მაგრამ რომ ყოფილა, ეს შემდეგი ორიოდ მაგალითითგანაც ჩანს. ქუთაისის დავთარში იხსენიება ჯუმაური (გვ. 52, § 357) და მარუშული (გვ. 57, § 402), ხოლო საცაიშლოს დავთარში ხუხური (გვ. 7), აფხაზ. საკათ. დავთარში ნინიშაური (გვ. 2), საერთოდ ასე ნაწარმოები გვარები აღმ. საქართველოშიც უკვე მე-XVIII ს. ძე-თი და შვილი-თ დაბოლოებულ წარმოებას უთმობს ასპარეზს და დასავლ. საქართველოშიც ასე ნაწარმოები გვარები ამავე პროცესის გამო უნდა იყოს გამქრალი.

ცხადია, რომ გიგაური უდრის გიგას ძეს, გოგიაური — გოგიას ძეს, ქავთარაული — ქავთარას ძეს, დავითაური — დავითას შვილს, ონიკაური — ონიკას შვილს, საბაური — საბას ძეს, მარუშული — მარუშის ძეს და სხვაც ამის მსგავსადვე. ხოლო, რაკი საგვარეულოს გამგრძელებლად და შემკვიდრედ ვაჟიშვილი ითვლებოდა, ცხადია, რომ შემომოყვანილ გვარებში ური სწორედ ვაჟიშვილსა ნიშნავდა. მაშასადამე, ყველა ზემონათქვამის ძალით, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ური ძველ ხანაში ვაჟიშვილის აღმნიშვნელი ყოფილა და მთელ საქართველოში ფართოდ გავრცელებულადაც უნდა მივიჩნიოთ.

3. ამნაირადვე საგულისხმოა, რომ, როგორც ს. ორბელიანსაც სა-მართლიანად აქვს აღნიშნული, „თხათა მამალსა ვპცი ეწოდების“ (ლექსიკ. თხა). ხოლო 4. „ცხოვარსა მამალსა ეწოდების ვმრძი“ (იქვე: ცხოვარი). ქართველი ლექსიკოგრაფის ეს განმარტება რომ სრული ქეშმარიტებაა, ამის დამტკიცება დაბადების თარგმანითაც შეიძლება.

შესაქმეთა 31₁₀-ში ნათქვამია: „აჰა ვაცნი და ვერძნი აღმომავალნი იყუნეს ცხოვართა მიმართ და თხათა“-ო. ამავე ძეგლის 32₁₁₋₁₄-ში სწერია: იაკობმა „მოიხუნა... ძლუენნი და წარავლინნა ესავისა ძმისა მისისა თხანი ორასნი, ვაცნი ოცნი, ცხოვარნი ორასნი, ვერძნი ოცნი“-ო. ორსავე შემთხვევაში ვპცი უდრის ბერძნულს ἰ ῥάγας „ჰო ტრანგოს“-ს, ლათინურს hircus-ს და სომხურ քայ ქალ-ს, ხოლო ვმრძი ბერძნ. ἰ ἀριός-ს, ჰო კირის-ს, ლათინ. aries-სა და სომხურ խոյ-ს. ამნაირად, ვპცი მართლაც მამალი თხის, ხოლო ვმრძი მამალი ცხვრის, ყოჩის, აღმნიშვნელი ყოფილა.

ვმრძი ბევსურეთში დღევანდლამდეა დაცული (მესაქონლეობის ლექსიკონი, 23). აქამ სიტყვისაგან გეოგრაფიული სახელიც-კია ნაწარმოები: ვმრძის

ბრის ზორად (იხ. ბეს. გაბუურის კვესურული მასალები: ქართ. საენათმეცნ. საზოგ. „წელიწდეული“ I-II, გვ. 180, 181 და 186).

ს. ორბელიანს იობის 39₁-ზე დაყრდნობით თავის ლექსიკონში განმარტებული აქვს, რომ „**ვაც-ირემი ვარ-ირემი**“ არის, მაგრამ ბაქარისაგან გამოქვეყნებულ დაბადებაში ამ აღგილას ასეთი სიტყვა არ მოიპოვება.

იობის 39₁-ში ბაქარის გამოცემულ ტექსტში სახელდობრ ნათქვამია: „და-იცვედი თუ საღმობასა, შობისა თანა ირემთასა“. ირემი ბერძ. ἡ ἔλαφος- ჰე ტლაფოს-ს, ლათინ. cervus-სა, ე. ი. ფურ-ირემს, ხოლო სომხ. სურ ეზნ-ს უდრის, რომელიც ხარსა ნიშნავს.

ქართ. ლექსიკოგრაფს ირემ-ვაცი-ც მოეპოვება. ამ შემთხვევაშიც საბა იობის 39₁ იმოწმებს¹.

ირემ-ვაცი მცხეთის დაბადებაში ამ აღგილას მართლაც მოიპოვება (იხ. ს. მ. ხ. A № 51). ოშკის ხელნაწერში ეს აღგილი, სამწუხაროდ, არ არის.

საბა ორბელიანის განმარტებით, თხისა და ირმის მსგავსად „**აგრეთვე შველთა და ქურციკთა, ნიამორთა და არჩვთა**“ მამალს „**ვაცსა**“, ხოლო დედალს — „**ნეზსა**“ და „**წლამდის თიკანსა**“ „**წალსა**“ უწოდებენ. მაგრამ მათ შეილებს თიკანს-კი არა, არამედ „**ნუკრს**“ ეძახდნენო (ლექსიკ.: თხა). მაშასადამე, ვაცი მართო მამალი თხისა-კი არა, არამედ საერთოდ გარეული რქოსანი პირუტყვის მამლის აღმნიშვნელიც ყოფილა.

ხოლო „ვეფხისტყაოსნის“ ერთი აღგილითგან ცხადი ხდება, რომ ვაცს ზემოდანსახელებულზე გაცილებით უფრო ფართო და ზოგადი მნიშვნელობა ჰქონია. შოთა რუსთაველი იქ საყვარელ ქალს ათქმევინებს: „**შე გლახ ვიყავ მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი ვაცი**“-ო (ი. აბულაძის გამ. § 1134). აშნაირად ირკვევა, რომ ვაცი მართო ცხოველებზე-კი არა, არამედ ადამიანზედაც, სახელდობრ, მამაკაცზეც ითქმოლა.

4. შემდეგ საგულისხმოა აგრეთვე, რომ „**საბოტე წალს**“-აც, ანუ მამალ ციკანს წლამდის ვაციანი ეწოდება (საბა, ლექს.: თხა).

5. აშნაირადვე საყურადღებოა, რომ მამალ კვიცს ურბ ერქვა. ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს, რომ „**ურბ ახტა კიცვ**“-ს სახელიაო (ლექსიკ.) „**კიცუსა ახტასა** (ე. ი. მამალს) ურბ და ვრდალსა უბუბთი ეწოდების“-ო (იქვე: ცხენი). ასეთი მნიშვნელობა ურბ-ს მეგრულშიც დღევანდლამდე შენარჩუნებული აქვს, სადაც ეს სიტყვა ამას გარდა გაუხედნაფი კვიცის სახელადაც იხმარება (მ. გ. 372). ურბ კვიცი გაუხედნაფი კვიცის მნიშვნელობით ეგნატა-შვილს ბერსაც აქვს ორგან ნახპარი (იხ. ახალი ქართლ. ცხოვრება მ. ჯანაშილის, გვ. 43).

¹ მაგრამ იქვე დართული აქვს: „**ფრანგულში ფურ-ირემი სწერია**“-ო (ლექსიკ.). აქეთგან ჩანს, რომ სახელოვან ლექსიკოგრაფსაც ეჭვი შეჰპარვია და „ფრანგული“, ე. ი. ლათინური თარგმნისათვის მიუწართავს, — ალბათ კათოლიკე მისიონერების დახმარებით, — და გამოურკვევია, რომ აქ დედალი ირემი იცულისაშება. როგორც ზემომოყვანილ შესატყვისობათაგანაც ირკვევა, იობის 39₁-ს სხვაგვარად სომხურ თარგმანშია ხარის ნახპარი, ბერძნულსა და ლათინურში კი დედალი ირემის აღმნიშვნელი სიტყვაა.

ურბ-საგანვეა, უ ხმოვნის ჯერ ბუ-დ, ხოლო შემდეგ მჰნი და ძჰნი კომპლექსად შენაცვლების გზით, კვიციის მეგრულში დაცული სახელი ძჰნირა. ძჰნირა უდრის ქიზიყში დაცულ „ახლად გაჩენილი კვიცის“ სახელს ქურან-ს¹, ბუ-რანი-კი საბასაც მოეპოვება, მაგრამ მისი განმარტებით, თითქოს „ქურანი წაბლისფერი ცხენი“-ს, „ხზელი“-ს (ლექსიკ.) აღმნიშვნელი იყოს.

6. უეჭველია, ცხენის გუდამაყრული სახელი ვერანი-ც იგივე სიტყვა უნდა იყოს (იხ. მესაქონლეობის ლექსიკონი), ხოლო ამისგანვეა ნაწარმოები ტერმინი ვეროსანი-ც, რომელიც ეგნატაშვილს ბერს თავის „ახალს ქართლის ცხოვრება“-ში აქვს ცხენოსანთან ერთად ნახმარი.

7. საყურადღებოა აგრეთვე ვაჟა, რომელიც იმერეთში „მამალი ცხენი“-ს, ე. ი. ხვალი ცხენის, უფრო-კი ახალგაზრდა ხვალი კვიციის სახელია (ვ. ბერიძე სიტყვის კ.). ეს სახელი მეგრულშიც არის, მხოლოდ იქ, ვაჟა-ს გარდა ვარჟა-საც ხმარობენ (მ. გ. 372). დასასრულ ვაჟა ჭანურშიც მოიპოვება და იქაც ხვალი ცხენის, მაგრამ უკვე დაკოდლის, მნიშვნელობა მიჰნიჭებია (ქ. გ. 143).

8. ვირი-ს მნიშვნელობა ს. ორბელიანს მხოლოდ ზოგადად ოთხფეხად აქვს განმარტებული (ლექსიკ.). თანამედროვე ქართულში ამ სიტყვას ორივე სქესის ზოგადი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ, როგორც უძველესი ნათარგმნი ძეგლების მიხედვით ირკვევა, თავდაპირველად ასე არ ყოფილა.

ოთხთავის ქართული თარგმანითგანაც ჩანს, რომ ვირი ამ ცხოველის მამარი სქესის აღმნიშვნელი იყო. მაგ. მათეს 21₂ და 4-ს² ნათქვამია: იესომ თავის მოწაფეებს უთხრა, თქვენ წინ მდებარე დაბაში წადით და იქ „ჰოვოთ ვირი დაბული და კიცვ მის თანა, აღჰკსენით და მომგვარეთ მე იგი... ესე ყოველი იქმნა, რა აღესრულოს სიტყუაჲ იგი წინაჲსწარმეტყუელისაჲ, რომელ თქუა: ... აჰა ესერა მეუფეა შენი მოვალს შენდა მშვიდი და ზე-ზის იგი ვირხა და კიცუსა, ნაშობხა კარაულისასა“-ო.

ამ წინადადებითგან ცხადი ხდება, რომ კარბული მშობელი, დედალი, ანუ ჭაკი ვირის სახელი იყო, ვირი-კი ხვადის, მამალის აღმნიშვნელი ყოფილა. ეს გარემოება ბერძნული და სომხური ოთხთავების შესატყვისობითაც მტკიცდება. ვირი უდრის ბერძ. ἵππος, ჰო ონოს-ს და სომხ. ს₂ ეშ-ს, ე. ი. სწორედ ხვად ვირს. მხოლოდ ლათინურ თარგმანში 21₂ და 4-ში ჭაკი ვირი asina სწერია.

შესაქმეთა 32₁₃₋₁₆-შიც, სადაც ჩამოთვლილია იაკობისაგან ესავისათვის გაგზავნილი საჩუქარი, სხვათა შორის დასახელებულია აგრეთვე „ვირნი ოცნი და კარაულნი ათნი“, აქაც ვირი ბერძნულში ჰო ონოს-ს და სომხურში ეშ-ს უდრის, ლათინურში კი ისევე asina, ე. ი. ჭაკი ვირია. მაგრამ შესაქმეთა 30₁₃-ში ვირი-ა ნახმარი და ბერძნულ-სომხურსა და ლათინურშიც asinus-ი, ხვალი ვირი, სწერია.

როგორც ჩანს, ჯერ კიდევ დაბადების ქართულად თარგმნის ხანაში ვირი ნაწილობრივ უკვე ზოგადი მნიშვნელობის ელფერს იღებდა: ჩვეულებრივ და

¹ ქურანი-ს ქიზიყში არსებობა სტ. მენთეშაშვილისაგან მაქვს მიღებული, რომლისათვის დიდად ვმადლობ.

ცალკეულად ნახმარი **პირი** ხვადს, მამალ ცხოველს ჰგულისხმობდა, ხოლო, როდესაც ქაკის აღნიშვნა სურდათ, მაშინ სქესის განმსაზღვრელს სიტყვას ურთავდნენ. მაგ. იობის 1₃-ში ნათქვამია, რომ იობს ჰყავდა ვირი კდალი მძოვარი ხუთასი“-ო (იხ. ოშკისა და მცხეთის დაბადების ხელნაწერები). ბერძნულად—*πυρὶ κίχλας*; ონოჯ თქლეჯაჯ, ლათინ. *asinae*, სომხ. *ხჲჲ მარასჲჲ* ეშქ მატაკქ-ია.

ვირს ზღვრულად **პირინი** (სენაკ.) და **გვრგნი** (სამურზაყ.) ეწოდება (მ. გ. 218), ჯანუაღ-კი ვიწეში **გურუნი** ჰქვიან, ხოლო ხოტურში, შეგრულის მსგავსად, **პირინი**-ა (ქ. გ. 137).

გასაოცარია, რომ ჯანუაჲს ვირის სახელად აქვს **წელ**, ხოლო **პილ** (ლენტიხ.), **ჰვლ** (თავისუფ. სვანეთში, ბალს-ზემოურში) და **ჰუილ** (ბალს-ქვემოურში), რომელნიც, ცხადია, ვირის ფონეტიკური შესატყვისობაა, ჯორის აღსანიშნავად იხმარება. მაგრამ თავის ადგილას, ნათესაობისა და სქესის აღმნიშვნელი ტერმინების ანალიზისა და ეტიმოლოგიის განხილვისას, დავრწმუნდებით, რომ **პირის** ფონეტიკურ შესატყვისობას სვანურში წინათ ზოგადი მნიშვნელობაც და ფართო ასპარეზიც ჰქონია დათმობილი.

9. კახეთში ძველადვე ცნობილი გვარის **პარინაძე**-ს სახელის მიხედვით, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ წინათ **პარინა** ქართულში მამაკაცის სახელი უნდა ყოფილიყო, რომელიც, ტოტემურობის ნიადაგზე იყო გაჩენილი, დათვიახა, კურდღელახა და ქურციკა-ს მსგავსად, შესაძლებელია ცხოველის სახელი ყოფილიყო.

რათგან **პარინა** არც ერთ ქართ. ლექსიკონში შეტანილი არ არის, ამიტომ ცნობების შეკრება იყო საჭირო, საქართველოს რომელსაზე თემში **პარინა** ხომ არ არის შერჩენილი და, თუ არის, სახელდობრ რასა ნიშნავს? ასეთი გამოკითხვის გზით გამოიჩნდა, რომ ეს სიტყვა ეხლაც არსებობს. ს. დიღმის მცხოვრებლის, 65 წლის ივანე სონდულაშვილის, ს. არანისში ხანგრძლივ ნამყოფის, სიტყვით, **პარინა** მას ფშაველებისაგან გაუგონია და იქ „**პარინა** ეწოდება შემოდგომის მამალ ციკანს“¹.

პარინა, საქ. მუზეუმის წიგნთსაცავის მსახურის სანდრო გოლოშვილის ცნობით, მამალი თხის სახელია ს. გრემისხევისა და შის გარემო სოფლებშიც, როგორც ქართველთა შორის, ისევე ოსებშიც.

ამას გარდა, **პარი** ვაცის მნიშვნელობით, ნიჩბისის მცხოვრები 45 წლის დათა კენჩხაშვილის ცნობით, ეხლაც იხმარება ნატბეურის კოშკი-ყელის მთაში. ხოლო ქართლის ს. კარბის მცხოვრები ეკატ. ბიძინაშვილის სიტყვით, **პარინა**-ს, ანდა **პარინა**-ს ქართლში მამალ თხას უწოდებენ, რომელზედაც, ელიას მაგივრად, ღვთაების მსგავსად ოსები ლოცულობენო².

¹ ეს ცნობა შეტეხის მუზეუმის ძველი ნაკრების განყოფილების გამგის იროდ. სონდულაშვილისაგან მივიღე, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

² საქართველოში გადმოსახლებულ ოსებს სიტყვა **პარინა** ქართველებისაგან აქვთ შეთვისებული ისევე, როგორც **პირა**-ც. პირიქითვე ოსებს სიტყვა **პარინა**, როგორც

ამის მსგავსი ცნობა უკვე ვახუშტს აქვს „საქ. გეოგრაფიაში“ მოთხრობილი: დვალეზმა და ოვსებმა „უწყიან მგზავსი კერპისა, რომელსაც უწოდებენ ვაჩილას, რამეთუ შესწირვენ ელიას თხასა და კორცსა შესჭამენ თვითვე, ხოლო ტყავსა გასჭიმენ მალალსა ძელსა ზედა და თაყვანის-სცემენ ტყავსა მას დღესა შინა ელიასასა, რათა არა მოუვლინოსთ ელიამ სეტყვანი და მოსცეს ნაყოფნი ქვეყანისანი“-ო (გ. გრფა, 436). მაგრამ ვახუშტს აღნიშნული არა აქვს, რომ ეს სიტყვა მამალი თხის სახელი იყო.

მაშასადამე, ადამიანისა და ცხოველთა მამრობითი სქესის აღმნიშვნელი 10 სიტყვა, — შაში, შრი, შაძი, შაძიკი, შაძიძი, შაძინა, შაძი, შრა, შერანი და შირი, — მოგვეპოვება, რომელთაც ყველას ის საერთო თვისება აქვთ, რომ თითოეული მათგანი ვ თანხმოვნით იწყება, შრი-სა და შრა-ს გარდა, რომელთაც ეს ბგერა უ-ს წინ ჩვეულებისამებრ გამჭრალი უნდა ჰქონდეთ.

ამის გამო შესაძლებელია წამოყენებული იყოს საკითხი, ეს თავკიდური ვ ბგერა ხულიერ არსებათა მამრობითი სქესის ქართულშიც ოდესღაც არსებული ნიშნის ნაშთი ხომ არ არის?

ვს. შილღერიისა და ფრეიშანის, ისევე ეპისკ. იოსებ ვლადიკავკაველიის რუს.-ოსური ლექსიკონებიდან ჩანს, არ მოეპოვებათ.

ოსურად თხას მამალსაცა და დედალსაც ხელ-ი ეწოდება (იხ. Иосиф, еписк. Владикавказский, Рус.-осет. словарь: коза, козел), მაგრამ ცხვრის თუ თხის ფარის წინამძღოლ-თხის სახელად ჯავის ზეობასა და საქართველოში მცხოვრები ოსები, სანდრო გოლაშვილის სიტყვით, ბობა-ს, ჩრდილო კავკასიელი ოსები-კი გობ-ს ხმარობენ (იხ. Проф. Б. А. Алборов-ის „Нигушское «газмерды» и осетинское «аларды». Известия нигушского научно-исследовательского института краеведения. Владикавказ, 1928 წ. გვ. 214). ელიასი და შაძილდა-ს სალოცავი ჩრდ.-კავკასიელ ოსებსაც აქვთ, მაგრამ მისი მნიშვნელობა უკვე ხალხს აღარ ესმის (იხ. იქვე, 410, 412, 413), ისევე, როგორც თვით პროფ. ალბოროვსაც (იხ. იქვე 413-415 და 427).

ქისტეთში, გალიერდ-ში, სადაც სალოცავს მსხვერპლად თხებს სწირავდნენ, წარმართულ ლოცვა-ვედრების დროს მლოცველნი ოჩჩი-ს წამოიძახებენ ხოლმე, რომლის მნიშვნელობა ებლა აღარავის ესმის (იქვე, 358-360). ამ საინტერესო საკითხზე ალბოროვს ბევრი ცნობებისათვის მოუყარია თავი, მაგრამ მისი განმარტება უცდარია. რაკი არსებით ეს საკითხი წარმართულ სარწმუნოებას ეხება, ამიტომ ამაზე დაწვრილებით მსჯელობა ჩვენი გამოკვლევის შესაბამე წიგნში გვექნება, რომელშიც უძველესი კულტურის პრობლემაა განხილული.

თ ა ვ ი მ ე ა თ ე

ადამიანთა და უხოველთა მდედრობითი სქესის აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფი

მამრობითი სქესის აღმნიშვნელი სახელების მსგავსად, ძველ ქართულს მდედრობითი სქესის აღმნიშვნელ სიტყვათა მთელი ჯგუფიც აბადია, რომელთაც ყველას ერთი დამახასიათებელი თვისება აქვთ. მაგ.:

1. საბა ორბელიანსაც აღნიშნული აქვს, რომ „თხათა მამალსა ვაცი ეწოდების, დედალსა ნეზვი“ ჰქვია (ლექსიკ.: თხა). სახელოვან ლექსიკოგრაფს თავისი განმარტების სისწორის დასამტკიცებლად შესაქმნეთა 30^ე აქვს დამოწმებული, მაგრამ ბაქარის გამოცემაში ამ ალაგას დედალი ცხოველის სახელად თხა-ა ნახმარი. ცხადია, რომ საბას ხელთ-მყოფ რედაქციაში, თხის მაგიერ, ნეზვი ყოფილა.

ნეზვი ბაქარის გამოცემაშიც და ოშკისა და მცხეთის დაბადების ხელნაწერებშიც ლევიტელთა 3^ე და 6⁻ში გვხვდება. იქ ნათქვამია: „უკეთუ შესაწირავად... იყოს მსხუერპლი... ანუ თუ ზროხათაგან შესწირვიდეს იგი, გინა ვერძსა, გინა თუ ნეზუსა, უბიწოა“ იყოსო (3^ე). ხოლო, „უკეთუ ცხოვართაგან იყოს... ვერძი, გინა თუ ნეზუი, უბიწო“ მოიყვანოსო (3^ე). ორსავე ადგილას ნეზვი უდრის პერძ. შრქს-ს თვლვ-ს, ლათინ. femina-სა და სომხ. სრ. ევ-ს, რომელნიც სამივე დედალს ნიშნავენ.

მაგრამ შემომოყვანილი ორივე ამონაწერი იმ მხრივაც არას საყურადღებო, რომ ნეზვი დედალი თხის სახელად-კი არ არის ნახმარი, არამედ ზროხისა და ცხვრისთვისაც, ე. ი. ფურისა და ნერბის მაგიერ. ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ ს. ორბელიანის შემომოყვანილი განმარტება მთლად სწორე და სრული არ არის. როგორც ეტყობა, თავისი დასკვნა, ან დაბადების ერთი ადგილის წანაკითხზე, ანდა ამ ტერმინის თავისდროინდელ მნიშვნელობაზე დაუბყარებია. შემომოყვანილი ამონაწერები ნეზვის გაცილებით უფრო ფართო და ხოვადი მნიშვნელობის გარემოებას ამჟღავნებს: ნეზვი ფურისაც, ცხვრისა და თხისაც, ე. ი. სხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი საქონლის დედალის აღმნიშვნელი ყოფილა.

მაგრამ ამაზე მეტის თქმაც შეიძლება: შ. რუსთველის თხზულების ის ადგილი, სადაც საყვარელი ქალი ამბობს: „შე გლან ვიყავ მისი ნეზვი, იგი იყო ჩემი ვაცი“-ო, ცხად-ჰყოფს, რომ ნეზვი ქალის შესახებაც ითქმოდა.

შემდეგში ნეზვი-ს ხოვადი მნიშვნელობა შემცირებულა. უკვე ს. ორბელიანს, როგორც დავრწმუნდით, ნეზვი დედალი თხის აღმნიშვნელად მიაჩნდა (იხ. ზევით), ხოლო ნეზვი დღეს ქართლ-კახეთში იხმარება მხოლოდ წვრილფეხა დედალ საქონელზე: ზოგიერთსა დედაკაცსა კიდევ სჯობს ნეზვი ღორიო- („მოგზ.“ 1901 წ. № 714: შესაქონ. ლ. 50).

ამ ხალხურ ლექსში **ნოზვი** დედალ ღორზეა ნათქვამი და საგულისხმოა, რომ სვანურადაც **ნოზვი** მხოლოდ დედალი ღორის აღსანიშნავად იხმარება (ვ. თოფურიას ცნობით).

2. ნეზვის მსგავსად, დედალ ცხვარსაც ძველ ქართულში **ნერბი** ერქვა. ს. ორბელიანს ნათქვამი აქვს: „ნერბი დედალი ცხვარი“ არის-ო (ლექსიკ.).

დაბადების ქართულ თარგმანში იმ ადგილებში, სადაც ეს ტერმინი მოსალოდნელი იყო, არ აღმოჩნდა. როგორც ეტყობა ამ ძველში ვერც ს. ორბელიანს უპოვია, რატომ თავისი ზემომოყვანილი განმარტებისათვის ჩვეულებისამებრ დაბადების რომელიმე თავისა და ზუზლის დამოწმება არ დაურთავს. ამისდა მიუხედავად, უეჭველია, **ნერბი** ძველისძველი ქართული სიტყვა უნდა იყოს და იმ ხანაშიც, როდესაც დაბადება ქართულად ითარგმნებოდა, ეს ტერმინი არსებობდა.

დაბადების გადმოთარგმნის ხანაში სიტყვა **ნერბი**-ს არსებობის დასამტკიცებლად შესაძლებელია **ნერბობაჲ**, იქმნეს დასახელებული, რომელიც ამ ძველშიც ნახმარია და რომელიც, რა თქმა უნდა, **ნერბისაბან** არის ნაწარმოები.

სიტყვა **ნერბობაჲ**, რომელსაც სრული შესატყვისობა დაბადების არც ერთ თარგმანში არ მოეპოვება, ეზეკიელის 17₁₀-შია ნახმარი. ვაზზე იქ ნათქვამია: „არა მობერვასა თანა ქარისა ცხელისა განკმესა საკმილითა მასკნესა თანა აღმოსავლისა მისისასა და ნერბობაჲ მისი განკმეს“-ო (იხ. დაბადების მცბეთის ხელნაწერი აწ. ს. მ. ხ. A № 51). ოშკისაში არ არის. „ნერბობაჲ მისი განკმეს“ ქართულ თარგმანში, ბერძნულ და სომხურ თარგმანებთან შედარებით, მეტია. მაგრამ ლათინურ თარგმანშიც ასევე ზედმეტად ნათქვამია: „et arcis germinis sui arescet“ „განხმეს თავის აღმოცენების არესა“-ო. ებრაულ დედანშიც სწორედ ასევეა ნათქვამი: „განხმეს იმ კვლებში, სადაც აღმოსცენდა“-ო. ამისდა მიხედვით ისე გამოდის, რომ ქართული თარგმანის „**ნერბობაჲ**“ აღმოცენების არეს და ადგილს უნდა ნიშნავდეს.

ნერბი რომ თანამედროვე ქართულში სადმე დაცული იყოს, „შესაქონლეობის ლექსიკონ“-ში აღნიშნული არ არის. ამ სიტყვის არსებობაცა და განმარტებაც მას ს. ორბელიანის ნაშრომით აქვს დამოწმებული. „ლექსიკონში“ აღნიშნულია მხოლოდ, რომ ფშავში, ხევში, თუშეთში, ქიზიყში და კახეთში „ყოჩისა და ცხვრის... შორის სქესობრივი აქტი“-ს აღსანიშნავად **ნერბვა**-ს ხმარობენ. „თუ ამ აქტს მოჰყვა საშვილოსნოში ნაყოფის ჩასახვა, მაშინ იტყვიან: გაინერბა“-ო (შესაქ. ლ. 51). სტ. მენთეშაშვილის ცნობით-კი თუშეთში **ბანერბვა**-ს, ქიზიყში-კი **ბანერბვა**-ს და **გახანერბვად გარევა**-ს უწოდებენ. ამავე პირის სიტყვით, ტერმინი **ნერბი** დედალი ცხვრის სახელად თუშეთში ეწლაც ჩვეულებრივი სიტყვა ყოფილა¹.

3. ამავე თვალსაზრისით **ნუსა**-ცაა საყურადღებო. ს. ორბელიანს განმარტებული აქვს, რომ, ერთი მხრით სძალი „ძის ცოლი“-ს აღმნიშვნელი

¹ ამ ცნობის მოწოდებისათვის საქ. მეწეულის ისტორ. განყოფილების უფროს მეფნ. თანამშრომელს სტ. მენთეშაშვილს დიდად ვმადლობ.

იყო, მეორე მხრივ კი „სძლადვე ითქმის მ ა ზ ლ ი ს ა გ ა ნ ძ მის ცოლი“-ც. ამავე ავტორს ერთი დრიად საგულისხმო ცნობა აქვს დაცული: „ბიძის ცოლსა არა ეწოდების სძლი, არამედ ნუსადია“-ო (ლექსიკ.).

ნუსადია სახელოვან ლექსიკოგრაფს ცალკეულადაც მოეპოვება: „ნუსადია ბიძის ცოლა“-ო (აქვე).

ეს სიტყვა ვგონებ ორი ნაწილისაგან უნდა იყოს შემდგარი: პირველს ნუსა შეადგენს, მეორეს დია, რომელიც დიასახლის-ში, დიოზალ-სა და დიაკულ-შიც არის დაცული და დედას, ანუ მდედრობითი სქესისას, ღებდალს ნიშნავს. ნუსადია-ს განსხვავება მხოლოდ აგებულების მხრივ ეტყობა, რათგან აქ დია-ს მეორე ადგილი უკავია, დიასახლისსა, დიოფალსა და დიაკულ-ში კი პირველი.

ვახუშტის თავის ისტორიაში იმერეთის მეფის გიორგი II-ის მოღვაწეობის აღწერილობაში ნათქვამი აქვს: „ჰყვანდა მეფესა გიორგის მუსადია ქურცი და მისცა იგი გიორგი გურიელსა ცოლად“-ო (ქიქ. გამ. 290—291).

უცველია, აქ ნახშიარი ნუსადია იგივე ნუსადია-ა, რომელსაც მხოლოდ პირველი თანხმოდანი აქვს შენაცვლებული.

ნუსადია-ს პირველი ნაწილი ნუსა ჯერ-ჯერობით ცნობილს ძველ ქართულ ძეგლებში თუშცა არა ჩანს, მაგრამ სამაგიეროდ მეგრულსა და ქანურშია დაცული. მეგრულად ნოსა (საქურზაყანოში) და ნისა (სენაკ.) რძალის სახელია. მრ. რ. ნისალეფი და ნოსალეფი ცხად-ჰყოფს, რომ წინათ მხოლოდობითაც ნოსალი და ნისალი ყოფილა. ეს სიტყვა ქანურსაც კარგად აქვს დაცული. ნუსა ქანურად საცოლოს, ახალ ვათხოვილ ქალსა და რძალსა ნიშნავს, ხოფურში ნისა-ს ეძახიან. მრავლობითი რიცხვის ფორმა პირველისა ნუსალეფა-ა, მეორისა-კი ნისალეფა (ქ. გ. 175).

მრავლობითი რიცხვის ორივე ფორმა ცხად-ჰყოფს, რომ წინათ მხოლოდობითში ქანურადაც ნუსალი და ნისალი ყოფილა. ნუსა, ანუ ნუსა მნიშვნელობით, როგორც ზემომოყვანილითგან ჩანს, ძველ ქართულ სძალს უდრის.

ამას გარდა, ქანურად ნუსაღბ (არქაბულად) და ნუსაშა (ვიწურად) ისევე როგორც ნისაღბ და ნისაშა-ც (ხოფურად) არსებობს. ახე უწოდებენ ერთმანერთს ძმების ცოლები-ო, ე. ი. რძლის მნიშვნელობითვე იხმარება (ქ. გ. 174.).

4. თავისი თავკიდური ბგერით საყურადღებოა აგრეთვე სიტყვა ნუპარი-ც. ეს ტერმინი ქებათა-ქება-შიც გვხვდება, სადაც ნახშიარია ნუპარი ირმისაჲ, და ქართულ ორიგინალურ თხზულებაშიც. მაგ. დავით გარეჯელის ცხოვრებაში მოთხრობილია: დავითთან „მოვიდეს საშნი ირემნი, რომელთა უკუანა სდევდეს ნუკრნი მათნი“-ო (საქ. სამ. 272 და საისტ. კრ. 37).

ამ ორი ადგილისდა მიხედვით შესაძლებელია გვეფიქრა, თითქოს ნუპარი ძველად მხოლოდ ირმის შვილის სახელი ყოფილიყოს, მაგრამ ქართ. ლექსიკოგრაფის განმარტება ასეთ დასკვნას არ ამართლებს, ს ა ბ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ს უწერია: „ნუპარი: ირემთა, ქურციკთა, შველთა, ნიამორთა, არნთა, არჩთა და მიხთანათა თიკანთა ნუპარი ეწოდების“-ო (ლექსიკ.). მართლაც, ყველას ეხსომება ვაჟა ფშაველას მშვენიერი მოთხრობის სახელი „შვლის ნუკრის ნაამბობი“. სადაც შვლის მატარა შვილსაც, მაშასადამე, ნუკრი ეწოდება, რა თქმა უნდა, ფშავესი გაგრცელებული მნიშვნელობისდა თანახმად. დაბადების ქართ. თარგმა.

ნათგან-კი ირკვევა, რომ ნუპრი ძველად მდედრობითი სქესის აღმნიშვნელი ყოფილა. სახელდობრ ქება-ქებათაჲს 2, ში სწერია: „მსგავს არს ძმისწული ჩემი ჩურციკსა და ნოკრსა ირმისასა“. უკვე თვით ტექსტის შინაარსითგანაც ჩანს, რომ ნუპრი დედალი შელის სახელი უნდა იყოს, რათგან შედარება ქალს ეხება, მაგრამ ეს გარემოება ბერძნული ტექსტიოაც მტკიცდება. ბერძნულად ამ ორი სიტყვის შესატყვისად ნათქვამია: „*ἡ βίραξις: αἰς νεφέλη ἄλφου*“. ამნაირად, ბერძნულში, „ნოპრი“ ანუ ნუპრი ἡ νεφέλη-ად, ჰე ნებრის-ად, ანუ ირმის დედალ შვილად არის წაგულისხმევი.¹

5. დასასრულ, სქესის აღმნიშვნელ სიტყვათა ვგონებ ამავე ჯგუფს უნდა ნერჩი-ც ეკუთვნოდეს, რომელიც დედაშინის ღვთაების სახელია და ქართლ-კახეთში ამ ქაზად მიღებულ ადგილის დედა-ს უდრის (იხ. ჩემი „ქართ. ერის ისტ.“ I³, 84).

ვითარცა ფუძისა და შინის ღვთაება, მისი სახელიც დედის აღმნიშვნელი უნდა იყოს.

მაშასადამე, მდედრობითი სქესისა და ნათესაობის აღმნიშვნელ სიტყვათაგან ხუთი.—ნუპრი, ნერბი, ნუსა, ნუპრი და ნერჩი,— ნ- ბგერით იწყება. ამ გარემოების გამო, აქაც იბადება საკითხი, ნ ქართულში ხომ ოდესღაც მდედრობითი სქესის ნიშანი არ იყო?

თავი მეთერთმეტი

უჭასაკოთა და ყსოველთა სახელების ჯგუფი

ქართულში ხიტყვათა მესამე ჯგუფიც არსებობს, რომელიც მცირეწლოვანთა და უჭასაკო არსებათა და ცხოველების სახელებისაგან შესდგება და რომელთაც ყველას ერთი დამახასიათებელი თვისება, ბ-თავკიდურაანობა, ემჩნევათ.

§ 1. ადამიანის მცირეწლოვან და უჭასაკო შვილთა სახელები

1. ცნობილია, რომ ადამიანის ორივე სქესის შვილს გარკვეულ წლოვანებაამდე ბაში ეწოდება, რომელიც ბაშვზაღბც გამოითქმის. შეგრულად და იმერეთშიც ბოში ეწოდება, სვანურად ბეუშუ-სა და ბოგუ-სა ხმარობენ.

2. უეჭველია, ამავე სიტყვათა ჯგუფს ბუში-ც ეკუთვნის, რომელსაც თავდაპირველად შვილის, ბაშის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მართალია, ვახტანგ VI-ის კანონებში ნათქვამია, რომ „ნაბიჭურის წილი არ არის მამულში, თუ თავის ძმებს ეყნობა, სხვათ ხელი არა აქვს... ძმებთან ერთის ყმის ადგილს უნდა არჩინონ და, თუ არ უნდა ძმებთან ყოფნა, ამათთან არაფერი წილი არა

¹ შესაძლებელია ნოპრი-ს ფონეტიკური საზუსტავობა იყოს იმერეთში გავრცელებული ნოპრი-ც, რომელიც „მესაქ. ლექს.“-ის განმარტებით, ჩამომავლობისა და ჯილაგის, ე. ი. მემკვიდრეობითი თვისებებს აღმნიშვნელია. თავის განმარტებას სისწორისათვის ერთი გამოწვამია დასოწმებული, რომლის საუაურობა დასახელებული არ არის და არა ჩანს, ხეპირადაა გავონილი, თუ რომელიმე წყაროთგან არის ამოღებული: „ცუდი ნოგრის ცხენი გყოლია, ძამიავ“-ო (მესაქ. ლ. 51).

აქვს“, მაგრამ პირადად იგი თავისუფალი იყო და, „ვისთანაც წავიდეს, ძმათა პასუხი არა აქუს“. ხოლო ნაბიჭუარი „თუ ქალი არის, უნდა გაათხოონ და გაშვითონ ყმის ქალსავერთ“. მაგრამ, „თუ ერთი ძმა ამოვარდა და ბუშის შეტვი არა დარჩა რა, ჩვენს სამართალში ძმებთან ერთის ყმის მამულის ოდენი უნდა მისცეს, თუ უნდოდეს, იმათთან დადგეს და, თუ უნდოდეს, ბატონს ეყმოს, მაგრამ, საქონელი უნდა უწილადონ ბიძაშვილებმან. თუ ან ბუშისთვის და ან მართლისათვის სიკოცხლეში (იგულისხმება: მამას) მიუცემია რა, ის არ ჩაეთვლების, ვისთვისაც მიუცემია, იმისია“-ო (§ 110).

ზემომოყვანილითგან ცხადი ხდება, რომ ნაბიჭუარი და ბუში სინონიმები იყო და ორივე ამ ხანაში უკანონო შვილის სახელად უხმარიათ. ეს გარემოება კანონის მთელი შინაარსითგანაც ირკვევა და იმ დაპირისპირებითგანაც, რომელიც იქ მოიპოვება: მართალი კანონიერ შვილს ჰგულისხმობს, ბუში — უკანონოს.

ამას გარდა, ზემომოყვანილი კანონითგან სრული უეჭველობით ჩანს, რომ ნაბიჭუარი ვაჟსაცა და ქალსაც ჰგულისხმობდა. რამდენადაც ბუში და ნაბიჭუარი სინონიმები იყო, ბუშიც, მაშასადამე, ორივე სქესის უკანონო შვილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. საბასაც ამ ორი ტერმინის მნიშვნელობა ასევე აქვს განმარტებული: „ბუში ბოშის შობილი (B: ბოშობით შექმნილი ნაბიჭუარი) არისო, ხოლო „ნაბიჭუარი ბოშის შვილი, ბუში“-აო (ლექსიკ.).

რაკი უძველეს ხანაში, გარკვეულ პერიოდამდე, კანონიერ და უკანონო შვილის ცნება არ არსებობდა და უკანონო შვილის ცნება შედარებით მერმინდელია, ამიტომ საფიქრებელია, რომ ბუშის უკანონო შვილის აღმნიშვნელობაც მეორადი მოვლენა უნდა იყოს, და თავდაპირველად იმავე ბაშვის და მეგრ. ბოში-ს სრული შესატყვისობა იქმნებოდა.

3. საფიქრებელია, რომ შვილთა აღმნიშვნელი სახელების ამავე ჯგუფს სიტყვა ბიჭი-ც უნდა მიეკუთვნოს.

ბიჭი ბეჭა-ალბულას სამართლის წიგნის ბეჭას-დროინდელ ნაწილში გვხვდება. იქ ნათქვამია: „ბიჭი დედისა არის, დაბადებულობაჲ (დბალობა) ვერვის დაუმკვდრებს: ვისიცა დიაცია [და] მკვდრად მართებს, ვაჟიცა მისია და ვერ ვინ გაზრდილობით ემართლების“-ო (§ 32).

მართალია, ბეჭას ზემომოყვანილ კანონში ბიჭი ვაჟის სინონიმად არის ნახმარი, მაშასადამე, ზოგადი მნიშვნელობის მაგიერ, მამრობითი სქესის ბაშვის სახელი გამოდის. თანამედროვე ქართულშიც ამ სიტყვას სწორედ ასეთი მნიშვნელობა აქვს. ამას გარდა, ს. ორბელიანი-თაც ხომ „ბიჭი არა ცოლთან შობილი ბუში“ არის (ლექსიკ.), ე. ი. უკანონო შვილისა და ნაბიჭუარი-ს სინონიმი ყოფილა. ქანურადაც ბიჭი (ათინ., ვიწ., ხოფ.) ვაჟიშვილსა და მამრსა ნიშნავს, ბიჭობა-კი მამრობითობითს პასაკს, მამაცობასა და ბიჭობას ეწოდება (ქ. გ. 131), მაგრამ ორივე მნიშვნელობა მერმინდელი უნდა იყოს.

ბიჭის ვაჟობის აღმნიშვნელობა რომ მერმინდელია და თავდაპირველად ეს სიტყვა ორივე სქესის ბაშვის სახელი ყოფილა, ამ გარემოებას სრული სიკვადით სიტყვა ნაბიჭუარი-ც ამჟღავნებს. ნაბიჭუარი ხომ ბიჭი-საგან არის წარმომდგარი და ნაწარმოები, ნაბიჭუარი-კი, როგორც უკვე დაგრწმუნდით

(იხ. ზევით), ვაჟხაცა და ქალხაც, ორივე სქესის ბაშვს ჰგულისხმობდა და ეწოდებოდა. აქეთგან ცხადია, რომ ბიჭხატ წინათ ასეთივე ზოგადი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. ბიჭის უკანონო შვილის აღმნიშვნელობის მეორადობის დასაბუთება, მას შემდგომ, რაც ბუშჩე გვექონდა ნათქვამი (იხ. აქვე გვ. 184-5), ზედმეტად შიშაჩნია.

საგვარუფლო სახელი ბიჭიკაშვილი (იხ. კახეთის აღწერა 1801-2 წ., გვ. 164, სტრ. 73) ცხად-ჰყოფს, რომ ბიჭი წინათ ბიჭიკა-ს ფორმითაც იხმარებოდა.

4. ქართულად შვილს ბერძნულად ჰქვიათ, ვულუ-ბერძნულად ხმარობენ. ქმარწვილობას ბერძნულად ეწოდება (ქ. გ. 130). როგორც შემდეგში დაჯერდნებებით, სიტყვა ბერი უბუნდეს ხანაში ზოგად ქართულშიც ყოფილა და ფართოდ გავრცელებულიც ჩანს. ამავე სიტყვის ფონეტიკური სახესხვაობაა დათვის შვილის ბული-ს სახელიც.

ბაშვის აღსანიშნავად ნ. ბაღანა, ბაღანი (რაქ.) და ნ. ბაღანი-ც არის აღნიშნული, რომელთაგან პირველი მეგრულშიც არსებობს. ს. ორბელიანს-კი „ბაღანა მცირე ტყვე“-ს სახელად შიშაჩნდა. ხოლო ბაღანი „მცირე საკლავი“ არისო, „შქლესა და ცუდსა ცხოვარსა ბაღანი“ ეწოდებოდა (ლექსიკ.).

2. სხვილფეხა პირუტყვის შვილების სახელების ჯგუფი

აშნიარაღვე ცხოველთა შვილის სახელები რომ განვიხილოთ, სხვილფეხა პირუტყვისა, ამავე ცნების გამოხატველ სიტყვებსაც საერთო თვისება აქვთ, მათ:

7. „ბოჩიანი წლის ირემი“-ს სახელია (საბა, ლექს.). ეს ტერმინი ბოჩიანი რაქაში „ზამთარ გამოვლილი ხბო“-ს აღმნიშვნელია (ე. პერიძე, სიტყვის კონა ნ).

8. ბოჩიანი ეწოდება „ორი წლის ვარსა“ (საბა: ზროხა).

9. ბაჩაქიული ჰქვიათ ნახევარ წლის ხბოს (იქვე: ზროხა).

10. ბოჩიანი ეწოდება „გამოშამთრული ზროხა“ არის.

11. ბოჩინა ეწოდება ქიზიყში ახალ-გაჩენილ ხბოს (სტ. მენტეშაშვილის ცნობა), ქართლში ვოჩინა-ს ეძახიან (თ. ლომოურის ცნობით).

12. ბოჩინა „ნუკრის ხაღილი“ (საბა, ლექს.), ე. ი. ირმისა და მისთანათა შვილებს ხმარობის აღმნიშვნელი ყოფილა.

13. ბატიანი ჰქვიათ ზღაბულად (სენაკ.) კაშვიის კოჩაკს, შვილს. ეს სახელი ბატიან-ს (სენაკ.) და ბატი-ს (სანურჩაყ.) ფორმითაც იხმარება (იოს. ყიფშიძის შ. გ. 201).

3. წვრილფეხა პირუტყვის შვილის სახელების ჯგუფი

წვრილფეხა პირუტყვის სახელთაგან ამავე ჯგუფისია,

14. ბატიანი, რომელიც საბას განმარტებით „ჩვილსა კრავსა“, ე. ი. ნორჩ ცხვრის შვილსა ნიშნავს (ლექს.: ცხოვარი). სტ. მენტეშაშვილის ცნობით-კი „ბატიანი ახალ-გაჩენილ ცხვარს ჰქვიათ, ორივე სქესისას, მთიდან

ჩამოსვლამდე, ე. ი. მარიამობის გასვლამდე“, როდესაც ბატკანს ჰპარსავენ და „გაიპარსება თუ არა, უკვე თოხლი დაერქმევა“. ამნაირად მთაზე წახული ბატკანი მითიგან, სადაც ჰპარსავენ, ბარად უკვე „დათოხლებული ბრუნდება“-ო.

15. ბატკანი ქართველი ლექსიკოგრაფის სიტყვით „ჩველი თიკანი“-ს, ე. ი. ნორჩი ციკანის სახელია (ლექსიკ.), გურიაში-კი ამ სიტყვას თავისი პირვანდელი მნიშვნელობა კარგად აქვს დაცული და იქ ბატკანი შემოდგომაზე ნაშობი შინაური საქონლის სახელად იხმარება (ილ. ქუონია, სიტყვის-კონა, 6).

16. ბუწი საბას სიტყვით „თოხლი“-ს, ე. ი. ბატკნის სინონიმია (ლ.), მაგრამ ცხოვარის ქვეშე მას ამ სახელის უფრო ვრცელი განმარტება აქვს და იქ ნათქვამია „წლის კრავსა და მცირედ ნაკლებსა ბუწი“ ერქვა.

17. ამავე თვისების სიტყვაა მამალი თხის სვანური სახელი ფიკვ, რომელიც უქვევლია წინანდელი ფიკვარი-საგან არის წარმომდგარი. ამ მოსაზრების სისწორის დასამტკიცებლად შესაძლებელია დასაყვერავი თხის უშგულური სახელი ლეფკვარი იქნეს დასახელებული, რომელიც ლე თავსართისა და ფკვარი-საგან შესდგება. თუმცა ეხლა ფიკვ მამალი თხის, ხოლო ლეფკვარი დასაყვერი თხის, ე. ი. მამრობითი სქესის აღმნიშვნელად არის ქცეული, მაგრამ ეს რომ მერმინდელი მოვლენა უნდა იყოს და წინათ უსქესო მნიშვნელობა ჰქონია, ამას ამჟღავნებს სვანურივე ფიკუ, რომელიც, პროფ. ვ. თოფურიას ჩანაწერით, დაკოდით თხასა ნიშნავს, და ფიკვან, რომელიც გარეული ცხოველებისა და ძაღლის ლეკვის სახელადაც იხმარება. ამჟამად ფიკვ-ს მრ. რ. ფორმად მიჩნეულია ფიკვარ (ვ. თოფურიას ჩანაწერითვე), რომელიც ნამდვილად წინანდელ მხ. რ. სრული ფორმა ფიკვარი-საგან უნდა იყოს წარმომდგარი. ფიკვარი, რა თქმა უნდა, იგივე ბოკვერი-ა და მის ფონეტიკურ სახესხეობას წარმოადგენს.

18. დასასრულ, ბურპაკი დიდი გოქის აღმნიშვნელიც (საბა, ლ.) სიტყვათა ამავე ჯგუფს ეკუთვნის. ზემო იმერეთში ეს სახელი ბურპაკი-ს ფორმით ყოფილა გავრცელებული (მესაქ. ლ. 11).

§ 4. გარეულ ცხოველთა შვილის სახელების ჯგუფი

ამგვარადვე გარეულ ცხოველთაგან:

19. ბოკვარი „ლომ-ვეფხთა და მისთანათა დიდი ლეკვ“-ს სახელი იყო. მსაჯულთა 14,-ში ბოკვარი ნახმარია ო ძიჟნთჳ ლჳთთჳ ჰო სკვჳნოხ-ის, ლათინ. *Catulus leonis*-ისა და სომხ. *Կարկին արկածայ* კორჯნ-ის შესატყვისად. სამივე ცხოველის ლეკვს ნიშნავდა, მაგრამ ბიშვის აღსანიშნავადაც იხმარებოდა. ეს სიტყვა თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის თხზულებაშიც გვხვდება, სადაც ნათქვამია: „ოდესმე შარვაქშას ლომიხა ბოკუერი გამოეგზავნა“ თამარ მეფისათვისაო (ისტორიკი და აზმნი #665, გვ. 453—4).

20. ბელი ხომ „დათვს ბოკუერი“-ა (საბა, ლ.) და ეხლაც ჩვეულებრივი სიტყვაა. სვანურშიც დათვის შვილს სახელად მხოლოდ ბელ (ბალსზემ.) არის მიღებული (ვარ. თოფურიას ჩანაწერით).

21. ბაზია, რომელიც „ყურღლის მცირე შვილი“-ს, „ბაცაცი“-ს სახელია (საბა, ლ.) და

22. „ბაცაცი ყურღლის შვილი“-ს აღმნიშვნელივე (იქვე).

გარეული ცხოველის შვილის ყველა ეს სახელებიც ამ ჯგუფს მიეკუთვნება.

§ 5. მფრინველთა შვილის აღმნიშვნელი სახელების ჯგუფი

ასეთი თვისების სახელები მფრინველთა მარჯვის აღმნიშვნელი სიტყვათა შორისაც გვხვდება, მაგ.:

23. ბბრტჷნი, რომელიც „სირთა, მერცხალთა და ჩიტთა მართვის სახელია, (საბა, ლ.: მართვე).

24. ბაპალა, რომელიც „ყვავთა, ყორანთა და მისთანათასა“ მართვეს ეწოდებოდა (იქვე).

25. ბუჭულა, საბას განმარტებით, „პატარა წიხქვილი“-ს აღმნიშვნელია (ლ.). რაკი მას ამ სიტყვის არავითარი სხვა მნიშვნელობა მოყვანილი არა იქვს, ამიტომ შესაძლებელია ადამიანმა იფიქროს, რომ ამის მეტი მნიშვნელობა არცა ჰქონდეს. მაგრამ საკმარისია ადამიანმა ქუთაისის საყდრის გამოსავალი ბეგრის 1578 წ. დაეოარი ვადაიკითხოს იმის დასარწმუნებლად, რომ ბუჭულა მარტო პატარა წიხქვილისა-კი არა, არამედ ადამიანის სახელიც ყოფილა. იქ მოხსენებულია მაგ. ახალაძე ბუჭულა (გვ. 50, § 342). კახეთის 1801—2 წ. აღწერის დაეოარშიც ს. ყვარელში შეტანილია ბუჭულა (იხ. გვ. 40, § 182).

ბუჭულა-ს, 82 წლის მექუდე ვანო ოძელაშვილის ცნობით, ხალხში ტფილისშიც ხმარობენ პატარას მნიშვნელობით, ხოლო საჩხერის სანახებში ბუჭულა-ს პატარა ბიჭს უწოდებენ, ქალზე, გოგოზე-კი არ ითქმისო.

ცნობილია და ს. ორბელიანსაც აღნიშნული იქვს, რომ „ბატთა, იხუთა და მისთანათა“ მართვეს, წიწილს ბუჭული ეწოდება (ლ.: მართვი). ბუჭული-სა და ბუჭული-ს ერთმანერთთან შედარება ცხად-ჰყოფს, რომ მეორე სიტყვის პირველი მარცვალი ბუ რეგრესიული ასიმილაციით უნდა იყოს ბუ-ბული-საგან წარმომდგარი.

26. ბშიტი, რომელიც „ხავათთა, წეროთა და მისთანათა“ მართვის სახელი იყო (საბა, ლ.: მართვე), სიტყვათა ამავე ჯგუფს ეკუთვნის.

27. ბიწილი ფრანგელის აღმნიშვნელი სიტყვაა, რომელიც ბაშვთა ცნობილი გასართობის ლექსში გვხვდება: „იწილო ბიწილო, შრაშანო, გვრიტილო, ალხო, მალხო ჩიტმა განახოს (?) შენი ფესვი, ფესმანდუკი... აჯექ, მაჯექ: ნეფევ ჩაჯექ“.

საფიქრებელია, რომ ბიწილი უნდა წიწილის პირვანდელი ფორმა იყოს. ისევე, როგორც ბუჭული წინამორბედ ბუჭულისაგან არის რეგრესიული ასიმილაციის წყალობით გაჩენალი, წიწილი-ს პირველი მარცვალიც ამაირადვე უნდა იყოს პირველი ბი-ს მაგიერ გაჩენილი.

წინათ რომ ამ სიტყვის პირველი ორი მარცვლი მართლაც განსხვავებული იყო, ამას წიწილის ქანური სახელი წიპილი ამჟღავნებს. იქ ამას გარდა მუშუ-ლი და ფული-ც არსებობს (ქ. გ. 219). საფიქრებელია, რომ ეხლანდელი წიპილი პირველი ორი მარცვლის ადგილმონაცვლებით არის პიწილი-სა და ბიწილი-საგან წარმომდგარი.

§ 6. ცხოველთა ზოგადი სახელის ჯგუფი

ასეთი თვისების სიტყვები ცხოველთა ზოგად სახელებს შორისაც რამდენიმე მოიპოვება, მაგალითად:

28. ბაჟაჟი,

29. ფოცხვარი, რომლის შესატყვისადაც მეგრულში ფორცხოლი და ტურა-ფორცხოლი არის (მ. გ. 338) და სხვებიც, რომელთაც, როგორც დავრწმუნდებით, დროთა განმავლობაში მნიშვნელობა შესცვლიათ და რომელნიც თავდაპირველად ცხოველთა ზოგადი სახელები ყოფილა.

§ 7. მცირეწლოვან, უჭასაკოთა და პირუტყვთა სახელების საერთო თვისება

ყველა ამ 29 სიტყვას ორი საერთო თვისება აქვს: 1. შინაარსით თითოეული მათგანი სულდგმულის უჭასაკო, მცირეწლოვან არსების, ანდა ცხოველის ზოგადი სახელია და 2. თითოეული მათგანი ბ თანხმოდნით, ან მისი გაასპირატებული შესატყვისობით იწყება. რათგან ძნელი წარმოსადგენელია, რომ ამდენ სიტყვას, მნიშვნელობის გარკვეულ მსგავსებასთან ერთად, თავკიდურ ბგერად ერთი-და-იგივე ბ-თანხმოდნის სრულებით შემთხვევით ჰქონდეს, ამიტომ ბუნებრივად იბადება საკითხი, ბ-ბგერა უძველეს ქართულში უჭასაკოთა. მცირეწლოვანთა და პირუტყვთა ზოგადი სახელების სქეს-კატეგორიის ნიშანი ხომ არ იყო?

მაგრამ შემოაღნიშნული დაკვირვება მართალი-კია? აქ ხომ რამე მოჩვენებითი, ანდა შემთხვევითი მოვლენა არ არის? თუმცა სქესთა და ნათესაობის ილმნიშვნელი 44 სიტყვა საკმაო ოდენობაა, რომ დაკვირვება შემთხვევითობისაგან უზრუნველყოფილი იყოს, მაგრამ ეს შთლად უცილობელი საბუთი არ არის. შემომოყვანილი დაკვირვება რომ სრულებით დაშაჯერებელი შეიქმნეს და ურყევ დებულებად იქცეს, აუცილებლად საჭიროა, რომ ახმოვანებული ვა ნ და ბ-ს თავსართობა და მათი ამნაირი დანიშნულება თვით იმ სიტყვათა აგებულებისა და პირველადი მნიშვნელობისაგან ჩანდეს. მაშინ სრული უეჭველობით ცხადი გახდებოდა, რომ ამა-თუ-იმ სიტყვის ფუძეს შეხაფერისს მნიშვნელობას სწორედ ეს თავსართები ანიჭებენ და სწორედ ისინი სცვლიან.

მაშასადამე, ეს დებულება რომ კონკრეტულად გამოვსატოთ, უნდა უპირველესად გამოიორკვეს და დამტკიცდეს, რომ შპცნიპ.-სა და შპცნი-სათვის მამრობითობის მნიშვნელობის მიმნიჭებელი სწორედ ვ ბგერა, ანდა ვა მარცვლია. ამნაირადვე ჯერ დასამტკიცებელია, თუ საითგან ჩანს, რომ სიტყვებს: ბატანს,

გინდა ბაშმხ უპასუხობის მნიშვნელობას სწორედ ბ, ანდა ბა ანიკებს. ამის დამტკიცება-კი მხოლოდ სქესისა და ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვების აგებულებისა და თავდაპირველი მნიშვნელობის გამორკვევით შეიძლება და სწორედ ამას უნდა შევუდგეთ კიდევაც.

თ ა შ ი მ ე თ რ მ ე ტ ე

სქესისა და ნათესაობის გამომხატველი სიტყვების აგებულების ანალიზი და თავდაპირველი მნიშვნელობა

§ 1. სიტყვების აგებულების სხვადასხვანაირად დაცულობის გათვალისწინების აუცილებლობა

სქესის აღმნიშვნელი სიტყვების აგებულებისა და პირველადი მნიშვნელობის გამორკვევის დროს უნდა გვახსოვდეს, რომ თავისი ოდინდელი ბგერითი შედგენილობა ეყვლა მათგანს ერთნაირი სისრულით არა აქვთ დაცული და ამიტომ უპირველესად უნდა თითოეული მათგანის თავდაპირველი სახისა და მნიშვნელობის შეძლებისდა გვარად აღდგენასა და გაგებას ვეცადოთ.

ცხადია მაგ., რომ მამალი თხის სახელი ვატი და მამალი ციკანის სახელი ვატიკი ერთი-და-იგივე სიტყვები უნდა იყოს. მაგრამ უკანასკნელს ზედმეტი იკ მარცვალი აბადია. ამიტომ ვატიკი-ს ეს ზედმეტი მარცვალი, ან ფუძისეულად უნდა მივიჩნიოთ და მაშინ უნდა დაეასკვნათ, რომ ვატი-ს ეს მარცვალი დროთა განმავლობაში დაუკარგავს, ან არა და, თუ იკ ძირეული არ არის, მაშინ პირველადი სახის უკეთ დამცველად ვატი უნდა გვეცნა, ხოლო ვატიკი-ის ეს მარცვალი შემდეგ გაჩენილად გვეგულისხმა.

ასევე ბევრს სხვა შემთხვევაშიც და სწორედ ამიტომაც, ყოველ სიტყვათა ცალკეული ჯგუფის განხილვამდე, უნდა უწინარეს მათი აგებულების სრული სახე გვექმნეს გამორკვეული.

§ 2. ვატიკისა და ვატის, ბატკისა და ბატკანის, აგებულებისა და პირველადი მნიშვნელობის ანალიზი

თუ გაეხსენებთ, რომ თხის შვილს ზოგადად, სქესისდა მიუხედავად ციკანი ეწოდება, და ამ სიტყვას ვატი-სა და ვატიკი-ს შევადარებთ, ცხადი გახდება,

რომ არამც თუ ვატიანი-ს იპ მარცვალი შერმინდელი ზედმეტი დანართი არ ყოფილა, არამედ მას კიდევ ერთი ან მარცვალი ჰკლებია.

შესაძლებელია ვინმემ იფიქროს, რომ, რაკი ოთხთავისა და დაბადების ქართულ თარგმანში ციკანი ს მაგიერ თიკანი გვაქვს, თითქოს თ-ს ც-დ შენაცვლება და ციკანი-ს ფორმა ახალი იყოს, მაგრამ იმავე ხანაში, როდესაც თიკანი იყო გაბატონებული, ციკანი-ს ფორმაც რომ ყოფილა, ამას იმავე დაბადების თარგმანში დაცული ძუტციანი-ს სახელიც ამტკიცებს.

ძუტციანი იობის 391-ში გვხვდება. იქ ნათქვამია: „უკეთუ გიცნობიეს ქამი შობისა ქურციკისა, მცსორებელთა მათთა კლდოვანთა“-ო. ძუტციანი-ს შესატყვისად ბერძნ. ἡ τρυφάλεια ჰო ტრაგელაფოს-ი სწერია, ლათინ. ibex, ე. ი. Steinbock-სა და სომხ. յամսյუ დაშობ-ს უდრის. ხოლო მეორე მხრით ქება ქებათაჲ-ს 2, ნათქვამია: „მსგავს არს ძმისწული ჩემი ქურციკსა“. ბერძნულ თარგმანში „ძუტციანი“-ს შესატყვისად ἡ θορὰჲ ჰე დორკას-ია, ლათინ. hircus-სა და სომხ. ալბისი ალვის-ს უდრის, რაც ირმის მაგვარ შშენიერ ცხოველს, ჯეირანს, Antilopa dorcas-ს, Gazelle, რუს. газель-ს ნიშნავს.

ამენად რომ პირველ ნაწილს თავი დავანებოთ და მხოლოდ ჩვენთვის საჭირო მეორე ნაწილს მივაქციოთ ყურადღება, ბერძნული შემომოყვანილი შესატყვისობითგანაც ჩანს და ისედაც ცხადია, რომ ციკი აქ ბერძ. ტრაგოს-ს, ე. ი. თხას უდრის და ციკანი-ს ისეთივე ბოლო-შეგვეცილი ფორმაა, როგორც ვატიანი-შია. მაშასადამე ციკანი-ს, თიკან-თან შედარებით, შერმინდელ შენაცვლებულ სახესხვაობად მიჩნევა არასგზით არ შეიძლება ამ ორ სახესხვაობას შორის იმდენად ქრონოლოგიური არა, რამდენადაც დიალექტური განსხვავებაა საგულისხმებელი.

ციკანი ეხლა და თიკანი უკვე ოთხთავის გადმოთარგმნის ხანაში თხის შეილის, ე. ი. ჩვილი ნაშობის სახელად არის და იყო ქცეული, მაგრამ ასე არ ყოფილა თავდაპირველად. წინათ რომ ციკანი ზოგადი სახელი იყო, თხის წლოვანებისდა მიუხედავად, და მოზრდილისა და დიდის აღხანიშნავადაც იხმარებოდა, ამ გარემოებას ვატი-ს სახელიც ამკლავნებს, რომელიც ამავე ციკანისაგან არის ნაწარმოები, მაგრამ მცირე წლოვანს-კი არა, არამედ სწორედ სრულშახაკოვან თხასა ნიშნავდა და ნიშნავს ეხლაც.

ამნაირადვე ცხადია, რომ ჩვილი თიკანის, ე. ი. ციკანის აღმნიშვნელი ბატი (საბა) და ცხვრის ჩვილი კრავის სახელი ბატიანი ერთი-და იგივე სიტყვებია, მხოლოდ პირველს ან მარცვალი აქვს ბოლოში ჩამოცილებული.

როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა, ბატი მეგრულად თხისა-კი არა, არამედ კამეჩის კოზაკის აღმნიშვნელია. იქვე ამ სიტყვის კიდევ ორი ფორმა არსებობს: ბატი და ბატი. ისევე როგორც ეს სიტყვები ერთისა-და-იმევე ცხოველის აღმნიშვნელია, ამნაირადვე ბატი-ც ბატი-სა, ანუ ბატი-საგან უნდა იყოს კ-ს გაქრობით წარმომდგარი¹.

¹ კ-ს გაქრობა ჩვეულებრივია ქანურში, მაგ. ტყაბი — ტეპი (ტყაყი) მტკუ — მტუ (მტკაველი), ტკოჩ — ტოჩ (ტყორცა), ოწკუ — ოწუ (წყვეტა), მაწკუნუ — მაწუნუ (მტკივა), მწკუ — წუ (წვაყი) და სხვ.

როგორც თხის სახელებს შორის ერთი მხრით ბატონი-ა, მეორე მხრით: ციკანი და თიკანი, ანაირადვე ერთი მხრით ბატონი-ა და ბატონი და უფრო აღრიხნული ბატონი, რომლისაგანაც ბატონი-ა წარმომდგარი, მეორე მხრით-კი თიკანი გვაქვს, რომელიც იმავე ცხოველს ზოგად სახელსა და თიკანის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს.

თუმცა თიკანი ცალკეულად სამწერლობო ქართულში ჯერ არა ჩანს და თიკანსაც თხის მნიშვნელობა აქვს მიკუთვნებული, მაგრამ წინათ და თავდაპირველად ამ სიტყვას, როგორც ეტყობა, მართლ თხისა-კი არა, არამედ ცხვრის მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა, აქას ის ვარემოება გვაღვიქობინებს, რომ ქანურში თიკანს, თხისა-კი არა, არამედ სწორედ ცხვრის მნიშვნელობით ხმარობენ. ქანურში „თიკანი“ ეხლაც ცოცხალი სიტყვაა და წინანდებურად ცხვრის აღმნიშვნელია, მხოლოდ პატარასი, კრავის, ბატკნისა. აქასთანავე მეტიად საგულისხმოა, რომ ეს სიტყვა ათინურ კილოში „თიკანი“-ს სახითაც არის დაცული (ვ. გ. 147).

მაგრამ ამაზე მეტის თქმაც შეიძლება: თუ სამწერლობო ქართულსა და ქანურში თიკანი, თიკანი და ციკანი წერილფება რქოსანი საქონლის ზოგად სახელად მოჩანს, კამბეჩის შვილის, კონაკის, ზღარული სახელი ბატონი ცხადპოვს, რომ თიკანი ოდესღაც სხვილფება საქონლისათვისაც უხმარიათ.

ყველა შემონათქვამითგან ირკვევა, რომ თიკანი, თიკანი და ციკანი ქართულად უუძველეს ხანაში ცხოველის წლოვანებისა და სქესისდა განურჩევლად აღმნიშვნელი ზოგადი სახელი ყოფილა.

საკმარისია ეხლა ეს ზოგადი ცნების გამომხატველი სიტყვა თიკანი და კრავის აღმნიშვნელი ბატონი ერთმანეთს შევადაროთ იმის დასარწმუნებლად, რომ მათ შორის არავითარი ბგერითი განსხვავება არ არის იმას გარდა, რომ მეორე სიტყვას თავში პირველთან შედარებით უფდმეტი ბ მარცვალი გააჩნია. ხოლო, რაკი ბატონი თუმცა ცხვრის ორივე სქესის შვილის ზოგადი სახელია, მაგრამ, თიკანის მსგავსად, წლოვანობისდა მიუხედავად-კი არა, არამედ მართლ მცირე წლოვანისა და უჭასაკოსი, ამიტომ ცხადია, რომ ფუძე თიკან-ს უჭასაკობის ცნების გამომხატველობას სწორედ თავკიდური ბ მარცვალი ანიჭებს.

თავისდა-თავად ცხადია, რომ იგივე უნდა ითქვას ქართულს სამწერლობო ენაში ჩვილი ციკანის სახელი ბატონი-სა და კამბეჩის ზღარული სახელი ბატონი-ს, ბატონი-სა და ბატონი-ს თავკიდური ბ-ს შესახებაც.

ტიკანის მსგავსად, ციკანი-ც, როგორც დავრწმუნდით, ძველ ქართულში თავდაპირველად, სქეს-წლოვანობისდა მიუხედავად, ცხოველის ზოგადი სახელი ყოფილა, მათ შორის თხისაც. თუ ამ ზოგად სახელწოდებას თხის მამალი მცირეწლოვანი შვილის აღმნიშვნელი ბატონი და მამალი სრულ-ჭასაკოვანი თხის სახელი ბატონი შევადარეთ, დავრწმუნდებით, რომ, თუმცა მას ციკანის მსგავსად, თხის წლოვანობისდა მიუხედავად, ზოგადი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ ორივე სქესისათვის-კი არა, როგორც ციკანი იხმარება, არამედ მხოლოდ მამალი თხისა. რაკი ამ ტერმინება ერთმანეთისაგან არსებითად მხოლოდ თავკიდური ბ ახსნავებებს, ამიტომ აქაც უნდა დავასკვნათ, რომ მამრობითი სქესის აღმნიშვნელობას სწორედ ეს თავკიდური ბ ანიჭებს.

§ 3. ნეზვისა და ქანური ბოზოს აგებულების ანალიზი და ნე-ს და ბმ-ს ბუნება

თავის ალაგის (იხ. აქვე) უკვე გამოკვეთილი გვექონდა, რომ მდებარეობითი სტესის ცხოველსა და არსებას უძველეს ქართულში ნეზვი პრეპეგია. მსგავსი ცნების გამომხატველი სიტყვებსავე, მას თავში ნ თანხმოვანი აქვს. ძირეულია იგი, თუ არა, და, თუ ძირეული არ არის, რა დანიშნულება აქვს მას, ამის გამორკვევას მხოლოდ მისი ეტიმოლოგია შეაძლებინებს აღამიანს.

საქონლისაგან შვილის გაჩენის, შობვის, აღსანიშნავად ზმნა ზუშაზა-ც იხმარებოდა. იერემიას 14, ქართული თარგმანის „ირემნი ველთა ზედა იუშაზ-ვოდს“ ბერძნული ტექსტის *ἐλάφια ἐν ἀγρῷ ἐλάξασιν*-ს უდრის. აქეთგანვეა ნაწარმოები ტერმინი „მეზვი“, რომელიც საბას განმარტებით „შობელი ხვასტაგი“-ს მნიშვნელობით იხმარებოდა (ლექსიკ.). ამ ძირითგანვეა წარმომდგარი უზვი, რომელიც საბასვე სიტყვით „ბერწი ცხოველი“-ს აღმნიშვნელია (ლექსიკ.), ე. ი. უშობელს უდრის.

ინგილოურ კილოში ეს ზმნა ძველი მნიშვნელობით ეხლაც იხმარება და ზობა შვილის მოგებას, დაყრას, შობას უდრის, ამბობენ „ფურ დაზო“, ე. ი. ძროხამ მოიგო“-ო (მ. ჯანაშვილი, საინგილო, ის. ძვ. სქლო II, 247). ხევსურულშიც იხმარება „საზვაზი“ შვილის შობელი საქონლის აღსანიშნავად (მესაქონ. ლ.: მფეზვე) და „ნაზვაზლაზი“, „ნაზვალი“, ნაშობი საქონლის მოწყოლის გამოსახატავად (იქვე).

ეს ზმნა სვანურსაც აქვს დაცული და ოთხფეხთა და ცხოველთა შობას იქ ლიზან, ლიზან, ანდა ლი-ზვან-ი ეწოდება (ვარ. თო ფურიას ჩანაწერით).

ანაირად შობის აღმნიშვნელი ძირი ზუშ-ს, ზვ-სა, ანდა ზო-სა და ზნ-ს სახით არის ძველსა და თანამედროვე ქართულ-ქართველურში დაცული.

საკმარისია დედალი ცხოველის და არსების სახელი ნეზვი ამ შობვის აღმნიშვნელ ზვაზა ზმნას შევადაროთ, რომ მათი ნათესაობა ცხადი შეიქმნეს. ზვი-სა და ზვ-ს იგივეობა უიქველია. მაშასადამე, ძირი ამ ორ სიტყვას საერთო მქონია. ხოლო, რაკი ზვ ძირი შობის ცნების გამომხატველია, ამიტომ ცხადია, რომ ნეზვი თავდაპირველად ამავე ცნების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ვითარცა არსებითი სახელი, ზვაზა შობა ზმნისაგან წარმომდგარი ნეზვი შესაძლებელია მხოლოდ ვნებითი მიმღობის ფორმა იყოს და მშობელს უნდა ნიშნავდეს. დედალი რომ მშობელის აღმნიშვნელი იყოს სრულებით ბუნებრივიც არის.

როგორც „ნეზვი ნაშობი“-ს აღმნიშვნელია (საბა, ლ.) და შობა ზმნისაგან ნაწარმოები ვნებითი მიმღობაა, რომელსაც ძირი შვ-ის სახით აქვს დაცული, ისევე ნეზვი-ს ძირი, უეჭველია, ზვ უნდა იყოს. ხოლო, რაკი ეს სიტყვა მიმღობაა, ცხადია, რომ ნე მიმღობის თავსართი და ფორმანტი ყოფილა.

რა თქმა უნდა, ნე ნეზვ-ში, ნაშვი-ს ნ-ს მსგავსად, ვნებითი მიმღობის ფორმანტი არ შეიძლება იყოს, არამედ მოქმედებითი მიმღობის ფორმანტია. თუ გავიხსენებთ, რომ ნეზვი დედალსა ნიშნავს, მაშინ ბუნებრივად დავგვიბ-

დება აზრი, რომ ნა მდებარეობით. სქესის აღმნიშვნელი მიმღეობის ოდესღაც ქართულში არსებული ფორმანტი ყოფილა.

ამავე ჯგუფა ზმნის, მაგრამ ინგილოურში დაცული ზმნა-ს მსგავსი ფორმისაგან იქნება გოგოს აღმნიშვნელი ქანური სიტყვა ბოზო-ც წარმოშობად, რომლის ძარს ზო შეადგენს, ბო-კა თავსართია და, როგორც დავრწმუნდით, უმასაკოთა აღმნიშვნელი ფორმანტია. ამ შემთხვევაში იგი უმასაკოთა ზოგადი სქესის გამომხატველი მიმღეობის ფორმანტად გვევლინება. ბო თავსართისდა მიხედვით, საფიქრებელია, რომ ბოზო თავდაპირველად ბაზგის, ე. ი. ორივე სქესის ნაშობის, გამომხატველი უნდა ყოფილიყო და გოგოს მნიშვნელობა ამ სიტყვასაც, ბევრ ამის მსგავს სახელსავით, შემდეგში ექნება მიღებული.

ნეზუი-ს დროთა განმავლობაში ფორმანტ-ჩამოცილებულსა და ზ-ს ძ გვერით მერმინდელ შენაცვლებულ ფორმას უნდა წარმოადგენდეს ძველ ქართულში დედალი ცხოველის ზოგად სახელად მიღებული ძუ და ძუვი ისევე, როგორც დედალი ძალის სახელად ქცეული ძუძნ-ს პირველი ნაწილი ძუ-ც. ამ სიტყვის მეორე ნაწილი ძნა, როგორც თავის ადგილას დავრწმუნდებით, გარკვეული ცნების აღმნიშვნელი სიტყვაა, რომელიც არაერთს სხვა ტერმინსა და სახელშიც გვხვდება.

წა ნინოს შატბერდისეულ ცხოვრებაში ძუ-ს მაგიერ ნახმარია ძუვი. წა ნინოს აღმზრდელი თავის გაზრდილს ვითომც ეუბნებოდა: „ვბედავ, შეილო ჩემო, ძალსა შენსა, ვითარცა ძალსა ლომისა ძუვისასა (ჭელიშ. ძუსა), რომელი იზახებენ ყოველსავე ოთხფერკსა, ვინა ვითარცა ორბი დედალი, რომელი აღვიდის სიმაღლესა ჰაერთისა უფროსს მაჟლისა“-ო (Опие. II, 742).

ჯუშუბა ზმნისაგან არის ნაწარმოები სიტყვა მოჯუარი, თუ მოჯუარი-ც, რომელსაც გუდამაყრის ხეობაში მოჯუარი უდრის (მესაქ. ლ. 43). ქანურად მოჯუარი (ათინ.) და მოჯუარი (ხოფურ.) ეწოდება (ქ. გ. 144). ნეზუთან შედარებით, ეს სიტყვა ახალი სიტყვაა და იმ ხანის ნაწარმოები, როდესაც ქართულსა და ქართველურს გრამატიკული სქესი უკვე დაკარგული ჰქონდა. მაგრამ, მაწოვარის მსგავსად, ვითარცა ჯუშუბა შობა ზმნისაგან ნაწარმოებ მიმღეობას, თავდაპირველად, უეჭველია, მოშობელის და დედალი ცხოველის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა. მართლაც, ქანურს ამ სიტყვის თავისი პირვანდელი აღმნიშვნელობა დაუცავს და მოჯუარი და მოჯუარი იქ სწორედ დედალ ხბობ და ხაჯურს ეწოდება (ქ. გ. 144). ქართლ-კახეთში-კი ამ სიტყვას მნიშვნელობა შეცვლილია. უკვე საბაძასა აქვს განმარტებული, რომ მოჯუარი -წელიწადზე მეტსა სავარესა“ ნიშნავდა (ლ.: ზოხა) მოჯუარი-სა, თუ მაჯუარის-ს მოჯუარი ჯუშუბა ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობის უთავკიდურო მარცვლიან ფორმას უნდა წარმოადგენდეს ქანური სიტყვა ჯუშუბა-ც.

ცხოველის დედლობის აღსანიშნავად ქანურში სხვებზე უფრო ხშირად ეს ნაწილი იხმარება, მაგ.: ძუენა ძალს ჯუშუბა ჯოჯოში (ვ წერად). ან ჯუშუბა ჯუშუბა (ათინ.), ანდა ჯუშუბა ჯუშუბა (ბულ.) ჰქვიან, -დედალ, ანუ ფურირკმეცი — ჯუშუბა მსაჯუარი ეწოდება (ქ. გ. 145), რაკი ჯუშუბა მოშობელის აღმნიშვნელია, ანტიკომ ძისი დედლის აღმნიშვნელობა ქანურში სრულებით მუხებრივია.

საფიქრებელია, რომ **ზუზა**-საგან ნაწარმოებს მოქმედებითი გვარის მიმღობას უნდა წარმოადგენდეს დედაკაცის აღმნიშვნელი სჯარბა სიტყვა **ზურალ**, რომელიც თავდაპირველად „მაზურალ“-ის, ან „ნაზურალ“-ის, სახით არის საგულისხმებელი და პირველად ალბათ მშობელსა ნიშნავდა, რათგან საცოლქმრო ცხოვრებაში დედაკაცის ეს თვისება ყოფილა ნიშანდობლივად და მამაკაცისაგან განმასხვავებლად მიჩნეული. ეს რომ მართლაც ასე უნდა ყოფილიყო, ამას ის გარემოებაც ცხად-ჰყოფს, რომ ამ სიტყვით მართო მდებრობითი სქესის აღამიანი-კი არ აღინიშნებოდა, არამედ ცხოველებიც, რის დამამტკიცებელი აბუთი ჭანურსა აქვს დაცული, სადაც **ზურალ**-ის შკვეცილი ფორმა **ზურა** დედაკაცს-კი არა, არამედ, როგორც დავრწმუნდით, სწორედ დედალ საქონელს ნიშნავს.

დამახასიათებელია, რომ „**ღიპცი**“-სა და „**მხდალი**“-ს მსგავსად, სჯარბად დედლის აღმნიშვნელი **ზურა**, იოს. ყიფშიძის ჩანაწერის თანახმად, თურმე „**მშიშარა**“-საც ნიშნავს (ქ. გ. 145. იოს. ყიფშიძის ფანქრით მინაწერი).

თანამედროვე მკვლევრებმა **ზურა** რომ მხდალსა, სუსტს და ავადმყოფსა ნიშნავს, უეჭველია, ესეც მეორადი მნიშვნელობაა.

§ 4. ბოკურისა, ფუკვარის, ფეკვნას, ნუკრისა და ბურვაკის აგებულება და მათი თავკიდური მარცვლების ბუნება

ბოკური-ს აგებულებისა და ეტიმოლოგიის გამორკვევის დროს, უნდა ვათვალისწინებულნი გვქონდეს, რომ ეს სიტყვა გარეული ცხოველის შვილის ზოგადი სახელია. ამავე დროს უნდა ვავიხსენოთ, რომ ქართულს შინაური სხვილფეხა ცხოველის შვილის კიდევ ორი სახელი გააჩნია, რომელთაგან **ღიპცი** დედლის, **ბარბაული**-კი, სქესისდა განურჩევლად, აგრეთვე ზოგადი სახელია.

ორი უკანასკნელი სიტყვის აგებულება ცხადია და თვითეული მათგანი ორი ნაწილისაგან შესდგება: პირველი ნაწილი, **ღიპ** და **ბარბ**, მათ განსხვავებული აქვთ, მეორე, **აული**-კი საერთოა. ცხადია, რომ ეს საერთო ნაწილი **აული** ამ ორი სიტყვის აღმნიშვნელობის საერთო თვისების, შვილობის, გამომხატველი უნდა იყოს, ხოლო მათი პირველი განსხვავებული ნაწილი, ამ შვილობის განმასხვავებელია. მართლაც **ღიპ** დედალს, ე. ი. შვილის მდებრობითს სქესს, გამოჰხატავს, **ბარბ**-კი მაუწყებელია, რომ შვილის ორივე სქესია ზოგადად ნაგულისხმევი.

რაკი **ბოკური**-ც დიაკეულისა და ბარაკეულის მსგავსად, ცხოველის შვილობის აღმნიშვნელია, სრულებით ბუნებრივია, რომ იქ-ც შვილობის ამ ცნების გამომხატველი ნაწილი ვეძიოთ. საფიქრებელია, რომ **ბოკური**-შიც ამ ცნების აღმნიშვნელი მეორე ნაწილი **კური** იყოს.

თუ ქართულში პგეათა ადგილ-მონაცვლებისა და რ და ლ-ს შენაცვლების სინშირეს გავიხსენებთ, მაშინ ის მოსახრება, რომ **კური** და **აული** ერთი-და-

იგივე, მაგრამ სწორედ ამ ფონეტიკური პროცესით ერთმანერთისაგან განსხვავებული, სიტყვებია, ძნელი დასაჯერებელი არ იქმნება.

ხოლო, რაკი ბოკაშვირ-ში შვილობის აღმნიშვნელი სწორედ კაშვირ უფილა, ბოკ, ცხადია, აქაც ძირეული არ არის და, ბარაკეულის ბარაკ-ს მსგავსად, ზოგადად შვილის უმასაკობის გამომხატველი უნდა იყოს.

საყურადღებოა დიბაქული-ს პირველი და მეორე ნაწილის დიბ-ს და კაშ-ლი-ს ფონეტიკური სახესხვაობანი: სამწერ. ქართულში დიბაქული-ა, ინგილოურად-კი გვაქვს დიბაქული (მ. ჯანაშვილის საინგილო 196), თუშურად — დიბაქული (მესაქ. ლ. 19), სვანურად — დიბაქული (ვარ. თოფურიას ჩანაწერი) და გურულად დიბაქული (მესაქ. ლ. 19). დასასრულ მეგრულში ამის შესატყვისად ჯაბაქული გვაქვს (მ. გ. 411).

კან-ს, კეული-სა, თუ კური-საგან წარმომდინარეობის დებულება რომ აღაშინოს საექვოდ, ანდა მცდარად არ ეჩვენოს, ამ სახესხვაობის უფრო გულდასმითი დასაბუთება ემჯობინება. უეჭველია, კან უნდა უფრო ადრინდელი კანა-საგან იყოს, ვ-ს გაქრობით, წარმომდგარი.

სვანურად გარეული ცხოველების ლეკვის ზოგად სახელად ფაქანა იხმარება (ვარ. თოფურიას ცნობა), ე. ი. სვანური ფაქანა მნიშვნელობით ძველს ბოკაშვირ-ს უდრის. საგულისხმოა, რომ ფაქანა სვანურად შინაური ცხოველის, სახელდობრ ძაღლის ლეკვსაც ეწოდება. იგივე სიტყვა, ოღონდ ბოლოკიდური ნა-მარცვალ-ჩამოცლილი, სვანურში შინაური წვრილფეხა პიოუტყვის სახელადაც გვხვდება. დაკოდით, ე. ი. უკვე უხეხოდ ქცეულ თხას იქ ფიქს-ს ეძახიან (ე. თოფურიას ცნობა), რომელიც უეჭველია ფაქანა-საგან უნდა იყოს წარმომდგარი, ამას ერთი მხრით ამ სიტყვის მრ. რ. ფორმად მიჩნეული ფაქანა-იც ცხად-ჰყოფს და მეორე მხრით დასაყვერავი თხის აღმნიშვნელი უმგულური დიბაქული (ე. თოფურია), რომელსაც, დი ფორმანტის ჩამოცილების შემდგომ, ფუძედ ფაქანა ჰრჩება. რა თქმა უნდა, რომ ფაქანა-ს პირველ მარცვალს ის უხმოვანი აქვს დაკარგული, რომელიც ფაქანა-ს დაცული აქვს, ამ უკანასკნელის ბოლოკიდური არ მარცვალის მხოლოდ შეცდომით, მრ. რ. სვანურ ამავე ფორმანტთან მსგავსების გამო, არის მრ. რ. ფორმად მიჩნეული, არ აქ ფუძისეულია, მრ. რ. ნიშანი არ-კი მას ჩამოსცლია.

ცხადია, რომ ფაქანა იგივე ბოკური-ა. ზემოაღნიშნულ ვარემოებათა და შესატყვისობათა გამორკვევის შემდგომ, უფლება გვაქვს დამტკიცებულად მივიჩნიოთ, რომ ფაქანა-ს კანა მართლაც კაშვირ-სა, ანუ კაშვირ-საგან არის წარმომდგარი, უეჭველია რ-ს ნ-დ შენაცვლების გზით. ასეთი შენაცვლება ქართულში იშვიათი მოვლენა არ არის¹.

დეკაულის გურული სახელის დიბაქული-ს კანა რომ კანა-ს საშუალებით ამავე კაშვირ-საგან არის წარმომდგარი, ამას ზემომოყვანილის შემდგომ, ეგონებ, დამტკიცება აღარ უნდა სჭირდებოდეს.

¹ მაგალითად შესაძლებელია დასაბუთებულ იქმნეს სამურველი და ხაზონველი (საბა), კირილა და ხინჩლა (ხეც.), ანკეხი და მეგრ. არეცი, და ანკეცი—მეგრ. თ-ანე და ხარწევი-აკვანა, — მართვე და მიწთა (მეგრ. კ. — გარი და კან (სვან.) და სხვაც არაერთი.

ერთი მხრით ქართულში და კავშირში დედალ ძალს ძუძან ეწოდება (მესაქ. ლ. 90), მეორე მხრით სავანურად ძალის ლევს ფუძან ჰქვია. ამ სვანურ სიტყვას ამაზე უფრო ფართო მნიშვნელობაც აქვს და ფუძან-ს ზოგადად ყოველნაირი გარეული ცხოველის ლევის სახელადაც ხმარობენ (ვარ. თოფურ. რიას ჩანაწერი).

ცხადია, რომ ძუძან-სა და ფუძან-ს ერთი-და-იგივე ძირი, ანუ ფუძე იქვთ: ძუძან მათ საერთო ნაწილს შეადგენს, პირველი ნაწილი-კი თვითოეულ მათგანს განსხვავებული აქვს. ხოლო, რაკი ამ ორი სიტყვის მნიშვნელობაც იმ საერთო თვისებას შეიცავს, რომ ორივე ცხოველის სახელია, მაგრამ მაინც იმ მხრივ განსხვავდება, რომ პირველი დედალი ცხოველის, მეორე-კი უშახკო, პატარა, მცირეწლოვანი ცხოველის სახელი არის, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ ამ ორი სიტყვის მნიშვნელობის საერთო თვისების, ცხოველობის გამომხატველი სწორედ მათი საერთო ნაწილი ძუძან უნდა იყოს, მნიშვნელობის განსხვავების გამომხატველი-კი ამ სიტყვების პირველი განსხვავებული ნაწილი იქმნება.

ზემომოყვანილი დასკვნის სისწორეს ძუძან-ც ამტკიცებს, რომლის პირველი მარცვალი ძუ (კალკულ სიტყვადაც არსებობდა და არის ესლაც და სწორედ დედალსა ნიშნავდა და ნიშნავს ამ ქაშადაც. ამის მსგავსად, უეჭველია, რომ გარეული ცხოველის ლევის სვან. სახელ ფუძან-შიც ძუძან-ს, ანუ ძან ძირსა, თუ ფუძეს, შვილობის, ანუ ლევობის მნიშვნელობას უცილობლად პირველი მარცვალი ფუ უნდა ანიჭებდეს. ქართულ-ქართველურში ბ ბგერის ფ-დ გაასპირატების საკმაო სიხშირის გამო, ფე უნდა პირველადი ბე-საგან იყოს, ან დროთა განმავლობაში, ან დიალექტურად წარმომდგარი. მაშასადამე, აქაც ბმ და ფე უშახკოთა და მცირეწლოვანთა ზოგადი სქესის ნიშნად გვევლინება.

უეჭველია, ასეთივე აგებულების სიტყვა უნდა იყოს ნუძანი-ც, რომელიც, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე), წინათ ირმის, შველისა და მისთანათა დედალი შვილის სახელი იყო. ნუ არც აქ არის ძირეული, არც იმავე ძუძანი-ს შეკუმშულ, შუახმოვნებ-გაქრობილ სახესხვაობას წარმოადგენს, რომელიც ბმ-ძუძანსა და სვან. *ფუძან-ს ფუძეა. მას შემდგომ, რაც ამ ძუძანი-საგან ძუძან-ს (ფუძან-ში) და ძან-ს (დექან-ში) სახესხვაობათა გაჩენის გარემოება გამოჩნდა, ძუძანი-საგან ძანი-ს წარმოშობილობა აღარაფის გააკვირვებს. რაკი ძანი ფუძე, ძუძანი-ს მსგავსად, შვილობის ცნების გამომხატველია, ნუ აქაც მდებარეობის აღმნიშვნელი თავსართი უნდა იყოს.

ბმ-ძუძანი-სა და სვ. *ფუძან-ს აგებულების შემდგომ, ვგონებ, ბგერი საუბარი საჭირო არ უნდა იყოს, რომ, არამც თუ ღორის შვილის სახელი ბმ-ძუძანი ასეთივე აგებულობისა, არამედ მთლად იმავე სიტყვის ფონეტიკურ სახესხვაობად მივიჩნიოთ. მართლაც, საკმარისია ქართულში ბგერთა აღვილ-მონაცვლების სიხშირე გავიხსენოთ, რომ ბმ-ძუძანი, კ და რ თანხმოდანთა აღვილმონაცვლების გზით, ბმ-ძუძანი-საგან (ბუკუარი — ბუკვარი — ბურვაკი) წარმოშობილობის აზრი დამაჯერებელი შეიქმნეს. ამნაირად, ბმ-ძუძანი იგივე ღორის ბმ-კვერი, ანუ შვილი ყოფილა.

§ 5. ბაშვისა და ბუშის ეტიმოლოგია და ბა და ბუ მარცვლების ბუნება

ბაშვის, ანუ ბაშვშის ეტიმოლოგიის დროს უნდა გათვალისწინებული გვექონდეს, რომ ეს სიტყვა ადამიანის ორივე სქესის მცირეწლოვანი შვილის სახელია. ანაბოლსა და ჰეპტოლმა ბოშ-ად არის ქცეული, ჰანოზაჲ ბეშ-იცა და ბოშ-იც არის, ე. ი. როგორც აღმოსავლურს, ისევე დასავლურს სახესხეობას ენსრობა. ამას გარდა, როგორც ვიცით, ბუშ-ც არსებობდა, რომელიც თავდაპირველად ორივე სქესის შვილის, ხოლო გარკვეული ხანითგან უკანონო შვილის აღმნიშვნელი იყო.

ცნობილია, რომ ადამიანისა და ცხოველის ორივე სქესის შთამომავალს ფული ანუ შვილი ეწოდებოდა ძველად და შვილი შქვიან ეხლაც. ეს სიტყვა შობა ზმნისაგან ნაწარმოები მიმდევობაა, ე. ი. შობილს და ნაშობს უდრის.

შვილი რომ, როგორც ადამიანის, ისევე ცხოველის შთამომავლობის აღმნიშვნელია, გასაოცარი არ არის, რათგან თვით იმ ზმნისაც, რომლის მიმდევობასაც ეს სიტყვა წარმოადგენს, ძველად ასეთივე ზოგადი მნიშვნელობა ჰქონდა.

შობამ მარტო ადამიანის დაბადების გამომხატველი სახელზმნა-კი არ იყო, როგორც ეხლა გვესმის, არამედ დედალი პირუტყვების მიერ მოგებასაც ამავე სიტყვითაც აღნიშნავდნენ ხოლმე. შესაქმეთა 30₃, ნათქვამია: „შობდეს ცხოვარნი მოთეთროთა და ქრელთა და ნაცრისფერად სხურებულთა, ხოლო კრავნი განყუნა იაკობ“-ო.

ამ ზმნის ასეთი ზოგადი და ორმაგი მნიშვნელობა მის ზღვარულ შესატყვისობას ეხლაც დაცული აქვს. შიიბა და შიბა შობასაც ნიშნავს და შეძენასა და მოგებასაც. მაგ. მაშიი ნიშნავს შებადება-ს, ბშიბულენქ და ბშულენ-კი — ვიძენ-ისა და ვიგებ-ის აღმნიშვნელია, ნაშიბ-შ-ც ნაშოვნის-ს, შენაძენის-ს, მონაგები-ს გამომხატველია (მ. გ. 256 — 357).

უკვე უძველეს ძეგლებში შვილი, როდესაც მას კომპოზიტუმში მეორე ადგილი უკავია, შეკვეცილი ხაზით არის წარმოდგენილი. შესაქმეთა 10₁, ნათქვამია: „ქანან შუაჲ სიდონ პირშშოდ“, ხოლო იქვე 22₁ იხსენიება „ოქსა პირშშოდ.“ ბერძნულ ტექსტში პირშშოდ-ს შესატყვისად παρῶντων-ი, პროტოტოკოს-ი არის, ლათინ: primogenitus-ი და სომხურში *անպանիქ* ანდრანიკ-ია. ბერძნული და ლათინ. ტერმინი, ისევე როგორც სომხური, პირველ-ნაშობსა, უფროს შვილსა ნიშნავს. ქართული პირშშოდ-ც, ცხადია, ასევეა ნაწარმოები და პირ-შო-ბილი საგან უნდა იყოს წარმომდგარი. ამგვარად შობილი-საგან აქ მხოლოდ პირველი მარცვალი-დაა წარმოდგენილი და შობილის, ანუ შვილის აზრის გამომხატველი შო არის. ამ სახითვეა წარმოდგენილი ეს ძირი ტერმინ „საშო“-ში და შეკვეცილიდგება დაცული შობა ზმნა ასეთ ფორმებში, როგორიც არის მაგ. შვის, შობის მაგიერ. თუმცა ტერმინი „პირშშოდ“ და „საშოდ“ მე-V ს. ძეგლებშიც გვხვდება, მაგრამ ამნაირი შეკვეცილობა მე-V ს-ზე გაცილებით უფრო ადრე უნდა მომხდარიყო.

პირშშოდ მარტო მამრობითი სქესის უფროს შვილს-კი არა, არამედ ზოგადად პირველნაშობსა და ქალიშვილსაც აღნიშნავდა. ამას დავით აღმა-

შენებლის ისტორიკოსის შემდეგი სიტყვებიც ცხად-ჰყოფენ: დავით აღმაშენებელს, „პირმო ახულთა თვსთა, თამარ, გაევზავნა დედოფლად შირვანისა“-ო (ცა მფთ მფსა დთსი *532, გვ. 298).

დასასრულ, შვილი რთულ სიტყვებში შვი-ს ფორმითაც გვაქვს წარმოდგენილი. ამ სახით გვევლინება იგი ისეთ ტერმინებში, როგორც არის უშვი და ნაშვი, რომელთაგან პირველი, საბა ორბელიანის განმარტებით, უნაყოფოს ნიშნავს (ლექს.).

ნაშვ რთულ სიტყვაშია დაცული. ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს სახლის-ნაშვ, რომლის შესახებაც ნათქვამი აქვს: „სახლის-ნაშვ სახლის ნაშობი ვისიცა (17₂₇ დაბად.), მკველის ბუში (2₇ ეკლ.), ორივე ერთი მგონია“-ო (ლ.) ლექსიკოგრაფის მიერ დამოწმებულ ძეგლებში, ამავე ადგილას, თუმცა სწორედ სახლის ნაშობზეა მართლაც საუბარი, მაგრამ ბაქარის გამოცემულ რედაქციაში, საბას აგან დასახელებული სახლის-ნაშვ-ს მაგიერ, სახლის წულნი-ა, რომელიც უდრის ბერძნულს οίκουφύνη ομογενεα-ს, ლათინ. vernaculus domus-სა და სომხ. բնածին զնտոփն-ს (სამივე Genes. 17₂₃). ეკლესიასტეს 2, ქართ. სახლის-წულნი-ც იმავე ბერძნულ სიტყვას ეთანასწორება. ცხადია, რომ ს. ორბელიანს დაბადების ქართულ თარგმანის სხვა რედაქცია ჰქონია ხელთ, რომელშიც, სახლის-წულნი-ს მაგიერ სახლის ნაშვ წერებულა. მართლაც საბას მიერ დასახელებულის შესაქმეთა 17₂₇-ში სახლის ნაშვ მცხეთის დაბადებაში გვხვდება. ეკლესიასტეს 2₇-ში-კი „სახლის წულნი“ სწერია (იხ. ს. მ. ხ. № A 51).

სახლის-ნაშვ ამ უამად იმდენად არის ჩვენთვის საყურადღებო, რამდენადც ნაშობი-საგან წარმომდგარი ნაშვ-ს ძირი მხოლოდ შვ-ს, ანუ შვ-ის სახით-ღა არის დაცული. ასევეა უნაყოფოსა და უშობელის აღმნიშვნელ სიტყვა უშვი-შიც. ცხადია, რომ უშვი უშვილო-ს ცნების გამომხატველია.

თუ, ყველა შემოადნიშნულის გათვალისწინების შემდგომ, ისევ ბაშვი-ს, ანუ ბაშვი-ს და ბუში-ს ეტიმოლოგიის განხილვას დავუბრუნდებით, შეუძლებელია არ შევამჩნიოთ, რომ ამ სიტყვებისა და ნაშვი-სა და უშვი-ს შორის ცხადი მსგავსებაა. ბაშვი-ცა და ბუში-ც ისევე, როგორც ნაშვ-ც შვილის, უშვი-კი უშვილოს აღმნიშვნელია. ამ სიტყვის მეორე ნაწილი შვ, შვი, ში საერთო აქვთ და ცხადია, რომ სწორედ ეს საერთო ნაწილი უნდა იყოს შვილობის ცნების გამომხატველი ძირი, ხოლო როგორც ნაშვ-ში და უშვი-ში თავკიდური ნა და უ ძირეული არ არის და ფორმანტებია, ამნაირადვე ბაშვი-სა, ბოში-სა, ბეშვი-სა და ბუში-ს თავკიდური ბა, ბო, ბუ, და ნა მარცვლები ძირეული არ უნდა იყოს, არამედ უპასუხობის აღმნიშვნელ ფორმანტებად არის მისაჩნევი.

§ 6. ვერძისა და ნერჩის ეტიმოლოგია, პირველადი მნიშვნელობა და ში და ნ ბგერების ბუნება

მერძი-ს ეტიმოლოგიისა და ძირითადი მნიშვნელობის გამორკვევის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა იმ გარემოებას მიექცეს, რომ მამალ ცხვარს მკვრივად მრჯი ეწოდება.

მეგრული მრჯი, რომელიც გამონათქვამში „შხური მრჯი“ ცხვარი მამალი, მამალი ცხოველის აღმნიშვნელ ზოგად სიტყვადა ჩანს, უეჭველია, „ვერძი“-ს კანონზომიერ შესატყვისობას წარმოადგენს. მას, მაშასადამე, თავკიდური ვ ჩამოცილებული აქვს, მაგრამ ამასთანავე ძ თანხმოვნის მაგიერ ჯ გააჩნია.

უნდა ამასთანავე გავიხსენოთ, რომ ჰენრი უილიამსი ორიჯი და ორინჯი-ც არსებობს, რომელთაც საქონლის მნიშვნელობა აქვთ, ხოლო ბანძა-მარტილში ორჯი უკვე ძროხას ნიშნავს.

უეჭველია, რომ საქონლის აღმნიშვნელი ორიჯი და ძროხის აღმნიშვნელი ორჯი ერთი-და იმავე ძირისა და ერთი-და-იგივე სიტყვებია. პრ.ოფ. ი. ყიფშიძეც ასევე ფიქრობდა. ამას ის გარემოებაც ამჟღავნებს, რომ სამივე ტერმინი ორიჯი, ორინჯი და ორჯი თავის მეგრ. ლექსიკონში ერთად აქვს მოთავსებული.

უკვე 1912 წელს აკად. ნ. შარრაძე აღნიშნა, რომ სომხური სიტყვა სერსე ერინჯ, რომელიც საქონელსაცა და დეკეულსაც, ე. ი. საფურე ხბოს, ნიშნავს (იხ. Япет. элем. в языках Армении: ИАН. 1912 წ., გვ. 834), მეგრულ-ქანურიდან ნასესხები სიტყვაა¹.

სომხ. დიალექტებში ეს სიტყვა ასეა დაცული: ვალაშკერტსა, ახალციხეს, ერევანს, კარინში, შოკსა, მუშში და ნახჭევანში მრინჯ, აგულისში მრინჯ, —ჯულასა და შემასაში მმრინჯ, —ვოლშიში მმრინჯ და გორისა და ყარაბაღში მმრინჯ და მმრინჯ-ი იხმარება (ჯ. შ. რ. II, 820).

ისევე, როგორც ორიჯი და ორინჯი-ა, არსებობს და არსებობდა, როგორც დავრწმუნდით, მრჯი და მრინჯი, რომელთაგან პირველი მამალ ცხვარს, მეორე კიდევ დედალს სხვილფეხას, სახელდობრ, საფურესა ნიშნავს. ამაზე მეტის თქმაც შეიძლება: თანამედროვე მეგრულში ფურს ორჯი ჰქვია.

¹ ცხადია, რომ სომხური ერინჯი, ვითარცა საქონლის აღმნიშვნელი სიტყვა, მეგრულ ორინჯ-ს უდგება, რადგან ისიც ზომ საქონელსა ნიშნავს. მაგრამ იგივე სომხური ერინჯი, ვითარცა დეკეულის აღმნიშვნელი, უკვე ძროხის აღმნიშვნელ ორჯი-ს უდგება.

აზრი მრჯისა და ორჯის იგივეობის შესახებ სრულ შემოთავაზებად გვეჩვენება, თუ იმ მნიშვნელოვან გარემოებასაც აზარითს გავუწევთ, რომ სომხურად მრინჯ სწორედ დედალ ხბოს, საფურესა ნიშნავს.

ჯ. შ. რ.—ის ავტორს ნ. შარრაძესა და იოს. ყიფშიძის აზრი სცდარად მოაჩნია და ის ამტკიცებს, რომ პირიქით მეგრ. ორიჯი, ორინჯი და ორჯი სწორედ სომხურიდანაა ნასესხებიო. მისი აზრით, ნ. შარრაძის და ყიფშიძის მოსაზრებანი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი შარვალი ყოფილიყო, სხვა რომელსამე კავკასიის ენებშიც რომ ეს სიტყვა არსებობდესო. მრინჯ-ი ნამდვილ სომხ. სიტყვად მოაჩნია. ის ემყარება შევტელაგოც-ს, რომელიც გულისა და ღინჭრის სპარ. სახელს ენჭირე-ს უკავშირებს, tring-ს და ალბან. დრინჯე-ს, ქურციკის აღმნიშვნელს. Peterson-საც იმოწმებს, რომელიც მეგრ. კრავის სახელს ერინჯი-ს, ლიტ. იმავე მნიშვნელობის eras-ს და მამალი ცხვრის ლათინ. სახელ. aries-ს ადარებს (იხ. ჯ. შ. რ. II (გვ. 819—821).

ავტორს ვერ შეუშინებია ის კავშირი, რომელიც მეგრ. მრინჯ-სა, ორიჯ-ს და ორინჯ-სა ისევე, როგორც ორიჯ-ს შორის არსებობს. მრჯი უეჭველია ვერძის შესატყვისობას წარმოადგენს. ხოლო რაკი ქართ. ვერძსა და მეგრ. ერჯს სომხურად ვორძ და ვერც-ი უდრის, რომლისთვისაც ავტორს სულ სხვა და სომხ. ერინჯ-ისაგან ძირითადად განსხვავებული ეტიმოლოგია აქვს მოყვანილი (იხ. აქვე გვ. 204. შენ.), უკვე ეს გარემოება მის საბუთიანობას საეჭვოდ ხდის.

ამნაირად, თანამედროვე მეგრულშიც-კი მამალ ცხვარს ეწოდება *პრჰი*, დედალ სხვილფეხას, ფურს-კი ჰქვიათ *ორჰი*. ამ ორი სიტყვის ფუძეთა იგივეობა ცხადია და ისეთ შთაბეჭდილებას ასდენს, რომ აქ ცხოველის აღმნიშვნელ ფუძესთან უნდა გვექონდეს საქმე და მამრობითობის მნიშვნელობის მიმნიჭებელი თითქოს თავკიდური ე ხმოვანი იყოს, მდებრობითობისა-კი ო ხმოვანი. ორიჯ — ორინჯისა და ერჯ — ორჯის იგივეობის მსგავსად, *პრჰისა* და *პრინჰის* იგივეობის აზრიც მკაძარი არ უნდა იყოს მით უმეტეს, რომ პირველი მამალ ცხვარს, მეორე-კი ზოგადად საქონელსა ნიშნავს. მაშასადამე, სქესის განსხვავებულობა აქ დამაბრკოლებელ გარემოებად არ არის დართული. აქაც საკითხი მხოლოდ ერთი მათგანის პირველადობასა, ანუ უძველესობაზე შეიქცევა იყოს.

ამ შემთხვევაში მნიშვნელობის განვითარების ორგვარი შესაძლებლობაა ვასათვალისწინებელი: ან ცხოველის აღმნიშვნელობა უნდა ყოფილიყო ძირითადი და პირველადი, მამრობითობის აღმნიშვნელობა-კი შემდეგში მიენიჭა, ანდა პირიქით, მამრობითობის აღმნიშვნელობას განზოგადების გზით ცხოველის აღმნიშვნელობაც დაერთო.

ამ ორ შესაძლებლობიდან ერთის ქეშმარიტად მიჩნევასა და გამოყენებას ის გარემოება გვშველის, რომ ერთი მხრით *პრჰი* მამალ ცხვარს ნიშნავს, მეორე მხრით *ორჰი* საფურეს, ე. ი. დედალ მსხვილ საქონელს ეწოდება. ორივე სქესის აღმნიშვნელობა ამ შემთხვევაში, უძველია, იმის მომასწავებელია, რომ ზემოგანხილული ტერმინების ძირს სწორედ ზოგადი, ცხოველის ცნების, აღმნიშვნელობა უნდა ჰქონოდა და სქესობრივი განჩევა ამ სიტყვების დანართი მნიშვნელობა უნდა იყოს.

ამ სიტყვების აწინდელი აღმნიშვნელობისდა მიხედვით, მოსალოდნელია, რომ აქ ცხოველობის, ანდა არსების ცნების გამომხატველ რონელილაც წარმოების ნაშთი უნდა გვექონდეს იმგვარადვე, როგორც მაგალითად ცხვარი, ანუ, მისი უფრო ძველი ფორმა რომ ვიხმაროთ. ცხოვარი, თავდაპირველად ზოგადად ცხოველს ნიშნავდა. ამიტომაც არის, რომ თუ სამწერლობო და თანამედროვე ქართულში ცხოვარი და ცხვარი წერილდება რქოსანი საქონლის გარკვეული ჯიშის ზოგადად, სქესისდა განურჩევლად, აღმნიშვნელია, ზვართლმა მისი ფონეტიკური შესატყვისობა ჩხოშ, ანდა ჩხუ, ჩხუუ, რონლის მრ. რ. ფორმა ჩხოშლმფი, ანდა ჩხულმფი-ა, ცხვარს კი არა, არამედ მსხვილფეხა, ამასთანავე მხოლოდ დედალ საქონელს, ძროხას, ნიშნავს (იხ. პროფ. იოს. ყიფშიძის შ. გ. 368 — 369).

რაკი *პრჰს*, *პრინჰსა* და *ორინჰს* — *ორინჯ* — *ორჰს* ცხოვარ-ცხოველთან, ანდა მათ მეგრულ ფონეტიკურ შესატყვისობა ჩხოშ-სთან საერთო ძირი არას გზით არ შეიძლება ჰქონდეს, ისევე როგორც საქონლის აღმნიშვნელ ძირთან, ამიტომ ზემოაღნიშნული ტერმინების ეტიმოლოგიისა და თავდაპირველი მნიშვნელობის გასაგებად ამ სიტყვების მხოლოდ არსებზე ზმნის ძირთან კავშირის გამორკვევა-ლა დაგორჩენია.

არსება ზმნას სამწერლობო ქართულში, როგორც ცნობილია, აწმყო დროის ფორმების ვარ, ხარ, არს და მრ. რ. სხვა ფორმებს გარდა, თითქოს აღარა-

ფერი უნდა იყოს. თვით სახელშემნის ფორმა არსება აწმყო დროის მხ. რ. მე-სამე პირისაგან ნაწარმოებ მერმინდელ სიტყვას წარმოადგენს.

ამავე ზმნის ფორმები ქანურს აწმყო დროის გარდა (ვორე, ორე, ონუ, ან ონ, მრ. რ. ვორეთ, ორეთ, ორან), ნაწყო უსრულიც მოეპოვება (ვორტი, ორტი, ორტუ, მრ. რ. ვორტით, ორტით, ორტეს), ბრძანებითიც (ორტას), მყოფადიც და თუობითიც (იხ. ქ. გ. 67, § 109).

მაგრამ სახელშემნისა და მიმღეობის ფორმები ამ ზმნისაგან არც ქანურს გააჩნია (იქვე გვ. 67 და 181).

ქანურში მხოლოდ არსება ზმნის ძირისაგან თანდებულიანი ზმნაც დორინშ-ც მოგვეპოვება, რომელსაც უკვე ჩახახვიხა და შობის (ნამდვილად „და-არსების“) მნიშვნელობა აქვს. აწმყო: დორინშ, ან დორინშ, აორ, დორინნი. მყოფადი — დორინშამ, დორინშამინონ. მაგ.: „ფუჟიშ დორინშ“ ნიშნავს ძრახამ შობა, მოიგო. აღსანიშნავია, რომ ამ წინდებუ-ლიან ზმნას მიმღეობის ფორმაც აბადია, დორინში, რომელიც შობილს, და-ბადებულსა ნიშნავს (ქ. გ. 181).

მეგრულს არსებზე ზმნის სახელშემნის ფორმაც აქვს, რინბ და აწმყოსი (ვორე-ქ, ორე-ქ, ორე-ნ, მრ. რ. ვორეთ, ორეთ, ორენან), ნამყო უსრულისაც ვორდი და სხვა), ნატვრითისაც, თუობითისა და ბრძანებითის ფორმებიც მოეპო-ვება (მ. გ. 0101, § 108).

ამაზე უფრო საყურადღებოა, რომ მეგრულს რინბ ზმნისაგან მიმღეობის ფორმებიც აბადია: შა-რინში მყოფი, არსი-ნა-რინში, ანდა ნა-რინში და რ-რინში — მყოფადი (იქვე).

ყურადღების ღირსია, რომ რინბ ზმნისაგან ნაწარმოები ნამყო სრულის მიმღეობის ორი ფორმა არსებობს: ნარინში და ნარინში, თუმცა აწმყო ფორ-მებში ამ ზმნას რ-ს მომდევნო ხმოვნად ქანურსა და მეგრულშიც ე არის (ვორე, ვორექ), ამიტომ მიმღეობის ე-იანი ფორმა (ნარენჯი) მოულოდნელი არ არის, მაგრამ, რაკი სახელშემნა რინბ-ა, ამიტომ მიმღეობის ი-ანი ფორმაც სრულებით-კანონზომიერია.

ამავე გარემოების წყალობით რინბ სახელშემნის მიმღეობის აწმყო და მყოფადის ფორმები, ნამყოს მსგავსად, ე-იანის გარდა, შესაძლებელია ი-ანიც ყოფილიყო და, შარინში-სა და ორინში-ს გვერდით, მარინში-ცა და ორინში-ც არსებულებო. უკანასკნელი ფორმის შესაძლებლობის ერთგვარ დამადასტურებ-ლად, ვგონებ, ტერმინი ორინშ-ც გამოდგება, რომელსაც ისეთივე მნიშვნე-ლობა აქვს, როგორიც ორინში-ს (თავშესაფარისა, სამყოფელის), მაგრამ რომელსაც ფუძედ რენ-ის მაგიერ რინ-ი აქვს.

პროფ. იოს. ყიფშიძეს მოქმედებითი გვარის მიმღეობის ფორმანტებად დასახელებული აქვს სხვათა შორის თავსართი შა და ბოლოსართი მინი, მაგ-რამ იქვე აღნიშნულია, რომ ზოგჯერ მხოლოდ ბოლოსართი მინი გვხვდება (მ. გ. გვ. 094, § 105, 3).

სუფიქსების განხილვის დროს-კი იმავე ავტორს, იმავე § 105 a, b, c-ს დამოწმებით, სუფიქსებად მიჩნეული აქვს შა, resp. ღა და ჯი (იხ. იქვე გვ.

0128). ამგვარად, ენჯი-ს მაგიერ, სუფიქსად მხოლოდ ჯი-ა მიჩნეული, წინ-მყოფი ენ-ის ბუნების შესახებ-კი არაფერია ნათქვამი.

რაკი რინა-ში ინ¹ ძირეული არ არის, ამიტომ მპ-რენჯ-შიც ნ-ს ძირეულად მიჩნევა არ შეიძლება იმგვარადვე, როგორც მიმღეობის ფორმის ლურ-ენჯი-ს მძინარე-ს (ნამდვილად „მლულავი“-ს), ენჯი-ს ნ ძირეული არ არის, ხოლო, თუ ეს ბგერა არც სუფიქსს ეკუთვნის, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ იგი შემდეგშია გაჩენილი და შენაწარდა უნდა იყოს. ამნაირად, სუფიქსად მჯ-ი დაგვჩვენდა, ხოლო რათვან მ ბგერაც ქანურ ფორმ-სა და მეგრულ ფორ-ექ-ში ძირეული არ არის, ამის გამო მიმღეობაში ეს ხმოვანი სუფიქსის კუთვნილებად უნდა იქნეს მიჩნეული.

ნ თანხმოვნის მჯ სუფიქსში მერმინდელი შენაწარლობა, რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ ეს მოვლენა სრულებით ახალია და თანამედროვე სასაუბრო ენაშია გაჩენილი. როგორც შემდეგში დაერწმუნდებით, ამ ბგერითი პროცესის მრავალი საუკუნის ხნიერების უტყუარი მოწმე არის გადარჩენილი.

სვანურად არსება-ყოფნა ზმნის ლი-რდე-ს მიმღეობის ფორმა მპ-რდე-ა, რომელიც მყოფის აღმნიშვნელია (იხ. ვ. თოფურია სვანური ენა I, ზმნა. გვ. 219). აქ მე პრეფიქსია, რ ძირი, ხოლო დე ბოლოსართია, რომლის თანხმოვანი დ მეგრულ-ქანური სუფიქსის მჯ-ის ჯ თანხმოვანის შესატყვისობა უნდა იყოს.

მრინჯ-ისა და მარინჯ-ის, ვითარცა „საქონლის“ აღმნიშვნელი სიტყვის, ეტიმოლოგიისა და თავდაპირველი მნიშვნელობის მიგნება, ყველა შემონათქვამის შემდგომ, ვგონებ, გაადვილებული უნდა იყოს. საკმარისია გავიხსენოთ, რომ აწმყოს მიმღეობა მპრენჯი არსებულსა, ანუ არსებას ნიშნავს, და თანაც გავითვალისწინოთ, რომ, ნამყოს მიმღეობის ორი პარალელური ფორმის ნპრენჯი-სა და ნარინჯი-ს მსგავსად, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, აწმყოს მიმღეობის ორი პარალელური ფორმის, მპრენჯი-სა და მარინჯი-ს არსებობა სრულებით კანონიერია, რომ საკითხი თავისდა-თავად გადაწყდეს.

ცხადია, რომ საქონლის აღმნიშვნელი მრინჯი-სა და მარინჯი-ს და „არსების“ აღმნიშვნელი მიმღეობის მარინჯი-ს ფონეტიკური და სემასიალოგიური მსგავსება შეუძლებელია შემთხვევითი იყოს.

შესაძლებელია, რომ, ან მპრენჯი რეგრესიული ასიმილაციის წყალობით მერენჯ-ად ქცეულიყო, შემდეგში თავკიდური მ ჩამოსცლოდა და ამ გზით მრენჯი გაჩენილიყო, ანდა მარინჯი-საგან იმავე ფონეტიკური პროცესების ზეგავლენით არსებობის აღმნიშვნელი აწმყო დროის მიმღეობა მარინჯად ქცეულიყო.

1. რაკი § 105. ა, 3-ში და ბ, 2-ში მპ-რენჯი და მ-რენჯი-ს მაგალითად სწორედ მპ-რენჯი-არსი, მყოფი გო-მა-რ-ენჯი მდგომარე და მ-რ-ენჯი მყოფადი, სამყოფი, თავშეხაფარი არის დახატებული (იხ. გვ. 094 და 095), მკითხველისათვის გაუგებარი ხდება, თუ რას ფიქრობდა ავტორი ენ-ის ბუნების და რაობის შესახებ, როდესაც სუფიქსად ენჯი-ს მაგიერ უკვე მხოლოდ ჯი-ს აღიარებდა?

ამგვარადვე შესაძლებელია სამონღო ალმნიშენელი თანამედროვე მეგრული სიტყვა **მრინჯი** და **მრინჯი** „არსების“ ალმნიშენელი მიბღეობა **მარინჯი**-საგან იყოს მეგრულში სვეულებრივი ა ხმოვნის ო ხმოვნად შენაცვლების ვხით **მორინჯ**-ად ქცეული ფორმისაგან თავკიდური მ-ს ჩამოცილებითვე წარმომდგარი.

მაგრამ, როგორ მოხდა, რომ არსის ალმნიშენელი **მარინჯი**. თუ **მარინჯი** ერთი მხრით **მრინჯი**-სა და **მრინჯი**-ს სახით დედალი სხვილფენა საქონლის, საფურისა და ფურის, ალმნიშენელ სიტყვებად იქცა, მეორე მხრით-კი **მრინჯი**-ს სახით მამალი წვრილფენა საქონლის ალმნიშენელი განდა? როგორ უნდა განერჩიათ თავდაპირველად ცხოველის, ანდა არსის დედალ-მამლობის ალმნიშენელობა, თუ ეს იმ პირვანდელი მიბღეობის საშუალებით შესურდათ გამოეხატათ, რომლისაგანაც მამალი საქონლის სახელად ქცეული **მრინჯი** და დედალი საქონლის სახელად მიკუთვნილი **მრინჯი** წარმოდგენენ?

ძნელი დასაჯერებელია, რომ ცხოველის, ან არსის სქესის განრჩევა და გამოხატვა, სქესის განმასხვავებელი რაიმე ნიშნის დაუხმარებლივ, თუ რომ მაშინაც თანამედროვე ქართულის მსგავსად თანდართული დედალ-მამლობის მაუწყებელი სიტყვები არ ახლდა, შესაძლებელი ყოფილიყოს. ეს მოსაზრება გვაფიქრებინებს, რომ ჯერ კიდევ გამოსარკვევია, თავდაპირველად არსის ალმნიშენელი მიბღეობის შარტო ერთი ფორმა იყო, თუ არა, და ამ ერთ ფორმას თავსართად შართლაც მა გაანჩნდა, თუ რაიმე სხვა ნიშანი, სხვა ფორმანტი არსებობდა?

ამ მნიშვნელოვანი საკითხის გადაწყვეტა მეგრული თანამედროვე დექსიკური მასალით შეუძლებელია, რათგან არც **მრინჯი**-სა და არც **მარინჯი**-ს ან **მრინჯი**-ს ისევე, როგორც **მრინჯი**-ს, ან **მარინჯი**-ს თავში მიმღეობის არავითარი ნიშანი დაცული არა აქვს. მაგრამ საშაგიეროდ ამ საკითხის გაშორკვევის საშუალებას შეზოდასახელებული სიტყვების სამწერლობო ქართულში მე-V ს-ითგან მოყოლებული ძეგლებით დაცული ფონეტიკურ-სემასიალოგიური შესატყვისობა გვაძლევს.

როგორც უკვე აღნიშნული გვექონდა მამალი ცხვრის ალმნიშენელი მეგრული **მრინჯი** სამწერლობო ქართულში უძველესი დროითგანვე ძეგლებით დამოწმებული მამალი ცხვრის ალმნიშენელი ტერმინის **მირძი**-ს შესატყვისობას წარმოადგენს, მაგრამ ყველაზე საყურადღებო ის გარემოებაა, რომ აქ თავსართად მ-ს მაგიერ **მ** გვაქვს. რაკი ამ თავსართიან სიტყვას მამლობის მნიშვნელობა აქვს მიკუთვნილი, უფლებს გვაქვს დავახკვნათ, რომ **მ**, ანუ, უფრო სწორედ რომ ითქვას, **მ** აქაც მამლობითი სქესის ალმნიშენელი ძველი ქართული ფორმანტი უნდა იყოს¹.

¹ ძველსა და ახალ სომხურნი მამალი ცხოველისა, თუ მამრის აღსანიშნავად არსებობს ტერმინი *որի* ვარი, რომელსაც *ბ* *ვ* *შ* *შ* *ან*-ი წამდვილ სომხურ სიტყვად სთვლიდა და ზენდურს *araxi*-ს და ბერძნულ *ორქის*-ს, აღბანურს *herde* ('Hode') და ლიტაურს *errylas*-ს (*liengsl*) აღარებდა (იხ. *Arm. Gram.* I, 483). ამ ეტიმოლოგიას *Б о і а с а с* იმეორებს თავის ბერძნ. ვნის ეტიმოლოგიურ ლექსიკონში და ემზიობა სომხ. ვნის ძირეულ ლექსიკონის ავტორიც (*Հ. Բ. Բ.* V, 583 — 585). მაგრამ *ორქის* ბერძნ. მამავაცის კვერცხსა და კაკალს ნიშნავს ისევე, როგორც

რაკი ვირძი-ს დასაწყისი ბგერა ძირეული კი არა, არამედ მამრობითი სქესის თავსართოვანი ფორმანტი აღმოჩნდა, ხოლო თვით სიტყვა თავდაპირველად მამრი არსების გამომხატველი მიმღეობა უნდა ყოფილიყო, ამიტომ აპისდა მიხედვით მღედრობითი სქესის არსის, ანუ საქონლის აღმნიშვნელ მიმღეობასა და სიტყვას თავდაპირველად თავსართად ხსვა ფორმანტი უნდა შქონოდა.

წმკვის მსგავსად, რომელიც, როგორც ვიცით, თავდაპირველად აგრეთვე უშუალოდ ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობა იყო და რომლის თავკიდური წმ მღედრობითი სქესის ფორმანტია, საფიქრებელია, რომ ამ მღედრობითი სქესის არსებისა და საქონლის აღმნიშვნელ მიმღეობასაც თავდაპირველად, ვე-ს მაგიერ, თავსართად წმ ფორმანტი უნდა შქონოდა და საშუერლობო ქართულში წმკვი, მეგრულ-ქანურში კი წმკვი, ანდა წმკინწვი ყოფილიყო. თუმცა არც ერთს მათგანს ზედმიწევნით ასეთი სიტყვა არ მოეპოვება, მაგრამ იმავე ძირისაგან, ხართგანაც ვირძის შესატყვისი მეგრული ვრძი-ა ნაწარმოები, წარმომდგარია სომხურში შეთვისებული ფურის აღმნიშვნელი სურსე ჯმკინწვი, რომელსაც, ვერძის მსგავსად, თავისი სქესის ფორმანტი უნდა შქონოდა. თუ წმკინწვი ან წმკვი არ ჩანს, საბაგიეროდ დედამიწისა და ადგილის დედის დგოაების სახელი წმკინ-ა დაცული, რომელიც შესაძლებელია ვ-ს ქართულში ჩ-დ ხშირი მენაცვლების წყალობით სწორედ წმკვი-საგან იყოს წარმომდგარი.

§ 7. ურასი, ურის, ვირისა, ვერანის, ბარას, ბერეს და ბელის პირველადი მნიშვნელობა და ეტიმოლოგია

ურა-სი და ვირი-ს ეტიმოლოგიის გამორკვევის დროსაც, უნდა პირველად მათი უძველესი სახის აღდგენას ვეცადოთ. როგორც უკვე ვიცით, ურა ხვადი ცხენის აღმნიშვნელი იყო და არის ეხლაც და ვირი-ც ძველად ამ ცხოველის ხვადისავე სახელი ყოფილა.

სანსკრ. რაკი, რომელიც ერთ რთულ სიტყვაშია დაცული, და აღმანური ზემო დასახელებული სიტყვაც, მხოლოდ ლატაური ვრძილას (და ლეთ). (LSP) კრზელის ნიშნავს დაუფეროვ ხვად ცხენს.

ზემოდასახელებულ მეტაფორით მართი გათვალისწინებული არა აქვთ ქართული ვერძი და მის ქართველურ შესატყვისობათა არსებობაცა და ფართოდ გავრცელებულობაც, მეორე მხრით-კი სომხური ვორძ-ის საგულისხმო დიალექტური შესატყვისობაშიც ამ სიტყვის პირველადი სახის აღსადგენად სრულებით გამოყენებული არ არის. იქ-კი ბევრი რამეა მკვლევარისათვის საჭურადღებო. მაგ. ძველსა და თანამედროვე ვორძ-ის მაგიერ მოკურში, ვალაშკერტსა და ახალციხურში ვორც-ია, ხოლო შამახაში ვერც, ვერც, მარალაში ვერც და ვირც, ყარაბაღის გორისში ვერც და ვერც, დასასრულ აკულისში ვრძ (Vrpa) არის (იხ. სომხ. ძირ. ლ. V, 585). ამ დიალექტიკურ შესატყვისობათაგან ცხადი ხდება, რომ ქართული ვერძისა და მეგრ.-ქან. ვრძ-ის მსგავსად, სომხურშიც ამ სიტყვის ორი ძირითადი, ე-ხმოვანა და ო-ხმოვანა ფორმა ყოფილა, ე-ხმოვანა ჯგუფი შამახური, მარალული და ყარაბაღული, ე. ი. აღმოსავ. დიალექტების აუთენტიკურია, ხოლო ო-ხმოვანა ჯგუფი, ძველ სომხურს გარდა, მოკური, ვალაშკერტული, მუშისა, ახალციხური და ვრცენული, ე. ი. უკანასკნელს გარდა, უშთავრესად დასავლურ დიალექტებს ეკუთვნის. უკვე ეს გარემოება გასაოცრად მიაგავს იმას, რაც საქართველოში გვაქვს. ამის გამო უფრო ბუნებრივია სომხ. ვორძ და ვერც ქართულ ვერძ-დაუტყავშიროთ.

იმის დასამტკიცებლად, რომ თავდაპირველად შირი გარკვეული ცხოველისა-კი არა, არამედ ზოგადად ცხოველისა და სულდგმული არსების მამრობითობის აღმნიშვნელი იყო, იმ მოსაზრებათა ვარდა, რომლებიც უკვე მოყვანილი გვექონდა (იხ. აქვე), კიდევ არაერთი სხვა საბუთის დასახელებაც შეიძლება. ერთი ასეთ საბუთთაგანი მაინც აქ მოყვანილი უნდა იყოს.

სიტყვა შირი-ს პირველადი მნიშვნელობის გამორკვევას ცხოველთა სქესობრივი კავშირის აღმნიშვნელი ტერმინების ანალიზიც გვშეუძლია.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ ცხოველთა ხურაობა, ანუ აღმავლობა ქართულად ორნაირად აღინიშნება: მოქმედება ნასახელარი ზმნით გამოიხატება, ფუძედ კი, ან დედალი ცხოველის, ან არადა მამალი ცხოველის სახელია ზოლმე აღებული. მაგ. ძველ ქართულში საბას ცნობით, ცხვრების „მამალდედლობითსა აღრევას“ ნარბვად ეწოდებოდა, რომელიც დედლის აღმნიშვნელ ნარბი-საგან არის ნაწარმოები. სტ. მენთე შაშვილის ცნობით, თუშები ესლაც განმარბვად-ს, ხოლო ქიზიყელები განმარბვად-ს ეძახიან. ამნაირადვე „ძაღლთა და მვეცთა“ სქესობრივ კავშირს ძუშნობა, ანუ მძუშნობა ერქვა, რომელიც დედალი ცხოველის სახელის ძუშნი-საგანევა ნაწარმოები.

ცხენისა და ვირის განაყოფიერებასაც ბაბაძე ეწოდება (მესაქონ. ლექსიკ. 92: ჭაკი). ქიზიყში, სტ. მენთე შაშვილის ცნობით მძუშნობა-ს ეძახიან. ორივე ზმნა დედლის სახელის ბაბი-საგან არის ნაწარმოები.

მაგრამ ცხოველთა ხურაობის აღმნიშვნელი ტერმინების მეორე ჯგუფი პირიქით მამალი ცხოველის სახელისაგან არის ნაწარმოები. მაგ: „ზროხათა, კამბეშთა და ყურდღელთა“ მძუნაობას მძინთლობა ერქვა (საბა: მაკინტლობა და კურაობა), რომელიც მძინთლბი-საგან არის წარმომდგარი. ეს სიტყვა-კი მამაკაცის სასქესო ორგანოს ძუთა-საგან არის ნაწარმოები. ამავე ძირის სიტყვა უნდა იყოს ძუღლობა, რომელიც საბას განმარტებით „თევზთა ბებვლა“-ს ნიშნავდა, ოღონდ მას პირველი ორი მარცვალი აქვს დაკარგული.

ასეთი თვისებისაა ამავე ცნების გამომხატველი დამამლბობა და კარშილობა, რომელთაგან უკანასკნელიც „ნადირთ მაკინტლობა“-ს გამოჰბატავს (საბა). მეგრული კარში (წინათ) და კეში (ახლა) კერატს, ტახს, მამალ ლორსა ნიშნავს და მამალი ლორის სწორედ ამ სახელისაგან არის ზემომოყვანილი ზმნაც ნაწარმოები.

ამავე აგებულების სიტყვაა coitus-ის ზღაპული ტერმინი ხოდუბ და კანურბი ხოდუბ (მ. გ. 405 და ქ. გ. 233). იოს. ყიფშიძე ფიქრობდა, რომ ქართული ხვადნი-ც ამავე ძირის სიტყვა უნდა იყოს (მ. გ. 405), მაგრამ, ვგონებ, პირიქით თვით ხოდუბ სწორედ მამალი ცხოველის აღმნიშვნელი ხვადნი-საგან უნდა იყოს ნასახელარ ნიშნად ქცეული.

ცხოველთა ხურაობას, ანუ მაკინტლობის აღმნიშვნელი ზღაპური სიტყვებიც შესაძლებელია აქვე ორ მთავარ ჯგუფად დაიყოს: ერთ ჯგუფს დედალი ცხოველის, მეორე ჯგუფს მამალი ცხოველის სახელისაგან ნაწარმოები ზმნები შეადგენენ.

დედალი ცხოველის სახელისაგან ნაწარმოებ ტერმინთა ჯგუფს ეკუთვნის ძაღლის მძუნაობის აღმნიშვნელი სვანური ლიჯვანი, რომელიც ძუ-ს, ძუენ-ს

სვანური შესატყვისობა ჯშა-საგან არის წარმომდგარი. ეს ტერმინი **ლიჯვანი** გარეული ცხოველების მაკინტლობის ზოგად სვანურ სახელად არის ქცეული.

მამალი ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვისაგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნების ჯგუფი სვანურში გაცილებით უფრო მრავალრიცხოვანია. მაგ. ღორთა მაკინტლობა, ანუ კერშილობა, სამწერლ. ქართულის მსგავსად, სვანურადაც შაშალი ღორის, ტახის, კერატის სახელისაგან არის ნაწარმოები: ლენტეხურად ეწოდება **ლიამრტანლ** და **ლიამშაქაშლ**, მამალ დაუკოდავ ღორს-კი კმრტან ჰქვიათ. მეორე ტერმინი ამავე ცხოველის მეგრულში დაცული სახელ კეში-ს გაორკეცებული ფორმისაგან არის წარმომდგარი. ბალს-ქვემოურად ამავე ცნებისათვის **ლიხტჰანი**, **ლიხტჰანელ** არის მიღებული, რომელიც, უეჭველია, დაუკოდავი მამალი ღორის ბალს-ქვემოურ სახელ ხმტ-ის წინამორბედ ფორმა ჰვატ თან, ე. ი. სამწერლ. ქართული ხვადის შესატყვისობასთან უნდა იყოს დაკავშირებული.

ამავე ჯგუფს ეკუთვნის თხების მაკინტლობის აღმნიშვნელი სვანურადა **ლიგმტა** (ლენტეხ.), **ლიატჰინე** (ლაშხური), **ლიბტჰანი** (ბალს-ზემოური), **ლიბტჰი** და **ლიბტჰელ** (ბალს-ქვემოური), რომელნიც ყველა, დაუკოდავი მამალი თხის სახელ ბმტა-საგან არის ნაწარმოები. **ლიბტჰელ** გარეული ორ-ჩლიქოვანი ცხოველების coitus-ის ზოგადი სახელია.

ცხვრის დანერბვის სვანური სახელი **ლიდჰანი** (ლაშხ.) და **ლითჰანი** და **ლითჰანელ** (ბალს-ქვემოურად) აგრეთვე დაუკოდავი ვერძის სვანურ სახელ ღუხ-თან არის დაკავშირებული.

თვით შინაური ფრინველების დაპებლვის სვანური ტერმინი **ლიმჰული**, ანდა **ლიმჰულა** (ბალს-ქვემოურად) მამლის სახელისაგან არის წარმომდგარი და აქვე ქართულ დაჰამლვა-ს უდრის.

ეგების თვით აღამიანთა სქესობრივი კავშირის გამომხატველი სვანური სიტყვა **ლიჩჰი-ც** სიძის აღმნიშვნელი სვანური შესატყვისობის ჩიჰა-საგან იყოს, უ-ს შ დ შენაცვლებისა და ი ხმოვნის გაქრობით, წარმომდგარი.

დასასრულ, შინაური საქონლის სურაობის ზოგადი სვანური ტერმინის **ლიჰრინელ** ისა (ლაშხ. და ლენტეხ.) და **ლიჰელ**, ანდა **ლიჰრინე**-ს (ბალს-ქვემ.) შესახებაც. ცხადია, რომ იგიც ნასახელარი ზმნაა და სხვებივით, ან დედალი, ანდა მამალი ცხოველის სახელისაგან უნდა იყოს ნაწარმოები. რაკი ღი აქ თავსართია, ამიტომ ის სიტყვა, რომლისაგანაც წარმომდგარია ტერმინი, ამ ზმნაში შრ-ის სახით არის დაცული. ცხადია, რომ მას შუაში ხმოვანი უნდა ჰქონდეს დაკრეული. არც ერთი ცხოველის დედალს არსებას ახეთი, ანდა ამის მსგავსი სახელი სვანურად არა აქვს. სამაგიეროდ მოზვერ: სვანურად ჩუბესეურად ხავირ და ლაშხურად შავრანდ ეწოდება (პროფ. ვ. თოფურიას ცნობით). ამის გამო, გონია, უეჭველი უნდა იყოს, რომ **ლიჰრინელ**, **ლიჰრელ** და **ლიჰრინე** სწორედ მამალი ცხოველის შემომოყვანილი სახელისაგან უნდა ვიგუჯისხმით ნაწარმოებად.

ნვადი ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვა სვანურში ხმრ-ის სახით არის წარმოდგენილი; მაგ იმ უთავკილურო ხ-თი, მირ-ი იმავე უფრო უძვე-

ლესია. ამნაირად ირკვევა, რომ თავდაპირველად შირი ქართულსა და ქართველურში ეხლანდელის მსგავსად გარკვეული ცხოველის სახელი კი არა, არამედ მამრობითობის, მამალი არსების აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი ყოფილა. მხოლოდ დროთა განმავლობაში ამ სიტყვას ზოგადი მნიშვნელობა დაჰკარგვია და ჯერ კონკრეტული ცხოველის მამრი სქესისა და შემდეგ ორივე სქესის აღმნიშვნელადაც ქცეულა.

რაკი დავრწმუნდით, რომ შირი თავდაპირველად ცხოველისა და არსების მამრობითობის აღმნიშვნელი ყოფილა, ბუნებრივად იბადება კითხვა, ხვადი ცხენის სახელი უკან სრულებით სხვა ძირისა და წარმოშობილობის სიტყვაა, თუ მათ შორის ნათესაობა საგულისხმებელია?

უკან-სა და შირ-ს ერთმანერთისაგან თავი ასხვავებს: პირველს უ აქვს, მეორეს ვი. იმას გარდა, რომ ქართულში ასეთი ბგერითი შენაცვლება ხშირია, შირი-ს მეგრულ-ქანური შესატყვისობა ამელავენებს, რომ, ამ სიტყვის ი-ხმოვანა ფორმას გარდა, წინათ უ-ხმოვანა ფორმაც ყოფილა. მართლაც შირ-ს, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა (იხ. აქვე) პუაბუაჲ და ქანუბაჲ შირინი უდრის, მაგრამ ქანუბაჲ გურუნი-ც არსებობს. შირინი, უეჭველია, უფრო აღნიშნული შირინი-საგან არის წარმომდგარი, რომელიც ქართულში და ზოგს სხვა ენებშიც ჩვეულებრივი ვ ბგერის გვდ შენაცვლების გზით არის გაჩენილისაგან, როგორც დავრწმუნდით (აქვე), ვ-ს უდრის ჰჳი და ჰჳუ (ჰჳილ ბალსჳე და ჰჳულ ბალსჳე — ჯორი) ერთი მხრით და ზვ (ზვირ — ხვადი ცხოველი) მეორე მხრით. ამიტომ ქანური გურუნი ცხადპყოფს, რომ წინათ გურუნი, ანდა, რაკი უ ხმოვნის წინ ვ ქართულში ჩვეულებრივ ქრება ხოლმე, ურუნი-ც უნდა ყოფილიყო.

ხვადი ცხენის სახელი უკან ხვადი ცხოველის სახელ ურუნი-საგან არსებითად უკვე მხოლოდ იგორის მეტი ნი მარცვლით განიჩნევა, რომლის ბუნება გამოსარკვევია. თუ ეს ფუძისეულია, მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ მეგრულ-ქანურში შირინი-ს მსგავსად, შესაძლებელია შირი-ს გარდა წინათ შირინი-ც ყოფილიყო.

მაგრამ ნი მარცვალი მარტო ვირისა და მისი სახელის მეგრულ-ქანურში დაცულ ფორმებს არ ჰქონია შენახული, არამედ ცხენის სახელშიც გვხვდება. გუდამაყარში ცხენს ვირანი ეწოდება (მესაქ. ლ.: შერანი), რომლის ფონეტიკურ სახესხვაობასაც უნდა ვეფხისტყაოსანში ნახმარი შირანი წარმოადგენდეს. იქ ნათქვამია: „შესხდეს მეფე და ავთანდილ მის ყმისა მისაწევნელად... ტაიკი მიუქს შერანსა“ (აბულ. 62, და ა). ს. ორ ბეღლიანის განმარტებით, „შერანი კეთილმოარული ცხენი“-ს სახელი ყოფილა (ლ).

მაშასადამე, შირის შესატყვისი გურუნი-ს მსგავსად, ვირანსა და შირანსაც ბოლოში ნი მარცვალი ახლავს.

უეჭველია, ცხოველის შვილის აღმნიშვნელი უნდა იყოს ბარბ, რომელიც „ნახევარი წლის ზროხა“-ს აღმნიშვნელ ბარბაჲული-ს პირველ ნაწილს აქვს დაცული. როგორც ღიბაჲული-ს პირველი ნაწილი ღიბაჲულის სქესის განმსახლფრელია და დედასა და დედალსა ნიშნავს, ისევე ბარბაჲულ-შიც ბარბ

იმავე **ქაულის** სქესსვე, ანუ, უფრო ზედმიწევნით რომ ითქვას, მცირეწლოვანობის, შვილობის აღმნიშვნელია.

ხოლო თავის აღგილას (იხ. აქვე) უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ **შვილს** ჰანურად **ბირე** ეწოდება. იქვე **წულუ ბირე**-საც ხმარობენ (ქ. გ. 130), რომელიც ქალწულის მსგავსი სიტყვაა. **წულუ** აქ პატარას ნიშნავს, როგორც ესლა ეს სიტყვა ჰანებს ესმით, თუ არა, ძნელი სათქმელია, რათგან **ნ. მარს წულუ-ბირე**-ს მნიშვნელობა დასახელებული არა აქვს. **ბერობა**-კი ჰანურად ბავშვობას, ყმაწვილობას ნიშნავს.

ბირე არც მეგრულსა და სვანურში და არც სამწერ. ქართულში არა ჩანს, ჯერჯერობით მაინც, მაგრამ წინათ ყოფილა. **ბირი**, **ბირა** და **ბირე** საკუთარ სახელად და არა ერთი ძველი ქართული საკუთარი სახელის მეორე შემადგენელ ნაწილად გვევლინება. მაგ. შესაძლებელია **იაბერი**, **კიაბერი**, **კახაბერი**, **გინდაბერი**, **ძობერი**, **საქუბერი**, **გეგებერი** და სხვა იქნეს დასახელებული. ეს სახელები ისევეა ნაწარმოები, როგორც **ზარიძე**, **გუბაძე**, და **იასაშვილს**, **კიაშვილს**, **კახაშვილს**, **გეგიძეს** და სხვას უდრის და ნიშნავს. ასეთი სახელები საქართველოში ძველად **ბირი**-ს, ვითარცა შვილის, ანუ ძის აღმნიშვნელი სიტყვის, არსებობას ამტკიცებს.

დასასრულ, უმჯეელია, **ბარა**-ს და **ბირე**-ს ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს დათვის შვილის სახელად ქცეული სიტყვა **ბელი**-ც. როდესაც ახალი ნორჩი ტოტების გამოსატანად და ერთნაირი განახლების მიზნით ხეს ძველ ტოტებს შეაქრონ, ამას **დაბელვა** ეწოდება (იხ. ჩემი საქ. ეკონ. ისტ. II). ეს სახელზმნა, რა თქმა უნდა, იმავე **ბელი**-საგან არის ნაწარმოები და ამ შემთხვევაში ეს სიტყვა ხის ახალ, **ნორჩ**, ტოტებს გულისხმობს. ეს გარემოება ცხადყოფს, რომ **ბელსაც** წინათ ზოგადი მნიშვნელობა ჰქონია და ოდესღაც იგი მარტო დათვისა კი არა, არამედ საერთოდ ნაშობის, გამონაყოფის გამომხატველი ყოფილა.

მაშასადამე, ერთი მხრით გვაქვს სიტყვათა **ჯგუფი ურა**, **ური**, **ვირი**, **ხვირ**, **ვირანი**, **გურუნი** და **ვირინი**, რომელთაგან თვითეული მამრი არსებითსა, თუ ცხოველის აღმნიშვნელია, მეორე მხრით გვაქვს **ჯგუფი ბარა**, **ბირე** და **ბელი**-საგან შემდგარი, რომელთაგან თვითეული ცხოველისა, თუ ადამიანის შვილის სახელია.

სიტყვათა ამ ორ ჯგუფს საერთოცა და განმასხვავებელი თვისებებიც გააჩნია. ორივესთვის რ ბგერაა საერთო, ხოლო ამ ორი ჯგუფის ერთმანერთისაგან განმასხვავებელია თავკიდური **ვუ**, **ვი** და **ვი**, ანდა მათი ფონეტიკური შენაცვლება **ბუ**, **ბი**, **ბუ** და **ხვი**, რომელნიც მამრი არსების აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფს აქვთ, და მეორე მხრით თავკიდურივე **ბა** და **ბა** მარცვლები, რომელნიც არსებისავე, მაგრამ სქესის განურჩევლად შვილის აღმნიშვნელ სიტყვებსა აქვთ.

ზაკი ორივე ჯგუფის ყველა სიტყვები გამოუკლებლივ ადამიანისა და ცხოველის, არსების აღმნიშვნელია, ცხადი ბდება, რომ ყველა მათთვის ამ

საერთო თვისების გამომხატველი ის საერთო რ ბგერა უნდა იყოს, რომელიც თვითველ მათგანს გააჩნია და რომელიც ამის გამოცა და თავისი მდებარეობითაც ძირი უნდა იყოს. სოლო თავკიდური ვუ, ვი და ვმ თავიანთი ფონეტიკური სახესხვაობითურთ მამრობითი სქესის, ბა და ბმ კი უსრულჰასაკობისა და მცირეწლოვანობის აღმნიშვნელობის მიანიჭებელი თავსართები ყოფილა.

§ 8. ვაჩინას, ვაჩეს, ვაჟისა, ბუჩინას, ფუჩინას და ბიჟინას აგებულება და პირველადი მნიშვნელობა

ბუჩინა-ს, ანუ ფუჩინა-ს ეტიმოლოგიის მისაგნებად უნდა გავისხენოთ, რომ ძველად საქართველოში არსებობდა მამაკაცის სახელი და მამალი ნორჩი ციკანის აღმნიშვნელი ვაჩინა, რომლისგანაც წარმომდგარია კახური გვარი ვაჩნაძე. ცნობილია, რომ ქართულ საისტორიო ძეგლებში ხშირია აგრეთვე მამაკაცის სახელი ვაჩმ-ც, რომლისგანაც გვარი ვაჩეიშვილია ნაწარმოები.

ვასილსა და ჟაბაძის კი სიტყვა ბუჩინა არსებობს, რომელსაც სტ. მენთე შეაშვილის ცნობით ორივე სქესის ახალ-გაჩენილი ხზოს სახელად ხმარობენ. ქართულამ ამ სიტყვის თავკიდური ბგერა გაასპირატებულია და ამავე ცნების გამოსახატავად ფუჩინა-ა მიღებული (დოც. თ. ლომოურის ცნობით).

ამ ორ-სამ სიტყვას, ბუჩინა-სა, ვაჩინა-ს და ვაჩმ-ს ორ მარცვლოვანი საერთო ნაწილი ჩინა, უკანასკნელს კი ჩმ აქვს და განმახსვავებელი თავკიდური ბუ და ვა მარცვლები გააჩნია.

თუ გავისხენებთ, რომ პირველი ამ სიტყვათაგანი ცხოველის შვილის, მეორე და მესამე მამაკაცის და მამალი ციკანის სახელია, ცხადი გახდება, რომ საერთო ფუძეს ჩინა-ს თავკიდური ვა მამრობითობის, ბუ კი უმასაკობის მნიშვნელობას ანიჭებს.

ვაშა-ს ეტიმოლოგიის გამორკვევის გასაადვილებლად შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს შვილის ნუკრის საალერსო სახელი ბიშინა, რომელიც მთიულეთში ესლაც არის ბეშინ-ს სახით დაცული. ქართული ბიშინა გასაოკრად მიაგავს რქოსანის საქონლის ჩაჩნურ სახელს ბეშინა-ს, რომელზედაც თავის ადგილას (იხ. აქვე) გვაქვს საუბარი და რომელსაც ჩრდილო-კავკასიის ენებში, როგორც დაგრწმუნდებით, მრავალრიცხოვანი თვისტომნი მოეპოვება. მაგრამ არც ქართული ბიშინა არის მთლად უთვისტომო.

ამ მხრივ ყურადღების ღირსია ცხვრის კრავის სვანური სახელი შინაღ, რომელიც, პროფ. ვ. თოფურისა ცნობით, ლაშხურშიცა და ბალსზემოურსადი შინაღ ბალსქვემოურშიც მოიპოვება. ეს სახელი, რა თქმა უნდა, რქოსანი საქონლის შვილის, ნუკრის აღმნიშვნელი სიტყვის ბიშინა-ს მონათესავეა. შესაძლებელია ითქვას კიდევაც, რომ აქ ორი კი არა, არამედ ერთი-და-იგივე სიტყვა გვაქვს.

კრავის სვანური სახელი შინაღ შვილის, ნუკრის ძაბილის ბიშინა-საგან მხოლოდ თავკიდური ბი მარცვლის უქონლობით განსხვავდება, რომელიც სვანურს დროთა განმავლობაში ექმნება ჩამოცილებული.

მაგრამ ბიჟინა-ს გარდა, ქართულად, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, დაცულია გარეული თხის შვილის ზთაილოური სახელი ბეჟმ-ც, რომელსაც ბოლოკიდური ინ მარცვლიც აქვს ჩამოცილებული.

ისევე, როგორც ბუჩინა და ვაჩინა, ვაჩე-ც გვაქვს, არის ბიჟინა და ბეჟმ-ც, სიტყვა ვაჟი-ც არსებობს, რომელიც, შემოგანხილული მაგალითების მსგავსად, შესაძლებელია, ოდინდელი ვაჟინა-საგან იყოს ინ მარცვლისავე გაქრობით წარმომდგარი.

შემომოყვანილი სიტყვების მეორე ნაწილის ჩინა-ჩე-სა და უინა-ყო-ს მსგავსების გამო, იბადება მათი ძირის იგივეობის აზრი¹.

ამისდა მიხედვით ჩინა და უინა ფუძეების წარმოშობილობით ერთმანერთან დაკავშირება შეიძლებოდა, მაგრამ ეს საკითხი თავის ადგილას იქმნება განხილული, აქ-კი ისედაც ცხადია, რომ შემომოყვანილი სიტყვების პირველი მარცვლები ძირეული არ არის, არამედ ფორმანტებია.

§ 9. ბალანის ეტიმოლოგია და ბა-ს თავსართობა

ბალან-ს ეტიმოლოგიისა და თავდაპირველი მნიშვნელობის გამოსარკვევად საყურადღებოა ორსულის აღმნიშვნელი სვანური სიტყვა ღანაუ (ლენტეხ. და ბალსტეხ.) და ღანაჰ (ლაშხ.). ორსულობას იქვე ლიღანჰჰ (ლაშხ.), ლიღანჰი (ბალსტეხ.) და ლიღანჰ (ლენტეხ.) ეწოდება. ეს უკანასკნელი სიტყვა ლი თავსართისა და იმავე ღან ფუძისაგან შესდგება, რომელიც ორსულის სახელის ღანაუ-ის ფუძესაც წარმოადგენს. ლაშხურსა და ბალსზემოურს დ-სა და ნ-ს შუა ა-ხმოვანი აქვს დაკარგული, ხოლო ლენტეხურს პირიქით მეორე მარცვლის ა-ხმოვანი გაქრობია ვ-თანხმოვნითურთ.

ქართ. სამწერლობო ბალანა და სვანური ღანაუ (ორსული) აღმნიშვნელობითაც მონათესავე ცნებათა გამომნატველი სიტყვებია და ფუძეც მათ საერთო უჩანთ. მათ ფუძედ, რასაკვირველია, ამ ორი სიტყვის საერთო ნაწილი ღანა უნდა მივიჩნიოთ. გამოსარკვევი-ლაა ამ ფუძის პირველადი მნიშვნელობა. ბალან-სა და ორსულის აღმნიშვნელ ღანაუ-ს წორის იმდენად დიდი მსგავსებაა, რომ მათი ფუძის იგივეობა უეჭველია. ამიტომ ბა აქაც ფუძისეული არ უნდა იყოს, არამედ ფორმანტი, რომელიც ღუნ, ანდა ღვან ზმნისაგან ნაწარმოებ ამ მიმღობას უშახაკობის მნიშვნელობის აზრს ანიჭებს.

ცნობილია, რომ სააწ. ქართულში შვილის შობას, შეძენას შოლა-ც ეწოდებოდა და ეწოდება ესლაც. „შვილი შოლა“ ამ ცნების გამოსახატავად სრულებით ჩვეულებრივი გამონათქვამია. ს ა ბ ა ს ა ც ასევე აქვს განმარტებული: „შოლა მიეცა“-ს ნიშნავსო (ლ.), რა თქმა უნდა, შვილი იგულისხმება.

¹ ქართულში, თუ არ ვცდები, ჩ-სა და ვ-ს უშუალო შენაცვლება არ მოგვეპოება, მაგრამ შ-ს ვ-დ და ვ-ს შ-დ შენაცვლება ისევე, როგორც შ-ს ჩ-დ შენაცვლებაც იშვიათი არ არის. მაგალითად შესაძლებელია დასახელებული იქნეს დუშეთი და დუშეთი (ხევს. გაბურის ცხადა), — ვაშკაცი და ოშკაცი (ხევს.: იქვე). — რაში და რაში (ხევს.: იქვე), — შ ა შ ხ ი და ჩ ა ჩ ხ ი, — ჩეში და ჩქიში (მეტრ.) და შქიში (ქან.), — ქარქაშში და ქარქაშხი (ხევს. იქვე).

ზეგროულაჲ-კი ყოლას შესატყვისობად ლუნა და ლჳენა გვაქვს (მ. გ. 347). მართალია, თანამედროვე გაგებით, ლუნა და ლჳენა უსულო ხაგნებს გულისხმობს ისე, რომ მნიშვნელობით ყოლას კი არა, არამედ ძმონებას უდრის, მაგრამ, როგორც თავის აღგილას (იხ. აქვე) აღნიშნული გვაქვს, გარკვეულ ხანაში ქართული უჰასაკოებმა, პირუტყვებსა და უსულო ხაგნებს ერთ სქეს-კატეგორიად სთვლიდა. ამიტომ ამ ხანაში, ბუნებრივია, რომ ბაშვზე საუბრის დროს ყოლას მაგიერ ქონება ყოფილიყო ნახმარი, ამის კვალი თანამედროვე ქართულსაც აქვს შერჩენილი, რომელშიც სძმონალი პირუტყვსაცა და ნივთსაც ნიშნავს.

მაშასადამე, ბაღნა თავდაპირველად ყოლა ზმნისაგან ნაწარმოები უჰასაკოთა და მცირეწლოვანთა აღმნიშვნელი შიშვობა ყოფილა და მხოლოდ შემდეგშია ჩვილი ბაშვის სახელად ქცეული.

§ 10. ბიჭიკას, ბიჭისა, ბაჭიასი და ბოჩიკის ეტიმოლოგია და პირველადი მნიშვნელობა

უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ბიჭი და უფრო პირველადი ბიჭიკა ჯერორივე სქესის ბაშვის სახელი იყო, ხოლო შემდეგ მამრ. სქესის შვილის სახელად იქცა.

ბიჭიკა-ს აგებულების გამოსარკვევად უნდა გავიხსენოთ, რომ შინაური სხვილფეხა ფრინველის, ინდოურის, შვილს ქართლ-ჯასათში ზუპი ეწოდება (მესაქ. ლ. 94), მაგრამ ამას გარდა ქართლში, მაგ. ს. ხოვლეში, ზუპიკა ადამიანის სახელადაც, თუ მეტ-სახელადაც გამოიგონია.

საგულისხმოა, რომ საზეგროულაში ზუპი უკვე ფრინველისა-კი არა, არამედ თავის შვილს, თავუნას ნიშნავს (მ. გ. 393).

ამავე დროს ბოჩიკი, საბას განმარტებით, ერთი „წლის ირემი“-ს, ე. ი. პატარა ირემის სახელი იყო, რაქაში-კი, როგორც დავრწმუნდით, „ზამთარ-გამოვლილ ხბო“-სა ნიშნავს.

ცხადია, რომ ბიჭიკა, ბიჭი, ბოჩიკი, ინდოურის ზუპი და თავის ზუპი ყველა შვილის აღმნიშვნელი, ერთი-და-იმავე ძირის სიტყვები უნდა იყოს. რასაკვირველია, მათი სახელის საერთო ნაწილი ზიკა, ზუპი და ჩიკი შვილობის ცნების გამომხატველი უნდა იყოს, თავკიდური ბი და ბო-კი აქაც ძირეული არ არის, არამედ ფორმანტია.

უქვეყლია, რომ ამავე ძირის სიტყვა უნდა იყოს ბიჭის აღმნიშვნელი აბხაზური აპკუნ (აბხ. ე. 275), რომელშიც ა ჩვეულებრივი აპსაპუნა ართრონია, აპუნ-კი ფუძეა. რიგი-კი, ან აპკუნ-ისაგან, ანდა აპკინ-საგან იქმნება წარმომდგარი.

ზემოგანხილულ სიტყვათა ფუძისა და ძირის ძიების დროს, უპირველესად უნდა შობისა და შვილობის ცნების გამომხატველ სახელებს მივაპყროთ ყურადღება. ამ თვალსაზრისით საგულისხმოა, რომ ძველად დედალი ხაქონლის სახელად ზუპი უხმარიათ. შემდეგში ეს ტერმინი უმთავრესად დედალი ცბენისა და ვირის სახელად ქცეულა. „როსტომიან“-ში, მაგ., ნათქვამია: „მერაბ ბიძანებს.

„ცხენ-ჯოგითა მე ვერა მჯობს არაბეთი... მოაოხრეს... რა შეხედა როსტომ, იცნა ჭაკი ერთი ლომ-ნაკუთი“-ო (იუს. აბულ. გამ., გვ. 549, § 2025).

საბას განმარტებითაც „**ჰაპი ხრდალი ცხენი და ვირი**“ არის (ლექ.), ე. ი. დედალი ცხენისა და ვირის სახელია. „მელის წიგნის“ ქართულ თარგმანში ნათქვამია: „ერთი ვირი იყო კვიციანი, წავიდნენ დედაშვილნი... ქალაში, იქ დაისადგურნენ, ერთი სხვა ხვალი ვირი მოვიდა ამ ჭაკს ვირს“-თანაო (ექვთ. თაყაიშვილის გამ. 1899 წ., გვ. 68).

ასეთი მნიშვნელობა აქვს ამჟამად **ჰაპ-ს** სჯარუთადაც, რომელშიც ეს სიტყვა უმთავრესად დედალი ცხენისა და ვირის სახელად იხმარება. მაგრამ წინათ რომ **ჰაპ** ს სვანურში ამაზე გაცილებით უფრო ფართო მნიშვნელობა ჰქონია, ეს იქითგანაც ჩანს, რომ დედალ თხასაც-კი შალს-ფეშთუთად **ჰაპ** და **კულ-ს** უწოდებენ (ე. თოფურიას ცნობით).

ჰაპი-ს ოდინდელ ზოგადს აღმნიშვნელობას უცილობლად შევრულიც ამტკიცებს, რათგან იქ **ჰაპი** დედალი საქონლის საერთო სახელია (მ. გ.). ამ მხრივ მეგრულს ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობა უკეთესად აქვს დაცული¹.

ამავე საკითხის გამოსარკვევად ტერმინი „**მაჰიპი**“-ა საყურადღებო, რომელიც ს. ორბელიანის სამართლიანი განმარტებით „**დვრიტა**“-ს ნიშნავს: „**მაჰიკი დვრიტა**“ და „**დვრიტა მაჰიკი**“-აო, ნათქვამი აქვს ლექსიკონში.

თუ გავიხსენებთ, რომ **მაჰიპი**, ანუ **დვრიტა** რძეს ყველად აქცევს ხოლმე, მაშინ ცხადი შეიქმნება, რომ მისი დანიშნულება ისეთივეა, როგორიც ამ ჩანართსა აქვს, რომელიც რძის შეკვეთას იწვევს და რძეს მაწვნად ჰხდის ხოლმე. ცნობილია, რომ რძის მაწვნად შემკვეთულ ჩანართს **მაწვნის დედა** ეწოდება და თვით ამ ქიმიურ-ფიზიოლოგიურ პროცესსაც **ზედედეა** ჰქვია. ამიტომ სრულებით ბუნებრივია, ადამიანს აზრმა გაუელვოს, რომ **მაჰიპი-ც** „**დედის**“, „**ყველის დედის**“ აღმნიშვნელი უნდა იყოს და მეორე სახელად ხალხი მას ხომ სწორედ ასეც უწოდებს.

¹ **ჰაპ** (*ძაპ*) სომხურშიც არის, მაგრამ, დაღბაშიანის ცნობით, იშვიათად იხმარება, უმთავრესად დედალი ცხენის, ჭაკი ცხენის მნიშვნელობით. უფრო ხშირად **ჰაპ**-ს ხმარობენ, რომელსაც *ხაპ*-ი ჭაკ-ს უკავშირებს. ევახქიან-ს 1885 წ. „მასის“-ში (გვ. 86) ნათქვამი ჭკონია, თითქოს **ჰაპ** სომხურად მამალი თხის სახელი ყოფილიყო. ამ ავტორს შეცდომა მოჰსულია, რათგან სომხურში ჭაკი მამალ თხას არ ნიშნავს, მას ჰინდური **ჰაპა**, რომელიც მამალ თხას ნიშნავს, და სომხური **ჰაპ**-ი ერთმანეთში აურევია.

ჰაპ თურქულ **ჰაპ**-ს, ანუ **ჰაძაპ**-ს უდრის, რომელიც დედალ ცხენსა ნიშნავსო. ქართულში **ჰაპი**-სა, სვან. **ჰაპ**-ის და **მომჰაპ**-ს არსებობაც აქვს გათვალისწინებული. მისი აზრით, სომხური **ჰაპ**-ი და ქართული **ჰაპი** ერთი მეორისაგან ნასესხები სიტყვა-კი არ უნდა იყოს, არამედ ორივე საერთო წყაროთგან უნდა მომდინარეობდეს, იქნებ ხალღურითგანაო (*ძაპ* IV, გვ. 564—565). ამ მსჯელობას ყოველგვარ მნიშვნელობას ის გარემოება უკარგავს, რომ ავტორს დასახელებული არა აქვს, არსებობდა, თუ არა, ხალღურში ასეთი სიტყვა, ამას გარდა, მართა თუნდაც ის ფაქტი, რომ **ჰაპ**-ი სომხურში იშვიათი სიტყვაა და ძველ სომხურში არა ჩანს, ქართულში კი მას ეტიმოლოგიაც მოეპოვება და საკმაოდ მრავალრიცხოვანი თვისტომნიც გააჩნია, ავტორის დებულების მცდარობას ამგლავნებს და სომხურში **ჰაპ**-ს ქართულითგან შეთვისებულ სიტყვად გვაფიქრებინებს.

თავისი აგებულებით ეს ტერმინი მიმღეობის შთაბეჭდილებას ახდენს, რომელსაც თავსართად მშ აქვს. ამისდა მიხედვით ზიპი ფუძე უნდა იყოს და მთლიანად შქაკველის, წარმომწობელის გამომსატველად არის ხაგულისხმებული.

რა თქმა უნდა, რომ ზიპი და ზიპი, ნაბიჭვპრი-ც ამავე ძირისა და ასეთივე აგებულების სიტყვებია.

დასასრულ. საფიქრებელია, რომ ზაპი-ც, რომელიც, საბას განმარტებით, „ყურდგლის მცირე შვილი“-ს სახელია (ლექსიკ.), პირველადი „ზიპიპა“-საგან უნდა იყოს კ-ს გაქრობის გზით წარმომდგარი. იგიც ზაპაპ ან ზიპაპ ზმნისაგან ნაწარმოებ უჰასაკ-სქესოთა აღმნიშვნელ მიმღეობის ძველ ფორმას წარმოადგენს¹.

ბოჩიპი-კი ჩაპა ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობა უნდა იყოს. ს. ორბელიანისა და ეხლაც დატული გაგებით, ჩაპა ფრინველის დაბადებას, სახელდობრ, კრუნისაგან კვერცხების საწიწილედ გამოტებას ნიშნავს (ლ.), მაგრამ გამონაკლისის სახით ეხლაც-კი ცხოველზეც ითქმის. ამნაირად ბოჩიპი თავდაპირველად გამოჩეკილის აღმნიშვნელად უნდა გიგულისხმობო.

§ 11. სქესისა და ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვების აგებულების ანალიზის შედეგი და ზოგადი შეფასება

მამრობითი და მდედრობითი სქესის და მცირეწლოვანთა და უჰასაკოთა აღმნიშვნელი, სამ ჯგუფად დაყოფილი, იმ 44 სიტყვითგან, რომელთაც, როგორც მნიშვნელობით, ისევე აგებულებითაც საერთო თვისება აქვთ, წინა §-ში სულ 32 სიტყვა განვიხილეთ: პირველი ჯგუფითგან 10 სიტყვა—ვაციკი, ვაცი, ვერძი, ურა, ური, ვირი, ვერანი, ვაჩინა, ვაჩე და ვაჯი, მეორე ჯგუფითგან 3 სიტყვა—ნეზვი, ნერჩი, ნუკრი,—ხოლო მესამე ჯგუფითგან 19—ბატიკი, ბატკანი, ბოზო, ბოკვერი, ფუკვარი, ფეკენა, ბურვაკი, ბაშვი, ბუში, ბარა, ბერე, ბელი, ბუჩინა, ბიეინა, ბალანა, ბიჭიკა, ბიკი, ბაქია და ბოჩიკი.

ამ სამივე სქეს-კატეგორიის გამომსატველი 32 სიტყვის გულდასმითმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ყველა ამ სიტყვების ძირსა, თუ ფუძეს ამათუ-იმ სქესისა და ცნების კატეგორიის აღმნიშვნელობას სწორედ სათანადოდ ახმოვნებულნი თავკიდური ვ, ნ და ბ ბგერები ანიჭებენ, რომ ერთხა-და-იმავე ფუძეს ვ მამრობითი სქესის, ნ მდედრ. სქესის, ხოლო ბ მცირეწლოვანისა და უჰასაკოს, თუ პირუტყვის აღმნიშვნელად ჰქდის.

ნათესაობისა და სქესის აღმნიშვნელი 32 სიტყვის აგებულებისდა მიხედვით, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ეს ვ, ნ, ბ თავსართები ქართულში თდესლაც სწორედ სქეს-კატეგორიის ნიშნები და ფორმანტები ყოფილარაკი ისტორიულ ხანაში ქართულსა და ქართველურს არაფერი ამის მსგავსი არ ჰქონია. ამიტომ ცხადი ხდება, რომ ასეთი თავისებური თვისების

¹ იქნებ ამავე ძირის სიტყვა იყოს მეგრული „ზხრი ბჰვირი“ (მ. გ. 361, ცხვარი დედალი), რომელშიც დედლობის აღმნიშვნელი სიტყვა სწორედ ბჰვირი-ა?

გრამატიკული სქესი და ცნებათა კატეგორიები ისტორიის წინა ხანაში უნდა მქონოდა.

ხოლო რათგან აგებულების მხრივ განმარტებული 32 სიტყვა სქესისა და ნათესაობის გამომხატველი საერთო თვისების მქონებული სიტყვების რაოდენობის, 44-ის, 8/11-ს შეადგენს, ამიტომ შეგვეძლო საკითხი საბოლოოდ გამოკვეთულად მიგვეჩინა და გრამ. სქეს-კატეგორიები ქართულისა და ქართველურის დასაწყისითგან შერჩენილ თვისებად გვეცნო, მაგრამ ეს ამ პირველხარისხოვანი მნიშვნელობისა და უაღრესად რთული საკითხის ხელოვნურად გადაღვილება, თანაც ამ დებულების არაერთი საწინააღმდეგო მოვლენისა და არსებული სიძნელის თავითგან მოშორება იქმნებოდა.

მართლაცდა, რა უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ გრამ. სქეს-კატეგორიები ქართულისა და ქართველურის საერთო, საყოველთაო და დასაწყისითგანი თვისება იყო, როდესაც, იმ 44 სქეს-კატეგორიის თავსართების მქონებული სიტყვის გარდა, სქესისა და ნათესაობის გამომხატველი ამ რაოდენობაზე თუ მეტი არა, ბევრი სიტყვა მაინც არსებობს, რომელთაც არც ერთი შემოდასახელებულ ბგერათაგანი თავსართად არა აქვთ, თანაც არაერთი სიტყვაა, რომელიც გარკვეული სქესის, ან კატეგორიის აღმნიშვნელია, მაგრამ თავკიდურ ბგერად მისთვის შეუფერებელი თანხმოდანი აქვს. ასეთი სიტყვების სიმრავლემ იმ 44 სიტყვის ანალიზზე დამყარებული დასკვნა შესაძლებელია სათუოდ გაჭხადოს, თუ მთლიანად არა, იმ მხრივ მაინც, რომ სქეს-კატეგორიის ნიშნების მქონებულ სიტყვათა მარაგი ქართული ენის დასაწყისითგანსა და ძირითადად ფენას ეკუთვნის, თუ არა? ეგების ეს სიტყვები არც-კია ქართული, ანდა იქნება ნასესხები?

ასეთი დამაფიქრებელი გარემოება ე. წ. კავკასიური ენების სქეს-კატეგორიების საკითხის განხილვის დროსაც წაშლიტრა, მაგრამ მისი განხილვა-განმარტება არ გვიცდია, რათგან ენობრივ მოვლენათა დასაწყისითგანობის საკითხის გადაწყვეტა უმწერლობო ენების ლექსიკური მასალით მეტად ძნელია. ამავე მოსაზრებით დამაფიქრებელ და დამაბრკოლებელ გარემოებათა განხილვის თავითგან აცილება ქართულში უკვე აღარ შეიძლება, რათგან მკვლევარს ბრავალ-საუკუნოვანი სანწერლობო ენის საუნჯე ხელთა აქვს, ამიტომ, ხანამ გამოკვეთული არ გვექნება, თუ რატომ არის, რომ სქესისა და ნათესაობის აღმნიშვნელ არაერთს ქართულ სიტყვას, ან არავითარი საფანადო თავსართი არა აქვს, ანდა, თუ მოეპოება, მისი სქესისათვის შეუფერებელი ნიშანი უჩანს, მანამდის გრამ. სქეს-კატეგორიების ქართულში დებულებას დამტკიცებულად მიჩნევის უფლება არ გვექნება. სწორედ ამიტომაც ესლა ამ დამაბრკოლებელი ფაქტების განხილვასა და გამოკვეთვას უნდა შევუდგეთ.

თ ა ვ ი მ მ ც ა მ მ ტ ე

თავისი სქეს-კატეგორიისათვის შეუფერებელ თავსართთან სიტყვათა ჯგუფი და ამ შეუფერებლობის მიზეზი

§ 1. შეუფერებელი სქეს-კატეგორიის თავსართი, ვითარცა ბერმინდელი აღმნიშვნელობისა და ბგერათა შენაცვლების შედეგი

ზემომოყვანილ დანკვნას, რომ მამრობითი სქესის გამოშატველ ნიშნად და თავსართად უძველეს ქართულში ვ. უპასაკოთა-კი ბ თანხმოვანი იყო, რამოდენიმე სიტყვა არ უდგება, რათგან იმისდა მიუხედავად, რომ ეს სიტყვები სწორედ მამრობითი სქესის სახელებია, მაინც ვ ბგერის მსგეირ თავში სხვა აქვთ, ანდა ვ არა აქვთ სრულებით. სიტყვათა ახეთ ჯგუფითგან ყველაზე დამაფიქრებელი და, შესაძლებელია ითქვას, მთელი დებულების სისწორისა და საფუძვლიანობისათვის საზიფათო ის სიტყვებია, რომელთაც, მამრობითობის აღმნიშვნელობისა და მიუხედავად, თავში ბ ბგერა აქვთ, ე. ი. ის თანხმოვანი, რომელიც უპასაკოთა სქეს-კატეგორიის ნიშანი და თავსართია.

ამ ჯგუფს უპირველესად ბმტი ეკუთვნის. საბას სამართლიანად აქვს განმარტებული, რომ „ბოტი თხის ერკემალი“ არის (ლექსიკ.), ე. ი. მამალი თხაა. სვანურადაც ბმტ (ლაშხ., ლენტეხ.) და ბმტა (ბალსზემ., ბალსქვ.) დაუკოდავ, მამალ თხასა ნიშნავს (პროფ. ვ. თოფურიას ცნობით).

იბადება საკითხი, თუ დებულება ვ-ს მამრობითი სქესის თავსართობის შესახებ უძველეს ქართულსა და ქართველურში სწორია, რატომ არის, რომ მამალი თხის სახელი ვ-თი-კი არა, არამედ ბ-თი იწყება, სწორედ იმ ბგერით, რომელიც უპასაკოთა და ზოგად სახელების სქეს-კატეგორიის ნიშანი და თავსართი უნდა იყოს?

ეს საკითხი მართლაც მნიშვნელოვანია და მას, ან რაიმე დამაკმაყოფილებელი განმარტება უნდა მოეძებნოს, ანდა ჩვენი ზემომოყვანილი დებულების სისწორე შერყეულად უნდა იქმნეს მიჩნეული. მაგრამ ამ წინააღმდეგობას განმარტება მოვპოვება.

ბმტი დროთა განმავლობაში არის მამალი თხის სახელად ქცეული, თავდაპირველად და წინათ-კი ეს სიტყვა თხისა და მისთანათა ზოგადი აღმნიშვნელი სახელი იყო. თუ იმ დროს ამ ცხოველის მამრობითობის აღნიშვნა ჰსურდათ, მაშინ ბმტს წინ მამალი ცხოველის სახელი მბცი ერთვოდა ზოლშე. ამ დებულების სისწორის დასამტკიცებლად შესაძლებელია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მატთანე იქმნეს დამოწმებული.

ზემოდასახელებულ ძველში მოთხრობილია, რომ, როდესაც ჰერაკლე კეისარმა გამოილაშქრა და ტფილისს, რომელიც მაშინ სპარსთა ხელისუფლების წარმომადგენელს ეკავა, მიადგა, „უკმო ციხისთავმან კალაათ ტფილისისაჲთ

შეფესა ჰერაკლეს ვაცბოტობით. ხოლო მინ (ე. ი. კეისარმა)... დანიელ (იგულის-
მბობა: დანიელ წინასწარმეტყველის წიგნი) მოილო და მოიძია სიტყვაჲ ესე:
-მოვიდეს ჰაჰი იგი მზისა დასავლისაჲ და შერუსრნეს რქანი ვერძისა მის აღმო-
სავლისანი». და მეფემან თქუა: «უკუთუ ჩემთვის ესრეთ იყოს სიტყვაჲ, მე
მიგაგო მისაგებელი შენი-ო (Ouae. II. 724—725).

ამ მოთხრობის ჩვენთვის შინაარსის მნიშვნელოვან ნაწილს ის ცნობა შეად-
გენს, რომ, შემატიანის სიტყვით, ტფილისის ციხისთავს ბიზანტიის კეისრისა-
თვის დაცინვით მამალი თხის სახელი უწოდებია. შემატიანე ამბობს: «უკმო...
ვაცბოტობით“-აო, ე. ი. ჰერაკლესთვის ჰაჰბოტი უწოდებია. ეს სახელი ვაცისა
და ბოტისაგან შესდგება. ვაცი მამრობითობის აღმნიშვნელია, ბოტი-კი, აქ,
ცხადია, ცხოველის, სქესისდა განურჩევლად, თხის ზოგად სახელად იგუ-
ლისხმება. ბოტი რომ მაშინაც ეხლანდელივით მამალი თხის აღმნიშვნელია
ყოფილიყო, მაშინ შემატიანე ბოტის წინ მამრობითობის გამომხატველ სიტყვას
ვაცს არ დაურთავდა.

სქეს კატეგორიების ზემოაღნიშნულ წესს სიტყვა ბოტი-ც ეწინააღმდეგება.
მართალია, ეფთჳმე მთაწმიდელის იმ ცნობითგან, რომელშიც ქართულ
წარმართულ ღვთაებათა შორის ბოტი-ც არის დასახელებული (იხ. წიგნი ქართ.
ერის ისტ. I³, 80), მისი სქესი და მაშინდელი მნიშვნელობა არა ჩანს, მაგრამ
ბოტი იმდენად ეწინააღმდეგება წესს, რამდენადაც ქანებს მამალი ცხვრის
(„ჩხურიში ყვაჯონი“), ე. ი. ვერძის აღსანიშნავად აქვთ მიღებული (იქვე), და
ამის გამო, მოსალოდნელი ვიჩი-ს, ან ზეგრულის მსგავსად ბოტი-ს მაგიერ,
თავში უჭასაკოთა და პირუტყვთა სქეს-კატეგორიის ბნიშანი აქვს.

ამ გარემოების განსამარტავად შესაძლებელია ითქვას, რომ აქაც მეორად
მოვლენასთან უნდა გვქონდეს საქმე.

ამას გვაფიქრებინებს ძველი ქართული „ბოტიპი, წლის ირემი“-ს აღმნი-
შნელი (საბა, ლექს.), რომელსაც თავისი ბვერითი შედგენილობაც ბოტი-ზე
სრულად და უკეთესად აქვს დაცული. ბოტიპი ცხად-ჰყოფს, რომ ეს სიტყვა
ძველად უჭასაკო რქოსანის აღმნიშვნელი ყოფილა.

ამნაირადვე ბოტიპი, რომელიც იგივე სიტყვაა, რათგან ბოტიპი-საგან მხო-
ლოდ ბ-თანხმოვნის გაქრობით განირჩევა, მაგრამ „ორი წლის ვარი“-ს სახე-
ლად იხმარებოდა (საბა, ლექსიკ.), ე. ი. უჭასაკოს აღმნიშვნელი იყო, ამავდ
აზრს ადასტურებს. ასეთი მნიშვნელობა ამ ტერმინს დღევანდლამდის აქვს რა-
ჭულში დაცული, სადაც „ბოტიპი ზამთარ-გამოვლილი ბბო“-ს სახელად იხმა-
რება (იხ. ვ. ბერიძე. სიტყვის კ. 6).

ბოტიპი ს მსგავსად, მისი პოლომოკვეცილი ფორმა ბოტი-ც თავდაპირვე-
ლად, ან მცირეწლოვანი, ან ზოგადად, სქესისდა განურჩევლად რქოსანის აღმნიშ-
ვნელი უნდა ყოფილიყო და ამიტომ სრულებით კანონიერიც არის, რომ თავში
მას ბ-თანხმოვანი ბქონდეს.

მაგრამ, როგორც „ქართ. ერის ისტორიის“ I³, 80 გვ.-ზეც მაქვს აღნიშნული,
შესაძლებელია ბოტი-ს თავკადური ბ ვ-საგანაც იყოს შენაცვლების გზითაც
გაჩენილი. ქართულში ამ ხშირი ფონეტიკური შენაცვლებით დროთა განმავ-
ლობაში, როდესაც უკვე გრამატიკული სქესი გამჭრალი იყო, შესაძლებელია
არა ერთი ვ-ფორმანტიანი სიტყვა ბ-ბვერთანად ქვეულიყო.

§ 2. სქეს-კატეგორიის თავსართის შეუფერებლობა, ვითარცა ეკონომიური და სოციალური ფაქტორების ანარეკლი

სქეს-კატეგორიების შეუფერებლობის მიზეზის ძიების დროს, უნდა გათვალისწინებული გვექონდეს, რომ დროთა განმავლობაში სიტყვების თავდაპირველი მნიშვნელობაც იცვლებოდა. ცხოველთა არაერთი ზოგადი სახელი გააჩნია ქართულს, მაგ. თხა, ცხოვარი, ზროხა, რომელთაც, ძროხას გარდა, თანამედროვე გაგებითაც ზოგადი მნიშვნელობა აქვთ, და რომელნიც თვით მათი აგებულებითაც წინათაც და თავდაპირველადაც ზოგადი, ე. ი. ორივე სქესის აღმნიშვნელ სიტყვებად არიან საგულისხმებელი. მაგრამ ამისდა მიუხედავად, ძველი ქართ. თარგმანების ასეთი სიტყვების დედანთან შებოჭვება ცხად-ჰყოფს, რომ ყოველთვის ასე არ ყოფილა: შესაქმეთა 32₁₂₋₁₃-ში მოთხრობილია: იაკობმა თავის ძმის ესაგს ძღვნად გაუგზავნა „თხანი ორასნი, ვაცნი ოცნი, ცხოვარნი ორასნი, ვერძნი ოცნი, აქლემნი მასოვნებელნი და კიცუნნი მათნი ოცდაათნი, ზროხანი ორმოცონი, კურონი ათნი, ვირნი ოცნი და კაჭრაულნი ათნი“. შემომოყვანილის ქართ. თხა უდრის ბერძნ. ἄξις ჰე აქს-ს, ლათინ. capra-ს, და სომხ. այս აფ-ს, ცხომპარი ანუ ცხვარი უდრის ბერძნ. ἀρξίαჲ პრძიატა-ს, ლათინ. ovis-ს და სომხ. մարի მაჰი-ს, -ზროხა ბერძნ. ἄξις ჰე აქს-ს, ლათინ. vacca-სა და სომხ. կով კოვ-ს და ძროხა ბერძნ. ἄξις ჰე აქს-ს, ლათინ. taurus-სა და სომხ. դուღ-ს ეთანასწორება. ხოლო ვირნი უდრის ბერძნ. ἄξις ჰე აქს-ს, ლათინ. asina-ს და სომხ. სე ეშ-ს, კაჭრაული-თ ბერძნ. ἄξις ჰე აქს-ს, ლათინ. pullus-სა და სომხ. մարսկ მგტრუკ-ს.

ყველგან, სადაც ცხოველის სქესი აღნიშნული უნდა ყოფილიყო და მამალი და დედადი დაპირისპირებულია, ცხომპარი, თხა და ზროხა დედლის აღმნიშვნელია და დედალად იგულისხმება. მაგ: „მაკდებოდეს ცხოვარი... და... ვაცნი და ვერძნი აღშავალნი იუუნეს ცხოვართა მამართ და თხათა“ (შესაქმ. 31₁₀) — „მაკდებოდეს ცხოვარნი მუცელქმნულნი“-თ (იქვე 30₁₁), — „შობდეს ცხოვარნი... მოთეთროთა და ქრელთა და ნაცრისფერთა“-თ (იქვე 30₁₀₋₁₁), — მთლით ერბო ზროხისა და რძე“-თ (იქვე 18₂), — „სტიროდით, ვითარცა ზროხანი, მწუხანებსა შორის და ურტყნდით, ვითარცა კურონი იერემ. 50₁₁).

შემომოყვანილი ამონაწერების უკვე თვით შინაარსითგანაც ჩანს, რომ ცხომპარი დედალ ცხვრად იგულისხმება („მაკდებოდეს“, „შობდეს“), თხა-ც დედალ თხად და ზროხა ფურად (ერბო და რძე ზროხისა), მაგრამ დასკვნის სისწორის დასამტკიცებლად ამ სიტყვების ბერძნული, ლათინური და სომხური შესატყვისობის მოყვანაც ხედმეტი არ იქმნება. შემოაღნიშნულ ადგილებში ცხომპარი ბერძნ. τὰ ἀρξίαჲ ტა პრძიატა-ს უდრის, ლათინ. ovis-ს და სომხ. մարի-ს მაჰი-ს და խաչն ხაშნ-ს, -თხა-კი—ბერძნ. ἄξις ჰე აქს-ს (იხ. აგრეთვე შესაქმეთა 30₁₂) და ლათინ. capra-ს უდრის, ხოლო ზროხა τὰ ρόξιαთ ტო ბოდიონ-ს, ე. ი. დეკულს (იერემ. 50₁₁), ძროხა ამ შემთხვევაშიც ἄξις ჰე აქს-ს, ლათ. taurus-ს და სომხ. դուღ-ს, ე. ი. ხარს ეთანასწორება. შესაქმეთა 30₁₂-შიც ვირნი ბერძნ. ἄξις ჰე აქს-ს, ლათინ. asinus-ს უდრის, მაშასადამე, ხვადი ვირის აღმნიშვნელი ყოფილა.

საგულისხმოა, რომ სჯანუბნივ, მაგ. უშგულში მამალ ჯიხვს ვან კვიცრა, ე. ი. ხარ-ჯიხვი, ხოლო დედალ ჯიხვს დაპვლ კვიცრა ეწოდება (ვ. თო-ფურიას ცნობით). თუ გავიხსენებთ, რომ ამავე დროს დაპვლ თხის შესა-ტყვისი ზოგადი სვანური სახელია, ცხადი გახდება, რომ, ძველი ქართულის მსგავსად, სვანურსაც თხის ზოგადი სახელი, ჯიხვის სქესის განსაზღვრის დროს შიინც, დედალი ცხოველის სახელად უქცევიან.

მაგრამ, როდესაც ცხოველის სქესის გამომჟღავნება საჭირო არ იყო და დედალ-მამალი დაპირისპირებული არ არის ხოლმე, მაშინ ზროზბ შესაძ-ლებელია ხარის მნიშვნელობითაც ყოფილიყო ნახმარი, მაგ. I შეფეთა 15₃-ში ნათქვამია: „ზროზბიგან ცხოვართადმდე და აქლემითგან კარაულადმდე“-ო, სწორედ აქ ზროზბ ბერძნ. ἰ μίχαι; ჰო მრხხოს-ს, ლათინ. ხოს-სა და სომხ. ἰ ρίχαι არჯარ-ს უდრის, ე. ი. სახარე ხბოსა ნიშნავს.

ამნაირადვე ცნობილია, რომ ძაბაში ძველ ქართულში ორივე სქესის ამ შინაური ფრინველის ზოგადი სახელი იყო, და მამალსაც ქათამი ეწოდებოდა, მაგ. ოთხთავის მათეს 26₃₁-ში ნათქვამია: „პეტრე შენ... უიდრე ქათმისა ვმო-ბადმდე სამგზის უვარ-მყო მე“-ო, ე. ი. მამლის ყვილაშდო. ძაბაში აქ უდრის ბერძნ. ἰ βίχαι; ჰო ალექტორ-ს, ლათინ. gallus-სა და სომხ. ἰ ρίχαι ჰავ-ს. ამავე თავის 75 §-შიც სწერია: „მესეულად ქათამი ყივა“-ო.

ჯერ კიდევ მე-XVI ს-ში, როგორც მესხურ მატეანზე დამყარებული ვახუშტის ისტორიითგან ჩანს, ზღსსაფთში ძაბაში ძველებურად მამლის აღსა-ნიშნავადაც უხმარიათ. იქ მოთხრობილია, რომ იობ ფანასკერტელის ძემ ჯირო-სანამ შეიტყო ჯაყელებზე თავდასხმის სამზადისი და „წამსვე ამცნო ყანდურა-ლის და ყანდურალ აუწყა ქათმის ყვილის უამს ბატონებს“ და ისინიც სასწრა-ფოდ გაიხიზნენო (ისტ. ქიქ. 249).

შემდეგში, როგორც ცნობილია, მხოლოდ დედლის აღმნიშვნელ სიტყვად იქცა და თანამედროვე ქართულში უკვე აღარაფერ იტყვის „დედალი ქათამი“-ან მით უმეტეს „მამალი ქათამი“-ო.

რა თქმა უნდა, რომ ცხომპარი, თხა და ზროზბ, ძაბაში-ც, როგორც დავრწმუნდით, ამ პირუტყვთა და შინაური ფრინველის ზოგადი სახელებია სქესიხდა განურჩევლად და დედალი ცხოველის მნიშვნელობა ამ სიტყვებს შედარებით შემდეგში მიჰნიჭებიათ.

აღმნიშვნელობის ასეთი ცვლილება ერთი მხრით იმ გარემოებით უნდა აიხ-სნებოდეს, რომ მესაქონლეობის მეურნეობაში, სადაც მთავარი მნიშვნელობა მეწველს, ხწორედ დედალ პირუტყვსა ჰქონდა, ისევე, როგორც მეფრინველეო-ბაში კვერცხის დამდებს, დედალი საქონელი და ფრინველი მამალს ამდენად სქარბობდა, რომ ფარისა და ნახირის ისევე, როგორც ფრინველთა სროს დიდ უმრავლესობას ყოველთვის ნეზვი, ნერბი, ფური და დედალი შეადგენდა. მამალი-კი ერთეულებსა და ათეულებს არ აღემატებოდა. ასეთ სამეურნეო პირო-ბებში ცხვარი, თხა და ზროზბ უმეტესად მართლაც დედალ საქონელს წარმოად-გენდა და სრულებით ბუნებრივია, რომ ამ ზოგად სახელებს დედალი პირუ-ტყვის მნიშვნელობა მიჰკუთვნებოდა.

სქეს-კატეგორიების არსებობის სანაშინი პირუტყვის ზოგად სახელს, თუ ის წამომიღობარია, ანდა ნაზედსართაფარი სიტყვა იყო, უპასაკოთა და პირუტყვ-ცხოველთა ბ თავსართი ექმნებოდა.

ახეთ ზოგადს სახელებს, ზემოაღნიშნული მიზეზის წყალობით, დედალისა, თუ უფრო იშვიათად მამალი ცხოველის სახელად ქცევის შემდგომ, სწორედ ამის გამო შესაძლებელია შეუფერებელი სქეს-კატეგორიის თავსართი მქონდეს.

ამავე გზით უნდა იყოს მაგ. ფური-ც, რომელსაც თავში მღედრობითი სქესის ნ თავსართი-კი არა აქვს, არამედ უპასაკოთა და ცხოველთა ზოგადი სახელების ბ ნიშნის გაასპირატებულა შესატყვისობა, ფ თანხმოდანი, გააჩნია, დედალი სხვილფეხა საქონლისა და პირუტყვის აღმნიშვნელად ქცეული.

ისევე, როგორც ზოგადი მნიშვნელობის მქონებელი სიტყვა, ამა-თუ-იმ სქესის ცხოველის სიმრავლისა და ეკონომიური ღირებულების გამო, დროთა განმავლობაში სწორედ ამ გაბატონებულა სქესის აღმნიშვნელად იქცა. ახევე და ამავე მიზეზის წყალობით ადამიანისა, თუ ცხოველის ამ გაბატონებული და უადრესად მრავალრიცხოვანი სქესის სახელი შესაძლებელია მთელი მოდგმის ორივე სქესისათვის ზოგად სახელად ქცეულიყო. ამის დამადასტურებელი მაგალითები ქვევით თავ-თავის ადგილას გვექმნება მოყვანილი და განხილული.

თავი მეთოთხმედი

სქეს-კატეგორიის ნიშნების არა-მქონი, მაგრამ სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი სიტყვების სამი ჯგუფი

ებლა განხილველია იმ საკმაოდ მრავალრიცხოვან სიტყვათა ჯგუფის საკითხი, რომლის თითოეული სიტყვა ამა-თუ-იმ სქესის აღმნიშვნელია. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, არც ერთს ბათვანს თავში სქესის არავითარი ნიშანი არ უჩანს. ამ ჯგუფის შედარებითმა მრავალრიცხოვანობამ შესაძლებელია ადამიანზე ისეთი შთაბეჭდილება მოახდინოს, თითქოს გრამ. სქესის აღსანიშნავად ქართულში საერთოდ არავითარი ნიშანი საჭირო არ ყოფილიყოს. ზემომოყვანილი დებულება ქართულში უუქველეს ხანაში გრამატიკული სქეს-კატეგორიებისა და მათთვის თავსართოვანი ნიშნების არსებობის შესახებ რომ უცილობელ კემმარიტებად მისაჩნევი გახდეს, ამ საკითხს, რა თქმა უნდა, დამაჯერებელი განმარტება უნდა მოეძებნოს. ამიტომაც მას გულდასმითი განხილვა სჭირდება.

უპირველესად უნდა გავიხსენოთ, რომ იმ ენებშიც, თუნდაც მაგ. ინდო-ევროპული მოდგმისებშიც, სადაც გრამ. სქესი ხუფევს და მორფოლოგიის ძირითად მოვლენას წარმოადგენს, ბლომად მოიპოვება სიტყვები, რომელთაც გარეგნულად თავისი სქესის არავითარი ნიშანი არ გააჩნიათ. ამით შესაძლებელი იყო, ანალოგიაზე დაყრდნობით, ეს საკითხი ჩვენც თავითვან მოგვეშორე-

ბინა. მაგრამ ამ სიტყვის ასეთი გაადვილება სასურველად არ მიმაჩნია, მით უმეტეს, რომ ასეთი რამე არც არის საჭირო, რათგან თითქმის ყოველ ასეთ სიტყვათაგანს სქეს-კატეგორიის ნიშნის უქონლობას, თუ არ ვცდები, სრულე-ბით დამაკმაყოფილებელი განმარტება მოეპოვება.

სქეს-კატეგორიის თავსართების არაშქონ სიტყვათა მთელი რაოდენობა შეხამლებელია სამ ჯგუფად დაიყოს: 1. პირველ ჯგუფს ისეთი სიტყვები შეადგენს, რომელთაც თავსართები წინათ ჰქონიათ და მხოლოდ დროთა განმავლობაში, ან ფონეტიკურად შესცვლიათ, ანდა სრულეებით დაჰკარგვიათ. 2. მეორე ჯგუფს ისეთი სიტყვები ეკუთვნის, რომელთაც სქეს-კატეგორიის ნიშნები არა აქვთ, მაგრამ სამაგიეროდ აქ საკომპენსაციო მოვლენაა ხოლმე და სქესის აღმნიშვნელი მთლიანი სიტყვა მოეპოვებათ. 3. დასასრულ, მესამე სიტყვების ჯგუფი ისეთ სახელებს შეიცავს, რომელთა უკვე მთელი შანაარსი მათი სქესის განმსაზღვრელია.

თავი მათხუთმეტი

სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი სიტყვები, რომელთაც სქეს-კატეგორიის ნიშანი ფონეტიკურად შესცვლიათ, ან დაჰკარგვიათ

უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ქართულში რამდენიმე სიტყვაა, რომელთაც თავში ვ თანხმოვანი არა აქვთ, თუმცა, ვითარცა მამალი ცხოველის სახელებს, მათ ასეთი ნიშანი უნდა ჰქონოდათ. ამ მხრივ საყურადღებოა **მრკამალი**. მასაც განმარტება სჭირია, რათგან, თუ ეს მოვლენა დასაწყისითგანს თვისებას წარმოადგენს. ვ ზგერის თავსართობა მამრობითობის აღსანიშნავად აუცილებელი პირობა არ ყოფილა.

§ 1. ერკემალის, ერცქემის და ერსკანის ეტიმოლოგია და თავდაპირველი მნიშვნელობა

ვერძს გარდა, არსებობდა და ეხლაც არსებობს ტერმინი **მრკამალი**, რომელიც, საბას განმარტებით, „მნერბავი ცხოვარი“-ს (ლექს.), ანუ მამალი ცხვრის აღმნიშვნელია.

მეგრულად კი ჯიხვის (ჯიხ) სახელად იხმარება **მრკამალი** (მ. გ.). უმეტეს-ლო, ამანვე სახელის მონათესავე გარეული მამალი თხის აღმნიშვნელი სვანური სიტყვა **მრკამალი** იც. **მრკამალი** (ბალსხ.) და **მრკამალი** (ბალსქ.: ივ. ნიქარაძის რუც. სვან. ელ., 155 და ვ. თოფურია ს ცნობა).

სვანური უმლაუტის კანონის თანახმად, მას წინათ ბოლოში ი უნდა ჰქონოდა, ამიტომ იგი **მრკამალი**-საგან არის წარმომდგარი. **მრკამალი**-თან შედარებით **მრკამალი**

ც ს-დ აქვს შენაცვლებული, ბოლოკიდური მ კიდევ ნ-დ, ხოლო მეგრულში, მესამე თანხმოვანი ჭ სვანურ კ-სთან შედარებით, გაასპირატებულია.

რაკი მრავალნი მამალი ცხვრის სახელია და მრცმმ-მრსპპნ-იც მამალი-ვე რქოსანი პირუტყვის, ფსიტისა და თხის, აღმნიშვნელი სიტყვებია, საკითხი მათი იგივეობის შესახებ თავისთავად იბადება. მათ უმთავრესად ბოლო ნაწილი ასხვავებს: მრკმმალ-ს ბოლოში აღ მარცვალი აქვს. მაგრამ ეს განსხვავება არსებითი არ არის, რათვან, მრავალი შესავსი შემთხვევისამებრ, მეგრულსა და სვანურ სიტყვებს ეს მარცვალი დროთა განმავლობაში ჩამოსცილდებოდა. ამიტომ მეგრულის წინამორბედ ფორმადაც „მრცმმალნი“-ა საფიქრებელი, სვანურისა კი „ერსკამილი“.

მრკმმალ-სა და შემომოყვანილ მეგრულ-სვანურ წინამორბედ ფორმებს არსებითად ის მეტი ც, ან ს თანხმოვანი ასხვავებს, რომელიც ამ უკანასკნელთ პირველთან შედარებით რ-სა და კ-ს და ჭ-ს შუა მოეპოვებათ. ის გარემოება, რომ, თუმცა ეს მეტი თანხმოვანი მეგრულსაცა და სვანურსაც გააჩნია, მაგრამ სხვადასხვა სახით აქვს, სხვა მოსაზრებასთან ერთად, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს თანხმოვანი მერმინდელი, ზედშეტი შენაზარდი არ უნდა იყოს, არამედ ამ სიტყვის ოდინდელი, ეხლანდელზე სრული, ფორმის შენარჩუნებული თანხმოვანს წარმოადგენს. ამიტომ საფიქრებელია, რომ თვით მრკმმალნი-ც წინამორბედი ფორმების ჯერ ერ ც კ ე მ ა ლ ი-სა, შემდეგ კი ერ ს კ ე მ ა ლ ი-საგან არის წარმომდგარი.

უნდა, რომ მათი პირველადი მნიშვნელობის მიგნება გაგვიადვილდეს, ამ სიტყვების აგებულების გამოჩვენება საჭიროა.

საფიქრებელია, რომ, ვითარცა მამალი ცხოველის აღმნიშვნელი სიტყვები, მრკმმალნი, მრცმმმნი და მრსპპნი მამრობითი სქესისა და რქოსანი პირუტყვის გამოხატველ ნაწილებს შეიცავენ. ამის შესავსი წარმოება საფურე ხბოს სახელსა აქვს, რომელიც თანამედროვე ქართულში დეკეული-ს სახით არის დაცული. წინათ-კი დიბამულად გამოითქმოდა.

მრკმმალნი, მრცმმმნი და მრსპპნი დ ი ა კ ე უ ლ ი ს ა და დეკეულის მსგავსი აგებულების სიტყვებად მოჩანან: პირველი ნაწილი აქაც პირუტყვის სქესის აღმნიშვნელი უნდა იყოს, მეორე-კი ცხოველის სახელად არის საგულისხმებელი. ამ სახელის ნაწილების გამოყოფას ის გარემოება გვშველის, რომ დიბამულისა და მრკმმალმის მეორე ნაწილი ერთმანერთს მიეშხვავება. ამიტომ, როგორც დეკეულის მეორე ნაწილს კეული შეადგენს, ისევე ერკემალის მეორე ნაწილადაც კემალი უნდა იქმნეს კნობილი.

თავის აღაგას (იხ. აქვე) უკვე გამოჩვენული გვექონდა, რომ კმული სვანურში კმვილ-ად, გურულში-კი კნბ-დ იქცა. კმმალნი სვანური კმვილ-ის მსგავსი გ-ს მ-დ შენაცვლებისა (კამილი) და ბ და ი ხმოვნების ადგილმონაცვლების წესით (კიმალი—კემალი) უნდა იყოს წარმომდგარი.

უნდა გამოსარკვევი-ლია, თუ რა ცხოველი უნდა იგულისხმებოდეს კმმალნი-სა და კმული-ს სახელით. რაკი ერთ შემთხვევაში ის ცხვრის ჯიშის ტერმინშია დაცული, მეორე შემთხვევაში კიდევ სხვილდება საქონლის, ზრობის, დედალი ხბოს, აღმნიშვნელ ტერმინშია, შესაშეში მრცმმმ-სა და მრსპპნ-ში გა-

რეულ რქოსან საქონლის სახელში გვხვდება, ამიტომ უნდა დავასკვნათ, რომ **კეული** და **კეშალი** რალაც იხეთი ცნების გამომხატველი უნდა ყოფილიყო, რომელიც შინაურსა და გარეულ რქოსან საქონელს, როგორც წვრილფეხას, ისევე სხვილფეხასაც უნდა ჰქონოდა.

ხოლო, რაკი **მრკამლის** მეორე ნაწილი **კეულის** ფონეტიკური სახესხვაობა ყოფილა და ამის გამო აქაც ცხოველის აღმნიშვნელად უნდა იგულისხმებოდეს, ამიტომაც ცხადია, რომ ამ ტერმინის პირველ ნაწილსაც **მრ-**ი წარმოადგენს და სწორედ ის არის, რომ ცხოველის ზოგად სახელს, **კეშალს**, მამრობითობის აღმნიშვნელობას ანიჭებს.

მრკამლის, **მრცამისი** და **მრსკან-**ის შემადგენელი ნაწილებისა და პირველი ნაწილის მნიშვნელობის ზოგადად გამორკვევის შემდგომ, მისი ეტიმოლოგიის მიგნებაც შედარებით უფრო გაადვილებულია.

უპირველესად უნდა გადაწყდეს, თუ რომელი შამრობითი სქესის ცხოველის აღმნიშვნელ სამ **მრ**, **მრც** და **მრს** ფორმათაგანი უფრო აღრინდელი და რომელი უფრო მერმინდელი უნდა იყოს?

ბგერითი შედგენილობის სისრულის თვალსაზრისით რომ მივუდგეთ, **ერც** და **ერს-**ი, უქველია, **ერ-**ზე უფრო სრული და აღრინდელი ჩანს, **ერ-**ს-კი, მათთან შედარებით, უკანასკნელი თანხმოვანი დაკარგული აქვს.

ხოლო **მრც-**სა და **მრს-**ში, ცხადია, უკანასკნელი ბგერა შენაცვლებული უნდა იყოს: საფიქრებელია, რომ პირველი ამ ორთაგანი უფრო აღრინდელი, მეორე უფრო მერმინდელი იქმნება, მაგრამ, რაკი ასეთ შემთხვევებში გადამწყვეტი მნიშვნელობა სიტყვის ეტიმოლოგიასა აქვს, ამიტომ ისევ **მრც-**ის ეტიმოლოგიის გამორკვევაა საჭირო.

მრც-ის ეტიმოლოგიის ძიების დროს, უნდა გვახსოვდეს, რომ **მრკამალი** „მწერბავი“, ე. ი. მამალი ცხვრის სახელი იყო და არის ეხლაც. ეს გარემოება გვაძალეებს, რომ **მრც-**ის წინაპარი ამ ცნების გამომხატველ სიტყვებში ვეძიოთ. თუ ამასთანავე მოვიგონებთ, რომ ძველ ქართულში „მამალსა ცხვარსა ეწოდების ვმრძი“ (საბა), მაშინ ბუნებრივად დაგვებადება აზრი, რომ **მრცი** უნდა **ვმრძი**-საგან იყოს წარმომდგარი.

მართლაც და, **ერცხა** და **ვერძს** შორის დიდი განსხვავება არ არის: **მრც-**ს მხოლოდ თავში ვ თანხმოვანი აქვს დაკარგული და მესამე ბგერა ც პირვანდელი ძ-საგან შენაცვლების გზით არის წარმომდგარი. ამგვარად, ამ ტერმინის თავდაპირველ სრულ სახელ **ვმრძკამალი** უნდა ვიგულისხმოთ, რომლის პირველ ნაწილს მამალი ცხოველის აღმნიშვნელი **ვმრძი** შეადგენს, ე. ი. დაახლოვებით ისევე, როგორც ძველად ვაცბოტი ყოფილა.

ეხლა ნათელი იქმნება, თუ რატომაც, რომ **მრკამალი**, **მრცამი** და **მრსკანი** სწორედ მამალი ცხვრის, ჯიხვისა და თხის აღმნიშვნელია: ახეთ აზრს მისი პირველი, **ვმრძი**-საგან წარმომდგარი ნაწილი **მრც-**ი, **მრს-**ი და **მრ-**ი ანიჭებს.

თავი მეთექვსმეტი

სქესის აღმნიშვნელ სიტყვათა ჯგუფი, რომელთაც სქეს-კატეგორიის სა-
თანადო თავსართი არა აქვთ, მაგრამ რომელთა უკვე შინაარსი
გარკვეული სქესის გამომხატველია

ქართულ სიტყვათა მთელი ჯგუფია, რომელიც, თუმცა ამა თუ იმ სქესის აღმნიშვნელია, მაგრამ რომელსაც თავისი სქესისათვის შესაფერისი ფორმანტი არა აქვს. ცხადია, რომ, თუ ასეთი სიტყვები იმ ხანისაა, როდესაც ქართულს გრამატიკული სქეს-კატეგორიები გააჩნდა, ეს ძველი თავსართოვანი ნიშნები დროთა განმავლობაში, ან შეცვლილი, ან დაკარგული უნდა ჰქონდეს. შესაძლებელია ზოგი ასეთ სიტყვათაგანი იმ ხანისაც იყოს, როდესაც ქართულს გრამატიკული სქესიცა და კატეგორიებიც უკვე დაკარგული ჰქონდა. მაგრამ უძველესი ხანის სიტყვებსაც თავიანთი თავდაპირველი ფორმანტი დროთა განმავლობაში შესაძლებელია იმიტომაც ადვილად და სრულებით უვნებლად დაეკარგათ, რომ თვით მათი ფუძეც თავისი შინაარსით ამა-თუ-იმ სქესის თვისების გამომჟღავნებელი იყო. ქვემოთ სწორედ ასეთი სიტყვები გვექმნება დასახელებული და მათი ეტიმოლოგიის განხილვა, იმედია, ზემოაღნიშნულ დებულებას ცხადპყობს.

§ 1 მამისა და ქმრის ეტიმოლოგია და პირველადი მნიშვნელობა

სქესობრივი და საცოლქმრო დამოკიდებულებათა აღმნიშვნელ ტერმინთა შორის ძველ ქართულ მწერლობაში იხმარებოდა მამარი და ცოლი, მამაჲ და დედაჲ, მამარი და მდედრი, მამანი და დედანი, მამაპაცი და დედაპაცი. თითოეულ მათგანს თავისი მნიშვნელობა ჰქონდა. შვილებისა და მშობლების დამოკიდებულების გამომხატველ სახელებად ქართულ სამწერლობო ენაში უძველეს ცნობილ დროითგანვე მიღებულია მამაჲ, რომელიც ზოგ რთულ სიტყვებში მამ-ის სახით გვევლინება, მაგ. მამ-ფალი, (მამა+ფული) და დედაჲ, რომელიც რთულ სიტყვებში, როგორიცაა მაგ. დიასახლისი, დიოფალი, დიაკული, დეაკული და სხ. „დია“-სა, „დი“-სა და თვით „დე“-ს სახითაც გვევლინება.

მაგრამ საყურადღებოა, რომ თვით მშობელთა აღმნიშვნელ სახელებს მამა-სა და დედა-ს უძველეს ხანაში მართო ეს მნიშვნელობა კი არა აქვთ, არამედ იმავე დროს ძეგლებში სქესის აღმნიშვნელ ტერმინებადაც არიან ნახმარი, მაგალ. იაკობ ხუცესს აღნიშნული აქვს, რომ ციხეში მიმავალს შუშანიკს მისდევდა „ამბოხი მრავალი დედებისა და მამებისაჲ, სიმრავლე ურიცხვ“. როდესაც მისმა მეუღლემ ვაჟქენ პიტიახშმა „იხილა... ამბოხი იგი და ტირილი მამათაჲ და დედათაჲ. მოხუცებულთა და ყრმათაჲ“, ყველას დაუდევნა და გაფანტარ (წმბა შინ კსი, გვ. 12₄₋₅ და 1₁₆₋₁₉). გ. მერჩულსაც ნათქვამი აქვს, რომ გრიგოლ ხანძთელის დედასთან, როდესაც ის შვილის სანახავად მისულა, „თანა—

იყვნეს მსახურნი მისნი, მამანი და დედანი“ (ცა გ²ლ ხნძთ¹ლისა, ვვ. ლდ). ისტორიკოსს უნდოდა ეთქვა, ორივე სქესის მსახურნი ახლდნო. ეს გარემოება იმ მხრივ და იქედნად არის საყურადღებო, რამდენადაც ირკვევა, რომ ადამიანთა მშობლების აღმნიშვნელი ტერმინები იმავე დროს სქესის აღმნიშვნელ სიტყვებად და მამრობითობისა და მდედრობითობის ცნების მატარებლად გამოდგნენ.

სრულჭასაკოვანი ცხოველების სქესობრივად გასარჩევად უძველეს დროითგანვე იხმარებოდა მამალი და დედალი, ადაზიანებისათვის-კი უფრო მამრი და მდედრი.

თუმცა ზღვრულად მამას ეხლა მუშა ეწოდება, მაგრამ მისი მრ. რ. ფორმა მუშაღუფი ამ სიტყვის მხ. რ.-ის ოდინდელ ფორმასაც მუშალად გვაგულისხმებინებს, ამავე სიტყვის ჩანრთი შესატყვისობა მამალი ხაქონლის, ან ხულიერა აჩხების აღსანიშნავად იხმარება და ხოფურსა და ვიწურ კილოში მამულია, რომელიც იმავე დროს, ქართულის მსგავსად, მამალს ქათამსაც ნიშნავს, ათინურ კილოში-კი ეს სიტყვა, მეგრულის მსგავსად, მუშული-ს სახით გვევლინება. მამალ მიმინოხ ჩანრთად მამულიწი ეწოდება (ვ. გ.), დედალს თუილმხი (იქვე).

ზემომოყვანილითგან ცხადი გახდებოდა, რომ მამისა და მამრობითობის აღმნიშვნელი სიტყვების სრული იგივეობა ზღვრულ-ჩანრთი ლექსიკური მასალებითაც მტკიცდება.

აღსანიშნავია, რომ ქართულს აქვს ტერმინები სიმამრი ცოლის მამისა და სიმდერი ცოლის დედის აღსანიშნავად. გამოსლვათა 18²¹ ნათქვამია: „წარავლინა მოსე სიმამრი თვისი“. ბერძნულად აქ, ნახმარია ἡ γαμψή μο გამბრის, ლათინ. cognatus და სომხურად *անիք* ანერ. სიმამრი სი და მამრო-საგან შესდგება, ისევე, როგორც სიმდერი სი და დედრო-საგან არის ნაწარმოები და მამალ და დედად მისაჩნევს ნიშნავს. ამ ორ შემთხვევაშიც, მამასადამე, მამა, მამრი-სა და დედა დედრი-ს სახით არის წარმოდგენილი.

ამნაირად ირკვევა, რომ თუ საზღვრულაში ძათაულნი მამალი, ხოლო ჩანრთი მამული მამრობითი სქესის არსებისა და ცხოველის აღმნიშვნელია, მისი ზღვრული შესატყვისობა მუშალი უკვე მამის სახელად არის ქცეული. ამგვარადვე, თუ მამრი აღამიანთა სქესის გამომბატველია, სიმამრ-ში იგივე სიტყვა უკვე მამის აღმნიშვნელად გვევლინება, ხოლო უძველეს ქართ. ძეგლებში მამა მამაკაცსაცა და მამასაც ნიშნავდა.

ერთი მხრით მამალი, მამული და მუშალი გვაქვს, მეორე მხრით კიდევ მამრი. მათ მნიშვნელობათა იგივეობის გამო, მამალი-სა და მამრი-ს იგივეობაც არის საგულისხმებელი. საფიქრებელია, რომ მამრ-ს ბოლოკიდურ თანხმონთანა შუა ა ხმოვანი აქვს დაკარგული, ხოლო მამალი-ს ლ პირველად რ-საგან არის წარმოდგარი¹. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ მამალი-ს უწინარეს სრულ ფორმად მამარი უნდა ვიგულისხმოთ.

¹ როგორც უირტივი-საგან ფილტვია, ხანჯარი-საგან ხანჯალი და სხვაც ბევრია წარმომდგარი.

მშობელთა სქესობრივად გამრავლებელ ტერმინებად ქველ ქართულ მწერლობაში, როგორც ცნობილია, ძმარნი მამრობითი სქესის პირისათვის იხმარება და ცოლი მდედრობითი სქესისათვის.

ზეპრულად კმარს შოშოშვი, ან შოშოშვი ჰქვიათ, რაც ზოგად ქართულის კმარის ფონეტიკურ შესატყვისობას წარმოადგენს. მაგრამ ეს ფორმები რომ შემდეგშია წარმომდგარი და წინათ ამ სიტყვას ზოგადი ქართულის უფრო მსგავსი სახეობა ჰქონდა, ამას ტერმინა საშოშოლო ვვაფიქრებინებს, რომელიც კმარის შეგაფერისს, კმარისათვის დამანახათებელს აღნიშნავს (მ. გ. 345). ამნაირად აქ კმარი ზეპრულად შოშოლი-ს სახით არის დაცული, რომელიც თავის მხრით ქოშორო-საგან უნდა იყოს წარმომდგარი. მართლაც, თუ ვაფიქრებთ, რომ თანამედროვე მეგრული ფორმა შოშოლი და შოშოლი-ა, თანაც ის ვარუშობასაც ვაფიქრებთ, რომ მეგრულში ჯ სწორედ რ-ს ბგერითს შენაცვლებას წარმოადგენს ხ-ლმე და არა ლ-სას, მაშინ ცხადი შეიქმნება, რომ შოშოლი თანამედროვე მეგრულში შესაძლებელია მხოლოდ შოშოლი-საგან წარმომდგარიყო. მაშასადამე, ცხადია, რომ შოშოლი ამ სიტყვის პირველდელი სახე არ არის, არამედ მხოლოდ თავდაპირველი შოშოლი-ს მეტინდელი წარმონაშობია.

ქართულად კმარს შოშოლი და შოშოლი ჰქვიათ. მაგრამ წინათ უფროა, კმარს ქართულად შოშოლი და შოშოლი უნდა მრქმეოდეს. ამ სიტყვას კმარის მნიშვნელობა ეხლაც აქვს შენარჩუნებული, თუმცა იმავე დროს მამაცსა და გმირსაც ნიშნავს. შემონათქვამის შემდგომ ცხადი უნდა იყოს, რომ ამ სიტყვის ძირითად ფორმად ქართულად შოშოლი უნდა ვიგულისხმეთ.

რაკი ვამოიხრება, რომ ზეპრულად და ქართულად კმარს წინათ შოშოლი. ხოლო თავდაპირველად შოშოლი ეწოდებოდა, ამ სიტყვას მე-რადი მნიშვნელობა უფრო საუფრადღებო ხეუბა ზეპრულად შოშოლი, შოშოლი, შოშოლი რამაცაც ნიშნავს, ქართულად შოშოლი იმავე მნიშვნელობით იხმარება. ამან უფრო საგულისხმოა, რომ შოშოლისაშუა ზეპრულად ვაფიქრებ სიშნავს.

ზეპრულად მეორე სიტყვაც მოიხილება, რომელშიც შოშოლი-ს ასეთივე მნიშვნელობა აქვს: როგორც ქალბატონს ზეპრულად მამარ-ბატონი ჰქვიათ, ისევე მამრობითი სქესისათვის არსებობს შოშოლი-ბატონი (ის ითსევს ციფში-ძის მ. გ. 298), რომელიც ბატონსა ნიშნავს, მაგრამ იტსებითად ვაფ-ბატონს უდრის.

ამგვარად ირკვევა, რომ ყველა ამ შემთხვევებში შოშოლი მნიშვნელობით ვაფს უდრის და ზოგადად მამრობითობის გამომხატველია. მაშასადამე, ზოგადი ქართული ტერმინის ძმარნი-ს ქართულად ზეპრულად შესატყვისობა მნიშვნელობით ვაფ მნიშნავს და მამრობითის გამომხატველია.

რაკი ქართულ-მეგრული ენობრივი მასალების მიხედვით ის უცულობელი ვარუშობა ვამოიხრება, რომ ტერმინი ძმარნი-ს ოდნავ შეკვლილი შესატყვისობა მამაცის აღმნიშვნელია, თა ისთაყად იბადება ახრი, რომ კაცობის, მამაცობის აღმნიშვნელი ზეპრული ტერმინი ლ-მარ-ც, სიმამაცე, მეგრულ-ქართული სემასობალოგიური მოუღენის მსგავსად, აგრეთვე ძმარნი-საგან თავკიდური ჰ ბგერის ჩამოცილებით წარმომდგარი ტერმინი უნდა იყოს. ამგვარად მარმ ზეპრულად კაცსა ნიშ-

ნავს, მაგრამ ლიმარუ ამტკიცებს, რომ წინათ მას მამაკაცის მნიშვნელობა ჰქონია.

ამგვარად, ერთი მხრით ტერმინი მამა-ს ისტორიულმა და შედარებითმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ მამალი, მამაჟ და მამარი ერთხადაიშავე დროს მამობისა და მამრობითობის ცნების გამომხატველიც იყო, — მეორე მხრით მამარი-ს ზეგრულ-ქანური შესატყვისობაც, ქმრობის გარდა, აგრეთვე მამრობისა და ვაჟობის ცნების აღმნიშვნელი ყოფილა.

ეს გარემოება თავისთავად ვხადებს საკითხს, თუ რაზე უნდა იყოს ამ ორი ტერმინის მნიშვნელობის მსგავსება და მყარებული, სახელდობრ, ეს მსგავსება ხომ მათი ერთი-და-იშავე წარმოშობილობით არ აიხსნება? ამისთანა საკითხი იმიტომაც არის ბუნებრივი, რომ ზემოაღნიშნულს მამალი-ს წინამორბედად ხაგულისხმებელს მამარი-სა და მამარი-ს ბგერითი მსგავსებაც (თავკიდურმა მარცხვალს გარდა) ერთვის ზედ.

ამ საკითხის გადასაწყვეტად ჯერ ტერმინი მამარი-ს პირვანდელი აკებულება და მნიშვნელობა უნდა იქმნეს გათვალისწინებული. ტერმინის მშობელის მსგავსად, საფიქრებელია, რომ იგიც მოქმედებითი გვარის მიმღეობის ნაშთი უნდა იყოს. თუ ეს აზრი მცდარი არ არის, მაშინ შესაძლებელია მამარი პირვანდელი მამმარი-საგან იყოს წარმომდგარი, ე. ი. ეს სიტყვა ქმნა ზმნისაგან ნაწარმოები მიმღეობა იყოს. მართალია, ქმარსა და მის საკონებელ წინამორბედს მაქმარს ნ არ ახლავს, მაგრამ ჯერ ერთი ნ ძირეული არ არის და ამას გარდა უკვე უძველეს ქართულ ძეგლებშიც ეს ფუძე უამბგეროდაც გვევლინება, მაგ.: ქუეყნისა მხსაძმამ, ხბძამ, უძმი და სხ. ამგვარად, უმსაძმამ ტერმინის მსგავსად, უ ნ-ბგერო მამმარი-ც თავდაპირველად შემქმნელის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, ტერმინი მამარი თავდაპირველად სქესობრივი დამოკიდებულებებისა და შვილიერების აქტიური მონაწილის აღმნიშვნელი მიმღეობა უნდა ყოფილიყო. ცხადია, რომ, ფითარცა მიმღეობას, ამ სიტყვას თავში მათეორიული უნდა ჰქონოდა ისტორიულ ნაწიში მაინც და სათანადო სქესის ფორმანტი, თუ ეს სიტყვა სქეს-კატეგორიების ხანისაა.

თუ ქმარი მამმარი-საგან მათავსართის ჩამოცილებით უნდა იყოს წარმოშობილი, მამიბა და მამალის წინამორბედი მამარი შეიძლება შუაში მ-ს წინ სკოფი ჰ ბგერის გაქრობით წარმომდგარიყო.

მაგრამ მთელი ეს ჰიპოთეზი რომ დაწაჯვრებელი იყოს, უპირველესად უნდა დამტკიცდეს, რომ ძმნა ძველადვე მარტო ხაგნებზე კი არა, არამედ შვილიერებაზეც ითქმოდა.

ასეც იყო სწორედ და მამაკაცისაგან ქალის განაყოფიერების აღსანიშნავად ზმნას მამმანა-სა და მმანა-ს ხმარობდნენ. მაგ. ათაბაგ ბექას სპარსეთის წიგნში სწერია, თუ „დიდებულისა შექმნილი“ უკანონო შვილი რა უყვლებს მქონებელი იყო (გ 32). ეახტანგ VI სამართლის წიგნიც უკანონო სქესობრივი დამოკიდებულებით „შექმნილი შვილი“-ს შესახებ მსჯელობს (გ 57, 63).

ასეთი ტერმინი რომ შემთხვევითი და შედაობით მერმინდელი გამოინათქვებო არ არის, ამას საძმისამ-ც ამტკიცებს.

საქმისად ეწოდება ეხლაც ზემო-სვანეთში და, უმკველია, წარმართობის უძველეს ხანაშიც ასევე ერქმეოდა, იმ პირს, რომელსაც ყველიერში, ყუენობის მსგავსი მამრობითობისა და სქესობრივი სიყვარულის მფარველი ღვთაებისადმი განკუთვნილი ღღესასწაულის დროს, ხისაგან გაკეთებული მამაკაცის ასო, როგორც შვილიერების წარმომშობი ორგანოს სიმბოლო, ჩამოკიდებული აქვს (იხ. „ძველი და ახალი სვანეთი“ 1925 წ., გვ. 126—127, ს. მაკალაოიას „ფალოსის კულტი საქართველოში“, დაბეჭდილი „მიმოხილველ“-ში, საქ. საისტ. საზ. ორგანოში, 1925 წ. გვ. 132—134 და ჩემი „ქართ. ერის ისტორია“ I, 59—69). ბასილი ზარზმელი ამ ორგანოს თავის თხზულებაში უწოდებს „სარცხვნელსა... ასოსა მას თესლმცენარება“ (ც.ა სრ.პნ ზრ.ზ.მლს. 36). მაგრამ პირველყოფილმა ადამიანმა სქესობრივი სირცხვილი ჯერ არ იცოდა და მისთვის ეს ორგანო სრულებით სარცხვენი არ იყო, არამედ მას უმთავრესად მამრობითობის ენერჯის მქონებელ, შთამომავლობის შემქმნელ, თხლმცენარეა ახლდ სთვლიდა.

უმკველია, თავდაპირველად საქმისად იმ სასქესო ასოს სახელი უნდა ყოფილიყო, რომელსაც ამ წარმართული ღვთაების განსახიერებაში უმთავრესი მნიშვნელობა აქვს, რათგან თვით ტერმინი სა-ქმისაჲ სწორედ იმასა ნიშნავს, რაც ქმნისა, თუ შექმნისათვის არის ბუნებისაგან განკუთვნილი. ამასთანავე, რასაკვირველია, ქვემო-სვანეთში ღღემდე დაცულს ადრამკილაჲ-ს წარმართულს მსგავსავე ღღესასწაულს, რომელშიც ხისაგან გაკეთებული და ჩამოკიდებული სასქესო ასოს მაგიერ, ერთი გატიტვლებული მამაკაცი იღებს მონაწილეობას, ვითარცა იმავე საქმისად-ს ცოცხალი მფლობელი, ამ უუძველესი სარწმუნოებრივი სამყაროს წარსულის ნაშთი და მემკვიდრეობა ზემოსვანურ საქმისად-ს ჩვეულებაზე უკეთესად აქვს დაცული, რათგან ხის ასო ძველი ბარბაროსული პირველყოფილობის თავითგან ასაცილებლად უნდა იყოს შემდეგში შემოღებული, როდესაც მონაწილე ხალხისათვის ტიტველი ადრამკილაჲ ს დანახვა უკვე სასირცხვოდ იქცა. საქმისად და ადრამკილაჲ ერთისა-და-იმავე ორგანოს აღმნიშვნელი, მხოლოდ მისი სხვა-და-სხვა მდგომარეობის გამომხატველი ტერმინებია.

ამგვარად ცხადი ხდება, რომ ქმნა და შემქმნა ძველ ქართულში მართლაც სქესობრივი კავშირისა და შემოქმედების აღმნიშვნელი ტერმინი ყოფილა. ეს გარემოება ქმრისა და მამის ზემომოყვანილ ეტიმოლოგიასაც და პირველად მნიშვნელობასაც მკვიდრ საფუძველს უქმნის. ამ გარემოების გათვალისწინებისას უკვე ადვილი გასაგებია ისიც, თუ რატომ იყო, რომ მამად უძველეს ძეგლებში მამაკაცის აღმნიშვნელი ყოფილა, და ისიც, რომ ქმარის მგრული და სვანური შესატყვისობაც მამრობითობის, ვაჟობის და ვაჟკაცობის აღმნიშვნელია. ამნაირად, მამად-სა და ქმარი-ს თავდაპირველი აგებულება და შინაარსი მათი სქესის იხედაც სრულებით მკაფიოდ გამომჟღავნებელი იყო.

§ 2. დედაჲ და დედაკაცი, მათი ეტიმოლოგია და პირველადი მნიშვნელობა

დედაჲ და დედანი, როგორც მამისა და ქმრის ეტიმოლოგიის განხილვის დროს დავრწმუნდით, ერთსა-და-იმავე დროს მშობლისაცა და მღედრობითი სქესისადმი მიკუთვნილობის აღმნიშვნელი სიტყვებიც ყოფილა.

საგულისხმოა, რომ შვილები ალერსით თავიანთ დედ-მამას **მამილო-**სა და **დედილო-**საც უწოდებენ ხოლმე, **დედილო-**კი ცხოველთა სქესობრივობისათვის განკუთვნილ ტერმინს **დედალ-**ს უახლოვდება.

მაგრამ ცნობილია, რომ მდებრობითი სქესის ადამიანის აღმნიშვნელ ტერმინებად ძველ ქართულ მწერლობაში ორი სიტყვა გვხვდება — **დედაპაცი** და **ძალი**. მსაჯულთა 19₁₋₄, ნათქვამია: „მოიყუანა... **დედაკაცი** ხარქად... იხილა იგი მამამან მის ქალისამან... და შეიყუანა იგი... მამამან მის ქალისამან... სიძესათვისა“. შესაქმეთა 34₁₂ სწერია: „მომეცით მე ქალი იხი ცოლად“, ხოლო მსაჯულთა 14₂: „ვიხილე **დედაკაცი** თამნას ახულთაგან ფილისტიმელთაგან და აწ მომგუარეთ მე იგი ცოლად“. დასასრულ შესაქმეთა 24₆₇₋₆₈ ნათქვამია: მოუწოდეთ ქალსა და ვჰკითხოთ... და მოუწოდეს რებეკას და ჰრქუეს მას: „წარხულა, კაცისა ამის თანა“.

ამ მაგალითებითგანა ჩანს, რომ **დედაპაცი** და **ძალი** ერთმანეთს მაგიერ იხმარებოდა (იხ. მსაჯულთა 19₁₋₄). მაგრამ მეორე მხრით ისე გამოდის, რომ **ძალი** გაუთხოვარი დედაკაცის სახელია: ძალი გათხოვების შემდგომ ხდება **ცოლად**, **დედაპაცი**-კი შეიძლება ახულის, ქალიშვილის აღმნიშვნელიც ყოფილიყო და გათხოვილისაც.

ამგვარად, **დედაპაცი** ზოგადი ცნების გამომხატველია და მდებრობითი სქესის ადამიანის აღმნიშვნელია, **ძალი**-კი მხოლოდ გაუთხოვარისა. ეს გარეშობა ხელოვნურად აღვიღების ბერძნულ, ლათინურ და სომხურ თარგმნებთან შედარებითაც მტკიცდება და ამისდა მისდევითაც ქართული **ძალი** უდრის ბერძნულს $\eta \pi \alpha \nu$ ჰე პანის-ს, ლათინურ *puella*-სა და სომხურს *սղջիկ* ალჯიკ-ს (შესაქმეთა 24₆₇ და 34₁₂), ან $\eta \nu \epsilon \alpha \nu$ ჰე ნენის, ლათინ. *puella*-სა და სომხურ *սղջიკ*-სა ალჯიკს (მსაჯულთა 19₁₋₄), რაც ქალიშვილს, ქალწულს აღნიშნავს, ხოლო ქართული **დედაპაცი** ბერძნულს $\eta \gamma \alpha \nu$ -ს ჰე გვან-ს უდრის, ლათინ. *puer*-სა და სომხურს *կ/ն* კენ-ს, რაც ბერძნულად მდებრობითი სქესის ადამიანის გამომხატველი სიტყვაა და როგორც გათხოვილს, ისევე გაუთხოვარსაც აღნიშნავდა, ლათინ. და სომხური სიტყვები-კი ცოლის აღმნიშვნელია.

მაგრამ მნიშვნელობათა ხელოვანადსახელებული განსხვავება **დედაპაცსა** და **ძალა** შორის დასაწყისითგანია, თუ არა? თუ ადამიანი ტერმინს **დედაპაც**-ს ჩიუფიქრდება, შეამჩნევს, რომ თავისი აგებულებით ის ადამიანთა, ანუ კაცთა იმ კატეგორიას უნდა აღნიშნავდეს, რომელიც დედაა. ხოლო, რაკი დედა არ შეიძლება ქალწული იყოს, ამიტომ ცხადია, **დედაპაცი** თავდაპირველად მხოლოდ გათხოვილი ქალის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, ან არა და უნდა გვეფიქრა, რომ ამ ჩარნაწილედ სიტყვაში **დედა** დედობისა-კი არა, არამედ მართლ მდებრობითი სქესის აღმნიშვნელი იყო.

ეგების უმნიშვნელო არ იყოს. რომ, ს. ორბელიანის განმარტებით, **მდადი** და **მდადე** იყო და არის „დეაცი ხძლის მაყარი“ (ლექსიკ.). მაგრამ, უეჭველია, ეს განმარტება მთლად შედმიწვევითი ვერ არის, რათგან **მდადე** სასძლოს ყოველ მაყარ-ჭალს-კი არ ეძოდებოდა, არამედ მხოლოდ ერთს, ყველაზე უფროსს, რომელიც საქორწილოდ მომზადებულ ქალწულს დედის მაგივრებას უწევდა.

ეს სიტყვა ჩანურაჲ არის დაკული მდაღ-სა და დაღეს სახით. ნ. მარჩხ მის განსამარტავად რუსულად დაუწერია „посажениая мать“ (ქ. გ. 137). ზეგულშიც დაღი იმასვე ნიშნავს, რასაც სამწერლობო ქართულში მდაღ.

ეს ტერმინი იმ მხრით არის საყურადღებო, რომ, ჩვეულებრივ გათხოვილი ქალის აღსანიშნავად განკუთვნილი სიტყვა, აქ გაუთხოვარი ქალისთვისაც არის გამოყენებული.

ქართველურ ენა-ლიალექტებში დედაჲ ამ ცნების გამომხატველი ერთადერთი სიტყვა-როდია, არამედ სხვა სიტყვებიც მოიპოვება. ზეგულაჲ და ჩანურაჲ ჩვეულებრივ ნუნა იხმარება, ლანურაჲ-კი ღია, დედა-ც არსებობს და მშთხანი-ც.

დედალს ზეგრ, დაღული, ან დაღუი ჰქვიან, ჩანურაჲ-კი დაღული დედალი ქათმის აღსანიშნავად იხმარება (ქ. გ. 137).

რაცა დედაჲ, დედალი და დაღული ერთსა-და-იმავე დროს დედობისაცა და სქესის აღმნიშვნელი სიტყვებიცაა, ამიტომ ცხადი ხდება, რომ მათი ძირითადი მნიშვნელობა თავდაპირველად ზოგადი ცნების გამომხატველი უნდა ყოფილიყო. საფიქრებელია, რომ ეს პირველადი მნიშვნელობა სქესის, მდედრობის ცნებასთან უნდა ყოფილიყო დაკავშირებული. ამ ცნების გამოსახატავად-კი, როგორც წინამდებარე გამოკვლევაში განხილული მრავალი მაგალითით-გან ჩანს, ადამიანის ის დანიშნულება ყოფილა გამოყენებული, რომელიც თითოეულ ამ ორ მონაწილეთაგანს სქესობრივ ცხოვრებაში ბუნებასაგან დაკისრებული აქვს. ამიტომ დედის პირველადი მნიშვნელობაც სწორედ ამ სფეროშია სამეზნელი და ისევე, როგორც მამამ და ძმარი თავდაპირველად მკნედლისა და შემკმნელის აღმნიშვნელი ყოფილა. დედაჲ-ც, საფიქრებელია, გამჩენის, ანდა მშობელის ცნების გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ამ მოსაზრების დამაჯერებლობისათვის საჭიროა, რომ ერთი მხრით ქართულში გაჩენა-შობის მნიშვნელობას მქონებული ამის მაღალი ძირის, მეორე მხრით-კი დედაჲ-ს თვით აღნაგობაშიც გამჩენისა, თუ მშობელის ცნების გამომხატველი ფორმანტის არსებობა დამტკიცდეს.

ქართულ სამწერლობო ენას ადამიანთა გაჩენა-შობისათვის ასეთი ძირი არ მოეპოვება და მხოლოდ ფრინველთაგან კვერცხის დედა-სა და დაღებ-ს ვეძახით ხოლმე. ცხადია, რომ ეს მარცვლი აქ ძირგული არ არის.

დაღებაჲ ჩანურაჲ დო-დედაჲ და დო-დედაჲ ეწოდება (ქ. გ. 138). დაღებ იქნება დოგაჲჲ, ანდა დოგაჲჲჲ, დაღევი—დოგაჲჲ (იქვე).

ზეგულაჲ ამის შესატყვისად დებისათვის დება-ს და დაღებისათვის— დოდედა-სა ხმარობენ (მ. გ. 224). ამ ზმნის ძირად პრ. იოსებ ყიფშიძეს დე კომპლექსი აქვს მიჩნეული. მაგრამ ამავე ცნების გამოსახატავად მშინა სახელზმნის სახით პარალელურად ძე კომპლექსიც გვხვდება, მაგ. დევს იქნება ძე (მ. გ. 224—225).

სამწერლობო ქართულშიც ხომ დევს-ის პარალელურად აგრეთვე ძევს გვაქვს. უეჭველია, ამასთანვეა დაკავშირებული ძველი ქართული ტერმინი მ-ძე-ვალი, რომელიც საბას სამართლიანი განმარტებით, იყო „კაცი წინდაჲ და ხ-მ ული“ (დექს.), ანუ, უფრო ზედმიწევნით რომ განასაზღვროს, პოლიტიკური ერთგულების საწინდრად დატოვებული ადამიანს ნიშნავდა. სიტყვა-სიტყვით

ნათარგმნი-კი დადებულსა ნიშნავს. მამვალ-ს ასეთი მნიშვნელობა იმე-
რეთში დაცულ ერთ ტერმინშიც კარგად მოჩანს: საბუღარში დატოვებულ
კვერცხს სწორედ მამვალი ეწოდება (იხ. ვ. ბერიძის სიტყვის კონა).

მაგრამ დვალ ფუძე მარტო დედალი ფრინველისაგან კვერცხის დების
აღსანიშნავად-კი არ იხმარება, არამედ ძუძუმწოვარ ცხოველთა და თვით ალა-
მიანის შობის ცნების გამოხატავადაც. მაგ. სჯანუბა, სახელდობრ ლაშხურში,
შობას ეწოდება ლი-თჟანლ. ბალსქვემოურად ეს სიტყვა ლითუვანლ-ის სა-
ხით იხმარება. ზვარულ-ქანუბ დვალა-სა და სჯანუბ ლი-თჟანლ-ს მხოლოდ ის
განსხვავება ემჩნევა, რომ სჯანურს ამ ძირის თაყიდური დ ბგერა გაასპირატე-
ბული აქვს. თჟანლ ფუძის სჯანური აღმნიშვნელობა ცხადყოფს, რომ დვალ
მარტო დების ცნების გამოხატველი-კი არ ყოფილა, არამედ ნაყოფის გამო-
ღების, წარმოშობისაც.

ზემოთქმულის შემდგომ ტერმინი დოლი-ს მნიშვნელობაცა და მეტადრე
სადაურობაც უკვე სულ სხვანაირად წარმოგვიდგება. ს. ორბელიანს ნათ-
ქვამი აქვს, რომ დოლი საერთოდ „გვასტავთ შობასა შრქვან“, ხოლო ამავე
ავტორის ნიშრომის ერთ-ერთ შემავსებელთაგანს დაურთავს: დოლი ცხვრისა-
გან და ლორთაგან წყება ბატკნისა და გოჭისა დაყრა, ვითარცა იტყვიან, დო-
ლი ლაიძრაო“, ანუ „გამოდის“-ო (ლიქსიკ.).

ს. ორბელიანს ეს დოლი სომხურ სიტყვად მიუჩნევია. სომხება-კი მას
ქურთულითგან წასესხებად სთვლიან. მაგრამ დოლი ბატკნისა და გოჭის დაყ-
რის აღმნიშვნელი, დვალა-სა და დვალუ-საგან ხომ მარტო ვა მარცვლის თ-დ
შენაცვლებით განსხვავდება; რაც, როგორც ცნობილია, ქართულში სრულებით
ჩვეულებრივს მოვლენას წარმოადგენს. ამიტომ არავითარი საფუძველი არ არსე-
ბობს ამ სიტყვის, ამ სომხურად, ამ ქურთულად მიჩნევისათვის. მის ქართულო-
ბის დამამტკიცებელია ერთი მხრით ზვარულ-ქანუბა დების შესატყვისი და
აღმნიშვნელი დვალა, მეორე მხრით სჯანუბა შობის სახელზმნა ლი-თჟანლ. ამ
მხრით საყურადღებოა, რომ აქარულს კილოში შვილების შობას „შვილების
დასვა“, ანდა „ბაღანების დასვა“ ეწოდება, ე. ი. დადების პარალელური, სულ-
დგმულთათვის განკუთვნილი, სახელზმნა. მაგ. აქარულს ზღაპარში „სამი და“ ნა-
თქვანია: მესამე დას, რომ „მუცელი ასტკივდა, იმ ორმა დანებმა თქვეს, «ამან
შვილები უნდა დასვახ». მის სამტროდ მათ ბებისა ფული მისცეს იმ პირო-
ბით, რომ „ოჟი დასვაჟს ბაღანებს... შენ დაპკარგე“-ო (იხ. „აქარ. ხალხური
სიტყვიერება“ ბათომი, 1936 წ. გვ. 4, შეად. გვ. 12).

ამგვარად ირკვევა, რომ დვალ ფუძე ლებას და ნაყოფის გამოღებას,
წარმოშობას ნიშნავს და, როგორც ფრინველთა და პირუტყვთაგან, ისევე
ალამიანისა, დედაკაცისაგანაც. ეს უკანასკნელი გარემოება ჩვენი საკითხისა-
თვის განსაკუთრებითაა მნიშვნელოვანი.

დედაჟ, უეჭველია, დედალი-ს ბოლოშეკვეცილი სახეა. ზვარულად და ქანუ-
ბად ამის შესატყვისად დადული გვაქვს, რომელიც ზვარულში დადუი-ს სახი-
თაც იხმარება. აღსანიშნავია, რომ გურულში დედა-ს მაგიერ, დედო-ა, რო-
მელიც უურადღების ღირსია იმ თავისი მ ხმოვნით, ზვარულ-ქანუბ დადულ-ს
რომ უდგება.

უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ **დედაჲ**, **დედალი** და **დაღული** თავდაპირველად გამჩენის, მშობელის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. მას შემდგომ რაც გამოირკვა, რომ **დედალ** ფუძე შობის აღმნიშვნელი ყოფილა, ამ მოსაზრების დამტკიცება თვით ამ სიტყვის აგებულებითაც არის შესაძლებელი. სრული ფორმები რომ ავიღოთ, **დედალი** და **დაღული** გვაქვს. რაკი **ღოლ**-ი და **თჳალ** შვილის დაყრახა და შობას ნიშნავდა, **დაღულ**-ისა და **დედალ**-ის თავიკიდური მარცვალი და და **დე** ძირეული არ უნდა იყოს. ამიტომ იგი, ან ფორმანტად, ან წინდებულად არის საგულისხმებელი. ცხადია, რომ, რაკი აქ ადამიანის მშობელის სახელი გვაქვს, მარტო ზმნის ფუძე უფორმანტოდ არსებითს სახელს ვერ შეჰქმნიდა. ამის გამო მიძლეობისა, თუ მეტყველების სავა ნაწილის ფორმანტის არსებობა ლოგიკური აუცილებლობით ამ სიტყვაშიც არის მოსალოდნელი. მართლაც **ღო** და ძველად **და** თავსართი, როგორც ცნობილია, სამწერლობო ქართულის **ხა** თავსართის შესატყვისად დანიშნულების აღმნიშვნელია. ამისდა გვარად **და-ღული** იმას ნიშნავს, რომლის დანიშნულებასაც შვილების გაჩენა, ან დაყრა შეადგენდა. აქ, მაშასადამე, ისეთივე წარმოება გვაქვს, როგორსაც **სა-ღვამი** და **სა-წარჩა** წარმოადგენენ. **საღვამი** კარგ მომგებ ცხვარს ნიშნავს, ე. ი. რომელიც კარგ მოღვმის მომცემად გამოდგება. ხოლო **სა-წარჩა**-ს ისეთ მხალს ეძახიან, რომელიც შემდეგი წლისათვის თესლის გამოსაღებად არის ხოლმე განკუთვნილი. საგულისხმოა, რომ დედალ ვარიას **სა-დედალ**-საც უწოდებენ, მაგრამ ამაზე გაცილებით უფრო საგულისხმოა, რომ აქარულ კილოში ქმარს **საქამო** ეწოდება; ე. ი. აქაც ამ ცნების აღსანიშნავად, დანიშნულების **სა** თავსართია ნაშარი. სახელდობრ, აქარულ არაკში „გველმა პერანგი გაიძრო“ ცოლი ამბობს: ჩემი „ოთახი იმფერ წამლით მორწყული მქონდა, რუმ ახალ შემოსულ ადამიანს ხელათ დააძინებდა. ჩემი **სა** **კაცო** (ე. ი. ქმარი) დეიძინებდა და მე იქ ტყეში (საყვარელთან) წვეილოდი. ეს ჩემი საყვარელი კაცი ეინცხამ მომიკლა. მე მითხრა ჩემმა **საკაცომ**, რუმ მე დაგიკალიო“ (აქარ. ხალხ. სიტყ. გვ. 32 და 39). უველა ეს მაგალითები იმით არის საყურადღებო, რომ სქესის აღმნიშვნელ სახელებს დანიშნულების **სა** ფორმანტი უძღვის წინ.

დაღული-საგან უ-ს ვა კომპლექსად შენაცვლებით ვერ **დაღალი** იქმნებოდა წარმომდგარი, ხოლო ვ ს გაქრობით შემდეგ, **დაღალი** გაჩნდებოდა, რომელიც შემდეგ **დედალ**-ად არის ქცეული. **დაღალი** რომ მარტო თეორიულად შესაძლებელი ფორმა-კი არ არის, არამედ ასეთი ფორმა ნამდვილადაც არსებობდა, ამის დამტკიცება ქანურითაც შეიძლება

ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ჩანურის სიტყვა **დაღალი**, რომელიც ვი წურში პოლო შეკვეცილი **დაღა**-ს სახით იხმარება. ეს სიტყვა ჩანურად ყვავილს, ამასთანავე ხის ყვავილს-კი არა, არამედ მხოლოდ ბალახ-მცენარის ყვავილს ნიშნავს (ქ. გ. 137) არსებობს ერთგვარი მცენარე, ბალახი, რომელსაც ქანურად **ფირი-დაღალი** ეწოდება. ნ. მარტი ამ ბალახის სახელს რუსულად жирная трава-დ, ე. ი. მსუქან ბალახად სთარგმნის (ქ. გ. 193), მაგრამ, რას ჰგულისხმობს ბოტანიკურად, არა ჩანს. სიტყვა-სიტყვით კი რომ ვაღმოვთარგმ-

ნოთ, ფირი დაბალი ფერის ყვავილს, წითელი ფერის საცხებლად განკუთვნილ ყვავილს, ფერის დედას ნიშნავს.

მეგრულში ამ ქანური სიტყვის მსგავსი სიტყვა, არსებული ცნობებისდა მიხედვით, არ მოიპოვება. საშავიეროდ მით უფრო საყურადღებოა, რომ მისი შესატყვისობა ქანურისაგან ასეთ დაშორებულ თემის ენას დაუცავს, როგორც სვანურია. ყვავილის აღსანიშნავად სჯანუბს ორი სიტყვა გააჩნია: დაბალ დამუღმბ (იხ. ივ. ნიკარაძის P.-c. ცხ., გვ. 501: დაბოი). თუ უკანასკნელი, მშ-ღმბ სვანურ თავსართს მოცილებული თავისი ძირითადი ნაწილით ყვავილ-ს უდგებდა და მის ბოლოშეკვეცილსა და ოდნავ ფონეტიკურად შეცვლილს ნაშთს წარმოადგენს, დაბალ პირიქით, საფიქრებელია, ქანურში დაცული დაბალი-ს სჯანუბი შესატყვისობა არის, რომელიც არსებითად მხოლოდ შუა დ-ს გაქრობით განსხვავდება.

უნებლიეთ იბადება საკითხი ამ ჯანუბს და სჯანუბი სიტყვების ეტიმოლოგიისა და პირველადი მნიშვნელობის შესახებ. ქანური დაბალი ისე მიაგავს დედალ-ს და სჯანუბი დაბალ თავისი მეორე მარცვლის ახმოვნებით ისე გვაგონებს დედლისავე სჯანუბ ბალსქვემოურ სახელს დაბალი-ს, რომლისაგანაც დაბალი თანხმოვანთი უქონლობით განიჩნევა, რომ ყვავილის და დედალის აღმნიშვნელი სიტყვების მოზაიკისაგანაც ახრი ადვილად შესაძლებელია წამოიქრას. მნიშვნელობით ამ ორი სახელის დაკავშირება ძნელი არ არის, რათგან როგორც დედალი არსება-ნაყოფის წარმოშობელია, ისევე ყვავილიც ღამ თესლის, ანდა ნაყოფის გამოშენიანია. საფიქრებელია, რომ სწორედ ასეც უნდა ყოფილიყო და ყვავილის აღმნიშვნელი ეს ორი, ქანური და სვანური, სიტყვა მართლაც იმავე წარმოშობილობისა და პირველადი მნიშვნელობის სიტყვები უნდა იყვნენ, როგორც დედალი-ა.

ყველა შემომოყვანილი მოსახრება და საბუთიანობა, ვგონებ, უფლებას უნდა გვაძლევდეს დავასკვნათ, რომ დაბალ თავდაპირველად სრულებით უსქეს-კატეგორიო სიტყვა არ ყოფილა და მისი ძირიც თავისდათავადაც შობა ცნების გამოხატველია, ამ ორი გარემოების წყალობით მისი სქესი უცილობელი იქმნებოდა.

§ 3. მკდალი-ს თავდაპირველი და მეორადი მნიშვნელობა

უკვე კარგა ხანია, რომ მკდალი ქართულში მშიშარასა ნიშნავს და თანამედროვე ქართველი, რომელსაც ძველი მწერლობა შესწავლილი არა აქვს, ვერც-გი წარმოიდგენს, რომ წინათ ამ სიტყვის მნიშვნელობა სრულებით სხუანაირი იყო.

იოანეს I-ში ნათქვამია: „ვირი ვდალი მძოვარი ხუთას“. საბა ორბელიანს ეს სიტყვა უკვე მკდალი-ს სახით აქვს შეტანილი თავის ლექსიკონში და განმარტებული აქვს: „ჭაკი ცხენი და ვირი“-აო.

მართლაც, იოანის შემომოყვანილი ადგილის „ვირი მკდალი“-ს შესატყვისად ბერძნულ დაბადებაში სწერია: ვირი. მქსა:—ვ. ი. მკდალი მქსა:—ს, თქლემა-ს და ლათინ. asina-ს უღრის, რაც ბერძნულად დედალს, ლათინ. დედალ ვირს ნიშნავდა.

საგულისხმოა, რომ ფშავეში, გუდამაყარში და მთიულურში ეს სიტყვა ეხლაც დედალი ცხენის მნიშვნელობით იხმარება (იხ. მესაქ. ლ.: ქაკი).

მაშასადამე, ძველ ქართულში მკვლადი დედალი ცხოველის აღმნიშვნელი უოფილა, მერმე-კი მშიშარის აღმნიშვნელ ზედსართავ სიტყვად ქცეულა. აქაც ბუნებრივად იბადება საკითხი, რატომ არის რომ მდებარეობითი სქესის გამომხატველ სიტყვას თავისი სქეს-კატეგორიის თავსართი კი არა აქვს, არამედ მ ზგერა, და, სახელდობრ, რა უნდა ანიჭებდეს მას დედლობის მნიშვნელობას.

უკვე ამ ტერმინის თავკიდური მ გვაფიქრებინებს, რომ იგი ნამიმლეობევი სიტყვა უნდა იყოს. თუ ეს მოსახრება მკვლადი არ არის, მაშინ ამ მიმლეობის ფუძედ უნდა ვდ მივიჩნიოთ. თუმცა ამ ზმნას ჩვენი ტერმინის მნიშვნელობის განსამარტავად თითქოს არავითარი კავშირი არ უნდა ჰქონდეს, მაგრამ სამაგეროდ ძველ ქართულ მწერლობაში დედალი ფრინველისაგან შვილებას გამოჩეკის გამოსახატავად ხწორედ ზამრკვლდ ზმნა გვხვდება. მაგ. „სახისმეტყველ“-ის ქართულ თარგმანში ნათქვამია: კაკაბმა კვერცხებიტვან „მართუენი გამოივადნის“-ო (ნ. მარრის გამ. TP. VI, 28₉₋₁₁), „რაფუამს მართუენი გამოივადნის“ (იქვე 9₈₋₉), „კუერცხისა დადებითა და მართვხა გამოვლითა“-ო (იქვე 15₂₀₋₂₁).

ვამონათქვამის ზეთის გამოხდა, ანდა სხვა სითხის, მაგ.: აოყისა, განსენებაც საკმარისია იმის ცხად-საყოფელად, რომ გამოვდაჟ-ს თავდაპირველი მნიშვნელობა გამოყოფაა. წინდებულის ზმნებს ქართულში, როგორც ცნობილია, აწმყო დროს ფორმები არა აქვთ და როდესაც აწმყო დროა საკერო, მაშინ ზმნას წინდებული უნდა ჩამოსცილდეს. ცხადია, რომ ტერმინი მკვლადი ვდა ზმნისაგან ნაწარმოები აწმყო დროის მომლეობა უნდა იყოს, ე. ი. იმავე ზმნისაგან, რომელიც ზამრკვლდ-ს სახით ძველ ქართულ მწერლობაში, როგორც დავრწმუნდით, ბარტყების გამოჩეკის და ზოგადად გამოყოფის ილსანიშნავად იხმარებოდა. რაკი ძუძუმწოვარ ცხოველთა შობა გამოჩეკით არ ხდება, ამიტომ ცხადია ზამრკვლდ თავდაპირველად მართო ფრინველთაგან-კი არა, არამედ ცხოველთა შვილების მოგებისა, გაჩენის, გამოყვანის აღმნიშვნელი ტერმინიც უნდა უოფილიყო. ამნაირად ირკვევა, რომ თავდაპირველად მკვლადი გამოყოფელსა და გამოჩეკს, მომგებს და მშობელს ნიშნავდა და მხოლოდ შემდეგ უნდა იყოს დედლის აღმნიშვნელადაც ქცეული.

ამგვარად მკვლადი-ს ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ეს ტერმინიც თავისი შინაარსით მხოლოდ მდებარეობის გამომხატველია და, თუმცა ის ქართული ენის განვითარების იმ ხანის ტერმინი ჩანს, როდესაც უკვე სქეს-კატეგორიები დაკარგული ჰქონდა. მაგრამ ამ სიტყვის თვით ძირი და მიმლეობის ფორმა სქესის მკაფიოდ განმსაზღვრელი იყო.

ამავე სიტყვის მშიშარას აღმნიშვნელად ქცევა გასაკვირველი არ არის, რათვან დედაკაცი-ს შეოწყმული ფორმა ღნიბი-ც ხომ ამნაირადვე მშიშარის მნიშვნელობითაც იხმარება ისევე, როგორც მამაკაცი-ს შეოწყმული ფორმა მამბი-ც გულადის აღმნიშვნელად იქცა.

თავი მეჩვიდმეტი

სქეს-კატეგორიების ნიშნების არმქონი, სქესის აღმნიშვნელი, სიტყვები სინურ-ლილურ-ლყგურს ენებში და ჰათი განმარტება

სქეს-კატეგორიების ნიშნების არმქონი სქესის აღმნიშვნელი ქართული ტერმინების განხილვისა და ანალიზის შემდგომ, უნდა ამავე საკითხის გაშორკვევა ე. წ. კავკასიურს ენებშიც გვადგათ.

აქ უფრო რთული ვითარებია, რატომ უმეტესს ამ ენათაგანს გრამ. სქესი ეხლაც შენარჩუნებული აქვს, მაგრამ, რაკი სქეს-კატეგორიების ნიშნები უძველეს ხანაში თავსართების, ხოლო შემდეგში ბოლოსართების საწითაც იხმარებოდა, სიტყვების თავი და ბოლო კიდურები-კი, როგორც ცნობილია, დროთა განმავლობაში ხსვა ნაწილებზე უფრო ადვილად ზიანდება ხოლმე, ამიტომ არაერთ სიტყვას ხწორედ სქეს-კატეგორიის ნიშანი აქვს დაკარგული.

ვინც ასეთ სიტყვებს, მათი წინანდელი სახის გამოურკვეველად, დამყარება, იმას სქეს-კატეგორიათა თანდაყოლილი თვისების დებულება შესაძლებელია მცდარად ეჩვენოს, მაგრამ, თუ მკვლევარი ყოველი სიტყვის წინანდელი სახის გამოკვლევა-სა და აღდგენას ეცდება, მისთვის სქეს-კატეგორიების დაკარგვის პროცესი უცილობელ ქეშმარიტებად იქცევა.

ერთი იმ სიტყვათაგანი, რომელიც შესაძლებელია ჩამოიჭრა თავდაპირველად სქეს-კატეგორიის არსებობის დებულების დასარწმუნებლად იქმნეს გამოყენებული, ხარის ჩაჩნური სახელი სტუ არის. სტუ-ს ნათ. ბრ. იქმნება ხტერინი-მიცემ.—ხტარანა, მოქმ.—ხტარალ (ჩაჩნ. ე. 210). გვლდენშტედტის ჩანაწერიდან ჩანს, რომ ხარის ეს ჩაჩნური სახელი XVIII-ს. მეორე ნახევარშიც ამავე სახით ყოფილა (R. II, 507: Ochs Tschetschegisch Stu), ხოლო კლაპროთის ნაშრომიდან ირკვევა, რომ ეს სიტყვა XIX ს. დასაწყისამდე გაუგონია (V. II, 357: Stou).

ხარის ეს ჩაჩნური სახელი იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ, თუცა მამალი ცხოველის სახელია, მაგრამ მაინც მამრობითი სქესის არაკითხი თავსართი არა აქვს. ამისდა მიუხედავად, ეს სიტყვა მკვლევარს საშუალებს აძლევს დარწმუნდეს თვითონაც და მკითხველიც დაარწმუნოს, თუ რამდენად ადვილი ყოფილა უმწერლობო ენებში სიტყვის წინანდელი აგებულების და სახის შეცვლა. საკმარისია აღამიანმა იმავე დროს გვლდენშტედტისა და კლაპროთის ძისტუტი და ქოჯტი ლექსიკური მასალის ჩანაწერებში ჩაიხედოს, რომ შემოადრინებული გარემოების სიმართლე ირწმუნოს.

თუ ჩამოიჭრა ხარის მე-XVIII ს-ში სტუ პრეფიქსია, ამავე დროს ძისტუტიც ამავე ცხოველის სახელად თურმე უსტ-სა და ქოჯტი უსტუ-ს ხმარობდნ (R. II, 507: „Ust“ და „Ustu“ და V. II, 357: „Oust“ და „Oustou“). ორსავე ფორმას მაშასადამე, თავში უ ჰქონია, რომელიც ვ-ს მსგავსად, როგორც დარწმუნდით, აგრეთვე მამრ. სქესის ნიშანია.

ძველი წარმოების სიტყვათა თავსართების შეგნების სწრაფი გაქრობის ვასათვალისწინებლად საყურადღებოა, რომ გვლდენშტედტის სამი ნეო-თხელი საუკუნისა და კლავროთის ნახევარი საუკუნის შემდგომ წოფურზე მუშაობის დროს აკად. ა. შიფნერის მიერ შეგროვილი ლექსიკური მასალითგან ირკვევა, რომ ხარის სახელი წაფრად უკვე ბსტშ-დ ქცეულა (იხ. A. Shiffner, Versuch über die Thusch-Sprache, რუს. სამეც. აკადემიის Mém. VI Série, Sc. politiques etc.t. IX, 1856 წ. გვ. 147).

ამგვარადვე საყურადღებოა, რომ უსლარის დროს ცოლისა და დედლის სახელად ჩაჩნუთად სტიჲ იყო, რომლის ნათ. ბრუნებაა სტიჲჩინე, მიც. სტიჲჩუნა, მოქმ. სტიჲჩურ, მრ. რ. სახ. სტიჲჩულ-ია (ჩაჩ. ე. 210). მდებრობითი სქესის არავითარი ნიშანი ამ სიტყვას არ უჩანს. გვლდენშტედტის ჩანაწერთგან-კი ირკვევა, რომ ერთი საუკუნით უწინარეს ცოლს ჩაჩნუთად ჰრქმევია ისტიშ, ქაბჯუთად ხაელკ და წაფრად სტუინო (R. II, 506). კლავროთსაც ჩაჩნუთსათვის ცოლის მნიშვნელობით იგივე ისტიშ აქვს აღნიშნული, ქაბჯუთსათვის-კი Zielk ხაელკ და წაფრად სტუ, დედაკაცის მნიშვნელობით-კი სტუინო (V, II, 362).

მაშისადამე, როგორც მოსალოდნელიც იყო, ცოლისა და დედლის სახელს მდებრობითი სქესის ი თავსართი ჰქონია და ისტიშ უოფილა, შემდეგში-კი მას მდებ. სქ. ეს ნიშანი დაუკარგავს.

საგულისხმოა, რომ გრამ. სქესის დაკარგვის პროცესი უკვე მე-XVIII ს. ემჩნევა, მაგრამ მაშინ მხოლოდ წაფრად, მე-XIX ს.-ში-კი ჩაჩნუთსად დასტყობია. ძველ სიტყვებში სქეს-კატეგორიების გრძნობის მოჩლუნგებისა და შეგნების ვაქრობის სიმძლავრის დასახასიათებლად საყურადღებოა, რომ წაფრად დედაკაცის აღმნიშვნელი სიტყვა მე-XIX ს. შუა წლებში უკვე ბსტუინო-დ, ხოლო ცოლისა და დედაკაცისავე სახელი ბსტუ-დ უქცევია (შიფ. Thusch. 147), ე. ი. ბ თავსართად შეუნაცვლებია.

სქეს-კატეგორიების ისტორიის თვალსაზრისით ქაბჯუთსა, ჩაჩნუთსა და წაფრად ვერძის, მამალი ცხვრის, ჩაჩნუთსა სახელი უნისტინი არის საყურადღებო. ყველა ბრუნვების ფორმას ფუძედ უნისტინი-ი აქვს. უსლარს რუსულად чапанად აქვს ვადმოთარგმნილი (ჩაჩნ. ე. 216). სამწუხაროდ, გვლდენშტედტს ამ ცხოველის სახელის ჩაწერა დაჰვიწყებია. მაგრამ სამაგიეროდ კლავროთს მოგვითხრობ: თავის ჩანაწერში მას ფრანგული brebis-ის, ე. ი. დედალი ცხვრის, ნეზვის ჩაჩნუთ სახელად აღნიშნული აქვს „Oustghe, oustehi“ უსტჲე და უსტჲი, ქაბჯუთსად უსტჲე და უსტჲ, ხოლო წაფრად ჯა „Dja“ (V, II, 358).

კლავროთის ცნობა უსლარის ზემომოყვანილ ჩანაწერს, რომლითაც უნისტინი დედლისა-კი არა, არამედ სწორედ მამალი ცხვრის სახელია, სრულებით ეწინააღმდეგება. დედალ ცხვარს („овца“) ჩაჩნუთად. ამავე უსლარის სიტყვით, ჯი ჰქვიან, ცხვრის ზოგად სახელად-კი დაცა არის (ჩაჩნ. ე. 170 და 174). პირიქით კლავროთისაგან მოყვანილი მნიშვნელობა წაფრად კარგად უდგება. შიფნერით წაფრად უნისტინი ერთ დედალ ცხვარსა ნიშნავს, ბევრ-კი შუ ეწოდება (Thusch. 111). ჯა ჩაჩნუთსა ცხვრის ფარასა ნიშნავს (ჩაჩ.

ე. 174) და ეს ცნობა წიგნითავე მტკიცდება, სადაც **შე მრავალ ცხვარს**, ე. ი. სწორედ ფარასა ნიშნავს.

ყველა ზემომოყვანილი და ზემონათქვამი ცხად-ჰყოფს, რომ კლ აპ რ ო-თის ცნობაში შეცდომა ყოფილა შეპარული: **შიხთიხი**-ს წიგნითა მნიშვნელობა ჩაჩნურად არის აღნუსხული. ამ შემთხვევაში უპირატესობა, რასაკვირველია, უსლარის ნაშრომს უნდა მიეკუთვნოს, რომლის მუშაობის სიდიდე და სინდისიერება უეჭველია.

ამნაირად, **შიხთიხი გერძის** ჩაჩნურა სახელია და ამ სიტყვის თავშიც **ში ბგერაა**, რომელიც, როგორც სხვა უცილობელ შემთხვევებითგან ვიცით, მამოსქესის თავსართია. საგულისხმოა, რომ ამ ხმოვნის ნამდვილი ბუნების შეგნება წოვურს ამ შემთხვევაში დაჰკარგვია და როგორც კლ აპ რ ო-თის ნაშრომითგან ჩანს, ეს გარემოება უკვე მე-XIX ს. დამდევსაც საგრძნობი ყოფილა.

ჩაჩნურად მე-XVIII ს. ცოლის სახელი **იხთიშ** ყოფილა, მერმინდელი **ხთიშ**-ს მაგიერ. ფურის აღმნიშვნელ სახელის **ახტ**-ისაგან ის უმთავრესად ა-ს წინამავალი **ა**-ეს გავლენის წყალობით, ასიმილაციის გზით ი-დ ქცევითა და მასთან შერწყმით განიჩნევა. ამგვარად, რაკი **ახტ** და **ახტ დედალ საქონელს**, ფურსა ნიშნავს, მაშასადამე, ცოლიც ჩაჩნურად დედლობის აღმნიშვნელი სიტყვითვე ყოფილა სახელდებული.

ხარის ჩაჩნური სახელი **შხტშ** და **ხტშ-ა**.

ცხვრის ჩაჩნურ-წიგნით-წიგნითა სახელის **შიხთიხი**-ს, თუ სქეს-კატეგორიის უი თავსართი ჩამოვაცილეთ, ფუძედ, ან ძირად **ხთიხი** დავგვიჩნებთ.

ზემოაღნიშნულის მსგავსად, ფრიად საყურადღებო გარემოებაა, რომ გ კ ლ დ ე ნ შ ტ ე დ ტ ი ს ჩანაწერით, კაცს, მამაკაცს ჩაჩნურად მე-XVIII ს. ეწოდებოდა **ხთიშ**, წიგნითა და წიგნითავე-კი **ხტაშ** (R. II, 506). კლ აპ რ ო-თის ც ამასვე ადასტურებს, მხოლოდ ჩაჩნურად მეორე ფორმა **ხთიშ**-იც აქვს მოყვანილი (V. II, 364). უსლარს-კი **ხტაშ** კაცის ჩაჩნურ სახელადაც აქვს აღნიშნული, მაგრამ მისი ნათ. ბრ. **ხტეგინე**, მიც. **ხტაგანა** და მოქ. **ხტაგა** ყოფილა. მრ. რ.-ის ფორმები სხვა, ნახ, ძირისაგან არის ნაწარმოები (ჩაჩ. ე. 209).

ყველა ამ ფორმების მიხედვით, კაცის აღმნიშვნელი სიტყვის ძირად **ხტაშ**-ი, ანდა **ხთიშ**-ი მოჩანს. ხოლო, რაკი შ ი ფ ნ ე რ ი ს ჩანაწერით წიგნითავე კაცი ყოფილა **ხტაშ** (Thusch. 131), **ხტაშ**-ის გარდა **ხტაშ**-ის სახესხვაობაც არსებობდა.

რამდენადაც მხ. რ. ნათ., მიც., მოქ. და მრ. რ. სახ. ბრუნვების მიხედვით მსჯელობა შეიძლება, ხარის ჩაჩნურა სახელის ძველი **შხტშ**-სა და თანამედროვე **ხტშ**-ს ძირად, თუ ფუძედ უნდა **ხტშ** ვიგულისხმოთ. ხოლო ცოლისა და დედლის ჩაჩნურა სახელის ძველის **იხთიშ**-ს და თანამედროვე **ხთიშ**-ს ძირად, თუ ფუძედ, უკანასკნელის მხ. და მრ. რიცხვების ბრუნვათა ფორმების მიხედვით, **ხთიშ** უნდა მივიჩნიოთ.

მაშასადამე, თავკიდური უ და ა აკაც სქესის ნიშნები ყოფილა.

განსაკუთრებული ყურადღების ღირსია მოზრდილი ცხვრის ჩაჩნურა სახელი **ძა**. ამ სიტყვის ნათესავ. ბრუნვაა **კუნიხინე**, მიც. **კუნიხინა**, მოქმ. **კუნიშუთ**

და შრ. რ. სახ. ბრ. კუჩუმილ. დაუკოდაც ცხვარს ეწოდება წრი კა, დაკოდ-
დილს-კი წრინ ბრცუნ კა (ჩაჩ. ე. 184).¹ დაკოდლი ცხვრის ზემომოყვანილი
ჩაჩნური სახელი ნიშნავს „მჩი-ობის არმყოფელ ცხვარს“.

ცხვრის ჩაჩნურა სახელი ძა გვლდენ შტედტსაც მოეპოვება კაპე-ს
(Kae) სახით, მაგრამ ეს სიტყვა მას ზოგად სახელად-კი არა, არამედ ვერძის,
მამალი ცხვრის, ჩაჩნურ და ქაბჯურ ტერმინად აქვს მოყვანილი (R. II, 508).

როგორც ხშირად ხდება, ამ შემთხვევაშიც ცხვრის ჩაჩნურ სახელ ძა-ს
თავისი ფუძე სრულად არა აქვს დაცული. მხ. რ. ნათეს., მიც. და მოქმ. ისე-
ვე, როგორც შრ. რ. სახ. ბრუნვის ფორმებითგან ჩანს, რომ მისი ფუძე ყოფი-
ლა კუჩიმ, ანდა კუჩიმ. ხოლო, რაკი აქ უ-ხმოვნობაა, ა-ხმოვანა ფორმა, რომ-
ლის ნაშთად შრ. რ. სახ. ბრ. ძა არის, იგივე ფუძე კუჩიმ-ად უნდა ვიგული-
სხმოთ.

ჩრის ეტიმოლოგია უსლარს არა აქვს მოყვანილი. ეტყობა დაუკოდავი
ცხვრის სახელზე დამყარებით, მას ნათქვამი აქვს მხოლოდ, რომ დაუკოდავა
და სქესებრივად ფიცხსა ნიშნავსო („ячей, исключительно в отношении
похоти“), მაგრამ ამ სიტყვის ძირზე არას ამბობს (ჩაჩ. ე. 173).

მოზრდილი ცხვრის ჩაჩნურა სახელის წინანდელი, უფრო სრული, ფორმის
გამორკვევის შემდგომ, დაუკოდავი ცხვრის სახელის წინანდელი გარეგნობაც
უკვე შეცვლილი წარმოგვიდგება: წინათ ასეთ ცხოველს სახელად მჩი კუჩიმ,
ანდა მჩი კუჩიმ-ი ერქმეოდა.

დაუკოდავი ცხვრის ჩაჩნურა სახელის წრი კა-ს, ანუ, როგორც წინათ
უნდა ყოფილიყო. მჩი კუჩიმ-ისა, თუ მჩი კუჩიმ-ის ეტიმოლოგიის გამორკვევა
მარტო ჩაჩნური ლექსიკური მასალებით შეუძლებელია. ამ საგულისხმო საკი-
თხის გაშუქება და გადაწყვეტა მხოლოდ ქართულის საშუალებით შეიძლება.

საკმარისია მამალი ცხვრის ქართული სახელი მჩამმალნი ვაეიხსენოთ და
ამავე ცხოველის დაუკოდავი მამალი არსების ჩაჩნურ სახელს წრი კუჩიმ-ს,
ანდა წრი კაიმ-ს შევადაროთ, რომ ქართული და ჩაჩნურა ამ ორი სიტყვის
მსგავსება ცხადი შეიქმნეს. მჩამმალნი-ს ეტიმოლოგია გამორკვეული გვაქვს და
უკვე ვიცით, რომ ერკვემალი მჩამმალნი-საგან არის წარმომდგარი, რომელ-
თაგან მჩამმი მამალი რქოსანი საქონლის სახელია, კამმალნი-კი, კეშლი-ს სახი-
თაც დაცული, თვით შინაური რქოსანი საქონლის აღმნიშვნელია.

ჩაჩნურა თანამედროვე წრიკა-ს და წინანდელი წრი კუჩიმ, ან და წრი
კაიმ-ის პირველი ნაწილი წრი ვერძი-საგან წარმომდგარ მჩც-სა და ერ-ს უდ-
რის და ამნაირად ცხვრის მამრადითი სქესის მაუწყებელი სიტყვაა. ხოლო
შეორე ნაწილი კუჩიმ, ანუ კუჩიმ ქართულ კამმალ-სა, კეშლს და კეშლს უდრის

¹ ბრცუნ შემდეგი ხმის უარყოფითი ფორმის მიმდებარა. უარყოფის გამომხატველი
აქ ც თანხმოვანია, რომელიც, როგორც უკვე უსლარსა აქვს გამორკვეული, წმინაში თავსა-
რთადაც იხმარება და ბოლოსართადაც, იაჯ. ვიქმნები წმინსაგან ხილბრ უარყოფითი ფორმა
შესაძლებელია ორნაირად ითქვას: ცა-ხილბ-დაც და ხილბც-ადაც (იხ. ჩაჩ. ე. 225 და § 55.—
56 გვ. 73 და 15) ბრცუნ-კი არსება ხმისაგან ნაწარმოები მესამე, უბრუნდამსაკითხა და
პირუტყვათთვის განკუთვნილი, სქეს-კატეგორიის ფორმაა. მამრ. სქესისათვის უარყოფით ფორ-
მად იხმარება ვრცუნ, მდედრ. ხქ.—აშცუნ, მეოთხე სქეს-კატეგორიისათვის-კი დოცუნ
(ჩაჩ. ე. 72).

და იმის მსგავსად ცხოველის სახელად უნდა იქმნეს მიჩნეული. ამგვარად, უქვეელია, ჩაჩნურს ამ ტერმინსაც სქესის ნიშანი ღროთა განმავლობაში უნდა ჰქონდეს დაკარგული.

რქოსანი საქონლის ჩაჩნურს ზოგად სახელად ბეჰინა არის, რომელთანაც დუ მეშველი ზმნა იხმარება (ჩაჩ. ე. 161). ყველა ბრუნვებში ამ სიტყვის ფუძედ ბეჰინ-ი გვევლინება (იქვე).

უქვეელია ამავე ძირის სიტყვაა რქოსანი საქონლის ნაზირის აღმნიშვნელი ჩაჩნურსა ბაჰა-ც. რომელთანაც ბუ მეშველი ზმნა იხმარება (ჩაჩ. ე. 159). ამ სიტყვის ფუძე მხ. და მრ. რიცხვის დანარჩენ ბრუნვებში ბაჰან-ისა და ბეჰ-ის სახით გვევლინება.

საგულისხმოა აგრეთვე, რომ ვაცს, მამალ თნას, ჩაჩნურსად ბუოჰ-ი ჰქვიათ, რომელთანაც მდებრობილი სქესის მეშველ ზმნას ჟუ-სა ხმარობენ (უსლარი, ჩაჩ. ე. 162). დანარჩენ ბრუნვებში ამ სიტყვის ფუძეს ბეჰ და ბაჰ-ი შეადგენს (იქვე).

დედალი თნის სახელად ჩაჩნურს გააჩნია ვაჰანა, რომელთანაც აგრეთვე მსედრ. სქ. ჟუ მეშველ ზმნას ხმარობენ (ჩაჩ. ე. 165). მხ. და მრ. რ. ყველა სხვა ბრუნვებში ფუძედ ვაჰ-ი არის (იქვე).

უკვე ის გარეწობაც, რომ მამალი თნის სახელ ბუოჰ-თან ჩაჩნები მდებრობილი სქესის ჟუ მეშველ ზმნას ხმარობენ, რომელიც დედალი თნის სახელ ვაჰანა-თან იხმარება, ცხადყოფს, რომ ჩაჩნებს ამ სიტყვების გრამატიკული სქესის შეცნება და გრძნობა მოჩლუნგებული აქვთ.

უსლარს რქოსანი საქონლის აღმნიშვნელი ზემოპოყვანილი ჩაჩნური სიტყვების არავითარი ეტიმოლოგია არ მოეპოვება. არც გასაკვირველია, რათგან შათი აგებულობის საკითაი(კ-კი გამოარკვეული და ნათელი არ არის. ისეთი უმწერლობო ენებისათვის, როგორც იმ დროს სინდურ-დილდურ-ლეგური ენები იყო, სიტყვების პირუანდელი აგებულებისა და მნიშვნელობის მიგნება მეტად ძნელია. დამწერლობის მქონებელი ენების ისტორიითგან ვიცით, რომ დროთა განმავლობაში სიტყვის ბგერითი შედგენილობა და დალაგებულობა ხშირად ისე იცვლება ხოლმე, რომ ზოგჯერ, წერილობითი ძეგლების გარეშე, თავდაპირველი ფორმის მიგნება(კ-კი შეუძლებელია ხოლმე.

უკვე ჩაჩნურის პოეტთან შედარება ცხად-ყოფს, რომ უკანასკნელს ამ ძირის თავ-ბოლომოცილებული სიტყვა ცხვრის ზოგად სახელად უქცევია: ში პოეტად ცხვრის შემკრებლობითი სახელია (ში ფ. Thusch. 131). ცხადია, რომ ამ სახელს თავში ბუ, ბოლოში-კი ნა მარცხელში აქვს დაკარგული. ამნაირად ქვეყნის მხოლოდ სიტყვის შუა ნაწილი ში, შეუნარჩუნებია.

ჩაჩნურს-პოეტის შემომოყვანილი სიტყვების ანსაზურ-ჩაჩნურ-ყაჩაჩნურ-თან შედარება ადამიანს დაარწმუნებს, რომ რქოსანი საქონლის აღმნიშვნელი ჩაჩნურის მსგავსი სახელები ჩრდილო-კავკასიურ ენათა სინდურ ჯგუფშიც ფართოდ ყოფილა გავრცელებული.

გვლდჰნშტედტს აღნიშნული აქვს, რომ კრავს (Lam) ყაჩაჩნურსად შინა (Schina) ეწოდებოდა, თნას-კი ბჰან (R. II, 531). თანამედროვე ყაჩაჩ-

ღიუღის თხის ზოგად სახელად ბჰინ-ს, ანდა ბჰინ-ს ხმარობენ (რ.-ყ. ლ. 61), ციკანს-კი ძაიშ-ს ეძახიან (იქვე, 62).

ცხადია, რომ თხის ყანადღიულა სახელი ბჰინ რქოსანი საქონლის იგივე ჩაიწერა სახელი ბჰინა არის, მხოლოდ ყაბარდოულს, ჩაჩურთან შედარებით, პირველი და უკანასკნელი მარცვლების ხმოვნები აქვს დაკარგული. გვლდ ენ-შტედტის მიერ აღბეჭდილი კრავის ყანადღიულაჟ სახელი შინა-ც, უეჭველია, ამავე რქოსანი საქონლის ჩაჩურს სახელ ბჰინა-სთან უნდა იქმნეს დაკავშირებული. მას მხოლოდ თავკიდური მარცვალი ბე აქვს ჩამოცლილი, დანარჩენი-კი კარგად დაუცავს (ბეინა=შინა-ს), ოღონდ ყ თანხმოვანი შ-დ შეჰნაცვლებია, ან ეგების მაშინაც შინა იყო და მხოლოდ გვლდენ შტედტის ჩანაწერშია ყ ბგერა შ ასოთი გამოხატული.

აზსაზრტშიც თხის სახელად ამ ძირის სიტყვაა: გვლდენ შტედტის აღნიშნული აქვს, რომ დედალ თხას (Ziege) აზსაზრტად შიმა (Shima) ეწოდებოდა (R. II, 531). თანაზრტოჟ აზსაზრტში დედალ თხას აჯმა-ს ეძახიან (აბბ. ე. წ. 68, გვ. 120), რომელშიც თავკიდური ა ძირეული არ არის, არამედ ჩვეულებრივი აბხაზური ართრონია. გვლდენ შტედტის ჩანაწერთან შედარებით, ა-ჯმა-ს შუა ხმოვანი აქვს დაკარგული და ყ-ს მაგიერ პირველ თანხმოვნად ჯე არის.

ჩაჩურ ბჰინა-სთან შედარებით, აზსაზრტსაც, ყაბარდოული შინა-ს მსგავსად, თავკიდური ბე ჩამოცილებული აქვს. მაგრამ კრავის ყაბარდოულ სახელს უკანასკნელი თანხმოვანი ნ უცვლელად აქვს დაცული, აბხაზურში კი მ ბგერაა.

ზემონათქვამის შემდგომ თავისდა-თავად ცხადი გახდება, რომ დედალი თხის ჩაჩურულა სახელი ბჰინ-ც (ლვლ. რ.-წ. ლ. 88—89) ამავე ძირის სიტყვა უნდა იყოს. ამავე ცხოველის ყაბარდოულ სახელ ბჰინ-თან შედარებით, მას მხოლოდ თავკიდური ბ ყრუ ბგერად, შ-დ, შეუწაცვლებია ისევე, როგორც ჟ-ს მაგიერ ჩ თანხმოვანი აქვს. მაგრამ ძროხის სახელში ჩაჩურულს ეს თავკიდური ყრუ შ ბგერაც დაუკარგავს და ჩეშე-ლა (რ.-წ. ლ. 91) დარჩენილა.

საფიქრებელია, რომ ჩერქეზული ჩ უნდა აბხაზური ა-ჯმა-ს მსგავსი ფორმის ბჯენე-სავან იყოს წარმომდგარი.

ყველა შემოგანზილულს სიტყვებში ბე, ბუ, ბა და მ ძირეული არ არის, არამედ თავსართია. ამ სიტყვების ფუძისა და ძირის გამორკვევა მარტო ამ ენათა ლექსიკური მასალით შეუძლებელია, ამიტომ ამაზე ცალკე ვეუქმნება საუბარი.

თუ ჩაჩურ-დანურ-წიურა მასალებით გამოირკვა, რომ ბჰინა-ს მონათესავე სიტყვებში სქესის შეგნება დაკარგული ჩანს, ამ სიტყვების ჩრდილო-კავკასიურ ენათა სინდური ჯგუფის მონათესავე სიტყვებთან შედარებამ ცხად-ჰყო, რომ ბმ და ბა, თუ გინდ ბუ ძირეული არ არის, არამედ სქეს-კატეგორიის თავსართებია. მეორე მხრით ამავე შედარებითმა ანალიზმა ის ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაც გამოამჟღავნა, რომ ჩაჩურულსა და ყანადღიულს, რომელთაც სქეს-კატეგორიები უკვე კარგა ხანია არ გააჩნიათ, წინათ ბ და მ-ს ხანით ჰქონიათ.

ხვადი კვიცის აღმნიშვნელი ჩაჩნური ბეჰი, როგორც ვიცით, აგრეთვე სიტყვათა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელთაც თავკიდურ ბგერად თავისი სქესისათვის შეუფერებელი ბ თანხმოვანი აქვს. მხ. რ. მარტო ნათეს. ბოუნვა ბეჰინინეში არის კიდევ ე-ხმოვნობა დაცული, დანარჩენ ბრუნვებსა (ბოყუნა, ბოყურ, ბოყი) და მრ. რიცხვშიც ო-ხმოვნობაა (ბოყულ, ბოყუა: ჩაჩ. ე. 161).

ამგვარად ხვადი კვიცის სახელი, ბეჰი-ს გარდა, ბოჰი-ს ან და ბ(ო)ჰი-ს სახითაც უნდა ყოფილიყო. ამ სიტყვას მამრ. სქ. სახელისათვის სრულებით შეუფერებელი თავკიდური ბ თანხმოვანი აქვს. სქესის აღმნიშვნელი სიტყვა-კი ვეყი. ანდა ვოყუ იყო მოხალოდნელი. საფიქრებელია, რომ ოდესღაც სწორედ ასეც უნდა ყოფილიყო.

ამ გარემოების გამოკვევაც მარტო ჩაჩნური ლექსიკური მასალით შეუძლებელია, ამჟამად არსებული ცნობებისდა მიხედვით მაინც. მაგრამ სამაგიეროდ ეს შედარებითი გზითა ხერხდება. თავის დროზე და სათანადო აღვილას უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ხვად ცხენსა და კვიცს ქართულად ვბჰჰ ეწოდება. ცხადია, რომ ხვადი კვიცის ეს ქართ. სახელი ვბჰჰ და ხვადი კვიცისავე ჩაჩნურში სახელი ბეჰი და წინათ არსებული ბოჰი ერთი-და-იგივე სიტყვაა. მხოლოდ ქართული ა-ხმოვანა, ჩაჩნურში კიდევ ე და ო-ხმოვანა სახესხვაობას წარმოადგენს. ქართ. სახელს იმ მხრივ აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ მ-თანხმოვანით იწყება, სწორედ იმ ბგერით, რომელიც მართლაც გრამ. მამრ. სქესის თავსართოვანი ნიშანია. ჩაჩნურში-კი ამის მაგიერ ბ თანხმოვანია, რომელიც სულ სხვა სქეს-კატეგორიისათვის იყო და არის ეხლაც განკუთვნილი. ამის გამო, ვგონებ, უფლებად უნდა გვექონდეს დავასკვნათ, რომ ქართულს ხვადი კვიცის სახელი ჩაჩნურში, რომელსაც თავკიდური სქესის ვ ნიშანი დროთა განმავლობაში ბ ბგერად უქცევია, უკეთესად აქვს დაცული.

თუ სიტყვა ვირი თანაბრდება დუმიტრის შუა ხნის მამაკაცსა ნიშნავს და არსებითი სახელია, გვლ დენშტედიის ჩანაწერითგან ჩანს, რომ მე-XVIII ს. მამაკაცს ვირიშუ ჰქვამდნენ (Mann—Wiritschu: R. II 521). ჩუ კაცსა ნიშნავს და ვირი აქ უკვე ზოგადად მამრ. სქესის გამომხატველია.

საკმარისია დის თანაბრ. და აღლ. სახელი ჩი დისავე წასწერულს სახელს დიჩი-ს (იხ. ორივე ალ. ე. 167) შეადაროს ადამიანში, რომ საქმის ვითარება ცხადი გახდეს თანაბრანულსა და აღლურს დის აღმნიშვნელი სიტყვის პირველი, სწორედ მდებარეობითი სქესის გამომხატველი თავსართის შემცველი, აი მარცვალი დაუკარგავს.

ამგვარადვე ძმის თანაბრ. სახელი ჩი და აღლ. ჩუ-ც (ალ. ე. 167) ამ სიტყვის მხოლოდ მეორე გადარჩენილი მარცვალე-ლაა. ამის დასარწმუნებლად ძმისავე უფრო სახელის გახსენებაა მხოლოდ საჭირო. თუმცა ამჟამად უფრო-ც არ ვაჩნია სქეს-კატეგორიები, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მას ძმის სახელის პირვანდელი ფორმა მაინც კარგად აქვს დაცული: ძმას უფროა ვირი ეწოდება (ალ. ე. 167). მამრ. სქესის თავსართი აქ მთლიანად არის დაცული.

ძმისა და დის სახელებს, სწორედ სქესის გამომხატველი თავკიდური მარცვლის დაკარგვის შემდგომ, მარტო საერთო ნაწილი ჩი-და შეჰრჩათ და ამის წყალობით ისე გამოდის, თითქოს ორივე სქესისათვის თანაბრანულსა და აღლ-

ლურს ერთი-და-იგივე სიტყვა ჰქონდეს, მაგრამ ეს, როგორც ირკვევა, მერმინდელი მოვლენაა.

ამავე მიზეზის წყალობით, ჩი-ს თავკიდური სქესის ფორმანტის დაკარგვის გამო, უღუბა ამ დანაკლისის შესავსებად და ჩი-სათვის მდედრ. სქესის მნიშვნელობის მისანიჭებლად, დის სახელი ორნაწილედ სიტყვით გამოშატა. უღუბად დას ეხლა ხუნჩი ეწოდება, მას მდედრ. სქესის თავსართი არა აქვს, მაგრამ სამაგიეროდ იგი ხუნ-ისა და ჩი-საგან შესდგება.

ხუნჩი უღუბად ფურს, დედალ ზროხას ნიშნავს და იმავე ღროს საერთოდ დედალსაც (ალ. ე. 160). ხინჩ-კი უღუბადჟუ ქალიშვილსა ჰქვიან (ალ. ე. 155). რაკი ჩი ორივე სქესის გამომბატველი მარცვალი იყო, ამიტომ უღუბა დის აღსანიშნავად ჩი-ს წინ მდედრობის აღმნიშვნელი სიტყვა ხუნ-ი მიუმატა.

ცოლის წასურული სახელი ჰუნეშე (ალ. ე. 161), რომელსაც აგრეთვე მდედრ. სქესის თავსართი არა აქვს, ასევეა ნაწარმოები: იგიც დედლის აღმნიშვნელი ხუნჩი-ს და მუხ-საგან არის შემდგარი, რომელიდან უკანასკნელი დის ანდიუბა და მთლავსუბა სახელის აეში-ს მსგავსი ფორმის მდედრ. სქესის ათავსართ-ჩამოცლილ ნაშთს წარმოადგენს.

თ ა ვ ი მ ე თ ვ რ ა მ ე ტ ე

სქეს-კატეგორიების ოდინდელი არსებობის საკითხი სინდურ-ლეგურს ამჟამად უსქეს-კატეგორიო ენებში

რაკი სქეს-კატეგორიების ლილურ-დალისტნურ ენებში დასაწყისითგანვე არსებობის საკითხი უკვე საკმაოდ არის გამოკვლეული, ეხლა შესაძლებელია იმ საკითხის გამოკვლევასაც შევუდგეთ, ჰქონდათ, თუ არა, კავკასიის იმ ენებსაც, რომელნიც ამჟამად სოფლებით უსქეს-კატეგორიო ენებია (ადილეურ-ჩერქეზულ-ყაბარდიულსა და დალისტნის ენათა ერთ ჯგუფს ისევე, როგორც უღურსაც) წინათ ოდესმე მაინც ვრამ. სქეს-კატეგორიები?

ნაწილობრივ ამაზე უკვე წინა თავშიც მოგვიხდა მსჯელობა მაგრამ ეხლა ეს საკითხი უნდა არსებითად განვიხილოთ.

სქეს-კატეგორიების დალურ-ლურ ენებში ბგერითი ნიშნების არსებულ მწყობრს თითქოს სრულებით არღვევს მამის ჩაბრუნება სახელი აატტე, ტტე (რ.-ჩ. ლ. 135), რომელიც ნათესაობის აღმნიშვნელ სხვა ჩერქეზულსავე სიტყვებშიც არის დაცული, მაგ. პაბას ეწოდება აატტე უხუო (იქვე, 161), ე. ი. მამა-დიდი, ბიძას აატტე (იქვე 61), ე. ი. მამის ძმა.

მამის აღმნიშვნელ ამ სიტყვას აატტე-ს თავში ა ბგერა აქვს. რომელიც დალურ-ლურ ენათა იმ ჯგუფში, სადაც სქეს-კატეგორიები არსებობს, როგორც დაერწმუნდით, მამრობითი სქესის ნიშანი-კი არ არის, არამედ სწორედ მდედრობითისაა. თუ აატტე-ში თავკიდური ა ძირეული არ არის და თავსართია, მაშინ უცნაური გარემოება გვექმნებოდა, რომ მამრობითი სქესის აღმ-

ნიშვნულ სახელს გრამატიკულად მდებარეობითი სქესის თავსართი ჰქონია. ასეთი შეუსაბამობა, თუ მას რაიმე გონიერული და დამაჯერებელი ვანმარტება არ მოეძებნა, გვაღიჭრებინებდა, რომ ჩერქეზულს ჩაჩხურ-ლუნძურის მსგავსი სქეს-კატეგორიები არ ჰქონია და ა სრულებით თავსართი არ არის.

რაკი ჩერქეზულში სქეს-კატეგორიების არსებობის საკითხის გამოსარკვევად აატტე-ს ესოდენი მნიშვნელობა ენიჭება, ეს გარემოება მკვლევარს ავალებს, წინასწარ გაითვალისწინოს, ეს სიტყვა უცხო ხომ არ არის, საერთოდ მოეპოვება, იუ არა, მას უცილობლად მეზობელთა ენებში მონათესავე და თვისტომნი და რამდენად ძველი უნდა იყოს იგი.

ირკვევა, რომ ეს სიტყვა ანაბრულშიც ყოფილა. გვლდენშტედტის აღნიშნული აქვს, რომ მამას ანაბრულად Jada აადა ეწოდებოდა (R. II, 529). ხოლო პაპას ladema Jada ააღება აადა (იქვე). რაკი მ ბოლოსართი ანაბრულში ნათესაობითი ბრუნვის ფორმანტია, ამიტომ ზემომოყვანილი სიტყვა მამის-მამას ნიშნავს. პაპის ეს ანაბრული სახელი იმ მხრივაც არის საყურადღებო, რომ აქ მამის სახელის იგივე ფორმა ააღე არის დაცული, რომელიც ჩუბჩუგულს აქვს. თუმცა თანამედროვე ანაბრულში მამას ააღე ჰქვია (რ.-ყ. ლ. 41), მაგრამ გვლდენშტედტის ჩანაწერი რომ სრულებით სწორე უნდა იყოს, ამას თუნდაც პაპის თანამედროვე ანაბრულშიც დაცული სახელი ააღეზო (რ.-ყ. ლ. 41) რომელიც, ჩუბჩუგულის მსგავსად, დიდ (შხო) მამას (აღე) ნიშნავს. უცილობლად ამტკიცებს.

ამაზე მეტის გამოარკვევა/ც შეიძლება: თანამედროვე ანაბრულსაც-კი შენარ-ჩუნებული აქვს რამდენიმე სიტყვა და ტერმინი, რომელთაც მამის ეს ააღე და მასზე უმჯობესი ფორმაც-კი დაუცავია. მამას ქანების შემკვიდრეს ანაბრულად ააღე ყახაენარ ზეა-ს ეძახიან (რ.-ყ. ლ. 80: наследник). რომელშიც ააღე მამას, ყახაენარ შთამომავალსა და ზეა მფლობელს ნიშნავს, მთლიანად-კი ეს ტერმინი სიტყვა-სიტყვით „მამის შთამომავალი მფლობელი“-ს გამომხატვლია.

გვლდენშტედტის აგან ჩაწერილი პაპის სახელის მსგავსი თანამედროვე ანაბრულში სხვა ფორმაც არის დაცული, ამასთანავე უფრო სრულად-ც: პაპის მამას ააღეზ-ს უწოდებენ (რ.-ყ. ლ. 127). ეს სიტყვა წინაპარსაც ნიშნავს (იქვე 128). რაკი ააღეზ, როგორც დავრწმუნდით, ნათეს. ბრუნვის ფორმაა და მამისა-ს ნიშნავს, ამ ტერმინის მეორე ნაწილი ააღეზ ამ სიტყვის სახელობითი ბრუნვის დამცველი ყოფილა. მამასადამე, მამას ანაბრულად ააღეზ-იც ვრქმევია.

თავკიდური ა რომ ჩუბჩუგულში წინაა უფრო მდებარეობითი სქესის აღმნიშვნელი თავსართი უნდა ყოფილიყო, ეიდრე ვამრობითისა, ამას დედის ჩუბჩუგული სახელი ანგე (რ.-ყ. ლ. 105) ამტკიცებს, რომელსაც თავში სწორედ ა ხმოვანი აქვს. თვით სიტყვა აატტე-ც რომ თავდაპირველად, უმჯობესია, მდებარეობითი სქესის არსების სახელი იქმნებოდა, ამას ის გარემოებაც გვაღიჭრებინებს, რომ სიტყვა აატტე ჩაჩხურშიც არსებობდა და არსებობს ეხლაც და სწორედ დედადი ცხოველის, ფურის, აღმნიშვნელია (ჩ. ე. 40 და 182). ეს სიტყვა, როგორც დავრწმუნდით, უკვე გვლდენშტედტისა და კლაპროთისა

აქვთ ჩაწერილი და პირველის ცნობით ფურს ჩაჩნურად და ქასჯურად let ატ-ხოლო წაჯურად ატე jete ეწოდებოდა (R. II, 507). ამასვე მეორე შეცნიერიც ადასტურებს, რომელიც ამავე წაჯურას სიტყვის მეორე ფორმას yetto ატტო-საც ასახელებს (V. II, 373).

ზემოხსენებული ორი მკვლევარის ცნობა რომ სწორეა და ატ-ის პარალელური ფორმა ატტ მართლაც ყოფილა, ეს უსლარის ჩანაწერიდანაც ჩანს (ჩაჩ. ე. 182).

საყურადღებოა, რომ ფურის აღმნიშვნელ ამავე სიტყვას ჩაჩნურად ასეთივე გარემოება ახლავს თან: მასაც თავკიდური ნაწილი ეკარგება. მხოლოდ შთელი მარცვლის მაგიერ, პირველი ა ხმოვანი. სახელდობრ ფურის ატ-ის ნათეს. ბრუნვა თუ ატინე-ია, მიცემითი უკვე ატანა-ა, მოქმ. ბრ. ატტუშ და მრ, რ. სახელობ. ბრ. ატტალ. ამნაირად ამ სიტყვას ამ ბრუნვებში ფუძელ ატ-ის მაგიერ ატტ-ი აქვს. თუ გავიხსენებთ, რომ თავკიდური ა სწორედ სქესის მანვენებელია, მისი ჩაჩნურშიც დაკარგვის გარემოება დაგვარწმუნებს, რომ ა თავსართის ბუნებისა და დანიშნულების შევნება და თვით გრძნობაც-კი ისეთ ენებსაც-კი, რომელთაც სქეს-კატეგორიები კარგად აქვთ დაცული, ძველი სიტყვებისა და ტერმინების სფეროში უკვე, ან ძალზე მოჩუბებული, ანდა დაკარგულიც-კი აქვთ.

ზემომოყვანილი ყველა მოსაზრება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ატტე თავდაპირველად ჩერქეზულშიც მდებრობითი სქესის არსების აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ შემდეგში, როდესაც ჩერქეზულს გრამატიკული სქეს-კატეგორიები დაუკარგავს და ამ სიტყვის პირვანდელი მნიშვნელობა უკვე გაუგებარი გამხდარა, ჯერ ზოგადად მშობელის მნიშვნელობა მიენიჭებოდა, ხოლო მერმე უნდა იყოს მამის აღმნიშვნელ სიტყვადს ქცეული. ამავე ხანაში მას თავკიდური ა მარცვლიც, რომელიც მდებრობის ა თავსართს შეიცავს, სცილდება და მამის პარალელურ სახელად მხოლოდ ტტმ-ლა რჩება.

ატტე-ს, რომელიც, როგორც დავრწმუნდით, თავდაპირველად დედის არსების აღმნიშვნელი იყო და შემდეგში, ჩერქეზულსა და ზოგს სხვა ენებშიც, მამის სახელად იქცა, თავისი ოდინდელი ბევრითი შედგენილობა სრულად არაჰქონია დაცული. ამ სიტყვას რომ ჩაჩნურად თავკიდური მარცვლი ა ეკარგება და მამის სახელი ტტმ-ლა გამოითქმის ხოლმე, ამაზე უკვე გვქონდა საუბარი. მაგრამ ატტე-სა და ატტე-ს არც თავისი ბოლოკიდური ნაწილი დაუცავს სრულად.

ჩაჩნურში ამ ძირს უკანასკნელი ხმოვანი მ-ც-კი დაუკარგავს და ფურს იქ ეწოდება ატ. მამის მამის ზემომოყვანილი ყაბაჩდთულა სახელი-კი აადემ აადეჟ. რომელიც მამის მამა-ს ნიშნავს, ცხად-ყოფს, რომ მამას წინათ ყაბაჩდთულად აადეჟ-ი პრქმეგია. რაკი უ ფორმანტი ყაბაჩდთულა არ არსებობს, ამიტომ ეს თანხმოვანი ძირეული უნდა იყოს.

მამის სახელს ბოლოკიდური თანხმოვანი რომ წინათ მართლაც ჰქონდა და უ რომ ყაბაჩდთულში მერმინდელს, შემთხვევითს შენაზრდს არ წარმოადგენს, ამას გვლდენ შტედტის ჩანაწერიც ამტკიცებს. მისი ნაწრომი დაარწმუნებს

ადამიანს, რომ ჩუბჭუჭულის მსგავსი მამის აღმნიშვნელი სახელი წინათ ჩაჩნურ-სად აქონია. მისი ჩანაწერთვან იოკვევა, რომ მე-XVIII ს. მეორე ნახევარში მამის წოდებით ბრუნვად („მამავ“) ჩაჩნურად, ქასდურად და ჭოჭურად უხმარიათ Attig აბთიზ (R. II, 502). გაშასადამე, ბოლოში მას გ ბგერა აქონია. საფიქრე-ზელია, რომ ყმარდელულად ბოლოკიდური ფ-ც იმავე გ-ს, მხოლოდ ჯ-ღ შენაცვლე-ბულის, ზეალედი თანხმოვანისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. ამნაირად, ამ სიტ-ყვის ფონეტიკურ სახესხვაობად აბთიზ, აბთიჯ, აბთიშ, აბთმ, და აბთ-ი გვაქვს.

უნდა გათვალისწინებული გვექონდეს, რომ ეს სიტყვა ჩუბჭუჭულმა მართლ ადამიანთა მამის აღსანიშნავად-კი არ იხმარება, არამედ ცხოველთა, სახელ-ღობრ, ფრინველთა სამეფოსთვისაც. მაგ. მამალ ქათამს ჩუბჭუჭულად ატაკე აქვიან (ჩ.-რ. ლ, 174). ეს სახელი ორი ნაწილისაგან შესდგება: აბ-სა და კე-საგან, რომელთაგან უკანასკნელი ქათმის ჩუბჭუჭულა სახელის, კეტე-ს, პირ-ველს შერჩენილ მარცვალს წარმოადგენს. ცხადია, რომ ზემომოყვანილ სიტ-ყვაში ქათმის მამრობითობის გამომხატველი აბ-ს უოფილა, რომელიც ამნა-ირად მამლის აღმნიშვნელი სიტყვა გამოდის.

ისევე, როგორც ფურის აღმნიშვნელ ჩაჩნურ სახელს აატ-ს თავსართად მდებრობითი სქესის ა ფორმანტი აქვს, საფიქრებელია, მამლის აღმნიშვნელ ამავე ძირის სიტყვას, რომელიც მამალი ქათმის ჩუბჭუჭულს სახელ ატაკე-შია დაცული, თავდაპირველად მამრ. სქესის თავსართი უნდა აქონოდა და მხო-ლოდ გრამატიკული სქესის ჩერკეზულში ვაქრობის წყალობით უნდა იყოს დროთა განმავლობაში ეს მ თავსართი ჩამოცალეზულ-დაკარგული. თუ ამნა-ირი მოელენა, როგორც აატ-ის მიცეებითი, მოქმედებითი და მრ. რ. სახელო-ბითი ბრუნვების განხილვის დროს დავრწმუნდით, თვით გრამატიკული სქესის მქონებელ ვნებშიც-კი მომხდარა, მით უმეტეს ეს ამ თვისების დამყარველ ენებშია დასაფერებელი და საგულისხმებელი.

როგორც დავრწმუნდით, მე-XVIII ს. მეორე ნახევარში ჩაჩნურად, ქასდურად და ჭოჭურად მამას აბთიზ-ს უწოდებდნენ. ამასთანავე უკვე გამოჩეკული გვაქვს, რომ ამავე ძირის ბოლომოკვეცილი, მაგრამ მდებრობითი სქესის ა თავსარ-თ-ს მქონებელი სახელი ჩაჩნურად აატ დედალი სხვალფეზა რქოსანი საქონ-ლის, ფურის, აღმნიშვნელია. ვინც ცხოველთა ჩუბჭუჭულ სახელებს და მათ აკებულეზას ჩაუკვირდება, დარწმუნდება, რომ აქ იგივე ძირი წვრილფეზა რქოსანი საქონლის აღსანიშნავადაც უხმარიათ. მაგ. მამალ თხას ჩუბჭუჭულად ტეკონო უწოდება (რ.-ჩ. ლ. 88-89).

ტეკონო რთული სიტყვაა: მხმ და ხშ ჩუბჭუჭულად და ყმარდელულად მამალსა ნიშნავს, ამის გამო, ცხადია, რომ აქ ტეკი თხის ზოგადი სახელი გამოდის, სქესისდა მიუხედავად. რათგან ამ ცხოველის სქესის განმსაზღვრელი ამ სიტყვაში მხმ არის. თუ იმ გარემოებასაც ვაცივთვალისწინებთ, რომ ტეკი-ს მართლაც სქესის არავითარი თავსართი არ უძღვის წინ, მაშინ სქესისდა მიუ-სედავად ტეკი-ს ზოგადი აღმნიშვნელობა სრულებით ბუნებრივი გვეჩვენება.

ეს სიტყვა ტეკი თავისი ბოლოკიდური მარცვლით კე-თ არის საყურად-ღებო. ამავე ძირის სიტყვა, რომელიც ჩაჩნურ-ქასდურ-ჭოჭურშია დაცული და

მამას ეწოდება, როგორც დავრწმუნდით, ატტიზ-ად ითქმის. ტიკი-ს თავში ატ მარცვალაი აკლია, ანდა, რაკი გაორკეცებული ტ არც ჩაჩნურ აატ-სა აქვს, მხოლოდ ა ხმოვანი აკლია და კ თანხმოვანი გ-დ აქვს გამეღერებული. აზგვარად, თუ ამ სიტყვის თავკიდურსა და ბოლოკიდურ ნაწილებზე ყველა ზემოთქმულს საბოლოოდ თავს მოეუყრით, დავრწმუნდებით, რომ თავდაპირველად ფურის და სხვა საქონლის, თუ ცხოველის წინანდელი ხანელი აატეკი, ან აატეკი უნდა ყოფილიყო, მამალი ცხოველისა-კი შატიკი.

რაკი აატეკე და ტტი ჩატქაშულად და აადეჟე ყანაბღელულად მამას, ჩაჩნურ-ქანაბურ-წელურადე პტტიზ მახვე, სოლო ჩაჩნურად აატ ფურს, ტიკიონონ-კი ჩატქაშულად მამალ ცხვარს, ანუ ბოტსა ნიშნავს, ამიტომ ცხადი სდება, რომ ამ სიტყვების ძირი ადამიანისაცა და პირუტყვისაც, საერთოდ ზოგადად ცხოველის ცნების გამომხატველად უნდა შივიჩნიოს.

ისეთ სიტყვათა ჯგუფს, რომელთაც, მოლოდინისდა მიუხედავად, სქეს-კატეგორიის არავითარი ნიშანი არ ემჩნევა, მამალი ხმოს ჩაჩნურა თანაბედროფს სახელი წხი-ც ეკუთვნის. მაგრამ, უეჭველია, მახ თავკიდური თანხმოვანი, სწორედ მამრობითობის აღმნიშვნელი, შ აქვს დაკარგული. ამის ცხად-საყოფელად საქმარისია გავისხენოთ, რომ სახარე ხმოს ყანაბღელულად ვეხაჟე (რ. ვ. ლ.: ნახერ), ანსაჩურად-კი აჭეხა-ი ეწოდება (აბხ. ე. 219 ლითოვო.). ამავე პიროუტყვის აღსანიშნავად ჩაჩნურსა რომ წხი აქვთ (ჩაჩ. ე. 174), რა თქმა უნდა, იგი ზირველი არის მონათესავე სიტყვაა. მაგრამ, თუმცა ყანაბღელულსა და ანსაჩურს ე ხმოვანი გ ნახეარ-ხმოვნად უქცევიათ, სამაგიეროდ თავკიდური შ თანხმოვანი, რომელიც სწორედ მამრ. სქესის თავსართია, ყანაბღელულს სრულად დაუცავს. ანსაჩურა-კი ე ოდნავ შეუცვლია და ვაპალატალეზულ ბგერა შ-დ უქცევია, რომელიც შერწყმულ ჰვ ბგერას წარმოადგენს. ე თავსართის ასეთი ზენაცვლება, ასპირაციის გაჩენის წყალობით, უკვე მისი გაჭრობის იმ პროცესის დასაწყისია, რომელიც ჩაჩნურში სრულებით დამთავრებულია, ხადაც წინანდელი შინი-ს მაგიერ უკვე წხი-ლა არის დარჩენილი.

ზემოვანხილული მავალითი არის მხრით არის განსაკუთრებული უფრად-ღების ღირსი: ერთი მხრით ამ უამად სრულებით უსქეს-კატეგორიით ვაბარ-დოულსა და ნაწილობლივ კატეგორიების მქონებელს აბხაზურს მამრ. სქესის თავსართიანი სიტყვა აქვთ დაცული, მეორე მხრით-კი, რომ სქეს-კატეგორიების მქონებელს ჩაჩნურს აქ სწორედ მამრობითი სქესის ნიშანი აქვს დაკარგული.

გვლდენ შტედტი თ ძმას სამხრეთ-დასავლურ (Kuschas. Abass.) ანსა-ჩურად ჩი (Tsch), სოლო ჩრდილო-აღმოსავლურად (Altekes. Abass.) აშე (Asche) სწოდებია (R. II, 529). კლაპროთს-კი ამავე ცნების გამომხატველ ანსაჩურ-სიტყვებად ჩაწერილი აქვს ოაჩა (Oacha), ჩი (tchi) და აჩე (atclé), რომელთა-გან უკანასკნელი ჩრდილო-აღმოსავლური (Alteks.) არისო (V. II, 428).

უსლარს აღნიშნული აქვს, რომ, თუმცა ძმას ანსაჩურად აქეშა ეწოდება, მაგრამ ამ სიტყვის შედმიწვენიით გამოთქმა თურმე სათუო ყოფილა: ეს სიტყვა, საუბრის დროს, გამოთქმით თურმე ააშა-ს უახლოვდებოდა, სოლო პიროვნული კუთვნილების აღნიშვნის დროს, როდესაც ნაცვალსახელოვანი

თავსართები ერთვის, აშა-დ გამოითქმისო, შავ ჩემი ძმა იქმნება — საშ.ა, იმათი ძმები რაშცია (აბხ. ე. 222).

თუ უსლარის უკანასკნელ ცნობებს გაუითვალისწინებთ, მაშინ ცხადი გახდება, რომ გვლდენშტედტის ჩანაწერი აშშ უსლარისაგან აღნიშნულ ძმის იმ აშა ფორმას, რომელსაც ნაცვალსახელოვან თავსართებთან ერთად ხმარობდნენ, საკმაოდ კარგად უღებდა.

ძმის მეორე აბხაზური სახელი ჩი და აჩე დალასჯნის ენებშიც ფართოდ არის გავრცელებული, სადაც ზოგადად კაცსა ნიშნავს.

გვლდენშტედტით დასამბრეთ-დასავლურ (Kuschhas. Abass.) აშა-აქაჲ ჩი (Tschij), ხოლო ჩრდილო-დასავლურად (Altekes. Abass.) აშე (Asche) ჰრქმევია (R. II, 529). კლაპროთს-კი, ტაბკვან, კშა, და აკშე (Tab'kha, Khcha, A. akhch) ჩაუწერია (V. II, 432).

უსლარის ჩანაწერით დას ააჰშა, ანდა აჰშა ჰქვიან, მაგრამ ამასთანავე იმ გარემოებისთვისაც მიუქცევია ყურადღება, რომ ეს სიტყვა ხშირად აჰეჰშა-დაც გამოითქმოდა ბოლშე (აბხ. ე. 190).

უსლარი ფიქრობდა, რომ დის აბხაზური სახელი ააჰშა, ანუ აჰეჰშა, ნათესაობის აღნიშვნელი ზოგიერთი სიტყვებით, სისხლის აბხაზურ სახელ აშა-სთან არის დაკავშირებული (აბხ. ე. 190).

კლაპროთით ჩაქაჲლად ძმას დელტგვ და შიშ (Delt'kh, shich) ეწოდებოდა (V. II, 397). ლულაგს-კი ძმის ჩაქაჲლ სახელად მხოლოდ ხმე უწერია (რ.—ჩ. ლ. 11).

კლაპროთს აღნიშნული აქვს, რომ დას ჩაქაჲლად შეპკუ, შუფკ და შიოგ-ი ერქვა (Chépkhou, choupkh, chlog: V. II, 405). ლულაგს მხოლოდ შიპხე მოეპოვება (რ.—ჩ. ლ. 189).

გვლდენშტედტით ძმას ანაჲლოლად შჩა (Schtsche) სწოდებია (R. II, 529), ლოპატინსკის ლექსიკონში-კი ძმის ზოგად სახელად დეტლსჰე აქვს, ხოლო უფრასი ძმის შენაკჷა, უმცროსისა შენაკჷაჲე (რ.—ყ. ლ. 11).

პირველი ამათგანი კლაპროთის დელტგვ-ს უდრის, რომელიც მას ჩაქაჲლ სახელად აქვს მოყვანილი.

გვლდენშტედტით დას ანაჲლოლად შჩიპჩუ (Stschipchu) ჰრქმევია (R. II, 529), ლოპატინსკის-კი შჩკჷ აქვს დასახელებული (რ.—ყ. ლ. 151) ე. ი. რაც კლაპროთს ჩაქაჲლ სახელად უწერია.

საკმარისია უსლარისაგან შენიშნული ზემომოყვანილი დაკვირვება კმისა და დის აბხაზური სახელების გამოთქმის აღრევის შესახებ გაითვალისწინოს აღამიანმა და შემდეგ თვით ამ სახელებს ჩაუკვირდეს, რომ ეს გარემოება თვალწინ უფრო მეტი სიტყვებით წარმოუდგეს. ამ პროცესის უკვე მე-XVIII ს. მეორე ნახევარში არსებობა შესაძლებელია გვლდენშტედტის ჩანაწერთაც დადასტურდეს: ძმისაცა და დის სახელადაც მას აბხაზურში აშე აქვს აღნიშნული. ეგების მან და მისმა თანაშემწემ ჰე ბგერა, რომელიც დის სახელში ესლა შ. ს წინ უძღვის, ვერ გაარჩიეს და ამის წყალობით დის სახელი ძმისას დაემსგავსა? მაგრამ თანაშემწეოვე გამოთქმითაც ხომ ამ ორ სიტყვას, აშე-სა

და აჭრია-ს შორის, მეტად მცირე განსხვავებაა, რომ ამით მათი სხვადასხვა წარმოშობილობის დამტკიცება შეიძლებოდა. ამის გამო ადამიანს ისეთი შთაბეჭდილება პრჩება, თითქოს ძმასა და დას აფხაზურად ერთი სახელი ჰქონოდა.

ზემოაღნიშნულ შთაბეჭდილებას უსლარის დაკვირვებაც ადასტურებს. მას შეუმჩნევია ის გაურკვეველობა, რომელიც ძმისა და დის აბხაზურ სახელებს ეტყობოდა: ძმას აფეშა ერქვა, მაგრამ საუბარში ხშირად ააშა-დ, ხოლო კუთვნილებითი თაესართიან ფორმაში მხოლოდ აშა-დ გამოითქმოდა. ამგვარადვე დას ააჭრია-ს, ან და აჭრია-ს უწოდებენ, მაგრამ ხშირად დის სახელად აფეშა-საც ხმარობენ. საკმარისია ადამიანმა აფეშა-ს, ძმისა, და აფეშა-ს დის, სახელები ერთმანეთს შეადაროს, რომ დარწმუნდეს, თუ რაპდენად მცირეა ამ ორს სახელს შორის განსხვავება ამ შემთხვევაშიც: ზედმეტი ჰბგერა და, წინმყოფ მახვილს მაგიერ, ბოლოში მოქცეული მახვილი დის სახელში უკვე ის გარემოება, რომ დისა და ძმის სახელების განსასხვავებლად და ერთმანერთისაგან განჩევის გასაადვილებლად ენამ მახვილის ადგილმონაცვლება მოიშველია, ცხადყოფს, რომ ზედმეტი ჰბგერა დის სახელში იმდენად არსებითს განსხვავებას არ ჰქმნის, რომ მსმენელს ძმისა და დის სახელების ხისწორით გაგება გაუადვილოს.

ძმისა და დის აფხაზური სახელების თითქმის სრული ბგერითი იგივეობა ადამიანს აფიქრებინებს, რომ შესაძლებელია აქ ზოგადი, შეილობის აღმნიშვნელი, სიტყვა გვექონდეს, რომელსაც დის აღსანიშნავად 'შუაში სქესის გამოხატველი ჰბგერა ერთვოდა.

შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა, რომ ჰბგერა ასულის აღმნიშვნელ ა-ფჰა-სთან, ანდა დედაკაცის სახელ ა-ფჰგ-სთან არის დაკავშირებული, მაგრამ სხვა ამის შესავსი მაგალითი, რომ აბხაზურად მდებრობითი სქესი ჰბგერის დართვით გამოიხატებოდეს, არ მოგვეპოვება. როდესაც აბხაზურად სქესის აღნიშვნა მსურთ, მაშინ ადამიანის სახელს ფჰა, ან ფჰგს ბოლოში მთლიანად ერთვის ხოლმე.

ძნელი დასაჯერებელია, რომ ძმისა და დის სახელი ანსაჭრიად წინათაც და თავდაპირველადაც ერთმანეთს ასე დამსგავსებული ყოფილიყო, არამედ საფიქრებელია, რომ ასეთი დამსგავსება მერმინდელი მოვლენა უნდა იყოს. ერთი ამ ორ მსგავს სახელთაგანი ერთ-ერთ მათგანს უნდა ჰკუთნებოდა, მეორე-კი მას დროთა განმავლობაში დამსგავსებია. მართლაც კლიპროთის ჩანაწერთგან ირკვევა, რომ ძმას ანსაჭრიად ოაშა პრქმევი. სამწუხაროდ ამ შეცნიერს აღნიშნული არა აქვს, თუ სახელდობრ აბხაზურის რომელი შტოს ლექსიკის კუთვნილებას შეადგენს ეს სიტყვა.

საფიქრებელია, რომ ოაშა უნდა უაშა-სგან იყოს წარმომდგარი. ააშა, ანუ აფეშა, თუ აფეშა-კი თავდაპირველად მხოლოდ დის სახელი იქმნებოდა. საფიქრებელია, რომ პირველი სიტყვის თავკიდური ფ, კლიპროთის მიერ ო-დ აღქმული, ანსაჭრიად წინათ არსებული მამრობითი სქესის თავსართის ნაშთი უნდა იყოს, მეორე სიტყვის თავკიდური ა-კი, რა თქმა უნდა, მდ. სქ. თავსართის ნაშთია.

ამგვარადვე მამაკაცისა და ქმარის ჩუქურჭულ სახელს ტლჲ-ს (რ.—ჩ. ლ. 110 და 207) ისევე, როგორც ყაზახულულას ამავე ცნების აღმნიშვნელ სიტყვას ტლჲ (T'le) გვლდენ შტედტის ჩანაწერით (R. II, 52b) და თანამედროვე ტლჲ (რ.—ყ. ლ. 73), მამრობითობის აღმნიშვნელობისდა მიუხედავად, თავიკიდურ ვ ბგერას არ შეიცავს და ეს მაგალითიც შესაძლებელია იმ აზრის დამამტკიცებლად იქმნეს გამოყენებული, რომ ჩერქეზულსა და ყაბარდოულს გრამ. სქესი არც წინათ ჰქონდა ისევე, როგორც ასეთი თავსართები არც ეხლა გააჩნია.

განმარტობებულიად განხილული მამაკაცისა და ქმრის გამომხატველი ჩერქეზულ-ყაბარდოული ზემოდასახელებული სიტყვები მართლაც ასეთ შთაბეჭდილებას სტოვებენ, მაგრამ საკმარისია მამრობის აღმნიშვნელ ჩერქეზულსავე სახელს შევადაროთ, რომ თვალწინ სულ სხვა ვითარება წარმოგვიდგეს.

მაგ. მამალ ცხვარს, ვერძს ჩუქურჭულად ვატლჲოხჲო ეწოდება (რ.—ჩ. ლ. 3). თუ გავიხსენებთ, რომ ხუ ჩუქურჭულად მამალს ნიშნავს და ცხოველთა მამრ. სქესის გამოსახატავად ამა-თუ-იმ ცხოველის სახელს სწორედ ბოლოში ემატება ხოლმე (იქვე, გვ. 152—3), მაშინ ცხადი გახდება, რომ ვერძის ზემომოყვანილ ჩერქეზულ სახელშიც ბოლოკიდური ხჲო მამრ. სქესის აღმნიშვნელივე უნდა იყოს. ამის გამო ვატლჲო თითქმის ცხვრის ზოგადი ჩერქეზული სახელი ვამოდის. მაგრამ, უეჭველია, ვატლჲო შეუძლებელია წინათ ცხვრის ზოგადი სახელი ყოფილიყო. ამის დასარწმუნებლად ისიც კმარა, თუ გავიხსენებთ, რომ ტლჲ ჩუქურჭულად მამაკაცსა და ქმარს ნიშნავს. ვატლჲო და ტლჲ-კი, რა თქმა უნდა, ერთი-და-იმსვე ძირის სიტყვები უნდა იყოს. ამიტომ ვატლჲო-ცა, ვითარცა ამავე ძირის სიტყვა, თავდაპირველად მამალი ცხვრის სახელი უნდა ყოფილიყო.

ამნაირად, ერთი მხრით მამაკაცისა და ქმრის სახელად ტლჲ და ტლჲ გვაქვს, მეორე მხრით მამალი ცხვრის იმავე ძირის სახელი ვატლჲო. პირველს არავითარი თავსართი არ გააჩნია და ამის გამო მხოლოდ თუქის, ანდა ძირის სახელი არის დიკული; მეორეს-კი თავში ზა აქვს, რომელიც ძირეული არ ჩანს. ამის გამო აზრი იზადება, რომ შესაძლებელია ეს ვა მამრობითი სქესის ვა თავსართის ფონეტიკური სახესხვაობა იყოს.

ასეა-თუ-ისე ამის საბოლოო გამორკვევა მობავალის საქმეა, მაგრამ ამ სიტყვის პირველადი მნიშვნელობის გამორკვევა სხვა ენითა და საშუალებებითაც შეიძლება.

მამაკაცისა და ქმრის ყაზახულული სახელი ტლჲ და ტლჲ ისევე, როგორც ამავე ცნების გამომხატველი ჩუქურჭულა სახელი ტლჲ და წინანდელი ვატლჲო ჩრდილოეთ კავკასიის ენებში უთვისტომო მწირობის მსგავსად მოჩანან: ზათ მონათესავეობა არ მოეძებნებათ.

სამაგიეროდ ამ ყაბარდოულ და ჩერქეზულ სიტყვებს თვისტომნი ხამრითი, საქართველოში, მოეპოვებათ. უკვე გვლდენ შტედტის ჩანაწერით-გან ირკვევა, რომ თანამედროვე ყაბარდ. ტლჲ-სა და ჩერქ. ტლჲ-ს წინათ ორ თანხმოვანს შუა ხმოვანი ჰქონდა: მე-XVIII ს.-ში ეს სიტყვა თურმე ტლჲ-დ გამოითქმოდა.

„ქართველი ერის ისტორია“-ში (1^ა, 68), სქესობრივი განაყოფიერების ღვთაების წარმართული მსახურების ნაშთების განხილვისას, აღნიშნული მქონდა, რომ სვანეთში დაცული აღრეკილაჲს ღღესასწაულის „მელაჲა ტულეფიჲა“-ანუ „ტელეფიჲა“ შესაძლებელია სქესობრივი დამოკიდებულების აღმნიშვნელ-ტულაობა-სთან იყოს დაკავშირებული.

ეხლა, მას შემდგომ, რაც მე-XIV ს. ქ. უწინარესი საუკუნის ხეთუოი ლურსმული ტექსტი აღმოჩნდა, რომელშიც ნაყოფიერების ღვთაების ტელიფინუშის წასვლა და ამის გამო ქეყანაში მოუსავლობისა და უნაყოფოებისა, ხოლო შემდგომ ამ ღვთაების კვლავ უკან დაბრუნების წყალობით, ისევ მოსავლიანობა-ნაყოფიერების აღდგენის ამბავია მოთხრობილი, დანამდვილებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ აღრეკილაჲს ლაშხური ფერხულის სიმღერის სიტყვები „აღრეკილაჲ წავგვიდა და მოგვივიდა“ (იხ. ქართ. ერის ისტ. 1^ა, 59) აშავე, უკვე ქ. წ. მე-XIV ს. ტექსტში აღბეჭდილი ხარწმუნოებრივი თქმულების ანარეკლს წარმოადგენს და მელაჲა ტელეფიჲა-ც სწორედ ამ ღვთაება ტელეფინუშ-ის სახელია.

უეჭველია, რატომღაც-ყაბაღთოღა მამაკაცისა და ქმრის სახელი ტგლი და ტღე-ც აშავე ტულეფიჲა, ტელეფიჲა-სა და ტულაობა-სთან უნდა იყოს დაკავშირებული. ამის გამო ირკვევა, რომ ტგლე ძირს მამრობითობის მნიშვნელობა უკვე შრავალ საუკუნეთა განმავლობაში ჰქონია.

ყველაზე ნაკლები ლექსიკური მასალა უდუბავათვის მოგვეპოვება. ამიტომ არც გასაკვირველია, თუ რომ მისი წინანდელი იგებულების გამოსარკვევად მკვლევარი იძულებულია რამოდენიმე სიტყვის ანალიზით დაკმაყოფილდეს. უდუბრი ენის დირრის გრამატიკა სულ ოციოდე არსებითს სახელს შეიცავს. მათ შორისაც ნაოვსაობისა და სქესთა ურთიერთობის, ისევე როგორც ცოლ-ველთა აღმნიშვნელი სახელები მ-ს, ვგონებ, არ უნდა აღემატებოდეს. ამათვის მხოლოდ ორი სიტყვაა, რომელსაც გრამატიკული სქესის ოდინდელი თავსართის კვალი ემჩნევა.

ამას უდუბად შინი ჰქვიან (უდ. ე. გრ. 14 და 16), ხოლო დას-ხუნნი (იქვე), — ქალიშვილს, ასულს — ხინარ (იქვე, 16), — ხარს და კუროს-კი უს (იქვე).

ამისა და ღის უდურ სახელებს მეორე ნაწილი ჩი საერთო აქვს, პირველი ნაწილები-კი ში და ხუნ განსხვავებულია. ამიტომ საფიქრებელია, რომ ში მამრობითობის აღმნიშვნელი უნდა იყოს, ამ ორი სიტყვის საერთო ნაწილი ჩი დაღისტნის ენებშიც არის და ცალკეულ სიტყვად იხმარება. ანჭუბუჩად, აბაბულად და ღუნბურად ჩი კაცსა ნიშნავს (იხ. გვლდენ შტედტის R. II, 514. კლაპროთის V. II 324).

ღის სახელის პირველი ნაწილი ხუნ იგივე სიტყვა უნდა იყოს, რომელიც ხინერ-ის სახით უდურში ასულს, ხოლო ღუნ-ს სახით აბაბულში დედაკაცის აღსანიშნავად იხმარება (ანდ.-დიდ. მს. 93). ცხადია, რომ ესევე სიტყვა დედაკაცისა და ცოლის პასუხი სახელის ხუნეშუ-ს (წახ. ე. 167) პირველი ნაწილი ხუნ, ან ხან აბაბულად ფურსა ნიშნავს (არქ. ე. 190 და აღ. ე. 161). ხოლო თვით უდუბად დედალი ცხოველის სახელია (აღ. ე. 160). ამგვარად ღის უდური სახელი ქალიშვილ-კაცის, ანუ დედაკაცის აღმნიშვნელი ყოფილა.

ძმის სახელის პირველი ნაწილი ცალკეულად არსად, ყაშატლიულს გარდა, არ იხმარება, არამედ მამრობითი სქესის თავხართია. ყაშატლიულში-კი ვგ ხარს, კუროს ნიშნავს (რ.-ყ. ლ.), მაგრამ იქაც ეს სიტყვა, როგორც ჩანს, მხოლოდღა ფუძე-ჩამოცილებული მამრ. სქესის თავხართის ნაშთი უნდა იყოს.

ხარის და კუროს უღუბა სახელი უს, უღეველია, იგივე სიტყვაა, რომელიც ჩაჩუტ-ღისჭუტ-წაჭუტნიც ამავე ცხოველის ამავე სქესის სახელია. ღისჭუტად ხარს უხტ, ხოლო წაჭუტად უსტუ ეწოდებოდა მე-XVIII ს.-შიც და ებღაც ასევე ეძახიან. ჩაჩუტში ამ სიტყვას თავკიდური უ დაუკარგავს და ამის წყალობით სტუ-დ ქცეულა. უღუბა ხარის სახელის უს-ისა და წაჭუტა უხტუ-ს ერთმანერთთან შედარება დაარწმუნებს ადამიანს, რომ უღუბა ამ სიტყვის სწორედ მთელი მეორე მარცვალი ტუ არის ჩამოცილებული და მხოლოდ პირველი მარცვალი უხ-ღაა დარჩენილი, ამის მსგავსი მოვლენა ღისჭუტშიც არის, სადაც ბოლო-კიდური უ უკვე მე-XVIII ს.-ში ყოფილა დაკარგული. ყველა იმის შემდგომ, რაც ხარის ჩაჩუტ-ღისჭუტ-წაჭუტა სახელის აგებულებაზე თავის აღივს იყო ნათქვამი (იხ. აქვე), იმის მტკიცება, რომ უღუბა უს-ის თავკიდური უ მამრობითი სქესის თავხართის ნაშთია, ზედმეტი იქმნებოდა.

ქმრისა და მამაკაცის აღმნიშვნელი უღუბა სიტყვა ისევე ზემოვანბილული სიტყვებისაგან განსხვავდება, რათვან, იმისდა მიუხედავად, რომ მამრ. სქესის არხების სახელია, მაინც თავში ი გამოვანი აქვს, რომელიც ა-ს სახით მდებარ. სქესის თავხართია. ამნაირად ეს მაგალითიც ეწინააღმდეგება იმ აზრს, რომ უღუბს ოდესღაც ისეთივე სქეს-კატეგორიების თავხართები ჰქონდა, როგორიც ჩაჩუტს, ღუნჭუტს და ლეგურ ენათა ჯგუფს მოეპოვება. მაგრამ ზემომოყვანილი მამრ. სქესის აღმნიშვნელი ორი უღუბის სიტყვა, რომელთაც თავიანთი სქესის შესაოერისი თავხართი დაცული აქვთ, გვაფიქრებინებს, რომ ისევე-ს დროთა განმავლობაში უნდა ჰქონდეს თავკიდური მ დაკარგული და წინათ: ძმის სახელის შიჩი-ს მსგავსად, ისიც ვიხსოვ, ე. ი. მ თავსართიანი იქმნებოდა.

მაშასადამე, აზნაზურ-ჩერქეზულ-ყაზარდოვლისა და ლეგურის უხტეს-კატეგორიულ ენათა ჯგუფისა ისევე, როგორც ალბანურის ნაშთის უღუბის ლექსიკური მახალის ანალიზი უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ თავდობირველად ამ ენებსაც ვრამატიკული სქეს-კატეგორიები ჰქონიათ.

თ ა შ ი მ ე ც ხ რ ა მ ე ტ მ

სქეს-კატეგორიებთან დაკავშირებული ზოგადი საკითხები

ოკი უკვე გამოკვეული გვაქვს, რომ ვრამატ. სქეს-კატეგორიები არამცთუ მარტო ე. წ. კავკასიურს ენებს, არამედ ქართულსა და ქართველურს ისევე, როგორც სხვა მათ მონათესავე ენებსაც იმთავითვე ჰქონიათ, ებღა უნდა სქეს-კატეგორიებთან დაკავშირებული ზოგადი საკითხების განხილვასაც შეგუდგეთ.

პირველი ამ საკითხთაგანი სქეს-კატეგორიების რაოდენობაა: ჩაჩუტსა და წოფურში, როგორც ვიცით, მათ რიცხვს რვამდეც-კი ანგარიშობენ, დღის-

ტნის ბევრ ენათაგანს ოთხ-ოთხი სქეს-კატეგორია აქვს, უმრავლესობას-კი მხოლოდ სამ-სამი გააჩნია.

რამდენი სქეს-კატეგორია უნდა ჰქონოდა ამ ენებს თავდაპირველად ან რა მიზეზის გამო შესაძლებელია სქეს-კატეგორიათა თავდაპირველი რიცხვი გადიდებულიყო, ანდა შემცირებულიყო?

მეორე საკითხად სქეს-კატეგორიებისთვის განკუთვნილი თავდაპირველი ბგერითი ნიშნების გამორკვევა უნდა მივიჩნიოთ. წინა თავებში მონათხრობით-გან ვიცით, რომ სქეს-კატეგორიებისათვის კავკასიურ ენებს ყველას ერთი-და-ერთი ნიშანი არა აქვთ, არამედ ამ მხრივ საკმაო სხვადასხვაობაა. რა თქმა უნდა, უპირველესად გადასაწყვეტია, შესაძლებელია, თუ არა, რომ ასეთი ნაირ-ნაირობა იმთავითვე ყოფილიყო? თუ გამოირკვა, რომ ასეთი სხვადასხვაობა თავდაპირველად ძნელი დასაჯერებელია, რომელ სქეს-კატეგორიას სახელდობრ რომელი ნიშანი უნდა ჰქონოდა და რა-და-რა მიზეზით შესაძლებელია პირვანდელი ნიშნის მაგიერ სხვა იყოს გაჩენილი?

სქეს-კატეგორიათა ნიშნების ადგილმდებარეობაც, როგორც სათანადო ადგილას აღნიშნული გვქონდა და დავრწმუნდით. კავკასიურს ერებში სამნაირი არსებობს: ზოგს ეს ნიშნები თავსართებად უსხედს, ზოგს ბოლოსართებად. ისეთი ენებიც მოიპოვება, რომელთაც თავსართადაცა და ბოლოსართადაც აქვთ. ეს გარემოება გვავალებს, მესამე საკითხად სქეს-კატეგორიების ადგილმდებარეობა მივიჩნიოთ, სახელდობრ: შესაძლებელია, თუ არა, რომ ადგილმდებარეობის ასეთი სამნაირობა იმთავითვე ყოფილიყო და, თუ ეს შეუძლებელია, რომელი ამ სამნაირ ადგილმდებარეობათაგანი უნდა უძველესი, რომელი მერმინდელი და რომელი უკანასკნელი იყოს?

დასასრულ, როგორც ვიცით, ე. წ. კავკასიურ ენათაგან ოთქქის ნახევარს გრამატიკული სქესი არა აქვს ისევე, როგორც ისტორიულ ხანაში იგი არც ქართულსა და ქართველურს მოეპოვებოდა, ამიტომ მეოთხე საკითხად გამოსარკვევია, თუ რა-და-რა მიზეზის გამო შესაძლებელია გამქრალიყო გრამ. სქეს-კატეგორიები და როგორ, ერთბაშად, თუ თანდათანობით?

აქამდის სქეს-კატეგორიები ჩვენ არსებითს სახელებსა, ზედსართავსა და პიმღეობაში გვქონდა განხილული, რიცხვითს სახელებსა, ნაცვალ სახელებსა და ზმნას არ შევხებივართ. ამიტომ ზემო-ჩამოთვლილ საკითხთაგან ყველასი განხილვა აქ არ შეიძლება, არამედ აქ მხოლოდ სქეს-კატეგორიების თავდაპირველ საერთო რიცხვზე და ნაწილობრივ მათთვის განკუთვნილი ნიშნების შესახებაც გვექნება საუბარი, დანარჩენი საკითხების განხილვა-კი უნდა ბოლომთვის გადავდოთ, როდესაც მეტყველების სხვა ნაწილებიც უკვე შესწავლილი გვექმნება.

§ 1. სქეს-კატეგორიების თავდაპირველი რიცხვი

სქეს-კატეგორიების რიცხვი ყველაზე ქარბად ჩაჩნუბს, ძისცუბს და რთუბ-აა აქვთ, რომელთა რაოდენობასაც მკვლევარნი ნ-ნ-მღეც-კი ანგარიშობენ, ბოლო-ეს ენებიც, რომელთაც სქეს-კატეგორიები ცოტა გააჩნიათ; მაინც არც ერთი სამზე ნაკლების მქონებული არ არის: იმ ენებს, რომელთაც ორი აქვთ

გრამ. სქესის განჩევა უკვე დაკარგული უჩანთ და მხოლოდ სულდგმულისა და უსულო საგნების კატეგორიები-ლა მოებოვებათ.

ვგონებ, შესაძლებელია უცილობელ დებულებად იქმნეს მიჩნეული ის აზრი, რომ თავდაპირველად ყოველ სქეს-კატეგორიას თავისი განსაკუთრებული ბგერითი ნიშანი უნდა ჰქონოდა: სქეს-კატეგორიის დაუბრკოლებრივი განჩევისათვის, ცხადია, ეს აუცილებელი პირობაა. თუ ამ დებულებით ვიხელმძღვანელებთ, იმ საკითხის გადაწყვეტაც, თუ ჩაჩნურ-წოჯურ-ქისტურის თანამედროვე ნ-მ სქეს-კატეგორიათაგან თავდაპირველ ოდენობად რა უნდა იქმნეს მიჩნეული, ძნელი არ არის. იმისდა მიუხედავად, რომ მკვლევარნი ჩაჩნურსა და ქისტურში ექვს, წოჯურში-კი რვას ანგარიშობენ, მაინც არც ერთს მათგანს სქეს-კატეგორიებისათვის არც მხ. რ. და არც მრავლობითში ოთხზე მეტი ნიშანი არ აბადიათ. მართო ამ 4, — ვ, ჯ, ბ და დ, — ბგერის ამარაა სამივე დასახელებული ენა. ამის გამო ჩაჩნურსა და ქისტურს მხ. რ.-ში მე-2 და მე-3 სქეს-კატეგორიისათვის ერთი-და-იგივე ჯ ხმოვანი, ხოლო მე-5 და მე-6-ესთვის ბ თანხმოვანი აქვს. მრ. რ.-ში-კი პირველს, მე-2 და მე-6 სქეს-კატეგორიას ბ თავსართი, ხოლო მე-4 და მე-5-ეს დ თავსართი უჩით.

ამნაირადვე წოჯურსაც მხ. რ.-ში მე-2 და მე-3 თავსართად ჯ. მე-4, მე-5 და მე-6-ესთვის ბ და მე-7 და მე-8 სქეს-კატეგორიებისათვის დ თავსართი აქვთ. ხოლო მრ. რ.-ში პირველი და მე-5 სქეს-კატეგორიებისათვის ბ, მე-2, მე 4 და მე-7 ესთვის დ, მე-3, მე-6 და მე-8-ესთვის-კი ჯ თავსართია.

ზემოაღნიშნული საგულისხმო ვარემოება. სქეს-კატეგორიებად განაწილების პრინციპის ვაურკვეველობასთან ერთად, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სქეს-კატეგორიების სიმრ.ულე თანამედროვე ჩაჩნურ-ქისტურ-წოჯურში შეუძლებელია თავდაპირველი მოვლენა იყოს და საქმის ნამდვილი ვითარების ანარეკლს წარმოადგენდეს, არამედ უფროს რომ საკითხის შეუსწავლელობის ბუნებრივ შედეგად უნდა იქმნეს მიჩნეული. სქეს-კატეგორიათათვის მხოლოდ 4 ნიშნის არსებობა ცხად-ჰყოფს, რომ თავდაპირველად ამ ენებსაც ოთხზე მეტი სქეს-კატეგორია არ ჰქონია.

ჩაჩნურ, ქისტურ და წოჯურ ოთხ სქეს-კატეგორიან ენათა ჯგუფს უნდა ვაღიარებინოთ ოთხ სქეს-კატეგორიანივე რვა ენა დაემატოს. როგორც დავრწმუნდით, ქართულსა და ქართველურსაც თავდაპირველად ოთხი სქეს-კატეგორია ჰქონია. ამნაირად უცილობლად ოთხ სქეს-კატეგორიან ენოვანი ერთეულების რიცხვი მთლიანად 16-მდე იქმნება.

დალისტნის ენათაგან, სადაც უმთავრესად გავრცელებულია სამ-სქეს-კატეგორიანობა, ამ ჯგუფს 12 ენოვანი ერთეული ეკუთვნის.

იმ საკითხის გადასაწყვეტად ოთხ-სქეს-კატეგორიანობა ე. წ. კავკასიური ენების საერთო თვისება იყო. თუ იმთავითვე ორი დიდი, ოთხ-სქეს-კატეგორიანი და სამ-სქეს-კატეგორიანი ენათა ჯგუფები არსებობდა, უნდა წინასწარ გამოერკვეული იყოს, ემჩნევა თუ არა, ეხლანდელ სამ-სქეს-კატეგორიან ენათა ჯგუფს მეოთხე, დ თავსართიანი, თუ ბოლოსართიანი სქეს კატეგორიის ოდინდელი არსებობის რაიმე კვალი? რაკი სქეს-კატეგორიების ნიშნები, სახელებსა

და შიმღობის გარდა, მეტყველების სხვა ნაწილებსაც ჰქონდა და აქვს ეხლაც, ამიტომ ამ საკითხზე მსჯელობა ბოლოში ემჯობინება, როდესაც რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები და სხ. უკვე განხილული გვექმნება.

§ 2. გრამატ. სქეს-კატეგორიებისათვის განკუთვნილი თავდაპირველი ბგერითი ნიშნების საკითხი

გრამატ. სქეს-კატეგორიებისათვის განკუთვნილ თავდაპირველ ბგერით ნიშანთაგან ყველაზე ადვილი გამოსარკვევი პირველი, მამრ. სქესის ნიშანია.

მამრ. სქესის ნიშანი თითქმის ყველა ენებს, მათ შორის ანსტრუსა და აბათულსაგ, ერთი-და-იგივე ჰქონდათ: ვ, უ ან და უ. ამ საერთო ფითარების გამონაკლისს აღიშინი მხოლოდ სამ ენოვან ერთეულში, ჯუჯუსა, ბუთულურსა და წახურულმა იპოვის, რომელთაც მამრ. სქესის ნიშნად რ თანხმოდანი აქვთ. ყველა სხვა ენებს-კი რ ბგერა, ან მრ. რ.-ის ნიშნად, (როგორც მაგ. ლუნძურს, ბოთლიხურს და დიდოურს ყველა სქეს-კატეგორიისათვის, ლოდობერულს, კარატულს, ბავულაზურს, ტინდალურს, ახვახურს, ხჭარშულს, ჰვრკანულს, კვრულს მე-3, თუ მე-4 სქეს-კატეგორიისთვის) აქვთ, ანდა დ ბგერის სახესხვაობის მსგავსად მხ. რ.-ის მე-1 სქეს-კატეგორიისათვის მოეპოვებათ (მაგ. ანდიურს, დიდოურს, ხჭარშულს, ლუმუქურს).

უკვე რ ბგერის ფუნქციური მნიშვნელობის ეს სხვადასხვაობა ცნად-ჰყოფს, რომ აქ თავდაპირველი მოვლენა-კი არა, არამედ შერშინდელი აღრევის შედეგი უნდა იყოს. ამასვე ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ ბუთულურსა და წახურულში რ ბოლოსართი ორივე, მამრობითისაცა და მდედრობითი სქესის ნიშნად არის ქცეული და ამნაირად გრამატიკული სქესის ის ძირითადი პრინციპი, რომ თითოეულ სქესს თავისი განსხვავებული ნიშანი აქვს, დარღვეულია, მაშასადამე, ამ ორ ენაში რ ბგერას უკვე იმდენად გრამატ. სქესისა არა, რამდენადაც გონიერ არსებათა კატეგორიის აღმნიშვნელობის თვისება ემჩნევა.

ყველა ზემოაღნიშნული მოსაზრება უფლებას გვაძლევს დავასკვნათ, რომ რ თანხმოდანი არასგზით არ შეიძლება მამრ. სქესის თავდაპირველ ნიშნად იქნეს მიჩნეული. ამიტომ მამრ. სქესის ერთად-ერთ თავდაპირველ აღმნიშვნელად უნდა ვ (ჟ, უ) ბგერა იქმნეს ცნობილი.

გაცილებით უფრო რთულია მეორე, მდედრ. სქესის, თავდაპირველი ბგერითი ნიშნის საკითხი, თუნდაც იმ სხვადასხვაობის გამო, რომელიც ამ სქესს ე. წ. კავკასიურს თანამედროვე ენებში ემჩნევა.

ჩაჩნურს, ჭიხტურსა და წოფურს ისევე, როგორც დალისტნის ლეგური ენების უმრავლესობას, სულ 12 ენოვან ერთეულს (ლუნძურს, ანდიურს, ბოთლიხურს, ლოდობერულს, კარატულს, ჰიპატულს, ტინდალურს, ახვახურს, დიდოურს, ხჭარშულს, ყაფუჩურს და ყუბაჩურს) მდედრ. სქესის ნიშნად ა ბგერა აქვთ.

ორ ენას, მდედრ. სქესის ნიშნად დ და რ თანხმოდანი აქვთ ერთსა-და-იმევე დროს. ლუშუჩურსა დ და რ შენაცვლების სახით გვხვდება, არქულში-კი,

რომელსაც სქეს-კატეგორიები თავსართადაც და ბოლოსართადაც აქვთ, დ მდედრ. სქესის თავსართად, ხოლო რ ბოლოსართად გვევლინება.

ორ ენას, ოჟოუღუტსა და წასტუღუს, მდედრ. სქესის ნიშნად ისევე, როგორც მამრობითისაც რ თანხმოვანი აქვს.

დასასრულ, დალისტნის ერთ ენასაც, ჯოუტს, მდედრობითი სქესისა (და ცხოველების) ნიშნად ბ ბგერა მოეპოვება.

ამნაირად, იმ დროს, როდესაც ჩაჩუტ-ქისჯუტ-წოჯუტს მდედრ. სქესის ნიშნად მხოლოდ ერთი ბ ბგერა გააჩნია, დალისტნის ენებს ვ ბგერა აქვთ. რაკი შეუძლებელია თავდაპირველადაც¹ ასე ყოფილიყო, ამიტომ გამოსარკვევია, თუ რომელი ამ ბგერათაგანი ღიჯღურსა და დალისტნის ლეგურს ენებში უფრო პირველად ნიშნად უნდა იქმნეს მიჩნეული.

ჩაჩუტ-ქისჯუტ-წოჯუტისა და ღელისტნის ლეგურ ენათა მდედრ. სქესის პირველადი ნიშნის გამორკვევის დროს, უნდა ანგარიში ამ სქესისათვის იწ არსებული სამი ბგერის გავრცელების ინტენსივობასაც გაეწიოს. ბ მდედრ. სქესის ნიშნად 15 ენოვან ერთეულსა აქვს, რომელთაგან 3 - ჩაჩუტური, ქისტური და წოჯურია, დანარჩენი 12-კი, როგორც დავრწმუნდით, დალისტნის ენათა ჯგუფს ეკუთვნის. ორ ენას, ლეჯუტურს და ატუღუს, ამავე სქესის ნიშნად დ და რ მოეპოვება, ხოლო რ თანხმოვანი მარტო დალისტნის 2 ენასა და ბ ბგერა იქაურსავე მარტო ერთ ენას აქვს.

ბ თანხმოვანი კავკასიურ ენათა უმეტესობას უსქესობისა და უშასაკობის ცნების გამომხატველ ნიშნად აქვს ვანკუთენილი და ამასთანავე მრავლობითი რიცხვის ნიშანიც არის, რაც, უეჭველია, ამავე ბგერის უსქესობის აღმნიშვნელობასთანვე უნდა იყოს დაკავშირებული. ამიტომ ბ თანხმოვანი არ შეიძლება, რომ დალისტნის ენების მდედრ. სქესის თავდაპირველ ნიშნად იქმნეს ცნობილი.

დ და რ ბგერათა პირვანდელი აღმნიშვნელობის გამორკვევასაც ის გარემოება გვწველის, რომ ორივე, როგორც უკვე დავრწმუნდით, ან საგნების სახელების შემცველი მე-1 სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი იყო, ანდა მრ. რიცხვის ნიშანი. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ იმ 2 ენას, ოჟოუღუტსა და წასტუღუს, რომელთაც მდედრ. სქესის ნიშნად რ აქვთ, ეს ბგერა მამრ. სქესისათვისაც გამოუყენებია და ამნაირად ორივე სქესის ნიშნად უქცევია, მაშინ უეჭველი გახდება, რომ წინათ დ და რ თანხმოვნებიც შეუძლებელია მდედრ. სქესის ნიშანი ყოფილიყო.

ამგვარად ირკვევა, რომ ღიჯღური და ლეგური ენების მდედრ. სქესის ერთად-ერთ ნიშნად ბ ნახევარხმოვანი რჩება, დანარჩენი ბ, დ და რ თანხმოვნები-კი შემდეგში უნდა იყოს ამ სქესის ნიშნად ქცეული.

შესაძლებელია, მდედრ. სქესის თავდაპირველი ნიშნის საკითხი ყველა შემონათქვამის შემდგომ გამორკვეულად მიგვეჩინა, რომ საქმეს ქართულში ამავე სქესისათვის ნ ბგერის არსებობა არ ართულებდეს. ხოლო, რაკი აზნაჭურს მდედრ. სქესის ნიშანი ისევე, როგორც კავკ. სხვა ენებსაც მეტყველების სხვა ნაწილებში გააჩნიათ, თანაც აზნაჭურს იქ 2 განსხვავებული ბგერა აქვს გამოყენებული, ამიტომ მდედრ. სქესის თავდაპირველი ნიშნის საკითხის სა-

ბოლოო გადაქრაც მხოლოდ რიცხვითი სახელებიბა, ნაცვალსახელებიბა და ზმნიბ განხილვის შემდგომ იქმნება მართებულიც და შესაძლებელიც.

მე-3-მე და მეოთხე სქეს-კატეგორიების ნიშნების ნაირნაირობიბსდა მიუხედავად, გამორკვევა მაინც აქაც შესაძლებელია, თუ რომელი აწ არსებულ ნიშანთაგანი უნდა იყოს მესამიბა და მეოთხიბ თავდაპირველ ნიშნებად.

ენათა უმეტესობას მეოთხე სქეს-კატეგორია არ მოეპოვება, მაგრამ ზოგიერთ ამ ენათაგანს მეორე სქეს-კატეგორიად დედაკაციბსა და პირუტყვიბ სახელები აქვს ქვეული, ხოლო მესამე სქეს-კატეგორიად საგნების სახელებიბა მიჩნეული, ე. ი. რაც ოთხ-სქეს-კატეგორიანს ენებში მესამე და მეოთხე სქეს-კატეგორიებად ითვლება. ქვემოთმოყვანილ ზოგადს დახასიათებაში ასეთი შემოხვევები ამ მესამე და მეოთხე სქეს-კატეგორიების თანაბარად გვაქვს ჩათვლილი.

სულ მესამე სქეს-კატეგორიიბსათვის მხოლოობითს რიცხვში მხოლოდ ორი ნიშანი არსებობს ა, ანუ ი და ბ. ამათაგან ა, ანდა ი ნიშანი ოთხ ენოვან ერთეულს აქვს, სახელდობრ: ჩაჩურს, ქისტურს, წოვურსა და ყაფუჩურს, ბ ნიშანი-კი თექვსმეტს ენოვან ერთეულშია: ლუნძურსა, ანდიურსა, ბოთლიბურსა, ლოდობერულსა, კარატულსა, ბაგულალურსა, ქამალალურსა, ახვასურსა, დიდოურსა, ხვარშულსა, ჰვოკანულს (ბა), ლუმუქურსა, არქულსა, რუთულურსა, წახურულსა და ჯეკურში. ამ უკანასკნელს მე-2 სქეს-კატეგორიიბსათვის აქვს გამოყენებული, რომელშიც დედაკაციბთან ერთად პირუტყვიბ სახელებიც ათიბ მოქცეული.

ქართულსაც, როგორც დავრწმუნდით, ოდესღაც უკანასკობა სქეს-კატეგორიიბ თავსართოვან ნიშნად აგრეთვე ბ ბგერა ჰქონია. რაკი ა, როგორც მეორე სქეს-კატეგორიაზე მსჯელობიბს დროს გექონდა აღნიშნული, სწორედ ამ სქეს-კატეგორიიბს მალეუყვებელი ბგერა ყოფილია, ამიტომაცა და ენათა უმრავლესობიბსა და ძველი ქართულიბ ანალიზიბს სასუთითაც მესამე სქეს კატეგორიიბ თავდაპირველ ნიშნად უნდა ბ თანხმობვანი იქმნეს მიჩნეული.

მეოთხე სქეს-კატეგორიიბ თავდაპირველ ნიშნად, ყველა შემონათქვამიბ შემდგომ, ცხადიბ, შესაძლებელია მხოლოდ ლ ყოფილიყო, რომლიბ შენაცვლებასაც რ წარმოადგენს.

§ 3. გრამატიკული სქეს-კატეგორიების გაქრობიბს მიზეზი

გრამატიკული სქეს-კატეგორიების კავკასიურს ზოგიერთს ენებში გაქრობიბს შესაძლებელი მიზეზიბს მისაგნებად ყურადღებიბს ღირსია, რომ აბხაზური ერთი მხრიბ სქესიბს გამოსახატავად უკვე მამალ-დედლობიბს აღმნიშვნელ მთელ სიტყვებსა ხმარობს ხოლმე, მეორე მხრიბ გონიერ და არაგონიერ არსებათა კატეგორიებად დაყოფვა აქვს და სქესიბს ნიშნები ოღნავ მოეპოვება.

აბხაზურიბს ახლო მონათესავე უბიბურს, ჩერქეზულსა და ყაბარდოულში სქეს-კატეგორიების გადაგვარება-გადაშენების პროცესი დამთავრებულია და უბიბური, ჩერქეზული და ყაბარდოული უკვე სრულეობით უსქეს-კატეგორიო ენებია. თუ ვავიბსენებთ, რომ უბიბები, ჩერქეზები და ყაბარდოელები აბხაზებზე უფრო ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ბინადრობდენ და

ბინადრობენ და რომ იმათ ე. წ. კავკასიელთა ტომობრივი მოსახლეობის ხანა-პირი ადგილი უკავიათ და იმათ იქით უკვე უცხო მოღვმის მოსახლეობა იწყება, მაშინ ჩვენთვის ცხადი გახდება, რომ სქეს-კატეგორიის განჩევის გრძობა და გარეგანი გრამატიკული ნიშნები გარკვეულს გეოგრაფიულს ზაზს არ სცილდება და ტომობრივი მოსახლეობის ხანაპიროზე-კი სრულებით ქრება. ამგვარიდვე დამახასიათებელია, რომ კვრულსა და უდურს, რომელთაგან პირველი ბღ. სამურის შესართავთან კასპიის ზღვას აღწევს და კავკასიის ქედს აქეთაც არის ვადნოსული და თურქული ენის მოსაზღვრეა, მეორე-კი იმირ-კავკასიის მოსახლეობის, ალბანეთის ერის უკანასკნელ ნაშთს-ღა წარმოადგენს და ამ უამად თურქული ენის ზღვაში ნხოლოდ პატარა ჟუნძულს-ღა შიდავს, ე. წ. კავკასიელ ერთა მოსახლეობის ამ ხანაპიროზეც სქეს-კატეგორიის გრამატიკული განჩევა არ არსებობს.

აღსანიშნავია, რომ თამასარანულს, რომლის გავრცელების მიწაწყალი ხანაპიროს ცოტა მოშორებულია და თდნავ დასავლეთით მდებარეობს, იმისდა მიუხედავად, რომ იმავე კვრულ ენას ეკუთვნის, ორი, გონიერ და არაგონიერ არსებათა, კატეგორიის განჩევა შოგბოვება. ხოლო თამასარანულზე უფრო დასავლეთითა და ჩრდილო-დასავლეთით მდებარე თემში გავრცელებულ რუთულურსა და წახურულს ყველა ოთხივე სქეს-კატეგორია აქვს. ამგვარად, აქაც ე. წ. კავკასიური ენების გავრცელების აღმოსავლეთ-სამხრეთის ანპარეზზეც, იმნა-ირივე სურათი გვეშლება თვალწინ: ხანაპიროზე გრამატიკული განჩევა და, რაც უფრო ვშორდებით ამ ხანაპირო ზოდს, სქეს-კატეგორიის განჩევა უფრო ძლიერდება, ხოლო, რაც უფრო გუანდლოვდებით ხანაპიროს, სქეს-კატეგორიის გადაგვარება-გადაშენების პროცესი უფრო და უფრო მატულობს¹.

მაგრამ სქეს-კატეგორიებს განჩევის გაქრობისათვის ამის გარდა, უეჭველია, ამა-თუ-იმ ერისა და მისი ენის, სხვებთან შედარებით, უფრო შიდალ კულტურულ დონეზე აღმეცებასაც უნდა შეეწყოს ხელი: მრავალნაირ საგნებს სწრაფი საუბრისა და მსჯელობის დროს სქესობრივი განსხვავების აღნიშვნა, ვითარცა შემათერებელი გარემოება, მეტად საგრძობი უნდა განსდარიყო და ამიტომაც თანდათანობით უნდა ერთგვარობის დამყარების პროცესი დაეჩქარებინა.

¹ სქეს-კატეგორიების გაქრობა უცხო აგებულების ენების გავლენის შედეგად. ანდა ერთ მიზეზთაგანად მიჩნეული აქვს ად. დირრსაც თავის „შესავალ“-ში (იხ. გვ. 343).

ქარი მართხა

რიცხვითი სახელები,
მათი წინანდელი და თავდაპირველი სახე,
აგეგულება და სვადახსვა სისტემა

თავი პირველი

რიცხვითი სახელების შესწავლის დროს დასასული ამოცანები და ამისათვის გამოსადეგი მეთოდები

რიცხვითი სახელების შესწავლის დროს, მკვლევარნი თითქმის მხოლოდ აღრიცხვის სისტემის აღნიშვნით კმაყოფილდებოდნენ. ჩვენთვის, რა თქმა უნდა, ეს საკითხიც საგულისხმოა და, როგორც დავრწმუნდებით, აქაც გაცილებით იმაზე მეტის თქმა შეიძლება, ვიდრე ნათქვამი იყო, მაგრამ, ზემოდასახელებულს ვარდა, კიდევ არაერთი სხვა მნიშვნელოვანი საკითხიც უნდა იყოს განხილული და გამოჩვენებული, რომ ე. წ. კავკასიური ენებისა და ქართულ-ქარაველური რიცხვითი სახელების შეძლებისამებრ სრული დახასიათება შეიძლება მოხდეს.

არც ერთ მკვლევარს ფიქრად არ მოჰსვლია, თუ რამდენად ძველია რიცხვითი სახელების ის სახე, რომელიც თანამედროვე ენებშია დაცული. კავკასიური ენების რიცხვითი სახელების უფრო აღრინდელი და თავდაპირველი ფორმის გამოჩვენება არავის მიზნად არ დაუსახავს. თვით ზოგადი მიმოხილვის თვისების მქონებელს ისეთს ნაშრომშიც-კი, როგორც ად. დირრის „შესავალი“-ა, იმაზე კრინტიც-კი არ არის დაძრული. ამ საკითხის უალრესი მნიშვნელობა-კი იმდენად უცილობელია, რომ რიცხვითი სახელების განხილვის დროს მიზნად უპირველესად სწორედ რიცხვითი სახელების აწინდელზე უწინარესი და უძველესი ფორმების გამოჩვენება უნდა გვექონდეს დასახული.

მეორე საკითხად უნდა რიცხვითი სახელების აღნაგობის გამოჩვენება დავისახოთ.

ჩვეულებრივ მკვლევარნი მარტო 11—20-მდე და ათეულ-ოცეულების სახელების წარმოების წესს აქცევდნენ ყურადღებას. აქაც იმით კმაყოფილდებოდნენ, რომ აღნიშნული ჰქონდათ, თვლის ათობითი, თუ ოცობითი წესი იყო ამა-თუ-იმ ენაში მიღებული. როდესაც ცხადი იყო, რომ რომელსაშე ენას ოცობითს სისტემაზე აქვს თავისი რიცხვითი სახელები აგებული, იშვიათს გამოჩვენების გარდა, არავის მოჰსვლია აზრად გამოერკვია, ეს სისტემა ამ ენას დასაწყისით-განვე ჰქონდა, თუ შემდეგში გასჩენია.

ჩვენთვის, რიცხვითი სახელების თანამედროვე და წინანდელი ფორმების გამოჩვენების შემდგომ, ამ სახელების აღნაგობის გამოჩვენება უნდა იქცეს მთავარ ამოცანად: სახელდობრ, რომელი მისი ნაწილთაგანი ძირეულია და

რომელი უნდა ფორმანტად იქმნეს მიჩნეული. ძირეული ნაწილის გამოკვეთვაზე არავის უფიქრია, ფორმანტები-კი მხოლოდ იმ ენების რიცხვით სახელებში და იქ იყო აღნიშნული, სადაც სქეს-კატეგორიების არსებობა უცილობელია. ნამდვილად-კი ეს საკითხი ყველა ენების რიცხვითი სახელების განხილვისას უნდა იქმნეს გამოკვეთილი. რათგან ერთი მხრით ფორმანტების გამოცალკევება გავვაგებიანებს, თუ რამდენად ფართოდ და მეტყველების რომელ ნაწილში იყო ამა-თუ-იმ ენაში სქეს-კატეგორიები გავრცელებული, მეორე მხრით ძირეული ნაწილას გამოყოფა საშუალებას მოგვცემს კავკასიური ენებისა და ქართულ-ქართველური რიცხვითი სახელების ნათესაობის პრობლემაზე გადავჭრათ.

ამას გარდა, როდესაც ათეულითგან მოყოლებით ათობითი, იუ იუობითი აღრიცხვის თანამედროვე და წინანდელი წესი გამოკვეთილი იქმნება, ამის შექმნაში სასურველია შეძლებისამებრ გამოიკვეთს, რიცხვით სახელებს ხომ აღრიცხვას კიდევ სხვა წესის რაიმე კვალი არ ემჩნევა. ეს საკითხი შეტადრე ერთეულების ბუნებისა და აგებულების გასაგებად არის მნიშვნელოვანი.

რიცხვითი სახელების შესწავლა ჯერ თითოეულ ენაში ცალცალკე ხდება. მერმე ენათა არსებული დიდი ჯგუფების საერთო თავსებები და განმასხვავებელი თავისებურება და სულ ბოლოს კავკასიურისა და ქართულ-ქართველურის შედარებითი შესწავლა და ანალიზი უნდა გვექონდეს, რომ ამ გზით მათი ძირეული და ფორმალური ნაწილებისა და ელემენტებს ნათესაობის პრობლემის გადაწყვეტაც შესაძლებელი გახდეს.

ბუნებრივად აქაც წამოიჭრება საკითხი, თუ რა საშუალებათა და დონეობით შეიძლება რიცხვითი სახელების თანამედროვე ფორმებზე უწინარესი და თავდაპირველი ფორმების გამოკვეთვა ასეთ უწერებო ენებში?

რასაკვირველია, ამ შემთხვევაშიც უპირველესად გვალღენშტეტისა და კლაპროტის ჩანაწერების გამოყენება დაგვექირდება. შემდეგში არაერთხელ დავრწმუნდებით, რომ იუმცა ამ და მე-XIX—XX ს.ს. პეცნიერთა ცნობები, დამწერლობიანი ენების საზომით, ერთმანეთზე დიდად დაშორებული არ არის, მაგრამ, ამისდა მიუხედავად მათ ჩანაწერებში არაერთი სავულისხმო ცნობა მოიპოვება, რომელიც შემოდასახული მიზნის განხორციელებას გავვიადვილებს.

მაგრამ, რასაკვირველია, მკვლევარი პარტო ამით მიზანს ვერ მიაღწევს, არამედ სხვა საშუალებაც უნდა გამოიყენოს. ცნობილია, რომ რიცხვითი სახელები ორ-სამ მთავარ ნაწილად იყოფა: ერთეულებად, ათეულებად და ასეულებად. ამათგან ერთეულების სახელებს, ათეულებისა და ასეულის სახელებთან შედარებით, უმეტესად მარტივი აგებულება აქვთ. თუმცა, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, ზოგიერთი ერთეულების აღნაგობაც თავდაპირველად მარტივი არ ყოფილა, მაგრამ ამ გარემოებას თანამედროვე მოსაუბრე სრულებით ვერ გრძნობს და მხოლოდ ენათმეცნიერული ანალიზით თუ დაანახევებს. პირიქით, ათეულებისა და ასეულების ყველა სახელები რთულია და, ან ერთეულებისა და ათეულების, ან ერთეულებისა და ასეულების კომბინაციას წარმოადგენს. შემოაღნიშნულის გამო ერთეულების სახელები ზოგადად შესაძლებელია მარტივი აგებულებისად მივიჩნიოთ, ათეულებისა და ასეულების სახელები-ერთულ სიტყვებად ვიცნათ.

მარტივისა და ათეულ-ახეულებში დაცული, აგრეთვე ზოგჯერ რიგობითი და სხვაგვარი რთული რიცხვითი სახელების ერთმანეთთან, შედარება ცხად-ჰყოფს, რომ აქ ჩვენ ერთეულების ზოგჯერ ორი, ზოგჯერ სამი და მეტი ფორმაც-კი მოგვემოვება.

თუმცა მარტივი რიცხვითი სახელები წარმოშობილობითა და ბნიერებით ათეულებზე უფრო ძველია, ისევე როგორც ათეულების სახელები ასეულებზე უფრო ადრინდელია. მაგრამ, რაკი, ერთეულების სახელების ყოველდღიურ საუბარში ხშირი ხმარების გამო, მათი გარეგნული საბე უფრო ადვილად და სწრაფად იცვლება და იცვითება, ათეულების, მეტადრე რთული წარმოების სახელებში ძველი ფორმები-კი დროისა და სწრაფი გამოთქმის გამანადგურებელ გავლენებისაგან უფრო დაცულია, ამიტომ ათეულების სახელებში შენახული ერთეულების სახელები ხშირად უფრო უძველესი ფორმითაა ხოლმე დაცული. ეს გარემოება საშუალებას ვეძღვეს თვით უმწერლობო ენათა რიცხვითი სახელების შესწავლის დროსაც-კი ერთი-და-იმევე რიცხვითი სახელის გარეგანი სახისა და აგებულების განვითარების სხვა-და-სხვა საფეხურების ფორმები მოვიპოვოთ. ამიტომ შევლევარმა, ერთეულებთან ერთად, განსაკუთრებული ყურადღება სწორედ მეორე (11—19-მდე) და დანაოჩენი ათეულებისა და ასეულების სახელებსაც უნდა მიაქციოს.

თ ა ვ ი მ ე ო რ ე

კავკასიურ ენათა სინდური ჯგუფის რიცხვითი სახელები

§ 1. აბხაზური რიგობითი რიცხვითი სახელები

აბხაზური ორი, სამხრეთ-დასავლური (კუშპასიბ) და ჩრდილო-აღმოსავლური (ალტიეის.), დიალექტის რიცხვითი სახელების ჩანაწერი გვლდენშტედტის ნაშრომშია დაცული და ამას გარდა უსლარისა და პროფ. ს. ჯანაშიას ჩანაწერებიც მაქვს ხელთ, რომელნიც აქვე ერთად მომყავს.

XVIII ს. სამხრეთ-დასავლურ აბხაზური რიცხვითი სახელები

1 სეკე	Seke
2 ლუბა	Gubà
3 ხება	Chebà
4 ბშიბა	Bschibà
5 ხუბა	Chubà
6 —	—
7 ბიშბა	Bischbà
8 ახბა	Achbà
9 იშბა	Ischbà
10 ყაბა	Shabà
11 ბეასა	Bshasà

12	ბეულ	Bshug
13	ეაბ	Shach
14	ვიბშ	Wibsch
15	ზუხ	Such
16	ეაფ	Shaf
17	ეიბშ	Shibsch
18	ეა	Sha
19	ეევშ	Shewsch
20	ლოეა	Gosha
40	ღუნღოზა	Gun gosa
50	ღუნღოზა შები	Gun gosa schebi
60	ხინღოზა	Ghin gosa
70	ხინღოზა შები	Chin gosa schebi
80	პეინღოზა	Pshin gosa
90	პეინღოზა შები	Pshin gosa schebi
100	შკე	Schke
200	ღუშ	Gusch
300	ხიბშუ	Chibschu
1000	სეკი	Seki

(I. A. Gldenstdt, Reisen II, 528—529).

XVIII ს. ჩრდილო-აღმოსავლური აბხაზური რიცხვითი სახელები

1	სეკე	Seke
2	ღუბა	Gub
3	ხება	Cheb
4	ბშიბა	Bschib
5	ხუბა	Chub
6	—	—
7	ბეიბა	Bshib
8	ახბა	Achb
9	იშბა	Ischb
10	ზაბა	Sab
11	შჳის	Swis
12	ზუგ	Sug
13	ზაგ	Sag
14	გივშ	Giwsch

15	ზუხ	Such
16	ჟიც	Shits
17	ჟიბშ	Shibsch
18	ზახ	Sach
19	ჟევშ	Shewsch
20	ლოზა	Gosa
30	ლუზუს ზაბე	Gusus sabe
40	ლუნლოზა	Gun gosa
50	ლუნლოზა ზაბა	Cun gosa saba
60	ხინლოზა	Chin gosa
70	ხინლოზა ზაბა	Chin gosa saba
80	ბეინლოზა	Bshin gosa
90	ბეინლოზი ზაბა	Bshin gosi saba
100	ზკე	Ske
200	ლუზ	Gus
300	ხეზ	Ches
1000	ზეკი	Seki

(J. A. G ü l d e n s t ä d t, Reisen II, 528—529).

თანამედროვე ამხაზური რიცხვითი სახელები

1. აკვ
2. კბან
3. ხფან
4. ფშებან
5. ხუბან
6. დბან
7. ბეებან
8. ააბან
9. ჟებან
10. ჟიაბან
11. ჟრეაზა
12. ჟრეა
13. ჟრახა
14. ჟრფეშ
15. ჟრეხუ
16. ჟრად
17. ჟრბეჟ
18. ჟრია
19. ზრეჟ

- 20 ჭეუა
- 21 ჭეურაჲ
- 22 ჭეურაჲბა
- 30 ჭეურაჲება
- 40 ჭუნჭეუა
- 50 ჭუნჭეუა ჟაბა
- 60 ხუნჭეუა, ან და ხუნჭეუა
- 70 ხუნჭეუა ჟაბა
- 80 ფშუნჭეუა, ან და ფშუნჭეუა
- 100 შ.კ.

ვიდრე აღამიანი გვლდენშტედტის ჩანაწერის გამოყენებას შეუდგებოდეს, წინასწარ რამდენიმე ქვემომოყვანილი ვარცხობა უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული. გერმანული მეცნიერის ნაშრომის გამოცემაში რაკივის სახელებში 4-ის აბხაზური შესატყვისობა დაბეჭდილი არ არის. ამისდა მიხედვით მკითხველს ეგონება, თითქოს მას ოთხის აბხაზური სახელის ჩაწერა, ან დაჰყენებოდეს, ანდა შეძლებდეს ჰქონდეს დაკარგული. მაგრამ საკმარისია გვლდენშტედტის აბხაზური რიცხვითი სახელები თანამედროვე აბხაზურს შეადაროს აღამიანმა, რომ დარწმუნდეს, თუ რამდენად შემცდარა გვლდენშტედტი, თუ მისი ნაშრომის გამომცემელი, როდესაც 4-ის შესატყვისობისათვის ცარიელი ადგილი დაუტოვებია. თუ გვლდენშტედტის ჩანაწერში ბშიბა ხუთისა და ხუბა ექვსის აღმნიშვნელად ჩანს, ნამდვილად ფშობა აბხაზურად ოთხსა ჰქვია და ხუბა ხუთს. მაშასადამე გვლდენშტედტის ჩანაწერში ოთხის შესატყვისობისათვის ცარიელი ადგილი შეცდომით ყოფიდა დატოვებული, ხუთის შესატყვისობადაც ხუბა უნდა იქმნეს მიჩნეული და მხოლოდ ექვსს გვლდენშტედტის ჩანაწერში შესატყვისობა მართლაც არ უჩანს, ამიტომაც სწორედ აქ უნდა იქმნეს ცარიელი ადგილი დატოვებული.

1. ერთის სახელითგანვე იწყება მე-XVIII ს.-ისა და თანამედროვე ენობებს შორის თვალსაჩინო განსხვავება. თუ გვლდენშტედტს 5016 უწერია, რომელიც სპაშ-ს უდრის, მე-XIX ს.-შიცა და ებლაც ერთი (უგუნური არსები) იქმნება ჯკჷ და აძჷ (გონიერი არსება). თავისი კე მარცვლით გვლდენშტედტის ჩანაწერი უგუნურ არსებათა აღსანიშნავად განკუთვნილს თანამედროვე აკჷ-ს უდრის, მაგრამ სამაგიეროდ ამ უკანასკნელისაგან თავისი პირველი სე მარცვლით, ანდა უფრო ზედმიწევნით, რომ ითქვას, ს პერით განსხვავდება. რომელიც თანამედროვე აბხაზურ ერთს არ გააჩნია.

შესცდა გერმ. მეცნიერი და გაუგებრობით 1. პირის ნაცვალსახელის თავსართის მქონებული ფორმა ერთის ზოგად სახელად მიიჩნია? არა, გვლდენშტედტის ამ ჩანაწერში არავითარი შეცდომა არ არის, არამედ აბხაზური ერთის მაშინ უკეთ დაცული სახე აკჷს მხოლოდ აღბეჭდილი. ამას მეორე ათეულში ერთის დღევანდლამდე შერჩენილი ფორმაც ამტკიცებს.

თერთმეტი უიეჷა. რომელიც უიეჷ-სა (=10 ჟა-ბა) და ზა-სგან შესდგება და რომლის მეორე ნაწილი უეჷველია ერთს უნდა ნიშნავდეს, ცხად-ჰყოფს, რომ წინათ ერთს აბხაზურად ზა ჰქმნებოდა.

საგულისხმოა, რომ სამხრეთ-დასავლური აბხაზური 11-ის სახელად Bshasž ბჟახს ანუ ბჟაჴს აქვს ჩაწერილი, რომლის პირველი მარცვალი ბჟა ათის ვა-ბა-ს თავსართიანი, მაგრამ ბოლოკიდურ-ფორმანტ-ჩამოცილებული სახელი და აღმნიშვნელია, ხოლო მეორე მარცვალი ხა, ანუ ჴა უკვე ერთის გამომხატველია. ამგვარად აქ ერთის სახელი ცალკეულ ე-ხმოვნად ქცეულ ხე-ეე-ს მაგიერ ა-ხმოვნა ხა-ს, ანუ ჴა-ს სახით არის დაცული ისევე, როგორც 11-ის თანამედროვე სახელს უქაჴა-ში ვგებდბა.

ზემონათქვამისდა მიხედვით საფიქრებელია, რომ ერთი წინათ ხეკე-კი არა, არამედ სბჴი იქმნებოდა, რომელშიც ხა, ანუ ჴა ერთის აბხაზ. სახელი კოფილა, ხოლო კჰ რამდენს გამომხატველი ნაწილაკია.

აღსანიშნავია, რომ თანამედროვე აბხაზურადაც ერთხელ-ს ჴნჯკ ეწოდება, მაგრამ უბოლოკიდურო ბგერო ფორმა ჴნჯ-ც არსებობს. ცხადია, რომ ჴნჯკ-ს პირველი მარცვლის ხმოვანი აქვს დეკარგული და ჴანჯკ-ისაგან უნდა იყოს წარმომდგარი.

აბხაზური ერთის ხა, ან და ჴა-ს უცილობელს არსებობას, როგორც დავრწმუნდებით, ერთის უბიხური, ჩერქეზული და ყაბარდოული შესატყვისობაც ამტკიცებს¹.

საფიქრებელია, რომ გონიერი არსების ცალობის აღმნიშვნელი აძრ-ც ანაეე ზემოდასახელებული ძირის ბგერითს სახესხვაობას წარმოადგენს. ეს სიტყვა გაორმაგებული სახითაც გვხვდება და ცალ-ცალად აბხაზურად აძრ-აძალა იქმნება. მისს მეორე ნაწილს აძალა-ს თავკიდურს ჩვეულებრივს ა ართრონს თუ ჩამოვაცლით, ერთის, ანუ ცალის აღმნიშვნელად ძალა დაგვრჩება. გონიერი არსების ორ-ორის, უფრო სწორედ რომ გამოითარგმნოს ორ-ორი ცალის აბხაზურ სახელს ჴგაჴძალა-ში, რომელიც ჴგძრ და ჴძალა-საგან შესდგება და ორს ჴგ, ანდი ჴ-სა და ცალს ძალა-ს შეიცავს, ცალი უართრონოდ ალის კიდევაც წარმოდგენილი.

ამნაირად ცხადი ხდება, რომ ცალ-ცალისა და ორ-ორცალის ამსაზრისა თანამედროვე სახელების მიერე ნაწილს ერთის ოდინდელი ამსაზრის ფორმა-თავანი ძალა სრულიად აქვს დაცული. ეს გარემოება უბიხური რიცხვითი სახელების ანალიზის დროს უფრო ცხადი გახდება. მაგრამ, როგორც თავის აღვილას დავრწმუნდებით, ღა მარცვალი შაინც ამ რიცხვითი სახელის ძარეული ნაწილი არ არის.

2. აბხაზური ორი-ს მე XVIII ს.-დროინდელი ნამდვილი გამოთქმის გაგებას გვლდენს მტუდტის ჩახაწერის გაურკვეველობა აძნელებს. სამხრეთ-დასავლურისაცა და ჩოდილო-აღმოსავლური დიალექტისათვის ერთნაირად ნახს აქვს აღნიშნული, მე-XIX ს.-ში და ეხლა-კი ჴბა ეწოდება. თუმცა გვლდენს-

¹ აბხაზურში ერთისათვის წინათ ჴა-ს არსებობის კვალი G. Dumézil-საც აქვს თავისს 1932 წ. გამოქვეყნებულს ნაშრომში „Études comparatives sur les langues caucasiennes du Nord-Ouest“ (გვ. 124) შეტანილი, მაგრამ ნან არაფერი იცის გვლდენს მტუდტის ორნაწერში დაცული ფორმის შესახებ.

დეტრის ჩანაწერში გ-ს გამოხატავად არის ნახმარი, მაგრამ ხშირად ლ-ს ამავე ასოთი აქვს გამოხატული¹.

გვლდენშტედტის ჩანაწერის ორი-ს Guba რომ თანამედროვე გამოთქმას შევუფარდოთ, მაშინ G ზგერის გამოხატულებად უნდა ვიცნაოთ. კაცის აბზაზურ სახელადაც ამავე ავტორს Agya და Gy აქვს ჩაწერილი, ეხლაც კაცს ა-ოჯჯ ეწოდები.

აქაც მაშასადამე ვ თანამედროვე ზ-ს უღრის. მაგრამ ეს ზ ბგერა, უსლარის დახასიათებით, ფრანგული le-ს ყრუ e-სა და ფრანგული un-ის u-ს შორის შეუალედი ბგერაა (იხ. აბზ. გ. 12.). უსლარის ავე სიტყვით, ამ აბზაზურ ბგერას თურმე ოდნავი ხორხისმიერი მშინვარებაც ახლავს. ამ აღწერილობა-დახასიათებისდა მიხედვით ზ დაახლოებით მეგრულ-ქანურ-სვანურ ზ-ს მიაგავს. ასეთი ბგერა-კი გვლდენშტედტის ჩანაწერში¹ აპოსტროფით არის გამოხატული (ქართული სიტყვებისათვისაც-კი აქვს გამოყენებული, მაგ. Ta'wisi, Rts'e, K'ide, ჩაჩურისთვისაც, მაგ. ერკენალი Kae' Ar'he' და სხ.). ამიტომ საფიქრებელია, რომ აბზაზური ორის თავიიღური ბგერის ხორხისმიერობა მე-XVIII ს.-ში აწინდელზე გაცილებით უფრო მკაფიოდ და ძლიერად იშმოდა. სწორედ ამ მოსაზრებით ვხედიმძღვანელობდი, როდესაც 2-ის, 20-ისა და მათგან წარმოები რიცხვითი სახელების გვლდენშტედტის G-ს გამოხატულებად მივაჩნიე, თუმცა შესაძლებელია ვერც ეს ბგერა იყოს ნისი მაშინდელი თვისების მარჯვე გადმოცემა.

რაკი 2—10-მდე ყველა რიცხვ. სახელებს ბოლოში ბა მარცვალი აქვთ, ცხადია, იგი ძირეული არ არის, არამედ, როგორც ცნობილია, ამჟამად იგი არაგონიერ არსებათა მაუწყებელ ბოლოხართად არის ქვეყლი. მის თავდაპირველ დანიშნულებაზე-კი შემდეგ თავის ალაგას გვექნება საღმარი.

ამაირად, ორის ცნების გამოხატველი ამჟამად ზ არის, წინათ, მე-XVIII ს.-შიც-კი ლ-ს მხგავსი მარცვალი ყოფილა. ასევე არ არის 12-ში 2 დაცული, სადაც მე-XVIII ს. უსმოგნო ლ არის მხოლოდ აღნიშნული (ბეულ—ბეულ (10)—ლ (2), თანამედროვეში პირიქით ბოლოში ა ხმოვანი ჩნდება და უკვე ზა არის (ესა (10)—ზა (2)).

20-ის საშრეთ-დასაველურ სახელად გვლდენშტედტს ლოშა (Goshia) აქვს ჩაწერილი. ეხლაც-კი ზეჟა ეწოდება. ეს სახელი 2-ის (ლო, გე) და 10-ისგან (გა, ესა) შესდგება და თავდაპირველად ორი ათეულის აღნიშნული ყოფილა. მაშასადამე, 2-ის სახელი 20-შიც უცვლელად ყოფილა მე-XVIII ს. დაცული, სამაგიეროდ თანამედროვეში 2-ი, ცალკეული ზ-ს და 12-ის გა-ს მაგიერ, ზე-ს საბით გვევლინება.

საგულიხზოა, რომ 30-ის, 40-ისა, 50-ის და 200-ის სახელებში 2-ის უკვე უ-ხმოვანა ფორმა ლუ გვაქვს, ლ-ს მაგიერ, იმისდა მიუხედავად, რომ ასეთი ცვლილებებისათვის ასიმილაციის არავითარი გავლენის დამოწმება არ შეიძლება.

¹ მაგ. ვსი. თეგობარი, schemadgoma, მაგ. გომი ღომი, ძვე დღე, გამე დამე, მაგლა მალ-ლა.—გაბარდოელის ჩანაწერებშიც: goschek შარვალი=ღონშეგ-ს, ტანისამოსი schidun=სულტ-ს თოფის წამალი gin=ლინ-ს, რკინა gutsch=ლუწ-ს, გზა gik=ლოგტ-ს, მუე ძიგვა=დგდა-ს, გაზაფ, ხული gatche=ლატბე-ს, ბრამე ondog=ონდელუ-ს, მშიშარა karabga=კარაბლა-ს და სხვ., თუმცა ლ-სთვის გ' ნიშნობი დაწერილობაც აქვს გამოყენებული (მაგ. ძეგეს დღეს, გ'ილი ღილი, ძეგ'ი ძალი, გ'ია ღია, გ'იზი ღორი).

ზემოაღნიშნულიდან და დასახელებული მაგალითებიდან ცხადი გახდებოდა, რომ, თუ აბხაზურში 2-ის თავკიდური ხორჩისმიერი ბგერა მე-XVIII ს. დამლევს საკმაოდ მკაფიოდ ყოფილა საგარძნობი, შემდეგში მისი ხორჩისმიერობა ისე შესუსტებულა, რომ მ-დ ქცევასთან ერთად ოდნავი ფშვინვარების სახით-ღა შერჩენილა. ცხადია, რომ ეს ბგერა უკვე გაქრობაზე იყო მიმდვარი. ამ მხრივ საკულისხმოა, რომ 60 და 30-ის თანამედროვე აბხაზურ სახელებს ორნაირად ხმარობენ და 60 ამბობენ ხგნგეჟა-საც (ხგ+(3)+ნ (=ქველ ქართ, მე-ს და თანამედრ. მ-ს)-+გეჟა (20) და ხგნგეჟა-საც, ამგვარადვე 30 გამოითქმის ფშვინგეჟა-დაც (=ოთხ-მე-ოცს) და ფშვინგეჟა-დაც, ე. ი. მარალელური ფორმების ოცის საბელში 3 ბგერა ამჟამად უკვე ხრულვებით უკვალად არის გამკრალი.

3. აბხაზური 3-ს სახელი საკმაოდ კარგად არის დაცული, მეტაფრე მისი თანხმოვანი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში ოდნავადიც არ შეცვლილა თანამედროვე აბხაზურში ხამს ხფს ეწოდება (უსლარისაცა და ს. ჯანა-შიას ჩანაწერთაც, ასევე აქვს დირრსაც). მაგრამ ნ. შარჩის ლექსიკონში ხფს-ა დაბეჭდილი (ძ. რე.-აზგ, იბრ. ცი. რუი) არავინიერთა აღსანიშნავად და ხგგკ გონიერითიც.

უკანასკნელი ცნობა უფრო ზედმიწევნითა უნდა იყოს, რათვან ყველა ამ ძირთა ჩანაწერით 60-ს, რომელიც ხამ-მე-ოც-სა ნიშნავს, ხგნგეჟა ჰქვიათ. აქაც ხამი ხგ-ს სახით არის წარმოდგენილი ისევე, როგორც ხგშ-ის, 300-ის, სახელშიც.

ყველა ზემომოყვანილის მიხედვით საფიქრებელი იყო, რომ სბმის აღმნიშვნელ აბხაზურ ძირად ხგ უნდა ყოფილიყო მიჩნეული, რომელიც მართლვად ხ თანხმოვნის სახითაც ჩანს.

მაგრამ საკულისხმოა, რომ მე-XVIII ს. აბხაზური ორივე დიალექტის ხამის სახელად გვლ დენ შტედტს ხეპა აქვს ჩაწერალი, პოლო 60-ის ბინდოზა-ა და 300-ის, ბიბშ-ის სახელებში ხამის აღმნიშვნელი ძირი, ხე-ს მავიერ, ხი-ს სახითაც გვავლინება.

ამნაირად ირკვევა, რომ, თუ გერმ. მეცნიერის ცნობით სბმის ძირად უნდა 60, ანდა ხმ ვიფულისხმოთ, თანამედროვე ჩანაწერებით ძირად ხგ და ხ-ც კი ვაშოდის. როგორ უნდა აფხნათ ცნობათა ასეთი სხვადასხვაობა? აქ ხომ უბრალო გაუგებრობა და შეცდომა არ არის: ეგების გვლ დენ შტედტ-ში მისთვის უცხოა ბგერა გ გერ ვაარჩია, ანდა ასოთი მისი ზედმიწევნით გამოხატვა ვერ შესძლო და ერთ შეწბევაში ე-დ მოესმა, ან დაქასწერა, მეორეში ი-დ?

არაფითარი საფუძველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ გვლ დენ შტედტის ჩანაწერში აქ ან რაიმე შეცდომა იყოს შეპარული, ან გაუგებრობის შედეგი გქვინდეს. ხამის აღმნიშვნელი თანხმოვანი ხ რომ არამც თუ ი და ე ხმოვანით, არამედ ა ხმოვნითაც ყოფილა, ამას ცამეტის აღმნიშვნელი თანამედროვე აბხაზური უახა-ც ამტკიცებს, რომელშიც ხამი ამ სიტყვის სწორედ პოლოკიდური ხა მარცვლით არის გამოხატული.

4. გვლდენშტედტს ოთხის სახელად აბხაზურს ორსავე დიალექტში ბშიბა აქვს ჩაწერილი. რაკი ბა ფორმანტია, ოთხის გამომხატველი ძირი თითო-ცოს ბში გამოდის. აღსანიშნავია, რომ იმ დროს, როდესაც ჩადალი-აღმოსავლურ ანაბურბა მშ-ის სახელს ბჟინდოზა-ში ოთხი ბჟი-ს სახით ყოფილა წარმოდგენილი ე. ი. თავიკიდური თანხმოვანი უცვლელად ყოფილა დაკული, მომდევნო შ-ი უკვე ჟ-დ ქცეულა, ამავე დროს პირიქით სტრუქტურ-გისაღუტა დააღუტა ოთხმოცისავე სახელს ბჟინდოზა-ში, რომელიც ოთხ-მ-ოც-ს უდრის, ოთხი უკვე პში-ს სახით გვევლინება, ე. ი. თავიკიდური მეტრო ბ ყრუ ბ გვერდ არის შენაცვლებული, მომდევნო შ თანხმოვანი-ი აქ მეუცვლელი დარჩენილა, ამაირად ოთხის ძირი ბში-ს, ბჟი-სა და ბში-ს სახით ყოფილა ცალკეულბა და რთულ რიცხვითს სახელებში წარმოდგენილი.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ 14-ის, სამხრეთ-დასავლურ სახელს შიბშ-სა და ჩრდილო-აღმოსავლურს ბიშშ-ში, რომელთა პირველი პარცელის ჩაწერილობის სისწოთე ცალკე უნდა იქნეს განხილული, რუსის ძირი უკვე სრულებით უბმოვნოდ, ბშ და ვშ-ს სახითაც, გვევლინება.

თანამედროვე აბხაზურად ოთხი არის ფშბა, 14-ი ფრფშე და მშ-ი ფშგმ-ზეუა, ე. ი. უველგან ფშე ძირია.

საფიქრებელია, რომ ამ ძირის ეხლანდელი შერბილებული შ, შე, მე-XVIII-ს. არიებული ში-ს ზედებს წარმოადგენს. იბმოვნის ა-დ ქცევისა და შ თანხმოვანთან ერთ ბგერად, ში-დ, შერწყმისა და ქცევის პოლიცი ნაწილობრივ უკვე მე-XVIII-ს-შივე დაწყებულა, როგორც ეს 14-ის სახელში მყოფი მაშინდელი ბშ ცხად-ჰყოფს, რომლის ბოლოკიდური შ უმკველია შერბილებული იქნებოდა. მაგრამ გვლდენშტედტის ჩანაწერში ეს გარემოება აღბათ იმიტომ არ არის აღბუქდილი, რომ ამის გამოსახატავად შესაფერისი ნიშანი არ გააჩნდა.

იჩინდა მიუხედავად, რომ წინანდელს ბშიბა-ს და თანამედროვე ფშბა-ს ბოლოში ბა ფორმანტი ახლავს და ახლდა წინათაც, ბში-სა, პში-ს და ფშ-ს თავიკიდურს ბ, ფ და პ-ც ძირეული უნდა იყოს, თუ არა, ამავე შემდეგში გვექმნება ცალკე საუბარი.

5. ხუთის აბხაზური სახელი საუკუნეთა განმავლობაში კარგად არის დაცული. გვლდენშტედტს ორივე დიალექტისათვის ხუბა აქვს ჩაწერილი და ასევე იყო შემდეგშიც, ეხლაც. ანაირადვე გამოითქმის, როგორც ეს უსლარისა და ს. ჯანაშიას ჩანაწერებითგან ჩანს. ასევე ხუ-დ არის დაცული ხუთი, თხუთმეტის აწინდელ სახელს ჟუხუ-შიც. ნ. მარტის-ი 5-ის სახელად ლექსიკონში ვუბნ მოეპოვება, რომელიც ეტყობა დიალექტური ფორმა უნდა იყოს, რის კვალი ნაწილობრივ მე-XVIII-ს-შიც მოჩანს.

ზემომოყვანილი ცხად-ჰყოფს, რომ ხუთობის გამომხატველი აბხაზური ძირი ბშ ყოფილა. მაგრამ საყურადღებოა, რომ გვლდენშტედტის ჩანაწერში ორივე დიალექტის 15-ის სახელად აღნიშნულია ზუხ, რომელშიც ხუთი მხოლოდ ერთი ბგერით, ხ თანხმოვნით-ლა, გვევლინება. შესაძლებელია მაშინაც აქ ხ-ს შემდგომ, ნ. მარტის ჩანაწერის 5-ის მსგავსად, ე ისმოდა კიდევაც, მაგრამ ეს სუსტი ბგერა გერმ. მეცნიერის ყურითაშენას გამოეპარა, აქეთგან ჩანს,

რომ უ ხმოვნის გაქრობის პროცესი, რომელიც დასრულებული არ არის, მე-
XVIII ს.-შიც უკვე საგრძნობი ყოფილა.

რ. გვლდენშტედტის ჩანაწერში, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, ექვსის აბხაზური სახელი გამოტოვებულია. მხოლოდ თექვსმეტის სახელისდა მიხედვით უნდა (სამხრეთ-დასავლურად) უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ექვსის აღმნიშვნელ ძირად მე-XVIII ს.-შიც უკვე უ თანხმოვანი იყო ქცეული. ცნობილია, რომ თანამედროვე აბხაზურშიც ნ-ს ეწოდება დაბა, 16-ს უნდა და 600-ს დაგურ. პირველს ორ შემთხვევაშიც და-ა ძირად, უკანასკნელში დაგ.

ზემომოყვანილისაგან სრულებით განსავსებული სიტყვა აქვს გვლდენ-
შტედტს ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტის რიცხვით სახელებში ექვსისა-
თვის ჩაწერილი: Shits. გერმ. მეცნიერს ts ასოთა კომპლექსი ჩვეულებრივ ც
ბგერის გამოსახატავად ჰქონდა ხოლმე ნახმარი, მაგრამ აქა-იქ ძ-სა და წ-ს აღ-
სანიშნავადაც უხმარია. ამნაირად 16-ი ჩრდილო-დასავლურ აბხაზურად უიც-ად,
ინდა უკიდურეს შემთხვევაში უიწ-ად უნდა ვიგულისხმოთ. თუ აქ შეცდომა
არ არის შეპარული, მაშინ ამ დიალექტის ნ-ის ძირად უნდა ც მივიჩნიოთ.

შ. მე-XVIII ს. ჩანაწერით სამხრეთ-დასავლურად შვიდი ბიშბა, ჩრდილო-
აღმოსავლურად კი ბჟიბა ყოფილა. ორივე დიალექტის 17-ის სახელად-კი უიბშ-ია
მოყვანილი.

თუ ბიშბა კორექტურული შეცდომის ნაყოფი არ არის, მაშინ ბიშ აღვილ-
მონაცვლებით იქმნება ბში-საგან წარმომდგარი, რათგან 17-ის სამხრეთ-დასავ-
ლურ სახელშიც 7 ბშ-ს სახით გვევლინება. რაკი ორივე დიალექტის 17-ში
შვიდი ბშ კომპლექსად არის დაცული და ამავე რიცხვის სამხრეთ-დასავლურ
სახელშიც მეორე თანხმოვანი უ-კი არა, არამედ შ ყოფილა, ამიტომაც შვიდის
აღმნიშვნელ აბხაზურ ძირად უნდა ბში მიგვეჩნია, ბჟი მისი მერმინდელი შენა-
ცვლებული ფორმა უნდა იყოს.

თანამედროვე აბხაზურში 7-ს ბჟება, 17-ს უიბჟე და 700-ს ბჟეშუჯ, ან და
ბჟეშუ ეწოდება. ამნაირად ყველგან შვიდის ძირად უკვე ბჟე არის გაბატო-
ნებული, რომელიც უკვე მე-XVIII ს. აღბეჭდილი ჩრდილო-აღმოსავლური ბჟი-
საგან არის წარმომდგარი.

ბოლოკიდური ი ხმოვნის გაქრობის პროცესი უკვე იმ დროსვე ყოფილა
დაწყებული, როგორც ამას 17-ის სამხრეთ-დასავლური სახელი უიბშ-იც ცხად-
ჰყოფს. შესაძლებელია უკანასკნელი თანხმოვანი მაშინაც შ-დ გამოითქმოდა.

ყველა ზემონათქვამის შემდგომ შვიდის აბხაზურ ძირად თითქმის ბში
უნდა გვეცნა, მაგრამ, იმისდა მიუხედავად, რომ 7-ს ბშიბა ჰქვია და ბოლო-
ში ისედაც ბა ფორმანტი უზის, მაინც თავკიდური ბ-ც, ისევე როგორც ოთხის
სახელშიც, ძირეული არ უნდა იყოს.

შ. აბხაზური ორივე დიალექტის რვის სახელად გვლდენშტედტს
ახბა აქვს ჩაწერილი, მაგრამ 18-ის სამხრეთ-დასავლურს სახელს შა-ში რვის ხ
ბგერა უკვე გამქრალია და მხოლოდ ჩრდილო-აღმოსავლური დიალექტის 18-ს
ხახ-ს ჰქონია ეს თანხმოვანი დაცული. ბა ფორმანტის ჩამოცლის შემდგომ,
რვის გამომხატველ აბხაზურ ძირად ახ და ხ გვჩნება.

თანამედროვე აბხაზურად 8-ს ააბა, ანუ, აბა, 16-ს უაა და 800-ს აააა ეწოდება. ყველგან რვის ძირად უკვე ა არის ქცეული.

9. მე-XVIII ს. ჩანაწერში ცხრის აბხაზური ორივე დიალექტის სახელად იშბა არის ჩაწერილი, რომელშიც ცხრის ცნების გამოხატეელი იშ-ია. მაგრამ 19-ს მაშინვე ორსავე დიალექტში თურმე შაშ-ი პრქმევია. აქ ცხრის აღმნიშვნელად უკვე გშ გამოდის.

თანამედროვე აბხაზურად 9-ს უაბა-ს, 19-ს ზეაჟ-სა და 900-ს უააა-ს ეძახიან, ე. ი. ყველგან ძირად უა ჩანს.

10. გვლდგნშტედტის ცნობით, მე-XVIII ს. სამხრეთ-დასავლურ აბხაზურად ათს უაბა სწოდებია. ჩრდილო-აღმოსავლურად-კი ზაბა არის ჩაწერილი. აქ აშნაირად 10-ის აღმნიშვნელი ძირია ორი ფონეტიკური სახესხვაობა უა და ზა გვაქვს. საგულისხმოა, რომ, თუშცა სამხრეთ-დასავლურ დიალექტში უ სახესხვაობა სქარბობდა, — მაგ. 11-ში ბუაბა, 12-ში ბუულ 13-ში უაბ, 16-ში უაფ, 17-ში უაბშ, 18-ში უა და 19-ში უეფშ, — და ბუა, ბუ, უა, უი და უ-ს საბით გვევლინება, მაგრამ იქაც ამათთანვე ზა ან და ზ სახესხვაობაც მოიპოვებოდა. მაგ. 15-ში ზუბ და შეტადრე 40-ის ლუხლოზა-ს, 50-ის ლუხლოზა შები-ს, 60-ის ხინლოზა-ს, 70-ის ხინლოზა შები-ს, 80-ის კჟინლოზა-სა და 90-ის კჟინლოზა შები-ს სახელებში.

ანგვარადვეა ჩრდილო-აღმოსავლურ დიალექტშიც, სადაც ათისათვის ზა ძირია გაბატონებული, — მაგ. 11-ის ზუბის, 12-ის ზუგ, 13-ის ზაგ, 15-ის ზუბ, 19-ის ზაბ და შემდეგ 20-ითგან მოყოლებული — ლოზა — ყველა ოცეულ-ათეულში, სადაც, ან ზა-ს, ან და ზაბა-ს სახითაა წარმოდგენილი. მაგრამ მაინც უ სახესხვაობის ძირი აქაც გვხვდება, — მაგ. 16-ის უიც, 17-ის უიბშ და 19-ის უეფშ სახელებში.

თანამედროვე აბხაზურად 10-ს უაბა ეწოდება და ათითგან მოყოლებული ყველა რიცხვითს სახელებში, რომელშიც ათის სახელი შედის, ურის გბრდა, ე გვხვდება უა ძირის ასეთი უცვლობელი ბატონობის გამოცა და იმიტომაც, რომ ეს სახესხვაობა საკმაოდ ხშირად გვხვდება, იქნებ ზა სახესხვაობა 10-ისათვის გერმან. მეცნიერის ჩანაწერის შეცდომის, ანდა გაუგებრობის ნაყოფს წარმოადგენდეს, ან ეგების კორექტურული შეცდომა იყოს და ამის გამო უნდა უარყოფილ და სამეცნიერო კვლევა-ძიებისათვის უვარჯისად იქმნეს ცნობილი. ასეთი მსჯელობა და დასკვნისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს.

თვით თანამედროვე აბხაზურის 19-ის სახელი ზეაჟ-იც, რომელიც 10-ის აღმნიშვნელი ზე-სი და 9-ის უა-საგან შესდგება¹, ზ სახესხვაობის ძირის წინათ აბხაზურში არსებობისაც ათისათვის უცვლობელი მოწმეა. როგორც ზეაჟ 19-ის სახელი მცდარი-კი არა, არამედ ყველა მკვლევართა ჩანაწერებში აღმტკდი-

¹ G. Dumezil-ი (იხ. Etudes compar. გვ. 127) ფიქრობს, რომ ზეაჟ-ის ზ დისიმილაციის წყალობით არის ეეაჟ-ისაგან წარმოშდგარი. თანისი ამ დებულების დასაბუთებლად მას შეეძლო მე-XVIII ს. ჩანაწერის 19-ი შაშ-ი (დაეშოწმებია, გვლდგნშტედტის ნაწრობის არსებობა რომ არ გამოჰპარვოდა. მაგრამ ამავე მეცნიერის ცნობაში ზ ძირითაი 19 ოცეულით სახელის არსებობა, რომელშიც არავითარ დისიმილაციასზე არ შეიძლება იყოს საუბარი, დაარწმუნებდა, რომ მისი მოსაზრება მცდარია.

ლი სრულებით უცილობელი ფორმაა, ისევე არც რაიმე საფუძველი, არც უფლება გვაქვს მე-XVIII ს. ჩანაწერის ზემოძოყვანილი რიცხვითი სახელების სისწორე უარვეყოთ და არ გამოვიყენოთ. მაშასადამე, მე-XVIII ს. და შემდეგ ს.ს.-ში ათის აღმნიშვნელი ძირის ორი, ზა, ანუ ზ და ჟა, ანუ ჟ, სახესხვაობა გვაქვს, რომელთაგან დროთა განმავლობაში მეორე სახესხვაობა იმარჯვებს.

მაგრამ სამხრეთ-დასავლური აბხაზური 50-ისა, 70-ისა და 90-ის მე-XVIII ს. ჩანაწერში აღბეჭდილი სახელები ლუნლოზა შაბი, ხინლოზა შაბი და ვშინლოზა შაბი-ს ათის აღმნიშვნელი შაბი, რომელიც ში ძირისა და ში ფორმანტიისაგან შესდგება, სრული უექველობით ამტკიცებს, რომ მე-XVIII ს.-ში ათის აღმნიშვნელი ძირის შა-ს ანუ შ-ს ოდინდელი არსებობის ნაშთიც შერჩენილი ყოფილა.

ამნაირად გამოირკვა, რომ აბხაზურს დროთა განმავლობაში 10-ის ძირის შ, ზ და ჟ სახესხვაობა ჰქონია, რომელთაგან პირველი მე-XVIII ს.-ში ოდნავდა ყოფილა შენარჩუნებული, მეორესა და მესამეს შორის-კი მაშინ ბრძოლა ყოფილა, რომელიც მე-XIX ს.-ში უკვე უკანასკნელი სახესხვაობის გაბატონებით დამთავრებულა.

აღსანიშნავია, რომ სამხრეთ-დასავლური დიალექტის 71-ის მშასა-სა და 12-ის ბჟულ-ის სახელებში ათის აღმნიშვნელ შა და შუ-ს წინ მ თანხმოვანი უხის, რომელიც ამ რიცხვითს სახელს სხვაგან არ-სად უჩანს. ცხადია, რომ იგი ძირეული არ არის, არამედ ფორმანტია.

მეორე ათეულის აბხაზური რიცხვითი სახელები ათისა და ერთეულების შეკავშირებით არიან ნაწარმოები. ორ-სამ შემთხვევაში (11-ისა და 17-ის, ეგების 14-ისაშიც) ათეულსა და ერთეულს შორის თითქოს ი კავშირი მოჩანს, მაგრამ, რაკი სხვაგან ეს ბგერა აო მოიპოვება, ამ საკითხს ჯერ კიდევ გამოიკვება სჭირდება.

მკვლევართა შორის (უსლარი, დიორი, დემეზილი) განმტკიცებული იყო აზრი, რომ აბხაზური რიცხვითი სახელები ოცეულობითს თვლაზეა დამყარებული. რა თქმა უნდა, უფრო ზედმიწევნითი იქნებოდა, რომ ათეულ-ოცეულობითად ყოფილიყო სახელდებული. მაგრამ ოცის სახელის ზემოძოყვანილმა ანალიზმა (იხ. გვ. 264-5 და 268) დაგვარწმუნა, რომ ამ რიცხვის სახელი (ლმ. + ზბ, ან ჰბ ზ-ჟა) ორი ათის აღმნიშვნელი ყოფილა. ეს გარემოება უცალობლად ამტკიცებს, რომ აბხაზური რიცხვითი სახელები თავდამირველად ათეულობითს თვლაზე უნდა ყოფილიყო დამყარებული და ოცეულობითი თვლა შემდეგში ვაჩენილი იქნება.

40, 60 და 80-ი, ძველი ქართულის მსგავსად, ორ-მე-ოცის, სამ-მე-ოცის და ოთხ-მე-ოცის აღმნიშვნელებია, რომელიც თანამედროვე ქართულში ორმოცადა, სამოცადა და ოთხმოცადა არის უკვე ქცეული. გვლდენშტკტის ჩანაწერით 40 ლუნლოზა, 60 ხინლოზა და 80 ვშინლოზა და ვშინლოზა ყოფილა. ერთეულებისა და ოცეულის რიცხვებს შუა მ თანხმოვანია, რომელიც ჯერადობის გამოხატველი ნაწილაკი ეამოდის. ნ. მარჩის ჩანაწერთაც ეხლა 40 ზგნჭაჟა (ზგნჭაჟა ?), 60 ხენჭაჟა და 80 ფშენჭაჟა არის წილებული, ე. ი. ჯერადობის გამოხატველ ნაწილაკად ეხლაც მ ბგერა ჩანს, მაგრამ საკულისხმოა, 18 ივ. ჯავახიშვილი

რომ ს. ჯანაშიას ჩანაწერთგან ირკვევა, რომ 40-ს ზღნეთა, 60-ს ხგნგეთა და 80-ს ფშგნგეთა-ც სწოდებია. ეს აბხაზური თანამედროვე დიალექტური ფორმები იმ მხრივ არიან განსაკუთრებული ყურადღების ღირსი, რომ აქ (40-ში) ჯერადობის ნაწილაკი ზემომოყვანილზე უფრო ხრულად ნმ-ს სახით არის დაცული.

50, 70 და 90-ი ორმოც ათსა, ხაშოც ათსა ნიშნავს. შუაში მათ კავშირი არა აქვთ, ახე ყოფილა მე-XVIII ს.-შიც და ასეა ს. ჯანაშიას ჩანაწერით ესლაც. ნ. მაროსაც 50-ის უკავშირო ფორმა მოეპოვება, მაგრამ 70-ისა და 90-ის სახელებში აკავშირი ჩანს (ხგნგჳყუჯა ეიაბა და ფშგნგჳყუჯა ეიაბა) ისევე, როგორც 30-ის გჳყუჯა ეიაბა-შიც, რომელიც აკავშირიანი ფორმითაა ს. ჯანაშიას ჩანაწერშიც. ილსანიშნავია, რომ გჳლდენშტედტის ჩანაწერშიც 90-ის ჩრდილო-დასავლურს სახელს ბჳინდოჳი ზაბა-საც შუაში ი ხმოვანი აქვს, რომელიც უნაკველია იგივე აკავშირი უნდა იყოს.

100. მე-XVIII ს. ასის სამხრეთ-აღმოსავლურ სახელად ზჳმ არის ჩაწერილი, რომელშიც ძმ არაგონიერ არსებათა რამეს აღმნიშვნელი ბოლოსართი და შ 100-ის გამოშხატეელია. მაშინდელსავე ორასის სახელს ლუშ-შიც იგივე შ გვხვდება, მაგრამ სამასის სახელს ხიბჳუ-ში უკვე შუ მოგვეპოვება.

თანამედროვე აბხაზურად 100-ს შიკჳ, 200-ს ჳგჳ და 300-ს ხეჳ ეწოდება და ყველგან შ არის 100-ის გამოშხატეელი.

საგულისხმოა, რომ ჩრდილო-აღმოსავლურ აბხაზურად მე-XVIII ს. ასს ზჳმ ჰრკმეფია. კე რამეს აღმნიშვნელი რიცხვითი სახელების აბხაზური ფორმანტია, 100-ის გამოშხატეელი-კი ჳ ბგერა ყოფილა.

200-საც იქვე და იმავე დროს ლუჳ, ხოლო 300-ს ხეჳ სწოდებია. ლუ 2-ს, ხე 3-სა და ჳ აქაც 100-ის აღმნიშვნელია.

ამავე მე-XVIII ს.-ში აბხაზურს ორსავე დიალექტს 1000 სახელად ზჳჳი ჰქონია. ესლა ჳჳჳი, ჳჳჳი, და ნ. მაროს ლექსიკონის თანახმად, ჳჳჳ და ჳგჳ-ც ეწოდება.

ასის გამოშხატეელი სამხრეთ-დასავლური შ, ანუ ში და ჩრდილო-აღმოსავლური ჳ ძირები ისევე, როგორც 1000-ისათვის ჳჳჳი, ანუ ჳჳჳი, თუ ჳგჳ ერთი შეხედვით შესაძლებელია ეუცხოვოს აღამიანს და გაუგებრად ეჩვენოს კიდევაც¹. მაგრამ მას შემდგომ, რაც აბხაზური რიცხვითი სახელების ანალიზმა დაგვაბრძუნა, რომ მე-XVIII ს.-ში შერჩენილი ყოფილა ნაშთი, რომლითგანაც ცხადად ჩანს, რომ ათის აღსანიშნავად აბხაზურს წინათ შ ძირიც ჰქონია, 100-ის სახელი უკვე განმარტოებულად არ გვეჩვენება, მით უმეტეს 1000-ის ჳ ძირი არაფერს არც განცალკევებულს, არც ბუნდოვანსა და განუმარტავს რამეს წარმოადგენს.

სრულებით ბუნებრივია, და ამის მაგალითს შემდეგ ჩვენც ვნახავთ, რომ 100-ი ათი ათისა და 1000-ი ათი ასის გამოშხატეელი იყოს, უკანასკნელის დასამტკიცებლად ქართ, მკითხველისათვის ჯერჯერობით ჩვენი ათ-ასი-ც კმარა.

¹ როგორც მაგ. დგმეხილს დაემართა, რომელიც 1000-ის აბხაზურ სახელს განმარტოებულად და გაუგებრად სთვლის (იხ. Etudes comparatives, გვ. 128).

ამიტომაც საფიქრებელია, რომ ასი აბხაზურად **შჰჰჰ** და **ჴჴჰჰ** (შესაძლებელია შუა ხმოვნითურთ) იქმნებოდა ერთსაცა და მეოთხე აბხაზურს დიალექტში და მხოლოდ დროთა განმავლობაში ექმნებოდა თავკიდური ბგერა ჩამოცილებული. ათი ასის აღმნიშვნელს სახელსაც ამნაირადვე უნდა ჰქონდეს 10-ის აღმნიშვნელი თავკიდური ნაწილი დაკარგული.

რაკი 20-ის სახელი ათეულობითი აღრიცხვის სისტემაზეა დამყარებული და ორი ათის აღმნიშვნელი სიტყვაა და 100-იც ისევე, როგორც 1000-იც, თავდაპირველად ამავე სისტემის სახელები უნდა ყოფილიყო, ამიტომ ცხადია, რომ წინათ 30, 40, 50, 60, 70, 80, 90-საც სხვანაირი სახელები უნდა ჰქმნებოდათ და სამი ათის, ოთხი ათის, ხუთი ათის, ექვსი ათის, შვიდი ათის, რვა ათის, და ცხრა ათის აღმნიშვნელი იქმნებოდნენ.

§ 2. უბიხური რიცხვითი სახელები

ტშა და ტშა რომ ამ თვალსაზრისით და აგებულების მხრით განეხილოთ, შესაძლებელია იფიქროს ადამიანმა, რომ თავკიდური ტ და თ აქ იტტ-ის, იტ-ისა და ით-ის, ე. ი. ათის ნაშთია. თუ ეს მცდარი აზრი არ არის, მაშინ შა უნდა ორხა ნიშნავდეს. მაგრამ ამ მოსაზრებას ის გარემოება ეღობება წინ, რომ ჩაჩნური თვლის სისტემის მიხედვით ერთეულების რაოდენობის აღმნიშვნელი სახელი ყოველთვის ათეულის სახელს უძღვის წინ. ამიტომაც უფრო საფიქრებელია, რომ ლილღური ენების ორათის აღმნიშვნელ სახელშიც პირველი ადგილი სწორედ ორს ჰქონოდა. ამ შემთხვევაში უნდა გვეფიქროს, რომ თავკიდური ტ ორის სახელის ნაწილია და ტშა მთლიანად ორხა ნიშნავს. მაგრამ აქაც ორი დაბრკოლებაა: თუ ტშა ორხა ნიშნავს, მაშინ ათის აღმნიშვნელი მეორე ნაწილი დაკარგულად უნდა ვიგულისხმოთ, უმთავრესი-კი ის არის, რომ ორის ტშა-ს მსგავსი უფორმანტო შა სახელი არც ლილღურ ენებს უჩანთ და არც ჩრდილო-დასავლურ ენებს, სადაც ტშო და ტშუ-ა მხოლოდ.

მაგრამ შა რომ ტშა-ში შესაძლებელია მართლაც ორხა ნიშნავდეს, ამის დამადასტურებელ უცბადესს საბუთს სამაგიეროდ დალისტნის მონათესავე ლეგურ ენათაგან ფილიჟია გვაძლევს, რომელშიც ორს უანო ეწოდება. ნო დიდოურში რიცხვითი სახელების ჩვეულებრივი დაპოლოებაა, ამიტომ ის ძირისეული არ არის და დიდოურ ორის აღმნიშვნელ ძირად მხოლოდ შა გვჩნება. ჩაჩნური ტშა-საგან იგი მხოლოდ თავკიდური ტ-ს უქონლობით განირჩევა, უნასუთი 2-ის ტშო-საგან-კი ეს ლილღურა ფორმა ტშა მხოლოდ თავისი ო-ხმოვნობით განსხვავდება, რაც არსებითს განსხვავებას არ შეადგენს.

თუ ჩვენი ზემომოყვანილი მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ ოცის ლილღურ სახელს თავისი პირვანდელი შედგენილობის ათის აღმნიშვნელი მთელი მეორე ნაწილი მართლაც დაკარგული უნდა ჰქონდეს. საფიქრებელია, რომ, რაკი 20-ი თავდაპირველად 40-ის, 60-ის და სხვათა მსგავსად, ორჯერ ათის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, ამიტომაც ტუაუზიტტ-ი, ანდა ტუაზათ-ი უნდა პრქმეოდა. მას შემდგომ, რაც ორის სახელი, დროთა განმავლობაში, ბევრათა შენაცვლების წყალობით, შაუ-დ და ში-დ იქცა, ამ დროითაგან მოყოლებული ოცის თავდაპირველ სახელს რომ ათის გამოშხატველი ნაწილი მთლიანად დაეკარგა კიდევაც, ამით რიცხვითს სახელებს მნიშვნელობის აღრევის მხრით არაფითარი ზიანი არ მოუვიდოდა, რათვან 2-ისა, 12-ისა და 20-ის სახელების პირველი ნაწილი უკვე მკაფიოდ იყო განსხვავებული. ამ უკანასკნელი გარემოების გამო, ოცის მნიშვნელობის დასახსოვებლად მისი განსხვავებულობაც უკვე

საქირო აღარ იყო და ამ გარემოებასაც შეეძლო იბტ, ით ბოლო-მარცვლის ჩამოკლა-გაქრობისათვის ხელი შეეწყო. ასე იყო, თუ ისე. მაინც-და-მაინც ლეგურა ენების რიცხვითი ხაზელების ანალიზის დროს, თავთავის ადგილას, არაერთხელ დავრწმუნდებით, რომ ოცის სახელს ათის აღმნიშვნელი მეთრე ნაწილი მთლიანად ჩამოცილებული აქვს და მარტო ორის სახელი-ღაა შე-
ჩინილი.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ღილღურს ენებში ორის სხვადასხვა დრო-
ისა და თვისების სახესხვაობა გვაქვს დაცული: ბჰა, ანდა ოჰა, შაუ, შილე,
შია და ში. ის საკითხი, თუ რამდენად და რა გზით იყო ყ-ს შ-დ შენაცვლება
შესაძლებელი, თავის ადგილას ცალკე გვექმნება განხილული.

3. ჩაჩნურად და ქასჯურად სამი XVIII ს.-ში ცალკეულად ვოე ყოფილა,
13-ის სახელში-კი მხოლოდ ვო არის, მაგრამ სამოცის სახელს ვოუჭტყა-ს
სამის გამომხატველად ვოუ აქვს. თანამედროვე ღილღურ ენებში 3-ს ცალკე-
ულად ვჷთა (ჩაჩნ.), ვოგ (ქისტ.) და ვო ეწოდება. 13-ში ჩაჩნურსაც მხოლოდ
ვო აქვს და 60-ში ვჷ. ამგვარიად სამის ძირად უველგან ვო ჩანს.

5. ჩაჩნურა და ქასჯურა ოთხი XVIII ს. 60-ს სახით არის აღბეჭდილი.
უსლარის ჩანაწერში-კი ოთხს ოთხივე სქეს-კატეგორიის ფორმა აქვს: ღიჲ,
შიჲ, ღიჲ, ბიჲ. ცხადია, აქ თავკიდური დ, ვ, ა, ბ სქეს-კატეგორიის აღმნი-
შვნელი თავსართებია. ამგვარადვე, უქველია, გვლდენშტედტის დრო-
საც 60-ში დ ამავე თვისებისა იქმნებოდა, ე. ი. შე-IV სქეს-კატეგორიის ფორმა
უნდა ყოფილიყო. თუ ამისდა მიუხედავად ოთხის სახელად ჩაჩნებსა და ქის-
ტებს XVIII ს.-ში მხოლოდ, ანდა უპირველესად, ეს ფორმა უთქვამთ, ეს იმის
მომასწავებელი უნდა იყოს, რომ მეოთხე სქეს-კატეგორიის ფორმას უკვე იმ
ჩანაწი ზოგადი მნიშვნელობაც ჰქონია მინიჭებული.

დამახასიათებელია, რომ XIX ს. და ეხლა ქასჯურსა და ქაჩურსაც ოთხის
მხოლოდ თითო სახელი (იგ და გიუჲ) გააჩნია, რომელთაც აგრეთვე უველ-
სქეს-კატეგორიისათვის ზოგადი მნიშვნელობა აქვთ.

ოთხის სახელი XVIII ს.-ში 14-ის სახელში, დეიტტე-ში. უკვე ღიე-ს სახით
გვხვდება, ესლა-კი დეიტტე-ა, ე. ი. დე-დ არის ქცეული.

რაკი ოთხის ყველა სქეს-კატეგორიის ფორმას ბოლოს ა უნის და თანაც
ერთხაც (ცაჲ და წაჲ), ორხაც (შიჲ), ხუთხაც (ეხიჲ) მხოლოდ იგივე ბგერა
ახლავს, ამიტომ ცხადია, რომ არც ერთს ამ შემთხვევათაგანში ა არ შეიძლება
ძირეული იყოს, არამედ დაბოლოებაა. მაგრამ, თუ პირველ სამს რიცხვითს
სახელებს თავში არავითარი ფორმანტი არ უჩანს, ოსტინს სახელს ოთხივე
სქეს-კატეგორიის ფორმას თავ-თავისი თავსართგანა ნიშანი (ვ, ა, ბ და დ)
აქვს. ამნაირად, ოსტინს სახელებს თავსართიცა და ბოლოსართიც
გააჩნიათ, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ თავსართები თითოეული სქეს-კატე-
გორიისათვის განსხვავებული აქვს, ბოლოსართი-კი ყველას ერთი-და-იგივე მოე-
პოვება. მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ ა ყველა ღილღურს ენებში მდებრო-
ბითი სქესის ნიშანია და ოთხის ღიჲ-ს ფორმაშიც თავკიდურს ა-ს ასეთივე და-
ნიშნულება აქვს, მაშინ ბუნებრივად დავგებადებთ ეჭვი, რომ ბოლოკიდურ ა-საც

თავდაპირველად ასეთივე წარმოშობილობა უნდა ჰქონოდა და მხოლოდ შემდეგში იქმნება უბრალო, ზოგად დაბოლოებად ქცეული.

აღსანიშნავია, რომ ოთხმოცში, რომელიც XVIII ს. ჩაჩნურად დინუტყა-დ, ხოლო წაჭურად ბეუზტყა-დ არის ჩაწერილი და უსლარს დინუტყა-დ აღუბეჭდია, ოთხი უკვე დინ-ისა, დიე-ს და ბეუ-ს სახით გვევლინება. როგორც თავკიდური და პირველ ორ შემთხვევაში, ისევე, ბ-ც ბეუ-ში სქეს-კატეგორიის თავსართი უნდა იყოს. ამნაირადვე შესაძლებელია დინ-ის ბოლოკიდური ნ-ცა და ბეუ-ს უკანასკნელი ხმოვანიც ამავე თვისების ბოლოსართების ნაშთები იყოს.

5. ხუთი ჩაჩნურად და ქასჭურად XVIII ს. პხი ყოფილა, უსლარსაც ფხიე უწერია ჩაჩნურადათვის, ფხიე ქასჭურასა და ფხი წაჭურის. წოფურის ახის სახელს ფხეუზტყა-ში, რომელიც, როგორც თავის ადგილას განმარტებული იქმნება, ხუთოცს ნიშნავს, ხუთი ფხეუ-ს სახით გვევლინება. საფიქრებელია, რომ მ და ფ აქ ბ-ს ფონეტიკური სახენაცვალი და სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი თავსართი უნდა იყოს. ამიტომ ხუთის აღმნიშვნელ ძირად უნდა ხეუ ვიგულისხმოთ, მაგრამ ბოლოკიდური უ-ს ბუნებაც ცალკეა გამოსარკვევი.

6. ექვსი ჩაჩნურად და ქასჭურად XVIII ს. შემდგომ გარეგნულად არ შეცვლილა და აალხ-ი იყო და არის ეხლაც. 16-შიაც აალხე-ს სახით ყოფილა გვლდენუტედტის დროს წარმოდგენილი, უსლარის ჩანაწერშიც იგივე აალხ-ია და მარტო წოფურშია აეტხ.

7. შვიდი ჩაჩნურად და ქასჭურად ჩანაწერში არის უორ, რომელიც 17-ში უორა-დ გვევლინება. უსლარს ამის მაგიერ ვფორჰ-ი აქვს და ასევეა ეს რიცხვი 17-შიაც წარმოდგენილი. თანამედროვე ქისტურიც ვორჰ-ს ხმარობს და მხოლოდ წოფურშია ვორლა.

8. რვა ჩაჩნურად და ქასჭურად გვლდენუტედტს ბარ-ად აქვს აღნიშნული, 18-ში ბარა-დ გვევლინება. უსლარს ორსავე შესატყვის შემთხვევაში ბარჰ-ი აქვს და მარტო წოფურად ეწოდება ბარლა.

9. XVIII ს. ცხრა ჩაჩნურად და ქასჭურად იშ-ის სახით არის აღბეჭდილი. უსლარს ის-ად აქვს ჩაწერილი, ხოლო ცხრამეტი თყიუნსა-დ გვევლინება. ამ ჩაჩნურისათვის არაჩვეულებრივი წარმოების რიცხვითი სახელის პირველი ნაწილი თჷი რასაკვირველია თჷა, 20 უნდა იყოს. ამის გამო უნდა ვიფიქროთ, რომ 19-ის აღმნიშვნელი თყიუნსა ალბათ 20 ერთ-ნაკლებს უნდა ნიშნავდეს¹. ამის გამო ცხრის პირვანდელი სახის აღსადგენად 19-ის ეხლანდელი სახელი ვერ გამოგვადგება.

სამაგიეროდ გვლდენუტედტის დროს XVIII ს. ცხრამეტი ჩესტე, ანდა ჰესტე ყოფილა. თე აქ უეჭველია იტტმ-ს, ათის, ნაშთია, ჩეს, ანუ ჰეს-კი ცხადად ცხრის აღმნიშვნელი გამოდის და ამ რიცხვითი სახელის იშ-სა. ის-ზე უფრო ადრინდელ სახეობად უნდა ვიგულისხმოთ. საფიქრებელია, რომ იშ და ის უნდა ჩეშ, ანდა ჰეშ და ჩეს ფორმებისაგან იყვნენ წარმომდგარი.

10. ორზე და ოცზე მსჯელობის დროს, ათის ლილღური სახელის შესახებ უკვე იმდენი იყო ნათქვამი, რომ აქ სიტყვის მოკლედაც მოკრა შეიძ-

¹ უსლარს 19-ის აკებულება და პირველადი მნიშვნელობა განმარტებული არა აქვს.

ლება. XVIII ს. ჩაჩნურსა და ქიზურს ჩანაწერებში ცალკეულად აღბეჭდილია იტბ, მაგრამ 11—19-მდე ყველგან იტბე-ა. 19-ს გარდა, სადაც მართო ტე არის. 30-ისა, 50-ისა, 70-ის და 90-ის სახელებში ათი კვლავ იტბე-დ ითქმის.

თანამედროვე ჩაჩნურს აქვს ით, ქიზურს იტ და ქოჯურს იოტ, მაგრამ 11-ისა და 12-ის სახელში ჩაჩნურს ითთე-ა, ხოლო ქისტურად იტბა. საგულისხმოა, რომ 13—18-მდე (უკანასკნელიანად) ბთი ჩაჩნურადაც ყველგან იტბე-ა, ე. ი. სწორედ ისევე, როგორც გვლდენშტედტის XVIII ს. ნაშრომშია აღბეჭდილი. წოფურს ყველგან იოტ აქვს დაცული. საყურადღებოა მხოლოდ 200-ის თანამედროვე ქოჯურს სახელი იწატყ, რომელიც ათოცს ნიშნავს, ისევე, როგორც 300-ის სახელი ფხიწატყ, რომელიც 15 ოცსა ნიშნავს და სადაც ათის სახელი, ჩვეულებრივის მაგიერ, უკვე იწა-ა, მაგრამ წ ორი ბგერის ტ + ზ-ს შერწყმისაგან (იტ-ზ-ატყ, — ფხიიტ-ზ-ატყ) უნდა იყოს წარმომდგარი.

ოცზე უკვე ყველაფერი ნათქვამი გვაქვს და აქ დასამატებელი აღარაფერია.

ჩაჩნური თვლა-აღრიცხვა ათობით-ოცობითი სისტემისაა. რიცხვები 11—19-მდე ერთეულებისა და ათის შეერთებით გამოითქმინან. ამასთანავე ერთეულის აღმნიშვნელი ათისას წინ უძღვის ხოლმე. 30 ტყაიტტე, თფნით, თყნ-იტ და ტყაიატ ქართულის მსგავსად, მაგრამ უკავშიროდ, ოც-ათსა ნიშნავს. 40, 60 და 80-ის სახელებს ყველას მეორე ნაწილად ტყბ, ანუ ტყბ ოცი აქვს და ეს გარემოება ლილლური რიცხვითი სახელებისათვის ოცობითი სისტემის განსაკუთრებულს მნიშვნელობას კარგად ამკლავებს. ოცობითი თვლა შეტადრე წოფურშია გაბატონებული, სადაც ახეულების სახელებიც-კი ამავე წესით არის ნაწარმოები, მაგ.: 100 ფხუზატყ ზეთჯეროცსა ნიშნავს, 200 იწატყ — ათჯეროცს, 300 ფხიწატყ — 15-ჯერ ოცსა, 400 ტყაუზატყ — ოცჯეროცსა და სხვ.

ჯერადობის გამოხატველი ათეულ-ოცეულსაცა და ასეულებშიც ყველგან % არის.

ზემონათქვამისდა მიხედვით შესაძლებელია აღამიანს დაესკვნა, რომ ლილლური ენების თვლა ოცობითი სისტემაზე ყოფილა მალეიანად დაწყარებული. მაგრამ ასეთი ოცობითი თვლა ქართულადაც არის-ხალხში გავრცელებული. მხოლოდ ეს აღრიცხვის შედარებით მერჩინდელი წესია, რათგან ოცის ტყნ-ს ოდინდელი აგებულებისა და ორიათის აღმნიშვნელობის გათვალისწინება უფლებას გვაძლევს დაეასკვნათ, რომ ჩაჩნური, ქისტური და წოფური თვლის თავდაპირველი სისტემაც ოცობითი-კი არა, ათობითი უნდა ყოფილიყო ამის გამოათეულების ყველა (ოცს გარდა) სახელები მერჩინდელ, უკვე ათობით-ოცობითი, სისტემისა და ხანის წარმოებად უნდა მივიჩნიოთ.

§ 2. ლილლური რიცხვითი სახელების ზოგადი დახასიათება

ლილლური რიცხვითი სახელების ანალიზის შემდგომ რომ მათს ზოგადს დახასიათებას შევუდგეთ, უპირველესად მათს მნიშვნელობას უნდა შევხებით. იბერი-კავკასიის ენათა ჩრდილო-დასავლური ჯგუფის რიცხვითი სახელების განხილვის დროს დაკვირვებისა და ანალიზის ობიექტად უხქესკატეგორიის

ენები გვექონდა, ეხლა-კი უკვე სწორედ სქეს-კატეგორიების მტკიცედ მფლობელი ლილღური ენების რიცხვითი სახელების განსილება მოგვიხდა. ყველაზე საყურადღებო ის გარემოებაა, რომ, თუმცა სამსავე ენას სქეს-კატეგორიები ხაუცხოვოდ და შრავლად აქვს დაცული, მაგრამ მაინც, ჩაჩნურს გარდა, არც ერთს რიცხვითს სახელებში სქეს-კატეგორიების ნიშნები არ მოიპოვება. ჩაჩნურსაც მხოლოდ ოთხის სახელისათვის აქვს ოთხი სქეს-კატეგორიის ცალ-ცალკეული ფორმა, ყველა დანარჩენი რიცხვითი სახელებისათვის-კი მარტო თითო ფორმა არსებობს.

რაკი სქეს-კატეგორიების ნიშნები ამჟამად მხოლოდ ჩაჩნურს ვაჩინია და მასაც მარტო ერთად-ერთი რიცხვის სახელისათვის მოეპოვება, შესაძლებელია ეკვი წამოიჭრას, ეგების საერთოდ რიცხვითს სახელებს წინათ სქეს-კატეგორიები არც ჰქონდათ და ჩაჩნურში ეს მოვლენა სრულებით ახალია?

მაგრამ მ. თხის ჩაჩნური სახელის ოთხსავე ფორმას, როგორც დავრწმუნდით, სქეს-კატეგორიების ნიშნები ყველას თავსართად აქვს, რაც ბოლოსართოვანობაზე უფრო აღრინდელ წესს წარმოადგენს და ხნიერებას ამჟღავნებს.

ოთხის სახელს სქეს-კატეგორიის ნიშნებად ვ. ა. ბ და ღ აქვს. მაგრამ თავთავის ალაგას მოყვანილმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ზოგიერთს სხვა რიცხვითს სახელებსაც არა-ძირეული ბგერები მოეპოვებათ თავსართებად, მაგალითად: 5-ის სახელის ბზი-სა და ფზი-ს თავკიდური პ და ფ, 2-ის თავდაპირველი სახელის ტყა-ს, ანუ თყა-ს თავკიდური ტ და თ. რაკი პ და ფ იმავე ბუნების ბგერებია. რომელისაც მე-III სქეს-კატეგორიის ნიშანი ბ არის და მხოლოდ პარველი ურუხა და მეორე ვაახპირატებულს სახესხვაობას წარმოადგენს, ტ და თ-კი თავიანთ მხრივ IV-სქეს-კატეგორიის ნიშნის დ-ს ურუ და ვაახპირატებული სახესხვაობაა, ამიტომაც საფიქრებელია, რომ ტჟა-ს თავკიდური თანხმოდანი ამ რიცხვითი სახელის მეოთხე სქეს-კატეგორიის ფორმის უკვე შეზრდილი ნიშანი უნდა იყოს ისევე, როგორც ზუთის ბზი-სა და ფზი-ს თავკიდური პ და ფ-ც მესამე სქეს-კატეგორიის ოდინდელი ფორმის ნიშნის შენაზრდად არის საკუთრებელი. ამნაირად ირკვევა, რომ 4-ის სახელის თავსართები რიცხვითი სახელების სქეს-კატეგორიების ოდინდელი არსებობის სრულებით, ერთად-ერთი მაგალითი არ ყოფილა და ლილღურ ენებს რომ იდესლაც რიცხვითი სახელებისათვისაც სქეს-კატეგორიების ცალ-ცალკეული თავსართოვანი ფორმები ჰქონია, ამის გამომელავნებული კვალი შერჩენილი ყოფილა.

მაგრამ ლილღურმა რიცხვითმა სახელებმა ამას გარდა დაგვანიხვა, რომ რიცხვთა მთელ ჯგუფს, მაგ. 1-ს, 2-ს, 3-ს და 4, ბოლოში ა სგერა მოეპოვება, ხოლო 2-ის მერმინდელი სახელის ში-საც სავი ფორმაა შერჩენილი, რომელთაგან ერთს ბოლოში უ. მეორეს ა და მესამეს ლე აქვს. ოთხის ერთი ფორმაც ხომ შეგვხდა, რომელსაც ბოლოში ნ ჰქონია.

სქეს-კატეგორიების საკითხზე წოვადად მსჯელობის დროს აღნიშნული იყო, რომ სქეს-კატეგორიების სამნაირი წესი არსებობდა: თავდაპირველად თავსართოვანი, შერდეგ თავსართოვანი და ბოლოსართოვანი და სულ ბოლოს მხო-

ლოდ ბოლოსართოვანი, რომლის შემდგომ ზოგს ენებს სქესი სრულებით დაჰკარგვიათ. თავსართებადაცა და ბოლოსართებადაც ერთიდაიგივე ნიშნები გვხვდება. თუ ამ დებულებას გავითვალისწინებთ და გავიხსენებთ, რომ ზემო-ჩამოთვლილ ბოლოკიდურ ბგერათაგან **ჟ** მეორე სქესკატეგორიის, **ჟ** პირველისა და **ლ**, ვითარცა **რ**-ს შენაცვლება, აგრეთვე გარკვეული სქეს-კატეგორიის ნიშნებია და იყო, მაშინ, მათიც ოდინდელი სქესკატეგორიობის აზრი დაუჯერებელ მოსაზრებად აღარ გვეჩვენება. ბოლოკიდური **ნ**-ს ბუნებისა და დანიშნულების საკითხი ცალკე უნდა იქმნეს განხილული. აღსანიშნავია, რომ ამჟამად არც ერთს ამ ბოლოკიდურ ბგერათაგანს ლილღურს ენებში უკვე სქეს-კატეგორიის აღარავითარი ფუნქცია რიცხვითს სახელებში აღარა აქვს და მხოლოდ უბრალო დაბოლოებად არის ქცეული.

მიშასადამე, ლილღური ენების რიცხვითი სახელების გულდახმითმა შეხწავლამ ცხად-ჰყო, რომ, ერთ გამონაკლისს გარდა, მათ არც თავსართოვანი და არც ბოლოსართოვანი სქეს-კატეგორიები აღარ გააჩნიათ, თუმცა მათი წინანდელი არსებობის წარუბოცელი კვალი საკმაოდ მკაფიოდ აჩნევიათ. ეს გარემოება საშუალებას გვაძლევს დავრწმუნდეთ, რომ რიცხვითს სახელებში სქეს-კატეგორიების პრინციპიცა და საჭიროების შეგნებაც შერყეული და გამკრალი ჰქონიათ იხეთ ენებსაც-კი, რომელთაც მეტყველების სხვა ნაწილებში სქეს-კატეგორიების განრჩევა მტკიცედ აქვთ დაცული. ეს დაკვირვება შემდეგში ყოველთვის უნდა გათვალისწინებული გვქონდეს.

თ ა ვ ი მ ე ს ა მ ე

დალისტნის ლეგური ენების რიცხვითი სახელები

ლეგური ენები, როგორც უკვე აღნიშნული იყო, ორ შთავარ ქვე-ჯგუფად, სქეს-კატეგორიან და უსქესკატეგორიო ენების ქვე-ჯგუფებად იყოფა. მაგრამ ზოგს სქეს-კატეგორიან ენას რიცხვითს სახელებში არც გრამატიკული სქესი და არც კატეგორიები არ მოეპოვება, არამედ ყოველი რიცხვისათვის მხოლოდ თითო ფორმა აქვს. ამის გამო რიცხვითი სახელების ამ თვალსაზრისით ლეგურ ენათა დაყოფა სამ ქვე-ჯგუფადაც შეიძლება, რომელთაგან პირველ ქვე-ჯგუფად უნდა სქეს-კატეგორიების ზოგადადაცა და რიცხვითს სახელებშიც მქონებელი ენები მიგვეჩნია, მეორე ქვე-ჯგუფად ის ენები გამოგვეყო, რომელთაც, თუმცა სქეს-კატეგორიები ზოგადად აბადიათ, რიცხვითს სახელებში-კი მაინც არა აქვთ. მესამე ქვე-ჯგუფად სრულებით უსქეს-კატეგორიო ენები გვექმნებოდა.

მაგრამ ლეგური ენების რიცხვითი სახელები ერთმანეთისაგან თავიანთი ბგერითი შიდგენილობითა და ვარგნობითაც განირჩევიან. ხშირად ძალზეც-კი და არაერთხელ ცალმობრივი ნათესაობისდა მიუხედავადაც-კი.

ზემოდასახელებული ორი გარემოების წყალობით, ლეგური ენების რიცხვითს სახელებს ისეთი ნაირ-ნაირობა ემჩნევა, რომ აღამაინებე გამაბრუებელ შთაბეჭდილებას ატოვებს. სახელების ამ მრავალფეროვნებაში გარკვევა ადვილი საქმე არ არის და ამით უნდა აიხსნებოდეს, თორემ შეკვლევაში ჩვეულებრივ

რიცხვითი სახელების მხოლოდ ჩამოთვლითა და მცირეოდენი, მათ გასაგებად აუცილებლად საჭირო, ცნობების დართვით კმაყოფილდებოდნენ. ად. დირრ-საც-კი თავისს „შესავალ“-ში ლეგური ენების არც რიცხვითი სახელების ანალიზი უცდია, არც რაიმე ზოგადი მოსაზრება გამოუთქვამს.

რამდენადაც ყოველ მოვლენას თავისი მიზეზი მოეპოვება ხოლმე, იმდენად მკვლევარი ვალდებულია ლეგური ენების რიცხვითი სახელების მრავალგვარობისა და მრავალფეროვნობის მიზეზიც გამოარკვიოს. აქაც უპირველესად უნდა გადაწყდეს, ამ ენებს რიცხვითს სახელებში სქეს-კატეგორიები იმთავითვე ჰქონდათ, თუ არა. თავისთავად იგულისხმება, რომ ამ სახელების ერთი-დამიმავე წარმოშობილობის სიკითხიც უნდა გამოიარკვეს. თუ დამტკიცდა, რომ ეს ორივე, ბუნებაცა და თვისებაც, დასაწყისითგანვე ერთნაირი ჰქონდათ, მაშინ მათი მრავალგვარობისა და მრავალფეროვნობის მიზეზი იქმნება გამოსარკვევი.

§ 1. ლუმუქური რიცხვითი სახელები

ლუმუქურს ოთხი სქეს-კატეგორია აქვს და, როგორც უკვე ვიცით, მამრ. სქესსათვის უ და ვ, მდედრობითისათვის რ და დ, არაგონიერთა, პირუტყვთათვის და სხეულთა ნაწილებისათვის ბ, ხოლო საგნებისა და განყენებული სახელებისათვის ჯ არის განკუთვნილი.

ლუმუქური რიცხვითი სახელების მე-XVIII ს. ჩანაწერიცა და თანამედროვეც მოგვეპოვება. სხვადასხვა-დროინდელიობისდა მიუხედავად, მათ შორის მაინც დიდი განსხვავება არ არის, მაგრამ გვლდენშტედტის ჩანაწერში ყოველი რიცხვისათვის მხოლოდ თითო ფორმაა მოყვანილი. თანამედროვე ლუმუქურს თითოეულ რიცხვისათვის 3 სქეს-კატეგორიის ფორმა მოეპოვება. უეჭველია, სქეს-კატეგორიების განრჩევა ლუმუქურს მე-XVIII ს-შიც ჰქონდა, გვლდენშტედტის დროსაც იქმნებოდა, მხოლოდ ცნობების მიმწოდებელს მართო ერთი, სახელდობრ, უმთავრესად პირველი სქეს-კატეგორიის ფორმები ჩაუწერინებია, მაგრამ 3-ის, 10-ისა, 11-ისა და 100-ის სახელების შესამე სქეს-კატეგორიის ფორმაცაა მოყვანილი. სწორედ ეს გარემოებაა, რომ იმ ხანაშიც სქეს-კატეგორიების რიცხვითს სახელებში არსებობას ამჟღავნებს. აქვე მოგვყავს ორივე ხანის რიცხვითი სახელების ჩანაწერები.

ლუმუქური რიცხვითი სახელები

XVIII ს.		ე ხ ლ ა
1	ცაჟა Zawa	ცავა, ცარა, ცაბა.
2	კიჟა Kiwa	კივა, კირა, კიბა.
3	შამბა Schamba	შანვა (შამა), შანდა, შანბა.
4	მუყჟა Mukwa	მუყევა (მუყა), მუყრა, მუყბა.
5	ხეჟა Chewa	ხხაოვა, ხხაორა, ხხაობა.

6	რეხუა	Rechwa	რახავა (რახაა), რახარა, რახაბა.
7	ერულუა	Erulwa	არულვა (არულა), არულდა, არულბა.
8	მაიუა	Malwa	მავა (მაა), მარა, მაბა.
9	ურუქუა	Urutchwa	ურქვა (ურქა), ურქრა, ურქბა.
10	აწბა	Atzba	აწვა (აწა), აწრა, აწბა.
11	აცნიაცაბა	Azniazaba	აწნია ცავა, აწნია ცარა, აწნია ცაბა.
12	აცნიაკიუა	Azniakiwa	აწნია კივა, აწნია კირა, აწნია კიბა.
20	ყუა	Kua	ყუვა, ყურა, ყუბა.
21	ყუნიაცაბა	Kuniazaba	ყუნია ცავა, ყუნია ცარა, ყუნია ცაბა.
30	სუივა	Suiwa	ზუბივა, ზუბირა, ზუბიბა.
40	მუყალვა	Mukzalwa	მუყწალვა (მუყწალა), მუყწალდა, მუყწალბა.
50	ხუცალვა	Chuzalwa	ხხრწალვა (ხხრწალა), ხხრწალდა, ხხრწალბა.
60	რეხცალვა	Rechzalwa	რახაწალვა (რახაწალა), რახაწალდა, რახაწალბა.
70	ერულცალვა	Erulzalwa	არულწალვა (არულწალა), არულწალდა, არულწალბა.
80	მაიცალვა	Maizalwa	მამაწალვა (მამაწალა), მამაწალდა, მამაწალბა.
90	ურცალვა	Urzalwa	ურქწალვა (ურქწალა), ურქწალდა, ურქ- წალბა.
100	დურშვა	Durschwa	ტტურშვა (ტტურშა), ტტურშრა, ტტურშბა.
1000	აზარბა	Asarba	აზარვა (აზარა), აზარდა, აზარბა.

(I. A. G ü l d e n s t ä d t, Reisen II, 520—521 და უსლარის
Лакский яз. 72—74).

1. ერთი ლუბუქურად XVIII ს. ჩანაწერში ცალკეულად არის ცაჭა, ხოლო 11-ში, აცნია ცაბა-ში, უკვე ცაბა-ს სახეობით გვევლინება. ცხადია, ცაჭა და ცაბა ერთის მხოლოდ სხვადასხვა სქეს-კატეგორიების, სახელდობრ, პირველისა და მესამის, ფორმები უნდა იყოს. მართლაც თანამედროვე ლუბუქურს ერთს სამი სქეს-კატეგორიის ფორმა აქვს: ცავა (I), ცარა (II) და ცაბა (III). მაშასადამე, XVIII ს. ჩანაწერში 1-სა და 11-ში მართლაც პირველი და მესამე სქეს-კატეგორიების ფორმები გვაქვს შენახული.
სქეს-კატეგორიის ნიშნები ვა, რა და ბა რომ მოვაშოროთ, ერთის აღმნიშვნელ ლუბუქურ ძირად ცა დაგვრჩება.

2. ორი XVIII ს. ჩანაწერში კიუა Kiwa-ს სახით არის აღბეჭდილი. რაკი K-ით გვლდენშტედტს კ-იც, ქ-იც და ზოგჯერ ყ-იც აქვს გადმოცემული,
20 ივ. ჯავახიშვილი

ამიტომ შესაძლებელია ორის სახელი მაშინ ან კივა, ან ყივა-ც ყოფილიყო. უსლარს ორისათვის კივა, კირა და კიბა აქვს მოყვანილი.

მაგრამ XVIII ს. ჩანაწერის მიხედვით ოცი კუა, ან უფრო რომ ყუა უნდა ყოფილიყო, რომელიც ეხლანდელს შუშა-ს უდრის. მისი მეორე და მესამე სქეს-კატეგორიის ფორმა ყურა და ყუბა-ა.

რათგან ლუმუქური თვლა ათობითს სისტემაზეა დამყარებული, ამიტომ 40-ის მუყწალვა-ს, 50-ის ხხწწალვა-ს, 60-ის რახაწალვა-სა და დანარჩენი ათეულების სახელების მსგავსად, რომელნიც ყველა ერთეულის რიცხვისა და ათის სახელებისაგან არის შემდგარი, (40: მუყ [4], + წალ-ვა [10], -50: ხხწ [5]+წალ-ვა [10], -60: რახა [6]+წალ-ვა [10]). ოცის სახელი ყუვა-ც უნდა ყუწალვა-ს ფორმიდან იყოს წარმომდგარი და თავდაპირველად უეპველია ორი ათის აღმნიშვნელი იქმნებოდა.

რაკი 20-ის სახელის ყუვა-ს, ყურა-ს და ყუბა-ს მეორე მარცვლები უეპველია სქეს-კატეგორიების ნიშნებია და პირველი მარცვალი შუ 10-ის სახელს არც ძველსა და არც თანამედროვეს (აწვა, აწა, აწრა, აწბა) არაფრით შიავავს. რომ იგი, ანდა მასში რამე ათის აღმნიშვნელად მიგვეჩნია, ამიტომ ცხადია, რომ ბოლოში მოქცეული 10-ის სახელი 20-ის სახელს დროთა განმავლობაში მოსცილებია და შერჩენილია ამ რიცხვითი სახელის მხოლოდ პირველი, ორის აღმნიშვნელი-ლა, ნაწილი. აქეთგან ცხადი ხდება, რომ თუ ეხლა ორი კივა, კირა, კიბა-ა და წინათ კიჭა, ან ყიჭა იყო, იმ ხანაში, როდესაც 20-ის სახელი საბოლოოდ ინაკეთებოდა, ყუვა, ყურა და ყუბა ყოფილა, რომელშიც ორის აღმნიშვნელ ძირად შუ არის.

3. სამის სახელი გვლდენშტედტის ჩანაწერში შამშა-ად არის აღბეჭდილი, ეხლა-კი შანვა, შამა, შანდა და შანბა არის. სქეს-კატეგორიის ნიშნების ჩამოცლის შემდგომ, სამის აღმნიშვნელ ძირად XVIII ს.-ისათვის შამ-ს მივიღებთ, თანამედროვე ლუმუქურისათვის-კი შან-ს.

საფიქრებელია, რომ შან-ისა და შამ-ის ბოლოკიდური ნ და მ ძირისეული არ არის, არამედ მხოლოდ სქეს-კატეგორიის შეზრდილი ნიშანია და ამგვარად სამის აღმნიშვნელ ძირად ნამდვილად შა უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ოცდაათს XVIII ს. ჩანაწერის მიხედვით სუივა პრქმევი, ეხლა-კი ჯუბიშა, ჯუბირა და ჯუბიბა იხმარება. რათგან ლუმუქური რიცხვითი სახელები, როგორც აღნიშნული გვექონდა, თვლის ათობითს სისტემაზეა დამყარებული, ამიტომ სუიშა და ჯუბივა-ც, ოცდაათიც, თავდაპირველად სამი ათის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და, ამ რიცხვითს სახელსაც, ოცის მსგავსად, ოდინდელი ფორმის პირველი, სამის აღმნიშვნელი, ნაწილი-ლა უნდა ჰქონდეს შერჩენილი. ამგვარად ირკვევა, რომ სამის ძირის, შა-ს გარდა, სუ-სა და ჯუ-ს ფონეტიკური სახესხვაობაც ყოფილა.

4. ოთხის სახელი XVIII ს. ჩანაწერში საფიქრებელია მუშა-ს გამოხატულება იქმნება. უსლარის მიხედვით, თანამედროვე ლუმუქურში ოთხი არის მუყვა, ან მუყა, მუშრა და მუშბა. ორმოცშიაც, ძველს მუშცალვა-შიც, რომელიც ოთხ ათსა ნიშნავს, ოთხი მუყ-ის სახითვე არის წარმოდგენილი. თანა-

შედროვე 40 მუყწალბა, მუყწალვა, მუყწალდა-ც ოთხისათვის ამავე ფორმას ვეაძლევს. მართლაც ოთხს რომ სქეს-კატეგორიის ნიშნები მოვაცილოთ, იგივე მუყ-ი დაგვრჩება, მაგრამ თავკიდური მ-სა და ბოლოკიდური ჟა ანუ ვა-ს ნამდვილი ბუნების საკითხი განსაკუთრებით უნდა იქმნეს სათანადო ადგილას განხილული.

5. ხუთი გკლ დენ შტედტს ხეჟა-დ აქვს ჩაწერილი, თანამედროვე ღუმუქურში-კი სამი სქეს-კატეგორიის ფორმა ვეაქვს ხხრვა, ხხრრა და ხხრბა. საფიქრებელია, რომ XVIII ს. ჩანაწერის ხევა-ს ე-ც შერბილებული უნდა ყოფილიყო, მმ-ს მაგვარი. თანამედროვე 50-ში ხხრწალვა, ხხრწალა და ხხრწალდა-შიც ხუთი ხხრ-ს სახითვე არის წარმოდგენილი. სქეს-კატეგორიის ნიშნის ჩამოკლის შემდგომ, XVIII ს. ჩანაწერის ხუთის ძირად ხე და თანამედროვესთვის ხრ გამოდის. მაგრამ ჯერ კიდევ XVIII ს. ორმოცდაათი ხუცალვა ყოფილა. ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ ხუთს ძირად წინათ ხუ-ჰქონია.

6. ექვსის სახელად XVIII ს. რეხჟა არის აღნიშნული, რომლის ძირად რმხ გვრჩება და 60-ში, რეხცალვა-შიც ასევე ყოფილა წარმოდგენილი. თანამედროვე ღუმუქურში 6-ს ოთხი ფორმა მოეპოვება, რბხჰვბ, რბხჰბ, რბხჰრბ, რბხჰბბ რომელთა ძირად აგრეთვე რახ-ი არის.

7. შვიდი XVIII ს. გკლ დენ შტედტს ერულჟა-დ ჩაუწერია. სქეს-კატეგორიის ნიშანი რომ მოვაცილოთ, მრულ დაგვრჩება და იმდროინდელ 70-ში, მრულცალვა-შიც, ამ სახითვე გვევლინება.

თანამედროვე 7-საც და 70-შიც ამ რიცხვითს სახელს მხოლოდ თავკიდური ხმოვანი აქვს სხვა და იხმარება არულვა, არულა, არულდა და არულბა, ე. ი. ძირად აქ არულ-ია.

8. რვა XVIII ს. გკლ დენ შტედტს მაიჟა-დ ჩაუწერია, მაშასადამე, ფესვად ამ რიცხვითს სახელს მაი აქვს და ამავე სახით გვევლინება რვა მაშინდელ 80-ს მპიტალვა-შიც. თანამედროვე რვას ოთხი სქეს-კატეგორიის ფორმა აქვს, მწაგა, მწაა, მწარა და მწაბა, ე. ი. ძირად მწა აქვს. ასევე 8 თანამედროვე 80-ში მწაწალვა-სა და მისს დანარჩენ სქეს-კატეგორიის ფორმებში წარმოდგენილი.

9. ცხრა XVIII ს. ცალკეულად ურუჟა-დ არის ჩაწერილი. უსქესკატეგორიოდ ძირი ურუმ-ი იქმნება, მაგრამ მაშინდელს 90-ში, ურცალვა-ში, უკვე შემოკლებული სახით, მარტო ურ-ად გვევლინება, რომელიც ურჰ-ისაგან (ურჰცალვა > ურჰცალვა > ურცალვა) უნდა იყოს წარმოშობილი.

უსლარს 9 ურჰვა, ურჰა, ურჰრა და ურჰბა-დ აქვს ჩაწერილი, ე. ი. ძირად აქაც მხოლოდ ურჰ გვევლინება. ასევე წარმოდგენილი თანამედროვე 90-ში, ურჰწალვა-სა და დანარჩენ სქეს-კატეგორიის ფორმებში.

10. ათს ბევრი ცვლილება ემჩნევა: XVIII ს. ჩანაწერში ცალკეულად აფბბ-დ არის აღნიშნული, ამისდა მიხედვით ძირად მისაჩნევია აფ. მაგრამ მაშინდელს XI-ში აცნიატაბბ-სა და 12-ში აცნიაკივა-ში, ათი აც-ად გვევლინება. უსლარს დროსა და ეხლაც 11 აფნიდატაბა, აფნიდატარა და აფნიდატაბა-ა,

ხოლო 12 აწინაჰივა, — ძირად და — ძივა-ა. ამავე დროს 10-ც არის აწვა, აწა, აწრად და აწბა. ყველგან აქაც ძირად აწ გამოდის.

აღსანიშნავია, რომ ათეულებში XVIII ს. ჩანაწერის მიხედვით ათი ცალვა-დ გვევლინება, თანამედროვე ლუმუქურში-კი წალვა-დ. პირველ შემთხვევაში ათის აღმნიშვნელ ძირად ცალ, მეორეში-კი წალ-ი გვექმნება.

უკვე უსლარს აქვს აღნიშნული, რომ ლუმუქური თვლა ათობითს სისტემაზეა დამყარებული (Лавский яз., 72—74).

მეორე ათეულის თითოეული რიცხვის სახელი ათისა და ერთეულის სახელებსაგან არის შემდგარი, მაგრამ პირველ ადგილას მყოფს ათის სახელს აც-სა, ანდა აწ-სა და მეორე ადგილას მოთავსებულს ერთეულის სახელს შუა ნიბ, ანუ ნაიბ ზის, რომლის ნამდვილი დანიშნულება გამოსარკვევია. ყველა დანარჩენი ათეულების სახელების აგებულებაზე უკვე გვქონდა საუბარი და როგორც ვიცით, ერთეულისა და ათის სახელისაგან არის ნაწარმოები, ისე-კი, რომ ერთეულის სახელი უსქეს-კატეგორიო ბოლოსართოდ, მარტო ძირეული ნაწილის სახით, არის გამოყენებული და ერთეულისა და ათის სახელებს შუა არავითარი შემაკავშირებელი არ მოიპოვება. პირიქით, ისეთს რიცხვში, როგორც 31-ია, 30, ანუ სამი ათისა და ერთის სახელებს შუა დიხ მარცვალთა: ზუბილდიხ-ცაჰა. საგულისხმოა ამასთანავე, რომ სამიათის მდებარ. სქესის ფორმაა გამოყენებული ზუბილ (= ზუბირა-ს).

100-ის სახელი დურჰვა (მე-XVIII ს.) და ტბურჰვა, ტბურჰა, ტბურჰრა და ტბურჰბა წინა ათეულებისა და აღთვალვის მთელი სისტემისდა მიხედვით ათი ათი-ს აღმნიშვნელი უნდა იყოს, მაგრამ ამას ჯერ კიდევ მისი სახელის ანალიზით შემოწმება სჭირდება: შესაძლებელია თავკიდური დ-ც ძირეული არ გამოდგეს.

1000-ის სახელი სპარსულია, მაგრამ ის უკვე იმდენად არის მოშინაურებული, რომ ბოლოში ლუმუქური სქეს-კატეგორიების ვა, ღა და ბა ნიშნებიც-კი აქვს დართული.

§ 2. აკუშური და ჰვრკანული (ჰვრკილური) რიცხვითი სახელები

აკუშური (Akuschaisch) რიცხვითი სახელების მე-XVIII ს. ჩანაწერი გვლ-დენშტედტს მოეპოვება. ამ სახელების თანამედროვე ჰვრკილურ სახელებთან შედარება მათს ცხადს მსგავსებას ამჟღავნებს, ამიტომაც მათი ერთად განხილვა სჯობია.

თანამედროვე ჰვრკილურს სამი სქეს-კატეგორია აქვს: 1. მამრობითი, რომლის ნიშნადაც თავში და ბოლოში მოქცეული უ არის. 2. მდედრობითი, ნიშნად თავში დ-სა და ბოლოში რ-ს მქონებული, და 3. საერთო სქეს-კატეგორია, რომელსაც პირუტყვებისა და საგნების სახელები ეკუთვნის და რომელსაც თავშიცა და ბოლოშიც ნიშნად ბა (ბ-სა და ვ-ს საშუალო თანხმოვანი) აქვს.

სქეს-კატეგორიების არსებობისდა მიუხედავად, თანამედროვე ჰვრკილურს რიცხვითი სახელებისათვის თითო-თითო ფორმა მოეპოვება, მაგრამ მის მონათესავე აკუშურს რიცხვითი სახელების მე-XVIII ს. ჩანაწერში ერთეულების წყვილ-წყვილი ფორმები მოიპოვება, სამწუხაროდ, ეს რიცხვითი სახე-

ლები, ან ჩაწერისა, ანდა იქნებ ბექდვის დროსაც აქა-იქ არეულიცა და დამახინჯებულიც ჩანს, მაგრამ რამდენიმე შემთხვევა მაინც ცხად-ჰყოფს, რომ თითოეულ ამ ორი სახელთაგანი ცალკეული სქესის ფორმა ყოფილა.

აი ეს რიცხვითი სახელები პარალელურად:

XVIII ს. აკუშური (Akuschaisch) და თანამედროვე ჰვრკილური რიცხვითი სახელები

აკუშური	ჰვრკილური
1. Za ცა, Zawal ცაშალ	ცა
2. Quial ყუიალ, Kial კიალ	კაშელ
3. Abal აბალ, Häwal ჰაშალ	ჰაშალ
4. Ohwal ოჰშალ, Uräkal ურპკალ (შეორე შეცდომაა: ნამდვილად 6-სა ნიშნავს).	აშალ
5. Chujal ხუჯალ, Augal აუგალ	შუშალ
6. Ureekal ურეეკალ, Iachal აახალ	ურილალ
7. Veral ვერალ, Eruzal ერუცალ	ტერჰალ
8 ¹ . Gehal გეჰალ, Maizal მაიცალ	გაჰალ
9. Urbtschanal ურბჰანალ	ურჰიმალ
10 ² . läzal ლაშალ	ტიწალ
11. Weznuzara ჰეცნუცარა	ტიწნუცარა
12. Weznukjura ჰეცნუკაჟურა	ტიწნუკაჟირა
13. Weznuzara უეცნუცარა. (შეცდომაა: ნამდვილად 11-ის ფორმაა).	
20. Hwajal ჰაშაშალ	ლალ
21. Honuzara ჰონუცარა	ლანუცარა
30. Abzale აბცალე	ჰაპწალი
40. Anzale ანცალე	აწალი
50. Chuzale ხუცალე	შუწალი
60. Urekzale ურეკცალე	ურილწალი

¹ 8-ის სახელში გვლდენშტედტის ნაშრომის გამოცემაში შეცდომით 7-ის სახელი ვერალ-ია გამოფორებული, უნდა-კი იყოს გეჰალ, რომელიც შეცდომით 9-ის სახელად არის აღნიშნული. ჩვენ მათ თავ-თავის ადგილას ვათავსებთ.

² 10-ის სახელად შეცდომით 9-ის სახელიც არის მოყვანილი.

70. Werzale ჭერცალე	ჭერჭაწალი
80. Giachzale გაახცალე	გაჭაწალი
90. Urtschemzale ურჭემცალე	ურჭიმწალი
100. Darschal დარშალ	დარშალ
1000. Asarzal, Asyr აზარცალ, აზვრ	აზირ

(I. A. Gldenstdt, Reisen II, 520-521. უსლარის Хюрвлинский яз. 63-64).

1. ერთის თანამედროვე ჰვრავლურთი სახელი ცა არის, აჟღერის ჩანაწერში-კი ორი ფორმაა აღბეჭდილი, ცა და ცაჟალ. თუ აღამიანი თანამედროვე ჰვრავლურთს რიცხვითს სახელებს თვალს გადაავლებს, შეამჩნევს, რომ ერთს გარდა, ყველა სახელებს ბოლოში ლ ბგერა აქვს. ეს გარემოება ამ თანხმოვანის რაობას ამ-ელაგნებს: იგი შეუძლებელია ძირეული იყოს და უეჭველია უბრალო დაბო-ლოებად არის ქცეული. ამიტომაც, აჟღერის და ჰვრავლურთი რიცხვითი სახელების ძირეული ნაწილის გამოსარკვევად, უწინარეს ეს ბოლოკიდური უნდა ჩამო-ვაშოროთ ხოლმე.

ზემოაღნიშნული დებულებისდა მიხედვით, აჟღერის 1-ის სახელის ძირად შესაძლებელია ცაჟა მიგვეჩნია, მაგრამ უკვე ის გარემოება, რომ 11-ის სახელს ჟეცნუცარა-სა და ჰვრავლურთის შიწნუცარა-სა ისევე, როგორც 21-ის აჟღერის სახელს ჰონუცარა-ში ერთს ცავა-კი არა, არამედ ცარა ეწოდება, ცხადად ამელაგნებს, რომ ჟა და რა მარცვლები შეუძლებელია ძირეული იყოს. რაკი 1-ის არც მეორე მარცვალი აღმოჩნდა ძირეული. ამიტომ ირკვევა, რომ აკუშურისა და ჰვრავლურთი 1-ის ძირიც ცა ყოფილა.

უსლარის ეგონა, რომ ცარა-ს და მეორე ათეულთან დაკავშირებული ერთეულების სახელების ბოლოკიდური რა მარცვალი კავშირია და 1 ჟინუცარა ნიშნავს ათხა და ერთხაო („Шачит десять и один“: Хюрк. яз. 65). მაგრამ, მხოლოდ ეს რა მარცვლი რომ გვექონოდა, ეგების ამ განმარტების და-ჯერება შესაძლებელი ყოფილიყო, ნამდვილად-კი საქმე სხვანაირად არის: ამ რა მარცვლისა და რა კავშირის მსგავსება შემთხვევითი მოვლენა უნდა იყოს.

1-ის სახელის ძირის გამორკვევის შემდგომ, ჟა და რა მარცვლების ბუნებისა და დანიშნულების გამორკვევა ძნელი არ არის, როგორც აღნიშნული გვექონდა, ჟ ჰვრავლურთში მამრ. სქესის ნიშანია, რ კიდევ მდედრობითისა. ამას გარდა, ლუმუჭურსა და არაერთს სხვა ენაშიც. როგორც დავრწმუნდით, ვა მარცვალი მამრობითისა. რა-კი მდედრობითი სქესის ნიშნებია. ცხადია, რომ ასეთივე დანიშნულება ექმნებოდათ თავდაპირველად აკუშურის მე-XVIII ს. ჩანაწერის ცაჟა-სა და ცარა-ს მეორე მარცვლებსაც.

მაშასადამე, გამოირკვა, რომ გვლდენშტედტის ჩანაწერში აკუშური 1-ის მე-XVIII ს. ორი, მამრობითი და მდედრობითი, ფორმა გვექონია დაცული. აღსანიშნავია, რომ სქესის ნიშანი ორივეს ბოლოსართის სახით აქვს.

2. ორის აჟღერის სახელად XVIII ს. ჩაწერილია ყუიალ და კიალ, თანამედროვე ჰვრავლურთს-კი აქვს კაჟელ. მაგრამ 20-ის აჟღერის სახელს ჰჟაჟალ-სა

და ჰვრიალურს ღალ-ში, რომელნიც, ალთვალვის ათობითი სისტემის გამო, ორი ათის აღმნიშვნელი სახელებისაგან უნდა იყვნენ წარმომდგარი, ორის სახელი სხვანაირად მოჩანს.

პირველი ათეულის ჰვრიალურს ყველა რიცხვითს სახელებს, ერთს გარდა, ისევე, როგორც 10-ისა, 20-ის და 100-ის სახელებსაც ბოლოსართად აქვთ აღ, რომლისთვისაც უსლარს განმარტება ვერ მოუძებნია (ჰვრკ. გ., 65), აღ-დირრს-კი იგი განმსაზღვრელი ართრონის მსგავს ნაწილაკად მიაჩნდა (იხ. დირრის Einführung, გვ. 223). მაგრამ აჟღერა რიცხვითი სახელების მე-XVIII ს. ჩანაწერთან შედარება და მეტადრე ერთისა და სამის სახელების ანალიზი ცხადჰყოფს, რომ დაბოლოებად ლ მოჩანს, ხოლო წინამავალი ა 1 სქეს-კატეგორიის ნიშნის ტა-ს ნაწილია. დანარჩენ რიცხვითს სახელებს უ დროთა განმავლობაში დაუკარგავთ და ამიტომაც ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს აქ აღ ბოლოსართი იყოს.

თუ, ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინების შემდგომ, ორის შედგენილობის გამორკვევას დავიწყებთ, უპირველესად ყუიალ-სა და კიალ-ს ბოლოკიდური ლ უნდა ჩამოვაშოროთ, რის შემდეგაც დაგვრჩება ყუია და კია, რომელნიც, საფიქრებელია, უფრო ადრინდელი ყუივა და კუირა-საგან უნდა იყვნენ წარმომდგარი.

ორის წინანდელი სახელის შესახები ჩვენი მოსაზრების სრულ სისწორეს 12-ის სახელს ტეცნუკაურა და უიწნუკუირა-ში დაცული ორი ამტკიცებს, სადაც მართლაც კაურა და კუირა არის. რაკი კაურა-სა და კუირა-ში რა, ცხადია, სქეს-კატეგორიის ნიშანია, ამიტომ ორის ძირად ყუი, და კუირა რჩება.

20-ის სახელის აღნაგობა უფრო ძნელი გამოსარკვევია. აჟღერაჲე ყოფილბ ჰტაჲალ, თანამედროვე ჰვრიალურს აქვს ღალ. შესაძლებელია, გვლდენშტედტის ჩანაწერის H. შ, აჟღერაჲე ლ-ს მსგავს ბგერად ისმოდა და ლტაჲალ-ი იყო, მაგრამ მთავარ დაბრკოლებას სხვა გარემოება წარმოადგენს.

ამ ენების რიცხვითი სახელების ალთვალვა ათობითია და ყველა დანარჩენი ათეულების სახელები ერთეულისა და ათის სახელისაგან შედგება, მაგ., 30-ს ეწოდებოდა აბცალე, ესლა შაჲვწალი, რომელიც აბ (3) და ცალე (=აჲცალ-ს, 10)-საგან, ანდა შაჲტე (3) და წალი (=უიწალ-ს, 10)-საგან არის წარმომდგარი და ყველა დანარჩენი ათეულების სახელებიც ასეთივე აგებულების სიტყვებია.

გამონაკლისს ამ მსრივ მხოლოდ ოცის სახელი ჰტაჲალ, ანუ საეგებიო ლტაჲალ და თანამედროვე ღალ წარმოადგენს, რომელთაც არც ცალე და არც წალი ბოლოში არა აქვთ. იქნებ წინათ ლტაჲაიცალე იყო კიდევაც, მაგრამ შემდეგში ც გაქრა, მხოლოდ, რაკი არც მე-XVIII ს. და არც თანამედროვე ფორმაში ც არა ჩანს, ამიტომ ამ რიცხვითს სახელს ათის გამომხატველი არ გააჩნია, ცხადია, რომ თავდაპირველად ორი ათის აღმნიშვნელი 20-ის ოდინდელი სახელის ამ ნაშთს მხოლოდ ორის სახელი-ლა უნდა ჰქონდეს შერჩენილი. ამიტომ ჰტაჲ, ანუ ლტაჲ და ლა, საფიქრებელია, ყტა-ს ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს.

ამნაირად ორის, როგორც ძველი ძირი და მისი შენაცვლებული სახე-სხვაობა, ისევე მისი მამრობითისა (ყუღია) და მდედრობითი (კაჭირა) სქესის ფორმების არსებობაც გამოირკვა.

3. აკუშურის სამის მე-XVIII ს. სახელად აბალ და შანჭალ-ია ჩაწერილი, თანამედროვე ჰერვილურს აქვს შანჭალ. ამგვარად აკუშურის მეორე ფორმა და თანამედროვე ჰერვილური სამი ერთმანერთს ზედმიწევნით უდგება. მას რომ ლ დაბოლოება მოვაცილოთ, დაგვრჩება შანჭა, ანუ შანჭა. ერთის ცაჭა-ს მსგავსად, შანჭა-სა და შანჭა-ს მეორე მარცვალე ჭა-ც მამრობითი სქესის ფორმანტი უნდა იყოს და სამის ძირად, მაშისადამე შა ანუ შაა გამოდის.

ამის შემდეგ რომ აკუშურის სამის პირველი აბალ ფორმის განხილვას შევუდგეთ, უნდა აღინიშნოს, რომ 30-ის (ნამდვილად სამი ათი-ს) აკუშურის სახელს აბცალე-შიცა და თანამედროვე ჰერვილურს შანჭვალი-ს მიხედვითაც სამს აბ და შანჭ-ი ეწოდება. ისევე, როგორც შანჭალ-სა და შანჭალ-ს ლ დაბოლოება და ჭა მამრ, სქესის ფორმანტი აღმოაჩნდა, ამნაირადვე აბალ-ის ლ-ც, ცხადია, დაბოლოება უნდა იყოს. მისი ჩამოშორების შემდგომ, დარჩენილს აბა-საც ბა ძირეული არ უნდა ჰქონდეს, არამედ მე-3 სქეს-კატეგორიის ნიშანი იქმნება. გამოდის, რომ სამის აღმნიშვნელი თითქოს ა ხმოვანი უნდა ყოფილიყო; მაგრამ, უეჭველია, აბალ-ს წინათ უნდა თავიკიდური ში ჰქონოდა და შაბალ-ი ყოფილიყო და მხოლოდ დროთა განმავლობაში იქმნება ეს ბგერა გამჭრალი.

ყველა ზემოთქმულის შემდგომ, ვგონებ, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სამის აღმნიშვნელი ძირი შაა, ანუ შა ყოფილა და რომ აკუშურის XVIII ს. ჩანაწერში ამ რიცხვითი სახელის პირველი სქეს-კატეგორიის ფორმა შანჭალ და შესამე სქეს-კატეგორიისა [შ]აბალ-ი გვქონია აღბეჭდილი. უკანასკნელი ფორმა მით უფროა საყურადღებო, რომ აკუშური რიცხვითი სახელების შესამე სქეს-კატეგორიის ერთად-ერთი გადარჩენილი ნიმუშია.

საგულისხმოა, რომ შესამე სქეს-კატეგორიის ნიშანიც ბოლოსართის სახით არის წარმოდგენილი.

4. აკუშურის ოთხის მე-XVIII ს. სახელად გვლდენშტედტს ჩაწერილი აქვს ოჭიშალ და ურანკალ, მაგრამ საკმარისია აღამიანში რ-ის სახელს დაჰხედოს, რომ იქაც იგივე ურანკალ-ი ამოიკითხოს. ცხადია, რომ ჩანაწერში, ანდა ნაშრომის გამოცემის დროს, შეცდომა შეპარულა. ხოლო, რაკი ამავე ავტორის ცნობით რ0-ს, რომელიც ნამდვილად ექვს ათისა ნიშნავს, იმავე დროს ურანკალში ჰრქმევიან და ჰერვილურად ეხლაც ურილწალი ეწოდება და აქაც ურეკ და ურილ ექვსსა ნიშნავს, ამიტომ, უეჭველია, 4-ის სახელად ეს სიტყვა შეცდომით არის ქცეული. ოთხის მეორე ნამდვილი სახელი შეცდომითვე ხუთის სახელად აღნიშნული აუგალ, ანუ აულალ-ი უნდა იყოს. ამ მოსაზრებას ის გარემოება ადასტურებს, რომ ოთხი ათის აღმნიშვნელს აკუშურს სახელს Anzale ანცალე-სა და თანამედროვე ჰერვილურს აჭიწალი-საც ოთხის გამოხატველად აუ აქვს: Anzale, ცხადია, კორექტურული შეცდომის წყალობითაა Anzale-საგან წარმომდგარი. 4-ის სახელი აულალ იმითაა საყურადღებო, რომ აუ + ლალ-ისაგან შესდგება. რაკი ლალ 2-ის სახელი იყო (ის. გვ. 311), ცხადი ხდება, რომ აკუშური 4-ის სახელი თავდაპირველად ორი-ორი-ს აღმნიშვნელი ყოფილა.

ამნაირად აკუწურს **ოთხს** მე-XVIII ს. **ორი ფორმა, ოპტიალ და აულალ-ი აქვს დაცული.** თანამედროვე ჰერაილუტად აჟაალ-ს უწოდებენ.

რა თქმა უნდა, ორივე ფორმის, **ოპტიალ-ისაცა და აულალ-ისაც** ისევე, როგორც თანამედროვე აჟაალ-ის **ბოლოკიდური ლ ძირეული არ არის.** მაგრამ მის ჩამოცლის შემდეგ დარჩენილი თითოეული ამ ორ ფორმათაგანი სახელდობრ რომელი სქეს-კატეგორიისათვის იყო მე-XVIII ს.-ში განკუთვნილი, ამის გამორკვევა, ჩვენ ხელთ მყოფი ცნობების მიხედვით, ამჟამად შეუძლებელია.

5. **ხუთის** აკუწურ სახელად მე-XVIII ს. ჩანაწერში **ხუაალ და აულალ-ი** არის მოყვანილი, მაგრამ **მეორე ხიტყვა, როგორც დავრწმუნდით, ნამდვილად ა-ისა-კი არა, არამედ ოთხის სახელია.** ამის გამო 5-ის მხოლოდ ერთი აკუწური სახელი-ლა გვრჩება.

თანამედროვე ჰერაილუტს **ხუთის** აღსანიშნავად აქვს **შუალ,** რომელიც შემომოყვანილი აკუწური სახელის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს.

რაკი ორივე ფორმის **ლ,** უქვევლია, აქაც დაბოლოებაა, ამიტომ **ხუთის** აღმნიშვნელ ძირად **ხუაა და შუა გამოდის.** მაგრამ 50-ის, ე. ი. **ხუთი** ათის, აკუწურს სახელს **ხუცალე-სა** და თანამედროვე ჰერაილუტს **შუშალ-ს** ხუთის გამომხატველად **მხოლოდ ხუ და შუ აქვთ.**

6. აკუწური **ექვსის** სახელად **ურეეკალ** (აგრეთვე **ურაკალ**) და **ახალ-ი** XVIII ს.-ში ჩაწერილი, რომელთაგან მეორეს **აა (ja)** შესაძლებელია აგრეთვე **ა-ს** გამომხატველი იყოს. თანამედროვე ჰერაილუტად **ექვსს ურილალ-ს** უწოდებენ. რასაკვირველია, **რ-ის** სამივე ფორმის **ლ-ც** დაბოლოებაა და ამის გამო **ექვსის** ძირად **ურილა, ურეეკა და აახა** რჩება. **ექვსი** ათის აღმნიშვნელი 60-ის აკუწური **ურამცალე-სა** და თანამედროვე ჰერაილუტა **ურილწალი-ს** სახელში **ა** ხმოვანიც ჩამოშორებული აქვს და მხოლოდ **ურამც** და **ურილწ-ილა**ა დარჩენილი.

7. აკუწური **შვიდის** მე-XVIII ს. ორი სახელი მოგვეპოვება: **ჰმრალ,** ანუ **ჰმრალ** და **მრშტალ,** თანამედროვე ჰერაილუტს-კი **ურეჰაალ-ი** აქვს. **შვიდი** ათის აღმნიშვნელს 70-ის აკუწურს სახელს **ურეცალე-ში** შვიდის გამომხატველი **ურე-ია,** ცალკეული სახელის ძირი-კი, **ლ** დაბოლოების ჩამოშორების შემდეგ, **ურეჰაა, ვერა,** ანუ **ჰერა** და **ერუცა** არის, რომელთაგან უკანასკნელს თავკიდური **ურ-ც** არა აქვს და **ცა-ს** ბუნებაც გამოსარკვევია.

8. თუმცა მე-XVIII ს. ჩანაწერში **რვის** აკუწური ორი სახელი, **ჰერალ** და **მაიცალ-ი** მოგვეპოვება, მაგრამ **პირველი მათგანი, როგორც დავრწმუნდით, 7-ის სახელია და აქ, ცხადია, შეცდომით არის მოქცეული.** რვა ათის აღმნიშვნელი 80-ის იმდროინდელივე აკუწური სახელი **გაახცალე** ამტკიცებს, რომ **რვას** აკუწურად **გაახ-ის** შესავსი სახელი უნდა ჰქმნებოდა. მართლაც, თანამედროვე ჰერაილუტად 8-ს ეწოდება **გაჰაალ.**

თუ ამის შემდეგ **ცხრის** აკუწურს სახელებს გადავავლებთ თვალს, იქ პირველ ადგილას სწორედ **გაჰალ-ი** შეგვხვდება. ცხადია, რომ **გ ზ ლ დ ე ნ შ ტ ე ლ-ტ** ის ნაშრომში აქაც შეცდომიაა შეპარული და **რვის** სახელი **გაუგებრობით ცხრის სახელებშია მოქცეული.**

მაშასადამე, რვას აკუწურად XVIII ს. **გაახ, გაჰალ** და **მაიცალ-ი** ჰქმნებოდა, რომელთაგან პირველი თანამედროვე ჰერაილუტშიც არის **გაჰალ-ის** სახით

დაცული. **ლ** დაბოლოების ჩამოცლილი რვის აღმნიშვნელი ძირი, **ბაბა**, **ბაბა** და **გაპა** იქმნება.

ამავე რიცხვის მეორე სახელი **მანიცალ** პირველისგან გარეგნულადაც სრულებით განირჩევა და, შვიდის სახელის **მრუცალ**-ის მსგავსად, მასაც მეორე ნაწილად **ცალ**-ი უჩანს, რომლის ბუნება ცალკეა გამოსარკვევი. იმისდა მიუხედავად, რომ მ-ის, **მანიცალ**-ის პირველი ნაწილი **მანი** მ-ის ზემომოყვანილი პირველი სახელის ძირის **ბაბა**-სა და **გაპა**-საგან ასე თვალსაჩინოდ განსხვავდება, მაინც XVIII ს. ჩანაწერში აქ არაერთი შეცდომა არ არის: ამას უკვე განხილული ლუმიქური რვის ასეთივე სახელი **მაიჭა** და მისი თანამედროვე შესატყვისობანიც ამჟღავნებენ და, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, არაერთი სხვა ლეგური ენის სახელიც ადასტურებს.

9. ცხრის აკრძალ მე-XVIII ს. სახელად მხოლოდ **ურბანალ**-და შეგვჩინათგან **გეპალ**, როგორც დავრწმუნდით, მ-სა ნიშნავს. ცხრა ათის აღმნიშვნელის 90-ის იმდროინდელისავე აკრძალს სახელს **ურბანალ**-ში-კი ცხრას **ურბან**-ი ეწოდება. საგულისხმოა, რომ თანამედროვე ჰერაილურსაც ცხრის სახელად აქვს **ურბანალ**.

ლ დაბოლოების ჩამოცლის შემდგომ, ცხრის ძირად **ურბანან**, **ურბანა** და **ურბან** გვექმნება. ამ სამ ფორმათაგანს პირველს დანარჩენებისაგან უმთავრესად მ-ს შემდგომ მყოფი ა ასხვავებს. მე-XVIII ს. ლუმიქურთა 9-ის სახელი **ურბანა**, მეტადრე-კი მე-3 სქეს-კატეგორიის თანამედროვე ფორმა **ურბანა**, **ურბან** და **ურბან** გვაფიქრებინებს, რომ მე XVIII ს. **ურბანან**-ც ბ-ს ადგილმონაცვლებით არის უფრო ადრინდელ **ურბანან**-საგან წარმომდგარი და რომ ბა აქაც ისევე მესამე სქეს-კატეგორიის ნიშანია, როგორადაც **ურბან**-ში იგულისხმება. მაგრამ ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ცხრის სახელის აღნაგობის გაუთვალისწინებლივ შეუძლებელია, რაზედაც შემდეგში, თავის ადგილას, გვექმნება საუბარი. ამიტომ ამაზე აქ მსჯელობა მიზან-შეწონილი არ იქმნებოდა.

10. აკრძალ ათის მე-XVIII ს. სახელის ჩანაწერშიც პირველ სახელად შეცდომით **ურბანალ**-ია მოყვანილი, რომელიც, როგორც ვიცით, 9-სა ნიშნავს, ხოლო მეორე სახელად **მაცალ**. თერთმეტის სახელს **ურბანალ**-სა და თორმეტის **ურბანალ**-ში ათის სახელად უკვე **ურბან**-ი ჩანს.

თანამედროვე ჰერაილურს ათის ცალკეულ სახელად აქვს **ურბან**, მეორე-ათეულის სახელებში-კი არის **ურბან**, რომელსაც ალ მარცვალი აქვს ჩამოცილებული.

ზემომოყვანილითგან ჩანს, რომ აკრძალის მეორე ათეულის ათისა და ჰერაილური ათის სახელები თითქმის ერთი-და-იგივეა: **ურბან** და **ურბან**, ანდა **ურბან**. სამაგიეროდ აკრძალ ცალკეული ათის სახელი **მაცალ** მეორე ათეულის აკრძალისა და ჰერაილური ათის სახელებისაგან განსხვავდება, რათგან ალ მარცვლის ჩამოშორების შემდგომაც მაინც **მაცალ** გვჩანს. **ურბან**, **ურბან**-ს და **მაცალ**-ს თავკიდური **ურ** და **მ** ბგერები ასხვავებენ.

რაკი **ურ** თანხმოვანი ჰერაილურში, მამრობითი სქესის ნიშანი და თავსართ-ბოლოსართია, ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაშიც მას მე-XVIII ს.-შიც ასეთივე დანიშნულება ექმნებოდა და იმ დროსაც, როცა ჰერაილურს სქეს-კა-

ტეგორიები რიცხვითს სახელებშიც ჰქონდა. **ჟ სქეს-კატეგორიის ნიშნად თანამედროვე ჰერაილურში არ გვხვდება, არამედ დ და რ არის, მაგრამ ხამაგიეროდ არაერთს ლეგურს ენას მოეპოვება. ეს მაგალითი ამჟღავნებს, რომ წინათ ჟ თავხართი აჟუშურს და ჰერაილურსაც ჰქონია, საფიქრებელია, იმავე მდებრობითი სქესის ნიშნად.**

ამნაირად გამოირკვა, რომ გვლდენშტედტის ჩანაწერში ათინს ორი, მამრობითი და მდებრობითი, სქეს-კატეგორიის მე-XVIII ს. აჟუშურა ფორმა გვქონია დაცულ-ალბექდილი. საყურადღებო გარემოებაა, რომ ორივე სქეს-კატეგორიის ნიშანი თამსსარტად უოფლა ნახმარი.

მეორე ათეულის რიცხვითი სახელები ათისა და ერთეულის სახელისაგან არის შედგენილი ისე-კი, რომ ამ ორ ნაწილს ნუ მარცვალი აერთებს, რომელიც დ კავშირის მაგიერი გამოდის. შესამე და ყველა დანარჩენი ათეულების სახელები ერთეულისა და ათის სახელისაგან შედგება: ორივე ნაწილი ერთი შეორის გვერდით უკავშიროდ არის მოთავსებული, მაგრამ ერთეულის სახელები ყოველთვის უსქეს-კატეგორიო-ბოლოსართოდ არის გამოყენებული.

როგორც ცალკეული რიცხვის სახელების შემოთმოყვანილი ანალიზებითგან ჩანს, აჟუშურისა და ჰერაილურის რიცხვითი სახელებიც მთლიანად ათეულობითი აღრიცხვის ხისტემაზეა დამყარებული, რაც უსლარსაც უკვე ჰქონდა აღნიშნული (ჰერკ. გ. 63).

100-ს აჟუშურისაგან **დარშალ** ჰრქმევია და ჰერაილურისაგან ასევე ეწოდება. საფიქრებელია, რომ თავკიდური დ ძირეული არ არის ისევე, როგორც, რასაკვირველია, ბოლოკიდური ალ მარცვალიც.

1000-ს აჟუშურისაგან **აზარცალ** და **აზვარ**-ი სწოდებია, რომელთაგან მეორე თანამედროვე ჰერაილურსაც ამავე რიცხვის სახელად აქვს. **აზარცალ** სპარსული **ჰაზარ**-ისა და აჟუშური **ცალ**-ისაგან შედგება, რომელიც 7-ის სახელს **მრშცალ**-სა და 8-ის **მინცალ**-შიც გვხვდება და, როგორც ეტყობა, ერთის **ცარბ**-ს სახესხვაობა უნდა იყოს. ყველა ამ შემთხვევებში შეიღ ცალსა, რვა ცალს და ას ცალს უნდა ნიშნავდეს.

1000-ის მეორე სახელი **აზვარ**, ცხადია, პირველის ფონეტიკური სახესხვაობაა.

ამგვარად აჟუშურა და ჰერაილურის რიცხვითი სახელების ანალიზმა არაერთი საყურადღებო გარემოება გამოამჟღავნა.

§ 3. წახურული რიცხვითი სახელები

წახურს¹ ანუ წახურულს ენას (წახშიშდა მიზ-ს), როგორც ვიცით, ოთხი სქეს-კატეგორია აქვს შემდეგი ნიშნებითურთ: 1. მამრ. სქესის გონიერ არსებათათვის რ, 2. მდებრობითი სქესისათვის რ, 3. ცხოველებისა და სავნებისათვის ზ, ანდა უ და 4. ყველა დანარჩენი სახელებისათვის დ. მაგრამ რიც-

¹ რუსულსა და ვერმანულ შწერლობაში დ ი რ რ მ ა მ ენის სახელად **Цахурекли** ან **Das Tsakhurische** შემოიღო, მაგრამ, რაკი თვით ტომი თავის თავს **წახბგ**-ს უწოდებს, ამიტომ ქართულადაც უნდა **წახბელი** და **წახბური** ენა ვუწოდოთ.

ხვით სახელებში, ისევე როგორც არსებითად მეტყველების სხვა ნაწილებშიც, მხოლოდ სამ-სამი ფორმა გააჩნია, რათგან თანამედროვე წახბურს მამრობითი-საცა და მდედრობითი სქესისათვისაც ერთდაიგივე რ ბგერა აქვს ნიშნად.

ქვემოთმოყვანილი წახბური რიცხვითი სახელების, აკუშურ-ჰვრკილური რიცხვითი სახელების შემდგომ, გულდასმითი გადაკითხვა მათს ცხადს ნათესაობას აგრძნობინებს. აი წახბური რიცხვითი სახელების თვით სიაც:

წახბური ანუ წახურული რიცხვითი სახელები.

- 1 სა
 - 2 ყრღირზ (1 და 2 სქესკ.), ყრბლზ (3 სქესკ.), ყრდლზ (მე-4).
 - 3 ჰეზბირზ, ჰეზბლზ (მე-3), ჰეზბილლზ (4).
 - 4 დრყედრზ, დრყეზბლზ (3), დრყეზლლზ (4).
 - 5 ხოდრზ, ხოდბლზ (3), ხოდლლზ (4).
 - 6 დრჰირზ, დრჰიზბლზ (3), დრჰიზლლზ (4).
 - 7 დრღირზ, დრღიზბლზ, დრღიზლლზ.
 - 8 მრღირზ, მრღიზბლზ, მრღიზლლზ.
 - 9 დჰეჰირზ, დჰეჰიზბლზ, დჰეჰიზლლზ.
 - 10 დიწირზ, დიწიზბლზ, დიწიზლლზ.
 - 11 დიწესარ, დიწესაბ, დიწესად.
 - 12 დიწყუზდრზ, დიწყუაბ, დიწყუად
 - 13 დიწჰეზბარ, —ბ, —დ.
 - 14 დიწჰდოყარ, —ბ, —დ.
 - 15 დიწჰხეჰარ, —ბ, —დ.
 - 16 დიწჰდიჰარ, —ბ, —დ.
 - 17 დიწჰდიღარ, —ბ, —დ.
 - 18 დიწჰმოღარ, —ბ, —დ.
 - 19 დიწჰდჰეჰარ, —ბ, —დ.
 - 20 ყადრზ, ყაბლზ, ყაღლზ.
 - 30 ჰეზბწალ.
 - 40 დრყწალ.
 - 50 ხოდწალ.
 - 60 დრჰწალ.
 - 70 დრღწალ.
 - 80 მოღიწალ.
 - 90 დჰეჰელ, დჰეჰლ.
 - 100 ჰეშე.
 - 1000 ნზგრ.
- (წახ. ე., 51).

წახბურს ყველა რიცხვითი სახელების, ერთის სახელის გარდა, 1. და 2. სქეს-კატეგორიის ფორმებს ბოლოში რზ მარცვალი აქვს, მე-3 და 4-ე სქეს-კატეგორიისას-კი ლზ. თუმცა ამ მარცვლების ყველა რიცხვითი სახელებისათვის

გამოყენება მას ამჟამად უბრალო დაბოლოებად ჰბღის, მაგრამ მათი ოდინდელი დანიშნულების გაგებას მართის სახელის ფორმები გვშველიან.

1. ერთის სახელს, თანამედროვე წახურვა სქეს-კატეგორიების ნიშნები არა აქვს, არამედ ყველა სქეს-კატეგორიებისათვის მხოლოდ სა არსებობს. მაგრამ ეს რომ შედარებით ახალი მოვლენა უნდა იყოს და წინათ მახაც სქეს-კატეგორიების ბოლოსართები ჰქონია, ამას სრულებით უცილობლად ამავე რიცხვითი სახელის 11-ის სახელში დაცული ფორმები ცხადჰყოფენ. თერთმეტს ეს-ლაკ აიწესარ, აიწესაბ და აიწესად ეწოდება. აქეთგან აიწეს ათის სახელია, ხოლო სარ, საბ და სად მართის აღმნიშვნელია. რაკი ბ მე-3 სქეს-კატეგორიისა და დ მე-4 სქეს-კატეგორიის ნიშნებია, უმკველია, რომ რ 1. და 2-ე სქეს-კატეგორიის ნიშანი უნდა იყოს. თანამედროვე წახბურსაც ხომ ამ სქეს-კატეგორიებისათვის სწორედ ეს რ ბგერავე აქვს.

მაშასადამე, გამოირკვა, რომ წინათ სქეს-კატეგორიებისათვის ნიშნები მართის სახელსაც ჰქონია და მხოლოდ შემდეგში დაჰკარგვია.

ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ რ, ბ და დ ბგერებას დანიშნულების გრძნობა წახბურში უკვე საკმაოდ მოჩლუნგებული ყოფილა.

ამის შემდგომ წახბური რიცხვითი სახელების ბოლოკიდური რა და ლა-ს ბუნების გამოკვევა უკვე აღვილია.

რაკი სარა-ს, ერთის, რა მარცვალი მამრ. და მდედრ. სქეს-კატეგორიების ნიშანია, თავისდა-თავად ირკვევა, რომ ერთეულების ყველა სახელშიც რა-ს იგივე დანიშნულება უნდა ჰქონდეს, მაგრამ ერთეულების მე-3 და 4-ე სქეს-კატეგორიების ფორმებსაც ხომ ბოლოში ყველას ლა მარცვალი აქვს, რომელიც წახბურში ამ სქეს-კატეგორიებისათვის განკუთვნილს ბ (მე-3) და დ (მე-4) ბგერებს არ უდგება. ამიტომ საფიქრებელია, რომ ლა 1. და 2. სქეს-კატეგორიების რა ფონეტიკური სახესხვაობაა, ამნაირად რა და ლა-ს ოდინდელი დანიშნულება დავიწყებულია და უბრალო დაბოლოებად არის ქცეული. ეს გარემოება ცხადჰყოფს წახბურში რიცხვითი სახელების სქეს-კატეგორიების გაქრობისადმი მიდრეკილებას, რომელსაც ცალკეული მართის ფორმები უკვე უმსხვერპლია და რომელიც სხვაგანაც უკვე საკმაოდ ძლიერად არის შექრილი. ამ რა და ლა დაბოლოებას რომ წინმყოფი ბგერების დაცვისათვის ხელი არ შეეწყოს, წახბურს რიცხვითს სახელებსაც, არაერთ სხვა ლეგურ ენათა მსგავსად, სქეს-კატეგორიების აღარავითარი განრჩევა არ ექმნებოდა.

ზემონათქვამის შემდგომ ცხადია, რომ, წახბური რიცხვითი სახელების ფერ ფუძისა და შემდეგ ძირების გამოხარკვევად, წინახწარ უნდა რა და ლა მარცვლები ჩამოსცილდეს.

ერთის წინანდელი სქეს-კატეგორიებიანად დაცული სარ(ა), საბ(ა) და სად(ა) ფორმებიც გვაქვს და ბოლო-მოკვეცილი, უფორმანტო ძირი სა-ც, რომლის თანხმოვანი სხვა ლეგური ენების ერთის ც-ს შენაცვლებას წარმოადგენს. შემდეგში დავრწმუნდებით, რომ სარ(ა) პირველი და მეორე სქეს-კატეგორიების თავდაპირველ ფორმად არც შეიძლება ყოფილიყო და არც არის.

2. წახბური ორის სახელს რომ ჩვეულებრივი დაბოლოება ჩამოვაშოროს, 1. და 2. სქეს-კატეგ. ყრბ, მე-3 სქეს-კ. ყრბ და მე-4 სქეს-კ. ყრბ დავგერჩება.

რაკი ბ მე-3 სქეს-კატეგორიისა და დ მე-4-ს ნიშანია, ამიტომ ორის ზოგადად აღმნიშვნელი ყრ ყოფილა, ხოლო, რაკი 1. და 2. სქეს-კ. ყრ-ს პირველი ორი ბგერაც ძირია, ა სქეს-კატეგორიის ნიშანი უნდა იყოს.

მაგრამ თანამედროვე წახზურს პირველი და მეორე სქეს-კ. ნიშნად რ აქვს, თანაც არც ერთს ლეგურ ენას მამრ. სქესისათვის ნიშნად ა არ მოეძღვება. ამიტომ ცხადია, რომ თავდაპირველად წახზურსაც ა ორივე სქესის ნიშნად ვერ ექმნებოდა, არამედ შესაძლებელია მხოლოდ მდედრ. სქესის ნიშანი ყოფილიყო და უეჭველია შემდეგში, როდესაც სქეს-კატეგორიების შეგნება წახზურში უკვე შერყეულა და მამრ. სქესის ნიშანი გამჭრალა, მარტო ამ დროითგან მოყოლებული უნდა იყოს ა მამრ. სქესის ნიშნადაც ქცეული. მამრ. სქესის ნიშნის გაქრობა და დ-ს ამისთვისაც გამოყენება 20-მდე ყველა რიცხვითს ნიშნებს ეტყობა, ამიტომ ეს პროცესი ზოგადი ყოფილა.

ორის სახელი, რა თქმა უნდა, წახზური ოცის სახელშიც უნდა იყოს აღბეჭდილი მით უმეტეს, რომ წახზური აღთვალვა ათობითია და 20-იც ორ ბმს უნდა ნიშნავდეს. 20-ს-კი წახზურად ეხლა ყაძრ, ყაბლა და ყალღნ ეწოდება. ხოლო, როგორც დავრწმუნდით, 10-ის აღმნიშვნელი არის ძიწე, რომლის არავითარი კვალიც-კი 20-ის სახელში აღარა ჩანს. ცხადია, რომ წახზურშიც 20-ის სახელს თავისი ოდინდელი შედგენილობის მხოლოდ პირველი, ორის აღმნიშვნელი, ნაწილი-ლა მქონია შერჩენილი. ეს გარემოება გვაფიქრებინებს, რომ ორს წახზურად ოდესღაც შა-ც მრქმევია, რათგან ა, ბ და ლ, რომელიც რეგრესიული ასიმილაციის გზით არის რ(დ)-ს მაგიერ გაჩენილი, უეჭველია აქვე სქეს-კატეგორიების ნიშნებია. ამ დასკვნის სრულს შეუძმცდარობას 12-ის წახზური სახელი ძიწეყაძრ, ძიწეყაბ, ძიწეყად ამტკიცებს, რომელშიც ორი ამავე ყა-ა, ყა-ბ და ყა-დ-ის სახით არის დაცული.

3. სამს წახზურად მქებიძრ, მქებლნ და მქებილლნ ეწოდება, დაბოლოება-მოკვეცილი მქებიძ, მქებ და მქებილ იქმნება, რომელთაგან პირველის ა და მესამის ლ, რომელიც ასიმილაციის წყალობით დ-ს მაგიერია, როგორც უკვე ვიცით, სქეს-კატეგორიის ნიშნებია. ამ ნიშნებისაც ჩამოცლის შემდგომ, სამის ძირად მქები გვჩნება. მაგრამ მესამე სქეს-კატეგორიის ფორმად, დაბოლოების ჩამოშორების შემდგომ, რჩება მხოლოდ მქებ, რომელსაც ბოლოში ბ აქვს. ეს ბგერა მართლაც მე-3 სქეს-კატეგორიის ნიშანია და ამიტომ მისი ასეთ ფორმანტად მიჩნევა ბუნებრივი იყო. მხოლოდ მაშინ სამის ძირად მქები-კი არა, არამედ მქე უნდა გვეცნა. მაგრამ სამი ათის აღმნიშვნელის 30-ის სახელს მამბწალშიც სამი მქებ-ად გვევლინება. უნდა ითქვას, რომ მქები და მქებ ერთმანეთისაგან იმდენად მცირეოდნად განსხვავდებიან, რომ, თუ მეორის ბ-ს ფორმანტად ჩავთვლით მაშინ არავითარი საფუძველი არ გვექმნებოდა პირველის ბი მარცვლიც ამავე თვისებისად არ მიგვეჩნია, მაგრამ მაშინ უნდა დაგვეცენა, რომ ოდესღაც წახზური სამის ძირად ცნობილი კომპლექსი ნამდვილად ამ რიცხვითი სახელის მე-3 სქეს-კატეგორიის ფორმა ყოფილა, რომელიც ძველადვე სამის იმდენად ზოგად სახელად ქცეულა, რომ შემდეგში მის ძირადაც-კი მოსჩვენებიათ. როგორც აღამიანი დარწმუნდება, ეს საკითხი ძნელი გადასაწყვეტია და

მისი საბოლოო გამოკვევა მხოლოდ ყველა ლეგური მასალების შედარებითი ანალიზის საშუალებით შეიძლება.

4. წახბური ოთხის 1. და 2. სქეს-კატ. ფორმა იქმნება **აოყეა**, მე-3 **აოყუბ** და მე-4 **აოყვდ**. ძირად-კი **ღოჟი**, **ღოჟუ** და **ღოჟჟ**. რა თქმა უნდა, ძირის ამ სამ ფორმათაგან უპირატესობა **ღოჟუ**-ს უნდა მიეკუთვნოს, დანარჩენნი-კი მხოლოდ სახესხვაობაა. საგულისხმოა, რომ ოთხი ათის აღმნიშვნელს 40-ის სახელს **აოყწალ**-ში ოთხის გამომხატველი მხოლოდ **აოყ**-ია.

ბეასალურია, ანუ მითლისურია 5-ის იშტუდა-ს, კატაგულის იშთუდა-ს, ახვანურია იშტუდავე-ს, ყუანაღურია, ანუ ზაკულაზურია იშტურა-ს, ცანდალურია იშტუდა-ს, ქაშალაღურია ანუ ჰაჰაღლურია ინსაჰდა და ანდაურია ინშტუგუ-ს ძირის იშტუ-ს, ანუ ინშტუ-სთვის თვისტომის მოძებნა ძნელია, თუ ერთი მხრით ამ ორთავანს აღრინდელად არ ჰივიჩნევთ, მეორე მხრით აქ ბგერათა ადგილმონაცვლების შესაძლებლობასაც არ ვავითვალისწინებთ. საფიქრებელია, სახელდობრ, რომ იშტუ უფრო აღრინდელია და 6 შემდეგში უნდა იყოს გაჩენილი. თავკიდური 6-ს ბუნებაცა და პირვანდელი მდებარეობაც ცალკეა გამოსარკვევი და აქ მხოლოდ შტუ კომპლექსს შევხებით. ასეთი ძირი 5-ისათვის არც ერთს ლეგურ ენათავანს არ აქვს, მაგრამ თუ წარმოვიდგენთ, რომ შტუ შესაძლებელია ადგილმონაცვლებით იყოს უფრო აღრინდელი ტშუ-საგან წარმომდგარი, მაშინ ასეთი კომპლექსისათვის მსგავსი ძირის მოძებნა ვაგვიადვილდება. ზემოთ უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ ღუნბურია ხუთის შუგო-ს ძირი შუ და ჰკბალურია შტილ-ის შტა არის, რომელიც აკუშური 5-ის ხუჯალ-ისა და სანალურია 5-ს ფ-ხუ-სა და თამაზატაღული ჰყურ-ის და სხვაეც არა ერთის ხუ და ჰუ ძირის ბგერითი სახესხვაობაა.

ახლა მხოლოდ წინმყოფი 6-ს რაობა-ღა ვამოსარკვევი. მართალია, ლეგურს ენებში ხუთის არც ერთი სახელი არ გვხვდება, რომელშიც ზემომოცემილი ძირის წინ 6 იჯდეს. მაგრამ სამაგიეროდ სანალურია ხომ ხუ-ს წინ ფ აქვს, რომელიც სქეს-კატეგორიის შენაზრდია. დილურია ენის 5-ს ფხი-საც წინ ასეთივე შენაზრდი მოეპოვება.

დასასრულ შესაძლებელია აღნიშნულ იყოს, რომ ჩრდილო-კავკასიის ენათა დასავლური, სინდური, ჯგუფის ერთ წარმომადგენელთაგანს, სახელდობრ, კაშალაღურს, 5-ისათვის სწორედ 6 თავსართიანი ფორმა ტვუ აქვს შერჩენილი.

მას შემდგომ, რაც ოთხის სახელის ორი რიცხვისაგან შედგენილობა გამოირკვა, ბუნებრივად დაიბადება აზრი ასეთივე შედგენილობაზე ხუთის სახელის შესახებაც. თუ ოთხის სახელი ორი ორი-ს სახელისაგან წარმომდგარა, მაშინ ხუთი საფიქრებელია, ან ხამი + ორი-საგან, ანდა ორი + ხამი-ს სახელების შერწყმასაგან იყოს წარმომდგარი. მართლაც ჰაჰაზურია ხუთის სახელი ხოჯ-რან, ხოჯ-ლან და სხ. შესაძლებელია ხამის ჰეც და ორის ყრან და ყრან-ლან-ს სახელებთან იქმნეს დავაჰშირებული, მეტადრე თუ ვავითვალისწინებთ, რომ ორის სახელის ყ-ს ხ-დ შენაცვლების სხვა მაგალითებაც გვაქვს და ხამის სახელი ჰან (ჰვრკ.) და ჰა-ს (ბუჯხ. და ყუან.) სახითაც მოგვეპოვება. ამგვარად ხუთის სახელი ხოჯ-რან უნდა ყო + ჰე + რან-საგან იყოს შერწყმის წყალობით წარმომდგარი და თავდაპირველად ორი ხამი-ს აღმნიშვნელი ყოფილა. იგივე შესაძლებელია ითქვას ხ-ძირიყულიან ხუთის სახელების ხუჯალ-ისა, — ხან-ვა, ხან-რა და ხან-ზა-სა და ფ-ხუ-ს შესახებაც. აღუღური 5 იქგაედ ის მეორე გაედ ნაწილიც ხომ იგივე გრან და გად, ე. ი. 2 არის.

ამგვარად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ 5-ის სახელი 2-ისა და 3-ის ანდა 3+2-ის სახელების შერწყმით არის წარმომდგარი.

განცალკევებული რანს უფროს ხუთის სახელი ყო, მაგრამ, თუ მოვიფიქრობთ, რომ, მართალია, თანავფართო უფროს ორია სახელად ვა აქვს, მაგრამ ოცის სახელში, ორმოცის, სამოცისა და ოთხმოცის სახელებში ძველი ყო მოეპოვება,

შაშინ თავისდა-თავად დაგვებადება აზრი, რომ ქმ აღბანური ხუთის ოდინ-დელი სრული სახელის მხოლოდ პირველი, ო რ ი ს აღმნიშვნელი, შერჩენილი ნაწილი-ლა უნდა იყოს, მეორე, სამის აღმნიშვნელი, ხი-ბ ნაწილი-კი, ეტყობა, დაპყარგვია დროთა განმავლობაში (იხ. აქვე გვ. 362).

VI. ლეგურ-აღბანური ენების ექვსის სახელის ერთს ჯგუფს ეკუთვნის თანა-სატანელის ძირჰი-რ და ძირჰი-ბჰ, რომელიც ექვსი ათის აღმნიშვნელს 60-ში ძირჰი-ლა არის, — აღულუტის ძერჰი-დ, — XVIII ს. აკურუტის ძახა-ლ, რომელიც ჩახურ-ჰისდურთ ექვსის სახელის ძალბ-ხა და ძელბ-ს შიავავს, — წახურ-ბა ძიჰი-რჰ, ძიჰი-ბ-ლჰ და ძიჰი-ლ-ლჰ.

მეორე ჯგუფს შეადგენს XVIII-ს აკურუტის ურჰკა-ლ და ურჰკ (60-ში) და ჰურაულუტის ურილა-ლ, ურილა, ჰურელის რულა-დ, — ლურჰურის რახა-ვა, რა-ხაა, რახა-რა და რახა-ბა, — შურჰურის რვზ-დ, — ჯურჰის ლვზ-დ და ლვზ-ბ, — და რურულუტის რვზ-დ, რვზ-რ და რვზ-ბ.

მესამე ჯგუფს ლატერალური ბგერის შემცველობა აქვს საერთო თვისე-ბად. ამ ჯგუფს მიეკუთვნება: ნურსალუტის ინხლი-და, — ყურანდურის ინტხლი-რა, — აბჩურის დ-იტხლა (600-ში) და დ-იტხლა უუ დანარჩენი ფორმებითურთ, — ლურჰურისა, ანურჰურისა და ჩარურის ანტლა-გო, თანამდებლურ დიდურის ეტლა-ნო და ანდურის უინტლა-გო (XVIII ს.) და ონტლა-გუ (თანამ.), ონტლა-გუ

თითქმის განმარტოებულია სინალურუტის ზეკ და ყურანურის ექ, — შემდეგ ურჰის უკ და XVIII ს. დიდურის ის-ნო.

ექვსის თაბასარანული სახელი ძირჰიურ იმ მხრივ არის ხაყურადღებო, რომ ო რ რ-ს შეიცავს, რომელთაგან ერთი შუაშია, მეორე-კი ბოლოში, ისევე, როგორც ბოლოკიდური რ სქეს-კატეგორიის ნიშანია, მოძრავიც-კი, რათგან არსებობს აგრე-თვე ძირჰი-ბ, შუაში მოქცეული რ-ც ამ სიტყვის პირველი ნაწილის კიდურის შთაბეჭდილებას ახდენს. მაგრამ ამ შუა რ-სა და ბოლოკიდურს შორის ის გან-სხვავება მაინც არის, რომ შუა რ-ს მოძრაობა არ ეტყობა და ბოლოკიდურის შესავსად არ იცვლება. ექვსის შუაგულში მოქცეული რ ექვსის სახელის ორი სიტყვის, ძირ და ჰურ-ისაგან შედგენილობას აუქლავნებს.

რ-ის სახელის მეორე შემადგენელი ნაწილის ჰურ-ის რაობისა და მნი-შვნელობის მიხვედრა ძნელი არ არის, რათგან ამას წინ უკვე დავრწმუნდით, რომ სწორედ თანაბრად ჰურ ხუთბა ნიშნავს. ამიტომაც აქაც, საფიქრე-ბელია, ასეთი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ლე ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ ამ რიცხვითი სახელის პირველი ნაწილის ძირ-ის მნიშვნელობა უცილობელი იქმნებოდა: ერთის გარდა, სხვა არაფერი საგულისხმებელი არ არის, მაგრამ ერ-თის სახელად ლეგურს ენებს ძირ, ანდა ძერ არ მოეპოვებათ, რაც შემომოყვან-ილი მოსაზრებისათვის დიდი დაბრკოლებაა. ამაზე უფრო დამაფიქრებელია, რომ ასეთი სახელი ერთისათვის არც ლილლურსა და არც სინდურ ენებს აქვო, ანდა უჩანთ. მხოლოდ ზოგადს ქართულსა და ქართველურ ენებს გააჩნიათ უსვე-ლეს დროთაგანვე ასეთი სახელი. ამიტომ ან უნდა რ-ის შემოაღნიშნული ეტიმო-ლოგია უარყვით, ანდა უნდა დავასკვნათ, რომ ერთბა ამნაირი სახელი წინათ ლილლურსა და ლეგურ ენებსაც ჰქონიათ და მხოლოდ დროთა განმავლობაში დაუკარგავთ.

ამ ალტერნატივის გადასაწყვეტად, რა თქმა უნდა, იმასაც აქვს მნიშვნელობა, თუ რამდენად მტკიცდება სხვა ენების ანალიზითაც, რომ ექვსის სახელის მეორე ნაწილი მართლაც ხუთსა ნიშნავს, ანდა ხუთის გამომხატველს ძირეულ ბგერას, თუ ბგერათა კომპლექსს შეიცავს. თუ საკითხს ამ თვალსაზრისით შევხებით, მაშინ თავსატაქა ექვსის სახელის შემომოყვანილი ანალიზის დამადასტურებელი კიდევ რამოდენიმე მაგალითის მოყვანა შეიძლება. სახელდობრ: 1. ბრუთუტად ნ-ს რგზედ ეწოდება და მისი მეორე ნაწილი არის ხედ, ხოლო ბრუთუტად ხუთს ხუდ ეწოდება.—2. წასწრად ნ-ს აიჰი-რწ, აიჰიბ და აიჰიდ ჰქვიან და ხუთს წასწრად წოჰ-რწ, ხობ და ხოდ ეწოდება,—3. ლუჰრად ნ-ს რახ-ვა, რახ-ა, რახ-ბა და რახ-რა-ს ეძახიან, მისი მეორე ნაწილი არის ხა და ლუჰრად 5-ს ხხ-ვა, ხხ-ბა და ხხ-რა ჰქვიან და 5 ხე-ჟა-ს (XVIII ს.) სახითაც-კი გვაქვს, ისე, რომ აქაც 5-ის მყარ ელემენტად ხა ჩანს.

საგულისხმოა, რომ ჩაჩნრტა და ქისტრტა, ნ-ს ალბ და აელბ ეწოდება. ბოლოკიდურ ბგერად ხ აქვს და ჩაჩნრტა-ქისტრტა 5-ის სახელს 3 ხი-შიც ძირეული სწორედ ხი არის, აელ—კი (←აერ) აქაც ერთის აღმნიშვნელი გამოდის.

დასასრულ უნდა აღინიშნოს, რომ თუ დიდურად ნ-ს იხნო (XVIII ს.) და ეტლანო (თანამ.), ანუ ეტლანო ჰქვიან, დიდურად 5-ს ხენნო (XVIII ს.) და ტლანო (თანამ.), ანუ ტლანო ეწოდება. შესაძლებელია ვიფიქროთ, რომ იხნო წარმომდგარია ხის (1) + ხენ-ნო (5) და ეტლანო-ს მეორე ნაწილიც ტლანო (5)-სთანვეა დაკავშირებული.

სინაუტრტის ნ-ი ზეკ და ყრწანრტის ექვსტრტის ურიგა-ლ-ისა და კრტრტის რუგუდ-ის მსგავსი ფორმის რიგა-ლ-ის ფონეტ. სახენაცვალი უნდა იყოს. რეკრტ ვვ და უვ მუდურტა რვტდ-ის ნაირი ფორმის თავკიდური რ-სა და ბოლოკიდური ვდ-ის ჩამოცლილი შუა ნაწილი-ლაი.

ყველაფერი, რაც აქამდე უკვე გამოიკვამ, უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ერთეულების დანარჩენი სახელებიც თავდაპირველად ამნაირადვე რთული აგებულებისა უნდა იყოს.

VII. შვიდის ეტიმოლოგიის ძიების დროს ყურადღებას თავსატაქა ვურდურ, ურდურ და ურდუმ იპყრობს, რომელთა ფონეტიკურ სახესხვაობას ვერტა აბლვ და აბლვბ,—წასწრე აბლი-რწ, აბლიბ-ლწ და აბლილ-ლწ,—ბრუთუტა აბრუტ, აბრუტ და აბრუტბ.—ბრუტუტა აბრიდ,—აბრუტა აბრიდ,— ვტრულს ერრდ და რეკრა ვულ-ი წარმოადგენს.

თავსატაქა ვურდურ, ურდურ და ურდუმ იმ მხრივ არის საყურად-არამედ სქესდება, რომ ამ რიცხვის სახელის ორნაწილადი აგებულება აქ მკაფიოდ მოჩანს. ცხადია, ის ვურ, ანდა ურ-ისა და დურ, ანდა დუმ-ისაგან შესდგება.

როგორც ამ რიცხვის სახელის მეორე ნაწილის რ და ბ ძირეული არ არის, კატეგორიის ნიშნებია, ამნაირადვე, ვგონებ, დასაბუთება საჭირო არ უნდა იყოს იმისთვის, რომ პირველი ნაწილის თავკიდური ვ-ც ძირეული არ არის, არამედ სქეს-კატეგორიის შენაზრდია ისევე, როგორც ამ ნაწილისავე ბოლოკიდური რ-ც.

რაკი 7-ის სახელი ორნაწილადი გამოდგა, ამიტომ, წინა რიცხვების მსგავსად, საფიქრებელია, რომ აქაც შესაძლებელია ორი რიცხვის სახელის შერ-

წყმული ფორმა გვექონდეს გამოყენებული. თუ საკითხის განხილვას ამ მხრივ შეუდგებით, თამასაბრანული ურ-ღურ-ის პირველი ნაწილი ურ შესაძლებელია 2-ის თამასაბრანულსავე სახელს უორ-ს დაუყავშიროთ და მის ყ-განქრალ (ისევე, როგორც აღლურს აქვს-გოდ) სახესხვაობად მივიჩნიოთ, ხოლო მეორე ნაწილი ღურ ზუთის აღმნიშვნელს თამასაბრანულ ჰურ-ის შესატყვისობად ვცნათ. ამგვარად შევიდის თამასაბრ. სახელი თავდაპირველად ორი+ზუთი-ს აღმნიშვნელი უოფილა, ისევე, როგორც დანარჩენი შემოადნიშნული ენების თამასაბრან. სახელის მსგავსი ფონეტიკური სახესხვაობის მქონებელი 7-ის სახელებიც.

VIII და IX. 8-ისა და 9-ის აგებულება უფრო ძნელი გამოსარკვევია მაგრამ აღლური 9-აც აარჩვიოდ ხომ აარჩ (7)-ისა და გოდ (2)-ის სახელებიან-გან შედგენილი აღმოჩნდა ისევე, როგორც კერული 9-აც (აქვე გვ. 331).

თვლასა და რიცხვის სახელებში, ერთეულების მსგავსად, განსაკუთრებული მნიშვნელობა ათის სახელსა აქვს.

X. ლგურსა და ალბანურ ენების ათის სახელი შესაძლებელია ხამ ჯგუფად გაიყოს.

ერთ ჯგუფს ძირეულ თანხმოვნად ათისთვის ტ აქვს. ამ ჯგუფის ოდინდელი არსებობის კვალი მარტო არჩილას 21, 31, 41, 51, 61, 71, 81 და 91-ის სახელშია ტტი-რ და ტტუ-რ-ის სახით დაცული, ცალკეულად-კი 10-ის სახელად არჩილას ვ-იწა-უუ და სხ. აქვს, 11—19-მდე ათს ეწოდება მოწორ. ათის ოდინდელი არჩილი სახელი ტბურ ამ მხრივ არის საყურადღებო, რომ 10-ის ჩანჩურ-დისტრას სახელს იბტმ-ხ და რაჭის იბტა-ხ უდგება.

მეორე ჯგუფს ათის სახელისთვის ძირეულად ც ბგერა მოეპოვება. ამ ჯგუფს XVIII ს. აკრძრას ა-ნცალ-ლ და უეც (რთულ. რიცხვ.),—XVIII ს. ანდარას ა-ნცა-ლ,—და უდრის 70 და 90-ს სახელებში დაცული ვ-იც, ისევე, როგორც XVIII ს. ლრძრძრის ცა და ც (რთულ. რიცხვ.).

მესამე ჯგუფი, რომელსაც ძირეულად წ ბგერა აქვს, მრავალრიცხოვანია. მას მიეკუთვნება: თამასაბრანულია ა-იწუ-რ, ა-იწუ-ბ და წურ (50—90-ში), ჭურ, (30 და 40-ში),—ბრთელურის ა-იწუ-დ, ა-იწუ-რ და ა-იწუ-ბ, რომლის მაგიერ 10—19-მდე და 40-ში წგ, ხოლო 30-ში წა-რ და 40-ში წგ-რ არის,—ჯურის ა-იწ-დ და ა-იწი-ბ,—ბრძრძრის ვ-იწვ-დ და ა-იწვ-დ (30-ში),—აღლურის ი-წუ-დ,—კრთილის წუ-დ,—ბრძალურისა უ-იწა-ლ და უ-იწ (რთულ რიცხვ.).—ყრძრძრის უ-იწ და წა-ლ (30 და 40-ში),—არჩილას ვ-იწა-უუ და მ-იწო-რ (11—19-მდე),—ურის ვ-იწ და წ (რთულ რიცხვ.),—ყრძრძრის მ-აწა-რა, მ-აწა-ლ (11—19-მდე) და წა (20—90-მდე),—მთლსრის მ-აწა-და და მ-აწა-ლი,—ლრძრძრისა, ანძრძრისა და ჩარჩილას ანწ-გოდ და ანდარას თანამ. მ-იწო-გუ და იწო-ლ (ათეულებში),—ლრძრძრის XVIII ს. ცალკეულისა და თანამედროვეს აწ-ვა, აწ-ა, აწ-ბა და აწ-რა, წა-ლ (რთულ რიცხვ.).

აღსანიშნავია აგრეთვე, რომ თამასაბრანულის 30 და 40-ში ათის წ-ს მაგიერ კ ისმის: ჭურ-რ.

ათის სახელების შემომოყვანილი სამივე ჯგუფის გადაკითხვა ადამიანს დაარწმუნებს, რომ ამ რიცხვის სახელის განსხვავებასა და ნაირნაირობას ძირეული ბგერის შენაცვლება (ტ, წ, ც), მისი ახმოვნების შეცვლა და თავსართო-

ვანი და ბოლოსართოვანი სქეს-კატეგორიების ნიშნებისა და შენაზრდების სხვა დასხვაობა ჰქმნის.

ათის ძირეული თანხმოვნის სამი სახესხვაობითგან ყველაზე აღრინდელია უძედა იყო. ამას ერთი მხრით ის გარემოება ამტკიცებს, რომ იგი არტულის მხოლოდ რაული რიცხვების სახელებშია ტტ-რ-ის სახით-ღა დაკული და მეორე მხრით ტ ძირეულის ლილღურის სამსავე ენაში და ქართულსა და ქარ-თველურშიც თ-ს არსებობა ამტკიცებს.

ამგვარადვე ც-ბგერიანი წ-ბგერიანებზე უფრო აღრინდელი ჩანს, რათგან სადაც XVIII-ს ც გვაქვს, იქ ეხლა წ არის, მაგ.: ლეონიძისა მე-XVIII ს. ათის სახელი 11 და 12-ში ცა, ხოლო 40, 50, 60, 70, 80 და 90-შიც ცა-ლ-ვა იყო და მა-შინ მართო 10-ს ცალკეულად ეწოდებოდა აწ-ბა, ეხლა-კი 11 და 12-შიც არის აწ და 40—90-მდეც ყველგან წა-ლ-ვა-ა.

ამნაირადვე ლუნძურსა, ანწუნურსა და ქართულში მე-XXIII ს. თუ ცალკეულად 10-ი ეხლანდელივით ანწ-გო იყო. 11 და 12-ში ათის სახელად ანცი ყოფილა დაკული, თანამედროვე ლუნძურს-კი ეხლა აქი; ანწ-ი აქვს. ანციობაც XVIII ს. ათისათვის ა-წ-ცა-ლ ჰქონია. ეხლა-კი ჰოწო-გუ არის. თანამედროვე უღრსაც 70 და 90-ის სახელში შეორჩენილი აქვს ვ-იც, ცალკეულად-კი არის მხოლოდ ვ-იწ და რთულ რიცხვებში წ.

ც. ახის სახელის ერთ ჯგუფს ლეგუოსა და ალბანურში ძირეულ თანხმოვნებად რშ უჩანს. ამ ჯგუფს ცკუთენის ლეონიძისა დ-ურშ-ვა (XVIII ს.), ტტ-ურშ-ვა, ტტ-ურშ-ა, ტტ-ურშ-რა და ტტ-ურშ-ბა, — აკურსისა და ჰტაილურის დ-არშ-ალ, — აღურსის ტ-არში.

ამავე ჯგუფს შესაძლებელია რუ ძირეულიანი თანხმოვნების ვ-არტ-იც მიეკუთვნოს.

მეორე, მრავალრიცხოვანს, ჯგუფს ძირეულად მხოლოდ შ-თანხმოვანი აქვს. ამ ჯგუფისაა: წახურსა ტ-აშა, — ატურსა ბ-აშა-ტუ, — ყრმურსა დ-აშ, — ბრურსა ვ-ეშ, — ჯტურსა ტ-იშ, — ავანურსა ბ-ეშანი-და, — კატურსა ბ-ეშ-ანდა, — ყრმურის ბ-ეშენ-და, ანციურსა ბ-ეშონ-გო, — მთლიურსა ბ-ეშუნ-და, — ხატურსა ბ-ეშინ-და და ღაურსა ბ-იშონ.

ცალკე უნდა გამოიყოს უღრსა ბ-აწ.

ერთი ჯგუფს შ აქვს ძირეულად. იგი მხოლოდ ქაბალაურსა ბ-ეშან და ღანდაურსა ბ-ეშენ-და-საგან შესდგება.

ცალკეულ ჯგუფად გამოსაყოფია ლეონიძისა, ანწურსა და ქართულს ნ-უბ-გო და მუქაურს-ყაურსა შ-ის.

დასასრულ უნდა შეამჯობოთ მეორე სახელიც ჰიტ გავიხსენოთ, რომელიც არც ერთს შემომოყვანილს არ უდგება, და ხანაურსა ფ-აე.

ათის სახელების ყველა სახესხვაობათა ჯგუფობრივი გადასინჯვა აღმოჩნდა დაარწმუნებს, რომ არსებითად ამ რიცხვის სახელის ძირი ერთი-და-იგივე უნდა იყოს. სხვაობას ჰქმნის ამ ძირის ბგერათა შენაცვლება (შ, ჯ, ჩ, შა, ჰ) და თავკიდური თანხმოვნისა (დ, ტ, — ტ, ვ, — ბ, ფ) და ბოლოკიდური სქეს-კატეგორიის ნიშნისა, თუ დაბოლოების (ვა, ბა, და, ნ, გო) ნაირნაირობა.

ენათა უმრავლესობას (11-ს) ახის შ-ბგერიანი ძირი აქვს (აშა, აშ, ეშ, იშ), მხოლოდ ორს მოეპოვება ჰ (ეჰა, ეჰე) და მარტო ერთს ჩ (ჩჩ).

რშ-ს მქონებული ჯგუფი 4 ენისაგან შესდგება (არშა, არშა, ურშ), მისი რე სახესხვაობა-კი მხოლოდ ერთსა აქვს (არე).

ლენბერტ-ანჟუსურ-ჩაბურლის ნუს-გო-ს ახის აღმნიშვნელის ნუს-ის თავკიდური ნ-ც ძირეული არ უნდა იყოს, არამედ ოდინდელი სქეს-კატეგორიის შენაზრდი და ძირად უხ არის საგულისხმებელი, ამნაირადვე არც შუაქალაქურ-ყაფურჩა ჰოხ-ის ჰ ჩანს ძირეულად, არამედ რ-ს შუალედს სახესხვაობასა და სქეს-კატ. შენაზრდსვე უნდა წარმოადგენდეს. მის ძირად გვჩნება ოს, რომელიც ლუნძურ-ანწუხურ-ქარულის უ-ხმოვანა სახესხვაობაა. ამგვარად ახის ძირის ს თანხმოვანი ზ სახესხვაობაც მოგვეპოვება და შ-თგან მოყოლებული ჰ-მდე შენაცვლებათა სრული მწკრივიც გვაქვს დაცული.

სრულებით განსხვავებულია შუაქალაქურ-ყაფურჩას ახის მეორე სახელი შიბ, რომელიც მით უფრო საინტერესო და საყურადღებოა. ათის სხვა-და-სხვა სახელების ზოგადი განხილვისა და ანალიზის დროს დავრწმუნდით, რომ აჩაქლს 10-ის სახელის ტ ბგერიანი ძირი აქვს დაცული, რომლის სრული სახე დილლური ენების ითთე, იტბე, იტბა და იტ-სა აქვს დღევანდლამდე შენახული. თუ ეს გარემოება გაგვახსენდება. მაშინ შუაქალაქურ-ყაფურჩა ახის ჰიტ-ის იტ-იც შესაძლებელია ამავე ათის სახელთან დაკავშირებული და ათისავე აღმნიშვნელად იქმნეს მიჩნეული. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ ჰ ბგერაც უნდა ათის გამომატველადვე ვიგულისხმოთ. საბედნიეროდ თანასაბანოს, როგორც დავრწმუნდით, 30 და 40-ის სახელებში ათის სახელად აქვს სწორედ ჰ-ბგერიანი ჰუ-რ. რაკი რთულ რიცხვ. სახელებში ათის გამომატველად ხშირად ერთი თანხმოვანი-და (ც ან წ) არის ხოლმე შერჩენილი (ისევე, როგორც მაგ. ქართული ძველი ათ-ერთ-მეტი-საგან წარმომდგარია თ-ერთ-მეტი). ამიტომ არც ბიტიტლურ-ყაფურჩურშია გასაკვირველი, რომ ახის აღმნიშვნელი მხოლოდ ჰ იყოს. მაშასადამე, საფიქრებელია, რომ შუაქალაქურ-ყაფურჩა 100, ჰიტ, თავდაპირველად ათი ათის აღმნიშვნელი ყოფილა. ახის სახელის ასეთი აგებულება ათობითი სისტემის დროს ბუნებრივია და, როგორც ვიცით, ლეგურს ენებში ასეთი წარმოშობილობის ახის სახელი სხვაც არის.

ბოლოს-და-ბოლოს მთავარი საკითხი მხოლოდ ახის ძირის არშ და აშ-ის ორი სახესხვაობითგან ერთის მათგანის პირველადობის გამორკვევაა. ამისთვის კი საჭიროა, რომ ისევე, როგორც ჰიტ-ის აგებულებასა და თავდაპირველ მნიშვნელობას მივაგნით, არშ, ანუ აშ-ის ეტიმოლოგიაც ვიცოდეთ. რაც ადვილი საქმე არ არის.

ხუმონათქვამი დაარწმუნებდა ადამიანს, რომ ლეგური ენების რიცხვითი სახელების ძირები ხაერთო ყოფილა და მხოლოდ იმის გამო, რომ დროთა განმავლობაში მათ სხვა-და-სხვა შენაზრდები აღმოაჩნდათ და სხვადასხვა ბგერითი ცვლილებაც მომხდარა, ზოგს მათგანს მთელი თავკიდური, თუ ბოლოკიდური მარცვლები და მთელი ნახევარიც-კი დაჰკარგვია, რიცხვითი სახელების სახე ისე შეუცვლია, რომ ბევრჯერ მათ შორის ნათესაობის შემჩნევაც-კი შეუძლებელი იყო.

დასასრულ გულდასმითმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ არამცთუ ოცობითი სისტემა კავკასიური ენების თავდაპირველ თვისებად არ შეიძლება მიჩნეულ იქმნეს, არამედ, რომ ათობითი სისტემაც მერმინდელი ყოფილა და ერთეულების სახელებიც რთული აღნაგობის აღმოჩნდა.

თ ა ვ ი მ ე ო ტ ხ ე

ზოგადი ქართული და ქართველური (მეგრული, ჭანური და სვანური) რიცხვითი სახელები

§ 1. საკვლევი მასალის თავისებურება

თუ აქამდის ჩვენ ე. წ. კავკასიური ენების რიცხვითი სახელების შესახებ გვექონდა მსჯელობა, ეხლა უკვე ისეთი ძველი მწერლობის მქონებელი ენის რიცხვითი სახელების ანალიზზე მიდგა ჯერი, როგორც ზოგადი ქართულია. დამწერლობიანსა და ზოგადს ენას საფუძვლად ყოველთვის გრამატიკული და მართლწერითი წესების ერთგვარობა აქვს ხოლმე, მაგრამ მაინც უნდა ითქვას, რომ ბევრი არ არის ისეთი ენა, რომელსაც გრამატიკული და ორთოგრაფიული ნორმები ძველი ქართულის მსგავსად მკაცრად ჰქონდეს დაცული. ქართულში ენის აღნაგობა და მისი დამწერლობითი გამოხატულება მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ისე შეურყეველად არის შერჩენილი, რომ ძველი მწერლობისა და ენის ისტორიაში განუსწავლელს მკითხველს ძველი ქართული თითქმის ერთხელ და სამუდამოდ ჩამონაქვთილ, სრულებით უცვლელ ენად ეჩვენება.

რა თქმა უნდა, რომ ძველი ქართულის გრამატიკული და მართლწერითი ერთგვარობა მრავალსაუკუნოვანი შეგნებული კულტურული მუშაობისა და მიზანშეწონილი სავალდებულო დანორმების შედეგია. ასეთ შემთხვევებში ყოველთვის ადგილობრივი, თემური, თუ ტომობრივი ყოველნაირი თავისებურება უგულებელყოფილია და უღმობელად უარყოფილიც არის ხოლმე: სხვა გზა და საშუალება ზოგადი ენის შესაქმნელად არ არსებობს. ზოგადს ენას მხოლოდ იმ სიტყვიერი მარაგის შენარჩუნება შეუძლიან, რომელიც ერის სხვაზე უფრო ძლიერ და დაწინაურებულ ტომთან საერთო კულტურული და პოლიტიკური ცხოვრებისათვის მნიშვნელოვანია, რომელიც ურთიერთი გაგების აუცილებელს საგანძურს წარმოადგენს.

რამდენადაც უფრო ძლიერია და დაწინაურებული ზოგადი ენა, იმდენად უფრო მკაცრად არის ხოლმე მისი ერთგვარობა დაცული და ყველაფერი, რაც დიალექტურად ამა-თუ-იმ თემში, ხეობაში, თუ გინდ სოფელში შერჩენილია, უმეტესად აღუბეჭდველი რჩება, შემდეგ-კი დროთა განმავლობაში ქრება და ისპობა. რასაკვირველია, ამით მეცნიერებას, სამწერლობო ენის შესწავლისათვის ძვირფასი, საკონტროლო მასალაც ეკარგება, ენოვანი მასალის მრავალფეროვნებითა და ნაირნაირი სიუხვითაც უმწერლობო ენების საუნჯე ენათმეცნიერებისათვის, რა თქმა უნდა, უფრო საინტერესოა. მაგრამ, სამაგიეროდ სამწერ-

ლობო ენა ჰკვლევარს თავისი განვითარების საფეხურების შესასწავლად ძველ დროითგანვე დამწერლობით აღბეჭდილს მასალას აწვდის, რომელიც კვლევა-ძიებისათვის მტკიცე საფუძველს უქმნის ხოლმე. ამის უქონლობა-კი უდამწერლობო ენების შემსწავლელს ძალიან უძნელებს საქმეს.

რაკი ქართული ძველი დამწერლობიანი ენაა, ამიტომ მის რიცხვითს სახელებშიც მკაცრა ერთგეარობაა დამყარებული და მათი შემსწავლელი იმის მსგავსს ნაირნაირობას, რომელიც ჩრდილო-კავკასიის ენების რიცხვითი სახელების ანალიზის დროს ასე საგრძნობი, მაგრამ ხშირად შეტად გამოსადეგი იყო, ოდნავაც ველარ ნახავს. ამის ანაზღაურება ძველი ზოგადი ქართულის დიალექტების, ქართველური ენების მასალითაც მხოლოდ მკირეოდნად შეიძლება, რათგან ზოგადი ქართულის ოდინდელი და მერმინდელი ნორმების ძლიერი გამათანაბრებელი გავლენა მათაც მკაფიოდ ატყვიათ. რასაკვირველია, იქაური მასალებიც რიცხვითი სახელების ანალიზის დროს აქა-იქ ადამიანს შველის, მაგრამ ამაზე უფრო მნიშვნელოვანია თვით ზოგადი სამწერლობო ენის საგანძურში დაცული რიცხვითი ოდენობის გამომხატველი სპეციალური ტერმინები, რომელთაც ზოგჯერ დამწერლობაზე უწინარესი მეურნეობის ენის ვითარება აქვთ აღბეჭდილი. სწორედ აქ შეუძლიან მეცნიერს ის დანაკლისი, რომელიც ზოგადს ენას დანორმების წყალობით ოდინდელ ფორმათა მრავალფეროვანობის მოსპობის გამო აქვს, ნაწილობრივ მაინც აინაზღაუროს.

§ 2. ამ საკითხის შესახები ნაშრომების შეფასება.

არც ზოგადი ქართული და არც ქართველური რიცხვითი სახელები მონოგრაფიულად ჯერ არავის შეუსწავლა. მხოლოდ აკად. ნ. მარრსა აქვს სხვა-და-სხვა ეტიმოლოგიები წამოყენებული და ერთი სპეციალური ნაშრომიც მოეპოვება.

პირველად თავისი თეორია რიცხვითი სახელების შესახებ აკად. ნ. მარმა 1913 წ. გამოაქვეყნა პატარა ნაკვლევის სახით, რომელსაც ეწოდება „რიცხვითი სახელების ნასესხობა იაფეტურს ენებში“ („Займствование числительных в яфетических языках“: ИАН, 1913 წ., გვ. 789—790), ქართული რიცხვითი სახელები-კი განხილულია ნ. მარრის 1925 წ. გამოსულს „ძველი სალიტერატურო ქართული ენის გრამატიკა“-ში, სადაც ამ საკითხს 12 დაბეჭდილი ვერდი აქვს დათმობილი (გვ. 71—82). ამ ნაშრომში ავტორს მთელი თავისი მსჯელობა თავის ძველს თეორიაზე, ქართულის სემეზობის რწმენაზე, აქვს დამყარებული, თუმცა უკვე ხუთი წლით ამაზე უწინარეს მას სრულებით სხვა მოსაზრებანი ჰქონდა გამოოქმული. სახელდობრ, თავისს 1920 წ. გამოქვეყნებულს ნაშრომში „Яфетический Кавказ и третий этнический элемент в со-зидании средиземноморской культуры“, აკად. ნ. მარრი ამბობდა, რომ რიცხვით სახელებად თავდაპირველად სხეულის სახელები ყოფილანო: ერთისაცა და ორის აღსანიშნავად ერთსა-და-იმავე სიტყვას ხმარობდნენ, „თავს“-კი არა („ერთი

თავი¹), არამედ ან «პირხა², რომელიც წარმოდგენილი იყო, როგორც ერთი (ერთი პირი) და ორი (ორი ტუჩი пара ружа), ან «ხელი», ერთად აღქმული (ერთი ხელი) და ორად («წყვილი ხელი»), რაცხეი „ოთხი“ სიტყვა „ფეხები“ გამოდგა, ოთხფეხ ცხოველთან დაკავშირებით, ან იქნებ იმასთან დაკავშირებითაც, რომ ხელები ჯერ კიდევ ფეხების მსგავსადაც იხმარებოდა, ხუთი სიტყვა „მჯილით“ გამოიხატებოდა. თავდაპირველად ხან ხუთამდის სთვლიდნენ, ხან ექვსამდის, ამის იქით-კი ხმარობდნენ სიტყვას ბევრი³, რომლის აღსანიშნავადაც ორსავე ხელს გამოიყენებდნენ ხოლმე. როდესაც პრეიაფექტიდმა უკვე ათიბ ცნებას მიაღწია, მაშინ იგივე სიტყვა „ხელი“ (თუ სახელდობრ რომელი სიტყვა აქვს ნაგულისხმევი, განმარტებული არ არას), მხოლოდ მრავლობითად ნახვარი, გამოხატავდა ათეულს, შუალედი რიცხვების აღსანიშნავად-კი ხუთს, ანდა ექვსს ერთს, ანდა ორს უმატებდნენ, ანდა ერთის, ან ორის ათითგან გამოკლებით აღნიშნავდნენ ხოლმე, ე. ი. ათი ერთ-ნაკლები, ანდა ორ-ნაკლებით (Ифетия. Кавказ и третий этнический элемент: Избр. работы I, 99).

ნ. მარჩის უკვე ძველი ქართული გრამატიკის თავის „ძირითადს ტაბულაში“ ზოგიერთი ქართული რიცხვითი სახელების ეტიმოლოგიები მოლიანად სემური ენების რიცხვითს სახელებთან აქვს დაკავშირებული, 1920 წ. მოხსენებაში წამოაყენებულს დებულებაში-კი წინანდელი ეტიმოლოგიების ხსენება-კი არ მოიპოვება, მაგამ არც ამ ახალი თეორიის დამადასტურებელი რიცხვების ის სახელებია მოყვანილი, რომელნიც მისი აზრით ხელისა და ფეხების აღმნიშვნელი სიტყვებისაგან არიან წარმომდგარი. მთელ ამ უთანხმოებას ის ვარემოებაც ერთვის ზედ, რომ ამის ხუთი წლის შემდგომ გამოქვეყნებულს ზემოაღნიშნულს „ძვ. ქართ. გრამატიკა“-შიც 1920 წ. მოძღვრების არავითარი კვალი არა ჩანს და, რაკი იმ ნაშრომში წამოყენებულ ახალ დებულებათა არც დასაბუთება, არც დამადასტურებელი მაგალითები მოიპოვებოდა, ამიტომ გრამატი-

¹ უფლებელია იგულისხმება: პირველი.

² Числительные вывелись, также, как физические предметы, как пережитки слов, обозначавших и обозначающих члены тела: для представления „один“, как и для представления „два“, бралось одно и то же слово, не „голова“ („одна штука“), а или „рука“, воспринимаемое как один („одна рука“) и два („пара рук“), или „рука“, воспринимаемое как один („одна рука“) и два („пара рук“). число „четыре“ оказалось словом „ноги“, в связи-ли с представлением о четвероногом животном, изв. быть может, в зависимости от того, что руки еще продолжали служить передвижными ногами, когда блеснула творческая мысль о „четырех“, пять выразилось словом „кудаг“ („пятерня“) и т. п. (Ифетический Кавказ и третий этнический элемент: Н. Я. Марр, Избранные работы I, 99).

Первоначально нечисленные единицы доходило то до пяти, то до шести, слыше этого было слово „яного“, представление о котором давалось двумя руками, как несплетнымидами многих единиц пальцев, числовое восприятие которых, однако, не было еще доступно. Когда праяфетия дошел до представления о десяти, то же слово „рука“ во множественном числе, собственно две руки с „десятью пальцами“ стали выражать „десяток“, а промежуточные числа выражались с помощью италиянаж, то прибавкой к пяти и шести единицы, двойки, то вычитанием из десяти той-же единицы, двойки и другими еще приемами нечисления (Н. Марр, „Ифетия. Кавказ и третий этнический элемент“: Избр. работы I, 99).

კის მკითხველის პირობას სურვილზე იყო მიგდებული, თუ ნ. მარჩის ამ ორს ერთმანერთისაგან ძირიანად განსხვავებულს თეორიას როგორ შეათანხმებდა.

დასასრულ, „ძვ. ქართულის გრამატიკის“ გამოსვლის ორი წლის შემდგომ, 1927 წ. ნ. მარჩმა ამ რიცხვითს სახელებზე საკმაოდ მოზრდილი ნაშრომი დაბეჭდა, რომელსაც შემდეგი სათაური აქვს: „რიცხვითს სახელებზე (გენეზისური საკითხის დაყენებისათვის)“, „О числительных (к постановке генетического вопроса)“, ¹ როგორც თვით სათაურიდანაც ირკვევა, ეს ნაშრომიც უკვე დამთავრებული კვლევა-ძიების შედეგს-კი არ წარმოადგენს, არამედ რიცხვითი სახელების გენეზისის საკითხის წამოსაყენებლად ჩანს განკუთვნილი. ასეთი სათაურისდა მიუხედავად, ამ საკმაოდ მოზრდილი, 60 დაბეჭდილ-გვერდიანი, ნაწარმოების 26 გვერდი რიცხვითს სახელებს არ ეხება, არამედ ღვთაებათა სახელებს, („წარმართს“, ღმერთს, არმაზს, საბადიოსს, სომხ. ასტვანს, კარაპეტს და ბევრ სხვასაც), დანარჩენ 34 გვერდზე ჯერ ზოგადი დებულებაა მოყვანილი რიცხვითი სახელების წარმოშობის შესახებ (გვ. 273—277²), შემდეგ წინა ნაწილში მოთავსებულ დებულებათა დასადასტურებლად მრავალ სხვა-და-სხვა ენითგან ამოღებული ზოგიერთი რიცხვითი სახელებისა და მათ მაგიერად მიჩნეული სიტყვების ანალიზებია მოყვანილი 298-ე გვერდამდე, რომლის ბოლოსაც პირველი ათეულის რიცხვითი სახელების წარმოშობილობის მოკლე სქემაა დართული (გვ. 298—299).

ამ სქემას ავტორის შემდეგი განცხადება მისდევს: „ეხლა ის-ღა დარჩა, რომ მთელი (ჩვენი) ნაგებობის (სისწორე) ენათა თვითეული სისტემის, ბევრ შემთხვევაში თვითეული ცალკე ენისაც-კი, რიცხვითს სახელებზე და სხვა მათ მსგავს სიტყვებზე „შეგვემოწმებინა“ და „მით დაგვემთავრებინა. მაგრამ ასეთს ამომწურავს, დაწვრილებითს განხილვაზე უარის თქმა გვიხდება“, დროის უქონლობას გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ ასეთი გაღრმავებული შესწავლისათვის ჯერ შუა აფრიკისა და აზიის ენების იაფეტოლოგიური კვლევა-ძიების ასპარეზად ქცევაა საჭირო, ამასთანავე თვით იაფეტური ენებიც ამ მხრივ, ე. ი. რიცხვითი სახელების აღნაგობის მხრივაც, ჯერ სპეციალურად შესწავლილი არ არისო (გვ. 299—300)³.

¹ თავდაპირველად გამოქვეყნდა კრებულში „Лингвистические проблемы по числительным“, т. I, გვ. XV—XXVIII, Ленинград), ამაზად გადაბეჭდილია „Избранные работы“-ს III წიგნში, გვ. 246—306.

² გვერდები „Избр. работы“-ს III წიგნისა.

³ Нам бы оставалось теперь проверить все построение на числительных каждой системы языков, а во многих случаях на числительных каждого отдельного языка, учтя, разумеется, те или иные особенности, как напр. или нумеративные слова, или новообразования. . равно такие, относящиеся к числительным термины, как раз, — крат, —жды, тем более паря, близнецы и т. п. и на том и кончать. Но от этой нечернышающей детальной трактовки приходится отказаться, по многим обстоятельствам, в числе их в первую голову з' все не по недостатку времени... а потому что... более глубокое и тонкое освещение этого сюжета в целом не может иметь места до вовлечения в орбиту исследователя языков... азиатских и африканских языков. . в момент, когда поставлен вопрос о конкретной работе над вовлечением глубинных африканских и иных языков в круг афетологических изысканий (გვ. 299). . . К тому же, сами афетические языки не проработаны специально по этой части“. („О числительных“: Избр. работы, т. III, გვ. 300).

რაკი ჩვენი წინამდებარე ნაშრომის მთავარი ნაწილი ნ. მარჩის ზემოდასახელებული ნაკვლევის გამოსვლამდე უკვე დამთავრებული გექონდა, ამიტომ აქ მისი არსებითად განხილვა შეუძლებელი იყო. ამიტომვე რიცხვითი სახელების დაწვრილებითი შესწავლისა და ანალიზის დროს ნ. მარჩის უკანასკნელ ეტიმოლოგიებზე მსჯელობაც არ შეგვეძლო და აქ უნდა მისი ამ ნაშრომის მხოლოდ ზოგადი დიხასიათება-შეფასებით დავემყოფილეთ.

ვინც-კი აკად. ნ. მარჩის წინანდელს, 1926 წლამდე გამოსულს, ნაშრომებში გაფანტულს, თუ სისტემურად დალაგებულს ეტიმოლოგიებს გადაიკითხავს ქართული რიცხვითი სახელების შესახებ, დარწმუნდება, რომ მთელი მისი მსჯელობა იქ ქართულის სემურობის რწმენით არის ნაკარნახევი. ყველაფერი ამ რწმენის მკითხველებშიც განმტკიცებისათვის იყო მაშინ განკუთვნილი. ერთადერთს გამოწაკლისს მარტო ნ. მარჩის 1920 წ. წაკითხული მოხსენება წარმოადგენს „მესამე ეთნიკური ელემენტის“ შესახებ, სადაც, როგორც დავრწმუნდით, რიცხვითი სახელების წარმოშობის უკვე სრულებით სხვა მოსაზრებანია ზოგადად, დაუსაბუთებელივ, წამოყენებული. თუ ვაფიქსირებთ, რომ სწორედ ამ დროის 1920 წ. ნაშრომში ნ. მარჩი იძულებული იყო ქართულის სემურობის თავისი დებულების სრული მცდარობა აღეარებინა, ცხადი და გასაგები ვახდება, თუ რატომ იყო, რომ ამავე დროს ავტორს ქართ. რიცხვითი სახელების წარმოშობილობის ახალი თეორიისა და ეტიმოლოგიების წამოყენება დასჭირდა: სემურობის რწმენის გაქარწყლებას ლოგიკური აუცილებლობით ამ მოძღვრებაზე დამყარებული ეტიმოლოგიებიც უნდა ემსხვერპლა!.. მაგრამ 1920 წ. წამოყენებული ახალი დებულება რიცხვითი სახელების გენეზისის შესახებ ჯერ კიდევ კარგა ხანს, 1925 წ.-მდეც-კი, თვით მის ავტორსაც იმდენად ურყევ რწმენად არ ჰქონდა ქცეული, რომ „ძველი ქართულის გრამატიკა“-ში მთლიანად შეეტანა, არამედ იქ წინანდებურად სემურობის სული ტრიალებს და ახალი მოძღვრების ანარეკლს მკითხველი ძნელად თუ სადმე შეამჩნევს.

ორი წლის შემდეგ, 1927 წ. დაბეჭდილს ნაშრომში, როგორც დავრწმუნდით, პირიქით, უკვე სემურობის ყოველივე ანარეკლია გამქრალი და რიცხვითი სახელების წარმოშობის შესახები მისი მსჯელობა მთლიანად ახალს მოძღვრებაზეა დამყარებული. მხოლოდ ზოგი რამ, რაც ამ ნაშრომში ვრცლად არის ნათქვამი, ზოგადი დებულების სახით, მოკლედ ზემოდასახელებულს 1920 წ. მოხსენებაშიც გვხვდება, ისე რომ 1927 წლის მოძღვრება 1920 წლის ჩანასახის შვიდი წლის ნაყოფს უნდა წარმოადგენდეს. ასეთი ხნიერებისდა მიუხედავად, თვით მისმა ავტორმა ეს მოძღვრება მაინც მხოლოდ წინასწარ, აპრიორულ დებულებად აღიარა.

სულ მოკლედ რომ გამოითქვას, აკად. ნ. მარჩის უკანასკნელი დებულებით რიცხვითი სახელების ერთეულების აღმნიშვნელი სიტყვები თავდაპირველად ერთი ხელის, ორი ხელის, ან ორი ტუჩის, ხელებისა და ფეხების სახელებს წარმოადგენენ, რომ ერთს დროს ხუთს ზევით ბევრი ითქმოდა და რომ ხუთითგან და თვით სამითგანაც-კი მოყოლებული ერთეულების რიცხვითი სახელები, ან რიცხვთა შეკრებით, ანდა გამოკლებით გამოიხატებოდნენო.

ასეთი დებულება ენათმეცნიერებაშიცა და ფსიქოლოგია-ფილოსოფიაშიც დიდი ხანია უკვე ცნობილია. ჯერ კიდევ ამერიკის, ავსტრალიისა და აფრიკის ველურ და ჩამოქვეითებულ ტომთა ენების მე-XIX ს. შემსწავლელებმა შენიშნეს ეს გარემოება და თავიანთ ნაშრომებში ჰქონდათ შეტანილი. ასეთ ცალკეულ დამკვირვებელთა ცნობებზე დაყრდნობით ენათმეცნიერების ზოგადი საკითხების განმხილველებსაცა და ფსიქოლოგოს-ფილოსოფოსებსაც რიცხვითი სახელების წარმოშობის პრობლემები სწორედ ასე ჰქონდათ და აქვთ გაშუქებული.¹ მაგრამ, რაკი რიცხვითი სახელების ასეთი წარმოშობილობისა და აღნაგობის გამორკვევა და დამტკიცება დაწინაურებულს, მრავალსაუკუნოვანი კულტურული წარსულის მქონებელს ენებში ძნელია, მთელს ამოცანას სწორედ ასეთი ენების რიცხვითი სახელების მონოგრაფიული, გაღრმავებული შესწავლით, ველურ და ჩამორჩენილ ტომთა ენების დაკვირვებით მოპოებული, შედეგის შემოწმება და შევსება შეადგენდა და შეადგენს ეხლაც.

ზემოაღნიშნულითგან ჩანს, რომ ქართული და ე. წ. იაფეტური ენების რიცხვითი სახელების ამ მიმართულებით მკვლევარის ამოცანადაც, მათ შორის აკად. ნ. მარჩისაც, შესაძლებელია მხოლოდ იგივე ყოფილიყო: ე. წ. იაფეტური და სხვა, მაგალითად ინდოევროპული, ენების მონოგრაფიული შესწავლითა და გაღრმავებული ანალიზით რიცხვითი სახელების ასეთივე წარმოშობის გარემოება გამოერკვია და ან დამტკიცებინა, ან უარეყო. ამის მაგიერ ნ. მარჩმა ისევ ზოგად დებულებათა წამოყენება ირჩია სხვა-და-სხვა ენებითგან განურჩევლად ამოღებული რიცხვითი სახელების აგებულების დაუსაბუთებლივ დანაწილებითა და დაკავშირებით. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, ძნელი წარმოსადგენელია, რომ სწორე და გონებამახვილი მოსაზრება სათუო და მკდარი ეტიმოლოგიებით არ ყოფილიყო მოცული. ყოველი ახალი დებულება შესაძლებელია მხოლოდ იმდენად იყოს მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი, რამდენადაც იგი მრავალრიცხოვანი ფაქტების, ხანგრძლივსა და მონოგრაფიულს შესწავლა-დაკვირვებაზეა ხოლმე დამყარებული. აკად. ნ. მარჩმა ეს გზა უარპყო: სწორედ იქვე, სადაც მან ზოგადი მოძღვრება უკვე საკმაო სისრულით განმარტებულად მიიჩნია, მას, როგორც დავრწმუნდით, ნათქვამი აქვს: ეხლა მხოლოდ ცალკეულ ენათა და ენათა მთელი სისტემების რიცხვითი სახელების ანალიზით მთელი ჩვენი მოძღვრების შემოწმება-და დაგვრჩენია, მაგრამ დაწვრილებითს განხილვაზე უარს ვამბობ იმიტომ, რომ, ერთი მხრით, შუა აფრიკისა და აზიის ენები, ჯერ კიდევ იაფეტოლოგიურად გამოკვლეული არ არის და მეორე მხრით თვით იაფეტურ ენათა რიცხვითი სახელების აღნაგობაც ჯერ სპეციალურად შესწავლილი არ არისო.

¹ წყაროების ვრცელს სიას მსურველი იხილოს ვუ ნ დ ტ-ის *Völkerpsychologie*-ს, II B. Die Sprache-ს, Zweiter Teil, 3 Aufl.-ს გვ. 24-31, § 4 *Zahlwörter und Zahlssysteme*, სადაც ძველი წყაროებიცა აღნიშნული, — Ernst Cassirer-ის *Philosophie der symbolischen Formen*, Erster Teil: die Sprache, — Berlin 1923 წ., მეტადრე გვ. 180-202. სადაც მრავალი ძველი ნაშრომებია დასახელებული, და P. W. Schmidl-ის *Die Sprachfamilien und Sprachkreise der Erde*, Heidelberg, 1926 წ., მეტადრე გვ. 357-380, die Zahlssysteme, სადაც რიცხვ. სახელების წარმოშობა და სისტემები ყოველმხრივ არის განხილული და წყაროებიც აღნიშნულია.

ავტორის ამ განცხადებითგან ირკვევა, რომ „ნაგებობა“ მხოლოდ თეორიულია და „იაფეტურ“ ენათა რიცხვითი სახელების მონოგრაფიულს შესწავლაზე არ არის დამყარებული, რომ თვით აკად. ნ. მარჩის სიტყვითაც ამ ნაგებობას ჯერ კიდევ ყოველმხრივი შემოწმება სჭირდება.

§ 3. ზოგადი ქართული და ქართველური რიცხვითი სახელები

ქართული რიცხვითი სახელების შესახებ არსებული თეორიებისა და ეტიმოლოგიების შემომოყვანილი ზოგადი მიმოხილვის შემდგომ, უნდა კვლავ ჩვენს კვლევაძიებას დავუბრუნდეთ. რაკი რიცხვითი სახელების აგებულებისა და მნიშვნელობის გამოსარკვევად გამოსადეგ მეთოდებზე უკვე თავშივე გვქონდა საუბარი და ქართული-ქართველური რიცხვითი სახელების ანალიზის დროსაც მთელი მუშაობა ამავე გზით იქმნება წარმართული, ამიტომ აქ მეტი სათქმელი აღარაფერია და შესაძლებელია პირდაპირ საქმეს შევუდგეთ.

პირველად ძველი და თანამედროვე ზოგადი ქართულისა და მეგრულ-ქართულ-სვანური რიცხვითი სახელები გადავიკითხოთ.

- 1 ერთი.
- 2 ორი.
- 3 სამი.
- 4 ოთხი.
- 5 ხუთი
- 6 ექუსი.
- 7 შვიდი, შვიდი
- 8 რუაჲ, რვა.
- 9 ცხრაჲ, ცხრა.
- 10 ათი.
- 11 ათ-ერთ-მეტი, თერთმეტი
- 12 ათ-ორ-მეტი, თორმეტი.
- 13 ათ-სამეტი, ცამეტი.
- 14 ათ-ოთხ-მეტი, თოთხმეტი.
- 15 ათ-ხუთ-მეტი, თხუთმეტი, ხუთმეტი.
- 16 ათ-ექუს-მეტი, თექუსმეტი.
- 17 ათ-შვიდ-მეტი, ჩვიდმეტი.
- 18 ათ-რუა-მეტი, თვრამეტი.
- 19 ათ-ცხრა-მეტი, ცხრამეტი.
- 20 ოცი.
- 21 ოცდაერთი.
- 22 ოცდაორი.
- 30 ოცდაათი.
- 40 ორმოცი, ორმოცი.
- 50 ორზე ოცდაათი, ორმოცდაათი, ერგასი (ძველი).

- 60 სამეოცი, სამოცი
- 80 ოთხმეოცი, ოთხმოცი
- 100 ასი
- 101 ასერთი
- 200 ორასი
- 201 ორასერთი
- 300 სამასი
- 400 ოთხასი
- 1000 ათასი
- 10000 ბევრი

შეგრული რიცხვითი სახელები

- | | |
|-----------------------|-----------------------|
| 1 ართი | 17 ვითოშქვითი |
| 2 ქირი, ქვრი | 18 ვითორუო, ვითობრუო |
| 3 სუმი | 19 ვითოჩხორო |
| 4 ოთხი | 20 ეჩი |
| 5 ხუთი | 21 ეჩი დო ართი |
| 6 ამშვი | 22 ეჩი დო ქირი |
| 7 შქვითი | 30 ეჩი დო ვითი |
| 8 რუო, ბრუო | 40 ქარნეჩი, ქაარნეჩი |
| 9 ჩხორო | 50 ქარნეჩი დო ვითი |
| 10 ვითი | 60 სუმონეჩი, სუმენეჩი |
| 11 ვითაართი | 80 ოთხონეჩი |
| 12 ვითოქირი, ვითოქვრი | 100 ოში |
| 13 ვითოსუმი | 200 ქიროში, ქვროში |
| 14 ვითაანთხი | 300 სუმოში |
| 15 ვითოხუთი | 400 ოთხოში |
| 16 ვითაამშვი | 1000 ვითოში, ათასი. |

ქანური რიცხვითი სახელები

- 1 ართი, არ, ა, ქარ (ათინ.)
- 2 ქურ, ქუ, ჯურ (ათინ.)
- 3 შუმ, სუმ
- 4 ოთხო
- 5 ხუთ, ხუ
- 6 აში, ანშ, ქაში (ათინ.)
- 7 შქვით, შქით, შქი
- 8 ოვრო, ცოვრო (ათინ.)
- 9 ჩხორო
- 10 ვით, ვით, ვი
- 11 ვით დო არ, ვიტოარ, ვიტვარ, ვითოქარი (ათინ.)
- 12 ვიოდოქურ, ვიტოქურ, ვითოჯურ (ათინ.)

- 13 ვით ღო სუმ, ვიტო სუმ, ვითოსუმ (ათინ.)
 14 ვით ღო ოთხო, ვიტო ოთხო, ვიტოთხო, ვითო ოთხო (ათინ.)
 15 ვიტოსუთ (ვიწ.-არქ.), ვითოსუთ (ათინ.)
 16 ვიტვაში (ვიწ.-არქ.), ვითოცაში (ათინ.)
 17 ვიტოშქით (ვიწ.-არქ.), ვითოშქით (ათინ.)
 18 ვიტოვრო (ვიწ.-არქ.), ვითოვრო (ათინ.)
 19 ვიტონხორო (ვიწ.-არქ.), ვითონხორო (ათინ.)
 20 ეჩი, ცეჩი (ათინ.)
 30 ეჩიდოვით, ეჩდოვით
 40 ჟურენეჩი, ჟურნეჩი, — ჯურენეჩი, ჯურცეჩი (ათინ.)
 50 ჟურენეჩი ღო ვით, ჟურნეჩი ღო ვით, ჟურნეჩდოვით, — ჯურცეჩიდოვით (ათინ.)
 60 სუმენეჩი
 70 სუმენეჩი ღო ვით, სუმენეჩიდოვით
 80 ოთხენეჩი, ოთხონეჩი
 90 ოთხენეჩი ღო ვით, ოთხონეჩდოვით
 100 ოში, — ცოშ (ათინ.)
 200 ჟურ ოში
 300 სუმ ოში
 400 ოთხ ოში
 1000 შილდა, შილია, — ვითოში (ათინ.)

(ნ. მარ რ ის ქ. გ., 19–20 და არნ. ჩი ქ ო ბ ა ვ ა ს ქ ა ნ უ რ ი ს გ რ ა მ. ანალიზი, ტექსტ. 1 და 138).

სვანური რიცხვითი საბელები

- 1 ეშხუ
 2 ღორი, ღერუ, ღორუ
 3 სემი
 4 ტოშთხუ
 5 ტოხტიშდ
 6 უსგუა
 7 იშგუიდ
 8 არა
 9 ჩხარა
 10 აეშდ
 11 აეშდეშხუ, ეშდეშხუ
 12 აეშდღორი, ეშდღორი, აეშდღერუ, ეშდღორუ
 13 ეშდსემი
 14 ეშდტოშთხუ
 15 ეშდტოხტიშდ
 16 ეშდუსგუა
 17 ეშდიშგუიდ

- 18 ეშდარა
- 19 ეშდჩხარა
- 20 აერტეშდ
- 30 სემეშდ
- 40 ჭოშთხეშდ, ურინერტეშდ (ბალსქვ.)
- 60 უსგტეშდ, სუმინერტეშდ (ბალსქვ.)
- 70 იშგტიდდეშდ
- 80 არპშდ
- 90 ჩხარპშდ
- 100 აშირ.

(პროფ. ვ. თოფურიას ჩანაწერით).

§ 4. ერთეულების სახელების ანალიზი

I. რიცხვითი სახელების პირველ ერთეულს ქართულ სამწერლობო ენაში თუ შრი-ს ეწოდება, რომელიც გურულ კილოში შრი-ს სახითაც გვხვდება (იხ. ს. ორბელიანის გურული კილო, 22), ზგარულსა და ჯანუტში ამის შესატყვისად შრი-ს არის, რომელიც ქანურად შეკვეცილიც იხმარება; პრ და პ-დაც გვხვდება. ათინურს კილოში ხარ-ად გამოითქმის. ჯანუტად ერთი ეშხუ და ეშხვ-ა. ზგარულად ზემოაღნიშნულის გარდა აპა-საც ხმარობენ, რომელიც აბხაზურითგან წასესხებადი ითვლება (მ. გ.).

აღსანიშნავია, რომ რიგობითი რიცხვით სახელად უკვე პირველი-ა მიღებული, რომელიც ზგარულშიც ასევე იხმარება და ჯანუტშიც ითქმის პირველ. ძველ ქართულში ამავე მნიშვნელობით მარტივად პირ-იც უნდა ყოფილიყო მიღებული. ამ სახით გვევლინება იგი ისეთ რთულ სიტყვებში, როგორცაა პირველი, პირველი და სხვა ამის მსგავსი. ს. ორბელიანსაც თავის ლექსიკონში განმარტებული აქვს რომ „პირ პირველი“ არისო.

საყურადღებოა, რომ ორთაგან ერთს, ძველადაც ცალი ერქვა და ეხლაც ასე ჰქვიან (შეად. „მეუღლე ჩემი მომიკლეს, დავეხეტები ცალად“). ს. ორბელიანსაც ნათქვამი აქვს, რომ „ცალი ორის ტოლისაგან ერთი“ არისო (ლექსიკ.). ზგარულშიც ამ მნიშვნელობით ამ სიტყვასვე ხმარობენ, რომელიც შრი-ს სახითაც გვხვდება (მ. გ.).

აღსანიშნავია კენტი-იც, რომელიც საბა ორბელიანის განმარტებით „არა ლუწი“ არის (ლექსიკ.).

დასასრულ თავისი აგებულებითა და მნიშვნელობით საყურადღებოა კიდევ ერთი ტერმინი ცანკაშული, რომელსაც, საბას განმარტებით, არაჩვეულებრივი მნიშვნელობა ჰქონდა: „ცანკაშული წყვილი და კენტი, უღელ-ცალი“ არისო (ლექსიკ.).

ამავე მეცნიერს „კატელორიის“ დამოწმებით ნათქვამი აქვს, რომ „ცანკაშული კენტი (+ კარი)“-ს აღმნიშვნელი იყო.

ზოგადი ქართულის ერთის ე-ხმოვნობასა და მეგრულ-ქანურის ართის ა-ხმოვნობას შორის შუალედი ადგილი სვანურს ეშხუ-ს უკავია. თავისი თანხმო-

ვნებით-კი ზოგადი ქართული, მეგრული და ქანური არაფრით არ განიჩქევინ, სვანურს გარდა, რომელსაც რთ-ს მაგიერ შნ აქვს¹.

ერთის ეტიმოლოგიის ძიების დროს ყურადღების ღირსია ამავე ცნების გამომხატველი მეორე სიტყვა კინტი-ც. შესაძლებელია, თუ არა, რომ ამ ორს, ერთნაირად ცალთბის აღმნიშვნელს, სიტყვას ერთმანერთთან რაიმე კავშირი ჰქონდეს?

უკანასკნელ თანხმოდანთა განსხვავებასაც რომ თავი დავანებოთ, ამას მაინც ის გარემოება ეწინააღმდეგება, რომ მეორე მათგანს თავში კ აქვს, რომელიც პირველს არ უჩანს და მეორე თანხმოდანსაც ნ არის რ-ს მაგიერ.

ამნაირად, ზემოდასახელებულს ორ სიტყვას შორის კავშირის მოსაზრების დასაჯერებლად მათ შორის შუალედი ფორმის არსებობაა საჭირო. ზემოაღნიშნული მიმართულებით ძიების დროს, შესაძლებელია გავიხსენოთ ცალი ხელის წინა კიდურის (მაჯითგან მოყოლებული ნებ-თითებიანად) აღმნიშვნელი ძველი ქართული კმრტი-ც, რომელიც საბას სიტყვით, ძუძუს თავის სახელადაც უხმარიათ.

საფიქრებელია, რომ კმრტი თავდაპირველად შეკვრას, შეკრულს ერთეულს, ერთ შეკვრას ნიშნავდა. ამიტომ არის, რომ ცალი ხელის მაჯის ქვეით მდებარე, ხუთი თითის შემცველის ამ ერთეულს მსგავსი ნაწილის სახელადაც ყოფილა გამოყენებული.

თუ ქართულსა და ქართველურში რ-ს ნ-დ შენაცვლების სიხშირეს გავიხსენებთ, დაუჯერებელი არაფერი იქმნება, რომ კინტი-ც ამავე გზით კმრტი-საგან წარმომდგარად მივიჩნიოთ.

ბუნებრივია, რომ ცალის აღსანიშნავად რეალური საგნის, ანდა სხეულის ნაწილის სახელიც ყოფილიყო გამოყენებული და, როგორც ჩანს, ქართველ ხალხს გამოუყენებია კიდევაც. ამ მხრით საყურადღებოა ძველი ქართული მხოლოდ, რომელიც ცალკეულსა ნიშნავდა, ისეთ რთულ სიტყვებში-კი, როგორც მხოლოდოზობილი და მსგავსია, ერთის გამომხატველია. ეს სიტყვა მეგრულსაცა და ქანურსაც აქვს.—პირველს ხვალშ-ს, მეორეს-კი ხუალა-ს სახით,—და ორივე ნიშნავს ცალკეულად, მხოლოდ, მეგრულად ერთსაც-კი (იოს. ყიფშიძის მ. გ., 401 და ნ მარჩის ქ. გ. 234).

აკად. ნ. მარჩის ამ სიტყვის შესახებ ნათქვამი აქვს მარტო, რომ მხოლოდ ნაწარმოებია მ თავსართისა და ხლ ძირისაგან, ამ უკანასკნელის ძირითადი მნიშვნელობა-კი განმარტებული არა აქვს (ძველი ქართ. გრ., 78, § 96), მე-კი გგონია, რომ მხოლოდ-ს თავკიდური მ პირვანდელი სახით დაცული არ უნდა იყოს, არამედ შენაცვლებულია. მხოლოდ-ს თავდაპირველი ბგერითი სახეცა და პირველადი მნიშვნელობაც სვანურს აქვს დაცული. ხვანურად არსებობს სიტყვა ფხულშ, რომელიც თითსა ნიშნავს. სწორედ აქეთგან უნდა იყოს მხოლოდ წარმომდგარი.

აღამიანის სხეულის ერთი ნაწილის სახელის რიცხვის აღმნიშვნელ სიტყვად ძველ ქართულში გამოყენების ზემომოყვანილი მაგალითის შემდგომ, ამის მსგავ-

¹ ნ. მარჩი ფიქრობს, რომ ერთი წარმომდგარია ვერთისაგან და ამ რიცხვითი სახელის ძირად ერთ მიანიხი (ძვ. ქართ. გრ. 75).

სივე მეორე მაგალითის დასახელება უკვე აღარ გვეუცხოვება. **პართი-ც შესაძლებელია კმნტის წინამორბედის კართი-საგან იყოს წარმომდგარი** თავკიდური კ-ს ჩამოცლისა და ტ-ს გაასპირატების გზით.

ერთის ეტიმოლოგიის ძიების დროს ჯეროვანი ყურადღება უნდა ქანურს, მის შესატყვისობასაც მიექცეს, სახელდობრ მის ათინურს სახესხვაობას. მეგრულ-ქანური **ართი-ს** შავიერ, ათინურს კილოში **წარ-ს** ამბობენ. **თერთმეტის** სახელს ამ რიცხვის უფრო სრული ფორმა **წარი** დაუკავს (**ვითოჯარი**). მაგრამ, ცხადია, რომ იგივე **წართი-საგან** არის წარმომდგარი. ის გარემოება, რომ **ც ერთის** ათინურს სახელს სიტყვის შუაშიც შენარჩუნებული აქვს, ამ ბგერის ერთგვარს სიმყარეს ამტკიცებს. ამიტომაც შესაძლებელია აღამიანმა იფიქროს, რომ ეს თავკიდური თანხმოვანი ამ რიცხვის სახელის შემთხვევითი, მერმინდელი დანართი, ანდა მინაზრდი არ უნდა იყოს. ეგების იგი მისი თავდაპირველი ბგერითი შედგენილობის ათინური კილოს მიერ შენარჩუნებული ანარეკლია? ამის დასაჯერებლად საჭიროა, რომ ერთის ცნებისავე გამომხატველი მსგავსი შედგენილობისა და ამნაირადვე თავში, თუ იმავესი არა, მონათესავე თანხმოვნის მქონებული სიტყვა მაინც არსებობდეს.

ცალობის აღსანიშნავად ქანურში რომ, **პართ-ს** გარდა, უფრო სრული ფორმა არსებობდა, ამის კვალი ეხლაც ჩანს. სახელდობრ **ერთურთის** აღსანიშნავად ათინურს კილოში **პართი-პართი-ც** გვხვდება და **პართი-პართი-ც** (იხ. ნ. მარჩის ქ. გ. 127 ლექსიკ). ვიწურად და ხოფურად ამის შავიერ ამბობენ **პართიჷ პართის**, ხოფურად **პართიჷ პართი-ც** ითქმის (იქვე). ორივე უკანასკნელი ფორმა უდრის **ერთმანერთს**, ე. ი. **ართიჷ-ის** ბოლოკიდური ქ ამ შემთხვევაში მეგრულ-ქანური მოთხრობითი ბრუნვის ნიშანია ისევე, როგორც **ერთმან-შიც** შან ამავე დანიშნულების ფორმანტია. არქაბულს კილოში **პართი-პართის-ს** შავიერ **პართი აპართის-ს** ხმარობენ (იხ. ნ. მარჩის ქ. გ. 127), რაც **ერთურთს-ს** უდრის.

შესაძლებელი იყო ეთიქრა აღამიანს, რომ ათინური **პართი-პართი** წარმომდგარია ვიწური და ხოფური **პართიჷ-პართის** და **პართიჷ-პართი-საგან** ჯერ მეორე **კართი-ს** თავკიდური კ-ს პირველი **ართიჷ-საგან** კ-ს შეცდომით მეორე **ართი-სათვის** მიკუთვნებით, ხოლო შემდეგ უკვე ამ გზით, მეორე **კართი-ს** ანალოგიით, პირველ **პართი-ს** თავშიც კ-ს გაჩენით, ათინურში რომ ცალკეულადაც ერთის სახელად **წართისაგან** წარმომდგარი **წარი** არ იყოს და ქართულშიც ერთის სახელადვე **კ-თავკიდურიანი კმნტი** არ გვექონდეს. იმას გარდა, რომ კ-ს კ-დ შენაკვლება ძნელი დასაჯერებელია, ათინური **წარ-ის** თავკიდური **ც-ს** გაჩენა გაუგებარი იქმნებოდა, რა თქმა უნდა, თუ მას შემთხვევით შენაზრდად არ მივიჩნევთ. პირიქით, თუ წარმოვიდგენთ, რომ ათინური **ერთურთის** სახელში დაცული **პართი** შემთხვევითი მოვლენა არ არის, მაშინ ის **კართი-ს** სწორედ სრული შესატყვისობა გვექმნებოდა, რომლისგანაც შესაძლებელია თანამედროვე ათინური **წარი** წარმომდგარიყო. მეგრულსა და ქანურში კ-ს და ყ-ს ც-დ შენაკვლების მაგალითები მოგვეპოვება¹ და სწორედ ამ გზით შეიძლებოდა **კართი-საგან** ჯერ **კართი**, ხოლო შემდეგ **წარი** და **წარ** გაჩენილიყო.

1. მეგრ. ცოში, წარში = ქართ. კოშკ-ხ, — ცვილუ = კლვას და სხვ.

პ. რველის ფუძედ ნ. მარტი პირ-სა და პირ-სა სთვლის, რომელიც შესაძლებელია ერთ ხ აღმნიშვნელიც იყოსო. ამიტომ ბუნებრივია, რომ იგი ერთისავე აღმნიშვნელს ელამურს პირუ-ს დაეუკავშიროთო (იხ. ძვ. ქართ. გრ., გვ. 80).

ქართული პირველის მსგავსია პირველისავე აღმნიშვნელი ადილურდ აპარს და ყაბარღოულა ჯაპერ (იხ. ლოპატ. ყ. გ. 45), რომლებშიც ა და ჯა, ქართული მე-ს მსგავსად, რიგობითი რიცხვითი სახელების ფორმანტია, პირ კი ძირია.

განსაკუთრებით საყურადღებოა ერთის აღმნიშვნელი ცალი რომელიც, ვითარცა მესაქონლეობის მეურნეობასთან დაკავშირებული და უკვე სპეციალურ ტერმინად ქცეული აღრიცხვის სიტყვა, ძველი უნდა იყოს. ამაზე უფროს საგულისხმოა, რასაკვირველია, ტერმინი ცანაუზუღელი, რომელიც, როგორც დავრწმუნდით, წყვილსა და კენტს, უღელ-ცაღსა ნიშნავდა. თანამედროვე ქართულში, როგორც ეტყობა, ეს სიტყვა უკვე აღარ უნდა არსებობდეს. საბაბორბელიანს ამ ტერმინისთვის არავითარი წერილობითი წყარო დასახელებული არა აქვს და ამიტომ თვით მისივე ზეპირი ცნობა უნდა იყოს. მაშასადამე, XVII ს. დამლეეს ჯერ კიდევ ცოცხალი ტერმინი ყოფილა.

ამ თავისებური რიცხვითი ტერმინ-ს აგებულების მიგნებას მისი აღმნიშვნელობის განმარტება გვშველის. რაკი იგი წყვილისა და კენტის, უღელ ცალის აღმნიშვნელი ყოფილა და თვით ამ ტერმინში უღელი უკვე შედის, ცხადია, რიცხვითი ოდენობის გამომხატველი ცანაუზ-ი ყოფილა. მართალია, საბაბორბელიანის ლექსიკონში, უღლის გარდა, ზუღელი-ც არის შეტანილი და განმარტებულიც არის „უღელი, წყვილი“-ო, მაგრამ, სამწუხაროდ, ს. ორბელიანის ლექსიკონის გამოცემაში აღნიშნული არ არის, თუ ხელთანაწერთა რომელი ჯგუფითგან არის ეს ცნობა ამოღებული. გაუგებარია, ზ უღლის წინ რის გამომხატველი უნდა უყოს. თუ ზუღელი მართლაც წყვილსა და უღელს ნიშნავდა (ან იქნებ ხელთანაწერში აქ ამ ორ სიტყვას შუა მძიმე არა ზის და უღელი წყვილი, ე. ი. ორი უღელი იგულისხმება?), მაშინ ცანაუზუღელი-საგან უნდა ზუღელი ჩამოგვეცალა და ამ შემთხვევაში რიცხვითი ოდენობის გამომხატველად ცანაუზ-ლა დაგვრჩებოდა.

ამნაირად ცანაუზ-ი, ანდა ცანაუზ მაინც-და-მაინც კენტის აღმნიშვნელი უქველად უნდა იყოს, მაგრამ საბაბორბელიანის განმარტებით კენტისა და წყვილის აღმნიშვნელადაც უნდა იგულისხმებოდეს. რაკი ეს სიტყვა კენტს არაფრით მიავაგვს, ცხადია, რომ აქ მისი კვალის ძიება უნაყოფო ცდა იქნებოდა. სამაგიეროდ ამ რიცხვითი ტერმინის პირველი მარცვალი ცან, უქველია, ცალ-ს მიავაგვს და ამიტომაც საფიქრებელია, რომ სწორედ მისი სახესხვაობა უნდა იყოს კიდევაც ამავე მოსაზრებას „კატელორიითგან“ ამოღებული ზემომოყვანილი მეორე ცნობაც ადასტურებს, რომ ცანკვლი კენტი (+კარი)-ს აღმნიშვნელია. აქაც, მეორე კვლი ნაწილის შესახებ რომ არ ვიმსჯელოთ, ცან მაინც კენტობის გამომხატველი გამოდის.

დასასრულ, ს. ორბელიანს თავის ლექსიკონში შეტანილი აქვს აგრეთვე ტერმინად ქცეული სიტყვა შუნცუღლი, რომელზედაც ნათქვამია: შუნცუღლი სამ-ურმეულ ძინა“ არისო.

ისევე, როგორც **ჟჟჟაჟი** ორ-ულლვეულის აღმნიშვნელია, საფიქრებელია **ჟჟნცჟ** = ი-ც, ან ხამისა და ურმისა, ანდა მხოლოდ პირველი მათგანის აღმნიშვნელი უნდა იყოს.

ჟჟნცჟული რომ სამი ურმის ცნების გამომხატველ რთულ სიტყვად მივიჩნათ, მაშინ იგი, ან **ჟჟ** და **ცჟული**-სა, ანდა **ჟჟ** და **ნცჟული**-საგან უნდა გვევლინებოდეს შედგენილად და ერთი მათგანი უნდა რიცხვის, მეორე-კი ურმის აღმნიშვნელი ყოფილიყო. ქართულს არც ისტორიულ ხანაში და არც ამაზე უწინარესში არც ერთი ამ ორთაგანის მსგავსი სიტყვა სამისა და ურმის სახელად არ უჩანს. შესაძლებელია გვეფიქრა მხოლოდ, რომ ეს სიტყვა მართლ რიცხვითი ოდენობის გამომხატველია. მართლაც ეგების **ცჟული ცალის** ან უხმოვანა ფორმაა, ანდა პროგრესული ასიმილაციის წყალობით, წინამძველ **ჟჟნ**-ის გაღვნივით, არის **ცჟულ**-ად ქცეული. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ასეთ მოსაზრებისათვის ერთგვარ დაბრკოლებად შესაძლებელია **ცალის** წონითი ოდენობის თანამედროვე აღმნიშვნელობა მიეჩნია ვისმე, რათგან **ცალი** ქართულში არასდროს ურმის არ უდრიდა და არც ეხლა უდრის, არამედ ასაკიდარი ტვირთის ნახევარს, ერთ **ცალსა** ნიშნავდა, მაგრამ მაინც, ამისდა მიუხედავად უნდა ის გაოგნობაც გავითვალისწინოთ, რომ **ცალი** ძველად ხრულებით არ ყოფილა მხოლოდ ურემთან დაკავშირებული, არამედ მარტო რიცხვითი ოდენობის გამომხატველი იყო. ამისი წარუხიციელი კვალი ცნობილს ქართულ ანდაზაშიც არის აღბეჭდილი:

„სულ არარაობას ცალ-ულელა ხარიც სჯობია“-ო. ცალი ხომ აქ მხოლოდ ერთს ნიშნავს. ამიტომაც ცხადია, რომ **ცალის** სპეციალური, ტვირთის ნახევარის, აღმნიშვნელობა შედარებით უფრო მერმინდელი მოვლენა უნდა იყოს და **ჟჟნცჟული**-შიც შესაძლებელია **ცალის** ზოგადი რიცხვითი მნიშვნელობა იგულისხმებოდეს.

ამგვარად ერთის სახელად გვაქვს **ცალი**, **ცანი** და ვგონებ **ცჟული**. ლილური და ლეგური ენების შემომოყვანილი ანალიზის შემდგომ, ქართული **ცალი**-ს და მისი უ-ხმოვანა სახესხვაობის იქაური ენების ერთის სახელის **ცაჟა**, **ცაკა** და **ცაჟა**-ს მსგავსებაზე ბევრი საუბარი ვგონებ საჭირო არ უნდა იყოს.

შესაძლებელია აქ მხოლოდ მეორე მარტვის ნამდვილი რაობის საკითხი გახდეს საკილობელი: **ცალი**-სა და **ცანი**-ს **ლი** და **ნი** რი-ს შენაცვლებას წარმოადგენს, თუ **ლი** მარტო **ნი**-ს შენაცვლებაა და ქართ. **ცან**-ს ეს დაბოლოება შეუწარჩუნებია, როგორც **ნ** ზოგს ლეგურს ენასაც აქვს ეხლაც რიცხვითი ნიშნების ბოლოსართად შენახული, — ქართულს ხომ **ნ** ბგერა, როგორც დავრწმუნდით, ოდესღაც მდებარ. სქესის ნიშნად ჰქონია და იქნებ ამისივე ნაშთი იყოს?

ასეა, თუ ისე, ქართული **ცალი** უეჭველია უთვისტომო არ აოის და ცხადია **მართის** უძველესი სახელთაგანია. ოვით **მართი**-ც ძველის-ძველია, მაგრამ, ცალთან შედარებით, უფრო მერმინდელი ჩანს, ისევე როგორც **მხლოდ** და **პირველი**-ც.

II. ქართული ხამწერლობა ენის **მრი**-ს შესატყვისად მკვრულმა ჩვენ შიკი და უფრო გვაქვს. ჩანს, რომ ამას **ჟჟ** და **ჟჟ** უდრის და საფიქრებელია, რომ ამ სიტყვის ხმოვანი ქანურს უფრო ძველი სახეობით აქვს დაცული, ვიდრე გეგ-

რულს და წინათ მეგრულსაც **შური** უნდა ჰქონოდა. სვანურში ჩვენ **ღორი** და **ღარუ** გვაქვს.

საგულისხმოა, რომ ქანეთის ს. ართაშენში **ორს** უფრ-ს კი არ უწოდებდნენ, არამედ **ჯურ**-ს (კ. გ. 21). ეხლა ეს ათინურს კილოში უკვე მთლიანად დადესტურებულია (იხ. არ. ჩიქობავას კ. გრ. ანალ.). მაგრამ ამაზე უფრო საყურადღებოა, რომ ს. ლამლოს მცხოვრები 85 წლის მოსუცი ქანი 1910 წ. ორის სახელად თურმე **აურ**-სა ხმარობდა (იქვე).

უძველია, უალრესად მნიშვნელოვანი გარემოებაა, რომ **ორის** სახელად **შირი** მარტო მეგრულს და **ჯურ** მხოლოდ ქანებს-კი არ ჰქონიათ და აქვთ, არამედ ზოგადს, ძველს ქართულშიც ყოფილა.

თუ ქანებს **შურ**-ი და **ჯურ**-ი აქვთ დაკული, მეგრულად-კი **შირი** იხმარება, საბა ორბელიანის ლექსიკონში აღბეჭდილი ძველ ქართულში არსებული ტერმინი **ჯირი**, რომელიც ამავე მეცნიერის ცნობით, „**ორპირად მოქნილი ტყავი**“-ს აღმნიშვნელი ყოფილა, გვაფიქრებინებს, რომ **შირი**-ს თავიდაც თანხმოვანი ძველ ქართულში **ჯ**-დაც შენაცვლებულა. **ორპირად მოქნილი ტყავის** სახელად ქცეული **ჯირი**, ოვგორც ეტყობა, ამ ცნების გამომხატველი ტერმინის მხოლოდ პირველი შერჩენილი სიტყვა-ლა უნდა იყოს. რომელიც წინათ მარტოოდენ **ორის** აღმნიშვნელი იქმნებოდა, „**პირად მოქნილი**“-ის გამომხატველი სიტყვები-კი დროთა განმავლობაში ჩამოცილებული ჩანს.

როგორც გამოსაქვეყნებლად დამზადებულს მონოგრაფიაში ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხების შესახებ გამოოკვეული მაქვს, სამ-ძალიანი, ანუ სამ-სიმიანი საკრავის შუა ძალს ძველ ქართულში **შირი** მწოდებია. რაკი სამ-ძალიანის შუა სიმი, საითგანაც არ უნდა დაიწყოს აღამიანმა, თელა, ყოველთვის **მეორე** გამოვა, ამიტომ, ცხადია, რომ ამ შუა ძალის სახელი **შირი**-ც თავდაპირველად **ორის** აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

თუ **ორის** აღმნიშვნელს რიცხვითს სახელს, **ჯირი**-ს ტერმინის წყალობით საბას დრომდე-კი მოულწევია, ცხადია, რომ მას ვითარცა **ჯერ შურ**-ისა, შემდეგ-კი **შირი**-საგან წარმომდგარს, წინათ უ-ხმოვანა სახე უნდა ჰქონოდა და **ჯური** ყოფილიყო. ისევე როგორც ქანურშია.

ძველ ქართულში კიდევ ერთი შერჩენილი ტერმინი გვაფიქრებინებს, რომ **ორის** სახელის უ-ს შენაცვლება მარტო **ჯ**-ით არ დამთავრებულა. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა ს. ორბელიანისაგან 1 მეფეთა 28₁-ით დამოწმებული ტერმინი **ჩუღკაცი**, რომელიც ამავე ლექსიკოგრაფის განმარტებით იყო „**საპირიან-სარჩულიანი წამოსახხანი მლდელოთა**“ (ლექსიკ.). ეს სიტყვა დ. ჩუბინა შვილსაც მოეპოვება და დაბადების ეხვე აღგილი აქვს დამოწმებული, თანაც მის ლექსიკონში ნათქვამია, რომ წამოსახხამიანო, მაგრამ აღნიშნული არ არის, რომ ბაქარის გამოცემაში დასახელებულ ადგილას ასეთი სიტყვა არა ჩანს, ამიტომ საფიქრებელია რომ **ჩუბინა შვილი** ამ შემთხვევაში მხოლოდ საბას ცნობას იმეორებდა.

ბაქარის გამოცემაში ამ ადგილას ასეთი სიტყვა არ მოიპოვება. იქ ნათქვამია: ფიხილე კაცი მოხუცებული აღმავალი ქუეყანისაგან და ესე შემოსილი **სამოსლითა გრძელითა** და ცნა საჯლ რ ესე სამოელ არს-ო. რაკი ს. ორბე-

ლიანთა თავის წყაროს ცნობით ჩვეულებრივ სვინიდიხურად სარგებლობდა, ამიტომ ცხადია, რომ ამ შემთხვევაშიც მას ხელთ ქართ. დაბადების სხვა რედაქცია ჰქონდა, რომელშიც „სამოსელითა გრძელითა“-ს მაგიერ ჩუდკეცი ყოფილა დაწერილი. მართლაც მცხეთის სვეტიცხოვლას წიგნსაცავის, ამ თამად საქ. მუზეუმში დაცული, ხელთნაწერის A №51 მეფეთა I, 28,4-ში სწერია: „ფხედ ე მე კაცსა ერთსა შალალსა, აღმომავალსა ქუეყანით და ჩუდკეცი სამოსელი მოუბლარდნიეს მასა. და გულოსხმა-ყო საულ, ვითარმედ სამოველ იყო“-ო. ამ ამონაწერი-თგან ჩანს, რომ ჩუდკეცი არხებითი სახელი და სამოსელის აღმნიშვნელ-ცალკეული ტერმინი-კი არ არის, როგორც საბას ამ სიტყვის დედაბირი აქვს განმარტებული, არამედ სამოსელის თვისების დამახასიათებელი ზედსართავი ყოფილა: ამიტომ არის შემომოყვანილს წინადადებაში ნათქვამი „ჩუდკეცი სამოსელი“-ო.

საფიქრებელია, რომ, რაკი ჩუდკეცი-ს მნიშვნელობა ბაქარისა და მის თანამშრომლებისათვის ისევე, როგორც მათ დროინდელ ქართ. მკითხველისათვის გაუგებარი იყო, ამიტომ ამ ადგილას ძველი სიტყვისა და ტერმინის მაგიერ „სამოსელი გრძელი“ ჩაურთავთ, რაც, რა თქმა უნდა, სწორე არ არის.

უიქველია, საბას ხელთ მყოფ ხელთნაწერში დაბადების თარგმანის ძველი ტექსტი უკეთესად ჰქონდა დაცული. ეს გარემოება ბერძნულ, ლათინურ და სომხურ თარგმანებთან შედარებითაც ირკვევა.

ბერძნულად ნათქვამია: *αυτος εμαλισθη αναξενικημενος*, — ლათინურად „ipse amictus est pallio“ და სომხურად „*արկხալ ეჩარსა კრჩხიყ*“.

ამნაირად, ქართული თარგმანის ჩუდკეცი ბერძნულს *εμαλισθη* დიპლომა-ს, სომხურს *კრჩხიყ* კრკნოც-სა და ლათინურს *pallium*-ს უდრის. ბერძნულ დაბადების ხელთნაწერთა ერთს ჯგუფში *εμαλισθη*; დიპლომა-ს-ი სწერია.

ბერძნული პირველი და სომხური ტერმინები ორმაგს, ხოლო ბერძნ. მეორე ორსახოვანს აღნიშნავენ. საკბარისია აღამიანმა ყურადღება ჩუდკეცი-ს აგებულებასა და მისი შედგენილობის მეორე ნაწილს მიაქციოს, რომ ამ ქართული სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობის მიგნება გაუადვილდეს. ამ ტერმინის მეორე ნახევარს კეცი წარმოადგენს, რომელიც არაერთს სხვა სიტყვაშიც სწორედ ამგვრე ადგილას გვხვდება. მაგალითად შესაძლებელია ორკეცი, სამკეცი; ათკეცი და სხვა ამის მსგავსი იქმნეს დასახელებული. ყველა ამ მოყვანილი სიტყვების პირველი ნაწილი რიცხვითი სახელია და აღამიანს უთვალისწინებს ნაკეცის რაოდენობას, სახელდობრ, რომ ერთს მხოლოდ ორი, კეცი აქვს, მეორეს სამი, მესამე კიდევ ათი კეცისაგან შესდგებოდა.

შემონათქვამის შემდგომ ცხადია, რომ ჩუდკეცი-ს პირველი ნახევარი ჩუდ-იც უიქველია კეცის რიცხვისაგე აღმნიშვნელი უნდა იყოს. მაგრამ ძველ ქართულ რიცხვითს სახელებს შორის ჩუდ-ი არ მოგვეპოვება. მართალია ჩუდი-დმეტი-ს პირველი ნაწილი ჩუდი-ია. მაგრამ ძველ ქართულში, როგორც ცნობილია, ჯერ ათუშიდმეტი იყო, მერმე ათჩუდიდმეტი და სულ ბოლოს, ათ-ის აღმნიშვნელი თავკიდური მარცვლის ჩამოცილების წყალობით, გაჩნდა ჩუდიდმეტი, რომელიც თანამედროვე ქართულსაც აქვს შერჩენილი. ამასაც რომ თავი დაუანებოთ, სრულებით შეუძლებელია შვიდკეცი ტანისამოსი ყოფილიყო.

ბერძნული და სომხური თარგმანების ზემომოყვანილი შესატყვისობანი ჩუღ-კამი-ის პირველი, უცვლელია, რაოდენობის განმსაზღვრელი, ნაწილის ჩუღ-ის რიცხვითი მნიშვნელობის გამორკვევას გვშველიან. რა თქმა უნდა, ბერძნული და სომხური თარგმანების მსგავსად, ქართული მთარგმნელისაგან ნახმარი ტერმინიც **ორკეცი**-ს აღმნიშვნელი უნდა იყოს და ამას ის გარემოებაც ადასტურებს, რომ ქართ. თარგმანში **ჩუღკეცი** ტანისამოსის აღმნიშვნელი არსებითი სახელი კი არა, არამედ ზედსართავია. ამისდა მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ ზემოაღნიშნულ ტერმინში **ჩუღ** სწორედ **ორსა** ნიშნავს.

რაკი **ჩუღ** ორის სახელად არც ჩრდილო-კავკასიის ენებში¹), ანდა სხვა რომელიმე მეზობელი ერის ენაში ჩანს, რომ იქითგან ნახესხებად მიგვეჩნია, ამიტომ მისი თვისტომის ძებნა ისევ ქართულ-ქართველურშივეა საჭირო. მართლაც, აქ, როგორც დაერწმუნდით, **ჯირი** ძველ ქართულში და **ჯური** თანამედროვე ქანურშიც-კი ორის აღმნიშვნელია. თუ გავიხსენებთ, რომ ქართულსა და ქართველურში **რ**-სა და **დ**-ს შენაცვლება იშვიათი არ არის², მაშინ **ჩუღი** შესაძლებელია **ჯური**-სა და **ჯუღი**-ს ფონეტიკურ სახესხვაობად მიგვეჩნია, მით უმეტეს, რომ **ჯ**-ს **ჩ**-დ შენაცვლებაც გვხვდება³. ამას გარდა, როგორც შემდეგში დაერწმუნდებით, ორის **დ**-პოლოკიდურანი ფორმა თავისდა-თავადიც უნდა ყოფილიყო.

ყველა ზემონათქვამითგან ირკვევა, რომ ქართულ-ქართველურში ორის სახელად **დური**-ი, **შური**-ი და **შირი**-ი, **ჯური**, **ჯირი** და **ჩუღი**-ც გვექონია და სვანური **დორი** და **დორუ**-ც. ამას გარდა ორმოცის მეგრულ სახელს **შარნი**-ს ორის ა-ხმოვანა სახესხვაობა **შარი**-ც აქვს დაცული.

თავისდა-თავად იბადება საკითხი, თუ რა დამოკიდებულებაა ორის ამ სახელებსა და ორს შორის?

უპირველესად უნდა სვანურს **დორ**-ისა და **შური**—**შირი**-ს ურთიერთობა იქმნეს გამორკვეული. ის გარემოება, რომ სვანურისაგან ისეთს დაშორებულს ადგილას, როგორიც ქანურია, ქანურადაც ორს **დური**-ი ეწოდება, თავკიდური **დ**-ს ხნიერებას ამქლავნებს⁴. ამნაირადვე **ჯური**-ის ქანურშიცა და **ჯირ**-ის ძველ ქართულშიც არსებობა ცხად-ჰყოფს, რომ არც **შური** და **შირი**, **ჯური** და

¹. ამის თდნაც მსგავსი ორი მხოლოდ **ტამი** და **დურ** ს უჩანს, სადაც **შარი**-და არის, მაგრამ მასაც დღევრისა და დღევრის ენებში თვისტომში არ მივხვდებით.

². გადმოიღება = გარმოიღება (ხევს.: გაბურთი 129 და სხვ.). გადმოყდა = გარმოყდა-რას (ხევს. იქვე. 158). გადმოუხბას = გარმოუხბას (ხევს. იქვე, 177). შოლაღერი, შოლაღური და შოლაღური (მეგრ.) = შოლაღურ-ის (ქან.). ცხვირი-ჩხვირი (მეგრ., ქან.).

³. გეჯა = გეჩა-ს (მეგრ.), ჯღავილი (ივერ.) — ჩავილი, ლოჯებიანი — შოჩებიანი (ისელო: ჟაიერ. 32), ჯანჯალი (საბა) — ჩანჩალი, ჯუნჯი — ჩუნო, ნაჩენი და სხვ.

⁴. აკად. ნ. შარტი ამტკიცებს, რომ ორი ქართულს ძირიანად სვანურისაგან აქვს შეთვისებული მიზი სრული ფორმა სვანურის ლანამეგლურ კილოს აქვს იორ-ის საბით დაცული. მის ძირად შარტი სწავნია **ძრ** (იბ. *Известия Императорской Академии Наук. 1913 წ. გვ. 589* და ძვ.-ქართ. გრ. 77). მაგრამ პეტრეოთ იქვე აწყობილს განმარტებაში ნათქვამია, რომ, თუმცა იორ საერთოდ უიშინა ენათა ჯგუფის სიტყვაა, მაგრამ მის პირველ ძირულ ბევრას საირანტული ჯგუფის გავლენა ეტყობა და ამიტომ **ძრ** და იორის ქვეული (ძვ.-ქართ. გრ. 77). მაშ — **ძრ**-საგან წარმოსდგა?!

ჴირი-ა ახალი შენაცვლება, მაგრამ, რაკი **ღორი**-სა და **ჴურ**-ის ჴორის ცხადი მსგავსებაა და **ორ** (**ურ**) მათ საერთო აქვთ, ამიტომ განმასხვავებელი თავკიდური ბგერის **ღ** და **ჴ**-ს ურთიერთი დამოკიდებულების გამორკვევაა საჭირო — აქვთ მათ ერთმანერთთან რიგე კავშირი, თუ ეგების ეს ბგერები ძირეული არც-კია, არამედ სხვა-ღ-სხვა ფორმანტებთან გვაქვს საქმე?

ცხადია, რომ მხოლოდ **ღ**-ს ფორმანტობაზე შეიძლება იყოს აქ მსჯელობა, რათგან **ჴ** არსად ფორმანტად არ გვხვდება, ამიტომაც ამ უკანასკნელის არა-ძირეულად მიჩნევა მაინც შეუძლებელია. მ.შასადამე **ჴ**-ს ბუნების და გაჩენის საკითხს მაინც თავითგან ვერ ავიცილებთ.

ზემოაღნიშნულის გამო მაინც გამოსარკვევია, შესაძლებელია თუ არა, **ღ** და **ჴ** ერთმანერთის შენაცვლება იყოს და, თუ ეს ძველ ქართულში შესაძლებელი იყო, რომელი მათგანია ადრინდელი ბგერა და რომელია მისი შენაცვლება?

ძველ ქართულში **ღ** და **ი** მართლაც შესაძლებელი იყო, რომ **ჴ**-დ შენაცვლებულიყო. ეს გარემოება ს. ორბელიანის ლექსიკონშიც არის უკვე აღბეჭდილი. ქართ. ლექსიკოგრაფის ნათქვამი აქვს: „**ჴარჴ** იარე მესხურად“ — ო და „**ჴჴარჴი** ვიარები“ — აო (ლექსიკ.) ამგვარად საბას შეუნიშნავს, რომ მესხურ კილოში იარე-ს და ვიარები-ს მაგიერ **ჴარჴ**-ს და **ჴჴარჴი**-ს ამბობდნენ. მაშასადამე, **ი**-ს **ჴ**-დ შენაცვლება მესხური კილოს დამახასიათებელი თავისებურება ყოფილა. (იხ. პრ. გ. ახვლედიანის „შენიშვნა «ვეარები, ვეარე»-ს შესახებ“: „ჩვენი მეცნიერება“ 1923 წ. № 6—7, გვ. 80).

მაგრამ კორილეთის სხარების მიწერებთან დაკავშირებით აკად. ნ. მარსს გამორკვეული აქვს, რომ **ღ**-ს **ჴ**-დ შენაცვლება მეგრულსა და გურულს გვარებშიც და სახელებშიც გვხვდება. **ჴორდანი**ა წარმომდგარია **ჴორდანი**-საგან და **ჴვანი**-ც ივანი-საგან (Грѹз. приишеи коридет. свангелия: ИАН, გვ. 220). ეს გარემოება ამტკიცებს, რომ **ი** სა და **ღ**-ს **ჴ**-დ შენაცვლება მართლ მესხური კილოს თვისება არ ყოფილა, არამედ ასეთი შენაცვლების ოდინდელი არსებობის კვალი ვერისსა და გურიაშიც არის კარგ დ შერჩენილი.

ზემონათქვამი დაარწმუნებდა ადამიანს, რომ **ღორი** და **ღური ორი**ს სახელებ უფრო ადრინდელი ფორმა უნდა იყოს და რომ აქეთგან შენაცვლების გზით არის **ჴური** და შემდგში შირი წარმომდგარი.

ცხლა, მაშასადამე, ორის სახელის მხოლოდ შემდე ი წყვილი-ლა გერჩება **ღორი** და **ორი**, რომელი მათგანია უფრო ადრინდელი და თავკიდური ძირეულია, თუ ფორმანტი?

ქანურისა და მეგრულის **ღური**, **ჴური**, **შირი** და სვანურის **ღორი** და **ღარჴ** გვაფიქრებინებენ, რომ **ორ**-ს თავკიდური ბგერა დაკარგული უნდა ჰქონდეს. ამას სვანურისაგან ისეთ დაშორებულ ადგილას და ენაში, როგორც ქანურია, სვანური **ღორის** მსგავსად **ღურის** არსებობა გვაფიქრებინებს. ისეთ დიდ მანძილზე, როგორც ქანეთითგან შოყოლებული კავკასიონამდე მიბჯენილი მიწა-წყალია, **ორის** სახელში **ღ**-ს წინ კიდევ ერთი ბგერის (**ღ**, **ჴ** და **ჴ**) ქონება, რომელთაგან **ჴ**, **ჴ** და **ღ**-ს კვალი, როგორც დავრწმუნდით, ჴოგადს ქართულშიც არის შერჩენილი, ცხად-ჴყოფს, რომ შეუძლებელია აქ რაიმე შემთხვევითი მოვლენა იყოს, არამედ, რომ აქ უნდა ამ რიცხვითი სახელის სწორედ

წინანდელი სახის ანარეკლი გვექონდეს. ამ მოსაზრების სისწორის შესამოწმებლად და იმის გამორკვევის მიზნითაც, თუ რომელი ბგერა უნდა ჰქონოდა ორის სახელს თავდაპირველად ძირეულ დასაწყის ბგერად, ორის ცნების გამომხატველი კიდევ სხვა რიცხვითი ტერმინების გათვალისწინება და შესწავლა საჭირო.

ასეთი სიტყვების მოძებნა, რომელთაც თავიანთი ძველის-ძველი აგებულება შესაძლებელია დაცული ჰქონდეთ, როგორც უკვე ვიცით, პირველყოფილი მუტურნობისა და მსოფლმხედველობის არეში სჯობია, მესაქონლეობაში, სხეულის იმ ნაწილების სახელებშიც, რომელნიც ადამიანს წყვილად აქვს. მართლაც, ქართული სამწერლო ენაში დაცული ორობე ასეთი ტერმინი გვაფიქრებინებს, რომ ქართულშიაც ოდესღაც ორ-ს ო-ს წინ ჰქონია ბგერა და ასეთ თავკიდულ ბგერად ყ ყოფილა.

ქართულში არის ტერმინი **ჟეჟპარი**, რომელიც, როგორც მწერლო ენაშია ცნობილი, ისევე თანამედროვე სასაუბრო ხალხურ ენაშიც ჩვეულებრივი სიტყვაა. საბა ორბელიანის სამართლიანი განმარტებით „**ჟეჟპარი** ორულღეულნი ვარნი“-ა (ლექსიკ.).

იმისდა მიუხედავად, რომ **ჟეჟპარ**-ს არც უღლეულისა და არც ხარის სახელების არავითარი კვალიც-კი არ უჩანს, მაინც, რაკი **ჟეჟპარი**, ჩვეულებრივი გაგებით, რომელიც უკვე ს. ორბელიანს აქვს აღბეჭდილი, „**ორულღეულნი ვარნი**“-ა (ლექსიკ.), შესაძლებელია ადამიანმა იფიქროს, რომ ეს ტერმინი ოროპისა-კი არა, არამედ სწორედ ამ ორულღეულობის ცნების გამომხატველი იყო. მაგრამ, ეს სიტყვა რომ მართლაც ოროპის ცნების გამომხატველია, ამას ტერმინი **საჟეჟპარი**-ც ამტკიცებს, რომელიც, სამას მოწმობით, „**მარვილის ვენენები**“-ს აღმნიშვნელია (ლექსიკ.), ე. ი. „**მარვილის ვახაწევი ლატენები**“-ს (ქვე). ცნობილია, რომ მარხილში იარ უღელს ჩვეულებრივ არაფერ. ამაჟს, ამიტომაც შეუძლებელია ამ ტერმინს ორ-ულღეულობასთან რაიმე საერთო ჰქონდეს. სამაგიეროდ ყველას კარგად მოეხსენება, რომ მარხილს წყვილი ხელნა აქვს და **საჟეჟპარი**-ც ხელნათა სწორედ ამ წყვილობის მიუწყებელია და მნიშვნელობის **საჟეჟპარი**-დ განკუთვნილობის გამომხატველია.¹

ერთის აღმნიშვნელი ძველი ქართული სახელებისა და ტერმინების განსილვის დროს, უკვე მოყვანილი გვექონდა **ხაში ურმეული** ძნისათვის არსებული ტერმინი **ჟუჟული**. იქვე ვანმარტებული იყო, რომ ეს ტერმინი თავდაპირველად მხოლოდ **ხაშის** ცნების გამომხატველი უნდა ყოფილიყო და ორი ნაწილისაგან შესდგება, რომელთაგან მეორე ნაწილი **ჯული**, ან ეხლაც შერჩენილი **ცალი**-ს უ-ხმოვანა სახესხვაობად, ანდა პროგრესიული ასიმილაციის გზით არის ცალი-საგან წარმომდგარი, მაშასადამე, ერთის აღმნიშვნელად არის საგულისხმეული.

აქ ამ ტერმინის უკვე მხოლოდ პირველი ნაწილის **ჟუჟ**-ის განხილვას-და უნდა შევუდგეთ.

1. ნ. მარტიხ აზრით ნახევარი ვითომც სვანურიოგან შეთვისებულის, ორის აღმნიშვნელის ხე შიროსაგან ნაწარმოებს სიტყვას წარმოადგენს, **ჟეჟპარი**-ც ვითომც სვანურიოგან შეთვისებული იგივე, მაგრამ ჟეჟ სახეობად ქცეული, ფუძე უნდა იყოს (ძვ. ქართ. გრ. 81—82).

თუ ცული ერთსა ნიშნავდა და ცალის სახესხვაობაა, ცხადია, რომ სამის გამომხატველს შუნცულ-ში შუნ-ს შესაძლებელია მხოლოდ ორის მნიშვნელობა ჰქონოდა. თუ გავიხსენებთ, რომ ერთის ძველი სახელების განხილვის დროს ცალი-ს ისეთი სახესხვაობაც შეგვხვდა, როგორცაა ცან და ამუკანასკნელს ორის ოდინდელ აღმნიშვნელს შუნ-ს შევადარებთ, შევამჩნევთ, რომ ორივეს ერთნაირი ბოლოკიდური ნ ბგერა აქვს. ამიტომაც ეს ნ ორის შემომოყვანილს სახელში ძირეულად მისაჩნევი არ არის.

ადამიანს, როგორც ცნობილია, ზოგი ორგანო წყვილ-წყვილად აქვს და აქაც, სხეულის ნაწილების სახელებს შორისაც, შესაძლებელია ზოგიერთი სახელი ორობის გამომხატველი იყოს და ამის წყალობით ამ რიცხვის სახელის ძველი ფორმა გვჭონდეს დაცული, მართლაც, ასეთ წყვილ ორგანოთა სახელებს შორის ჩვენი მიზნისათვის საყურადღებონი არიან შური, რომელიც სასმენელის სახელია და მამაკაცის საკვირცხის აღმნიშვნელი ტერმინი შური. შური რომ თავდაპირველად მარტო სასმენელის აღმნიშვნელი არ ყოფილა, არამედ წყვილობის გამომხატველი იყო და თვალეზზეც ითქმოდა, ამას ზმნა შურეზ-ც ამჟღავნებს, რომელიც ყურ სიტყვისაგან ნაწარმოები ნასახელარი ზმნაა და სწორედ თვალის დევნებას, მზერას ნიშნავს¹.

ორსავე ამ სიტყვაში ორგანოთა ორობის, წყვილობის გამომხატველი რიცხვითი სახელი დროთა განმავლობაში თვით ამ ორგანოთა სპეციალურ სახელ არის ქცეული.

ებლა რომ შემოდასახელებული პირველი ტერმინის მნიშვნელობის გამოტყვევას შევუდგეთ, საბას განმარტებით შური საურვალი, „მამაკაცის სატყვინელნი წყვილნი“-ა. სხვა სათანადო აღგილას საურვადი საბას ყვერადგე აქვს განმარტებული. ეს ტერმინი ებლაც ცოცხალი სიტყვაა და იმას-კი არ ჰქვია, რასაც საბა ეძახის. არამედ მამაკაცის სასქესო ორგანოს წყვილედის შემცველს საკვირცხეს.

შურის პირვანდელი ორობის მნიშვნელობის აზრის სიმართლის დასამტკიცებლად, შეიძლება ის გარემოებაც იქმნეს დასახელებული, რომ სხეულის ამ ორგანოს პარალელურ სახელად და სინონიმად წყვილნი-ც ეწოდება. იპოლიტის თხზულების ქართულ თარგმანში მაგ. ნათქვამია: „არა მოაკლდეს

1. აკად. ნ. შარტის აქვს „კურცხალ“-თან დაკავშირებით გამოთქმული მოაზრობა, რომ კურ შემომოყვანილ სიტყვაში და „ყურება“-ში თვალის სახელი გვაქვს დაცული, მაგრამ, მისი განცხადებით, აქ წარმოდგენილი კურ სასმენელის აღმნიშვნელი სიტყვის ყურისაგან უნდა განვასხვავოთ. სამწუხაროდ, ავტორის განმარტებული არა აქვს, თუ, სახელდობრ, რას უკავშირებდა „ყურების“ ძირს. იქვე ნ. შარტი ნათქვამი აქვს, რომ ვურულსა და იმერულს კილოვებში ცოცხალი სიტყვა, ცრემლის აღმნიშვნელი, კურცხალი ს. ორბელიანისა და ნუბინაშვილის ლექსიკონებში შეტანილი არ არისო, მხოლოდ საბას ნაწრომის გამომცემელს რ. ერისთავს შენიშვნაში აქვს დართული, რომ კურცხალი ქართულად ცრემლსაც ეწოდებო (იხ. ნ. შარტის Заметки по фетическим клинописям: И. А. Н. М. К. № 11—12, 289). ორბელიანის ლექსიკონის მეორე, კრიტიკული, 1928 წ. გამოცემათგან ირკვევა, რომ ეს სიტყვა ამ ნაწრომის უძველესს, ცრედაქციაში შეტანილი ყოფილა. იქ ნათქვამია „კურცხალი, კუნცხი, მჟარე ცრებლი“-ა (გვ. 180).

მთავარი იუდაძესგან და არცა წინამძღუარი წყვილთაგან მისთა# (იხ. TP. III, გვ. III). საბა ორბელიანის განმარტებითაც „წყვილნი — ორნი ბარკალნი, ანუ ყუერნი და მისთანანი“ არის (ლექსიკ.)

შეუძლებელია, შემთხვევითი მოვლენა იყოს, რომ წყვილობის, ანდა წყვილ ორგანოს აღმნიშვნელი ყველა ზემოდასახელებული სიტყვები და ტერმინები, **ყუერი, ყური, ყური** და **ყვარი** ერთიდაიმავე ყ ბგერით იწყება და სამს ამ სიტყვათაგანს პირველ მარცვლად **ყუ** და **ყუყ** აქვს და მხოლოდ მეოთხეს დიფტონგი აღვილმოცვლებული უჩანს და **ყე-ს** მაგიერ **ყუ**, ანუ **ყვ** აქვს. ამ ოთხი ტერმინის მსგავსება იმდენად დიდია, რომ ბოლოკიდური მარცვლიც სამს უკანასკნელს საერთო **რ** აქვს და მხოლოდ პირველს მოეპოვება **ნ-ი**. თუ მოვიგონებთ, რომ **ნ** ქართულში და **რი** იქაც და მეტადრე კავკასიურს ენებში სქეს-კატეგორიის ნიშნებია და თანაც გავიხსენებთ, რომ **ორის** სახელის ძირად **ყო**, **ყუ**, **ყუე**, **ყა** და **ყე** ჩოდლო-კავკასიის ბევრს ენას ჰქონდა და აქვს ეხლაც, არამც თუ მის აღმოსავლურს, არამედ დასავლურ ჯგუფშიაც. მაშინ თავისდა თავად დაგვებადება აზრი, რომ ზემომოყვანილი ქართ. სიტყვები და ტერმინები მართლაც **ორის** აღმნიშვნელი სახელის თავდაპირველი სხვა-და-სხვა სახესხვაობის ნაშთი უნდა იყოს.

ყური არქული ენის **ორის** **ყუე-ყუე**, **ყუე-რუ**, **ყუე-ბუ** და **ყუე-თუ-ს** მეორე სქეს-კატეგორიის ფორმის სრულს მსგავსებას წარმოადგენს, კვრულის **ორის** სახელს **ყუედ-საც** უდგება, მეტადრე თუ გავითვალისწინებთ, რომ დალისტნის ლეგურსა და ლილღურს ენებში **დ** და **რ** ერთმეორის მონაცვლე ბგერებია. ამიტომ შესაძლებელია ვისმე ეფიქრა, რომ **ყვარი** და **ყური** ქართულში დალისტნის ენებითგან ნასესხები სიტყვები იყოს, მაგრამ ჯერ ეს ერთი იქ რომ ამ მნიშვნელობის ამგვარი სიტყვები არ ჩანს? თანაც, თუ **ყვარი** და **ყური**, ვითარცა **ორის** აღმნიშვნელი ტერმინები, მართლაც დალისტნის ენებითგან არის ნასესხები და დალისტნის ენებს ასეთი გავლენა ჰქონდათ, რატომ ჩაჩნებს **ორინათვის** ლუნძურის მსგავსი სახეობის სიტყვა მაინც არა აქვთ, არამედ ისეთი განსხვავებული, როგორიცაა **შინი**, ჩაჩნები და ლუნძები ხომ მეზობლებიცა და მონათესავე ერებიც არიან?

მაშასადამე **ორს** თავისი ოდინდელი სახე დროთა განმავლობაში შეუცვლია: თავდაპირველად **ჟორი** ყოფილა? ეს დებულება რომ უცილობელ ჭეშმარიტებად მივიჩნიოთ, ამისთვის ჯერ უნდა ქართულ-ქართველური ფონეტიკით დამტკიცდეს, რომ **ჟორი-საგან** მართლაც შესაძლებელი იყო **ორი** წარმომდგარიყო, რა თქმა უნდა, წინამორბედი **ჟორი-სა** და **ჟური-ს** არსებობის გათვალისწინებით. ამ საკითხის გადაწყვეტას ყ-ს სხვა-და-სხვა შენაცვლების ცოდნა შეგვაძლებინებს.

რაკი **ჟ-ს** **ჟ-დ** შენაცვლებაზე საუბარი უკვე გვქონდა, ამიტომ აქ მხოლოდ-და **ჟ-ს** **ჟ-დ**, **ჟ-დ** შენაცვლებასა და სრულიადს გაქრობაზე გვაქვს სათქმელი. ქართველურ ენოვან სამყაროთგან ამის არაერთი მაგალითის დასახელება შეიძლება, ასეთი მოვლენა მეტადრე მეგრულისა და უფრო ხშირად კანურისათვის არის დამახასიათებელი.¹

პროფ. ა. ო. ჩიქოშავასა ც სამართლიანად აქვს აღნიშნული: „ხმოვ-
ნის წინ, ან ხმოვანთა შორის ყ-ბგერა უცვლელად ინახება ბოფურს კილო-
კეში, ვიწურ-არქაბულსა და ათინურში-კი ყ-ბგერის ადგილს ასეთს კომბ-
ლექსებში ე იქერს, ან და ჯ, ზოგჯერ ყ ურეფლექსოდ (ე. ი. უკვალოდ) ქრება.
მეტ-წილად ყ-რეფლექსი ვიწურ-არქაბულს ახასიათებს, ა ო (ნოლი)-კი ათი-
ნურს. ამისდა მიუხედავად ამ ორი კილოკავის ამ მხრივ გამოიკვანა ძნელია. ხში-
რია შემთხვევები პირუტყუ რეფლექსებითაც, ხშირია ერთნაირი რეფლექსებიც“—ა. ო.
(იხ. კანურის გრამ. ანალიზი, გვ. 15).

ზემომოყვანილი მაგალითებითგან ჩანს, რომ თავკიდური ყ-ს ჯ-დ შენაკ-
ვლება და სრულიადი გაქრობაც-კი ქართველურში იშვიათი მოვლენა არ ყოფი-
ლა და, მაშასადამე, მოსაზრება, რომ **ჯ რი** და **ორი** თავდაპირველი **ჟ რი**-აა
და **ჟ რი**-საგან უნდა იყოს წარმომდგარი, შესაძლებელია ქართ. ფონეტიკა-
თაც დამტკიცდეს.

ორობის გამომხატველი კიდევ არა ერთი ძველი ქართული ტერმინი არ-
სებობს, რომელთა გაოვალისწინება და აგებულების გამოკვლევაა საჭირო. ასეთი
ტერმინთაგან საყურადღებოა კიდევ **ტჟუბი**, ანუ **ტჟუპი**, **ტჟუპი** და **წყვილი**.
ქანურად იგივე სიტყვაა: **ტჟუპი** (ხოფ.), **ტჟუპი** (რიზ.-ხოფ.), **ტუპი** და **ტუპინა**
(ათინ.: მეორე ცნობა იოს. ყიფშიძის მინაწერთგანაა), **ტჟუპიში** (ვიწ.-რიზ.-ხოფ.;
ზ.: კ. გ. 19), სვანურად **ტჟუპს** ეწოდება **ღარკი** და **რწყვილ** და წყვილისა-
თვისაც იგივე სიტყვა **რწყვილ** არსებობს, მრჩობლისათვის-კი **ღარკი**, მაგ. ორ-
კეცი-**ღარკილ** ა. ო. მარჩივი-ც არსებობს, მაგრამ მისი ეტიმოლოგიის გამო-
ძიებას აქ არ შევუძლებით. პირველი სამი სიტყვის საკმაოდ ვრცელი განმარ-
ტება ქართველ ლექსკოგრაფს აქვს თავის ნაშრომში შეტანილი².

საბა ორბელიანის სატყვიო, „უკეთუ იყუნენ ყრმა ორნი მუცელსა
შინა, ეწოდების მარჩივი, ხოლო პირუტყვთა ორთა, ანუ ხულთა და მისთა-
ნათა ორთა ერთსა ბუდესა შინა, ეწოდების—**ტჟუპი**,—ხოლო ხილთა და ხმილ-
თა ორთა შეერთებულთა ეწოდების **ტჟუპი**“-ო (ლექსიკ. ტჟუპის ჭეშე). საბას
ლექსიკონის B რედაქციის ხელთნაწერებში ზემომოყვანილისაგან არსებითად
ვანსხვავებული განმარტებაა მოყვანილი, ამიტომ გადაეთხვა და შედარებაც
არის საჭირო.

ამ მეორე განმარტებაში ნათქვამია: „უკეთუ იყვნენ **ცხომელნი ორნი**
მუცელსა შინა—კაცი. **ცხენი** და **მისთანა**, **მარჩივი** არს,—**ხოლო ხილი**,
ანუ ნაყოფი რამე იყოს ორნი შეერთებულნი, ითქვიან **ტჟუპი**,—ხოლო
ორნი ერთსა ბუდესა შინა ტჟუბად ითქვიან“-ო (იქვე).

2. მაგ. ურბენს უდიის წურძენი (მეგრ.) და ურძენი (ქან.),—ყვალს—წალი (მეგრ.) და
ალი (ქან., ათინ.), ყომურს (ტყუმალს)—წომური (მეგრ.) და ომური (ქან., ათინ.), ვანას—კონა-
(ქან., ხოფ.), წონა (ქან., ათინ.) და ონა (ქან., ათინ. და ვიწ.), ტყავს—ტყები, ტები (ქან.,
ათინ.) და ჟუფ (სვ ნ.),—ტუბს და ტუპს ტუპი (ქან., ვიწ.), ტუპი (ქან., ხოფ.) და ტუპი
(ქან., დას.), კვლას—ო-ყვილუ (ქან., ხოფ.) და ო-ძილუ (ქან., ათინ.),—ყიდვას—ო-ყირდუ (ქან.)
და ო-ძნდრუ (ქან., ათინ.),—ო-ყიზუ-ბ (ქან., ხოფ.; ხეჩიას, ჩანდვას ნიშნავს)—ო-დაზუ (ვიწ.);
ო-დაზუ (ათინ.) და ო-აზუ (ვიწ.) და სხვ.

3. ნ. წარჩი ფიქრობს, რომ მრჩობლი და მარჩივი პირველად რკობ ფუძისაგან არის
წარმომდგარი და რ-ს თ დ შენ ცვლებს გზით ტჟუპი-ც აქედანვეათ (ძვ. ქ რ. გრ. 78).

პირველი რედაქციით მარჩბიში დედის საშვილოსნოში მყოფი ორი ყრმის, ე. ი. მაშინდელი გაგებით მამრ. სქესის ბაშვის აღმნიშვნელი იყო, მეორე რედაქციით-კი მარტო „ორი ყრმისა“—კი არა, არამედ ორი ცხოველის, ადამიანის შვილი იქმნებოდა იგი, იუ პირუტყვი, მაგ. ცხენი, სულ ერთი იყო. ამ ორი განმარტების განსხვავების მთავარ დებულებას ის მოძღვრება შეადგენს, რომ პირველით მარჩბიში მხოლოდ გონიერი არსების, ადამიანის წყვილის სახელია, მეორეთი-კი საერთოდ ყოველივე ცხოველის, მათ შორის არა-გონიერიცა, ე. ი. გონიერ და არა-გონიერ არსებათა განსხვავება აქ უარყოფილია.

ამნაირადვე ტშუბი-ს განმარტებაც სხვადასხვანაირია: პირველი რედაქციით ტშუბი ერთ დედის ბუდეში მყოფი ორი პირუტყვისა და ხულის, ანუ ნაქუჭიანი ხილის (კაკლის, წაბლის, ფუსტულის და სხვ.) სახელი იყო,—მეორე განმარტებით-კი ტშუბი ზოგადი სახელი იყო და მარტო ერთ ბუდეში ორის მღებარეობის გამომხატველი იყო იმისდა მიუხედავად, ადამიანის შვილზე, პირუტყვზე, თუ ხეხილის ნაყოფზე იყო ხაუბარი.

განზოგადოებისადმი მიდრეკილება პირველ განმარტებასაც ეტყობა იმ მხრით, რომ მისი გაგებითაც ტშუბი პირუტყვისაცა და ნაქუჭიანი ხილის ერთბუდიანა წყვილის აღმნიშვნელი გამოდის, მაგრამ მეორე გაგება ამას გარდა ადამიანსაც ჰგულისხმობდა.

ტშუბი-ს განმარტებაში-კი თითქმის სრული თანხმობა სუფევს, რათგან ორივეს გაგებით ხეხილისა და ხმილის ტყუბი ნაყოფის სახელი იყო.

თუ ორივე რედაქცია საბას დაწერილია, მაშინ ცხადი ხდება, რომ ამ ტერმინების ნამდვილი მნიშვნელობა მე-XVII ს. დამლევს საბასთანა განათლებული და მცოდნე კაცისათვისაც-კი უკვე სათუო ყოფილა. ეს გარემოება არც არის გასაკვირველი, რათგან სამივე ძველის ძველი სიტყვებია, რომელთაც მნიშვნელობა დროთა განმავლობაში შეეცვლებოდათ და იმის გამო წერალობითი ძეგლების მიხედვითაც მათი ერთნაირი მნიშვნელობის გამორკვევა შეუძლებელი იქმნებოდა. ესლაც ამისთვის საგანგებო კვლევა-ძიება არის საჭირო, რისთვისაც ამ ღაზად არც დრო გვაქვს და არც აქ დასახული მიზნისათვის არის აუცილებლად საჭირო. რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თვითთულს მათგანს, ამაზე მსჯელობა მხოლოდ მას შენდგომ იქმნება შესაძლებელიცა და მიზანშეწონილიც, როდესაც უკვე ამ სიტყვების აგებულება გვექმნება გამორკვეული.

ტშუბი-სა და ტშუბი-ს ნათესაობა ერთი შეხედვითაც ცხადი გახდება, მარჩბიში-სა და ამ ორი სიტყვის ნათესაობის საკითხი-კი საგანგებოდ უნდა იქმნეს განხილული. ამიტომ ჯერ პირველი ორის შესახებ.

ტშუბი-სა და ტშუბი-ს პირველი ტშუ მარცვალი საერთოა, მეორე-კი ბი და ში განსხვავებულია. ცხადია, რომ ეს ჰაერით ნაწილი უნდა იმ ზოგადი ცნების გამომხატველი იყოს, რომელიც ამ ორს ბოლო-განსხვავებულს სიტყვას აერთებს, ე. ი. ერთ ბუდეში წყვილად ყოფნის აღმნიშვნელად უნდა მივიჩნიოთ, ხოლო ბი და ში იმ თავისებური დანართი თვ ხების გამომვლავნებელად არის მიხაჩნევი, რომელიც ამ საერთო ცნების გამომხატველს პირველ მარცვალს ოდნავ განსხვავებული შინაარხის ორ სიტყვად ჰხდის. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ძირი სწორედ პირველ ტშუ

მარცვალში უნდა ვეძიოთ, მეორე, განსხვავებული ბი და ჰი-კი ფორმანტება-დაა მისაჩნევი.

ხოლო ბი და ჰი თვითეული ცალკეულად სახელდობრ რის გამომხატველია და რის ფორმანტი უნდა იყოს, ამის გამორკვევას ამ ორი სიტყვის მნიშვნელობის განსხვავების გათვალისწინება და გამოყენება გვშველის.

თუ ყველაზე უცილობელის, ტაშუჰი-ს, განხილვით დავიწყეთ, იგიც ტაშუპობის, წყვილობის, აღმნიშვნელია, მაგრამ მხ ო ლ ო დ ხ ე ხ ი ლ ი ს ა და ხ მ ი ლ ი ს, უ ს უ ლ ო ს ა გ ნ ი ს ტყუპობის. ეს გარემოება ცხად-ჰყოფს, რომ ბოლოკიდური ჰი სწორედ ამ უსულო საგნისადმი მიკუთვნილობის გამომხატველი ფორმანტია.

მეორე მხრით თუმცა ტაშუჰი, ერთ ბუდეშივე წყვილად ყოფნის გამომხატველია, მაგრამ უმთავრესად „ბ ი რ უ ტყ უ თ ა ო რ თ ა“, ე. ი. ც ხ ო ვ ე ლ ი ს. ამ განსაკუთრებულს ელფერს ამ ორი სიტყვის საერთო ნაწილის მნიშვნელობასაც, რა თქმა უნდა, ბოლოკიდური ბი ანიჭებს. ამიტომაც იგი სწორედ იმ ფორმანტად უნდა მივიჩნიოთ, რომელიც პირუტყვისადმი მიკუთვნილობის გამომხატველია.

ზემოაღნიშნულზე მეტის თქმაც შეიძლება: ამ გამოკვლევის წინა ნაწილებითგან უკვე ვიცით, რომ ბ ქართულსაც თავდაპირველად და დილდურსა და ლეგურს ბევრს ენას უჭასაკოთა და პირუტყვების სქეს-კატეგორიის ნიშნად ჰქონდა და აქვს ეხლაც. რაკი ტაშუჰი მართლაც პირუტყვის წყვილშობილობის გამომხატველია, ამიტომ სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ამ ტერმინის ბი-ც სწორედ მესამე სქეს-კატეგორიის ოდინდელი ქართული ბოლოსართის ნაშთი და შენაზრდია.

ტაშუჰი-ს ბოლოსართის რაობის გამორკვევა ზემონათქვამის შემდგომ უკვე ძნელი არ არის. რომ ის უსულო საგნისადმი მიკუთვნილობის გამომჟღავნებელია, ეს უკვე დანამდვილებით ვიცით. ხოლო სქეს-კატეგორიების ნიშნების შესწავლის დროს დავრწმუნდით, რომ უსულო საგნების სქეს-კატეგორიის ნიშნად დ, ან-და რ იყო და არის ეხლაც. დ-სა და რ-ს შენაცვლება ხომ, როგორც ვიცით, ჩვეულებრივი მოვლენაა. ვინც გაიხსენებს, რომ ქართულ-ქართველურში დ-სა და რ-ს ჯ-დ შენაცვლება იშვიათი შემთხვევა არ არის,¹ ის მაშინ აღვილად დაიჯერებს, რომ ტაშუჰი წინამორბედი ტაშუჰი-სა და ტაშუღი-სა, ანუ ტაშუკი-საგან არის წარმომდგარი. ამგვარად ცხადი ხდება, რომ ჰი მეოთხე უსულო საგანთა თავდაპირველი სქეს-კატეგორიის დი-ს, ანუ რი-ს ფონეტიკური სახესხვაობის ნაშთი და შენაზრდია.

ზევით უკვე ნათქვამი გვქონდა, რომ შუკი-ს, შუჰი-ს, შუჰარი-ს ისევე, როგორც ორი-ს რ ფორმანტი უნდა იყოს და სქეს-კატეგორიის ნიშნის შენაზრდი, ორის ცნების გამომხატველი ძირი, მაშასადამე, შო, ან-და შუ არის.

თუ ყველა ამის შემდგომ ტაშუჰი-სა და ტაშუჰი-ს პირველს, აგრეთვე ძირად მისაჩნევს, ნაწილს ტაშუ-ს დავაკვირდით, შევამჩნევთ, რომ მას ზედმეტი თავ-

1. აი ამის მაგალითებიც: ტრედი-ტაროჯი (ქან.), ტარონჯი (მეგ.),—კიდი, ბიდი-ბინჯი (ქან., მეგ.), ჭანდი (მეგ. = მწერს)—მჭანჯი (ქან.), კარი-ხოჯი (მეგ., ქან.),—პირი-პიჯი (მეგ., ქან.),—ყური-ყუჯი (ქან.), წაჯი (მეგ.),—მგარი, მგარე-მუნჯი (მეგ.), მხუჯი, ბხუჯი, ბარჯ (სვ.),—ფუტკარი—ბუტკუჯი (ქან.),—ისარი—ისიჯი (ქან.),—სურო-სუჯი, მსუჯი,—ქარი-ქომოჯი (მეგ., ქან.) და სხ.

კიდური ტ აქვს. საკმარისია გავისხენოთ, რომ ორისა და წყვილობის გამოშხატველი სიტყვებისა და ტერმინების უმრავლესობას ეს ბგერა თავში არ უჩანს და თანაც მოვიგონოთ, რომ ტ, ვითარცა მკლერი ღ-ს ყრუ შესატყვისობა, მეოთხე სქეს-კატეგორიის ნიშანი იყო და ჩრდილო კავკასიის აღმოს. ჯგუფის ბევრს ენაში ეხლაც არის, რომ ტუ-ს ამ თავკიდური თანხმოვნის ასეთი რაობის აზრი დაგვებადოს. მაგრამ აქ იგი უკვე სქეს-კატეგორიის ნიშნად-კი არ არის, არამედ უბრალო შენაზრდადაა ქცეული. თავკიდური სქეს-კატეგორიის ამ შენაზრდითურთ უუ ძირისათვის, ვითარცა ორის ცნების გამოშხატველისათვის შემდეგში ბოლოსართოვანი დი (ვი-დ შენაცვლებული) და ბი სქეს-კატეგორიების ნიშნები დაურთავთ და ამნაირად უკვე ორის ძირადაც-კი მიუჩნევიან.

ეხლა რომ მარჩბივი-ს განხილვას შევუდგეთ, უნდა უმჯ. ამ ძირისავე ზედსართავი მარჩბლი გავისხენოთ, რომელიც ორმაგსა ნიშნავს. ერთი მხრით არსებით სახელად ქცეული მარჩბ ვი გვაქვს, მეორე მხრით ზედსართავი მარჩბლი. მათ საერთო ნაწილს მარჩბ-ს და მარჩბ-ს მხოლოდ ბოლოკიდური ვი და ლი ასხვავებენ, რათგან პირველი ნაწილის განსხვავება ხმოვანთა დაკარგულობას არ სცილდება. ვი და ლი, ცხადია, ფორმანტებია.

რაკი მარჩბლი ორს. ანდა ორკეცსა ნიშნავს, ცხადია, რომ ორის ცნების გამოშხატველი უნდა სწორედ პირველს ნაწილს მარჩბ-ში ვეძიოთ. ერთი შეხედვითაც ჩანს, თუ რამდენად გართულებული და შეცვლილი უნდა იყოს აქ ორის ძირი: ორის ამნაირი სახელის მოძებნა ქართულში ძნელია. მაგრამ ჩვენ უკვე გვქონდა ორკეცის აღმნიშვნელი ძველი ქართული ტერმინი ჩუდკაცი, რომლის პირველი ნაწილი ჩუდ, როგორც დაგრწმუნდით, ორსა ნიშნავს. ორივე ამ ორის აღმნიშვნელი მარჩბ-ისა და ჩუდ-ის ერთმანერთთან შედარება აღამიანს დაარწმუნებს, რომ მათ მხოლოდ ჩუდ და ჩუ აქვთ საერთო, ბოლოკიდურები ბ და დ-კი განსხვავებულები ვაანიათ. ისევე, როგორც მარჩ და ამ რიცხვითი სახელის დანარჩენი რ-ბოლოკიდურიანი ფორმების ეს ბგერა ძირეული-კი არა, სქეს-კატეგორიის ოდინდელი ნიშანია, დ-ც ამ შემთხვევაში ასეთივე თვისებებისაა. საფიქრებელია, რომ ჩუდ-ის ბ-ც მესამე სქეს-კატეგორიის შენაზრდი ნიშანი უნდა იყოს. საფიქრებელია, რომ ეს შენაზრდიანი ჩუდ-იც, შემდეგში ძირად მიჩნეული, უნდა გვქონდეს მარჩბ-ლსა და მარჩბივი-ში დაცული.

ამ უკანასკნელს ბოლოში ივი, თუ ვი აქვს დართული, რის გამო მახვილის პირველ მარცვალზე ყოფნის წყალობით ძირის ო ხმოვანი გამქრალა. თუ მოვიგონებთ, რომ მარჩბივი ორთა ყრმათა, ე. ი. მამრ. სქესის ტყუპების აღმნიშვნელი ტერმინი იყო და მოგვაგონდება, რომ ვ სწორედ მამრ. სქესის ნიშანი იყო, მაშინ ამ ივი-სა, თუ ვი ბოლოსართის მამრ. სქესის შენაზრდ ფორმანტად მიჩნევა არ გაგვიკვირდება.

ყველა შემონათქვა ის შემდგომ შესაძლებელია ითქვას, თუ, სახელდობრ, რა მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა თავდაპირველად მარჩბივის, ტუუბსა და ტუუბსა: მარჩბივი თავდაპირველად ტყუბი ყრმის, ტუუბი — ტყუბი პირუტყვისა და ტუუბი — ტყუბი უსულთა ნაყოფის აღმნიშვნელი იქმნებოდა.

სანამ წყვილის ეტიმოლოგიის განხილვას შევუდგებოდეთ, უნდა წინასწარ სამი ძველი ქართული ზმნა განვიხილოთ, რომელთაც ორის სახელთან აქვთ კავშირი.

ძველ ქართულში სამი სიტყვა **ტყუელვა**, **შეტყუელვა** და **აღტყუელვა** გვხვდება, რომელთაც, აღმნიშვნელობას საერთო თვისებასთან ერთად, აგებულებაც ერთნაირი აქვთ და ძირიც ერთი-და-იგივე უჩანთ. ს. ორბელიანის ცნობით, „**ტყველვა** კელთა კელზელა მიღება“. მ რედაქციით-კი „**გინა ტაში**“ იყო (ლექს.). ცხადია, რომ ამ განმარტების პირველ ნაწილში შეცდომაა შეპარული და ამას გარდა არც ზედმიწევნილობაა დაცული: ნამდვილად **ტყველვა** ორივე ხელის ერთმანერთზე დაკვრას წარმოადგენს.

ანაირადღე **„შეტყველვა“**, ჩვენივე ლექსიკოგრაფის სიტყვით, ისე „მოქმედებას ეწოდებოდა, „**ორნივე კელნი რა ერთად შეჰკრიბთ**“-ო (იქვე), ე. ი. შეაერთო.

დასასრულ, **„აღტყუელვა ზე ორთავე კელთა შემოკრება“**-სა ნიშნავსო (იქვე).

ტყველვის, **აღტყველვისა** და **შეტყველვისათვის** არც ს. ორბელიანს აქვს რაიმე წყარო დამოწმებული და არც დ. ჩუბინაშვილს, რომელსაც მხოლოდ **აღტყველვისათვის** LVI ფსალმუნი აქვს დასახელებული (ქართ.-რუს.-ფრანგ. ლექს.). მაგრამ ამ ადგილას ეს სიტყვა არც არის და შინაარსისდა მიხედვით არც მოსალოდნელია, რომ ყოფილიყო. უეჭველია, აქ კორექტურული შეცდომაა: ეს ტერმინი 46-ე ფსალმუნში (XLVI, 1) გვხვდება, მის პირველსავე მუხლში. იქ ნათქვამია: „ყოველთა წარმართთა **აღტყუელენით კელნი** თქუენნი და დაღადებდით ღისა მიმართ კმითა სიხარულისათა“-ო. ბერძნულად **„აღტყუელენით კელნი“**-ს შესატყვისად ნათქვამია: *ἀπαρτῶναι χεῖρας κροτέωσας* ხეირას, ლათინურად *plaudite manibus* და სომხურად *ბაძიս ნაძეს* წაფს ჰარეჟ. როგორც *ჰარეშ* ოს *ხეიშ* კროტეო ტახეირე, ისევე *plaudo manibus* და *ბაძიս ნაძეს* წაფს ჰარელ ტაშის, ხელების ცემას, ტაშის კვრას, შემდეგ მოწონებასა და ქებასაც ნიშნავს.

რაკი ამ ორმოცდამეექვსე ფსალმუნის **ებრაულ დედანშიც** აქ სწორედ **ტაშის კვრა** სწერია, ამიტომ ცხადი ხდება, რომ საბაბს შემომოყვანილი განმარტება მთლად ზედმიწევნითი არ არის: **აღტყუელვა** „ზე ორთავე კელთა“ მარტო შემოკრებას-კი არ ნიშნავდა, არამედ **ზევითკენ აწეული ხელებით ტაშის კვრას**.

შეტყველვა ამირან დარეჯანიანში გვხვდება. იქ ბადრი იამანისძის-მიერ რომ არზამანიკის საჯარო შებრძოლების დროს დამარცხებისა და მოკვლის ამბავია მოთხრობილი, ნათქვამია: „მაწინ ზე ახლტა მეფე, **ხელნი შეტყველნა** (ე. ი. ტაში დაუკრა) და გაიცინა. შეიქმნა სიხარული ქალაქსა შიგან ღიდი და ყველანი ქებასა შეასხმიდეს ბადრი იამანის ძესა“-ო (ზ. ქიქინაძის გამოც. 26).

შემომოყვანილი ძეგლებითგან ამოღებული მაგალითები იდამიანს დაარწმუნებენ, რომ **ტყველვა**, **შეტყველვა** და **აღტყველვა** ძველი ქართული ტერმინებია.

ერთი შეხედვითაც ცხადი ხდება, რომ სამივე შემოჩამოთვლილი სიტყვა **ნასახელარი ზმნებია**, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ პირველ ზმნას წინა-

სართი არა აქვს, ორი უკანასკნელი-კი უკვე წინსართიანია (პრევერბიანია). სა-
მივეს ავ მაწარმოებელი, ანუ თემის ნიშანი აქვს, ხოლო ძირად **ტაშუალ** არის.

ამ სამსავე ზმნის **აღმნიშვნელობის საერთო თვისებას** ორივე ხელის ერთ-
მანერთთან მიახლოებდა შეადგენს, მაგრამ **შეტაშუალვა** ამ მოქმედების ჰორიზონ-
ტულს მიმართულებას, ხოლო **აღტაშუალვა** ასწვრივს, ზევით ამართული ხელების
დაახლოებების გამომხატველია. რაკი **შეტაშუალვა**-ს ასეთ მნიშვნელობას **შე**
ზმნის წინასართი, **აღტაშუალვა**-ს აღ წინასართი ანიჭებს, ცხადია, რომ ამ სამი
ზმნის მნიშვნელობის საერთო თვისების, ორივე ხელის დაახლოებების, გამომ-
ხატველი ფუძე **ტაშუალ**-ვა უნდა იყოს. ვ-ბ, ანუ უფრო სწორედ რომ ითქვას, **აშ**,
სახელისათვის მოქმედების მნიშვნელობის მიმნიჭებელი მაწარმოებელია.

ამნაირად, იმ სახელად, რომელიც ამ ზმნაში ორივე ხელის ცნების აღმნიშ-
ველი უნდა იყოს, შესაძლებელია მხოლოდ **ტაშუალ**-ი იყოს. ხოლო რაკი აქ
ხელის არავითარი ბგერითი კვალი არა ჩანს, ამიტომ საფიქრებელია, რომ
აშუალ ორის აღმნიშვნელია. მართლაც, თუ გავიხსენებთ, რომ ძველ ქართულში
ლ სწორად პირველადი რ-ს შენაცვლებას წარმოადგენს, მაშინ **ტაშუალ**-იც შე-
საძლებელია უფრო ადრინდელი **ტაშუარ**-ის მერმინდელ სახესხვაობად მივიჩნიოთ.
ეს **ტაშ. რ**-ი ადამიანის მამრობითი სასქესო ორგანოს წყვილი კვერცხის შემ-
ცველის სახელს **აშარ**-ს უდრის. პირველს მათგანს მხოლოდ თავში მეტი **ტ**
თანხმოვანი გააჩნია. ამ თვისებით **ტაშუარ**-ი აგრეთვე წყვილისავე აღმნიშვნელს
ორ ქართულ ტერმინს, იმ **ტაშუბ**-სა და **ტაშუბ**-ს, მიემსგავსება, რომელთა შესა-
ხებაც უკვე გვქონდა საუბარი. როგორც იქ აღნიშნულია, ეს თავკიდური **ტ**
ოდინდელი სქეს-კატეგორიის შეზრდილი ნიშანია.

რაკი ყველა ზემონათქვამის შემდგომ **ტაშუალვა**, თუ ასე შეიძლება გამო-
იჩქვას, **შეორების** აღმნიშვნელი ყოფილა, ჩვეულებრივი გაგებით-კი სწორედ
ხელების შეორების, შეკრების გამომხატველი იყო, ამიტომ საფიქრებელია, რომ
თავდაპირველად ამბობდნენ „**კელების ტაშუელვა**“-ს და მხოლოდ შემდეგში უნდა
იყოს ამ გამონათქვამის პირველი სიტყვა ჩამოცილებული.

დასასარულ **აშვილი**-ს შესახებაც. **ტაშუელვის**, **აღტაშუელვის** და **შეტაშუ-
ელვის** აგებულობასა და პ-რველადს მნიშვნელობაზე მსჯელობის დროს, უკვე
დავრწმუნდით, რომ **ტაშუალი ორისა** ნიშნავს, რომ თავკიდური **ტ** თავსართო-
ვანი ოდინდელი სქეს-კატეგორიის შენაზრდია ისევე, როგორც **ლი** ასეთივე
თვისების ბოლოსართი არის. რაკი **ტაშუალი ორის** აღმნიშვნელი ყოფილა და
აშვილი-ც ამასვე ნიშნავს, მათი ბგერითი დიდი მსგავსების გამო, ამ ორი სიტ-
ყვის იგივეობის აზრი თავისდა თავად იბადება. არსებითად მათ მხოლოდ თავ-
კიდური ბგერა **ტ** და **წ** აქვთ განსხვავებული. მაგრამ **ტ**-ს ც-დ, **წ**-დ და **ჭ**-დ
შენაცვლება ქართულში მოგვეპოვება¹ და საფიქრებელია, რომ სწორედ ამ გზით
უნდა იყოს **აშვილი** უფრო ადრინდელი **ტაშვილი**-საგან წარმომდგარი.

ზოგადსა და სამწერლობო ქართულს კიდევ არაერთი ტერმინი და სიტყვა,
თუ ზმნა აქვს, რომელთაც ამ რიცხვითი სახელის ოდინდელი ფორმა აქვთ და-

¹ ტურტლი (თევზთა განაჯალი) - ცურცლი (ჭემბრომთა), ტანტალი - წაწალი, ტკივილი -
წკინი, მაწკინე (მტკ. ვა: კან) - ტუტყი - ქუჭყი და სხ.

ცული, მაგრამ ყველასი განხილვა შორს წაგვიყვანდა, ამიტომ მხოლოდ ორს-ღა, სიტყუას და ნახევარ-ს შევებები კიდევ.

საფიქრებელია, რომ სიტყუამ, რომელიც ძველ ქართულში ეხლანდელივით ცალკეულ სიტყვას-კი არა, არამედ მხოლოდ გაბმულ საუბარსა ნიშნავდა, აგრედვე ორისავე სახელის ძველ ფორმასთან უნდა იყოს დაკავშირებული და თავდაპირველად სიტყუამ და უზნობამ ორი განსხვავებული ცნების გამოშატველი უხდა ყოფილიყო. ვითარცა უზნისაგან ნაწარმოებს, უზნობას საჯაროდ ლაპარაკის მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა, სიტყუამ-კი მხოლოდ ორი პიროვნების, მართო ორი მოსაუბრისათვის განკუთვნილს ლაპარაკს, დიალოგს, ეწოდებოდა. ამას ამ ტერმინის თვით აკებულება (სი-ტყუა-ე) ამეღავნებს, რათგან სი აქ დანიშნულების შაუწყებელი ფორმანტია

ნახევარი ქართულად ისევეა ნაწარმოები, როგორც ნახამალი, ნაოთხალი და სხვაც. ამიტომ ისევე, როგორც ნახამალი და ნაოთხალი „ნა + ხამ + ალ — ი“ — სა და „ნა + ოთხ + ალ — ი“ — სიგან შესდგება და ნა იქ ფორმანტია, ალ ბოლოსართი და შუა ნაწილად რაოდენობითი რიცხვის სახელი ხამ და ოთხ-ია, ამგვარადვე ცხადია, რომ ნახევარ-შიც თავსართი ნა და არ ბოლოსართი ამნაირივე თვისების ფორმანტებია, ამ სიტყვის შუა ნაწილი-კი ხამ. უეჭველია, ამ შემთხვევაშიც რიცხვის სახელი უნდა იყოს. რაკი ნახევარი, ნახამალისა და ნაოთხალის შგავსად რომ თანამედროვე რიცხვითი სახელისაგან ვაწარმოვოთ, მნიშვნელობით ნაორალს უდრის, ამის გამო ნახევარი-ს შუა, რიცხვის აღმნიშვნელი, ნაწილი ხამ-იც ორის რიცხვითი სახელის ძველ ფორმად უნდა მივიჩნიოთ.

ზევით უკვე განხილული გვქონდა ორისავე ოდესღაც, უძველეს ხანაში არსებული სახელის გაქვავებული ნაშთი ხევარი, რომლის ფუძეს წარმოადგენს ხამ. საკმარისია ნახევარ-ში დაცული ორის აღმნიშვნელი ხამ ზემოდასახელებულ ხამ-ს შევადაროთ, რომ მათი სრული იგივეობა ცხადი გახდეს: ნახევარ-ში დაცულს ორის აღმნიშვნელს რიცხვითს სახელს მხოლოდ თავკიდური ყ თანხმოვანი ხ-დ აქვს შენაცვლებული. ასეთი შენაცვლების არაერთი მაგალითი გვაქვს¹.

გულდასმითმა კვლევა-ძიებამ მაშასადამე დაგვარწმუნა, რომ ისტორიულ ხანაში ცნობილი ორი-ს გარდა, წინათ და უძველეს ხანაში ამ რიცხვის გამოსახატავად შორი და შური ყოფილა, რომ საერთოდ ორობის გამომხატველადირი თავდაპირველად ქართულსაც და ქართველურსაც შორ ჰქონია, რომელსაც სქესისდა მიხედვით სათანადო სქეს-კატეგორიის ფორმანტი ერთგვად ჯერ თავსართის, შემდეგში-კი ბოლოსართის სახით, თავსართიან ოდინდელ

¹ ხაყდარი—ხახტარი (იმერ.),—ყირიშის თოფა—ხირიში, კირიში (თუშ., ხევს.),—ყლაპი—ხლაპი (საბა),—ყვიჩილა—ხვიჩილა (იმერ.),—საჯაყი—საჯახი (იმერ.),—დაყრდნობა—დახტნობა (იმერ.).

² აკად. ნ. შარტი ერთი მხრით ამტკიცებს, რომ ნახევარი ორის აღმნიშვნელი სხანურ ხევ-ითგან არის ნაწარმოები (ძვ. ქართ. გრ. 82), მეორე მხრით, რომ ხევარი-იც ანაფ სკანური ნასეხები სიტყუ-ს სახესხელობას წარმოადგენს (იქვე, 82). გამოდის, რომ ხევარი ვითომც ხევ-არისაგან იყოს წარმომდგარი და ხ ყ-დ იყოს შენაცვლებული. ჩვეულებრივ-კი პირიქით—ყ-ს ხ-დ შენაცვლება გვაქვს. ამიტომაც ნ. შარტი ს მოსახრება სწორე არ უნდა იყოს

ფორმათაგან მხოლოდ მეოთხე სქეს-კატეგორიის დ-ს ანარეკლი გვაქვს და ცულო-
 ხიტუშა-ში და ამას გარდა ტუშბი-სა და ტუშპი-ს ფორმებშიც. მაგრამ ორს
 უკანასკნელს ეს უკვე განუყრელად შეზღუდული ფუძის სახით შეთვისებული მეოთ-
 ხე სქეს-კატეგორიის ფორმა ძირადაც-კი ჰქონია მიჩნეული. ორის ამ ძირად
 ქცეულს მეოთხე სქეს-კატეგორიის ტუშ ფორმას გარკვეული ხანითგან ისევე,
 როგორც ორის პირველადს შო ძირსაც, საპირობებისამებრ სათანადო სქეს-კა-
 ტეგორიის ფორმანტი ერთვოდა ხოლმე, მაგრამ უკვე ბოლოსართის სახით. ამ
 ხანის პირველადი ყო-ძირისაგან ნაწარმოები ბოლოსართიანი ფორმებიდან
 შერჩენილი გვაქვს ტერმინებად ქცეულები მეორე სქეს-კატეგორიის შუნი, მეოთხე
 სქეს-კატეგორიის წყვილი სასმენელისა და თვალის აღმნიშვნელი შური, წყვილი
 საკვერცხის სახელი შური, წყვილი უღლეული საჭონლის შუპარი. ხოლო მეოთხე
 სქეს-კატეგორიის თავსართ-შეზღუდილი ბოლოსართიან ფორმათაგან და ცულო-
 გვაქვს მესამე სქეს-კატეგორიის ფორმა ტუშპი და მეოთხე სქეს-კატეგორიის
 რამდენიმე სახესხვაობა ტუშელ-ვა, ტუშპი და სხვა.

შური და შური-საგან ყ-ს შენაცვლების გზით არის დროთა განმავლო-
 ბაში ორის კიდევ შემდეგი ფორმები: შური და შური, შური და შური, შური
 და შური, დასასრულს რული-ც წარმომდგარი. ხოლო ყ-ს სრულიადი ვაქრობის
 გამო შერჩენილი გვაქვს შური, რომელშიც რიცხვის აღმნიშვნელად მხოლოდ
 თ-ლა არის.

III. ზოგად ქართულს თუ ჰისათვის სახელად ა-ხმოვანა ხაში აქვს, მეგ-
 რულში უ-ხმოვანა სახესხვაობა ხუში-ა. ქანურსაც ასევე აქვს ხუში და უუში
 და წინათაც უუში ჰქონია (ქ. გრ., გვ. 26), რომლის კვალი ეხლაც არის რიგო-
 ბითი რიცხვითი სახელის უუშინეში-ს პირველ მარცვალს უუში-ში და ცულო. სვა-
 ნურად ხაში არის.

ქართულ-ქართველურის ხაშის ფორმების განსხვავება მხოლოდ პირველ
 თანხმოვანსა (ხ და შ) და ხმოვანს (ა, ე და უ) ეხება. ორივე სხვაობა იმდენ-
 ნად ჩვეულებრივია, რომ ამაზე სიტყვის გაგრძელება საჭირო არ არის. ბოლო-
 კიდური შ ყველას უკვლელად აქვს იმისდა მაუხედავად, რომ მისი ძირეულო-
 ბა სათუთა. მაგრამ ეს შ მაინც დიდი ხნის შენაზრდი უნდა იყოს.

იგივე აღსანიშნავია, რომ ამ რიცხვილი სახელის თავკადური თ-ს, ანდა შ-ს
 პირველადობაც საეჭვოა. ამას ერთი მხრით ხაშის მეორე სახელი უუცუული
 ვაფიქრებინებს, ხოლო მეორე მხრით ის გარემოებაც, რომ ჩრდილო და სამ-
 ბოეთ-კავკასიის აბხაზურ-ლეგურ-ილბანურ ენებშიც, ხ ბგერიანისა და შ-ბგე-
 რიანის გარდა, ხ-ბგერიანი ხაშის სახელიც არის, რომელთაგან ყველაზე ად-
 რინდელი, რასაკვირველია, სწორედ უკანასკნელია და შ და ხ-ბგერიანები-კი
 შენაცვლების გზით იქმნება გაჩენილი. ამნაირადვე უუში შესაძლებელია ყ-ს
 ქართულში ხ-დ ჩვეულებრივო შენაცვლების გზით იყოს უუცუულ ის პირველი
 ნახევრის ხუნი-ისაგან წარმომდგარი.

ასეა, იუ იბე, მაინც უუცუული უალრესად საყურადღებოა, რათგან მარ-
 ტივი რიცხვის ხაშის ეს სახელი რთული სიტყვა და სახელი გამოდგა. რო-
 გორც დაე-წმუნდით, ის ორისა და ერთის სახელების შერწყმულს სიტყვას წარ-

შოდგენს. თუ ხაშის სახელი ახეთი გზით გაჩენილა, ასეთი მოვლენა სამ³ე მსხვილი რიცხვის სახელებში, ცხადია, უფრო მოხალღდენილია.

IV. ზოგადი ქართული სამწერლობო ენის ოთხი-ს შესატყვისად ზეგარეულად ოთხი აქვს, რომელიც თოთხმეტში ანთხი-ს სახით გვევლინება. ხოლო ქანურაში ოთხო-ა და მარტო ოთხმოცში ოთხე-ს სახეც აქვს, — სჯანურაშია — უოშთხუ, რომელიც სამწერლობო ქართულისაგან თავის თავიიდური ჟ-ით, შუაში მოქცეული შ-ითა და ბოლოკიდური ო-ს მაგიერ ჟ-ით განსხვავდება.

ის გარემოება, რომ ოთხის სახელი ზეგარეულ ცალკეულად ოთხი აქვს, სჯანურაში-კი ოთხო ამ რიცხვის ერთად-ერთ ცალკეულს სახელს წარმოადგენს, ცხად-ჰყოფს, რომ ეს ფორმა შემთხვევითი არ უნდა იყოს.

ამნაირადვე 14-ის სახელში დაცული ანთხი-ც არის საყურადღებო იმ მხრივაც, რომ ოთხის მაგიერ აქ ა-ხოვანა სახესხვაობაც გვაქვს და თ-ს წინაც ნ თანხმოვანია, რომელიც არც ზოგადს ქართულსა და არც სხვა ქართველურებს არ უჩანს. უკანასკნელი გარემოების გამო იბადება საკითხი, ეს ნ ბგერა ხომ მერმინდელი შენაზრდი არ არის?

ამ საკითხის გადაწყვეტის დროს უნდა გათვალისწინებული გვექონდეს, რომ სჯანურაშიც ოთხის სახელში თ-ს წინ თანხმოვანი შ ისმის და უოშთხუ-ია: შდ (შთ) ქართული თ-ს შესატყვისობაა. თუ გავისხენებთ, რომ ნ ზოგჯერ რ-ს შენაცვლებაა ხოლმე (შეად. მართვე — მონთა-ს და სხვ.), მაშინ ანთხი შესაძლებელია პრთხი-ს ფონეტ. სახესხვაობად მივიჩნიოთ.

ამნაირად ზეგარეულ ანთხი-სა წინანდელი პრთხი-სა, ხოლო სჯანურა უოშთხუ უფრო აღრინდელი უოთხუ-ისაგან წარმომდგარად არის საგულისხმებელი. მათ შორის მხოლოდ ახმოვანების მხრეც არის განსხვავება.

მაგრამ ყველაფერი, რაც აქამდე ნათქვამი გვექონდა, ოთხის სახელის პირველადი სახის, აგებულებისა და აღმნიშვნელობის გამოსარკვევად არა კმარა, არამედ ოთხის წინანდელი სახის გამოსარკვევადაც იმავე წესს, ტექნიკური ტერმინების წიაღში დაცული მასალების ანალიზს, უნდა მივმართოთ. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ „ოთხი ვეგის“, ანუ კოქის თამაშობას, საბას ცნობით, „გლებურად“, ე. ი. ხალხში ოთხო სწოდებია (ლექსიკ.). ცხადია, რომ სათამაშო გასართობის სახელი კოქების რიცხვზეა დამყარებული და სწორედ მის სახელს წარმოადგენს. ეს სახელი იმ მხრით არის საყურადღებო, რომ აქ ოთხი-ს ჩვეულებრივი სახის მაგიერ ოთხო გვაქვს. ისევე როგორც ქანურს ებლაც შკრჩენია და მეგრულს წინათ ჰქონია.

ამაზე უფრო საყურადღებოა სახელმწიფო ბორბაშუბ, რომელიც საბას სა-მართლიანი განმარტებით, „ოთხით სვლა“-სა ნიშნავდა და ნიშნავს ებლაც. ხოლო, მისივე სიტყვით, „ჩველთაგან ოთხზე სიარულსა — ჩოჩუბა და ბორბაშუბ ჰქვიან“ (ლექსიკ.: სლვა).

1 სგ. ბურთი — ბურთი (ვან) — ბურთი.

ბორტუშა და **ბორღვა**, ცხადია, ნასახელარი ზმნებია, ამასთანავე მეორე პირველის ფონეტიკურს სახესხვაობას წარმოადგენს და მის **ტყ** კომპლექსის გამჟღერებით და **დღ-ღ** შენაცვლებით არის წარმომდგარი.

ეხლა რომ **მათი აგებულების გამორკვევას შევუდგეთ**, ჯერ თავკიდური **ბ-ს** რაობა უნდა გავიგოთ. თუ გავიხსენებთ, რომ ორივე ეს სიტყვა **ოთხით**, **პირუტყვულად**, **ანუ ოთხზე ბაშვივით სიარულს ნიშნავს**, ამ გამოკვლევის სქეს-კატეგორიების შესახები ნაწილის გადაკითხვის შემდგომ, თავისდა-თავად დაგვებადება აზრი, რომ ამ შემთხვევაშიც **ბ-ს** სწორედ შესამე სქეს-კატეგორიის ფუნქცია უნდა ჰქონდეს. მაშასადამე, **ბ** ამ სიტყვების ძირეული ნაწილი არ არის.

ვითარცა **ოთხზე სიარულის** აღმნიშვნელ სახელზმნას, მას, ან ორივე ცნების (ე. ი. **ოთხზე** და **სიარულის**) გამომხატველი ნაწილები უნდა ჰქონდეს, ანდა, **დაოთხების** მსგავსად, **ოთხის** მაუწყებელი ნაწილი მაინც უნდა გააჩნდეს. რაკი **ბორტუშა-სა** და მის სახესხვაობას **სვლის** არავითარი ბგერითი ელემენტი არ უჩანს, ამიტომ იგი, უეჭველია, **ოთხის** სახელისაგან ნაწარმოები ზმნა უნდა იყოს.

ოთხის აქ დაცული ოდინდელი სახის სისწორით გამოსარკვევად საჭიროა, რომ ისევე, როგორც ამ სახელზმნის თავკიდური ბგერის ბუნება გვაქვს გამორკვეული, მისი ბოლოკიდური ნაწილის აგებულება და რაობაც ვიცოდეთ. როგორც ნასახელარ ზმნას, მას ხომ უთუოდ მაწარმოებელი უნდა ჰქონდეს, რომლის გამოუყოფლივ **ოთხის** ბგერითი შედგენილობის ზედმიწევნით გამორკვევას ვერ შევძლებთ. **ბორღვა**-ში მისი გამოყოფა თითქოს ადვილია, რათგან **ვ-ა-ს** სწორედ ზმნის მაწარმოებლობა მიეკუთვნება, მაგრამ **ბორტუშა**-ში **ვ** არა ჩანს და ამიტომ შესაძლებელია მისი **უ-ც** მაწარმოებლის კუთვნილებად მიეჩნია ადამიანს. მხოლოდ უნდა ისიც გვქონდეს გათვალისწინებული, რომ ბოლო **უ-ნი**ანს ნასახელარ ფუძეებს მაწარმოებლის **ვ** უჭრებათ ხოლმე, ამიტომაც შესაძლებელია აქაც უ ძირეული იყოს, **ვ** გამქრალი ჰქონდეს, **ბორღვა**-ში — კი **უ** და **ვ** შეკუმშული იყოს. ამას ის გარემოებაც გვაფიქრებინებს, რომ ქანურად სწორედ **ო-ბოლოკიდურიანი** ფორმა **ოთხო**-ა და **ოთხის** ვეგის თამაშობასაც ძველ ქართულად **ოთხო**-ვე ეწოდებოდა. თუ ეს მოსაზრება მცდარი არ არის, მაშინ **ოთხის** წინანდელ სრულ სახედ უნდა **ორტუშ** მივიჩნიოთ, რომლის გამჟღერებული **ორღუ** სახესხვაობაც ყოფილა¹.

მაშასადამე **ოთხის** სახელის შემდეგი სხვადასხვა სახესხვაობა გვქონია დაცული: **ოთხო**, **ოთხი**, **ართხი**-საგან წარმომდგარი **ანთხი** და **ფოთხე**-ისაგან **ფოშთხე** ისევე, როგორც **ორტუშ** და **ორღუ**.

ორტუშ-სა და **ფოშთხე-ს** სრული იგივეობა უცილობელი შეიქმნება, თუ **უ-ს** **ბ-ღ**-დ შენაცვლებას და ყრუ **ტ-ს** **თ-ღ** გაასპირატებას გავითვალისწინებთ.

¹ ნ. შარტის რწმუნით **ოთხი** შესდგება **ო** თავსართისა და **ოთხ** ძირისაგან. თვით ეს ძირი **რვცხ**-საგან არის წარმომდგარი. ამ ძირს სამი სახესხვაობა, **რვტ**, **რვღ** და **რვთ** აქვს, რომელნიც პირველად **რვწ**, **რვძ** და **რვც**-საგან არიან წარმომდგარი. შემდეგ **ვ-ს** ადგილმონაცვლებით და ბოლოში გადასმით წარმოსდგა **ო-რტუვ**, **ო-რღღ** და **ო-რთხვ**. რომელნიც **ბ-ორტუვა-სა**, **ბ-ორღღ-ვა-ს** და **ფ-ორთხვა-ში** გვხვდებოდნენ (ძეკართ. გრ., 77).

ოთხ-სა და ოთხ-ს უკვე რ აქვს დაკარგული, სხვათრივ მათსა და უორ-თხ-ს შორის არსებითი განსხვავება არ არის. უკანასკნელის თავკიდური ფ-ს ნამდვილი ბუნება გამოსარკვევია.

ხამის სახელის აგებულების სირთულის გამოკვების შემდგომ, ოთხ-ს სახელის ასეთივე თვისებ, უფროა მოსალოდნელი. ორბუ-სა და ორბუ-ს პირველი მარცვალი ორ ორია, მეორე ნაწილი ბუ და ბუ-ც, პირველი ნაწილის ორობი გამომელავნების შემდგომ, ცხადია შესაძლებელია მხოლოდ ორისავე აღმნიშვნელი იყოს. მართლაც ბუ წყვილის, ანუ ორისავე აღმნიშვნელი ბუბი-საგან მხოლოდ იმით განსხვავდება, რომ ბოლოში მე-3 სქეს-კატეგორიის ნიშანი არა აქვს ისევე, როგორც თავდაპირველად არც უნდა ჰქონოდა, რათგან მას უკვე ბ სქეს-კატეგორიის თავსართი მოეპოება.

ამნაირად ირკვევა, რომ ოთხის სახელი თავდაპირველად ორი ორი-ს აღმნიშვნელი უოფილა. მის ოდინდელ სახელს დროთა განმავლობაში ჯერ მხოლოდ თავკიდური ყ გაჰქრობია, ხოლო შემდეგ შუა რ ბგერაც.

V. ზოგადი ქართულისა და მეგრულის ხუთის შესატყვისად, ზღაპრად გვაქვს ხუთ და ხუ, ზღაპრად-კი უოხუთ. უ-ს ვი-დ და თ-ს შდ დ სვანურში შენაცვლების გათვალისწინებით, შესაძლებელია თანამედროვე სვანური უოხუთ უფრო ადრინდელი უოხუთ-ისაგან წარმომდგარად ვიგულისხმოთ.

ზოგად ქართულსა და მეგრულ-ქანურთან შედარებით, სვანურს თავში ზედმეტი უო უხის. თუ მას გამოვაკლებთ. ქართულ-ქართველური ხუთის სახელის [ხუთი და (უ)ხუთ(უ)ჟ] იგივეობა ცხადი გახდება.

რაკი ზოგადს ქართულსა და მეგრულ-ქანურს ამ რიცხვისათვის სრულე-ბით ერთნაირი სახელი აქვთ, ამიტომ იბადება საკიობა სვანური ხუთის თავკიდური უო-სა ბუნების შესახებ, ხომ ეს უო შემთხვევითი, მერმინდელი შენაზრდი არ არის? ამის გადაწყვეტა ამ სიტყვის ეტიმოლოგიისა და პირველადი მნიშვნელობის გაუთვალისწინებლივ, რასაკვირველია, შეუძლებელია.

ხუთის სახელის ეტიმოლოგიისა და თავდაპირველი აღმნიშვნელობის გამოკვების დროს, წინა რიცხვითი სახელების (3-სა და 4-ის) რთული აგებულების შემდგომ, რა თქმა უნდა, აქაც მსგავსი მოვლენაა მოსალოდნელი. ამის შესაძლებლობის გაუთვალისწინებლობა მაინც მიუტყვებელი შეკლომა იქმნებოდა¹.

¹ ხუთის ეტიმოლოგია ნ. მარჩისა აქვს. ძვ. ქართ. გრამატიკაში ნათქვამია მხოლოდ, რომ ხუთი წარმომდგარია ხვთ-ისაგან, რომლის ძირიც ხვთ არისა (გვ. 75). ხოლო მოხსენებაში, „Яфетический Кавказ и третий этнический элемент“, მას დაუსაბუთებლივ გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ „ხუთის აღსანიშნავად სიტყვა მჯილს, ანუ მუშტს, ხმარობდნენო (пять выражалось словом „кулак“, („пятерня“). ეს დებულება გამეორებული აქვს თავის წერილშიც „Яфетические языки“, „იფეტური ენება“: „ხელის კერტი, ე. ი. მუშტი ხუთი თითითურთ, ხუთის აღმნიშვნელიაო (იხ. Избранные работы I, 99 და 299). არც აქ არის დასაბუთებული მჯილს, ანუ მუშტის აღმნიშვნელი ის სიტყვა, რომელიც ხუთის სახელად უნდა იყოს გამოყენებული.

რაკი 3 ორი (და) ცალის, ხოლო 4 ორი (და) ორის აღმნიშვნელი გამოდ-
გა, ამიტომ, თუ 5-ის სახელიც ასევეა წარმომდგარი, მაშინ თავდაპირველად
იგი, ან სამი (და) ორისა, ან და ორი (და) სამის სახელების შერწყმული ფორმა
უნდა ყოფილიყო. ხუთის სახელის, როგორც დავრწმუნდით, ორი ფორმა გვაქვს:
ზოგადი ქართულ-მეგრულ-ქანური **ხუთი** და სვანურა **ფოხფიშდ**, რომელიც
უფრო ადრინდელი **ფოხვიშდ** და **ფოხუდ**-ისაგან იყოს წარმომდგარი. ამ ფორ-
მების 2+3, ანდა 3+2-ის სახელებთან დაკავშირება მხოლოდ იმ შემთხვევაში
იქმნებოდა შესაძლებელი, თუ გავითვალისწინებთ, რომ, ან **ხუთი**, რომე-
ლიც სვანური **ფოხვიშდ**-ის მეორე ნაწილს ისე გასაოცრად მიაგავს, ამ რიც-
ხვის ოდინდელი სრული სახელის მხოლოდ მეორე შერჩენილი ნაწილი-დაა,
პირველი ნაწილი და მარცვალი-კი დაკარგული აქვს, ან არა და უნდა ვიფიქ-
როთ, რომ ქართულ-მეგრულ-ქანური სახელი აგებულენით სვანურისაგან გან-
სხვავდება და წარმომდგარია წინანდელი **ხუთხი**-საგან მეორე **ხ**-ს გაქრობის
წყალობით.

თუ მოსაზრება, რომ სვანური **ფოხფიშდ**-ის **ფო** **ფოხუდ**-ისაგან არის
წარმომდგარი, მცდარი არ არის, მაშინ ცხადია, რომ **ფო** სწორედ **ორის**
აღმნიშვნელი სახელია, **ხუდ**-კი ამის გამო შესაძლებელია მხოლოდ-და-მხოლოდ
სამის აღმნიშვნელად მივიჩნიოთ. ამნაირადვე, თუ **ხუთი**-ს **ხუთხი**-საგან წარ-
მოშობილობის ჰიპოთეზი მცდარი არ არის, მაშინ ცხადია, რომ **აქ თხი** ისევე,
როგორც უკვე ვიცით, **ოთხი**-ს მეორე მარცვალის, სწორედ **ორისა** ნიშ-
ნავს, თავკიდური **ხუ**-კი ამ შემთხვევაშიც **სამის** აღმნიშვნელად უნდა მი-
გვეჩნია.

ფო-ისა და **თხი**-ს ორის სახელის სხვადასხვა დროის ფონეტიკური სახე-
სხვაობად მიჩნევის შესაძლებლობა ვგონებ ძნელი დასაჯერებელი არ უნდა იყოს,
რათგან პირველი მათგანი (**ო-რი**) ეხლაც არსებობს, მეორეს შესახებ-კი **ოთხი**-ს
ანალიზის დროს უკვე გვეჩინა საუბარი.

ამ ეტიმოლოგიისათვის უმთავრეს დაბრკოლებას **ხუ** და **ხუ-დ**-ი წარმო-
ადგენს, რათგან არც ზოგადს ქართულსა და არც ქართველურს ამ ქამად **სამის**
ასეთი სახელი არა აქვს. მაგრამ, როგორც თავის ადგილას დავრწმუნდით, ქა-
ნურად სამს **შუჲ**-ი სწოდებია. **შ** **ს**-საგან გაჩენა და შემდეგ **ხ**-დ შენაცვლება
ქართულ-ქართველურში იშვიათი მოვლენა არ არის. ამასთანავე, თუ სამის **ხუ**,
ანდა **ხუ-დ** სახელი ქართულში არ მოგვეპოვება, **სამის** ცნების გამომხატველი
ტერმინი **ჰუნცული** ძველ ქართულში ხომ ყოფილა. **ჰ**-ს **ხ**-დ შენაცვლების გზით
შესაძლებელია **ხუნცულ**-ადაც ქვეულიყო და ეგების **სამის** აღმნიშვნელი **ხუ** და
ხუ-დ სწორედ ამ ტერმინის პირველი მარცვალი იყოს. მაინც-და-მაინც **ხ**-ძირი-
ანი და **შ**-დ შენაცვლებული შისი სახესხვაობა **სამის** სახელად, როგორც დავ-
რწმუნდით, ჩრდილო-კავკასიის ენებში საკმაოდ არის გავრცელებული ისევე, რო-
გორც იქვე **ხ**-ძირიანი სახესხვაობაც მოიპოვება. აღსანიშნავია, რომ **ხ**-ძირი-
ანი **ჰ**-ისა და **ჰ**-ის სახელები ჩრდილო-კავკასიის ენათა, როგორც დასავლურს,
იქვე აღმოსავლურს ჯგუფში საკმაოდ არის გავრცელებული და ეს გარე-
მოებაც ამჟღავნებს, რომ **ხუთის** სახელი **სამის** სახელთან (მაშასადამე ორის
ს ხელთანაც) უნდა იყოს მართლაც დაკავშირებული.

VI. სამწერლობო, ზოგადი ქართულის **მეშნი**-ს შესატყვისად ზეპრულვა **აშ-**
შნი გვაქვს ცალკეულადაც და 16-ის, 600-ის და მე-6-ეს სახელებშიც, ჭანჭიჭა
6-ს ეწოდება **აშნი** ცალკეულადაც და შეეჭესესაც **ანშ-ანშრა**-დ ამბობენ, მაგ-
გრამ ათინურს და ვიწურს კილოებში **ა-შნი**, ხოლო ხოფურში **აშ**-ს ხმარობენ
(ქ., გ. 128 და § 6).

საჩანჭა 6-ს **უნგვა** ჰქვიან ცალკეულადაც და რთულს რიცხვითს სახე-
ლებშიც.

თუმათა 6-ის ზემომოყვანილი სახელები ერთი მეორისაგან ისე დაშორებუ-
ლი არ არიან, რომ მათი ნათესაობა საგრძნობი არ იყოს, მაგრამ მათი ფონე-
ტიკური გარდაქმნა მაინც იმდენად დიდია, რომ ამის მსგავსი სხვა რიცხვითს
სახელებში არ გვხვდება და ამიტომ მათი სახენაცვლობის თანდათან საფეხუ-
რების გათვალისწინებაა საჭირო.

საერთოდ ხუთი-ექვსითგან მოყოლებული ქართულ-ქართველური რიცხვითი
სახელების აგებულების გამორკვევა უკვე ძალიან ძნელდება, ამიტომაც მათი
განხილვა მომავალი კვლევა-ძიების ამოცანად უნდა იქცეს და აქ მხოლოდ ცნო-
ბათა სისრულისათვის მარტო აკად. ნ. მარჩის ეტიმოლოგიები შექნება მოყ-
ვანილი.

ნ. მარჩს ნათქვამი აქვს, რომ **შვიდი**ს ძირი არის **შვდ**, რომლისგანაც
მშვდის (ე. ი. შშვიდობიანის, წყნარის) ფუძეა ნაწარმოები (ძვ. ქართ. გრ.
გვ. 76—77). რაზეა დამყარებული ეს დებულება, ავტორს აღნიშნული არა აქვს,
არც თვით **შვიდი**ს ძირის თავდაპირველი მნიშვნელობაა განმარტებული. საფი-
ქრებელია, რომ ნ. მარჩის ეს დებულება იმ დროისაა, როდესაც ქართულის
სემურობას უცილობელ ჭეშმარიტებად სთვლიდა. მისი მოსაზრება ძველი ებრა-
ულის **შვიდეულისა** და **შაბათის** იგივეობის ანალოგიის ძიების ნაყოფს უნდა წარ-
მოადგენდეს.

ნ. მარჩის სიტყვით, **რუბ**, **რვა** პირველადი **რუან**-ისაგან არის წარმო-
მდგარი და **რვან**, ანუ **რმან** ძირისაგან არის ნაწარმოები (ძვ. ქართ. გრ., გვ. 74,
§ 94 და გვ. 75 § 95). აქაც მოსაზრებაა ქართულის სემურობის რწმენაზეა მხო-
ლოდ დამყარებული (იხ. იქვე გვ. 08).

ნ. მარჩი **ცხრა**-ს **ცხ** და **რა**-საგან შემდგარად სვლიდა, რომელთაგან
ცხ ძირად მიაჩნდა, **რა**-კი სუფიქსად (იხ. ძვ. ქართ. გრ. გვ. 74, § 94 f). **ცხ**
ძირი **თხხ**, ანდა **თხყ**-საგან არის წარმომდგარიო. **თხ**-ს **ც**-დ შენაცვლებაზე იხი-
ლე ჩემი ფონეტიკაო (იქვე, გვ. 77 f). მაგრამ სწორედ ფონეტიკაში ავტორს
თავისი ზემომოყვანილი ეტიმოლოგია უარყოფილი აქვს. აქ მარჩი ამბობს:
შეგონა, რომ **თა** შერწყმისგანვე არის წარმომდგარი **ც** რიცხვითს სახელს **ცხრა**-
ში (= თხხ-რა = თხყ-რა), მაგრამ ამ ანალიზს, მხოლოდ იათეტიურ-სემურს შედა-
რებითს გრამატიკაზე დამყარებულს, პალეონტოლოგია აბათილებსო (იქვე გვ.
016, შენ. 3). სამწუხაროდ, ავტორს აღნიშნული არა აქვს, თუ რომელი პალე-
ონტოლოგიაა ამ შემთხვევაში ნაგულისხმევი, რომ მისი საბუთიანობის დამაჯე-
რებლობა გამორკვეულიყო.

X. ზოგადს ქართულში თუ ათი გვაქვს, მეგრულად ამის შესატყვისად **პითი-ა**, ქანურად **პით**, **ვით** და **პი**. მაგრამ საყურადღებოა, რომ 11—19-მდე და 19-შიც ათის სახელი ვიწურ-არქაბულში უკვე **პიტ-ად** და **პიტო-დ** გვევლინება.

თუ ქართულ-მეგრულ-ქანური სახელების მსგავსება დიდია, სვანური **აეშდ** ძალზე განსხვავდება. 13-ითგან მოყოლებული 20-ამდე ათის სახელს თავკიდური **ა** არა აქვს და მხოლოდ **ეშდ-ად** ითქმის. მაგრამ **ოცის** აწინდელი სახელიც **აპრტეშდ**, რომელიც **ორ ათსა** ნიშნავს და **აპრტე** და **ეშდ-ისაგან** შესდგება.

პროფ. ვარ. თოფურია ამბობს: «„ათ“-ისა და სვან. „ა-ეშდ“-ის ფონეტიკური სატყვისი მეგრულში „ოთი“ გახლავთ, საიდანაც ონის „ვ“ ჯგუფად დაშლით (როგორც „ხომა || ხვიმა“, „ხოლარი || ხვილარი“) დღევანდელი „ვითი“ უნდა იყოს წარმომდგარი, წინააღმდეგ შემთხვევაში ვინის დართვა „ვით“-ში გაუგებარი რჩება. სვანურ აერტეშდის ტე აერუს რედუქცია-ქმნილი უა და არა ეშდ-ის კუთვნილება, ამას ლენტეხური აერბ-ეშტ ერთის მხრით და მეორე მხრით რიგითი რიცხვი „მერმე“ (<მე-ერუ-ე, „მეორე“) გვიმოწმებს-ო („ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში“: ტფ. უნ. მოამბე VI, 295, შენ. 3).

ათის სახელები, ზოგადი ქართული **ათი-ცა** და მეგრულ-ქანური **პითი** და **პით**, თუ **პიტ** ისე არ მიაგავს რთული აგებულების რიცხვითს სახელებს, რომ ამ გზით მისი ეტიმოლოგიის გამოკვლევა ვერას შეგვძენდა. სამაგიეროდ **ათი** ძალიან მიემსგავსება და მხოლოდ თავკიდური **თ-ს** უქონლობით განსხვავდება ხელის აღმნიშვნელი **თათი-საგან**. მაგრამ, თუ ამ ორი სიტყვის ბგერითი მსგავსების უარყოფა არ შეიძლება, მნიშვნელობის მხრით მათ შორის მაინც არსებითი განსხვავებაა, რათგან **თათს** მხოლოდ 5-ითი აბია და ცალი თათი 10-ის სახელად არ გამოდგებოდა. ამიტომ, ამ სიტყვასთან დაკავშირებული 10-ის აღმნიშვნელი სახელის წინ უნდა **ორი-ც** ყოფილიყო („ორი თათი“), ანდა **თათი** მრავლობითად ეხმარათ („თათები“). თავკიდური **თ-ს** დაკარგვის შემდგომ უკვე **ათები** იქნებოდა.

რაკი **ათს** **ორის** ოდინდელი წინმყოფობის არავითარი კვალი არ უჩანს, ამიტომ მეორე შესაძლებლობა, **თათის** მრავლობითად ხმარება, უფროა საფიქრებელიცა და დასაჯერებელიც. ბოლოში მოქცეული მრ. რ-ის ფორმანტის დროთა განმავლობაში ჩამოცლა **თათის** მხოლობითი რიცხვის ფორმასთან აღრვეის მხრივაც საშიში აღარ იყო, რათგან თავკიდური **თ-ს** გაქრობა **თათს** უკვე **ათ-ად** აქცევდა.

თუ 10-ის ქართული სახელის ასე და ამ გზით გაჩენის დაჯერება ძნელი არ არის, როგორ უნდა ავხსნათ და საითგან უნდა იყოს მეგრულ-ქანური **პითი** და **პიტ** გაჩენილი? ა-ხმოვანა **თათს** გარდა, რომელიც ზოგადს ქართულშია, მისი ო-ხმოვანა სახესხვაობაც რომ ძველადაც უნდა არსებულებოდა, ამას თანამედროვე მეგრულში დაცული **თოთი-ც** ამეღავნებს. ისევე, როგორც **თოლი** და **თვალი**, — **ყოილი** და **ყვაილი** გვაქვს, **თოთს** გარდა მეგრულად ამავე მნიშვნე-

ლობის შექონებელი **თვათვი**-ც არსებობს, რომელიც, უეჭველია, **თვათი**-საგან არის წარმომდგარი. ამაზე უფრო საგულისხმოა, რომ **ხელს** სვანურად ეწოდება **ხვიტ**, ე. ი. იმას ვარდა, რომ ა უკვე ე-დ არის შენაცვლებული, თ-ს მაგიერაც ყრუ ტ გამოითქმის. შესაძლებელია კიდევაც, რომ მეგრულ-ქანური **ვითი** და **ვით**-ი სწორედ თვეთი-საგან იყო თავკიდური თანხმოვნისა ჩამოცლითა და ე-ს ი-დ შენაცვლებით წარმომდგარი.

მას შემდგომ, რაც **თათებ**-ისგან წარმომდგარი **ათი** და **თოთებ**-ისაგან **ვითი** უკვე მხოლოდ რიცხვის სახელად იქცნენ, მათაც, დანარჩენ რიცხვითს სახელების მსგავსად, საჭიროებისამებრ სათანადო, სქეს-კატეგორიის ჯერ თავსართოვანი, ხოლო შემდეგ ბოლოსართოვანი ნიშნები უნდა გასჩენოდათ. მეორე ამათვანი, **ვით**-ის თავკიდური ვ, რომელსაც თავდაპირველად სქეს კატეგორიასთან საერთო არა ჰქონდა რა, მამრობითი სქესის თავსართად იქმნებოდა მიჩნეული და ამის გამო მოძრავ ბგერად იქცეოდა, რომელსაც საჭიროებისდა მიხედვით სხვა სქეს კატეგორიის ნიშნისათვის უნდა დაეთმო თავისი ადგილი. ერთი სიტყვით, აქ დაახლოვებით ისეთივე ცვლილება უნდა მომხდარიყო, როგორც ლილღურსა და ლეგურ ენათა სქეს-კატეგორიან ჯგუფში თვით უცხო ენიდან შეთვისებულს სიტყვასა და რიცხვითს სახელს ებლაც-კი ემართება ხოლმე¹.

XX. რიცხვით სახელთა შორის შემდეგ 20-სა აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა, რათგან ქართული და კავკასიის დანარჩენი მონათესავე ენები, როგორც ცნობ-ლია, ათობით-თცობითი თვის სისტემას მისდევენ. საითგან და როგორ არის 20 სახელი წარმომდგარი?

ქართულ სამწერლობო ენას ამ რიცხვის აღსანიშნავად **ოცი** აქვს, მეგრულსა და ქანურს—**მჩი**. სვანურს ორნაწილადი სახელი **აჩრვანთ**-ი მოეპოვება, რომელიც **ორათხა** ნიშნავს.

ნ. მარრი ამტკიცებს, ვითომც **ოცის** ქართული სახელი **ათის** სახელის ფონეტიკური სახესხვაობის მხოლოდ მრავლობითს რიცხვს წარმოადგენდეს. **ოცი** წარმომდგარია „**აც-ვ**“-ისაგან, რომელშიც **აც** იგივე **ათი**-ა, ე. ი. მისი ფონეტიკური სახესხვაობაა, **ვ**-კი მრავლობითი რიცხვის ხალხური ნიშნის სახესხვაობააო (ძვ. ქართ. გრ., გვ. 75).

ათის ფონეტიკური სახესხვაობის **აც**-ის ეს მრავლობითი რიცხვის ფორმა **აცვ**, ნ. მარრის თეორიით, ჯერ **ავც**-ად უნდა ყოფილიყო ქვეული, ხოლო შემდეგ უკვე **ოც**-ად გამხდარიყო (იქვე, გვ. 75).

ნ. მარრის მთელი ეს მსჯელობა და საბუთიანობა ქართულის სემურობის რწმენით არის ნაკარნახევი. თვით მასვე თავის დებულების საბუთად შემ-

1. ნ. მარრის აზრით ქართულში **ათის**, **ოცის** და **ახის** სახელები მხოლოდ ერთი-და-იმევე ფუძის სახესხვაობას წარმოადგენენ. სამივე **ახ**-ისაგან არიან ნაწარმოებო (ძვ. ქართ. გრ., გვ. 75), მაგრამ მისი სრული ქართული სახეობა არისო **ახარ**. ამ თეორიულად შექმნილს ძირს ნ. მარრი **ათის** აღმნიშვნელს არაბულს გაშარას უკავშირებს (იქვე, გვ. 76). მაგრამ „მესამე ეთნიკ. ელემენტ“-ში ნ. მარრსაც, როგორც ვიცით, გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ **ათი** თავდაპირველად „თითების“ აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. ამ რუსულად გამოკვეყნებულს, მოხსენებაში აღნიშნული არ არის, თუ საბუთდობარ რომელ სიტყვას, **თათებ**-თუ **სხვას**, გულისხმობდა.

ღევი აქვს ნათქვამი: ათის აღმნიშვნელს ფუძეს რომ კიდევ ორი სხვა რიცხვის, ოცისა და ახის, მნიშვნელობაც მიენიჭა, ამის სრული მსგავსება სემურ ენებში მოგვეპოვება, სადაც, მაგ. არაბულად **عشر** ოცი მხოლოდ იმავე ათის მრავლობითი რიცხვის ფორმას წარმოიდგენს. (იქვე, გვ. 76).

საკმარისია ზემომოყვანილ ქართულურ რიცხვით სახელთაგან 20-ის სვანურს სახელს, მის აგებულებასა და თავდაპირველს მნიშვნელობას მივაქციოთ ყურადღება, რომ აკად. ნ. შარჩის მსჯელობის მცხარობა ცხადი გახდეს. თუ ანალოგიაზე მიდგება საქმე, განა. არაბულთან შედარებას, უფრო ბუნებრივია და უფრო მართებული არ არის, რომ ქართული 20-ის თავდაპირველი აგებულების ძიების დროს უპირველესად სვანურის მსგავსი აღნაგობას მოველოდეთ? ეხლა, როდესაც სინდურ, ლილურ და ლეგურ ფაქტები რიცხვითი სახელების განხილვამ დაგვარწმუნა, რომ ოცის სახელი ყველგან თავდაპირველად ორი ათის აღმნიშვნელი ყოფილა, და ერთს ქართველურთაგანს, სვანურს, ოცის სახელი სწორედ ასეთივე მოეპოვება, ჩვენი მხრით მიუტყეველი დანაშაულება იქმნებოდა, რომ ოცისა და ახის სახელის აგებულების ძიების დროს უპირველესად ასეთი შესაძლებლობა არ გაგვეთვალისწინებინა.

რაკი საკითხი ასეა დაყენებული და ოცის აღნაგობაში ორისა და ათის სახელების კვალი გვაქვს აღმოსაჩენი, მაშინ შესაძლებელია ეს სიტყვა მართლაც ო-სა და ა-საგან იყოს შემდგარი. 2-ის სახესხვაობათა განხილვის დროს უკვე აღარწმუნდით, რომ შორ-ისაგან წარმომდგარს ორ-ში რიცხვითი სახელის თვით ძირს მხოლოდ ო-ლა შეადგენს, რ-კი ოდინდელი სქეს-კატეგორიის ნაშთია. ამიტომაც სრულებით კანონიერი იქმნებოდა, რომ ოც-შიც ო, რა თქმა უნდა, თავდაპირველ შორ-საგან, თავის ადგილას განმარტებული გზით, წარმომდგარად მიგვეჩინა და ორის გამომხატველად გვეგულისხმა. ოც-ის მეორე ნაწილის, ანუ ა თანხმოვნის შესაძლებელი მნიშვნელობა უკვე თავისდა-თვად იქმნებოდა გამორკვეული, რაგან 20-ში ორი მხოლოდ ათი შეიძლება იყოს, ამიტომაც ო-ც-ის ა-ს ფონეტიკურ სახესხვაობად არის საგულისხმებელი. მთლიანად მაშასადამე ოცი თავდაპირველად უნდა ყოფილიყო შემდგარი. შერძე, პროგრესიული ასიმილაციის წყალობით, მას ყოფი-ს სახე უნდა მიეღო და ისევე, როგორც ყვითა-საგან ყვი-ც-იანაა წარმომდგარი და თი-ც-ის შენაკვლებული ციკანი-ს სახესხვაობაც მოგვეპოვება, ამნაირადვე შესაძლებელია შორ-ისაგანაც დროთა განმავლობაში ჯერ შორ-ის. ხოლო შემდეგ, თავიდაური ყ-ს გაქრობის გამო, ოცი-ც წარმომდგარიყო.

შეგრულ-ქანური შორ ან ოცი-სავე ფონეტიკურს სახესხვაობას უნდა წარმოადგენას, ანდა თვეთი-საგან ეთი-ა დარჩენილი და პირველადი ყოფილი-საგან იმავე ფონეტიკური გზით შესაძლებელია იყოს ჯერ ყეცი, შემდეგ ყეჩი და სულ ბოლოს შორი გაჩენილი. ამ მხრივ საყურადღებოა, რომ ქანურის ათინურს კილოში ოცის სახელს წინ აქვს და შორ-ია. საფიქრებელია და შესაძლებელი, რომ აქ ა სწორედ პირველადი ყ-ს ანარქელს წარმოადგენდეს.

1. ც-ს ნ-დ შენაკვლება: დაციკი—ვაჩილა და სხვ.

შესამე და დანარჩენი ათეულების სახელები ზოგადს ქართულსა და მეგრულ-ქანურში ათობით-ოცობითი თვლის წესზეა დამყარებული და მსოლოდ სვანურს თვლია თავითგან ბოლომდე ათობითს აღრიცხვას აგებული, ცხადია, რომ სვანურს ამ მხრივ ქართველური თვლის ძველი სისტემა დანარჩენებზე უკეთესად აქვს დაცული და წინათ ზოგადს ქართულშიც და მეგრულ-ქანურშიც ათეულების ამწაირივე სახელები უნდა ყოფილიყო. მცხეთის საპატრიარქო წიგნთ-საკაგის დაბადების (საქ. მუხ. ხ. № A 51) შესწავლამ დამარწმუნა, რომ ათობითი თვლის წესზე აგებული ათეულების ზოგი სახელები ისტორიულ ხანაშიც გვქონია შერჩენილი. ამიტომაც უეჭველია, რომ, **ორმოცისა, ორმოცდაათისა, სამოცისა, სამოცდაათისა, ოთხმოცისა და ოთხმოცდაათის** მაგიერ, წინათ სხვა სახელები უნდა ყოფილიყო.

ოცობითს თვლის წესით აგებული **ორმოცა, სამოცი და ოთხმოცი**, როგორც ძველებითგან კარგად ცნობილია, **ორმომოცისა, სამომოცისა და ოთხმომოცისაგან** არიან წარმომდგარნი. ჯერადობის ნიშნად ყველა ამ შემთხვევაში ძველ ქართულს **მე** აქვს. აკად. ნ. შარას **ორ-მე-ოცი-ს** და დანარჩენთა **მე „ხალხური“** მრავლობითი რიცხვის სახესხვაობად აქვს მიჩნეული (იხ. ძვ. ქართ. გრ., გვ. 73, § 92).

პროფ. ვარ. თოფურიას-კი სრულებით სამართლიანად ჯერადობის ეს ფორმანტი ჩრდილო-კავკასიური ენების მსგავსსავე მოვლენასთან აქვს დაკავშირებული.

როგორც პროფ. ვარ. თოფურიას აქვს აღნიშნული, სვანურის ორს კილოს, ლაშხურსა და ბალსქვემოურს ათობითი თვლის წესზე რიცხვითი სახელები აბადია, ორს სხვა კილოს, ბალსქვემოურსა და ლენტეხურს-კი ოცს ვარდა, სხვაგან მსოლოდ ოცობითი თვლის წესი აქვს (იხ. „ოცობითი თვლის სისტემისათვის ქართველურ ენებში“: ტფ. უნ. მოამბე VI, გვ. 295).

მე და **მეგრ. ონ**, ხოლო **ქან. ენ** ელემენტის ბუნება პროფ. ვარ. თოფურიას სვანურის მოშველიებით აქვს გამოკვლეული. ბალსქვემოურში 40-ს **ურინერტეშდ** და 60-ს **სუმინერტეშდ**-ი ეწოდება. ამათგან „პირველი ურ, სუმ მიღებულია **ე-ორ** და **ხეშ**-ისაგან („ორი“, „სამი“). ერუეშდ ჩვენთვის ნაცნობია, ხოლო მათ შორის ქართულ-მეგრულის მსგავსად ჩართულია — **ინ**, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ — **ნ** არ არის ისე გაქვავებულად წარმოდგენილი სვანურში, როგორც მისი მორფოლოგიური ექვივალენტები ქართულ-მეგრულში: იგი ცოცხალი და გარკვეული ელემენტია სვანურში: იხმარება რიცხვთან და რაოდენობითს ზმნისართებთან (როგორცა: („ბევრი, რამდენი“) და ნიშნავს თანამედროვე ენით რომ ვთქვათ: „ჯერ, ხელ“ („რომელ ერთსელ ცისედ მოვიდეს“: გრიგოლ ხანძთ., ნე₇₀) და ძველი ქართ. „გზის“ („სამგზის სანატრელი“), მაგ.: **ეშსჟინ** („ერთჯერ“), **ჟოშელდინ** („რამდენჯერ“), **ხტაინ** || **ხტაედინ** („მოვალჯერ“). მაშასადამე, **ურიერტეშდ** = **ურ** (< **ე-ორ** „ორ“) + **ინ** („ჯერ, ხელ, გზის“) + **ერტეშდ** („ორი ათი“). ამგვარად ქართულ-მეგრულ-ქანურისა და სვანურის თვლის თანაბარი სისტემა და მორფოლოგიური იდენტობა გვაფიქრებინებს, რომ ქართ. — **მე**სა და მეგრულ-ქანურ — **ონ**, **ენ**-ს ისეთივე ფუნქცია უნდა ჰქონდეთ დაკისრებული, როგორიც დღეს სვანურში ცოცხლად დარ-

ჩენილ—ინს—აო. („ოცობითი თვლის სისტემისათვის“: ტფ. უნ. შოამბე VI, 295—296). „ზემოვთ გამოთქმულ ჩვენ მოსაზრებას მხარს უჭერს კავკასიური ენებიდან აბხაზური, წოვა-თუშური (ბაცბური) და ჩაჩნური (ქისტური), სადაც თვლის ტიპი იგივეა, რაც ქართველურ ენებში“—ო (იქვე, გვ. 296).

ახის სახელის წარმოშობა ნ. მარჩის ასე ეხატება: 100-ის ცნების გამოხატვა ქართველებს ათის სახელის გამეორებით შეეძლოთ, მაგრამ შემდეგში, ასეთი რთული სიტყვის მაგიერ, 100-ის სახელად ათ-ის ფონეტიკური სახესხვაობა ახ-ი გამოუყენებიათ. ახი ნ. მარჩის აზრით აც-ისაგან არის წარმომდგარი (ძვ. ქართ. გრ., გვ. 76).

ქართული სამწერლობო ენის ასი-ს შესატყვისად მეგრულ-ქანურში გვაქვს ოში, ხოლო სვანურში აშირ. თუ თავისი თავკიდური ა ხმოვნებით ქართული და სვანური უდგება ერთმანერთს, სამაგიეროდ შ თანხმოვნით სვანური მეგრულ-ქანურს უდგება და სამივე სამწერლობო ქართულისაგან განირჩევა.

აღსანიშნავია აგრეთვე სვანური აშირ-ის ბოლოკიდური რ, რომლითაც ქართულ-მეგრულ-ქანურისაგან განსხვავდება.

ახი თავდაპირველად ათ-ათი უნდა ყოფილიყო, შემდეგ პირველი მარცვალი ჩამოცილებული ჩანს, ხოლო თ ჯერ ც-დ, შემდეგ-კი ს-დ შენაცვლებით ახი უნდა იყოს გაჩენილი.

როგორც თავ-თავის ადგილას დაერწმუნდით, 50-ისათვის უბიხურში სჰჰჰ-ჯჰ-ს ხმარობენ, რომელიც ახის ნახევარს ნიშნავს და ადილეურშიც ასეთივე აგებულების და მნიშვნელობის სხგ-ნუყჰა არის. დასასრულ, როგორც ცნობილია, მარბასი-ს სახით, ძველ ქართულშიც იყო. ამ შემთხვევაში ორი გარემოებაა საყურადღებო. ასე ნაწარმოები და ასეთი შინაარსის სახელი („ახის ნახევარი“) უკვე ახობით აღრიცხვის ხანისა უნდა იყოს, როდესაც, ჯერ ათისა და შემდეგ ოცის აღრიცხვის მსხვილ ერთეულებად მიჩნევის მსგავსად. ბოლოს ასეთ საფუძვლად ახიც იქცა ამასთანავე იმდენად, რომ ასზე ნაკლები რიცხვის აღსანიშნავადაც ნაწევრითი, ანუ წილადობის რიცხვითი სახელების მსგავსი წარმოებებისათვისაც ყოფილა გამოყენებული. ამიტომ, ცხადია, რომ 50-ის ასეთი სახელი აზობითსა და თვით ოცობითს სისტემაზე უფრო მერმინდელი უნდა იყოს. მაგრამ ქართული მარბასი-ს დიდი ხნისა (უკვე ოთხთავ—დაბადების თარგმანებში გვხვდება) იმდენად დიდია, რომ მერმინდელობა ამ შემთხვევაში სიახლედ არ უნდა მოეჩვენოს ადამიანს, რათგან ძველი ქართული მარბასი თანამედროვე უბიხურს სჰჰჰ-სა და ადილეურ სხგ-ნუყჰა-ზე უფრო მხცოვანია.

ამ სამი ენის 50-ის ზემომოყვანილს სახელებს შორის მაინც მცირეოდენი განსხვავებაა: ქართულს ამ რიცხვის გამოსახატავად „ნახევარი ახი“ შეუქმნია, უბიხურსა და ადილეურს-კი წინაუქმო „ახ (ის) ნახევარი“. სხვას ყველაფერსაც რომ თავი დავანებოთ, ისეც, თავისდა-თავადაც მეტად საგულისხმო გარემოებაა, რომ ძველ ქართულს, უბიხურსა და ადილეურს 50-ისათვის, ოცობით-ათასობითს სისტემით შექმნილს სახელს გარდა, ერთნაირი, ასობითს თვლაზე დამყარებული რიცხვითი სახელიც შეუქმნიათ უეჭველია, შემთხვევითი მოვლენა არ შეიძლება იყოს ეს გარემოება.

ქართული ათასი-ს შესატყვისად მსგავსი აგებულობის წარმოებაა მეგრული ვითოში. ქანურს საკუთარი დაუკარგ. ვს და უკვე ბერძნულითგან ნასესხები „შილია“ იქვს. სვანურად ქართ. ათას-ია, მოსალოდნელი აქვდა შირ-ის მაგიერ. ათასი იმავე ათობითი-ასობით სისტემის წარმოებაა და ეს გარემოება სრული უწყველობით ცხად-ჰყოფს, რომ ახი-ც თავდაპირველად ათი-ათი-ს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

ქართულ-სინდურ-ლილღურ-ლეგურ-ალბანური რიცხვითი სახელების ზოგადი თვისებები და ძირების ნათესაობა

სინდურ-ლილღურ-ალბანურ-ქართული რიცხვითი სახელების ცალ-კალკეულმა და ჯგუფობრივმა შესწავლამ ბევრი საყურადღებო საკითხების გათვალისწინება შეგვადლებინა. კვლევა-ძიების წინასწარ დასახული გეგმაცა და მეთოდოლოგიური ღონეობაც მცდარი არ გამოდგა: ის მოლოდინიც, რომ უმწერლობო ენებში პირველი ათეულის რიცხვითი სახელების, ხშირი ხმარების გამო, გაცვეთილი და შეცვლილი ფორმების წინანდელი სახის აღდგენა მომდევნო ათეულოცეულების სახელებში ერთეულების დაცული ფორმებით შესაძლებელი გახდებოდა, სინდურ-ლილღურ-ლეგურ-ალბანური ენების რიცხვითი სახელების ანალიზის დროს არა ერთხელ ვაგვიმართლდა.

ამნაირადვე სრულებით სწორე აღმოჩნდა ვარაუდი, რომ რიცხვითი სახელების წინანდელი და უძველესი ფორმები მკვლევარმა პირველყოფილი მეურნეობის ტექნიკურ ტერმინებად ქცეულს ისეთს სიტყვებში უნდა ეძიოს, რომელნიც რაოდენობის მაუწყებელნი არიან. მკითხველი დარწმუნდებოდა, რომ სწორედ ამ ლექსიკური მასალის შესწავლამ ერთის, ორის და სამის ქართული სახელების უძველესი ფორმების გათვალისწინებამაც შეგვადლებინა და მათი თავდაპირველი აგებულების გამორკვევის საშუალებაც მოგვცა.

ქართველურივით სინდურ ენებსაჲ გრამ. სქეს-კატეგორიები, როგორც ვიცით, არც რიცხვითს სახელებში აქვთ შენარჩუნებული, მაგრამ რიცხვითი სახელების ანალიზმა მაინც დაგვარწმუნა, რომ ამსაჯრძნი პირველი ათეულის ყველა სახელებს, ერთს გარდა, ბოლოსართად ბა მარცვალი აქვს, ერთის სახელს ძალა-ს-კი ლა ბოლოსართი მოეპოვება.

ამნაირადვე ყაბარდოულისა და ჩერქეზული რიცხვითი სახელების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ 1. ზირე, 2. ტურე, 3. შირე და 10. პშირე ყაბარდოულად და 10. პშეჲე, ანუ პსერე ჩერქეზულად რე-ბოლოსართიანია, ხოლო უშაქურბჲ მსჯელობამაც დაგვანახა, რომ 1. ზალნ, 3. ხშალნ, 4. ტხლალნ, 5. შხაილნ და 10. ყრალნ, აბხაზური ზემოდასახელებული 1-ის სახელის მსგავსად, ლნ-ბოლოსართიანია.

ლეგური ზოგიერთი ენების რიცხვითი სახელების განხილვის დროსაც არაერთი შემთხვევა გვქონდა, როდესაც პირველი ათეულის ერთეულის სახელებს ერთი-და-იგივე დაბოლოება მოეპოვებათ, მაგ.: შთილისურბის 2, 3, 4 და 5-ის სახელები და-ბოლოსართიანია, — ვზრულას 1, 2, 3, 4, 5 და სხვა სახელებიც

დ-ბოლოკიდურიანია, წმინდა რიცხვითს სახელებს-კი ბოლოში რა, ანდა ლა მარცვალე ერთვის, — ხოლო ღებუბის 2, 3, 4, 5 და სხვა სახელებს გო ბოლო-სართი ახლავთ, — ანდით რიცხვითს სახელებს-კი უკანასკნელ მარცვლად გუ აქვთ, — ნაქვლუბის 2 ყონა ისევე, როგორც 3, 5, 6 და სხვა სახელებიც ნა-ბოლოკიდურიანია, — დიღუბის 2 ყანო-ს, 3, 4, 5 და სხ. სახელებს-კი ნო ბოლო-სართი აქვთ.

ყველა ეს და ასეთი ბოლოკიდური მარცვლები, თუ ბგერები, რიცხვითი სახელების ცალკალკეული ანალიზის დროს, გამოყოფილი გვექონდა, ნაგრამ მათი თავდაპირველი რაობისა და წარმოშობილობის საკითხის საბოლოო გადაწყვეტა რიცხვითი სახელების აღნაგობის ზოგადი თვისებების განხილვამდე-მიზანშეწონილი არ იყო. ეხლა უკვე დროა, რომ ამ საკითხის გამორკვევაც ვცადოთ.

ზემოჩამოთვლილი ბოლოსართების თავდაპირველი რაობისა და წარმოშობილობის მისაგნებად უპირველესად უნდა გავითვალისწინოთ, სქეს-კატეგორიებას ბოლოსართების შქონებელ რიცხვითს სახელებში ხომ არ გვხვდება ასეთივე ბოლოკიდური მარცვლები, ან ბგერები?

გამოსარკვევ ამოცანას რომ ამ თვალსაზრისით მივუდგეთ, დაერწმუნდებით, რომ ასეთი ბოლოსართები იქ ჩვეულებრივია და ბა ბოლოსართი ასეთს ენებში მესამე სქეს-კატეგორიის გამოხატველი ნიშანია, მაგ. ლუზუჭუჭად ცაბა 1-ის, კიბა 2-ის, შანბა 3-ის, მუყბა 4-ის და სხ. მესამე სქეს-კატეგორიის ფორმებია. მთლიანურად წები, ახასურად-კი ჩებე აგრეთვე ერთის მესამე სქეს-კატეგ-ფორმაა, ახაქულად ხეაბუ 1-ის, ყუბუ 2-ის და სხვა რიცხვების ამ მარცვალ-ბოლოკიდურიანი ფორმებიც მესამე სქეს-კატეგორიის ფორმებია.

იგივე უნდა ითქვას და და რა, ან ლა-ზეც: როგორც თავ-თავის აღვილას დაერწმუნდით (იხ. გვ. 254-256) ოთხ-სქეს-კატეგორიანს ენებში და, ანდა მისი შენაცვლება რა, თუნდ ლა, მეოთხე სქეს-კატეგორიის ბოლოსართია, ნაკლები სქეს-კატეგორიების შქონებელს ენებში-კი თუმცა მათი დანიშნულება ნაირ-ნაირად შეცვლილი გვხვდება, მაგრამ მაინც მათი რაობა იგივე რჩება, რათგან ყველგან ამ მარცვლებს ამათუიმ, ან სქესისა, ანდა კატეგორიის გამომჟღავნება აქვს ენისაგან დაკისრებული.

ეხლა ნ, ნა, ანდა ნო ბოლოკიდურის თავდაპირველი რაობის განხილვას შევუდგეთ.

ლეგურ ენათა ერთ ჯგუფს რიცხვითი სახელების დაბოლოებად ნ ბგერა აქვს, ან უხმოვნოდ, ანდა ნა და ნო-დ ახმოვნებული. ენათა ამ ჯგუფს ეკუთვნის ყალუჭურთა თავისი ნა დაბოლოებით, — სჯატშულა, რომელსაც ასეთივე დაბოლოება 2, 3, 5 და 20-ის სახელებში მოეპოვება, — დადითა ნო დაბოლოებით და არაქულის ცხვრის აღთვლისათვის განკუთვნილი ნ-ბოლოკიდურიანი რიცხვითი სახელები.

როგორც თვითოეული ამ ენათაგანის რიცხვითი სახელების ცალკეული განხილვის დროს აღნიშნული გვექონდა, უეჭველია, რომ, ლეგური ენების ასეთს შენაზრდ დაბოლოებათა მსგავსად, ამ ნ ბგერასაც თავდაპირველად თავისი მკაფიოდ განსაზღვრული, დანიშნულება უნდა ჰქონოდა.

ცხვის თვლისათვის განკუთვნილ არაქულ რიცხვითს სახელებზე მსჯელობისას აღნიშნული გვექონდა, რომ **ნ** ამ შემთხვევაში მდებარებითი სქეს-კატეგორიის ნიშანი უნდა იყოს და ამ სქესის ნიშნის ცხვის რაოდენობის გამომხატველ ფორმანტად ქცევა წმინდა ეკონომიური გარემოების შედეგი და მაუწყებელია, რათვან მეცხვარეობაში მამალს-კი არა, არამედ უმთავრესად დედალ ცხვარს ამრავლებდნენ და ამრავლებენ ეხლაც და მამალი ცხვარი დედალ ცხვართან შედარებით იმდენად მცირერიცხოვანს ოდენობას წარმოადგენდა, რომ მისი დათვლა-კი საჭირო არ იყო: ყოველმა მეცხვარემ მათი რიცხვი ზეპირადაც კარგად იცოდა. პირიქით, მეწველი ცხვის დიდი რაოდენობისა და სამეურნეო მნიშვნელობის გამო მეცხვარეებს თვლის დროს ჩვეულებრივ რიცხვითი სახელების ხწორედ მდებარებითი სქესის გამომხატველი ფორმების ხმარება უხდებოდათ და საუიქრებელია, ამ გარემოებამ ამ სქეს-კატეგორიის ბოლოსართების მქონებელი რიცხვითი სახელების ფორმები ცხვის თვლის ზოგად ფორმებად აქცია.

რაკი ნათესაობისა და სქესის აღმნიშვნელი და ზედსართავი სიტყვების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ შეტყველების ამ ნაწილებში გრამ. სქეს-კატეგორიები წინათ ისეთს ენებსაც ჰქონია, რომელთაც ამ ემად და ზოგს-კი, როგორც მაგ. ქართულს, ისტორიულს ხანითგანვე აღარა აქვთ, ბუნებრივია ეფიქროთ, რომ ამჟამად უსქეს-კატეგორიო ენების რიცხვითი სახელების ბოლოკიდურს **ნ**, **ნა**, **ნა**, — **ბა**, **ზა**, — **და**, **დ**, **რა**, **რა**, **რ** და **ლა** მარცვლებსა და ბგერებს თავდაპირველად ისეთივე დანიშნულება ჰქონდათ მეტყველებაში დაკისრებული, რაც ამავე ნაწილაკებსა და ფორმანტებს სქეს-კატეგორიანი ენების რიცხვითს სახელებში დღევანდლამდე შენარჩუნებული აქვთ, ე. ი. ყველა ეს ბოლოსართები ამ ენებში თავდაპირველად და წინათაც რიცხვითს სახელებშიც არსებული სქეს-კატეგორიების შეზრდილ-გადაგვარებული ნაშთებია.

ძნელი გადასაწყვეტია ბოლოკიდური **გო** და **გუ**-ს თავდაპირველი რაობა, რათვან სქეს-კატეგორიის ასეთი ბოლოსართი არ არსებობს და არა ჩანს, **გო** და **გუ** მამრ. სქესის ნიშნის **გუ**-ს **გვუ**-დ შენაცვლების გზით არის გაჩენილი, თუ ეგების იგი სულ სხვა წარმოშობილობის ნაწილაკი არის?

სინდური ენების რიცხვითი სახელების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ თვით წნათა ამ დასავლურ ჯგუფის წრეშიც-კი რიცხვ. სახელების ნათესაობის დამტკიცება სრულებით შეუძლებელია, თუ რომ წინასწარ კიდევ ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოება არ გვექნება გათვალისწინებული. მაგ., როგორ უნდა დაგუ-კავშიროთ ერთმანერთს აბხაზური 2-ის სახელი, ძველი **ლუბა**, მით უმეტეს თანამედროვე **გ-ბა** და უბიხური **ტყო**, **ტყუა**, **ტყო** ისევე, როგორც ჩერქეზული **ტყუ** და **ტყვ**, თუ რომ არ წარმოვიდგენთ, რომ, როგორც აბხაზური ორის **ბა** მარცვლი ძირისეული არ არის, არამედ ფორმანტია, ამგვარადვე უბიხურ-ჩერქეზულის ამავე რიცხვის სახელის თავკიდური **ტ-ც** ძირეული არ არის და მისი ძირი **ყო**, ანუ **ყუ** მარცვლია. ამ არა-ძირისეული **ტ-ს** ჩამოცლის შემდგომ აბხაზური ორის **ლუ** და **გ-ს** და უბიხურ-ჩერქეზულის **ყუ** და **ყო**-ს იგივეობა თა-

ვისდათავად ცხადი გახდება. მეტის თქმაც შეიძლება: მაშინ უეჭველი შეიქმნება, რომ ორის სახელის ძირი საერთო ჰქონიათ მარტო სინდურს ენებს-კი არა, არამედ თვით ლეგურის გეოგრაფიულად ისეთს დაშორებულ ენებსაც-კი, როგორც აზნაურისა და უბიურისათვის ლემუქური, წასურული, დიდოური და უდური იყო და არის ესლაც, ორს ხომ ლემუქურად კი-ვა, -რა, -ბა, — პასურულად ყრ-ა-რა, ყრ-ბ-ლა, ყრ-დ-ლა, — დიდოურად ყრ-ნო და ყუ (20-ის სახელში) ეწოდება, ყდურსაც. როგორც 40, 60 და 80-ის სახელების ანალიზმა დაგვარწმუნა, ორის გამომსატველად ძველად ყო ჰქონია.

ამნაირადვე, ფონეტიკურად ვადაულახავი დაბრკოლება განიღბა 5-ის არამც თუ ვალღურის ფხია და ფხეუ-ს (50-ში), აკურურის ხუჯალ-ის, სანალურურის ფხუ-ს, აზნაურის ხუბა-სთან დაკავშირებისათვის, არამედ თვით ამ აზნაურის ხუთის ხუბა-სა და აზნაურის ტხუ-ს ნათესაობასაც ამ უკანასკნელის თავკიდური ტ და პირველის ბოლოკიდური ბა მარცვალე ელოება წინ, თუ რომ აქაც ამ ორსავე ელემენტს არამირეულად არ მივიჩნევთ.

ქართველურ-სინდურ-დიდოურ-ლეგურ-ალბანური ენების რიცხვითი სახელების ცალკალკეულმა ანალიზმა და შედარებითმა შესწავლამ დაგვანახა, რომ სხვადასხვა რიცხვითს სახელებს თავში ვ, ან უ, - ა, - ბ, ანდა ფ. პ-ც-კი, - დ, ტ და რ ბგერები უძღვის ხოლმე, ყველა ეს თავკიდური ნაწილაკები თავთავის აღვილას გამოყოფილი გვექონდა, მაგრამ თავდაპირველი მათი რაობის საბოლოოდ გამორკვევაც აქამდე გვექონდა ვადადებული და ეხლა უნდა ვცადოთ.

ამ ამოცანის გადასაწყვეტად იმავე გზას უნდა დავადგეთ, რომელმაც ბოლოსართების თავდაპირველი რაობის გამორკვევა გაგვიადვილა: უწინარესად უნდა გავიხსენოთ, რომ რიცხვითს სახელებში სქეს-კატეგორიის მქონებელ ენებს თუ იგივე თავსართოვანი ნაწილაკები მოეპოვებათ, იქ რა დანიშნულება აქვთ მიკუთვნებული?

რიცხვითი სახელების ცალკეული ანალიზის დროს დავრწმუნდით, რომ ჩანურად ოთხს 4 სქეს-კატეგორიის ფორმა მოეპოვება და ოთხივე სწორედ თავსართების მქონებელია: ვია, აია, ბია და დია. ლეგურ ენათაგან ანდაურსაც სწორედ ოთხისთვისვე ოთხი სქეს-კატეგორიის თავსართოვანი ფორმანტების მქონებელი ფორმები აბადია: ვოყოფუ, აოყოფუ, ბოყოფუ და როყოფუ. აქ თავსართი ვ 1 სქეს-კატეგორიის, ა 2-ისი, ბ 3-ისი და რ, დ 4-ე სქეს-კატეგორიის ნიშანია.

რაკი სქეს-კატეგორიის ამჟამად არმქონი ენების რიცხვითი სახელები ამავე თავკიდურს ბგერებს ძირისხეულად ვერ მივიჩნევთ, უზუნებრივია, რომ აქაც იმ თდინდელი ვითარების ნაშთი-ლა გვექნედეს შეჩინილი, როდესაც ამ ენების რიცხვითს სახელებსაც გრამ. სქეს-კატეგორიები ჰქონია სწორედ თავსართების საშით.

რაკი უკვე კარვად ვიცით, რომ უსქეს-კატეგორიო რიცხვითს სახელებსაც, ძირს ვარდა, ზოგს სქეს-კატეგორიების თავსართები, ზოგს ბოლოსართები, ზოგს არივე და ორშაგიც-კი ჰქონია შესრდილი, და დავრწმუნდით, რომ რიცხვითი სახელების ძირეული ნაწილია გამორკვევა მხოლოდ ამ თავკიდურ-ბოლოკიდური შემაშრდების გამოყოფით შეძლება, ეხლა უნდა ქართულ-

სინდურ-ლილღურ-ლეგურ-ალბანურა ნაცვალსახელების ძირთა ნათესაობის საკითხის განხილვასაც მივყოთ ხელი.

ქართულს ერთის აღსანიშნავად რამდენიმე სახელი ჰქონდა და აქვს ეხლაც. ამათგან შედარებითი თვალსაზრისით ყველაზე საინტერესო ცალი აღმოჩნდა.

სინდურ ენებშიც ერთს რამდენიმე სახელი მოვძებნება, მაგრამ აქაც ყველაზე საყურადღებო ამსაჯურა ძალია-ა, რომლის ბგერითს შესატყვისობას რვა-სატი ზღან და აღიურა ზირე წარმოადგენენ.

ლილღურ ენებს ერთის სახელად ცაა, ცაგ და წაა მოეპოვებათ. ხოლო ლეგურ-ალბანურ ენათაგან ერთ ჯგუფს ც-ძირიანი ერთის სახელი აქვს, მეორეს წ-ძირიანი და მესამე მრავალრიცხიან ენათა ჯგუფს ხ-ძირიანი სახელი მოეპოვება. პირველი ჯგუფის მაგალითად შესაძლებელია ლეგურა ცაგა, ცარა და ცაბა დავასახელოთ, მეორისა ნოთლისურა წევი, წეა და წეზი, — ხოლო მესამე ჯგუფისა თუნდა ქასურულა ხარ, ხაბ, ხად და აჭურა ხეაჟუ, ხეარუ, ხეაბუ და ხეატაუ.

ლეგურ-ალბანური რიცხვითი სახელების ანალიზის დროს აღნიშნული ვეკონდა, რომ ერთის სახელის ამ სამი ბგერითი სახესხვაობისაგან ყველაზე აღრინდელი ძ-ძირიანია, წ და ხ-ძირიანები-კი შედარებით უფრო მერმინდელია. ამნაირად ქართულს ცალს შედმიწვევით უდგება ლეგურ ენათა ცაგა, ცარა და ცაბა და ლილღურს ცაა. ბევრი მტკიცება არ არის საჭირო იმის დასაარწმუნებლად, რომ სინდურ ენათა ჯგუფის ამსაჯურა ერთის ძალია-ც ამავე ძირის მხოლოდ ფონეტიკურს სახესხვაობას წარმოადგენს.

მაშასადამე, ირკვევა, რომ მართის სახელიათვის ქართულ-სინდურ-ლილღურ-ლეგურ-ალბანურ ენებს საერთო ძირი ჰქონიათ.

ორის სახელის დიდი ნაირნაირობაა ქართულსა და ქართულურაში-კი: ორის შესატყვისად ზვარულ-ქანურაში ური, უური და ჯირი-ც-კი გვაქვს, ზვარულს ხომ ჯორი მოეპოვება, ამას გარდა წყვილი ორგანოების სახელებისა და სამეურნეო წვეულობისავე გამომხატველი ტერმინების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ამ რიცხვის გამომხატველი სიტყვა წინათ სხვადასხვა სახით ყოფილა: ყური (თვალეებისა და სასმენლების აღმნიშვნელი), ყური (წყვალის საკვერცხის), ყვარი, ტუზი, ტუტუ, და სხვაც არაერთია ორის ოდინდელი შედგენილობისა და ბგერითს ვანსხვაებასთან ერთად მისი მნიშვნელობის ელფერის შეცვლის გამოქვეყნებელი.

ორის აღმნიშვნელი ყველა ლექსიკური მასალის გათვალისწინებამ, ანალიზში და შედარებითმა შესწავლამ ცხად-პყო, რომ მისი თავდაპირველი ძირი შო უოფილა, რომელსაც საჭიროებისამებრ ხათანადო სქეს კატეგორიის ნიშანი ერთვოდა ხალმე, ჯერ თავხართოვანი, შემდეგ ხანაში-კი ბოლოსართოვანი, ისტ-კი, რომ ზოგჯერ ამ რიცხვითს სახელს უკვე ჰქონდა შენაზრდად ქციულ-სქეს-კატეგორიის თავსართი და მახთან ერთად ძირი უკვე მთლიანად ორის ცნების გამომხატველ ფუძედ უცო ქვეული.

უძველესი ხანის ორის სქეს-კატეგორიის თავსართთან თორმათაგან შერჩენილი გვაქვს სი-ტყუ-ა, ორისათვის განკუთვნილი საუბრის აღმნიშვნელი, და ტ-ყუ-ბ და ტ-ყუ-პი და ტ-ყუ-მლ-ვა, რომელთაც 2. და 3. სქეს-კატეგორიების

ბოლოსართებიც ახლავთ. ხოლო ორის წმინდა ბოლოსართივანი 4. სქეს-კატეგორიის წარმოების ნაშთია ყუ-რი, ყუე-რი და ყევა-რი.

სვანური აორა, ქანური ჟური და მეგრული ვირი და სხვა მათი ფონეტიკური სახესხვაობანი თავკიდური ძირეული ყ-ს ბგერითი შენაცვლებით არის ყო ძირისაგანვე წარმომდგარი, ხოლო სამწერლობო ქართული ორის ამ სახელს-კი ძირეული ყ სრულებით ვაჭრობია.

კანდუტა ენების სახელების განხილვისას დავრწმუნდით, რომ იქაც ამ რიცხვის თავდაპირველი ძირი შიღ, ანუ შუ იყო. იგი რვასჯის ტ-ყო-სა და ტ-ყჯა-ს ისევე, როგორც რუბჯურას ტ-ყუ-სი და ტ-ყჯ-ს ოდინდელი ზეოთხე სქეს-კატეგორიის შეზრდილი თავსართის ყ-ს სახენაცვლიანი ფორმით აქვს დაცული. რუბჯურას ყ თანხმოვანი გ-დ შეუწაცვლებია (ტჯუ, ტჯა), ყანადღოელს-კი ჯერ მ-დ უქცევია, ხოლო შემდეგ სრულებითაც-კი ვაჭრობია (ტჟუ, ტჟ, ტ).

თუმცა დაღურ ენათა ორი XVIII ს. და თანამედროვე სახელი სინდური ენებისას სრულებით არ მიიგავს და შიღ, შიღე (22-ზე), შიგ და შაუ არის. მაგრამ, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 297—299) 2-ის ალმნიშვნელი 20-ის ტყა სახელი ცხადად ამეღავენებს, რომ თავდაპირველად დაღურ ენებსაც შ-ძირიანი ორის სახელი ჰქონია, რომლის მეოთხე სქეს-კატეგორიანს ტ (-ღ) თავსართიანს ფორმას ეს ტ-ყა წარმოადგენს კიდევ.

ამნაირად ორის მერმინდელი და თანამედროვე დაღურა სახელის შიღ-ს თავკიდური შ თავდაპირველი ყ-საგან ისევე უნდა იყოს შუალედი ი-ხმოვნის შენაცვლების გზით წარმომდგარი, როგორც ზოგადი ქართულ-ქართველური თავდაპირველი ყორი-საგან ჯერ სვანურში შერჩენილი აორი არის გაჩენილი ხოლო შემდეგ მეგრულ-ქანურში გაბატონებული ჟური და ვირი-ა უკვე წარმომდგარი: ჟ-ს შ-დ შენაცვლება ხომ ჩვეულებრივი მოკლენაა.

ღურა-ალბანური ენების რიცხვითი სახელებს ცალკალკულმა ანალიზმა კა და შედარებითმა შესწავლამაც დაგვარწმუნა, რომ იქ ორის ყ-ძირიანი სახელიც მოგვეპოვება, ვ, ლ და გ-ძირიანიც, კჱ, კკ, კხ, თვით - ჭ-ძირიანი სახელიც-კი არსებობს. ყ ძირიანი ორია სახელის მაგალითად შესაძლებელია ჭაჭურა ყრ-ჯრა, ყობლა და ყრღლა, — დღურა ყანო და ყუ (20-ის სახელში), კ-ძირიანისა ლურჯურა კივა, კირა და კიბა იქმნეს მოყვანილი.

ორის სახელების ძირის ზემოაღნიშნული ნაირნაირობისდა მიუხედავად, ლეგურ-ალბანური რიცხვითი სახელების შედარებითმა შესწავლამ დაგვარწმუნა (იხ. აქვე, გვ. 364—365), რომ თავდაპირველად ნათა ამ აღმოხავლურ ჯგ-ფ-საც ორის შ-ძირიანი სახელი ჰქონია. ამას ის საგულისხმო გარემოებაც ამეღავენებს, რომ ამჟამად ორის სახელად კ-ძირის მქონებელ ენებს, როგორც ოცეულების სახელებითგან ირკვევა, წინათ სწორედ ყ-ძირიანი სახელი ჰქონიათ. მაგალითად შესაძლებელია თუნდ ლურჯრა ორი თანამედროვე კიგო იქმნეს მოყვანილი, რომლის მაგიერ წინათ, როგორც ეს 20-ისა და 81-ის სახელებით მტკიცდება, ლუნძურს ძველად ყოგო ჰქონია. ას თივე ვითარებაა ბრატოლურშიც, რომელსაც 2-ის სახელად ეხლა აქვს კაჟ და კაჟერ, კაჟ ბ, წინათ-კი, როგორც ეს 20-ის ანალიზით მტკიცდება, ვაბ, ვარ და ვად ჰქონია თანამედროვე რდრსად

2-ის სახელად 3-ეა აქვს, 20-სა დი 21-ის სახელებში-კი 2-ის აღმნიშვნელი ყა, ბოლო 40-ისა, 60 და 80-ის სახელებში ყო-ა.

მაშასადამე, ირკვევა, რომ ქართულ-ქართველურსა და სინდურ-ლილურ-ლეგურ-ალბანურ ენებს ორის ერთი-და-იგივე ძირის სახელი ჰქონიათ.

ქართული რიცხვ. სახელების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ პირველი აქედის ერთეულების რიცხვ. სახელები, საშითგან მოყოლებული, ორი რიცხვის შეკრებით ყოფილა აღნიშნული და მათი სახელებიც ამ ორ-ორ სახელის შერწყმითვე ყოფილა წარმომდგარა, ე. ი. 3 ორ-ერთ-ად, 4 ორ-ორ-ად, 5 სამ-ორ-ად, ანდა ორ-სამ-ად, 6 ერთ-ხუთ-ად ყოფილა აღნიშნული. ასეთი აგებულება კარგად არის დაცული ტერმინად ქცეულს ხამის ოდენობის გამომხატველს ქართულს ყუნცულ-ში, რომელიც ორის აღმნიშვნელი ყუნ და ერთის სახელის ცალ-ის უ-ხმოვანა სახესხვაობის ცუდისაგან შესდგება (აქვე გვ. 404).

ოთხის და ხუთის ანალიზის დროსაც გვქონდა აღნიშნული (იხ. აქვე, გვ. 407-408), რომ პირველი მათგანი (ყ)ო+თუი-სა, ე. ი. 2+2-ისა, ხოლო მეორე ხუ(3)+თუი(2)-საგან უნდა იყოს წარმომდგარი.

ლეგური რიცხვითი სახელების ანალიზმაც დაგვარწმუნა (იხ. აქვე, გვ. 321), რომ 4-ის ანალოგიური სახელები **ძარყურ**, **აბაყურ** და სხ. ორი ნაწილისა **ძარ+ყურ**, **აბა+ყურ** არის შედგენილი და ორ-ორ-ს ნიშნავს, რათგან თაბასარანულს ორის ცალკეულ სახელად ეხლაც სწორედ ყზრ და ყზრა აქვს.

ლეგური რიცხვითი სახელების შედარებითმა შესწავლამ ცხად-ჰყო, რომ ასევე ორ-ორის გამომხატველია **ოთხის** წახურთუა, ბუთუთუა და სხ. სახელებიც (იხ. აქვე, გვ. 368-369).

მომდევნო რიცხვითი სახელების 5, 6 და 7-ის სახელების აღნიშვნაც ზოგს ლეგურ ენებში ასეთივე აღმოჩნდა და 2+3-ის, 1+5-ის და 2+5-ის აღმნიშვნელი რიცხვითი სახელების შერწყმული ფორმები გამოდგა (იხ. აქვე, გვ. 369-278).

სწორედ ამიტომვეა, რომ სინდურ-ლილურ-ლეგურს ენებში 2-ის **3-ისა** და 5-ის სახელებს მხგავსება ეტყობა, მაგ. აშხაზურად 3-ს ხება (XVIII ს.) და ხვა ეწოდება, 5-ს კი ხუბა, — ჩურჩუზურად 2-ს ტყუ და ტგუ, — ყაზარაურად ტაუ, ხოლო 5-საც ყაზარად. ტყუ ჰქვან. დილურადაც 3-ს ვოე, ვოუ და სხ. ეწოდება, 5-ს ფხი და ფხუ (50-ში). ლუჯურს ზოგს ენასაც 3-საც ხ-ძირიანი სახელი აქვს, მაგ. ჭარული და აძურსურა ხაბ (გვ. 342) და უდურა ხიბ და 5-საც აკურსა, ყაურჩურს, ჭახურს, ხინალურს და სხვ. ენებშიც ხუ-ძირიანი სახელივე მოეპოვება (იხ. აქვე, გვ. 365-366).

მეტის თქმაც შეიძლება: ვინც ქართულ-აინურ-ლილურ-ლეგურს რიცხვითს სახელებს გულდასმით განიხილავს და ერთმანერთს შეადარებს, შესაძლებელია შეამჩნიოს, რომ 5-ის სახელს ამ ენებში ცხადი მხგავსება ეტყობა და ქართულს ხუ-თ-ს მრავალრიცხოვან ბანს აძლევენ აშხაზური ხუ-ბა და ყაზარაური ტ-ხუ, დილური ფ-ხი და ფ-ხუ, ბუთუთური ხუდ, ყაურჩური ხუ, ხინალურური ფ-ხუ, აკურსური ხუაღ (18 ს.), ლუჯურური ხუ (18 ს. 50-ში) და ხხზ-ვა, ხხზ-რა, ხხზ-ბა და ბევრი სხვაც.

2, 3 და 5-ის, მეტადრე 5-ის, სახელების ხგავსება, გეოგრაფიულად დაშორებულს, ენებშიც-კი ეხოდენი მხგავსება სწორედ 3-ისა და მომდევნო

რიცხვთა სახელების ერთნაირი აღნაგობით აიხსნება და უეჭველია თრ-ორი რიცხვის სახელების შეერთება-შერწყმის შედეგი უნდა იყოს.

რიცხვითა სახელების ასეთი რთული აგებულება, მეტადრე 5-ითგან მოყოლებული, თავდაპირველად უფრო უნდა გართულებული ყოფილიყო, რათგან ხუთის სახელს, რომელიც თითონაც ორი რიცხვის შერწყმით გამოიხატებოდა, უნდა კიდევ ერთი შესაფერი რიცხვითი სახელიც დართოდა. ამიტომაც ხუთს-ზევითი რიცხვის სახელების შედგენილობა, ვითარცა უფრო გრძელი, დროთა განმავლობაში უფრო ადვილად უნდა დაზიანებულიყო და შეცვლილიყო. ამ გარემოებით უნდა აიხსნებოდეს, რომ მათი აღნაგობის ნაწილების გამოცნობაც უფრო ძნელია და მსგავსებაც ისე ცხადად ვერა ჩანს. მაგრამ აღლუური 9-აც-კი 7+2-ის აღმნიშვნელი გამოდგა (იხ. აქვე გვ. 373).

ზემოაღნიშნული გარემოებისდა მიუხედავად ქართულ-სინდურ-ლილლურ-ლეგურ-აღბანური ხუთის-შემდგომი რიცხვითი სახელები რომ ასამდე მაინც ერთი-და-იმევე აგებულებისაა, ამ გარემოებასაც უცილობლად ათისა და ასის სახელები ამელავენებენ.

მართლაც, ძართულს თუ ათი და მჯგჳს ვითი აქეთ, ჭანუბს ვითი და ვიტ მოებოვება (11—19 კიწ.-არქაბ), სჯანუბს-კი აეშდ და ეშდ (13—20), — ლილ-ლურს ენებშიც ათი ორის ცალკეულად იტტ (უსლარით), — იტტე, ტე, ით, იტ, ითთე (11 და 12-ში და რთულ რიცხვ. სახელებში), — იით და ითთა (ძანდა-როვით, 10, 11—18), ლჯგჳრ ენათაგან ქართულისა და ლილლურთაგან გეოგრაფიულად ისეთს დაშორებულშიც, როგორც აბჭალთა, 10-ს სახელად ტ-ძირიანივე ტტურ-ი ვესვლება 21, 31, 41, 51, 61, 71, 81 და 91-ში (იხ. აქვე, გვ. 348) ცალკეულად და სხვა რთულ რიცხვების სახელებში ამავე აბჭალთა და დანარჩენს ლეგურ-ენებში-კი ტ-ს მაგიერ 10-ის ძირად, როგორც თავის ადგილას დაფრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 374), უკვე ც და წ გვაქვს ხოლმე. ც-ძირიანი 10-ის სახელი ჰქონდა მე-XVIII ს. აჯგჳრს აწცალ და ჟუც (რთულ რიცხ.-ში), ანდი-უბსაც ამავე ხანაში აგრევე აწცალ ჰქონია, ლეგურ-ენებში-კი 20-ს მაშინ აც და ც (რთულ რიცხ.-ში) სწოდებია, ხოლო უდურსაც ეხლაც 70-ისა და 90-ის სახელებში ათის გამოხატველი ვიც-ია.

თუ ქართული რიცხვითი სახელების ცალკეულს ანალიზს გადავფურცლავთ, დავრწმუნდებით, რომ ლჯგჳრ ენების შემოყვანილს 10-ის სახელებში ძირეულს ბგერას იგივე ცვლილება დასტობია, როგორც ქართულში ათ-ის თ-ს ოც-ის სახელში ემჩნევა: აბაც ხომ თ უკვე ც-დ გვაქვს შენაცვლებული (იხ. აქვე, გვ. 412).

ათის ძირეული ბგერის შემაცვლება ზემოაღნიშნულის შემდეგაც არ შეჩერებულა, არამედ თანამედროვე ლეგურ ენათა უმრავლესობას ათის სახელი წ-ძირიანი მოებოვება, მაგ.: თანასარ. მიწურ და მიწუბ, 50—90-ში კი წურ, — ზურეს. ვიწვდ და მიწვდ, — ჰგვალურს ჟიწალ და ვიწ (რთ. რიცხვებში), — აბჭალს ვიწაჟუ და უდურს ვიწ.

ამგვარად ქართულ ქართველურსა და ლილლურ-ლეგურ-აღბანურ ენებს ერთი-და-იმევე ძირის. ანუ საერთო ათის სახელი ჰქონიათ.

თითქოს სულ სხვანაირი ვითარება ჩანს სინდურს ენებში: აბსარ. უაბა იქეს, მაგრამ 10-ს გამოხატველ ძირად, უ-სა და უ-ს გარდა, შრ, შ და შ-ც-კი ვესვლება (იხ. აქვე, გვ. 286—289).

რუხისუჭისაჲ ზაღან-ცა და ურღან-ც, ფურც-კი მოეპოვება, ე. ი. აქაც ძირის როგორც ე და ურ, ისევე ზრ სახესხვაობაც გვხვდება.

თუმცა ადიღურის **პხერე** და **პხერე** (ჩერქ.) და **პხირე** და **პხირე** (ყაბარდ.) მოეპოვება ცალკეულად, მაგრამ ჩრქველს 20-ის სახელში ათის გამომხატველად უკვე **პჟ** და **ჩ** გვევლინება და ისევე **ჩ**-ად ითქმის ავივე რიცხვი **ექვხი** ათის გამომხატველის 60-ის სახელშიც.

ამნაირად სინდურს ენებში ათის სახელის ძირეულ ბგერებად **ფ. ჟ. ზ. ჩ. შ** და **ხ** გვხვდება. ამ ბგერათაგან ქართულ-ღიღღურ-ღეგურ-ალბანურთან ყველაზე ბუნებრივი დასაკავშირებელი ჩ არის: ც-ს ჩ-დ შენაცვლება ჩვეულებრივიც არის და თვით ქართველურის მაგალითითაც მტკიცდება, სადაც თავდაპირველად ორი ათის აღმნიშვნელის ქართულის ოცის შესატყვისად ეჩი გვაქვს, ე. ი. აქაც ც ჩ-დ არის შენაცვლებული.

მაშასადამე, ყველა შემოაღნიშნულის ძალით, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ათის სახელს მართლ ქართველურსა და ღიღღურ-ღეგურ-ალბანურს ენებში-ცა არა, არამედ სინდურ ენებში ერთი-და-იგივე ძირი ჰქონია.

ქართული ახი-ს შესატყვისად ზღარულ-ყანურში, როგორც დაერწმუნდით, ოში, ზღარულ-კი აშირ-ი გვაქვს, ე. ი. ამ რიცხვითი სახელის თანხმოვანი ელემენტის შ და ხ სახესხვაობაა.

სინდურ ენათაგან ამსაჩუქრად ახხ ეწოდება შრკ, რომლის შრ ძირია, კჟ-კი ცალმის გამომხატველი ნაწილაკია. რუხისუჭად 100-ს ხრ და სოფ, ე. ი. სოფ პრქმეგია, მაგრამ ახას ნახევრის, ანუ, ძველი ქართ. სახელი რომ ვინმაროთ, ერგახის, 50-ის, რუხისუჭს სახელში, ხრწაჯჟ-შიც, ახის გამომხატველად ხრ ჩნდება.

ჩრქველსად 100-ს ხახე, ე. ი. ხხხე, ანდა ხხე ეწოდება, — ყაბარდოურისაჲ ხხხე ვე აქვს ამ რიცხვის სახელად.

ამგვარად, ხინდურს ენებს 100-ის ძირად შ, ანუ ხშ და ხ მოეპოვებათ, იგივე ძირი, რომელიც 10-ს აღმნიშვნელია.

ადიღურში (ჩერქეზულსა და ყაბარდოულში) ამ ბგერის ორმაგი ხმარება ხხხე, ანდა ხხე, როგორც უკვე თავის აღვილას ნათქვამი გვქონდა, ამ რიცხვის სახელის თავდაპირველი აგებულებიხა და ათი-ათის აღმნიშვნელობის ანაჩეკლს უნდა წარმოადგენდეს.

ღიღღურ ენებს ზჟ, ზჟჟ, ზჟჟჟ აქვთ 100-ს სახელად, ლეჩურ ენების ამ რიცხვის სახელს-კი, როგორც თავის აღვილას უკვე აღნიშნული გვქონდა (იხ. აქვე, გვ. 373—374), თუმცა დიდი ნაირნაირობა ემჩნევა, მაგრამ ასეთს შთაბეჭდილებას თანხარო-ბოლოსართოვანი ნაწილაკების (ღ, ტა — უ, ვა — ბ, ფა — ვა, შა, და, ნ და გო) შეზღოდილობა და ძირეული შ ბგერის ფ-დ და შ-ს ჩ-დ შენაცვლება ჰქმნის.

მაშასადამე, 100 სახელის ძირიც ქართველურ-სინდურ-ღეგურ ენებს საერთო ჰქონიათ. ეს ვარაუზობა ფოიად საყურადღებოა, რადგან ირკვევა, რომ 100 და 1000-მდეც-კი რიცხვითი სახელების, როგორც ძირები, ისევე სხვა შემადგენელი ნაწილები და თვით აღნაგობა და წარმოება-აღმნიშვნელობის

სისტემატ ხაერთო ჰქონიათ, რითაც მათი მეტყველების ამ ნაწილშიც სრული ნათესაობა ამიერითგან ვგონებ უცილობელად უნდა იქმნეს მიჩნეული.

თუ წინათ ფიქრობდნენ, რომ ქართული და ე. წ. კავკასიური ენების რიცხვითი სახელების ნიშანდობლივს თვისებას ოცობითი სისტემა შეადგენს, ეხლა უკვე გულდასმითი ანალიზი მკითხველს დაარწმუნებდა, რომ იგი ამ ენებისათვის მერმანდელი მოვლენა ყოფილა და წინათ ყველა რიცხვითი სახელები ათობით სისტემაზე ჰქონიათ დამყარებული.

ქართული და ლეგური ზოგიერთი ენის რიცხვითი სახელების გაღრმავებულმა ანალიზმა ამაზე უფრო საყურადღებო გარემოებაც გამოგვიმუშავნა: თურმე პირველი ათეულის ერთეულების სახელებიც ერთისა და ორის გარდა, მარტივი და მთლიანი-კი არა, არამედ რთული აგებულების სიტყვები ყოფილა, თითოეული მათგანი ორ-ორი რიცხვის სახელის შემცველი, შერწყმული ფორმები აღმოჩნდა. ეს სიტყვები მარტივ რიცხვით სახელებად მხოლოდ დროთა განმავლობაში, მათი შედგენილობის შეცვლისა და აღნაგობის შეგნების გაქრობის წყალობითაა ქცეული.

უნდა დასასრულ ისიც გავიხსენოთ, რომ ქართული ზოგი რიცხვითი სახელების, როგორც მაგ. ერთის, კენტისა, მხოლოს და ათის თავდაპირველი წარმოშობილობის საკითხის კვლევა-ძიებამ იმ საგულისხმოდ დასკვნამდის მიგვაყვანა, რომ თვითოეული მათგანი თავდაპირველად კონკრეტული საგნის სახელი ყოფილა და რიცხვის აღმნიშვნელ სიტყვად მარტო შემდეგში ქცეულა, რაც აზროვნების განვითარების თანდათანობის თვალსაზრისით მოსალოდნელიც იყო. კონკრეტულობის წიაღითგან რიცხვითი სახელების წარმოშობილობის გამომქდავნება საფიქრებელია სინდურ-დილლურ-ლეგური ენოვანი მასალითაც შესაძლებელი იქმნებოდა, ამისთვის სათანადო ლექსიკური მარაგი რომ შეგროვებული ყოფილიყო, და, იმედია, მომავალში კიდევ ბევრი საგულისხმო და მნიშვნელოვანი გარემოება გამოირკვევა, ისევე, როგორც ცალისა და ყურის თავდაპირველი კონკრეტული მნიშვნელობის მიგნებაც, უეჭველია, ოდესმე შესაძლებელი შეიქმნება.

ქარი მხუთე

ქართველურ-სინდურ-ლილურ-
ლეგურ-ალბანური
ნახვალსახელები

ქართულ-სინდურ-ლილდურ-ლეგურ-ალბანური ნაცვალსახელები

ქართული და ქართველური ნაცვალსახელების ანალიზი და ისტორიის საკითხები აკად. ნ. მარრს აქვს განხილული „ძველი ქართულის გრამატიკა“-ში (გვ. 83—117). ამავე ავტორს „იაფეტური“ ნაცვალსახელების მოკლე ზოგადი დახასიათება 1931 წ. „დიდს საბჭოთა ენციკლოპედია“-ში მოთავსებულს წერია „იაფეტურ ენებ“-შია მოყვანილი და იქითგან მის რჩეული ნაშრომების I წიგნშია გადაბეჭდილი (იხ. გვ. 297). გაკვრით გამოთქმული ცალცალკე მოსაზრებანი მის სხვა ნაშრომებშიც ბევრგან მოიპოვება. „რჩეული ნაშრომები“-ს ბოლოში დართული დაწვრილებითი საგნობრივი საძიებლის დახმარებით, მსურველი ავითოვებს მათგანს ადვილად იპოვის. ამ ნაშრომთაგან ყველაზე ვრცელი და მთლიანი მოძღვრების შემცველი „ძვ. ქართ. გრამატიკა“-ა.

პროფ. აკ. შანიძის ნაშრომთაგან მისი მონოგრაფია „სუბიექტური პრეფიქსი მეორე პირისა და ობიექტური პრეფიქსი მესამე პირისა ქართულ ზმნებში“, რომელიც 1920 წ. გამოქვეყნდა, სწორედ ნაცვალსახელოვან თავსართებს ეხება და ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევაა. სამწუხაროდ დანარჩენი ნაცვალსახელები ასევე მონოგრაფიულად მას თავის კვლევა-ძიების საგნად არ უქცევია, ისე-კი პროფ. აკ. შანიძეს თავისი მოსაზრებანი ნაცვალსახელების შესახებ ზოგადად გამოთქმული აქვს „ქართული გრამატიკის“ I წიგნში, რომელიც მორფოლოგიას ეხება (ტფილისს, 1930 წ.) და ძველი ქართულის ქრესტომათიის შესავალში (იხ. „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“, ტფილისი. 1934 წ.), ხოლო ცალკეული საკითხები სხვათა შორის გარჩეული აქვს ნაშრომში „უმლაუტი სვანურში“ (იხ. კრებული „არჩილი“).

მეგრული ნაცვალსახელები განხილულია პროფ. იოს. ყიფშიძის ვრცელს „მეგრული ენის გრამატიკა“-ში, რომელიც ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთ 1914 წ. გამოიცა პეტერბურგში.

ჭანური ნაცვალსახელები პირველად აკად. მარრის 1910 წ. პეტერბურგში ქრესტომათიითა და ლექსიკონითურთ გამოსულს „ჭანური ენის გრამატიკა“-ში იყო შესწავლილი. ეხლა-კი იგივე ჭანური და სხვა ქართველური ნაცვალსახელები საკმაოდ ვრცლად არის განხილული პროფ. ჩიქობავას გამოკვლევაში „ჭანურის გრამატიკული ანალიზი“ (1936 წ.), სადაც ჭანურის დახასიათებისა და მისი ზოგი სახელების კანკლედობის თავისებურებათა ცხად-

საყოფელად ქანურო, მეგრული და ზოგადი ქართული ნაცვალსახელების აღნიშვნა არის გაშუქებული (გვ. 74—85).

სვანურისათვის უნდა პროფ. ვ. თოფურიას 1931 წ. გამოქვეყნებული „სვანური ენა“ იქმნეს დასახელებული, რომლის I-ს, ზმნისადმი მიძღვნილს ამ წიგნში, „პირთა ფორმანტები“-ს განხილვის დროს, რასაკვირველია, ქართულსა და ქართველურს ნაცვალსახელებზეც არის მსჯელობა და ავტორი იქ მათს გენეზისსაც ეხება (გვ. 1—34).

ამ ნაშრომთაგან მხოლოდ ნ. მარჩისა და ნაწილობრივ ვ. თოფურიასი ითვალისწინებს ქართულ-ქართველური ნაცვალსახელების პრეისტორიასაც, დანარჩენნი-კი განსაკუთრებით ისტორიული ხანის ძეგლების ენას ემყარებიან. ამასთანავე მარტო ნ. მარჩი ხელმძღვანელობდა ქართულის სემურ ენებთან ნათესაობის რწმენითაც და თავის მსჯელობას უმთავრესად ამას უფარდებდა, სხვები-კი ქართული ენების ნიადაგს არ გასცილებიან და მათი შედარებითი შესწავლაც ამ საზღვრებით იყო შემოზღუდული, ამიტომაც არავის ჩრდილო-კავკასიური ენების ნაცვალსახელების ანალიზისათვის არ მიუმართავს და იქაური მასალა ქართულ-ქართველური ნაცვალსახელების აღნაგობისა და წარმოშობილობის გამოსარკვევად არ გამოუყენებია. ე. წ. კავკასიური ენების ნაცვალსახელების მონოგრაფიულად შესწავლა ხომ არც ჩვენში, არც უცხოეთში არავის არც-კი უცდია.

ჩვენს ამოცანას სწორედ ნაცვალსახელების აგებულებისა, წარმოშობისა და ნათესაობის პრობლემის გამორკვევა შეადგენდა, ისევე, როგორც ამ ნაშრომის სხვა კარებშიც, აქაც მეტყველების ეს ნაწილი ჯერ ცალკეულად გვექმნება განხილული, ხოლო შემდეგ ზოგადი საკითხების გაშუქება-გადაჭრასაც შევეცდებით. ნაცვალსახელები ქვემოთ, ცალკეული განხილვის დროს, სამ მთავარ ჯგუფად არის გაყოფილი, რომელთაგან ერთ ჯგუფს ქართველური, მეორეს — სინდური, ხოლო მესამეს — ლილლურ-ლეგურ-ალბანური შეადგენს. ცალკეული განხილვა ყველგან ისეა დალაგებული, რომ ჯერ არსებული ცნობების მიხედვით საქმის ვითარებაა ხოლმე წარმოდგენილი, შემდეგ-კი ნაცვალსახელების ანალიზი მისდევს. ხოლო ამ კარის ბოლო ნაწილში ნაცვალსახელების აღნაგობის, წარმოშობილობისა და ნათესაობის ზოგადი საკითხებია განხილული.

თავი პირველი

ქართულ-ქართველური ნაცვალსახელები

რაც-კი ქართულ-ქართველურ ნაცვალსახელებზე დაწერილა, უკვე ჩამოთვლილი გვაქვს, ამიტომ აქ შესაძლებელია პირდაპირ საქმეს შევეუდგეთ. ჯერ თვით ნაცვალსახელებს გადავივლოთ თვალი, ხოლო შემდეგ ისიც გავიხსენოთ, რა მოსაზრებანიც იყო მათ შესახებ გამოთქმული, რომ მერმე ქართულ-ქართველური ნაცვალსახელების ანალიზს მივყოთ ხელი.

§ 1. ქართული, მეგრული, ჭანური და სვანური ნაცვალსახელები
პირთა ნაცვალსახელები

ქართული	მეგრული	ჭანური	სვანური
1 პ. მე, მენა	მა	მა, მან	მი
2 პ. შენ	ხი	ხი, ხინ	ხი
3 პ. ის, იგი	მუ მრ. რ.	მუქ	აჯა, ეჯა
1 პ. ჩუნ, ჩვენ	ჩქი, ჩქვ	ჩქუ, ჩქუნ, ჩქინ, შქუ	ნჭა
2 პ. თქვენ, თქვენი	თქვა	თქვა, თქვან	სკჭა
3 პ. ისინი, იგინი	მუნეფი	მუთეფე	ეჯინარ

ნაცვალსახელოვანი ნიშნები ზმნაში
სუბიექტური ნიშნები

ქართული	მეგრული	ჭანური
1 პ. ვ	ვ-(ბ, პ, ფ)	ვ-(ბ, პ, ფ)
2 პ. ხ, ჰ, ს.	—	—
3 პ. —ნ,—ხ,—ა.	—ნ,—ხ,—უ	—ნ,—ხ,—უ

სუბიექტის მრავლობითობის ბოლოსართები

ქართული	მეგრული	ჭანური
1 პ. —თ	—თ	—თ
2 პ. —თ	—თ	—თ
3 პ. —ენ,—ან,—ეს	—ან,—ეს	—ან,—ეს

სვანური

მხ. რ.

მრ. რ.

1 პ. სჷ —	$\left\{ \begin{array}{l} \text{ლ—ღ (ინკლუზ.)} \\ \text{ბჷ—ღ (ექსკლუზ.)} \end{array} \right.$
2 პ. ხ —	
3 პ. ლ —, —	ლ —, —ხ

ობიექტის ნიშნები მხოლოდობითში

ქართული	მეგრული	ჭანური
1 პ. მ—	მ—(ბ—,პ—,ფ—)	მ—(ბ—,პ—,ფ—)
2 პ. გ—	გ—(რ—)	გ—
3 პ. ხ—,პ—,ხ,—	—	—

ობიექტის მრავლობითობის ნიშნები

ძართულში	მეგრულში	ჭანურში
1 პ. გვ—	—ან,—ებს,—თ	—ან,—ებს,—თ
2 პ. —თ	—ან,—ებს,—თ	—ან,—ებს,—თ
3 პ. —თ	—ან,—ებს.	—ან,—ებს.

ობიექტური ნიშნები სვანურში

მხ. რ.	მრ. რ.
1 პ. მ—, მგ—	(ინკლ.) გტ—, ვუ—
2 პ. ჯ—, ჯგ—	(ექსკლ.) ნ—, ნგ—
3 პ. —, ხ—	ჯ—ხ, ჯგ—ხ —, ხ—, —ხ

კუთვნილებითი ნაცვალსახელები

მხ. რ.			
ძართული	მეგრული	ჭანური	სვანური
1 პ. ჩემი	ჩქიმი	ჩქიმი, შქიმი	მიშგუ, მიშგუი
2 პ. შენი	სქანი	სკანი	ისგუ, ისგუი
3 პ. მისი	მუშ(ი)	მუშ(ი)	მიჩა
მრ. რ.			
1 პ. ჩუენი	ჩქინი	ჩქუნი, ჩქანი, შქუნი	ნიშგუეჲ და გუიშგუეჲ
2 პ. თქუენი	თქვანი	თქვანი	ისგუე
3 პ. მათი	მუნეფიში	მუთეფეში	მინეშ

ჩვენებითი ნაცვალსახელები

ძართული	მეგრული	ჭანური	სვანური
ესე, ეს	თენა, ენა, თე, ე	ჰაჰა, აჰა, ჰამ	ალო, ალე, ალი
ისი, ის	ინა, ინა, თი, ი	ჰეჰა, ია, ჰიმ	აფა, ეფა, ეფი
ჰაგი, აგი			
(ჰ)იგი	მუ	მუჰ	

უკუქცევითი ნაცვალსახელები

ძველ ქართულს რამდენიმე უკუქცევითი ნაცვალსახელი ჰქონდა: თავი, თვისი, თვთი, თავადი, მერმინდელს ქართულში-კი თითონ. „იხილა თავი თვისი“, „ალიბექდნეს თავნი თვისნი ძლიერებისა ბეჭდითა“, „მერმე მივიქცე ზრუნვად თავისა ჩემისა“ (იხ. ძვ. ქართ. გრ. 94). მე-V—VI და შემდეგი საუკუნეების ძეგლებში თითონ-ის გამოსახატავად მხოლოდ თვთი და თავადი გვხვდება, რომელთაგან მეთორე, რა თქმა უნდა, თავისაგან არის ნაწარმოები და იმასვე უდრის, რასაც ესლა ეწოდება „პირადად“. პიოველიც ამავე სიტყვისაგან არის წარმომდგარი და თავით-ის შერწყმულს ფორმას წარმოადგენს.

მეგრულშიც თითონ-ის აღსანიშნავად **დუდო** რომ იხმარება. ძველი ქართული თავადი-ს მსგავსად, აგრეთვე თავის სახელის, **დუდი**-ს, მიმართულებითი ბრუნვის ფორმია (იხ. ი. ყიფშიძის მ. გ. 046).

ქანურად **დუდი** თხემსა, ე. ი. თავის ზედა ნაწილსა და მწვერვალსაც ნიშნავს (ნ. მარჩის ქ. გ. 140) და თავსაც (არ. ჩიქობავას ქან. გრ. ანალ., ქან. უქსტები, გვ. 102, 106 და სხვ.), მაგრამ თითონ-ის გამოსახატავად არ იხმარება. ამ სიტყვის მაგიერ, თითონ-ის აღსანიშნავად ქანურს **თი** აქვს, რომელიც ამავე დროს თავსაც ნიშნავს (იქვე, გვ. 27, § 43).

სუანურად-კი თითონ თხუმშუ და ჯა არის. ცხადია, რომ პირველი ამათგანი თავის სახელ თხუმშულ-სა და თხუმშ-თან არის დაკავშირებული, რომელიც ძველი ქართული თხუმი-ს შესატყვისობაა.

კითხვითი ნაცვალსახელები

ქართული	მეგრული
ვან (ვონიერი არს.), რა (არაგონ. საგ.)	მი (ვონ.), მუ, მუა (მრ. რ. მინეფი)
რომელი	ნამუ (მრ. რ. ნამუნეფი)
ზანური	სვანური
მი(ნ) მუ, მუა ნამუ	ანრ, მან სანდა, ანრ, მან

§ 2. მკვლევართა მოსაზრებანი ნაცვალსახელების აგებულებასა და ძირებზე

ნ. მარჩის სიტყვით, პირის ნაცვალსახელების ძირს თანხმოვანი შეადგენს, ხმოვანი-კი ნაწარმოებული ელემენტია (ძვ. ქართ. გრ., 32). მისი აზრით, 1 პირის ნაცვალსახელის ორი ფუძეა, რომელთაგან სახელობითისა და მიცემითის ბოუნეებს მ ძირიანი ფუძე, ხოლო ნათესაობითისა და მიმართულებითის ბოუნეებს რ ძირიანი ფუძე მოეპოვებათ. ნ. მარჩი ამასთანავე ფიქრობს, რომ 1 და 2 პირის ფუძეები მრავლობითის ფორმით არის წარმოდგენილი, მრავლობითობის

ელემენტად ავტორს ენ [შ-ენ, მ-ენ] და ემ [ჩ-ემ] მიაჩნია, რომელთაგან უკანასკნელს ხალხური მრ. რიცხვის ნიშნად სთვლის (იქვე, 87).

ამნაირადვე მრ. რ. 1 და 2 პირის ნაცვალსახელებსაც ნ. მარტი ფსიქოლოგიურადაც და მორფოლოგიურადაც ორმაგი მრავლობითი რიცხვის ფორმებად სთვლის. ჩვენ, ჩვენ და თქვენ, თქვენ, მისი აზრით, შესდგება ჩ და თქმირებისა, — ვ. ანუ გ-საგან, რომელნიც ხალხური მრ. რ. ნიშნებად მიაჩნია, და ენ-ისაგან, რომელიც მრ. რ. არქაული ნიშანიაო. ვე შემდეგ უ-დ არის ქცეული და ამ გზით წარმომდგარ ა ჩუენ და თქუენ ფორმებიცაო (იქვე 87—88).

აკ. შანიძეს განმარტებით-კი პირთა ქართულ ნაცვალსახელებს არც რიცხვისა და არც ბრუნვათა გამოშვებული მორფოლოგიური ნიშნები არ აბადლიათ. „მართალია, ბოლოში ორთავე ნ მოეპოვება (ჩვენ-ნ, თქვენ-ნ), მაგრამ იგი არ შეიძლება მრავლობითის ნიშნად გავიგოთ“, როგორც ნ. მარტს მიაჩნდა, „თორემ მაშინ შენ-ც მრავლობითში გადავა (შენ-ნ) და აგრეთვე დიალექტიკურად არსებული შენ-ც, რადგანაც ამათაც აქვთ ბოლოში ნ“ (ქართ. გრ. I, 37 და 38). ხოლო, „თუ ზაინც და მაინც დავეიჩინებთ მათს რიცხვზე ლაპარაკს, უნდა ყველა მხოლობითად გამოვაცხადოთ და სახელთა იმ ჯგუფში შევიტანოთ, რომელთაც მრავლობითის წარმოება არ შეუძლია, როგორცაა მაგალითად გარეცხა, გათბობა, გაშრობა და მისთ.“ (იქვე, გვ. 37 შენ.)

ამნაირად, თუ ნ. მარტს პირთა ყველა ნაცვალსახელები, მათ შორის მხ. რ.-ისაც, მრ. რ. ისეთ ფორმებად მიაჩნდა, რომელნიც მხ. რ.-ისთვისაც იხმარებოდნენ, აკ. შანიძეს პირიქით ისინი ყველა უფრო ისეთ სიტყვებად ეგულება, რომელთაც მარტო მხოლობითი რ. გააჩნიათ, მრ. რ. ფორმები-კი არ მოეპოვებათ. თუმცა აკ. შანიძის პირთა ნაცვალსახელებ-ს აღნაგობის ასეთი გაგებისათვის გამოყენებული შედარება მარჯვე ვერ არის, რათგან შესაძარებლად განსაზღვრული შინაარსის სახელშემათა კატეგორიაა აღებული, მაგრამ მაინც პირთა და სხვაგვარი ნაცვალსახელების ბოლოკიდური ნ-სა და მ-ს მრ. რ. ნიშნად მიჩნევის ნ. მარტს დებულებისათვის არავითარი საფუძველი, ნ ბგერის შესავსების გარდა, არ მოიპოვება. ბოლოკიდური ნ-ს საკითხი მარტო პირთა ნაცვალსახელების აღნაგობის საკითხი არ არის, არამედ სხვაგვარი ნაცვალსახელებისთვისაც აქვს მას მნიშვნელობა. სამწუხაროდ, თვით აკ. შანიძეს ბოლოკიდური ნ-ს ბუნებაზე არაფერი აქვს ნათქვამი.

1 და 2 პ. ნაცვალსახელების ფორმების განხილვის შემდგომ, აკ. შანიძეს დასკვნილი აქვს, რომ ისინი „რიცხვის მხრით მორფოლოგიის გარეშე მდგომი სახელებია“ ისევე, როგორც „ბრუნების მხრითაც აღნიშნული სახელები მორფოლოგიის გარეშე დგანან“-ო (ქართ. გრ., გვ. 37 და 38). უფრო ზედმიწევნითი იქმნებოდა, რომ ნათქვამი ყოფილიყო, მორფოლოგიურად ჯერ განუმარტავი არიანო.

სხვანაირად აქვს პირის ქართველური ნაცვალსახელების აღნაგობა არ. ჩიქობავას წარმოდგენილი. წინასწარი ანალიზის შემდეგ, მისი რწმენით, „ჭანურსა და მეგრულში პირველისა და მეორე პირის სახელები უნდა ყოფილიყო ასეთი სახისა: მ-ნ, ხი-ნ, ჩქუ-ნ, თქვა-ნ, — ქართულში-კი შე-ნ(ა) შე-ნ(ა), ჩვე-ნა, თქვე-ნა“ (ქან. გრ. ანალ., 73).

ყველა ამ ფორმებში **ნ** და **ნა** ძირეული არ არის, არამედ ამ მკვლევარის აზრით, უნდა „გამოიყოს სადეტერმინაციო-ნა ელემენტი“ ძირისა, ანდა ფუძისაგან (იქვე, გვ. 72, § 19). სამწუხაროდ, არც აქ არის ვანმარტებულო, თუ რის დეტერმინანტად და რა მნიშვნელობის მიმნიჭებელ ელემენტად უნდა იქმნეს ეს **ნა** პოლოსართი მიჩნეული.

ნ. მარრი ამბობს, რომ ქართული ნაცვალსახელების ძირები სხვა-და-სხვა წარმოშობილობისაა მხ. და მრ. რიცხვებშიაც-კი, მაგრამ ეს სხვაობა ისტორიული, თვისებისაა და ერთი-და-იმეფე ძირების ბგერითი სახესხვაობა, თვის ქართულ ნადაგზე აღმოცენებული, თუ სხვა იათეტურ ენათა გავლენით წარმოშობილი, სხვა-და-სხვა დანიშნულებისათვის არის გამოყენებული (ძვ. ქ. გრ., 84). ამ ძირებას სადაურობის ზედმიწევნით და ამომწურავად გამორკვევა ჯერ კიდევ ნაიდრევიანო, მაგრამ ეხლაც ყოველ ექვს გარეშეა, მე-2 პირის ნაცვალსახელის თქ ძირი, რომელიც მხოლოდ მრ. რიცხვში ჩნდება, რომ ნასესხებიანო (იქვე, 86).

1 პირის ნაცვალსახელის თავდაპირველ ძირად **ნ.** მარრს შვ მიაჩნდა. აქეთგან, მისი აზრით, **ჩვ** და **ჩ** წარმოდგა. შვ ძირის სინიან სახესხვაობის **ხვ**-ს არსებობასაც ჰგულისხმობს, რომლის სპირანტულ შვ სახესხვაობისაგანაც, **ჰ**-ს ვაქრობიან, სწორედ **ვ** და **ჰ** ნაცვალსახელოვანი თავსართები და ელემენტები მიაჩნია წარმომდგარად. ამავე სპირანტული შვ სახესხვაობისავე ანარგლად ეგულება **ნ.** მარრს სვანური ზმნის 1 პირის ნაცვალსახელოვანი თავსართები **ხვ** და **ლვ**, რომელნიც ქიზყურ კილოშიც გვხვდებოდნენ (ძვ. ქ. გრ. გვ. 84, ტაბ. V და გვ. 85, შენ. 1).

სვანურში მხ. რ. 1 პ. თავსართად **ხუ** **ღ**-**ჟ**-იხმარება. რაკი **ხ** იქვე 2 პ. თავსართია, ამიტომ მკვლევართა წინაშე საკითხი დაიბადა ამ **ხ** ბგერის ბუნების შესახებ 1 პ.-ში. **ნ.** მარრი ფიქრობდა, რომ 1 პ. სვანური თავსართი თავდაპირველად **ჰუ** უნდა ყოფილიყო და მხოლოდ შემდეგში არის იგი **ხუ**-დ ქცეული (Обрел. яв. вторым кат. ахеменидских клинообр. надписей: ВВО РАОБ XXII, გვ. 22—23). ჰუგო შუხარდტს-კი **ხ** მე-3 პირის ობიექტურ პრეფიქსად მიაჩნდა (Über den passiven Character des transitivs in den kaukasischen Sprachen, 43), ხოლო ავ. შინიძის აზრით „მეორე პირის სუბპრეფიქსი პირველ სუბ. პირშია გადასული ინალოგიის წყალობით“ („უმლაუტი სვანურში“: არილი, 1925 წ. გვ. 182 შენ.). ვ. თოფურიასაც ნათქვამი აქვს „პირველი პირის *ჰუ-, ხუ- პრეფიქსებში. უკანასკნელი (**ხუ**) თუნდაც *ჰუ-საგან იყოს წარმომდგარი, ძირითად ელემენტად -**ჟ**- მიგვაჩნია, *ჰ-, ხ- კი სხვა წარმოშობისაა“-ო, მაგრამ პირადად მას ეს ბგერა სახელდობრ რის წარმოშობილობად მიაჩნია, ეს ავტორს აღნიშნული არა აქვს (სვ. ე. 1, 7).

ზმნის უღვლილების 1 პ. მხ. ო. თავსართის ორ თანხმოვანთაგან რომელია თავდაპირველი, ვ თუ **მ**, ვ. თოფურიას მომავალში გადასაწყვეტ საკითხად მიაჩნია, მაგრამ მაინც ამბობს, რომ „შეიძლება **მ**-უძველესიც იყოს“-ო (სვ. ე. 1, 8). ეს მოსაზრება შესაძლებელია იმ გარემოებაზე იყოს დამყარებული, რომ 1 პ. ნაცვალსახელი ქართველურს სწორედ **მ** ძირიანი აქვს.

ნ. მარჩის აზრით 2 პ. ქართ. ნაცვალსახელები ორ ჯგუფად იყოფებიან, რომელთაგან მეორე ჯგუფი ნასესხებია. წმინდა, საკუთარ ქართ. 2 პ. ნაცვალსახელის ძირად შ მიაჩნია, რომელიც შრავლობითობის გამომხატველი ენ ნაწილაკის დართვამ შენ-ად იქცია (ძვ. ქ. გრ., გვ. 87, § 107, 2). ამ შ-ს ბგერითი სახესხვაობა ჰგონია ნ. მარჩს ხ და ჰ, რომელიც შემდეგ *ლ (ანდა გ)-დ ქცევის გზით, ხ-დაც ხდებოდა (იქვე, გვ. 84, ტაბ. V).

2 პირის ნაცვალსახელის ქართულში შეთვისებულ ძირად-კი ნ. მარჩი სგ-ს სთვლის, რომელიც შუალედი ცვ-ს წყალობით შემდეგ თქ-ვ-დ არის შენაცვლებული (იქვე გვ. 84, ტაბ. V). ამნაირად, 2 პ. ამ ქართულში შეთვისებულად აღიარებული ძირის პირველად სახედ მარჩს სგ მიაჩნია. იგი შიშინა ჯგუფის იმ განსაკუთრებულ დიალექტიტგან არის ნასესხები, რომელშიც ქართულს შ-ს გაორებული სკ უდრიდაო. იქეთგან სგ (ზგ) და სქ არის წარმომდგარი, რომელთა განსახიერებაცაა მეგრ.-ქანური სკ-ან-ი და ქან. სქ-ან-ი, სვანური სგ-აა"-ო. შესაძლებელია აქ ზოგი სისინა ჯგუფითგანაც იყოს, მაგრამ 2 პ. თქ ძირი, რომელიც ქართულში მხოლოდ მრ. რ. ცალკეულ ნაცვალსახელად გვევლინება, რომ ნასესხებია, ეს სრულებით უეჭველიაო (ძვ. ქ. გრ., 86, § 105).

ნ. მარჩი ჩვენებითი ნაცვალსახელის იგი-ს ნათესაობითი და სხვა ბრუნვების მ(ვ) აბხაზურითგან, ანდა მისი მსგავსი ენითგან შეთვისებულ 2 პ. ნაცვალსახელად სთვლის (იქვე გვ. 86 და 100 b).

აკ. შანიძეს სვანური 2 პ. სუბ. ნაცვალსახელოვან თავსართის, ისევე როგორც 3 პ. ობიექტ. თავსართის ძირითადი ფონეტიკური სახის გამორკვევა მჭიდროდ დაკავშირებულად მიაჩნია და მისი აზრით ამ პრეფიქსების "ძირითადი სახეა შ, რომელიც პირველი ჯგუფის დრო-კილოებში ხ-ანად არის ქცეული და მხოლოდ ხმოვნების წინ გვხვდება" („უმლ. სვანუოში“: არილი, გვ. 182).

აკ. შანიძის სიტყვით, ძველს ქართულშიც „ყველა ფორმაში, გარდა წართქმითი ბრძანებითისა (ე. ი. ისეთი ფორმისა, რომელიც აკრძალვას წარმოადგენს, ანუ რომელსაც ახლავს ნაწილაკი ნუ, ან არა) ნიშანი მეორე სუბ. პირისა არის წინსართი შ, ოღონდ ხანშეტ ძეგლებში ეს შ ხ-ანად აოის შეცვლილი, ხოლო მე-9 საუკუნიდან მოყოლებული იგივე შ უცვლელად არის შემონახული (19 თანხმოვნის წინ, ესენია კ, ყ, ლ, ხ, კ, გ, ქ, ჰ, ბ, ფ, ვ, მ, ლ, რ, ნ, შ, ქ, ს, ზ)... ხმოვნების წინ სულ დაკარგულია, ცხრა თანხმოვნის წინ ხ-ანად, არის ქცეული. ეს ცხრა თანხმოვანია: თ, დ, თ, წ, ძ, ც, ქ, ჯ, ჩ“ (იხ. „ძველი ქართული ენა და ლიტერატურა“, 1934 წ. გვ. 019, § 34).

2 პ. ნაცვალსახელის ძირზე არ. ჩიქობავა ამბობს: „გამოთქმული იყო აზრი, რომ სი სისინა წრის, ქართული ფენის, კუთვნილებას წარმოადგენს, შე-ნ პირუკუ შიშინა წრისას, ე. ი. ზანურისასაო. თუ ეს ასეა, უნდა აიხსნას, ოგორ მოხდა, რომ მეგრულსა და ქანურში კუთვნილებითი სიტყვა სქანი || სკანი ქართული შენო-ს კანონზომიერ ფონეტიკურ შესატყვისს გვაწვდის. ვთქვათ, შენ ზანურიდან შევიდა ქართულში, სი კიდევ ქართულიდან ზანურში (და იქიდან სვანურში); მაშასადამე ქართულისა და ზანურის დიფერენციაცია უკვე მომხ-

დარი ფაქტი. როგორღა შეეძლო ასეთ პირობებში შენ-საგან ნაწარმოებ სახელს (შენი) მოეცა ზანურში სქანი || სკანი? ამ უკანასკნელის არსებობა ქანურსა და მეგრულში იმის მაჩვენებელი უნდა იყოს, რომ ქართულისა და ქანურის დიფერენციაციის პერიოდში შენ უკვე იყო ქართულში და მოგვცა სქანი || სკანი მეგრულსა და ქანურში“-ო (ქან. გრ., ანალ., გვ. 73).

ცნობილია, რომ 2 პირის სუბიექტური პრეფიქსი არც ქანურსა და არც მეგრულს, არც ხმოვნებისა და არც თანხმოვნების წინ შერჩენილი არა აქვთ (ნ. შარის ქან. გრ., იოს. ყიფშიძის მეგრ. გრ. და არ. ჩიქობავას ქან. გრ. ანალ. 89).

რაკი ქართულს 2 პ. სუბ. ნიშანი ხმოვნების წინ დაკარგული აქვს, თანხმოვნების წინ კი შ და ხ მოეპოება, „ამის მიხედვით ფიქრობენ“-ო, არ. ჩიქობავა ამბობს, „რომ ქანურსა და მეგრულში ის მდგომარეობაა განზოგადოებული, რომელიც ქართულში ხმოვნების წინ გვაქვს“-ო. 2 პ. სუბ. თავსართი იგივეა, რაც 3 პ. ობიექტ. ნიშანია. მაგრამ ორივეს თვალსაჩინო ცვლილება ემჩნევა „მაშინ, როდესაც სხვა პირთა აფიქსები გამძლე აღმოჩნდა; ზოგიერთ სხვა ფაქტებთან შეპირისპირებით ყოველივე ამან შეიძლება ეჭვი აღძრას, ხომ არ იღუწება ქართულის ისტორია S₂ და O₂-ის საკითხში და ხომ არ უნდა აიხსნას ქანურსა და მეგრულში S₂-ის უქონლობა შ-ს დაკარგვით-კი არა, ათამედ სხვაგვარად. ამ რთულ საკითხს აქ ვერ განვიხილავთ“-ო, ნათქვამი აქვს სამწყურბაროდ ავტორს (ქან. გრ. ანალ., გვ. 100).

მე-2 პ. სუბ. ნაცვალსახელოვანი ნიშნის შესახებ ვარ. თოფურიას ამბობს: „მეორე პირის ხ-ნიშანი ცნობილია ხანშეტითა და ხანშეტობის ნიშნით ქართულში. მისი წარმოშობა შ-საგან, როგორც ეს ზოგს მკვლევარს უდაოდ მიაჩნია, იმდენს ეჭვს არ იწვევს, რამდენსაც სვანურში ხ-ს შილება შ-საგან. და ეს იმიტომ, რომ ქართულსა და სვანურს შორის ამ მხრით განსხვავებული მდგომარეობაა: პირველადი შ- ქართულში ყველგან ხ-დ მოგვევლინა: ხმოვნის წინაც და თანხმოვნის წინაც, სვანურში-კი დაიშალა: ხმოვნის წინ ხ- მოგვცა და თანხმოვნის წინ დაიკარგა. სწორედ ამაშია ფონეტიკური ხასიათის დაბრკოლებები: ა. რატომ შ- თანხმოვნის წინაც არ იქცა ხ-დ, რამ შეუწყო ხელი მის უკვალოდ გაქრობას? ბ. თუ შ-ს შეეძლო ხმოვნების წინ «ფერისცვალება» და ხ-დ გადასვლა, რატომ ვერ მოხერხდა ეს აღ- წინდებულთან, უკანასკნელს სომ მოსდევს ჩვეულებრივ ფარული (ამოდებული) ან «ხილული» მაქცევრები -ი-, -ი-ო-? ასეთი კითხვა დასვა სტეფ. ჩხენკელმა“-ო (სვ. ე. ს. 6). „ვიდრე ამ კითხვებზე გარკვეული პასუხი არ იქნება გაცემული“-ო, განაგრძობს ვ. თოფურიას, „მანამდე შ-სა და ხ-ს საკითხი ღიად დარჩება. მეტსაც ვიტყვით: სვანურში არამცთუ შ-ს პრიმარობაა საძიებელი, არამედ პრეფიქსი რომ იყო შ-, ეს ვერ კიდევ სვანური მასალებით არ არის დამტკიცებული“-ო (სვ. ე. ს. 6).

თუ სვანურში შ-ს ხ-ზე უწინარესობა და შემდეგში ხ-დ შენაცვლება ვ. თოფურიას ძნელ დასამტკიცებლად და დაუმტკიცებლადაკ-კი მიაჩნია, სამაგიეროდ მას ამ მიზნის მიღწევა ქართულ-ქართველურის გზით სწადიან. „ქართველურ ენათა შედარება შ-ს სასარგებლოდ ლაპარაკობს: ა. ხანშეტის ხ-

შეუძლებელი არ არის ჰ-საგან იყოს წარმომდგარი და მ. მეგრულ-ქანურში არსებული ნულბრეფიქსი (ე. ი. 2 პ. პრეფიქსის უქონლობა) უთუოდ შედეგია ოდესმე გამოყენებული ან თეორიულად მოსალოდნელი ჰ- თავსართისა, ამდენად შესაძლებლობა არის, რომ პრექართულში II პირის ნიშნად ჰ- გამოვაცხადოთ. და თუ ეს ასეა, მაშინ ჰ-ს არსებობის დაშვებას სვანურში რაღა ელოდება წინ! სვანური ხომ პრექართულის ნაყარია, მისი ფოთ-ერთი შტოთაგანი! მასაც სომ შეეძლო საერთო ექონებიდან წამოეღო ჰ- და დროთა ვითარებაში მიეცა ის სახეობანი, რომელთაანაც ჩვენ ზემოთ საქმე გვქონდა! ამიტომ „დებულებას“, რომ 2 პ. ნიშნად ჯერ ჰ იყო, ხოლო შემდეგ 6-დ იქცა, „ჩვენ ვიღებთ“-ო (სვ. ე. 1, 6-7).

ნ. მარტი მესამე პირის თავდაპირველ ნაცვალსახელად სუ და სი-სა საულის, შავრამ არც ამ უძველესი, არც შერშინდელი მისი სპირანტული სახესხვაობა ჰუ, ანდა ჰი იყო გამოყენებული, არამედ ამის მაგიერ ჩვენებითი ნაცვალსახელია იგი მხ. რ.-ისთვის და იგინი მრ. რ.-ისთვის. საშუალო საუკუნეების ძეგლებში, მაგ. შოთას ვეფხის-ტყაოსანში იხი და იხინი-ც გვხვდებოდ. ამ მესამე პირის ნაცვალსახელის ნათ., მიც., მოთხ., მოქ. და მიმართ. ბრუნვებად-კი მ-ძირისაგან ნაწარმოები ფორმები არსებობს (მის, მას, მან, მით, მად, მრ. რ. მათ და მათდა), რომლის არც ერთი რიცხვის სახელობითი ბრუნვის ფორმა არა ჩანსო (ძვ. ქ. გრ., გვ. 89).

ქართული ჩვენებითი ნაცვალსახელები მარტო პირისა თუ საგნის სახელოვან-სიშოოვან-კი არ გამოჰბატავენ ხოლმე, არამედ ერთ-ერთ პირთან დამოკიდებულების მაუწყებლნიც არიან ისევე, როგორც ძველ სომხურში, მაგ., ებე 1 პირის მახლობლად მყოფობის აღმნიშვნელია, ებე მე-2 პირის მახლობლად მყოფობის გამოხატველია, ხოლო იგი მე-3 პირთან მახლობლობის მაუწყებელიაო (ძვ. ქ. გრ., გვ. 98).

თუმცა მესამე პირის ნაცვალსახელების მაგიერ ჩვენებითი სახელები გვხვდება, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, არ. ჩიქობავას სიტყვილ „მესამე პირის ნაცვალსახელი მოიპოვება ქანურშიაც და ქართულშიაც: ესაა ქართული მან და ქანური მუქ. საკუთარი სახელობითი ბრუნვის უქონლობის გამო მან ჩვენებითს სახელს სესხულობს, და ამან გამოიწვია ჩვენებითი სახელისა და მესამე პირის სახელის აღრევა, მაგრამ ქანურში მუქ სახელობითშიც იხმარება და მაინც აქაც მესამე პირის ადგილას ჩვენებითს სახეს იყენებენ: ემუქუწუ იმან უთხრა და არა მუქ უწუ მან უთხრა“, უკანასკნელი „უფრო ძოთიონ უთხრა“-ს ნიშნავსო (ქან. გრ. ანალ., გვ. 73-74).

მესამე პირისა და ჩვენებითი მეგრული სახელების შესახებ არ. ჩიქობავას აგრეთვე ნათქვამი აქვს: „მეგრულში მესამე პირის ნაცვალსახელია მუ მან. ჩვენებით ნაცვალსახელებად გვაქვს ე-ნა, თ-ენა ეს, — ინა, თ-ინა ის, — აგრეთვე ათე-ნა ეს, აი ეს, — ეთინა ის, აი ის. მსაზღვრელად ხმარებისას ჩვენებითს სახელს-ნა ეკვეცება: ე კოჩი, თე კოჩი, ათე კოჩი ეს კაცი, აი ეს კაცი, ი კოჩი, თი კოჩი, ეთი კოჩი ის კაცი, აი ეს კაცი“ (ქან. გრ. ანალ. გვ. 74).

მეგრული ჩვენებითი სახელების **ენა**, **თენა**, **ინა**, **თინა**, **ათენა** და **ეთინა**-ს აღნაგობა არ, ჩიქობავას ისე აქვს წარმოდგენილი, რომ ყველა ამ ფორმებშინა მარცვალი გამოსაყოფია და აქ ყველგან „-ნა-ნაწილაკი ისეთივე სადეტერმინაციო ელემენტი ჩანს, რაც **მენა**, **შენა**, **ჩვენა**, **თქვენა**-ში გამოვყავით. თ-ელემენტი-კი ჯერ-ჯერობით განმარტოებით დგას ქართველური ენების სინამდვილეში: მას მეგრულსა და ქანურში აქვს ადგილი... და უკხო ვარემოდან შეთვისებულის შთაბეჭდილებას ტოვებს“-ო (ქ. გრ. ანალ., გვ. 74).

ქანურს ჩვენებით სახელებად **ჰაჰა** და **ჰეა** ვიწურ-არქაბულსა აქვს, **აჰა**, **ია** ხოფურს, ხოლო **ჰამ** და **ჰიმ** ათინურს. „ქართულში ამათი ბადალოა ამჟამად: **ეხ(ე)** და **ის(ი)**; ისტორიულად და დიალექტურად—**ჰაგი** (შეად. ჰაგრე) და **იგი** (← ჰიგი). ყველა ამ შემთხვევაში ჩვენებითობა დაკავშირებულია პირველ ნაწილთან: **ჰა-** და **ჰე || ჰი**“, ხოლო „ამ სახელთა მეორე ნაწილი—**ჰა || ა** ვიწურ-არქაბულსა და ხოფურისა იმავე ღირებულებისა უნდა იყოს, როგორც სადეტერმინაციო **-ნა || -ნა** პირველი და მეორე პირისა და **-ნა** მეგრულისა: **თე-ნა**, **თი-ნა**, **ეს, ის**“- დასასრულ, „ათინურის **-მ** (იგულისხმება **ჰამ-სა** და **ჰიმ-ში**), ისევე როგორც ქართულის **-ხ || გ** ელემენტი (იგულისხმება **ესა-სა** და **ეგე** და **იგი-ში**) ნაცვალსახელური ძირი ჩანს. მაინც და მაინც ათინური **ჰამ || ჰიმ** **ჰა** ფუძეს შეიცავს“-ო („შეად. ქართული **ამავე** საქმეს... **იმავე** დღეს“) (არ. ჩიქობავა. ქან. გრ. ანალ. 73).

ზმნის ფორმებში მესამე პირის აღნიშვნის წესი სვანურში დანარჩენი ქართველური ენებისაგან იმ მხრივ განსხვავდება, რომ სვანურს აქაც თავსართი აქვს, ქართულს, მეგრულსა და ქანურს-კი ბოლოსართი მოეპოვებათ. სვანური თავსართი **ლ** არის. ძველ ქართულს-კი ბოლოსართად **ნ** და **ს**, მეგრულსა და ქანურსაც იგივე თანხმოვნები მოეპოვება. ყველა ამ გარემოების გათვალისწინებისას, ვ. თოფურისას სიტყვით „ცხადია, სვან. **ლ-სა** და ქართულ-მეგრ.-ქანური **-ნ'** ს ექვევალენტობის საკითხი დაიბადებოდა. მართლაც, მორფოლოგიურად მათ შორის სრული იდენტობაა: უჩვენებენ სუბ. III პირს, დროისა და რიცხვის გამოხატვა მათს ფუნქციას არ შეადგენს. გენეტიურადაც **ლ-** და **ნ-** შორებელნი არ არიან: პირველის უკანასკნელისაგან მიღება თავისუფლად შეიძლება, და ჩვენც ასე ვვარაუდობთ: III პირის წინაქართულში უნდა ყოფილიყო **ნ-**, რომლის შეცვლილი სახე (**ლ-**) სვანურმა შემოგვინახა, ხოლო „შეურყვნელად“ იგი დანარჩენებმა დაიცვეს. **ლ-**ს თავსართობა და **-ნ'** ს ბოლოსართობა-კი ჩვენს დებულებას ვერ არყევს, რადგანაც შეუძლებელი არ არის ***ნ** ფორმანტი მოძრავი ყოფილიყო: იგი ხან პრეფიქსად მოგვევლინებოდა და ხან კიდევ სუფიქსად... დროთა სვლამ თავისი „დაღი დააჩნია“: თავსართად გახადა სვანურში, ბოლოსართობა დააკისრა დანარჩენ ენებში. **ლ-**პრეფიქსს ყველა ზმნაში III პ. ფორმა უნდა მოეცა, მაგრამ ხუთიოდე შემთხვევის გარდა **ლ-**ელემენტიანი ჩვენამდე არ მოწეულა“-ო (სვ. ე. I, 8—9).

ზმნის უღვლილების შრ. რ. თავსართთაგან ბუნებრივად I პირის ობიექტური ნიშნის თავისებურებამ მიიპყრო მკვლევართა ყურადღება, მეტადრე ძველ ქართულსა და სვანურში, სახელდობრ **გვ-**სა და **გჳ-**ს შედგენილობისა და აღმნიშვნელობის საკითხი.

ვ. თოფურია ამბობს: „**გუ**-პრეფიქსით ნაგულისხმევია «**შე**» და «**შენ** || **თქვენ**». ორსავე პირს საკუთარი **მ**- და **გ**- ნიშანი გააჩნია. როგორც ამ ფორმანტთა მსგავსება, ისე **გუ**-ს ფუნქცია გვაბედინებს დავუშვათ, რომ: **გუ**- წარმომდგარია **გ+მ**-, ე. ი. **გუ** შეიცავს II და I პირის ობიექტურ პრეფიქსებს. თუ ეს მოსაზრება მართალია, მაშინ სხვა საკითხიც ადვილად გადაიჭრება. სვანურს **გუ**- ან პრექართულიდან შეეძლო წამოეღო, ან დამოუკიდებელივ «**შეედგინა**». დაბრკოლებად სვანურში მეორე პირის ობიექტის **ჯ**-ს არსებობა ვერ ჩაითვლება, რათგანაც მისი პირგანდელი სახე **გ**- უნდა ყოფილიყო. 1. თუ **გუ** წინაქართულისაა, **გ**- ელემენტი სვანურში ვერ გაპალატალდებოდა, რადგანაც მის უშუალო მეზობლად -**უ** გვევლინება და არა ხმოვანი, 2. თუ სვანურის ნიადაგზე «**წარმოიშვა**» **გუ**-, მაშინ ეს **გ**-ს გაპალატალდებამდე უნდა მომხდარიყო“-ო (სვ. ე., გვ. 26—27 ა).

არ. ჩიქობავას ჩემი, შენი, ჩვენი და თქვენი, მეგრული ჩქიმი, სქანი, ჩქინი და თქვანი ისევე, როგორც ქანური ჩქიმი, სკანი, ჩქუნი და თქვანი სრულებით სამართლიანად კუთვნილებით ნაცვალსახელებად მიაჩნია, მაგრამ პირთა ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმად ის ჩემ, შენ, ჩვენ, თქვენ, — ჩქიმ, სქან, ჩქინ, თქვან, ჩქიმ, სკან, ჩქუნ და თქვან-სა სთვლის, რომელნიც თუმცა „დამოუკიდებელივ აღარ იხმარება, მაგრამ დაცულია ნათესაობითისაგან ნაწარმოებს ბრუნებში — მიმართულებითსა, დაშორებითსა და დანიშნულებითში (ქან. გრ. ანალ., გვ. 76).

პირთა ნაცვალსახელების ხელოვნურად აღდგენილნი ზემომოყვანილი ფორმები მხოლოდ აღქმული და მიჩნეულია ნათ. ბრუნვის ფორმად, არსებითად და მორფოლოგიურადც მათ ნათ. ბრუნვის არავეითარი ნიშანი არ უჩანთ. ისევე, როგორც ქანური მუჟ-ისა და მეგრული მუჟ-ს, თენა-სი და ათენა-ს ნათ. ბრუნვა მუჟ(ი), თეში და ათეში არის, 1 და 2 პირის ნაცვალსახელების ნათ. ბრუნვის ფორმები, რომ გადარჩენილი და დაცული ყოფილიყო, ჩქიში, სქაში, სკაში, ჩქუში, შქუში და თქვაში იქმნებოდა.

ნ. მარჩის თეორიით, კუთვნილებითი ნაცვალსახელები ჩემი, შენი, მიხი, ჩუენი, თქუენი და მათი წარმოადგენენ მრავლობითი რიცხვის ნორმებს, მაგრამ პირთა ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმებად არიან მიჩნეულნი (ძვ. ქ. გრ., გვ. 97), ე. ი. მ, ნ, ხ და თ მარჩს აქ მრ. რ. ნიშნები ჰგონია.

სვანური კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმები მხ. რ. 1 პირის მიშგუჟეა და მიშგუჟი-ს ჩემი-სა და 1 პირის მრ. რ. გუჟიშგე-სა ჩვენი-ს (ჩემი და შენი, ანდა ჩემი და თქვენი) და ნიშგუჟე-ს, ანდა ნიშგმა-ს ჩვენი-ს (ჩემი და მისი, ან მათი), ვ. თოფურიას ანალიზით იმავე ნაცვალსახელოვან მ, გუ და ნ-ს ელემენტებს შეიცავენ, რომელნიც ზმნაშიც გვხვდებიან. ამავე დროს მისი აზრით ჩვენი (ჩემი და შენი) გუშგუჟეა და ნიშგუჟეა (ჩემი და მისი, ან იმათი, ამნაირად უნდა განაწილდეს. — გუ-შგუ-ჟეა და ნი-შგუ-ჟეა, რომელთა მეორე ნაწილი შგუ იგივე ძირია, რომელიც გვხვდება მიშგუჟი-ს, ჩემ-ში. ამ კუთვნილებითს ნაცვალსახელს ვ. თოფურია ასევე ჰყოფს: მი-შგუ-ი და ფიქრობს, რომ აქაც სიტყვის მეორე ელემენტი შგუ არის. ეს შგუ ელემენტი იქვეყნალებითია

ქართული ჩვ- (ჩუ-)* ელემენტისაო (სვ. ე. 1, 27 შენ. 1), რომელიც ჩვ-ში გვაქვს დაცულიო.

ამ კუთვნილებით ნაცვალსახელების პირველი მარცვალი „გუი (იგივე ვუ-), ნი- და მი-“, ვ. თოფურიას უფრო დაწვრილებითაც აქვს განხილული და მის ანალიზით იშლება გუ-ი, ნ-ი, მ-ი ელემენტებად*, ხოლო მათი „-ი-კი ყოველმხრივ იგივე ი- უნდა იყოს, რაც ზემოსვანური ი-სგუ, ლაშხური ი-სგუ-ი, ლენტეხური ი-სკუ-ი «შენი» და ბალსზემოური ი-სგუ-ეა, ბალსქვემოური ი-სგ-ე, ლაშხური ი-სგუ-ე, ლენტეხური ი-სკუ-ე-ში «თქვენი» არის (შეად. ხი «შენ» ბალსზემოური სგა «თქვენ»). მაშასადამე, აღრინდელ ფორმად *ი-შგუ-, *ი-შგუ-ეა გამოდის, მ-, გუ-, ნ- კი შემდეგ დართვია. აკად. ნ. მარტის მოსახრება, რომ თითქოს სვანური „ნიშგვე... представляет от каждой из составных частей сложного ni-gu, т. е. соединения обоих основ и ni (P. niш-) и gu (P. gwe < * gw-esh из gu-esh: Ахем., § 22, გვ. 23, Справ. сбз., გვ. 23, 8, 9 Swan. 40. Kartv. 149, შენ. 1) ჩვენთვის მიუღებელია, ხოლო მის გრამატიკაში (Грамм. гр. из. §§ 105, 107) მოცემული ნაცვალსახელების ანალიზი ყურადღებას იქცევს“-ო (სვ. ე. გვ. 27, შენ. 1).

§ 3. ქართველური ნაცვალსახელების ანალიზის ამოცანები და ნაცვალსახელების ბოლოკიდური ნაწილი

ქართული და ქართველური ნაცვალსახელების შესახებ გამოთქმულ მოსაზრებათა მიმოხილვის შემდგომ, უნდა მათ განხილვას შევუდგეთ. მიზნად ამ შემთხვევაში ჯერ ორი ამოცანა გვექმნება დასახული, - ერთი მხრით ნაცვალსახელების აღნაგობის, ძირებისა და ფორმანტების ისევე, როგორც ოდინდელი დანიშნულების გამოჩვენება, მეორე მხრით-კი თვითოეული მათგანის წარმოშობილობისა და პირველადი მნიშვნელობის მიგნებაც. როდესაც ეს ორი ამოცანა შეძლებისამებრ გადაჭრილი გვექმნება, უნდა იმ წესის გამოჩვენებაც ვცადოთ, როგორც ნაცვალსახელების გამოსახატავად უძველეს ხანაში უნდა ყოფილიყო. მაგრამ უნდა ითქვას, რომ, თუ ზოგი ამ ამოცანათაგანის გადაჭრა მარტო ქართულ-ქართველური მასალებითაც არის შესაძლებელი, ზოგის მხოლოდ სინდურ-ლილურ-ლეგურ-ალბანური მასალების გათვალისწინებითა და გამოყენებით შეიძლება. ამიტომ ასეთი ამოცანების გადაჭრა შესაძლებელია მარტო მთელი ამ, ნაცვალსახელებისადმი მიძღვნილი, კარის ბოლოში ვცადოთ.

ბევრ ნაცვალსახელებს ქართულსა და ქართველურებში, როგორც ცნობილია, ბოლოში ნ ანდა ნა აქვს. უპირველესად უნდა ამ საერთო ნაწილის რაობა გადაწყდეს. უკვე ის გარემოება, რომ იგი ორივე პირისა და რიცხვის ისევე, როგორც ზოგიერთს სხვაგვარ ნაცვალსახელებსაც მოეპოვებათ, ამ ნ ბგერისა და ნა მარცვლის ბუნებას ამჟღავნებს: ძირეული მაინც ის არას გზით არ შეიძლება იყოს და ამიტომაც გამოსაყოფია. მე-ს, მენა-ს და შენ, ჩუნ, თქუნ, ათენა, თენა, ენა, ათინა, თინა, ინა-ს ნ ანდა ნა ელემენტის მრ. რიცხვის ნიშნად მიჩნევის თეორია ძნელი დასაჯერებელია, რათგან ამისთვის წინასწარ

უნდა შეუმცდარ დებულებად ვიცნათ, რომ ყველა ნაცვალსახელებს მრ. რიცხვ-შიც-კი მრ. რიცხვის ფორმები აქვთ. ამას არავითარი არც ლოგიკური საფუძველი უჩანს და ვერც ამ ფორმათა გააზრიანებისათვის გამოიყენებს ადამიანი.

დებულება, რომ ნ და ნა სადეტერმინაციო ელემენტია, მხოლოდ იმ შემთხვევაში გახდებოდა უცილებელი, თუ განმარტებული გვექმნებოდა, სახელდობრ რის განმსაზღვრელია ეს ნა და ნ და სახელდობრ რა წარმოშობილობისაა იგი. არ. ჩიქობავას, მესამე პირის შეგრულ-ქანური ნაცვალსახელის კანკლედობის თავისებურების აღნუსხვისას, აღნიშნული აქვს, რომ ქანური „ნაცვალსახელი მუჟ მხოლოდობითში საერთო წესების თანახმად ბრუნვის“ იმ თვალსაჩინო განსხვავებით, რომ „სახელობითშიაც და მოთხრობითშიაც-ჭ ერთვის, ე. ი. მოთხრობითის ნიშანი გადაჰყვება სახელობითშიაც ისევე, როგორც ქართულში ვი-ნ სახელს მოთხრობითის -ნ აქვს ორსავე ბრუნვაში“. ამ მხრივ შეგრული ქანურისაგან განსხვავდება: „სახელობითში შეგრულს -ჭ არა აქვს“. მაგრამ „აღსანიშნავია, რომ უ-ნ-არო სახელობითი ვინ-საც აქვს: ვი-ლა (|| ვინ-ლა) დათვლის, ვი-ლა ნოვა“-ო (ქან. გრ. ანალ., გვ. 76).

უფრო საგულისხმოა ამ ნაცვალსახელის მრ. რ. ქანური და შეგრული ფორმები. მისი ფუძე იცვლება: „ქანურში -თ დაერთვის, შეგრულში -ნ“ და, თუ ხოლოდობითში ის ქანურად მუჟ არის, მრავლობითში უკვე მუთ-ეფ-ე გვაქვს და შეგრულად მუ-ს მრავლობითში მუ-ნ-ეფ-ე-ა (იქვე, გვ. 76-77).

გამოსარკვევია ამ დანართი თ და ნ ბგერათა რაობა და სადაურობა. არ. ჩიქობავა ფიქრობს, რომ „მრავლობითის ფუძეს დართული -თ ქანურში და -ნ შეგრულში ერთი-და-იმევე ღირებულების მორფოლოგიური ოდენობა უნდა იყოს, ოღონდ სხვადასხვა ენობრივი ფენიდან. მათი მორფოლოგიური ფუნქცია და სადაურობა“-კი გამოსარკვევიაო (ქან. გრ. ანალ., გვ. 77).

ამ საკითხის გადასაწყვეტად არ. ჩიქობავას ჩვენებითი ნაცვალსახელეპის აღნაგობის ვათვალისწინებაც მიაჩნია საკიროდ. ქანური ჰააა და ჰეა (ვიწურ-არქაბული), ააა, და ია (ხოფური) და ჰაჰ, ჰიმ (ათინური), რომელნიც ესესა და ის-ს, იგო-ს უდრიან, „მოთხრობითიდან დაწყებული ფუძეს იცვლიან და მესამე პირის -მუ ფუძეს დაერთვის ჩვენებითი ა-, ჰა-(ა-მუ-ქ, ჰა-მუ-ქ)“ და მხოლოდ „ვიწური სახელობითში აღებულ ფუძეს უცვლელად ტოვებს“, მაგრამ არ. ჩიქობავას სიტყვით, „ექვს ვარეშეა, რომ ეს მოვლენა მერმინდელია“ (ქან. გრ. ანალ., 81). ამ ქანური ჩვენებითი ნაცვალსახელების მრ. რ. ფორმების ფუძე მხოლოდობითისაგან იმით განსხვავდება, რომ „დაერთვის თ ელემენტი, ამას მოსდევს მრავლობითობის მაწარმოებელი ეფ- და სახელობითი ბრუნვის დაბოლოება ე.“ ამიტომაც მრ. რ. იქმნება: ხოფურად ანთეფე, ვიწურ-არქაბულად ჰამთეფე და ჰათეფე. არ. ჩიქობავა ფიქრობს, რომ ამ ფორმებში „თ-ს წინ მ- || ნ- ფონეტიკურადაა განვითარებული“. ამას ის ვარეშოება აფიქრებინებს, რომ „აფხაზეთის არქაბულ ლაზებში ქალები ხმარობენ ჰა-თ-ეფ-ე-ს, რაც ამ ფორმის სიძველის მაჩვენებელი უნდა იყოს“-ო (ქან. გრ. ანალ., გვ. 82).

მრ. რ. ეფ მაწარმოებელის ჩამოშორების შემდგომ, შემომოყვანილი ქანური ჩვენებითი ნაცვალსახელების მხოლოდობითი რიცხვის ფუძედ დაგვრჩება ჰათ, ათ, ჰეთ და ეთ. „ექვს ვარეშეა, რომ ეს იგივე მასილაა, რაც შეგრულს გააჩნია“

ა-თ-ე კონი, ე-თ-ი კონი: (აი) ეს კაცი, ის კაცი, მხოლოდობითში ეს თ-იანი ჩვენებითი სახელები ქანურმა დაკარგა, მათი ადგილი დაიჭირა შა-ჯა, ა-ჯა, შე-ა, ი-ა-მ. მაგრამ მრავლობითში ჯერ კიდევ კოცხლობს მხოლოდობითში დაკარგული თ, ამასთან დაკავშირებით დაისმის -ჯა || ა-ს სადაურობისა და რაობის საკითხი. ამ საკითხზე გარკვეული პასუხის მოცემა იმეამად ძნელია“-ო (ქ. გრ. ანალ. გვ. 82).

სამიგეროდ ავტორს, არ. ჩი ქობავას, გამორკვეულად მიაჩნია მეგრულში მს. რ. დაცული და ქანურში მარტო მრ. რ. ფორმებში და შერჩენილი თ-ს რაობა: მისი სიტყვით ეს „ნაცვალსახელურა ძირი -თ- ქართულში დაცულ -ს და გ-ს ბადალი“ არის „ფუნქციურად (შეად. ა-თ-ე, ე-ს-ე, ე-გ-ე, —ე-თ-ი, ი-ს-ი, ი-გ-ი), ე. ი. პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელურ ძირად არის მისაჩნევით (იქვე, გვ. 82).

ამ ნ, ნა და თ-ს ბუნების ყველა შემომოყვანილი განმარტების სრული სისწორის დაჯერება შესაძლებელი იყო, თ და ნ ელემენტებს რომ შეგრულსა და ქანურში სწორედ ისეთივე განსხვავებული აღმნიშვნელობა ჰქონოდათ, როგორც ებე-სა და ეგე-ს ქართულში ძველდაც ჰქონდა და ეხლაც აქვს, ე. ი. ერთი მათგანი, თ ანდა ნ რომ პირველ პირთან, მეორე კიდევ მეორე პირთან მახლობლობის გამომხატველი ყოფილიყო. მაგრამ ნამდვილად მეგრულ-ქანურ ჩვენებითს ნაცვალსახელებში მარტო მახლობლობა, თუ დაშორებულება გამოიხატება, ისიც მხოლოდ ა, ე, ი ხმოვნებით, პირთან დამოკიდებულება-კი არ აღინიშნება. ამას გარდა, ნ და ნა ელემენტი ბევრგან სხვაგანაც, მათ შორის პირის ნაცვალსახელების ბოლოსართადაც, გვხვდება, რომ მისი ნაცვალსახელური ძირობის აზრის გაზიარება შესაძლებელი იყოს.

მეგრული ჩვენებითი ნაცვალსახელების აღნაგობის სისწორით გამოსარკვევად წინასწარ უნდა გადაწყვეტილი გვექონდეს, თუ სახელდობრ რომელი მათგანი უნდა უძველესი და სრული ბგერითი შედგენილობის დამცველი იყოს: ენა, ინა, თუ თენა და თინა? საფიქრებელია, რომ ამ ოთხ ფორმათაგან უძველესი და უსრულესი, თინა-ა. ეს თინა თავდაპირველად ჩვენებითი ნაცვალსახელი-კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ უკუტყვევითი ნაცვალსახელი იქმნებოდა ამისგან წაწარმოები ჩვენებითი ნაცვალსახელი-კი მთინა-ა.

თესთ თინა ორი ნაწილისაგან შესდგება, რომელთაგან პირველი თი-ა, მეორე-კი ნა. თი იგივეა, რაც ქანურად თავსა და თითონ-ს ნიშნავს, ხოლო ნა ისეთივე ფორმანტია, როგორც თვთონ, თითონა-ს ონ და ონა-ა, ე. ი. თინა უდრის თითონ-ს, მთინა-კი ნიშნავს „ეს თითონ“, „თითონ ეს“, მინა თინა-ს ფონეტიკური სახესხვაობა უნდა იყოს, ინა და მინა-კი მხოლოდ თ-ჩამოცლილი ფორმა ჩანს.

თ და ნ ელემენტების თავდაპირველი რაობის ძიების დროს, ის გარემოება განსაკუთრებული ყურადღების ღირსი, რომ „ის“, „იგი“ მუჟ (ქ.) და მუ (მ.) მრავლობითს რიცხვში ორი განსხვავებული ფუძით გვევლინებიან და ქანურად მუთეფე გვაქვს, მეგრულად-კი მუნეფე. თუ იმ მჭიდრო ენობრივს კავშირს ვავიხსენებთ, რომელიც მეგრულსა და ქანურს შორის წინათაც არსებობდა და ეხლაც მკაფიოდ ჩანს, შესაძლებელია წამოიკრას საკითხი, თ და ნ ხომ ერთი-და-

იმავე სიტყვის ანარეკლი არ არის, რომლის ერთი თანხმოვანი ბგერა თ ქანურის მრ. რ. ფორმამ შეინარჩუნა, მეორე ბგერა-კი ნ მეგრულისამ დაიცვა. სახელდობრ, აქ ხომ ისეთივე წარმოების ანარეკლთან არა გვაქვს საქმე, როგორც მეგრული ათენა და ათინა-ა, სადაც მეორე ნაწილი მთლიანი თენა და თინა არის, და წინათ ხომ მუთენა და მუთინა არ იყო, რომლისაგანაც შემდეგ მრ. რ. ფორმად მუთნეფუ წარმოსდგა, და აქეთგან ქანურს ნ დაეკარგა, მეგრულს-კი პირიქით თ და ამ დიფერენციაციით ერთი ფორმისაგან ორი განსხვავებული ფორმა გაჩნდა. ამ მოსაზრებას ისიც გვათქმევინებს, რომ ქანურად ააა-ს მრ. რ. ფორმა მართლაც ამ ორსავე თანხმოვანს შეიცავს და ანთეფე-ა. საფიქრებელია, რომ ეს ფორმა უნდა უფრო ადრინდელი ათნეფე-საგან იყოს პირველი ორი თანხმოვნის ადგილმონაცვლებით წარმომდგარი. თავდაპირველად უეჭველია ამ ორ თანხმოვანს შუა ხმოვანიც ექმნებოდა. ყველა ეს მოსაზრება რომ მთლად უნიადაგო არ არის, ამას მეგრულიც ცხადპყობს, რომელსაც ისინი-სა და იგინი-ს გამოშხატველად მართლაც სწორედ ასეთი ფორმა ეთინეფე მოეპოვება.

არ. ჩიქობავა უიქველია არ სკდება, როდესაც ამბობს, რომ ეთინეფე-ს „ნ აქ მხოლოდითიდანაა გადმოყოლილი“ მრ. რ. ფორმაში (ქან. გრ. ანალ. გვ. 197), მაგრამ ასეთივე გარემოება უნდა ქანურს ანთეფე-შიც ვიგულისხმოთ. საერთოდ მეგრულსა და ქანურში ეტყობა ეს და ებ თავდაპირველად ორნაწილადი სიტყვები ყოფილა, რომელთაც პირველ ნაწილად ჩვენებითი ნაცვალსახელი ჰა და ჰე, მეორე ნაწილად-კი თინა ჰქონია, და რომელნიც მთლიანად „ის თითონ“-ისა და „ეს თითონ“-ის აღმნიშვნელი ყოფილან.

სვანური ვ. ვ. მ. რ. ნაცვალსახელი ეჯა-ც, ეგე-ც უნდა ორი, ე და ჯა, ნაწილისაგან იყოს შედგენილი. თუ გავიხსენებთ, რომ ჯა სვანურად ნიშნავს „თითონ“-ს და ე ადრინდელი ჰე-საგან წარმომდგარი მითითებითი ნაცვალსახელია, ცხადი გახდება, რომ ეჯა-ც თავდაპირველად „ეს თითონ“-ის, ანუ „თითონ ეს“-ის აღმნიშვნელი ყოფილა.

ამნაირად, მეგრული, ქანური და სვანური ჩვენებითი და ვ. ვ. ნაცვალსახელების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ნაცვალსახელების აღნაგობის მისაგნებად დიდი მნიშვნელობა უკუქცევითი ნაცვალსახელების ცოდნას ჰქონია. სრულებით მოულოდნელად ზოგიერთი ნაცვალსახელების მეორე, ანდა ბოლოკიდური ნაწილი სწორედ ეს ელემენტი აღმოჩნდა.

ამის შემდგომ სრულებით ბუნებრივია, რომ უკუქცევითი ნაცვალსახელის ქართველურს ენებში გამოსახვის ამ წესს მივაქციოთ ყურადღება. ძველ ქართულში ამ ცნების გამოსახატავად, როგორც ვიცით, თავადი, თავი თვისი, თვთ და მარტივად თვისი იყო. შემდეგში პირველს მათგანს ასეთი მნიშვნელობა აღარ უჩანს და სამაგიეროდ ჩნდება თითონ, თვით, რომელნიც იმავე წარმოშობილებისანი არიან.

მეგრულ ქანური თინა და თი, მეგრული დუდო-ც ხომ ამნაირადვე თავის სახელთან არიან დაკავშირებული და სწორედ მისგანვე არიან ნაწარმოები.

საყურადღებოა, რომ სვანურიც უკუქცევითი თითონ ნაცვალსახელის გამოსახატავად თხუიმ-სა და თხუმშუ-ს ხმარობს, მაგ. „მე თითონ ვიზამ“ იქნება „მი თხუმშუ ხუიჩო“ (ფაფალა გარდაფხადის ცნობა). თხუმშუ ორი ნაწილისა-

გან არის შედგენილი, თხუმ და შტ-ისაგან. თხუმ იგივე თხუიმ-ია, ე. ი. ძველი ქართული თხემი-ის შესატყვისობა, რომელიც თავს ნიშნავს. ხოლო შტ ცალკეულად თანამედროვე სვანურში არ გვხვდება, მაგრამ ფორმანტად სხვაგანაც იხმარება და თავად-ის აღმნიშვნელია ისეთს გამონათქვამებში, როგორცაა მაგალითად მიშგუშუშუ „ჩემ თავად“, -ისგუაუშუ „შენით“, „შენთავად“. მაშასადამე თხუმშუ არსებითად ორმაგს თითონ ნაცვალსახელს წარმოადგენს, ანდა მოქმედებითი ბრუნვის ფორმაა.

§ 4 ნაცვალსახელების ძირების საკითხი

ქართული და ქართველური ნაცვალსახელებისა და ნაცვალსახელოვანი ნაწილაკების ზოგადად განხილვის დროს, მკვლევარის ყურადღებას ის აღრეულობა იპყრობს, რომელიც მათ ძირებს და ფუძეებს ეტყობათ. ასევეა სხვა მოდგმის ენებშიც, მაგრამ ეს ნუგეშად ვერ გამოგვადგება. ეს გარემოება ნაცვალსახელების ძირების გამოკვლევას უალრესად აძნელებს.

A. 1 პ. მხ. რ ნაცვალსახელი

თუმცა მ-ს 1 პ. ნაცვალსახელის ნიშნად მიჩნევათ კარგად უღებია ის გარემოება, რომ ცალკეულ ნაცვალსახელად ზოგადს ქართულსაც სწორედ მე აქვს და ყველა ქართველურებსაც ეს თანხმობიანი ძირივე მოეპოვება, მაგრამ ამ მოსაზრებას მაინც არა ერთი დამაბრკოლებელი გარემოება ელობება წინ.

მხ. რ. 1 პირის ქართ. ნაცვალსახელი ამავე პირის მრ. რიცხვისა და 2 პირის ორივე რიცხვის ფორმებისაგან იმით ვანსხვავდება, რომ, თუ ამ უკანასკნელთ ყველა ბრუნვებში ერთი-და-იგივე ძირი აქვთ (შენ, შენი, შენით, - ჩვენ, ჩენი, ჩენით, - თქვენ, თქვენი, თქვენიც), პირველს ასეთი მთლიანობა არ უჩანს და, თუ სახელობითი ბრუნვა მე არის, ნათესაობითი უკვე ჩემი-ა, მიცემითი ბრუნვა ისევ მე-ა, მოქმედებითი-კი კვლავ არის ჩემით. ამნაირად 1 პირის ნაცვალსახელს ნათესაობითსა და მოქმედებითს ბრუნვებში რატომღაც თავში ჩე მარცვალი უჩნდება.

რაკი ჩემი არსებითად ნათ. ბრუნვის ფორმა-კი არა, არამედ კუთვნილებითი ნაცვალსახელია, ამიტომ შესაძლებელია თავკიდური ჩე სწორედ კუთვნილებითობის გამომხატველ ნაწილაკად მიგვეჩნია. მაგრამ ასეთი მოსაზრება რომ სწორე არ იქნებოდა, ამას 1 პირის მრ. რ. ფორმა ჩუენ და ჩვენ აშტკიცებს, რომელიც საბ. ბრ. ფორმაა და რომელსაც ამიტომ კუთვნილებითი ნაწილაკი არც შეიძლება და არც უნდა ჰქონდეს.

ამ შემთხვევაში რომ ფრიად საყურადღებო და ზოგადი ხასიათის მოვლენასთან გვაქვს საქმე, ამას ის გარემოებაც ცხად-ჰყოფს, რომ ძირისა, თუ ფუძის ბგერითი ერთგვარობა მარტო სამწერლობო ქართულის 1 პირის ნაცვალსახელს-კი არა აქვს დარღვეული, არამედ მეგრულსა და ქანურშიც (მგგ. და ქან.: მა, ნათ. ჩქიმი, შქიმი), რომელთაც ამავე დროს, ქართულის მსგავსადვე, 1 პირის მრ. რ. და 2 პირის ორივე რიცხვის ყველა ბრუნვების ფორმებში ძირისა, თუ ფუძის სრული ბგერითი ერთგვარობა აქვთ დაცული. ამ მხრივ ერთნაირს გამო-

ნაკლისს მარტო სვანური წარმოადგენს, რომელშიც 1 პირის შს. რ. ნათესაობითი ბრუნვის და იმავე დროს კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმას ძირის ბგერითი მთლიანობა დაკული აქვს და, თუ საბ. ბრ. მი არის, ნათ. ბრ. მიშ-გუე-ა. მაგრამ შისი ნათ. ბრ. ფორმას სამაგიეროდ მეორე ნაწილად, ამ პირის ნათ. ბრ. კანონიერი ფორმის შემდგომ, რატომღაც გამოურკვეველი წარმოშობილობის გუეა ერთვის.

1 პ. შს. რ. ნაცვალსახელის შ-ს თავდაპირველს რაობას გაუგებოდად შესამე პირის ჩვენებითი ნაცვალსახელიც ჰხდას. ცნობილია, რომ ეხე, ანუ ეს პირველ პირთან ახლო მდგომის აღმნიშვნელია, — ეგე, ანუ ეგ მეორე პირთან მახლობელს ჰგულისხმობს, — ხოლო ის, ანუ იგი შესამე პირთან ყოფნის მაუწყებელია. ყველა ამ ჩვენებითს ნაცვალსახელებს-კი ორივე რიცხვის სახელობითი ბრუნვისათვის შემომოყვანილი ფუძე აქვთ, ხოლო ორივე რიცხვის ყველა დანარჩენი ბრუნვებისათვის სრულებით სხვა, სახელდობრ შ-თანხმოვნიაანი ფუძე მოეპოვებათ (ამის, ამას, ამან, ამათ, ამად, — მაგის, მაგახ, მაგან, მაგით, მაგად, — მის, მას, მან, მით და იმის, იმას, იმან. იმით, იმად). ცხადია, რომ შ ყველა ამ შემთხვევებში არას გზით არ შეიძლება პირველი პირის ნაცვალსახელოვან არც ობიექტურ ნიშანთან იყოს დაკავშირებული და არც მე ნაცვალსახელთან. ეს ვარაუდობა მით უფროა საყურადღებო, რომ ამ ჩვენებითს ნაცვალსახელს მეგრულსა და ქანურში ძირის მთლიანობა თავითვან ბოლომდე აქვს დაკული და იქ სახელობითი ბრუნვის ფორმაც მ-ბგერიანია: ნუ (მეგრ.) და მუქ (ქან.).

ჩვენებითს ნაცვალსახელებში 1 პირის გამომხატველი ბგერის ძიებას რომ შევდგომოდით, უფრო ბუნებრივი იყო 1 პ. ნიშნად ხ (ესე, ეს), ხოლო 2 პირისად გ (ეგე, ეგ) მიგვეჩნია, რომელთაგან უკანასკნელი მართლაც ზმნებში 2 პ. ობიექტური ნიშანია კიდევაც, მაგრამ ასეთი დასკვნაც-კი მკდარი იქმნებოდა, რათვან იგივე ხ და გ თანხმოვნები ი ხმოვნიანურთ (ის და იგი) უკვე 1 და 2 პირთან-კი არა, არამედ ორივე მარტო შესამე პირთან მახლობელობის გამოძღვლებელია. რაკი ირკვევა, რომ ჩვენებითს ნაცვალსახელებში ენას პირის მაუწყებელად არც ხ და გ მიუჩნევიან, ისე გამოდის, თითქოს შესამე პირის, მდებარეობა-მყოფობისდა მიუხედავად, გამომხატველ ელემენტად ყველა ბრუნვებში, სახელობითს გარდა, მხოლოდ შ იყოს.

მაშასადამე, ბუნებრივად იბადება აზრი, თითქოს ქართველურს ენებს 1 და 3 პირის ნაცვალსახელებისათვის ერთი-და-იგივე შ ძირი ჰქონდეს. ნ. მარრი, როგორც დავრწმუნდით, ამ მოკლენას დასაწყისითვან არსებული ვითარების ანარეკლად საფიქრდა და ფიქრობდა კიდევაც, რომ საერთოდ ქართველურს ენებს, თუ დიალექტებს, თავდაპირველად სხვა-და-სხვა პირისათვის ერთი-და-იგივე ძირები ჰქონდა და მხოლოდ დროთა განმავლობაში მომხდარი დიფერენციაციის გზით ენას თვითოეული პირისათვის განსხვავებული ბგერითი სახეობა მიუკუთვნებია, ე. ი. განსხვავებულობა არსებითი-კი არ არის, არამედ ისტორიული პროცესის შედეგს წარმოადგენს (ძვ. ქ. გრ., გვ. 85).

მაგრამ სანამ გამოიკვეთილი, ანდა მიგნებული მაინც არ არის იმ ძირის რაობა და მაშინდელი მნიშვნელობა, ასეთს დებულებას შეუძლებელია დამაჯერებელი ძალა ჰქონდეს, ცხადია, რომ იმ ძნელად გასაგებს გარემოებასაც ვერ აგვიხს-

ნის, თუ როგორ უნდა განერჩიათ შაშინ საუბარში, პირველსა, თუ მესამე პირზე იყო მსჯელობა.

ცნობილია, რომ ქართულსა და ქართველურებს ისევე, როგორც სინდურ ენათა ჯგუფსაც, რაზედაც მომდევნო კარში გვექმნება საუბარი, პირთა ნაცვალსახელების ელემენტები ზმნის ფორმებშიც მოეპოვებათ. ამასთანავე სინდურს ენებში, როგორც დაერწმუნდებით, ზმნის ნაცვალსახელოვანი თავსართები პირთა ცალკეული ნაცვალსახელების სისწორითა და ცუდს ბგერითს ელემენტებს წარმოადგენენ. ამიტომაც პირთა ნაცვალსახელების წინანდელი ბგერითი სახის გამოსარკვევად და აღსადგენად ნაცვალსახელოვანი ელემენტების გათვალისწინებაც არის საჭირო და გამოყენებაცაა შესაძლებელი.

თუ 1 პ. მხ. რ. ნაცვალსახელის ძირის ძიების დროს საკითხს ამ მხრით ჩივუდგებით, ადვილად დაერწმუნდებით, რომ პირველი პირის მხ. რ. ნაცვალსახელს სხვა თავისებურებაც ახასიათებს: ამ ნაცვალსახელსა და მხ. რ. 1 პ. სუბიექტურ ნაცვალსახელოვან თავსართს შორის განსხვავებაა და ცალკეულ ნაცვალსახელად მე გვაქვს, რომელიც ხალხში მენა-და-ც გამოითქმის, 1 პ. სუბიექტურ ნაცვალსახელოვან ნიშნად კი ვ-ა, ხოლო მ ზმნაში მართო ობიექტურ თავსართად გვევლინება. მართალია, სვანურის ლენტეხურს კილოში, როგორც ვარ. თოფურიას აქვს აღნიშნული, მ სუბიექტურ თავსართადაც „გვხვდება ნაარვისო ქცევის ფორმებში ვ- ხმოვნით დაწყებულ ფუძეთა წინ, მაგ. მგრდი ვზრდი, მეთრე ვსთესამ, მგვემ ვაგებ, მგრხი ვქნი ლობიოს“ (სვ. ე. 1, 7), მაგრამ ასეთი მოვლენა სვანურისთვისაც გამონაკლისს შეადგენს, რათგან მ იქაც ჩვეულებრივ ობიექტური თავსართია.

ვ და მ-ს იგივეობის აზრი ბუნებრივია, მაგრამ რომელი ამათგანია პირველადი და რომელი მერმინდელი შენაცვლებისა და დიფერენციის შედეგს წარმოადგენს, ეს საკითხი მკვლევართ, როგორც დაერწმუნდით (იხ. გვ. 433), სხვადასხვანაირად აქვთ გადაწყვეტილი.

ამ მოსაზრებათა განხილვასაც რომ აქ არ შევუდგეთ, მაინც უნდა ითქვას რომ, რაკი მე-ს ძირის მაღლიანობაც დარღვეულია და მ ბგერაც ხან სუბიექტის (ცალკეულად) და ხან ობიექტის (ზმნის თავსართად) გამომხატველიც არის და ვ პ. თუ ჩვენებითი ნაცვალსახელის ძირიც ჩანს, შესაძლებელია გვეფიქროს, რომ აქ 1 პ. მხ. რ. ნაცვალსახელის პირველადი სახისა და ძირის ძებნა, მრავალგვარი მერმინდელი დამახინჯებულობის გამო, აზოო ცდა იქმნებოდა და ამიტომაც დაგვესკვნა, რომ ზმნის ნაცვალსახელოვან თავსართებშია უფრო მისი თავდაპირველი სახის დაცულობა მოსალოდნელი.

ზემოაღნიშნულისდა მიხედვით, უნდა დაგვესკვნა, რომ 1 პ. მხ. რ. ნაცვალსახელის თანხმოვანი ელემენტი მ- კი არა, აოამედ სწორედ ვ ბგერა უნდა იქმნეს ბიჩნეული. ეს ადვილი დასაჯერებელი იქნებოდა, რომ ვ-ს ძიობის საკითხთანაც სხვადასხვა დამაფიქრებელი გარემოება არ იყოს დაკავშირებული. ჯერ ერთი, რომ ისევე, როგორც მ ერთსა და იმავე დროს 1 პ. მხ. რ. — ისიცა და ვ პ. მხ. რ. ჩვენებითი ნაცვალსახელების ძირად მოჩანს, ვ-ც ხომ ერთი მხრით 1 პ. მხ. და მრ. რ. თავსართოვანი ნიშანია, მეორე მხრით-კი ვი კით-

ხვითი ნაცვალსახელის (ვინ?) ძირიც არის, ცხადია, რომ შეუძლებელია თავით-
განვე ასე ყოფილიყო.

ზემოდასახელებულს მოსაზრებაზე მეტად უნდა შემდეგ გარემოებას გაეწიოს
ანგარიში: დებულებას, რომ ვ 1 პ. ნაცვალსახელოვანი პირველადი თავსართია
ქართულსა და ხაერთოდ ქართველურ ენებში, მთლიანად ნიადაგს უცლის ჩვენ-
თვის აწ უკვე კარგად ცნობილი გარემოება: ვ ხომ თავდაპირველად მამრობითი
სქესის ნიშანი ყოფილა. რაკი 1 პირად ცხადია სხვა სქესისხანიც იყვნენ, ამიტომ
სრულებით შეუძლებელია, რომ იმ ხანაში ვ 1 პირის ნიშანი ყოფილიყო.
ასეთი რამის დაჯერება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქმნებოდა შესაძლებელი, თუ
წარმოვიდგენდით, რომ თავდაპირველად ყოველ პირსა და სქეს-კატეგორიას თავ-
თავისი განსხვავებული ნიშანი ჰქონდა. მაგრამ მაშინ უნდა გვეფიქრა, რომ
მარტო მხ. რიცხვისათვის ქართულს სულ ცოტა 12 სხვადასხვა ნაცვალსახელი
უნდა ჰქონოდა, რის მაგალითიც არსად მოგვეპოვება და რაც ამიტომ სრულე-
ბით ფანტასტიკურ მოსაზრებადაც უნდა იქმნეს მიჩნეული.

რაკი მ 1 პირისაცა და 1 პ. ნაცვალსახელებისა, ხოლო ვ 1 პ. ნაცვალ-
სახელოვან თავსართადაცა და კითხვითი ნაცვალსახელის ძირადაც მოჩანან, ამი-
ტომ ცხადია, რომ თავდაპირველად მათ რაღაც ისეთი ზოგადი მნიშვნელობა
უნდა ჰქონოდათ, რომ მათი ასე ფართოდ გამოყენება შესაძლებელი გამ-
ხდარიყო.

ყოველივე ზემოაღნიშნული დაარწმუნებდა ადამიანს, რომ არც მ და არც
ვ თავდაპირველად 1 პ. ნაცვალსახელის ძირად არ შეიძლება ყოფილიყო.
მაშასადამე, ამ დანიშნულების გამომხატველად მხოლოდ ის ჩ ბგერა-ღა
გვჩნება, რომელიც მრ. რ. 1 პ. ნაცვალსახელს ჩჰმნ-სა და მხ. რ. კუთვნი-
ლებითს ნაცვალსახელს ჩგმ-ს აქვთ დაცული

შესაძლებელია 1 პ. ნიშნად კიდევ ს თანხმოვანიც მოგვეჩინა, რომელიც
პირველ პირთან მახლობელობის გამომხატველს ჩვენებითს ნაცვალსახელს ეხე-ში
მოგვეპოვება, ამას რომ უკვე თავის ადგილას დასახელებული გარემოება, ისი-ს
აღნიშნულობა, არ ასუსტებდეს და თითქმის სრულებით არ აქარწყლებდეს კი-
დევაც.

მ მხ. რ. 2 პ. ნაცვალსახელის ძირის საკითხი

2. პირის მხ. რ. ნაცვალსახელის ძირის შესახებაც, როგორც დავრწმუნდით,
მკვლევართა შორის თანხმობა არა ჩანს. ქართ. შენ-ს მეგრ.-ქან.-სვან. სი და
ხინ უდრის. მართალია, ამ ნაცვალსახელს ძირის მთლიანობა ყველა ბრუნვებში
დაცული აქვს, მაგრამ სამაგიეროდ ზმნაში 2 პ. ნიშნად შ-ს მაგიერ ხ და მ
გვაქვს. ზოგს მკვლევართაგანს ამ ორთაგან ხ მიაჩნია პირველადად, ზოგს მ,
ზოგი-კი ფიქრობს, რომ ორივე იყო პარალელურად.

ვარ. თოფურისა ზემომოყვანილი მსჯავრი, რომ აკ. შ ანი ძის დებუ-
ლება სვანურში ჰ-ს პირველადობის შესახებ მხოლოდ ჰიპოთეზაა, შესაძლებე-
ლია ქართულისათვისაც მარჯვე მსჯელობად იქმნეს მიჩნეული, რათგან აქაც
დებულება, რომ ძველ ქართულში მეორე პ. სუბ. პრეფიქსად თავდაპირველად მ

იყო და მხოლოდ შემდეგ იქცა ხ-დ, მერმე-კი კვლავ ჰ გაჩნდა, აგრეთვე მარტო-პიპოთეზად შეიძლება იქმნეს ცნობილი: უძველესი ძეგლებით მხოლოდ ხ არის 2 პ. თავსართად დადასტურებული და იმ აზრსაც, თითქოს ხ-ზე უწინარეს ჰ იყო, ქართულშიც ისევე სჭირდება ძეგლებით დამტკიცება, როგორც სვანურში.

ვ. თ ო დ უ რ ი ა ს საბუთიანობაც სვანურში ჰ-ს მე-2 პ. სუბ. თავსართობის ხ-ზე უწინარესობის დასამტკიცებლად არსებითად ჰ-ს ქართულში ხ-ზე უწინარესობის პიპოთეზაზეა დამყარებული, ასეთს მტკიცებას დამაჯერებლობა ვერ ექმნება.

მეგრულ-ქანურში მეორე პირის სუბ. ნაცვალსახელოვანი თავსართის უქონლობის „ოდესმე გამოყენებული ან თეორიულად მოსალოდნელი ჰ- თავსართის“ იქ „უთუოდ“ არსებობის დებულებაც უფრო რწმენას მიაგავს, ვიდრე საბუთს. არაფრით ეს უთუობა დამტკიცებული არ არის, მაინცა და მაინც არაფრითავე არა ჩანს, რომ მეგრულ-ქანურს ხ იმავე გზით არ შეეძლო მთლიანად დაეკარგა, როგორც ეს თავსართი ქართულში ხმოვნით დაწყებულს ხმებს გაუქრათ.

ხოლო თუ სვანურს, ვითარცა პრექართულის „ნაყარსა“ და ერთ შტო-თავამს, „შეეძლო საერთო „ქონებიდან“ წამოეღო ჰ-“, რატომ არ შეეძლო მას ამავე უფლებით ხ დაემკვიდრებინა? მემკვიდრეობითი კუთვნილების თეორია არამც თუ ჰ-ს სვანურში უწინარესობის დასამტკიცებლად არ გამოდგება, არამედ სწორედ ეს მოსაზრებაა, რომ ამ დებულებას ყოველგვარ დამაჯერებელ ძალას უკარგავს. მართლაც, ვთქვათ და წარმოვიდგინოთ, რომ სვანურმა მე-2 პ. სუბ. თავსართად სწორედ ჰ დაიმკვიდრა, როგორცაა შეეძლო ეს ჰგერა სვანურს შემდეგ ხ-დ ექცია, თუ-კი, თვით ვ. თ ო დ უ რ ი ა ს ე ვე სამართლიანი განცხადებით, „სვანურში ხ-ს მიღება ჰ-საგან“ თურმე „იმდენ ექვს... იწვევს“, რომ ჰ-ს უწინარესობისა და მისგან ხ წარმოშობილობის დებულებისათვის „სწორედ ამაშია ფონეტიკური ხასიათის დაბრკოლებები“. ცხადია, რომ, რაკი მე-2 პ. სუბ. პრეფიქსად ჰ-ს ოდესმე არსებობა „ჯერ კიდევ სვანური მასალებით არ არის დამტკიცებული“ და იმავე დროს „სვანურში ხ-ს მიღება ჰ-საგან“ ძნელი დასაჯერებელია, მემკვიდრეობითი საკუთრების მოსაზრებას თუ დამყარება მკვლევარი, ბუნებრივ დასკვნად შესაძლებელია მხოლოდ ამნაირი მიეღოს: ხ მე-2 პ. სუბ. თავსართად პრექართულითგან უნდა ჰქონდეს შერჩენილი ისევე, როგორც ამავე თვისების მემკვიდრეობას უნდა წარმოადგენდეს ხ ძველ ქართულშიც, ანდა უნდა დაგვესკვნა, რომ სვანურს წინათ 2 პ. თავსართად რაღაც სხვა ჰგერა ჰქონდა, ხ-კი მარტო ე. წ. ხანმეტობის ხანის შემდგომ გაუჩნდა ქართულის გავლენით.

დასასრულ, მხოლოდ ის საკითხი-ღა გვაქვს განსახილველი, თუ რამდენად სწორე დებულებაა, თითქოს ე. წ. „ხანმეტობა“ მარტო აღმ. საქართველოს მეტყველების დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდეს და თითქოს დას. საქართველოში, მეგრულსა და ქანურში ხანიანობის ოდესმე არსებობის არავითარი საბუთი და კვალიც-კი არ მოგვეპოვებოდეს.

სვ. ჯ ა ნ ა შ ი ა მ აღნიშნა, რომ თანამედროვე ქართულში საკუთარ სახელად შერჩენილია „ხახარე“. გუდამაყრულ ერთ ლექსში ერთი გზირის შესახებ ნათქვამია: „ხახარემ ნახა სიზმარი, სიზმარი იყო მკრიანი“-ო. ეს „ხახარე“ საკუთარ

სახელად თურმე ქართლში სოფ. ღვარებშიაც იხმარება. სვ. ჯანაშიას სამართლიანი აზრით, „ხაზარე უნდა გაგებულ იქნას, როგორც ხარება ზმნის მოთხრობითი ან ბრძანებითი კილოს ფორმა. პირველ შემთხვევაში ხანს ექნება როგორც მეორე პირის სუბიექტური, ისევე მესამე პირის ობიექტური პრეფიქსის მნიშვნელობა, მეორე შემთხვევაში-კი მხოლოდ მესამე პირის ობიექტურისა, ორსავე შემთხვევაში მისი პრეფიქსული ბუნება ნათელია“ („კიდევ ერთი ნაშთი ხანმეტობისა თანამედროვე ქართულში“, იხ. ქართ. საენათმეცნიერო საზოგადოების წელიწადული I—II წ., 1923—1924 წ.წ. გვ. 117—118). სვ. ჯანაშიას ეს საგულისხმო დაკვირვება ხანმეტობის არსებობის ნაშთის შესახებ აღმოსავლეთ საქართველოს ეხება, სადაც ხანმეტობის არსებობა ისედაც უცილობელ ფაქტად არის ცნობილი.

ამაზე უფრო მეტი მნიშვნელობა იმ ფაქტს აქვს, რომელიც საშვალემას გვაძლევს გამოვარკვიოთ, იყო, თუ არა, ხანმეტობა მართლაც მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოს დამახასიათებელი ენობრივი მოვლენა, დასავლეთ საქართველოსათვის-კი, მაგ. იმერეთისა და სამეგრელოსათვის, სრულებით უცხო და უცნობი იყო. ამ საკითხის გადაწყვეტის საშუალებას ერთი მხრით სვანური გვაძლევს, რომელსაც ხ-ანიანობა საუცხოვოდ აქვს დაკული. უკვე ეს გარემოება იმ დებულებას, თითქოს ხ-ანიანობა მხოლოდ ლიხთამერეთისა და აღმ. საქართველოს თავასებურება ყოფილიყოს, არღვევს. მაგრამ მეგრულს რომ არ უჩანს, განა ამას-კი ანგარიში არ უნდა გაეწიოს?

უეჭველია, რომ ეს საკითხიც უნდა გაშუქებული იყოს. მართალია მეგრულს ეხლა არა აქვს, მაგრამ წინათ რომ მეგრულსაც ჰქონია, ამის გამორკვევის საშუალებას საცაიშლოს გამოსავლის დავთარი გვაძლევს, რომელიც მე-XVII ს. დამდევს არის შედგენილი და სადაც გადასახადის გამომღებ მეკომურთა შორის დასახელებულნი არიან „კუტუ ხაზარი“ (გვ. 5) და „კუკური ხაზარი“ (გვ. 6).

„ხანმეტობა“, ანუ ხ-ანიანობა რომ მეგრულსაც ჰქონია, ამას უქმე დღის მეგრული ტერმინი „დღახუ“-ც ცხადჰყოფს, რათგან ეს სიტყვა ეუქველია ორი ნაწილისაგან შესდგება, რომლის პირველ ნაწილს დღა, დღე, წარმოადგენს, მეორეს-კი ხუ. ეს მეორე ნაწილი ხუქვი-ს, ანუ ხუქმი ს, ე, ი. უქმი-ს ნაშთია. მთლიანად ეს სიტყვა იქნებოდა დღახუქმი, ე. ი. დღეუქმი და ისევეა ნაწარმოები, როგორც დღეხახუაული. შემდეგში, დროთა განმავლობაში მას, პირველ მარცვალზე მყოფი მახვილის გავლენით, ბოლოკიდური მარცვალი ჩამოცლილი აქვს და ეს ტერმინი დღახუ-დ არის ქცეული.

რაკი 2 პირის ზმნის თავსართად ჰ-ს ხ-ზე უწინარესობა არც ძველებით არის დადასტურებული და სვანურში ასეთი (ჰ-ს ხ-დ) შენაცვლება არც ფონეტიკურად შეიძლება გამართლებული იყოს, ძველი ქართულისათვის ჯერ ჰ-ს არსებობის, შემდეგ მისი ხ-დ ქცევის და მერმე ამ უკანასკნელის კვლავ ჰ-დ შენაცვლების დებულება მეტად რთული და ხელოვნური თეორიაა, რომ მისი დაჯერება შეიძლებოდეს, აქარულს კილოში, მეგრულშიც, როგორც დავრწმუნდით, ე. წ. ხანმეტობის ოდინდელი კვალი მაინც შერჩენილი გვქონია, ამიტომ **2 პ. ნაცვალსახელოვან პირვანდელ თავსართად ხ უნდა იქმნეს ცნობილი.**

მაგრამ 2 პ. ნაცვალსახელს რომ ძირად შ ბგერა აქვს, ზმნაში-კი ამავე პირის ნიშნად სუბიექტისათვის ხ თავსართია, ობიექტისათვის-კი გ? ამიტომ ეხლა უკვე გამოსარკვევი გვაქვს, თუ რომელი ამ ორ ს და შ თანხმოდანთაგანი უნდა ყოფილიყო თავდაპირველი და რომელი მერმინდელი შენაცვლების შედეგს უნდა წარმოადგენდეს. ეს საკითხი შესაძლებელია მხოლოდ ქართულ ნიდაგზვც იყოს განხილული და შედარებითი გზითაც. უკანასკნელს საშუალებაზე დამყარება ამჟამად, სანამ ჩრდილო-კავკასიის სინდურ-ლილლურ-ლეგური ენების ნაცვალსახელები მორფოგრაფიულად განხილული არა გვაქვს, მიზანშეწონილი არ იქნებოდა, ამიტომაც ამ საკითხის გადაწყვეტა აქ ჯერ მხოლოდ ქართულ-ქართველურის თვალსაზრისით უნდა ვცადოთ. ცხადია, რომ ამ შემთხვევაში გადაწყვეტი მნიშვნელობა ფონეტიკას აქვს. ქართულ-ქართველური ბგერათა შენაცვლების წესის მიხედვით-კი ხ უნდა იქმნეს პირველადად მიჩნეული, შ-კი შესაძლებელია მისი მხოლოდ მერმინდელი შენაცვლების შედეგი იყოს. ასეთი დასკვნა იმაზეა დამყარებული, რომ ხ-ს შ-დ შენაცვლების მაგალითები-კი მოგვეპოვება (მაგ. ფხავი, ფხელი (ძველი) — ფშავი, ფშაველი (მერმინდ.), — ოხენაფუ, ოხვენაფუ (ქან.) — აშენება, — ხვარა (მეგ.) — შველა, — ხუალა (მეგ.) — მოშლა, — ხუალა, ხალა (მეგ.) — შობა და სხვ.) წინაუტემო შენაცვლების შემთხვევა კი არა გვაქვს.

მაშასადამე, ყოველგვარი მოსაზრებით მხ. რ. 2 პ. ნაცვალსახელის ძირად უნდა ხ იქმნეს ცნობილი.

ც. მხ. რ. 3 პირის ნაცვალსახელის საკითხი

დებულება, რომ მესამე პირის სუბ. ნიშანი ძველ ქართულშიცა და დანარჩენ ქართველურებშიც ნ იყო და ნაწილობრივ უკანასკნელებში ეხლაც შერჩენილი არის, სრულებით სამართლიანი და სწორეა. უეჭველია სვანური ლ მხოლოდ მისსავე შენაცვლებას წარმოადგენს. სათუო და ძნელი დასაჯერებელია მხოლოდ, რომ მესამე პირის სუბ. ეს ნ ნიშანი პრექართულსაც ამ სახითვე ამავე დანიშნულებისათვის ჰქონოდა.

როგორც თავის აღვილას აღნიშნული იყო, მესამე პ. სუბ. ნიშანი მხოლოდ სვანურს-ლა, იმასაც მარტო ხუთიოდე შემთხვევაში, აქვს თავსართად შერჩენილი, ძვ. ქართულსა და მეგრულ-ქანურში-კი ნ მხოლოდ ბოლოსართად გვხვდება. 1 და 2 პირის სუბ. ნიშნების მარტოდენ თავსართად ხმარების ურყევი წესი ქართულსა და ქართველურებში სრული სიცხადით ამტკიცებს, რომ სვანურს თავისი ლ თავსართის მესამე პირის სუბ. ნიშნად ხმარების წესი ქართულსა და მეგრულ-ქანურზე უფრო უძველესი სახით უნდა ჰქონდეს დაცული. წინათ ზოგადს ქართულსა და ქართველურებსაც მ პირის ნ ნიშანი თავსართად ექმნებოდათ და მისი ბოლოსართობა ხაერთოდ ამ ენოვან ერთეულებში მხოლოდ მერმინდელს ხანაში შეჭრილი ცვლილების შედეგი და წარმოების წესის ანარეკლი უნდა იყოს. მაგრამ თავსართის სახითაც ნ შეუძლებელია თავდაპირველად ისევე ზოგადად მხოლოდ მესამე პირის სუბიექტისა და თანაც ხწორედ ნაცვალსახელოვანი ნიშანი ყოფილიყო. ამის დასარწმუნებლად საკმარისია

თუნდაც მარტო ის გარემოებაც გავიხსენოთ, რომელიც უკვე წინა კარში გვქონდა გამოჩვენებული, სახელდობრ, რომ **ნ** თავდაპირველად ქართულში მდებრობითი სქესის თავსართი იყო: ამავე დროს რომ **ნ** მესამე პირის სუბ. ნაცვალსახელოვანი ნიშანი და სწორედ თავსართივე ყოფილიყო, მაშინ ხომ სქესისა და პირის გარჩევა შეუძლებელი იქმნებოდა.

სვანურის მსგავსად, **აფხაზურსაც**, როგორც ლავრწმუნდებით, მესამე პირის სუბ. ნაცვალსახელი **ლ-ძირიანი ლარა** აქვს, მაგრამ საყურადღებოა, რომ იქაც ეს სიტყვა მესამე პირის ზოგადი, სქესისდა განურჩევლად ყველასთვის განკუთვნილი, ნაცვალსახელი-კი არ არის, არამედ **მხოლოდ მდებრობითს სქესზე ითქმის და მარტო მისი აღმნიშვნელია**.

ყველა ზემოაღნიშნული ცხად-ჰყოფს რომ **ნ** თავდაპირველად მესამე პირის ნაცვალსახელი-კი არა, არამედ **მხოლოდ მდებრობითს სქესის ნიშანი უნდა ყოფილიყო** და რომ მარტო მას შემდგომ, როდესაც ქართულმა და ქართველურებმა გრამატიკული სქეს-კატეგორიები სრულებით დაკარგეს, ენის ახალი აღნაგობის პროცესის ხანაში მდებრობითს სქესის **ნ** ნიშანი და თავსართი, მომავალში გამოსარკვევი მიზეზების გამო, მესამე პირის ზოგად სუბიექტურ ჯერ თავსართად, ხოლო შემდეგ ბოლოსართად ქცეულა.

დ. მრავლობითი რიცხვის

ნაცვალსახელები ძირების საკითხი

პირთა ნაცვალსახელების მრ. რ. ფორმები 1 და 2 პირისათვის-კი მხ. რ. ფორმებისაგან განსხვავებული **ჩვენ** და **თქვენ** ფორმები მოეპოვებათ, მაგრამ 3 პ. მრ. რ. ფორმა ისევე, როგორც ჩვენებითისა და ყველა დანარჩენი ნაცვალსახელების ასეთივე ფორმები მხ. რ. ფორმისაგან არის მრ. რ. **ნი** ბოლოსართით ნაწარმოები. რაკი გამოირკვა, რომ **ჩვენ-ის ჩ** ბგერა 1 პ. ნაცვალსახელის ოდინდელ ძირად არის მისაჩნვეი, რომლის ანარეკლი 1 პ. მხ. რ. ნაცვალსახელის ნათ. და მოქმ. ბრუნვებშიც გვქონდა დაცული, ამიტომაც შესაძლებელია მრ. რ. ფორმაც **ჩვენ** მხ. რ. ფორმისა და მრ. რ. ნიშნისაგან ნაწარმოებად მიგვეჩნია. ეს მოსაზრება რომ მართალი გამომდგარიყო, მაშინ **ჩვენ-ის** გამოყენებაც შეიძლებოდა იმ მოსაზრების დასასაბუთებლად, რომ თავდაპირველად პირთა ნაც. მრ. რ. განსაკუთრებული ფორმები კი არ იყო, არამედ მხ. რ.-საგან მრავლობითობის ბოლოსართით ნაწარმოები ფორმები არსებობდა, მაგრამ **ენ**, როგორც ვიცით, მხ. რ. ნაცვალსახელებსაც მოეპოვებათ და **ნ-ს** იქ მრ. რ. ნიშნად შიჩნევისათვის არავითარი საფუძველი არ არსებობს.

ამასვე მრ. რ. 2 პ. ნაცვალსახელი **თქვენ-ც** ამტკიცებს, რათგან **თქ** 2 პ. მხ. რ. ნაცვალსახელის ელემენტად არც ქართულსა და არც ქართველურებში არა ჩანს. მაშასადამე აქ მაინც შეუძლებელია **ენ** მრ. რ. ნიშანი იყოს.

თუ მრ. რ. 1 პ. სუბიექტური ნაცვალსახელი **ჩვენ** ძირეული ბგერით ამავე პირის მხ. რ. ნათ. ბრუნვის პირველ თანხზოვანს კარგად უდგება და უკავშირდება, პირიქით 2 პ. მრ. რ. ნაცვალსახელი **თქვენ** სრულებით განმარტოვებულია და მას არავითარი ნაცვალსახელოვანი ბგერითი ელემენტი არ მოეპოვება.

პირთა ნაცვალსახელებისათვის ქართველურ ენებში მრ. რ. საგანგებო, ცალკეული ფორმები მოიპოვებოდა, თუ არა, და ამის მაგიერ მხ. რ. ფორმების მარტო მრ. რ. ფორმანტები ჰქონდა, თუ არა, დართული, ამ საკითხის გასაშუქებლად შესაძლებელია სუბიექტური ნაცვალსახელოვანი თავსართების ზმნაში ხმარების წესიც იქმნეს გამოყენებული. ცნობილია, რომ სუბ. თავსართები ქართ. ზმნას მარტო მხ. რიცხვი ათვის მოეპოვება, მრ. რიცხვის გამოსახატავად-კი მხ. რ. ზმნის იმავე ფორმებს ბოლოში მრავლობითობის გამომხატველი ნიშანი ერთვის ხოლმე. ამ მხრით ერთად-ერთს გამოჩინავს ობიექტური თავსართთაგანაც მხოლოდ 1 პ. მრ. რ. ორი ობიექტური თავსართის ორი განსხვავებული ფორმის, მ და გჟ-ს არსებობა წარმოადგენს. მაგრამ მ თავსართი თავისდა-თავად მხოლოდ იმ შიხვევებშია ხოლმე, მრავლობითობის გამომხატველი, თუ ზმნას მისიანს ფორმას წინ 1 პ. მრ. რ. ნაცვალსახელი ჩვენ მიუძღვის, გჟ პრეფიქსი-კი თავისდა თავადაც უკვე ობიექტის მრავლობითობის აღმნიშვნელია, მაგრამ მხოლოდ მე და შ. ნს, ანდა მე და თქვენს ჰგულისხმობს. 1 პ. ობიექტის მრავლობითობის გამოხატვის ასეთი ორმაგი წესი მარტო უძველეს ძეგლებში გვხვდება, შემდეგში-კი ნიშანი მხოლოდ გვ-ლა რჩება. მხ. რიცხვისაგან განსხვავებული ნიშნის არსებობას გამო, მრ. რ. 1 პ. ზმნის ობიექტურს ფორმას ბოლოში მრავლობითობის ნიშნის დართვა არ სჭირდება.

ზემომოყვ ნილი მიმოხილვა დაგვარწმუნებდა, რომ ზმნის მრ. რ. 1 პ. გჟ ანდა გვ თავსართები ორი ელემენტისაგან (გ+ჟ) შედგენილად ითვლება, რომელთაგან გ & პ., ხოლო ჟ, ანდა ვ 1 პ. ნიშნად არის მიჩნეული. იქვე აღნიშნული იყოს ის ფონეტიკური დაბრკოლება, რომელიც, ვ. თ. ო. ფ. უ. რ. ი. ა. ს. სიტყვით, ამ მოსაზრებას სვანურში ელობება წინ, მაგრამ რომლის გადალახვაც, ამავე მეცნიერის აზრით. მაინც შესაძლებელია. აქ უკვე დროა ამ საკითხის არსებითად განხილვას შევუდგეთ.

მთავარ სიძნელეს და გადაულახავ დაბრკოლებას მარტო გ-კი არ წარმოადგენს, არამედ ჟ, ვ, რომელიც ყველა ქართველურში ობიექტური-კი არა, არამედ სწორედ სუბიექტური ნიშანია. ისე გამოდის, თითქოს გჟ მეორე პირის ობიექტური და პიოველი პირის სუბიექტური ნიშნების კომპლექსი, შენაერთები გვქონდეს და, ამისდა მიუხედავად, ასეთი ნაკრები 1 პ. მრ. რ. ობიექტურ ნიშნად იყოს ქცეული. მართალია გვ ზოგადს ქართულში ასეთივე დანიშნულების მკონებელი თავსართია, მაგრამ ეს საკითხის სირთულეს არაფერს შეეღის. ცნობილია, რომ მრ. რ. 2 და 3 პირის ობიექტურს წყობას განსაკუთრებული თავსართები არ მოეპოვება, არამედ მხ. რ. თავსართებივე აქვს გამოყენებული და ზმნის ფორმის ბოლოში მიმატებული მრ. რ. ბოლოსართებით გააოცხატება ხოლმე. ასევეა მეგრულსა და ქანურშიც. ამ მხრივ ერთად ერთს გამოჩინავს ქართულის 1 პ. მრ. რ. ობიექტური ფორმა წარმოადგენს. რომელსაც ბოლოში დართული მრავლობითობის-თ ნიშნის მაგიერ, განსაკუთრებული, მხ. რ.-ისაგან სრულებით განსხვავებული აგებულების, გვ თავსართი აქვს, სადაც უცნაურად და შეუსაბამოდ 2 პირის ობიექტ. თავსართი გ 1 პ. სუბიექტურ თავსართ ვ-სთანაა შეერთებული იმ დროს, როდესაც 1 პირიც ამ შემთხვევაში სუბიექტი-კი არა, არამედ ობიექტია. მეგრულსა და ქანურში მრ. რ. 1 პირსაც,

მეორე და მესამე პირების მსგავსად, იგივე თავსართი აქვს. რაც მხ. რ. და ბოლოშიც აწაიარადვე მრ. რ. ნიშანი ერთვის. ქართულს წარმოების ბრუნვის ერთგვარობა დარღვეული აქვს.

ვ. თოფურობას გუ-ს უ პირველად მ-საგან წარმომდგარად მიაჩნია (სვ. ე. 1, 26). სვანურში ამის დაჯერებისათვის ნაკლები საფუძველი არსებობს. რამდენადაც თვით ჩვენს მკვლევარს აქვს აღნიშნული, რომ სვანურში, კერძოდ ლენტეხურში, საარვისო ქცევის ფორმებში გ-სმოვნათ დაწყებულ ფუძეთა წინ 1 პ. მხ. რ. უ თავსართი მ-დ არის შენაცვლებული (სვ. ე. 1, 7). მით უმეტეს ვ-ს 1 პ. ობიექტურ ნიშნად ქცევის მაგალითი ქართულს, მეგრულსა და ქანურში წარმოუდგენელია. ამიტომაც გვ-ში ვ-ს ასეთი ბუნება დაუჯერებელია.

მაგრამ მეგრულსა და ქანურს ხომ ობიექტურს წყობაში ნაცვალსახელოვანი თავსართების მხრივ საშივე პირისათვის მრ. რ.-ში წარმოების ერთი-და-იგივე წესი აქვს დაცული და მრ. რ. 1 პირის ობიექტურ თავსართად იგივე ბგერაა, რომელიც მხ. რ.-შია, ობიექტის მრავლობითობა-კი მხ. რ. ზმნის ფორმის ბოლოში დართული მრ. რ. ნიშნით გამოიხატება. არ. ჩიქობა ვას სამარ-თლიანად აქვს აღნიშნული, რომ „ამ მხრივ ქართულში პირველი პირის წარმოება განპარტოვებით დგას“ (ქან. გრ. ანალ., გვ. 102), მაგრამ სამაგიეროდ, მას წურგს სვანური უმაგრებს.

ყველა ზემოდასახელებული გარემოება ისეთ შთაბეჭდილებას ახდენს, რომ პირთა ნაცვალსახელოვანი თავსართები ორივე რიცხვისათვის თითქოს საერთო უნდა ყოფილიყო და მრავლობითობა სათანადო საერთო ბოლოსართით ყოფილა გამოხატული.

ხოლო, რაკი პირველი პირის მრ. რ. ობიექტ. ინკლუზ. და ექსკლუზ. თავსართები არსებითად ობიექტთა ორ ჯგუფს ჰგულისხმობს. ამდენად ისინი უფრო წყვილობითი რიცხვის, ვიდრე მრ. რ.-ს ნაშთს უნდა წარმოადგენდეს.

ე. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

ახლა რომ კუთვნილებითი სახელების განზილვაზე გადავიდეთ, ქართული, მეგრული და ქანური 1 პირის მხ. რიცხვის ასეთი სახელები პირთა სახელებისაგან ფუძითაც განსხვავებულები არიან: მჟ — ჩჟჟი, მბ — ჩმმჟი, მა — ჩმამი, ანდა შმმჟი. ყველა ამ ფორმებში სახელობითი ბრუნვის ძირეული მ ბგერის წინ ჩ. ანდა მისი მეგრ.-ქანური ფონეტიკური შესატყვისობა ჩნდება. ცხადაა, რომ ეს ჩ ისტორიულ ხანაში არას გზით ნათ. ბრუნვის ნიშნად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული, იმისდა მიუხედავად, რომ ჩემი, ჩქიმი და შქიმი მე და მა-ს ნათ. ბრუნვად არის აღქმული და ქცეული, რათგან ამ ბრუნვისათვის არც ასეთი ნიშანი მოგვეპოვება და არც თავში ისმის იგი, არამედ აქ ჩ სწორედ პირველი პირისადმი მიკუთვნილების ცნების გამომხატველ ელემენტად მოჩანს.

ქართულ-მეგრულ-ქანური 1 პ. კუთვნილებითი ნაცვალსახელისაგან თვალსაჩინოდ განსხვავებული აგებულება აქვს ამავე და მეორე პირის სვანურს კუთვნილებითს ნაცვალსახელებს. უკვე ის გარემოებაა საყურადღებო, რომ 1 პ. ფორმას თავში იგივე მ ბგერა აქვს, რომელიც ამ პირის ცალკეულ ნაცვალსახელს მი-ს ძირად უჩანს.

მიმოხილვაში თავის აღკვლას მოყვანილი გვექონდა ვ. თოფურიას ანალიზი სვანური კუთვნილებითი ნაცვალსახელების აღნაგობის გამოსარკვევად და მაშინ დაგრწმუნდით, რომ ის ამ ფორმებს ასე ჰყოფს: ჩემი მი-შგუ-ი, ჩვენი — გუ შგუ-ეა და ნი-შ-უ-ა. ამ ანალიზსა და განმარტებას არა ერთი დამაფიქრებელი მოსაზრება ელობება წინ. პირველი: თუ ყველა კუთვნილებითი ნაცვალსახელების აღრანდელ ფორმად წი შგუ ანდა იშგუ-ი არის მისაჩნვეი, რა უნივერსალური, საერთო მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მას? მეორე და ყველაზე უფრო დამაბუკოლებელი გარემოება ის გახლავთ, რომ მრ. რ. 1 პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის მიშგუი-სა და ნიშგუე-ს აგებულების განმარტებაში შგუ-ზე ნათქვამია: იგივე ძიობა, იოველიც გვხვდება ჩემი-ს გამომხატველ მიშგუ-ში, სახელდ-ბრ, რომ ეს შგუ ექვეყნალ-ნტ-ია ქართული ჩგ (ჩუ) ელემენტისათ. გაუგებარი ხდება, თუ როგორ უნდა იყოს ავტორის თვალსაზრისით ჩემი-ს ე. ი. მხ. რ. 1 პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის შგუ ამავე პირის მრ. რ. ფორმის ქართულ ჩგ (ჩუ) ელემენტისა? ქართულ ჩგ პირის გამომხატველი ჩანს და თუ სვანური შგუ უდრის ჩგ-ს, ანდა ჩუ-ს, მაშინ ისიც, შგუ-ც პირის გამომხატველი ყოფილა. ამნაირად გამოდის, რომ, ან შგუ-ს ორი სხვა-და-სხვა მნიშვნელობა და დანიშნულება უნდა ჰქონოდა, როდესაც მეორე მნიშვნელობაცა და დანიშნულებაც გამოუტყვევლია, — ანდა უნდა ვიფიქროთ, რომ სვანურს კუთვნილებითს ნაცვალსახელებს პირის ორმაგი გამომხატველი ჰქონდა, ერთი მხრით შ, გუ და ნ, მეორე მხრით კი შგუ.

სვანური კუთვნილებითი სახელების აღნაგობის გამოსარკვევად ის გარემოებაა საყურადღებო, რომ, თუ შე სვანურად ში-ა, ჩემი იქნება მიშგუ, ანდა მიშგუი და ამნაირადვე ჩვენ არის ნბ, მე და ის, ან ისინი), ხოლო ჩვენი — ნიშგუეა, ანდა ნიშგუე ორსავე შემთხვევაში კუთვნილებითს ნაცვალსახელს თავში პირის ნაცვალსახელის ბგერა შ და ნ სრულად დაცული აქვს. მეორე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის ორივე რიცხვის ფორმა-კი ამ მხრივ განსხვავდება: შენ არის სი, ხოლო შენი — ისგუი, ანდა ისგუ და თქვენი-ც არის სგნა, ხოლო თქვენი — ისგუე, ისგუეა, ისგუ-ც-კი. პირველი პირის ანალოგიით მოსალოდნელი იყო, რომ შენი სვანურად ხისგუი და თქვენი სგისგუეა ყოფილიყო, მაგრამ არცერთს ნათვანს თავიკიდური თანხმოვანი ს და სგ არა აქვს. საფიქრებელია, რომ ეს ამ თავიკიდური ბგერების დროთა განმავლობაში ჩამოცილების შედეგი უნდა იყოს და აქაც თავდაპირველად სწორედ სრული ფორმები უნდა ყოფილიყო.

1 და 2 პირის კუთვნილებითს ნაცვალსახელებს საერთო კუთვნილებად მხოლოდ ბოლოკიდური მარცვალი გუეა, ანდა გუ აქვთ და სწორედ ის შეიძლება შემცდარად ცალკეულ ნაწილად იქმნეს გამოყოფილი. ამ ელემენტის გამოყოფის შემდგომ, ჩემი-საგან შიშ, ხოლო ჩვენი-საგან (მე და მისი, ან მათი) ნიშ და დაგვრჩება. თავისდა-თავად იბადება აზრი, რომ ორსავე შემთხვევაში, როგორც ნ მარრიც ფიქრობდა, 1 პირის ნაცვალსახელის მხ. და მრ. რ. ფორმის ნათესაობითი ბრუნვა გვაქვს და ბოლოკიდური შ აქ სწორედ ამ ბრუნვის ნიშანია. ამნაირადვე 2 პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის გუე, ან გუ-ჩამოცილილი ნაწილი ის თავდაპირველად სიშ (მხ. რ.) და სგიშ (მრ. რ.

უნდა ყოფილიყო შემდეგ-კი მეორე პირის ორივე რიცხვის ნათესაობითი ბრუნვის სრული ფორმები პროგრესიული ასიმილაციის გზით სის-ად და ხვის-ად უნდა იყოს ქცეული, ხოლო სულ პოლოს მათ თავკიდური თანხმობების ს და სგ უნდა ჰქონდეთ ჩამოკლილი.

სვანური კუთვნილებითი 1 და 2 პირის ორივე რიცხვის ნაცვალსახელების მეორე ნაწილი რომ შგჟეჲ-კი არა, არამედ გჟეჲ არის, ისევე, როგორც ის საყურადღებო გარეგნება, რომ იგი სრულესით მხოლოდ კუთვნილებით ნაცვალსახელებთან არ არის დაკავშირებული, ეს, როგორც შემდეგში დავრწმუნდებით, შესაძლებელია შედარებითი გზით სრული სიცხადით დამტკიცდეს.

დასკვნა

ქართულ-ქართველური ნაცვალსახელების ანალიზმა მათი აღნაგობისა და შემადგენელი ნაწილების თითქმის სრული იგივეობა გამოამჟღავნა. ამასთანავე გამოიჩინა, რომ მ, მ და ნ ბგერები, რომელნიც ჩვენ წინათ ნაცვალსახელების ძირებად მიგვაჩნდა, არასგზით ასეთ ოდენობად მისაჩნევი არ არის, არამედ ისინი გრამატიკული სქეს-კატეგორიების ოდინდელი ნიშნების ნაშთს უნდა წარმოადგენდნენ. მაშასადამე, ქართულ-ქართველური ნაცვალსახელების მთელი მარაგი სხვა და-სხვა თვისებისა და წარმოშობილობისა ყოფილა და სწორედ ეს გარემოებაა, რომ ნაცვალსახელების ძირების ნაირნაირობის შთაბეჭდილება ჰქმნის.

ნაცვალსახელების აგებულების შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ ცალკეული ნაცვალსახელების ბოლოკიდური არც ნ, ნა, ენ და არც მ მრ. რ. ნიშნებად მისაჩნევი არ ყოფილა. ხოლო კ პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელის ანალიზმა ცხად-ჰყო, რომ ნაცვალსახელებში უკუქცევითი ნაცვალსახელების ელემენტებიც არის შერწყმული.

მაშასადამე, ნაცვალსახელების აღნაგობისა და შემადგენელი ნაწილების სირთულე და სხვადასხვაობა მკვლევარს კარგად უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული და ახსოვდეს, რომ შესაძლებელია იქ ყველაფერი ნაცვალსახელოვანი წარმოშობისა არ იყოს.

II. სინდური ენების ნაცვალსახელები

სინდური ენების ნაცვალსახელები შედარებითად დუმეზილს აქვს შესწავლილი თავის გამოკვლევაში (*Études comparatives etc.* გვ. 105—121), ცალკეული ენათაგანისა-კი სათანადო გრამატიკებშია აღწერილი. ჩვეულებრივ აქ დასაბუთი ამოცანა პრაქტიკულს მიზანს არ სცილდება და ნაცვალსახელების აღნაგობაზე მხოლოდ იმდენად არის ბოლმე საუბარი, რამდენადაც მათ გასაგებად ეს აუცილებლად საჭიროა.

თავი პირველი. აფხაზური ნაცვალსახელები

აფხაზური ორი დიალექტის ნაცვალსახელების მე-XVIII ს. ჩანაწერიც მოგვეპოება და მე-XIX—XX ს. ფორმებიც არის უსლარის, ნ. შარრის,

და დ. გულიას ნაშრომებში აღბეჭდილი. არც ერთს ამ ავტორთაგანს გვლდენშტედტის ნაშრომში დაცული ცნობები არ გამოუყენებია, დვმეზილსაც მათთვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. ჩვენ-კი ამ შემთხვევაშიც აუცილებლად საჭიროდ მიგვჩნია, რომ, ამ ჩანაწერებში შეპარული ზოგიერთი შეცდომისდა მიუხედავად, ძედარი აღგილების შესწორების შემდგომ, მე-XVIII ს. ეს მასალები აბხაზური და სხვათა ნაცვალსახელების შესწავლისა და ანალიზის დროს ყოველმხრივ გამოყენებული იყოს. ამიტომაც ჯერ აბხაზურს ძველსა და თანამედროვე ნაცვალსახელება გადავავლოთ თვალი.

§ 1. აბხაზური ნაცვალსახელები მე-XVIII ს. და ეხლა
ნაცვალსახელები სამხრეთ-დასავლურ (კუშ-ჰასიბ)
აბხაზურად მე-XVIII ს.

Ich მე—ხერა Sera
Mein ჩემი—ხერა Sera
Du შენ—უარა Uara
Er ის—ურუთუჰაჰუ Urutuhashu
Wer ვინ—დასუდა Dasuda
Wessen ვისი—ისპუტა Jsputa

Wir ჩვენ—შერდა Scherda
Unser ჩვენი—ჰარეხთუ Harechtu
Ihr თქვენ—აენტ A'nt
Euer თქვენი—შიშტუ Schischtu

(I. A. G ü l d e n s t ä d t. Reisen II, 527—528)

ნაცვალსახელები ჩრდილო-აღმოსავლურ (ალოჯკესეკ)
აბხაზურად მე-XVIII ს.

Ich მე—ხერა Sera
Mein ჩემი—ხერიხბუ Serisbu
Du შენ—უარა Uara
Er ის—აუაბ—Anjab
Sein მისი—ხ სტუ Sistu²
Wer ვინ—დასუდა Dasuda
Wessen ვისი—ისდუდა Isiduda

Wir ჩვენ—ჰარჰაბ Harhab
Unser ჩვენი—ჰარეხტუ Harechtu
Ihr თქვენ—აუათ Auat
Euer თქვენი—შიშტუ Schischzu

(I. A. G ü l d e n s t ä d t. Reisen II, 527—528).

სამხრეთ-დასავლური

Hieher აქ, აქეთ: Arech არეხ
Dorthin იქ იქით: Auech³ ანეხ
Was რა : Ischirpi იშარპი
Ja ჰო : Osa ოზა

ჩრდილო-აღმოსავლური

Arech არეხ
Auech³ ანეხ
Esetzia ეზეწია
Esetzia ეზეწია

(I. A. G ü l d e n s t ä d t. Reisen II, 528)

¹ შეცდომაა: თითონ ისინი-ს აღმნიშვნელია.

² შეცდომაა: ჩემ საკუთარ-ს ნიშნავს (იხ. ქვემოთ).

³ Auech კორექტ. შეცდომა უნდა იყოს Auech-ის მაგიერ.

თანამედროვე აბხაზური პირთა ნაცვალსახელები

1. მე — ხარს	ჰარს ჩვენ
2. შენ — უარს (მამაკაცს), ბარს (ღელაკაცს)	შეარს თქვენ
3. ის — ურ (სამივე სქესისათვის)	ურთ } ისინი
იგი — ლარს (მღელდრ. სქ.)	ლარს }
„ — ჯარს (მამრ. სქ.)	

ნაცვალსახელოვანი ნიშნები

ჩემი მამა	— ხარს ხაბ, ან ხაბ
შენი „	— უარს უაბ, ან უაბ
შენი (ქალი) „	— ბარს ბაბ, ან ბაბ
მისი „	— ურ ჯაბ, ან ჯაბ
მისი (ქალის) მამა	— ლარს ლაბ, ან ლაბ
ჩვენი მამა	— ჰარს ჰაბ, ან ჰაბ
თქვენი მამა	— შეარს შეაბ, ან შეაბ
მათი მამა	— ურთ რაბ, ან რაბ

ნაცვალსახელოვანი თავსართები

	მხ. რ.		მრ. რ.
1	პ. ს		პ
2	„ უ, ბ		შე
3	„ ჯ, ლ		რ

(უსლარის აბ. ე., 16 § 60 და 61)

კუთვნილებითი ნაცვალსახელების მაგიერ თანამედროვე აბხაზურს, როგორც ეს ზემომოყვანილი მაგალითებიდანაც ჩანს, პირთა ნაცვალსახელების ნიშნები აქვს თავსართებად გამოყენებული და ამას გარდა ცალკეული წარმოებაც მოეპოვება. ეს ცალკეული კუთვნილებითი ნაცვალსახელები იმავე პირთა ნაცვალსახელოვანი თავსართებისა და ატიჟ-საგან არიან შედგენილი. ატიჟ საკუთრებას ნიშნავს. კუთვნილებითი ნაცვალსახელების შედგენისას ა ართრონი, რასაკვირველია, ქრება და ამნაირად ჩემი იქნება სტიჟ.

შენი — უტიჟ (მამრ. სქ.), ბტიჟ (მღელდრ. სქ.)

მისი — იტიჟ (მამრ. სქ.) ლტიჟ (მღელდრ. სქ.)

ატიჟ (მამრ. სქ.)

ჩვენი — ჰტიჟ

თქვენი — შეტიჟ

მათი — რტიჟ. ანდა ტიჟ

(უსლ. აბ. ე., § 62 და აბ. ე., 17—18).

უკუქცევითი ნაცვალსახელების გამოსახატავად აბხაზური პირთა ნაცვალსახელოვანი თავსართებისა და თითონ-ის აღმნიშვნელი ვაჲ-ს შერწყმულს

ფორმებს სწარობს. იმიტომაც აბზახური უკუქცევითი ნაცვალსახელების შემდეგი ფორმები აოსტობს:

მე თითონ — სვათა

შენ თითონ — უვათა (მაშრ. სქ.), ზვათა (მდედრ. სქ.).

ის თითონ — ივათა (მაშრ. სქ.), ლვათა (მდედრ. სქ.), ავათა (მაშრ. სქ.)

ჩვენ თითონ — ჰვათა

თქვენ თითონ — შავათა

ახინი თითონ — რვათა

მაგრამ შეადღებულა ზემომოყვანილი ფორმები პირთა ნაცვალსახელების სრულ ფორმებთან ერთადაც იყოს ნახმარი და მე თითონ მაშინ იქნება ხარა სვათა, შენ თითონ ჟარა უვათა და სხ.

(უსლ. აბ. ე., § 63).

აბზახურს ჩვენებითი ნაცვალსახელები უზვადაც მოეპოვება და მათ ჩვეულებრივზე მეტი მნიშვნელობაც მიჰქუთნებიან.

უსლარის ცნობით, ასეთ ჩვენებით ნაცვალსახელებად აბზახურს აქვს: არა და აბრა 3 პ. ყოველივე ხქებ-კატეგორიის მოსაუბრის თვალეზინ მყოფი პირების აღსანიშნავად, ხოლო უბრა ცოტა უფრო მოშორებით მყოფთა აღსანიშნავად (აბ. ე., § 59), აბრა და ან-კი შორეული საგნების აღსანიშნავად იხმარება (იქვე).

მრ. რ. ჩვენებით ნაცვალსახელებად უსლარს მიაჩნია 1 პ. მართ, 2 პ. შართ და 3 პ. ურთ (ყველა ხილულ და უხილავ სქეს-კატეგორ.), აბართ, აბანთ. ამავ ავტორის განმარტებით მრ. რ. ამ ფორმებს მაშინ ხმარობენ, თუ რომ თავისთან ან ამ პირებთან ერთად სხვების განსაკუთრებული მონაწილეობის ხაზგასმით აღნიშვნა ჰსურთ (იქვე).

უსლარის ცნობით, თუშკა აბრა და არა არსებითად ჩვენებითი ნაცვალსახელებია, მაგრამ მათ 3 პირის ნაცვალსახელებადაც ხმარობენ ხოლმე (იქვე, § 59).

დ. გულუას უსლარის გრამატიკულს ცნობებში შესწორება აქვს შეტანილი. რაზედაც ურცლად შემდეგ გვტყვება საუბარი, ებლა-კი აქ უნდა შეყვანდნის ავტორის ამავე საგანზე მსჯელობის გაფცნოთ. მისი სიტყვით, იმას გარდა რომ აბზახური ჩვენებითი ნაცვალსახელები პირისა თუ საგნის მოსაუბრესთან სიახლოვის, თუ სიშორის გამომატველია, ორ ჯგუფადაც უნდა გაიყოს: ერთს ზოგადი ჩვენებითი სახელები, მეორე ჯგუფს კონკრეტული ჩვენებითი სახელები შეადგენენ.

ასეთს ზოგად ჩვენებით ნაცვალსახელთა ჯგუფს ეკუთვნიან: არგრ—ეს, ანგრ—ეგ და უგრ, ანუ აუგრ—ის (ამეამად უხილავი, მაგრამ მოსაუბრისათვის ცნობილი).

კონკრეტულ ჩვენებით ნაცვალსახელთა ჯგუფს შეადგენენ აბრგრ—ეს (მასლობელი), აბანგრ—ეგ (დაშორებული, მაგრამ ხილული) და უგბრგრ—ის (ამეამად უხილავი, მაგრამ მოსაუბრეთათვის გარკვევით ცნობილი).

ავტორი ფიქრობს, რომ ჩვენებით ნაცვალსახელთა მეორე ჯგუფს კონკრეტულობას მანიჭებს, რომელიც ეტყობა „ხილვისა“ და „თვალის“ აღმნიშვნელი იყო (აბ. ე., გვ. 10). ზემომოყვანილი ნაცვალსახელების მრ. რ. ფორმებს ისე

აწარმოებენ, რომ მხ. რ. ფორმა ბოლოკიდური ი, ანუ გი სცილდება და ამის მაგიერ მრ. რ. თ ნიშანი ეროვისო¹ (აბ. ე., გვ. 9—10). ამავე წარმოშობილები აა აბხაზური ჩვენებითი ზმნისსართები, რომელთა ბოლოსართი ხი ქართულ კენ-ს უღრის. აქაც ზოგადი და კონკრეტული არსებობს. 1. ზოგადია: არა—აქ, არახ(ი)—აქეთკენ, — ანა—იქ, ანაა(ი)—იქითკენ, — უა—იქ, უახ(ი)—იქითკენ (მოსაუბრეთათვის უხილაგ ადვილას). 2. კონკრეტული: აბრა—აქ, აბრახ(ი)—აქეთკენ, — აბნა—იქ, აბნახ(ი)—იქითკენ, — უბრა—იქ, უბრახ(ი)—იქითკენ (აბ. ე., გვ. 11).

აბხაზურს ყოველგვარი ნაცვალსახელები და ზმნისსართი იმდენად მჭიდროდ აქვს პირის ცნებასთან დაკავშირებული, რომ კითხვითი სახელებიც-კი პირთა ნაცვალსახელოვან ელ მენტებთან დაუკავშირებლივ ვერ წარმოუდგენია. ამიტომაც ერთი უპროვო ვინ? კითხვითი ნაცვალსახელის მაგიერ, ამ ცნების გამოსახატავად აბხაზურს 5 განსხვავებული ფორმა აქვს მხ. რიცხვში და 3 მრ. რიცხვში. ამის გამო ვინ? აბხაზურად იქნება:

1. სარბან ხარა მე — რომელი მე?
2. ა. ყარბან ყარა შენ — რომელი შენ? (მამრ. სქ.).
ბ. ბარბან ბარა შენ — რომელი შენ? (მდედრ. სქ.).
3. ა. დარბან ურ ის — (სულდგმული) რომელი ის?
ბ. ხარბან ურ ის — (უსულ.) რომელი ის?

მრ. რ.

1. ჰარბან ჰარა ჩვენ — რომელი ჩვენ?
2. შარბან შარა თქვენ — რომელი თქვენ?
3. ხარბაქუან ისინი — რომელი?

უსლარი, რომლის ნაშრომი თანაც არის ამ კითხვითი ნაცვალსახელების ფორმები ამოღებული, სარბან ხარა-ს რუსულად სთარგმნის „Кто и такой?“ (აბ. ე., § 62) და, როგორც ვტყობა, თითოეული ამ ნაცვალსახელის პირველი ფორმა პ. ნაცვალსახელოვანი ნიშნისა (ს, ჟ, ბ, დ და სხ) და არბან-ისაგან შედგენილად მიაჩნდა (იხ. იქვე: ლექს.). ავტორს-კი ხარბან-ი ს (შე)+არ (ეს)+ბა (ვინ? რა?)-ნ (სად?)-ისაგან შედგენილად ეგულება (აბ. ე., გვ. 15), ე. ი. თავდაპირველად „შე ეს ვინ სად?“-ის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო. მაგრამ შესაძლებელია ხარ, ყარ, ბარ, დარ, ხარ, ჰარ, შარ და ხარ ნაცვალსახელებისა+ბან (სადაურობის ოდინდელი გამომხატველი ფორმანტი)-ისაგან იყოს შედგენილი. მაინცა-და-მაინც საყურადღებოა, რომ „შე რომელი?“ აბხაზურად გამოიხატება სარბან ხარა და ყოველ შემდეგ კითხვითს ნაცვალსახელს თავშიცა და ბოლოშიც უკვე სრული ფორმით აქვს პირის ნაცვალსახელი. ამიტომაც არის, რომ ჩვენ ეს ფორმები გადმოვთარგმნეთ: „შე რომელი მე?“, „შენ რომელი შენ?“ და სხ. აბხაზურის ასეთ წარმოებასთან დაკავშირებით იბადება საკითხი, ქართული რომელიმე-ს მე-ც ხომ თავდაპირველი მ' გავსი წარმოებისა და აღმნიშვნელობის ოდინდელი წესის ანარეკლი არ არის?

¹ დამახასიათებელია, რომ ავტორს ფონილებში ნათქვამი აქვს: „შეად. ქართულს მრ. რ. თ—თქვენი“-სო (გვ. 10). შედარებაც ასეთი უნდა!

§ 2. მე-XVIII ს. ფორმების ანალიზი და განმარტება

რაკი ეხლა აბხაზური ნაცვალსახელების შესახებ ძველი და თანამედროვე ცნობები ხელთა გვაქვს, შესაძლებელია მათ განხილვასაც შევუდგეთ. ცხადია, რომ უპიროველესად ძველი ჩანაწერის გაგება უნდა ვცადოთ, რათვან ბევრი რამ იქ თანამედროვესაგან განსხვავდება.

მე-XVIII ს. ჩრდილო-აღმოსავლური აბხაზური ჩემი-ს შესატყვისობა სერის-ბუ თანამედროვე აბხაზურის საშუალებით, სადაც ჩემი არის ხტოჲ, აუხსნელი და გაუგებარია. ამიტომ შესაძლებელია იგი ან მცდარ ჩანაწერად. ანდა გაუგებრობის ნაყოფად მიგვეჩნია. მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ აქ ჩრდილო აღმოსავლური ენოვანი მასალა გვაქვს და ამ ფორმის გაგებას ვეცდებით, მაშინ შესაძლებელია სერისბუ-ს აგებულებასაც განმარტება მოეძებნოს და მისი მაშინდელი აღმნიშვნელობაც გასაგები გახდეს.

სერისბუ უნდა ორი მათგანი ნაწილისაგან იყოს შედგენილი: სერი და სბუ-საგან. ამათგან პირველი სერი ჩერქეზულში, დჰმეზილის ჩანაწერებითა და (წიბით იხ. აქვე, გვ. 477), ეხლაც დაცული მე ნაცვალსახელია. თვით მეორე სბუ ნაწილაც რთული აგებულებისა ჩანს და ს-ბუ-საგან შერწყმული ფორმა უნდა იყოს, რაკი ზემოაღნიშნული სიტყვა სერისბუ : პ. მხ. რ. კუთვნილებით ნაცვალსახელად ათის ჩაწერილი, ბუნებრივია, რომ მის ამ მეორე სბუ ნაწილში სწორედ ასეთი თვისების ფორმას მოველოდდეთ. მართლაც მას თავკიდურ ბგერათ ს აქვს, რომელიც თანამედროვე აბხაზურშიც გ ნახევარხმოვნითურთ, თუ უამისოდაც 1 პ. მხ. რ. კუთვნილებით თავსართია და ადილეურშიც სგ-სა და ხ, ან ზ-ს სახით ასეთივე დანიშნულების თავსართია (იხ. ნ. აკოვლევისა და დ. ამხაშაძის მოკლე ადილ. გრ., 1930 წ. გვ. 59—60).

ეხლა მხოლოდ ბუ-ს რაობა-ღა დავგონა გამოსარკვევი. ბუ ბოლოსართი არც აბხაზურსა და არც ადილეურში არსადა ჩანს, მაგრამ ბოუ არსებობს და კაბარდიულად ბოსელხ, თავლახ, ფიცრულხ, ე. ი. ნაშენობას ნიშნავს (იხ. ლომატ. რ.-ყ. ლ.: გვ. 63, I, 3, —148, II, 27, —178, I, 28). აბხაზურადაც აბურა, აბურა ბოსელსა ნიშნავს (ო.-აბ. ლ. 70 : ხერ).

ისევე, როგორც კუთვნილების თანამედროვე ტოჲ ბოლოსართი და ატოჲ „საკუთრება“, როგორც ეტყობა ჯდომისა და მკვიდრობას აღმნიშვნელ ტოჲ ძირთან უნდა იყოს დაკავშირებული და თავდაპიროველად ტოჲ საფიქრებელია სამკვიდრებელი აღმნიშვნელი სიტყვა უნდა ყოფილიყო, ამნაირადვე ბუ, ანუ ბოუ-ც, ვითარცა ნაშენობის სახელი, როგორც ჩანს, საკუთრების ცნების გამოხატველ ბოლოსართადაც უხმარიათ. როცა შესაქონლეობა მეურნეობის ჯერ ერთ ეოთს, ხოლო მეორე უმთავრეს დარგს შეადგენს, გასაკვირველი არ არის, რომ ბოსლას, ანდა ფარეხის სახელი საკუთრების სიმბოლოდაც მიეჩნიათ.

ჩრდილო-დასავლური აბხაზური იხ მე-XVIII ს. ჩანაწერით აუაბ თანამედროვე აბხაზური ურ საგან განსხვავდება, მაგრამ სამაგიეროდ მისი პირველი ნაწილი აუა აბხაზურს ამავე ჩვენებითს აუგის (იხ. აბ. ე., გვ. 9) კარგად უდგება. ამ ნაცვალსახელის მეორე აბ ნაწილი კონკრეტულობის ცნების შიშინიკებელი იგივე აბ მარცვალი უნდა იყოს, რომელიც პირის, ან საგნის თვალ-

საჩინოობის მაუწყებელ ნაწილაკად თანამედროვე აბხაზურს ჩვენებითს ნა ვალ-სახელებს აბრგრ, აზნგრ, უგზრგრ, — აბრთ, აბანთ და უგზართ შიშ გაცხედება.

გვლდენშტელტის ჩანაწერში მისი („Sein“) ჩრდილო-აღმოსავლურ აბხაზურად Sista სისტუ-დ არის აღნიშნული, მაგრამ, უიქველია, აქ ამ ნაც-ვალსახელის მნიშვნელობა შეცდომით არის გახმაორტებული. მისი ვერც აბხაზურად და ვერც სხვა რომელსაზე სინდურს ენაზე ვერას გზით სისტუ ვერ იქმნე-ბოდა, რათგან ს, როგორც ვიცით, მხ. რ. 1. პ. ნიშანია. მისი (მაშრ. სქ.) აბხაზურად იტგ და ატგ იქმნება, მდედრ. სქ.-ისა-კი ლტგ.

სისტუ-ს უკვე თავკადური სი მარცვალი ამელავნებს ამ ნაცვალსახელის სადაურობას. სი მხოლოდ თანამედროვე ადიღეურს აქვს და იქ მხ. რ. 1. პ. კუთვნილებითა ნაცვალსახელოვანი თავსართია, აბხაზურად კი სგ, ან ს არის, ეხლა მაინც. ამ სიტყვს მეორე ნაწილი სტუ რთული აგებულებისაა და ს+ტუ-საგან არის შედგენილი: ს მხ. რ. 1. პ. ნიშანია, ტუ-კი, უიქველია, საკუთ-რების აღმნიშვნელსა და კუთვნილებითა ნაცვალსახელების მაწარმოებელს თ-ნამედროვე აბხაზურს ტგ ბოლოსართს უნდა უდრიდეს. ეხლა აბხაზურად ჩემის აღსანიშნავად სტგ-ს ხმარობენ, ადიღეურს-კი ამის მაგიერ აქვს სესგე (აიკ. და აშხ. ადიღ. გრ., გვ. 60), ე. ი. მეორე ნაწილად სტგ-კი არა, არამედ სგე მოეპოვება.

ამნაირად სისტუ თავისი პირველი სი ნაწილითა და აგებულებით (სი + ს) ადიღეურს წარმოებას მიაგავს (სე + სგე) და აბხაზურისაგან, რომელსაც მხო-ლოდ სტგ აქვს, განსხვავდება. მაგრამ სამაგიეროდ თავისი ბოლოკიდური ნა-წილითა და ტუ ფორმანტით ადიღეურისაგან განსხვავდება და აბხაზურის მსგა-ვსად არის შედგენილი. ცხადი ხდება, რომ სისტუ მაშინაც მისი-სა-კი არა, არამედ ჩემი საკუთარი-ს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და თვით ფორმაც ამელავნებს, რომ ადიღეურ-აბხაზური შერეული რომელიღაც კილოს კუთვნილე-ბას უნდა წარმოადგენდეს.

ასეთივე აგებულებისაა ძველი ჩანაწერის ჩვენი-ჭარებთუ (სამხ.-დასავ-ლური) და ჭარებტუ (ჩრდილო-აღმოსავლური). ისევე, როგორც თქვენი-შიშ-ტუ (სამხ.-დას.) და შიშტუ (ჩრდ. აღმ.), მხოლოდ წინასწარ მათი ნამდვილი მართლწერა უნდა იქმნეს გამოკვლეული.

თუ წარმოვიდგინოთ, რომ აქ გვლდენშტელტის ჩანაწერში ძხ ს ს უდრის, მაშინ ამ ფორმის გაახრიალება მხოლოდ იმ შემთხვევაში იქმნებოდა შე-საძლებელი, თუ მომდევნო t-საც ქარ. თ ს შესატყვისობ დ და chta-ს ვახან „თითონ“-ის ელემენტად ვიცნობდით, ე. ი. ჭარა ჭავათან-ს შერწყმულ ფორმად წარმოვიდგენდით¹. მაგრამ მაშინ გაუგებარი იქმნებოდა, თუ „შე თითონ“ ჩემის-გამომხატველად როგორ უნდა ქცეულიყო. ამიტომ ამ ფორმის რაიმე სხვა გან-მარტება უნდა მოეძებნოს. ტუ შესაძლებელია საკუთრების აღმნიშვნელს აბხა-ზურს ტგ ბოლოსართს დაუკავშირდეს და ჩანაწერი მართლაც მრ. რ. 1. პ. კუთვნილებით ნაცვალსახელად იქმნეს მიჩნეული.² მაშინ უნდა ვიფიქროთ, რომ

¹ ასე შეგონა თავდაპირველად.

² ასეთი სამართლიანი მოსახრება გამოხატვა პროფ. ს. ჯანაშიამ, რძთვისაც დიდ მადლობას ვუძღვნი.

იხ ამ მ-ს შესატყვისობას წარმოადგენს, რის მაგალითიც სხვაგან გვლდენ-
შტედტის ჩანაწერში, თუ არ ვცდები, ან არ უნდა იყოს, ან ძალიან იშვია-
თია, სეთი შესწორების შემდგომ Harechta შესაძლებელია ჰარეჰტიჟ-ს ტრანს-
კრიპტივად მივეჩნიო, რომელიც ჰარე (ჩვენ) + ჰტიჟ, თანამედროვე ჰტიჟ-ს წინა-
მობრძედი, ჩვენი-ს აღმნიშვნელი კუთვნილებითი ნაცვალსახელი იქმნებოდა.
თანამედროვე აფხაზურს კუთვნ. ნაცვალსახელებს წინ პირის ნაცვალსახელის
სრული ფორმა აღარ უჩანს, მაგრამ მე-XVIII ს.-ში ჰქონიათ.

მრ. რ. 2. 3. კუთვნილებითი ნაცვალსახელი შიშტჟ-კი უნდა შაი + შაი +
-აჟჟ-საგან შერწყმულ ფორმას წარმოადგენდეს, ე. ი. თქვენ + თქვენი (საქუ-
თრების) აღმნიშვნელია.

ეს შემოკამოთქმული მოსაზრებანი სწორეა, მაშინ ჩრდილო-აღმოსავლური
Harechta ჰარეხტო-სა და შიშტჟ-ში ც კორექტურულ შეცდომად უნდა მივი-
ჩნითო¹. ტ-ს შავიერ.

ჩვენებითი ის (Er) ნაცვალსახელის შესატყვისობად სამხრეთ-დასავლურს
აფხაზურს მე-XVIII ს. ჩანაწერში უცნაური ურუთუხაჟჟ-ა აღნიშნული, რომე-
ლიც ამ ნაცვალსახელის სინდურს თანამედროვე ენებში არც ერთს ფორმას არ
უდგება. მაგრამ აქ გერმან. მეცნიერს უეჭველია შეცდომა უნდა ჰქონოდეს
შეპარული. საკმარისია იმ გარემოებასაც მივაქციოთ ყურადღება, რომ ამ ნაც-
ვალსახელის პირველი ნაწილი ურუთ-ი თ ბგერით ბოლოვდება, რომელიც
აფხაზურს ჩვენებითს ნაცვალსახელებს მრ. რ. ბოლოსართად აქვს, თანაც გავიბ-
სენოთ, რომ თანამედროვე აფხაზურშიც ურთ სწორედ ისინი-ს აღმნიშვნელია
და მაშინ, გვონებ, უცილობელი გახდება, რომ ურუთ შესაძლებელია ამავე
ნაცვალსახელის მხოლობითისა-კი არა, არამედ მხოლოდ მრავლობითი რიცხვის
სრულმთავრის ფორმა იყოს.

მეორე უხაჟჟ ნაწილს, არსებული ლექსიკური აფხაზური მარაგით, ვერა-
ვითარ განმარტებას ვერ მოუძებნით, მაგრამ სამაგიეროდ აქაც ადიღურის კია-
ხური კილო გვშველის. კიახურად ურ (დამოუკიდებელი) და უ (სართავად)
თვალსაჩინო შორეული 3. 3. ჩვენებითი ის ნაცვალსახელია. საფიქრებელია,
რომ იგივე მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს უხაჟჟ-ს პირველს უ სმოვანსაც.

მაგრამ რაკი ურუთუხაჟჟ-ს პირველი ნაწილი მხ. რ.-ისა-კი არა, არამედ
ისინი-ს აღმნიშვნელი აღმოჩნდა, ცხადია, რომ ამ სიტყვის მეორე ნაწილის უხა-
ჟჟ-ს ჩვენებითი ნაცვალსახელიც მრავლობითადვე უნდა ყოფილიყო ნაბმარი. ეს
მოლოდინი მართლდება კიდევაც: უ-ს ხომ ხა მარცვალი მისდევს და, თუმცა ხ
მრ. რ. ნიშნად თანამედროვე აფხაზურს არ უჩანს, სამაგიეროდ ხე და ხ ადი-
ღურსა და კიახურში სწორედ მრ. რ. ფორმანტია (იხ. აკოვლევისა და აშხანა-
ფის ადიღ. გრ., გვ. 90). როგორც ჩანს, ძველად მრ. რ. ნიშანი ხე-კი არა,
არამედ ხა, ანდა ხკ-ს გარდა, ხა-ც ყოფილა. ამგვარად ირკვევა, რომ მეორე
ნაწილის უხა-ც ისინი-სავე გამომხატველი ყოფილა.

ამის შემდგომ შესაძლებელია ადამიანს ეჩვენოს, თითქოს აქ ორი, ერთი-
დაიმავე მნიშვნელობის მქონებული, მრ. რ. ჩვენებითი ნაცვალსახელის შემცველი

¹ რთვორც პროფ. ს. ჯანაშია ფიქრობს.

უცნაური ფორმა იყოს. მაგრამ უხა-ს რომ ბოლოში უფრო მარცვალი ახლავს? სანამ მისი მნიშვნელობა გამოორკვეული არა გვაქვს, მეორე ნაწილის ნამდვილ რაობაზე მსჯელობა ნაადრევი იქმნებოდა. თანამედროვე აფხაზურში, არსებული ცნობებით მაინც, უფრო არა ჩანს, ადილეურს და შაფსულურს კილოს-კი უი (ად. დ.) და ზუყ (შაფს.) ნაწილაკი შენარჩუნებული აქვს და იქ უკუქცევითი თითონ ნაცვალსახელია (იხ. დკმეზილის Etudes, გვ. 116 და CMOMIK, წიგნი XII, გვ. 78₁₂).

ადილეურად ძეგრი ნიშნავს „იხ თითონ“, ხოლო ამავე მნიშვნელობით ბზიების ომის ძველს თქმულებაში ნახმარია ძეზუყ (CMOMIK, XII, 78₁₂), რომელშიც ზუყ გამოჰხატავს „თითონ“-ს.

ყველა შემონათქვამის შემდგომ ცხადი გახდება, რომ უხაუფ უკვე ჩვენებითი ნაცვალსახელი-კი აღარ გამოდის, არამედ უკუქცევითი ნაცვალსახელია. ხოლო, რაკი ადილეურში უკუქცევითი ნაცვალსახელი ყოველთვის პირის ნაცვალსახელთან ერთად იხმარება და მას მისდევს ხოლმე, სწორედ ამიტომაც მე-XVIII ს. ჩანაწერის ურუთუხაუფ უნდა ჩვენებითი სახელის მრ. რ. ფორმად-კი არა, არამედ „თითონ ისინი“-ს აღმნიშვნელ უკუქცევითი ნაცვალსახელად იქმნეს ცნობილი.

აფხაზური კითხვითი ნაცვალსახელი ვინ გვლდენ შტედტისათვის რომ დასუდა-დ დაუსახელებიათ, თანამედროვე აფხაზურისას სრულებით არ უდგება: ეხლა ხმარობენ დარბან-ს, როდესაც გონიერი არსება იგულისხმება, და დარბან-ს, თუ არა-გონიერზეა საუბარი. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, მაინც გერმ. მეცნიერის ჩანაწერში აქ არავითარი შეცდომა არ არის შეპარული. ვინ დასუდა ორი ნაწილისაგან შესდგება, რომელთაგან პირველი დასუ არის და თვითთვეულსა ნიშნავს, თანამედროვე აფხაზურში გამოითქმის დასუგ (იხ. რ — აბს. ლ., გვ. 24: დასუგ), — ხოლო მეორე ნაწილი და კითხვის ნაწილაკა, რომელსაც ზმნაში ეხლაც კითხვითი დანიშნულება აქვს შენარჩუნებული (იხ. იქვე გვ. 29: დას). მაშასადამე, თანამედროვე გაგებით, დასუდა ნიშნავს ვინ თვითთვეული?

გვლდენ შტედტის ნაშრომში აღბეჭდილი ვისი?-ს სამხრეთ-დასავლური აფხაზური შესატყვისობა ისტუა აღბათ ბგერათა ადგილმონაცვლებით წარმომდგარი უნდა იყოს ისტუა-საგან, რომელიც თავის მხრით უფრო ადრინდელი ისტუა-საგან გაჩენილ ფორმას უნდა შეადგენდეს. ისტუა-კი შერწყმული უნდა იყოს ი (ეს) + ხ (ჩემი) + ტიგ (საკუთრება) + უპ (არის) + ბა (კითხვითი ნაწილაკი)-საგან.

ისტუა ეხლაც ნიშნავს მაქვს. ვფლობ (უსლ. აბ. ე., ლექს.: ტიგ-ს ქვეშე). მაშასადამე, ისტუა თავდაპირველად და არსებითად ვისი?-ს აღმნიშვნელი-კი არ იქმნებოდა, არამედ „ეს ჩემი საკუთრებაა?“, „ეს ჩემია?“ და მხოლოდ შემდეგ უნდა იყოს ზოგადი მნიშვნელობის „ვისია?“-ს შესატყვისობად ქცეული.

ჩრდილო-აღმოსავლურ-აფხაზური ვისი?-ს ძველი ჩანაწერის აღმნიშვნელი ისტუა-ც ამავე ტიგ ძირისაგან არის ნაწარმოები და ი + ხ ტიგ + და-საგან არის შედგენილი და ნიშნავს: „ეს ჩემი საკუთრება არის?“ (და = ვინ?-ს) ანუ „ვისია?“ თანამედროვე აფხაზურშიც ისტუა ნიშნავს ვისია-ს (იხ. უსლ. აბ. ე.

გრ. § 62). ძველი რა?-კი, ეზეწია, ვგონებ, ე (ეს) + ზე (რა) + წ ძირის ზმნისაგან ნაწარმოები ფორმა უნდა იყოს. წ, უსლარის აზრით, აბხაზურში მოძრაობის გამომხატველი უნდა იყოს (აბ. ე., ლექს.), თუ ეს მოსაზრება მკლარი არ არის, მაშინ ეზეწია უნდა „ეს რა ოხდა?“-ს, ანუ, ქართული თანამედროვე განმარტებამი რომ ვიხმაროთ, „ეს რა ამბავია?“-ს უდრიდეს.

მე-XVIII ს. არეხ „აქეთ“ უდრის თანამედროვე არახე (რ. - აბ. ლ. 64: сюда) და არახი-ს (Арх. яв. Труды АБНИКа II, 11). უსლარს ხი, ანუ ხე მიმართულების გამომხატველ ში თანდებულად მაჩნდა (აბ. ე.: ლექს.), ნ. მარსსკი ასეთ თანდებულად—ახე (რ. - აბ. ლ. - 4: К, К0) მაჩნია.

ამავე ხანის ანეხ „იქით“-კი თანამედროვე აბნახი-ს (იხ. Арх. яв. Труды АБНИКа II, 11) ანუ აბნახ-ს უნდა უდრიდეს.

§ 3. აბხაზური ნაცვალსახელების აგებულება და ძირები

უსლართგან მოყოლებული მხ. რ. 1. პ. ნიშნად ს, 2. პ. ჟ და ბ, 3. პ. ჯ. ლ და დ, ხოლო მრ. რ. 1. პ. ჰ და 2. პ. ში არის მიჩნეული. მხოლოდ დჰმეზილს ჰგონია, როგორც შემდეგ დაგრწმუნდებით, რომ მხ. რ. 1. პ. ძირად აბხაზურს ა ხმოვანი აქვს. ამ საკითხის განხილვაც ისტორიულადაა საჭირო: ეხლა რომ მხ. რ. 2. პ. ნიშანი და ძირი ჟ (მამრ. სქ.) და ბ (მდედრ. სქ.) მოჩანს და ასეა აღქმული, მარტო ამის მიხედვით ისეთი პასუხსაგები ამოცანის, როგორც ნაცვალსახელების ძირების საკითხია, გადაკრა შეუძლებელია. რა საბუთი გვაქვს ვიფიქროთ, რომ სქესისა და კატეგორიისდა მიხედვით განსხვავებული ნაცვალ. ფორმები თავდაპირველად მარტო მხ. რ. 2. და 3. პ. უნდა ჰქონოდა? ცხადია, რომ წინათ 1. პ.-ისაც უნდა ყოფილიყო. ხოლო რაკი აბხაზურს 2 სქესისა და 2 კატეგორიის გარჩევის კვალი ემჩნევა, მაშინ საფიქრებელია, რომ თითოეულ პირს ნაცვალსახელის ოთხი ფორმა უნდა ჰქონოდა. მარტო მხ. რ.-ისათვის ამნაირად 12 ნაცვალსახელის არსებობა უნდა გვეგულისხმა, მრ. რ.-ისათვის კი ორივე სქესისათვის საერთოდ და ორივე კატეგორიისათვისაც ერთი ფორმაც რომ გვევარაუდნა, ამ შემთხვევაშიც მრ. რ.-ის ე ნაცვალ. ფორმა უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, სულ ორივე რიცხვისათვის 18 ნაცვალსახელის არსებობა და ცოდნა იქმნებოდა საჭირო. უკვე ეს გარემოებაც საკმარისია, რომ ასეთი მოსაზრება საექვოდ მივიჩნიოთ. ამიტომ მარტო თანამედროვე ვითარებაზე და აღქმაზე დამყარება არ შეიძლება, არაჲდ უპირველესად უნდა გამოვარკვიოთ, წინათაც ასე ყოფილა, თუ ნაცვალსახელების თანამედროვე ფორმების ანალიზით მათი უკრო აღრინდელი აღნაგობისა და ხმარების წესის გათვალისწინებაა შესაძლებელი. ამისთვის-კი ნაცვალსახელების აგებულების ცოდნაა აუცილებელი.

ვინც აბხაზურს პირთა ნაცვალსახელებს ეროხელ მაინც გადაიკითხავს, დარწმუნდება, რომ თითქმის ყველა რა-თი ბოლოვდება. უკვე ეს გარემოება ამელავნებს, რომ ეს მარცვალი ძირეული ნაწილი არ შეიძლება იყოს, რაც ყველა მკვლევართა მიერ აღიარებულია კიდევაც. მაშასადამე რა ყველგან გამოსაყოფია. ეგების ესეც საკმარისი იყოს, რომ უკვე პ. ნაცვალსახელების ძირებს მივაგნოთ? ამ საკითხზე პასუხის გაცემამდე სჯობია, რომ წინასწარ სხვა მკვლე-

ვართავან გამოთქმული მოსაზრებანი გაეხსენოთ: იქნებ იქ ამის პასუხი, თუ მთლიანად და საბოლოოდ არა, ნაწილობრივ მაინც აღმოჩნდეს. ესეც, რასაკვირველია, საქმეს გაგვიადვილებდა.

აბხაზურში პირთა ნაცვალსახელების ხმარების შესახებ დ. გულიას უსლარის ცნობებში შესწორება შეაქვს და ამბობს, რომ უფ პირის ნაცვალსახელი-კი არ არის, არამედ ჩვენებითია და ნიშნავს ის, ან იგი-ს. ე. ი. დაშორებული პირისათვის სამივე სქეს-კატეგორიისათვის არის განკუთვნილი, ხოლო ეს-ის აღსანიშნავად, ე. ი. მახლობელი პირისათვის აბრჩ იხმარება, რომელიც სამივე სქეს-კატეგორიისათვის საერთოა. ამგვარად, აბხაზურში უ დაშორებულობისა და მახლობელობის აღმნიშვნელიაო (Материалы по абх. грам. Агуа. Сухум 1927 წ., გვ. 5).

ხოლო მესამე პირის ნამდვილი პიროვნული ნაცვალსახელი აბხაზურად არის ძარჩ მამრ. სქ. და ლარჩ მდედრ. სქ., ძაგრამ ძარჩ სამივე სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელიც არისო (იქვე).

ამნაირადვე დ. გულიას მცდარად მიაჩნია უსლარის ცნობა, ვითომც მე-3 პირის მრ. რ. ნაცვალსახელიად შრთი იყოს. ესეც ჩვენებითი ნაცვალსახელის მრ. რ. ფორმაა, პირის ნაცვალსახელის მრ. რ.-კი ღარბ-ა სამივე სქეს-კატეგორიისათვისაო (იქვე 5)¹: ამიტომ მისი (მამაკაცის) მამა აბხაზურად იქმნება—ძარჩ ძაბ, მისი (ქალის) მამა—ლარჩ ლაბ, მისი (სქეს-კატეგორიის განუჩრჩეველად) მამა—ძარჩ აბ, ხოლო მათი მამა—ღარა რაბ (იქვე).

ამნაირადვე გულია ფიქრობს, რომ უსლარს შეცდომით აქვს მრ. რ. მე-3 პირის მაჩვენებლად რ აღნიშნული, მისი სიტყვით უნდა ღ (ღარჩ-ს მიხედვით) აღენიშნაო (იქვე, 6).

ამ შესწორებათა შემდგომ აბხაზური პირთა ნაცვალსახელები ასე წარმოგვიდგება:

- 1 პირი სარჩ (სამივე სქეს-კატეგ.)
- 2 „ უარჩ (მამრ. სქ.), ზარჩ (მდედრ. სქ.)
- 3 „ ძარჩ (მამრ. სქ.), ლარჩ (მდედრ. სქ.) და ძარჩ (სამივე სქესის არაგონიერთა კატეგორიის).

დ. გულია ამბობს: თუ უსლარს დავეთახსმეთ და ღარჩ-ს მაგიერ მრ. რ. მე-3 პირის ნაცვალსახელიდ ურთ მივიჩნიეთ, მაშინ ამნაირადვე ჩვენებითი ნაცვალსახელებისაგან პირთა ნაცვალსახელების შედგენა დანარჩენ პირებისათვისაც შეგვიძლიანო და პირთა ნაცვალსახელების შემდგვი სამი წყება გვექმნება:

მს. რ.	პირველი წყება:	მრ. რ.
1 პირი აბრჩ		აბარჩთ
2 „ აბნრ		აბანთ
3 „ უბრჩ		უბარჩთ

¹ დ. გულიას ზემოთყვანილი მოსაზრებათა და შესწორებათა მიხედვით აქვს აღნიშნული აბხაზური პირთა ნაცვალსახელები Абхазский яз.-ის ავტორსაც [Материалы по абхаз-грамм] Труды Абнака, II. 8.

მეორე წყება:

1 პირი არი	ართ
2 " ანი	ანო
3 " უბ	ურთ

მესამე წყება:

1 პირი	პართ
2 " არა აქეს	შართ
3 "	ურთ

ანის შედგომ დ. გულიას ნათქვამი აქვს: ეს საერთოდ, პირისა და მანძილის (ახლოებულობისა და დაშორებულობის) აღმნიშვნელი, პირთა ნაცვალსახელების, ჩვენი ძირითადი ნაცვალსახელებისა და კლასების პრეფიქსებისაგან ძირთან შეერთებულ წარმოდგარობას გვიჩვენებს (Mat. an. gram., 6-7).

საწესბაროდ, ზემომოყვანილი დასკვნა მკაფიოდ ვერ არის გამოთქმული, რათგან საქმისა და აბხაზური ენის პრაქტიკულად უცოდინარისათვის გამოურკვეველი რჩება, დ. გულიასაგან მოყვანილი პირთა ნაცვალსახელების სამი წყება აბხაზურში მართლაც არსებობს, ანდა პირთა ნაცვალსახელებადაც მიჩნეულია, თუ თეორიულადაა შედგენილი, როგორც აბხაზური ენის კანონების თანახმად სწორეა ნ წარმოები ფორმები?

დ. გულიასაგან აღბეჭდილი ნაცვალსახელთა სამი წყების ფორმები რომ მართლაც ყოფილი პრინციპების თანახმად შედგენილი მხოლოდ შინა საკუთარი ენობრივი შემოქმედების ნაყოფი არ უნდა იყოს, არამედ აბხაზური ენის საგანძურის კუთვნილებასაც უნდა შეადგენდეს, ამას აკად. გვლდენშტედტის ჩანაწერიც აშტკიცებს მის აღბეჭდილი აქვს, რომ მაშინ აბხაზურად თქვენ თურმე ყოფილა ავთ (A'nt) ეოთს დიალექტში, მეორეში-კი შრ. რ. მე-2 პირის ესევე ნაცვალსახელია აუათ (Auat)-ად გამოითქმოდა.

ესადია, რომ, რაკი ავთ და აუათ ერთი და იგივეა. ამ ფორმათაგან პირველს ამ ნაცვალსახელის მეორე ფორმაში დაცული უ ბგერა შენაცვლებით გ ბგერად აქვს ქცეული, მეორეს-კი ნ თანხმოვნისანი დაუკარგავს. ამნაირად მათ წინამორბედ დ აუანთ-ი არის საგულისხმებელი. იგი დ. გულიას მიერ დასახელებულ ნაცვალსახელთა პირველ წყების შრ. რ. მე-2 პირის აბანთი ფორმის შესატყვისობას წარმოადგენს, იმ განსხვავებით მხოლოდ, რომ გვლდენშტედტის ჩანაწერში ბ-ს მაგიერ ვ-თანხმოვნისანი ფორმაა აღბეჭდილი. როგორც ქვევით აღნიშნული იქმნება, საფიქრებელია, რომ ამნაირი ვ-ბგერიანი ორივე რიცხვის ყველა პირის ფორმები და ბ-ბგერიანი ფორმები პარალელურად უნდა არსებულებოდა და თავისი განსაკუთრებული მნიშვნელობაც უნდა ჰქონოდა.

ამნაირადვე, თავის ადგილას უკვე დავრწმუნდით, რომ ის მე-XVIII ს. ჩრდილო-აღმოსავლურ აბხაზურად აუაბ ყოფილა, თითონ ისინი-კი სამხრეთ-დასავლურ აბხაზურად ურუთუხაბუ. იქვე გამორკვეული გვქონდა, რომ ის-ს არსებითად აუაბ, ხოლო ისინი-ს ურუთუ გამოჰბატავს, ამათგან აუაბ უდრის აუგბ-ს,

რომელიც აბაზთა ტომის კილოვანება დაკული, ურუთ კი აბხაზური ურთ-ის, თუ ოდნავ მცდრია არა, სოულხსოვნინი ფორმა უნდა იყოს.

2 ვ მრ. რ.-სა და ვ პ. მხ. და მრ. რ. ნაცვალსახელების ზემომოყვანილი მაგალითობითგან ცხადი ხდება, რომ დ. გულიას მიერ მოყვანილი ნაცვალსახელების ფორმები მე-XVIII ს.-ში მართლაც პირთა ნაცვალსახელებად ყოფილა მიჩნეული და პირთა ნაცვალსახელებად უხმარიათ.

პირთა ნაცვალსახელებად მიჩნეული ზემომოყვანილი სამი წყება დ. გულიას აზრით უნდა თითქოს იმაზე მაგვითითებდეს, რომ პ. ნაცვალსახელები საერთოდ ჩვენებითი ნაცვალსახელებისა და სქეს-კატეგორიების თავსართების ძირთან შეერთებით უნდა იყოს წარმომდგარი, რა აქვს ავტორს ძირად ნაგულისხმევი, არა ჩანს. მხოლოდ დ. გულია ფიქრობს, რომ ნაცვალსახელები თავდაპირველად პიროვნებისა და მანძილის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყვნენ. მანძილის აღმნიშვნელობა კი რომ ყველა პირთა ნაცვალსახელების კუთვნილება ყოფილიყო, არამცთუ ძნელი დასაჯერებელი, სრულებით დაუჯერებელია. მანძილობისა, თუ დაშორებულობის გარემოება მხოლოდ ვ პ. ჩვენების ნაცვალსახელებში გხვდება და ეს გარემოება იმავეითვე მარტო იქ უნდა ყოფილიყო, რადგან 1 და 2 პირის სადამყოფობა მოსაუბრეთათვის ისედაც ყოველთვის ცხადია ხოლმე.

აბხაზური პირთა ნაცვალსახელების ჩვენებითი ნაცვალსახელებსაგან წარმოშობილობის მოსაზრება დ. გულიას ზემომოყვანილი სამი წყების აღნაგობის ანალიზსა და შესწავლაზე არ არის დაძუარებული. უამისოდ კი ნაცვალსახელების თავდაპირველი აკებულებისა და სახის გამორკვევა შეუძლებელია.

უნდა რომ სწორედ ამ ამოცანის კვლევა-ძიებას მიეყოთ ხელი, არსებობს, თუ არა, რაიმე საფუძველი, რომ ნაცვალსახელების პირველი და მეორე წყება პირთა გამომხატველადაც იყოს მიჩნეული?

თუ აბრ ან არ მხ. რ. ! პირის აღმნიშვნელია, ხოლო აბართ, ან ართ მრ. რ. 1 პირისა, სად არის აქ ან 1 პირის ნაცვალსახელის თავსართი, რომელიც ხ არის? ამგვარადვე, თუ აბნ, ანდა ან მხ. რ. 2 პირის გამომხატველია, მრ. რ. 2 პირისა კი აბანთ, ანდა ანთ-ია, სად არის აქ მეორე პირის ნიშანი?

საკმარისია აღაშინა ნაცვალსახელთა ამ სამ წყებითგან მესამე წყებას, რომელსაც მხოლოდ მრ. რ. აქვს, შიაცკიოს ყურადღება და პირველ ორ წყების ფორმებს შეადაროს, რომ მისთვის მათ შორის არსებული დამოკიდებულება ცხადი შეიქნეს.

პირველი ორი წყების ფორმებს პირის არავითარი გამომხატველი და განმასხვავებელი თავსართები არ აბადია და არც:

1 პირი აბრ, ან არ

2 „ აბნ, ან არ

მესამე წყების ფორმები-კი ერთიმეორისაგან თავსართებით განსხვავდებიან და ამიტომ არის

1 პირი ჰართ

2 „ შართ

3 „ ურთ, რომელიც, როგორც შემდეგ დავრწმუნდებით, უართისაგან უნდა იყოს წარმომდგარი.

ებლა რომ პირველი ორი წყების ნაცვალსახელების განხილვას შევუდგეთ და ჯერ მხოლოდ მხ. რ. ფორმებს შევხებით,—

1	პირი	აბრ	არ
2	"	აბნ	ან
3	"	უბრ	ურ

პირველი წყების ფორმები მეორე წყებისაგან მხოლოდ თავკიდური ხმოვნის შემდგომ ჩართული ბ ბგერით განსხვავდება. მეორე წყების მესამე პირის ფორმას-კი რ-ც დაკარგული აქვს. მართო ის გარემოებაც, რომ ბ ხაზივე პირის ფორმაშია, ცხად-ჰყოფს, რომ ბ არ შეიძლება პირის მაჩვენებელი ნიშანი იყოს თუნდაც ისევე, როგორც ბარა-შია ამჟამად აღქმული.

მეორე მხრით „აბხაზ. ენის“ ავტორის დებულებაც თითქოს ამ ნაცვალსახელებში ბ მახლობელობისა და სახილავობის გამოხატვლი ელემენტი იყოს, რომ სწორე არ არის, ამის ცხად-საყოფელად თუნდაც ისიც კმარა, რომ აბრა აქ, აბრაანი-ც აქეთკენ და აბნა იქ, აბნახი-ც იქითკენ ისევე, როგორც უბრა იქ, უბრაანი-ც იქითკენ, ყველა, მახლობელობისა და დაშორებულება-უხილავობისდა განურჩევლად, ბ ელემენტის მქონებელია.

ებლა რომ ნაცვალსახელთა პირველი ორი წყების მხ. რ.-ისა და მრ. რ.-ის ფორმები ერთმანერთს შეეადაროთ. ცხადი გახდება, რომ მეორე წყების ფორმათა მიხედვით

	მხ. რ.	მრ. რ.
1	პირი არ	ართ
2	" ან	ანთ
3	" ურ	ურთ

მრ. რიცხვის 3-ივე პირის ფორმებს ბოლოში თ ახლავს, რომელიც მხ. რ.-ის ბოლოკიდური ბ ბგერის ჩამოცლილ ფორმებს ემატება. როგორც ეტყობა, ეს ბ ბგერა ნაცვალსახელის არსებითი ნაწილი არ არის. ამას გარდა, მხ. რ. მე-3 პირის ფორმის მიხედვით, საფიქრებელი ხდება, რომ მხ. რ.-ის მე-3 პირის ფორმაც წინათ ური უნდა ყოფილიყო, შემდეგში კი რ გამჭრალა. ამას ის გარემოებაც ამტკიცებს, რომ პირველი წყების მე-3 პირის ნაცვალსახელს უბრ-საც რ შენარჩუნებული აქვს.

ის გარემოება, რომ ამ ნაცვალსახელების მრ. რ.-ის ფორმებს მხ. რ.-ის ფორმებისაგან მხოლოდ ბოლოში დართული თ ასხვავებს, ცხად-ჰყოფს, რომ თ მრავლობითი რიცხვის ნიშანია. ამ დასკვნის სიმართლეს ისიც ამტკიცებს, რომ პირველი და მესამე წყების მრ. რ.-ის სამივე პირის ფორმებსაც ყველას ბოლოში თ ახლავს. მ-ს მრავლობითობის აღმნიშვნელობა ნით უფრო საყურადღებო გარემოებაა, რომ თანამედროვე აბხაზურს მრ. რ.-ის ნიშნად ეს ბგერა უკვე აღარა აქ ს.

ნაცვალსახელების ზემოთყვანილი მაგალითების მიხედვით საფიქრებელი ხდება, რომ თ მრ. რ.-ის ბოლოხართად, ქართულის მსგავსად, თდებლაც აბბა-ზურხაც უნდა მქონიდა.

ნაცვალსახელთა პირველი წყების ფორმათა შესახებ გამოსარკვევია, რომელს ამ ორ რიცხვთაგანს, მხოლოდობითსა, თუ მრავლობითს, აქვს უფრო უკეთესად პირვანდელი სახე დაკული, სახელდობრ, გამოსარკვევია, წარმოსდგა

1 პირის აბრი	აბარი }
2 „ აბნი	აბანი } -საგან
3 „ უბრი	უბარი }

და ამნაირად მრ. რ.-ის ფორმები, მეორე წყების ნაცვალსახელების მსგავსად, ბოლოკიდური ი-ს მოცილებითა და მრ. რ.-ის თ ნიშნის ბოლოსართად დაართვის საშუალებით არის ნაწარმოები, თუ წინაუკმო 1. ბარი 2. ბანი 3. ბური-საგან.

პირველი აზრი ეგონებ უფრო სწორე უნდა იყოს, რათგან მეორე შემთხვევის დროს ძნელი ასახსნელი იქმნებოდა მხ. რ.-ის ბარი, ბანი და ბური საგან როგორ უნდა წარმომდგარიყო მრ. რ.-ის ფორმები აბართ, აბანთ და უბართ, სახელდობრ, საითგან გაჩნდა შუა ა ბგერა, და მეტადრე, როგორ წარმოსდგა 3 პირის უბართ? სამაგიეროდ, პირველი შესაძლებლობის სამართლიანად მიჩნევის დროს, აბარი, აბანი და უბარი-საგან აბრი, აბნი და უბრი ფორმების წარმოშობა, ბოლოში მოქცეული მახვილის გაელენით გამოწვეული ა-შუა ხმოვნის გაქრობის წყალობით, აღვილად დასაჯერებელი განმარტება იქმნებოდა.

ეხლა აღსანიშნავია, რომ ნაცვალსახელთა პირველ წყებაში ორივე რიცხვის პირველისა და მესამე პირის ფორმებს უკანასკნელ თანხმოვნად რ აქვთ (1 პირის აბრი, აბართ, — 3 პირის-უბრი, უბართ), ხოლო მეორე პირის ფორმას აქვე ნ აქვს (აბნი, აბანთ). ასეთივე სურათია ნაცვალსახელთა მეორე წყებაში (1 არი, ართ, — 3 უ(რი), ურთ, ხოლო მე-2 პირისას ანი, ანთ). ამ მხრივ ერთნაირობა მხოლოდ მესამე წყების ფორმებს აქვთ დაკული და იქ სამისავე პირის ფორმას (მართ, მართთ და ურთ) რ აქვს.

შარვალია, 1 პირის ფორმება აბრი, აბართ და არი, ართ მე-2 პირის ფორმებისაგან აბნი, აბანთ და ანი, ანთ მხოლოდ თავიანთი რ და ნ თანხმოვნებით განირჩევიან და ამიტომ შესაძლებელია ადამიანს ეფიქრა კიდევ, რომ სწორედ ეს ბგერები რ 1. პირის და ნ მე-2 პირის მაჩვენებელი არიან (ამეიამდ აბნაზურში სწორედ ეს ბგერები ასხვავებენ და არჩევენ პირველი პირის ფორმისაგან მეორე პირისას), მაგრამ ასეთი დასკვნა რომ სრულებით მკდარი იქმნებოდა, ამას ის გარემოებაც ცხადყოფს, რომ ეს ვითომცდა 1. პირის მაჩვენებელი რ ბგერა ნაცვალსახელთა პირველისა და მეორე წყების მესამე პირის ფორმებსაც აქვთ (უბრი, უბართ, ურთ), ისევე, როგორც ეს რ ბგერა მესამე წყების სამივე პირის ფორმებსაც მოეპოვება. ამის შემდგომ ცხადია, რომ რ აქ არას გზით არ შეიძლება პირის მაჩვენებელი იყოს.

რაკი მესამე წყების ნაცვალსახელებს ერთგვარობა ემჩნევათ და პირველი და მეორე წყების მეორე პირის ფორმების მსგავსად, მესამე წყების მეორე პირის ფორმას ნ არა აქვს, თავისთავად იბადება საკითხი, რომელი ამ თანხმოვანთაგანი რ, თუ ნ უნდა იქმნეს პირველად მიჩნეული?

მას შემდეგ, რაც ზემომოყვანილმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ პირველისა და მეორე წყების ნაცვალსახელები არც ზ და არც რ ბგერება პირის მიხედვით არ არის, გამოდის, რომ პირველი და მეორე წყების ორსავე რიცხვს 1 და 2 პირის ნაცვალსახელებს პირის მაჩვენებელი ბგერა არ ჰქონიათ. რაკი დაუჯერებელია, რომ ასეთი მდგომარეობა პირველადი იყოს, რათგან მაშინ გაუგებარი იქნებოდა, თუ რაზე უნდა დამყარებულიყო ამ ნაცვალსახელების სხვა-და-სხვა პირთა აღმნიშვნელობა, ან როგორ უნდა გაერჩია მსმენელს, რომელ, პირველსა, თუ მეორე პირს ჰგულისხმობდა მოსაუბრე, თუ მეტადრე იმ გარემოებასაც გაეხსენებოდა, რომ თავდაპირველად ამ ნაცვალსახელების საში პირის ფორმებს ან რ ანდა ნ უნდა ჰქონოდათ და ამიტომ 1 პირისა და მეორე პირის ფორმად უნდა აბარჩ, ანდა აბანჩ ვიგულისხმოთ. ამ მოსაზრებათა გამო საფიქრებელია, რომ პირველი და მეორე წყების ნაცვალსახელების 1 და 2 პირის ფორმებს ოდინდელი თავკიდური პირის მაჩვენებელი ბგერები დაკარგული უნდა ჰქონდეთ. ამ დანაკლისის კომპენსაციასა და 1 და 2 პირის ფორმათა მნიშვნელობის გარჩევის შესაძლებლობას მეორე და პირველი პირის ფორმებში მომხდარი რ და ნ აანხმოვნის ფონეტიკური დიფერენციაცია ჰქმნიდა: ამით 1 და 2 პირის ფორმების ერთი მეორისაგან განრჩევა შესაძლებელი შეიქმნა და პირის მაჩვენებელი თავსართების გაქრობის ზიანიც ანაზღაურებულ იქმნა.

თუ ეს აზრი მკლარი არ არის, მაშინ უნდა გამოიჩვენოს, პირთა აღმნიშვნელი რომელი თავსართები უნდა ჰქონოდათ ორივე რიცხვის პირველი და მეორე პირის ორივე წყების ნაცვალსახელებს?

ამ საკითხის გამორკვევა ნაცვალსახელებსა შესაძლებელია ანალიზის საშუალებით შეიძლება, რომელსაც მხოლოდ მრ. რ. ფორმები აქვს. მე-3 წყების მრ. რ.

1 პირი ჰართ

2 „ შართ

3 „ ურთ არის. რომელიც უართ-ისაგან არის წარმომდგარი. ამ ფორმების ჯერ პირთა ერთი მეორესთან, შემდეგ-კი ნაწილობრივ პირველისა და მეტადრე მეორე წყების ნაცვალსახელებთანაც შედარება ცხადყოფს, რომ პირველი პირის აღმნიშვნელ თავსართად აქ ჰ არის, მეორე პირისა — ში, შესამე პირისა კიდევ უ გამოდის.

აღსანიშნავია, რომ საკუთრივ პირთა ნაცვალსახელების მრ. რ.-ის 1 პირსაც თავში ჰ ბგერა და 2. პირს ში აქვთ, ე. ი. იგივე, რაც შესამე წყების შესატყვის ფორმებს. შესამე პირის ფორმას-კი იქ მხოლოდ დ აქვს თავში (დარჩ) ურთ (უართ)-ის მაგიერ.

ესლა მხ. რ. პირთა აღმნიშვნელი ბგერების გამორკვევას რომ შევუდგეთ, ჯერ უნდა იმ გარემოებას მივაქციოთ ყურადღება, რომ სამივე წყების მრ. რ.-ის სამივე პირის ფორმებს ბოლოში მრავლობითობის აღმნიშვნელი თ აქვს. სწორედ ეს ბოლოში დართული თ ბგერა მხ. რ.-ის ფორმას მრ. რ.-ის ფორმად ხდის. აღსანიშნავია ამასთანავე, რომ თ მრავლობითი რიცხვის ბოლოსართი შესამე წყების ნაცვალსახელების სამივე პირის ფორმებსაც აქვს, რომელთაც პიროვნული თავსართებიც აბადიათ. რაკი ენას ამ შემთხვევაშიაც მრ. რ.-ისათვის თ ბოლოსართის ხმარება დასჭირდება, ეს იმის ცხადი დამამტკიცებელი

უნდა იყოს, რომ თავისდათავად 3, 5-ე და 7-ე თავსართებს პიროვნების მრავლობითობის გამოსატყობად, ანუ მრ. რ.-ის ნაცვალსახელის მოვალეობის ასრულება არ შეეძლოთ. ეს-კი იმ გარემოების გამოქვეყნებულია, რომ პირთა მარცხენა-ხელის თავსართები მხოლოდ ერთი და მრავლობითი რიცხვისათვის თავდაპირველად ერთი-და-იგივე ყოფილა, და მრ. რ.-ას ფორმების საწარმოებლად მხოლოდ 1-ე ხოლოსათვის მიმატება-ღა იქმნებოდა საჭირო.

ამიტომ უნდა ვიფიქროთ, რომ თანამედროვე და უკვე მე-XVIII ს. ჩანაწერით აღბეჭდილი განსხვავებული მხ. რ.-ის 1 პირისათვის ხარა-ს და მრ. რ.-ის იმავე პირისათვის ხარა-ს, ე. ი. განსაკუთრებული ნაცვალსახელის არ-ებობა მერმინდელი ფონეტიკური დიფერენციაციით წარმოშობილი მოვლენა უნდა იყოს.

სამივე, მეტადრე-კი პირველი, წყების ნაცვალსახელთა ანალიზის დროს დაგრწმუნდით, რომ ბ და რ-ს პირთა ნაცვალსახელოვან თავსართებად მიჩნევა არას გზით არ შეიძლება. ეს გარემოებავე გამოჩნდა და 7-ე ბგერითი მე-2 და მე-3 პირის ნაცვალსახელთა განხილვის დროსაც.

ამის შემდეგ, თავისთავად იბადება აზრი, რომ მხ. რ.-ის მეორე პირ-ს მამრობითი სქესის ნაცვალსახელებში ჟარა-სა და მდედრობითისა—ხარა-ს 7-ე და ბ ბგერებისა მე-2 პირის ნაცვალსახელოვან თვისებად მიჩნევა არ შეიძლება. ამ აზრის სიმართლის დამტკიცება იმიტომ შეიძლება, რომ მე-2 პირის ნიშნად 5-ე ბგერა არის, როგორც ნაცვალსახელთა მესამე წყების ფორმების ანალიზის დროს დაგრწმუნდით. ხოლო რათგან ჟარა მეორე პირს, მაგრამ შამაკაცს ნიშნავს, ხარა-ც მეორე პირს, მაგრამ მხოლოდ დედაკაცს, ამისდა მიხედვით უნდა დავასკვნათ, რომ 7-ე პირისა-კი არა, როგორც აქამდის ეგონათ, არამედ მამრობითობის აღმნიშვნელი ოდინდელი თავსართი უნდა იყოს, ბ-ც მდედრობითობის, ანუ უფრო სწორედ რომ ითქვას, უშასაკოთა და არაგონიერ არსებათა აღმნიშვნელი თავსართია. აბხაზურსა და კავკასიის სხვა ენებში ამის მსგავსი არაერთი სხვა შემთხვევაც არის, სადაც დედაკაცი უშასაკოთა და არაგონიერ არსებათა ჯგუფშია ხოლომე მოქცეული.

ხარა უნდა ნაცვალსახელთა 1 წყების მხ. რ.-ის მე-2 პირის ახან-ს მსგავსი და მონათესავე ფორმის ახარ-საგან იყოს წმინდა პირთა ნაცვალსახელთა წყებაში შეხიზნული იმგვარადვე, როგორც ჟარა-ც, როგორც ეტყობა, აწ უკვე სრულებით დაკარგულისა, მაგრამ მე-XVIII ს. გულდენშტედტის ჩანაწერში აღბეჭდილი მრ. რ.-ის მე-2 პირის აჟანთ-ის შესატყვისი მხ. რ.-ის მე-2 პირის აჟან-ს მსგავსი და მონათესავე აჟან-ს ფორმისაგან უნდა იყოს შერჩენილი.

ამნაირადვე ხაფიქრებელია, რომ მხ. რ.-ის მე-3. პირის დედაკაცის აღმნიშვნელს ლარა ნაცვალსახელშიც ლ პირის ნაცვალსახელოვანი ელემენტი-კი არ არის, არამედ მდედრობითი სქესის ძველი, ბ-ზე უწინარესი, თავსართივანი ნიშანია.

ყველა ზემოგანხილულისა და ანალიზით მოპოებული შემდეგ, გვებადება აზრი, რომ აბხაზურში ოდესღაც ნაცვალსახელთა ორი ჯგუფი უნდა ყოფი-

ლიყო, რომელთაგან პირველი მხოლოდ წმინდა პირთა ნაცვალსახელების ფორმებს შეიცავდა, პირთა სქეს-კატეგორიის ალუნიშვნელად, მეორე ჯგუფის ფორმები-კი პირველ ჯგუფის ფორმებიანაგან სწორედ იმით განსხვავდებოდნენ, რომ მათ, პირის აღმნიშვნელ ნიშნებს გარდა, პირის სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი ფორმანტიც ჰქონდათ.

ნაცვალსახელთა ამ მეორე ჯგუფს ფორმათა იმდენი წყება ექმნებოდა, რამდენი სქეს-კატეგორიაც აბხაზურში არსებობდა. საფიქრებელია, რომ ეს მეორე წყება პირველზე აღრინდელია. დროთა განმავლობაში აბხაზურში სქეს-კატეგორიის შეგნების შესუსტება-გაქრობასთან ერთად, ნაცვალსახელთა ამ მეორე, სქეს-კატეგორიის გამომხატველი, ჯგუფის ფორმებს თანდათანობით თავში მყოფი პირის მაჩვენებელი ნიშნები ჩამოხსცილდება. ამ ფორმებში მომხდარი ფონეტიკური დიფერენციაციის წყალობით (ნ და რ-ს შენაკვლებით) ამ ფორმათა პირის მიხედვით განჩნება პირის ფორმანტის დაკარგვის შემდეგაც შესაძლებელი იყო და ამიტომაც ამ ფორმების პირთა ნაცვალსახელების მნიშვნელობით წინანდებურად ხმარებაც შეიძლებოდა და თანაც სქეს-კატეგორიის განსხვავების აღმნიშვნელობაც მათ შერჩენილი ჰქონდათ. ამ თვისების წვალობით ამ მეორე ჯგუფის მეორე და ზოგი სხვა პირის ეს ნაცვალსახელები საკუთრივ პირთა ნაცვალსახელების ჯგუფში მოექცნენ.

აბხაზური ნაცვალსახელების აღნაგობისა და შემადგენელი ელემენტების შესწავლა მკვლევარს მართლაც საყურადღებო საკითხების გამორკვევის საშუალებას აძლევს და ასეთმა გულდასმითმა ანალიზმა, როგორც მათი აგებულების, ისევე პირთა და სქეს-კატეგორიების აღმნიშვნელი ნამდვილი ბგერების გამორკვევა შეგვაძლებინა. ამავე დროს დაერწმუნდით, რომ პირთა ნაცვალსახელების ანალიზისათვის უკუქცევის ნაცვალსახელებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონია.

თავი მეორე

უბიხური ნაცვალსახელები

სინდურ ენათა შორის ნაცვალსახელების მხრით აბხაზურივით უბიხურია საყურადღებო. წინათ თუ უბიხური ნაცვალსახელების მხოლოდ ერთი, უსლარის წინასწარი ჩანაწერი გვქონდა, ესლა უკვე მეტყველების ამ ნაწილზე ამას გარდა ორს მონოგრაფიულ შრომაში საკმაო ცნობები მოგვეპოვება. პირველი ცნობები პ. უსლარს აქვს აღბეჭდილი თავის პატარა წერილში „უბიხთა ენის შესახებ“ („О языке убыхов“), რომელიც მისი ნაშრომის „აბხაზურ ენა“-ს დამატებად ახლავს კაკ. ოლქის გამოცემაში (გვ. 75—102). მონოგრაფიულად-კი ად. დირრს აქვს შესწავლილი 1927 და 1928 წ. გამოქვეყნებულს ნაშრომში „უბიხთა ენა“ („Die Sprache der Ubychen“, *ib. Caucasia* IV, 65—144 და V, 11—54). დამატებითი ცნობები და შესწორებანი გ. დუშეხილის 1932 წ. ნაკვლეფშია „უბიხთა ენა“ („La langue des Oubykhs“: *Collection linguistique, publiée par la Société de Linguistique de Paris, t. XXXV*).

§ 1. პირთა ნაცვალსახელები

1. მე—სგლჷა (დ.), ხგლოე (უ.), სგლოა (ღირ.)¹.—ჩვენ—შგლჷალა, ში-
ლოალა (ღირ.)², შიულოე (უსლ.)
2. შენ—(უ)ღჷა (დ.), ვულოე(უ.), ულოა(ღირ.).—თქვენ—სოღჷალა, ხი-
ლოალა (ღირ.) ხაულოე (=ხშიულოე) (უსლ.)
3. ეს—აანა, ლგლა, ნგლა (იშვიათად დ.).—ისინი—აალა(დ.), აილა,
(ღირ.) და ანა (უსლ.), აი(ღირ.), ანლა (დ.) იელა (უსლ.)
ის—ჷანა (დ.), იენა (უსლ.), აა(ღირ.), აალა (ღირ.)
„ის თითონ“—აღჷა.
(ღვმეზილის Étud., გვ. 106 და 110, —უსლარის აბ. ე., გვ. 92—93
და ღირის Einführung, გვ. 44).
უბიხურს ნაცვალსახელოვან თავსართებად აქვს:

მხ. რ.

- 1 პ. ს(ი), ს(ე) [დ.], — ს (უსლ.), — ს, ს(ე) უსლ.)
- 2 პ. ჷუ, ჷუ, ჷ (დ.), — ვ, ან უ (უსლ.), — უ (ღირ.)
- 3 პ. ლ(ა), ლგ (დ.), — ლლ (უსლ.)

მრ. რ.

- 1 პ. შ(ი), შგ(დ.), ში (უსლ.). — შ, ში (ღირ.)
- 2 პ. ხ(ვ) (დ.), — ხა, ხშ (უსლ.), — ხა, ხი (ღირ.) (იქვე).

§ 2. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

კუთვნილებითი ნაცვალსახელების შესაქმნელად უბიხური პირის ნაცვალსახელს კუთვნილების გამოხატველს გზ ფორმანტს უმატებს ხოლმე სათანადო ნაცვალსახელოვანი თავსართით, მაგ. ჩემი იქმნება სგლჷა სგზ, შენი კიდევ უღჷა უზ, რომელიც შერწყმული სახითაც უღჷაზ-ადაც ითქმის (ღვმეზილის Études, გვ. 114).

§ 3. უკუქცევითი ნაცვალსახელები

უკუქცევითი ნაცვალსახელების მაწარმოებლად უბიხურს გზ ბოლოსართი აქვს და მე თითონ, ან მევე იქმნება ხიგა, შენვე—(უ)უგა. ღვმეზილის სიტყვით, ეს გზ ფორმანტი აბხაზურს გგ და იდილეურს კ ბოლოსართებს უღ-
რის (Études, გვ. 116).

1. ღირის განმარტებით, ლჷა ლაა=თითონ-ს (იქვე).

2. ლაა, რასაკვირველია, ძველი მრავლობითი რიცხვის ბოლოსართია. ღირის ამბობს (იქვე).

§ 4. უბიხური ნაცვალსახელების აგებულება და შემადგენელი ელემენტები

უბიხური პირთა სამივე პირის ნაცვალსახელები დანარჩენი სინდური ენე-პისაგან საგრძნობლად განსხვავდებიან. სხვაობა უმთავრესად მეტყველების ამ ნაწილს მეორე მარცვალში ემჩნევა: აბხაზურს, ადიღეურს და ყაბარდოულს ახმოვნებული, ანდა უხმოვნო რ ბგერა აქვთ, უბიხურს-კი მეორე ნაწილად ღჟა (მხ. რ. 1. 2. 3. და ერთს ჩვენებითს ნ.), ღლა (ჩვენებ. ნ.) და ღჟახლან (მრ. რ. 1, 2 3. და ერთს ჩვენ. ნ.) მოეპოვება.

უბიხური პირთა ნაცვალსახელების აგებულება შესდგება: 1. ნაცვალსახელოვანი ნიშნისა, 2. ღჟა მარცვლისაგან, რომელიც ღლ-დაც გამოითქმის და მრ. რ. 3 3. აგრეთვე ბოლოკიდური ღან ნაწილაკებისაგან. ისევე, როგორც ამ ნაცვალსახელების თავკიდურს მარცვალს პირის აღნიშვნა ეკისრება, დანარჩენ ნაწილებსაც, ცხადია, თავიანთი დანიშნულება უნდა ჰქონდეთ.

დღემეზილი ფიქრობს, რომ უბიხ. მრ. რ. ნაცვალსახელების 1. 3. შგლუა-ღან-ს და 2. 3. ხვლჟახლან-ს (ყსლ.: სშულოე) ბოლოკიდური მარცვალი ღან მრავლობითი რიცხვის ნიშანია (იხ. Études, გვ. 106, შენ. 10). მაგრამ მისივე სიტყვით ეს ნაწილაკი მრ. რ. ნიშნად მხოლოდ 1. და 2. პირის და ჩვენებითი ნაცვ. სახელების, აგრეთვე სახელწმინათა მრ. რ. ფორმებს უჩანთ (მისივე სიხ., გვ. 35). ჩვეულებრივი უბიხური მრ. რ. ნიშანი-კი ხ არის. მართალია, თანამედროვე უბიხურში 1. და 2. პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელების მრ. რ. ფორმებში ღან ნაწილაკი მრ. რ. ნიშნად იღქმული ჩანს, მაგრამ ზოგიერთი მოსაზრება გვაფიქრებინებს, რომ ეს მერმინდელი გააზრიანების შედეგი უნდა იყოს და თავდაპირველად ამ რთული აგებულების ნაწილაკს სხვა დანიშნულებაც უნდა ჰქონოდა.

მართო ეს უბიხური ფორმები რომ ავიღოთ, ბოლოკიდური ღან მართლაც მრ. რ. ნიშნად მოგვეჩვენება, თუმცა მრ. რ. 1. და 2. პირის ფორმების ნაცვალსახელოვანი თავკიდური ელემენტი ამავე პირების მხ. რ. ასეთივე ელემენტებისაგან ისე განსხვავდება, რომ მათი მრავლობითობა ისედაც ჩანს და ამიტომაც მრ. რ. ბოლოსართი ზედმეტი უნდა ყოფილიყო. მაგრამ, ამ უკანასკნელ გარემოებასაც რომ ყურადღება არ მივაქციოთ, მოძმე ენებთან შედარებამაც შესაძლებელია ამ ღან ნაწილაკის თავდაპირველი ბუნება და დანიშნულება სულ სხვანაირად წარმოვიდგინოს. მხოლოდ, სანამ შედარებითს შესწავლას შევუდგებოდეთ, ჯერ ამ ბოლოკიდური ღან მარცვლის ანალიზია საჭირო.

ამ მარცვლის თანხმოვანი ლატერალური, ანუ გვერდითი ღან არის, რომელიც, როგორც ვიცით, რთული ბგერაა და გვერდით გამოთქმულობასთან ერთად ზლ-ს შერწყმულობას მაინც და მაინც უცილობლად შეიცავს. თუ ამ გარემოებას გავიხსენებთ და წარმოვიდგინოთ, რომ ამ ორი თანხმოვნის შერწყმულობა მერმინდელი მოვლენა უნდა იყოს, მაშინ ამ ღან-ს ხ და ღ თანხმოვნებად ვაყოფა შეიძლება და მთელი ეს ბოლოკიდური ნაწილი ხლანდ წარმოვიდგება, რომელიც თვით ხ და ღან-საგან არის შემდგარი. ამათგან ხ უბიხურსა და ადიღეურში მართლაც სწორედ მრ. რ. ნიშანია. ამნაირად ღან მარ-

ცვალს მრავლობითობის აღმნიშვნელობას მხოლოდ მასში შემავალი ხ ან-
კებს, ლა-ს კი ამასთან არავითარი კავშირი არა აქვს, არამედ მისი დანიშნულება
ცალკე უნდა იყოს გამორკვეული. თუ ამის შემდგომ შემომოყვანილს 1- და
2. პირის მრ. რ. უბიხურს ფორმებს ასეთსავე ნაცვალსახელებს 1. პ. აბხაზურს
შარა სა და ადიღეურს ტერი-ს, 2. პ. აბხ. შარა-სა და ადიღ. სერი, ფერი-ს
შევადარებთ, იქაც მრ. რ. ამ ოთხსავე ფორმას ხომ რა და რი მარცვალი აქვს
ბოლოში. რაკი იგი ძირეული არ არის, რასაკვირველია, რალაც ფორმანტი უნდა
იყოს. ხოლო, რათგან ოთხივე მრ. რ. ფორმაა, ამიტომ აქაც შესაძლებელია
აღამიანს ეფიქრა, რომ რა და რი სწორედ მრ. რ. ნაწილაკებია, მით უმეტეს,
რომ ასეთ პირობებში სრულებით ბუნებრივია აბხაზური რა-სა და უბიხური
ლა-ს იგივეობა ვიცნაოთ. მაგრამ, რამდენადაც უკანასკნელი დასკვნის, რა-სა და
ლა-ს იგივეობის, წინააღმდეგ არაფრის თქმა არ შეიძლება, იმდენადვე სრულე-
ბით მცდარი იქნებოდა აზრი, თიოქოს რა და რი მრ. რ. ნაწილაკებია. ეს ოუნ-
დაც იქითგან ჩანს, რომ რა აბხაზურსა და ადიღეურში პირთა ნაცვალსახელებ-
ის მხოლობითი რიცხვის სამივე პირის ფორმებსაც აქვთ. ცხადია, რომ რა და
ლა-ს, რ-საც სინდური ენების ნაცვალსახელებში ისეთივე დანიშნულება უნდა
ჰქონდეს, როგორც ქართულსა და ქართველურებში მეტყველების ამავე ნაწილში
ნა და ნ-სა აქვს. ამიტომაც საფიქრებელია, თავდაპირველად უბიხურ ნაცვალ-
სახელების მხ. რ. ფორმებსაც, აბხაზურისა და ადიღეურ-ყაბარდოულის მსგავ-
სად, ამავე ნაწილაკის ფონეტიკური სახესხვაობა ლა უნდა ჰქონოდათ ბოლოში
და მხოლოდ შემდეგში, დროთა განმავლობაში, უნდა ჰქონდეს ეს ნაწილაკი
მხ. რ. ფორმებს ჩამოცილებული.

ლა მარცვლის რაობის განხილვის შემდგომ, უნდა ლუა-ს დანიშნულების
გამორკვევაც ვცადოთ. დავმეხილი ფიქრობს, რომ ლუა იგივე მითითებითი
ნაწილაკია, რომელიც აგრეთვე კიდევ შემდეგ გამონათქვამებში გვხვდება: ალუა
„ეს თითონ“, და-ლუა „ამნაირად“, ლუა „ქვევით“, სიგ-ლუა „ზევით“, ზა-
ლუა, ანდა ზა-ლო „ერთეული“, „ერთობლივ“, მაგ. შა-ზალოაილ „სამი ძმა“,
„სამივე ძმა“ (Оуб., გვ. 17, § 33 და 15 § 31). აღამიანი რომ ჩაუკვირდეს, ზემო-
მოყვანილს შემთხვევებში ლუა ნაწილაკი ქართულს ვე ნაწილაკს უდრის, რათ-
გან ეს გამონათქვამები ქართულად ასეც შესაძლებელია გამოინატოს: თითონვეა
ასევე, სამივე.

უბიხური პირთა ნაცვალსახელების აგებულების შემომოყვანილი ანალიზის
შემდგომ, ცხადია, რომ ამ ნაცვალსახელების მნიშვნელობა მე, შენ, ის, ჩვენ, თქვენ
და ისინი-კი არ იქნება, არამედ, მათი შინაარსი რომ ზედმიწევნით გამოითქვას,
უნდა გადმოგვეთარგმნა მევე, ანუ მე თითონ, შენვე, ანუ შენ თითონ, ჩვენ
თითონ, თქვენ თითონ და თითონ ისინი. მაგრამ ამ ნაცვალსახელების აღმნი-
შვნელობის ასეთი გაგება მხოლოდ მათი აღნაგობის თანამედროვე ანალიზის
შემდგომ წარმოუდგება მკვლევარს, თვით უბიხებს-კი ყველა ისინი პირთა მარ-
ტივ ნაცვალსახელებად ესმით. ისევე, როგორც მათი თანამედროვე ხალხური
გაგება აგებულების ანალიზზე დამყარებულს გააზრიანებას არ უდგება, ვერც
მათი ლინგვისტიკური განაწევრებით მოპოებული შემოაღნიშნული განმარტება
უნდა გამოჭაბავდეს ამ ნაცვალსახელების თავდაპირველს შინაარსს.

ამ უბიხური ნაცვალსახელების თავდაპირველი აღმნიშვნელობას მიგნება მათი აგებულებისა და ნაწილების ნამდვილი რაობის გაგებაზეა დამოკიდებული. ხოლო უბიხური ნაცვალსახელების აღნაგობა-აღმნიშვნელობის გამორკვევა ქართულ-ქართველური და კავკასიური ენების ნაცვალსახელების არა ერთი ძირითადი საკითხთაგანის გადაწყვეტასაც გავვიადვილებს.

უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ პირთა უბიხური შრ. რ. 1. და 2. პირის ნაცვალსახელების ბოლოკადური ლმ შარცვალი შრ. რ. ფორმანტი-კი არა, არამედ სინდური ენების ნაცვალსახელების საერთო რა დაბოლოების ფონეტიკური სახესხვაობაა, და რომ წინათ, აბხაზურის, ადიღეურისა და ყაბარდოულის მსგავსად, უბიხური ნაცვალსახელების შხ. რ. ფორმებსაც ბოლოში ეს ლმ შარცვალი უნდა ჰქონოდა და 1. პ. მე—ხელჯალმ, 2. პ. შენ—(უ)ლჯალმ ყოფილიყო. საკმარისია აბხაზური შხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელი ჟარა და ბარა ავილოთ და ამავე პირის უბიხურს (უ)ლჯალმ-ს შევადაროთ, ისევე, როგორც შრ. რ. აბხაზური 2. პ. შარა უბიხურის ხელჯალმ-ს, რომ ჟარა-მ და ლჯალმ-მ უნებლიეთ ჩვენი ყურადღება მიიბჟროს. შრ. რ. 2. პ. აბხაზური შარა-ც თავისი აგებულებით მეტად საყურადღებოა: თუმცა შ-ს ლაბიალობა ზმნის ნაცვალსახელოვანს თავსართებშიც დაკულია, მაგრამ მაინც საფიქრებელია, რომ იგი თავდაპირველად ამ შემთხვევაში შ-ს მომდევნო გ-ს შერწყმის შედეგი უნდა იყოს და თვით ნაცვალსახელი შ, ან შუ და ვარა-საგან უნდა იყოს წარმომდგარნი რომელთაგან პირველი 2. პირის ნიშანი იყო, მეორე ვარა-კი იგივე, რაც თავდაპირველად შხ. რ. 2. პირის ჟარა იყო, ე. ი. მამრობითი სქესის გამომხატველი.

აბხაზურსა და უბიხურს შორის 2. პ. წარმოებაში ორი გამსხვავებბაა: პირველი განსხვავებბა იმაში მდგომარეობს, რომ აბხაზურს მამრ. და მდედრ. სქესისათვის ცალ-ცალკე ფორმები მოეპოვება. უბიხურს-კი, ჩერქეზულისა და ყაბარდოულის მსგავსად, გრამ. სქესის განჩევა არა აქვს და მხოლოდ ერთი ფორმა-ლა შერჩენია, სახელდობრ ისეთივე, როგორიც მამრ. სქესის ცნობილი აბხაზური ფორმაა. მეორე განსხვავებბა იმაში მდგომარეობს, რომ აბხაზური ჟარა-ს მაგიერ უბიხურს ლჯალა აქვს, რაც ფ-ს ლფ-დ შენაცვლების გზით უნდა იყოს გაჩენილი.

თუ შემომოყვანილი მოსაზრებბა მკდარი არ არის და უბიხური ლჯალმ მართლაც ჟარა-ს ფონეტიკურს შენაცვლებას წარმოადგენს, მაშინ უფლებბა გვაქვს დავასკვნათ, რომ აწ არსებული უბიხური პირთა ნაცვალსახელების აგებულებბა პირის ნაცვალსახელოვანს ნიშანს, მამრ. სქესის ლჯალ-დ შენაცვლებულს გ ნიშანსა და ნაცვალსახელების მაწარმოებულს ლმ-დ შენაცვლებულსე რა პოლოსართის შეიცავს. მიუღიანად თითქმის უცვლელად ასეთი აგებულებბა შრ. რ. 2. პ. აბხაზურ ნაცვალსახელს შარა-ს (= შჟარა-ს) აქვს დაკული, შხ. რ. ამავე პირის მამრ. სქესის ფორმას-კი თავში სწორედ პირის ნიშანი აქვს დეკარგული. დამახასიათებელია, რომ ამ პირის ნაცვალსახელოვანი თავსართი უბიხურსა და დანარჩენს ორ სინდურ ენასაც დაჰკარგვია.

1. (უ) სწრაფი საუტრის დროს დ კ მ ე ხ ი ლ ი ს ცნობით არ ისმის და 2. პ. ნაცვალჯალმ-დ გამოითქმის.

მაგრამ აბხაზურში 2. პ. მხ. რ. ნაცვალსახელი მარტო პამრობითი სქესისათვის-კი არა, არამედ მღედრ. სქესისათვისაც, ბარა-ც არსებობს, ისევე როგორც შესამე პირსაც აბხაზურში მღედრ. სქესის აღსანიშნავადაც ვალკე ფორმა ლარა-ც უაჩნია. ეს ორი გარემოება, იმასთან ერთად, რომ უბიხურს ყველა ნაცვალსახელების მეორე ნაწილად მამრ. სქესის გამომხატველი ლუა ახლავს, გვაფიქრებინებს, რომ თავდაპირველად სინდურს ენებში ნაცვალსახელების ფორმები მარტო პარისდა მიხედვით-კი არ განსხვავდებოდნენ, არამედ სქესისდა მიხედვითაც და შუარა-ს გარდა, მბარა-ც იქმნებოდა, 1. პ. ფორმა მამრ. სქ. უნდა სუარა, მღედრ. სქ. უფრო ადრინდელი ფორმა ლარა, ხოლო ბარა უკანასკნოთა გამომხატველი ყოფილიყო, მერმე-კი უკანასკნელი მღედრ. სქ. აღმნიშვნელად ქცეულა. გრამ. სქეს-კატეგორიების უბიხურში გაქრობისთანავე მამრ. სქესის გამომხატველს ლუა ფორმანტს ზოვად ჩვენებითი, ან უკუქცევითი ნაწილაკის დანიშნულება მიჰნიჭებია. ეს გარემოება-კი, რომ უბიხურს პირის ნიშნებთან ერთად ასეთი ნაწილაკის დართვაც აუცილებლად საჭიროდ მაუჩნევია, წინათ არსებული სქესის ნიშნების ანარეკლსა და კომპენსატორულს წარმოებას უნდა შეადგენდეს.

დღემეზილი უბიხური კუთვნილებითი ნაცვალსახელების ეს ფორმანტის არც ეტიმოლოგიასა და არც თავდაპირველ მნიშვნელობას არ ეხება. მე-კი მგონია, რომ ეს უნდა თავადისა და ბატონ-პატრონის აღმნიშვნელი უბიხური სიტყვის დგზ-ს შუა ნაწილი იყოს და თავდაპირველად ხელუა ხვზ-მე. მე-პატრონი-ს აღმნიშვნელი და ამნაირად ჩემი-ს გამომხატველი უნდა ყოფილიყო.

დღემეზილი ამბობს: ერთად-ერთი სიტყვა, რომელსაც მხ. და მრ. რ. პ. პირის ნაცვალსახელებთან ამ პირის კუთვნილებითი თავსართი არ ერთვის ხოლმე, ბატონ-პატრონის აღმნიშვნელი დგზ არის, მაგ. ამბობენ ღინა დგზ „ამის პატრონი“, — აღუა დგზ „მისი საკუთარი, პატრონი“, — ღინა დგზ „ამ პირუტყვების პატრონები“. ყველა ამ შემთხვევებში ამ სიტყვებს უნდა შესაფერისი ნაცვალსახელოვანი კუთვნილებითი თავსართი პქონოდეთ, მაგრამ არ იხმარებოდ (Oub. გვ. 18, §36). სწორედ იმიტომაც არა აქვს დგზ-ს თავში ნაცვალსახელოვანი თავხართი, რომ იგი თვით ეს ფორმანტის ხრული ფორმაა და წინამორბედ ნაცვალსახელთან ერთად კუთვნილების გამომხატველია.

პატრონის აღმნიშვნელი უბიხური სიტყვა დგზ საყურადღებო სიტყვაა. ვითარცა კუთვნილების გამომხატველი, არსებითად იგი ძველი ქართული თავადისა და თავის შესატყვისობა უნდა იყოს მარტო გრამატიკულად-კი არა, არამედ ძირითაც. დგზ ევონებ უნდა ძველ ქართულს თხვზსა და სვანურს თხვიმ-ს უდრიდეს. ისევე თავისაგან ნაწარმოები თავადი ძე. ქართულში გამოჰსატავდა ხოლმე თვთ-ს, სვანურადაც თხვიმისა და თავის აღმნიშვნელი თხვიმშუ-ც ხომ თითონ-ის აღმნიშვნელი არის.

აბხაზურში წინაუკმო მოვლენა გვაქვს: იქ თავს პქვიან ახვ, რომელშიც ატყულებრივი ახვ. ართრონაა, ხვ-კი თავის გამომხატველია, ხოლო თვით-კი ვათ არის.

თავი მესამე

ადილეური, ანუ ჩერქეზული ნაცვალსახელები .

ადილეური ნაცვალსახელების ჩანაწერი ლკლმეს და დკმეზილის ნაშრომებსა და დაკოვლევი-აშხამაფის გრამატიკაში მოიპოვება, მათი ანალიზი-კი მხოლოდ დკმეზილსა და დაკოვლევი-აშხამაფისა აქვთ. ზემოაღნიშნული ავტორების ცნობები ერთმანეთს ხშირად არ უდგება და ამიტომაც სამივე აქვე მომყავს.

§ 1. მკვლევართა ცნობები ადილეურ ნაცვალსახელებზე

A. ადილეური (ჩერქეზული) პირთა ნაცვალსახელები

მხ. რ.

1. მე—სერჲ, სე(ლ.), — ხერიჲ, სერი (დ.), — ხერ, სე (დაკ.).
2. შენ—ფჷორე, ფჷო (ლ.), — ჟერი, ჟო, ჟე (დ.), — ჟერ, ჟე (დაკ.).
3. ეს—ი, იჲ, მჷრჲ, მჷ, არჲ (ლ.)— მირ(ი), მიშ(ი) (დ.), — მერ, მგ (დაკ.)— ის—არ(ი), აშ(ი), შარ, შაშ (დ.), — მორ, მო (ხილული), არ, ა (უხილ.: დაკ.)—

მრ. რ.

1. ჩვენ—ტერჲ, ტე (ლ.), — ტერი, ტერიხერ (დ.), — თერ, თე (დაკ.).
2. თქვენ—სჷრჲ, სჷ (ლ.), — სერი, სერიხერ, ფერი (დ.), — შჷერ, შჷე (დაკ.).
3. ესენი—ა, შა, არჯჲ, მჷრჯჲ (ლ.), — მიხერ(რ), მიშერ(რ) (დ.), მჯხერ (დაკ.)— (ლკლმე, ჩ. ე., გვ. 7, 8-9, — დკმეზილის studies, გვ. 106 და 110, — დაკოვლევისა და აშხამაფის ადილ. გრ., გვ. 55-57).

როგორც ზემომოყვანილთაგან ჩანს, ადილეურს ვ. ვ. ნაცვალსახელად ჩვენებითი ნაცვალსახელები აქვს გამოყენებული.

B. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

მხ. რ.

1. ჩემი—ხეხიჲ, ხიჲ (ლ.), — ხე ხიჲ (დ.), — ხეხჲ (დაკ.).
2. შენი—ფჷოვჷჲ, ვჷჲ (ლ.), — ჟე ჟიჲ (დ.), — ჟაჷჲ (დაკ.).
3. მისი—იჲ, აშჷჲ (ლ.), — იჲ || ჯჷჲ (დაკ.).

მრ. რ.

1. ჩვენი—ტჷთიჲ, ტიჲ (ლ.), — თეთჷჲ (დაკ.).
 2. თქვენი—სჷრჷჷჲ, სჷჲ (ლ.), — შჷაშჷჷჲ (დაკ.).
 3. იმათი—აიჲ, ააშიჲ (ლ.), — ააჲ (დაკ.).
- (ლკლ. გვ. 8, დკმეზ. 114, დაკ. და აშხ. 60).

C. უკუტყვევითი ნაცვალსახელები

ადილუური უკუტყვევითი ნაცვალსახელები ღვლ. ღვ. ასე აქვს მოყვანილი: პირადად, უფრო ზედმიწევნით რომ გადმოვაქართულოთ, თავად იქმნება სხაგვ., ბოლო თითონ—სერტ და სერსერო (ღვლ. რ.—ჩრ. ლ. გვ. 100: ЛИЧНО და გვ. 185: сам), დვმეზილით-კი სერი ადილუურად მე-საც ნიშნავს და მე თითონ-საც (იხ. Étud. გვ. 106 შენ. 7) და ეს ცნობა, რასაკვირველია, ღვლ. ღვ. ასე უფრო სწორია. სერტ შესაძლებელია თითონ-ისა-კი არა, არამედ მხოლოდ მე თითონ-ის აღმნიშვნელი იყოს.

იმავე ღვლ. ღვ. გრამატიკით, ადილუურად ორივე რიცხვის სამივე პირის უკუტყვევითი ნაცვალსახელი ასე გამოიხატება ხოლმე:

მს. რ.	მრ. რ.
1. მე ჩემთავს — ზეზტ	ჩვენ ჩვენთავს — ზეტტ
2. შენ შენთავს — ზეტჟო	თქვენ თქვენთავს — ზეტსტ
3. ის თავისთავს — ზეი	ისინი თავიანთთავს — ზეა.

(რ.—ჩრ. ლ. გვ. 8).

ზემომოყვანილითგან ჩანს, რომ თავისთავის და თითონ-ის გამომხატველი აქ ყველგან ზე, ანდა ზ თავსართია, რომელიც პირთა ნაცვალსახელების ბოლომოკვეთილ ფორმებს წინ ერთვის ხოლმე.

ხოლო დვმეზილით მე თითონ ორნაირად გამოითქმის, ან სერი, ანდა სერიკა, — შენ თითონ—უერიკა, — ის თითონ-კი უკვე — დეჟი არის, — თითონ ისინი — დეჟიხერ (?), დეზიხერ (Études, გვ. 116).

ამნაირად, 1. და 2. პირებს უკუტყვევითობას კა ბოლოსართი, 3. პირს-კი ში ფორმანტი ანიჭებს. ამ უკანასკნელს დვმეზილი უცნაურად და როგორც ფერების სახელებში მყოფს ფი მარცვალს უკავშირებს (იქვე).

დაკოვლევისა და აშხამაფის გრამატიკაში კი ადილუურის უკუტყვევითი ნაცვალსახელების წარმოების შემდეგი თავისებური წესია აღწერილი: პირის ნაცვალსახელის სრულ ფორმას მისდევს იგივე, მაგრამ უკვე ევ ბოლოსართიანი ნაცვალსახელი. ამ ვზით მე თითონ იქმნება სერ სერევ, შენ თითონ—ჟარ ჟარევ, ის თითონ—ურ ურევ ?, — ჩვენ თითონ—თერ თერევ, თქვენ თითონ—შჟარ შჟარევ და თითონ ისინი—?(დაკ. და აშხ. ადილ. გვ. 55).

ტადია, რომ ღვლ. ღვ. ლექსიკონის ეითომც თითონ-ის, ნამდვილად-კი მე თითონ-ის, ადილუური შესატყვისობა სერსერო იგივეა, რაც დაკოვლევისა და აშხამაფის გრამატიკის სერ სერევ.

თითოეული და ყოველი ადილუურად იქმნება სხაგვ (ღვლ. გვ. 8), რომელიც თავის აღმნიშვნელი სხა-სა და ჯგ-საგან შესდგება.

D. ადილუური კითხვითი ნაცვალსახელები

ვინ? — ხედ (ლ.), — ხეტ(ი), ხეტი, ხეტ (დ.), ხეთ (დაკ.).
ვისი? — ხეტიჲ (ლ.), — ხეთჲჲჲ (-ხეთ [ვინ] + ჲჲჲ [მისი] დაკ.).

რა? — ხელი (ლ.), — ხილი, ხილი (დ.), — ხელ (აქ.).

რომელი? — ტერარე (ლ.), ტარ (დ.), — თარარე (აქ. და აშხ.), რომელიც
თე (სად + არე (ისაა) — საგან არის შედგენილი).

როგორი? — ტერე (ლ.), — ხილი (დ.), — თარე (აქ.).

სად? — ტე, ტედე (ლ.), — ტე, ტეკე, ტედე, ტედეკე (დ.) — თე, თედე (აქ.).
(ლკლ., გვ. მ., — ლკმეზ. 240-241, — აქ. და აშხ. 62).

§ 2. ადილეური ნაცვალსახელების ანალიზი

ადილეური პირთა ნაცვალსახელის ორივე რიცხვის სამივე პირის ფორმებს ყველას ბოლოკიდურ მარცვლად რე, ანდა რი აქვს, მაგრამ ხშირად მარტო რ თანხმოვანიც გვხვდება. ეს ბოლოსართია, რასაკვირველია, და აბხაზური ასეთივე ნაცვალსახელების რა მარცვალს კარგად უდგება ისევე, როგორც ყაბარდოულის ბოლიკიდურს რ-ს (იხილე მომდევნო თავი).

ბოლოკიდური მარცვლისა, თუ თანხმოვნის ჩამოცლის შემდგომ, პირთა ნაცვალსახელების ადილეური ძირები, ანდა ზოგან ძირად მიჩნეული ნაწილი დაფორჩება:

მხ. რ.

1 პ. — ხე.

2 პ. — ფეო, შე.

3 პ. — მო, აშ, ა.

პრ. რ.

1 პ. — თე.

2 პ. — ხვე, ხე, შეე, ფე.

3 პ. — ა, მა, მი, მე.

შედარება დაარწმუნებს ადამიანს, რომ მხ. რ. სამივე პ. ძირები, ანდა ძირად მიჩნეული ელემენტები სინდური დანარჩენი ენებისას კარგად უდგება. სამაგიეროდ თვალსაჩინო განსხვავებაა მრ. რიცხვში, მეტადრე 1. პ. და ნაწალობრივ 2. პ. ნაცვალსახელისაში. თუ აბხაზურს 1. პ. შა აქვს, ადილურს თე მოეპოვება, რომელსაც მონათესავე, როგორც შემდეგში დაფორწმუნდებით, მხოლოდ ყაბარდოულის დდე-ში მოეძებნება.

ამნაირადვე მრ. რ. ორ ფორმათაგან, თუ პირველი ხვე-რი და შეერ აბხაზურისა და უბიხურისას მთლიანად უდგება, მეორე ფორმა, ფერი, პირიქით სრულებით განსხვავებულია და ამ შემთხვევაშიც მას, როგორც შემდეგში დაფორწმუნდებით, მხოლოდ ყაბარდოული ფფერ უკერს მხარს.

რაკი მხ. რ. 1. პ. ადილეური ძირი სინდური ენების საერთო წყაროთგან მომდინარეობს, ამიტომ აქ მხოლოდ დანარჩენი პირების ნაცვალსახელების ძირების საკითხი გვაქვს განსახილველი. იმისდა მიუხედავად, რომ მხ. რ. 2. პ. ძირეულად მიჩნეული შე, ანუ ვ ბგერაც სინდური ენების საერთო კუთვნი-

ლებათა და ამ მხრივ სრული თანხმობა სურვიეს, მაინც ამ თანხმობის 2. პ. ნ. თანხმობარეულ ძირად მიჩნევა შეუძლებელია ყველა იმ მოხაზრებით, რომელიც აბნაზური ნაცვალსახელების ანალიზის დროს გვქონდა დასახელებულადილეურშიც 2. პ. ნაცვალსახელის ძირი მრ. რ. აშავე ძირის პირველს ხვეწრი-სა და უფრო-კი შუერ-ს აქვს დაცული. ეს შესაძლებელია პირთა ნაცვალსახელების მრ. რ. ფორმების ანალიზითაც დაბტკიცდეს.

ადილეურს 1. და 2. პ. მრ. რ. ორ-ორი ფორმა მოეპოვება: 1. პ. ტერი და ტერიხერ, 2. პ. ხვეწრე, შუერ და ხერიხერ. მეორე ფორმებს შრავლობითობის ნიშანი იქვს და 3. პ. მრ. რ. ნაცვალსახელებსაც ხომ იგივე თვისება გააჩნია. ეს-კი იმ გარემოებას ამუღავენებს, რომ ნაცვალსახელების მრ. რ. ფორმები თავდაპირველად მხ. რ. ფორმებისაგან ყოფილა შრავლობითობის ნიშნის დართვით ნაწარმოები. თუ ამ გარემოებას გავითვალისწინებთ, მაშინ, ბოლოკიდური ზერ ნაწილის ჩამოშორების შემდგომ, 2. პ. ნ. მხ. რ. ფორმად უკვე ხერი, ანუ შერი წარმოგვიდგება. შერი-სთან შედარებით, მას მხოლოდ წინ მეტი სერ, ე. ი. სერ ზგეოა მოეპოვება, რომელიც სწორედ 2. პ. ნამდვილი ნაცვალსახელოვანი ნიშანი და ძირი უნდა იყოს.

ადილეურში მრ. რ. 2. პ. ნაცვალსახელს იგივე ემართება, რაც მხ. რ. ფორმის უკვე დაემართა და რამაც ამ პირის ძირი იქ უკვე იმსხვერპლა: მრ. რ. რიებშიც ძირის თავკიდური ზგერა ხა, ანუ შ ჩამოშორდა და დარჩენილს შერი-საც მ შ-დ შეენაცვლა. ამის წყალობით ძირეულ ზგერად ისეთი თანხმომგანი მოგვეჩვენა, რომელსაც ნაცვალსახელოვანი ძირისაგან სრულებით განსხვავებული, თავისი საკუთარი დანიშნულება ჰქონდა.

იმისდა მიუხედავად, რომ მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელისთვისაც მეორე მრ. რ. ზერ ფორმანტის შემცველი, პარალელური ფორმა მოგვეპოვება და მის ჩამოშორების შემდგომ მხ. რ. 1. პ. ფორმად ტერი გვჩნება, ტმრი-ისა და მხ. რ. 1. პ. ნამდვილ ნაცვალსახელს ხერე-ს შირის ისეთი განსხვავებაა, რომ მათ ერთმანერთს ვერავფიქვით ვერ დავფუკავშირებთ. საფიქრებელია, რომ ტმრი რალაც სულ სხვა წარმოშობილობისა უნდა იყოს.

პირთა ნაცვალსახელების შემდგომ, ადილეური უკუქცევითი ნაცვალსახელებია საყურადღებო. როგორც დავრწმუნდით, იქ თითონ-ის გამოსატვის თარი მთავარი წესი არსებობს: ერთი თავხართოვანი წარმოების პრინციპს ემყარება და ამის აღმნიშვნელად ზმ, ანუ ზ არის გამოყენებული, — მეორე წესი ბოლოხართოვ-ნ წარმოებას მიხდევს. თითონ-ის გამოსახატაედა-კი ბოლოხართოვან წარმოებას ორნაარი საშუალება აქვს ნახმარი: ერთით 1. და 2. პირისათვის კი ბოლოხართია გამოყენებული, 3. პირისთვის-კი უი ბოლოხართია. ამ ბოლოხართებითგან დავშეზილს კა აბნაზური-გაგ-სა და უბიზური-გა ბოლოხართების შესატყვისობად აქვს მიჩნეული, ვი-ს რაობისა და მნიშვნელობაზე-კი გარკვეულს არაიერს ამბობს (Etudes, გვ. 116).

ზემომოყენილი უკუქცევითი ნაცვალსახელების წარმოებაზე უფრო საინტერესოა. რომ თითონ-ის ცნების გამომსახტველი ემ ბოლოხართი გამოდის. არც ადილეურსა და არც რომელსაზე სინდურს ენას ევ-ის მსგავსი რომელიმე სიტყვა რომ თითონ-ს ნიშნავდეს, არ მოეპოვება, ამიტომაც საფიქრებელია,

რომ აქ ცალკეული სიტყვის ნაწილი კი არა, არამედ რაღაც ფორმანტი უნდა გვექონდეს, მისი რაობის გაგება მართო სინდური მასალებით შეუძლებელია და ამიტომ ამაზე შემდეგში გვექმნება საუბარი.

დასასრულ, საყურადღებოა თვითფულის აღმნიშვნელი ადილეური სხაჯე ნაცვალსახელიც, რომლის პირველი ნაწილი სხა ხომ თავსა ნიშნავს, ჯე-ს რაობა და შნიშვნელობა-კი აგრეთვე ვაზოსარკვევია.

თავი მმთხა

ყაბარდოული ნაცვალსახელები

ყაბარდოული ნაცვალსახელების მე-XVIII ს. ჩანაწერიც არსებობს გვლდენშტედტის წყალობით და მე-XIX ს. დამლევისა და მე-XX ს. ცნობებიც მოგვეპოვება ლ. ლოპატინსკის, „ყაბარდოულის მოკლე გრამატიკა“-ში, დვმეზილის კავკასიური ენების ჩრდილო-დასავლური ჯგუფის შედარებითს გრამატიკაშიცა და ნ. ჯაკოვლევისა და დ. აშხაშაფის „ადილეური (კაახური) ენის მოკლე გრამატიკა“-შიც. ეს გარემოება მკვლევარს კარგად შეუწყობდა ხელს, რომ მე-XIX—XX ს. ავტორთა ცნობები ერთმანერთს უდგებოდეს. სამწუხაროდ, საქმეს და კვლევა-ძიებას ეს ართულებს, რათგან ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ძნელი გადასაწყვეტია, ცნობათა განსხვავება შეცდომის შედეგია, თუ იმით აიხსნება, რომ დამკვირვებელთ და მკვლევართ სხვა-და-სხვა დიალექტური მასალა აქვთ შესწავლილი. ასეთ პირობებში ცნობათა სისრულისათვის სჯობს, რომ მკითხველს თვალწინ ყველა ცნობები ჰქონდეს.

§ 1. ძველი და ახალი ცნობები ყაბარდოული ნაცვალსახელების შესახებ

რასაკვირველია, ატაც ჯერ მე-XVIII ს. მასალას უნდა გადავავლოთ თვალი, მაგრამ მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ გვლდენშტედტის ჩანაწერის ეს ნაწილი სხვებივით სრული არ არის და შეცდომებიც არის შიგ შეპარული.

ყაბარდოული ნაცვალსახელები მე-XVIII ს.

Ich მე—სას, სერ Sas, Ser.
Mein ჩემი—ხეხი Sesie.
Du შენ—უორ Uor

Wir ჩვენ ჭერ¹ Fer და Der დერ
Unser ჩვენი—დედია Dedia
Ihr თქვენ—ახერ² Acher
Euer თქვენი ჭეფია Fefia

Er ის—დერ Der
Sein შინი—არიეშ Ariesch
Wer ვინ—ხეტ Chet
Wessen ვისი—ხეტია Chetia

1. შეცდომა: თქვენ-ს ნიშნავს.

2. შეცდომა: იხინი-ს სახელია.

Was რა—Sit სიტ

Hleher აქ—Midda მიდდა

Dorthin იქ—Adda ადდა

(J. A. G ü l d e n s t ä d t, Reisen II, 527-528).

თანამედროვე ყაბარდოული ნაცვალსახელები

A. პირთა ნაცვალსახელები

მზ. რ.

1. მე—სხე (ლ.), ხერე (ააკ.), ხე (დ.).

2. შენ—უნ (ლ.), ჟარე (ააკ.), ჟარ (დ.).

3. ის—მორ, მოხე, აბე, ჰარ (ლ.)—ააკოვლევ-აშხამაფის და დუმეზილის ცნობებით-კი ყაბარდოულში პ. პ. ნაცვალსახელის მაგიერ ჩვენებითს ნაცვალსახელებს ხმარობს, რომელთა ფორმები სათანადო ადგილას გვექმნება მოყვანილი.

მრ. რ.

1. ჩვენ—დდე (ლ.), დერე (ააკ.), დდერ (დ.).

2. თქვენ—ჟჟე (ლ.), ჟერე (ააკ.), ჟჟერ (დ.).

3. ისინი—მოხერ (ლ.)—ააკოვლევ-აშხამაფისა და დუმეზილის მხრით ყაბარდოულს მრ. რ. პ. პ. ნაცვალსახელადაც ჩვენებითი ნაცვალსახელი აქვს გამოყენებული (იხ. ლოპატ. ყ. გ., გვ. 11, —ააკ. და აშხ. ყ., გვ. 56 და დუმეზ. Études, გვ. 106).

B. ჩვენებითი ნაცვალსახელები

ეს—მერ (მხოლოდ არსებით სახელთან ხმარობენ, რომელსაც სწორედ ამ ჩვენებითი ნაცვალსახელის ბოლოკიდური რ ბოლოში ერთვის ხოლმეო, მაგ.: „ეს კაცი“ მერ წეხუ-რ (ლ.);— მერ (ცალკეულად), მერ (დამოკ.: ააკ.—აშხ.).

ეგ—(დამორებული, მაგრამ ხილული),—მორ (ცალკე), მო (დამოკ.: ააკ.)—მორ, მობე-ი (დ.).

ის (უხილავი)—არ (ცალკ.), ა—(დამოკ.: ააკ.),—(ჰ)არ, (ჰ)აბ(ი) (დ.).

ლოპატინსკის სიტყვით-კი, ჰარ და მორ ერთი მხრით იგივე-ს ყაბარდოული შესატყვისობაა, მეორე მხრით ხმარობენ, თუ საგანზე ცალკეულად და არსებითი სახელისაგან დაზოუქიდებლივ ამბობენო ეს.

მრ. რ.: ეხენი—მო (ლ.), ეგენი—ჰა (ლ.),—მეხერ (ააკ.), მოხერ, ჰახერ (დ.) (იქვე).

C. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

ჩემი—ხეხეა (ცალკ.), ხი, ხიე (თავსართად: ლ.),—ხი(ა) (ააკ.).

შენი—უნა, უა (ლ.),—(ჰ)უ(ა)—(დ.).

მისი—აეა, ანდა აიე (ლ.),—აი(ა),—აეა—(დ.).

ჩვენი—დდეა, დდე, დდი (ლ.),—დდეა, —დდი—(დ.),—ხერეახერ (ააკ.).

თქვენი—ჟჟეა, ჟჟი (ლ.),—ჟჟეა, —ჟჟი (დ.).

იმათი—ააა (შესმენილის წინ ისმისო: ლ.)—აა(ა)—(დ.).

D. კითხვითი ნაცვალსახელები

ვინ? — ხეტ (ლ.), ხეთ (აქ.), — ჩა? — ხეტ (ლ.), — ხედ (აქ.).

ჩანაირი? — ხეტხოდე (ჩანაირი ორთაგანი) და ტანაჩ (ჩანაირი ზევრთაგანი: ლ.), ტარჯ, თარჯ (აქ.) — ჩანაირი, თარარჯ — რომელი (აქ.).

E. უკუშცევითი ნაცვალსახელები

თუ თვით ყაბარდოულად **აეზერ**-ად ითქმის, უკუშცევითი ნაცვალსახელები სულ სხვანაირად არის ნაწარმოები, სახელდობრ: ამისთვის საკმარისია, რომ პირის ნაცვალსახელის სრულ ფორმას ხა, ე. ი. სშე, ბოლოსართი მიემატოს. ამიტომაც ყაბარდოულად შე თითონ იქმნება — ხერხა, შენ თითონ — უორხა, ის თითონ — აეზერხა. — ჩვენ თითონ — დდერხა, თქვენ თითონ — ფფერხა, თითონ ხინი — აეზერხა (ინ. რ.-ყაბ. ლ. 148: cam).

§ 2. ყაბარდოული ნაცვალსახელების ძველი ჩანაწერის ანალიზი და განმარტება

ყაბარდოული პირთა ნაცვალსახელების მე-XVIII ს. ჩანაწერით აღბეჭდილი ფორმები საყურადღებოა იმიტომაც, რომ ზოგ რამეში თანამედროვე ფორმებისაგან განსხვავებულია და ამ მასალაზე დამყარებამდე, რასაკვირველია, წინასწარ თვით ამ გარემოების მიზეზის გამოკვლევაა საჭირო.

მაგ. ძველად მე ყოფილა ხახ და ხერ, თანამედროვე ყაბარდოულს-კი ხხე აქვს, ლოპატინსკის ცნობით, ხე-კი ყაბარდოულსა და კიახურს აქოვ-ლევისა და აშხამაფის გრამატიკით. მაგრამ მხ. რ. 1. პ. სრული ფორმა ყაბარდოულში ამავე ავტორებისამებრ ხერე-ა, ქვემო-ჩერქებულში-კი ხერ. ამნაირად ირკვევა, რომ მე-XVIII ს. ჩანაწერის მეორე ფორმა ხერ კიახურ ფორმას უდგება. ხოლო კიახურში ასეთი -რ ბოლოკიდუროიანს ფორმას განსაზღვრული, კონკრეტული მნიშვნელობა აქვს და უკუშცევითი ნაცვალსახელების პირველ შემადგენელ ნაწილად გვხვდება ხოლმე (ხერ სერეე — შე თითონ).

უფრო განსხვავებული და ამიტომაც დამაფიქრებელია მე-ს პირველი ხახ ფორმა. აქ ორნაირი სიძნელეა: ჯერ ერთი, რომ ხა მარცვალი მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელს სინდურ უნათაგან ამ ვამად არც ერთს, აზხახურს გარდა, არა აქვს. გასაოცარი ის არის, რომ მე-XVIII ს. ჩანაწერში აზხახური მე-ც-კი ხარა-დ-კი არა, არამედ ხმრბ-დ არის აღბეჭდილი. აქ-კი ხა ყაბარდოული მე-ს სახელიდ გვეკლინება.

მაგრამ ზემოაღნიშნული სხვაობა და დამრკოლება იმდენად დიდი არ არის, როგორც მეორე: ხას ბოლოკიდური ს რის მაქნისი და გამოშხატველია? მე-ს ასეთი სახელა არცერთს თანამედროვე სინდურ უნათაგანს არ მოეპოვება. ამას ზედ ისიც ერთვის, რომ ვკლდენ შტედტის ჩანაწერში ჩემი ყაბარდოულად მაშინ ხესიე ყოფილა და ლოპატინსკის ეხლაც ხესეა არის, როდესაც არსებითს სახელს მისდევს, და ხი, ან აიჰ-ა, როდესაც მას მიუძღვის, აქოვლევისა და აშხამაფის გრამატიკით კი კიახურად ხესეა იხმარება. ძველს ჩანა-

წერში ხომ შეცდომა არ არის შეპარული და გაუგებრობით კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმა ხომ პირის ნაცვალსახელად არ იყო მიჩნეული?

რა თქმა უნდა, ამ ფორმის შეცდომად გამოცხადება არაფის გააკვირვებს, მაგრამ, რაკი მხ. რ. 1. პ. მეორე ფორმა და კუთვნილებითი ნაცვალსახელი სწორედ ჩაწერილი აღმოჩნდა, ამიტომ ამ ფორმის გაუგებრობის ნაყოფად აღიარების უფლება მხოლოდ იმ შემთხვევაში ვუქმნებოდა, თუ მას ვერაფერთარი განმარტება ვერ მოეძებნებოდა.

სახ-ის აგებულებისა და თავდაპირველი მნიშვნელობის გამორკვევას თუ შეფუძლებით, სა. უკუქველთა, თანამედროვე აბზაზურში დაცული მხ. რ. 1. პ. სარა ნაცვალსახელის ძარია. ძველი ჩანაწერი ცხად-პყოფს, რომ წინათ ა-ხმოვანა ფორმა ყაბარდოულსაც, ან მის ერთს კილოთაგანსაც პქონია. ბოლოკიდური ს შესაძლებელია 1. პ. ნაცვალსახელის ნიშანივე იყოს და აქ ნაცვალსახელის გაორმაგებით უკუქველთი ნაცვალსახელის წარმოების წესის ისეთივე შემთხვევა ვუქმნდეს, როგორც დილლურში, მეტადრე-კი ლეგურთაგან ზელშიწევნით ამნაირივე წესი კვრულს აქვს (იხ აქვე თავთავის აღვალს). მაშასადამე, სახ 1. პ. მხ. რ. მარტივი შე ნაცვალსახელი-კი არ ყოფილა, არამედ „მე თითონ“ საგულისხმოა, რომ უკუქველთი ნაცვალსახელების ასეთივე გაორმაგებულა. მაგრამ სრული და ოდნე განსხვავებული პირთა ნაცვალსახელების ფორმებითან შედგენილი წარმოება, როგორც დაგრწმუნდით, თანამედროვე ადილურმაც იცის.

მხ. რ. 2. პ. ძველ ფორმად ჩაწერილია უთარ, თანამედ. ყაბარდოულად-კი შენ არის უპ (ლოპ.), ჟარ (დ. მ.) და ირე (დაკ.-აშხ.), ირ (რთულ წარმოებაში) და თ (კალკეულად). რაიმე დიდი ცვლილება დროთა განმავლობაში მას არ დასტყობია.

მხ. რ. 3. პ. ყაბარდოულ ძველ ნაცვალსახელად ჩანაწერში მოგვეპოვება დერ, თანამედროვე ყაბარდოულს აქვს მხოლოდ პ. პ. ჩვენებითი ნაცვალსახელები მობე, აბე, — შარ, არ, აპ(ი). ზოცაერ პ. პ. ნაცვალსახელად უკუქველთის ნაცვალსახელს თითონ-ს. აფხე საც-კი ზმარობენ ხოლმე. დერ-კი არც ყაბარდოულსა და არც ადილურსა და უბიზურში არა ჩანს, მხოლოდ თანამედროვე აბზაზურსა აქვს დარა პ. პ. ნაცვალსახელად, მაგრამ მასაც მხოლოდობითისა კი არა, არამედ მრავლობითი რიცხვისათვის იქნებ სწორედ აბზაზური პ. პ. წრ. რ. ნაცვალსახელის ეს ფორმა ძველს ჩანაწერში შეცდომით ყაბარდოულად არის გასაღებული? ამის დაჯერება შესაძლებელი იყო, აბზაზურ პ. პ. რომ ასეთი ფორმა ყოფილიყო იქ აღბეჭდილი, მაგრამ ამ პირის შრ. რ. ფორმები გვლდენშტედტის ნაშრომში სრულებით არ არის შეტანილი, მხ. რ. ფორმებად-კი სულ სხვა ფორმებია მოყვანილი.

საფიქრებელია, რომ მე-XVIII ს. დ-ბგერიანი პ. პ. ნაცვალსახელი, აბზაზურის მხგავხად, ყაბარდოულსაც პქონია, ამასთანავე მარტო მრ. რ-ისთვის-კი არა, არამედ მხოლოდობითი რიცხვისთვისაც ლეგური ენიშის ნაცვალსახელებზე რომ გადავალთ, დაგრწმუნდებით, რომ იქ დ-ბგერიანი პ. პ. და ჩვენებითი ნაცვალსახელები ფართოდ იყო და არის ეხლაც გავრცელებული.

ძველი ჩანაწერის პ. პ. მხ. რ. ყაბარდოული კუთვნილებითი ნაცვალსახელი ახიემ, თუმცა ერთი შეხედვით უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს, მაგრამ ჩემის

ეს შესატყვისობა, უეჭველია, რომ ნაწილისაგან შესდგება: პირველია არი, რომელიც ებლაც დაკულს იგივე-ს აღმნიშვნელს (იხ. ლოპ. ყ. გ., გვ. 12) შარ-ს უდრის. თანამედროვე ყაბარდოულშიაც ხმარობენ არ ფორმას (დვმეზ. Étud. 110). არი-ს ბოლოკიდური ი ამ შემთხვევაში იმავე თვისების ელემენტია, როგორც აბაზურს უბრი-სა, ჩერქეზულს შირი-სა და ყაბარდოულს მოზ(ი) და შაბ(ი)-შია, თუ უფრო ნათ. ბრ. ნაშთად არის საგულისხმებელი. ცალკეა გამოსარკვევი.

ებლს კი არაეშ-ის უკანასკნელი ეშ მარცვლის რაობა-მნიშვნელობა-ლათა გამოსარკვევი. თანამედროვე ყაბარდოულში მას განმარტება, არსებული ცნობებისდა მიხედვით მიიწკ, ვერ მოეძებნება, სამაგიეროდ ადიღეურს მოეპოვება ში, ან შ ბოლოსართით ნაწარმოები ჩვენებითი ნაცვალსახელები მიშ(ი) „ეს“ და აშ(ი) „ის“ (დვმეზ. Étud. გვ. 110). რაკი ორსავე შემთხვევაში ბოლოკიდური ნაწილი შ(ი) ერთი-და-იგივეა, ცხადი ხდება, რომ პ. პ. მახლობელობისა, თუ დასორებულების ცნების გამოშხატველად ეს ბოლოკიდური მარცვალი, თუ შ მგერა მისამხევი არ არის, არამედ ი და ა ხმოვნები. მაშასადამე, ამ შ ელემენტს არამც ანუ ამ ადიღეურს ჩვენებითი ნაცვალსახელში განმარტება არ მოეძებნება, არამედ თითქოს ზედმეტციკ-კი ჩანს, რათგან უმისოდაც ამ ნაცვალსახელის მნიშვნელობა ნათელია.

ამ ძველი ყაბარდოული ეშ-ისა და ადიღეური შ-ს ბუნების და მნიშვნელობის გამორკვევას დიდღური ცნების ნაცვალსახელების აღნაგობის ცოდნა შეაძლებინებს ადაბიანს. სათანადო აღვილას დაგრწმუნდებით, რომ ეშ ბოლოსართი იქ მირთა ნაცვალსახელების ფორმას უკუტყვევით ნაცვალსახელად ხდის და თითონ-ის აღმნიშვნელად აქცევს ხოლმე (იხ. აქვე გვ. 491). სათიკრებელია, რომ ძველი ყაბარდოული პრინეშ-ის უკანასკნელი მარცვალიც აშავე თვისებისა და მნიშვნელობის ფორმანტი უნდა იყოს. მაშასადამე, პრინეშ ნამდვილად მისი-ს აღმნიშვნელი-კი არ ყოფილა, არამედ „მისი თითონ“, ანუ „თითონ მისი“-ს გამომშატველად უნდა იქმნეს ცნობილი.

პირთა ყაბარდოული ნაცვალსახელების მრ. რ. ფორმები ძვ.-XVIII ს. ჩანაწერში, როგორც ეტყობა, ვაზოცემის დროს არეულია: ჩვენ ვითომც მაშინ იყო ჭეჩ და დერ, თქვენ-კი ახერ. ნამდვილად კი ჭეჩე, ანუ ჭეჩე არის თქვენ, ჩვენ-კი არის დდერ, ხოლო აბხერ, როგორც კლაპროთის თხზულებითგან ჩანს, ის ნა-ს აღმნიშვნელი ყოფილა (Voyage II, 355). იმას ვარდა, რომ მრ. რ. 1. და 2. პ. მაშინდელი ნამდვილი სახელები კლაპროთის ჩანაწერით უდავოდ ირკვევა, თვით გვლ დენ შტედტის ნაშრომითგან ჩანს, რომ იქ ცნობები არეულია: ჩვენ ორჯერ ჩაწერილი გამოდის, ისინი კი ერთხელაც არა ჩანს და ჩვენ ერთხელ თუ შკდარალაა აღნიშნული ჭერ მეორეჯერ სწორედია დერ, თანაც ჩვენი-ს შესატყვისობად დეღია არის მოყვანილი და მართლაც თანამედროვე ყაბარდოულსაც დეღეა აქვს (რ. ყ. ლ. 82. I: даа), — ამნაირადვე, თუ თქვენ-ის სახელი ვითომც ახერ იყო, თქვენი ს მაშინდელ შესატყვისობად სრულიად სამართლიანად Fefia: ჭეჭია არის დასახელებული. თანამედროვე ყაბარდოულად თქვენი-ს სახელი მართლაც ჭეჭეა არის.

ცხადი ხდება, რომ დმრ გვლ დენ შტედტის ჩანაწერშიაც ჩვენ-ის ერთად-ერთი სახელი, ჭმრ-კი მძმან-ის შეხატყვისობა უნდა ყოფილიყო. აბმრ-

კი ისინი-ს შესატყვისობად იქმნებოდა აღნიშნული. თუმცა ეხლა მრ. რ. 3 პ. ნაც. ზოხერ-ს სპარობენ, რომელიც მორ და მო ჩვენებითი ნაცვ.-ისაგან ნაწარმოები მრ. რ. ფორმაა, მაგრამ ძველი ახარ-იც 3. პ. არ, ანუ 2 ჩვენებითი ნაცვალსახელის ასეთივე ხრულებით ხწორე და კანონიერი მრ. რ. ფორმაა.

ყველა ზემონათქვამის შეზღვევამ ცხადია, რომ ყაბარდოულად ძველად ჩვენ ყოფილა დერ, თქვენ-ჭერ, ისინი-ახერ. კუთვნილებითი ნაცვალსახელები-კი ჩვენი-დედია, თქვენი-ჭეჩია.

მე-XVIII ს. ყაბარდოული ნაცვალსახელები ხეტ-„ვინ?“ და ზეცია „ვისი?“-ადილუურსა და ყაბარდოულში დღევანდლამდეა დაცული და ეხლაც ხეტ არის ვინ და ზეტაჟე (ყაბ.) და ზეტაჟე (ადილ.) ვისაა.

რა? ძველად ყოფილა ხიტ, ეხლა-კი ადილუურად არის ხედ, ყაბარდოულად კი სეტ.

ყაბარდოული როგორი? კითხვითი ნაცვალსახელი სეტხოდე შესდგება სეტ-ისა, რომელიც, როგორც ვიცით, რა-ს ნიშნავს, და მხგავსი-ს აღმნიშვნელი ხოდე-საგან. ამიტომაც სეტხოდე თავდაპირველად „რის მხგავსი?“-ს აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო და მხოლოდ შემდეგში უნდა იყოს „რომელი ერთის“, ანუ „რომელი ორთაგანი“-ს გამოხატველად ქცეული. აქ, თუ ყაბარდოულად ძველად მიდდა ყოფილა, ეხლა მხედდე და მის არის, მაგრამ იქ მაშინ აღდა იყო თანამედროვე ყაბარდოულს შაბე აქეს.

§ 3. ყაბარდოული ნაცვალსახელების აგებულება

უკვე ის გარემოებაც, რომ ყაბარდოულს ყველა პირთა ნაცვალსახელები ბოლოვიდურ ბეგრად რ აქეს, ამ თანხმობის ფორმანტობას ამჟღავნებს. აბხაზურში, როგორც ვიცით, რა ბოლოსართია: ადილუურში კი რი. ცხადია, რომ ყაბარდოული რ-ც ამავე თვისებისა და მნაშენელობის ოდენობა უნდა იყოს.

ადილუური და ყაბარდოული პირთა მხ, და მრ. რ. ნაცვალსახელების თანამედროვე ფორმების ერთმანერთთან შედარება ცხადყოფს, რომ მრ. რ. ნაცვალსახელები მსოლოობითისგან დამოუკიდებელია, მაგრამ ადილუურს 1. და 2. პ. მრ. რ. ორ-ორი პარალელური ფორმა მოეპოვება: ჩვენ-ტერი და ტერიხერ, — თქვენ-სზერი, შორე, ჭერი და სზერიხერ (იხ. დემენ. Etud. გვ. 106 და იქვე შენ. ნ და ძავ. — აშხ. 56). ტერიხერ და სზერიხერ-ს ბოლოში ხ-ე-რ მრ. რ. ფორმანტი აქვთ და ეს გარემოება ამჟღავნებს, რომ ადილუურს 1. და 2. პ. ეს ნაცვალსახელები ამავე პირების ნაცვალსახელების მრავლობითი რიცხვის ფორმებად აქვს აღქმული. ზემომოყვანილი ნაცვალსახელის აგებულების განხილვა დაარწმუნებს ადამიანს, რომ აქ მაინც წინანდელი კანონიერად ნაწარმოები ფორმების ანარეკლი უნდა გვქონდეს.

თუ მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელების ადილუურის ტერი-სა და ყაბარდოულის დდერ-ის მხ. რ. ამავე პირის ნაცვალსახელთან დაკავშირებას ვერაფერს შესძლებს, სამაგიეროდ მრ. რ. 2. პ. ნაცვალსახელის ფორმები ფრიად საყურადღებოა. აბხაზური ნაცვალსახელების ანალიზის დროს უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მხ. რ. 2. პ. ჟარა უფრო ადრინდელი, ამ უბად მრ. რ. ფორმად

ადგმული, წინათ-კი კანონიერი მხ. რ. ფორმის **შტარა-საგან** უნდა იყოს წარმომდგარი **შ-ს** გაქრობით, რომ წინათ **2. პ.** ნაცვ. ნიშნად **ვ** და **ბ-კი** არ იყო და არც შეიძლება ყოფილიყო, რათგან ეს ბგერები მაშინ სქეს-კატეგორიის ნიშნები იქნებოდნენ, არამედ მხოლოდ **შ**. ამავე გარემოებას უბიხური და ადიღური მრ. რ. **2. პ.** ნაცვალსახელების ანალიზიც ამტკიცებს.

დვმეზილს მრ. რ. **2. პ.** ადიღური ნაცვალსახელის ორი ფორმა, **ხერი** და **ფერი**, აქვს მოყვანილი (Étud. გვ. 106), პარალელურ ფორმად **ხერიხერი-იც** არის დასახელებული. **ააკოვლევისა** და **აშხამაფის** გრამატიკაში-კი **შო**, **შორ** და **შორგ** არის დაბეჭდილი (გვ. 55 და 56): თავკიდური ბგერა **შ** მკაფიოდ არის აღნიშნული. რაკი მრ. რ. **2. პ.** აბხაზური ნაცვალსახელიც **დვმეზილს ხარა**-დ აქვს აღბეჭდილი (Étud. 106), უსლარს, გულიას, ნ. მარარს და სხვებსაც ყველას-კი **შარაზ** მოეპოვებათ, ამიტომ ვფიქრობ, რომ **დვმეზილს** განაგონი ბგერა **სა. ე. ი.** ზეაღედი **სშ** უნდა ყოფილიყო და ასევე მაქვს მისი ტრანსკრიფცია გადმოქართულებული.

ამნაირად, მრ. რ. **2. პ.** ნაცვალსახელი **სშერი**, **შორგ** ერთი მხრით და **ფერი** გვაქვს მეორე მხრით. მგონია, ბგერი მტკიცება არ უნდა იყოს საჭირო, რომ **ფერი** **შერი-ს, ე. ი.** **შერი-საგან** არის თავკიდური **შ-ს** გაქრობითა და **ვ-ს ფ-დ** შენაცვლებით წარმომდგარი. **შერი-ს** და **შორგ-ს** თავკიდურს **შ-ს** ზეაღეს აბხაზური **შარაზ** და **შარათ** უმაგრებენ. ისევე, როგორც აბხაზურში **შ** სწორედ **2. პ.** ნაცვალსახელოვანი ნიშანია, ამნაირადვე ადიღურშიც **სშერი-სა** და **შორგ-ს** თავკიდური **სშ**, ანუ **შ-ც**, უფკველია, მეორე პირის ნიშანი უნდა იყოს.

აბხაზური **შარათ-ის** ბოლოკიდურმა მრ. რ. **თ** ფორმანტმა, თავის ადგილას, საშეაღება მოგვცა გამოგვერკვია, რომ მრ. რ. **2. პ.** ეს ფორმა თავდაპირველად მხ. რ. **2. პ.** ფორმითგან უნდა ყოფილიყო მრ. რ. **თ** ფორმანტის დართვით ნაწარმოები და რომ **შ**, მაშასადამე, წინათ მხ. რ. **2. პ.** ნიშნი უნდა ყოფილიყო. თუ ამის შექდგომ მრ. რ. **2. პ.** პარალელურს ადიღურს ფორმას **სშერიხერი-ს** დავაკვირდებით, აქაც აბხაზური **შარათ-ის** მსგავსი აღნაგობა და ვითარება წარმოგვიდგება. მაშასადამე, უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ადიღურსაც წინათ **2. პ.** ნაცვალსახელის ნიშნად **შ** ჰქონია.

ფრიად საგულისხმოა, რომ ყაბარდოულს უკვე მე-XVIII ს. **2. პ.** მრ. რ. ნაცვალსახელის ჩვეულებრივ ფორმად **ჩერ** და ამავე პირის კუთვნილებით ნაცვალსახელად **ჩეჩია** ჰქონია. აქ ის გარემოებაა საყურადღებო, რომ **2. პ.** ნაცვალსახელის ნამდვილი ნიშანი გამქრალა და ამ პირის ნიშნად ამის გამო **ფ** და **ჟ** ქცულა, რომელთაც თავდაპირველად სულ სხვა დანიშნულება ჰქონდათ. თუ ადიღურს **2. პ.** ნიშანი ასე თუ-ისე შეუნარჩუნებია, ყაბარდოულს **შ** უკვე უკვალოდ აქვს დაკარგული და ამიტომ **2. პ.** ნიშნად უკვე **ჟ** ხდება, რომელიც მხ. რ. ამავე პირის **ჟ-ს** შენაცვლებად ეჩვენება კიდევ ადამიანს და სწორედ ასეთი თვისებისაცაა. მაშასადამე, ის პროცესი, რომელმაც **2. პ.** მხ. რ. ნაცვალსახელის ნაცვალსახელოვანი **შ** ნიშანი იმსხვერპლა, ნაწილობრივ ადიღურისა და მთლიანად ყაბარდოულის **2. პ.** მრ. რ. ნაცვალსახელის ფორმაშიც შექრილა. სწორედ ამ პროცესის ბრალია, რომ სინდური ენების **2. პ.** ნიშნად შეცდომით ყველას **ჟ**, **ვ** მიაჩნდა.

თავი მესამე

სინდური ენების ნაცვალსახელების ანალიზის შედეგი

ცალკეული ენების ნაცვალსახელების შესწავლაში სინდურ ენათა ჯგუფის მეტყველების ამ ნაწილის შვიდრო ნათესაობა გამოიქვლია. თუ აქამდის აღიღეთურისა და ყაბარდოულის მრ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელების აბსაზურისა და უბიხურთან დკავშირება ქალდაუტანებლივ და ხელოვნურად შეთხზული მოსაზრების დაუბმარებლივ ძნელი იყო, ეხლა, ეგონებ, მათი წარმოშობა და სადაურობა უნდა უკვე გასაგები იყოს.

ზოგადად შესაძლებელია ითქვას, რომ, როგორც გამოიჩვენა, პირთა ნაცვალსახელებს, დამოუკიდებელი ფორმები სინდურ ენებში მარტო მხ. რიცხვისათვის მქონია, მრ. რ. ფორმები-კი მხ. რ-ისაგან ყოფილა შრივლობითობის ფორმანტის საშუალებით ნაწარმოები. ხაფიქრებელია, რომ მხოლოდ მრ. რ. 1. პირსა მქონდა ამას გარდა განსაკუთრებული ორი ფორმაც, რომელნიც მე და შენ-ისა და მე და იმის აღმწარმებელი უნდა ყოფილყვნენ და ამის გამო არსებობდა მრ. რიცხვისა-კი არა, არამედ წყვილობითი რიცხვის ფორმებად არიან მისაჩვენები. ვითარცა მონაწილეთა წყვილობის მაუწყებელი, ამ ფორმებს ორივე (1. და 2, ან 1. და 3) პირის ნაცვალსახელოვანი ელემენტები უნდა მქონოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში აბსაზურს 1. პ. მრ. რ. ნაცვალსახელს, რომელიც თავდაპირველად მე და ის-ის გამოხატველი უნდა ყოფილიყო, 1. პ. ნაცვალსახელოვანი ელემენტი, როგორც ეტკოსა, დაუკარგავს და მხოლოდ-და 3. პ. შერჩენია.

სინდური ნაცვალსახელების აღწავლა იხუთი მარტივი არ აღმოჩნდა, როგორც ეგონათ, და ამიტომაც გასაკვირველიც არაფერია, რომ წინანდელა მსჯელობა ნაცვალსახელების ძირებზეც სრულებით ვეღარ დაგვაკმაყოფილებს. ამ საკითხის უკანასკნელი მკვლევარის, დ. ვ. მ. ზ. ი. ლ. ის, აზრით, მეგ., სინდური ენების ნაცვალსახელებს ვითომც შემდეგი ძირები აქვთ:

1. ა - ძირი, რომელიც აბხ. ა-(ბ-)რი, ა-(ბ-)ნი-სა, — უბიხ. ა-ღჟა, *ა-წწ-სა, — იდილ. ა-, ა-რი და ა-ში-ს, — ავრეთვე ყაბ. (მ)-ა-ში-ს დაუცავთო.

2. უ, ანდა უ + ხმოვანი, რომელიც აბხ. უი, უ-რ-თ და უ ბ-რი-ში, — უბიხ. უჟ-წწ და უჟ-ში, ჩერქ. უ-ღე-ში გვხვდებო.

3. ა + ხმოვანი: აბხ. აა-რა-ს, — უბიხ. აი-წწ და აი-ს, — აბხ. და ჩერქ. მხ. და მრ. რ. 3. პირის კუთვნ. თავსართად და პირ. მაჩვენებლად აქვთ. აზნაირადვე კუთვნ. თავსართებად მოჩანან ლ- და ღ-, აბხ. ლა-რა-სა და და-რა-შიო (Études, გვ. 111).

გულდასმითი აწონდაწონის შემდგომ, თუ დავმეზილი ამბობს, რომ საბოლოოდ საკითხის ვადამყვეტა მხოლოდ მაშინ ნიხერხდება, როცა ჩრდილო-კავკასიური ენების აღმოს. ჯგუფის შედარებითი გრამატიკა შესწავლილი იქნება, მაგრამ მაინც ფიქროვს, რომ სქეს-კატეგორიები აბხა ზური ენის ძველი კუთვნილება არ უნდა იყოს (Études. გვ. 117-118).

სინდური ენების ნაცვალსახელების ზემოპოყვანილი ცალკეული ანალიზის შემდგომ, ეგონებ, ბევრი საუბარი არ უნდა იყოს საჭირო იმის დასარწმუნებ-

ლად, რომ ზემოდასახელებული პატივცემული მკვლევარის დებულებანი სწორე არ არის.

სინდურს ენებს 1. პ. ნ. ძირად ს, მეორისა-კი შ, ჰქონია. პ. პ. ნაცვალსახელად მითითებითი ნაცვალსახელი ყოფილა, რომლის თანხმოდან ელემენტად პ არის მიხაჩნევი.

ამას გარდა, ძირთა ნაცვალსახელების სრული ფორმების ანალიზის დროს გამოარკვეა, რომ სინდური ენების ასეთს ფორმებში მარტო პირის გამომხატველი ელემენტი-კი არაა, არამედ სათანადო სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელიც ყოფილა და, მაშასადამე, თავდაპირველად, მხოლოდ პირისა-კი არაა, არამედ სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელიც იქმნებოდა. სწორედ ამ შერწყმული ფორმების პირის მაუწყებელი თავკიდური ელემენტის დროთა განმავლობაში ჩამოცლის გამოა, რომ თავდაპირველად მხოლოდ სქეს-კატეგორიის გამომხატველი უ, ლ, ბ და დ ბგერები მკვლევართ პირის აღმნიშვნელ ნაცვალსახელოვან ძირად, თუ ელემენტად მოეჩვენათ. პ. ნაცვალსახელების შესწავლამ ამის გარდა გამოამჟღავნა, რომ მათი აგებულების შემადგენელ ელემენტად ზოგან უკუქცევითი ნაცვალსახელებიც ყოფილა.

III. ლილლური ენების ნაცვალსახელები

ლილლურ ენათაგან ჩაჩნური, ქისტური და წოფური ნაცვალსახელების ძველი, მე-XVIII ს., ჩანაწერიც ხომ მოგვეპოვება, ჩაჩნური და წოფური-კი, როგორც ვიცით, მე-XIX ს. მონოგრაფიულადაც იყო შესწავლილი. დასასრულ ნახქოური ენის 1933 წ. გამოსული მანდაროვის, მაციევისა და ავტორხანოვის გრამატიკაც არსებობს.

თავი პირველი

ენობები ლილლურ ნაცვალსახელებზე

§ 1. ლილლური ნაცვალსახელები მე-XVIII ს.

პირთა ნაცვალსახელები ჩაჩნურად, ქისტურად და წოფურად მე-XVIII ს.

Ich მე — სო So

Mir მიც. ბრ. — სუანა Suana

Mich შემას. ბრ. — სუან Suan

Mein ნათ. ბრ. — სენდა Senda

წოფ. — Sen სენ

Du შენ — ჰო Ho

Dir მიც. ბრ. — ჰონე Hone

Dich შემას. ბრ. — ჰო Ho

Dein ნათ. ბრ. — ჰენდა Henda

წოფ. — ჰემ Hem

Wir ჩვენ — ტენ Tchen

Uns ჩვენ — ტხონე Tchone

Unser ჩვენი — ჩენდე Tschende

Ihr თქვენ — ჩუნ Tschun

Euer თქვენი — ჩუნე Tschune

Er ის — აერ Jer, წოვ. — ვოჯე Woje Sie ისინი — აერეშ Jeresch.
 წოვ. — ვობეი Wobei
 Sein მიხე — ცუნდე Zunde, წოვ. Kortihada ქორტიჰადა.
 (I. A. G ü l d e n s t ä d t. Reisen II, 504).

ჩაჩნურად		ქისტურად	წოვურად
Wer ვინ? Hämilau	ჰამილაუ	Jermelof — აერმელოფ	Menau მენაუ.
Was რა Hundu	ჰუნდუ	Hunt ჰუნტ	Uchta უხტა.
Wessen ვისი Uhänim	უჰანიმ	Hand ჰანდ	Hanio ჰანიო.
Wem ვის Hanne	ჰანნე	Hanne ჰანნე	Hanne ჰანნე.
Wen ვინ (შემ. ბ.) Ismalaf	იზმალაფ	Ismalaf იზმალაფ	
Hieher აქეთ —		Sawale საჟალე	Sehe
Dorthin იქით Dahadi	დაჰადი	Dahazigge დაჰაჯიგე,	Dahahe დაჰაჰე

(I. A. G ü l d e n s t ä d t, Reisen II, 504—505).

§ 2. ჩაჩნური თანამედროვე პირთა ნაცვალსახელები

შე — ხუო, შენ — ხუო, ის — იზ, ჩვენ — ცხუო, ვაჲ. თქვენ — შუ, ისინი — იზუშ.

მხ. რ.		მრ. რ.	
უხლ.	ჲანდ.	უხლ.	ჲანდ.
სახ. ხუო მე ხუო,		ცხუო ჩვენ, თხუო (შენ და ის ან ისინი), ვაჲ—	
ნათ. ხენე ჩემი ხანე,		(მე და შენ, ან თქვენ)	
მიც. ახუონა მე ხუვნა,		ცხენა ჩვენი, თხან, ვაჲნა, ვაჲნა	
მოქ. ახ ჩემით ახა		ცხუნა ჩვენ, თხუნა, ვაჲნა, ვაჲნი	
მიმართ. ხუუნა, ხოხა, ჩემდა		ოხუ ჩვენი, თოხა, ვაჲ, ვაჲ	
ხუუნგენა ხოგა ხაა		ცხუნა ჩვენდა, თხოხა, ვაჲნა	
მხ. რ.		მრ. რ.	
უხლ.	ჲანდ.	უხლ.	ჲანდ.
სახ. ხუო შენ ხუო		შუ თქვენ შუ	
ნათ. ხენე შენი ხან		შუნა თქვენი შუნა	
მიც. ხუონა შენ ხუვნა		შუნა თქვენ შუნა	
მოქ. ახ შენით ახა		აშ თქვენი აშა	
მიმართ. ხუუნა ხოხა, ხუუნგენა შენდა,		შუუნა თქვენდა შუხა	
ხოგა ხაა.			

ის — იზ		ისინი — იზუშ	
მხ. რ.		მრ. რ.	
უხლ.	ჲანდ.	უხლ.	ჲანდ.
სახ. იზ ის, ი(იზ)		იზუშ ისინი, ვაშ (ვზუშ)	
ნათ. ცუინინე მისი, ცუნინე		ცურიინე იმათი, ცვერინე.	

მიც. ცუნნა მის, ცუნნა	ცნრნა იმათ, ცაარნა
მოქმ. ცუმ მით, ცუო	ცნრა, ცნრ იმათით, ცაარა
მიმართ. ცუნნეგენა მისდა ცუნგახაა.	ცერგენა იმათდა, ცნრგახაა.

(უსლ. ჩაჩ. ე., 45 და 48 და ანდ.-მაც.-ავტორბ. ნახკ. გრ., გვ. 259—261)

ჩაჩნური კუთვნილებითი ნაცვალსახელები

კუთვნილებითი ნაცვალსახელების გამოსახატავად ჩაჩნური პირთა ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმებს სმარობს, მაგ. ჩემი — ხენი, შენი ხენი, მისი ცუინინი (ცუინი), ჩვენი (შე და იმისი, ან იმათი) ტხენ, (შე და შენი, ან თქვენი) ვაჲნი. — თქვენი შუნი, იმათი ცნრინი, — თქვენი შუნი, იმათი ცნრინი. ჩაჩნურს კუთვნილებითს სახელებს არც კანკლედობა აქვს და არც სქეს-კატეგორიებისდა მიხედვით რაიმე ეცვლებათ (ჩაჩ. ე., გვ. 48—49).

უკუშცევიითი ნაცვალსახელები

ჩაჩნურს ჩამდენიშე უკუშცევიითი ნაცვალსახელები მოეპოვება ერთი მათგანის წარმოება იმ წესს ემყარება, რომ პირის ნაცვალსახელს იგივე ფორმა მისდევს, მაგრამ მისი უკანასკნელი ხმოვნის გაგრძელება „თითონ“-ის ცნების გამოხატელობას ანიჭებს. მაგ. შე სუო-ა, „შე თითონ“-კი ხუო სუო-ა, — შენ ხუო, შენ თითონ — ხუო ხუო (ჩაჩ. ე. 49—50 და ნახკ. გრ. 265). მაგრამ ასე მართლ მს. რ. 1. და 2. პ. უკუშცევიითი ნაცვალსახელებია წარმოები.

მს. რ. 3. პ. და მრ. რ. საშივე პირის უკუშცევიითი ნაცვალსახელების საწარმოებლად-კი პირთა ნაცვალსახელს „თითონ“-ის გამოხატეული ან ცალკეული სიტყვა შა, ანუ შაა, ანდა უკვე ფორმანტად ქცეული ეშ, შ ბოლოსართი ემატება პირის ნაცვალსახელის ნიშანს და ასე შერწყმული პირის ნაცვალსახელს ერთვის ხოლმე. მაგ. ის — იზ. ი, — ის თითონ — იზ-შა იშაა (ან.). — ჩვენ ტხუო, თხუო, ჩვენ (შე და ის, ან ისინი) თითონ — ტხუო ტხეშ, თხუო თხაშ, ვაა (შე და შენ, ან თქვენ) ვეშ, ვაა ვაშ. თქვენ — შუ, თქვენ თითონ — შუ შეშ, შუ შაშ, ისინი იზუშ, ისინი თითონ — იზუშ შეშ, ვაშ-შაშ (ჩაჩ. ე. 49—51 და ნახკ. გრ. 265). ცხადია, რომ ტხეშ, თხაშ, — ვეშ, ვაშ, — შეშ, შაშ და შეშ ისინი თითონ) წარმომდგარია ტხ, თხა+ეშ, ვ+ეშ, შ (შუ-ს)+ეშ, შ (იზუშ-ის)+ეშ-ისაგან.

ხემომოყვანილი უკუშცევიითი ნაცვალსახელების თავისებურებას ის შეადგენს, რომ ასეთი წყვილდედი ფორმები მხოლოდ სახ. ბრუნვას აქვს. დანარჩენი ბრუნვებისათვის უკვე მართლ თითონ-თითონ ფორმა-ლაა, სახელდობრ:

ჩაჩნური უკუშცევიითი ნაცვალსახელების კანკლედობა

1. „შე თითონ“ ხუო სუო.	2. „შენ თითონ“	ხუო ხუო
ნათ. ბრ. საჲნი		ხაჲნი
მიც. ბრ. საჲნა		ხაჲნა
მოქმ. ბრ. აჲხა		აჲხა
მიმართ. ბრ. საჲგენა.		ხაჲგენა

3. „ის თითონ“ იზ შა

- ნათ. ბრ. შინე
- მიც. ბრ. შინა
- მოქმ. ბრ. შა
- მიმართ. ბრ. შიგება

(ჩაჩ. ე., გვ. 49—50).

„ჩვენ (მე და ის, ისინი) თითონ“ ტყუო ტბეშ. ჩვენ (მე და შენ, ან თქვენ) ვაჲ ვეშ

- ნათ. ბრ. ტხეშინე. ვეშინე
- მიც. ბრ. ტხეშნა. ვეშნა
- მოქმ. ბრ. ტხეშ. ვეშ
- მიმართ. ბრ. ტხეშეება. ვეშეება.

„თქვენ თითონ“ — შუ შეშ

- ნათ. ბრ. შეშინე, ანდა შაჲნე.
- მიც. ბრ. შეშნა, ანდა შაჲნა.
- მოქმ. ბრ. შეშ.
- მიმართ. ბრ. შეშეება, ანდა შაჲგება.

(ჩაჩ. ე., გვ. 50—51).

აანდაროვისა და მისი თანამშრომლების გრამატიკით-კი ამ უმაღლეს ჩინურს უკუქცევითს ნაცვალსახელებს, სახელობითი ბრუნვის მსგავსად, დანარჩენ ბრუნვებსაც ორ-ორი, მაგრამ მაინც პირის ნაცვალსახელისაგან განსხვავებული ფორმა აქვთ. სისრულისათვის უკუქც. ნაცვალსახელებს თანამედროვე კანკლედობაც მოგვეყავს:

- მე თითონ — სუო-სუოო
- ნათ. ბრ. ხანე-ხაჲნე
- მიც. ბრ. ხუნა-ხაჲნა
- მოქმ. ბრ. ახ-აჲხა

- შენ თითონ — ხეუო-ხეუოო
- ხან-ხაჲნე
- ხუნა-ხეუანა
- ახ-აჲხა

- ის თითონ — ი-შაა
- ნათ. ბრ. ცუნინო-შეენე
- მიც. ბრ. ცუნნა-შიენა
- მოქმ. ბრ. ცუო-შაა

- ჩვენ თითონ — თხუო-თხაშ
- თხან-თხაჲნე
- თხუნა-თხაშნა.
- ოოხა-თხაშ.

- ჩვენ თითონ — ვაჲ-ვაშ
- ნათ. ბრ. ვაჲნე-ვეეშინე
- მიც. ბრ. ვაჲნა-ვაშნა
- მოქმ. ბრ. ვაჲ-ვაშ

- თქვენ თითონ — შუ-შაშ
- შუნე-შეეშინე
- შუნა-შეეშნა
- აშა-შაშ

- ისინი თითონ — კაშ-შაშ
- ნათ. ბრ. ცეერინ-შეეშინე
- მიც. ბრ. ცაარნა-შაშნა
- მოქმ. ბრ. ცაარა-შაშ

(აანდ. - შაც. - ავტორ). ნახვ. გრ., გვ. 265).

უკუქცევითი ნაცვალსახელების ნათ. ზრუნვის ფორმებიც კუთვნილებითი ნაცვალსახელების მნიშვნელობის მქონებელია და ამიტომ **საანე** თვით ჩემის, **ხაანე** თვით შენი-ს, **შიენე** თვით მისი-ს, **ტხაანე** და **ვეშინე** თვით ჩვენი-ს, **შიინე** თვით თქვენი-სა და **შაანე** თვით იმათ-ის აღმნიშვნელია. როდესაც ასეთი უკუქცევითი-კუთვნილებითი ნაცვალსახელები ცალკეულად, არსებითი სახელი-საგან დამოუკიდებელივ არის ხოლმე ნახმარი, მაშინ ზემომოყვანილ ფორმებს იგ ბოლოსართი ემატება ხოლმე, ასეთ შემთხვევებში „თვით ჩემი“ იქნება **საიანიგ**, თვით შენი — **ხაანიგ**, თვით მისი — **ცაუინიანიგ**, **ცვნიანიგ** (დან.), — თვით ჩვენი — **ტხაანიგ**, **ხაანიგ** (დან.), **ანდა ვაანიგ**, — თვით თქვენი — **შუინიგ**, **შვნიგ**, — თვით იმათი **ცურიანიგ** (ჩაჩ. ე., გვ. 51 და დანდ. ნახჭ. გრ., გვ. 261—262).

ამ უკუქცევით-კუთვნილების ნაცვალსახელების კანკლედობაც თავისებური აქვს. თავისებურებას ის შეადგენს, რომ სახელობითი ბრუნვის გარდა, იგ ბოლოსართი სხვა დანარჩენ ბრუნვებში აღარსად ჩანს, არამედ მის ძაგიერ ჩუ ბოლოსართი ჩნდება და ბრუნვების ნიშნები სწორედ ამ ჩუ-ბოლოსართიან ფუძეს ერთვის ხოლმე. მაგ. „თვით ჩვენი“-ს კანკლედობა რომ მოყვანოთ:

მხ. რ.	მრ. რ.
„თვით ჩვენი“	საანიგ
ნათ. ბრ.	საანიჩუნე
მიც. ბრ.	საანიჩუნა
მოქმ. ბრ.	საანიჩუნა
	საანიჩუნა (ჩაჩ. ე., გვ. 52).

(დანდ. არ. ო. ვ. ის. და ჩისი თანამშრომლების ვრამატიკაში ასეთივე ფორმები მოყვანილი იმ განსხვავებით, რომ შუაში ნე არ არის, ე. ი. **საანიჩუნე**-ია და სხ. (დანდ. ნახჭ. გრ., გვ. 261—262).

უსლარს არც ამ იგ-ისა და არც ჩუ ბოლოსართების აღმნიშვნელობასა და სადაურობაზე არსად თავის ნაშრომში არაფერი აქვს ნათქვამი. ეს საკითხი ცალკეა განსახილველი.

ჩანაწერი ჩვენი-ს ნაცვალსახელი

უსლარის სიტყვით, 2. პ. ნაცვალსახელის იშ-ისაგან არის წარმომდგარი და თანხმოვნის მოცილებით ი-დ არის ქცეული. ი ნიშნავს **ეს-ს**. მაგრამ მხ. რ. დანარჩენ ბრუნვებში ამ ხმოვნის ძაგიერ ოცუ ჩნდება, მრ. რ. ბრუნვებში-კი უკვე **აცარ** და **აცერი** არის. ამიტომ მხ. რ. ნათ. ბრ. **ოცაუინინე**, მიც. ბრ. **ოცუნნა**, მოქმ. ბრ. **ოცუნა**, — მრ. რ. სახ. ბრ. **იშუმ**, ნათ. ბრ. **აცურიანე**, მიც. ბრ. **აცარნა**, მოქმ. ბრ. **აცარა**. მაგრამ **ეს** ჩვენებითი ნაცვალსახელი თუ არსებითს სახელს მიუძღვის, მაშინ კველ ზემოდასახელებულს ბრუნვებში მხოლოდ ოცუ იხმარება (ჩაჩ. ე. 52).

ზემოაღნიშნულ ჩვენებითს ნაცვალსახელს გარდა, ჩაჩუნს აქვს **ჰარა**, რომელიც **ეს-ს** ნიშნავს, და **დგარინე** — ის. ამ ორსავეს დანარჩენ ბრუნვებში ფუძე შემდეგნაირად ეცვლება:

	ეს — შარა	მრ. რ.	დანდაროვის გრამატიკით:	
			მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	შარა	ჭორუშ.	შარა (ძარა).	ჭორუშ (ძორუშ)
ნათ.	ჭოკუინინე	ჭაკურინე.	ჭოკვინინე (ძოკვინინე).	ჭოკვეერინე (ძოკვეერინე)
მიც.	ჭოკუნა	ჭაკარა.	ჭოკვეუნა (ძოკუნა).	ჭოკაარა (ძოკარა)
მოქმ.	ჭოკულ	ჭაკარა.	ჭოკულ (ძოკულ).	ჭოკაარა (ძოკაარა).

(ნაჭ. გრ., გვ. 267).

მაგრამ შარა-ს ნათესაობითისა და ყველა სხვა ბრუნვების ორივე რიცხვის ფორმები უამ-ჭო (მხ. რ-ში) და შა (მრ. რ-ში) მარცვლოთაც იხმარება ხოლმე და მარტივად ამბობენ კუინინე, კუნა, კულ, -კურინე, კარა, კარა და სხ.

დვარინგ-ის (ის) კანკლედობაც თავისებურია იმ მხრივ, რომ ორივე რიცხვის ნათესაობითისა და დანარჩენს ბრუნვებში ამ ნაცვალსახელის ფუძეს ბოლოში ჩუ ერთვის და ამის გამო შემდეგი კანკლედობა აქვს:

	მხ. რ.	მრ. რ.
სახ.	დვარინგ	დვარინგიშ
ნათ.	დვარიჩუნე	დვარიჩუნე
მიც.	დვარიჩუნა	დვარიჩუნა
მოქმ.	დვარიჩულ	დვარიჩულა

(ჩარ. ე., გვ. 52—53).

დანდაროვისა და სხვათა ნახყოფის გრამატიკაში დვარინგ არ მოიპოვება.

ჩაჩნური კითხვითი ნაცვალსახელები

ვინ? შილა, წოვურად — შენა. ორივეს დანარჩენი ბრუნვები სხვა ძირისაგან აქვს ნაწარმოები, მაგ.

	ჩაჩნურად.	წოვურად
ვისი	— ხენი (ნე), ხეკინინე (ძან.)	ხანი, ხან
ვის	— ხანა, ხანა (ძან.)	ხანა
ვისით	— ხანე	ხა (ძან.: ნახჭ. გრ., გვ. 269). ხანგრედაჰ

მრ. რ.

ვინანო	— მილულ	შენუხ
ნათ. ბრ.	მილულჩუა	შენულჩო
მიც. ბრ.	მილულჩუნა	(შიფნ. წოვ. ე., გვ. 50).

(ჩარ. ე., გვ. 54).

ჩაჩნურად	წოვურად
რაჰ ჰუნე	ვუნ, უნე, ვუნახ, ვუხ, უხ, უ.

მაგრამ ამ რა-საც დანარჩენი ყველა ბრუნვების ფორმები სულ სხვა ძირი-საგან აქვს ნაწარმოები და შემდეგი კანკლედობა აქვს:

ჩაჩნურად	წოვურად
რა	
სახ. ჰუნე	ვუნ
ნათ. სტინი(ნე), სტიანი(ნე) (ძან.)	სტენი, სტეინ
მიც. სტიენნა	სტენნა
მოქმ. სტიუნე, სტიე (ძან., გვ. 269)	სტენგრედაჰი
(ჩაჩნ. ე., 55)	(წოვ. ე., 51)

წოვურს ზემომოყვანილს „რა?“ კითხვითი ნაცვალსახელის ფორმებს გარდა ვადლიერებული კითხვის გამომხატველი უხუა, უხდა და უზდალო-ც აბადია (შიფნ. თუშ. ე., გვ. 51).

თავი მეორე

ლილლური ნაცვალსახელების ანალიზი

მე-XVIII ს. ჩანაწერსა და თანამედროვე ნაცვალსახელებს შორის დიდი განსხვავება არა ჩანს და ცვლილება მხოლოდ ზოგან დასტყობია. მაინც ძველ ცნობას, სანამ მის გამოყენებას შეუდგებოდეთ, განმარტება სჭირდება. იქ მე-ს ჩაჩნურ შესატყვისობად ხო არის აღნიშნული, თანამედროვე ჩაჩნურს-კი სულ აქვს, ხოლო ხო ქისტებსა და წოვებს ზოეპოვებით.

იგივე უნდა მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელზეც ითქვას: მე-XVIII ს. ჩანაწერში „შენ“ ჰო Ho-დ არის აღბეჭდილი. თანამედროვე ჩაჩნურს აქაც ხოლო აქვს, ინგუშურსა და წოვურს-კი სწორედ ხოლო აქვთ. ვტყობა, რომ გვლდენშტედტს ბგერის პალატალობა, შერბილება კარგად შეუმჩნევია და ამიტომაც ხე გერ-მანული H მს გამოყენებით გამოუხატავს. ხმოვანთა მხრივ-კი ამ ძველს ჩანაწერშიც, მაშასადამე, ისეთსავე მოვლენასთან გვაქვს საქმე, როგორიც !. პირი საში გვჭონდა.

ამ განსხვავების შესაძლებელია ორნაირი განმარტება მოეძებნოს: ან ცნობების მიმწოდებელი ქისტია, თუ უფრო წოვა იყო, რომელიც შესცდა და ამა და სხვა მსგავს შემთხვევაში თავისი დედაენას ფორმა გვლდენშტედტს ჩაჩნურადაც წარმოუდგინა, ანდა უნდა ვიფიქროთ, რომ მე-XVIII ს. მხ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელები ისეიფვე იყო, როგორაც ქისტ, რხა და წოვურს ეხლაც აქვს. თუმცა ამ საკითხის დანამდვილებით გადასაწყვეტად წინასწარ სხვადასხვა გარემოების გამოკვლევა და გათვალისწინებაა საჭირო, მაგრამ, რაკი მხ. რ. 3. პ. ჩაჩნურ ნაცვალსახელად აღნიშნულია აგრ, რომელიც ლილლურ თანამედროვე ენათგან მხოლოდ წოვურს მოეპოვება (იხ. შიფნ. წოვ. ე., გვ. 48), ეს გვაფიქრებინებს, რომ ამ ორ შესაძლებლობასაგან უფრო პირველი მოსაზრება უნდა იყოს სწორე.

საყურადღებოა, რომ მე-XVIII ს. ჩანაწერში პირთა ნაცვალსახელების ნათ. ბრუნვისა და კუთვნილებითი ნაცვალსახელები ყველა ფორმებს ბო-

ლოში, ნათ. ბრუნეის ნიშნის შემდგომ, და, ანდა ღმ მარცვალი ახლავს, შავ.: Mein Senda ზემი ხენდა, Dein Henda შერი. ჰენდა, Sein Zunde მისი ტუნდე, Unser Tschende ჩვენი (შეცდომია, ნამდვილად თქვენი-ა) ჩენდე. ნათ. ბრ. ასეთი ფორმები არცერთს დიდდურს ენაში, ამ უაზად არხებული ცნობების მიხედვით, არ მოიპოვება და ამ საკითხს ჯერ გამოიკვება სჭირდება.

მრ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელების მე-XVIII ს. ჩანაწერში შეცდომებია შეპარული, სახელდობრ: 1. ჩვენ Wir აღნიშნულია Tchen ტხენ, რაც სახ. ბრუნვა-კი არა, არამედ ნათესაობითი ბრუნვაა, თანამედროვე გაგებით მაინც. ამიტომ უნდა გერ. Unser ჩვენი უოფილიყო, მაგრამ თქვენ-ც რომ ჩუნ არის დაბეჭდილი და აქაც რომ ბოლოში ნ აქვს. ეგების მაშინ ჩანაწერშიც 1. და 2. პ. მრ. რ. ფორმებს ბოლოში მართლაც ნ ჰქონდა და ეგების უსლარის მოსაზრება, რომ ჩანაწერი ნათ. ბრ. ნიშანი თავდაპირველი ნ არ იყო, რომ იგი შერბინდელი დანართია (ჩან. ე გვ. 24), მცდარი არ არის? ამ საკითხს ჯერ შესწავლა სჭირდება. — 2. შემდეგ დაბეჭდილია „Unser Tschende“ ე. ი. „ჩვენი ჩენდე“. რაკი „ჩვენ“ ტხუო-ა და თქვენ მე-XVIII ს. ჩანაწერში Tschun ჩუნ-ად არის აღნიშნული, ცხადია, რომ ჩენდე უფრო თქვენი-ს შესატყვისობად არის მისაჩნვენი, ვიდრე ჩვენი-ს და ნამდვილად სწორედ ასე იქმნებოდა.

საგულისხმოა, რომ ჩვენ-ის ორ, ექსკლუზიური და ინკლუზიური ფორმით: ვან ტხუო და ვაჲ მე-XVIII ს. ჩანაწერში მხოლოდ პირველი, მე და ის, ან ისინი ს აღმნიშნელი, ფორმა ტხენ და ტხონე (შიც. პრ.) არის აღბეჭდილი.

ლილღურ პირთა ნაცვალსახელებითგან მრავლობითი რიცხვის 1. პ. ჩვენ-ის აღმნიშვნელი სახელია საფურადღებო. თანამ. ჩანაწერსაცა და ქისტურ-წოფურსაც ამ პირისათვის ორ-ორი ფორმა მოეპოვება: ტხუო, ანუ თხუო და ვაჲ (ჩ.) ტხო და ვეჲ (ქ.), თვო და ვაი (წ.). ამ ორ წყვილ-წყვილ ფორმათაგან პირველი ტხუო, თხუო, ტხო და თვო შესაძლებელია რთული აგებულებისა და ორ ნაწილისაგან შემდგ. ად მიეჩნია ადამიანს მით უმეტეს, რომ მეორე პირს სამსავე ენაში ეხლაც ხუო, ხო და ხო ეწოდება და, როგორც გვლდენშტედტის ჩანაწერთაგან ჩანს, ასევე (შო) ეწოდებოდა მე-XVIII ს.-შიც. რაკი მეორე ნაწილი შენის აღმნიშვნელად წარმოგვიდგებოდა, მაშინ ტ, ანდა თ-ც შესაძლებელია 1. პ. ნიშნად მიეჩნია ადამიანს მით უმეტეს, რომ დძირიანი 1 პ. მს. რ. ნაცვალსახელი ლეგუო ენათა შორის ლუნძურს, ანწუბურს, ქარულსა, აკუშურსა და დიდოურს მოეპოვება. მაგრამ ასეთი მოსაზრება სრულებით მცდარი იქმნებოდა.

საქმე ისაა, რომ ტხუო-სა, ანუ თხუო და ვაჲ-ს შორის ის განსხვავებაა, რომ პირველი მათგანი მხოლოდ მე და ის-ს, ანდა მე და ისინი-ს ნიშნავს. ე. ი. მეორე პირი ნაგულისხმევი არ არის, ვაჲ-კი წინაუკმო, სწორედ მე და შენ, ანდა მე და თქვენ-ს გულისხმობს. ცხადია, რომ მს. რ. მეორე პირის ნიშნის ძებნა ტხუო-სა ანდა თხუო-ში, რაკი ის ფორმა სწორედ მეორე პირს არ გულისხმობს, სრულებით უმართებულო და ამოცანა უნდა იყოს.

თუ ამ მეორე პირის ნიშანი მრ. რ.-ს 1. პ. ორ სახელთაგან სადმე საძებნელია, ცხადია, რომ ისევ მხოლოდ ვაჲ-შია. მაგრამ მასაც მეორე პირის ლილღური ნაცვალსახელის ბგერითი ელემენტის არავითარი კვალი არ უჩანს. ხოლო,

რაკი ამასთანავე მრ. რ. 1. 3. ტხუო, თხუო-სა (ჩ.) და თვო-ში (ქისტ., წოვ.) არც მესამე პირის ელემენტის ანარეკლზე შეიძლება იყოს საუბარი, რათგან იხ მე-XVIII ს. ჩანაწერში აერ-ად, ხოლო ისინი აერეშ-იდ არის აღბეჭდილი, თანამედროვე ჩანაწერს-კი იზ და იზუშ-ი, შარა და დგარინინგ, ქისტურს იზ და უშ; აზრ და აარაჟ და წოვეურს ო, ორ და ობი (მრ. რ.) აქვს, ისე რომ ამ ნაცვალსახელის არც ერთი ბგერაც-კი ტხუო-სა და თვო-სას არ მიაგავს. ცხადი ხდება, რომ მრ. რ. 1. 3. ლილღური ნაცვალსახელის აღნაგობა პირთა ნაცვალსახელებთან არ უნდა იყოს დაკავშირებული, არამედ მისი სადაურობა ხბვავან არის საძებნელი.

მრ. რ. 2 პ. ფორმას თვალსაჩინო განახვავება ემჩნევა: თუ მე-XVIII ს. ჩანაწერში გვაქვს ჩუნ Tschun, თანამდროვე ჩანაწერში უკვე შუ არის, შუნ ნათ. ბრ. ფორმაა. ასევე ქისტურსა და წოვეურშიც: იქაც თქვენ არის შუ, ნათ. ბრუნვა-კი თქვენი, ქისტურში შუმ (ღირრის შეს. 146), წოვეურში შუი (შიფნ. წოვ. ე. 48). შეცდომაა მე-XVIII ს. ჩანაწერის ამ ცნობაში?

განსაკუთრებული ყურადღების ღირსი ჩვენებითი ნაცვალსახელებია, მაგ. შარა შინი თივის ადგილას მოყვანილი (იხ. გვ. 494) ნათესაობითისა და დანარჩენი ფორმები ცხად ჰყოფენ, რომ შარა ორი ნაწილსაგან, შა და რა-საგან შესდგება და არჩენი ბრუნვების ფორმებს ამ ორითგან მხოლოდ პირველი, შმ, აქვს შერჩენილი, მეორე რა-კი ქრება. ხამაგიეროდ, ამ ნაცვალსახელის მეორე ნაწილად ვუ. კუინ, კუნ მარცვადი ჩნდება და იმ დროს, როდესაც შო გველა ბრუნვებში უცვლელი რჩება, კუ-ს ანუ კუინ-ს ბრუნვების ნიშნები ერთვის. არც უსლარსა და არც შიფნერს ამ ვუ, თუ კუინ-ის რაობაზე არაფერი ატვი ნათქვამი.

საკუთრადღებოა აგრეთვე ჩანაწერი მხ. რ. 3. 3. უუქცივითი ნაცვალსახელის საწარმოებლად გამოყენებული „თითონ“ შა, რომლის ნათ. ბრ. შიუნა, შიც. ბრ. შიუნა, მოქმ. შა არის და რომელიც იზ-თან ერთად იზშა, ანუ ი-შაა (დანლ.) „ის თითონ“-ის გამომხატველია, მაგრამ რომელიც ნათესაობითისა და დანარჩენს ბრუნვებში უკვე უ-იზ-ოდ, მარტო თითონ იხმარება. უსლარს არც ამ შა-ს ძირზე აქვს რამე ნათქვამი.

მე-XVIII ს. კითხვითი ნაცვალსახელები თანამედროვისგან ზოგი რამით განსხვავდება, მაგ. ვინ ჩანს. ძველად შამილაუ, ქისტურად აერმელოჟ და წოვეურად შინაუ ყოფილა. ვინ წოვეურად ეხლაც ასევეა მენა.

ბოლოკიდური უ ჩანაწერს შამილაუ-საცა და წოვეურს მელაუ შიც აწმყო დროის მ შველი ზმნის ფორმაა და „არის“ ნიშნავს.

საკმარისია ამის შემდგომ ვინ-ის ჩანაწერსა და ქისტურს ფორმებს შამილაუ-სა და აერმელოჟ-ს დავაკვირდეთ და თანამედროვე ფორმა მილა-ც გავითვალისწინოთ, რომ ძველი ჩანაწერის ფორმების რთული აგებულება სრულებით აღვილი გასაგები გახდეს. მაგრამ, სანამ მათ ანალიზს შევუდგებოდეთ, უნდა აღინიშნოს, რომ წოვეური ფორმის ბოლოკიდური ჟ, უცქველია, იგივე უ მეშველი შინა უნდა იყოს, ოღონდ ჯერ ვ-დ, ხოლო შემდეგ ჟ-დ შენაცვლებული. ამნაირად, მე-XVIII ს. ჩანაწერში კითხვითი ნაცვალსახელის წმინდა ფორმები-კი არა გვქონია აღბეჭდილი, არამედ „ვინ არის?“.

ძველი და ახალი ფორმების შედარება დაარწმუნებს ადამიანს, რომ მე-XVIII ს. ცნობის მამილაუ და აერშელოფ-ის თვით ვინ კითხვით ნაცვალსახელი მამ-ლა-ა და აერ-მელო-საგან შესდგება. ამათგან მილა და მელიო რასაკვირველია სწორედ ვინ ნაცვალსახელია, ხოლო მამ და აერ-ს, ცხადია, რაღაც სხვა მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. აერ-ის რაობა, ზემომოყვანილი ცნობების შემდგომ, ძნელი მისახვედრად არ არის; აერ, მე-XVIII ს. ჩანაწერის ცნობითაც და თანამედროვე ქისტური მარ და მარ ისევე, როგორც წოვური ერ, ჩვენებითი ეს ნაცვალსახელია.

ამაირადვე ჩანსური მამილაუ-ს მამ ამავე მნიშვნელობის ეს ჩვენებითი მარა ნაცვალსახელია, მაგრამ რა-ფორმანტუ ჩამოკლებული. როგორც თავის ადგილას დაერწმუნდით, ამ ნაცვალსახელის ეს ორი ნაწილი საერთოდ მჭიდროდ დაკავშირებული არ ჩანს.

მაშასადამე, მე-XVIII ს. ზემომოყვანილ ჩანაწერებითგან სიტყვა-სიტყვით ნათარგმნი მხოლოდ წოვური მამაუ ნიშნავს „ვინ არის“, ჩანსური მამილაუ და ქისტური მარმელმფ კი უკვე მთელი წინადადება ყოფილა „ეს ვინ არის?“ სავლსისხმოა, რომ მე-XVIII ს. ჩანაწერის მიხედვით, ვინ? ნაცვალსახელის მაშინდელი კანკლედობის სამი ბრუნვის ფორმების გათვალისწინებაც შეგვიძლიან. მაგ. ნათ. ვისი ჩანს. უმანამ თანამედროვე ხენი(ნე)-ს უდრის, მიც. მანე = ხანა-ს. შემას. ბრ. (Wen) ჩაწერილია ismaja იშმალაფ რომელიც პ. პ. ხაცვ. იშ-ს-მალა+ფ-ს შეიცავს, მალა უმკველია იგივე მილა-ა, ე. ი. ვინ, რომლის პირველი ა. თუ კორექტ. შეკდომას არ წარმოადგენს, რეგრესიული ასიმილაციის გზით უნდა იყოს გაჩენილი. ამაირად იშმალაფ, ანუ იშპილაფ ნამნ. ვს „ეს ვინ არის“-ო.

მიკვებითი ბრუნვის ძველი და ახალი ფორმები ერთმანეთის კარგად უდგება, თუ გავითვალისწინებთ, რომ გაძალაულებული ხ. გვლდენშტედტს სხვა შემთხვევებშიც გვრმ. მ ასოთი ექვს გამოხატული.

ნათ. ბრ. ჩანსური ფორმა უმანამ „ვისი“, თანამედროვე ხენი(ნე)-თან შედარებით, ზედმეტს თევტილურ უ-ს შეიცავს, რომლის რაობა გამოსარკვევია, და ამას გარდა მას ბოლოში ნე-ს მარჯვრ მ უჩანს. უნდა ითქვას, რომ უმანამ თავისი თავკიდური უ-თი უჭრო ეს ნაცვალსახელის მარა ს ნათ. ბრ. ფორმას პოვუინინე-ს მიაგავს, ამიტომაც საფიქრებელია, რომ ისევე, როგორც სახ. ბრუნვაში მამილა-უ-ში ეს ნაცვალსახელი მამ არის, ნათუხოშითს ბრუნვა-საც მამინ მისი ულემენტი შ-ს სახით (შო-ს მარჯვრ) შეუნარჩუნებია.

წოვური „ვისი“ მანით თანამედროვე ნათ. ბრ. ფორმას, ხენი და უ (არი)-ს უნდა უდრიდეს და ნიშნავს „ვისია?“, ხოლო ქისტური ვისი-ს მანდ-ის ბოლო-ქიდური დ გაუგებარია, მაგრამ, გვლდენშტედტის ჩანაწერებში დე-ს სახით ზერგან სხვაგანაც გვხვდება, ამიტომაც შევთხვევითი არ უნდა იყოს.

რა-ს ძველი ჩანაწერის ჩანსური მუნდუ, ცხადია, ორ სიტყვას მუნ და დუ-ს შეიცავს და ნიშნავს „რა არის? ქისტური მუნტ, რასაკვირველია, იგივე, მხოლოდ ხმოვან ჩამოკლებული ფორმია. წოვური „რა“ უბრა თანამედროვე წოვურის გაძლიერებული „რა“? კითხვითი ნაცვალსახელის უბრა, უნდა, უბ-დასო-ს მეორე ფორმას ზედმიწევნით უდგება.

მე-XVIII ს. ჩანაწერის აქეთ, ქისტურად რომ სატალე არის აღნიშნული, უნდა უდრიდეს ჩანსურის სხა ვაჟლა-ს, რომელიც ნიშნავს „აქ მოდი“-ს (ჩან. ე. 211). ე. ი. „აქ ატალე“-ს უდროს.

უსლარს განმარტებული არა აქვს, თუ რა აგებულობის სიტყვაა ჩანსური „აქ“ სხა (იხ. ჩან. ე., გვ. 108 და 211). მე მგონია, რომ „აქ“ სხა არი ნაწილობრივად შესდგება: ხა მიმართულებითი ბრუნვის ის ბოლოხართი უნდა იყოს, რომელიც არსებითი, ზედსართავი სახელებისა და ნაცვალსახელების კანკლუდობაშიც ამავე ბრუნვის მაწარმოებლად გვხვდება (იხ. ჩან. ე., გვ. 25), ბოლოთავკადური ს უნდა ო. პ. მხ. რ. ნაცვალსახელის სუმი-ს ელემენტი იყოს. ამნაირად, სხა თავდაპირველად აღმნიშვნელი იქმნებოდა „ჩემ-თან“, „ჩემ-დამი“ და მხოლოდ შემდეგში, დროთა განმავლობაში, უნდა მიპნიჭებოდეს მას ზოგადად „აქეთა“-ის მნიშვნელობა.

მე-XVIII ს. ჩანსური ჩანაწერის იქით-ის შესატყვისობა დაჰადი, წოვეური დაჰაჰე და ქისტური დაჰციგვე უდროს: ჩანსური დაჰადი თანამედროვე დგან-სა, რომელიც იქ. იქით-ს ნიშნავს, და დი-ს. ამ უკანასკნელის რაობის გამოსარკვევად უნდა გავითვალისწინოთ დაჰადი-სა და დაჰარე-ს იგივეობის შესაძლებლობა, რათგან დ-სა და რ-ს შენაცვლება იშვიათი არ არის.

ამის შემდეგ რომ წოვეური იქით-ის დაჰაჰეს-ს ანალიზს შევუდგეთ. აქაც დაჰა უნდა დგან-ს შესატყვისობად გვეყნა, ხოლო ჰე რომელიცა ფორმანტად მოკვეთნია. მაგრამ ჩანსურად ჰარა ჩვენებითი ნაცვალსახელია და ეს-ს ნიშნავს, ამიტომ წოვეური დაჰაჰე „იქით“ უნდა კორექტურული შეცდომა იყოს დაჰარე-ს მაგიერ და დგან-სა და ჰარა-საგან იყოს შერწყმით წარმომდგარი და, მაშასადამე, არსებითად მარტო იქით-ს-კი არ გამოიხატავს. არამედ „იქით ეს“-ის, ანუ უკროს სწორედ რომ გამოითქვას, „იქითი“-ს აღმნიშვნელი უთფილა.

ცხადია, რომ ზემონათქვამის შემდგომ ჩანსური დაჰადი-ც თავდაპირველად ასეთივე აგებულებისა და ცნების სიტყვა იქმნებოდა. ამიტომგეა, რომ ჰარა ჩანსურად ნიშნავს ეს-ს, დგანისივ უკვე ის-ს გამოიხატავს. დაშორების ცნების ელფერს ჰარა-ს, ეს-ს, სწორედ დგა, „იქ“ ანიჭებს.

დაჰაციგვე, ქისტური იქით, იმავე დაჰა-ს (ე. ი. დგან-ს) და ციგვე-ს შეუკავს, რომელსაც იგივე მნიშვნელობა აქვს და ჩანსურშიც არსებობს (ჩან. ე. 226). ამნაირად ამ შემთხვევაში იგივე ცნება ქისტურს გაორმაგების გზით გამო-უსატყვის.

IV. ლეგურ-ალბანური ენებისა ნაცვალსახელები

ნაცვალსახელებში ლეგურ ენებსაც ნაირნაირობა ემჩნევა. ეს თუშკა საქშეს არაუღლებს, მაგრამ სამაგიეროდ მათი აღნაგობისა და შემადგენელი ნაწილების გამოსარკვევად მკვლევარს ხშირად სწორედ ეს ნაირნაირობა აწვდის ძვირფას მასალასაც და ბევრი რამის გაგების საშუალებასაც აძლევს. ცალკეული ენის ნაცვალსახელების განსილვის დროს, შიავალჯერ მკვლევარს თითქოს სრულებითა

გარკვეული სურათი და აგებულება ეჩვენება ხოლმე, მაგრამ, როდესაც ამავე საკითხების განხილვისას ის სხვა ენების ნაცვალსახელების ფორმებსაც გაითვალისწინებს და გამოიყენებს, მაშინ უკვე ცალკეული ენის ნაცვალსახელების აღნაგობაცა და შემადგენელი ელემენტებიც სულ სხვანაირად წარმოდგება ხოლმე. ამიტომაც აუცილებლად საჭიროა, რომ ამ ენების ნაცვალსახელები ცალკეულადაც და შედარებითადაც გვეჩინდეს განხილული: რის გამოგარკვევაც ცალკეული შესწავლით ხერხდება, ის ამ გზით მოგვარდეს, დანარჩენი საკითხები-კი შედარებითი მეთოდით გამოირკვევა.

თავი პირველი

ლუნძური, ანწუხური და ჭარული ნაცვალსახელები

ამ სამი დიალექტის ნაცვალსახელების მე-XVIII ს. ჩანაწერიც გვაქვს ხელთა და ლუნძურისათვის ცნობები უსლარის გრამატიკაშიც მოგვემოვება. ლუნძურსა, ანწუხურს და ჭარულს ნაცვალსახელებს შორისაც იმდენად მჭიდრო კავშირია, რომ აქაც მათი ერთად განხილვა სჯობია. წინათვე მიღებული თანმიმდევრობის მიხედვით, აქაც ჯერ ლუნძური, ანწუხური და ჭარული ძველი ჩანაწერისა და თანამედროვე ლუნძური ნაცვალსახელები გვეჩვენება წარმოდგენილი, ხოლო შემდეგ უკვე მათს ანალიზზე გადავალთ.

§ 1. ლუნძური, ანწუხური და ჭარული ნაცვალსახელები მე-XVIII ს.

ლუნძურად

Ich მე — ღუნ Dun.	Wir ჩვენ — ნიუ Nish.
Mein ჩემი — დვრბუგუ Dürbugu.	Unser ჩვენი — ნეჟერაუ Nesherau
Du შენ — მუნ Mun.	Ihr თქვენ — მუჟ Mush
Dein შენი — დურაბ Durab.	Euer თქვენი — მოჟორაბ Mosherab
Er ის — ჰადაბ Hadab	Sie ისინი — დალ Dal
Sein მისი — შენელაუ Schenelau	
Wer ვინ Schumun შუმუნ	
Wessen ვისი Kisamun კისამუნ	
Wem ვის Chibi ხიბი	
Was რა Schiblu შიბლუ	
Hieher აქეთ Ani ანი	
Derthin იქით Duwechun დუვეხუნ	

(I. A. G ü l d e n s t ä d t, Reisen, II, 512).

ანწუხურად

Ich მე — ღუნ Dun	Wir ჩვენ — ნიუ Nish
Mein ჩემი — დვრ Dür	Unzer ჩვენი — ნეჟერ Nesher

Du შენ — მუნ Mun	Ihr თქვენ — მუჟ Mush
Dein შენი — დურ Dur	Euch თქვენ (შემას. ბრ.) — მუჟერ, Muscher
Er ის — ჰადაბ Hadab	Sie ისინი — ჰადალ Hadal
Sein მისი ანელ lenel	Sich ისინი (შემას. ბრ.) — ანე lene
Wer ვინ Schu შუ	
Wessen ვისი Ch'il წილ, ანდა ხვილ	
Wem ვის Chil ხილ	
Wen ვინ (შემას. ბრ.) Hauh'illi შაუჰ'ილი	
Was რა Schib შიბ	
Hieher აქეთ S'l'ab ხ'ლ'აბ	
Dorthin იქით Daba დაბა	

(I. A. G ü l d e n s t ä d t, Reisen II, 512).

ქარულად

Ich მე — დუნ Dun	Wir ჩვენ — ნიჟ Nish
Mein ჩემი დურაბ Dürab	Unser ჩვენი — ნეჟერაბ Neshherab
Du შენ — მუნ Mun	Ihr თქვენ — მუჟ Mush
Dein შენი — დურაბ Durab	Euch თქვენი (შემას. ბრ.) — მუჟერაბ Musherab.
Er ის — ჰადაბ Hadab	Sie ისინი — დალ Dal
Sein მისი — შენელაბ Shenelab	Sich ისინი — შენე ჟენე
Wer ვინ Schemun შემუნ.	
Wessen ვისი Chilabi ხილაბი	
Wem ვის Chibi ხიბი	
Wen ვინ (შემ. ბრ.) Chisisst ხისისსტ	
Was რა Schibugu შიბუგუ	
Hieher აქეთ Ani ანი	
Dorthin იქით Dabai დაბაი	

(I. A. G ü l d e n s t ä d t, Reisen II, 512).

§ 2. ლუნძური თანამედროვე ნაცვალსახელები

პირთა ნაცვალსახელები

მე — დუნ	ჩვენ } (მე და ის, ისინი) — ნიტხლთ
შენ — მუნ	
	თქვენ — ნუჟ (ლუნ. ე. გვ., 92—93)
ის — დრუ (მამრ.), დრა (მდედრ.), დობ (პ. სქ.).	
ისინი — დოლ (იქვე, გვ. 95).	

პირთა ნაცვალსახელების კანკლედობა

	მე	შენ	ის		
სახ.	დუნ	მუნ	დოუ,	დოჲ,	დობ
ნათ.	ღირ	ღურ	დოსულ,	დოტულულ,	დოტულულ
მიც.	ღრჲე	ღურჲე	დოსრჲე,	დოტულსრჲე,	დო+ულსრჲე
მოქმ.	ღრცა	ღურცა	დოს	დოტულჲ	დოტულჲ
	ჩვენ (მე და ის)	ჩვენ (მე და შენ)		თქვენ	ისინი
სახ.	ნიტულჲ	ნიჲ		ნუჲ	დოლ
ნათ.	ნეტულსრჲ	ნეჲრ		ნოჲრ	დოჲულ
მიც.	ნეტულსრჲე	ნეჲრჲე		ნოჲრჲე	დოჲრჲე
მოქმ.	ნეტულსრცა	ნეჲრცა		ნოჲრცა	დოჲ

(ლუნ. ე., გვ. 92 და 95).

კუთვნილებითი ნაცვალსახელები

- ჩემი — ღირ (ყველა სქეს-კატ. და რიცხ.)
 შენი — ღურ " " " "
 მისი — დოსულ (მამრ.), დოტულულ (2 და 3 სქეს-კ.)
 ჩვენი (ჩემი და იმისი) — ნეტულსრჲ, (ჩემი და შენი) — ნეჲრ.
 თქვენი — ნოჲრ, — იმითი — დოსულ (ლუნდ. ე., გვ. 95).

კუთვნილებითი ნაცვალსახელები ზედსართავ სახელებად არის ლუნდურში მიჩნეული და შესაძლებელია სქეს-კატეგორიანი შიშობებითი ნაცვალსახელებიც ბოლოსართებად დაერთოს, მაგ. ჩემი ღირაჲ (მამრ.), ღირაჲ (მდედ.), ღირაჲ (3. სქ.), — ჩვენი — ნეჲრაჲ (მამ.), ნეჲრაჲ და ნეჲრაჲ, — ჩვენნი — ნეჲრალ, — თქვენი — ნოჲრაჲ, — ა, — ბ, — თქვენნი — ნოჲრალ, — მისი — დოსულაჲ და სხ. (იქვე გვ. 95).

როცა კუთვნილებითი ნაცვალსახელები არსებითი სახელებისაგან დამოუკიდებლივ და ცალკეულად არის სახმარებელი, მაშინ ასეთს ფორმებს ხმარობენ ხოლმე: ჩემი — ღირაჲ (მამრ.), ღირაჲჲ (მდედ.), ღირაჲჲ (3. სქ. კ.) ღირალ (მრ. რ.), — მისი — დოსულაჲ (მამრ.), დოსულაჲჲ (მდედრ.) დოსულაჲჲ (3. სქ.-კ.), დოსულალ (მრ. რ.) და ასევე ხოლმე დანარჩენი პირების კუთვნილებითი ნაცვალსახელებიც ნაწარმოები (ლუნდ. ე., გვ. 96). გვინებნელი შესამჩნევი არ უნდა იყოს, რომ ზემოთხსენილ ფორმებს სქეს-კატეგორიებიანი შიშობებითი ნაცვალსახელების ორმაგი ბოლოსართები აქვთ.

უკუტყუვითი ნაცვალსახელები

უკუტყუვითი ნაცვალსახელები ნაწარმოებია პირთა ნაცვალსახელებისაგან გო ბოლოსართის მიმატებით, და ამიტომ იქმნება:

ჩემ თავს — ღურგო, შენ თავს — მურგო, — ჩვენ თავს — ნრგო და ნიტულგო, — თქვენ თავს — ნურგო, — ის თითონ — დურგო და დურგოჲაჲ და სხ. (ლუნდ. ე., გვ. 97).

თითონ — ურუ (მამრ.), ურე (მდედ.), ურე (3. სქ.)

ნათ. ბრ. — უინდრე უინდრე უინდრე

მიც. უინდრე

მოქმ. უინცა

მრ. რ. სახ. ბრ. — უალ, ნათ., — უოდრე, მიც. — უოდრე,

მოქმ. — უოდრეცა (იქვე, გვ. 98).

ჩვენიბითი ნაცვალსახელები

ლუნძურს ჩვენებითი ნაცვალსახელები მარტივიცა და რთულიც მოეპოვება. მარტივი მითითებითი ნაცვალსახელები სქეს-კატეგორიან ბოლოსართების მქონებელს ფორმას წარმოადგენენ. აქვე მომყავს მათი სია და კანკლედობა.

მხ. რ.

სახ. აუ, აე, აბ

ნათ. ასულ, ატლასულ, ატლასულ

მიც. ასრე, ატლასრე, ატლასრე

მოქმ. ას, ატლას, ატლას

მხ. რ.

სახ. ეუ, ეე, ებ

ნათ. ესულ, ეტლასულ, ეტლასულ

მიც. ესრე, ეტლასრე, ეტლასრე

მოქმ. ეს, ეტლას, ეტლას

(ლუნ. ე., გვ. 99).

ლუნძური რთული აგებულებას ჩვენებითი ნაცვალსახელების პირველი ნაწილი ჰა მიუთითებს ნაცვალსახელს, ხოლო მეორე ნაწილი ვ. პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელის ა ხმოვანა სახესხვაობას დაუ, დაე, დაბ-ს წარმოადგენს. ამ შემთხვევაში ა-ხმოვნობა შესაძლებელია პროგრესიული ასიმილაციის შედეგადაც ყოფილიყო მიჩნეული. მას ასეთი კანკლედობა აქვს:

მხ. რ.

სახ. ჰადაუ (მამრ. სქ.) ჰადაე (დედ. სქ.), ჰადაბ (3 სქ.)

ნათ. ჰადასულ ჰადატლასულ, ჰადატლასულ.

მიც. ჰადასე ჰადატლასე ჰადატლასე

მოქმ. ჰადას ჰადატლას ჰადატლას

(ლუნ. ე. გვ. 99).

მკითხველი შეამჩნევს, რომ ძველს ჩანაწერში ვ. პ. მხ. და მრ. რ. ფორმებზე სწორედ ამ რთული ჩვენებითი ნაცვალსახელის ვ. სქესკატეგორიის ფორმაა აღბეჭდილი.

§ 3. ლუნძური, ანწუხური და ქართული ნაცვალსახელების ანალიზი.

ლუნძური, ანწუხური და ქართული ნაცვალსახელების მე-XVIII ს. აღბეჭდილი ფორმებისა და თანამედროვე ლუნძურზე ცნობების გადაკითხვის შემდეგ, უნდა მათი აგებულებისა და თავდაპირველი მნიშვნელობის გამორკვევაც ვცადოთ

რაკი ლუნძურად, ანწუხურად და ქარულად მე არის ღუნ, შენ-კი მუნ, ვ. ი. ორივე პირის ნაცვალსახელს ბოლოკიდურ თანხმონად ნ აქვს, ცხადია, რომ ეს ბგერა ძირეული არ უნდა იყოს, არამედ რომელიღაც ზოგადი ცნების გამომხატველად არის საგულიანებელი

ლუნძური, ანწუხური და ქარული ნაცვალსახელების შხ. რ. 1. 3. და შრ. რ. 1 და 2 3. ფორმებს ძირის მთლიანობა ემჩნევათ, მაგრამ, თუ შხ. რ. 2. პირს ნაცვალსახელის სახელობითი ბრუნვაა მუნ, ნათ. ბრუნვა უკვე არის ღურ-ძიცემითი დრჲე და, როგორც მე-XVIII ს. ჩანაწერთგან ჩანს, ნათ. ბრუნვა მაშინაც ასევე ყოფილა. აქ მარტო ის გარემოება-კი არ არის საყურადღებო, რომ შუნ ნაცვალსახელის ძირის მთლიანობაა დარღვეული, არამედ უფრო მეტად ის უცნაურობა, რომ 2. 3. ნათესაობითი, მიცემითი და მოქმედებითი ბრუნვების ფორმების ძირად ღ ჩნდება, ის თანხმონად, რამელიც ყველა ბრუნვებში გამოუკლებლივ შხ. რ. 1. 3. ნაცვალსახელის აღმნიშვნელია. ამას ზედ კიდევ ის უცნაურობაც ერთვის, რომ იგივე ღ მესამე პირის ორივე რიცხვის ღრჲუ, ღოჲ, ღობ და ღოღ ეს ძირხვე წარმოადგენს

გვლდენშტედტის შრ. რ. 1. 3. ნაცვალსახელის მხოლოდ ერთი ფორმა ნიჲ აქვს ჩაწერილი, უსლარის ცნობით-კი ორი ფორმა არსებობს: ერთია ნიტხლჲ, რომელიც მე და შენ-ს, ანდა მე და თქვენ-ს გულისხმობს, — მეორე-კი ნიჲ, რომლითაც მე და ის, ანდა ისინი აღინიშნებიან ხოლმე (ავ. ე., გვ. 93). სწორედ ეს „მე და იმის“, ანდა „იმათის“ აღმნიშვნელი შრ. რ. 1. 3. ნაცვალსახელია გვლდენშტედტის ზემომოყვანილს ჩანაწერში აღბეჭდილი.

ამავე ხანის უსლარის ცნობით, თქვენ ლუნძურად არის ნიჲ (ავ. ე. გვ. 140). ე. ი. ჩვენ-ისაგან (ნიჲ) მხოლოდ ხმონით განსხვავებული ფორმაა, მაგრამ გვლდენშტედტის ჩანაწერთგან ჩანს, რომ 1. და 2. პირის ნაცვალსახელების თავკიდური თანხმონების ასეთი იგივეობა მერწინდელი და შედარებითი ახალი მოვლენა ყოფილა. მე-XVIII ს. დამლევს თქვენ ყოფილა მუჲ. ეს ცნობა რომ სრულ ქეშმარიტებას წარმოადგენს, იქითგანაც ჩანს, რომ შენ ლუნძურად იმ დროსაც იყო მუნ და ეხლაც ასევეა. ამნაირად, 2. 3. შრ. რ. ფორმაც შხ. 3. ნაცვალსახელის მ თანხმონადივე ჰქონია.

უნდა ამასთანავე აღინიშნოს, რომ თქვენ მარტო ლუნძურად-კი არ ყოფილა მე-XVIII ს. დამლევს მუჲ, არამედ, როგორც გვლდენშტედტის ზემომოყვანილი ჩანაწერებითგან ჩანს, ანწუხურად და ქარულადაც.

საყურადღებოა ლუნძური, ანწუხური და ქარული პირთა ნაცვალსახელების შრ. რ. 1. და 2. პირის სახელობითი ბრუნვის ნიშ და თანამედროვე ნიშის იხვე, როგორც ძველი მუჲ-ის ბოლოკიდური შ-ს რაობა, რაკი შენ არის მუნ, თქვენ-კი მუჲ. შესაძლებელია დიქრად მოსვლოდა ვისმე, რომ შ შრ. რ. ნიშანია. ამას თითქოს ის გარემოებაც უნდა ადასტურობდეს, რომ შრ. რ. 1. 3. ნაცვალსახელსაც, ნიჲ-საც, ეს თანხმონადივე მოეპოვება. მაგრამ ლუნძურში შ შრ. რიცხვის ნიშნად სხვაგან არსადა ჩანს და ამიტომაც ასეთი მოსაზრება მცდარი იქმნებოდა.

თუმცა გამოირკვა, რომ შ-ს შრ. რ. ფორმანტად მიჩნევა შეუძლებელია, მაგრამ შრ. რ. 1. და 2. პირის ნაცვალსახელების ამ საერთო ბგერის რაობას

ვამორკვევა მაინც საჭიროა, რათგან უეჭველია ეს თანხმადან, ნაცვალსახელების ძირეული ნაწილი არ უნდა იყოს, არამედ ამ შ-ს რაღაც %ოგადი მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა.

მე გვონია, რომ მრ. რ. 1 და 2. პ. ნაცვალსახელების ნიშ და მუშ (ძველის) ნიშ ის შ მთელი სიტყვის მხოლოდ პირველი შერჩენილი ბგერა-ღა უნდა იყოს. სრულად ეს სიტყვა ეხლაც არსებობს და სამი ფორმა ურუ (მამრ. სქ.), ურჲ (მდედ. ს.) და ურბ (მესამე სქ.) აბაღია: სამივე თითონ-ს ნიშნავს. თითონ-ის აღმნიშვნელს ამ ურუ ნაცვალსახელს, რომელიც ცალკეულად ამ ქამად, უსლარის ცნობით, თითქოს მარტო მესამე პირის ნაცვალსახელის „ის თითონ“-ის გამოსახატავად იხმარება, დრუგო-ს მაგიერ (ავ. ე., გვ. 98), ბოლოში კიდევ გო ფორმანტი ერთვის ხოლმე და მასთან ერთად ცალკეულადაც ურუგო, ურჲგო, ურბგო და ურღგო-ს (მრ. რ.) სახით იხმარება ხოლმე. მაგ. ურუგო ღუნ რნა ვუგო თვით მე მივალ, — ურუგო ღუნ რნა ჲრგო, თითონ (დედაცაცი) მე მივალ, — დრუ ურუგო ვაქანა ის თითონ მოვიდა (ავ. ე., გვ. 99). მრ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელების ჩვენი ნიშ და თქვენი მუშ (ძველი) ნიშ ფორმები ცხად-ჰყოფენ, რომ წინათ თითონ ურუ, ურჲ, ურბ მარტო მრ. რ. მესამე პირის ნაცვალსახელის მაგიერ არ იხმარებოდა, არამედ მრ. რ. 1 და 2. პირის ნაცვალსახელებთანაც გარკვეულობის გამომხატველ ნაწილაკად უხმარიათ. მაშინ მრ. რ. 1. პირის სრული ფორმა ნიჟიჟ, ხოლო 2. პ. მუჟიჟ უნდა ყოფილიყო და ჩვენ თითონ-ისა და თქვენი თითონ-ის აღმნიშვნელი იქმნებოდა. სწორედ ამის ბოლომოკვეცილი ფორმებია მრ. რ. 1. და 2. პირის ნაცვალსახელების უკვე მე-XVIII ს. დამლევს ცნობილი და დღევანდლამდე შერჩენილი, თანაც უნდა უკვე მარტივ ნაცვალსახელებად მიჩნეული ნიშ და მუშ (ძველი), ნიშ ფორმები

ამის შემდგომი გასაგებია, თუ რატომ არის, რომ ნიჟ ჩვენ მონაწილედ შეორე პირსაც არ ჰგულისხმობს: ჩვენ თითონ-ის თითონ არის თითქოს ამის გამომხატველი.

რაკი გამოიჩვენა, რომ მრ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელის ბოლოკიდური შ ამ სახელების ძირეული ნაწილი-კი არა. არამედ თითონ-ის აღმნიშვნელი ნაწილაკია და ამიტომაც არის, რომ 1. პ. ფორმას ექსკლუზიურს ელფერს ანიჭებს, თავისდა-თავად იბადება საკითხი 1. პ. მრ. რ. ინკლუზიური ფორმის ნიტხლჲ-ის ბოლოკიდური ტხლჲ ს თავდაპირველი ბუნების შესახებაც. თითქოს ეს ბგერა ნაცვალსახელის ძირეული ნაწილი უნდა იყოს, ხოლო, იმ მოსაზრების გაშთ, რომ ამ ბგერაიან ფორმის თავისებურებას მეორე პირის მონაწილეობის გამომხატველობა შეადგენს, საფიქრებელი იყო, რომ იგი თავდაპირველად სწორედ ამ დამატებითი გარემოების მაუწყებელი ნაწილაკი უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ასეოი მოსაზრება რომ მცდარია, თუნდაც იქითგანაც ჩანს, რომ ლუნძურად მე არის ღუნ, შენ-კი მუნ: არცერთი ამ ორ დ და მ ბგერათაგანი ნიტხლჲ-ში არ მოიპოვება. ამას გარდა ლეგურის სხვა ენებთან შედარებითი შესწავლა თავის ადგილას დაგვარწმუნებს, რომ საკითხი სრულებით იმდენად მარტივი არ არის, რომ მისი მარტო ლუნძური მასალით გამოიჩვენა შეიძლებოდეს.

მეტად საგულისხმოა აგრეთვე მე-XVIII ს. ჩანაწერის ლუნძური კუთვნილებითი ნაცვალსახელების ფორმები: მხ. რ. ჩემი—დვრბუგუ, შენი—დურაბ, მისი—შენელაუ, -მრ. რ. ჩვენი—ნეჟერაუ, თქვენი—ნოჟორაბ. ყველა ეს ფორმები პირთა ნაცვალსახელების ნათესაობითს ბრუნვას დვრ ჩემი+ბუგუ-ს, —დურ შენი+აბ, —ნეჟერ ჩვენი+აუ, -მოჟორ (ძველი) ანდა ნოჟორ (თანამედროვე) თქვენი+აბ. ყველა ამ ფორმების მეორე ნაწილთაგან აუ და აბ ჩვენებითი აი ნაცვალსახელებია: აუ მამრ. სქესისა და აბ ქესამე სქეს-კატეგორიისა.

ეს რომ სწორედ ასეა, ამ ნაცვალსახელების ანწუსური და ქარული პარალელებითაც მტკიცდება. მაგ. ჩემს ანწუსურად მე-XVIII ს. დვრ სწოდებია, ე. ი. აქ უკვე მხოლოდ ნათ. ბრუნვის (უ-ბუგუ) ფორმაა, რომელიც ამასთანავე კუთვნილებითი ნაცვალსახელია, -ქარულად-კი პრქმევია დვრაბ, მაშასადამე, დვრ-ს ბუგუ-კი არაა, არამედ აბ ჰქონია დართული. ანაირადვე ჩვენი თუ ნეჟერაუ იყო, ანწუსურად ნეჟერ, ე. ი. ნათ. ბრუნვის წმინდა ფორმა ყოფილა, ქარულს-კი აქაც აბ ბოლოსართიანი ნეჟერაბ ჰქონია.

ასევეა 2. პირის ორივე რიცხვის ფორმებიც. თუ ლუნძურს შენს—დურაბ-ს ქარულშიც ნგვევ დურაბ უდრის, ანწუსურს უკვე ნათ. ბრუნვის წმინდა ფორმა დურ აქვს ლუნძური თქვენ-ის მოჟორაბ-ის შესატყვისად ანწუსურად მუჟერ, ე. ი. ნათ. ბრუნვის წმინდა ფორმაა, ქარულში-კი მუჟერაბ ყოფილა. კუთვნილებითი ნაცვალსახელების ასეთი ფორმები ლუნძურს ხომ ეხლაც აქვს.

ზემომოყვანილი მაგალითებითგან ჩანს, რომ ბოლოკიდური აუ და აბ მარცვლები მართლაც კუთვნილებითი ნაცვალსახელების ჩემი, ჩვენი, შენი და თქვენი-ს განუყოფელი ნაწილი არ ყოფილა. საგულისხმოა, რომ მე-XVIII ს. ლუნძურში ჩმანი-სა და მისი-ს ფორმებში ჩვენებითი ნაცვალსახელის ბოლოსართად მამრ. სქესის აუ ყოფილა ზოგადი მნიშვნელობის მქონებელ ფორმანტად მიჩნეული, ქარულში-კი ისევე, როგორც ლუნძურს, ანწუსურსა და ქარულს ამავე დანარჩენი და ნაცვალსახელებისათვის ზოგადი მნიშვნელობის ბოლოსართად უკვე ჩესამე სქეს-კატეგორიის აბ ფორმანტია. ფრიად დამახასიათებელია, რომ ასეთ, ზოგადი დანიშნულების, ფორმანტად ამ ჩვენებითი ნაცვალსახელის მდებარე სქესის აბ ფორმა არცერთსულ გამოყენებულ არ ყოფილა. ეტყობა, რომ ხსენებულ მეტად ზოგადი მნიშვნელობა მესამე სქეს-კატეგორიის ფორმებს მიჰკუთვნებია, შემდეგ-კი უფრო ნაკლებ მამრ. სქესისადაც.

ზემოჩამოტყობის შემდგომ ვგონებ ცხადი უნდა იყოს, რომ მე-XVIII ს. ჩანაწერის მისი შენელაუ-ც უნდა უფრო აღრიხდელი შენერაუ-საგან იყოს წარმომდგარი, რომელიც აგრეთვე შენარ-ისა და აუ-ს შეიცავს. პოეტური ამოგანი უეჭველია ნათ. ბრუნვის ფორმა უნდა იყოს, აუ-კი ჩვენთვის უკვე ცნობილი ჩვენებითი ნაცვალსახელის მამრ. სქესის ფორმაა. შენარ ვ. პ. ნაცვალსახელის თითონ მხ-ის, შიშ-ს, ნათესაობითი ბრუნვის ფორმა ჩანს. ეხლა იგი უნდა იქნებოდეს ითქმის (ავ. ე., გვ. 98). გვლ დენ შტედტის ჩანაწერში ნახ ამ შენთხვევაში, როგორც ზოგან სხვაგანაც აქვს, უ-ს შენაცვლება მინც უნდა იყოს, ამის დასამტკიცებლად შესაძლებელია მისა-ს ქარული შესატყვისობა იქმნეს დამოწმებული: მე-XVIII ს. ჩანაწერში სწორედ შენელაბ-ი არის აღნიშნული. ცხადია, რომ იგი შენელ-ისა და აბ-ისაგან შესდგება. ქარულში, მან-

სადაზე, ლუნძურის მამრ ობითი სქესის ჩვენებითი ნაცვალსახელის აუ-ს მაგიერ, შესაშე სქეს-კატეგორიის აბ ფორმა გვაქვს. თვით ვ. პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმად-კი ქარლში ამნაირად აღბეჭდილია შინელ, ლუნძურის შინელ-ის მაგიერ. მაგრამ მისი-ს მე-XVIII ს. ფორმების თავკიდური თანხმონი თავდაპირველად რომელი უნდა ყოფილიყო, ამას განსაკუთრებით სჭირდება გამორკვევა, რათგან ანწუბურად მე-XVIII ს.-ში ყოფილა ძენელ, ე. ი. შ-ს, ანდა უ-ს მაგიერ ა არის.

მე-XVIII ს. ლუნძური, ანწუბური და ქარული ჩანაწერების ეს ნაცვალსახელი ჰადაბ რთული აგებულებისაა და მითითებითი ნაცვალსახელის დრუ, დრჲ, დრბ-ისაგან შესდგება. პროგრესიული ასიმილაციის გზით ამ მეორე ნაწილის ია-ად არის ქცეული. ჰადაუ, ჰადაჲ, ჰადაბ ებლაც არსებობს, მხოლოდ უსლარს ვ. პ. ნაცვალსახელად-კი არა, არამედ სამართლიანად ჩვენებით ნაცვალსახელად აქვს მიჩნეული (ავ. ე., გვ. 99). მაშასადამე, მე-XVIII ს ჩანაწერის ეს ჰადაბ ჩვენებითი ნაცვალსახელის შესამე სქეს-კატეგორიის ფორმას წარმოადგენს.

ეხლა ჩემი-ს დვრბუჟუ-ს მეორე ნაწილის ბუჟუ-ს რაობა-ლა გვაქვს გამოსარკვევი. ცხადია, რომ იგი დვრბ და გუსაგან არის შემდგარი, რომელთაგან პირველი კუთვნილებითი ნაცვალსახელის ჩემი-ს ვ. სქეს-კატეგორიის ფორმაა, მეორე, გუ-კი უკუქცეული ნაცვალსახელების გო მაწარმოებელი ბოლოსართის უ-ბმონი სახეობაა, ამიტომ დვრბუჟუ სიტყვა-სიტყვით, ან თვით ჩემი-ს აღმნიშვნელია. ანდა დვრ (ჩემი) + ბუჟო (არის)-საგან შესდგება და ჩემია-ს უღრის.

ლუნძურში, ანწუბურსა და ქარულში ძველი ჩანაწერი ვ. პ. ნაცვალსახელად ჰადაბ ყოფილა მიჩნეული, თანამედროვე ლუნძურს-კი აქვს დრუ (შამ. სქ.), დრჲ (მდედ. სქ.) და დობ (ვ. სქ.) შ. რ-ში და დობლ შრ. რ-ში. აი მისი კახკლედობაც:

შხ. რ		შრ. რ
სახ. დრუ (შამ. სქ.),	დობ (მდედ. სქ.),	დობ (საშ. სქ.),
ნაო. დობულ,	დრბლდოულ,	დობლდოულ
ნიც. დობრდუ,	დობლდობრდუ,	დობლდობრდუ,
პიკშ. დობ.	დობლდი,	დობლდა
(ლუნძ. ე., გვ. 95).		დობ

ლუნძური და ქარული ვ. პ. ნაცვალსახელის შრ. რ. ფორმა ისინი მე-XVIII ს. ჩანაწერში არის დად, უსლარის ცნობით-კი ებლა დობლ ითქმის (ავ. ე., გვ. 95). საფუძვლებულია, რომ ისევე, როგორც ეს მაშინ იყო ჰადაბ, შრ. რ. ისინი ს. ფორმაც ამავე ჰა მარცვლიანი ჰადალ იქმნებოდა. ჩვენებითი ნაცვალსახელის ასეთი შრ. რ. ფორმა ებლაც არსებობს (იქვე, გვ. 99). პროგრესიული ასიმილაციით გაჩენილი დად-ის სწორედ ეს ა, ო-ს მაგიერ ამედიანებს, რომ მე-XVIII ს. ფორმა დად წინანდელი ჰადად ის თავკიდური მარცვალ-ჩამოკლილი ფორმაა. ამ მოსაზრების სისწორის დამოდასტურებლად შესაძლებელია ანწუბურის ისინა-ც იყოს დამოწმებული: მე-XVIII ს. ჩანაწერში მართლაც აღბეჭდილია ჰადად, მაშასადამე, დად ნიშნავს აი იხინი.

ვინ? ლუნძური შუმუნ, ქარული შემუნ და ანწუხური შუ უდრის თანამედროვე ლუნძურს შრუ-ს (მამრ. სქ.) და შიჟ-ს (მდედრ. სქ.). ლუნძურისა და ქარულის მეორე ნაწილში მუნ უკვე მხ. რ. 2. 3. ნაცვალსახელია და, მაშასადამე, შუმუნ და შიმუნ ნამდვილად ნიშნავს „ვინ შუნ?“.

ვისი? ლუნძური ქისამუნ მართლაც ზემომოყვანილი კითხვითი ნაცვალსახელის ნათ. ბრ. ფორმა-კი არ არის, არამედ შესაძლებელია რომელი?-ს აღმნიშვნელი კინაუ-ს ნათ. ბრ. კინახულ-ის შესატყვის დამახინჯებულ ფორმად მიგვეჩნია, მაგრამ ნამდვილად იგიც უნდა ორი ნაწილისაგან იყოს შედგენილი: პირველი ნაწილია კინა, რომელიც ლუნძურად ნიშნავს საითგან?, ხოლო მეორე ნაწილი აქაც არის მუნ, .ე. ი. შენ, მაშასადამე, ძისამუნ სიტყვა-სიტყვით გადმოქართულდებული იქმნება სანიტგან შინ?

ვისი? ანწუხური ხილ და ქარული ხილაბი-კი რომ განვიხილოთ, ანწუხური Ch'il, უჩვეელია, ლუნძური ვინი-ს ტყლილ-ის შესატყვისობაა და Ch' აქ ლატერალური ბგერის გამოშატველია. ქარული ხილაბი-კი უკვე ორი ნაწილისაგან შესდგება, რომელთაგან პირველი იმავე ტყლილ-ის ტრანსკრიფციაა, ხოლო აბი მითითებითს ნაცვალსახელს შაბ-ს უდრის. ამნაირად ხილაბი ნამდვილად ნიშნავს „ვინია ეს?“.

ამნაირადვე ვის? ლუნძური და ქარული ხიბი ვგონებ უნდა შიც. ბრ.-ის თანამედროვე ფორმის ეტყლარე და მითითებითის შებ ნაცვალსახელის შერწყმულს ფორმას წარმოადგენდეს და, მაშასადამე, უდრის ქართულს „ვის ეკ?“ ანწუხური ხილ-კი უნდა შეკდომით იყოს შიც. ბრ. ფორმად მიჩნეული, ნათ. ბრ.-ის შავიურ.

ვინ? შემასწენლობითი ბრუნვის (Wen) ანწუხურ შესატყვისობად აღბეჭდილი ჰაუჰილ (Hiauh'il) საფიქრებელია ჰაუ-სა, ჩვენებითი ეს ნაცვალსახელისა, და ვინ ნაცვალსახელის ნათ. ბრ. ატყლარე-ის შერწყმული ფორმა უნდა იყოს, ამიტომ არსებით ნიშნავს „ეს ვინ?“ ხოლო იმავე შემასმ. ბრ.-ის ქარულ ფორმად დასახელებული ძველი ხისისტ, ვგონებ, კითხვითი ნაცვალსახელის მოკმ. ბრ. ტყლილ-სი და დოვა, დოვა, დობა, დორა-ს, რომელიც ქართ. აქა-ს უდრის, ბოლომოკვეცილი შერწყმული ფორმა უნდა იყოს და, მაშასადამე, თითქოს ტყლარეცად-ის ანარეკლსა და „ვისით აქა?“-ს აღმნიშვნელს უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ გაუგებარია, თუ ბოლოკიდური ტ-ს, თუ თ-ს წინ მდგომს ხს-ს ამ ფორმაში რა ფუნქცია უნდა ჰქონოდა.

რა? კითხვითი ნაცვალსახელი ორი სახით არის მე-XVIII ს. აღბეჭდილი: ანწუხურად შიბ, ხოლო ლუნძურად და ქარულად-კი შიბლუ. მაგრამ თანამედროვე ლუნძურს შიბლუ-კი არა აქვს, არამედ მხოლოდ შიბ. შიბლუ-კი უნდა შიბ და ლუ-საგან იყოს შემდგარი. ლუ თითქოს კითხვითი ბოლოსართი ჩანს, თუმცა თანამედროვე ლუნძურს ასეთ ბოლოსართად ლი, ანდა აღი აქვს (ლუნ. ე., გვ. 31).

აქ, აქეთ მე-XVIII ს. ჩანაწერით ლუნძურად და ქარულად ანი ყოფილა, რომელიც თანამედროვე ლუნძურში არსებული ჰანიუ, ჰანიჟ, ჰანიბ და ჰანირ-ის (იხ. ლუნძ. ე., გვ. 238) მეორე სქეს-კატეგორიის ფორმა ჩანს. ვერ მიმიგნია რა ანწუხური აქ, აქეთ-ის ს'ლაბ-ის აგებულებისათვის: ეგების ამ სიტყვის მეორე

ნაწილი ლ'აბ უდრის ტხლობ-ს, ე. ი. ჩვენებითი ნაცვალსახელის ვ. სქეს-კატეგორიის ფორმაა და ეს-სა ნიშნავს? მაგრამ ს' რაღა უნდა იყოს?

იქით ანწუხური დაბა და ქარული დაბაი თანამედროვე ლუნძურშიც დაცული დოვან, დოვან დოვან და დორან-ს ვ. სქეს-კატეგორიის ფორმა ჩანს. ხილო ლუნძური დუვებუნ, უეკველია, აქეთ, აქეთკენ-ის გამომხატველია და თანამედროვე ლუნძურის დოვანაუნ, დოვანაუნ, დობებუნ და დორტანაუნ-ის 1. სქეს-კატეგორიის ფორმაა.

ლუნძური, ანწუხური და ქარული ნაცვალსახელების ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ ნაცვალსახელების მარტივ ფორმებად ხშირად ნამდვილათ რთული და შერწყმული ფორმები ყოფილა მიჩნეული. ეს გარემოება მკვლევარს უნდა ყოველთვის გათვალისწინებული ჰქონდეს.

თავი მეორე

ანდიური და მონათესავე ტინდალური, ბოთლიხური, ლოდობერული, კარატული, ახვახური, ბაგულალური და ჭამალალური ნაცვალსახელები

ანდიური ნაცვალსახელების შესასწავლადაც მე-XVIII ს. ჩანაწერიც და თანამედროვე ცნობებიც მოგვეპოვება. მაგრამ ძველი ცნობა ნაკლებოვანია! პირთა სახელების ნათ. ბრ. არცერთი ფორმა ჩაწერილა არ არის. ამაზე უფრო უარესია, რომ მრ. რ. 2. და 3. პირის ნაცვალსახელები სრულებით გამოტოვებულია. რასაკვირველია, ეს ორი ნაკლი ანვლებს საქმეს, მაგრამ ისიც, რაც ძველს ჩანაწერშია აღბეჭდილი, მაინც არა ერთი საყურადღებო გარემოების გამორკვევის საშუალებას გვაძლევს.

იმ მკვიდრო ნათესაობის გამო, რომელიც ანდიურთან ტინდალურს, ბოთლიხურს, ლოდობერულს, კარატულს, ახვახურს, ბაგულალურსა და ჭამალალურს ნაცვალსახელებს ემჩნევა, სჯობია, რომ მათი თვისებების ზოგადი დახასიათება ანდიური ნაცვალსახელების ანალიზს მივყავართ: მაშინ ყველაფერი იმდენად ცხადი იქნება, რომ საქმის უზიანოდ სიტყვა მოკლედ მოჭრაც შესაძლებელი გაბდება.

§ 1. ძველი და ახალი ანდიური ნაცვალსახელები

A. ძველი (მე-XVIII ს.) ანდიური ნაცვალსახელები

Ich მე—დენ Den

Wir ჩვენ—იშიბ Ischib

Du შენ—შენ Men

Er ის—ჰეგებ Hegeh

Wer ვინ Inego ინეგო

Was რა Iwgo იტგო

Hieher აქეთ Hotlu ჰოტლუ

Dorthin იქით Hinidil ბინიდილ

(I. A. G ü l d e n s t ä d t, Reisen II, 520).

მ. თანამედროვე ანდიური ნაცვალსახელები

1. შე დას (მამრ. სქ.), დინ (მხოლოდ მდედრ. სქ.), მაგრამ ლალათლის კილოცავს მხოლოდ ერთი დენ ფორმა აქვს.

2. შენ მინ, მენ (მარტო მდედ. სქ.).—ლალათლურში საერთო ფორმა მენ იხმარება.

3. ის ჰეუ (მამრ.), ჰეა (მდედ.), ჰებ (პირუტყ.), ჰერ (4 სქეს-კ.)

ჰედეუ,	— ა,		— რ
ჰეგეუ,	ჰეგეა,	ჰეგებ,	ჰეგერ
ჰენეუ,	— ა,	— ბ,	— რ
ჰიდიუ,	— ა,	— ბ,	— რ
ჰიგიუ,	— ა,	— ბ,	— რ.

(ანდ. ე. 32-33).

მრ. რ.

1. ჩვენ იტხლთილ (შე და შენ, ან თქვენ) და იშითლ (შე და ის, ანდა ისინი).

2. თქვენ ბისხილ

3. ისინი ჰევეულ, ჰეაილ, ჰერულ

ჰედევულ,	ჰედეაილ,	ჰედერულ
ჰეგევულ,	ჰეგეაილ,	ჰეგერულ
ჰენევულ,	ჰენეაილ,	ჰენერულ
ჰიდივულ,	ჰიდიაილ,	ჰიდირულ
ჰიგივულ,	ჰიგიაილ,	ჰიგირულ

(ანდ. ე. 33).

დამახასიათებელია, რომ მრ. რ. 3. ბ. მამრ. სქესის ფორმას ბშირად არ გამოიხატება და მის მაგიერ მდედრ. სქ. ფორმაა გავრცელებული (იქვე გვ. 33, შენ. 2).

- ანდიური პირთა ნაცვალსახელების თანამედროვე კანკალიზაცია -

მრ. რ.		მრ. რ.	
1. ბ.	2. ბ.	1. ბ.	2. ბ.
სახ. ბრ. დინ (დენ)	მინ (შენ)	იტხლთილ	იშითლ
ნათ. ბრ. დიჟ ¹ , დია	დუჟ, დუა	იტხლთიჟ, -ა	იშითუ, -ა.
	— ბ — რ,	— ბ, — რ	ბისხიუ, -ა
მოც. ბრ. დივო	დივრ	იტხლთივო,	იშითვო,
მოქ. დინ (დენ)	შენ (მინ)	იტხლთიდი,	იშითდი,
			ბისხიდა

(ანდ. ე. 32).

§ 2. ანდიური ნაცვალსახელების ანალიზი

თანამედროვე ანდიური პირთა ნაცვალსახელების საყურადღებო თვისებას ის წარმოადგენს, რომ მას მხ. რ. 1. და 2. პირისათვის სიბუნებრივი ბრუნვის არსი ფორში აბადია: ერთი მამრ. სქესისათვის, მეორე კი დედ. მდედრო-

¹ ჟ, ა, ა და რ ბგერები აქ ყველგან სქ-კატ. ნიშნებია.

ზითისათვის. ეს გარემოება ისე გასაკვირველი არ იქმნებოდა, რომ სქეს-კატეგორიებისა და მისხედვით განსხვავებული ფორმები ნათესაობითი ბრუნვისათვის ჰქონდა, რითგან ამ ბრუნვის ფორმებს იმავე დროს კუთვნილებითი ნაცვალსახელების დანიშნულებაც აქვთ ხოლმე და მათ, ზედსართავ სახელებივით, ასეთი სქეს-კატეგორიებისა და გვარად განსხვავებული ფორმები შეჰშვენის კიდევაც. ლეგურ ენათა შორის პირთა ნაცვალსახელების რათ. ბრუნვის ასეთვე თვისების მქონებული ფორმები, ანდიურს გარდა, სხვებსაც მოეპოვებათ. თუმცა ვ. ვ. ნაცვალსახელს ის-ს ანდიურად 4 სქეს-კატეგორიის ფორმაც-კი მოეპოვება, — ჰეჟ, ჰეჟა, ჰეჟბ და ჰერ. — მაგრამ ვ. ვ. ნაცვალსახელი ხშირად ჩვენებითი ნაცვალსახელია ხოლმე, რომელსაც ასეთივე თვისება სხვა ენებშიც აქვს. განსაკუთრებული ყურადღების ღირსი სწორედ ის გარემოებაა, რომ მამრ. და მდედრ. ბქესისათვის ცალკე ფორმა ანდიურს 1. და 2. პირისა და სწორედ სახელობითი და მიცემითი ბრუნვისათვისაც-კი ახადია. საყურადღებო გარემოებაა, რომ ანდიურს მე-XVIII ს. ჩანაწერში შა. რ. 1. ვ. დენ, 2. ვ. მინ ნაცვალსახელებად აღბეჭდილი მდედრობითი ბქესის ფორმებია. თანამედროვე ანდიურს მამრ. ბქესისათვისაც აქვს დინ და მინ, მაგრამ ეხლაც ღალატულში, რომელშიც ნაცვალსახელების სქეს-კატეგორიებისა და მისხედვით განსხვავებული ფორმები არ არსებობს, სწორედ ეს ფორმებივეა ზოგად ნაცვალსახელებად ქცეული.

ვ. ვ. ნაცვალსახელი ჰემბ-კი, ცხადია, ჩვენებითი ნაცვალსახელი ჰეგჟ, ჰეგჟა, ჰეგჟბ და ჰეგერ-ის შესამე სქეს-კატეგორიის ფორმაა. აქ, მაშასადამე, ზოგადი მნიშვნელობა უკვე ამ შესამე სქეს-კატეგორიას მიჰკუთვნება.

ამგვარადვე საჭულისხშია, რომ ანდიური ენოვანი მახლის, გვლდენ-შტედტისათვის მიმწოდებელს შრ. რ. 1. ვ. ორ ფორმათაგან ზოგად ფორმად ექსკლუზივი, მე ღბ ის, ანდა მე ღბ ისინი-ს აღმნიშვნელი. ფორმა დაუსახელებია. ამასთანავე ფრიად საყურადღებოა, რომ ამ ფამად გავრცელებული იშაილის მაგერ მე-XVIII ს. ჩანაწერში აღბეჭდილია იშინ, რომელსაც ბოლოში შესამე სქეს-კატეგორიის ბ ნიშანი აქვს. თანამედროვე ანდიურში უ და ჯ. ბ და რ სქეს-კატეგორიის ნიშნები ნათ. და მიცემითს ბრუნვებს აქვს. მაგრამ, როგორც ჩანს, მე-XVIII ს. სქეს-კატეგორიის ნიშნები სახელობითს ბრუნვის ფორმებსაც ჰქონია, შესამისაც-კი და ეს შესამე სქეს-კატეგორიის ფორმა, ამ ფამად ნათ. ბრ. და კუთვნილებითი ნაცვალსახელის ფორმ დ მიჩნეული, ზოგადი მნიშვნელობის მქონებელად ყოფილა აღქმული.

1. და 2. ვ. ანდიურს ნაცვალსახელებს (დინ, დენ, მინ, მინ) ბოლოში ნ აქვს, რომელიც, რასაკვირველია, ძირეული არ არის. ამიტომ ამ ბოლოკიდური ნ-ს თაყდაპირველი ბუნება და დანიშნულება ცალკეა გამოსარკვევი.

პირთა ანდიური ნაცვალსახელების კანკლედობის გადათვალთვრება ყველას დაარწმუნებს, რომ 1. და ვ. ვ. მხ. რ. და 1, 2 და ვ. ვ. შრ. რ. ნაცვალსახელების ძირი ყველა ბრუნვებში ერთი-და-იგივეა. სამაგიეროდ ამ მხრავ გამოწოდის 2. ვ. შა. რიცხვი წარმოადგენს: თუ შენ (სახ. ბრ.) არის მინ და მენ, და ასევე მოქმედებითი ბრუნვა, ნათ. ბრუნვა უკვე დუჟ, დუჟა, — პირველ მიც. შრ. დუჟო. მეორე მიც. ბრ. დუჟა, — ღალატულთიანი ბრუნვა დუჟა, ზალატულთიანი ბრუნვა დუჟა, ხალატულთიანი ბრუნვა დუჟა და კუთვნი-

დებულიანი ბრუნვა ღუჭუ-ა, ამნაირად, 2. პ. მხ. რ. მარტო ორ ბრუნვას აქვს შინ-ის მ ძირი, შერდს დანარჩენს-კი ლ ძირი მოეპოვება, ე. ი. სწორედ ის ბგერა, რომელიც თავითგან ბოლომდის 1. პ. მხ. რ. მნაცვალსახელის ყველა ბრუნვების ძირს წარმოადგენს.

პირთა ნიცვალსახელების მრ. რ. 1. და 2. პ. ფორმების აღნაგობის გამორკვევისას, უპირველესად მათი ბოლოკიდური მარცვლის რაობას უნდა შევეხოთ. სამივეს, 1. პ. იტხლთლ და იშითლ-ს და 2. პ. ბისხილ-ს, ბოლოს ილ მარცვალი აქვს. რაკი სამივე მრ. რ. ფორმაა და ანდიურს მრ. რ. ნიშნად ლ თანხმოვანი, ანდა წინმდგომი ხმოვნებიათურთ ილ, ოლ, ულ აქვს (იხ. ანდ. ე. გვ. 20), ამიტომ საფიქრებელია, რომ ამ შემთხვევაშიც ზემომოყვანილი ნაცვალსახელების ბოლოკიდური ილ მარცვალიც მრავლობითობის ფორმანტი უნდა იყოს. მაგრამ, რაკი 1. და 2. პ. მხ. რ. და მრ. რ. ნაცვალსახელების ბგერითი შედგენილობა უამ-ილ-ოდაც სრულენით განსხვავდება ერთმანერთისაგან, ამიტომ მრ. რ. ნიშანი არც იყო საჭირო.

ამ ილ ბოლოსართის ჩაიშორების შემდგომ, 1. პ. ფუძედ იტხლ და იში (ექსკლ.) დაგვრჩება. 2. პირსა-კი ბისხ. მაგრამ, საკმარისია გავიხსენოთ, რომ ღუნძურად 1. პ. მრ. რ. ნაცვალსახელი არის ნიტხლ და ნიუ (ექსკლ.) და ამ ფორმებს ზემომოყვანილი ანდიური ფორმები შევადართო, რომ მათი მსგავსება უმკვეთო გახდეს. ანდიურ ნაცვალსახელებს მხოლოდ ნ არა აქვს თავში და ექსკლუსივის ფორმაც უ-ს მაგიერ შა მოეპოვება. ამის შემდგომ ცხადი გახდება, რომ ეს ანდიური ნაცვალსახელები ღუნძურთან ერთად უნდა მკონდეს მკვლევარს განნიღული.

2. პ. მრ. რ. ანდიური ნაცვალსახელი, მრ. რ. ილ ფორმანტ-ჩამოკლილი, ბისხ. აირიქით სრულდებით განხვავდება ამავე პირის ღუნძურ-ანწუხურ-პარუდი ნაცვალსახელის მუშ (მე-XVIII ს.) და ნუშ (თანამედროვე)-ისაგან, ხამაგიეროდ, როგორც შემდეგშიც დაგრწმუნდებით 2. პ. მრ. რ. ღუმუჭურს ნაცვალსახელს შიავავს, მეტიდრე გვლდენ შტედტის მე-XVIII ს. ჩანაწერში აღბეჭდილს ბსუ-ს და ნაწილობრივ თანამედროვე ზუ-საც, რამდენადაც ანდიურის მეორე თანხმოვანი ხ-ს მონათესავე ზ ბგერაჲა დატული.

უკუქცევითი ნაცვალსახელის თითონ-ის გამოსახატავად 1. და 2. პირისათვის პირთა ნაცვალსახელის სათანადო ბრუნვის ფორმას გუ ბოლოსართი ემატება, მაგ. „მე“ თუ არის ღინ, „ჩემ თავს“ იქმნება ღიჭუ-უ, — „შენ შინ, „შენ თავს“ — ღუჭუ-უ, 3. პირის ასეთსავე ნაცვალსახელს ენ ძირი აქვს და გუ ბოლოსართი, ე. ი. ენშუ-უ, ენშუ-ა, ენშუ-ბ და ენშუ-რ, რომლის მრ. რიცხვიან-ენშუვულგუ, ენშუაილგუ, ენშურილგუ (ანდ. ე. 41).

თვით ანდიურად არის უიუ, უია, უიბ, უირ, რომელთაც აგრეთვე თითქმის ყოველთვის გუ ბოლოსართიც ახლავთ, მაგ. უიუგუ. მათი დანარჩენი ბრუნვებიც ენ ძირისაგან არის ნაწარმოები, მაგ. მიც. ენშუაგუ, მოქ. ენშუიგუ ენშუჭუგუ და სხ. მრ. რ. ფორმებია უივლგუ, უიალგუ, (ეიბოლგუ), უარლგუ (ანდ. ე. 41).

გუ ბოლოსართის რაობა-სადაურობა ად. დირრს გამორკვეული არა აქვს. აღნიშნული აქვს მხოლოდ, რომ ეს ნაწილაკი ბოლოსართად ნაცვალსახე-

ლებსა, რიცხვით სახელებში და ზმნის-ზედაშიც ხშირად გვხვდება, მაგ. პეერი
 დოშოლ-ადაც ითქმის და დოშოლგუ-დაც, დიდრ ხანია—მუნკლალგუ-ა (ანდ.
 ე. 77). თუ სახელდობრ რა ელფერს ანიჭებს ეს გუ ბოლოსართი, ამაზე
 დიორი არაფერს ამბობს.

§ 3. ტინდალური ნაცვალსახელები

პირთა ნაცვალსახელები

მხ. რ.

1. მე — დე
2. შენ—შე
3. ის — (ო)დოუ, (ო)დოჟ, (ო)დობ

მრ. რ.

1. ჩვენ — იშაჰ, იტხლაჰ
2. თქვენ—ბისსა
3. ისინი—ოდაბი (1 და 2), ოდარ (3)
 (ანდ.—დიდ. მას. 58).

ტინდალური კუთვნილებითი ნაცვალსახელები

1. ჩემი—დოუ, დოჟ, დობ, — მრ. რ. დობ (1 და 2), დირ (?)
2. შენი—დუ(უ), დუჟ, დებ, — მრ. რ. დუბ (1 და 2), დურ (3)
3. მისი—(1 სქ.)—ოდოშოუუ, ოდოშოუჟ, ოდოშოუბ, — მრ. რ. ოდოშოუბ
 (1 და 2), ოდოშოურ.

მრ. რ.

1. ჩვენი — იშოიუ, იშოიჟ, იშოიბ, — მრ. რ. იშოიბ (1 და 2) იშოირ (3)
2. თქვენი—ბისსიუ, ბისსიჟ, ბისსიბ, — მრ. რ. ბისსიბ (1 და 2), ბისსირ (3)
3. იმათი — ოდადუუ, ოდადუჟ, ოდადუბ, — მრ. რ. ოდადუბ (1 და 2),
 ოდადურ (3).

(ანდ.—დიდ. მას. 58).

§ 4. ბოთლიხური, ანუ ბუაბატხლური ნაცვალსახელები

პირთა ნაცვალსახელები

მხ. რ.

1. მე — დინ (მამრ. სქ.), დენ (მდედრ.)
2. შენ — მინ
3. ის — გოუ (მამრ.), გოჟ (მდედრ.), გობ (საშ.).
 დოუ (მამრ.), დოჟ (მდედრ.), დობ (საშ.).

მრ. რ.

1. ჩვენ იშოი.
2. თქვენ ბიშტჰ.
3. ისინი დოლა
 (ანდ.—დიდ. მას. 3).

33. იგ ჯავახიშვილი

კუთვნილებითი ნაცვალსახელები

ჩემი—დიუ (მამრ.), დია (მდედ.), დიბ (საშ.)
 შენი—დუუ, დოა, დობ,— დულ (მრ. რ.)
 მისი—დოშუუ, დოშუა, დოშუბ,—დობულ (მრ. რ.)
 დოტბლთიტი (მდედ.)
 ჩვენი—იშაუ, იშაია, იშიბ,— მრ. რ. იშილ
 თქვენი—ბიშტიუ, ბიშტია, ბიშტიბ,—მრ. რ. ბიშტილ
 იმათი—დოლუუ, დოლუა, დოლუბ,—მრ. რ. დოლულ
 (ანდ.—დიდ. მას. 4).

ჩვენებითი ნაცვალსახელები

ეს—ჰაუ (მამრ.), ჰაა (მდედ.), ჰაბ (საშ.)
 ესენი—ჰალ.
 ის—ჰუ, ჰუა, ჰუბ,— დოუ, დოა, დობ,— გოუ, გოა, გობ.
 ისინი—ჰალ,— დოლ(ი),— გოლ.
 (ანდ.—დიდ. მას. 3).

კითხვითი ნაცვალსახელები

ვინ—ეუ, ენტბლთილა,—
 მრ. რ. ევოტბლთილა
 რა—ებბულა, ებლა.
 (ანდ.—დიდ. მას. 4).

§ 5. კარატული ნაცვალსახელები

პირთა ნაცვალსახელები

მხ. რ.	მრ. რ.
1. მე—დენ	ჩვენ—იში
2. შენ—შენ	თქვენ—ბიშტი
3. ის—ჰუდუუ, ჰუდუა, ჰუდუბ.	ისინი—ჰადიბეა (1 და 2 სქ.)
ისინი—ჰუდუბეი (1 და 2 სქ.), ჰუდურეა (3 სქ.)	ჰადირეა (3 სქ.)
ეს—ჰადიუ, ჰადია, ჰადიბ.	

(ანდ.—დიდ. მას. 24).

კარატული კუთვნილებითი ნაცვალსახელები

ჩემი—დიუ, დია, დიბ,— მრ. რ. დიბეა (1 და 2 სქ.), დირეა (3 სქ.)
 შენი—დუუ, დუა, დუბ,— მრ. რ. დუბეა (1 და 2 სქ.), (დურეა (3)
 მისი—ჰუდუშუ, ჰუდუშუა, ჰუდუშუბ,— მრ. რ. ჰუდუშუბეა (1 და 2 სქ.)
 ჰუდუშურეა (3).
 თვისი—ინშუდა (1 სქ.), ინშუადა (2), ინშუბდა (3).
 მისი — (მდედ. სქ.)—ჰუდიტბლთიტი,—მრ. რ. ჰუდიტბლთიტიტიტი.
 ჩვენი—იშიუ, იშია, იშიბ,—მრ. რ. იშიბეა (1 და 2), იშირეა
 თქვენი—ბიშტიუ, ბიშტია, ბიშტიბ, მრ. რ. ბიშტიბეა (1 და 2), ბიშ-
 ტირეა (3).

მათი—ჭუღუღოუ, ჭუღუღოა, ჭუღუღობ, —მრ. რ. ჭუღიდობეა (1 და 2),
ჭუღიდორეა (3).

კითხვითი ნაცვალსახელი: რა? ჭედულ.

(ანდ.-დიდ. მას. 25).

§ 6. ზაგულალური, ანუ ყუანადური ნაცვალსახელები პირთა ნაცვალსახელები

მხ. რ.

1. მე —ღე (მოქმ. ბრ. ღენ, 2 მიც. ბრ. ღიბა).

2. შენ—შე (მოქმ. შენ, 1 მიც. ღუჭა, 2 მიც. ღუბა).

3. ის —უ, უჭუ (მოქმ. ბრ. იშოურ, უჭუშოურ).

ოა, უჭუა (მოქმ. იტხლოირ, უჭუტხლოირ)

მრ. რ.

1. ჩვენ —იშოი (მოქმ. იშოირ).

2. თქვენ—ბიშტი (მოქმ. ბიშტირ).

3. ისინი—ობა (1 და 2 სქ.), უჭუბა (1 და 2), —ორ, უჭურ (3 სქ.)

(ანდ.-დიდ. მას. 44—45).

ზაგულალური კითხვითებითი ნაცვალსახელები

1. ჩემი —დიუ, დია, დიბ, მრ. რ. ღიბა (1 და 2), დირ (3).

2. შენი—ღუ, ღუა, ღუბ, მრ. რ. ღუბა (1 და 2), ღურ (3).

3. მისი— (1 სქ.)—ჭუღუჭუ (1), ჭუღუჭუა (2), ჭუღუჭუბ (3), მრ. რ. ჭუღუჭუბან (1 და 2), ჭუღუჭურა (3).

მრ. რ.

1. ჩვენი — იშოიუ, იშოია, აშოიბ. მრ. რ.: იშოიბა (1 და 2), იშოირა (3).

2. თქვენი—ბიშტიუ, ბიშტია, ბიშტიბ. მრ. რ.: ბიშტიაბა (1 და 2), ბიშტირა (3).

3. იმათი—უჭურუ, უჭურუა, უჭურუბ. მრ. რ. უჭურუბა (1 და 2), უჭურრა (3)

(ანდ.-დიდ. მას. 45).

§ 7. დოდობეჭული ნაცვალსახელები

პირთა ნაცვალსახელები

მხ. რ.

1. მე —ღენ (1 სქ.), ღინ (2 სქ.)

2. შენ—შენ (1 სქ.), შინ (2 სქ.)

3. ის —ჭუღოუ (1 სქ.), ჭუღეა (2 სქ.),

ჭუღაბ (3 სქ.)

მრ. რ.

ჩვენ —იშჩი *

თქვენ— ბიტტე

ისინი—ჭულაბე (1 და 2 სქ.),

ჭულარე (3 სქ.)

კუთვნილებითი ნაცვალსახელები

მხ. რ.

1. ჩეზი—დიუ, დიჲ, დიბ.
2. შენი—დუუ, დუჲ, დუბ.
3. მისი—ჭუდოშუ, ჭუდოშუჲ, ჭუდოშუბ
ჭუდოტხლიტხლი (მდედ. სქ.)

მრ. რ.

1. დიუ (1 სქ.), დიჲ (2 სქ.)
2. დუუ (1), დუჲ (2), დურ (3)
1. ჩვენი — იშიუ, იშიჲ, იშიბ.— მრ. რ. იშიუ, იშიჲ, იშირ.
2. თქვენი— ბიტტიუ, ბიტტიჲ, ბიტტიბ,— მრ. რ. ბატტიუ,— ჲ,— რ.
3. მათი — ჭუნდორდუუ, ჭუნდორდუჲ, ჭუნდორდუბ.

ჩვენიებითი ნაცვალსახელები

1. ეს—ჭაუ, ჭაჲ, ჭაბ,— მრ. რ. ჭაუ, ჭაჲ, ჭარ.
 2. ის—ჭუდოუ, ჭუდეჲ, ჭუდობ,— მრ. რ. ჭუდოუ, ჭუდეჲ, ჭუდერ.
- კითხვითი: რა—ებუ, ებოდა
(ანდ.-ლიდ. მას. 14-15).

§ 8. ახვასური ნაცვალსახელები

პირთა ნაცვალსახელები

მხ. რ.

1. მე — დენე
2. შენ—მენე
3. ის — ჭუდუვე, ჭუდუჲე, ჭუდუბე.

მრ. რ.

- ჩვენ — ისსი
თქვენ—უშტა
ისინი—ჭუდუჲი

კუთვნილებითი ნაცვალსახელები

- ჩეზი — დი, შენი—დუ, მისი—ჭუდუსსუ (მამრ. სქ.),
ჭუდუტხლიტხლი (მდედრ. სქ.), თვისი—ინსსუდა
ჩვენი—ესსე, თქვენი—უშტე
(ანდ.-ლიდ. მას. 35).

ახვასური ჩვენიებითი ნაცვალსახელები

- ეს—ჭა, ჭუდუ (იგივე ფორმებია მრ. რიცხვისათვისაც).
კითხვითი: რა? ჩუჲ.
(ანდ.-ლიდ. მას. 35-36).

§ 9. ჭამალაური ანუ ჰიჰატლური ნაცვალსახელები

პირთა ნაცვალსახელები

1. მე — დიჲ (მოკმ. ბრ. დე).
2. შენ—მი (მოკმ. ბრ. შინნი, მიც. დუვო, დუჲო, დუბო).
3. ის — უდოსსეუ.

მრ. რ.

1. ჩვენ — ისხი
 2. თქვენ — ბითი
 3. ისინი — ომა
- (ანდ.-დიდ. მას. 53).

ჯამალალური ანუ ჰიჰატლური კუთხნილებითი ნაცვალსახელები

მხ. რ.

1. ჩემი — დჟუფ, დიჟ, ღიბ
2. შენი — დუუ, დუჟ, დუბ
3. მისი — ოსხუ, ოსუჟ, ოსხუბ

მრ. რ.

1. ჩვენი — ისხიუ, ისხიჟ, ისხიბ
 2. თქვენი — ბითიუ, ბითიჟ, ბითიბ
 3. იმათი — ოდუ (უ), ოდუჟ, ოდუბ
- (ანდ.-დიდ. მას. 54).

ჯამალალური ანუ ჰიჰატ. ჩვენებითი ნაცვალსახელები

- ეს — აუ, აჟ, აბ, — მრ. რ. აბი (1 და 2), აჟ (3).
 ის — ოუ, ოჟ, ობ, — მრ. რ. ობი (1 და 2), ოჟ (3).

კითხვითი ნაცვალსახელები

- ვინ? იჭჟალე, მრ. რ. ეჭჟალე, — იმდუ, ებიდუ.
 რა? ეკალე (იხ. გვ. 55¹¹), ედუ.
 (ანდ.-დიდ. მას. 54).

§ 10. ტინდალური, ბოთლიხური, კარატული, ბაგულალური, ლოდობერული, ახვახური და ჭამალალური ნაცვალსახელების შედარებითი დახასიათება.

თუმცა ამ §-ის სათაურში ჩამოთვლილი ენოვანი ერთეულების ნაცვალსახელები ანდიურისაგან მხოლოდ მცირეოდნად განსხვავდება, სხვაობაც უმთავრესად ბგერის შენაცვლებას წარმოადგენს, რომელიც ენათმეცნიერებაში ჩახედული მკითხველისათვის აღვილი გასაგებია, ამასთანავე თვით მათი ნაცვალსახელების აღნაგობაზეც იგივე ითქმის, რაც ანდიურისაზე გვქონდა უკვე ნათქვამი, ამიტომაც შესაძლებელი იყო ამ ნაცვალსახელების მარტო ფორმების მოყვანილად დაგკმაყოფილებულიყავით, მაგრამ მაინც მათი ზოგადი შედარებითი დახასიათება სჯობია.

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ, ანდიურის მსგავსად, ბოთლიხურს, კარატულს და ლოდობერულს მხ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელების ბოლოში ნ აქვს, ახვახურს-კი, ქართული მენა და შენა-ს მსგავსად, ნე მარცვალს-კი

შოეპოვება. ამ ბგერის რაობაზე იმდენჯერ ვეჭონდა აქამდე უკვე საუბარი, რომ აქ უკვე აღარაფერია სათქმელი. სამ დიალექტს, ტინდალურს, ბავულალურსა და ჭამალალურს ეს ბოლოკიდური ნ ჩამოსცილებია და მისი ოდინდელი არსებობის კვალი ჭამალალურის მხ. რ. 1. პ. ნაცვ. დიფ-ის ნაბალიზაციით (ე-თ)-და შეცვლენდება.

შემდეგ აღსანიშნავია, რომ, ანდიურის მსგავსადვე, ბოთლიხურსა და ლოდო-ხერულს მხ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელების წყვილ-წყვილი ფორმა აქვთ: ერთი მათგანი ი-ნიანი (დინ, მინ), მეორე ე-ნიანი (დენ, მენ), ერთი მამრ. სქეს-კატეგორიისათვის არის განუყოფელი, მეორე კიდეც მდებარ. სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელია. ამ გარეშობას ჩვენთვის ამ მხრით აქვს მნიშვნელობა, რაჟმ აქ მხ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელების სქებისდა მიხედვით განსხვავებული ფორმების არსებობაა აღბეჭდილი. მაგრამ ეს მოვლენა რომ ამ ენების ნაცვალსახელების თავდაპირველს სახეს-კი არა, არამედ წინანდელ წარმოების წესის სამაგიეროდ გაჩენილს მხოლოდ შერმინდელსა და თანაც არსებითად შეცვლილს წარმოებას უნდა შეადგენდეს, ამას ერთი მხრივ ისიც ცხადჰყოფს, რომ სქეს-კატეგორიის განსხვავების გამომხატველად ი და ე ხმოვნები გამოდის, რაც სქეს-კატეგორიების აღნიშვნის ჩვეულებრივს წესს სრულებით არ უდგება. მეორე მხრით-კი ის აღრეულობაც ამჟღავნებს, რომელიც აქ სუფევს: ანდიურსა და ბოთლიხურში თუ დინ 1. პ. მამრ. სქესის აღმნიშვნელია, ხოლო დენ ამავე პირის მდებარ. სქესისაა, ლოდოხერულში წინაუქმია და დენ 1. სქ., დინ-კი 2. სქესისაა. ასევეა ამ ენებში 2. პ. მხ. რ. ნაცვალსახელების სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელობაც არეული. ცხადია, რომ აქ შერმინდელი საკომპენსაციო, თანაც აღრევით გართულებული მოვლენაა.

ანდიურის მსგავსად, ყველა დანარჩენ ენებსაც მხ. და მრ. პ. პ. ნაცვალსახელად ჩვენებითი ნაცვალსახელების ფორმები აქვთ გამოყენებული. ამიტომ მათი ერთად განხილვა უფრო მიზანშეწონილი იქმნება.

ჩვენებითი ნაცვალსახელები ამ ენებს მარტივი და რთული აგებულებისა შოეპოვებათ. მაგ. ის ანდაურა: ჰეუ (1. სქ.), ჰეა (2. სქ.), ჰებ (3. სქ.) და ჰერ (4. სქ.),-ცანალურა ჰუ, ჰუა და ჰუბ,-ჭამალალურა იუ, ია და იბ.- ეს დიფორმა:—ჰაუ, ჰაა და ჰაბ, ჭამალალურა ჰუ, აა და აბ.

ცხადია, რომ ყველა ეს ჩვენებითი ნაცვალსახელები სხვადასხვანაირად ახმოვნებულს მ მითითებითს ნაცვალსახელს (ჰა, ჰე, ჰუ) წარმოადგენენ სათანადო სქეს-კატეგორიის ბოლოსართებითურთ (უ, ა, ბ, რ). ხოლო ამ ენათგან ჭამალალურს თავკიდური მ ბგერა გაჰქრობია და მხოლოდ სქეს-კატეგორიის ნიშნები-ლა შეჰჩინია.

მაგრამ ბოთლიხურს ის ჩვენებითი ნაცვალსახელის გამოსახატავად კიდევ ორი სიტყვა მოეპოვება: დოუ (1. სქ.), დოა (2. სქ.) და დობ (3. სქ.) ისევე, როგორც გოუ (1. სქ.), გოა (2. სქ.) და გობ (3. სქ.). რასაკვირველია, აქაც დო და გო მარცვლები არსებითად ახმოვნებული დ და გ ძირებია, სათანადო სქეს-კატეგორიების ბოლოსართებითურთ.

დანარჩენი ყველა პ. პ. და ჩვენებითი ნაცვალსახელები ამ ახმოვნებული მ მითითებითი ნაცვალსახელისა, დ და გ ძირების შერწყმულსა და სათანადო სქეს-

კატეგორიანს ფორმებს წარმოადგენენ. სწორედ ამ თვისებისაა ანაჟრა ჰედუ, ა-ბ, -რ და ჰეგუჟ, -ა, -ბ, -რ, -გარაცული ეს-ჰადიუ, -ა, ბ და ის-ჰუდუუ, -ა, -ბ, -ლილიპარული ის-ჰუდოუ, ჰუდეა, ჰუდაბ და ჰუდობ, -ასახარა ის-ჰუდუვე, -აე, ბე.

რა თქმა უნდა, ასეთივეა ცინდალურია ის (ო)დოუ, (ო)დოა და (ო)დობ და ჭაშალაურია ის უდოსხეუ-ც, ოლონდ ჰ-ა გამქრალი, ტინდალურში-კი მომდევნო ო-ც გაქრობაზეა მიმდგარი. ასეთი პროცესის უკანასკნელ შედეგს უნდა წარმოადგენდეს ბოთლიზური დოუ და გოუ, რომელთაც მითითებითი ნაცვალსახელების სხვაობა ფონეტიკურ საზღვრებს არ სცილდება და ამიტომაც მათზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს.

თავი მესამე

დიდოური, ხვარშული, ინზოკარული და ყაფუჩური ნაცვალსახელები

დიდოური, ხვარშული, ინზოკარული და ყაფუჩური ნაცვალსახელები ისე მიაგვანან ერთმანერთს, რომ მათი ერთად განხილვა უკეთესია. დიდოურის მე-XVIII ს. ჩანაწერი ფორმები, სამწუხაროდ, სრული არ არის: მბ. რ. ვ. პირისა და მრ. რ. სამივე პირის ნათ. ბრუნვის ფორმები გვაკლია. განხილვას აქაც წინ თვით ამ კილოკავების ნაცვალსახელების ფორმები წაუძღვება.

§ 1. დიდოური, ხვარშული, ინზოკარული და ყაფუჩური ნაცვალსახელები

A. ნაცვალსახელავი დიდოურად მე-XVIII ს.

Ich მე—დი Di.

Wir ჩვენ—ელი Eli.

Mein ჩემი—დაე Dae.

Du შენ—მი Mi.

Ihr თქვენ—შეუ Meschi.

Dein შენი—დაბი Dabi.

Er ის—ჯო Dscho

Sie ისინი—შედუი Shedwi.

Wer ვინ Schebiol შებიოლ.

Wessen ვისი Ti'hus ტლაუს.

Was რა Schebiol შებიოლ.

Hieher აქეთ To ტო.

Dorthin იქით Elagor ელაგორ.

(I. A. G ü l d e n s t ä d t, Reisen II, 512).

B. თანამედროვე დიდოური პირთა ნაცვალსახელავი

1. მე—დი(ა), (დეა), ამავე ძირისაა დანარჩენი ბრუნვებიც:

ნათ. ბრ. დეა, მიც. ბრ. დაბ, მოქმ. დი.

2. შენ—მი (ნათ. დები, მიც. დებერ, მოქმ. მი).

3. ის—ყე, ყო (ნათ. ნესის, მიც. ნესერ, მოქ. ნესა).
მრ. რ.
1. ჩვენ—ელი (ამავე ძირისაა დანარჩენიც: ნათ. ელუს, მიც. ელურ, მოქ. ელა).
2. თქვენ—მეფი (ნათ. მეფუს, მიც. მეფურ, მოქმ. მეფა).
3. ისინი—ყედუჲ (ნათ. ყედუს, მიც. ყედურ, მოქმ. ყედა)
(ანდ.-დიდ. მას. 70 და 71).

ხვარულ-ინსოკარული პირთა ნაცვალსახელები

ინს. ხვარ.

1. მე—ლო, და (მოქმ. დე, მიც. დილ).
2. შენ—მო, მა (მოქმ. მე, მიც. ღუბულ).
3. ის—ჲუ, ჲუ (მოქმ. ისე, მიც. ისულ (1. სქ.), იტხლელ (სქ.).

მრ. რ.

1. ჩვენ—ილო, ილა (მოქმ. ილე, მიც. ილულ).
2. თქვენ—მიჲო, მიჲა (მოქმ. მიჲე, მიც. მიჲულ).
3. ისინი—ჲიდუ, ჲიდუ (მოქმ. ჲიდე, ჲიდულ)
(ანდ.-დიდ. მას. 63).

უაფუჩური ანუ ბაჲიტლური პირთა ნაცვალსახელები

1. მე—ლო (ამავე ძირისაა დანარჩენი ბრუნვებიც).
2. შენ—მი, ნათ. ღიბო, მიც. ღულ, მოქმ. მიე.
3. ის—ჲეჲარი, ჲუგი (მამრ. სქ.),—ჲოგო (მდედ. სქ.)

მრ. რ.

1. ჩვენ—ილე.
2. თქვენ—მიჲე.
3. ისინი—გაჲაგოლ
(ანდ.-დიდ. მას. 81).

დ. დიდოური კუთვნილებითი ნაცვალსახელები

მხ. რ.

მრ. რ.

- | | | |
|----------------|--------------|---|
| 1. ჩემი—დეჲ. | ჩვენი—ვლუს | } ყველა სქეს-კატეგორიისა და რიცხვისათვის. |
| 2. შენი—დეჲი. | თქვენი—მეჲუს | |
| 3. მისი—ნესის. | იმათი—ყედუჲ | |

თვისი-ს გამოსახატავად ანუ ბოლოსართი უნდა იხმარებოდეს, ხოლო თვით-ისათვის დატხლად ბოლოსართი, რომელიც პირთა ნაცვალსახელს ემატება.

ხვარულ ინსოკარული კუთვნილებითი ნაცვალსახელები

1. ჩემი—დიო, დიჲო, —ხვარ.: დია (სქეს-კატეგორიისა და რიცხვისდა განურჩევლად).
2. შენი—ღუბო, ხვარ.: დეჲა.

3. მისი—ისხო, ხვარ.: ისხა,—მდედ. სქ. იტხლჲეხ, ხვ.: იტხლჲისხ.
 1. ჩენი—ილო, ხვარ.: ილა.
 2. თქვენი—მიჟო, ხვარ.: მიჟა.
 3. მათი—ჟილო, ხვარ.: ჟილა.
 (ანდ.-დიდ. მას. 63-64).

უაფუჩური კუთხნილავითი ნაცვალსახელები

- | | | |
|----------------------------------|---|--|
| 1. ჩემი—დიჲე | } | ყველა სქეს-კატეგორიისა და რიცხვი-სათვის. |
| 2. შენი—დიბო | | |
| 3. მისი—ჟავცოხ, ჰოგცოხ
მრ. რ. | | |
| 1. ჩენი—ილოხ | } | |
| 2. თქვენი—მიზოხ | | |
| 3. მათი—ჟაჰავალოხ | | |

D. დიდოური ჩვენებითი ნაცვალსახელები

- ეს—ადა (1. სქ.), აოდუ (2. 3 და 4 სქ.),—მრ. რ. აოდუ (1—სქ).
 ის—ჟუ (ჟო) (1 სქ.), ჰოუჟე (ჟო: 2, 3 და 4 სქ.),—მრ. რ. ჰოუჟე (1—4 სქ.).
 დიდოური კითხვითი სახელები: ჟინ? რა?—შეხ(ი)
 (ანდ.-დიდ. მას. 71).

ინოკარულ-ხვარული ჩვენებითი ნაცვალსახელები

- ეს—ინხ.: აჟედუ (1. სქ.), აჟედუ (2. სქ.), აბედუ (3. სქ.), არედუ (4. სქ.)
 ხვარ.: იდუ (საერთო ფორმა ყველა სქეს-კატ.)
 ის—ინხ.: ჰობონუ („ „ „ „ „ „)
 ხვარ.: აჟუჟუ (1 სქ.), აჟუჟუ (2 სქ.), აშჟუ (3 სქ.), არჟუ (4 სქ.)
 მრ. რ.
 ესენი—ინხ.: აბედუ (1 და 2 სქ.), არედუ (3 და 4 სქ.).
 ისინი—ხვარ.: აჟუჟუ (? თუ აშჟუჟუ?: 1 და 2 სქ.) არჟუ (3 და 4)
 (ანდ.-დიდ. მას. 64).

უაფუჩური ჩვენებითი ნაცვალსახელები

- ეს—ჟაჰადი (1 სქ.), ჟაჰადო (2), ჟაჰადი (3), მრ. რ. ჟაჰადოლ.
 ის—ჟაჰვი (1), ჟაჰავო (2), ჟაჰავი (3),—მრ. რ. ჟაჰავოლ.
 კითხვითი: რა, ვინ? ხუდ, —ვინ? ხუკოდ
 (ანდ.-დიდ. მას. 81-82).

§ 2. დიდოურ-ხვარულ-ინოკარულ-უაფუჩური ნაცვალსახელების ანალიზი

ერთი გადაკითხვითა და ვადათვლიერებითაც მკითხველს დარწმუნდება, რომ დიდოურს, ხვარულს, ინოკარულსა და უაფუჩურს ნაცვალსახელებს შორის მხოლოდ ოდნავი ბგერითი განსხვავებაა. ეს სხვაობაც მარტო ხმოვნებს ეტყობა.

სხვაღრიგე-კი არსებობდა ამ ოთხსავე ენოვან ერთეულს ერთნაირი ნაცვალსახე-
ლები აქვს. ამიტომაც, რაც დიდოურზე გვაქვს ნათქვამი, დანარჩენებზეც იგივე
ითქმის.

დიდოურს პირთა ნაცვალსახელებს დროთა განმავლობაში, მე-XVIII ს.
დამლევის შემდგომ დღევანდლამდე, დიდი ცვლილება არ დასტყობია. მე ძვე-
ლად ღი ყოფილა და ასევეა ეხლაც. ჩემი მაშინ—და, ეხლა-კი ღუა-ა. შერ
სრულებით უცვლელად არის დაცული და მი არის. შენი მაშინ-ნაც დაბი ყოფილა
და ეხლაც დები-ა. პ. პ. ის ნაცვალსახელის ძველი ჯო ს მაგიერ თანამედროვე
დიდოურში ეო და ეფ არის. მაგრამ საყურადღებოა, რომ პ. პ. შრ. რ. ისინი
მე-XVIII ს. შაც შედგომ ყოფილა, ე. ი. ისევე, როგორც ეხლაა (შედგუა). ამას
ვარდა ცხადად ჩანს, რომ შრ. რ. ამ ფორმას ძირად იგივე ეფ აქვს, რომელიც
ეხლა მხ. რ-შია, ისე რომ ე ძირიანი ფორმის მე-XVIII ს. შიც არსებობაც ამის
წყალობით სრულებით უცილობელი ხდება.

ის არის ეფ და ეო (მე-XVIII ს. ჩანაწერით ჯო), ხოლო ისინი იქმნება
შედგუა. ამნაირად ისე ვაპოვებს, რომ შრ. რ. ფორმა ამავე ნაცვალსახელის მხ.
რ. ეფ სახელს+დუა-ს შეიცავს. ქართული ის და ისინი-ს მსგავსად, შესაძლე-
ბელია გვეფიქრა, რომ დუა შრ. რ. ფორმანტი, მაგრამ დიდოურს შრ. რ. ნიშ-
ნად აქვს აბი, ანდა უფრო ხშირად მხოლოდ ბი (ანდ.-დიდ. მას., გვ. ნმ).
ანდი-დადოურ ენათა ჯგუფის ზოგს წარმოადგენელს შრ. რ. ნიშნად დი და და
ფორმანტი-კი მოგპოვება. მაგრამ დუა, ან დუ არსადა ჩანს. შოთ უფრო საინ-
ტერესო ხდება და საჭიროა ამ დუა-ს რაობისა და თავდაპირველი მნიშვნელო-
ბის გამოკვლევა.

პ. პ. მხ. და შრ. რ. ნაცვალსახელისათვის მხოლოდ ყაფუჩურს აქვს სრულ-
ებით განსხვავებული ფორმები: ფაჰარი და ჰუგი (შამრ. სქ.), ჰოგო (მდედრ. სქ.)—
ის და ვაჰაგოდ—ისინი. დიდოურისა, ხეაოშული და ინბოკარული პ. პ. ნაცვალ-
სახელისაგან სრულებით განსხვავებული ეს ყაფუჩური ნაცვალსახელები ნამ-
დვილად პ პირის ნაცვალსახელი-კი არა, არამედ ჩვენებითი ნაცვალსახელის,
ოღონდ ოღნავ ფონეტიკურად ვაწახვავებულნი, ფორმებია. მართლაც, პ. პ. მხ.
რ. ნაცვალსახელი თუ ფაჰარი და ჰუგი-ა შამრ. სქ-სთვის. 1. სქ.-ს ფორმა, რომ-
ელიც მხ-ს გამოხატავს, ფაჰადი-ა და ფაჰაგი კიდეც მხ-ს ნიშნავს ცხადია,
რომ პირველი ფორმების სხვაობა დ და რ-ს შენაცვლებას არ სცილდება. მეორე
ფორმებისა-კი არსებითად თავკიდური ფა შარცვლის ჩამოცლით არის გამოწვე-
ული, მაგრამ წინათ რომ პ. პ. მხ. რ. ყაფუჩურს მხ-საც თავში ფა შარცვლი
უნდა პქონოდა და პქონია კიდევაც, ამას პ. პ. ნ შრ. რ. ისინი ს ფორმა ვაჰა-
გოდ ამგვანებს, რომელიც ყაფუჩური ჩვენებითი ნაცვალსახელის შრ. რ. ფორ-
მისაგან არაფრით განსხვავდება, მაგრამ რომელსაც ყაფუჩური პ. პ. მხ. რ. ნაც-
ვალსახელთან შედარებით, შრ. რ. ბოლოსართს ვარდა, თავში სწორედ ვა შარ-
ცვალი უჩანს. ცხადია, რომ იგი მხ. რ. წინანდელ ფორმითგან უნდა იყოს შრ.
რ. ფორმაში შერჩენილი.

დიდოურს, ხეაოშულს, ინბოკარულსა და ყაფუჩურს პირთა ნაცვალსახე-
ლებს მხ. რ. მარტო 1. პირისას აქვს ყველა ბრუნვებში ერთი და იგივე პირი,
შრ. რ. სამივე პირის ნაცვალსახელს-კი ამ მხრით სრული მთლიანობა აქვს
დაცული.

სამაგიეროდ მხ. რ. 2. 3. ნაცვალსახელის სახ. ბრ. თუ მი, მო და მა არის, ნათ. და მიც. ბრუნვები უკვე ახმოვნებული დ მარცვლითგანაა ნაწარმოები, ე. ი. იმითგანვე, რომელიც 1. პ. მხ. რ. ნაცვალსახელის ძირს შეადგენს და ყველა ბრუნვებშია დაცული.

ამნაირივე მოვლენაა პ. პ. მხ. რ. ნაცვალსახელშიც: თუ ის დიდოურად არის შე და ჟო, ნათ. უკვე ნების, მიც. ნესერ და მოქმ. ნესა გვაქვს. ამნაირადვე, თუ ხვარშულად ის იქმნება ჟუ, მიცემ. ბრ. ისულ, მოქმ. ისხე ა. მაშასადამე, ეს ძირი სახ. ბრუნვას არ სცილდება და ნათესაობითი ბრუნვითგან მოყოლებული უკვე ამ ნაცვალსახელის ძირად ნე მარცვალი გვევლინება, რომელსაც ხვარშულში თავკიდური ნ ეკარგება. ეს გარემოება მით უფროა საყურადღებო, რომ პ. პ. მრ. რიცხვს თავითგან ბოლომდის ყველგან სწორედ ეს ძირი აქვს.

ზემოაღნიშნულს უნდა ისიც დაერთოს, რომ 2. პ. მრ. რ. ყველა ბრუნვებში ძირად მეჟ და მიჟ-ი ჩანს, რომელიც თითქოს მხ. რ. 2. პ. 3-სა და პ. პ. 5 ძირისაგან იყოს შედგენილი.

მრ. რ. 1. პ. ჩვენ ნაცვალსახელი დიდოური ელი, ხვარშული ილა, ინსოკარული ილო და ყაფუჩური ილე ერთმანერთისაგან მხოლოდ ახმოვნებითა განსხვავდებიან.

დიდოური, ხვარშული, ინსოკარული და ყაფუჩური კუთვნილებითი ნაცვალსახელებიც ჩვეულებრივი წესით პირთა ნაცვალსახელების ნათ. ბრ. ფორმებს წარმოადგენენ.

უაშუბცავითი ნაცვალსახელი თითონ დიდოურად ჯოტხლო ბოლოსართით გამოიხატება. იგი პ. ნაცვალსახელს ერთვის და მასთან შერწყმული სათანადო პ. ნაცვალსახელის სრულს ფორმას მისდევს ხოლმე. ამნაირად დიდოურად

„მე თითონ“	იქმნება დია დიჯოტხლო
შენ თითონ	მი შიოტხლო
ის თითონ	ჟე ჟეჯოტხლო
ჩვენ თითონ	ელი ელიოტხლო
თქვენ თითონ	მეჟი მეჟიოტხლო
ისინი თითონ	ჟედუ ჟედუჯოტხლო

(ანდ.-დიდ. მას. გვ. 71).

ზემომოყვანილთაგან შესაძლებელია ვისმე ისე მოეჩვენოს, თითქოს უკუკვეთი ნაცვალსახელის თითონ-ის დიდოური გამოხატველი ჯოტხლო-ი იყოს, მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ ჯადა დიდოურად ჩვენებითი ეს ნაცვალსახელის მხ. რ. 1. სქეს-კატეგორიისა, ხოლო ჯოდუ 2, 3 და 4 სქეს-კატეგორიის მხ. რ. ისა და მრ. რ. ოთხივე სქეს-კატეგორიის ფორმებია, ჯოტხლო-ისა და ჯოდუ-ს თავკიდური მარცვლის ჯო-ს იგივეობა ძნელი მისახვედრი არ არის. მაშასადამე, თითონ-ის დიდოურ გამოხატველად შესაძლებელია მხოლოდ ტხლო იქმნეს მიჩნეული. ცხადია, რომ იგი ოდესღაც ხმოვნისანი ფორმის დროთა განმავლობაში ხშირი და შეკავშირებული ხმარების გამო უკვე უალრესად შერწყმული ფორმა უნდა იყოს.

დიდოურ-ხვარშულ-ინხოკარულ ნაცვალსახელთაგან ყველაზე უფრო განსხვავებული კითხვითი ნაცვალსახელებია, მაგრამ მაინც საერთო თვისებები მათაც აქვთ, მაგ.: ეს თუ დიდოურად **აადა** (1 სქ.), **აოდუ** (2, 3 და 4 სქ.) არის, ხვარშულად **იდუ-ა** (ყველა სქეს-კ.), ინხოკარულად-**კი აზედუ** (1 სქ.), **აედუ** (2 სქ.), **აბედუ** (3 სქ.) და **არედუ** (4 სქ.) გვაქვს, ხოლო ყაფუჩურად **უაჰადი** (1 და 3 სქ.) და **უაჰადო-ა** (2 სქ.). ცხადია, რომ ყველა ამ ფორმების ბოლო-კიდური მარცვალი და, **დო** და **დი** ერთსა-და-იმავე ოდენობასა და ელემენტს უნდა წარმოადგენდეს, რომელიც ცალკეა გამოსაყოფიერ და განსახილველიც.

თუ ამის შემდეგ ინხოკარული ჩვენებ. ნაც-ის განხილვას შევუდგებით, მათი ფორმების პირველ ნაწილად **აზე** (1 სქ.), **აჰე** (2 სქ.), **აბე** (3 სქ.) და **არე** (4 სქ.) დაგვჩვენება. ცხადია, რომ ყველა ეს ფორმებიც ორ ნაწილს შეიცავს: პირველი ნაწილი ოთხივეს საერთო აქვს და **ა** ხმოვანია, თვითოეული მათგანის მეორე განსხვავებული, **ზე**, **ჰე**, **ბე** და **რე**-ნაწილი-კი, რა თქმა უნდა, სქეს-კატეგორიის მარცვლებია, რომლებშიც **ჟ**, **ჰ**, **ბ** და **რ** სქეს-კატეგორიის ნიშნებია, **ე** კი მათ ახმოვნებისათვის არის გამოყენებული. ამ ყველა ფორმების პირველი, **ა** ხმოვანი, რასაკვირველია, მითითებითი ნაცვალსახელია. მაშასადამე, არსები-ადად ინხოკარული ეს ნაცვალსახელის ოთხივე ფორმის პირველი ნაწილი იჭივება, რაც ქამალალური ეს ნაცვალსახელის **აუ**, **აჰ** და **აბ** ფორმებია. საფიქრებელია, რომ თავდაპირველად მითითებით ნაცვალსახელად **ა-ს** მაგიერ **ჰა** იყო.

ცხადია, რომ დიდოური **აა-და** (1 სქ.) და **აოდუ** (2, 3 და 4 სქ.)-ს **აა** და **აო-ც** მითითებითი ნაცვალსახელების შეცვლილ-დამახინჯებულს ანარეკლს უნდა წარმოადგენდნენ.

ასეთივე რთული აგებულება აქვს ხვარშული ჩვენებითი ის ნაცვალსახელის ოთხს ფორმას **ოუჟუ** (1 სქ.), **ოჰუჟუ** (2 სქ.), **ობჟუ** (3 სქ.) და **ორჟუ** (4 სქ.)-საც. მათაც მეორე, **ჟუ**, ნაწილი საერთო აქვთ, პირველი, განსხვავებული **ოუ**, **ოჰუ**, **ობ** და **ორ** ნაწილი-კი აქაც მითითებითი ის ნაცვალსახელის ოთხი სქეს-კატეგორიის ისეთივე ფორმებია, როგორც ქამალალურის ის ნაცვალსახელის **ოუ**, **ოჰ** და **ობ** ფორმებია. მხოლოდ თავდაპირველად ის ნაცვალსახელის გამომხატველი **ო-კი** არა, არამედ **ჰო** უნდა ყოფილიყო. ამ მოსაზრების სისწორის დამტკიცება დიდოური მითითებითი ის ნაცვალსახელის 2, 3 და 4 სქეს-კატეგორიის ფორმითაც შეიძლება, რომელსაც მართლაც **ჰო** აქვს.

ყაფუჩური ეს ნაცვალსახელის ფორმები **უაჰადი** (1. და 3 სქ.) და **უაჰადო** (2. სქ.) იმგვარადვე, როგორც ის ნაცვალსახელის ფორმები **უაჰაგი** (1. და 3. სქ.) და **უაჰაგო-ც** (2 სქ.) ასევე ორ-ორი ნაწილისაგან შესდგება **უაჰა** და **დი**, ან **დო-სა** და **უაჰა** და **გი**, ან **გო-საგან**. **დი**, **დო** და **გი**, **გო** ისეთივე თვისების ნაწილებია, როგორც **დე**, **და** და **ჟე**, ან **ჟე-ა**. ზემომოყვანილი ფორმების საერთო პირველი ნაწილი **უაჰა-კი** საფიქრებელია, მითითებითს **ჰა** ნაცვალსახელს წარმოადგენს, რომელსაც თავში შამრ. სქესის **უა** ნიშანი აქვს შეზრდილი. რაკი ამ თავსართს პირვანდელი შამრ. სქესის აღმნიშვნელობაცა და დანიშნულებაც დაუკარგავს და ნაცვალსახელს ისე შეზრდია, რომ მის განუყოფელ ნაწილად ქცეულა, ამიტომაც სქეს-კატეგორიის განსხვავების გამოსამქლავნებლად ენას ბოლო-კიდური მარცვალი გამოუყენებია და **დი** და **გი** 1. და 3. სქეს-კატეგორიისა, **დო**

და გო-კი 2. სქეს-კატეგორიის გამომხატველად უქცევია, ე. ი., უფრო ზედმიწევნით რომ გამოითქვას, სქეს-კატეგორიის განმამსხვავებლობა *o* და *o* ხმოვნებს დაჰკისრებია. ცხადია, რომ აქ მერმინდელს საკომპენსაციო მოვლენასთან გვაქვს საქმე. გვლ დენ შტედტის ჩანაწერში ვინ? და რა? დიდოურად შებიოლ ად არის აღნიშნული, თანამედროვე დიდოურში-კი შეები და შეებ იხმარება. XVIII ს. შებიოლ უნდა ორ სიტყვას შეიცავდეს: შები-სა და ოლ-ს. პირველის მნიშვნელობა უკვე ვიცით, მეორე ოლ-კი უნდა ელო-ს უდრიდეს, რომელიც, როგორც დიდოური საუბრის ად. დირრის მიერ შეგროვებულ-გამოტყვევებული მაგალითებითგან ჩანს (იხ. ანდ.-დიდ. მას. გვ. 76, № 41), „იქ“-სა ნიშნავს. მაშასადამე შებიოლ მარტო კითხვითს ნაცვალსახელს-კი არ შეიცავს და გამოჰხატავს, არამედ „ვინაა იქ?“.

ვისი-ს დიდოურ შესატყვისობად მე-XVIII ს. ჩანაწერში აღნიშნულია ცლიფს და მართლაც დირრის ცნობითაც შები-ს ნათ. ზრ. ვისი-ს ფორმაა ცხლიფს (ანდ.-დიდ. მას. გვ. 71 და გვ. 78, № 66). ამ ფორმის ბოლოკიდური *s* ნათ. ზრ. ნიშანია და ვინ ნაცვალსახელის გამომხატველი აქ უკვე ცხლი ჩანს.

აქეთ დიდოური *o* სრულებით არ შეცვლილა: როგორც დირრის სასაუბრო მაგალითებითგან ჩანს (ანდ.-დიდ. მას. გვ. 76 № 43), ეხლაც ცო-ა-იქით-კი ელაგორ თანამედროვე ელაურ-ს, ანდა ელაორ-ს უდრის (იხ. იქვე გვ. 77, § 46). მაგრამ, თუ გავიხსენებთ, რომ ელი (ძველად) და ელა (ეხლა) მრ. რ. 1. პ. ჩვენ ნაცვალსახელის აღმნიშვნელია, შესაძლებელია ადამიანს ამასთან დაეკეფშირებინა, მაგრამ მაშინ ელაგორ-ის დაშორების ცნების აღმნიშვნელობა გაუგებარი იქმნებოდა. უფრო სათუქრებელია, რომ ელაგორ ჩვენებითი ნაცვალსახელის მე-სა და თან თანდებულის ლოგუ-ს (იხ. ანდ. ე. გვ. 75) შეიცავს და სიტყვა-სიტყვით უნდა ნიშნავდეს „იმასთან“, თუ „იმასთან“.

თავი მეოთხე

ლუმუქური ნაცვალსახელები

§ 1. ლუმუქური ნაცვალსახელები მე-XVIII ს. და ეხლა

მე-XVIII ს. ლუმუქური ნაცვალსახელების ჩანაწერი შესაძლებელია მკვლევარს ზოგი საკითხების გამოსარკვევად გამოადგეს. უნდა გათვალისწინებული გვექონდეს, რომ ამ ტრანსკრიფციაში გერმ. T შესაძლებელია მაშინაც *o*-ს უდრიდა.

A. ნაცვალსახელები ლუმუქურად მე-XVIII ს.

Ich მე—ნა Na	Wir ჩვენ—ნჰ Nah.
Mein ჩემი—ტულ Tul	Unser ჩვენი—ჟულ Shul.
Du შენ—ინა Ina	Ihr თქვენ—ბსუ Bsu.
Dein შენი—ჟილ Wil	Euer თქვენი—უსულ Usul.
Er იბ—ტჰშ Tsh	Sie იბინი—ტი Ti.

Wer ვინ—ცუ Zu.
 Wessen ვისი—გილდი Gildi.
 Wem ვის—ხინ Chin.
 Wen ვინ (შემ. ბრ.) ცუ Zu.
 Was რა Ziri ცირი.
 Hieher აქეთ Tschikun ჩიკუნ.
 Dorthin იქით Mikun მიკუნ.
 (I. A. G ü l d e n s t ä d t, Reisen II, 520).

B. ლუშუქური ნაცვალსახელები. პირთა ნაცვალსახელები

მე — ნა, შუნ — ინა, ის — თა.

მხ. რ.

სახ. ნა (სამივე სქ.)

ნათ. ტაულ

მიც. ტაუნ

ლათმობითი ტაუდარ (ნანიდარ)

მზ. რ.

სახ. ინა (სამივე სქ.)

ნათ. ვილ

მიც. ვინ

ლათმობ. ვიდარ (ინანიდარ).

მხ. რ.

სახ. თა (გონიერ. სქ. და არაგონ.)

ნათ. თანალ (გონ. სქ.), თანილ (არაგონ. სქ.)

მიც. თანან (გ.), თანინ (არაგონ.)

ლათმობ. თანადარ (გ.), თანიდარ (არაგონ.)

მრ. რ.

თაჲ. ითქმის თეჲ (გონ. და არაგონ. სამივე სქ.)

თაჲნდალ, თაჲნდულ

თაჲნდან, თაჲნდუნ

თაჲნდადარ, თაჲნდუდარ

(უსლარის Лакский яз. 55, 58).

მრ. რ.

ჟუ (სამივე სქ.)

ჟულ

ჟუნ

ჟუდარ (ჟუნიდარ).

მრ. რ.

ზუ (სამივე სქ.)

ზულ

ზუნ

ზუდარ (ზუნიდარ).

§ 2 ლუშუქური ნაცვალსახელების ანალიზი

ლუშუქური ნაცვალსახელების მე-XVIII ს. ჩანაწერი თანამედროვე ფორმებისაგან მხოლოდ ორგან განსხვავდება: თუ მხ. რ. 1. პ. ნა დროთა განმავლობაში უცვლელი დარჩენილა, მრ. რ. 1. პ. ძველად ნაჲ ყოფილა, მე-XIX ს. და ეხლა-კი ჟუ არის. უ-ბგეროანი მრ. რ. აჲ პირის ფორმა ძველადაც ყოფილა, მაგრამ, როგორც ჩანს, მხოლოდ ნათ. ბრუნვითაგან მოყოლებული: ჩვენის-ს მაჲ-შინდელ ლუშუქურ შესატყვისობად მე-XVIII ს. ჩანაწერში აღბეჭდილია ჟულ.

ზემოაღნიშნული ორი გარემოება იმ შრივ არის საყურადღებო, რომ ზოგიერთი საგულისხმო დასკვნის გამოყვანის საშუალებას აძლევს ეკვლევარს.

ჩრკვევა, რომ მე-XVIII ს. ღუმუჭურს 1. პ. ნაცვალსახელად ორისავე რიბვისაჲის ერთი-და-იგივე ნა პქონია, და მრ. რ. ფორმა მხ. რ-ის ფორმისაგან მხოლოდ ბოლოკიდური ვ ბგერით განსხვავდებოდა. — ეს ერთი.

მეორე გარემოება 1. პ. ნაცვალსახელის ორივე რიცხვის ფორმების მთლიანობის საკითხს ეხება.

მე მე-XVIII ს. ნა იყო, ჩემი-კი ყოფილა ტულ. მე-XIX ს. და ეხლაც ასევეა და ნათ. ბრ. არის ტულ, მიც. ტუნ. მაშასადამე, მხ. რ. 1 პ. ნაც ალსახელს მთლიანობა შარტო ეხლა-კი არა აქვს დარღვეული, არამედ მთლიანობა არც მე-XVIII ს.-ში ღა ვ ონია.

პირიქით, ჩვენ ღუმუჭურად ეხლა ვუ არის, ნათ. ბრ. ვულ, მიც. ვუნ. ერთი სიტყვით, მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელს მე XIX ს. და ეხლა ძირისა, თუ ძირად მიჩნეული ეღებენტის სრული მთლიანობა უჩანს. მაგრამ სულ სხვანაირი ვითარება ყოფილა წინათ, რაღვან მე-XVIII ს. ჩვენ ყოფილა ნაპ, ნათ. ბრ. ჩვენ-კი, ისევე, როგორც ეხლა-კი, ვულ. მაშასადამე, ძირის მთლიანობა ძველად არც მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელს პქონია. ამ გვარად ეს მთლიანობა მერმინდელი, ამასთანავე შედარებით ახალი, მოვლენა ყოფილა.

მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელი ინა-ც მე XVIII ს. შემდგომ აგრეთვე არ შეცვლილა. მისი ნათ. ბრ. ფორმაც თითქმის იგივე დარჩენილა და, თუ ძველად შენი ყოფილა ჟიდ, ეხლა-კი ვიდ. აქაც 2. პ. ძირის მთლიანობა არა ჩანს და ოფით ნათ. ბრ. ფორმის ძაგჯადური ფ და ვ-ს ბუნება და რაობა ცალკეა, სხვა ენების მსგავს საკითხებთან ერთად, გამსახილველი.

მე-XVIII ს. ხასაწურში გვადღენ შ ტ ე დ ტ ს მძმენ ღუმუჭურად მსა ბსუ იქვს ადნიშნული, თანამედროვე ღუმუჭურად-კი „თქვენ“ ვუ არის. ვგებინ გერმანულ მეტნორს აქ შეცდომა შეიძლება და ვ-ს მგერ ს მოესმა და თავი-ღური ბ-ც რაიზე მისივე ვაუგებობის შედეგია? არა, აქ არავითარი შეცდომა არ უნდა იყოს, არამედ მძმენ-ის მათინდელი ღუმუჭური ს მელი სისწორით ჩაწერილი ჩანს. შესაძლებელია მხოლოდ ორ თანხმოვანს შუა ნახევარ-თანხმოვანი იყოს აღუბუქდელი. აქვენ-ს რომ მე-XVIII ს. შესაძლებელია სწორედ ამ ბს თანხმოვნების შემცველი ხახელი პქონიდა ღუმუჭურად, ამის დასარწმუნებლად შესაძლებელია ანდიური და ტინდალური თქვენ და თქვენი ბისსა და ბისსიუ ბისსიჲ და ბისსიჲ იქმანს დამოწმებული (იხ. აქვე, გვ. 511). ორსავე ენას, როგორც ვხედავთ, მართლაც თავი-ღურ თანხმოვნად ბ, ხოლო მეორე თანხმოვნად ს აქვს. ამის შემდგომ არავითარი საუკუველი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ღუმუჭურს მე-XVIII ს.-ში ასეთივე თქვენ ვერ ექმნებოდა.

მხ. რ. 2. პ. ინა და შა. რ. 2. ბსუ (XVIII ს.) და ვუ (თანამ.) სრულე-ბით სხვა-და-სხვა ძირის სარუგებია და იმ შრივ 1. პ. ნაცვალსახელთან შედარებით არსებითი განსხვავებაა, რითგან მე-XVIII ს.-ში ორივე რიცხვის ძირი 1 პ. ნა ყოფილა.

საყურადღებოა, რომ მე ღუმუჭურად ნა არის, შენ-კი ინა. ისეთს შთაბეჭდილებას ახდენს, თითქოს ამ ნაცვალსახელებს ერთი ძირი პქონდეს.

2. პ. მრ. რ. ნაცვალსახელის ნათ. ბრ. ძველი ფორმაც უსულ, ანდა უსულ არის საგულისხმო, მეტალოგი იმიტომ, რომ ის თანამედროვე ნათ. ბრ. უსულ-ისაგან თავისი თავკიდური უ სმოვნით განირჩევა. რაკი უსულ-ის ბოლო-კიდური ლ ლუმუქური ენის ნათ. ბრ. ჩვეულებრივი ნიშანია, ამიტომ უსულ გვჩნება. სახ. ბრ. ბსუ-სთან შედარებით ნათ. ბრ. ბ-ს მაგიერ უ აქვს, რომელიც, ცნადა, ძირეული არ უნდა იყოს. ამიტომაც ამ თავკიდური უ-ს ბუნება და რაობაც ცალკე უნდა იქმნეს გამოარკვეული.

3. პ. მს. და მრ. რ. ნაცვალსახელის ფორმებს დიდი ცვლილება არ დასტუბია და, თუ მე-XVIII ს. ჩანაწერში „ის“ არის ტშმ, ეხლა თნ-ა, „ისინი“-ქ ძველად თითქოს ტი ყოფილა, თანამედროვე ლუმუქურს-კი თაჲ აქვს. იმნიშნად, პ. პ. ნაცვალსახელს ორსავე რიცხვში ერთი-და-იგივე ძირი აქვს. რომლის მთლიანობაც ყველა ბრუნვებშია დაცული.

პირთა ნაცვალსახელების ნათეს. ბრუნვის ფორმები იმავე ღროს კუთვნილებითი ნაცვალსახელების მაგიერია (იქვე, გვ. 59).

უკუქცევითი ნაცვალსახელების გამოსახატავად ლუმუქურს პირთა ნაცვალსახელებივე აქვს გამოყენებული იმ განსხვავებით, რომ ბოლოსართად სათანადო სქეს-კატეგორიის ზბ (მამრ. სქ. გონ.), ან ზბ (მდედ. სქ. გონ.), ანდა ბბ (უსქეს.) მარცვლები ემატება. მაგრამ თანხმოვნის შემდგომ ამ ბოლოსართის ვ ჩვეულებრივ ქრება, და ბოლოსართის მაგიერ-კი რა ჩნდება, თუ რომ წინ ხმოვანი, ხ, ანდა ზხჲ უნის, მაგ.:

მე თითონ—ნავა (მამრ. სქ. გონ.), ნარა (მდედრ. სქ. გონ.), ნაბა (უსქ.)

ჩემი თითონ—ტაულვა (ტაულა), ტაულდა, ტაულბა.

შენ თითონ—ინავა, ინარა, ინაბა.

ის თითონ—თნვა, თნრა, თნბა.

ჩვენ თითონ—ჟუვა, ჟურა, ჟუბა.

თქვენ თითონ—ზუვა, ზურა, ზუბა.

ისინი თითონ—თაჲბა, თაჲრა.

უფრო მეტი გარკვეულობის გამოსახატავად ზემოაღნიშნულ უკუქცევით ნაცვალსახელებს მეორე ჯერაც უმატებენ ხოლმე ვა, რა, და, ბა და სხ. ბოლოსართებს და ხმარობენ ნავავა, ნარარა, ნაბაბა (იქვე, გვ. 61).

ლუმუქურში პ. პ. უკუქცევით ნაცვალსახელად ცუ იხმარება მამრ. გონიერი არსებისათვის ისევე, როგორც ყველა დანარჩენ სქეს-კატეგორიებისათვისაც. ცუ, მაშასადამე, თითონ ის-ს, ან ეს-სა ნიშნავს. მაგრამ მამრ. სქესისა და დანარჩენი სქეს-კატეგორიებისათვის განკუთვნილი ფორმები ამ ნაცვალსახელის კანკლედობას განსხვავებული აქვს. განსხვავების თვისების წარმოსადგენად აქვე მომყავს ნათ. და მიც. ბრ. ფორმები:

სახ. ცუ (მამრ. გონ.),-ცუ (დანარ. სქ.),-ცბ (მრ. რ. საერთო).

ნათ. ცალ ცილ ცალ

მიც. ცან ცინ ცან

ცუ გულისხმობს ზემოხსენებულს, უკვე აღნიშნულს თითონ პ. პ. (ლუმ. ენა. გვ. 62-63). ამ თითონ-ის ცუ-ს, პირთა ნაცვალსახელების მსგავსად, სქეს-კა-

ტეგორიის ვა, რდა და ბბა ნიშნები-ც ერთვის ხოლმე და ამიტომაც ასეთი ფორმებიც არსებობს: ცუგვა, ცურდა, ცუბბა,-მრ. რ. ცნბა (ცნმბა), ცნრდა,-ნათ. ცალვა (ცალა), ცალდა, ცალბა,-ცილვა. ცილდა და ცილბა (იქვე გვ. 63).

რაკი ლუმუჭურს ვ. ვ. ნაცვალსახელად თაჟ აქვს, ცხადი ხდება, რომ ცუ, რონელსაც ეს თაჟ არ ახლავს, ნამდვილად ის თითონ-ისა-კი არა, არამედ მხოლოდ თითონ-ის აღმნიშვნელია.

ამაზე გაცილებით უფრო საყურადღებოა ზემოხსენებული ლუმუჭური უკუქცევითი ნაცვალსახელების წარმოების სხვა წესი. უსლარის სიტყვით, უკუქცევითი ნაცვალსახელის მაგიერ პირთა ნაცვალსახელებს ზოლოსართად ერთვის სქეს-კატეგორიების გამოშხატველი ვა,-და, ანდა რა, როდესაც წინ ხმოვანია, ანდა ხ, თუ ხხი,-და ბა (ლუმ. ე. გვ. 60). მაგ.: მე მოვედი—ნა შუკრა,-მე თვით (შთქმელად მამაკაცი იგულისხმება) მოვედი—ნა ნავა შუკრა, ანდა მარტივად ნავა შუკრა. მაგრამ, როდესაც დედაკაცი ამბობს, მე მოვედი—ნა დურკრა-ს იტყვის, ხოლო მე თვით (დედაკაცი) მოვედი—ნა ნარა დურკრა, ან მარტივად ნარა დურკრა.

შენ მოხვედი—ინა შუკრა.

შენ თითონ (მამაკაცი) მოხვედი—ინა ინავა შუკრა, ან მარტივად ინავა შუკრა.

შენ (დედაკაცი) მოხვედი—ინა დურკრა.

შენ თითონ (დედაკაცი) მოხვედი—ინა ინარა დურკრა, ანუ მარტივად ინარა დურკრა.

ის (მამაკაცი) მოვიდა—თა. ანდა ცუ შუკრი,— ის თითონ (მამაკ.) მოვიდა—თა ცუგვა შუკრი, ანუ მარტივად ცუგვა შუკრი.

ხოლო: ის (დედაკ.) მოვიდა—თა დურკრი, ცუ დურკრი,— ის თითონ (დედაკაცი) მოვიდა—თა ცურდა დურკრი, ანუ მარტივად ცურდა დურკრი.

ის თითონ (ქალიშვილი) მოვიდა—თა ცუბბა ბუკრი, ანუ მარტივად ცუბბა ბუკრი.

ჩვენ (სულერთია მამაკაცი თუ დედაკ.) მოვედით—ჟუ ბუკრუ, ჩვენ თითონ მოვედით—ჟუ ჟუბა ბუკრუ, ანუ მარტივად ჟუბა ბუკრუ.

თქვენ (სქესთა განურჩევლად) მოხვედით—ჟუ ბუკრუ, თქვენ თითონ მოხვედით—ჟუ ჟუბა ბუკრუ, ანუ მარტივად ჟუბა ბუკრუ.

ისინი (სქესისდა მიუხედავად) მოვიდნენ—თაჟ, ანდა ცნ ბუკრი,— ისინი თითონ მოვიდნენ—თაჟ ცნბა ბუკრი, ანუ მარტივად ცნბა ბუკრი (ლ. ე. გვ. 63-64).

ზემომოყვანილი ლუმუჭური ნაცვალსახელები იმ მხრივ არის საყურადღებო, რომ პირთა ნაცვალსახელის გარკვეულობის, თითონ-ის ცნების, ვამოსახატავად ენას აუცილებლად ხაპიროდ სქეს-კატეგორიების აღნიშვნა მიუჩნევა, იმიხდა მიუხედავად, რომ 1. და 2. პირის ორივე რიცხვის ნაცვალსახელებისათვის ყველა სქეს-კატეგორიისათვის განურჩევლად საერთო ფორმა არსებობს და მხოლოდ შესამე პირისათვის, რომელიც ჩვენებითი ნაცვალსახელია, სქეს-კატეგორიებისდა მიხედვით განსხვავებული ფორმები მოუპოვება ნათ. ბრ.-ში.

მე-XVIII ს. ჩანაწერის რა? ცირი, ცხადია, ლუმუჭურს კითხვითს რა ნაცვალსახელს, ცი-სა და რი-ს შეიცავს. რი-კი „არსება“ ზმნის აწმყო დროის ვ. ვ. მხ. რ. სრული ფორმების ური (1 სქ.), დური (2 და 4 სქ.) და ბური (3 სქ.)-ს

შეკვეცილი ფორმაა ისევე, როგორც ეხლაც ლუმბუქურში ურა, დურა, ბურა-სა, ური-სა და დანარჩენი სქეს-კატეგორიის ფორმების, აგრეთვე ბურუ-სა და ღურუ-ს მაგიერ შესაძლებელია მოსაუბრემ რა, რი, რუ იხმაროს (ლუმ. ე. გვ. 82). მაშასადამე, ცირი ნამდვილად რა?-ს-კი არ ნიშნავს, არამედ „რა პრის?“

მე-XVIII ს. ჩანაწერის ლუმბუქური ჩიკუნ, რომელიც აქეთკენ-სა ნიშნავსო, თანამედროვე შიკკუნ-ს უდრის, ხოლო შიკუნ—„იქითკენ“, ეხლაც ისევეა დაცული, როგორც ამ საუკუნე-ნახევრის წინათ ყოფილა, ოღონდ შიკკუნ-ად გამოითქმის. ცხადია, ორსავე შემთხვევაში კუნ ქართულს კენ-ს უდრის, ჩი და ში-კი „აქ“, ხოლო ში „იქ“-ის აღმნიშვნელია.

შ შემომოყვანილს ში-ში, როგორც უსლარის ნაშრომითგან ირკვევა, მოსაუბრესთან მახლობელობის გამომხატველია, შ-კი ში-ში მეორე პირთან მახლობელობის მაუწყებელია (ლუმ. ე. გვ. 196). მაშასადამე, შ 1. პ. ელემენტი, მ 2. პირისა გამოდის. სავულისხმობა, რომ მე-XVIII ს. ჩანაწერით 1. პირის ელემენტად ჩ ჩანს.

თავი მეხუთე

არქული ნაცვალსახელები

არქული ნაცვალსახელების აგებულება ფრიად საყურადღებოა. სამწუხაროა მხოლოდ, რომ მათი ანალიზისათვის მე-XVIII ს. ჩანაწერიც არ გვაქვს ხელთ. მაგრამ უამისოდაც, თანამედროვე არქულის წყალობითაც, არა ერთი სავულისხმო გარემოება ირკვევა.

§ 1. არქული პირთა ნაცვალსახელები

მე—ზონ	ჩვენ—ნენ
სახ. ბრ. ზონ	ნენ
ნათ. ჟიხ, დიხ, ბიხ, ოხ	ულუ, დოლო, ბოლო, ოლო.
მიც. 1. ჟეზ, დეზ, ბეზ, ეზ	ჟელ, დელ, ბელ, ელ.
მიც. 2 ზარში	ლარში
მოქმ. ზარი	ნენ
მიმართ. ზათ	ლათ
შენ—უნ	თქვენ—ჟჟენ
სახ. ბრ. უნ	ჟჟენ
ნათ. ჟიით	ჟიჟ
მიც. 1 ჟახ	ჟეჟ
მიც. 2 ჟარში	ჟჟარში
მოქ. უნ	ჟჟენ
მიმართ. ჟათ	ჟჟათ
ეს—დაჟ, მარ, მამ, მათ,— მრ. რ. ესენი—მებ.	
ის—თოჟ, თორ, თობ, თოთ,— მრ. რ. ისინი—თებ.	
(არქ. ე. გვ. 27, 29).	

ორივე პირისა და ორივე რიცხვის პ. ნაცვალსახელებს ბოლოკიდურ ბგერად ნ აქვთ, რომლის არაძირეულებითი ბუნება ცხადია. ძირის მთლიანობა ამ ნაცვალსახელთაგან მხოლოდ 2. პირისას აქვს თავითგან ბოლომდე დაცული, 1. პ. ორივე რიცხვისა და 2. პ. მრ. რ. ნაცვალსახელების ძირის მთლიანობა ერთი შეხედვით თითქოს დარღვეული ჩანს, მაგრამ გულდასმითი დაკვირვება სხვინაირ დასკვნამდე მიიყვანს ადამიანს. 1. პ. ნ. არის ზონ, რომლის ზ ძირეულია, ნათ. ბრ.-კი არის ჟიხ (1 სქ.), დიხ (2 სქ.), ბიხ (3 სქ.) და იხ (4 სქ.), — მიც. 1. ბრ.—ჟეზ (1.), დეზ (2.), პეზ (3.) და ეზ (4.), — ხოლო მიც. 2. ბრ. უკვე ზარში, მოქმ. ბრ. ზარი და მიმართ. ბრ. ზათ, ე. ი. ისევ ზ ძირისაგან არის ნაწარმოები. ამნაირად ძირის მთლიანობას გარეგნულად მხოლოდ ნათ. და მიც. 1. ბრუნვების ფორმები არღვევენ. მაგრამ ნამდვილად აქაც, ამ ბრუნვების ფორმებშიც, ძირად იგივე ზ აქვს. ეს ცხადად ჩანს მიცემითს ბრუნვაში. რომელსაც ამ ძირის წინ მხოლოდ სათანადო სქეს-კატეგორიის ე-დ ახმოვნებული ფორმანტი ჟე, დე და პე აქვს. 4 სქეს-იას-კი ფორმანტი დაქვარგვია. ასეთივე მოვლენაა ნათესაობითს ბრუნვაშიც იმ განსხვავებით, რომ ძირის ზ ბგერა ს-დ აქვს შენაცვლებული და სქეს-კატეგორიის თავსარობიც ი-ხმოვნეანია. რაკი ჟ, დ და პ სქეს-კატეგორიის ნიშნებია (მეოთხეს არც ნათ. და არც მიც. ბრ. ფორმაში აქვს კატეგორიის თავსართი შერჩენილი) და ბოლოკიდური ს და ზ ძირია, ისე გამოდის, რომ ნათ. ბრუნვის გამომჩატველი აქ ი ხმოვანია, მიცემითისა-კი ი ხმოვანი.

არტული 1. პ. მხ. რ. ნაცვალსახელის კანკლედობაში ორი გარემოებაა უაღრესად საყურადღებო: ჯერ ერთი, რომ ნათ. და მიც. მრ-ბხ ოთხი ფორმა აქვს ოთხივე სქეს-კატეგორიისათვის, მეორეც ის, რომ სქეს-კატეგორიის ნიშნები აქ თავსართად არის იმ დროს, როდესაც პ. პ-ისა და ჩვენების მს და ის ნაცვალსახელებს სქეს-კატეგორიის ნიშნები ზოლოდსართებად აქვთ. თუ ნათ. ბრ. ფორმა იმავე დროს ჩვეულებრივ კუთვნილებითი ნაცვალსახელიც არის ხოლმე და ამიტომაც მას, ზედსართავ სახელსაგით, სქეს-კატეგორიის ნიშნები შესაძლებელია და არტულში, ვითარცა სქეს-კატეგორიის ენას, უნდა უქვევლად ჰქონდეს კიდევაც, მიცემითი ბრუნვის 4 სქეს-კატეგორიისათვის განკუთვნილი ფორმების შესახებ ასეთი განმარტების წამოყენება შეუძლებელია. სწორედ ამიტომაც ეს მოვლენა სხვა პიზების შედეგი და შაუწყებელი უნდა იყოს.

ასეთივე გარემოებაა 1. პ. მრ. რ. ნაცვალსახელის კანკლედობაშიც, სადაც სას. ბრ. ნენ-ს, ნათ. ბრ.-ის 4 ფორმა — ულუ, დოლო, ბოლო, ოლო და მიც. ბრ.-ის ამდენივე ფორმა — ჟელ, დელ, პელ და ელ მისდევს. აქაც ჟ (ნათ. ბრ. ფორმას ჩამოცილებული აქვს), დ და პ სქეს-კატეგორიის თავსართებია. ცხადია, რომ ყველაფერი, რაც მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელზე უკვე გვეჩინდა ნათქვამი, აქაც იგივე უნდა ითქვას.

საგულისხმოა, რომ 2. პ. მხ. და მრ. რ. ნაცვალსახელების ნათ. და მიც. ბრ.-ებისთვის არტულს ამ უმად მხოლოდ ოთხი ფორმა გააჩნია, მაგრამ ამ პიონის მრ. რ. ფორმების გულდასმითი განხილვა დაარწმუნებს კაცს, რომ წინათ ამ პირსაც ჰქონია სქეს-კატეგორიის და მიხედვით განსხვავებული ფორმები, პართლაც და, თუ თქვენ არის ფუნ და ასევეა მოქმ. ბრ., მიც. ბრუნვაც უფარ-ში-ა და მიმათ, ბრ.-იც უფათ, ე. ი. ყველგან ძირად ფუძედ ჟე მოჩანს, ნათ.

ბრუნვაი ფიშ და შიკ. ბრ. ფეფ. საქმარისია გავისხენოთ მხ. რ. 1. 3. ნათ. და შიკ. ბრუნვების ფორმები ფის (ნათ.) და ფეშ (შიკ.) და თქვენ-ს ნათ. და შიკ. ბრ. ფორმებს ფიშ-სა (ნათ.) და ფეფ-ს (შიკ. 1) შევადაროთ, რომ შავი სრული ანალოგია უცილებელი შეიქმნეს: ისევე, როგორც მხ. რ. 1. 3. ნაცვალსახელის ძირული მფლერი ზ ნათ. ბრ-ში ყრუ ს-დ არის შენაცვლებული. ასევე მრ. რ. 2. 3. ნ. ძირისეული მფლერი უ ბგერაც ნათ. ბრ-ში ყრუ შ-დ არის შეცვლილი. ორბავე შემთხვევაში ი ნათ. ბრ.-ისა და ე შიკ. 1. ბრ.-ის ნიშანი ჩანს.

შემომოყვანილი ორი დაკვირვების შემდგომ ცხადი გახდება, რომ ამ ფორმებს შორის შესაძენ მხრითაც სრული ანალოგიაა და ისევე, როგორც 1. 3. მხ. რ. ნაცვალსახელის ფის და ფეშ-ის თაკვიდური ფ შამრ. სქესის თავსართია, უუჭველია, მრ. რ. 2. 3. ნაცვალსახელის ნათ. ბრ. ფაშ და შიკ. 1 ბრ. ფეფ-ის თავკიდური ფ-ც თავდაპირველად მხოლოდ მამრ. სქესის თავსართივე უნდა ყოფილიყო და მარტო შემდგომი, როდესაც ამ პირს დანარჩენი სქეს-კატეგორიების ფორმები დაჰკარგვია, ეს ფ ამ ფორმის უკვე შეზღუდულ და განუყოფელ ნაწილად ქცეულა. მაშასადამე, ოთხივე სქეს-კატეგორიისათვის ცალ-ცალკეული ფორმა არქულში მარტო 1. 3. მხ. და მრ. რ. ნაცვალსახელის-კი არა, არამედ უცილობლად 2. 3. მრ. რ.-ისა და, საფუკრებელია, მხ. რ. ნაცვალსახელის-საც შქონია.

ერთი შეხედვითაც ყველასთვის ცხადი გახდება, რომ 1. 3. მრ. რ. ნაცვალსახელი არც ამავე პირისა და არც 2. 3. მხ. რ. ფორმებთან დაკავშირებული არ არის. იგივე შესაძლებელია ითქვას 2. 3. მრ. რ. ნაცვალსახელზეც, რომლის ფ-ს მხ. რ. ფორმაში ვერაფერ აღმოაჩენს. მაშასადამე, 1. და 2. 3. მხ. და მრ. რ. ფორმები სხვადასხვა წარმოშობილობისა ყოფილა.

3. 3. ორივე რიცხვის ნაცვალსახელებად არქულში ჩვენებითი ეს და ის ნაცვალსახელებია გამოყენებული. ორივეს 4 სქეს-კატეგორიის ფორმა გააჩნია, მაგრამ აქ ორი საგულისხმო გარემოებაა აღსანიშნავი: 1. სქეს-კატეგორიის ნიშნები ბოლოსართებად არის გამოყენებული და 2. თუ 1. 3. ორივე რიცხვის ნაცვალსახელების ნათ. და შიკ. 1. 3. ბრუნვების ფორმებში მდებარ. სქესის თავსართთან ნიშნად დ თანხმოვანია, აქ, 3. 3. და ჩვენებითი ორივე (მხ და ის) ნაცვალსახელის ფორმებს მდებარ. სქესის ნიშნად რ ბგერა აქვს. ე. ი. ისევე, როგორც არქული ამნაირად მაშინ იქცევა ხოლმე, თუ რომ სქეს-კატეგორიის ორმაგი ნიშნებია, თავსართისაცა (დ) და ბოლოსართის (რ) სახითაც.

ჩვენებითი მხ ნაცვალსახელის გამოხატავად არქულს აა მარცვალი აქვს, რომელსაც სათანადო სქეს-კატეგორიის ბოლოსართი ახლავს, ხოლო მხ ნაცვალსახელითვის-კი მრ მარცვალია ამავე წესით გამოყენებული. თუ აე პირველის ა ხმოვანს როგორც სხვა ენებშიც არის, მახლობელობის მაუწყებლად მივიჩნევთ, მეორის რ ხმოვანს-კი დაშორებულობისას, მაშინ პირველის პირად დ, მეორისა-კი თ დაგვრჩება.

§ 2. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

კუთვნი. ნაცვალსახელებად პირთა ნაცვალსახელების ნათესაობითი ბრუნვის ფორმები იხმარება: ჩემი — ფის, დის, პის, ის, — ჩენი — 1 და 2 სქეს-კატ. პის 3 და 4 სქეს-კატ. ის.

შენი—ჟით, შენები—ჟით. ჩვენი—ულუ, დოლო, ბოლო, ოლო.
 ჩვენები—ბოლო, ოლო.
 თქვენი—ჟიშ.
 თქვენები—ჟიშ.

(არქ. ე., გვ. 34).

მაგრამ, როდესაც კუთვნილებითი ნაცვალსახელები ცალკე და დამოუკიდებლად იხმარება, მაშინ მათ ამნაირი სახე აქვთ ხოლმე:

შხ. რ.		შრ. რ.	
ჩემი 1	სქესკ. უსსუჟ	ჩემები:	} ბისხიბ
2	" დოსხორ	}	
3	" ბოსხობ		
4	" ოსსოთ		
შენი 1	სქესკ. უტუჟ		შენები:
2	" უტორ	}	
3	" უტობ		
4	" უტოთ		
მისი 1	სქესკ. თოჟმუნნუჟ ¹		შრ. რ. მისნი
2	" თოჟმუნნურ	}	
3	" თოჟმუნნუბ		
4	" თოჟმუნნუთ		

¹ მისები—ოთხივე სქეს-კატეგორიისათვის—თოთმინნიბ (არქ. ე., გვ. 36-37).

§ 3. არჭული უკუქცევითი ნაცვალსახელები

ნესამე პირის უკუქც. ნაცვალსახელის 5 განსხვავებული სახესხვაობა არსებობს. ყველა მათ საერთო ნაწილად მხოლოდ შუ მარცვალ აქვთ, განმასხვავებელი ნაწილი-კი ბოლოშია. მაგრამ სჯობია ჯერ თვით ეს ნაცვალსახელება გადავთვალიეროთ.

თავისთვის — უუსატა(ჟუ), უუსარა(ჟუ).

თავისთავს — უუსაჟუ, უუსაბუ, უუსარუ, უუსატაუ.

" უურშეაჟუ, უურშეარუ, უურშეაბუ, უურშეატაუ.

თავისთან (მამაკაცზე) } შუტხლეაჟუ, შუტხლეარუ, შუტხლეაბუ.

" (დედაკაცზე) } შეტხლეაჟუ, შეტხლეარუ, შეტხლეაბუ.

(არქ. ე. გვ. 89).

ცნადია, რომ ეს ნაცვალსახელები უ ძირისაგან არის ნაწარმოები, ხოლო, როგორც ორი უკანასკნელი სახესხვაობითგან ჩანს, ჟუ-ში უ მამრ. სქესის, ხოლო შე-ში ე დედრობ. სქ. გამოშხატველია.

ამ ნაცვალსახელოვანს ძირს, თუ ძირად ქვეულს ბგერას, ან ხა, ან რშეა, ანდა ტხლეა ერთვის. ვითარცა ბრუნვის ნიშნება, საჭიროებისდა გვარად სათანადო სქეს-კატეგორიის (ჟუ, რუ, ბუ, ტაუ) ბოლოსართითურთ და ამ გზით ზემოდასახელებული ძირისაგან უკუქცევითი ნაცვალსახელის სამი სახესხვაობის უკვე მოყვანილი ფორმებია ნაწარმოები.

შე თვით, შენ თვით, ის თვით და მრ. რ. ფორმები-კი არქულად სხვანაირად გამოიხატება ხოლმე, სახელდობრ:

შე თითონ: 1 სქ. ზონაჟუ. შენ თითონ: 1 სქ. უნავუ
 2 სქ. ზონარუ 2 სქ. უნარუ
 3 სქ. ზონაბუ 3 სქ. უნაბუ
 4 სქ. ზონტაუ 4 სქ. უნ(ა)ტაუ.

ის თითონ: 1 სქ. ააჟ (ანდა თაჟ) ინჟაჟუ, ან ინჟუ, ზოგჯერ ჟაჟუ-ც
 2 სქ. აარ (თარ) ინჟარუ
 3 სქ. ააბ (თაბ) ინჟაბუ
 4 სქ. აათ (თათ) ინჟატაუ.

მრ. რ.

ჩვენ თითონ: ნენტაუ. თქვენ თითონ: უქენტაუ.

ისინი თითონ: აებ (თებ) ჟაბბუ (ჟაბბუ).

დანარჩენი ბრუნვების ფორმებში-კი პირ. ნაცვალსახელის სათანადო ბრუნვის ფორმას მხ. რ. 1. და 2. პიროსათვის შეატუ არის თითონ-ის გამომხატველი, 3. პ. ჟუტაუტაუ (მამრ. სქ.) და ჟეტაუტაუ (მდედ. სქ.), ხოლო მრ. რ. 1, 2. და 3. პ-თვის ტაუტაუ (არქ. ე. გვ. 41-42).

ზემომოყვანილი უკუქცევითი ნაცვალსახელების ფორმების პირთა ნაცვალსახელებთან შედარება დაარწმუნებს ადამიანს, რომ აქ პირის ნაცვალსახელს სათანადო სქეს-კატეგორიის შიგთხაზით ახლავს მხოლოდ. ამისთანავე საგულისხმოა, რომ 1. და 2. პ. ნაცვალსახელის ფორმები ჩვეულებრივისაგან ბ-ბოლოკიდურიანობით განსხვავდება და ზმნა და უნა არის ნახშირი, ან გავრცელებული ზმნა და უნ-ის მაგიერ. ყველაზე საყურადღებო-კი აქ ის გარემოებაა, რომ „თვით“ ცნების გამომხატველად არქულს სქეს-კატეგორიის მაუწყებელი ფორმანტები აქვს გამოყენებული.

§ 4. არქულური უკუქცევითი-კუთვნილებითი ნაცვალსახელები

თითონ ჩემი	1 სქ. ჟასხაჟუ	მრ. რ. } } პასხაბუ } ახსატაუ
	2 სქ. დახსარუ	
	3 სქ. პასხაბუ	
	4 სქ. ახსატაუ	
თითონ შენი	1 სქ. უტაჟუ	} უტაბუ } უტატაუ
	2 სქ. უტარუ	
	3 სქ. უტაბუ	
	4 სქ. უტატაუ	
თითონ მისი	1 სქ. ჟუნაჟუ	} ჟუნაბუ } როცა 1 სქ. მულო- } ჟუნტაუ } ბელია.
	2 სქ. ჟუნარუ	
	3 სქ. ჟუნაბუ	
	4 სქ. ჟუნტაუ	

	1 სქ. შენაჟუ	}	შენაბუ	}	როდესაც 2., 3. და 4. სქ. მფლობელია.
	2 სქ. შენარუ				
	3 სქ. შენაბუ				
	4 სქ. შენტაუ				
თითონ ჩვენი	1 სქ. ულუაჟუ	}	ბოლოაბუ		
	2 სქ. დოლოაბუ				
	3 სქ. დოლოაბუ	}	ოლოაბუ		
	4 სქ. ოლოაბუ				
თითონ თქვენი	1 სქ. უშაჟუ	}	უშაბუ		
	2 სქ. უშარუ				
	3 სქ. უშაბუ	}	უშაბუ		
	4 სქ. უშაბუ				
თითონ იმათი	1 სქ. შენაჟუ	}	შენაბუ	}	საერთოა ყველა სქეს-კატეგორიის მფლობელთათვის.
	2 სქ. შენარუ				
	3 სქ. შენაბუ				
	4 სქ. შენტაუ				

(არქ. ე. 39-40).

§ 5. კითხვითი ნაცვალსახელები

ვინ?—ქჭირი, შრ. რ. ქუიბ.

რა?—ჰან, ჰანი.

რომელი?—ჰანნუჟ, ჰანნურ, ჰანნუბ, ჰანნუთ,— შრ. რ. ჰანნიბ.

რაგვარი? რანაირი?—ჰანუჟტუჟ, ჰანუჟტურ, ჰანუჟტუბ, ჰანუჟტუთ,— შრ. რ. ჰანუჟტიბ.

კ ა ნ კ ლ ე დ ო ბ ა

სახ. ბრ. ქჭირი,— ჰან(ი)

შრ. რ. ქუიბ

მიც. 1. ტხლას,-- ჰინის

მიც. ბრ. 2. ტხლარში,— ჰინირში

მოქმ. ბრ. ტხლილი,— ჰინი.

სახ. ბრ. ჰანნუჟ,— ჰანნურ,— ჰანნუბ.

მიც. 1. ჰანნუჟუს,— ჰანნუჟურმის,— ჰანნუჟის.

მიც. 2. ჰანნუჟურში,— ჰანნურშირში,— ჰანნუჟშირში.

მოქმ. ჰანნუჟუ,— ჰანნურში,— ჰანნუჟი.

შრ. რ.

სახ. ჰანნუთ.

ჰანნიბ

მიც. 1. ჰანნუთმის.

ჰანნიბმეს

მიც. 2. ჰანნუთშირში.

ჰანნიბმურში.

მოქმ. ჰანნუთმი.

(არქ. ე. ჯვ. 37-38).

თავი მამევესე

აღიუღური ნაცვალსახელები

§ 1. პირთა ნაცვალსახელები

ნხ. რ.	მრ. რ.
1. მე—ზუნ	ჩვენ—ჰინ (მე და ზენ, ან თქვენ), ჩინ
2. შენ—ტუნ	თქვენ—ჩუნ (მე და ის, ისინი)
3. ის—მე	ისინი—მურ.

პ. ნაცვალ. კანკლედობა

	მე	შენ	ის	ჩვენ	თქვენ	ისინი
სახ.	ზუნ	ტუნ	მე	ჰინ, ჩინ	ჩუნ	მურ
ნათ.	ზე	ტე	მინ	ჰე, ჩე	ჩე	მურინ
მაც. 1.	ზაჟ	ტაჟ	მიჟ	ჰეჟ, ჩაჟ	ჩეჟ	მურიჟ
მიც. 2.	ზის	ტახ	მის	ჰეხ, ჩახ	ჩეხ	მურიხ
მოქმ.	ზუნ	ტუნ	მი	ჰინ, ჩინ	ჩუნ	მური

(აღიუღ. ე. გვ. 19, 21).

§ 2. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

აღიუღურსაც კუთვნილებითი ნაცვალსახელებად პირთა და ჩვენებითი ნაცვალსახელების ნათ. მრ. ფორმები აქვს გამოყენებული. ამიტომ ჩემი იქმნება ზე, შენი—ტე, —მიხი—მინ, თინ, გინ, ლინ, —ჩვენი—ჰე და ჩე; —თქვენი—ჩე და იმათი—მურინ, თურინ, გურინ, ლურინ. არსებითი სახელების წინ ყველა შემოაღნიშნული კუთვნი. ნაცვალსახელები უცვლელია, ხოლო, თუ ცალკეულადაა ერთ-ერთი მათგანი ნახმარი, მაშინ ზედსართავ სახელებსავით მხ. რ. ში ჟ. მრ. რ. ში-კი ტყარ ბოლოსართი ემატება ხოლმე და ასეთ შემთხვევაში მას ზედსართავის მსგავსი კანკლედობა აქვს (აღიუღ. ე. გვ. 23).

§ 3. ჩვენებითი ნაცვალსახელები

აღიუღურს, სხვა ლეგურ ენებსავით საკმაოდ მრავალრიცხოვანი ჩვენებითი ნაცვალსახელები მოეპოვება, რომელთაგან ზოგი ადგილმდებარეობის გამომგლანებელი არის. აი აღიუღური ჩვენებითი ნაცვალსახელებიც:

ეს—მე, მრ. რ. მურ, — ის—თე, მრ. რ. თურ —

ის—გე, მრ. რ. გურ, —ლე, მრ. რ. ლურ. საგულისხმოა, რომ გე ამასთანავე ძირს-მყოფობასა, ლე-კი ზევით-მყოფობასაც გამოხატავს ხოლმე, მაგრამ ყოველთვის არა (აღიუღ. ე. გვ. 21).

ყველა ეს ნაცვალსახელები მიფითებითი შა ნაწილაკთან ერთადაც იხმარება: შამე, შათე, შავე და შალე-ს სახით (იქვე, გვ. 22). ყველა ჩვენებითს

ნაცვალსახელებს ვ. პ. ნაცვალსახელადაც ხმარობენ ხოლმე. როდესაც ეს ნაცვალსახელები არსებითს სახელებს მიუძღვიან ხოლმე, მაშინ მათი ფორმა სრულებით უცვლელი რჩება, მაგრამ, თუ ცალკეულად არის რომელიმე მათგანი ნახმარი, მაშინ მათ სათანადო ბრუნვები აქვთ ხოლმე (აღულ. ე. გვ. 21).

ჩვენი ნაცვალსახელების კანკლედობა

მხ. რ.	მრ. რ.	მხ. რ.	მრ. რ.
ეს—მე	მურ	ის — თე. თურ:	ის--გე გურ
ნათ. მინ	მურინ	თინ. თურინ.	გინ გურინ
მიც. 1. მიჟ	მურიჟ	თიჟ. თურიჟ.	ვიჟ გურიჟ
მიც. 2. მის	მურის	თის. თურის.	გის გურის
მოქმ. მი	მური	თი. თური.	გი გური

მრ. რ.

მხ. რ.	მრ. რ.
ის—ლე	ლურ
ნათ. ლინ	ლურინ
მიც. 1. ლურიჟ	ლურიჟ
მიც. 2. ლის	ლურის
მოქმ. ლი	ლური.

(აღულ. ე. გვ. 21).

ყოველი, თითოეული აღულურად არის ჰარ, — „ვინმე“-ს მნიშვნელობით-კი ერთი, სა, იხმარება. სხვახ სა(ს)რა, მრ. რ. სა(ს)დაჟურ ეწოდება. სურსურის წიშნავს „ერთმანერთს“, სასაივ-კი „ერთიერთმანერთზე“-ს.

(აღულ. ე. გვ. 25).

§ 4. უკუქცევითი ნაცვალსახელი

თითონ, თვით ნაცვალსახელის გამოსახატავად აღულურს აქვს უჩ, რომლის ნათ. ბრ. არის უჩინ, მიც. — უჩიჟ. ამ ნაცვალსახელის უკვე მოყვანილი ნათ. ბრ. უჩინ კუთვნილებითი ნაცვალსახელის თვისი-ს მაგივრადაც იხმარება (აღულ. ე. გვ. 25).

§ 5. კითხვითი ნაცვალსახელი

ვინ? აღულურად არის ჭიშ, მრ. რ. ჭიშარ, — ხოლო რა? — ჭი. აღსანიშნავია, რომ ჭიშ-ის ნათ. და ყველა დანარჩენი ბრუნვის ფორმები ჰანა-საგან არის ნაწარმოები და მას შემდგომი კანკლედობა აქვს:

მხ. რ.	მრ. რ.
სახ. ჭიშ	ჭიშარ
ნათ. ჰანან	ჰანარინ
მიც. 1. ჰანაჟ	ჰანარიჟ
მიც. 2. ჰანას	ჰანარის
მოქმ. ჰანა	ჰანარი

ნათ. ბრ. ზემომოყვანილი ორივე რიცხვის ფორმები **ჟ-ბოლოსართიანად**, **ჰანანჟ** და **ჰანარინჟ** კითხვით-კუთვნილებითი ნაცვალსახელი ვისი?-ს გამომხატველია (აღულ. ე. გვ. 24).

§ 6. აღულური ნაცვალსახელების ანალიზი

აღულური პ. ნაცვალსახელების ორივე რიცხვის 1. და 2. პ. ყველა სახელებს ზუნ, ჟუნ, ჰინ, ჩინ და ჩუნ-ს ის საერთო თვისება აქვს, რომ ბოლო-კიდურ ბგერად ნ მოუპოვება. უკვე ეს გარემოება ამ თანხმონის ბუნებას, არძირეულობასა და ფორმანტობას ამჟღავნებს. მაშასადამე, მათი ეტიმოლოგიის ძიების დროს ნ, ვითარცა ბოლოსართი, ძირისათვის ანგარიშ-გასაწევი არ არის.

აღულური პ. ნაცვალსახელების მრ. რ. 1. და 2. პ. ფორმები მხ. რ. ფორმებისაგან სრულდებით დამოუკიდებელივ ნაწარმოები ჩანს. თუ მათ ნ დაბოლოებას, ვითარცა არა-ძირეულს ბგერას, ჩამოვაცლით, 1. პ. ჰი და ჩი დაგვრჩება, 2. პ. ჩუ. როგორც უკვე ვიცით, ჰი მხოლოდ „მე და შენ“, ან „თქვენ“-ის გამომხატველია, ჩი-კი „მე და ის“, ან „ისინი“-საა. არც ჰი-სა და არც ჩი-ს მხ. რ.-ის არცერთი პირის ნიშნის (ზ, ჟ, შ) არავითარი კვალი არ ეტყობა და ეს გარემოება მათი წარმოშობილობის სხვაგნებურობას ამჟღავნებს.

გასაოცარია, რომ მრ. რ. 1. პ. ექსკლუზივს ფორმას ჩინ-სა და 2. პ.-ის ჩუნ-ს ძირად ერთი-და-იგივე ჩ ბგერა აქვს და მათ შორის განსხვავებას მხოლოდ ი და უ ხმოვანი შეადგენს. თანხმოვანი ელემენტის იგივეობა ამ ორი პირის სახელში მით უფრო მოულოდნელი იყო და გაუგებარიც არის, რომ ჩინ სწორედ „მე და ის“-ს, ანდა „ისინი“-ს აღმნიშვნელიც და ამიტომაც მეორე პირის იქ არავითარი კვალი არც შეიძლება და არც უნდა იყოს. ეხვეც უფრო მეტს საბუჯს გვაძლევს დავაკვნათ, რომ მრ. რ. 1. და 2. პირის ამ აღულურს ნაცვალსახელებს ძირეულად პირთა ნაცვალსახელებთან არ უნდა ჰქონდეს კავშირი.

თავი მეშვიდე

წახურული ნაცვალსახელები

წახურული ნაცვალსახელები არქულისა და აღულურისას კარგად უდგება, მაგრამ ზოგ რამეში მაინც განსხვავებულია. ამიტომაც მათი ცალკე განხილვა ვაშჯობინე.

§ 1. წახურული პირთა ნაცვალსახელები

	მე—ზგ	ჩვენ—უში
ნათ.	ჰიზდა, ჰიზცნ.	ჰიშშდა
მიც.	ზახ	უშახ
მოქ.	ზგ	უშე, უშან

შენ—ლუ

ნათ. ღიღნა, ღიღნ.

მიც. ჭახ

მოქ. ლუ

თქვენ—შუ

ჭუშდა

შუას

შუ

ის—მანა (მამრ., მდღერ. და პირუტყ.), მან (უსულო საგ.)

ისინი — მანბე (4-ივე სქეს-კატ), მიც. მანლუხ, მრ. რ. მანბიშის.

„სწორედ ეს“ — ინა (1, 2. და 3. სქ.), ინ (4-სქ.),-ჰანა, ჰაანა (1, 2. და 3 სქ.), ჰაან (4.), ჰამანა.

„იგივე“ — ჰინა (1, 2. და 3. სქ.), ჰინ (4. სქ.), — „ის“ — შენა (1, 2. და 3. სქ.), შენ, შენახა, შენხა (4. სქ.), — (ღირრის წახ. ე. გვ. 32, 35, 36) (4. სქ.), — ორივე შენ+სა-საგან არის შემდგარი და „ის ერთი“-ს აღმნიშვნელია.

იგივე წახურულად იქმნება ჰამანჯად (იქვე, გვ. 38), რომელიც „სწორედ ეს“-ის აღმნიშვნელია და ჰამან-ისა და ჯად-ისაგან შესდგება. უკანასკნელი თითონ-ს გამოჰხატავს, ამნაირად ჰამანჯად რომ სიტყვა-სიტყვით გადმოვტარ-თულოთ, „სწორედ ეს თითონ“-ს უდრის.

წახურული პ. ნაცვალსახელების 1. და 2. პ. ნათ. მრ. ფორმებია ფრიად საყურადღებო: 1. პ. ორივე რიცხვისას და 2. პ. მრ. რ. ფორმებს რომ თავში ღბ, ხოლო 2. პ. მრ. რ. ფორმას ჟუ აქვს თავშივე ამ უკანასკნელის ანალოგია მხოლოდ არქული 2. პ. მრ. რ. ნათ. მრ. ჟიშ-ხა და მიც. ბრ. ჟეჟ-ში მო-გვემოვება. ისევე, როგორც ეს ფორმები 1. სქეს-კატ. თავსართოვანს ფორმებს წარმოადგენს. წახურული ჟუშდა-ს ჟუ-ც ამავე თვისების თავსართი უნდა იყოს.

ამის შემდეგ თავისდა-თავად დაიბადება აზრი წახურული 1. პ. მრ. და მს. რ. და 2. პ. მს. რ. ნათ. მრ. თავკიდური ღი-ს ახეთივე წარმოშობილების შესახებ. თუ ეს მოსაზრება მკდარი არ არის, მაშინ აქ უნდა წახურულში ოდენდაც არსებულად მდღერ. სქ. ღ ნიშანი გვეტონდეს დაცული, ცხადია, რომ წახურულს, წინათ 1. და 2. სქეს-კატეგორიებს გარდა დანარჩენიც ექმნებოდა.

ახეთი წახურულად იქმნება მახურნა, ანდა მახორნა (1. სქ.), — მახერნა (2. სქ.), — მახუბნა, ანდა მახობნა, (3. სქ.), — მახდენ (4. სქ.). — მრ. რ. მახბუნ, ან მახბენ (1 და 2 სქ.) და მახდუნ, მახდენ (3 და 4 სქ.).

ად. ღირრის სიტყვით, ზემოთხსენილი ფორმები შესდგება ჩვენებითი ნაწილაკი მა-ს და ზ ძირისაგან, რომელსაც გვარის, ანდა ხარისხის მსგავსი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს. ამ ორ ნაწილს სათანადო სქეს-კატეგორიის ნიშანი და დაბოლოება (ნა, ნ) ერთვის (წახ. ე., 38).

§ 2. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

ჩემი — ღიღდა (1, 2 და 3. სქ.), — ღიღინ, ან ღიღენ (4 სქ.), — მრ. რ. ღიღენ (1 და 2 სქ.), ღიღდი (3 და 4 სქ.).

შენი — ღიღნა (1, 2, 3), — ღიღენ, (4), — მრ. რ. ღიღენ (1 და 2), — ღიღნი (3 და 4).

ჩვენი — ღიღდა (1, 2, 3), — ღიღინ (4), ანდა ღიღენ, — მრ. რ. ღიღენ (1 და 2), ღიღდი (3 და 4).

- ტყვენი — ტუშდა (1, 2, 3), — ტუშენ (4), — მრ. რ. ტუშენ (1 და 2), ტუშდი (3 და 4).
- მიხი (1 სქ.) — მანლუნა (1, 2, 3), — მანლუნ (4), — მრ. რ. მანლუნ (1 და 2), მანლუნი (3 და 4).
- მიხი (2 სქ.) — მანლენა (1, 2, 3), — მანლენ (4), — მრ. რ. მანლენ (1 და 2), მანლენი (3 და 4).
- მიხი (3 და 4 სქ.) — მანჩინა (1, 2, 3), — მანჩინ (4) — მრ. რ. მანჩინ (1 და 2), მანჩინი (3 და 4).
- მათი (1, 2, 3 და 4 სქ.) — მანბიშდა (1, 2, 3), — მრ. რ. მანბიშენ (1 და 2), მანბიშდი (3, 4).
- იმიხი (1 სქ.) — შენლუნა (1, 2, 3), — შენლუნ (4), — მრ. რ. შენლუნ (1 და 2), შენლუნი (3, 4).
- იმიხი (2 სქ.) — შენლენა (1, 2, 3), — შენლენ (4) — მრ. რ. შენლენ (1 და 2) შენლენი (3 და 4).
- იმიხი (3 და 4 სქ.) — შენჩინა (1, 2 და 3), — შენჩინ (4), — მრ. რ. შენჩინ (1 და 2), შენჩინი (3 და 4).
- იმათი (1, 2, 3 და 4 სქ.) — შენბიშდა (1, 2, 3), — შენბიშინ (4), — მრ. რ. შენბიშინ (1 და 2), შენბიშდი (3, 4).
- თვისი (1 სქ.) — ჯუნა (1, 2, 3) — ჯუნ (4), — მრ. რ. ჯუნ (1 და 2), — ჯუნი (3 და 4).
- თვისი (2 სქ.) — ჯენა (1, 2, 3), — ჯენ (4), — მრ. რ. ჯენ (1 და 2), — ჯენი (3 და 4).
- თვით მათი (4 სქ.) — ჯუნანა (1, 2, 3), — ჯუნან (4), — მრ. რ. ჯუნან (1 და 2), — ჯუნანი (3 და 4).

ამ კუთვნილებითი ნაცვალსახელების კანკლედობას ის თავისებურება ემჩნევა, რომ ნათ. და დანარჩენ ბრუნვებში ფუძედ სახ. ბრუნვის მეოთხე სქეს-კატეგორიის ფორმაა მიჩნეულა, მას ჯერ ლუ (1 სქ.), ან ლე (2 სქ.), ანდა ჩი ერთვის (3 და 4 სქ.), ხოლო შემდეგ სათანადო ბრუნვის ნიშანი, მაგ. ჩეჰისა (1 სქ.) აიზუნლუნ, მიც. ჩემსას აიზუნლუნს. ჩეჰისა (2 სქ.) აიზუნლენ, მიც. აიზუნლენს და სხ. (წახ. ე. გვ. 44—47).

§ 3. უკუქცევითი ნაცვალსახელები

თითონ-ის ცნების გამომხატველი წახურულში ჯ ბგერაა, რომელსაც სათანადო სქეს-კატეგორიის თავსართოვანი ნიშანი ერთვის. ამიტომაც 1. სქ. თითონ იხმარება ტუუჯ, 2 სქ.—დიჯ, 3 სქ.—ვუჯ. ამ ფორმებს მაშინ ხმარობენ, როცა ეს ნაცვალსახელი ცალკეულადაა, მაგრამ წახურულს ამავე ცნების გაშლისარკვევად ჯ ძირისაგან ნაწარმოები ბოლოსართებიც მოეპოვება. დამახასიათებელია, რომ ამ ბოლოსართებსაც ახლავს ხათანადო სქეს-კატეგორიის გამომხატველი ელემენტი, მაგრამ წინანდებურად თავსართისა-კი არა, არამედ უკვე ბოლოსართების სახით. ასე ნაწარმოები თითონ-ის აღმნიშვნელი ფორმანტი, ან პირთა ნაცვალსახელებს, ანდა თვით ტუუჯ, დიჯ, ვუჯ-ს, ე. ი. თი-

თონ-ს ერთვის ბოლოსართად. ასეთ ბოლოსართად 1. სქ.-ისთვის არის — ჯარ, 2 სქ. — -ჯერ, ანღა -ჯვრ, 3 სქ. — -ჯაბ და 4 სქ. — -ჯად. შრ. რ. -ჯაბ (1 და 2 სქ.) და -ჯად (3 და 4 სქ.). ამნაირად მე თითონ იქმნება ზგ უჭუჯ-ჯარ (1 სქ.), ზგ არჯჯვრ (2 სქ.), უჭუჯჯაბ (3 სქ.).

ცალკეული თითონ-ის კანკლედობა:

1 სქ. უუჯ	2 სქ. აიჯ	3 სქ. ვუჯ.
მიჯ. ჯოახ, ჯუახ, ჯუს.	ჯეხ	
მოქმ. უუჯვ	აიჯვ.	

(წახ. ე. გვ. 40-41).

უჭუჯუჯითი თითონ ნაცვალსახელის ორი შემთხვევანილი სახესხვაობა ორი თვალსაზრისითაა საყურადღებო: ჯერ ერთი იმით, რომ თითონ-ის ცნების გამომხატველად მთლიანი ხიტყვის მაგიერ მხოლოდ ერთი ჯ ბგერა ღაა შერჩენილი, და ანას ვარდა იმ თვალსაზრისითაც, რომ ცალკეული თითონ ნაცვალსახელის უუჯ, აიჯ, ვუჯ ფორმებს სქეს-კატეგორიის ნიშნებად 1. სქეს-კატეგორიისათვის უუ თავსართი აქვს, 2 სქეს-კატეგორიისათვის-კი აი. თანამედროვე წახურულს თავსართთვანი სქეს-კატეგორიის ნიშნები მხოლოდ ზმნის ფორმებში-ღა აქვს შერჩენილი, არსებითსა და ზედსართავს სახელებსა და რიცხვითს სახელებში, ზმნისზედასა და თანდებულებში-კი ბოლოსართოვანი წარმოებაა გაბატონებული. ამაზე უფრო საყურადღებოა, რომ მეტყველების უვლღა ამ ნაწილებში 1. და 2 სქეს-კატეგორიებს ნიშნად რ ბოლოსართია, 3-ისა ბ და 4-ისა ღ. თითონ-ის ცალკეულს ფორმებს-კი, როგორც დავრწმუნდით, 1 სქეს-ისათვის უუ თავსართი, 2 სქ-თვის-კი აი თავსართი აქვს. ცხადია, რომ ამ ცალკეულს ნაცვალსახელს სქეს-კატეგორიების ნიშნებიც უფრო ძველი აქვს დაცული და წარმოების წესიც უფრო ადრინდელი შეუნარჩუნებია, ვიდრე ბოლოსართ ფორმანტებს ჯარ-სა და დანარჩენ სქეს-კატეგორიებს.

§ 4. კითხვითი ნაცვალსახელები

გინ? — ჰაშუჭნა, ჰაშუჭნვ, შრ. რ. ჰაშუჭტნა, რომლის მიც. ბრ. შაჭუჭ(ღვ) არის და დანარჩენს ბრუნვებსაც შაჭუჭ ძირი აქვს.

რა? — (ჰუ)ჯონვ, (აუ)ჯონვ, (უ)ჯონვ, უჯონ (4 სქ.), რომლის მიც. ბრ. ნიშისგნვ არის და დანარჩენი ბრუნვებიც ნიში-საგანაა ნაწარმოები.

რანაირი? — ნვჭონა (1 სქ.), — ნვჭერნა, ანღა ნვჭერნა, — ნვჭობნა, ანღა ნვჭობნა (3 სქ.) და ნვჭდინ (4 სქ.), — შრ. რ. ნვჭგნ (1 და 2 სქ.) და ნვჭდინ (4 სქ.). დანარჩენი ბრუნვები ამ ნაცვალსახელს ნენანვ (1, 2 და 3 სქ.) და ნენ (4 სქ.) ნაცვალსახელისაგან აქვს, რომელიც რანაირი?-ს, რი გორი?-ს, რომელი?-ს აღმნიშვნელია (წახ. ე. გვ. 39). ამ ნაცვალსახელის კანკლედობის თავისებურობას-კი ის შეადგემს, რომ ნენ ფუძესა და ნა-დაბოლოებას შორის 1. სქ. ღუ, 2. სქ. ღე, ხოლო 3. და 4. სქ. ნი მარცვლები ჩნდება.

ად. დირჩი ამბობს, რომ შემთხვევანილი ნაცვალსახელების ნვ კითხვითი ნაწილაკია, ხჭონა-კი იმავე ელემენტებისაგან შესდგება, რაც შაჭურნა-შია, მაგრამ ღ სა და ჩი-ს რაობა განმარტებული არა აქვს (იქვე, გვ. 39).

ნაცვალსახელებზე მსჯელობის დამთავრებისას, ად. დირრს შემდეგი შენიშვნა მოეპოვება: აქამდის კიდევ ერთი ნაცვალსახელის შესახებ-ლა არ გვქონია საუბარი, რომელიც თითქოს ჩ-ფუძისაგან უნდა იყოს წარმომდგარი. მე მხოლოდ შემდეგი მისი ფორმები ვიცი: ჩის, ჩისხს, ჩილჰ, ჩილ, ჩინა, ჩინ, ჩინი. მაგრამ ისინი მე მხოლოდ მანჩინა, მანჩინ და სხ. ნაცვალსახელის შემოკლებულ ფორმებად მიმაჩნია ისევე, როგორც ქართულად ხალხი „მოდი“-ს მაგიერ „მო“-ს ხმარობს ხოლმე, მაგრამ ეგების ეს ჩემი მოსაზრება სრულიად უსაფუძლოა (წახ. ე. გვ. 50). დირრს აქ განმარტებული არა აქვს ამ ჩინ „ნაცვალსახელის“ მნიშვნელობა, თავის ლექსიკონში-კი „ჩის“ შეტანილი არა აქვს, არამედ „ჩისხა“, ჩისხს, ჩილ“ და მის მნიშვნელობად დასახელებულია „ამიტომ“ („ИТОМУ“) და აქვე მითითებული აქვს: შეადარე კუთვნილებითი ნაცვალსახ. ბოლოო (წახ. ე. გვ. 214), სადაც როგორც მკითხველი დარწმუნდებოდა, ადამიანი ვერავითარ განმარტებას ვერ იპოვის.

ად. დირრის შემომოყვანილი მოსაზრება, რომ მართლაც მცდარია, შესაძლებელია თვით დირრის ჩანაწერებითაც დამტკიცდეს. მას რომ თავისივე მასალები გადაეკითხა, დარწმუნდებოდა, რომ ჩ-ფუძე მარტო მანჩინა-ში („მისი“-კი არა გვხვდება, არამედ ბევრგან სხვაგანაც, მაგ. შენჩინა-სა, ნენჩინა-სა, სარენჩის-სა და საერთოდ-კი ყველგან 3 და 4 სქეს-კატეგორიების ნათ. და სხ. ბრუნვების ფორმებში. თუნდაც ამ გარემოებითგანაც ჩანს, რომ აქ მარტივ მოვლენასთან-კი არა, არამედ საყურადღებო საკითხთანა გვაქვს საქმე.

წახურული ნაცვალსახელი სანასანდურ, რომელიც ურთიერთ-ს, ანუ ერთ-მანერთსა ნიშნავს, ერთის სახელის სა-საგან არის ნაწარმოები (წახ. ე. გვ. 44). მაგრამ იგი იმ მხრივაც საყურადღებო, რომ მისს ორნაწილედს აგებულებას სანს-სა და სანდურ-ს, წახურული მართი-ს სხვაგან უცნობი ფორმა აქვს დაცული. მართლაც, ამ ნაცვალსახელის მეორე ნაწილი სანდურ 1-ის ნათ. ბრ. ფორმაც, სანა-კი, ცხადია, სახ. ბრუნვა უნდა იყოს და მთლიანად სანასანდურ თავდაპირველად „ერთ-ერთის“, ანუ „ურთიერთის“ აღმნიშვნელი ყოფილა. თანამედროვე წახურულს მართის სახელად, ან სბ აქვს, ანდა საგნების დაუსახელებელივ მვლნის დროს, ორი ფორმა სბ და სბდ არის ხოლმე მიღებული (წახ. ე. გვ. 51 და 52). ამ შრთიმართის წახურულს სახელში-კი მართის სულ სხვა სქეს-კატეგორიის სანდ ფორმა გვაქვს დაცული. ეს იმიტომაც არის საგულისხმო, რომ ნ სქეს-კატეგორიის ნიშნად თანამედროვე წახურულს არსაღ-და უჩანს.

თავი მერვე

რუთულური ნაცვალსახელები

რუთულურში, საკუთრივსა და აღგილობრივს გარდა, შინაშური კილოც არსებობს, რომელიც ზოგი რამით განსხვავდება. ქვემომოყვანილს ცნობებში ში (შ.)-ით აღნიშნული ფორმა სწორედ შინაშურს კილოსას გულისხმობს.

§ 1. პირთა ნაცვალსახელები

- | | |
|-----------------------------|-------------------------------|
| 1. „მე“ — ზგ, ზუ, — ზგ (შ.) | 2. შენ — ჭგ, ჭუ, უ, — ლუ (შ.) |
| ნათ. (ა)ზღგ, — იზღგ (შ) | ნათ. უღგ, — ჭუღგ (შ.) |
| მიც. ზახ, — ზახ (შ) | მიც. ჭახ, — ჭახ (შ.) |
| მოქმ. ზა(ღ), — ზგჲ (შ.) | მოქმ. ჭა(ღ), — ლუჲ (შ.) |
3. ის — ჰა (ღ) 1 და 2 სქ.
- | | | | |
|-------------|---|---|------------------------|
| ნათ. ჰანღგ | „ | „ | , — ჰანღღ (3 და 4 სქ.) |
| მიც. ჰანიის | „ | „ | , — ჰანღის „ |
| მოქმ. ჰანია | „ | „ | , — ჰანღირჲ. |

პრ. რ.

1. ჩვენ — ძა, — უი (შ.)
- | |
|-----------------------------------|
| ნათ. — ძიტგ, ძიჰღგ, — იშღგ (შ.) |
| მიც. — ძახ, — უეხ (შ.) |
| მოქმ. — ძა(ღ), — უიი (შ.) |
2. თქვენ — ვა, — უუ (შ.)
- | |
|---------------------------|
| ნათ. — ჭუბტგ, — უშღუ (შ.) |
| მიც. — ვახ, — უუეხ (შ.) |
| მოქმ. — ვა(ღ), — უუჲ (შ.) |
3. ისინი — ჰანბურ (1 და 2 სქ.)
- | | | | |
|----------------|---|---|----------------------------|
| ნათ. — ჰანბიტგ | „ | „ | , — ჰანბღღ (3 და 4 სქ.) |
| მიც. — ჰანბიხგ | „ | „ | , — ჰანბიხგ „ |
| მოქმ. — ჰანბიშ | „ | „ | , — ჰანბგრა, — ჰანბრა (შ.) |

(რუთ. ე., გვ. 35-36 და 37).

რუთულური პ. ნაცვალსახელების კანკლედობის განზილვისას უნდა გვაჩხოვდეს, რომ ნათ. ბრ. თავისებურება აქვს იმ მხრივ, რომ მას ნათ. ბრ. ნიშნად ღგ (ტზ) და დ ბოლოსართი მოეპოვება, დანარჩენ კვრულ ენათა ნ ფორმანტის მაგიერ, მაგ. შაშა რუთულურადაა დიდ, მამის—დიდტგ, დედა — ნინ, დედის — ნინღგ, (რუთ. ე. გვ. 6-7). აღ. დირ რს აღნიშნული აქვს, რომ რუთულურში ღგ (ტგ) ზედსართავი სახელების ფორმანტიც არის და ამიტომაც ფიქრობდა, რომ ნათ. ბრ. ფორმა არსებითად ზედსართავიან (იქვე).

§ 2. რუთულური კუთვნილებითი სახელები

- | | |
|--|--|
| ჩემი — (ა)ზღგ, — იზღგ (შ.) | ჩვენი — ძიჰღგ, ძიტგ, — იშღგ (შ.) |
| შენი — ვუღგ, — ჭუღგ (შ.) | თქვენი — ჭუბტგ, — უშღუ (შ.) |
| მისი — ჰანღღგ (1 და 2 სქ.), ჰანღღ (3 და 4 სქ.) | ისათი — აბიშტგ (1 და 2 სქ.)
ჰანბღღ (3 და 4 სქ.) |

(რუთ. ე. გვ. 46).

§ 3. რუთულური ჩვენებითი ნაცვალსახელები

3. 3. ნაცვალსახელად მიჩნეულს შა-ს გარდა, რუთულურს ჩვენებითი ნაცვალსახელებად კიდევ ში და თი-ც აქვს. ამათგან ში ნიშნავს „ეს“-ს, თი-ცი „ის“-ს. ორივე შე-სთან შერწყმითაცა და ცალკეულადაც იხმარება.

ჩვენებითი ნაცვალსახელების კანკლედობა.

1 და 2 სქ.	3 და 4 სქ.	1 და 2 სქ.	3 და 4 სქ.
„ეს“ — (შე)ში(დ)		„ესენი“ — (შე)შიბურ	
ნათ. — (შე)შინიღ	(შე)შილიდ.	(შე)შიბიშტვ.	(შე)შიშვდ
მიც. — (შე)შინიის	(შე)შიდიის.	(შე)შიბიშის,	(შე)შიშვბ
მოკმ. — (შე)შინიან	(შე)შიდიან.	(შე)შიბიშან,	(შე)შიშვრან.
1 და 2 სქ.	3 და 4 სქ.	1 და 2 სქ.	3 და 4 სქ.
„ის“ — (შე)თიდ		„ისინი“ — შეთიბურ	
ნათ. — (შე)თინიღ	შეთინდიდ.	შეთინბიშტვ.	შეთინშვდ
მიც. — შეთინიის	შეთინდიის	შეთინბიშის,	შეთინშვბ
მოკმ. — შეთინიან	შეთინდიან.	შეთინბიშან,	შეთინშვრან

(რუთ. ე. გვ. 38-39).

ის ნაცვალსახელი შა და შასთან ერთად შერწყმული „ერთის“ აღმნიშვნელი სა(დ), შახა(დ), ისევე როგორც შახა(დ)ბურ „ესეთი“-ს გამომხატველი (იქვე გვ. 39).

§ 4. უკუქცევითი ნაცვალსახელები

უკუქცევითი ნაცვალსახელი თითონ რუთულურად ჯ ზგერთ გამოიხატება. მას მხოლოდ სათანადო სქეს-კატეგორიის თავსართიანი ნიშანი აღსავს ხლმე და ამიტომაც თითონ 1. შამრ. სქესის გონიერი არსების აღმნიშვნელი იქმნება უუჯ, -2. დედრ. სქ. გონიერი არსების აღმნიშვნელი რუჯ, -რიჯ (შ), -3. პირუტყ. სქ. — უჯ(შ), (შ). და 4 სქ.-გ. — აიჯ (შ.). საფურადლებოა, რომ კანკლედობაში ეს სქეს-კატეგორიის თავსართები ქრება და მხოლოდ ძირი-ლა რჩება, სახელდობრ:

სახ. უუჯ, — ნათ. უუჯუ, ანდა უუჯდუ, — მიც. უუს, ანდა უუჯუს, — მოკმ. უუ, ანდა რიჯ, მიც. უის, მოკმ. უის, — შრ. რ. სახ. უუერ, მიც. უუს და მოკმ. უუ (რუთ. ე. გვ. 44).

თითონ ნაცვალსახელის სქეს-კატეგორიების ფორმები ფრიად ხაყურადღებოა იმიტომ, რათგან თანამედროვე რუთულურს 1 სქეს-კატეგორიისათვის ნიშნად უ ზგერა-კი არა აქვს, არამედ რ. შესამე კარის შემდგომ უკვე ვიცით, რომ შამრ. სქესის ძირითადი და თავდაპირველი ნიშანი სწორედ უ არის და ამიტომაც ცხადი ხდება, რომ რუთულურს თითონ-ს სქეს-კატეგორიების ძველი ნიშანი კარგად შეინია დაცული.

§ 5. კითხვითი ნაცვალსახელები

„ვინ?“ — ჟუშ, უშ(ი), — „რა?“ — შიჟ, შივ.

„რომელი“ — შუღვ, — „რანაირი?“ — შრლღვ.

„ვინ?“ ნაცვალსახელის ნათ. და დანაოჩენი ბრუნველის ძირი ჟუშ-ისგან სრულდებით განსხვავებული შალ-ია. ხოლო „რა?“-სი, შიჟ და შივ-ისაც — ში. ამიტომაც ვისი იქნება შალღვ, ვის — შალვს, ვისით — შალ. ანნაირაღვე, რით შიღვარა (რუთ. ე. გვ. 41).

თავი მეცხრე

კვრული ნაცვალსახელები

§ 1. პირთა ნაცვალსახელები

კვრულს პირთა შემდეგი ნაცვალსახელები ახალია:

მხ. რ.	მრ. რ.
შე — ზუნ	ჩვენ — ჩუნ
შენ — ჟუნ	თქვენ — ჭბუნ.
ის — ამ, ამა.	ისინი — აბურ.

(უსლ. კვრ. ე. 59).

კვრული ნაცვალსახელების კანკლედობა

შე	ჩვენ
სახ. ზუნ	ჩუნ
ნათ. ზინ, ზი	ჩინ, ჩი
მიც. ზაზ	ჩაზ
მოქმ. ზა	ჩინა
შენ	თქვენ
სახ. ჟუნ	ჭბუნ
ნათ. ჟინ, ჟი	ჭბინ, ჭბინ
მიც. ჟაზ	ჭბაუენ.
მოქმ. ჟუნა, ნა	ჭბუნე
ის	ისინი
სახ. ამა, ამ	აბურ
ნათ. ადან, ადა	აბურუნ, აბურუ
მიც. ალაზ	აბურუზ
მოქმ. ადა	აბურუ

(კვრ. ე. 59).

ზემომოყვანილითგან ჩანს, რომ კვრულს პირთა ნაცვალსახელებს ყველა ბრუნვებში ძირისა, თუ ძირად მიჩნეული ელემენტის მთლიანობა შკაცრად აქვს დაცული.

მხ. და მრ. რ. 1 და 2 ბ. ნაცვალსახელებს კვრულშიც ყველას ბოლო-კიდურ ბგერად ნ აქვს (ზუნ, უუნ, ჩუნ და ქზუნ) და იმავე დროს მხ. რ. და მრ. რ. ნაცვალსახელება ბგერითი შედგენილობით ერთიმეორისაგან განირჩევიან. თანხმოვნები სხვა და სხვაა და მხოლოდ მომდევნო ხმოვანი უ აქვთ მათ საერთო. ამიტომაც 1. და 2. პ. მხ. და მრ. რიცხვების ფორმები სხვა და სხვა ძირის სიტყვებად მოჩანს და ბოლოკიდური ნ-ც, ცხადია, ძირეული-კი არა, არამედ მაწარმოებელი ელემენტია.

§ 2. ჩვენებითი ნაცვალსახელები

კვრულს ჩვენებითი ნაცვალსახელები ბლომად მოეპოვება, რათგან ზოგი მათგანი ადგილმდებარეობის მაუწყებელიც არის. ი, ა, ათა, ფანი, ალა და შა იხმარება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჩვენებითი ნაცვალსახელი არსებითს სახელს მიუძღვის ხოლმე წინ. ცალკეულად შემდეგს ხმარობენ: იმი — ეს, — შა — ის, — ათაშა — ის შორეული, — ფანიშა — ის ზევითი, — ალაშა და აშაშა — ეს ქვეითი (კვრ. ე., გვ. 69).

როდესაც ჩვენებითი ნაცვალსახელი არსებითს სახელს მიუძღვის წინ, მაშინ იგი უცვლელი რჩება, ცალკეულად ნახმარს-კი შემდეგი ბრუნვებიანი კანკლედობა აქვს:

მხ. რ.						
სახ.	იმი	შა	ათაშა	ფანიშა	ალაშა	შაშა
ნათ.	ილა(ნ)	შლა(ნ)	ათაშლა(ნ)	ფანილა(ნ)	ალაშლა(ნ)	შალა(ნ)
მიც.	ილაზ	შლაზ	ათაშლაზ	ფანილაზ	ალაშლაზ	შალაზ
მოქმ.	ილა	შლა	ათაშლა	ფანილა	ალაშლა	შალა

მრ. რ.						
სახ.	იბურ	შბურ	ათაშბურ	ფანიშბურ	ალაშბურ	შაშბურ
ნათ.	იბურუნ	შბურუნ	ათაშბურუნ	ფანიშბურუნ	ალაშბურუნ	შაშბურუნ
მიც.	იბურუნ	შბურ	ათაშბურუნ	ფანიშბურუნ	ალაშბურუნ	შაშბურუნ
მოქმ.	იბურუნ	შბურუნ	ათაშბურუნ	ფანიშბურუნ	ალაშბურუნ	შაშბურუნ

(კვრ. ე., გვ. 69).

ზემომოყვანილი კანკლედობითგან ცხადი გახდება ყველასთვის, ვინც იქ მოყვანილს ფორმებს ჩაუყვირდება, რომ ში და შბ ნაწილაკი მხ. რ. სახ. ბრუნვის გარდა არც ერთს სხვა ბრუნვაში ალარა ჩანს, მრ. რიცხვში, არამცთუ დანარჩენ ბრუნვებს, სახ. ბრუნვასაც კი არა აქვს. მათ მაგიერ ყველგან მხ. რიცხვში ღბ ძირი ჩნდება, მრავლობითში-კი ბშ ძირია. არც ერთი ამათგანი ცალკეულად კვრულში, უსლარის ცნობებით მაინც, არ ჩანს და მათი რაობა გამაურკვეველია.

რში, ამა, ათაშა და შაშა ფორმებს უმთავრესად მაშინ ხმარობენ, თუ რომ ცალკეულადაა, ანდა წინადადების ბოლოშია მოქცეული, ჩვეულებრივ-კი უფრო უბოლოოციდურო-სნოვნოდ იხმარება იმ, აშ, ათამ და შაშ-ის სახით (კვრ. ე. გვ. 70).

შა ნაწილაკი ზემოხსენებულს, ზემოაღნიშნულს, ნაჩვენებს გამოხატავს ხოლმე (იქვე, გვ. 72).

§ 3. უკუქცევითი ნაცვალსახელები

უკუქცევითი ნაცვალსახელი 1. და 2. პირისა ორივე რიცხვისათვის უუჟ-ია, რომელსაც ნათ. ბრ. იქეს უუჟ-ან, მიც. უუჟან და მოქ. უუჟან. მაგრამ ამ უკუქცევითი ნაცვალსახელის მაგიერ შესაძლებელია პირთა ნაცვალსახელების ზუ, უუ ზუ, კოუ-ს სათანადო ფორმაც იყოს გამოიყენებული, მაგ. „მე თვით ჩემი და მიკვარს“ კვრულად შესაძლებელია ასეც ითქვას: „ზაზ უუჟან ჟაზ კანდა“ და ასეც „ზაზ ზი ჟაზ კანდა“ (კვრ. ე. გვ. 65), ე. ი. მეორე შემთხვევაში „მე თითონ“-ის („ზაზ უუჟან“) მაგიერ უკვე 1. პ. ნაცვალსახელის ორმაგი ფორმა („ზაზ ზი“) „მე ჩემი“-ა ნაბმარი და უკვე 1. პ. კუთვნილებითს ნაცვალსახელადაა გამოყენებული.

უკუქცევითი ნაცვალსახელი 3 პირის თითონ, თვით-კი კვრულად არის ჟუჩ, რომლის ნათ. ბრ. ჟიჩინ, მიც. უიჩინ, მოქმ. ჟიჩინ, ხოლო მრ. რიცხვის ფორმად-კი უკვე არის ჩეზ, ნათ. ჩიპინ, მიც. ჩიპან, მოქმ. ჩიპინ (კვრ. ე. გვ. 68-69).

§ 4. კითხვითი ნაცვალსახელები

ვინ? — ჟუჟ, რომლის ნათ. ნინ, მიც. ნიზ, მოქმ. ნი, მრ. რ. ჟუჟარ ძალიან იშვიათად იხმარება, — რა? — ჟუჩ, რომლის ნათ. კუნ, მიც. კუნ, მოქმ. კუნთ არის. რომელი? — ში, მრ. რ. შიბურ. ცალკეულად ხმარებისას შიში-ა პოლებული (იქვე, გვ. 75 და 77).

თავი მათე

თაბასარანული ნაცვალსახელები

თაბასარანული ნაცვალსახელები აქამდე განხილულს კვრულს, ილულურს, რუთულურსა და სხ. უმქიდროესად ენათესავენ, მაგრამ ზოგი საყურადღებო თავისებურებაც აქვს, რომელიც ცალკეულად განხილვას უფრო მიზანშეწონილად ზღის.

§ 1. თაბასარანული პირთა ნაცვალსახელები

მე — აჟუ

შენ — ივუ

ის — დუჟუ

ჩვენ — იჟიუ (მე და ის), იჩუ (მე და შენ).

თქვენ — იჩიუ

ისინი — დუჟრე

პ. ნ. კანკლედოვა

	მე	შენ	ის	
სახ.	იზუ	ივუ	დუმუ	
ნათ.	ააზ	აავ	დოლან	
მიც.	იზუზ	ივუზ	დოლაზ	
მოქმ.	იზუ	ივუ	დოდუ(ო)	
	ჩვენ			თქვენ
სახ.	იპიუ (მე და ის, ისინი)	იჩუ (მე და შენ, თქვენ)		იჩუ
ნათ.	იპი	იჩ		იჩ
მიც.	იპიუზ	იჩუზ		იჩუზ
მოქმ.	იპიუ	იჩუ		იჩუ
	ისინი			
სახ.	დუყრე			
ნათ.	დუყარინ			
მიც.	დუყარის			
მოქმ.	დუყარი			

(თაბ. ე., გვ. 33).

თაბას. ზემომოყვანილი პ. ნაცვალსახელების განსხვავებულ თვისებას ერთი მხრით ის შეადგენს, რომ არც ერთს მათგანს ბოლოში ნ არა აქვს. ამით ისინი კვრულისა, აღულური, ჯეკური, ბუდუხური, არქული და უდური (მე-ს გარდა) პ. ნაცვალსახელებისაგან განირჩევიან და სამაგიეროდ რუთულურსა და წახურულს მიაგვანან. მაგრამ ეს განსხვავება სხვა ენებისაშიც გვხვდება და იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, როგორც მეორეა.

თაბასარანული ნ. მეორე და საყურადღებო თავისებურობას ის გარემოება წარმოადგენს, რომ 1. და 2. პ. მზ. და მრ. რ. პ. ნაცვალსახელები ყველა ი ხმოვნით იწყება. არაფერი ამის მხგავსი არამც თუ ხინდურ-ლიდლურს ენებში, არამედ თვით ლეგურ ენათა დუნძურ-ანდი-დიდოურსა და დუმუქურს შტაბშიც არა გაქვს. მეტის თქმაც შეიძლება: ბუდუხური, ზინალულური და უდურის მრ. რ. 1. პ. გარდა, ი-თავკიდურიანი პ. ნაცვალსახელები არც ენათა კვრულ შტოს მოეპოვება. ეს გარემოება თაბასარანული ნაცვალსახელების ამ თავისებურებას შით უფრო საყურადღებოდ ხდის. რაკი თავკიდური ი ორივე რიცხვის ორივე პირის ფორმებს აქვს, ცხადია, რომ შეუძლებელია ეს მოვლენა შემთხვევითი იყოს, მაგრამ მარტო თაბას. მასალებით ამ თავკიდური ი-ს რაობას ვერ გამოვარკვევთ და ამიტომაც ამ საკითხის განხილვა უნდა შემდეგისათვის გადავდოთ.

თაბას. პ. ნაცვალსახელებს კანკლედოვაში ძირის მთლიანობა აქვთ დაცული. ამას გარდა აღსანიშნავია, რომ პ. ნაცვალსახელს გარდა, 1. და 2. პ. მზ. და მრ. რ. ნაცვალსახელების ფორმებს ხაერთო არა უჩანთ რა. სამაგიეროდ მრ. რ. 1. პ. მე და შენის, ანდა თქვენის აღმნიშვნელი ფორმა იჩუ ამავე რიცხვის 2. პ. იჩუ-ს გასაოცრად მიაგავს, რათგან ერთად-ერთს შით განმასხვავე-

ბელს მარტო თქვენ-ის ჩ-ს ლაბიალობა შეადგენს. ძნელი დასაჯერებელია, რომ ეს მსგავსება შემოხვევითი იყოს და ამიტომაც ამის გამორკვევაც საჭიროა, მაგრამ ესეც სხვა ენოვანი მასალების გამოუყენებლივ შეუძლებელია.

§ 2. კუთვნილებითი ნაცვალსახელები

თაბასარანული კუთვნილებითი ნაცვალსახელებიც პ. ნ. ნათ. ბრ. ფორმებს წარმოადგენენ, შავ. ჩემი არის ააზ, შენი — აავ, მისი — დოდან, ჩვენი — იპა (ჩემი და მისი, მათი) და იჩ (ჩემი და შენი, თქვენი), თქვენი — იჩა, იმათი — დუყარინ. (თაბ. ე. გვ. 35—36).

§ 3. თაბასარანული ჩვენებითი ნაცვალსახელები

თაბასარანულს ბევრი ჩვენებ. ნაცვალსახელები აბადია, მაგრამ ყველა მათგანის ძირითადს, საერთო ნაწილს მუ მარცვალი შეადგენს. ამ ნაწილაც, ან პოლოში, ანდა თავში კიდევ ერთვის ხოლმე მარცვალი, რომელიც მნიშვნელობას ვანსხვავებულ ელფერს ანიჭებს ხოლმე. ამნაირად აქვს თაბასარანულს ჩვენებითი ნაცვალსახელების უხვი მარაგი შექმნილი.

ზოგადად, აღვიღმდებარეობის ვანუსაზღვრულად, პ. პ. შაჩვენებელ ნაცვალსახელად თაბასარანულს დუ აქვს, რომელიც გამურჩველად ესე-საკა და ისი-ს აღმნიშვნელიც არის. როცა ძლიერი მახვილით ითქმის ხოლმე, მაშინ დუ-ს მაგერ დუ ისმის.

მუ-კი ანლობელობის გამომხატველია, ესე-ს უდრის. მრ. რ. მუკაე-ა, მუშუ. ე. ი. გაორმავებული ეს-ეს აქ-მყოფელობის გამომხატველია, ე. ი. ეს აქაური-ა. ბირიჭით კბუმუ უყვე ეს ზევეითი-ა, მაგრამ საგულისხმოა, რომ მშ. რ. იქმნება კბუყრე, ე. ი. მეორე მარცვალი მუ ქრება.

დუმუ ნიშნავს შორეულს, ის-ს. მაგრამ მისი მრ. რ. ფორმაც დუყრე-ა, ე. ი. აქაც მეორე მარცვალი მუ ქრება.

ჩუმუ შორეულის ძირს-მყოფელობის აღმნიშვნელია, ის ქვეითი-ს გამომხატველია. მრ. რ. -ში აქაც მუ მარცვალი აღარ ისმის და ჩუყრე-ა.

თაბასარანულს ამასთანავე ნითითებითი ჰა ნაცვალსახელიც აბადია, რომელსაც ყველა ზემოჩამოთვლილი ჩვენებითი ნაცვალსახელები ერთვან ხოლმე და ამნაირად წარმომდგარია მათიუბრო-ჩვენებითი ნაცვალსახელების შემდეგი მჭკრივიც: შამუ, ანუ შამშუ, მრ. რ. შამუყრე, — შადუმუ, მრ. რ. შადუყრე, — შჩუმუ, მრ. რ. შჩუმუყრე, — შაკუმუ, მრ. რ. შაკუმუყრე. აგრეთვე შადმუ და შჩადმუ-ც არსებობს, რომელიც ეს ზევეითი-ს აღმა-ს, აღმნიშვნელია, და დამ(შ)მა, რომელიც იქითი-ს გამომხატველია (თაბ. ე. გვ. 37—38).

„ეს ზევეითი“-ს, აღმას თაბას. სახელი შადმუ და შჩადმუ, რასაკვირველია, ჰა და კბუმუ-საგან არის წარმომდგარი, მხოლოდ ეს შენაცვლებულია დ-დ, თანაც, მილითებითი და ჩვენებითი ნაცვალსახელების შერწყმის დროს, შუა უ ხმოვანიც არის გაშკრალი.

ცალკეულად ნასმარს ჩვენებითს ნაცვალსახელებს ჩვეულებრივი კანკლელობა აქვთ, ხოლო შესიტყვებაში ნახმარი, უცვლელია ხოლმე. ამასთანავე ხშირად ჩვენებითი ნაცვალსახელი განმსაზღვრელი არიარონის მაგიერადაც გვევლინება (თაბ. ე. გვ. 38).

§ 4. თაბასარანული უკუქცევითი ნაცვალსახელები

თითონ, თვით ნაცვალსახელის გამოსახატავად თაბასარანულს ორი სიტყვა, ჩან და უჩრ, აბადია. ჩან-ს ორი კატეგორიის ფორმა აქვს. ჩან გონიერ არსებათა აღსანიშნავად არის განკუთვნილი, უკეთუ არაგონიერზეა საუბარი, მაშინ-კი ამის მაგიერ ჩაბჰ-ს ხმარობენ ხოლმე. მაგ. თავის სახლში — ჩან ხოლაზ, თავისი დეიდა — ჩან ხალბჰ, თვით ბოჭლომი-ჩაბჰ-რა ჯკვზრგ (თაბ. ე. გვ. 40 — 41).

ამ ჩან-ის ნათ. ბრ. იქმნება ჩაზ, ხოლო მრ. რ. ჩი(ვი)ნ (იქვე გვ. 40).

რაკი გონიერთა სქეს-კატეგორიის ფორმა არის ჩან, არა-გონიერთა-კი ჩაბჰ, ცხადი ხდება, რომ ისევე, როგორც ბოლოკიდური ბჰ უკანასკნელ ფორმაში არა-გონიერთა სქეს-კატეგორიის ფორმანტი და ნიშანია, ამგვარადვე პირველი ფორმის ბოლოკიდური ნ-ც გონიერთა სქეს-კატეგორიის ბოლოხართი უნდა იყოს. ამნაირად, ძარი ჩა ყოფილა. ეს გარემოება იმ მხრით არის საყურადღებო, რომ თანამედროვე თაბასარანულს გონიერთა სქეს-კატეგორიის ნიშნად ნ ბოლოხართი არა აქვს, არამედ რ, ამიტომ გამოსარკვევია, ეს ნ ბოლოხართი ამ უკუქცევითს ნაცვალსახელში რ-ს შენაცვლებაა, თუ წინათ არსებული სქეს-კატეგორიათა ნიშნის ერთ ნაშთაგანს წარმოადგენს.

თუ ჩან და ჩაბჰ უფრო თვისი-ს გამომსატველია და ამიტომაც უკუქცევით-კუთვნილებით ნაცვალსახელად არის მისაჩნევი, უჩრ მხოლოდ თითონ-ს ნიშნავს. მაგ. „თითონ რუსტამზალის პაპასთან“ — უჩრ რუსტამზალდინ ავბდიჰნა“ (თაბ. ე. გვ. 41).

§ 5. თაბასარანული კითხვითი ნაცვალსახელები

ვინ? — ფუუ. რა? რანაირი? — ჟი

როგორი, რა ჯგურისა? — ჟრჯურ

რანაირი? — ჟრჯუ

ხადაური? რა? — ნაჯაზარი (ნაჯ+ზა+რი), მრ. რ.

ნაჯაზარარ (თაბ. ე., გვ. 56).

თავი მეთერთმეტე

უღური ნაცვალსახელები

უღური ნაცვალსახელები კვრული ჯგუფისას მიაგავს და განსაკუთრებული ყურადღების ღირსია, ვითარცა ალბანურ ენათა ნაშთი. საგულისხმოა ის მკიდრო კავშირი, რომელიც მას მეტყველების ამ ნაწილშიც დაღისტნის ლეგურ ენებთან ემჩნევა.

§ 1. უღური პირთა ნაცვალსახელები

მე — ზუ

ჩვენ — ძან

ნათ. — ბეზი

ბესში

მიც. — ზა

ძა

შემას.	— ზახ.	ჯახ
მოქმ.	— ზახო	ჯახო
	შენ — უნ	თქვენ — ჭან
ნათ.	ვი	ეჟი, ეჟან
მიც.	ვა	ჭა
შემას.	ვახ	ჭახ
მოქმ.	ვახო	ჭახო

იხ — შენო, შონო

ნათ.	შეტაი, შეტუი, შეტაი
მიც.	შეტუ
შემას.	შეტუხ
მოქმ.	შეტუხო

ისინი — შონორ, შენორ, შენორ

ნათ.	შეტოლოი, შეტლოი
მიც.	შეტოლო
შემას.	შეტოლოხ
მოქმ.	შეტოლოხო

(უღ. ე., გვ. 31 და შეს. იხ, 336)

მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელს გარდა, უღურს ყველა ნაცვალსახელებს ბოლო-კიდურ ბგერად ნ. აქვს. 1. პირსაც წინათ ექმნებოდა, თუმცა უღურში ეს თანამოვანი ჯველგან ძირისეული არ არის.

უღური ნაცვალსახელების კანკლედობის შთლიანობას მხოლოდ მხ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელების ნათ. ბრ. ფორმა არღვევს: მე თუ ზუ არის, ჩეში უკვე მეზი-ა და, ჩვენ თუ — ჯან, ჩვენი — ბესზი-ა.

რაკი უღური 1. პ. ნ. ძირი ყველა ბრუნვებში ზ არის და არც ერთ სხვა ბრუნვაში მე მარცვალი არც 1. პ-ისა და არც 2. პ. ორივე რიცხვის ნაცვალსახელებს არ უჩანს, ამიტომ ცხადია, რომ ეს მე არც 1. პ. ნ. ძირთან შეიძლება იყოს დაკავშირებული და არც რომელიმე ბრუნვის ნიშნად არის მისაჩნვეი. ამისდა მიუხედავად, ეს მე მარცვალი რომ შეუძლებელია მაინც შემთხვევითი შენაზრდი იყოს, ამას თუნდაც ისიც ცხად ჰყოფს, რომ მრ. რ. 1. პ. ჩვენ-ის ნათ. ბრ.-საც თავკიდურ მარცვლად მე აქვს.

უღური 1. პ. ორივე რიცხვის ნაცვალსახელის ნათ. ბრ. ამ ფორმების ზემო-აღნიშნული თავკიდური მე მარცვლის რაობის მისაგნებად მხოლოდ არქული ენის 1. პ. ორივე რ. ნაცვალსახელის ნათ. და მიც. ბრ.-ისავე ოთხი ფორმის, ჟიხ, ღიხ, ბიხ, იხ, — ჟეზ, დეზ, ბეზ, ეზ და უღუ, დღღო, ბღღო, ოღღო, — ჟელ, დელ, ბელ, ელ-ის გახსენებაა საჭირო. უკვე ვიცით ხომ, რომ ბი და ბე ამ ფორმებში ვ. სქეს-კატეგორიის თავსართოვანი ნიშანია. უეჭველია, ამავე თვისების თავსართის შეზრდილი ნაშთი უნდა იყოს უღური 1. პ. მხ. და მრ. რ. ნაცვალსახელის ნათ. ბრ. თავკიდური ბმ-ც. რაკი უღურს ვ. სქესკ. ფორმა

შეპრჩენია, ცხადია, რომ წინათ მასაც, არტულის მხგავხად, ოთხივე ხქსკ. ფორმები ექმნებოდა.

მრ. რ. 1. პ. ნ. უღურის ძან-ის მხგავსი მხოლოდ ბუღუხური ძან და ნაწილობრივ ხინალუღური ძირ-ც არის. და მარცვალის უღურს ჩვენ ნაცვალსახელს მიც., შემასმ. და მოქმ. ბრუნვებშიც აქვს შენარჩუნებული. მაგრამ ნათ. ბრ. ბესში არის, რომელსაც, ზე სქეს-კატეგორიის შენაზრდი თავსართის ჩამოცილების შემდგომ, ძირად ხშირ უჩანს, და-ს მაგიერ. ეს სში-კი იგივეა, რაც წახურული „ჩვენ“ ში, რუთუღური ჟი და, უეჭველია, ჯეკური ფინ-იც არის. ამის შემდგომ ბუნებრივად იბადება ძ-სა და ფ-ს პირველადობის საკითხი, რომელზედაც ამ ნაცვალსახელის ძირის მთლიანობის საკითხიც არის დამოკიდებული.

შენ უღური ფნ კარვად უღევბა არტულს, რომელსაც 2. პ. მხ. რ. ასეთივე ნაცვალსახელი აქვს, და კვრულის, აღუღური, ჯეკური და ბუღუხურის ფუნს- (იხ. აღულ. ე. 153: და აქვე სათანადო აღვილას). მრ. რ. 2. პ. უღურს ნაცვალსახელს ფან-ს-კი მხოლოდ ჯეკური ფინ და ბუღუხური ვინ უქერს მხარს.

3. პ. მხ. და მრ. რ. ნაცვალსახელს შენო, შონო და შენორ, შონორ. შენორ-ს ერთი ძირი აქვს და მრ. რ. მხოლოდ მრ. რ. ფორმანტით განსხვავდება მხ. რ. ფორმისაგან. ძირად შე, ანუ შო ჩანს, რომელიც პირთა ნაცვალსახელების წარმოშობილობისა არ არის.

ელსანიშნავია, რომ მხ. და მრ. რ. დანარჩენ ყველა ბრუნვებში ამ შე ძირს ერთვის ტაი, ტუი, ტუ (მხ. რ.-ში) და ტო (მრ. რ.-ში), რომლის შემდგომ უკვე ბრუნვის ნიშანი მისდევს. მისი რაობა ცალკეა გამოსარკვევი.

§ 2. უღური კუთვნილებითი ნაცვალსახელები

უღურშიც კუთვნი. ნაცვალსახელებად პირთა ნაცვალსახელების ნათ. ბრ. ფორმებია და ამიტომ ჩემი იქმნება ბეში, ანდა ბეზ, — შენი-გი, — მისი — შეტაჲ, ანდა შეტა, — ჩვენი-ბესში, ანდა ბესში, — თქვენი — ეჭი, ანდა ეჭ, — მათი — შეტოლო, ანდა შეტ(უ)ლო. კუთვნილებითი ნაცვალსახელების მრ. რ. ფორმები არ არის. როდესაც კუთვნილებითი ნაცვალსახელები ცალკეულადაა ნახმარი, მაშინ კანკლედობა მათ ზედსართავი სახელების მხგავსად აქვთ. მაგ. ჩემი — ბეში, ჩემისა — ბეშიტაი და სხ., ხოლო როდესაც კუთვნი. ნაც. სხვა სიტყვასთან ერთად არის ნახმარი, მაშინ უცვლელი რჩება. უღურს უკუქცევითი კუთვნილებითი ნაცვალსახელი თვისი-ც აქვს, იწიტაი, ანდა იწულო(ნ), მარტივად მხოლოდ იჩ-იც-კი (უღ. ე., გვ. 32).

§ 3. უკუქცევითი ნაცვალსახელები

თითონ უღურადაა იჩ, რომლის ნათ. ბრ. იჩა, მიც. იჩუ, შემასმ. — იჩუბ, მოქმ. იჩეხო არის (უ. ვ. გვ. 33).

§ 4. უღური ჩვენებითი ნაცვალსახელები.

ეს — ქა

ესენი — ქანორ

არსებთან სახელთან უცვლელია, ცალკეულად-კი შემდეგი კანკლედობა აქვთ:

ნათ. ქათაი
 მიც. ქათუ
 შემას. ქათუხ
 მოქმ. ქათუხო

ცალკეულად თუ არის, ეს იქმნება ქანო.

ის — მე	იხინი — მონორ, მცნორ.
ნათ. მეტაი	მეტოლოი, მეტ(უ)ლოი
მიც. მეტა	მეტოლო, მეტ(უ)ლო
შემას. მეტუხ	მეტულოხ
მოქმ. მეტუხო	მეტულოხო

ცალკეულად ნახშიარი მონო, ანდა მცნო-ა

ის — ტე, შამე, — აქდენი — ტეშა, მეშა.

(უდ. ე., გვ. 31, 34—35).

§ 5. უღური კითხვითი ნაცვალსახელები

1. ვინ? — ხშეუ (ნათ. ბრ. ხში, მიც. ხშეუ, შემას. ხშეუხ, მოქმ. ხშეუხო).
2. რა? — ეკა, რომლის ბოლოკიდური ა კითხვითი ბოლოსართია. მისი
 ნათ. ბრ. ეტაი, მიც. — ეტუ, შემას. — ეტუხ, მოქმ. — ეტუხო.
3. რომელი? — მანო (ნათ. ბრ. მათაი, მიც. მათუ, შემას. მათუხ, მოქმ.
 მათუხო), მრ. რ. რომელნი? — მანორ (ნათ. მათულოი,
 მიც. მათულო, შემას. მათულოხ, მოქმ. მათულოხო).

კითხვითს ნაცვალსახელებს თითქმის ყველას კითხვითი ა ბოლოსართი ერთვის ხოლმე (უდ. ე., გვ. 33—34).

თავი მეთორმეტე

აკუშური და ჰერკილური ნაცვალსახელები

ისევე, როგორც რიცხვითი სახელების განხილვის დროს დავრწმუნდით, ნაცვალსახელების მხრივაც აკუშურს ჰერკილურთან აქვს მჭიდრო კავშირი. ამიტომ მათი ნაცვალსახელების ერთად განხილვა უფრო მართებულიცა და უფრო მიზანშეწონილიც არის.

§ 1. მე-XVIII ს. აკუშური ნაცვალსახელები

Ich მე — დუ Du	Wir ჩვენ — ნუხტა Nuchwa
Mein ჩემი — დილა Dila	Unser ჩვენი — დიჯხელა Dichchelja.
Du შენ — უგ Ug	Ihr თქვენ — უშეა Ueschscha
Dein შენი — ელა Elja	Euer თქვენი — უშხელა Ueschselja
Er ის — ჰეაბ	Sie ახინი — ჰაიტტა Haitty
Wer ვინ — ჩახაა Tschasaja	

Wessen ვიხი — ილახაჟიდა Ilasawija
 Wem ვიხ — ჰიხაჟიდა Hisawija
 Was რა — Sesabia ხესაბია
 Hieher აქ — Hadsheb ჰადჯებ
 Dorthin იქ — Aiteb, აიტებ ანდა აათებ

(I. A. G ü l d e n s t ä d t. Reisen II, 520).

§ 2. ჰვრკილური თანამედროვე პირთა ნაცვალსახელები

1. მე სახ. ნუ	2. შენ — ჰაუ	3. იხ — ჰიტ
ნათ. დილა	ჰაულა	ჰიტლა
მიც. ნამ	ჰაულ	ჰიტის
მოქმ. ნუნი	ჰაუნი	ჰიტინ

მრ. რ.

1. ჩვენ სახ. ნუშა	2. თქვენ — ჰაუშა	3. ისინი — ჰიტტი
ნათ. ნუშილა	ჰაუშილა	ჰიტტილა
მიც. ნუშიმ	ჰაუშიმ	ჰიტტილის
მოქმ. ნუშაან	ჰაუშაან	ჰიტტილი

(ჰვრკ. ე. გვ. 52).

§ 3. აკუშურ-ჰვრკილური ნაცვალსახელების ანალიზი

ჰვრკილურს პირთა ნაცვალსახელების ყველა სქეს-კატეგორიისათვის საერთო სახელები მოეპოვება. ამგვარადვე არც კუთვნილებითს ნაცვალსახელებს აქვთ სქეს-კატეგორიებისდა მიხედვით განსხვავებული ფორმები. მხოლოდ უკუქცევითი ნაცვალსახელის თმთმნ-ის საში, — მაშრ., მდელრ. და საერთო სქეს-კატეგორიისათვის განკუთვნილი ფორმა არსებობს.

საკმარისია მშ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელები ნუ და ჰაუ მრ. რ. ამავე პირების ნუშა-სა და ჰაუშა-ს შეადაროთ, რომ უმაღ აზრი დაგებადოთ, რომ შა მრავლობითი რიცხვის ნიშანია. მაგრამ ჰვრკილურს მრ. რ. ნიშნები ბლომად აქვს, ყველას ბოლოში ი ხმოვანი უზის, თანხმოვან ელემენტად-კი ზოგს სიტყვებს ნ, ზოგს ვ, ან მ, ზოგს რ და ზოგს კადევ ტ აქვს (ჰვრ. ე., გვ. 24). არსად ჰვრკილურში შ მრ. რ. ფორმანტად არ გვხვდება და ამიტომაც მრ. რ. 1. და 2. პ. ფორმების შა-ხ მრ. რიცხვის ნიშანთან საერთო არაფერი უნდა ჰქონდეს. ეს დასკვნა რომ მცდარი არ არის, ამას შესამე პირის მშ. და მრ. რიცხვის ფორმების ერთმანერთთან შედარებაც ამტკიცებს: იხ არის ჰიტ, მრ. რ. კი, ისინი ჰიტტი-ა. აქ, ისევე, როგორც ბევრგან სხვაგანაც, ტი მართლაც მრავლობის ფორმანტია. შა-კი აქ არ არის, მრ. რ. ნიშანი-კი რომ ყოფილიყო, აქაც იქმნებოდა.

მე-XVIII ს. ჩანაწერთგან ჩანს, რომ მაშინ ჩვენ ნუშა-კი არ ყოფილა, როგორც ვხლავ, არამედ ნუხუბ, ხოლო თმთმნ — ვუშა.

ნუხტა ჩვენ, უეჭველია, 1. პ. შხ. რ. მე ნაცვალსახელს ნუ-სა და ხტა-ს შეიცავს. საფიქრებელია, რომ ხტა ბოლომოკვეცილი ხტალა უნდა იყოს. თანამედროვე ჰერკილურში ეს სიტყვა, უსლარის ცნობით, დადსა და მაღალს ნიშნავს (ჰერკ. ე. 451), მაგრამ წინათ, როგორც ჩანს, ბევრის აღმნიშვნელიც უნდა ყოფილიყო. თუ ეს მოსაზრება მკედარი არ არის, მაშინ ჩვენ ჰერკილურად თავდაპირველად „მე ბევრი-ს. ანუ „ბევრი მე“-ს აღმნიშვნელი ყოფილა.

თუ მე-XVIII ს. თქვენ-ის ფორმას ვშშა-ს ჩაუყვირდებით და თანამედროვე ჰაუშა-ს შევადარებთ, ცხადი გახდება, რომ შა მარცვალი 2. პ. მრ. რ. ნაცვალსახელს მაშინაც ჰქონია. 1. პ. მრ. რ. თანამედროვე ნუშა ამ მეორე პირის ანალოგიით არის წარმომდგარი ნუხტა-საგან, თუ დამოუკიდებელი ჰაუშა-ს მსგავსი წარმოებაა, ამას ჯერ გამოორკვევა სჭირდება. მაგრამ მთავარი საკითხი შა-ს რაობის გამოორკვევაა.

ჰერკილურ პირთა ნაცვალსახელებს ძირების მთლიანობა ბრუნვებში მთლიანად დაცული აქვთ, 1. პ. შხ. რ. ნუ-ს გარდა, რომელსაც ერთადერთი გამოწვევისად ნათ. ბრ. ფორმა დილა მოეპოვება. მარტო თანამედროვე ჰერკილურს ენოვან მისაღას რომ დაემყაროს მკვლევარი, ამ ფორმის სადაურობაცა და აგებულობაც სრულებით გაუგებარი ექმნებოდა, მაგრამ, თუ ის მე-XVIII ს. აკუშურის ჩანაწერში ჩაიხედავს, დარწმუნდება, რომ მაშინ შა-ს აკუშურად ლუ ჰქმნებოდა. მაშინადაც, ნათ. ბრ. დილა მაშინ არამც თუ გამოწვევის არ წარმოადგენდა, არამედ სრულებით კანონიერი და ამ ნაცვალსახელის ძირის მთლიანობის დამცველი ფორმა ყოფილა.

მე-XVIII ს. ჩანაწერის აკუშურის ვინ — ჩახაჯა ორნაწილად სიტყვაა: მისი პირველი ნაწილი ჩა არის, რომელაც სწორედ ვინ-ს გამოწვევაცა, ხოლო მეორეა ხაჯა, რომელიც ხაჯალ-ის უბოლოკიდურ თანხმოვნო ფორმას წარმოადგენს. ხაჯალ ცალკეულად „ის თითონ“-ს ნიშნავს (ჰერკ. ე. გვ. 56).

მაშინადაც, ვინც აკუშური კითხვითი ვინ ნაცვალსახელის ასეთ აღნიშვნას გაითვალისწინებს, დარწმუნდება, რომ ჩახაჯა არსებითად „ვინ ის თითონ“-ს ნიშნავს.

ამავე კითხვითი ნაცვალსახელის ნათ. ბრ. „ვისა“ ფორმა ილასავიჯა-ცა და მიც. ბრ. ფორმა „ვის“ ჰიხავიჯა-ც ამნაირადვე ორნაწილად სიტყვებია. მათ მეორე ნაწილად, ცხადია, ხავიჯა აქვს. ხავიჯა უნდა წარმომდგარი იყოს უფრო სრული ხავიჯა ფორმისაგან, რომლის ბოლოკიდური ბ სმოვისი ჰერკილურშიც დაცული კითხვითი ბ ფორმანტი (იხ. ჰერკ. ე. გვ. 78) უნდა იყოს. ხავიჯა-კი უკუტყვევით ნაცვალსახელის თითონ-ის სახ (შამრ. სქ.) ხარი (მდგრ. სქ.), ხავიჯ (საშ. სქ.), სახელდობრ ხაშუალო სქეს-კატეგორიის, ნათესაობითი ბრუნვის ფორმაა. ხოლო ვინ-ს ილასავიჯა-ს პირველი ნაწილი ილ-კი უნდა კითხვითი ვინ ნაცვალსახელის ჰერკილურშიც დაცული ჩა-ს ნათ. ბრუნვის ვილ-ს (იხ. ჰერკ. ე. გვ. 59) უთავკიდურთ-ბევრიანი ფორმა იყოს.

ამნაირადვე ვის, მიც. ბრ. ჰიხავიჯა-ს ვი-ს სრული ფორმის ვინ-ის ბოლოკიდური ხ მომდევნო ხავიჯა-ს თან აქვს შერწყმული. თვით ვის ბგერითი შენაცვლებით წარმომდგარი უნდა იყოს იმავე კითხვითი ჩა ნაცვალსახელის შიც.

ბრუნვის შის-ისაგან. მაშასადამე, ილასავიჯა — შისი თავდაპირველად აღმნიშვნელი ყოფილა „შისი თითონე“, ჰისაჰიჯა-კი „შის თითონე“. მე-XVIII ს. ჩანაწერის აკუშური რა-ც, ხესაბია-ც ხამი ნაწილისაგან არის შემდგარი: პირველი ხე ა. მეორე — ხაბი, მესამე-კი ა არის. ამათგან ა როგორც უკვე დავრწმუნდით, კითხვითი ბოლოსართია, ხე არის სწორედ რა. თანამედროვე ჰვრკილურში რას ეწოდება ხი. ხესაბია-ს შუა ნაწილი ხაბი-ც, უეჭველია, უკუქცევით ნაცვალსახელის თითონ-ის საშუალო სქეს-კატეგორიის ფორმა უნდა იყოს. თანამედროვე ჰვრკილურში იგი სავი-ს სახით იხმარება, მაგრამ მესამე სქეს-კატეგორიის თავდაპირველი ნიშანი ბ იყო და სწორედ იმიტომაც არის, რომ მე XVIII ს. ჩანაწერში ხაბი-ა აღბეჭდილი. მაშასადამე, აკუშური რბ, ხმსაჰიბ, ხიტყვა — ხიტყვით რომ გადმოვაქართულეთ „სახელდობრ რა?-ხა ნიშნავს.

თავი მეცამეტე

ლეგურ-ალბანური ნაცვალსახელების ზოგადი მიმოხილვა

ცალკეულ ლეგურ-ალბანური ენების პ. ნაცვალსახელების განხილვის დროს არაერთი საკითხი დაგვრჩა, რომლის გადაწყვეტისათვის სხვა-და-სხვა ენების მასალის გამოყენებაა საჭირო, რაც მხოლოდ ზოგადს მიმოხილვაშია შესაძლებელი. ამას გარდა, ყველა აქამდე გამორკვეულ ცალკეულ გარემოებათა და თვისებების კვლავ გადაშინჯვა და გადათვალისწინება ამ ვზითაც ზოგად მოვლენათა აღნუსხვისა და ჯეროვნად გამოყენების საშუალებას მოგვცემს, ამიტომაც ამ თავში სწორედ ეს ამოცანა გვაქვს მიზნად დასახული.

ცალკეულს ანალიზებში თუმცა თითქმის ყოველგვარი ნაცვალსახელების აგებულება და პირველადი მნიშვნელობა გვეჩონდა განხილული, მაგრამ მაინც ამ ზოგადს მიმოხილვაში მხოლოდ, ანდა უმთავრესად პირთა, უკუქცევითსა და ჩვენებითს ნაცვალსახელებზე გვექნება მსჯელობა.

პ. ნაცვალსახელებითგან 1. და 2. პირისა უფრო რთული აგებულებისაა, პ. პ. ნ-ების ორივე რიცხვის ფორმები, თუ მთლად არა, მომეტებულად მაინც ჩვენებითს ნაცვალსახელებთან არიან დაკავშირებული და მათი აღნაგობაც შედარებით ადვილი გამოსარკვევია.

ლეგურ-ალბანურს პ. ნაცვალსახელებსაც დიდი ნაირნაირობა ეტყობა. მაგრამ მაინც მათი რამდენიმე ჯგუფად გაყოფა შეაძლება. აგებულებით მრ. რ. ნ-ები, მეტადრე 1. და 2. პირისა, მშ. რ. ნ-ებზე უფრო რთულია. ამას გარდა ლეგურ-ალბანური ენების პ. ნაცვალსახელების ცალკეულმა ანალიზმა დაგვარწმუნა, რომ, ერთ-ორ გამონაკლისს გარდა, მრ. რ. ნაცვალსახელები თავიანთი ბგერითი შედგენილობით მშ. რ. ნაცვალსახელებთან-კი არ არიან დაკავშირებული. არამედ მომეტებულად სხვა წარმოშობილობისა და აღნაგობისანი ყოფილან.

ლეგური ენების ნაცვალსახელების ცალკეული ანალიზის დროს სრული სიცხადით გამოირკვა, რომ პირთა ნაცვალსახელების აგებულების ნაწილების გასაგებად უკუქცევითი ნაცვალსახელების ცოდნას უალრესი მნიშვნელობა ჰქონია:

ბევრგან. სადაც სათანადო პირის ნაცვალსახელოვანი ელემენტი იყო მოსალოდნელი, ნამდვილად უკუქცევითი ნაცვალსახელის ელემენტი, ან მისი ანარეკლი, ყოფილა. ამიტომაც პირველად სწორედ ამ საკითხის განხილვას შევუდგებით.

§ 1. უკუქცევითი ნაცვალსახელები

უკუქცევითი ნაცვალსახელების გამოხატავად ლილურსა და ლეგურს ენებში, როგორც ზემოთოყვანილითგან ცხადი გახდებოდა, სამ გვარი წესი არსებობს: ზოგი ენა ამისთვის პირის ნაცვალსახელის გაორმაგებასაც სრულებით ხატმარხად ხტნობს. ასე იქცევა მაგ ჩაჩურა, სადაც სუო „მე“-ს ნიშნავს, მაგრამ სუო სუო-კი უკვე „მე თითონ“-ს გამოხატავს, — სუო არის შენ, ხაუო ხაუო-კი უკვე შენ თითონ.

უკუქცევითი ნაცვალსახელის გამოხატვის ასეთივე წესი კვრულსაც მოეპოვება, რომელშიაც „თითონ მე“ შენ, ის და სხვა, ან „თითონ ჩემი“, შენი და სხვ. პირთა სათანადო ნაცვალსახელის მხოლოდ შესაფერისი ბრუნვით ნახმარი ამავე ნაცვალსახელის გამეორებითაც აღინიშნება ხოლმე (იხ. აქვე, გვ. 547). უნდა ითქვას, რომ უკუქცევითი ნაცვალსახელის აღნიშვნის ასეთი წესი მაინც იშვიათია.

უკუქცევითი ნაცვალსახელის აღნიშვნის მეორე წესი ლუზუჩურსა და არაქულში გვხვდება. ლუზუჩურს, როგორც დავრწმუნდით, ამისთვის სათანადო პირის ნაცვალსახელისათვის ვა (მაძრ. გონ. არს.), და, ანდა რა (მღედრ. გონ. არს) და ბა (უსქ.) ბოლოსართები აქვს გამოყენებული და, თუ ნა ნიშნავს მე-ს, ნავა, ნარა და ნაბა უკვე იქმნება მე თითონ, — ინა არის შენ, ინავა, ინარა და ინაბა-კი შენ თითონ, — თა არის ის, თავა, თარა და თაბა-კი ის თითონ, — შუ არის ჩვენ, შუვა, შურა და შუბა-კი ჩვენ თითონ და სხვაც ამგვარადვეა. ამნაირად პირთა ნაცვალსახელებს უკუქცევითი ნაცვალსახელის მნიშვნელობას სქესკატეგორიის ბოლოსართი ანიჭებს, რომელიც თითონ-ის ცნების გამომხატველი გამოდის.

არაქული ნაცვალსახელების ცალკეულად განხილვის დროსაც ხომ უკვე დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 533—534), რომ „მე თითონ“, „შენ თითონ“ და ის თითონ-ისა, იმგვარადვე, როგორც მრ. რ. ფორმების გამოხატავად, არაქულშიც პირთა ნაცვალსახელების ფორმები და სათანადო სქეს-კატეგორიის ბოლოსართები გამოყენებული. ამ გარემოებას უაღრესი მნიშვნელობა იმ მხრივ აქვს, რომ აქაც თითონ-ის ცნების გამომხატველად, ამის აღმნიშვნელი სიტყვას შავიურ, სქესკატეგორიის ნიშანია მიჩნეული და მე თითონ არის ზონაჟუ (ზონა + ჟუ), ზონარუ (ზონა + რუ), ზონაბუ (ზონა + ბუ) და ზონტაუ (ზონა + ტაუ). ასევეა შენ თითონ უნავუ და სხ.

უტყველია, აქ წარმოების ძველი წესის ანარეკლი გვაქვს დაცული. ცხადია, რომ ეს „თითონ“ პ. ნაცვალსახელს მხოლოდ მეტს გარკვეულობას, კონკრეტულობის მნიშვნელობას ანიჭებს: გვაუწყებს, რომ სწორედ პირადად ის არის, ანდა ის იგულისხმება.

დამახასიათებელია, რომ ასეთი გარკვეულობისა და კონკრეტულობის გამოხატავად ხალხი მართლ პ. ნაცვალსახელების ხმარებას ხატმარხად არ

სთვლიდა, არამედ აუცილებლად საჭიროდ მიაჩნდა, რომ პ. ნაცვალსახელი-სათვის თითონ-იც დაერთო.

უკუქცევითი ნაცვალსახელების წარმოების ამავნე წესის შერმინდელს ანარეკლსა და ნაშთს უნდა წარმოადგენდეს ლუნბურის უკუქცევითი ნაცვალსახელების ის წყებაც, რომელიც პირთა ნაცვალსახელებისადმი მიმატებული გო ბოლოსართით შედგენილს სახელებს შეიცავს, დუნ ზომ ლუნბურად მე-ა, დუნგო-კი უკვე უკუქც. ნაცვალსახელია, — მუნ — შენ. უკ. ნაცვ. — მტნგო, — მხ. რ. პ პ უკუქც. ნაც. — დრუგო, — მრ. რ.: 1. პ. ნტუგო და ნტბლავო, 2. პ. ნუფგო და პ. მ. დრღგო

უკუქცევითი ნაცვალსახელების აღნიშვნის მესამე წესი თითონ-ისათვის განკუთვნილი ცალკეული, ან ერთი, ან რამდენიმე სიტყვის ხმარებაზეა დამყარებული.

ასეთი ცალკეულად არსებული უკუქცევითი ნაცვალსახელი პირთა ნაცვალსახელთან ბოლოსართის სახით შერწყმულიც გვხვდება. მაგ. ლუნბურს თითონ უკუქც. ნაცვალსახელია მხ. რ. ურუ, ურჲ, ურბ აქვს, მრ. რ. უაღ. პ. პ. ან ურუ უკუქცევითს ნაცვალსახელსაც ბოლოში გო ერთვს და ასე ხმარობენ ხოლმე; მხ. რ. ურუგო, ურჲგო, ურბგო და მრ. რ. უაღგო.

ანდარსად უკუქც. ნაცვალსახელების ასეთივე წესი აქვს: იქაც თითონ-ს ურუ, ურჲ, ურბ და ურბ გამოჰხატავს, რომელსაც უფრო ხშირად გუ ბოლოსართითურთ ხმარობენ, მრ. რ. ფორმებად-კი უვოღგუ, უოჲღგუ, უროღგუ არის. ურუ, ან უვუგუ 1. და 2. პ. ნაცვალსახელებს ერთვს, პ. პირისას-კი ენ ძირისა-გუ ბოლოსართისაგან ნაწარმოენი უკუქც. ნაცვალსახელი ემატება ხოლმე.

აქედანაც მოეპოვება ჟ-ბგერიანი მარცვალი თითონ-ის გამოშხატველი ნაცვალსახელის შესადგენად, მაგრამ იგი უ-ხმოვანაა და ეს უუ მარცვალი ცალკეულად-კი არ იხმარება, არამედ სამი განსხვავებული ბოლოსართითურთ.

უკუქცევითი ნაცვალსახელის იგივე ძირია კვრულშიც, სადაც ორივე რიცხვის 1. და 2. პ. უკუქცევითი ნაცვალსახელის გამოშხატველი არის უუუ. ამ თითონ-ის ნათ. ბრუნვა არის უუუან, მიც. უუუან, მოქმ. უუუან, პ. პ. მხ. რ. უკუქცევით ნაცვალსახელად-კი უკვე ჩ-ბგერიანია და უუჩ იხმარება. „ის თითონ“-ის გამოშხატველი ამ ნაცვალსახელის კანკლედობაც ამავნე ბგერითი შედგენილობისაა: ნათ. ბრ. უიჩინ, მიც. უიჩინ, მოქმ. უიჩინ-ა.

ასეთივე ჩ-ბგერიანი თითონ უკუქცევითი ნაცვალსახელი უდურსაც აბადია, სადაც თვით ცნების გამოშხატველი არის იჩ, რომლის ნათ. ბრ. იჩა, ბოლო მიც. იჩუ-ა.

ჩასაბრუნესა და ბრუნბურს უკუქცევითი თითონ ნაცვალსახელის გამოსახატავად ჯ ბგერა აქვთ გამოყენებული და ორსავე ამ ენას მისი სქეს-კატეგორიებისდა მიხედვით განსხვავებული ფორმები მოეპოვება. ამიტომაც ცალკეულად ნასწარი 1. სქესკ. თითონ იქმნება უუჯ, 2. სქესკ. — ჯიჯ, 3 სქესკ. — ვუჯ, ხოლო როდესაც პირთა ნაცვალსახელებთან ერთად ხმარობენ ხოლმე, ცალკეულს შემომოყვანილს ფორმებს ბოლოში 1. სქესკ. ჯარ ერთვის, — 2. სქესკ. ჯარ. ანუ ჯერ, 3. სქესკ. ჯაბ და 4 სქესკ. ჯად, — მრ. რ. 1. და 2. სქესკ. ჯაბ და პ. და 4. სქესკ. ჯად.

ბრუთულურსაც თითონ ნაც. ოთხი სქეს-კატეგორიის ფორმა ფუჟ, რეჟ, ვიჟ და ჰიჟ აბაღია.

ერთი თვალის გადავლებით შესაძლებელია თითონ ნაცვალსახელის ნაირ-ნაირობა აღამიანს ეუცსოვოს და სხვადასხვა წარმოშობილობისადაც-კი ეჩვენოს. კავკასიის ენათა შემსწავლელთა შორის, თუ არ ვცდები, მათი ნათესაობისა და მით უმეტეს იგივეობის შესახებ არაგის უთქვამს რა, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, ეს საკითხი უძებველად განხილულია და გადაწყვეტილი უნდა იყოს.

თითონ-ის სამი მთავარი სახესხვაობა გვაქვს, ურუ და ურუ ერთი მხრით, ფუჟ და ჯარ მეორე მხრით, ფუჟ და იჩ მესამე მხრით. თითქოს უკეთესი უნდა ყოფილიყო, რომ პირველი სახესხვაობის განხილვით დაგვეწყო, რათგან მეორე და მესამე სახესხვაობათა აგებულებას უფრო მეტი ცვალებადობა ეტყობა და ამიტომ უფრო რთული განსამარტავიცა ჩანს, მაგრამ მაინც უფრო მიზანშეწონილი იქმნებოდა, რომ ჯერ მეორე სახესხვაობა განგვეხილა.

ჩახუთლას 1. სქესკ. თითონ-ისათვის რომ ფუჟ, 2. სქესკ. ჰიჟ და 3. სქესკ. ვუჟ აქვს ცალკეულად, ამავე ძირის ბოლოხართად ნახპარი 3. სქესკ. ფორმა ჯაბ ცხად-ჰეოფს, რომ წინათ წახურულს ამ 3. სქეს-კატეგორიის ნიშნად ბ ჰქონია და ამიტომაც აწინდელი ვუჟ უნდა ანდრინდელი ბუჟ, ანდა ბეჟ-ისაგან იყოს წარმომდგარი. ფ, ა და ბ სქეს-კატეგორიების თავსართებია, ძირად-კი ჯ ბგერა გვრჩება.

მაგრამ, თუ ამავე ძირის ბოლოხართებად ქვეულს ჯარ, ჯარ, ჯაბ და ჯად-ს ჩავუკვირდებით და გავითვალისწინებთ, რომ აქაც რ, ხ და დ ბოლო-სართებია, მაშინ, მათი ჩამოცილების შემდგომ, თითონ-ის ცნების გამომხატველად უკვე ჯაბ მარცვალი დაგვრჩება.

ზემონათქვამის შემდგომ საკმარისია გავიხსენოთ, რომ კვრულად მხ. რ. 3. პ. უკუქცევითი ნაცვალსახელი არის ფუჟ, რომელსაც დანარჩენს ბრუნვებში უკვე უინ ფუძე უჩანს და მაშინ ამ ფუჟ-ის ნამდვილი რაობისა და თავდაპირველი აგებულების მიგნება ძალზე გაგვიადვილდება. იმისდა მიუხედავად, რომ კვრულს უკვე მე-19 ს. გრამატიკული სქეს-კატეგორიები სრულდებით არ ჰქონდა, მაინც უძებველია, რომ ფუჟ წახურული და რუთულური ფუჟ-ის მსგავსი ფორმის მხოლოდ ფონეტიკურს სახესხვაობას წარმოადგენს: ჯ მარტო ჩ-დ არის შენაცვლებული. ცხადია, რომ წინათ კვრულს ფუჟ, ეხლანდელის მსგავსად, თითონ-ის ერთად-ერთ ფორმად-კი არა, არამედ მხოლოდ 1. სქეს-კატეგორიისთვის ექმნებოდა, რათგან ისევე, როგორც წახურულსა და რუთულურში ფუჟ-ის თავკიდური ფ 1. სქეს-კატეგორიის ნიშანია, კვრული ფუჟ-ის ფ-ც თავდაპირველად უძებველია ამავე თვისებისა იქმნებოდა და ეს გარემოება კვრულში გრამატ. სქეს-კატეგორიების წარხულში არხეობის გამომჟღავნებულია.

ამნაირადვე, ეხლა, უკვე ვგონებ აღარავითარი დასაბუთება საჭირო არ უნდა იყოს იმაში დასარწმუნებლად, რომ უღერა თითონ იჩ-იც ან იმავე სქეს-კატეგორიის ფ-თავსართჩამოცილი, ანდა 2 სქეს-კატეგორიის, წახურული ჰიჟ-ის მსგავსი ფორმის ფონეტიკურს სახესხვაობას წარმოადგენს.

ფრიად საყურადღებო გარემოებაა, რომ, თუმცა კვრულს ფუჟ-ის სახესხვაობა ფუჟ მხ. რ. 3. პ. უკუქცევით თითონ ნაცვალსახელად აქვს, მაგრამ ამის-

თანავე ორივე ოცხვის 1. და 2. პირის უკუქცევით ნაცვალსახელად უკვე ყუუ-ია. ერთი შეხედვით უუჩ და ყუუ შესაძლებელია იდამიანს სრულებით სხვადასხვა წარმოშობის სიტყვებადაც-კი ეჩვენოს, მაგრამ არსებითად მათ მხოლოდ სქეს-კატეგორიის ხმარების წესი და უ თანხმოვნის უ-დ შენაცვლება ახტავებს: უუუ-სა და უუჩ-ს თავსართოვანი წარმოება აქვთ, ყუუ-ს-კი იგივე უ ბოლოსართად მოქცევი. მ. პ. უკუქც. ნაცვალსახელი წარმოების უფრო ძველს ხანას ეკუთვნის, 1. და 2. პირისა-კი უფრო მერმინდელია.

ღუნბუბა ყრუ, უიჲ, უიბ და უალ-ის, ისევე როგორც ანდიუბა ურუ, უიჲ, უიბ და უიჩ-ის ერთი მხრით და კვარულა ყუუ-ის მეორე მხრით სრული ფიგურა იმდენად ცხადია, რომ ამაზე სათქმელი არაფერია. ცხადია, რომ კვარულს ამ ნაცვალსახელის მამრ. სქესის ფორმა უქცევია თითონ-ის ზოგად სახელად.

კვარულის მსგავსად უ ხმოვანი ფორმა აქვს აბჟულს ყუ მარცვალსაც, რომელსაც ან ხა, ან შეჲ, ანღა ტხლჲჲ, ხოლო შემდეგ სათანადო სქეს-კატეგორიის ბოლოსართები ემატება. მაგრამ აბჟულში, როგორც დავრწმუნდით, ის თითონ გამოიხატება:

1. სქესკ. ჯაუ (ან თოუ) ინჟაჟუ
2. სქესკ. ჯაჩ (თორ) ინჟარჟ
3. სქესკ. ჯაბ (თობ) ინჟაბჟ
4. სქესკ. ჯათ (თოთ) ინჟატჟ

ისინი თითონ — ჯებ (თებ) ყაბბჟ, ანუ ყაბბჟ. დანარჩენს ბრუნვებში-კი თითონ-ის გამომხატველი შედგოჟ არის. იმ მარცვალს რომ ამ ყაბბად არ შეეცნოთ, ცხადია, რომ ყველა შემომოყვანილს ფორმებში თითონ-ის აღმნიშვნელი უკვე უა არის, ე. ი. უ-ს ა-ხმოვანა სახესხვაობა. მრ. რ. დანარჩენს ბრუნვებში-კი ამივე ცნების გამომხატველი თითქოს უკვე შეჲ ჩანს, მაგრამ იგი უარშეჲ-ს, ე. ი. ყა-ს ნათ. ბრუნვის მხოლოდ ძირჩამოცილებულს ფორმასა და მარტო ბრუნვის ნიშანს-ლა წარმოადგენს, იმასაც მთლიანად-კი არა, არამედ რ-ს გაქრობით.

ანდიუბა-კა თვით და თითონ უკუქცევითი ნაცვალსახელის აღსანიშნავად. როგორც დავრწმუნდით, სხვათა შორის ტხლჲ აქვს, რომელიც პირთა ნაცვალსახელებს ბოლოსართად ემატება ხოლმე და ამ გზით შე თითონ იქმნება დიჲ დიჲოტხლჲ, — შენ თითონ — მი მიოტხლჲ, — ის თითონ — შე შეჲოტხლჲ, ხოლო თვით ეს — ჯოტხლჲ (← ჯოდ(უ) + ტხლჲ), — ჩვენ თითონ — ელი ელიოტხლჲ, — თქვენ თითონ — მეფი მეფიოტხლჲ და თითონ ისინი შედუ შედუოტხლჲ.

§ 2. ჩვენებითი ნაცვალსახელების სახესხვაობანი, აღნაგობა და ხდაურობა

ლევტურს ენებში დ და მისი გასპირატებული სახესხვაობა თ, ა-ხმოვანა, თ-ხმოვანა და უ-ხმოვანა ფორმით, ჩვენებითი ნაცვალსახელია. ჩვეულებრივ ის ჰა, ჰე, ჰუ მითითებითს ნაცვალსახელებთან ერთად გვხვდება და მათ ერთგვის ხოლმე ბოლოში, მაგ.: ღუნბუბაჲ 18 ს. ჩანაწერში აღბეჭდილია მ. სქესკ.

ჰადაბ და თანამედროვე ლინგვისტულსაც, თუ 1. სქესკ. რ-ხმოვანა ჰუ-დოუ აქვს, 2. სქესკ. ჰუდეჲ და 3 სქესკ. მასაც ა-ხმოვანა ჰუდამ მოეპოვება. მაინც ი და უ-ხმოვანა სახესხვაობა სქარბობს და ბოთლასურბ, თანამედროვე ლინგვისტა და ცინტალურბ აქვს დოუ, დოჲ, დობ, — პარატელს ჰუდეუუ, ჰუდეუჲ, ჰუდეუბ და სხვასურბ ჰუდეუვი, ჰუდეუჲე, ჰუდეუბე მოეპოვება.

თ-თანხმოვნინი ვ. პ. ჩვენებითი ნაცვალსახელი თჰჰ (18 ს.) და თჰ (მრ. რ. თაჲ) თანამედროვე ლინგვისტა მოეპოვება, ხოლო პარატელს მისი რ-ხმოვანა სახესხვაობის ოთხივე სქეს-კატეგორიის ფორმა აბადია: თოუ, თორ, თოხ, თოთ მხ. რ. და თებ მრ. რ., ისინი-ს გამოშატველი.

ამ ძირის აღმნიშვნელობის ასეთი სიმტკიცისა და ფართოდ გავრცელებულობისდა მიუხედავად, მაინც დუუ და დუუ, თბ და თოუ ყველა სქეს-კატეგორიის ფორმებითურთ, როგორც ეტყობა, წინათ და მაინც-და-მაინც თავდაპირველად ჩვენებითი ნაცვალსახელი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ამ დანიშნულებისათვის მხოლოდ შემდეგში ჩანს გამოყენებული.

ამ ძირის თავდაპირველი რაობაცა და მნიშვნელობა დიდურბ აქვს დაცული, რომელშიც თჰჰ, ე. ი. ასეთივე ფორმა თანამედროვე პარატელს რომ ჩვენებითი ნაცვალსახელის მრ. რ.-ისად მიუჩნევა, უკუტყვევითი ნაცვალსახელის თჰჰჰ-ს გამოშატველია.

მაშასადამე, უკუტყვევითი ნაცვალსახელი ზოგიერთი ჩვენებითი და მესამე პირის ნაცვალსახელებას ერთი შემადგენელი ნაწილთაგანი ყოფილა. ეს გარემოება მკვლევარს პ. ნ-ების ანალიზის დროს უნდა კარგად ახსოვდეს.

§ 3. პირთა ზოგადად, მეტადრე-კი მხოლოობითი რიცხვის ნაცვალსახელების აგებულება

ლეგურ ენათა პ. ნაცვალსახელები ზოგადი აღნაგობის თვალსაზრისით შესაძლებელია ორ შთავარ ნ წილად გაყოს. ენათა ერთ ჯგუფს ნ-ბოლოკიდურიანი ნაცვალსახელები აბადია, მეორესაბ-კი ნ არა აქვს. ნ-ბოლოკიდურიანი 1. და 2. პ. ნაცვალსახელები ლუნბურს, ანწუხურს, კარულს, ანდიურს, კარატულს, ბოთლიხურს, დოდობერულს, აღულურს, კვრულს, ჯეკურს, ბუდუნურს, უდურს (ნაწილობრივ), არკულსა და ახვასურს აქვს. ამ ორ უკანასკნელს ნა (არჰ.) და ნე (ახვას.) მარცვლებაც-კი აქვს ბოლოკიდურებად.

უ-ნ-ბოლოკიდურო ენათა ჯგუფის ტინდალური, ბაგულალური, ქამალალური, დიდოური, ყაფუქური, ინსოკარული, ხქარშული, ლუშუქური, თამასარანული, რუთულური, წახურული, ხინალულური და აკუშური ეკუთვნის. ამ ჯგუფის პ. ნაცვალსახელებსაც წინათ რომ ბოლოკიდურ ბგერად ნ მჰონია, ამას ქამალალური ამელავნებს, რომელსაც მისი ოდინდელი არსებობის ანარეკლი მხ. რ. 1. პ. დიჰ-ში ი-ხმოვნის ნაზალიზაციის სახით-ლა აქვს შერჩენილი.

თაუ-თავის ადგილას გვქონდა უკვე აღნიშნული, რომ პ. ნაცვალსახელების ბოლოკიდური ნ ძირეული ბგერა არ არის, ამიტომაც ძირების საკითხი განხილვის დროს ამ თანხმოვნის გამოყოფაა საჭირო.

მეტად დახარბული საკითხია ლეგურ-ალბანური პ. ნაცვალსახელების ძირისებული ნაწილია და თავდაპირველი ბგერითი შედგენილობის ამოცანა. ენათა ერთ ჯგუფს მხ. რ. 1. პარისაფის ზ-ბგერაიანი ნაცვალსახელი აბადია. ამ ჯგუფს ეკრული, თაბას-რანული, აღელური, რუთულური, წახვრული, ჯეკური, ბულდურ-ი, არბული და ედური ეკუთვნის.

ენათა მეორე ჯგუფს-ც მხ. რ. 1. 3. დ-ძირიანი ნაცვალსახელი (დუნ, დუნ დინ, დი) აქვს. ამ ჯგუფს ლუნური, ანჭურ-ი, ქარული, ანდიური, ბოთლისური, კარატული, ლოდობურული, ანვასური, ტინდალური, ბაგულალოური, ქამალალოური, დიდოური, ყაფურ-ი, იზოკარული და სტარშული შეადგენს.

ენათა ამ მეორე ჯგუფის დამახასიათებელ თავისებურებას ის წარმოადგენს, რომ ჯერ ერთი ყველა მათ მხ. რ. 2. პ. მ-ძირიანი ნაცვალსახელი აქვთ: მუნ, მენ, მინ, მო, მა, მი, — და თანაც ის გარეგნობაც ერთვის, რომ ამ მ-ძირიანს. 2. 3. ნაცვალსახელს ნათ. მაც. და მოქმ. ბრუნვების ფორმები ზოგს იმ ენათაგანში იმავე მ-ძირისაგან-კი არა აქვს ნაწარმოები არამედ სრულდებით მოულოდნელად დ-ძირისაგან. რომელიც, როგორც დავაწმუნდით, მხ. რ. 1. 3. ნაცვალსახელს აქვს ძირად. მაგალითად შესაძლებელია ჯავისსენოთ ლუნბურა შენ მუნ, რომლის ნათ. ბრ. დურ, მიც. დუჟე და მოქმ. ბრ. დუჯა არის, ანდა ანჯაბას მინ (შამრ. სქ.), რომლის ნათ. ბრ. დუჟე, მიც. დუჯო-ი, ან დიდოური მო, რომლის ნათ. ბრ. დეგი და მიც. დეგერ-ია.

მეორამ მხ. რ. 1. 3. ნაცვალსახელის დ-ძირის ამავე რიცხვის 2. 3. ნაცვალსახელის ნათ. და მიც. ბრუნვებისათვის ძირად მოვლენის უცნაურობა მართო შემოღწევისშესულით არ ამოიწურება, არამედ ზედ ისიც ერთვის, რომ ზოგს ამ ენათაგანს დ-ბგერა მხ. რ. 3. 3. ნაცვალსახელის ძირადაც უჩანს. მაგ. შესაძლებელია ლუნბურას ღრუ, ღრა და ღობ ისევე, როგორც ბოთლასურის ღრუ, ღრა და ღობ-ეე იქმნეს მოყვანილი.

ძირისებული, თუ ძირად მიჩნეული ამ დ-ბგერის დანიშნულებიანა და აღნიშვნულობას ახეთს სხვადასხვაობას და პ. ნ. კანკლელობაში ძირების ახეთს აღრევას უმკველია რაიმე საფუძველი უნდა ჰქონდეს და ჩვენს ამოცანასაც სწორედ ის შეადგენს, რომ ასეთი მოვლენის საფუძველს და მიზეზს შივავსოთ. ვიდრე ამ საკითხის საბოლოოდ განხილვას შევედგებოდეთ, შესაძლებელია ეხლავე ის მაინც ითქვას, რომ ამ დ-ძირს თავდაპირველად უმკველია რალაც სხვა, ზოგადი ფუნქცია უნდა ჰქონოდა.

თვით ამ საკითხის არსებითად განხილვა და საბოლოოდ გადაწყვეტა უნდა ქართულ-სინდურ - ლილურ - ლეგურ-ალბანური ნაცვალსახელების შედარებითი შესწავლის შემცველი თავისათვის გადავდოთ, რათგან ენათა ამ ჯგუფის მასალის გამოუყენებლივ მისი გადაჭრა შეუძლებელია.

§ 4. მრავლობითი რიცხვის პირთა ნაცვალსახელების აგებულება და ნაწილები

მხ. რ. 1., 2. და 3. 3. ნაცვალსახელების ძირისებული ბგერის გამორკვევამდე, უნდა მრ. რ. 1. და 2. 3. ნაცვალსახელების თავდაპირველი აღნაგობა და შემადგენელი ნაწილების მნიშვნელობა ვიცოდეთ. მაშინ პ. ნაცვალსახელების მხ. რ. ფორმების გაგებაც გაგვიადვილდება.

ლევტური პ. ნაცვალსახელების მრ. რ. ფორმების აგებულებისა და პირველადი მნიშვნელობის შეძლებისდაგვარად შეუმცდარად გამოსარკვევად უპირველესად მათი ერთმანეთთან შედარება არის აუცილებელი: ეს მკვლევარს საშუალებას აძლევს დაწინაურდეს, რომ ზოგი ამ ფორმათაგანი უცხო სრულად არის დაკული, ზოგი-კი ძალზე გაცვეთილი ჩანს.

ლევტური-ალბანური ენების მრ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელები ბგერითი შედგენილობისა და მიხედვით შესაძლებელია ჩამდენინე ჯგუფად გაიყოს. რაკი 1. პ. მრ. რ. ნაცვალსახელის ზოგს ენათაგანს ორ-ორი, ექვსკლუზივი, მე და აბ, ანდა იხინი-ს გამოშატველი, და ინკლუზივი, ანუ მე და შენ, ანდა თქვენ-ის ნაუწყებელი, ფორმა აქვს, ამიტომ თითოეული ამ ფორმათაგანი ცალცალკე უნდა განვიხილოთ.

ენათა ერთ ჯგუფს მრ. რ. მე და შენ-ისა, ანდა თქვენ-ის აღმნიშვნელ ნაცვალსახელად ლატერალურ-ბგერითი სახელი შეიძლება. ენათა ასეთ ჯგუფს ლუნბური, ანდიური და ტინდალური ეკუთვნის.

მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელად ნიტხლი ლუნბურს, ხოლო იტხლით ან-დაურსა და იტხლსა ტინდალურსა აქვს.

მაგრამ ასეთივე ფორმისაგან წარმომდგარი ჩვენ ნაცვალსახელი არა ერთს კილევ სხვა ლევტურს ენებშიც გვხვდება ამიტომ შემომოყვანილი ფორმების აგებულებისა და თაფდაპირველი მნიშვნელობის გამოორკვევა და გაგება ბევრი რამის განჭორვტოს საშუალებასაც მოგვცემს და ბევრ რამესაც მიგვახვედრებს.

ენათა მეორე ჯგუფს მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელის ძირად ილ მარცვალი უჩანს, ამ ჯგუფს სტაბილური ილთ და ილბ და ყაფურისი ილთ ეკუთვნის.

ამივე ჯგუფისავე უნდა იყოს ვკონებ დიდურსა ელი-ც და არჩულს ჩვენ-ის ნენ-ის, ნათ. ბრ. ულუ, დთლო, ბოლო, ოლო-სი და მიც. ბრ. უელ, დელ, ბელ და ელ-ის ილ და ელ-მარცვლებიც.

საკმარისია იმ გარემოებას მივატვიოთ ყურადღება, რომ ლუნბურს ჩვენ-ის სახელად აქვს ნიტხლი, ანდაურს-კი იტხლით, ხოლო ცინდალურს იტხლსა, რომ ამ სახელების ერთიდაიგივეობა უცილობელი შეიქმნეს: ტინდალურსა და ანდიურს სახელებს მხოლოდ თავკიდური ნ აკლიათ, სამაგიეროდ ანდიურს, ლუნბურთან შედ რებით. მეტი ბოლოკიდური ილ მარცვალი აქვს.

თუ ამის შემდეგ სტაბილურს, ყაფურისსა, დიდურის და არჩულის ილ, ელ და ილ-მარცვლიანს 1. პ. მრ. რ. სახელებს თვალს გადავაგლებთ და ანდიურს იტხლით-ს და ცინდალურს იტხლსა-ს შევადარებთ, დავრწმუნდებით, რომ ზეარშულ-ჟაფურს-არგულს ნაცვალსახელის მთელი წინა ნაწილი იტხლს აკლია და, მაშასადამე, დროთა განმავლობაში უნდა შქონდეს ჩამოცლილი.

შემალნიშნული დაკვირვება და დასკვნა 1. პ. მრ. რ. ნაცვალსახელის ამ ჯგუფების ანალოგს ვვადვილებს, რათგან ხაკითბი, რა თქმა უნდა, ხრული ფორმის განხილვამ უნდა გადასწყვიტოს: მობოებულს შედეგს ნაკლული ფორმებისთვისაც თავისდა-თავად გადამწყვეტი მნიშვნელობა ექმნება.

ლუნბურს ნაცვალსახელების განიღვის დროს უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ ნიტხლს-ის არც ნი და არც ტხლს არ შეიძლება პირთა ნაცვალსახელების ელემენტები ყოფილიყო, რათგან ლუნბურს არც 1. და არც 2. პირისათ-

ვის ძირად ასეთი ბგერების შემცველი ნაცვალსახელები არ აბაღია. იქ ამ საკითხზე მეტიც თქმა შეუძლებელი იყო, რათგან ამისთვის სხვა ენოვანი მასილის გამოყენება საჭირო და ეხლა ამის განხილვას აქ უნდა შეეუდღეთ.

ზემოაღნიშნული მოსაზრება რომ მცდარი არ უნდა იყოს, ამას შემდეგი გარემოებაც ამტკიცებს: ახმოვნებული ტბლა ბგერათა კომპლექსი მარტ-მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელში-კი არ გვხვდება, არამედ არაერთს სხვა პირისა და დანი ზნულების ნაცვალსახელშიც, მაგ.; მესამე პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელი შ.სი ინსოკატულად მამრ. სქ. ისო, სჯატულად-კი ისხა არის, ხოლო მდედრ. სქ. ინსოკატულად არის იტბლეს და სჯატულად იტბლეს (იხ. აქვე, 519 გვ).

ამაირადვე ზოთლიხრად მისი კუთვნილებითი ნაცვალსახელის მამრ. სქების მრ. რ. ფორმაა დოშულ, რომელიც დო(ის)+შუ+ლ(მრ. რ. ნიშანი)-ისაგან შესდგება, მდედრ. სქების მრ. რ. ფორმა-კი დოტბლსიტბლსი-ია, რომელიც აგრეთვე დო და ტბლსი+ტბლსი-საგან შესდგება.

ამაზე უფრო საგულისხმოა, რომ ზოთლიხრად ვინ? კითხვითი ნაცვალსახელი მხოლოდ ერთად არის ენტბლსილა, მრავლობითად-კი ევ-ნტბლსილა (იხ. აქვე, გვ. 514). ცხადია, რომ აქაც, ამ ორივე ნაცვალსახელს მეორე ნაწილიც ტბლსილა არის. დასასრულ, ლუნპუტს ვ-ნ? კითხვითს ნაცვალსახელის შრუ-ს (მამრ. სქ.) და შიჰ-ს (მდედრ. სქ.) სახელობითს ბრუნვისაც ნ.თ. ბრუნვად აქვს ტბლსილ (ორივე სქ.), მიც. ბრ. ტბლსიჩე (ორივე სქ.) და მოკმ. ბრ. ტბლსიჩა და ახევა მრ. რიცხვშიც (იხ. აქვე, გვ. 508).

როგორც ზემომოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ტბლსი გამოყენებულია მარტო მრავლობითს რიცხვში-კი არა, არამედ მხოლოდობითშიც. მარტო 1. პირისაში-კი არა, არამედ მეხამე პირის ნაცვალსახელებშიც და თან ც. რაც ყველაზე უფრო ხაყურადღებოა, ისეთს უპიროვნო ნაცვალსახელში-კი გვხვდება. როგორცაა კითხვითი ვინ? ცხადია, რომ ტბლსი, მაინცა-და-მაინც თავდაპირველად, რიცხვისა და პირისა-კი არა, არამედ რაღაც სხვა ცნებს გამოხატავდა უნდა ყოფილიყო. ეს ცნება იმდენად ზოგადი ყოფილა, რომ მოსაუბრეს ამ ტბლსი-ს გამოყენება პირისა და რიცხვისა, ნაცვალსახელის გვარობისდა მიუხედავად-კი შეძლებო.

თავის აღვილას უკვე მოყვანილი დიდურბი ნაცვალსახელების ანალიზის შემდეგ, მრ. რ. 1. პ. და ზოგიერთი სხვა ნაცვალსახელის ამ უცნაური ტბლსი ელემენტის თავდაპირველი რაობისა და მნიშვნელობის სისწორით გამოჩვენდაც არის შესაძლებელი. იქ ხომ დაერწმუნდით (იხ. გვ. 523), რომ ტბლსი დიდურბად არის უკუქცევითი ნაცვალსახელი თითონ, რომ იგი ალ-სთან ერთად პირთა ნაცვალსახელებს ერთვის ხოლმე და მათ სრულ ფორმასთან შეკავშირებით უკუქცევითი ნაცვალსახელის ფორმებს შეადგენს ხოლმე უეკველია ნიტბლსი-იც, რომელიც ნი+ტბლსი ელემენტებისაგან შესდგება, ახეთივე აგებულების სიტყვაა. პირველი მისი ნი ნაწილი შესაძლებელია პატალურშიც დატულს 1 პ. ნაცვალსახელს-ან იქმნეს დაკავშირებული, ტბლსი-კი აქაც თავდაპირველად თითონ ის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო.

მაშასადამე გამოიჩვენა, რომ მე და შენ, ანდა თქვენ-ის აღნიშვნელი მრ. რ. 1. პ. ლატერალურ-ბგერიანი ნაცვალსახელის მეორე ნაწილი უკუქცევითი

ნაცვალსახელი ყოფილა, რომ თავდაპირველად იგი მთლიანად „ჩვენ თითონ“-ის გამოხატველი ყოფილა და რომ ბოლოდ შემდეგში, შერწყმისა და მეტადრე ფონეტიკური ცვლილების წყალობით, პ. მარტივ ნაცვალსახელად ქცეულა.

მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელთა მეორე, მე და ის, ანდა ისინი-ს აღმნიშვნელი წება შესაძლებელია აგრეთვე რაშდენიმე ჯგუფად გაიყოს.

ერთი ჯგუფის ნიშანდობლივს თავისებურებას უ-ბგერიანობა წარმოადგენს. ამ ჯგუფს ეკუთვნის: ლუნბურტი, ანბურტი და ჩატული ნიუ, ყოუტი უინ. რუთულური უი, ლუმბურტი უუ.

მეორე ჯგუფს უ-ბგერიანობა აქვს. მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელების ამ ჯგუფს ეკუთვნის: ანბურტი იშილი, ნოთლასურტი იშიი, ცანდალურტი იშია, მარულაურტი იშიი, ლოლბურტი იშიი (ჩვენი — იშიუ!), კატაღული იში (ჩვენი — იშიუ) და ჩასურული ში.

მეამე ჯგუფის მრ. რ. 1. პ. ნ. ბგერიანობა აქვს. ამ ჯგუფს ეკუთვნის: ვტრული ჩინ, აღულური ჩინ, თაშასატაღული იჩუ და ლოლბურტი იშიი.

მეოთხე ჯგუფსაბგერის-კი სს-ბგერიანობაა დამახასიათებელი. ამ ჯგუფს ეკუთვნის: ასასურტი ისხი და ჩანალაღური ისხი.

ასეთი ჯგუფიც არსებობს, რომელსაც მრ. რ. 1. პ. სახელს ა-ბგერიანობა მოეძღვება. ენათა ამ ჯგუფს ბუნბურტი აინ, რდურტი აან და სანალაღური აინ ეკუთვნის.

უ-ბგერიანობა, უ-ბგერიანობა და სს-ბგერიანობა შესაძლებელია ადვილად დაკავშირდეს ერთმანერთთან, რათგან ამ ბგერათა ასეთი შენაცვლება ჩვეულებრივი მოვლენაა.

თქვენ-ის ლეგური სახელებიც შესაძლებელია ბგერითი შედგენილობისდა მიხედვით ჯგუფებად დავაღავოთ.

ერთ ჯგუფს უ-ბგერიანი ეკუთვნიან, სახელდობრ ლუნბურტი, ჩატული და ანბურტი მუჟ, — სტაბურული მიჟო დი მიჟა, — ყაფურტი მიჟე, — დანბურტი მიჟა, — არჭული მუჟინ და რუთულური უუ.

მეორე ჯგუფად შესაძლებელია უ-ბგერიანი გამოიყოს. ამ ჯგუფისაა: კატაღული შუ, თაშასატაღული იჩუ, ნოთლასურტი ბიშტი, კატაღული ბიშტი, მარულაურტი ბიშტი, ასასურტი უშტი, ლოლბურტი ბიტტი და ჩანალაღური ბითი. ცხადია, რომ ორს უკანასკნელს უ აქვს დაკარგული.

მესამე ჯგუფი ს და ზ ბგერიანია. ამ ჯგუფს ანბურტი ბიხხილ, ლუმბურტი ბხუ (18 ს.) და ზულ (იანამ.), სანალაღური ზურ და ყაფურტი მიჟოს შეადგენენ, ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ აქაც უ, უ და ს, ზ-ს შენაცვლებული ფორმები გვაქვს.

მაგრამ ამას გარდა, ამ სამივე ჯგუფის ფორმები აგებულების მხრითაც შესაძლებელია სამ ჯგუფად გაიყოს. ერთ ჯგუფს თავკიდურ მარცვლად მუ, მე, მი აქვს. მეორეს ბი, მესამე ჯგუფს-კი თავკიდური ასეთი მარცვალი არა აქვს, დაკარგული უჩანს.

ლუნბურტი, ანბურტი და ჩატული მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელების ნიუ-ისა და 2. პ. მუჟ-ის (ძველისა), ბერმინდელი და თანამედროვე ნუჟ-ის გენბილვისას (იბ. აქვე, გვ. 504—505) უკვე გამოორკვეული გვექონდა, რომ ამ ნ-ების ბოლოკიდური

უ არ შეიძლება არც ძირისეული, არც პირის გამოხატველი ზგერა იყოს. არამედ მისი ასეთი მნიშვნელობა ზოგადი ცნების სფეროშია საძებნელი. რომელიც მრ. რ. პირველისადა და მეორე პირის ნაცვალსახელებისათვისაც იყო გ. შიხადევი. იქვე გამოთქმული გვექონდა მოსაზრება, რომ მრ. რ. ორივე პირის ნაცვალსახელის ეს ზოლთკიდური უ უკუტყვევითი თითონ ნაცვალსახელის უფუ-ს პირველი შერჩეხილი ზგერა უნდა იყოს და, მაშასადამე, წიუ და მუჟ, თანამედროვე ნუჟ-იც თავდაპირველად მხოლოდ ჩვენ და თქვენ-ისა-კო არა. არამედ „ჩვენ თითონ“-ისა და „თქვენ თითონ“-ის (იხ. აქვე, გვ. 505) აღმნიშვნელი იქმნებოდა. მართივ პ. ნაცვალსახელად-კი შემდეგნი კცეულა.

უკუტყვევითი ნაცვალსახელების ლეგურში გამოხატვის სხვა-და-სხვა წესისა და სახესხვაობათა განხილვამ დაგვარწმუნა, რომ უ-სირიანი ასეთი ნაცვალსახელი-ბმოვანაც, ა-ც(ვალ-ში) და უ-ხმოვანაც არსებობს (იხ. აქვე, გვ. 558) და მართლაც მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელად ხომ ჯგურს უინ, ბოთლოურს უი და ლურ-ბურს უუ აქვთ, — ხოლო მრ. რ. 2. პ. ნაცვალსახელად სტარბურს მიჟო და მიჟა, ცაფურს მიჟე, დიდურს მიჟა და ბოთლოურს უუ აქვს.

ცხადია, რომ წინათ ბოთლოურსა? მრ. რ. 2. პ. ნ. ყველა სხეების მსგავსად, მიჟუ ექმნებოდა და პირველი მი მარცვალი მას მხოლოდ შემდეგში უნდა ჰქონდეს დაკარგული. ამნაირად მრ. რ. 2. პ. ნ. ყველა ამ ენებში მი და უა, ან უუ, უა, ანდა ჯო მარცვლებისაგან არის შემდგარი, ე. ი. უკუტყვევითი ნაცვალსახელის უფუ-სა და უუჟ-ს სრული, ოღონდ უსქეს-კატეგორიო ფორმისაგან.

იგივე უნდა ითქვას მრ. რ. 1. პ. ნ. ჯგურსა უინ, ბოთლოურს უი და ლურ-ბურს უუ-ს შესახებაც. უეჭველია, რომ მათაც, ლუნბურისა, ანწუბურის და ქირულის მსგავსად, წინათ თავში ნი მარცვალი უნდა ჰქონოდათ, რომელიც შემდეგში დაკარგვიან, ამ ნაცვალსახელის მეორე ნაწილი-კი უი და უუ სრულად დაუკავთ.

ყველა ზემონათქვამის შემდეგ, ვგონებ, უფლება უნდა გვექონდეს საბოლოოდ დავასკვნათ, რომ ის, რაც ლეგურს ენებში პირველი პირის ინკლუზიურ და ექსკლუზიურ და მეორე პირის ნაცვალსახელების წმინდა და ხალხის შეგნებაში მართივ ფორმებად არის აღქმული და მეცნიერთაგანაც იხევე იყო მიჩნეული, ნამდვილად რთული აგებულებისადა ყოფილა და თავდაპირველად მხოლოდ ჩვენ და თქვენ-ის აღმნიშვნელი-კი არ იქმნებოდა, არამედ „ჩვენ თითონ“ და „თქვენ თითონ“-ისა.

ზემომოყვანილს დაკვირვებასა და დასკვნას დანარჩენ პირთა ნაცვალსახელების აგებულება-წარმოშობილების გამოსარკვევადაც უადრესი მნიშვნელობა აქვს, რათგან ასეთი შესაძლებლობა იქაც ყოველთვის უნდა ჰქონდეს გველგარს გათვალისწინებული.

ლეგურ ენათა ერთ ჯგუფს, როგორც დავრწმუნდით, მრ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელები ჩ-ძირიანი აქვს, სახელდობრ: ჩვენ ვბრლად ჩუნ, აღულ. ჩინ და თაშასარ. იჩუ-ა, — ხოლო თქვენ აღულ. ჩუნ, თაშასარბრლად-კი იჩუ იქმნება. მრ. რ. 1. და 2. პ. ამ ნაცვალსახელების გასაოცარი მსგავსება უნებლიეთ იწყობს ყურადღებას: თუ ვბრლად ჩუნ 1. პ. ნაცვალსახელია, იგივე ჩუნ აღულურბად 2. პ. ნაცვალსახელია! თაბასარანულშიც ხომ მრ. რ. 1. პ. ნ. იჩუ-სა და

2 პ. ნ. იჩუ-ს შორის თითქმის არავითარი განსხვავება არ არის. ყველა ეს გვაფიქრებინებს, რომ ჩ ძირი ამ შემთხვევაშიც თავდაპირველად პირისა-კი არა არამედ აგრეთვე ზოგადი ცნების გამომხატველი უნდა ყოფილიყო. შემომოყვანილი მაგალითის შემდგომ ბუნებრივია, რომ აქაც უკუქცევითი ნაცვალსახელის ანარეკლი ვეძიოთ და შართლაც უკუქცევითი ნაცვალსახელი თითონ უნდა ხომ სწორედ იჩ. არის, რომლის ნათ. ბრ. იჩა და მიც. იჩუ-ი, თანაბარულადაც უკუქც. ნ. ჩან, ჩაბა და უჩა არის. მაშასადამე, ლეგური ენების ჩ-ძირიანი 1. და 2. პ. მრ. რ. ნაცვალსახელებიც თავდაპირველად „ჩვენ თითონ“-ისა და „თქვენ თითონ“-ის აღმნიშვნელი ყოფილა.

§ 5. პირთა ნაცვალსახელების გრამ. სქეს-კატეგორიების საკითხი

ლეგურ-აღმსრუტუნთა უდიდეს ნაწილს პ. ნაცვალსახელებში გრამატიკ. სქეს-კატეგორიები არ მოეპოვება და მხოლოდ ზოგიერთს მოუფანს აბაღია. მაგრამ მათ შორისაც თვალსაჩინო განსხვავება და მირო-მაირობაა. მაინც ეს საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ აქ უნდა ყველა იმსახვ, რაც ცალკეულ განხილვის დროს გამოირკვება, თავი მოუყაროს და ამასთან დაკავშირებულს ზოგად საკითხებსაც უნდა შევეხეთ.

აბაღული პ. ნაცვალსახელების შესწავლის დროს დავრწმუნდით, რომ, თუმცა მას პ. ნაცვალსახელების თითო და ყველა სქეს-კატეგორიისათვის საერთო ფორმები მოეპოვება, მაგრამ მხოლოდ სახ. ბრუნვაში, ნათ. და მიც. ბრუნვისათვის-კი მხ. და მრ. რ. 1. პ. ნაცვალსახელს ოთხ-ოთხი, ოთხივე სქეს-კატეგორიისათვის ცალცალკე, ფორმა აბაღია: უჩხ, დჩხ, ნჩხ, ჩხ 1. პ. მხ. რ. და უჩუ, დეუ, ბეუ და ეუ მიც. ბრ., სოლო მრ. რ. 1. პ. ნათ. ბრ. უდეუ, დოლო, ბოლო, ოლო და მიც. ბრ. უდე, დეე, ბეე და ეე არის. ყველა ამ ფორმების უ, დ და ბ სქეს-კატეგორიის თავსართებია, რომელნიც პ. ნაცვალსახელის ძირს, თუ ძირად მიჩნეულს ბგერის ემატება.

თუმცა 2. პ. მხ. და მრ. რ. ნაცვალსახელებს ამეამად ყველა ბრუნვაში თითო ფორმა-ლა გააჩნია, მაგრამ 2. პ. მრ. რ. ნათ. ბრ. უჩხ-ისა და მიც. ბრ. უჩუ ფორმების ანალიზმა უთღება მოგვცა დაგვესვენა, რომ აქაც თავკიდური უ შექველია ოდინდელი სქეს-კატეგორიის უკვე შეზრდილი ნიშანი უნდა იყოს და რომ, მაშასადამე, წინათ 2. პ. ნაცვალსახელსაც ნათ. და მიც. ბრუნვებში აგრეთვე ოთხი სქეს-კატეგორიისათვის ცალცალკე ფორმები ჰქონია.

ქასტრულის პ. ნ. შესწავლაზეც ხომ დაგვარწმუნა, რომ 1. პ. ორივე რიცხვისა და 2. პ. მრ. რ. ნაცვალსახელების ნათ. ბრ. ფორმებია ამავე თვალსაჩინო საყურადღებო. იქაც თუ მე არის ზგ, ნათ. ბრ. ჰიზდა-ა და შენ არის ში, ნათ. ბრ.-კი ჰიშდა, — ამნაირადვე თქვენ არის შუ, ნათ. ბრ.-კი უუშდა. ამ სამსავე ფორმას ნათ. ბრ.-ში ძირისა, თუ ძირად მიჩნეული ბგერის წინ 1. პ. ნ.-ს ჰი, ხოლო 2. პირისას უუ აქვს. არტულის მსგავსად, ყველა ამ შემთხვევებშიც როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა (იხ. აქვე), ოდინდელი სქეს-კატეგორიის თავსართების შენაზრდიანი ფორმები გვაქვს დაცული.

რასაკვირველია, აბაღულისა და ქასტრულის ნ.-ის ნათ. და მიც. ბრ. ფორმები ფრიად საყურადღებოა, ვითარცა გრამ. სქეს-კატეგორიების ლეგურ ენებში წი-

ნანდელი არსებობის მათწყებელი გარემოება, მაგრამ მართლ ამით მაინც ვერ დაზტკიცდება ის მოსაზრება, რომ გრამ. სქეს-კატეგორიების განჩრევა პ. ნებს თავდაპირველად სახელმობით ბრუნვაშიც შქონდათ. საბედნიეროდ ამ საკითხის გამოსარკვევადაც ლეგურ ენებში შესაფერისი მასალა მოგვეპოვება. ანღიურია, შოთლასური და დღეძებრულა ნაცვალსახელების განხილვისას ხომ დავრწმუნდით, რომ მათ 1. და 2. პ. მზ. რ ნაცვალსახელების წყვილ-წყვილი ფორმები აბადიათ: ერთი დინ და მინ შამრ. სქეს-კატეგორიისა და მეორეც დენ და მენ მდედრობითისათვის. ამის შემდეგ თითქოს შესაძლებელი იყო, რომ პ. ნაცვალსახელების გრამ. სქეს-კატეგორიების ლეგურ ენებში არსებობის საკითხი საბოლოოდ გამოსარკვევლად მიგვეჩნია, მაგრამ თავის ადვილას (იხ. აქვე, გვ. 516) უკვე აღნიშნულნი გვქონდა, რომ შემოადინიშნული ენების 1. და 2. პ. ნ. ამ წყვილწყვილ ფორმებს თავდაპირველი წესისდა მიხედვით ნაწარმოები ნაცვალსახელების სქეს-კატეგორიებად ვერ მივიჩნევთ, რათგან აქ სქესის გამომკლავნებელად მხოლოდ შუაში მოქცეული ხმოვანი ი და ე, ან წინაუკმო ე და ი ჩანს, რაც ამ დანიშნულებისათვის ლეგურს ენებში ვ, ა, ბ, დ, ან რ-ს თავსართბოლოსართებად ხმარების საყოველთაოდ გაბატონებულს წესს სრულებით არ უდგება. ამასთანავე ამ ხმოვნების დანიშნულებაც არეულია და რაც ერთ ჯგუფს შამრ. სქეს-კატეგორიის გამოხსატველად აქვს, მეორეს მდედრობითისათვის გამოუყენებია. ამ ორმა გარემოებამ გვაფიქრებინა, რომ ეს წესი პ. ნ. სახ. ბრუნვაში თავდაპირველად არსებული, სქეს-კატეგორიებისდა მიხედვით განსხვავებული, მაგრამ შემდეგ მოსპობილი ფორმების შერმინდელი საკომპენსაციო წარმოების წესია.

მხოლოდ იამასატარანულს, როგორც დავრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 548), მოეპოვება 1. და 2. პ. ნ. ისეთი ფორმები, რომელთა მსგავსი არც ერთს სხვა ლეგურ აღზანურ ენას არა აქვს რა და რომელნიც სწორედ ამის გამო და დასახული ამოკანის გადასაწყვეტად განსაკუთრებული ყურადღების ღირსად უნდა იქმნენ მიჩნეულნი.

უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ 1. და 2. პ. მზ. და შრ. რ. ნების ი თავკიდურიანობა შეუძლებელია შემთხვევითი მოვლენა იყოს. მზ. რ. 1. პ. ნ. კბრულს და აღულურს ზუნ. აბჭულს ზონ, უღურს ზუ, ჯვურს ზინ, შულურს ზენ, ხოლო რუთულურს ზენ და რახურულს ზე აქვს, ე. ი. ყველას ძირად ზ აქვს და არც ერთს შატგანს ამ ბგერის წინ არა უძღვის რა, ამიტომ იამასატარანული იზუ-ს თავკიდური ი-ს ძირეულ ნაწილად მიჩნევისათვის არაეითარი საბუთი არ შაიპოვება. იგივე უნდა ითქვას მზ. რ. 2. პირისა და შრ. რ. 1. და 2. პ. ნაცვალსახელების თავკიდური ი-ს შესაბეცად. ხოლო, რაკი ეს ხმოვანი ძირეული არ ჩანს, ამიტომ ბუნებრივად იბადება აზრი, რომ იგი იმავე წარმოშობილობისა უნდა იყოს, რანაირისაც აბჭულს 1. და 2. პ. ორივე რიცხვის ნათ. და შიც. ბრუნვებისა და წახურული, რუთულური და თაბასარანლის შემოგანხილული მსგავსივე ფორმების თავკიდური ელემენტებია: სახელდობრ, სწორედ აქ უნდა გვქონდეს შენაზრდის საზით დაცული პ. ნაცვალსახელების თავსართოვანი სქეს-კატეგორიის ფორმების ერთად-ერთი ნაშთი, რომელთა არსებობაც შემო-

მოყვანილ მოსაზრებათა გამო, თავდაპირველად ლეგურს ყველა ენებში იყო საგულისხმებელი.

ლეგურ-ალბანური ნაცვალსახელების ზოგადი მიმოხილვა ადამიანს დაარწმუნებს, რომ ამ ენების ნ-ების შესწავლაში და ანალიზში ბევრი საყურადღებო გარემოება გაგვიგებინა. გამოირკვა, რომ წინათ ნაცვალსახელებსაც სქეს-კატეგორიები ჰქონია თავსართისა და შემდეგ ბოლოსართის სახითაც, რომ ზოგი სქეს-კატეგორიის ნიშანი წინათ სხვა ყოფილა, რომ პ. ნ-ების აღნაგობა რთული ყოფილა და იქ მხოლოდ პ. ნ. ელემენტების ძებნა ბშირად, მეტადრე-კი შრ. რ. ფორმებში, სრულებით უხაფუძვლო და თანაც ამაო ცდა არის, რომ პ. ნების შექმნა-ჩამონაცვთაში უდიდესი მნიშვნელობა უკუქცევითი ნაცვალსახელის სხვა-და-სხვა სახეობას ჰქონია. ყველა ამ დებულებათა სისწორე უფრო ცხადი შეიქმნება, როდესაც ქართველურ-სინდურ-ლილლურ-ლეგურ-ალბანური ნაცვალსახელების ზოგადი თვისებებისა და ნათესაობის პრობლემის განხილვას შევედგებით.

V. ქართულ-ლილლურ-სინდურ-ლეგურ-ალბანურ ნაცვალსახელების ნათესაობა

ქართველური და სინდურ-ლილლურ-ლეგურ-ალბანური ნაცვალსახელების ვულდასმითი ჯერ ცალკალკეული, ხოლო მერმე ჯგუფობრივი შესწავლა-ანალიზის შემდეგ, დროა მოპოვებულის შეჯამებასა და ზოგადი დასკვნის შედგენასაც მივყოთ ხელი.

მთელი ზემომოყვანილი მასალა და მსჯელობა მკითხველს დაარწმუნებდა, რომ ნაცვალსახელების შრავალგვარი ნაირნაირობისდა მიუხედავად, ამ ენებს არა ერთი ზოგადი თვისებაც უჩანთ. მაგრამ ნაცვალსახელების ძირეული ბგერის თვალსაზრისით მათ შორის არსებითი განსხვავება რომ მიიხსილავს, ეს უცილობელი გარემოებაა. ამიტომ, სანამ ამ განსხვავების ბუნება და დამაშორებელი ნაირნაირობის მიზეზი გამოჩვენდეს და დამაჯერებელი საბუთიანობით განმარტებული არ იქმნება, ქართველურ-კავკასიური ნაცვალსახელების ნათესაობას დამტკიცებულ დებულებად ვერ მივიჩნევთ.

პირთა ნაცვაღსახელების ძირიაეული, ანდა ძირისეულად მიჩნეული ბგერებისდა მიხედვით ქართველურ-სინდურ-ლილლურ-ლეგურ-ალბანური ენები რამდენიმე მთავარ ჯგუფად იყოფება.

ერთ ჯგუფს შრ. რ. 1. პ. ნ. ძირისეულ ბგერად ს აქვს. ამ ჯგუფს აბბახური, უბიხური, ჩერქესული, ყაბარდოული, ჩაჩნური, ქისტური და წოვური ეკუთვნიან, ე. ი. სინდურ-ლილლური ენები მთლიანად.

ენათა მეორე ჯგუფს ძირად ზ აქვს. ამ ჯგუფს ლეგურ ენათაგან არქული, კვრული, რუთულური, წახურული, თაბასარანული, ჯეკური, ბულუხური და ალბანურის უღური შეადგენენ.

დასასრულ სასა-ენისმიერ ბგერის მქონებელნია ქართველურთა 1. პ. ნ. ნათ. ბრ. ფორმის ჩემი-სა და ჩქიმი-ს თავცილური ჩ-ც.

ენათა მესამე ჯგუფს 1. პ. ნ. ძირად დ უჩანს. ასეთი ნაცვალსახელი მხოლოდ ლეგურ ენათა შორის გვხვდება და სახელდობრ ლუნძურს, ანწუხურს,

ჭარულს, ანდრეას, ბოილისფის, ვარიტულს, დოდობერულს, ახვანურს, ტინ-
დალურს, მაგოლილურს, კამალილურს, სეარშულს, ყაფურს, ყუბარურს, დი-
დოურს და აკუმურს აქვს.

დასასრულ ორ ენას, ლუნძურს მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელად ნა, ბერკი-
ლურს-კი წუ აქვს.

მაგრამ საჭმე ის არის, რომ ჭარულს, შერულს, ტანურსა და სვანურს
მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელის სხვ. მრ. შარილია მ-ძირიანი აქვს (მე, ნა, ში),
მაგრამ წმინაში ასავე პირის სუბიექტის გამოხატველი ვ არის, რომელიც მეგ-
რულ-ჭანურში ზოგან ბ და მ-დაც-კია შენაცვლებული, ხოლო ობიექტისა მ-ა.

ეს ნიშნები ჭარულში ისტორიულ ხანოვან ცნობილ ძეგლებში ვგვხვდებით.
ამიტომ, ვ და მ-ბგერიანი მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელეები და ელემენტები-
ნ-ბგერიანს ვგუფს იმე არ მივათვლით, ცალკე მესუთე ჯგუფად უნდა გამო-
ვყოთ, რომელშიც შირტო ჭარულური ენები გვექმნება.

მაგრამ ცხადია, რომ არსებითად ენათა შირტული ორი, ს და ზ-ძირი-
ანი, ჯგუფი ცალ-ცალკეულად კი არა, არამედ ერთ ჯგუფად არის მიხაჩნევი
და, მაშასადამე, სულ 4 ჯგუფია.

თუ ს და ზ-ძირიანისა და დ-ძირიანი 1. პ. მხ. რ. 5. მქონებელი ენე-
ბის გავრცელებული გავრცელების საზღვრებსა და არეს დავაკვირდებით, ცხა-
დი ვახდება: ს-ზ-ძირიანი ენათა ჯგუფი შავი ზღვიდან იწყება და დილ-
ლური ენების გავრცელების აღმ. საზღვრამდე გვხვდება, შემდეგ ანდისა და
ყარა-კოახუს შუა მდებარე მიწაწყალი 1. პ. დ-ძირიანი ნ. მქონებელი
ანდი-დიდოური და ლუნძური ენების ჯგუფის ასპარეზს წარმოადგენს, ხოლო
აღმოსავლეთ-სამხრეთით უკვე კვლავ ზ-ძირიან ენათა ჯგუფს ს ტერიტორიას,
რომლის საზღვარი ამიერ-კავკასიაშიც-კი გადმოდის, რათგან უდურიც ხომ
ზ-ძირიანი 1. პ. ნ. მქონებელი ენაა. ამგვარად, ს-ზ-ძირიან ენათა გავრცე-
ლების ფართობი შავი ზღვიდან კახპის ზღვამდე იქმნებოდა გადაჭიმული,
ანდი-დიდოური და ლუნძური დ-ძირიანი ენებისაგან დაკავებული, შედარებით
ვიწრო ზოლის მსგავსად შეკრილი, მიწაწყალი რომ ამ დიდ ტერიტორიას ორ
ნაწილად არ ბყოფდეს.

მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელეები ძირისეული ბგერისდა გვარად შესაძლე-
ბელია აგრედვე ჯგუფებად ჩავყოთ.

ერთს ჯგუფს ძირის თანხმოვნად ფ, ვ და ზ ბგერაც-კი უჩანს. 2. პ. ასეთი
ნაცვალსახელი აბხაზურს (რომელსაც ბ-ვ მოვბოვება), უბიზურს, ჩერქეზულს
და ყაბარდიულს, ე. ი. ყველა სინდურ ენებსა აქვთ. შემდეგ-კი ამ ბგერიანი
2. პ. ნაცვალსახელის გავრცელებულობის ასპარეზი თავდება, მაგრამ საკმაოდ
მოზრდილ ხარვეზს იქათ კვლავ უ და ვ-ბგერიანი ნაცვალსახელი ჩნდება.
ხარვეზი დიდლური ენების და ანდი-დიდოურის, ისევე, როგორც ლუნძური
ენების ჯგუფის გავრცელების ფართობისგან შესდგება. მათი მიწაწყლის აღ-
მოსავლეთითა და სამხრეთით-კი ფ, ანდა ვ-ს მქონებელი ალულური, თაბა-
სარანული, კვრული, ჯგური, ბუდუზური, სინალდური, არჭული და უდური
ენების ფართობია, ანუ ლეგურ ენათა იმავე ჯგუფისა, რომელსაც 1. პ. ნ-
ზ-ძირიანი აქვს.

ენათა მეორე ჯგუფის მხ. რ. 2. პ. ნემბი მ-ბგერიაანია. ამ ჯგუფს ანდიურ-ლი, დიდოური, ბოთლიხური, კარატული, დოდობერული, ყუბანადური, ტინდილური, მაგულაღური, ქაშალიღური, ასვახური, სვარშული, ყაფუღური, ღუნძური, ანჭუხური და ქარული ეკუთვნის.

ენათა მესამე ჯგუფს მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელის ძირად, ან ველადი მ. ანდა სოროხისძიური მ-ბგერა აქვს.

მ-ბგერიაანი მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელი, როგორც უკვე ვიცით, ჩართულად სავსავე ენას აქვს ზ-ს სახით, ჩაჩხურს ზიჟო, ქინტურსა და წოვეურს კი ზიო, — ლეგურ ენათაგან — ჯრკიღურს მ-ბგერიაანი მათ შენ და ლ-ბგერიაანი ღუ კიღოვ რუთულურსა და წახურულს მოეპოვება. დასასრულ, როგორც ცნობილია, მეორე პირის ნაცვალსახელოვან ნიშნად მ ძველ ქართულსაც მჭობდა, ხოლო ქართველურთაგან სვანურს ესლაც შერჩენილი აქვს, აზხაზურსა და უბიხურს 2. პ. ნ. მ, მს მოეპოვება.

ლეგური ენების ცალკეაღვლი განხილვისა და ზოგადი დასასრულები დროსაც აღნიშნული გვეჩინდა ის თავისებური გარებობა, რომ მხ. რ. 2. პ. ან მ-ძირიანს ნაცვალსახელს არაერთს ენაში, მაგ. ღუნძურ-დიდოური ჯგუფისაში. ნათ., მიც. და ზოგან მოკმედ. პრ. თორმეტი ამავე ძირისაგან-კი არა, არამედ დ-ძირისა აქვთ. რომელიც ამავე ენებს მხ. რ. 1. პ. და 3. პ. ნაცვალსახელების ძირად უჩანთ.

ძირისეული ბგერისდა გვარად პ. ნაცვალსახელების შემომოყვანილი განჯგუფების ვითარება დაანახვებს ყველას იმ ხართულეს, რომელიც ქართულსინდურ-დიდლურ-ლეგურ-ალბანური ენების ნაცვალსახელების ურთიერთობის ნათესაობის დებულებას ეღობება წინ: რაც ენათა ერთ ჯგუფს 1. პ. ნ. ძირად აქვს, ის მეორე ჯგუფს 2. პირისად მოეპოვება და ვ და მ ბგერები თუ ქართველურს ენებში 1. პ. ნაცვალსახელის ძირია და ნაცვალსახელოვან თავსართია. იგივე ფ და ვ გამოუკლებლივ ყველა სინდურ ენებსა და ლეგურ-ალბანური მ ენოვანი ერთეულის შემცველს საშირეთ-აღმოსავლურს ჯგუფს მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელის ძირად და ნიშნად აქვს, ისევე, როგორც ანდი-დიდოური და ღუნძური ენების ჯგუფებს მ-ბგერაც აგრედვე მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელად მოეპოვება.

ასეთივე და უფრო მეტი წინააღმდეგობაც სუფევს დ-ძირის დანიშნულების სფეროშიც: თუ ანდი-დიდოურ და ღუნძურ ენათა ჯგუფებს იგი მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელად აქვთ, მათვე 2. პ. ნაცვალსახელის ნათ. და მიც. ბრ. ძირადაც გამოუყენებიათ, ენათა დიდს უმრავლესობას დ და თ სწორედ მხ. რ. 3. პირის, ჩვენებითი და უკუტყვივითი ნაცვალსახელების ძირად მოეპოვებათ.

სანამ ამ უცნაური მოვლენისა და აუზნელი აღრულობის მიზეზი გამოკვეთული არ იქმნება, სანამ არ გავიგებთ, თავითგანვე ასეთი მდგომარეობა იყო, თუ არა, ვიდრე სრული დამაჯერებლობით განმარტებული არ გვექმნება, თუ როგორ გაჩნდა მებჯველების ამ ნაწილში ასეთი აღრულობა, ვანა შესაძლებელია და უფლება გვაქვს ქართველურ-სინდურ-დიდლურ-ლეგურ-ალბანური ენების ნაცვალსახელების ნათესაობა ქეშმარიტ დებულებად მივიჩნიოთ?

ქართველურისა და სინდურ-ლილურ-ლეგური ენების ცალკეულმა შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ პ. ნ-ების მრ. რ. ფორმები წინათ მხ. რ. ფორმებისაგან მარტო მრ. რ. ბოლოსართით განსხვავდებოდა, რომ მათ პირის ნიშნები იგივე ჰქონიათ, რაც მხ. რ. ნაცვალსახელებს ებადათ. ამის ცოდნა, სადაც მრ. რ. ნ-ების ამნაირი ფორმები გვაქვს გადარჩენილი, მხ. რ. ნ-ების ფორმები-კი უკვე უკბადად გაცვეთილი, ანდა ფონეტიკურად შეცვლილი ჩანს, და მრ. რ. ფორმების გამოყენება მხ. რ. ნ-ების წინანდელი ბგერითი შედგენილობის აღდგენას შეგვადლებინებს.

რაკი პ. ნ-ების ძირისეულად მიჩნეული ბგერების ყველა შემომოყვანილ ნაირნაირობას დახელოვნებული ფონეტიკური მომგონებლობითაც-კი ერთმანერთს ვერას გზით ვერ დაუკავშირებთ და ერთი მეორისაგან ვერ გამოვიყვანთ, ამიტომ, მათი თავდაპირველი წარმოშობილება-რაობის გამორკვევის გარეშე, ამ უალრესად დახლოვებულს საკითხს ვერა ეშველება რა.

შესაძლებელია, ისტორიული ხნიერების მოსაზრებაზე დამყარებით, გადავეწყვიტა, რომ ამ ენათაგან ყველაზე ძველი ცნობები პ. ნ-ების ძირეული ბგერის გამოსარკვევად ქართულში მოგვეპოვება, სადაც წერილობითი ძეგლებით დადასტურებული ფაქტები გვაქვს ხელთ და ამ საფუძველით 1. პ. ნ. ძირეულ ბგერად სწორედ ვ მიგვეჩნია, მ-ს გაჩენა-კი ფონეტიკური შენაცვლებით აგვეხსნა. მაგრამ თვით ქართულშიც-კი რომ ამ დებულების სისწორეს არაერთი გარემოება არღვევს? ამას ისიც ერთვის ზედ, რომ, თუნდაც ყველა ამ დამაბრკოლებელ გარემოებასაც ყურადღება არ მივაქციოთ, მაინც როგორ და რით ავსნათ, რომ იგივე ვ და მ, რომელნიც ქართულს მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელის ძირად აქვს, სინდურს ყველას და ლეგური ენების საკმაოდ მრავალრიცხოვან ჯგუფსაც მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელისათვის განუკუთვნებია? ამიტომაც ამ რთული ამოცანის გადასაწყვეტად ისტორიულ ხნიერებაზე დაყრდნობა ვერც გამოგვადგება და ვერც შეგვძენს რამეს, ირამედ ამ საკითხს სხვა გზით უნდა მივუდგეთ.

ვ. უ და მ-ს ენათა ერთს, ქართველურს. ჯგუფში მხ. რ. 1. პ. ნაცვალსახელად, ხოლო ენათა მეორეს, სინდურსა და ლეგურს, ჯგუფში მხ. რ. 2. პ. ნაცვალსახელად გამოყენებისდა მიუხედავად, მათ შორის ნათესაობის აზრი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი კიდევ დაიჯეროს ადამიანმა, თუ წარმოვიდგენთ, რომ ამ ვ-ს წინათ რალაც ისეთი ცნების გამომხატველობის ფუნქცია ჰქონდა ენისაგან დაკისრებული, რომელიც პირველსაცა და მეორე პირსაც ჰქონდა და ამიტომაც პირველისთვისაც და მეორე პირისთვისაც იყო გამოსაყენებელი.

ვერც ქართველურისა და ვერც მარტო ლეგურ-ალბანური ენოვანი მასალებით ამ ამოცანის გადაწყვეტა ვერ ხერხდება, რათგან ამ ენებში ვ, უ და მ-ს პირთა ნაცვალსახელების სახ. ბრუნვის ფორმებში პირის აღმნიშვნელობის ფუნქციის გარდა სხვა არაფერი აქვს დაკისრებული, ეს დანიშნულება-კი, როგორც დავრწმუნდით, ქართველურსა და ლეგურ-ალბანურ ენებს ერთმანერთისაგან ბირიანად განსხვავებულად აქვთ განაწილებული. ამ პრობლემის გადაჭრას მკვლევარი მხოლოდ სინდური ენების საშუალებით შესძლებს.

ანსაზურ პ. ნაცვალსახელებს, როგორც ცნობილია, სინდურ ენათაგან ერთად-ერთს მხ. რ. 2. და 3. პირისათვის სქეს-კატეგორიისდა მიხედვით განსხვავებული ფორმები აბაღია. გეოგრაფიულადაც და აგებულებითაც აბხაზურზე ისეთს დაშორებულს ენას, როგორც ანდჰუტაა, მხ. რ. 1. და 2. პირისათვის, როგორც დავრწმუნდით, მამრობითი და მდედრობითი სქესისათვის განსხვავებული სახეობის ნაცვალსახელები აქვს და, როდესაც მამაკაცი თავის თავზე იმბობს **მეო**, უმკველად უნდა დინ იხმაროს, ხოლო თუ ამასვე ქალი იტყვის, ის უსათუოდ დენ-ს იხმარებს. ამნაირადვე, თუ მამაკაცს მიჰმართავენ და იტყვიან **შენო**, მაშინ მინ უნდა იყოს ნახმარი, ქალისადმი მიმართვისას-კი **შენ**.

თუ სინდურ ენათაგან აბხაზურს მხ. რ. მარტო 2. და 3. პირის ნაცვალსახელებისათვის სქეს-კატეგორიისდა მიხედვით განსხვავებული ფორმები აქვს, ლეგურ ენათაგან ანდიურს მხ. რ. 1. და 2. პირის მამრობითი და მდედრობითი სქესებისათვის განსხვავებული ნაცვალსახელები მოეპოვება. პ. პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელებისათვის ხომ დილლურს ყველა ენას და ლეგურ ენათაგან თითქმის ყველა სქეს-კატეგორიანებს გრამ. სქესისა და კატეგორიებისდა მიხედვით განსხვავებული ფორმები მოეპოვებათ.

არქულს, თუმცა 1. პ. მხ. რ. ნაცვალსახელის მხოლოდ ერთი ფორმა ზონ აქვს, მაგრამ მისი ნათ. ბრუნვაც ასევე ერთი ფორმის მქონებელი-კი არ არის, არამედ ოთხივე სქეს-კატეგორიისათვის, როგორც ვიცით, ცალკეული უიხ. დის, პის ფორმებია. თუ ნათ. ბრუნვის ფორმაზე შესაძლებელია ითქვას, რომ აქ ნამდვილად 1. პ. ნ. კანკლედობა-კი არაა, არამედ კუთვნილებითი ნაცვალსახელია, რომელსაც ბევრს სხვა ენაშიც, სადაც ნაცვალსახელების სახელობითმა ბრუნვამ გრამატ. სქესის განჩევა არ იცის, ასეთივე თვისება აქვს, მიცემითი ბრუნვის ფორმები ხომ კუთვნილებითი ნაცვალსახელები არ არის, არქულს-კო ორივე რიცხვის 1. პ. ნაცვალსახელის ნათ. და მიც ბრუნვებში ოთხივე სქეს-კატეგორიისათვის ცალ-ცალკე ფორმა მოეპოვება. საბედლობა: მხ. რ. 1. პ. მიც. ბრ.—**ჟეზ, დეზ, ბეზ, ეზ**,— მრ. რ. 1. პ. ჩვენ ნენ-ის ნათ. ბრ. **ულუ, დედო, ბოდო, ოდიო**,— ხოლო მიც. ბრ. **ჟელ, დელ, ბელ და ელ**.

თუ გავიხსენებთ, რომ 1. პ. მხ. რ. ნაცვალსახელის ძირი ზ არის, მრ. რ. 1. პირისა-კი ნ. ცხადი გახდება, რომ სქეს-კატეგორიების ნიშნები უ, დ და მ ამ ძირს თავსართის სახით ემატება. აბხაზურშიც ნაცვალსახელის მხოლოდ თავკიდური ბგერაა სქეს-კატეგორიის განმასხვავებელი. პ. პ. და ჩვენებითს ნაცვალსახელებს ზოგს ენაში, როგორც დავრწმუნდით, სქეს-კატეგორიის ნიშნები თავსართად, მაგრამ უმეტესობას ბოლოსართად აქვს.

სათანადო ადგილას აღნიშნული გვექონდა, რომ თუმცა ანდი-დიდოური ენების 1. და 2. პ. ნ. წყვილ-წყვილი, მამრ. და მდედრ. სქესისათვის განსხვავებული ფორმები საყურადღებოა, მაგრამ თვით ამ ფორმების წარმოების წესი ძველი არ შეიძლება იყოს, არქული პ. ნ. ნათ. და მიც. ბრ. 4 სქეს-კატეგორიის განსხვავებული ფორმებიც საყურადღებოა ისევე, როგორც თავისარანულის ოთავკიდურიანი ნაცვალსახელებიც, მხოლოდ მარტო ამით ამ საკითხის გამორკვევა შეუძლებელია.

ყველა სინდურ ენებს გამოუკლებლივ, როგორც ვიცით, უ მს. რ. 2. პ. ნაცვალსახელის ნიშნად აქვს, მაგრამ იმ უილორესად საყურადღებო განსხვავებით, რომ, თუ უბახურს, ზერქეზულსა და ყამარლოულში ეს უ მხოლოდ და მხოლოდ 2. პირის გამომატველია, საერთოდ და სქეს-კატეგორიისდა ნიუხედავად, რათ-ვან ამ ენებში გრამ. სქეს-კატეგორიების გარჩევა აღარ იცის, აბხაზურში იგივე უ უკვე შოგადად მს. რ. 2. პ. ნაცვალსახელის ნიშანი-კი არ არის, არამედ მარტო მამრობითი სქესის 2. პ. გამომატველია, ე. ი. ამ უ ბევრის ფუნქცი-ურა დანიშნულება მკაფიოდ გარკვეულ სქესთან არის დაკავშირებული, რათ-ვან სხვა სქესის, მაგ. მდედრ. სქესის, 2. პირისათვის, როგორც ვიცით, ბირა იხმარება.

ეს რომელი ამ ორი დანიშნულებათაგან, — 2. პირისა, თუ 1. სქეს-კატეგორიის 2. პირისა, ან იქნებ მხოლოდ 1. მამრ. სქეს-კატეგორიის, პირისდა მიუხედავად აღმნიშვნელობა. — შეადგენდა თავდაპირველს ფუნქციას. ამის გა-მორკვევას ერთი მხრით აბხაზური ენის 2. პ. მრ. რ. ნაცვალსახელი შარა და შეტადრე შარა გვშველის, მეორე მხრით-კი უბიხური 3. ნაცვალსახელების მთე-ლი წყების აღნაგობის კოდნა.

აბხაზური ნ-ების ანალიზის დროს უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ მრ. რ. 2. პ. ნ. შარათ, ვითარცა მრ. რ. თ ბოლოსართის შენცველი, უნდა სწორედ 2. პ. მს. რ. ფორმისაგან იყოს ამ ფორმანტის საშუალებით ნაწარმოები. აქეთ-ვან ცხადი ხდება, რომ წინათ მს. რ. 2. პ. ნ. ჟარა-კი არ ყოფილა, არამედ შარა, რომელშიც მ-ს დაბიაღობა რ ფონეტიკურად განიხილი მოვლენა-კი არ არის, არამედ მორფოლოგიური მოვლენაა და უ-ს შერწყმულობის ნაშთს წარმოადგენს. უბიხურშიც, როგორც ვიცით, თავკიდურ ბგერად მრ. რ. 2. პ. ნ-ს ხმ აქვს. რაკი შ არც ერთს ე. წ. კავისიურს ენას სქეს-კატეგორიის ნიშ-ნად არ მოეპოვება, 2. პ. ნ. ნიშნად-კი, აბხაზურსა და უბიხურს გარდა, ქარ-ოულსაც და ზოგს ლეგურ ენათაგანსაც აქვს, ამიტომ ცხადია, რომ შ აბხა-ზურს შარა-შიც ხწორედ 2. პ. ნაცვალსახელის ნიშანია, რ, ანუ მისი წინამორ-ბედი უ-კი სქეს-კატეგორიის ნიშნის ნაშთია. ყველა ამ მოსაზრებისა და უბი-ხური 3. ნაცვალსახელების აღნაგობის ანალიზის ძალით (ლჟა და ლჟაბლან სა-მავე პირის ნ-ის ბოლოსართები რომ ჟარა-საგან იოს წარმომდგარი), უნდა დავასკვნათ, რომ წინათ 1. და 2. პ. ნაცვალსახელების ფორმები მარტო პი-რისა-კი არა, არამედ საჭიროებისამებრ სათანადო სქეს-კატეგორიის აღმნიშ-ვნელიც იყო და ისევე, როგორც 2. პ. მამრობითი სქესის გამოსახატავად შჟარა ყოფილა, რომლის ნაშთსაც თანამედროვე აბხაზური ჟარა-და წარმოად-გენს, ამნაირადვე სხვა სქეს-კატეგორიის მაუწყებელი ფორმებიც ყოფილა, მაგ. შჟარა-ც იქმნებოდა, რომლის ნაშთიც თანამედროვე აბხაზურში 2. პ. მდედრ. სქეს-კატეგორიის ფორმად არის ქცეული.

ცხადია, რომ სქეს-კატეგორიების განჩევა მარტო 2. პ. ნ-ელს-კი არ ექმნე-ბოდა, არამედ პირველი პირისაბაც და, რაკი ნ-ის ფორმას პირის თავკიდური ნიშანი დროთა განმავლობაში დაჰკარგვია, ისევე, როგორც აბხაზურსა და ყვე-ლა სინდურ ენებში და ლეგურ ენების გარკვეულ ჯგუფშიც მს. რ. 2. პ. ნაც-ვალსახელს პირის ფორმანტი დაუკარგავს, სქესის მომდევნო 1. სქესის ნიშანი-კი

2 პ. ნაცვალსახელის ნიშნად ჰქცევია, ახევე, ეტყობა, დამართვნია ქართულსა და კართველურ ენებსაც, მაგრამ 2. პ. ნაცვალსახელებში-კი არა, არამედ 1. პ. ნაცვალსახელის ფორმაში.

მაშასადამე, უ, ვ (და მ, ვითარცა მისი შენაცვლება) თავდაპირველად პ. ყველა ნაცვალსახელებშიც მხოლოდ 1. სქეს-კატეგორიის ნიშანი ყოფილა და ამ ბგერის ასეთი ზოგადი მნიშვნელობისა და პ. ნ-ების თავკიდური, სწორედ პირის გამოშხატველი, ფორმანტების გაქრობის ვშით, ქართველურ ენებში 1. პ. ნ-ისა. ზოლოდ სინდურსა და დეჟურ ენათა გარკვეულს ჯგუფში უ, ვ და მ 2. პ. ნაცვალსახელის ძირეულ ბგერად არის გვეული.

ქართველურს ენებასაც, აბხაზურ-უბიხურის მსგავსად, რომ იდგეს ლაც პ. ფორმანტს სქეს-კატეგორიის ნიშნებიც ერთად, ამის გამოშვლავნებელი კვადი სვანურში გვაქვს შერჩენითი, რომელსაც 1. და 2. პ. ნაცვალსახელების ნათ. პრ. ფორმას გუბა და გუე ბოლოსართი მოეპოვება. უეჭველია, გუბა და გუე უბიხურის ღუბა-სა და ღუბაღ-ს ყდრის, რომელიც თითონ უბრა-საგან ათის წარმომდგარი და მამრ. სქესის გამოშხატველი იქმნებოდა თავდაპირველად.

მაშასადამე, ცხადი ხდება, რომ სინდურ-ლილლურ-ლეგური ენების ნაცვალსახელები იდგეს ლაც მარტო პირისა-კი არა არამედ სქესისა, ანდა კატეგორიის აღმნიშვნელი ყოფილა. ასეთი ორი ცნების გამოხატვა პირისა და სქეს-კატეგორიის ნიშნების ერთად ხმარებით სცოდნიათ. ამნაირად შედგენილი ნაცვალსახელი ერთსა-და-იმევე დროს პირსაც და სქეს-კატეგორიისაც გამოშხატავდა ხოლმე და ჩოსაუბრებს ამ მხრივ ვინაობასაც უფრო კონკრეტულად უშულავნებდა ხოლმე. მე მამაკაცი, მე დედაკაცი, მე ბაშვი, — შენ მამაკაცი, შენ დედაკაცი, შენ ბაშვი, შენ საგანო, — ის მამაკაცი, ის დედაკაცი, ის ბაშვი, ის საგანო — ზოგადად ასეთი შინაარსი ჰქონდა ამ სქეს-კატეგორიან ნაცვალსახელებს როგორც მხ., ისევე პრ. რიცხვშიც.

მეტყველების სხვა ნაწილების მსგავსად, ნაცვალსახელებსაც სქეს-კატეგორიის ნიშნები თავსართისა და ბოლოსართის სასითაც ჰქონიათ და ნაწილობრივ, როგორც დავრწმუნდით, ზოგს ენას ეხლაც აქვს, მაგრამ ისევე, როგორც ზედსართავსა. შიშვლობასა და რიცხვითს სახელებში სქეს-კატეგორიების თავსართიანი წარმოება უფრო ძველ საფეხურად მოჩანს, ბოლოსართოვანი წარმოება-კი მეორე საფეხური უნდა იყოს, ნაცვალსახელებშიც თავსართოვან-ბოლოსართოვანი წარმოების წესი ამნაირადვე ქრონოლოგიურად სხვა-და-სხვა ხანისად არის საგულისხმებელი.

დროთა განმავლობაში, ნაცვალსახელების საუბარში ხშირი ხმარების გამო, მეტადრე სქეს-კატეგორიების შეგნებისა და გრძნობის თანდათან შესუსტებისა და შემდეგ სრულიად გაქრობის წყალობით სქეს-კატეგორიან ძველ ნაცვალსახელებს ზოგს ენაში თავკიდური, ზოგში ბოლოკიდური ნაწილი ჩამოჰშვა-და იმისდა მიხედვით თუ რა ხანაში იყო ასეთი ცვლილება მომხდარი, ოკ. ენას ზოგი ნაცვალსახელის პირის მაუწყებელი ბგერა დაეკარგა, სქესის-კი პირის ნიშნად იქცა, ზოგს ენასა და ნაცვალსახელს-კი პირიქით სქეს-კატეგორიის ნიშანი გაუქრა და პირის აღმნიშვნელი ბგერა დაცული აქვს.

კულტურულმა წარმატებამა და სწრაფი საუბრის საჭიროებამ პირთა ნაცვალსახელების სქეს-კატეგორიათა მიხედვით განსხვავებულს ფორმებს, ეითარცა შემადგერსებელ გარემოებას, ბოლო მოუღო და მოსპო. არც ერთი ე. წ. კატეგორიული ენა არ არსებობს, რომელსაც პ. ნაცვალსახელების სქეს-კატეგორიებისდა მიხედვით განსხვავებული ფორმები შენარჩუნებულნი ჰქონდეს, პირვანდელი სახით მაინც, რათგან ანდი-დადოური ენების პ. ნ-ების წყვილ-წყვილი ფორმება, როგორც უცვლით, მსოლოდ და მსოლოდ მენამინდელი საკომპენსაციო მოვლენაა. ცალკეულ ენაბა და ენათა ზოგს ჯგუფს, როგორც მაგ. ქართულსა და ყველა ქართველურებს გრამ. სქეს-კატეგორიების განარჩევა ნაცვალსახელებში უზხოვარა დროთაგანვე დაუკარგავს. სქეს-კატეგორიების თანდათან დაკარგვის პროცესის დროს რომ ზოგი ამ წარმოშობილობის ელემენტთაგანი ენას ამბ თუ იმ პიროს მაჩვენებლად უქცევიან, სქეს-კატეგორიების ნაწილაკების გაქრობისა და ნაცვალსახელებში უმარცხლობის გამო, პ. ნაცვალსახელებს მოხაუბრეთა შეგნებით პირის კონკრეტულობის გამოხატვის სწორედ ეს უნარი წართმევიან, რომელსაც პირის აღმნიშვნელს ძირს ხათანადო სქეს-კატეგორიის მაუწყებელი ნიშნისა, ანდა მარცვლის დართვა ანიჭებდა. ენას აზრის შეკავიობისათვის ამ მეტად საგრძნობი დანაკლისის შეგნება აქაც საკომპენსაციო წარმოებით უცდია. და ამ შიზნისათვის უკუქცევითი ნაცვალსახელი თითონ გამოიყენებია. სქეს-კატეგორიის ნიშნის მაგიურ ამ ნაცვალსახელის დართვა პირის ნაცვალსახელს უფრო მეტს კონკრეტულობას ანიჭებდა, ეიდრე უსქეს-კატეგორიით ფორმებს ჰქონდათ, თითონ ნაცვალსახელის ბოლოსართად ხმარებას ის დიდი უპარატესობაც ჰქონდა, რომ იგი სამი პირისათვისაც და ყველა სქეს-კატეგორიისათვისაც იყო გამოსადეგი.

სწრაფს საუბარს დროთა განმავლობაში ბოლოსართად ქცეული უკუქცევითი ნაცვალსახელების სხვა-და-სხვა ფონეტიკური სახესხვაობაც პ. ნაცვალსახელების ჯერ შერწყმულ ფორმებად უქცევიან. ბოლო შემდეგ მათხარის ბგერითი ცვლილების წყალ-ბით განუყოფელ ნაწილადაც-კი გაუბდა. ამის გამო პ. ნაცვალსახელის ამ სრულებით სხვაგვარი წარმოშობილობის ნაწილს ბეგრგან, როგორც დავრწმუნდით, და მეტადრე მრ. რ. ფორმებში, პირის აღმნიშვნელობაც-კი დაშკისრებია. ამ გარემოების ცოდნა და გათვალისწინება საშუალებას გვაძლევს მივაგნოთ იმ მეორე დიდ შემადგენელ ნაწილსაც, რომლისგანაც დროთა განმავლობაში შერთულობის წყლობით აგრეთვე ი. შ. კავკასიური და ქართველური პ. ნაცვალსახელების ნაირნაირობაა წარმოშდგარი.

ესლა დ-ძირიანა ნაცვალსახელების თავდაპირველი რაობის განზიდვას რომ შეგუდგეთ, აქაც უპარველესად ყურადღებას ის გარემოება იპყრობს. რომ ეს ბგერა ლეგურ ენათა გარკვეულს ჯგუფს ერთი მხრით I. პ. ნაცვალსახელს ძირად უჩანს, მეორე მხრით იგივე ზოგს ანდი-დადოურ ენათაგანს მს. რ. II. პ. ნ-ის ნათ., მიც. და მოკშ. ბრუნვების ძირადაც-კი აქვს. დაასრულ, მრავალ ენაში იგივე დ. პ. ბ-ისა და ჩვენებითი ნაცვალსახელის ძირია.

ასეთი სამგვარი დანიშნულებაც აჰდაგნებს, რომ ამ ბგერასაც წინათ რა-ღაც ისეთი ზოგადი ფუნქცია უნდა ჰქონოდა, რომ სამივე პირისათვის მისი გამოყენება შესაძლებელი ყოფილიყო.

კავკ. ენებში ყველაზე მეტად ამ დ-სა და თ ბგერას პ. პირისა და ჩვენებითი ნაცვალსახელის ფუნქცია აქვს დაკისრებული. მაგ. შესაძლებელია დაგისახელოთ ლუმუქ თა, ლუნსური, ბოთლიხური, ტინდალური და ლოდომეტრული დოუ, დოა, დობ, არქული თოუ, თორ, თობ, თოთ და მრავალი სხვაც, მითითებითს შა, შე, ჰუ ნაწილაკებთან ერთად შერწყმით ნახმარი, ფორმები. ლეგური ენების ცალ-ცალკეული და ზოგადი ვანხილვის დროს დავრწმუნდით, რომ წინათ ამ დ ძირის ა-ხმოვანა ფორმა დაუ, დაა, დაბ და თაუ და სხვაც ყოფილა.

დ ბგერა რომ ერთ-ერთი, 1., 2., ანდა 3. პ. ნ-ის ძირად მიგვეჩნია, სრულებით გაუგებარი იქმნებოდა ის სხვა-და-სხვანაირი მნიშვნელობა, რომელიც მას ლეგურ ენებში აქვს მიკუთვნებული. ამიტომაც ვფიქრობ, რომ დ და თ ბგერის თავდაპირველი დანიშნულება უკუქცევითი ნაცვალსახელის ფუნქცია უნდა ყოფილიყო ყველგან, ისევე, როგორც თოუ (1 სქესკ.), თორ (2) და თობ (3) არქულში ის თითონ-ის აღმნიშვნელია, ხოლო დიდროურად თვის-ს ეწოდება თებ.

ქართველურ-სინდურ-ლილურ-ლეგური ნაცვალსახელების ანალიზის დროს ხომ არაერთხელ გვქონდა შემთხვევა დავრწმუნებულიყავით. თუ რამდენად ღიდი მნიშვნელობა ჰქონია უკუქცევითი ნაცვალსახელების ცოდნას პ. ნ-ების აღ-ნაგობის ნისაგნებად. ამიტომ, რაც ცალკეულად ამის შესახებ გამოიკვია, აქ იმის გახსენებაც არის საჭირო და მათი ერთად თავმოყრაც ბევრ რამეს გაგვაგებინებს. სახელდობრ ქართველურ-სინდურ-ლილურ-ლეგური და ალბანური პ. ნაცვალსახელებისა და მათი შემადგენელი ნაწილების წარმოშობილობისა და თავდაპირველი რაობის გამოსარკვევად და ვასაგებად შემდეგ გარემოებასაც აქვს მნიშვნელობა.

ჩაჩნურად „ის“ არის იზ, ხოლო ის თითონ — იზ შნ. ამ ნაცვალსახელის ნათ. ბრ-კი „თითონ მისი“, როგორც დავრწმუნდით, იქმნება შინე, მიც. — შინა და მოქმ. შნ მაშასადამე, პ. პ. მხ. რ. იზ ნაცვალსახელი თითონ-ის გამომ-ხატველ შნ-სთან ერთად მარტო სახ. ბრუნვაში ვვხვდებით, შემდეგ ბრუნვებში-კი ეს პ. პირის ნაცვალსახელი სრულებით უკვალოდ ქრება და მხოლოდ უკუქ-ცევითი ნაცვალსახელი თითონ-ის შნ იკანკლედეა.

ლილური ნაცვალსახელების ვანხილვისას ვავიგეთ, რომ მხ. რ. პ. პ. ის თი-თონ-ის შნ გამომხატავს თითონ-ის ცნებას, მრ რ. სამივე პირის თითონ-ის მაუწყებლად-კი უკვე ამავე ძირისაგან ნაწარმოები ეშ მოლოსართია, რომელიც პირთა ნაცვალსახელებს ერთვის და აზნაირად გამოიხატება ხოლმე: ჩვენ თი-თონ — თხუო თხეშ და ვაა ვეშ, — თქვენ თითონ — შუ შეშ, — ხოლო ისინი თითონ — იზუშ-შეშ.

ზემოდასახელებული ფელსაზრისით საყურადღებოა ჩვენ თითონ და თქვენ თითონ-ის ჩაჩნურა ამ ნაცვალსახელების და მათი კანკლედობის წესიც. როგორც უკვე ვიცით, ჩვენ (შე და ის, ან ისინი) იქმნება ტხუო ანუ თხუო, „ჩვენ თი-თონ“-კი ტხუო ტხეშ, — ჩვენ (შე და შნ, ან თქვენ) არის ვაა, „ჩვენ თითონ“ — ვაა ვეშ და თქვენ ხომ შუ არის, თქვენ თითონ — შუ შეშ.

ყველა ამ შემთხვევაში პ. ნაცვალსახელს მარტო უკუქცევითი ნაცვალ-სახელის ფორმა-კი არ ეხსდევს, როგორც პ. პ. მხ. რ.-შია, არამედ პირის ნაც-ნიშანთან შერწყმული ფორმა: თხ + ეშ, ვ + ეშ, შ + ეშ, ე. ი. ისევე

ქართულში რომ „ჩვენ თითონ“-ის მაგიერ „ჩვეთითონ“ და „თქვენ თითონ“-ის მაგიერ „თქვითონ“ გვეხმარა. საგულისხმოა, რომ ყველა ამ შემთხვევაშიც ნათ., მიც., მოქმ. და სხვ. ბრუნვებში პ. ნაცვალსახელის პირველი ცალკეული ფორმა ქრება და მხოლოდ უკუქცევითი ნაცვალსახელების შემოაღნიშნული შერწყმული ფორმების კანკლედობა-ღაა, პ. ნაც. ნიშნები-კი უცვლელი რჩება. მეუის თქმაც შეიძლება: „თქვენ თითონ“-ის ნათ. და მიც. ბრ. მარტო შერწყმული-კი არა, არამედ პ. ნაცვალსახელოვან-ნიშნებ-ჩამოცლილ ფორმებსაც ხმარობენ ხოლმე (იხ. აქვე, გვ. 492), ე. ი. აქაც მხოლოდ უკუქცევითი ნაცვალსახელის კანკლედობა-ღაა დარჩენილი, პირის ნაცვალსახელის ყოველივე კვალი კი უკვე სრულებით გამქრალია.

ამაზე არანაკლებ საყურადღებოა ის გარემოება, რომ ჩაჩნუბა პ. პ. მს. რ. ნაცვალსახელს იზ-სა და ამავე პირის შრ. რ. იზუშ-საც, როგორც დაგრწმუნდით (იხ. აქვე, გვ. 490—1), სრულებით მოულოდნელად ც ძირისაგან ნაწარმოები ფორმები იქვთ ყველა (სახელობითის გარდა) ბრუნვებისათვის ისე, რომ ნათ. ბრ. მისი არას ცუინინე, მიც. ბრ. ცუნნა, მოქმ. ცუნ, — შრ. რ. ნათ. ცწრინე, მიც. ცწრნა და მოქმ. ცწრნა, იზ-კი უკვალოდ ქრება.

შემოაღნიშნულს უცნაურობას ზედ ის გარემოებაც ერთვის, რომ ჩაჩნუბაზე ამ ცუ, ცა და ცე ძირს არავითარი განმარტება არ მოემოვება და სრულებით გაუგებარია, უსლარის ლექსიკური მასალებით მაინც, რათგან თანამედროვე ჩაჩნურს ც უკუთქმითი მნიშვნელობა თავსართად, ანდა ბოლოსართად აქვს, ცუ-კი დაბლილი სიმინდის, ანდა გამხმარი მსბლის ფქვილს ნიშნავს (ჩაჩ. ე. გვ. 225 — 226), ერთი სიტყვით პ. პ. ნაცვალსახელთან საერთო არა უჩანს რა.

შემოაღნიშნული გარემოება ჩაჩნუბა პ. პ. ნაცვალსახელის საკანკლედო ფორმების ძირს შით უფრო საინტერესოდ ხდის. თუ მკვლევარი მას ჩაჩნურში განმარტებას ვერ მოუძებნის, სიმაგიეროდ საკმარასია აღამიანმა წინამძღებარე წიგნის ის გვერდები გადაიკითხოს. სადაც ღუზუჭუბა ნაცვალსახელები გვაქვს განხილული (იხ. გვ. 526), რომ ცუ-სა და ცა-ს რაობა გამოირკვეს. ღუზუჭუბში ხომ ცუ და მისი ა და ი-ხმოვანა ფორმები სწორედ პ. პ. უკუქცევითი ნაცვალსახელია. უეჭველია ჩაჩნუბა პ. პ. ნაცვალსახელის საკანკლედო ფორმებიც ამავე წარმოშობილობისა და თავდაპირველად ამავე დანიშნულების ნაცვალსახელი უნდა ყოფილიყო.

შემოდასახელებული გარემოება ამკლავებს, რომ როგორც თანამედროვე ჩაჩნურს იზ შა აქვს „ის თითონ“-ის გამოსახატავად, ისევე ძველად ამავე ცნების წარმოსათქმელად იზ-ცუ-ცე მქონია და როგორც იზ შა-ს ნათ., მიც. და სხ. ბრ. ფორმებში პირის ნაცვალსახელი იზ ჩამოსცილებია, უკვალოდ გამქრალია და მხოლოდ თითონ-ის აღმნიშვნელი შა-ს ფორმები-ღაა შერჩენილი, ცხადია. ასეთივე პროცესის შედეგს უნდა წარმოადგენდეს პ. პ. ნაცვალსახელის კანკლედობის ფორმებიც: აქაც პ. პ. ნაცვალსახელი ჩამოცილებული უნდა იყოს და თითონ-ის აღმნიშვნელი უკუქცევითი ცუ ნაცვალსახელის კანკლედობის შერჩენილი ფორმები-კი მესამე პირის ნაცვალსახელის კანკლედობად არის ჰქვეული. აშნირად, თუმცა ამ ფორმებს შენარჩუნებული აქვს მნიშვნელობა,

„თითონ მისი“, „თითონ მას“, „თითონ მისით“, მაგრამ არსებითად ზემომოყვანილი ფორმები მარტო თვისი, თვისს და თვისით-ს ნიშნავენ.

ღუნბურთასა, ანწუსურთასა და ჭარული ნაცვალსახელების განხილვის დროსაც ხომ დავრწმუნდით, რომ მრ. რ. პირთა ნაცვალსახელები მარტო-კი არ უსმარიათ, არამედ უკუთქმითი ნაცვალსახელის თითონ-თან ერთად და საუბრის დროს მარტო ჩვენ და თქვენ-ს-კი არ ხმარობდნენ ხოლმე, არამედ თურმე ამბობდნენ „ჩვენ თითონ“ და „თქვენ თითონ“, ამასთანავე თითონ-ის გამომხატველი ელემენტი ბოლოსართის მსგავსად შერწყმით ერთვოდა ნაცვალსახელს, ანდა ასეთად მიჩნეულს ფორმას.

არაერთი ენის მ. პ., როგორც მხ., ისევე მრ. რ. ნაცვალსახელების განხილვისასაც ბევრჯერ შეგვეძლო დავრწმუნებულიყავით, რომ ეს ნაცვალსახელებიც ჩვეულებრივ მითითებითი ნაცვალსახელებისა და უკუქცევითი ნაცვალსახელის შეერთებით, ანდა შერწყმითაც-კი ყოფილა შედგენილი. აქაც კანკლედობის დროს უფრო ხშირად მ. პ. ნაცვალსახელი ქრება და მხოლოდ-ღა უკუქცევითი ნაცვალსახელის ფორმები რჩება, რომელთაც ამისდა მიუხედავად პ. პირისადმი მიკუთვნილობის მნიშვნელობა მაინც შენარჩუნებული აქვთ.

მე-XVIII ს. ჩანაწერებითგან ჩანს, რომ ასეთი მოვლენა უკვე იმ დროსაც ყოფილა კუთვნილებითს ნაცვალსახელებშიც. ამ შრივ საყურადღებოა, რომ ჩვენი მე-XVIII ს. ღუნბურთად ნეფერაუ ყოფილა, ესლა ნეფერ-ს ხმარობენ, ანწუსურთად ძველად ნეფერ, ხოლო ჭარულად ნეფერაბ უხმარიათ, — თქვენი-ც ღუნბურთად ძველად იყო მოყოობა, ესლაა ნოჟორ, — წინათვე ანწუსურთად მუჟერ, ჭარულად-კი მუჟერაბ ყოფილა. ყველა ამ ფორმებს, როგორც დავრწმუნდით, უკუქცევითი ნაცვალსახელის შ(შ) ძირისხაგან ნაწარმოებში, ან მხოლოდ ნათ. ბრ. ფორმა, ან ამასთანავე ამა-თუ-იმ ბოლოსართის შემცველი (გერაუ, ეერაბ, ეორაბ, ეერ, გორ) სქეს-კატეგორიის ნიშანი ახლავს.

მაგრამ აქაც მ. პ. კუთვნილებითი ნაცვალსახელის ის ფორმაა საგულისხმო, რომელიც მე-XVIII ს. ჩანაწერშია აღბეჭდილი. მისი მაშინ ღუნბურთად ყოფილა შენელაუ, ჭარულად ფენელაბ, ხოლო ანწუსურთად აენელ. რაკი ამ ფორმებს მ. პ. ღუნბურთა ნაცვალსახელის დოჟ-ს ნათ. ბრ. დოჟელ-ის არავითარი კვალიც-კი არ იტყობა, ცხადი ხდება, რომ აქაც პირის კუთვნილებითი ნაცვალსახელის ჩემის-ს გამომხატველი წინა ნაწილი ხრულუბით გაშქრალია და მხოლოდ თვისი-ს გამომხატველი უკუქცევითი ნაცვალსახელი და ყოფილა.

ყველა შემოადნიშნულისა და შემონათქვამის შემდგომ, აღვილი გასაგები იქმნება, თუ რატომ და რა გზით არის ქცეული დ-ძირი ზოგს ენათა ჯგუფში 1. მ. ნაცვალსახელად და იმავე დროს 2. მ. ნ-ის ნათ., შიც. და შოკმ. ბრ. ფორმებად, ხოლო ენათა დიდ უმრავლესობას მ. პ. და ჩვენებითი ნაცვალსახელებად აქვს: ბოლოსართად ქცეული უკუქცევითი ნაცვალსახელის დაუ, ანუ თაუ, დოჟ ან თოჟ და მათ სხვადასხვა ფონეტიკურ სახესხვაობათა მ. ნაცვალსახელებთან ერთად შერწყმული ხმარებისა და დროთა განმავლობაში მ. ნაცვალსახელების ძირისეული, ანდა ძირეულად მიჩნეული ნაწილის გაქრობის გამო და გაქრობასთან ერთად ნათყე მ. ნ.-ების გადმოტანის გზით.

მაშასადამე, ნაცვალსახელების ძირებად მიჩნეული ზეგნების კარგად ცნობილი ხიმრავლე და აღრულონა მართლაც ასეთი ძირების სიმრავლის შედეგი-კი არ ყოფილა, არამედ იმ რთული პროცესისა, რომელსაც ნაცვალსახელები შეუქმნია: აქ, როგორც გამოიჩინა, პ. ნ-ების თავდაპირველ ძირებს გარდა, ოდინდელი სქეს-კატეგორიების ნიშნებიცა და უკუქცევითი ნაცვალსახელები. ზოგან მთლიანად, უფრო ხშირად-კი მხოლოდ მათი ნაწილებიც ყოფილა შერთულ-შეთვისებული.

ესლა მხოლოდ-ღა პ. ნაცვალსახელების თავდაპირველ ძირებზე დაგვიჩინა ორიოდ სიტყვა სათქმელი. 1. პ. ნ. ძირად ს, ანდა წ არის მისაჩნვეი, რომლის ვავრცელების არე, როგორც დავიწყებულით. წინათ შავი ზღვითგან მოყოლებული კასპის ზღვამდე ყოფილა გადაჭიმული. ქართველურისა და ანდი-დიდოფრ-ღუნძური ენათა ჯგუფის 1. პ. ნაცვალსახელი-კი სქეს-კატეგორიისა და უკუქცევითი ნაცვალსახელის ხამუართგან არის შექრილი. საღიჭრებელი, რომ ჩემი-ს პირველი მარცვალი 1. პ. ნ. ამავე ზეგნის ფონეტიკური სახე-ნაცვლი იყოს, ნი-კი ოდინდელი სქეს-კატეგორიის გრ მარცვლის სახესხვაობა, თუ რომ ქართველურშიც ჩ, ლეგურ ენათა მსგავსად, სხვაგნებური, სახელდობრ, უკუქცევითი ნ. ცვალსახელის ანარეკლს არ წარმოადგენს.

2. პ. ნ-ის პირველად ძირად წ არის მისაჩნვეი, რომელიც სინდურს ენებში (აბხაზ. და უბიხ.) და ქართულში (კალკულად) შ-დ არის შენაცვლებული, ხოლო ფ, მ და დ (ნათ., მიკ. და მოქმ. ბრ-ში) სინდურსა და ლეგურ ენათა გარკვეულ ჯგუფში, როგორც უკვე ვიცით, სქეს-კატეგორიებია და უკუქცევითი ნაცვალსახელს ს არითგანვეა შექრილი.

3. პ. ნ-ის ძირად ნ-ს მიჩნევა, ქართულით ძველთაგანვე დამოწმებისდა მიუხედავად, არ შეიძლება, რათგან, როგორც დავიწყებულით, ერთი მხრით აბა-ჭურთა ლარა, რომელიც პ. პ., მაგრამ მხოლოდ მდედრ. სქესის აღმჩივგნელია, მეორე მხრით-კი ის გარემოებაც, რომ ქართულში ნ თავდაპირველად მდედრ. სქეს-კატეგორიის ნიშანი ყოფილა, იგი, უმცველია, სქეს-კატეგორიათა არითგან შექრილი ელემენტია. დ ზეგნაც, როგორც გამოიჩინა, უკუქცევითი ნაცვალსახელის ოდინდელს კუთვნილებასა და წკლილს წარმოადგენს.

ყველა იმ მოსაზრებათა გამო, პ. პ. ნაცვალსახელი, როგორც ეტყობა, შა, ჰე, ჰუ ნიშნითგან ნაწილაკით გამოიბატებოდა, რომელსაც ჯერ სათანადო სქეს-კატეგორიის ნიშანი, ხოლო შემდეგ უკუქცევითი ნაცვალსახელი ერთვოდა.

ნაცვალსახელების ძირების ნათესაობა და იგივეობაც-კი ქართველურ-სინდურ-ლილლურ-ალ მანურ ენებში, მაშასადამე. შ. საძლებელია უცალობელ ქეშპარტებად იქმნეს მიჩნეული. ვანა შესაძლებელია შემთხვევითი მოვლენა იყოს, რომ ქართულსა და ქართულურშიცა უკუქცევით ნაცვალსახელებად თავი, თვთ, თი. დუდო და თხვმ იქცეს და ლილლურ-ლეგურ ენებშიც დაუ, თაუ და მათი სხვადასხვა ფონეტიკური სახესხვაობა უკუქცევითი ნაცვალსახელივით. ან კიდევ, ვანა საძლებისხმო არ არის, რომ სხანურსაც უკუქცევით ნაცვალსახელად ჯა და პ. პ. ნ-ად ეჯა (< ჰე + ჯა) აქცეს და მისგან გეოგრაფიულად ისეთ დამორბულ ენასაც-კი, როგორც დიდურია, პ. პ. ნ-ად მე-XVIII ს. ჯო-ვე ჰქონია, რომელიც ესლა უკვე ვთ-დ არის შენაცვლებული.

მომავალში შესაძლებელია დამტკიცდეს, რომ უკუქცევითი ნაცვალსახელები *თ*, *ღ*, *ჯ*, *ჟ*, *შ* და *ჩ*, *ც* ძირები ყველა ერთი-და-იმავე ბგერის ფონეტიკურ სახესხვაობას წარმოადგენს.

ქართული ნ-ების ანალიზში დაგვარწმუნა, რომ მრ. რ. 2. პ. ნ. თქვენ პ. ნ-ის არავითარ ელემენტს არ უნდა შეიცავდეს, არამედ იგი რაღაც სხვაგნებური წარმოშობილობისა უნდა იყოს. ამნაირადვე ლალღური პ. ნ-ების განხილვისას გამოიჩინა, რომ მრ. რ. 1. პ. ნ. ტხენ და ტხუო-საინუ თხენ და თხუო-ში არც 1. და არც 2. პ. ნ-ების არავითარი ელემენტი არ მოიპოვება, არამედ ისიც წინათ რაღაც სხვა არეს კუთვნილება უნდა ყოფილიყო. ქართული თქვენ, ანუ თქვენ-ისა და ლალღური თხენ და თხუო-ს ბგერითი მსგავსების უარყოფა ხომ შეუძლებელია. ამ ორი ნ-ის ასეთი ბგერითი მსგავსება შემთხვევითია? და, თუ შემთხვევითი არ არის, რა მიზეზი შეიძლება იყოს, რომ ქართულს ბგერათა ეს კომპლექსი მრ. რ. 2. პ. ნაცვალსახელად აქვს, ლალღურს-კი მრ. რ. 1. პ-რისად?

მას შემდგომ, რაც ჩვენ მრავალი მაგალითი გვინახავს, როცა უკუქცევითი ნაცვალსახელი, ანდა მისი ელემენტი, პ. ნ-ად ქცეულა, ვგონებ, აღარ უნდა გვეუცხოვოს აზრი, რომ მრ. რ. 2. პ. ქართული ნაცვალსახელიც შესაძლებელია ამავე წარმოშობილობისა იყოს. ეგების იგი ძველ ქართულში კარგად ცნობილს, თავის აღმნიშვნელ სიტყვა თხემ-თან იყოს დაკავშირებული, რომლის ფონეტიკური სახესხვაობა თხემ, როგორც ვიცით, სჯანურს სწორედ უკუქცევით ნაცვალსახელად აქვს.

ეს მოსაზრება რომ მართალი გამოდგარიყო, მაშინ ადვილი გასაგები გახდებოდა, თუ როგორ იყო შესაძლებელი, რომ ეს სიტყვავე ლალღურსა მრ. რ. უკვე 2. პ. ნ-ად ქცეულიყო. მართალია, არსებული მასალებითგან არ ჩანს, რომ ამნაირი სიტყვა ჩაჩნურსა უკუქცევითი ნაცვალსახელი იყოს, მაგრამ მაინც საყურადღებოა, რომ ჩაჩნურსადაც თხაუფ სახლის თავს, სახურავს, ანუ თხემსვე ნიშნავს (იხ. ჩაჩნ. ე., გვ. 214).

დასასრულად, ნაცვალსახელების ბოლოკიდური ნაწილის შესახებაც. უკვე კარგად ვიცით, რომ ქართულსა და ქართველურულსა და ნ ბოლოსართი აქვთ და ლღურ ენათა უმრავლესობასაც ამავე დანიშნულების ელემენტად იგივე ნ და ნე-ც მოეპოვებათ. განა შესაძლებელია ასეთი რამე შემთხვევითი მოვლენა იყოს? მაღერ ენებსაც ხომ რე, რი და რ ფორმანტი აქვთ. რ-სა და ნ შენაცვლება იმდენად სწორია, რომ ამ ორი ფორმანტის იგივეობაზე ბევრი საუბარი საჭირო არ უნდა იყოს. ცხადია, რომ რ და ნ ერთ-ერთი ოდინდელი სქეს-კატეგორიის შერდილ-გადაგვარებული ნაშთია.

ეხლა-კი, ვგონებ, სრული უფლება უნდა გვქონდეს დავასკვნათ, რომ ქართველურ-სინდურ-ლილღურ-ღეგურ აღბანურ ნაცვალსახელებს, როგორც ძირები, ისევე აღნაგობა და ამ ცნების გამოხატვის წესიც ერთი-და-იგივე ჰქონია და, მაშასადამე, მათი ნათესაობა ამ მხრივაც უცილობელ დებულებად უნდა იყოს ცნობილი.

ქ ა რ ი მ ე ე ქ ვ ს ე

ზენა. სიყვანთა ქიჩევის ნათესაობა. ღასპენა.

დასახული ამოყანა და ფარგლები

ნ. მარჩის, მეტადრეკი აკ. შანიძისა, იოს. ყიფშიძის, ვარდ. თოფურიასი და არნ. ჩიქობავას გამოკვლევების წყალობით ქართული და ქართველური ზმნის აგებულება უკვე საკმარისად საფუძვლიანად არის შესწავლილი. სამწუხაროდ, ამ მხრით ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა გაკეთებული სინდური ენების ზმნის აგებულების შესასწავლად. მართალია, წინანდელთან შედარებით, იქაც საქმეს ოდნავ გაუმჯობესება დაეტყო ისე, რომ უბიხურისათვისაც (და ადიღურის, ქიახურისათვისაც) მონოგრაფიული გამოკვლევები და უკანასკნელისათვის, როგორც ვიცით, გრამატიკაც-კია გამოქვეყნებული (იაკოვლევისა და აშხაშაფის). მაგრამ ზმნის აღნაგობის სირთულე იქ მაინც დაძლეული არ არის. უნდა აღინიშნოს, რომ დკშეზილმა თავისს შედარებით გამოკვლევაში სინდური ენების ზმნის ზოგადი თვისებების გამორკვევაც სცადა და არაერთი სამართლიანი დაკვირვებაც მოეპოვება, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი სამუშაოა გასაკეთებელი, სანამ სინდური ენების ზმნის აღნაგობის ჩვენი ცოდნა იმ დონეს მაინც მიაღწევდეს, რა დონეზედაც ამჟამად ქართულისა და ქართველური ენების ზმნის აღნაგობა ვიცით.

სრულებით უმწეო მდგომარეობა იყო ბოლო დრომდე ლილლურ-ლეგურ-ალბანური ენების გრამატიკის ამ დარგში. ზმნის აღნაგობის შესასწავლად თითქმის არაფერი იყო გაკეთებული და საქმე უღვლილების ფორმების აღნუსხვას მხოლოდ ოდნავ სცილდებოდა. მართო ამ ბოლო დროს დაიწყო ზოგიერთი ლეგური ენების გარდაცხადებული შესწავლა, მაგრამ მისი შედეგი ჯერ გამოქვეყნებული არ არის. ამის გამო ლილლურ-ლეგური ენების ზმნის ზოგადს თვისებებზე იმ მცირეოდენს გარდა, რაც აღ. დირჩ-ს აქვს თავის „შესავალ“-ში და ლ. ჟირკოვს პატარა, ექვს-გვერდიანს მოხსენებაში „დადესტნის იაფეტურ ენების ზმნის აგებულებაზე“ (О строе глагола в яфетических языках Дагестана: Доклады Акад. Наук СССР. 1930 წ. № 5, გვ. 79 — 84), თითქმის არა მოგვეპოვება რა

ზემოაღნიშნულ პირობებში ცხადია, რომ ქართველური, სინდური, ლილლური და ლეგურ-ალბანური ენების ზმნისა და უღვლილების შედარებითი შესწავლა არც მართებული და არც მიზანშეწონილი იქმნებოდა. ამისთვის წინასწარ სინდურ-ლილლურ-ლეგური ენების ისევე მაინც მონოგრაფიულად განხილვა იქმნებოდა საჭირო, როგორც სქეს-კატეგორიები, რიცხვითი და ნაცვალსახელები

გვექონდა განხილული. მაგრამ, თუ მორფოლოგიის ზემოაღნიშნული საკითხების გამოსარკვევად აწ-არსებული მასალა ცოტად-თუ-ბევრად საკმარისი იყო, ზმნის რთული აგებულების, მეტადრე-კი მისი გენეზისის, გაშუქება ასეთი მცირეს, ცუდად გაგებულ-განმარტებულსა და შეუქმონებელს მასალაზე დაყრდნობით შეუძლებელია: მკვლევარს იგი საფუძვლიანი დასკვნის გამოყვანის საშუალებას ვერ მისცემს. ვფიქრობ, რომ ეხლანდელ ვითარებაში შესაძლებელია ამ ენათა ჯგუფების ზმნის აგებულების მხოლოდ ზოგადს პრინციპზე ვიქონიოთ მსჯელობა და ამიტომ აქაც სწორედ ამით უნდა დაგვამაყოფილდეთ.

1. ქართულ-ქართველური ზმნა

ზოგადი ქართულისა და ქართველური ენების მორფოლოგიის თავისებურება, როგორც ცნობილია, ზმნის აგებულებაშიც მკაფიოდ გამოიხატება: აქაც ხომ თავსართოვანი წარმოებაა გაბატონებული და ბოლოსართოვანს ძალზე სჭარბობს. ამ თავისი თავისებით ზმნის ქართველური უღვლილება ინდო-ევროპულისაგანაც ძირიანად განსხვავდება და სემურთან შედარებითაც, რომელსაც ნაწილობრივ თავსართოვანი წარმოებაც მოუპოვება, თავსართოვანი წარმოების პრინციპი თითქმის ურყევად აქვს დაცული.

ქართულსა და ქართველურებს თავსართოვანი წარმოება პირთა (სუბიექტობიექტის) აღსანიშნავად აქვს გამოყენებული ორივე რიცხვის პირველი და მეორე პირისათვის. ამ ზოგად წესისაგან გამონაკლისს მხოლოდ მესამე პირის ფორმა წარმოადგენს, რომელშიც პირი ბოლოსართით, სუფიქსით აღინიშნება. ასევეა ძველ ქართულშიც, რამდენადაც ისტორიული ხანის ძეგლების ენოამის გამორკვევაა შესაძლებელი. მაგრამ სვანურს, როგორც ნაცვალსახელებზე მსჯელობის დროს დავრწმუნდით (იხ. აქვე) მესამე პირისათვის თავსართოვანი წარმოება ეხლაც ნაწილობრივ შენარჩუნებული აქვს და, მაშასადამე, თავსართოვანი წარმოების პრინციპის მთლიანობა იქ ამ მხრივაც დაცულია.

თავის აღივას გამოთქმული გვექონდა მოსაზრება, რომ თავდაპირველად ეს ზოგადი მთვლენა უნდა ყოფილიყო და ვ. პ. ნ. თავსართოვანი წარმოება ოდესღაც ქართულსაც ექნებოდა.

ცნობილია აგრეთვე, რომ ქართულიცა და ყველა ქართველური ენების ზმნაც ერთპირიანიც, ორპირიანიცა და სამპირიანიც არსებობს. ერთპირიანი ზმნა ისეთ ზმნას ეწოდება, რომელიც მხოლოდ სუბიექტის აღმნიშვნელია, ორპირიანი ზმნა-კი სუბიექტისა და ობიექტისა, თუ ყოველთვის ბგერითი ნიშნით არა, გულისხმობით მაინც გამომხატველია. სამპირიანი ურთი—სუბიექტისა და ორი ობიექტის აღმნიშვნელია აზრიანობით, მაგრამ თვით სამპირიანი—ზმნის ფორმებს მარტო ორი პირის, სუბიექტისა და ერთი ობიექტის, გამომხატველი ნიშნები მოეპოვება, მეორე ობიექტი-კი ცალკეული ბგერით არ აღინიშნება, არამედ მხოლოდ იგულისხმება ხოლმე.

თუმცა ქართულს პირის სუბიექტურიცა და ობიექტური ნიშნებიც, მესამე პირის ვარდა, თავსართებად აქვს, მაგრამ ორივე ნიშანი დაცულია ხოლმე იმ შემთხვევაში, როცა სუბიექტად პირველი პირია, ხოლო ობიექტად მესამე

პირია და პირის ნიშნის შემდგომ ზმნა თანხმოვნით იწყება. ასეთს შემთხვევებში ჯერ სუბიექტის ნიშანი ხოლმე, მერმე-კი, ობიექტის ნიშანი მისდევს, მაგ.: მკითხვე, მსთხოვე და სხ. დანარჩენ შემთხვევებში-კი ერთი მათგანი იკარგება, ზოგჯერ ორივე ქრება, სახელდობრ:

1. როდესაც სუბიექტი პირველი პირია, ობიექტი-კი მესამე პირი არის და ობიექტის ნიშანს ზმნის პირველ მგერად ა, ან უ, ან და ე ხმოვანი ხვდება, მაშინ მხოლოდ სუბიექტური ნიშანი რჩება, ობიექტის ნიშანი-კი ამ ხმოვნებს წინ ქრება, მაგ. ვხატხოვე-ს მაგიერ ვათხოვე ითქმის.

2. როცა სუბიექტი პირველი პირია, ობიექტი-კი მეორე, ანდა წინაუკმო სუბიექტი მეორე პირია, ხოლო ობიექტი პირველი პირი არის. მაშინ რჩება მხოლოდ ობიექტური ნიშანი, სუბიექტური-კი უჩინარია, მაგ. ვწერ, მწერ და სხ.

3. როცა სუბიექტი მეორე პირია, ობიექტი-კი მესამე, რაკი მათ ნიშნად ერთი-და-იგივე თანხმოვანი აქვთ, ორი ერთ-და-იმავე მგერის შეყრისას-კი, მარტო ერთი-და რჩება ხოლმე, ამიტომაც, თუ ამ ერთს დარჩენილს ნიშანს შემდეგ ზმნის ხმოვანი მიჰყვა, მაშინ ეს მეორე ნიშანიც ქრება ხოლმე, მაგ. გაატან, შეუთვალა.

დასასრულ, როდესაც სუბიექტად მესამე პირია, ობიექტად-კი ერთი სამ პირთაგანი, რაკი მესამე პირის ნიშანი ქართულში ბოლოხართით, ობიექტი-კი თავსართით განიხატება, ამიტომ მათი შეხვედრა შეუძლებელია და ასეთ შემთხვევებში ორპირიან ზმნას ორივე ნიშანი აქვს ხოლმე შერჩენილი, მაგ. მინახვს, გინახვს, ხკემს და სხ.

სუბიექტი სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვით გამოიხატება, ობიექტი-კი მიცემითი და სახელობითი ბრუნვითაც.

რაკი ქართულისა და ქართველური ენების ზმნის თავისებურებას, ეოთ-პირიანობის გარდა, ორ და სამპირიანობა შეადგენს, ცხადია, რომ ამ ორ-სამ პირიანი ზმნების უღვლილებაც სუბიექტისა და ობიექტისა, ანდა ობიექტებს შორისი დამოკიდებულები გამომხატველიც უნდა იყოს და არის კიდევაც. სუბიექტ-ობიექტთა დამოკიდებულების ზმნის ფორმებით გამოხატვას ზმნის ქცევა ეწოდება.

ზმნის სულ სამი ქცევა არსებობს: ერთს მათგანს, სუბიექტის კუთვნილების, ანდა მისთვის განკუთვნილობის გამოხატველს, სათავისო, ანუ სასუბიექტო ქცევა ეწოდება (მაგ. ვიწერ, ვიკეთებ), — მეორეს, სხვის კუთვნილების, ანდა სხვისთვის განკუთვნილობის მაჟწყებელს სახხვისო. ანუ საობიექტო ქცევა ჰქვია (მაგ. ვწერ, ვუკეთებ). ხოლო მესამეს, რომელიც ობიექტის არც კუთვნილებისა და არც განკუთვნილობის გამომხატველი არ არის, საარვისო, ანუ ნეიტრალური ქცევა ეწოდება (მაგ. ხწერს, აკეთებს, ხატავს).

ისევე, როგორც პირის ნიშნებია. ზმნის ქცევის ნიშნებიც თავსართოვანი წარმოების წებით გამოიხატება და ზმნის წინა ნაწილშია მოთავსებული.

ბოლოხართოვანი წარმოება-კი ზოგადს ქართულსაცა და ყველა ქართველურებსაც სუბიექტ-ობიექტის პირთა მრავლობითობის გამოხატავად და დროთა მაწარმოებელ ფორმანტებად აქვს გამოყენებული (ვწერთ, სწერთ, სწერენ, სწერს, — ვწერდი, სწერდა, სწერდენ. ვწერე, ვწერეთ და სხ.).

ქართველურ ენებს დროთა ფორმები უზღოდ მოეპოვება. მაგრამ წარმოშობილობისდა მიხედვით ყველა მათ ორ-სამ მთავარ ჯგუფად გაყოფა შეიძლება: ერთ ჯგუფს ძირითადი, მეორესა და მესამეს-კი მათგან ნაწარმოები დროები შეადგენენ. პირველ ჯგუფს აწმყო დრო და აორისკე ანუ ნაშყო ძირითადი ეკუთვნის. აწმყო დროს ფუძის მაწარმოებელი სუფიქსები მოეპოვება (ქართულში -ავ, -ამ, -ებ [სხვებზე მეტად გავრცელებული], -ო, -ოფ, -ი, — მეგრულში -ან, -ენ, -ინ, -უნ [ყველაზე გავრცელებული] და -ქ, — ქანურში -ამ, -აფ, -უმ [ყველაზე მეტად გავრცელებული], -უფ, -იფ და სვანურში -ემ, -ერ, -ენ [ხშირია], -ინ [ხშირია], -ელ, -ესგ და -ეშგ).

ნაშყო უსრულის ნიშნად ზოგადს ქართულსაც და ყველა ქართველურ ენებსაც ღ ბოლოსართი აქვთ, რომელიც აწყო დროს ფორმას ერთვის. ქანურს ნაშყო უსრულის ნიშნად ამჟამად მისი ყრუ შესატყვისობა ტ გაუხდია, მაგრამ ათინურს კილოში დ-ც გვხვდება ისევე, როგორც მისი გაასპირატებული თ შესატყვისობაც.

ზემოდასახელებულ მეცნიერთა ნაშრომებში გამოკვეთილია, რომ მეტრულს, ქანურსა და სვანურს ზმნას მართლ აგებულება-კი არა აქვს იგივე. რაც ქართულშია, არამედ თვით აღნაგობის ელემენტებადაც იგივე ფორმანტებია გამოყენებული (იხ. მეგრულ-ქანურისათვის არნ. ჩიქობავას ქანურის გრამ. ანალიზი, გვ. 86—87, 99—100, 110, 117, 136, 138, 155, 177, 199—200.— სვანურისათვის ვარ. თოფურიას სვანური ენა I, ზმნა, გვ. 25, 34, 43, 45, 48, 50, 106—107, 112, 127, 142—143, 168, 182, 184, 209).

2. სინდურ ენების ზმნა

სინდურ ენათგან ყველაზე საინტერესო აღნაგობის თვალსაზრისითაც და ძველი თვისებების დაცვითაც მსაჯურა ზმნაა. სამწუხაროდ მონოგრაფიულად იგი ჯერ არავის შეუსწავლია, უსლარისა, დ. გულირისა და G. Deeters-ის ძატარა, მაგრამ საყურადღებო, წერილის „Der abchasische Sprachbau (Nachrichten v. d. Gesel. d. Wissen. zu Göttingen 1931) გარდა სხვა არაფერია გამოქვეყნებული.

სამწუხაროა, რომ ბოფ. ს. ჯანაშიას კვლევა-ძიება აბხაზური გრამატიკისა და კერძოდ ზმნის სფეროში დაბეჭდილი არ არის. ხელთა მაქვს მხოლოდ მისგან გადმოცემული ზოგიერთი წერილობითი ცნობები, რომლებითაც ვსარგებლობ და რომლისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებ.

ქართველური ენების მსგავსად, სინდურს ენებსაც ერთპირიანი ზმნებიც აბადია, ორპირიანიცა და სამპირიანიც (ს. ჯანაშიას წერ. ცნობა და დჰკებ. Etudes, გვ. 156). ზმნის აგებულებაში აგრეთვე თავსართგანი წარმოებაა გაბატონებული: სუბიექტისა და ობიექტის, ან ობიექტების მაუწყებელი ნიშნები ისევე, როგორც აბხაზურში მათი გრამატ. სქესი და კატეგორიაც მხოლოდ თავხართების სახით გამოიხატება. ბოლოსართება-კი ყველა სინდურში მხოლოდ დროისა და კილოს ნიშნებია. მრ. რ. ნიშანი აღიღეურს მ. პირისათვის მოეპოვება და აქაც, ქართველურის მსგავსად, ბოლოსართით გამოიხატება.

სინდურ ენებსაც ორგვარი უღვლილება აქვთ: სუბიექტური და ობიექტური. ორპირიანს ზმნებში სუბიექტი და ობიექტი, სამპირიანებში-კი — სუბიექტი და ორი ობიექტი აღინიშნება ზოლმე. გარდაშავალ ზმნებში ობიექტის (პირღ, დამატება) ნიშანი პირველ ადგილზეა, სუბიექტიხა-კი მეორეზე, ხოლო გარდაუვალში სუბიექტის ნიშანი პირველ ადგილზეა, ობიექტიხა (ირიბი ობიექტი) — მეორეზე. (ს. ჯანაშიას და ქ. ლომთათიძის ცნობა და დკმეზ. Etudes. გვ. 157, 160, 162, 166, 167, 168, 169).

სინდურ ენებსაც მოეპოვებათ ზმნის მაწარმოებელი ბოლოსართები, მაგ. აბსაჭურს აქვს — უმ და ომტ, რომელთაგან პირველის ბუნება ქართულს ობ-ს შიგავს, ხოლო მეორეს შისაძლებელია ქართულს ეტ ფორმანტს (ხვრეტა, ჩვრეტა, ქვრეტა, ჩხვლეტა და.სხ.), რომლის თავდაპირველი რაობა გამოსარკვევია, ენათესავებოდეს.

პირთა (სუბიექტ-ობიექტის) ზმნაში ნაცვალსახედ ოვანი თავხართებით გამოხატვის წესისა ქართველურსა და სინდურს ენებში ესგავსებას გარდა, შესაძლებელია კიდევ აწმყო დროისაგან ნაწარმოები ნამყო უსრულის წარბების წესის მსგავსებაც იქნეს აღნიშნული. ქართველურს ენებს ამის მაწარმოებლად, როგორც ვიციით, ბოლოსართოვან ნიშნად ღ, ანდა მისი ერთერთი კონტრაქტური სახესხვაობათაგანი აქვთ. სინდურ ენებსაც მოეპოვებათ ნამყო, სწორედ ნამყო უსრულის, -ტ ბოლოსართით წარბოვის წესი. ეს მეტადრე უმახერს, ჩუბჭურსა და დამატურს აქვთ კარვად დაცულა. უმასრში ნამყო უსრულს - მტ (-ფატ, -ფეტ) ბოლოსართით აწარმოებენ, რომელიც უშუალოდ აწმყო დროის - (გ)ნ-ბოლოსართიან ფორმას ემატება (დკმეზ. Etudes, გვ. 174).

ჩუბჭურსაც აბადია - (გ)ტ-ბოლოსართიანი ნამყო უსრული (იქვე, გვ. 174), ისევე როგორც დამატურსაც ამივე დროის მაწარმოებლად - ტ სუფიქსი აქვს, რომელიც აწმყო დროის ფორმას ერთვის (ყაბ. გრ. გვ. 22 და დკმეზ. Etudes გვ. 174 — 175).

სინდური ზმნის უღვლილების აღნავობის ზოგადად გასათვალისწინებლად მაგალითად ანსაჭრთი უღვლილების მოყვანა სჯობია, რათგან იგი სინდური ზმნის უღვლილების აღნავობის ოდინდელ სირთულეს უფრო მკაფიოდ წარმოუდგენს მკითხველს. მოყვანილი ფორმების ცალკეული ნაწილის დანიშნულების გაგების გასაადვილებლად, უნდა ჯერ აბხაზური ნაცვალსახედ ოვანი თავხართები ვაგისხნოთ.

ერთპირიან ზმნების პ. თავხართები.

მხ. რ.	მრ. რ.
1. პ. ს	მ
2. პ. მამრ. სქ. უ, მდედრ. სქ. ბ	მრ
3. პ. გონ. არს. დ, არაგონ. არს. ი	ი

მაგალითად:

- მივდივარ : 1. სცოჯტ (ს-ც-ოჯტ)
 მიდიხარ : 2. უცოჯტ (მ), ბცოჯტ (მღ.)
 მიდის : 3. დცოჯტ (გონ.), იცოჯტ (არაგონ).

მრ. რ.

1. მივდივართ — ჰცოჯტ
 2. მიდიხართ — შაცოჯტ
 3. მიდიან — იცოჯტ

ნამყო უსრული

მხ. რ.

- მივდიოდი 1. სცონ (ს-ცონ)
 2. უცონ (მ.), ბცონ (მღ.)
 3. დცონ (გონ.), იცონ (არაგონ.)

მრ. რ.

- ჰცონ
 შაცონ
 იცონ

ნამყო სრული

მხ. რ.

- წავედი 1. სცეჯტ (ს-ცეჯტ)
 2. უცეჯტ (მ.), ბცეჯტ (მღ.)
 3. დცეჯტ (გონ.), იცეჯტ (არაგონ.)

მრ. რ.

- ჰცეჯტ
 შაცეჯტ
 იცეჯტ

მღვთმარეობის გამომხატველი ზმნების უღვთილებების მაგალითი:

აწმყო დრო

მრ. რ.

1. ვარ — სჯყოუბ (სჯ — ყა — უბ)
 2. ხარ — უყოუბ (მ.), ბჯყოუბ
 3. არის — ღარს დჯყოუბ (მ.), ლარს დჯყოუბ (მღ.)
 უი ყოუბ (გონ.)

მრ. რ.

- ჰჯყოუბ
 შაჯყოუბ
 ურთ ყოუბ

ნამყო უსრული

სჯყანა და სბ.

ორ და სამ-პირიანი ზმნების თავსართები:

I ქვემდებარისათვის

მხ. რ.

1. ს
 2. უ (მ.), ბ (მღ.)
 3. ი, ან ჯ (მ.), ლ (მღ.)
 ა, ნა (არაგონ.)

მრ. რ.

- ჰ
 შ
 რ.

II. ა. პირველი დამატებისათვის

მხ. რ.

- დ ან და, დჯ (გონ.)
 ი, ან ჯ (არაგონ.)

მრ. რ.

- რ, ან რა, რჯ

ბ. მეორე დამატებისათვის

<p>მხ. რ.</p> <p>1. ხა, ხგ, ხ</p> <p>2. ჟა, ჟ (მ.), — ბა, ზგ, ზ (მდ.)</p> <p>3. ჟა, ი (მ.), — ლა, ლგ, ლ (მდ.) ა (არავონ.)</p>	<p>მრ. რ.</p> <p>ჰა</p> <p>ჟა, ჟგ, ჟრ</p> <p>რა, რგ, რ</p>
--	---

ორპირიანი ზმნის უღვლილების მაგალითი:

უბნობა (აბზ. ჰრ ძირი აქვს)

ი ხა უ ჰრ ოჯტ (იხაუჰროჯტ)	შენ მამაკაცი მეუბნები
რამეს მე შენ(მ.) უბნ ები	
ი ხა ბ ჰრ ოჯტ	შენ დედაკაცი მეუბნები
რამეს მე შენ(მდ.) უბნ ები	
ი ხა ა ჰრ ოჯტ (იხეაჰროჯტ)	მეუბნება მამაკაცი
რამეს მე ის(მ.) უბნ ება	
ი ხა ლ ჰრ ოჯტ	მეუბნება ქალი
რამეს მე ის(მდ.) უბნ ება	
ი ხა ნა ჰრ ოჯტ	მეუბნება რალაც
რამეს მე რალაც უბნ ება	
ი ხა შრ ჰრ ოჯტ	მეუბნებით თქვენ
რამეს მე თქვენ უბნ ებით	
ი ხა რ ჰრ ოჯტ	მეუბნებიან ისინი
რამეს მე ისინი უბნ ებიან	

და სხვაც ამის შესავსადვე.

სინდური ენების ზმნის აგებულება თავისი ზოგადი თვისებებით ქართველურის შესავსია. უღვლილების ეს შესავსება თითქმის სრულ იგივეობად იქცეოდა, სინდური ენების პ. ნაცვალსახელები და მათი თავსართოვანი ნიშნები რომ, ჩვენთვის უკვე ცნობილი მიზეზების გამო, საუკუნეთა განმავლობაში ქართველური ნაცვალსახელებისაგან არ განსხვავებულყო და მეორე დამატების, ანუ ობიექტის გამოხატველი ნიშანიც რომ გამჭრალი არ იყოს. ნამყო უსრულის დანდა ტ ბოლოსართით აწმყოსაგან წარმოების წესიც ცხად-ჰყოფს, რომ სინდური ენების უღვლილება მარტო პირისა და რიცხვის აღნიშვნის წესით-კი არ ენათესავებოდა ქართველურისას, არამედ დროთა წარმოების წესითა და ნიშნებიცა, რა თქმა უნდა, მხოლოდ თავდაპირველად და შემდეგ მარტო გარკვეულ ხანაშიღე.

ჟ. ლილდურ-ლეგურ-ალბანური ზმნა

სულ სხვა ვითარება წარმოუდგება ადამიანს ლილდურ-ლეგური ენების ზმნაში, რათვან ძირითადი განსხვავებაა ამ ენების უღვლილების წესებსა და ქართველურს წესებს შორის.

მაგალითად, რომ ჯერ ღიღუღი ენათაგან ჩაჩნურთა ზმნა ავიღოთ, ჩაჩნური უღვლილებია წესით ერთი-და-იმავე ღრობის მხოლოდობითა და მრავლობითი რიცხვის პირველი, მეორე და მესამე პირის ზმნის ფორმები სრულდებათ უცვლელი რაგბა, თუ რომ მოხაუბრე, ანდა გიშვეც საუბარია ერთხა-და-იმავე სქეს-კატეგორიას ეკუთვნის. მაგ. როცა მამაკაცი ამბობს, ანდა მამაკაცზე ამბობენ მე ვარ, მაშინ ჩაჩნურად ითქმის სუო ვუ. შენ ხარ — ბუო ვუ, ის არის — იზ ვუ, — მრ. რ. ჩვენ ვართ — თხუო დუ, თქვენ ხართ — შუ დუ და ისინი არიან — იზუშ ბუ.

მაშასადამე, ქართული ვარ, ხარ, არის, ვართ, ხართ, არიან-ის მაგორ, ჩაჩნურს, სამივე პირისათვის მხ. რ.-ში ერთი-და-იგივე ფორმა ვუ აქვს, მრ. რ.-შიც 1. და 2 პირისათვის ერთი-და-იგივე დუ მოეპოვება. პირის განხვავების გამოხატვა ჩაჩნურს უღვლილებას მარტო ზმნის ფორმის წინ დასმული ცალკეული, სრული ნაცვალსახელით შეუძლიან და ამას ვარდა მახ და დანარჩენ ღიღუღი ენებსაც, წოვურს ვარდა, ისიც ნაწილობრივ, სხვა არავითარი ხაშუალეხა არ მოეპოვება, რათგან პირის ფორმანტები არც თავსართისა და არც ბოლოსხართის საზოთ არა აქვს.

მაგრამ ვარ, ხარ და არის ჩაჩნურად ვუ-დ ითქმის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოხაუბრე მამრობითი სქესის პირია, ანდა მამრობითს სქესზეა საუბარი. ხოლო, თუ მოხაუბრე მდედრ. სქესის არსებია, ანდა საუბარი მდედრ. სქესზეა, მაშინ უკვე ვუ-ს ხმარება აღარ შეიძლება, არამედ აუ უნდა იყოს ნახარი. ამიტომაც დედა არის ჩაჩნურად ითქმის ნინა აუ, — დაჰ არის — დიშა აუ, — ქვრივი დედაცაც არის ჯიწრუთ აუ და თუ ქალი ამბობს

მე ვარ, ის იტყვის სუო აუ
შენ ხარ „ სუო აუ
ის არის „ იზ აუ

და სხვაც ამნაირადვეა.

ისევე, როგორც ზემომოყვანილს მაგალითებში ზმნის ფორმების თავკიდური მ და მ პირისა-კი არა, არამედ მხოლოდ სქეს-კატეგორიის მაუწყებელია, ამნაირადვე უღვლილებაში საკუთრივ ზმნის ფორმის თავკიდური ნაწილი მარტო იმ შემთხვევაში იცვლება, როდესაც სუბიექტის, ანდა ობიექტის სქეს-კატეგორია იცვლება ხოლმე.

ზემონათქვამითგან ცხადი ვახდება, რომ, თუმცა ღიღუღი ენების უღვლილებაც უშთავრესად თავსართგან წარმოების წესს მოხდევს, მაგრამ სუბიექტ-ობიექტის პირის აღსანიშნავად-კი არა, არამედ მხოლოდ მათი სქეს-კატეგორიის გამოხატულებლად.

დროთა ფორმების შესაქმნელად ღიღუღისა და ლაგურ ენებსაც ბოლოსართოვანი წარმოება აქვთ გამოყენებული.

ჩაჩნურთა ზმნის უღვლილებების თავისებურებას უკვე უსლარმა მიაჭკია ყურადღება და აღნიშნული აქვს, რომ თუ რუსულად და სხვა ინდო-ევროპულ ენებში ვამბობთ „я иду на работу“, „она идет на работу“, ჩაჩნურად ამ ორი წინადადების ასე გამოთქმა შეუძლებელია, არამედ დაახლოვებით, ქართულის მაგავსად, ასე გამოითქმის: „მე შმა მიყვარს“, „მამას შვილი უყვარს“, სხვანაირად ამ აზრის გამოთქმა შეუძლებელია (ჩაჩ. ე., 64).

ჩაჩნური უღვლილები ზემოაღნიშნული მოვლენა რომ ქართული გრამატიკურმინოლოგიით დახასიათდეს, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩაჩნურს მხოლოდ ზმნის ობიექტური უღვლილება მოეპოვება, სუბიექტური უღვლილება კი არ აბადაო.

ამ დებულების ცხადსაყოფელად უსლარს ვიწჯა „მიყვარს“ ზმნის მაგალითი აქვს მოყვანილი:

ჩემ მამას მე ვუყვარვარ — ხენ დენა სუო ვიწჯა, მე ჩემი მამა მიყვარს — სუონა ხაან დნ ვიწჯა, ძმას და უყვარს — ვეშინა ღიშა ღიწჯა.

ხოლო, თუ ქალი ამბობს, — ჩემ მამას ვუყვარვარ. ასე ითქმის: ხენ დენა სუო ღიწჯა, ჩემ (ვაჟის) დედას მე ვუყვარვარ — ხენ ნანა სუო ვიწჯა, ჩემ (ქალის) დედას მე ვუყვარვარ — ხენ ნანა სუო ღიწჯა, მე (სულ ერთია ქალია, თუ ვაჟი) მიყვარს ჩემი დედა — სუონა ღიწჯა ხაან ნანა, მე მიყვარს ჩემი ძმები — სუონა ბიწჯა ხაან ვეფირი, მე მიყვარს ჩემი დები — სუონა ბიწჯა ხაან ღიწჯა (ჩაჩ. გ. § 50).

ამ მაგალითებითგანა ჩანს, რომ ვ, ღ, ბ თავსართები მხოლოდ ობიექტის სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელებია, სუბიექტის სქეს-კატეგორია კი ზმნის ფორმაში არ აღინიშნება არც თავსართისა და არც ბოლოსართის სახით, არამედ სუბიექტის პიროვნება სრულ ნაცვალსახედით გაიოთქმის.

ამ მაგალითებისდა მიუხედავად, მაინც უსლარის დებულება, ვითომც ჩაჩნურს ზმნას მხოლოდ ობიექტური უღვლილება ებადოს, მცდარია. თვით მისივე გრამატიკითგანა ჩანს, რომ ჩაჩნურს სუბიექტური უღვლილებაც აქვს, მაგ.

მე (ვაჟი) ვარ — სუო ვუ,	მე (ქალი) ვარ — ხუო ღუ,
შენ „ ხარ — ვუო ვუ	შენ „ ხარ — ვუო ღუ
ის „ არის — იწ ვუ	ის „ არის — იწ ღუ.

ცხადია, რომ ამ და მსგავს შემთხვევებში ვ და ღ, ბ და დ თავსართები ობიექტისა-კი არა, არამედ სუბიექტის სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი თავსართებია. მაშასადამე, ჩაჩნურს როგორც სუბიექტური, ისევე ობიექტური უღვლილება აბადა, მაგრამ ობიექტური მაინც სჭარბობს.

ჩაჩნური უღვლილების ნამდვილ დამახასიათებელ თვისებად ის გარემოება უნდა ჩაითვალოს, რომ ვ, ღ, ბ და დ სუბიექტისა და ობიექტის მხოლოდ სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი არის. მაგრამ ეს სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი თავსართებიც ყველა ჩაჩნურ ზმნებს არ აბადიათ (ჩაჩ. გ. § 49, გვ. 65). პოავარს დამახასიათებელ თვისებებურებას სწორედ ის შეადგენს, რომ ჩაჩნურს უღვლილებას არც სუბიექტისა და არც ობიექტის პირის აღმნიშვნელი არ აბადია, არც თავსართისა და არც ბოლოსართის სახით. ამიტომ ზმნის პირველი, მეორე და მესამე პირის ორთავე რიცხვის ფორმები, სქეს-კატეგორიის თავსართთა გარდა, ერთი-და-იგივეა. ამგვარად, შესაძლებელია ითქვას, რომ ჩაჩნურ ზმნას უღვლილების ორგანული ფორმები აღარ მოეპოვება და ორგანული წარმოების ერთად-ერთ ნიშანწყლად უნდა დროების აღმნიშვნელი ბოლოსართები-ლა იქნას მიჩნეული.

ჩაჩნურმა ზმნის უღვლილებამ დროთა ორგვარი წარმოება იცის: მარტივი და რთული, მიმდებარე და მეშველი ზმნით წარმოება. არსებითი მნიშვნელობა მარტივ წარმოებასა აქვს.

ლევური ენების ზმნის აგებულებაზე დიდი ლური ენებისას შიდავს. მაგალითად, შესაძლებელია თუნდაც ლუნძურა უღვლილება ავილოთ. როგორც უკვე კარგად ვიცით, სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელ ნიშნებად ლუნძურა გ, ა, ბ და რ იხმარება. გ — მამრობითი სქესის აღმნიშვნელია, ა — მდედრობითისა, ბ — საშუალო სქეს-კატეგორიისა და რ — სამივე სქეს-კატეგორიის განურჩევლად მრავლობითად გამომხატველია. ზმნის ფორმებს ეს ნიშნები თავსართების სახით ერთვას და მხოლოდ მიმდევობას, ამგვარ თავსართებს გარდა, ნიშნები ბოლოშიაც ემატება. მაგ. თუ მამაკაცი ამბობს, მაშინ იქნება:

მე ვარ — დუნ ვუგო

მე ვარ ხოლმე — დუნ ვუკუნა

მე ვიყავი — დუნ ვუკანა

ხოლო, თუ დედაკაცი ამბობს, მაშინ იქნება:

მე ვარ — დუნ არგო

მე ვარ ხოლმე — დუნ არკუნა (← დუკუნა-სავან)

მე ვიყავი — დუნ არკანა

თუ ბავშვი ამბობს, მაშინ იქნება:

მე ვარ — დუნ ბუგო

მე ვარ ხოლმე — დუნ ბუკუნა

მე ვიყავი — დუნ ბუკანა

მრავლობითად-კი სამივე სქეს-კატეგორიისათვის იქნება:

ჩვენ ვართ — ნუ რუგო

ჩვენ ვართ ხოლმე — ნუ რუკუნა

ჩვენ ვიყავით — ნუ რუკანა

(ლუნძ. ე. § 118, გვ. 118).

უსლარის სიტყვით, ზოგს ლუნძურ ზმნას სქეს-კატეგორიის ნიშნები შესაძლებელია შუაშიც ჰქონდეს (ლუნძ. ე. § 118), მაგრამ ამას ჯერ შემოწმება სჭირდება: ასეთი შემთხვევები ხომ ბგერათა ადგილმონაცვლების შედეგი არ არის, ან წინანდელი ორნაწილადი ზმნების უღვლილებასთან ხომ არა გვაქვს საქმე?

სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი ეს ბგერები მხოლოდობითი და მრავლობითი რიცხვის მეორე და მესამე პირის ფორმებისათვისაც იმგვარადვე იხმარება, როგორც პირველი პირისათვის, ამიტომაც მათ ნაცვალსახელოვანი თავსართის მნიშვნელობა-კი არა აქვთ. წარამედ ისინი მხოლოდ და მხოლოდ სქეს-კატეგორიის გამომხატველი არიან.

უნდა ითქვას, რომ ყველა შემოწმებულ მაგალითებში გ, ა, ბ და რ სუბიექტის სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელია, ხოლო ლუნძური ზმნის ობიექტურს უღვლილებაში იგივე სქეს-კატეგორიის თავსართები უკვე ობიექტის სქესისა, ანდა კატეგორიის აღმნიშვნელია.

არც სუბიექტისა და არც ობიექტის პირის მაუწყებელი ნაცვალსახელოვანი ნაწილაკები არც თავსართისა და არც ბოლოსართის სახით ლუნძური ზმნის უღვლილების ფორმებს არ მოეპოვება.

ამგვარიდ ცხადი ხდება, რომ ლუნძურსაც, ჩაჩნურის მსგავსად, როგორც საშუალო, ისევე ვნებითი ზმნის უღვლილებას არც სუბიექტური და არც ობიექტური სახეობის ორგანული წარმოება არა აქვს, არამედ მარტო სუბიექტისა, თუ ობიექტის სქეს-კატეგორიის გამოხატვა შეუძლიან თავსართების საშუალებით.

ასეთივე აგებულებისაა ლევური ენების უმრავლესი ნაწილის ზმნის უღვლილება და ლუნძურსა და დანარჩენ ლეგურ ენებსაც, სამიოდეს გარდა, პირთა ნაცვალსახელოვანი ნიშნები ზმნის ფორმებისათვის არ მოეპოვება. წყობა-კი იმათაც ორნაირი აქვთ. მაგ. ორგანოვანი წარმოების უღვლილების უქონლობისდა მიუხედავად, ლუზიჯურ ზმნასაც, ქართულის მსგავსად, სუბიექტურიცა და ობიექტური უღვლილებაც აბადია.

უკვე 3. უსლარს ჰქონდა აღნიშნული, რომ საშუალო გვარის ზმნების როგორც სქეს-კატეგორიის თავსართებისა, ისევე ზმნის ფორმების დაბოლოებათა ცვლილება, ყოველთვის ქვემდებარეწეა დამოკიდებული, ხოლო მოქმედებითი გვარის ზმნებში პირიქით სქეს-კატეგორიის აღმნიშვნელი თავსართები ქვემდებარეს, ანუ მოქმედების სუბიექტს-კი არ ეთანხმება ხოლმე, არამედ მოქმედების ობიექტს. უღვლილების ფორმათა დაბოლოება-კი მოქმედებითი გვარის ზმნებში ქვემდებარეს, ანუ მოქმედების სუბიექტს ეთანხმება, როდესაც მოქმედების სუბიექტად (გარკვეულს შემთხვევებში) პირველი, ან (ზოგჯერ) მეორე პირია, და მოქმედების ობიექტს, როდესაც ამნაირ ობიექტად შესამე პირი არის ხოლმე (ლაკ. ე., 140 — 141 და 144).

რაკი ლუზიჯურში პირველი და მეორე პირის ნაცვალსახელებს არც შემასმენლობითი და არც მოქმედებითი ბრუნვა არ აბადიათ, ამიტომ მას არ შეუძლიან, ჩაჩნურისა და ლუნძურის მსგავსად, მოქმედებითი გვარის ზმნებში მოქმედების სუბიექტი მოქმედებითი ბრუნვით, ხოლო მოქმედების ობიექტი სახელობითი ბრუნვით გამოჰხატოს. ამის მაგიერ, აბხაზურის მსგავსად, როდესაც 1. და 2. პირი მოქმედობს, ლუზიჯურს სუბიექტს ობიექტისაგან ბრუნვით-კი არ ახმავეებს, არამედ ორივე იქ სახელობითი ბრუნვით გამოითქმის, ხოლო სუბიექტი ობიექტისაგან მარტო თავისი მდებარეობით განიჩნევა: სუბიექტს პირველი აღგილი უკავია, ობიექტს-კი მეორე. ობიექტის აღმნიშვნელი ნაცვალბაზელი უშუალოდ სუბიექტს-კი არ უნდა მისდევდეს, არამედ შესაძლებელია ზმნის შემდგომაც დაიხვას. მაგრამ, როდესაც მოქმედების სუბიექტი შესამე პირია, მაშინ სუბიექტი ნათესაობითი ბრუნვით გამოიხატება ხოლმე, ობიექტი-კი ისევ სახელობითი ბრუნვით (ლაკ. ე., 141, 142).

იმ სამიოდე დალდურ-ლეგურ-აღბანურ ენათაგან, რომელთაც მათთვის დამახასიათებლის, ზემოაღწერილი აგებულებებისაგან განსხვავებული უღვლილება მოეძებნათ, პირველად ლეგურ ენათა ჯგუფის ენას, თამასარანულს, უნდა შევეხოთ.

თამასარანულ ზმნას, მეტყველების სხვა ნაწილებთან შედარებით, ბევრი ფორმები აბადია. თვით უღვლილებას წარმოება ორგვარი თვისებისაა: ან მარტივი, ორგანული წარმოებაა ხოლმე, ან რთული, ორნაწილელი წარმოება, რო-

დესაც პირველ ნაწილად მეტყველების რომელიმე ნაწილია გამოყენებული, მეორე ნაწილად-კი ზარტიკი, მეშველი ზმნის ფორმაა ხოლმე მოთავსებული.

თამასატარაული სახელწმინის მანარმოებელს ოზ, ოზ, უზ, ვზ შეადგენს, მაგ. ფ-უზ თქმა, აღ-ოზ სვლა. ვფ-ვზ ქაშა. მაგრამ სახელზმნა, ზემომოყვანილ დაბოლოებას გარდა, ობ, უბ დაბოლოებითაც გვხვდება, მაგ. ფ-უბ (თაბას. ე. 46).

ა. დირრის სიტყვით, თამასატარულ ზმნასაც მოქმედი პირი ნაცვალსახელოვანი სუფიქსების საშუალებით აქვს გამოხატული, რომელთაც ზმნის წართქმითს ფორმებში ყოველთვის უკანასკნელი აღგილი უქავიათ. ე. ი. უღვლილება პართა ნაცვალსახელოვან ბოლოხართების საშუალებით სწარმოებსო. მხოლოდ ორივე რიცხვის მესამე პირს ამგვარი სუფიქსი არა აქვს, არამედ ამის მაგიერ აქ ნახმარია ელემენტი, რომელიც, დროისდა მიხედვით, ან არის-ს, ან იყო-ს ნიშნავსო.

ამასთანავე თაბახარანულ ზმნაში ორგვარი ნაცვალსახელოვანი სუფიქსებია. სუფიქსთა ერთი გვარი იხმარება, როდესაც ქვემდებარე სახელობითი ბრუნვით არის ხოლმე წარმოდგენილი, ხოლო სუფიქსთა მეორე გვარი-კი, როცა ქვემდებარე მიცემითი ბრუნვით არის გამოთქმულიო.

სუფიქსთა 1-ი გვარი (სახელ. პრ.)	მს. რ.	მე-2 გვარი (მიც. პრ.)
1. პირი — ჯა		ეზ, ჯაზ
2. „ — ვა		ვუზ, უზ
	მრ. რ.	
1. „ (მე და შენ) ჰა		ჰაუზ
1. „ (მე და ის) ჩა		ჩუზ
2. „ ჩა		ჩაუზ

თაბახარანულ ზმნას პირველ და მეორე პირში სუფიქსების საშუალებით დამატების გამოხატვაც შეუძლიან, მაგრამ ამავე დროს დამატება ზმნის წინმავალი სრული ნაცვალსახელითაც გამოითქმის ხოლმე, ოღონდ ზმნის პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახელოვანი სუფიქსები იმგვარადვე, როგორც სრული ნაცვალსახელით გამოხატული დამატებაც, ხშირად ქრება ხოლმე, მეორე პირის ნაცვალსახელოვანი სუფიქსის ვ-ც მომეტებულ ნაწილად ქრება, ანდა წინამოვალ ნ, ლ და რ ბგერთა ასიმილაციის გავლენა დაეტყობა ხოლმეო.

თაბახარან. დამატების სუფიქსები.

შემასმენ. ბრუნვის	მს. რ.	მიცემითი ბრუნვის
ჯა		ეზ
ვუ, ან უ, ვა, ან ჰ		ვუზ, ან უზ
	მრ. რ.	
ჰა, ჩა		ჰაუზ, ჩუზ
ჩა		ჩაუზ

(თაბას. გრ. 52 — 53).

თაბასარანული ზმნის უღვლილების მაგალითები:

1. აღდაქუზ — დაცემა

აწმყო დრო

მხ. რ.

მე ვეცემი იზუ ილდიქუდუზა
შენ ეცემი ივუ ილდიქუდუვა
ის ეცემა დუშუ ილდიქუდურ

მრ. რ.

ჩვენ (მე და შენ) ვეცემით იჰუ ილდიქუდუჰა
ჩვენ (მე და ის) ვეცემით იჩუ ილდიქუდუჩა
თქვენ ეცემით იჩუ ილდიქუდუჩა
ისინი ეცემიან დუყრე ილდიქუდურ

ა. დ ი რ რ ს აღნიშნული აქვს, რომ ორივე რიცხვის შესაბამე პირის ფორმა ერთნაირია და რომ ეს წესი მთელს თაბასარანულ უღვლილებაშია დაცული, თანაც ამტკიცებს, რომ ამ შემთხვევაში ურ დაბოლოება ნაცვალსაბელოვანი ხუფიქსი-კი არაა, არამედ მეშველი ზმნის ვ. პ. ფორმაა, ე. ი. არის (გვ. 68).

ა. დ ი რ რ ს მიცემით ბრუნვიანი კვემდებარის მქონებელი ზმნის უღვლილების შემდეგი ნიმუში აქვს მოყვანილი, რომელიც ყველა დანარჩენ ამგვარ ზმნებისათვის სამაგალითოდ შეიძლება მიჩნეული იქმნესო (გვ. 98 — 100).

ევქუზ — სმენა

აწმყო დრო

მხ. რ.

იზუზ რექუდუ მე მესმის
ივუზ რექუდუვუზ შენ გესმის
დოლაზ რექუდურ იმას ესმის

მრ. რ.

იჰუზ რექუდუჰუზ ჩვენ (მე და შენ) გვესმის
იჩუზ რექუდუჩუზ ჩვენ (მე და იმას) გვესმის
იჩუზ რექუდუჩუზ თქვენ გესმით
დუყარიზ რექუდურ იმათ ესმით

ნამყო უსრული

მხ. რ.

მრ. რ.

1. იზუზ რექუდიიზ
2. ივუზ რექუდივუზ
3. დოლაზ რექუდი

1. | იჰუზ რექუდიჰუზ
- | იჩუზ რექუდიჩუზ
2. იჩუზ რექუდიჩუზ
3. დუყარიზ რექუდი

ზემომოყვანილი ყველა მაგალითებიდან ჩანს, რომ თამასაბრანულს, ქართველურს, სინდურს და ლეგურს უკვე განხილული ენების მსგავსად, სუბიექტურიცა და ობიექტური უღვლილებაც ჰქონია.

თამასარანულს აქვს სამი-ოთხი მეშველი ზმნა, რომელთაც თავიანთი უღვლილება სრულად დაცული არა აქვთ. პირველი მეშველი ზმნის ფესვი, ა. დირრის სიტყვით, უნდა ავ იყოს, მეორესი ჰეუ (გუ), მესამესი შულ, ან შალ. ავ ნიშნავს არსებას, ჰეუ და შულ-კი ყოფნას. რადმე ქცევას, ქონებას, მიღებას. ამათგან განუსაზღვრელი ზმნის კილო მარტო მეორეს, ყოფნას, რადმე გახდომას, ქცევას აქვს: ჰეუშ.

ა. დირრის არსება, ე. ი. ავ ზმნის აწმყო დროის უღვლილება აქვს მოყვანილი.

მხ. რ.

მე ვარ — გუშა, ანდა შა
შენ ხარ — ვუვა, ანდა ვა
ის არის — ურ, ვუჯ, ჰურ, ვურ

მრ. რ.

ჩვენ (მე და შენ) ვართ — ვუშა, ანდა შა
ჩვენ (მე და ის) — ვუჩა, ანდა ჩა
თქვენ ხართ — ვუჩა, ანდა ჩა
ისინი არიან — ურ, ვუჯ

ნამყო უხრული

მხ. რ.

1. გუაჩა, ანდა აიშა
2. ვუაჩა, ანდა აივა
3. გუაი ანდა აი, უდი

მრ. რ.

1. (მე და შენ) ვუაჩა, ანდა აიშა
1. (მე და ის) ვუაჩა, ანდა აიჩა
2. ვუაჩა, ანდა აიჩა
3. ვუაი, ანდა აი, უდი

დანარჩენი დროთა ფორმები-კი, ამ ავ ზმნას, დირრის სიტყვით, ჰეუშ ზმნისაგან აქვს ნაწარმოები.

ნამყო სრულის 1-ი ჰეუნუშა
" " მე-2-ე ჰეუნიშა
" " მე-3-ე კაჰეუშა

აორისტი : ჰეარშა
მყობადი : ჰეადიშა
თუობითი : კაჰეიშ, კაჰენიშ

ნატვრითი : იამიზა, ამიზი

ბრძანებითი : ამი, ამიამ

მიმღეობა: ში, შიურ, შიუბ. — ვუჰი, ვუჰურ, ვუჰუბ. — შაგრამ არსებობს ფორმები აჰი, აჰურ, აჰუბ, ალურ, ალუბ-იქ.

ამას გარდა ნაშყო ხრულის ფორმაც არის აღი და აღდი.

შენიშვნაში ა. დიორს ნათქვამი აქვს, რომ მოპეტებულ შემთხვევაში ზა, ვა, შა და სხვ. შეყვეცილ ფორმებს ხმარობენ, რომელნიც, კაცმა რომ სთქვას, მხოლოდ ბოლოსართებიანო (თაბას. გრ. 100 — 101).

ა. დიორის ზემოთაყვანილი მაგალითებითგანაც და შეშველი ზმნის შესახები მისი მსგელობითგანაც ჩანს, რომ ზა, ვა, შა, ჩა და ჩა მას შეშველი ზმნის სრული ფორმების ვუჰა, ვუჰა, ვუჰა. ვუჰა და ვუჰა-ს შეყვეცილ სახედ მიაჩნდა და თანაც ფიქრობდა, რომ ეს ზა, ვა, შა, ჩა და ჩა ნაცვალსახელოვანი ბოლოსართებია. ამიტომაც ის ამტკიცებდა კიდევ, რომ თაბასარანული ზმნის უღვლილება ბოლოსართების საშუალებით ხწარმოვს.

საკმარისია აღაშინაშა გაიხსენოს, რომ ორი შეშველი ზმნის ძირი არსებობს, აჰ და უ ან ვუ, რომ ცხადი გახდეს, თუ რამდენად სინამდვილესთან შეუსაბამოა დიორის დებულება, ვითომც ვუჰა და ზა, ვუჰა და ვა ერთი-და-იმავე შეშველი ზმნის მხოლოდ სრული და შეყვეცილი ფორმები იყოს. როგორ და საითგან გაუჩნდებოდა აჰ ძირს ვუ? ცხადია, რომ აქ ორი სხვა-და-სხვა შეშველი ზმნის უღვლილებების ფორმებია: ზა და ვა და სხვა ფორმები აჰ, არხება. შეშველი ზმნის უღვლილება, ვუჰა, ვუჰა და სხვა ფორმები-ქი კიდევ (შ)უ შეშველი ზმნის უღვლილებას ფორმებია.

ამგვარადვე მცდარია მისი დებულება, თითქოს ზა, ვა, შა, ჩა და სხვა მხოლოდ ნაცვალსახელოვანი ბოლოსართები იყოს. მართლ იხ გარემოებაც, რომ შესამე პირის ფორმა პრის-ს ნიშნავს, როგორც ეს თითონ მახაც რამდენჯერმე აქვს მოხსენებულთ, საკმარისია, რომ მისი დებულება, ვითომც ზა და შა ნაცვალსახელოვანი ბოლოსართები იყოს და ვითომც თაბასარანული ზმნის უღვლილება ნაცვალსახელოვანი ბოლოსართების საშუალებით ხწარმოვდეს, შერყევულად ჩაითვალოს. თუ უღვლილებაში შესამე პირს ბოლოში შეშველი ზმნა ერთვის, რა საბუთი და უფლება გვაქვს ვიფიქროთ, რომ პირველი და მეორე პირის ზა და ვა, შა, ჩა და ჩა ნაცვალსახელოვანი ბოლოსართებია და არა იმავე შეშველი ზმნის პირველი და მეორე პირის ფორმების ნაშთი? უფრო ბუნებრივია და ლოგიკურადაც სწორე იქნებოდა დაგვესკვნა, რომ ზა, ვა და სხვა ფორმები შეშველი ვარ ზმნის აჰ ძირის ფორმებია.

შესაძლებელია ნაშყო უსრულის ფორმა აღდი და მიმღეობის აღდი და აღურ ამ ზმნის აღ ფესვის სრული სახის დამცველი იყოს. თუ ამასთანავე გავიხსენებთ, რომ შესამე პირის ფორმა არის თაბასარანულად ვურ, ჰურ, ან ურ იქმნება, რომელთა თავკიდური ვ და ჰ ძირისეული არ შეიძლება იყოს, რომ აქ ბოლოკიდურ ბგერად უკვე რ ჩნდება, მაშინ ბუნებრივად დაგვებადება აზრი, რომ აღდი-ს, აღდი-სა და სხვა ფორმების და შემთხვევითი მოვლენა არ არის, არამედ რომ იგი აღბათ აღ, ან არ ფესვის კუთვნილებაა. ასეთ პირობებში

ა. დირრის დებულებაც, თითქოს ამ ზმნის ძირი ავ იყოს, შესაძლებელია სა-
ექვოდ გვეჩვენოს. ვკონებ, უფრო სწორედ იქნება, თუ მის ძირად რ-ს მივიჩნევთ.
საყურადღებოა, რომ მს. რ. მესამე პირის ფორმაც ხომ ორი პარალელური ვერ
და ვუფ არსებობს. ჯ ბგერა აქ რ-ს შენაცვლებად მოჩანს.

ეხლა თუ მეშველი ზმნის აწმყო დროის ფორმებს დავაკვირდებით, ცხადი
გახდება, რომ ზა, ვა, ურ, ვურ, ვუჯ-, ჰა, ჩა, ჩა, ურ, ვუჯ-ის ფორმების ზ,
ვ, უ, ჰ, ჩ, ჩა თავსართებისა და ანუ ავ ძირისაგან შეხდგება, რომელიც მე-
ხამე პირში ურ და უჯ-ის სახითაც გვევლინება.

ზ, ვ, უ, ჰ, ჩ, ჩა უეჭველია იზუ, ივუ, დუშუ, იჰუ, იჩუ, იჩუ ნა-
ცვალსახელების ძირითადი თანხმოვანი ელემენტების ნიშნები. ამგვარად, თაბა-
სარანული მეშველი ზმნის უღვლილება მართლაც ნაცვალსახელოვანი ელემ-
ენტების, ანუ ნიშნების საშუალებით არის ნაწარმოები, მაგრამ ბოლოსარ-
თებით-კი არა, არამედ თავსართებით, ბოლოკიდურ რ, ლ-სა და ჯ ბგერათა
გაქრობამ ამ მეშველი ზმნის გარეგანი სახე ნაცვალსახელებს ძალიან მიუ-
მსგავსა, მაგრამ ეს გარემოება მათ შიგნით ზმნის თვისებას არ უკარგავს და
ნაცვალსახელებად არ ხდის, რასაც მესამე პირის ფორმაც ცხადყოფს.

ეველა შემონათქვამის შეიღვე, ამისათვის ზმნის მიელი უღვლილებაც
სულ სხვანაირად წარმოგვიდგება, ვიდრე ეს ა. დირრის ეხატებოდა და განმარ-
ტებული აქვს. თუ მას თაბასარანული ზმნის უღვლილება ნაცვალსახელოვანი
სუფიქსების საშუალებით ნაწარმოებად მიჩნდა, ნამდვილად თაბასარანული
უღვლილება ბოლოში მოქცეული მეშველი ზმნის საშუალებით ნაწარმოებს.

რაკი ეხლა გამოვკვებელია, რომ უღვლილების ბოლოს მეშველი ზმნა წაო-
ბოადგენს, პირველი ნაწილი, ან მარტივს ან რთულ მიმღობას უნდა წარმოა-
დგენდეს, ე. ი. წარმოების პროცესი დირრის დებულების წინაუკმო უნდა
წარმოვიდგინოთ: მიმღობა-კი არ უნდა იყოს აწმყო დროის ფორმათაგან ნა-
წარმოები, არამედ პირიქით აწმყო დროის ფორმა წარმომდგარი სათანადო
მიმღობისა და მეშველი ზმნისაგან. თუ ზმნის ეს ნაწილი აწინდელ მიმღო-
ბას მთლად არ ნიავავს, ეს ამ დებულების დამაბრკოლებელ გარემოებად ვერ
ჩაითვლება.

მაშასადამე, ირკვევა, რომ თაბასარანულ ზმნას ორგანული უღვლილება
მარტო მეშველი ზმნისათვის დაუცავს, დანარჩენ ყველას-კი მხოლოდ არაორ-
განული, ანუ უფრო სწორედ რომ ითქვას, მეშველ-ზმნიანი წარმოება მოეპო-
ვება. თვით მეშველ ზმნათა შორისაც-კი ორგანული წარმოება ყველას არა აქვს
შენარჩუნებული. მაშასადამე, შესაძლებელია ითქვას, რომ თაბასარანულში ორგა-
ნული უღვლილება მხოლოდ ერთად-ერთ მეშველ ზმნას აქვს შენარჩუნებული,
დანარჩენ ყველა ზმნებს-კი რთული, მეშველ-ზმნიანი წარმოება აბადია.

საინტერესოა უფრო ზმნის უღვლილებაც, რომელიც ამ ენის გრამატიკის
მკვლევარის, ა. დირრის, სიტყვით, თითქოს პირის აღმნიშვნელი ნაცვალსახე-
ლოვანი ჩანართებისა, ანუ ინფიქსებისა და დროის აღმნიშვნელი ბოლოსართე-
ბის, ანუ სუფიქსების საშუალებით ნაწარმოებს. ამასთანავე პირთა ნაცვალსახე-
ლოვანი ელემენტები შესაძლებელია სხვა-და-სხვა ადგილას იყოს მოთავსებული,

დროის აღმნიშვნელი ნაწილაკები-კი ყოველთვის ზმნის ფესვის ბოლოშია ხოლმე (Gram. უდინსკ. ივ. 38).

უღური ყველა, მარტივი, თუ რთული, ზმნების სახელზმნას ბოლოში აქვს ხუნ, მაგ. აყხუნ აღება, ბუყხუნ ნდომა, ბაქხუნ ყოფნა, უქხუნ ქამა, გულხუნ სმა, ბელხუნ ხედვა, ბოსხუნ ტყორცნა, ეფხუნ ქერა და სხვა ამგვარივე მარტივად მიჩნეული ზმნები (უღ. გრ. 39).

რთულ ზმნებად დირრს მხოლოდ ისეთები მიაჩნია, რომელთაც მეორე ნაწილად აქვს ესუნ სვლა, ბესუნ ქმნა (იგი ბხუნ-ის სახითაც იხმარება),— ფესუნ, ანდა ფსუნ უბნობა, მეტყველება, პესუნ ანდა პსუნ, ტესუნ, თესუნ, დესუნ, ხესუნ, ქესუნ ბაფხუნ ჩასხმა, ლაფხუნ ჩაცმა, ლაისუნ (ლაესუნ-ის მაგიერ) აღგომა, თაისუნ (←თავსუნ) წასვლა, თასტუნ (←თადესუნ) მიცემა.

ამავე მეშველი ზმნების საშუალებით შეიძლება თითქმის ყოველგვარი არსებითი და ზედსართავი სახელისა, ზმნისზედას, შორისდებულისა და უცხო ენებითგან ნასესხები ზმნებისაგანაც ზმნების წარმოება.

უღური ზმნის უღვლილებას ორნაირი პ. ნაცვალსახელოვანი ელემენტები აბაღია. ერთი, ა. დირრის სიტყვით იხმარება, როდესაც ზმნის ქვემდებარე მიცემითი ბრუნვით გამოითქმის (უღ. გრ. 48), ანუ, ქართული ენის ნორმების მიხედვით, როდესაც ობიექტურ ნაცვალსახელს წარმოადგენს, მეორე კიღევ ზმნათა ნომეტებულ ნაწილსა აქვსო. საფიქრებელია და, რამდენადაც უღვლილების მოყვანილ ნიმუშებითგანაც ჩანს, იგი სუბიექტური ნაცვალსახელოვანი ელემენტებია. ამგვარად უღურა ნაცვალსახელოვანი ნიშნები იქმნება:

სუბიექტური	ზმ. რ.	ობიექტური
1. პირის ზუ, ანდა ზ		ზა
2. „ ნუ, ანდა ნ		ვა
3. „ ნე		ტუ
	მრ. რ.	
1. „ აან		აან, ან აა
2. „ ნან		ვან, ან ვა
3. „ ყუნ		ყო

(უღ. გრ. 49).

არხება მეშველი ზმნის უღვლილება უღურად იქმნება:

მე ვარ	ზუ ზუ	
შენ ხარ	უნ ნუ	
ის არის	შენო ნე	
ჩვენ ვართ	აან აან	
თქვენ ხართ	ვან ნან	
ისინი არიან	შონორ	} ყუნ
	შენორ	
	შენორ	

(უღ. გრ. 48—49)

სუბიექტური უღვლილების მაგალითები:

ცამფესუნ — წერა

აწმყო დრო

მხ. რ.

ცამ-ზუ-ება	ვწერ, ანდა	ცამ-ზ-ება,	ცამ-ზუ-ბა
ცამ-ნუ-ება	სწერ, ანდა	ცამ-ნ-ება,	ცამ-ნუ-ბა
ცამ-ნე-ება	სწერს, ანდა	ცამ-ნ-ება,	ცამ-ნე-ბა

მრ. რ.

ცამ-ჰან-ება	ვწერთ
ცამ-ნან-ება	სწერთ
ცამ-ყუნ-ება	წერენ

(ულ. გრ. 49).

თაისუნ — წასვლა

აწმყო დრო

მხ. რ.

1. თა-ზ-სა
2. თა-ნ-სა
3. თა-ნე-სა

მრ. რ.

- თა-ჰან-სა
თა-ნან-სა
თა-ყუნ-სა

ულხუნ — სმა

მრ. რ.

1. უ-ზ-ღესა
2. უ-ნ-ღესა
3. უ-ნე-ღესა

მრ. რ.

- უ-ჰან-ღესა
უ-ნან-ღესა
უ-ყუნ-ღესა

(ულ. გრ. 49 — 50).

ობიექტური უღვლილების ნიმუშები:

აკხუნ — ხედვა

მხ. რ.

1. ზა ა-ზა-კხუნ		მხედავ
2. უნ (ანუ უკეთ ვა)	ა-ვა-კსა	გხედავ
3. შეტინ („ „ შეტუ)	ა-ტუ-კსა	ჰხედავს

მრ. რ.

1. ჰან (ანუ უკეთ ჰა)	ა-ჰა-კსა	გვხედავთ
2. ვან („ „ ვა)	ა-ვა-კსა	გხედავთ
3. შეტოლონ („ „ შეტოლო)	ა-ყო-კსა	ჰხედავენ

(ულ. გრ. 53).

იბაქსუნ — სმენა

აწმყო დრო

მს. რ.

- | | |
|---------------------|--------|
| 1. ზა ი-ზა-ბაქსა | მესმის |
| 2. უნ ი-ვა-ბაქსა | გესმის |
| 3. შეტინ ი-ტუ-ბაქსა | ესმის |

შრ. რ.

- | | |
|-----------------------|---------|
| 1. ჯან ი-ჯა-ბაქსა | გვესმის |
| 2. ვან ი-ვა-ბაქსა | გესმით |
| 3. შეტოლონ ი-ყო-ბაქსა | ესმით |

(უდ. გრ. 53).

დიდრის აღნიშნული აქვს, რომ, პირველი პირის ნაცვალსახელის ზა-ს გარდა, რომელიც მიცემითი ბრუნვით არის წარმოდგენილი, დანარჩენი პირების ნაცვალსახელები სახელობითი ბრუნვით არიან ნახმარი, თუმცა ამ შემთხვევაშიც წესიერი მეტყველების დროს უნდა მეორე პირშიც ვა იყოს და მესამეში შეტუ ნათქვამი, მაგრამ საუბარში ჩვეულებრივ ეს ხშირად ირღვევა და უნ-სა და შეტინ-ს ხმარობენ ხოლმეო. დიდრის ჰგონია, რომ ასეთ შემთხვევებში, მიცემითი ბრუნვის მაგიერ, ნათესაობითი ბრუნვა იხმარება, მაგრამ უფრო საფიქრებელია აქ იმგვარსავე მოვლენასთან გვეკონდეს საქმე, როგორიც ქართულშიც გვხვდება: ქართულის მსგავსად, უღურშიც ნაცვალსახელის მიცემითი ბრუნვის ფორმა გარეგნულად იმნაირივე ხდება, როგორიც სახელობითი მე (სახ. და მიც.), შენ (სახ. და მიც.). გარეგნული, ბგერითი, იგივეობისდა მიუხედავად, სემასიურად, რასაკვირველია, აქ სახელობითი-კი არა, მიცემითი ბრუნვაა.

დიდრის შემომოყვანილი ზმნების უღვლილების მნიშვნელობა არც გადმოთარგმნილი და არც განმარტებული არა აქვს.

ბესუნ, ბესუნ, ტესუნ, კესუნ, ხესუნ, ყესუნ, ესუნ და ისუნ-ბოლოკიდურიან ზმნებს აწმყო დროის საწარმოებლად, ა. დიდრის სიტყვით, უნ უნდა ჩამოეცალოს და ამის მაგიერ ა დაერთოს. ამგვარად აწმყოში შემოაღნიშნულ ზმნებს აქვთ პესა, ბესა, ტესა, კესა, ხესა, ყესა, ესა და ისა. აღსანიშნავია, რომ ფესუნ-ბოლოკიდურიან ზმნებს აწმყოში და ნამყო უსრულში ენა აქვთ (უდ. გრ. 52).

თუ გავიხსენებთ, რომ უნ სახელზმნის უღურა ნამდვილი დაბოლოება-ნიშანია, მაშინ შემოაღწერილი მოვლენის გრამატიკულად დახასიათება ამნაირად შეიძლება: აწმყო დროის საწარმოებლად სახელზმნას უნდა მისი უნ ნიშანი ჩამოეცალოს და მის მაგიერ აწმყო დროის ნიშანი ა დაისვას. ამასთანავე ფესუნ-ბოლოკიდურიან ზმნებს აწმყო დროში ხესუნ, ან, უკეთ რომ ითქვას, ესუნ-ბოლოკიდურიანობის მსგავსად აქვთ წარმოება.

ამისდა გვარად ქვემოთმოყვანილ ზმნებითგან აწმყო დრო ასე ნაკლებად:

ურტესუნ (<ურ-ტესუნ) რთვა

ურ-ზუ-ტესა	ვართავ
ურ-რუ-ტესა	ართავ
ურ-რე-ტესა	ართავს

მანდესუნ (<მან-დესუნ) დარჩობა

მან-ზუ-დესა,	ან მანზუსტა	ვრჩები
მან-რუ-დესა,	მ მანრუსტა	რჩები
მან-რე-დესა		რჩება

რაკი უღურად ეტუნ სვლას, ტესუნ ქმნას და ფესუნ უბნობასა ნიშნავს. ტესუნ, მესუნ და ფესუნ-ბოლოკიდურიან ზმნებს პირთა ნაკველსახელოვანი ნიშნები ორნაწილედს ზმნას თავში-კი არ ემატება, არამედ სწორედ ამათ უბნებს მივლინე წინ, ამიტომ ცხადი ხდება, რომ აქ ჩვენ თვალწინ მეშველი ზმნები და რთული წარმოება გვაქვს, რომელშიც ორნაწილადი ზმნის პირველი ნაწილი ან წინდებულა, ან არსებითი, ვინდ შედსართავი სახელი, ან მამლეობაა, ზოდით მეორე ნაწილი მეშველი ზმნაა ყველა თავისი თვისებებითურთ, ე. ი. პირთა ნაკველსახელოვანი ნიშნებით შემკული. ამის მსგავსი მოვლენა ქართულშიც მოგვეპოვება, მაგ. დგა-ხარ, ვზა-ვარ, ზი-ხარ, ვწე-ვარ, წეე-ხარ, ყოფილ-ვარ, ყოფილ-ხარ და სხვა.

მათადალია, ტესუნ, თესუნ, დესუნ, სესუნ, ქესუნ-ის ნიშნულობა გამოყრვეულია, მაგრამ ეს მაინც ცხადია, რომ უღური მათ მეშველი ზმნების მსგავსად ხმარობს. საფიქრებელია, რომ ისინი სამოდც ძირითადი მეშველი ზმნის მეორეინდელი ფონეტიკური სახესხვაობაა. ეს უკანასკნელი გარემოება უფროდ დირრსაც მოსდითადა (იხ. უდ. გრ. 40; შენ. ^{რთული}).

სემონათქამის შემდეგ, დირრის აზრი და დებულება, ვითომც უღური ზმნის უღვლილება პირთა ნაკველსახელოვანი ინფიქსების საშუალებით სწარმოებდეს, მედარად უნდა იქმნეს მიჩნეული ისევე, როგორც მედარი და შეეწყნარებელი იქმნებოდა, ვისზეც რომ ზიხარ, დგახარ, დავწერე, დასწერე, დაწერე, დაგვწერ და ამისი მსგავსი ფორმები ინფიქსების საშუალებით სწარმოებდ გამოეცხადებინა.

უღურშიც იქ, სადაც ჩვენ ზმნის პირველ ნაწილად წინდებულს ვერ ვცნობთ, ან ნასახელარ ზმნასთან ანა გვაქვს საქმე, უნდა ქართული ყოფილვარ, ყოფილხარ, ყოფილა[რს], ყოფილვიყავ, ყოფილიყავ, ყოფილიყო-ს ფორმების მსგავსი მამლეობიან-მეშველ-ზმნიანი წარმოება ვიგულისხმოთ, თუნდაც ასეთი ზმნის უღვლილებს პირველი ნაწილი თავისი გარეგანი აგებულებით აწინდელ უღურ მიმლეობას არ უდგებოდეს, რათგან უღურს საერთოდ თავისი პირვანდელი შორფოლოგიური სახე, დიდი შემოცვეთილობის გამო, ძალიან დაზიანებული უჩანს.

იმ ცნობების მიხედვით, რომელიც დირრსა აქვს გამოქვეყნებული, ისე გამოდის, რომ თანამედროვე უღურს მეშველ ზმნებს გარდა, ორგანული

ულვლილება აღარ აბაღია და ეს გარემოება ამ ენის პირვანდელი სახის შეცვლილობის ცხადი გამოძედავენებელია.

საგულისხმოა, რომ პირთა ნაცვალსახელოვანი ფორმანტებით წარმოებაზე დაყრდნობით ულვლილება, შიფნერის ცნობით, წაჯრისაჲ ჰქონია, რომელიც ბოლოლოგიის ამ თავისი კუთვნილებით დანარჩენი დილუჯია ენებისა, რარისაჲ და დისჯრისაჲგან განირჩევა. შიფნერის სიტყვით, წაჯრის ისეთი ულვლილებაც აბაღია, რომელშიც 1. და 2. პირის ნაცვალსახელები ზმნას მისდევს და მასთან შერწყმულია. ამასთანავე, თუ ზმნის ძირი, ან ფუძე ხმოვან-ბოლოკიდურიანია, მაშინ 3. ნაცვალსახელებს ხმოვანი უქრება, ხოლო, როცა თანხმოვან-ბოლოკიდურიანია, ნაცვალსახელიც მთლიანად ერთვის და ძირსა, ან ფუძესაც შემაერთებელი ა ხმოვანი უჩნდება (იხ. შიფნერის Versuch, § 177). მაგ. წაჯრის მხ. რ. 1. 3. ნაცვალსახელი, როგორც ვიცით, ხო და 2. 3. ნ. ჰოო, მრ. რ. 1. პირისა-კი ჟაჲ და თხო, 2. 3.—ჟუ არის. ვარ იქმნება ჟახ (ჟა+ხო-ს მაგიერ), ხარ—ჟაჰი (ჟა+ჰოო-ს მაგიერ), მაგრამ ვიყავი—ჟარახო (ჟარ+ა+ხო). ამნაირად აქ თითქოს ბოლოსართოვანი წარმოება უნდა გვქონდეს, მაგრამ საფიქრებელია, რომ აქაც მეშველზმნიანი წარმოების ძირ-ბოლო-მოკვეცილი ფორმები-ღია შერჩენილი. სამწუხაროდ შიფნერს ძალიან ცოტა ცნობები მოეპოვება, რომ ამ საყურადღებო საკითხის გულდასმით განხილვა შესაძლებელი იყოს.

ლუჯრ იმ მცირერიცხოვან ენათა ჯგუფს, რომელთაც ზმნის ფორმები პირისდა მიხედვით ეცვლებათ, უსლარის სახელდებით ჰკრავალურავ. ანუ, როგორც მას ლ. ეირკოვი უწოდებს, დარჯინსკი (даргинск., la langue dargwa) ეკუთვნის. მაგალითად შესაძლებელია მოყვანილი იქმნეს ვარ, ხარ, არის მეშველი ზმნის აწმყო დროის ფორმები:

მხ. რ.

მე (მამრ. სქ.)	ვარ	—	ნუ	საჲრა
შენ "	"		ხარ	— ჰოუ საჲრი
ის "	"		არის	— ჰით საჲ
მე (მდედრ. სქ.)	ვარ	—	ნუ	სარრა
შენ "	"		ხარ	— ჰოუ სარრი
ის "	"		არის	— ჰით ხარრი
მე (3. სქეს-კატ.)	ვარ	—	ნუ	სავრა
შენ "	"		ხარ	— ჰოუ სავრი
ის "	"		არის	— ჰით სავი

მრ. რ.

ჩვენ ვართ — ნუშა სარრა
 თქვენ ხართ — ჰოუშა სარრა
 ისინი არიან — ჰითთი სავი (1. და 2. სქ.-კ.) და ხარი (3. სქ.-კ.).

(უსლარის ჰვრკ. ე., გვ. 71).

უსლარს აღნიშნული აქვს, რომ, ზემომოყვანილი სრული საჲრა-სა და და-ნარჩენი ფორმების მაგიერ, 1. 3. მარტო რა-ს, ხოლო 2. 3. რი-სა ხმარობენ,

რომელიც არსება მეშველი ზმნის უმარტივეს ფორმებად უნდა მივიჩნიოთ. ამასთანავე შესადარებლად თავისი ლუბოქობა (Лакк.) გრამატიკის § 81 აქვს დასახელებული (ჭკრკ. ე., გვ. 71).

უსლარს ამ საარა მეშველი ზმნის ანალიზიც მოეხოვება: „საარა უკუ-ქცევითი საა ნაცვალსახელისა (§ 46) და რა-საგან ჩანს შედგენილი“-ო და ნუ აჰანა საარა—, მე თითონ თავად კარგი“-ს აღმნიშვნელიაო. მაგრამ ნუ აჰანა საარა-ს და სხვა ფორმების მაგიერ ჩვეულებრივ ამბობენო:

მხ. რ.		მრ. რ.
1. ნუ აჰანარა		ნუშა აჰათირა
2. ჰაუ აჰანარი		ჰაუშა აჰათირა
3. ჰით აჰანა	საა (მ.)	ჰითთი აჰათი ხავი (1. და 2.).
„ „	ხარი (მდ.)	„ „ ხარი (3. სქ.-კ.).
„ „	ხავი (3. სქ.-კ.).	

(ჭკრკ. ე. გვ. 71).

არსება მეშველი ზმნის შემომოყვანილ ფორმების გარდა, უსლარი-სავე ცნობით, შემდეგი ფორმებიც გვხვდება:

მხ. რ.	მრ. რ.
ვარ — ნურა	ვართ — ნუშარა
ხარ — ჰაური	ხართ — ჰაუშარა

(იქვე, გვ. 72).

ნამყო დრო

მხ. რ.

მამრ. სქ.	მდედრ. სქ.	3 სქეს-კატ.
1. ნუ ხარო	ნუ ხარო	ნუ ხავრი
2. ჰაუ ხარო	ჰაუ ხარო	ჰაუ ხავრი
3. ჰით ხარო	ჰით ხარო	ჰით ხავრი

მრ. რ.

1. ნუშა ხარო
2. ჰაუშა ხარო
3. ჰითთი ხავრი (1. და 2.), — (ხარო).

მაგრამ, შემომოყვანილი ფორმების მაგიერაც, მარტო რი-საც ხმარობენ ხოლმეო (იქვე, გვ. 72). უსლარს მოყვანილი აქვს მაგ. წინადადება, რომელშიც ნამყო დროს მხ. რ. 3. პ. ფორმად ჰითრი არის ნახმარი (იქვე, გვ. 73). „ის იყო“-ს აღმნიშვნელი ეს ფორმა 3. პ. ნაცვალსახელის ჰით-ისა და არსება ზმნის რი მარცვლის უშუალო შერწყმით არის ნაწარმოები.

ამავე ზმნის მიმღეობა იქმნება:

სააილ (მ.), ხარილ (მდ.) და ხავილ (3. სქესკ.), ხოლო მრ. რ. ხავთი (1. და 2. სქ.) და ხართი (3. სქ.-კ.). ყველა ამ ფორმებს, როგორც აწმყო დროის, ისევე ნამყოს მიმღეობის მნიშვნელობა აქვს.

ამავე ზმნის აწმყო დროის ზმნისზედა არის სახლი (მ.), ხალლი (მდ.) და ხავლი (პ. სქესკ.); ხოლო მრ. რ. სალლი (1. და 2. სქ.) და ხავლი (3. სქ.-კ.). ამას გარდა სხვა ფორმებიც არსებობს, მაგ. საჰაილი (მ.) და სხ., რომელნიც ზემომოყვანილ ფორმებისაგან მხოლოდ სა-ჰ-სა და ლი-ს შუა მყოფი ჰი მარცვლით განსხვავდებიან. ამ ფორმებს ერთეის მნიშვნელობა „იმ დროს როცა“... (პვრკ. ე. გვ. 73—74).

ლ. ჟირკოვი ჰკრავილუბა, ანუ როგორც იგი უწოდებს, დატყუალა ენის თავისს გრამატიკაში ამტკიცებს, რომ უსლარმა ამ ენის ზმნის უღვლილების აგებულება ვერ ვაიგო: პ. პ. მხ. რ. ზმნის არის ფორმა საჰ უსლარს ყველგან პ. პ. ზმნის ფორმაში აქვს მოყვანილი და ერთი შეხედვით მანერთად მოჩანსო. მაგრამ ეს მხოლოდ ოპტიკური შეცდომაა. საჰ ელემენტს არსება ზმნის მნიშვნელობა არ ახლავს. 1. და 2. პ. ფორმები უფრო მოკლე რა და რი-ს სიახლოვე გვევლინება, რომელნიც აწმყო დროის ზმნის მხ. ო. სწორედ 1. და 2. ირების დაბოლოებანია. ეს ელემენტები (რა, რი) მართლაც სრულებით ვარკვეული მანერთია 1-სა და 2. პირში. საჰ ელემენტი-კი, რომელიც პ. პირში მხოლოდ-ღა რჩება, ნაცვალსახელია თითონ (ლუნსურს უფ-ს უღრის). რომელიც სწორედ ამავე სქეს-კატეგორიების ნიშნებითურთ პ. კ. უსლარს თავისს გრამატიკის იმ ნაწილში აქვს მოყვანილი, სადაც ნაცვალსახელებზეა საუბაროო Грам. даргинск. яз. 26—27¹).

ვინც მხოლოდ ლ. ჟირკოვის ზემომოყვანილ მსჯელობას წაიკითხავს, იტიკრებს, რომ ამ მეშველი ზმნის შემადგენელი საჰ ნაწილის რაობა პირველად მართლაც ჟირკოვის გამორკვეულია. მაგრამ ამ ჩვენს წიგნში თვით უსლა-

1. „Имеется глагол еи значением быть: *zawga*—я есмь, *zawgi*—ты еси, *zaw*—онъ есть (приводим сюда только в родов. прикн. муж. рода <*zawga*...), что *zaw* неизменно выставляется П. К. Усларом при каждом 3-ем лице глагола и кажется на первый взгляд самой определенной связкой. Однако это ничто иное, как оптический обман. Глагольный значенне быть с этим элементом *zaw* не связано. 1-ое и 2-ое лица факультативно авзяются в более коротких формах *ra* и *ri*, которые служат, между прочим, как раз окончаниями 1-го и 2-го лица един ч. в настоящем времени глагола. Эти элементы (*ra*, *ri*) есть действительно вполне определенной связки в 1-ом и 2-ом лице. Что же касается элемента *zaw*, который остается единственным в 3-ем лице, то это есть местоимений со значением сам (соответствует аварск. *iv*), с точно такими же родовыми изменениями, приводимое П. К. Усларом в отделе местоимений его грамматики. Получается картина не совсем аналогичная пропуску связки в русском языке в предложениях типа: онъ (есть) добрый. В даргинском языке такое предложение строится по типу: онъ самъ добрый,— без малейшего следа какого бы то ни было глагольного элемента. Подчеркиваем, что сказанное касается именно только форм 3-го лица“ (Д. Жирков. Грам. даргинск. яз. 26—27).

„Как видно из рассмотренных приведенных вариантов личных окончаний, мы стоим здесь перед чрезвычайно любопытной картинкой. Окончания—*ra*, *ri* и являются как раз теми единственными чисто глагольными элементами, которые мы выделяли, как глагол со значением быть. Эти же глагольные элементы образуют личные формы всех даргинских глаголов. Образуют они их, праяединясь к деодричастной форме“ (Грамм. даргинск. яз. 29—30).

რის ნაშრომითგან ზემოთ მოყვანილი ცნობები მკითხველს დაარწმუნებდნენ, რომ უსლარს მარტო ნაცვალსახელების ნაწილში-კი არა აქვს საა-ს ფორმები მოყვანილი, არამედ სწორედ ამევე საარა ზმნის უღვლილების განხილვის დროს ჰქონდა უკვე მისი აგებულების ანალიზიც მოყვანილი და აღნიშნულიც აქვს, რომ იგი საა უკუტყვევითი ნაცვალსახელისა და რა-საგან ჩანს შედგენილი (იხ. აქვე, გვ. 606). მაშასადამე, აქ უიროკოვი მხოლოდ უსლარის ავე განმარტებას იმეორებს და ახალი საარა-ს საა-ს პირვანდელს ბუნებასა და რაობაზე არა უთქვამს რა.

თვით უიროკოვს მხოლოდ ის დებულება ეკუთვნის, რომ 1. პ. საარა-სა რა სწორედ პირველი პირისა, ხოლო 2. პ. საარი-ს რი-კი მეორე პირის დაბოლოებაა. მაგრამ ეს დებულება სრულებით მცდარია: ცხადია, რომ რ არასგზიამ არ შეიძლება დაბოლოებას მიეკუთვნოს, არამედ ის უცილობლად ძირის ბგერაა. ამ საკითხისადმი ფორმალური მიდგომის დროს, შესაძლებელია კიდევ ვისმე ეთქვა, რომ რა-ში ა 1. პირის დაბოლოებაა, რი-ში-კი ი 2. პირის დაბოლოებაა, მაგრამ არც ასეთი დასკვნა იქმნებოდა სწორე თვით რი-კა და რი-ში ი ხმოვანიც რომ შეუძლებელია 2. პირის ნიშნად, ანდა დაბოლოებად იქმნეს მიჩნეული, ეს თუნდაც იქითგანაც ჩანს, რომ რი მარცვალი ნამყო დროის ორივე რიცხვის საშივე პირის ფორმების დაბოლოებაა. ცხადია, რომ ი არც ერთ პირთან დაკავშირებული არ უნდა იყოს.

მაშასადამე, უიროკოვის დებულება, თითქოს რა და რი 1. და 2. პ. დაბოლოება იყოს, მცდარია: რ ძირის ბგერაა, ხოლო ა და ი ხმოვნები მაინც დიზინც პირის გამოხატველი ელემენტები არ არის. ამნაირად ირკვევა, რომ ჰვრკილური, ანუ დარგჭაულა ენის ზმნის უღვლილებაში პირი ბოლოსართების საშუალებით არ ყოფილა გამოხატული.

ჰვრკილურა უღვლილების აღნაგობა, მაშასადამე, ისევე ისე გამოხარკვევი ყოფილა. რაკი დარწმუნდით, რომ პირი იქ ბოლოსართებით არ არის აღნიშნული, შესაძლებელია დაგვესკვნა, რომ ჰვრკილურიც, ლუნძურ-ანდი-დიდოურ-ენათა ჯგუფით, ენათა იმ ჯგუფს ეკუთვნის, რომელსაც პირის გამოხატველი ნაცვალსახელოვანი ელემენტები საკუთრივ ზმნის ფორმაში არ მოეპოვება, მაგრამ ასეთი დასკვნა აჩქარებული მსჯელობის ნაყოფი იქმნებოდა.

ჰვრკილურა მეშველი ზმნის უღვლილება ფრიად საყურადღებოა. როგორც მკითხველი ზემომოყვანილი მაგალითებითგან დარწმუნდებოდა, ამ მეშველი ზმნის აწმყო დროის ორგვარი ფორმები არხებობს: მაგ. ვარ ჰვრკილურად იქმნება ნუ საარა-ც და ნურა-ც, ხარ — ჰაუ საარი-კა და ჰაური-ც, ამნაირადვე ვართ — ნუშა სარრა-კა და ნუშარა-ც ისევე, როგორც ხართ — ჰაუშა სარრა-კა და ჰაუშარა-ც.

ზემომოყვანილ პარალელურ ფორმათაგან მეორე წყების ფორმები სათანადო პირისა და რიცხვის ნაცვალსახელისა (ნუ, ჰაუ, ნუშა, ჰაუშა) + რ — ძირისა და ხმოვნისაგან (ა, ი) შესდგება. ცხადია, რომ აქ ზმნის უღვლილების ნაცვალსახელოვანი თავსართოვანი წარმოება გვაქვს, თანაც ორკანული წარმოების ფორმებია.

უღვლილები პარალელურ ფორმათა პირველი წყება უფრო რთული აგებულებისაა: თავითგანვე თვალსაჩინო განსხვავებას შეამჩნევს ადამიანი იმ მხრით, რომ პირთა ნაცვალსახელები ზმნის ფორმასთან შერწყმული-კი არ არის, არამედ განცალკევებით დგას, უსლარის ჩანაწერით მაინც. მეორესა და უკვე არსებითს განსხვავებას ის შეადგენს, რომ ზმნის ახმოვნებულს რ-ძირს წინ, ან საა, ან სარ, ანდა ხავ უძღვის, რომელთანაც იგი შერწყმულია. ამნაირად, თუმცა აქ ზმნის შერწყმული ფორმები გვაქვს, მაგრამ პირის ნაცვალსახელოვანი, არც თავხართოვანი და არც ბოლოხართოვანი ნიშანი ამ ფორმებს არ მოეპოვებათ. ამისდა მიუხედავად, მაინც უფლება არა გვაქვს ვთქვათ, რომ ამ პირველი წყების ფორმებში ნაცვალსახელოვანი წარმოების არაერთი კვალი არ გვქონდეს. უკვე ის გარემოება, რომ 1. და 2. პირის ორივე რიცხვის ფორმებს თავში უკუქცევითი ნაცვალსახელი უზის, მათ ნაცვალსახელოვან წარმოებად ბღის.

ჩას შემდეგ, რაც ჩვენ პირთა ნაცვალსახელების აღნაგობა და შემადგენელი ნაწილები დაწერილებით შესწავლილი გვაქვს, ჰგავილოვანი უღვლილების ამ თავისებურების გაგებაც გაგვიადვილდება.

მესუთი კარში სხვა-და-სხვა ენის ნაცვალსახელების განხილვამ მრავალჯერ დაგვარწმუნა, რომ პირთა ნაცვალსახელები უმჭიდროესად ყოფილან უკუქცევითს ნაცვალსახელებთან დაკავშირებული ისე, რომ ბევრჯერ ორივეს განუყრელად შერწყმული ფორმებიც-კი მოგვეპოვება, ენათა ზოგს ჯგუფში-კი ამ შერწყმულ ფორმათა პირის გამომხატველი ნაცვალსახელოვანი ელემენტი გამჭრალიც-კია, ხოლო უკუქცევითი ნაცვალსახელის ელემენტი 3. ნაცვალსახელად არის ქცეული.

იქვე აღნიშნული გვქონდა, რომ 3. ნაცვალსახელთა ორი წყება ყოფილა, რომელთაგან ერთი წყება მხოლოდ პირის მაუწყებელი იყო, მეორე წყებას-კი ამას გარდა სქეს-კატეგორიაც უნდა გამოემჟღავნებინა.

სქეს-კატეგორიები თავდაპირველად სათანადო ნიშნების დართვით გამოიხატებოდა, შემდეგ-კი მათ მაგიერ ამავე დანიშნულებით უკუქცევითი ნაცვალსახელი ჩნდება (იხ. აქვე).

უველა შემოაღნიშნულის გახსენების შემდეგ, საკმარისია იმასაც დავაკვირდეთ, თუ რა განსხვავებაა მეშველი ზმნის უღვლილების პარალელური ფორმების ორ წყებას შორის, რომ მეშველი ზმნის-რ-ძირს წინ მოქცეული უკუქცევითი ნაცვალსახელის ჩამდგომი რაობა და თავდაპირველი დანიშნულება სრულებით ცხადი შეიქმნეს. უღვლილების პარალელურ ფორმათა შორის აღმნიშვნელობით მხოლოდ ის განსხვავებაა, რომ უკუქცევითი ნაცვალსახელიანი უღვლილება მართა პირისა-კი არა, არამედ სქეს-კატეგორიის გამომხატველიც არის, უიმისო უღვლილება-კი ზმნის მხოლოდ პირის გამომეტაგნებელია. რაკ, როგორც ვიქით, უკუქცევითი ნაცვალსახელი ამ დანიშნულების გამოსახატავად წინათ პირთა ნაცვალსახელებთან ერთად იხმარებოდა (იხ. აქვე), ამიტომაც საფიქრებელია, რომ უსლარის მიერ პირთა და უკუქცევითი ნაცვალსახელების ძირ-შერწყმული ფორმების განცალკევებულად აღქმა და დაწერილობა (ნუ სააარა, ნუ ხარარა, ნუ ხავრა და სხ.) მცდარი უნდა იყოს.

და ნაშედილად და თავდაპირველად მაინც ერთი მთლიანი შერწყმული ზმნის ფორმები ნუსხაა, მუსხაა და სხ. უნდა ყოფილიყო.

მაშასადამე, ჰერკლიტურას შემდეგ ზმნას პოლოსარტოიენი-კი არა, არამედ ნაცვალსახელოვან-თავსართოვანი ორგანული წარმოების ორი წყება პქონია, რომელთაგან ერთი ზმნის მხოლოდ პირის გამომხატველია, მეორე წყება-კი ამას გარდა სქეს-კატეგორიისაც.

დილლურ-ლეგურ-ალბანური ენების ზმნისა და უღვლილების აღნაგობის გენეზისი რომ განსაგები გახდეს, ჯერ მასილებრიც-კია შესაგროვებელი, შემდეგ-კი საუწყელიანი მონოგრაფიული შესწავლაც არის საჭირო. იგივე უნდა ითქვას სანდურ ენების ზმნაზეც. დაბადურ-დაბადურა ზმნა ისტორიულ ხანაში კარგად აიხსნა შესწავლილი, მაგრამ მისი პრეისტორიაც და ფორმათა გენეზისიც აგრეთვე ჯერ კიდევ შესასწავლია. აქ ფართო და ფრიად საყურადღებო პერსპექტივებაც იმლება და შესაძლებლობაც არსებობს. ამიტომ, კაცში რომ სთქვას, შემომოყვანილი მსჯელობა ჯერ ნაადრევი იყო. თუ, ამისდა მიუხედავად, აქ ამაზე შარც საუბარი გვქონდა, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც ენათა ნათესაობის საკითხის განხილვა ზმნის უღვლილების ზოგადი თვისების გაუთვალისწინებელივ შეუძლებელია და აქაც ამიტომ ამაზე რამე უნდა ყოფილიყო ნათქვამი.

ვიმედოვნებ, რომ ის მკარგოდენიც, რაც ზმნის აგებულებაზე ითქვა, მაინც საკმარისი უნდა იყოს იმას დასარწმუნებლად, რომ ქართველური და სინდური უღვლილება უცილობლად ერთხა-და-იმავე პრინციპზეა აგებული. სიმნელეს დილლურ-ლეგურ-ალბანური ზმნის თავისებურება გვიქმნის. მაგრამ პ. ნაცვალსახელოვანი ელემენტების უქონლობა ზმნის ფორმებში და სამაგიეროდ სუბიექტის, ანდა ობიექტის მხოლოდ სქეს-კატეგორიების აღნიშვნის წესი ამ ენათა ჯგუფისათვისაც გამოუკლებელივ საერთო არ ყოფილა, არამედ დილლურს, ლეკურსა და ალბანურ ჯგუფებშიც რამდენამე ენა მოგვეპოვება, რომელთაც პ. ნაცვალსახელოვანი წარმოება შეუნარჩუნებიათ. ამათგან ყველაზე საყურადღებო, როგორც დაერწმუნდით, პეტალიურია, რომელსაც თავსართოვან-ნაცვალსახელოვანი წარმოების პრინციპიცა და პიოთა სქეს-კატეგორიის აღნიშვნის ოდინდელი წესიც შემველი ზმნის უღვლილებაში კარგად დაუკავს. ეს გარეშობა ამჟღავნებს, რომ დილლურ-ლეგურ-ალბანურ ენათათვისაც ნაცვალსახელოვანი თავსართოვანი უღვლილება წარმოების პრინციპი უცხო წესი არ ყოფილა, არამედ ოდესღაც მათაც შქონიათ. მაშასადამე, მათი ნათესაობა ქართველურ-სინდურ ენებთან ამ მხრივაც მტკიცდება.

ლ. ჟორკოვმა 1930 წ. გამოქვეყნებულს პატარა ზოგადს მოხსენებაში „დალისტნის იაფეტური ენების ზმნის აგებულებაზე“ („О строе глагола в яфетических языках Дагестана“), წამოაყენა დებულება, თითქოს დალისტნის ენებში ამჟამად დაცული ზმნის წარმოების წესი იმდროინდელი ხანისა და ვითარების ნაშთი იყოს, როდესაც ზმნა მხოლოდ ჩნდებოდა (იხ. Доклады Акад. Наук СССР, 1930 წ., В., № 5, გვ. 84)¹. შემომო-

¹. „Все эти факты взаимоотношений между семантиками «итти», «связать», «делать(ся)» говорит о том, что мы имеем в этих языках перенято-но следы того до-ажошия, когда глагол т-лъко что начал возникать“.

უცნობი ფაქტები და მოსაზრებანი-კი პირიქით ამტკიცებენ, რომ წინათ იქაც ზმნის ორგანული წარმოება ყოფილა და ის, რაც ამ უამად დაღისტნის ენათა უმრავლესობის უღვლილებაშია, არაჲც თუ პირვანდელი ვითარების ნაშთად არ შეიძლება მიჩნეულ იქმნეა, არამედ წინანდელი აგებულების დაშლის შედეგს წარმოადგენს. არაორგანული, მხოლოდ სქეს-კატეგორიების თავსართებიანი ზმნის უღვლილების წარმოშობა უნდა ორგანული წარმოების დაშლის უკანასკნელი საფეხური იყოს. უეჭველია, აქ ამ უკანასკნელ საფეხურს წინ მიუძღოდა ზმნის წარმოების ისეთი საფეხური, როდესაც ზმნის უღვლილება წინამავალ შიმღობისა და მიმდენო მეშველი ზმნის ფორმების შენაერთებს წარმოადგენდა. ზმნის უღვლილების წარმოების ამგვარი წესი ნაწილობრივ ბევრს, ორგანული წარმოების მქონებელს, თვით სხვა-და-სხვა მოდგმის ენებსაც-კი მოეპოვება და ქართულსაც და აზერბაიჯანულსაც ხომ აქვს, დაღისტნისა და ყოფილი ალბანეთის ენათაგან-კი, როგორც დავრწმუნდით, თანასატანულს, ჰერვალურსა და იდურს ენებშია გაბატონებული.

იმ ენებს, რომელთაც სქეს-კატეგორიის განრჩევა შენარჩუნებული ჰქონდათ, ამ მიმდევარ-მეშველზმნიანი უღვლილების ხანაში ზმნის ფორმის წინა, მიმდევარების შემცველს, ნაწილს სქეს-კატეგორიის გამოხატველი თავსართები ექმნებოდა. როდესაც დროთა განმავლობაში ზმნის ორგანული წარმოების ეს უკანასკნელი საფეხური ბოლოკიდური მეშველი ზმნის ჩამოცილებით საბუდამოდ მოიხსოვრებოდა, ზმნის უღვლილებამ წინა საფეხურის ნაშთად სქეს-კატეგორიის თავსართები შეინარჩუნა იმისდა მიუხედავად, რომ ამ ხანაში ამ ფორმის ოდინდელი მიმდევარობის შეგნება და გრძნობა უკვე წარსოცილი იყო და ეხლაც აღარ არის.

ქართველურ-სინდურ-ლილდურ-ლეგურ-ალბანური ენების სიტყვათა ძირების ნათესაობა

ამ გამოკვლევისათვის დასახული მორფოლოგიური ამოცანები, — გრამატიკული სქეს-კატეგორიების საკითხი, რიცხვითი სახელები, ნაცვალსახელები და ზმნის აგებულების მთავარი პრინციპი, — ავად, თუ კარგად უკვე განხილული გვაქვს. ეხლა მხოლოდ სიტყვათა საგანძურის ძირთა ნათესაობის საკითხი-და დაგვრჩა განსახილველი, რომ ქართულ-ქართველური და სინდურ-ლილდურ-ლეგურ-ალბანური ენათა ჯგუფების თავდაპირველი ბუნებისა და ნათესაობის პრობლემებზე მსჯელობა დამთავრებულად მივიჩნიოთ და საბოლოოდ დასკვნას დავადგეთ.

ლექსიკური მარაგის ძირთა ნათესაობის საკითხი იმდენად დიდსა და ფართო ამოცანას წარმოადგენს, რომ მისი განხილვისათვის ცალკეული მონოგრაფიებიც-კია საჭირო. მაგრამ, ცხადია, რომ ასე ფართოდ აქ საზღვრების ჯამლად არც შესაძლებელია და არც მიზანშეწონილი იქმნებოდა, რათგან სიტყვათა მარაგის ძირებზე მსჯელობა ცალკეულს, მესამე წიგნში, გვექმნება, რომელშიც ქართველ-შარიატთა უძველესი კულტურის ისტორიის საკითხები სწორედ ენის

ლექსიკური მასალისა და ნივთიერი ნაშთების მიხედვით გვაქვს განხილული. ეს გარემოება უფლებას გვაძლევს ძირითა ნათესაობის საკითხისათვის საზღვრება აქ ვიწროთ შემოვზღუდოთ.

მორფოლოგიური პრობლემების გარჩევის დროს დაწვრილებით გვქონდა უკვე განხილული რიცხვითი და ნაცვალსახელები და მაშინ ხომ, მათი აღნიშვნის მსგავსებასთან ერთად, მათ ძირითა ნათესაობაც ცხადი შეიქმნა. ამიტომაც ვგონებ აქ ამაზეც უკვე აღარავითარი საუბარი საჭირო არ უნდა იყოს.

გრამატიკული სქეს-კატეგორიების საკითხის გარჩევის დროსაც მევერი სიტყვის აგებულების გამორკვევა მოგვიხდა და მაშინ მათი ძირების, მეტადრე სქესისა და ნათესაობის აღმნიშვნელს სიტყვებზე და ცხოველთა სახელებში, იგივეობა-ნათესაობაც მრავალჯერ გამოვლავნდა. ცხადი შეიქმნა, რომ ამ სახელებს შორის მკიდრო კავშირი ყოფილა და, რაც ენათა ერთ ჯგუფში სქესის გამოსახატავად არის გამოყენებული, ის ზოგჯერ მეორეში ნათესაობის აღმნიშვნელ ტერმინად ქცეულა. მაგალითად, თუ ქართულად ვაცი ადამიანისა და ცხოველის ზამრ, სქესის აღმნიშვნელი სახელია, ლეგურ გნებში, ლეგურტად და ჭაჭალაღურტად, ვაც უკვე ძმას ნიშნავს (იხ. აქვე, გვ. 157 და 163), — ბოლღარულად, ლეგურტად, ჰარაღურტად და ასვასურტადაც ვაცის ძმის სახელია. — ძმას დამწალურტადაც უაკსი, ანდორტად ვოცსი, ყუანაღურტად ვასს ეწოდება (აქვე, გვ. 163).

ამნაირადვე ვირი, თუ ქართულად ცხოველის სახელად არის ქცეული, ძველად-კი მამრ. სქესის აღმნიშვნელი იყო. ლეგურტად ადამიანის, მამაკაცის, სახელია (აქვე, გვ. 157).

ქართულში სქეს-კატეგორიების არსებობის საკითხის განხილვის დროს ხომ დავრწმუნდით, რომ ვაჟი, ვოჟო, ვეჟი, ბაჟი, ბუჟი, ერთი-და-იმავე ძირის სიტყვებია (აქვე, გვ. 184 და 194). ამავე პრობლემის შესწავლისას აღნიშნული გვქონდა, რომ ვაჟიშვილს ლეგურტადაც ვასა, — ბოლღარულად, ლეგურტად, ჰარაღურტად, ასვასურტად და ყუანაღურტად ვაშა, — ანდორტად ვოშო, — ყაიურტად თვო — ხუარტულად უჟი და დიდორტად უჟი ჰქვიათ (იხ. აქვე, გვ. 163).

ასევე ნათესაობა ემჩნევა დედის სახელსაც: თუ ქართულად დედა, ღია და ნენა გვაქვს, ლეგურ-ალბანურ გნებშიც იგივე ძირია და ხანაღურტად და ალურტად დედან, ვარტულად დედან, ვარტულად დედან და ვარტულად დაა ჰქვიათ (იხ. აქვე, გვ. 160), ხოლო რეგურტად ნანა, ლეგურტად ნინუ, ბოლღარულად ნან ეწოდება (იქვე, გვ. 159).

შინაურ და გარეულ ცხოველთა ზეერ სახელებსაც ერთი-და-იგივე ძირი აქვს. მაგ. ნეზვისა და მოზვერის ქართული ზგერიით შესატყვისობის მოზარის, მუზარისა და შურა-ს ეტიმოლოგიის გამორკვევის დროს აღნიშნული გვქონდა, რომ მდებარეობის გამოშატველი ამ სიტყვების ძირი ზუენა ზმნას აქვს დაცული (იხ. აქვე, გვ. 193—194). ცხადია, რომ ზუენის აღმნიშვნელი ლეგური სახელებიც: ანაღურტა ზავუ, ასვასურტა ზიფუა, — ბოლღარული, ჰარაღურტა, ქაშალურტა და დამწალურტა ზინ, — ყანაღურტა ზინი და დიდორტა ზია, — ბოლღარული ზინი, — ბოლღარული და ქაშალურტა ზერ და ვარტა ძმარ-იც (იხ. აქვე, გვ. 159) ამავე ძირის სიტყვები უნდა იყოს.

განა ბუნებრივი არ არის, რომ ქართული სახელი **თხა** და ამავე ცხოველის ლეგური ენების სახელებიც, — მთლიანობა, კარაფული და ასაკურთა **ტაუქა**, ანდაურთ **ტუქა** (18 ს.), ლღღმურთა **ტაუქს**, ცინცალურთა **ტაუქაა**, დიღურთა **ტაქა** და დაღურთა **ტაუგა-ც** (იხ. აქვე, გვ. 160) ამავე ძირისად მივიჩნიოთ?

ვაცოცისა, ვაცისა, ბატკნისა, ტიკანისა, თიკანისა და ციკანის ეტიმოლოგიის გამოკვლევის დროს დაგრწმუნდით, რომ ამ სიტყვების ტიკ ძირს და მის სხვადა-სხვა ფონეტიკურ საბესვობას სქეს-კატეგორიის ფორმანტის შეცვლისთანავე მნიშვნელობაც ეცვლება და, როგორც აღამიანისა, ისევე პირუტყვის, როგორც მამრობითი, ისევე სხვა სქეს-კატეგორიის გამოსახატავად არის გამოყენებული (იხ. აქვე, გვ. 176—177 და 190—192). სინდურ-ლილლურ-ლეგურ ენებში გრამატ. სქეს-კატეგორიების პირველადობის საკითხის განხილვისას დაგრწმუნდით, რომ ჩუბჭურასაც მოეპოვება მამალი თხის აღმნიშვნელი **ტეკი**-ში **ტეკი** ძირი, ლილლურ ენებსაც ჰქონდათ მამის აღმნიშვნელი ამავე ძირის ატტიგ, დაბარდურასაც იბადიათ ამავე მნიშვნელობის მქონებული **ჰადეჟ** (=ჰადეგ-ისაგან), ჩუბჭურასაც ამავე ძირის მამის სახელი **ჰატტე** ატტო, ხოლო ჩაჩურთა **ჰეტტ** ფურის აღმნიშვნელია (იხ. აქვე, გვ. 242—246).

შე შეგონია, რომ ზვერი დასაბურთება არ უნდა იყოს საპირო, რომ ეს ქართული და სინდურ-ლილლური სიტყვები ერთი-და-იმევე ძირისად ვიცნათ.

რაკი ამ გამოკვლევის შორფოლოგურს ნაწილშიც და აქაც უკვე საკმაო შემთხვევა გვქონდა დაგრწმუნებულთაგანით, რომ ნათესაობისა და სქესის აღმნიშვნელს სიტყვებსა და შინაური ცხოველების სახელებსაც ქარ-ველურ-სინდურ-ლილლურ-ლეგურ-ალბანურს ენებში ძირებიც ერთი-და-იგივე ჰქონია, შესაძლებელია აქ კიდევ შინაური ფრინველისა და კულტურული ხეხილის დარგებითგანაც თრიოდე მავალითი მოგ-ყვანათ, რომ მკითხველი დარწმუნდეს, თუ რამდენად ფართოა ცნებათა ის ასპარეზი, რომელშიც ამ ენათა ჯგუფების სიტყვათა საგანძურს ნათესაობა ემჩნევა.

ქუურნეობის ისტორიის მკოდნეს კარგად მოეხსენება შინაურ ფრინველთაგან ყველაზე გავრცელებულის ქათმის მნიშვნელობა.

ეს სიტყვა ქათამი დიდ მანძილზეა გავრცელებული. ცნობილია, რომ მისი სახელი ყველა ქართველურ ენებში მოიპოვება, მაგრამ არაფის მიუტყვევია იმ ვარემოებისათვის ყურადღება, რომ ეს სიტყვა და სახელი აოამცთუ მოელს ჩრდილოეთ კავკასიაშიც გავრცელებული არის, არამედ, ქართულის წსგავსად, სხვაგვარ მფრინველთა, მათ შორის გარეულთა სახელებისათვისაც ძირითად ნაწილად არის გამოყენებული.

მაგ. აზსაბურთაჲ ქათამს ეწოდება ა-კუტტ (უსლ.), ანუ ა-კუტტ (დონდ.), — კაკაბს-კი აბნაკატტ, ე. ი. „ტყის (აბნა) ქათამი“ ჰქვიან, ხოლო გარეულ იხვს აზსაბურთაჲ სახელად აქვს აბტკატტ, რომელიც „წლის (აბტ) ქათამს“ ნიშნავს.

ჩუბჭურასაჲ ქათამს კიტტ ეწოდება (ლვლ.), — ხვს-კი აქაც მხეკატტე (იქვე), ე. ი. „წლის (ხსე) ქათამი“ ჰქვიან. ხოსობის სახელად ჩუბჭურას ჰტტე-კატტე (იქვე) ანუ „ტყის (ჩუხე) ქათამი“ აქვთ. ინდოურის სახელი ტაკატტე (იქვე) და კოლინბურის, ანუ თავწითელასიც (რუს. перелок, ლათ. Frigietia car-

duelis L.) კეთენიკებზე-ც (იქვე) ხომ აგრეთვე კეტე-ს, ე. ი. ქათმის სახელზე-
ვთა დამყარებული.

ყამაზდელაღუს ქათმის აღსანიშნავად ამავე ძირის სიტყვა აქვთ, გედ, ე. ი. ამ სახელის პიროველი ორი თანხმოვანი გამჟღერებულია. ძარაულაგ ხომ მოე-
პოვება ასეთი გამჟღერებული ფორმა გედი Cygnus-ის (გენედი) სახელად. კაკა-
ზისა და ხოხობის ყამაზდელაღუს სახელებიც შელლეგედ-ისა და მეზგედ-ის მეორე
ნაწილსაც ხომ იგივე ქათმის სახელი გედ შეადგენს და შელლეგედ, ანუ კაკაზი
ნიშნავს „აბრეშუმა ქათამს“, ხოხობი-კი, მეზგედ, „ტყის ქათამს“.

ლილუღი ენებსაც ქათმისთვის იგივე სახელი აქვთ: ხაჩნუტად კუჩტამ ანუ
ჭუჩტამ (ჩაჩ. ე.) ეწოდება.

ეს ძირი ლეგუტი ენებშიც მოიპოვება, მაგ. ქათამს ზღაღუღუტად კატ, ზოლო
ჩაქრულად კატა (იხ. აღულ. ე. 165), დაღუღუტად-კი გვდა (იხ. ანდ.-დიდ. შას.
98) ეწოდება.

ბუნებრივად იბადება საკითხი: სადაურია შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავ-
ლეთის სანაპიროთგან მოყოლებული ჩრდილოეთამდე, მთელ იმიერ-კავკასიისა
და აზიერ-იმიერ კავკასიაში ესოდენ გავრცელებული ეს სიტყვა, რა ძირისაა
იგი და სახელდობრ რის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო თავდაპირველად?

ჰამთამის შესატყვისად მკვლევარი ქათომი ვვაქეს, ჭანუტად-კი ქოთუმე არის.
ამ ჩვეულებრივს ფორმას გარდა, ქორმე-ც არსებობს (ნ. შარბის ქ. გ.). საგუ-
ლისხმოა, რომ საქათმეს ჭანუტად იქოთუმალე ეწოდება (იქვე). ჭანუტას ქათმის
სახელად აქვს ქათალ.

ქათამი ქართულშიც ზოგადი მნიშვნელობის სიტყვად მოჩანს (შეად-
